საქართველოს კონკურენციის სამართალი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
2019

საქართველოს კონკურენციის სამართალი

ლიანა ჯაფარიძე (რედ.)
ქეთი ზუკაკიშვილი (რედ.)
ნინო კობაძე
ნინა ჟვანია
ზურაბ გველესიანი
მედეა აკოლაშვილი
ნიკა სერგია
სოფიო მომცელიძე

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა
პირველი გამოცემა, თბილისი, 2019

GEORGIAN COMPETITION LAW

Liana Japaridze (ed.)
Keti Zukakishvili (ed.)
Nino Kobadze
Nina Zhvania
Zurab Gvelesiani
Medea Akolashvili
Nika Sergia
Sopio Momtselidze

New Vision University Press
First edition, Tbilisi, 2019

ISBN 978 9941 9619 5 3

წინასიტყვაობა

კონკურენციის სამართალი იცავს მეტოქეობის ჯანსაღ პროცესს კერძო და სახელმწიფო ჩარევებისგან, რაც უზრუნველყოფს მწარმოებელთა მხრიდან მუდმივ თვითგაუმჯობესებაზე ზრუნვას და მომხმარებელთა გრძელვადიანი ინტერესების დაცვას. კონკურენცია ხელს უწყობს ეკონომიკურ პროგრესსა და საერთო კეთილდღეობის ზრდას.

საგულისხმოა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლით, საქართველო სამართლებრივი და ეკონომიკური განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. დღესდღეობით, ჩვენი ქვეყნისთვის არსებობს უნიკალური შესაძლებლობა, შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და სამართლებრივი დაახლოების ინტენსიური პროცესის მეშვეობით, ინტეგრირდეს ევროკავშირის სავაჭრო სივრცეში და საქართველოს მოქალაქეებს მისცეს ხსენებული ბაზრის სიკეთეებით სარგებლობის შესაძლებლობა. ამ ყველაფრის წინაპირობა კი, ევროკავშირის კანონმდებლობის ქვაკუთხედების, მათ შორის, კონკურენციის წესების, ზედმიწევნით ცოდნა და პრაქტიკაში დანერგვაა.

სწორედ ამიტომ, სამართლის ხსენებული მიმართულება ორმაგად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის: მისი მეშვეობით შესაძლებელია არა მარტო ევროპასთან უფრო მეტად დაახლოვება, არამედ ეროვნული ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაც. თუმცა, კონკურენციის სამართლის ხსენებული მნიშვნელობა საქართველოს ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად არის ცნობილი. ეს გასაკვირი არაა: ამ მიმართულებით 1990-იან წლებში მიღებული კანონმდებლობის განვითარება

ხანგრძლივი ჩავარდნებით ხასიათდება, რაც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ცვლადი დისკურსით იყო განპირობებული.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კონკურენციის სამართალი საქართველოში 2014 წლიდან ამოქმედდა. შესაბამისად, მას ჯერ კიდევ უწევს ქართულ სამართლებრივ სივრცეში „თავის დამკვიდრება“ და საკუთარი მნიშვნელობის ჩვენება.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ზემოხსენებული მნიშვნელობის წარმოჩენას ისახავს მიზნად. ის ქართულ ენაზე შესრულებულ კონკურენციის სამართლის პირველ სახელმძღვანელოს წარმოადგენს, რომელშიც მოცემულია როგორც კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლების, მიზნებისა და გამოწვევების ზოგადი ახსნა, ასევე საქართველოს კონკურენციის სამართლით გათვალისწინებულ მთელ რიგ საკითხებზე სიღრმისეული მსჯელობა. ნაშრომი ასევე მოიცავს არსებული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ჩარჩოს ხარვეზების ანალიზს. ევროკავშირის გამოცდილების საფუძველზე, შემოთავაზებულია მათი გამოსწორების გზებიც.

სახელმძღვანელოს მეშვეობით, მკითხველს შეეძლება საქართველოს კონკურენციის სამართლისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მეტ-ნაკლებად სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა. ნაშრომი ჩვენს ქვეყანაში კონკურენციის სამართლის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, *pro bono* საწყისებზე შეიქმნა და მისი ელექტრონული ვერსია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის უსასყიდლოდ იქნება ხელმისაწვდომი.

დაუღალავი შრომისთვის გულწრფელ მადლობას ვუხდით ნაშრომის თანაავტორებს: *ნინა ჟვანიას, ნინო კობაძეს, ზურაბ გველესიანს, მედეა აკოლაშვილს, ნიკა სერგიასა და სოფიო მომცელიძეს.*

დიდი მადლიერებით გვსურს, აღვნიშნოთ, *ევროპის კოლეჯის (ბრიუგე, ბელგია) ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის (ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი) სამართლის ფაკულტეტის,* მნიშვნელოვანი მხარდაჭერა სახელმძღვანელოზე მუშაობის თითქმის ორწლიან პროცესში.

განსაკუთრებული მადლობა *ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტსა და მის ხელმძღვანელს, პროფესორ დავით კერესელიძეს,* სახელმძღვანელოს გამოქვეყნების იდეის მყისიერი გაზიარებისა და შესაბამისი ხარჯების სრულად დაფარვისათვის. აღნიშნულის გარეშე ეს ნაშრომი დღის სინათლეს, სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს ვერ იხილავდა.

საბოლოოდ, მადლობას გიხდით თქვენ, მკითხველებს: ექსპერტებს, დამწყებ სპეციალისტებს, სტუდენტებსა თუ ჩვენი ნაშრომით დაინტერესებულ ნებისმიერ სხვა პირს. ეს სახელმძღვანელო თქვენთვის იქმნებოდა. ვიმედოვნებთ, რომ ის უკეთეს წარმოდგენას შეგიქმნით საქართველოს კონკურენციის სამართალზე და გაგიჩენთ ამ სფეროსთან დაკავშირებით ცოდნის გაღრმავების სურვილს. ასევე იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ხსენებული სახელმძღვანელოს პირველი და უკანასკნელი გამოცემა არაა. ამ მხრივ, მივესალმებით მისი შევსება-გაუმჯობესების მიზნით თქვენგან გამოთქმულ შენიშვნებსა და კომენტარებს.

პატივისცემით,

ქეთი ზუკაკიშვილი
ლიანა ჯაფარიძე

სარჩევი

I. კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლები --------12
1. შესავალი ----------12
2. თეორია ----------13
2.1. ტერმინოლოგია ----------14
2.2. სრულყოფილი კონკურენცია და მონოპოლია - შედარება----------22
ა) სრულყოფილი კონკურენცია----------22
ბ) მონოპოლია----------25
2.3. კონკურენცია და საბაზრო მექანიზმის თვითრეგულირებადი ბუნება პრაქტიკაში:----------28
რატომ გვჭირდება კონკურენციის სამართალი/პოლიტიკა? ----------28
ა) სახელმწიფო ჩარევა----------30
ბ) ბაზრის მონაწილეთა ქმედებები----------31
გ) რიგი ბაზრების სპეციფიკა----------32
2.4. კონკურენციის სამართლის/პოლიტიკის რეგულირების საგანი ------ 33
3. ისტორია----------35
3.1. XIX საუკუნის პირველი ნახევარი - საწყისები----------37
ა) დიდი ბრიტანეთი - კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის სკოლა 37
ბ) ამერიკის შეერთებული შტატები - სახელმწიფო მონოპოლიები, დერეგულირების პოლიტიკა და ტრასტების წარმოშობა ----------39
3.2. XIX საუკუნის მეორე ნახევარი - საწყისი თეორიების დაზუსტება და პირველი სამართლებრივი ჩარჩო----------43
ა) ევროპა - ინდუსტრიალიზაციის გამოწვევები და ნეოკლასიკური მიდგომა----------43
ბ) ამერიკის შეერთებული შტატები - ინდუსტრიალიზაცია და კონკურენციის კანონმდებლობა ----------46
3.3. XX საუკუნის პირველი ნახევარი - სამართლებრივი და ეკონომიკური ჩარჩოს განვითარება----------48
ა) ადმინისტრაციული ჩარჩო ----------49
ბ) არასრულყოფილ კონკურენციასთან დაკავშირებული ეკონომიკური მოდელები ----------52
გ) ბაზრის მექანიზმი და ემპირიული კვლევები - ჰარვარდის სკოლა --54
დ) კონკურენციის სამართლის კონსტიტუციონალიზაცია - ფრაიბურგის სკოლა ----------58
3.4. XIX საუკუნის II ნახევარი - კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის გლობალიზაცია----------63
ა) ევროპა - კონკურენცია და ერთიანი ბაზარი----------64
ბ) აშშ - კონკურენცია და ჩიკაგოს სკოლა ----------69
გ) კონკურენცია და დანარჩენი მსოფლიო----------75
3.5. XXI საუკუნე - კონკურენციის სამართლის ჩარჩოთა დაახლოვება----79
ა) ევროკავშირი და აშშ ----------80

ბ) სამართლებრივი ტრანსპლანტები ---------- 82
გ) საერთაშორისო თანამშრომლობა ---------- 83
3.6. კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის განვითარება საქართველოში ---------- 86
4. მიზნები ---------- 92
4.1. კატეგორიები და იერარქია ---------- 94
4.2. პრობლემატიკა ---------- 96
4.3. კონკურენციის სამართლის მიზნები საქართველოში ---------- 99
5. გამოწვევები ---------- 101
5.1. გამოწვევების სახეები სახელმწიფოთა ჯგუფების მიხედვით ---------- 102
5.2. გამოწვევები საქართველოში ---------- 106
კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლები - მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამება ---------- 109
ბიბლიოგრაფია ---------- 112
II. შესაბამისი ბაზარი ---------- 123
1. შესაბამისი ბაზრის რაობა და მისი მნიშვნელობა კონკურენციის სამართალში ---------- 123
2. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის ეკონომიკური საფუძვლები ---------- 126
2.1. მოთხოვნის კანონი და მოთხოვნის ელასტიკურობა ფასის მიხედვით ---------- 127
2.2. მიწოდების კანონი და მიწოდების ელასტიკურობა ---------- 129
3. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის კრიტერიუმები ---------- 132
3.1. ბაზრის ანალიზის ძირითადი პრინციპები და ინფორმაციის წყარო ---------- 133
3.2. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები ---------- 135
ა) ურთიერთჩანაცვლებადობა მომხმარებლის თვალსაზრისით ---------- 136
ბ) ურთიერთჩანაცვლებადობა მწარმოებლის/მიმწოდებლის თვალსაზრისით ---------- 143
გ) მომხმარებლისა და მიმწოდებლის თვალსაზრისის გამოყენების პრაქტიკული დატვირთვა ---------- 149
3.3. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები ---------- 153
3.4. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო ---------- 156
4. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის არაპრეცედენტული ხასიათი; სასამართლო კონტროლი ---------- 158
5. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის ახალი გამოწვევები ---------- 160
შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა - მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამება ---------- 162
ბიბლიოგრაფია ---------- 164

III. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები ---------- 167
1. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის მიზანი და ეკონომიკური საფუძვლები ---------- 167
2. მე-7 მუხლის სტრუქტურა და რეგულირების სფერო ---------- 171
2.1. მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვა და მისი შედეგები ---------- 171
2.2. აკრძალვის მოქმედების სფერო ---------- 174
ა) ტერიტორიული მოქმედების სფერო, ექსტრატერიტორიულობა -- 174
ბ) შემთხვევები, რომლებზეც არ ვრცელდება მე-7 მუხლი ---------- 176
გ) თანაკვეთა მე-6 მუხლთან ---------- 177
3. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვის ელემენტები ---------- 178
3.1. ეკონომიკური აგენტი, ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებები ------- 178
ა) ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტი ---------- 181
ბ) „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინა ---------- 182
გ) სავაჭრო წარმომადგენლობა ---------- 186
დ) ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებები/ასოციაციები ---------- 186
3.2. შეთანხმება, შეთანხმებული ქმედება და გადაწყვეტილება ---------- 187
ა) შეთანხმება ---------- 188
ბ) შეთანხმებული ქმედება ---------- 191
გ) ეკონომიკურ აგენტთა (ასოციაციების) გადაწყვეტილება ---------- 197
დ) ერთიანი, განგრძობადი ხასიათის ქმედება ---------- 199
3.3. კონკურენციის შეზღუდვის, აკრძალვის ან/და დაუშვებლობის მიზანი/შედეგი ---------- 201
3.4. კონკურენციის შეზღუდვა და მე-8 მუხლით დადგენილი გამონაკლისები ---------- 208
4. კონკურენციის შეზღუდვის შემთხვევები ჰორიზონტალურ შეთანხმებებში ---------- 209
4.1. კონკურენციის აშკარა დარღვევები/კარტელური შეთანხმებები ----- 210
4.2. კარტელის მდგრადობის ელემენტები და შეთანხმებისკენ მიდრეკილი ბაზრის მახასიათებლები ---------- 213
4.3. სპეციალური შემთხვევები ---------- 219
ა) ფასისა და სხვა სავაჭრო პირობების ფიქსირება ---------- 219
ბ) წარმოების, მიწოდების წყაროების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარების და ინვესტიციების შეზღუდვა ---------- 232
გ) ბაზრის ან მიწოდების წყაროების განაწილება ---------- 238
დ) სახელმწიფო შესყიდვებში შეთანხმებული პირობებით მონაწილეობა - სატენდერო მანიპულაციები ---------- 244
ე) გარკვეული სავაჭრო პარტნიორების მიმართ იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული/დისკრიმინაციული პირობების გამოყენება ---------- 259
ვ) გარიგების პირობად მხარისთვის საგნობრივად და კომერციულად დაუკავშირებელი დამატებითი ვალდებულების დაკისრება ---------- 261

4.4. გაცნობიერებული პარალელიზმი და „ოლიგოპოლიის პრობლემა"- 262
ა) ოლიგოპოლიური ბაზრის მახასიათებლები და გაცნობიერებული პარალელიზმი ---------- 263
ბ) პირდაპირი ან არაპირდაპირი კომუნიკაციის არსებობა, როგორც დარღვევის აუცილებელი ელემენტი ---------- 265
4.5. ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებები - ზღვარი კონკურენციის შემზღუდველ და კონკურენციისთვის სასარგებლო შეთანხმებებს შორის---------- 266
ა) ინფორმაციის გაცვლა ---------- 268
ბ) სპეციალიზაციის ხელშეკრულება---------- 277
გ) საერთო კვლევების წარმოების შესახებ ხელშეკრულება ---------- 279
დ) ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულება ---------- 280
5. კონკურენციის შეზღუდვის შემთხვევები ვერტიკალურ შეთანხმებებში---------- 281
5.1. ვერტიკალური ინტეგრაცია---------- 284
5.2. სავაჭრო წარმომადგენლობა ---------- 285
5.3. კონკურენციის შემზღუდავი მიზნის და შედეგის მქონე ვერტიკალური შეზღუდვები---------- 287
ა) სარეალიზაციო ფასის შენარჩუნება/ფიქსირება ვერტიკალურ შეთანხმებებში ---------- 292
ბ) ექსკლუზიური შესყიდვები ---------- 296
გ) ექსკლუზიური დისტრიბუცია---------- 298
დ) შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა ---------- 300
ე) ფრენშაიზინგი/ლიცენზიის ხელშეკრულებები---------- 302
6. მტკიცების სტანდარტი და მტკიცების ტვირთი ---------- 304
6.1. მტკიცების სტანდარტი---------- 304
6.2. პირდაპირი და არაპირდაპირ მტკიცებულებები---------- 306
6.3. პარალელური ქმედებები და „პლუს ფაქტორები" ---------- 308
6.4. მტკიცების ტვირთის გადასვლა---------- 314
კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები - მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამება ---------- 316
ბიბლიოგრაფია---------- 327
IV. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებიდან გამონაკლისები ---------- 340
1. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებიდან გამონაკლისები – სამართლებრივი ტრანსპლანტის ევოლუცია ქართულ სამართალში---------- 340
1.1. სამართლებრივი ტრანსპლანტი ევროკავშირიდან ---------- 342
1.2. გამონაკლისების არსი ევროკავშირის სამართალში ---------- 344
1.3. გამონაკლისების მარეგულირებელი ნორმის ევოლუცია ქართულ სამართალში ---------- 345

1.4. განსხვავებები გამონაკლისების მარეგულირებელ ქართულ და ევროკავშირის ნორმებს შორის ---------- 348
ა) გათვალისწინებული ინტერესები/სარგებელი ---------- 348
ბ) ინდივიდუალური და ჯგუფური გამონაკლისები ---------- 353
გ) მომხმარებლის როლი გამონაკლისების ანალიზისას ---------- 357
2. გამონაკლისების ოთხი კუმულატიური წინაპირობა ---------- 361
2.1. ეფექტიანობის ზრდა ---------- 362
2.2. მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდა ---------- 365
ა) მომხმარებლის ცნება საქართველოს კონკურენციის სამართალში - 366
ბ) მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდის შეფასება ---------- 368
2.3. კონკურენციის შეზღუდვის გარდაუვალობა ---------- 370
2.4. კონკურენციის აღკვეთის აკრძალვა ---------- 372
3. ჯგუფური გამონაკლისები – საქართველოს მთავრობის დადგენილება №526 ---------- 373
4. მტკიცების ტვირთი და პროცედურა ---------- 376
5. დასკვნა ---------- 378
კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებიდან გამონაკლისები – მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამება ---------- 380
ბიბლიოგრაფია: ---------- 382
V. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ---------- 392
1. ისტორიული კონტექსტი ---------- 392
2. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვის არსი და ეკონომიკური საფუძვლები ---------- 396
3. დომინანტური მდგომარეობა და მისი განსაზღვრა ---------- 398
3.1. კანონდარღვევის სუბიექტი ---------- 399
3.2. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა ---------- 404
3.3. საბაზრო ძალაუფლების შეფასება ---------- 405
ა) საბაზრო წილი ---------- 406
ბ) ბაზარზე შესვლის ბარიერები ---------- 410
გ) მყიდველის დამაბალანსებელი ძალაუფლება ---------- 412
4. დომინატური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ---------- 413
4.1. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტის დადგენასთან დაკავშირებული ზოგადი წესები ---------- 415
ა) დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სხვადასხვა კატეგორიები ---------- 415
ბ) რელევანტური ეკონომიკური ტესტები ---------- 417
გ) ობიექტური გამართლება ---------- 419
4.2. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კონკრეტული სახეები ---------- 423
ა) არასამართლიანად მაღალი ან დაბალი ფასები ---------- 423

ბ) არასამართლიანი სავაჭრო პირობები და ექსკლუზიური გარიგებები ---------- 431
გ) მიწოდებაზე უარი ---------- 442
დ) მარჟის შეზღუდვა ---------- 449
ე) ფასისმიერი დისკრიმინაცია ---------- 452
ვ) მიბმა და დაჯგუფება ---------- 455
5. პასუხისმგებლობა და სასამართლო კონტროლი ---------- 463
5.1. ჯარიმები და დროებითი ღონისძიებები ---------- 463
5.2. ზომები ---------- 468
5.3. პირობითი გადაწყვეტილება ---------- 470
5.4. კერძო აღსრულება – ზიანის ანაზღაურება ---------- 473
6. სამომავლო გამოწვევები ---------- 476
დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება – მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამება ---------- 480
ბიბლიოგრაფია ---------- 487
VI. კონცენტრაციების კონტროლი ---------- 496
1. კონცენტრაციების კონტროლის საფუძვლები და ისტორიული მიმოხილვა ---------- 496
2. კონცენტრაცია და მისი განხორციელების გზები ---------- 501
2.1. კონცენტრაცია ---------- 501
2.2. კონცენტრაციის განხორციელების გზები ---------- 502
ა) შერწყმა ---------- 503
ბ) კონტროლის მოპოვება ---------- 504
გ) ერთობლივი საწარმო ---------- 510
დ) სხვადასხვა მმართველ ორგანოებში მონაწილეობა ---------- 513
ე) გამონაკლისები ---------- 514
3. პროცედურა ---------- 518
3.1. შეტყობინების ვალდებულება ---------- 519
ა) პირველი ტიპის ზღვარი – წლიური ბრუნვა ---------- 520
ბ) მეორე ტიპის ზღვარი – აქტივების ჯამური ღირებულება ---------- 521
გ) შეტყობინების პრაქტიკული მნიშვნელობა, მხარეები და ვადა ---------- 522
3.2. კონცენტრაციის განხილვის ვადა ---------- 526
3.3. კონცენტრაციის განხილვის ეტაპი ---------- 529
4. კონცენტრაციის შინაარსობრივი შეფასება ---------- 531
4.1. აკრძალული კონცენტრაციები ---------- 533
4.2. კონცენტრაციის სახეები და მათი კონკურენციული ეფექტი ---------- 536
4.3. კონცენტრაციის კონკურენციული ეფექტის შეფასება ---------- 542
ა) შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები და მათი გამოვლენა ---------- 544
ბ) შესაბამისი ბაზრის მოცულობის განსაზღვრა და ეკონომიკურ აგენტებზე წილობრივი გადანაწილება ---------- 544
გ) შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის დონე ---------- 547

დ) კონცენტრაციის კონკურენციული ეფექტი ---------- 549
ე) ჰორიზონტალური კონცენტრაციის შეფასების სპეციალური კრიტერიუმები ---------- 552
ვ) არაჰორიზონტალური კონცენტრაციის შეფასების სპეციალური კრიტერიუმები ---------- 555
ზ) ერთობლივი საწარმოს შეფასების სპეციალური კრიტერიუმები -- 561
4.4. სააგენტოს მიერ გათვალისწინებული დამატებითი პარამეტრები -- 562
ა) გაუმჯობესებები (ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესი) ---------- 562
ბ) პოტენციური კონკურენტების შემოსვლა ბაზარზე ---------- 564
გ) მყიდველის დამაბალანსებელი ძალაუფლება ---------- 567
დ) მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ---------- 567
ე) კონკურენციის მიღმა - სოციალურ-ეკონომიკური მიზნები -------- 568
5. სააგენტოს გადაწყვეტილება და მისი შემდგომი ეტაპები --- 570
5.1. პირობითი ვალდებულებები/ზომები ---------- 571
5.2. კონცენტრაციის ცვლილება სააგენტოს დასკვნის შემდეგ ---------- 571
5.3. კანონდარღვევით განხორციელებული კონცენტრაციის შედეგები - 572
5.4. გადაწყვეტილების გამოქვეყნება და სასამართლო კონტროლი ------ 573
5.5. კონცენტრაციის შემდგომი კონტროლი ---------- 575
6. სამომავლო გამოწვევები და საერთაშორისო თანამშრომლობა- 576
კონცენტრაციების კონტროლი – მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამება ---------- 579
ბიბლიოგრაფია ---------- 581
VII. კონკურენციის სამართლის მოქმედება სახელმწიფო ორგანოების მიმართ ---------- 588
1. შესავალი ---------- 588
2. სახელმწიფო ორგანოების კონკურენციის შემზღუდველი ქმედებები ---------- 590
2.1. სახელმწიფო ორგანოების კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების სახეები და მათგან არსებული გამონაკლისები ---------- 592
ა) საქართველო ---------- 592
ბ) ევროკავშირი ---------- 595
2.2. სახელმწიფო ორგანოების კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების კონტროლის მექანიზმები და პროცედურა ევროკავშირის რიგ ქვეყნებსა და საქართველოში ---------- 598
2.3. სააგენტოს პრაქტიკა სახელმწიფო ორგანოების კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების შესწავლის მიმართულებით ---------- 602
ა) შემოსავლების სამსახურის საქმე ---------- 602
ბ) „ოპტიმალ გრუპ +“-ის საქმე ---------- 606
გ) „ინტერტექნიკსის“ საქმე ---------- 609
დ) ფარმაცევტული პროდუქციის რეგისტრაციის საქმე ---------- 612
ე) სასკოლო ავტობუსების საქმე ---------- 615

ვ) ბათუმის მერიის საქმე ---------- 619
ზ) დაზღვევის საქმეები ---------- 622
2.4. შუალედური შეჯამება ---------- 629
3. სახელმწიფო დახმარება ---------- 630
3.1. სახელმწიფო დახმარების გაცემისა და რეგულირების მიზეზები -- ---------- 632
3.2. სახელმწიფო დახმარების ცნება და სახეები ---------- 634
ა) ევროკავშირი – „სახელმწიფო დახმარება“ ---------- 635
ბ) ევროკავშირისეული „სახელმწიფო დახმარება“ და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისეული „სუბსიდია“ – მსგავსებები და განსხვავებები ---------- 647
გ) საქართველო – სახელმწიფო დახმარება/სუბსიდია ---------- 650
3.3. გამონაკლისები სახელმწიფო დახმარების შეთანხმების ვალდებულებისგან ---------- 654
ა) ევროკავშირი ---------- 654
ბ) საქართველო ---------- 657
3.4. სახელმწიფო დახმარების შეთანხმების პროცედურა ---------- 659
ა) ევროკავშირი ---------- 660
ბ) საქართველო ---------- 665
3.5. კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკა სახელმწიფო დახმარების შეთანხმების მიმართულებით ---------- 670
ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საქმეები ---------- 670
ბ) „ჰუმანითი ჯორჯიას“ საქმე ---------- 673
3.6. შუალედური შეჯამება ---------- 674
4. კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის კონტროლი -- 675
4.1. კონკურენციული ეფექტის კონტროლის კონსტიტუციური საფუძვლები ---------- 675
4.2. კონკურენციის სააგენტოს მიერ კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის წინასწარი კონტროლის მექანიზმი ---------- 678
ა) „ფორმალური“ წინასწარი კონტროლი ---------- 678
ბ) „არაფორმალური“ წინასწარი კონტროლი ---------- 680
4.3. კონკურენციის სააგენტოს მიერ კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის შემდგომი კონტროლის მექანიზმი ---------- 682
ა) კერძო დაცვითი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შეფასება ---------- 683
ბ) სხვადასხვა სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის შეფასება ---------- 687
4.4. შუალედური შეჯამება ---------- 689
5. დასკვნითი კომენტარები ---------- 690
კონკურენციის სამართლის მოქმედება სახელმწიფო ორგანოების მიმართ – მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამება ---------- 692
ბიბლიოგრაფია ---------- 698

I. კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლები

*ლიანა ჯაფარიძე**

1. შესავალი

კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა თანამედროვე მსოფლიოში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. დღესდღეობით, ის არსებობს დედამიწის ყველა კონტინენტზე, 130-ზე მეტ ქვეყანაში.[1] ამ ქვეყნებს მიეკუთვნება როგორც დარგის ერთ-ერთი ფუძემდებელი - ამერიკის შეერთებული შტატები (შემდგომში - აშშ), ისე ევროკავშირი და მისი ყველა წევრი სახელმწიფო, აზიისა და ლათინური ამერიკის იურისდიქციები ე.წ. სწრაფგანვითარებადი ეკონომიკით (emerging economies),[2] პოსტსაბჭოთა ქვეყნები, აფრიკისა და ოკეანეთის როგორც დიდი, ისე მცირე სახელმწიფოები და ა.შ.[3]

ხსენებული იურისდიქციები განხვავდებიან არა მარტო სიდიდით, განვითარების დონითა და ეკონომიკური სიძლიერით, არამედ მათში კონკურენციის სამართლის არსებობის

---

* მკვლევარი-დოქტორანტი, კონკურენციის სამართლის ტუტორი, ოქსფორდის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი (ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი).

[1] ავტორის შენიშვნა: კონკურენციის სამართლის მქონე იურისდიქციების შესახებ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს კონკურენციის საერთაშორისო ქსელის ვებგვერდი. ხსენებულ ორგანიზაციაში, რომელიც კონკურენციის ეროვნულ მარეგულირებელთა ყველაზე მასშტაბურ ვირტუალურ ქსელს წარმოადგენს, ამჟამად გაწევრიანებულია თითქმის ყველა ის სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა. ქსელის წევრებთან დაკავშირებული ინფორმაციისთვის იხილეთ https://www.internationalcompetitionnetwork.org/members/. 31.03.2019 (ქვემოთ მოყვანილ ყველა ინტერნეტრესურსზე უკანასკნელად წვდომის თარიღი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული).

[2] ავტორის შენიშვნა: სწრაფგანვითარებადს უწოდებენ ბაზარს, თუ მას გააჩნია განვითარებული ბაზრის გარკვეული მახასიათებლები, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე განვითარებული არ არის. იხ.: https://www.msci.com/documents/1296102/1330218/MSCI_Market_Classification_Framework.pdf/d93e536f-cee1-4e12-9b69-ec3886ab8cc8. სამწუხაროდ, ამ ეტაპამდე (04.04.2019) ვერ მოვნახე ტერმინი „emerging economies" ზუსტი ქართული თარგმანი. შესაბამისად, ტერმინი „სწრაფგანვითარებადი" ჩემეული თარგმანია. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში უკვე არსებობდეს განსხვავებული თარგმანი - შესაბამისად, სწორი იქნება სწორედ ის უკანასკნელი.

[3] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 9th ed., Oxford University Press, 2018, pp. 1-2.

ხანგრძლივობითაც. მაგალითად, აშშ-ში ამ მიმართულებით შემოღებული პირველი კანონი - ე.წ. შერმანის აქტი[4] - 1890 წლით თარიღდება, ევროკავშირს შესაბამისი მიმართულების კანონმდებლობა 1957 წლიდან აქვს, საქართველომ (სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსად) კონკურენციის მარეგულირებელი პირველი აქტი 1990-იანი წლების დასაწყისში მიიღო, [5] ხოლო ფილიპინებში ეს კანონმდებლობა მხოლოდ 4 წლისაა. [6] თუმცა საერთოა პრობლემა, რომლის გადაჭრასაც კონკურენციის სამართალი ცდილობს - კერძოდ, თუ როგორ უნდა მოხდეს ამა თუ იმ იურისდიქციაში ჯანსაღი და კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნა და შენარჩუნება.

იმისთვის, რომ გვესმოდეს, თუ როგორ ახერხებს კონკურენციის პოლიტიკა ზემოხსენებული პრობლემის გადაჭრას, პირველ რიგში, საჭიროა გავიგოთ მისი შინაარსი და დანიშნულება. ამისთვის კი სასურველია როგორც კონკურენციის საბაზისო თეორიისა და განვითარების ეტაპების, ისე მისი მიზნებისა და იმ გამოწვევების ცოდნა, რომლებთან გამკლავებაც უწევს სამართლის აღნიშნულ მიმართულებას თანამედროვე ეპოქაში.

ამ თავის მიზანია ჩამოთვლილი საკითხების ზოგადი მიმოხილვა და შედეგად, დღეს არსებულ რეალობაში კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის მნიშვნელობის ჩვენება, როგორც გლობალურ ჭრილში, ისე საქართველოსთან მიმართებით.

2. თეორია

კონკურენციის სამართალსა და პოლიტიკასთან მიმართებით, ერთ-ერთი პირველი თვალშისაცემი საკითხი მათი ეკონომიკურ მეცნიერებებთან გადაჯაჭვულობაა. ეს ლოგიკურიცაა: სამართლისა და პოლიტიკის ხსენებული მიმართულება ბაზრის კონკურენტულობასა და სიჯანსაღეს ემსახურება. ეს უკანასკნელნი

---

[4] Sherman Act of July 2, 1890, Ch. 647, 26 Stat. 209.

[5] დაწვრილებით იხ. ქვეთავი 3.6. „კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის განვითარება საქართველოში".

[6] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 9th ed., Oxford University Press, 2018, p. 1.

კი, თავის მხრივ, მთელი რიგი ეკონომიკური პარამეტრებით იზომება. შედეგად, ბაზრის რეგულირებისას სამართლებრივი და ეკონომიკური ანალიზის თანაკვეთა გარდაუვალია.

ხსენებული თანაკვეთის უკეთ აღსაქმელად აუცილებელია როგორც კონკურენციასთან დაკავშირებულ ზოგად სამართლებრივ და ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში (ქვეთავი 2.1), ისე საბაზრო კონკურენციის რიგ თეორიულ მოდელებსა (ქვეთავი 2.2) და ბაზრის რეგულირების პრობლემატიკაში (ქვეთავი 2.3) გარკვევა. მსგავსი მიდგომა ასევე დაგვეხმარება იმის აღქმაში, თუ რატომ არეგულირებს კონკურენციის სამართალი ამა თუ იმ კონკრეტულ საბაზრო თუ ბაზართან დაკავშირებულ ქმედებას (ქვეთავი 2.4).

2.1. ტერმინოლოგია[7]

ეკონომიკაში, **ბაზარი**[8] ეწოდება კონკრეტული საქონლისა თუ მომსახურების გამყიდველთა და მყიდველთა ერთიანობას, [9] რომელთა ურთიერთზემოქმედების შედეგად დგინდება ხსენებული საქონლის/მომსახურების ფასი. [10] ამ შემთხვევაში, გამყიდველი გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე სამოქალაქო სამართალში ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე. ეს ცნება მოიცავს (1) მიწის/რესურსების მესაკუთრეებს, რომლებიც კომპანიებს (მწარმოებლებს) გადასცემენ ამ მიწას (მაგალითად, იჯარით) ან წარმოებისთვის საჭირო სხვა რესურსებს; (2) მუშახელს, რომელიც გარკვეულ მომსახურებას სთავაზობს სხვას (ანუ „ყიდის"

---

[7] **ავტორის შენიშვნა:** კონკურენციის სამართლისა და ეკონომიკის ტერმინოლოგიის დეტალური განმარტებისათვის იხილეთ European Commission, DG COMP, *Glossary of terms used in EU competition policy, Antitrust and control of concentrations*, 2002, https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/100e1bc8-cee3-4f65-9b30-e232ec3064d6 და OECD, Khemani, R. S. and Shapiro, D. M., *Glossary of Industrial Organisation Economics and Competition Law*, 1993, http://www.oecd.org/regreform/sectors/2376087.pdf.

[8] **ავტორის შენიშვნა:** კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტერმინია „შესაბამისი ბაზარი", რომლის დეტალური განმარტებაც მოცემულია წიგნის II თავში („შესაბამისი ბაზარი").

[9] მენქიუ, გრეგორი, *ეკონომიკის პრინციპები*, გამომცემლობა „დიოგენე", 2000, გვ. 84.

[10] Pindyck, Robert S. and Rubinfeld, Daniel L., *Microeconomics*, 6th ed., Pearson Education International, 2005, p. 7. **ავტორის შენიშვნა:** ტექსტის სიმარტივისათვის, ამ თავში ფრაზა „საქონლისა და მომსახურების" ნაცვლად გამოიყენება მხოლოდ ტერმინი „საქონელი". ამავდროულად, ტერმინ „საქონელის" გამოყენებისას იგულისხმება, რომ განსახილველი საკითხი ეხება როგორც საქონელს, ისე მომსახურებას.

მომსახურებას); (3) კომპანიებს, რომლებსაც ბაზარზე გააქვთ საკუთარი საქონელი. [11] ასევე ფართოდ განიმარტება ტერმინი მყიდველი. ეს უკანასკნელი მოიცავს (1) კომპანიებს, რომლებიც იძენენ საქონლის წარმოებისთვის საჭირო რესურსებს; (2) საქონლის პირადი მოხმარებისათვის შემძენ პირებს. [12]

მყიდველთა სურვილსა და შესაძლებლობას, გაიღონ გარკვეული საფასური კონკრეტული საქონლის ან მომსახურების შეძენის სანაცვლოდ, ეწოდება (საბაზრო) მოთხოვნა.[13] გამყიდველთა სურვილი და შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ ხსენებული მოთხოვნა, მოიხსენიება როგორც (საბაზრო) მიწოდება. [14] სწორედ აღნიშნული ტერმინიდან მომდინარეობს სამართალში გავრცელებული ცნება მიმწოდებელი, რომელიც გამყიდველის სინონიმად გამოიყენება. თავის მხრივ, გამომდინარე იქიდან, რომ მყიდველები იძენენ საქონელს ან მომსახურებას ბიზნესში ან პირადი მოხმარების მიზნით, ამ უკანასკნელთ მომხმარებლებადაც მოიხსენიებენ.[15]

მაგალითი:

კომპიუტერული კომპანია - მიმწოდებელი თუ მომხმარებელი?

დღესდღეობით, მსოფლიოში პერსონალური კომპიუტერების მწარმოებელი მრავალი კომპანიაა - Sony, Acer, HP, Lenovo, Dell და ა.შ. ამ კომპანიებს კომპიუტერების საწარმოებლად ესაჭიროება არაერთი დეტალი: მაგალითად, მიკროჩიპები, რომლებზეც კომპიუტერის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო პროგრამები უნდა ჩაიწეროს.

---

[11] Pindyck, Robert S. and Rubinfeld, Daniel L., *Microeconomics*, 6th ed., Pearson Education International, 2005, p. 7.

[12] იქვე.

[13] იხ. https://www.investopedia.com/terms/d/demand.asp: ასევე იხ. მენქიუ. გრეგორი, *ეკონომიკის პრინციპები*, გამომცემლობა „დიოგენე", 2000, გვ. 84, 86 და 90.

[14] შეად. https://www.investopedia.com/terms/s/supply.asp: ასევე იხ. მენქიუ. გრეგორი, *ეკონომიკის პრინციპები*, გამომცემლობა „დიოგენე", 2000, გვ. 84 და 95.

[15] ავტორის შენიშვნა: სამართალში ასევე ცნობილია საბოლოო მომხმარებლის ცნება - ესაა მომხმარებელი, რომელიც საქონელს/მომსახურებას იძენს არა შემდგომი წარმოების/გასაღების, არამედ პირადი მოხმარების მიზნით.

როგორც წესი, კომპიუტერული კომპანიები მსგავს მიკროჩიპებს (და სხვა მრავალ დეტალს) თვითონ არ აწარმოებენ. ამის ნაცვლად, ისინი თანამშრომლობენ მიკროჩიპების მწარმოებელ კომპანიებთან და მათგან იძენენ საჭირო სახისა და ფორმის ჩიპებს.

სამართლებრივი და ეკონომიკური გაგებით, ხსენებულ შემთხვევაში არსებობს ორი განსხვავებული ბაზარი: მიკროჩიპებისა და პერსონალური კომპიუტერების. (1) მიკროჩიპების ბაზარზე, გამყიდველ/მიმწოდებელ მხარეს წარმოადგენენ მიკროჩიპების მწარმოებელი კომპანიები, ხოლო მყიდველს/მომხმარებელს - კომპიუტერული კომპანიები. (2) პერსონალური კომპიუტერების ბაზარზე, გამყიდველის/მიმწოდებლის ფუნქციას კომპიუტერული კომპანიები ასრულებენ, ხოლო მყიდველის/მომხმარებლის როლშია პერსონალური კომპიუტერის შეძენის სურვილისა და საშუალების მქონე ყველა პირი. როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, ერთი და იგივე პირი (კომპიუტერული კომპანია) შესაძლოა ერთ ბაზარზე მყიდველი/მომხმარებელი იყოს, ხოლო მეორეზე - გამყიდველი/მიმწოდებელი.

ბაზარი აძლევს გამყიდველებსა და მყიდველებს ამა თუ იმ საქონელთან დაკავშირებული ტრანზაქციების განხორციელების საშუალებას.[16] ხსენებული ტრანზაქციებით თავისუფალ ბაზარზე[17] ხდება კონკრეტული მოთხოვნის შესაბამისი მიწოდებით დაკმაყოფილება, რასაც არეგულირებს ბაზრის მექანიზმი - ფასის ცვლილების საშუალებით მოთხოვნილი და მიწოდებული საქონლის რაოდენობის გათანაბრების ტენდენცია.[18] ეს მექანიზმი უზრუნველყოფს ბაზარზე არსებული მოთხოვნის (ანუ ყველა მომხმარებლის) დაკმაყოფილებისათვის საჭირო საქონლის

[16] Pindyck, Robert S. and Rubinfeld, Daniel L., *Microeconomics*, 6th ed., Pearson Education International, 2005, p. 8.

[17] ავტორის შენიშვნა: ამ კონტექსტში, ბაზრის თავისუფლება გულისხმობს საბაზრო მოქმედებებში სახელმწიფოს ჩაურევლობას.

[18] Pindyck, Robert S. and Rubinfeld, Daniel L., *Microeconomics*, 6th ed., Pearson Education International, 2005, pp. 19 and 24.

თანაფარდი რაოდენობით მიწოდებას. ხსენებული მექანიზმის გამართულად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია თავისუფალი საბაზრო კონკურენციის არსებობა.

სამართალმცოდნეთათვის, კონკურენცია ეწოდება მეტოქეობას მიმწოდებლებს (ანუ ე.წ. ეკონომიკურ აგენტებს [19]) შორის, რომლებიც მომხმარებლებისთვის შეძლებისდაგვარად უკეთესი საქონლის ან დაბალი ფასის შეთავაზების გზით იბრძვიან ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. [20] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონკურენცია არის პროცესი, რომელიც საზოგადოებაში კონკრეტულ საქონელზე არსებულ მოთხოვნასა და ამ მოთხოვნის საპასუხო მიწოდებას არეგულირებს ბაზრის მექანიზმის მეშვეობით. [21] სწორედ ამით განსხვავდება თავისუფალი საბაზრო (ანუ კაპიტალისტური) ეკონომიკა სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი (ანუ სოციალისტური) ეკონომიკისგან - ამ უკანასკნელში მოთხოვნასა და მიწოდებას არეგულირებს სახელმწიფო დაგეგმარების პროგრამა და არა თავისუფალი ბაზარი. [22]

ბაზარზე კონკურენციის არსებობის გარანტირებისათვის ყალიბდება კონკურენციის პოლიტიკა - ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულება, რომლის ამოცანასაც წარმოადგენს ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა და შენარჩუნება, [23] კონკურენციის შეზღუდვის საზოგადოებისთვის საზიანო სახეების დაუშვებლობის გზით. [24] რაც შეეხება კონკურენციის სამართალს - ესაა ნორმათა ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც ხდება კონკრეტულ იურისდიქციებში არსებული კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელება. [25]

---

[19] ავტორის შენიშვნა: ტერმინ „ეკონომიკური აგენტის" დეტალური განმარტებისათვის იხილეთ თავი 3 („კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები").

[20] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 9th ed., Oxford University Press, 2018, p. 4.

[21] იქვე. იხილეთ ასევე, Jones, Alison and Sufrin, Brenda, EU Competition Law: Text, Cases and Materials, 6th ed., Oxford University Press, 2016, p. 2.

[22] იქვე.

[23] http://ec.europa.eu/competition/consumers/what_en.html.

[24] Motta, Massimo, *Competition Policy: Theory and Practice*, Cambridge University Press, 2004, p. 30.

[25] Jones, Alison and Sufrin, Brenda, EU Competition Law: Text, Cases and Materials, 6th ed., Oxford University Press, 2016, p. 2.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბაზრის მექანიზმი ფუნქციონირებს ფასების ცვლილების მეშვეობით. საქონლის ფასს, რომელიც დგინდება ამ მექანიზმის საფუძველზე, მოთხოვნისა და მიწოდების ზემოთ აღწერილი გათანაბრების (ანუ საბაზრო წონასწორობის[26] მიღწევის) შედეგად, ეწოდება წონასწორული/საბაზრო ფასი,[27] ხოლო ხსენებულ ფასზე (პირდაპირი ან არაპირდაპირი) ზეგავლენის მოხდენის უნარს - საბაზრო ძალაუფლება.[28] ბაზარზე კონკურენციის დონე დგინდება სწორედ საბაზრო ძალაუფლების ხარისხთან მიმართებით.

ამ მხრივ, სპექტრის ერთ მხარესაა ბაზრები, რომლებზეც არსებობს სრულყოფილი კონკურენცია - სიტუაცია, როდესაც ბაზრის ვერც ერთი მონაწილე ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს საბაზრო ფასზე (ანუ არა აქვს საბაზრო ძალაუფლება) და იძულებულია, მიიღოს საბაზრო მექანიზმის მოქმედების შედეგად დადგენილი ფასი;[29] სპექტრის მეორე მხარეს კი არის მონოპოლია - მდგომარეობა, როდესაც ბაზარზე მხოლოდ ერთი მიმწოდებელია.[30] ეს კი გულისხმობს, რომ ამ უკანასკნელს გააჩნია აბსოლუტური საბაზრო ძალაუფლება და თავად ადგენს საქონლის ფასს.

---

[26] მენქიუ, გრეგორი, *ეკონომიკის პრინციპები*, გამომცემლობა „დიოგენე", 2000, გვ. 104.

[27] იქვე; იხ. ასევე Pindyck, Robert S. and Rubinfeld, Daniel L., *Microeconomics*, 6th ed., Pearson Education International, 2005, p. 8. ავტორის შენიშვნა: ზოგიერთი ეკონომიკური წყაროს მიხედვით, წონასწორული და საბაზრო ფასი გათანაბრებულია, სხვა წყაროების მიხედვით კი საბაზრო ფასი ეწოდება მხოლოდ სრულყოფილი კონკურენტული ბაზრის პირობებში არსებულ ფასს. წიგნის მიზნებისათვის, გამოყენებულია პირველი მიდგომა - საბაზრო ფასი აღნიშნავს ფასს როგორც სრულყოფილი, ისე არასრულყოფილი კონკურენციის მქონე ბაზრებზე, თუ ამ ფასად ხდება საბაზრო ტრანზაქციის განხორციელება. ამ ფასს სხვაგვარად „სალიკვიდაციო (market-clearance) ფასსაც" უწოდებენ, რადგან მისი მეშვეობით ხდება ბაზრის იმ სუბიექტებისგან გაწმენდა (ანუ იმ სუბიექტების „ლიკვიდაცია"), რომლებსაც არა აქვთ ხსენებულ ფასად საქონლის შეძენის/გასხვისების სურვილი და შესაძლებლობა.

[28] გრეგორი მენქიუ, *ეკონომიკის პრინციპები*, გამომცემლობა „დიოგენე", 2000, გვ. 196; Pindyck, Robert S. and Rubinfeld, Daniel L., *Microeconomics*, 6th ed., Pearson Education International, 2005, p. 340; ასევე, იხ.: Motta, Massimo, *Competition Policy: Theory and Practice*, Cambridge University Press, 2004, pp. 40-41 - აქ ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ფასებზე ზეგავლენის მოხდენა ნიშნავს ფასის გაზრდის შესაძლებლობას მოგების დაკარგვის გარეშე (ე.ი. სიტუაციას, როდესაც ფასის ზრდის შედეგად კლიენტები კონკურენტისგან არ იბენენ საქონელს, კონკურენტის არარსებობის ან რიგი სხვა მიზეზების გამო).

[29] Pindyck, Robert S. and Rubinfeld, Daniel L., *Microeconomics*, 6th ed., Pearson Education International, 2005, გვ. 262.

[30] იქვე, გვ. 340; შეად. მენქიუ, გრეგორი, *ეკონომიკის პრინციპები*, გამომცემლობა „დიოგენე", 2000, გვ. 1042.

უმრავლეს შემთხვევაში, ბაზრის მონაწილეებს გააჩნიათ გარკვეული საბაზრო ძალაუფლება. ამ მხრივ, კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის სფეროში ექცევა როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის წარმომადგენელთა მიერ განხორციელებული ქმედებები,[31] რომელთა შედეგადაც ხდება ერთი ან რამდენიმე პირის მიერ საბაზრო ძალაუფლების კონკურენციის საწინააღმდეგო ხერხებით მოპოვება ან კანონიერი გზით მოპოვებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენება.[32]

საბაზრო ფასთან მიმართებით, დამატებით აღსანიშნავია, რომ რეალური ფასისგან შესაძლოა განსხვავდებოდეს მომხმარებლის მოლოდინები ამ ფასთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად, საბაზრო ფასი მიმწოდებლისთვისაც მისაღებია და მომხმარებლისთვისაც (სხვანაირად მათ შორის ტრანზაქციას ადგილი ვერ ექნება), თუმცა მისგან უნდა განვასხვავოთ მომხმარებლის გადახდისთვის მზადყოფნა (consumer reservation price) - ანუ ფასის ის მაქსიმუმი, რის გადასახდელადაც მზად არის მყიდველი ამა თუ იმ საქონლის შესაძენად.[33] თუ მომხმარებელს ხსენებულ მაქსიმუმზე ნაკლების გადახდა უწევს საბაზრო ფასის სახით, სახეზეა მომხმარებელის ნამეტი/დანაზოგი. [34] შედარებისთვის, თუ საბაზრო ფასი მეტია საქონლის წარმოების დანახარჯებზე, მწარმოებელი საქონლის საბაზრო ფასად გასხვისებით იღებს მწარმოებლის ნამეტს/დანაზოგს.[35]

---

[31] ავტორის შენიშვნა: კლასიკური გაგებით, კონკურენციის სამართალი არეგულირებს მხოლოდ კერძო სექტორის (ანუ ბაზრის მონაწილეთა) მიერ კონკურენციის შეზღუდვას - ანუ, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა, მხოლოდ ამ ნაწილში არსებობს აღსრულების (სანქცირების) შესაბამისი მექანიზმები. ამავდროულად, საზოგადოდაა აღიარებული სახელმწიფოს მიერ ბაზარზე ჩარევის შესაძლო უარყოფითი შედეგებიც. ამის გამო, იურისდიქციათა ნაწილი (მაგალითად, ევროკავშირი) ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ კონკურენციის შეზღუდვის რეგულირებასაც. ამავდროულად, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მსგავს შემთხვევებში კანონმდებლობა სანქცირებას არ ითვალისწინებს და რეგულირებას უფრო საკონსულტაციო (ე.წ. ადვოკატირების) ხასიათი აქვს. საქართველოს კანონმდებლობა ამისი კარგი მაგალითია.

[32] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law,* 9th ed., Oxford University Press, 2018, pp. 2-4.

[33] მენქიუ, გრეგორი, *ეკონომიკის პრინციპები,* გამომცემლობა „დიოგენე", 2000, გვ. 176; Pindyck, Robert S. and Rubinfeld, Daniel L., *Microeconomics,* 6th ed., Pearson Education International, 2005, p. 382.

[34] იქვე, გვ. 177 და გვ. 128.

[35] იქვე, გვ. 185 და გვ. 279.

კონკურენტული ბაზარი ითვლება ორივე ზემოხსენებული სახის დანაზოგის ზრდის საუკეთესო საშუალებად, რადგან: (1) კონკურენციის პირობებში ფასების შემცირებისას, იზრდება სხვაობა გადახდისათვის მზადყოფნასა და საბაზრო ფასს შორის (ანუ იზრდება მომხმარებლის დანაზოგი); [36] (2) იმავე პირობებში, დანახარჯების შემცირებაზე ზრუნვით იზრდება სხვაობა საბაზრო ფასსა და დანახარჯებს შორის (ანუ იზრდება მწარმოებლის დანაზოგი).[37]

მწარმოებლისა და მომხმარებლის ნამეტთა/დანაზოგთა ჯამს მთლიანი ნამეტი/დანაზოგი ეწოდება. [38] ეკონომიკაში, დანაზოგის ხსენებულ სახეს იყენებენ ეკონომიკური კეთილდღეობის საზომად - ანუ იმის გასაგებად, თუ რამდენად უმჯობესდება ეკონომიკური სიტუაცია საბაზრო მექანიზმის მოქმედების შედეგად. [39] სამართალში, ასევე მნიშვნელოვანი ტერმინია მომხმარებლის კეთილდღეობა, რომელსაც ეკონომისტები მომხმარებლის დანაზოგის მიხედვით საზღვრავენ.[40] სამართალმცოდნეთათვის, ეს ორი ტერმინი (მომხმარებლის დანაზოგი და მომხმარებლის კეთილდღეობა) ხშირად სინონიმებადაც იხმარება.

როგორც მწარმოებლის დანაზოგის განმარტებიდან ჩანს, კონკურენტულ ბაზარზე, ფასთან მჭიდრო კავშირშია დანახარჯები - ანუ კონკრეტული საქონლის საწარმოებლად გაღებული ღირებულება.[41] განასხვავებენ დანახარჯების მრავალ სახეს. თუმცა, კონკურენციის მნიშვნელობის ახსნისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამი მათგანი: (1) სრული დანახარჯი, ანუ

---

[36] მენქიუ, გრეგორი, *ეკონომიკის პრინციპები*, გამომცემლობა „დიოგენე", 2000, გვ. 181.

[37] ავტორის შენიშვნა: ხსენებული ცნების სინონიმად ასევე გამოიყენება ტერმინი „მოგება". გასათვალისწინებელია, რომ მწარმოებლის ნამეტი/დანაზოგი იზრდება მონოპოლიის არსებობის პირობებშიც. თუმცა ეს წარმოადგენს მხოლოდ ერთი პირის (მონოპოლისტის) ნამეტის ზრდას და ამავდროულად, დაკავშირებულია უარყოფით შედეგებთან როგორც კონკურენტების, ისე მომხმარებლებისათვის. დაწვრილებით იხილეთ ქვეთავი 4.2. შად. Pindyck, Robert S. and Rubinfeld, Daniel L., *Microeconomics*, 6th ed., Pearson Education International, 2005, p. 303.

[38] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 9th ed., Oxford University Press, 2018, p. 5; იხ.ასევე, მენქიუ, გრეგორი, *ეკონომიკის პრინციპები*, გამომცემლობა „დიოგენე", 2000, გვ. 191.

[39] იხ.ასევე.

[40] ავტორის შენიშვნა: მომხმარებლის კეთილდღეობასთან დაკავშირებით, ასევე იხ. თავი 4 („კონკურენციის შეზღუდვები შეთანხმებებიდან გამონაკლისები").

[41] იხ.ასევე, მენქიუ, გრეგორი, *ეკონომიკის პრინციპები*, გამომცემლობა „დიოგენე", 2000, გვ. 184.

კონკრეტული პროდუქტის წარმოებაზე დახარჯული ღირებულების მთლიანი ოდენობა, რომელიც წარმოადგენს მუდმივი [42] და ცვლადი [43] დანახარჯების ჯამს; [44] (2) საშუალო დანახარჯი, რომელიც გამოიანგარიშება სრული დანახარჯის გაყოფით წარმოებული საქონლის ერთეულების საერთო რაოდენობაზე [45] და (3) ზღვრული დანახარჯი, რომელიც უდრის საქონლის ყოველი დამატებითი ერთეულის წარმოებისთვის გაღებულ ღირებულებას.[46]

დანახარჯების გამოთვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონკურენციის სამართლის რიგი დარღვევების დადასტურებისთვის. კერძოდ, ამ დროს ფასდება, კონკრეტული გამყიდველი (ან გამყიდველთა ჯგუფი) ხომ არ ასხვისებს საქონელს მასზე გაწეულ დანახარჯებთან შეუსაბამოდ მაღალ ან დაბალ ფასად.[47]

დანახარჯებზე გავლენას მრავალი ფაქტორი ახდენს, რომელთაგან განმარტებას საჭიროებს სულ მცირე ორი: (1) მასშტაბისა და მოცულობის ეკონომია და (2) ქსელური ეფექტი. მასშტაბის ეკონომია სახეზეა, თუ საქონლის წარმოების ზრდის პარალელურად მცირდება მისი წარმოების საშუალო დანახარჯი.[48] მოცულობის ეკონომია სახეზეა, თუ ორი სახის საქონლის ერთად წარმოება მათ ცალ-ცალკე წარმოებაზე უფრო ნაკლებ დანახარჯს

---

[42] ავტორის შენიშვნა: მუდმივია დანახარჯები, რომლებიც არ იცვლება საქონლის წარმოების მოცულობის ცვლილების შესაბამისად. მაგალითად: უძრავი ქონების (მიწის, შენობა-ნაგებობების) შეძენის საფასური ან ქირა უცვლელია იმის მიუხედავად, თუ რა მოცულობის წარმოებას აქვს ადგილი ამ უძრავი ქონების მოხმარებით. შედეგად, ეს უკანასკნელი წარმოადგენს მუდმივ დანახარჯს. იხ. Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law,* 9th ed., Oxford University Press, 2018, p. 733.

[43] ავტორის შენიშვნა: ცვლადია დანახარჯები, რომლებიც იცვლება საქონლის წარმოების მოცულობის ცვლილების შესაბამისად. ასეთია, მაგალითად, წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის შეძენაზე გაწეული დანახარჯები, რადგან ეს უკანასკნელი იცვლება წარმოებული საქონლის რაოდენობის მიხედვით. ხაზგასასმელია, რომ ცვლადი დანახარჯები არანაირ თანხვედრაში არაა მუდმივ დანახარჯებთან. იხ. Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law,* 9th ed., Oxford University Press, 2018, p. 734.

[44] Pindyck, Robert S. and Rubinfeld, Daniel L., *Microeconomics,* 6th ed., Pearson Education International, 2005, p. 216.

[45] იქვე, გვ. 219.

[46] იქვე, გვ. 218.

[47] ავტორის შენიშვნა: დაწვრილებით იხილეთ თავი V („დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება").

[48] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law,* 9th ed., Oxford University Press, 2018, p. 10.

იწვევს. [49] ქსელური ეფექტი წარმოიშობა მაშინ, როდესაც საქონლის/მომსახურების ღირებულება იზრდება მისი მომხმარებლების რაოდენობის ზრდის პროპორციულად.[50]

როგორც მასშტაბისა და მოცულობის ეკონომია, ისე ქსელური ეფექტი, დანახარჯების (და შესაბამისად, საბაზრო ფასის) შემცირების ერთ-ერთი საშუალებაა. შესაბამისად, კონკურენციის სამართალი/პოლიტიკა განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება ისეთ სიტუაციებს, როდესაც საბაზრო ძალაუფლება მოპოვებულია ამ უკანასკნელთა არსებობის შედეგად.[51]

ცხადია, ზემოთ განხილული ცნებები არ წარმოადგენს კონკურენციის სამართლისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ტერმინების ამომწურავ ჩამონათვალს. [52] თუმცა, მათი ცოდნა საკმარისია სხვადასხვა საბაზრო სიტუაციის შედარებისა და იმის გაგებისათვის, თუ რატომ ენიჭება კონკურენტულ ბაზრებს უპირატესობა ნაკლებკონკურენტულ ან არაკონკურენტულ ბაზრებთან შედარებით.

2.2. სრულყოფილი კონკურენცია და მონოპოლია - შედარება

ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის პირობებში წარმოშობილი პრობლემების სპეციფიკა ყველაზე ადვილი ასახსნელია ორი თეორიული უკიდურესობის შედარებით, რომელთაგან ერთ-ერთი გულისხმობს ბაზრის ფუნქციონირებას სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, ხოლო მეორე საერთოდ გამორიცხავს კონკურენციის არსებობას (მონოპოლია).

---

[49] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 9th ed., Oxford University Press, 2018, p. 10.

[50] იქვე, p. 11; ქსელური ეფექტების კონკურენციის ხელშემწყობი და შემზღუდველი ეფექტების სრულყოფილი განხილვისათვის, იხ.: Motta, Massimo, *Competition Policy: Theory and Practice*, Cambridge University Press, 2004, pp. 82-89.

[51] იხ. ქვეთავი 4.3.გ. „რიგი ბაზრების სპეციფიკა".

[52] **ავტორის შენიშვნა:** რიგი რელევანტური ტერმინების განმარტება მოცემული იქნება როგორც ამ თავის სხვა ქვეთავებში, ისე მომდევნო თავებში, შესაბამისი საკითხების ანალიზისას.

ა) სრულყოფილი კონკურენცია

როგორც ზემოთ აღინიშნა, სრულყოფილი კონკურენცია ბაზრის ისეთი თეორიული მდგომარეობაა, როდესაც არცერთ კონკურენტს არა აქვს საბაზრო ძალაუფლება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბაზრის მახასიათებლებიდან გამომდინარე, საქონლის ვერც ერთი მიმწოდებელი ზეგავლენას ვერ ახდენს საბაზრო ფასის დადგენის პროცესზე - ფასს სრულად განსაზღვრავს საბაზრო მექანიზმი.[53]

სრულყოფილი კონკურენციის არსებობისათვის უნდა კმაყოფილდებოდეს რიგი პირობები. კერძოდ, ბაზარზე უნდა არსებობდეს:

- მიმწოდებელთა და მომხმარებელთა უსასრულო რაოდენობა;
- ერთგვაროვანი საქონელი;
- მაქსიმალური საინფორმაციო გამჭვირვალობა - ე.ი. ბაზართან დაკავშირებული ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობა;
- უდანახარჯოდ შესვლის/გასვლის გარანტია - ანუ არ უნდა არსებობდეს ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გასვლის ბარიერები.[54]

სრულყოფილი კონკურენციის პირობებში მიიღწევა **ეკონომიკური ეფექტიანობა (ან უბრალოდ ეფექტიანობა)** - მდგომარეობა, როდესაც ხდება საზოგადოებაში არსებული შეზღუდული რესურსების ყველაზე ოპტიმალური გამოყენება.[55] შედეგად, სრულყოფილი კონკურენციის პირობებში (ეფექტიანობის ზრდის საფუძველზე), იზრდება საზოგადოების ეკონომიკური

---

[53] Pindyck, Robert S. and Rubinfeld, Daniel L., *Microeconomics*, 6th ed., Pearson Education International, 2005, pp. 261-262.

[54] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 9th ed., Oxford University Press, 2018, p. 8. ავტორის შენიშვნა: ბაზარზე შესვლის ბარიერებთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი II („შესაბამისი ბაზარი").

[55] Pindyck, Robert S. and Rubinfeld, Daniel L., *Microeconomics*, 6th ed., Pearson Education International, 2005, pp. 590; მენქიუ, გრეგორი, *ეკონომიკის პრინციპები*, გამომცემლობა „დიოგენე", 2000, გვ. 191.

კეთილდღეობა. [56] განასხვავებენ: განაწილების, წარმოებისა და დინამიკურ ეფექტიანობას.

განაწილების ეფექტიანობა ➡ სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, საზოგადოებაში რესურსები ისე გადანაწილდება, რომ შეუძლებელია ერთი პირის (მიმწოდებლისა თუ მომხმარებლის) ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სულ მცირე ერთი სხვა პირის მდგომარეობის გაუარესების გარეშე. განაწილებითი ეფექტიანობა გულისხმობს, რომ საქონელი იწარმოება ზუსტად მომხმარებლისთვის საჭირო რაოდენობით (ანუ სახეზე არ არის ჭარბი ან შემცირებული წარმოება), ხოლო საბაზრო ფასი უტოლდება საქონლის წარმოების ზღვრულ დანახარჯს.[57]

წარმოების ეფექტიანობა ➡ სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, მიმწოდებლები ბაზარზე დარჩენისათვის იძულებულნი არიან აწარმოონ საქონელი უმცირესი შესაძლო დანახარჯებით, [58] მათ შორის, მასშტაბისა და მოცულობის ეკონომიის ხარჯზე. შედეგად, წარმოებაზე იხარჯება რესურსების უმცირესი ნაწილი.

დინამიკური ეფექტიანობა ➡ განაწილებისა და წარმოების ეფექტიანობა ბაზრის მდგომარეობას მხოლოდ სტატიკურად - ე.ი. დროის კონკრეტულ მონაკვეთში - აღწერს. შედარებისთვის, დინამიკური ეფექტიანობა სახეზეა, როდესაც ბაზარზე არსებობს ინოვაციისა თუ ტექნიკური პროგრესის მაქსიმალური

---

[56] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 9th ed., Oxford University Press, 2018, p. 5.
[57] იქვე.
[58] იქვე. გვ. 6.

შესაძლო დონე. სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, ბაზრის ყველა მონაწილეს აქვს ინოვაციის მოტივაცია, რადგან ეს უკანასკნელი იძლევა მომხმარებლისთვის სიახლის შეთავაზების გზით საბაზრო ძალაუფლების მოპოვების საშუალებას. [59] ამავდროულად, მსგავსი მოტივაციის საყოველთაობა გულისხმობს, რომ ხსენებული ძალაუფლების ხელში ჩაგდება ვერ ხერხდება. ეს კი, თავის მხრივ, ბაზრის ეკონომიკურ ეფექტიანობას ინარჩუნებს გრძელვადიან პერსპეტივაში.[60]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულყოფილი კონკურენციის შედეგია ყველაზე დაბალი საბაზრო ფასი, მომხმარებლისთვის საჭირო რაოდენობით წარმოებული საქონელი და მაქსიმალური ინოვაცია. შედეგად, იზრდება როგორც მომხმარებლის, ისე მთლიანი დანაზოგი და უმჯობესდება ეკონომიკური კეთილდღეობა. [61] სწორედ ამიტომ, კონკურენტულ ბაზრებს საერთო ეკონომიკური ფონის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებად მიიჩნევენ.

ბ) მონოპოლია

სრულყოფილი კონკურენციისგან განსხვავებით, მონოპოლიური ბაზრის პირობებში ბაზარზე არსებობს მხოლოდ ერთი მიმწოდებელი. [62] ხსენებულ მიმწოდებელს გააჩნია აბსოლუტური საბაზრო ძალაუფლება. ეს მას საშუალებას აძლევს

---

[59] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 9th ed., Oxford University Press, 2018, p. 6-7.

[60] საბაზრო ეკონომიკისთვის დინამიკური კონკურენციის (კონკრეტულად, ინოვაციის) მნიშვნელობასთან დაკავშირებით, დაწვრილებით იხ.: Schumpeter, Joseph, *Capitalism, Socialism and Democracy*, Taylor & Francis, 1976; კრიტიკული ანალიზისთვის ასევე იხ.: Tirole, Jean, The Theory of Industrial Organization, The MIT Press, 2013, pp. 389-422; Scherer, F.M., *Industrial Market Structure and Economic Performance*, 2nd ed. Houghton Mifflin Company, 1980, pp. 407-438.

[61] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 9th ed., Oxford University Press, 2018, p. 5.

[62] Pindyck, Robert S. and Rubinfeld, Daniel L., *Microeconomics*, 6th ed., Pearson Education International, 2005, pp. 339-340; მენქიუ, გრეგორი, *ეკონომიკის პრინციპები*, გამომცემლობა „დიოგენე", 2000, გვ. 407.

დაადგინოს საბაზრო ურთიერთობის ყველა ის პარამეტრი (მაგალითად, საქონლის ფასი, ხარისხი, ინოვაციის დონე და სხვ.), რომლებიც სრულყოფილი კონკურენციის პირობებში საბაზრო მექანიზმის მოქმედების შედეგად დგინდება.[63]

ეკონომისტთა დაკვირვებით, ზემოთ მოცემული საბაზრო ძალაუფლების არსებობა იწვევს ეკონომიკური ეფექტიანობის შემცირებას (ე.წ. ეკონომიკურ არაეფექტიანობას - economic inneficiency). ეფექტიანობის კონკრეტულ სახეებთან მიმართებაში, ეს შემცირება განპირობებულია შემდეგით:

განაწილების არაეფექტიანობა[64] ➡ მონოპოლისტი საბაზრო ფასსა და მიწოდების რაოდენობას იმგვარად განსაზღვრავს, რომ მიიღოს მაქსიმალური სარგებელი.[65] შედეგად:

- საქონელი იწარმოება არა მომხმარებლისთვის სასურველი, არამედ მონოპოლისტისთვის ხელსაყრელი რაოდენობით;
- მონოპოლისტის მიერ განსაზღვრული ფასი აღემატება კონკურენციის პირობებში ბაზრის მიერ დადგენილ ფასს.

მსგავს პირობებში, რესურსები გროვდება მონოპოლიის ხელში. ამავდროულად, მომხმარებელთა ნაწილი ვეღარ იძენს სასურველ საქონელს. ეს ყველაფერი კი ნიშნავს, რომ რესურსები ოპტიმალურად აღარაა გადანაწილებული.

---

[63] დაწვრილებით იხ.: Pindyck, Robert S. and Rubinfeld, Daniel L., *Microeconomics*, 6th ed., Pearson Education International, 2005, pp. 340-347; ასევე იხ. მენჭიუ, გრეგორი, *ეკონომიკის პრინციპები*, გამომცემლობა „დიოგენე", 2000, გვ. 412; Tirole, Jean, The Theory of Industrial Organization, The MIT Press, 2013, pp. 62-79.

[64] დაწვრილებით იხ.: Motta, Massimo, *Competition Policy: Theory and Practice*, Cambridge University Press, 2004, pp. 40-45.

[65] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 9th ed., Oxford University Press, 2018, p. 7.

წარმოების არაეფექტიანობა ➡ კონკურენციის არარსებობის პირობებში, მონოპოლია იძულებული აღარაა, მუდმივად ეძებოს წარმოების დანახარჯების შემცირების გზები, რადგან აღარ არსებობს საწარმოო რესურსების ეფექტიანად ხარჯვის საჭიროება. [67] შედეგად, წარმოებაზე იხარჯება რესურსების ოპტიმალურზე მეტი რაოდენობა.[68]

დინამიკური არაეფექტიანობა ➡ ანალოგიურად, კონკურენტული წნეხის არარსებობის პირობებში, მონოპოლისტს აღარ აქვს მუდმივი ინოვაციის მოტივაცია, რადგან მას არ სჭირდება ამ გზით კონკურენტული უპირატესობის მოპოვება. [69] შედეგად, საქონლის ფასის ზრდის პარალელურად, არ უმჯობესდება ხარისხი და იკლებს ინოვაციის დონე.

---

[66] დაწვრილებით იხ.: Motta, Massimo, *Competition Policy: Theory and Practice*, Cambridge University Press, 2004, 45-55.

[67] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 9th ed., Oxford University Press, 2018, pp. 7-8.

[68] იქვე.

[69] ავტორის შენიშვნა: ამავდროულად, ინოვაცია რიგ შემთხვევებში მხოლოდ მონოპოლიური ძალაუფლების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი, რადგან კონკურენცია დანახარჯების მუდმივ შემცირებას გულისხმობს, ხოლო ინოვაცია მაღალი დანახარჯების გამომწვევი პროცესია. შესაბამისად, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კონკურენციის მაღალმა დონემ შესაძლოა ავნოს კიდეც ინოვაციას მაშინ, როდესაც მონოპოლიის მინიჭებით კომპანიებს უჩნდებათ სიახლის ძიების სურვილი (რადგან კონკურენციის არარსებობის პირობებში ეს უკანასკნელი გაზრდილ შემოსავალთან ასოცირდება). სწორედ აღნიშნული ანალიზია პატენტების (ისევე როგორც გარკვეული საქონლის წარმოებისა და მიწოდების ექსკლუზიური უფლების ყველა სხვა კატეგორიის) არსებობის ერთ-ერთი გამამართლებელი არგუმენტი. დაწვრილებით იხ.: Motta, Massimo, *Competition Policy: Theory and Practice*, Cambridge University Press, 2004, pp. 55-64. ხსენებული ნაწილობრივ დასტურდება ემპირიული ანალიზითაც. იხ.: Greenhalgh, Christine, and Rogers, Mark, "The Value of Innovation: The Interaction of Competition, RD and IP", Research Policy, Vol. 35(4), 2006, pp. 562-580.

ეფექტიანობის ზემოთ აღწერილ შემცირებას აქვს კიდევ ერთი უარყოფითი შედეგი. კერძოდ, მონოპოლიის პირობებში წარმოების დანახარჯების გაზრდის გამო, მომხმარებლის მიერ საქონლის ფასის გადახდის შედეგად მონოპოლისტის ხელში აღმოჩენილი რესურსების საკმაო ნაწილი იკარგება სწორედ ამ არაეფექტიან წარმოებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზიანი ადგება ეკონომიკურ კეთილდღეობას, რადგან მწარმოებლის დანაზოგი ვეღარ იზრდება მომხმარებლის დანაზოგის კლების პროპორციულად. ამ სიტუაციას კეთილდღეობის აუნაზღაურებელი დანაკარგი (deadweight loss) ეწოდება.[70]

შეჯამებისთვის, მონოპოლია მავნებელია, რადგან ის იწვევს თავისუფალი კონკურენციის საპირისპირო შედეგებს - ოპტიმალურზე გაცილებით მაღალ ფასებს, გაუარესებულ ხარისხს, ინოვაციის ნაკლებობას და ა.შ. შედეგად, ზარალდება როგორც მომხმარებელი, ისე მთლიანად ეკონომიკა (კეთილდღეობის აუნაზღაურებელი დანაკარგის სახით). სწორედ ამიტომ ენიჭება კონკურენტულ ბაზარს უპირატესობა მონოპოლისტურთან შედარებით.

2.3. კონკურენცია და საბაზრო მექანიზმის თვითრეგულირებადი ბუნება პრაქტიკაში: რატომ გვჭირდება კონკურენციის სამართალი/პოლიტიკა?

სრულყოფილი კონკურენციისა და მონოპოლიის მოდელების შედარება სასარგებლოა თავისუფალი საბაზრო კონკურენციის უპირატესობის აღქმისთვის. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ ეს უკანასკნელნი ბაზრის ორი ურთიერთსაპირისპირო უკიდურესობის მაჩვენებელი თეორიული მოდელია. რეალურად, თავისუფალ ბაზარზე ყოველთვის არსებობს ამა თუ იმ დონის კონკურენცია, ხოლო ბაზრის ყოველი მონაწილე ფლობს გარკვეულ საბაზრო ძალაუფლებას.[71]

---

[70] Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases and Materials*, 6th ed., Oxford University Press, 2016, pp. 8-9.

[71] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 9th ed., Oxford University Press, 2018, p. 9.

ამ მხრივ, პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ საბაზრო ძალაუფლების მოპოვება შეიძლება ჯანსაღი კონკურენციის პირობებშიც. როგორც კონკურენციის სამართლის სპეციალისტები ამბობენ: „შეჯიბრი არსებობს იმისთვის, რომ ის მოიგონ". [72] ეს ნიშნავს, რომ ბაზარზე, სადაც ყველა მონაწილე კონკურენტებზე მეტი მომხმარებლის მოზიდვისა და მოგების ნახვისკენ მიისწრაფის, ნებისმიერმა მათგანმა უპირატესობა შესაძლოა მოიპოვოს საკუთარი ეფექტიანობის გაზრდის (მაგალითად, წარმოების დანახარჯების შემცირების გზის პოვნის ან ინოვაციის) საფუძველზე. თავისთავად, მსგავს უპირატესობას მოსდევს საბაზრო ძალაუფლების ზრდაც. ეს კონკურენციის პირობებში ბუნებრივი მოვლენაა და პრობლემურად არ აღიქმება სამართლებრივი კუთხითაც - კანონი „პატიოსან" გამარჯვებულებს არ სჯის.[73]

ამავდროულად, ზემოაღნიშნული სიტუაციისგან უნდა განვასხვაოთ შემთხვევების ორი კატეგორია: (1) საბაზრო ძალაუფლების კონკურენციის შემზღუდველი ხერხებით მოპოვება; (2) ხსენებული ძალაუფლების კონკურენციის შესაზღუდად ან/და მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ გამოყენება. ორივე შემთხვევაში, ძალაუფლება არ უკავშირდება თვითგაუმჯობესებას და ასოცირდება კონკურენტების ან/და მომხმარებლებისათვის ზიანის მიყენებასთან. კონკურენციის სამართალი/პოლიტიკა მიმართულია სწორედ აღნიშნულის წინააღმდეგ.

სამართლის/პოლიტიკის ზემოხსენებული დარგის არსებობის საჭიროებას განაპირობებს საბაზრო მექანიზმის თვითრეგულირებადი ბუნების შეზღუდული ხასიათი. განსხვავებით სრულყოფილი კონკურენციის თეორიული მოდელისა, რომლის მიხედვითაც ბაზრის მექანიზმი ყოველთვის გამართულად ფუნქციონირებს, პრაქტიკაში ამ მექანიზმს პრობლემები შეიძლება შეექმნას რამდენიმე მიზეზით, კერძოდ: (1)

---

[72] იგივე. გვ. 15.

[73] იხ. *US v Aluminum Co of America, 148* F 2d 416 (2nd Cir 1945) – "...single producer may be the survivor out of a group of active companies, merely by virtue of his superior skills, foresight and industry...The successful competitor, having been urged to compete, must not be turned upon when he wins."

სახელმწიფო ჩარევის შედეგად, (2) ბაზრის მონაწილეთა ქმედებების შედეგად და (3) თავად ბაზრის ბუნებიდან გამომდინარე. განვიხილოთ ხსენებული შემთხვევები ცალ-ცალკე.

ა) სახელმწიფო ჩარევა[74]

სახელმწიფოს ბაზარზე ზემოქმედების მრავალი მექანიზმი გააჩნია. მაგალითად, მას შეუძლია გაზარდოს ან შეამციროს მწარმოებელთა გადასახადები, დააწესოს სხვადასხვა სახის (შრომის უსაფრთხოების, საქონლის ხარისხთან დაკავშირებული, მშენებლობის და სხვ.) სტანდარტები, გარკვეულ ბაზარზე საქმიანობა დაუქვემდებაროს სახელმწიფო ლიცენზირებას და ა.შ. მსგავს შემთხვევებში, მწარმოებლებს/მიმწოდებლებს ეცვლებათ გასაწევი დანახარჯების ოდენობა - ამან კი, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს ფასების ცვლილება და მოთხოვნისა და მიწოდების არსებული ბალანსის შესაბამისი გადათამაშებაც. ამავდროულად, ჩარევამ შესაძლოა გამოიწვიოს საბაზრო ძალაუფლების ერთი ან რამდენიმე პირის ხელში თავმოყრაც. სწორედ მსგავსი ჩარევებია კონკურენციის სამართლის განხილვის საგანი.

როგორც წესი, კონკურენციის სამართლისათვის მიუღებელია სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული პირისთვის ან პირთა ჯგუფისათვის საბაზრო ძალაუფლების ისეთი გადაცემა (ან არსებული ძალაუფლების ისეთი შენარჩუნება), რომელიც არა აქვს ობიექტური გამართლება ან/და არ არის განხორციელებული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე. ობიექტური გამართლება შეიძლება იყოს, მაგალითად, შესაბამისი სახელმწიფო ინტერესის არსებობა. ობიექტური კრიტერიუმების არსებობა კი გულისხმობს, რომ სახელმწიფო ჩარევა მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალებაა, სახეზე არაა სუბიექტური (არასამართლიანი) მიდგომა ძალაუფლების გადაცემისას და ა.შ.

[74] **ავტორის შენიშვნა:** კონკურენციის სამართლისა და სახელმწიფო ორგანოების ურთიერთობა დაწვრილებითაა განხილული მე-7 თავში („კონკურენციის სამართლის მოქმედება სახელმწიფო ორგანოების მიმართ").

აღსანიშნავია, რომ არსებობს ერთი შეხედვით კონკურენციის შემზღუდველი ჩარევებიც, რომლებსაც გრძელვადიან პერსპექტივაში კონკურენციის წამახალისებელი ეფექტი აქვთ. მაგალითად, კონკრეტული ფირმისთვის გარკვეულ გამოგონებაზე პატენტის მინიჭებით ხდება მისთვის სამართლებრივი მონოპოლიის შექმნა. ამავდროულად, მსგავსი ქმედება გამართლებულია, რადგან გამოგონებათა დაპატენტება და მათი მეშვეობით მონოპოლიური შემოსავლის მიღება მთელ რიგ ინდუსტრიებში კვლევისა და განვითარების (ანუ დინამიკური ეფექტიანობის) შენარჩუნების საფუძველია.[75] ამასთან, პატენტები, როგორც წესი, შეზღუდული დროით გაიცემა - ეს კი გულისხმობს, რომ მინიჭებულ მონოპოლიას მუდმივი ხასიათი არა აქვს და საბოლოოდ, ბაზარი ისევ უბრუნდება კონკურენტულ მდგომარეობას. მსგავსი შემთხვევები არ წარმოადგენენ პრობლემას კონკურენციის სამართლის კუთხით, თუ ისინი სრულყოფილად რეულირდება შესაბამისი სახის (განსახილველ მაგალითში - ინტელექტუალური საკუთრების) სამართლით.

ბ) ბაზრის მონაწილეთა ქმედებები[76]

სახელმწიფოს მიერ ბაზრის მექანიზმში ზემოხსენებული სახით ჩაურევლობის შემთხვევაშიც კი, ბაზარზე არსებულმა მიმწოდებელმა ან მიმწოდებელთა ჯგუფმა შესაძლოა გადაწყვიტოს საბაზრო კონკურენციის ამა თუ იმ გზით შეფერხება (ან საერთოდ აღმოფხვრა), ან მის/მათ ქმედებებს მოჰყვეს მსგავსი შედეგი. ხსენებულ გადაწყვეტილებას მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს - მონოპოლიური მოგების მიღების სურვილი, კონკურენციისთვის ვერგაძლებისა და ბაზრიდან გავარდნის შიში, ბაზარზე მსგავსი

---

[75] ავტორის შენიშვნა: პატენტებისა და ეფექტიანობის ზრდის ურთიერთკავშირის შესახებ დაწვრილებით იხ. Scherer, F.M., *Industrial Market Structure and Economic Performance*, 2nd ed. Houghton Mifflin Company, 1980, pp. 439-458; ასევე იხ.: Tirole, Jean, The Theory of Industrial Organization, The MIT Press, 2013, pp. 389-422.

[76] ავტორის შენიშვნა: კონკურენციის შემაფერხებელი/აღმომფხვრელი ქმედებების სახეები და კონკურენციის სამართლის მათდამი დამოკიდებულება დაწვრილებით განხილულია წიგნის მე-3 („კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები"), მე-5 („დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება") და მე-6 („კონცენტრაციების კონტროლი") თავებში.

თანამშრომლობის ხანგრძლივი ტრადიცია და ა.შ. ნებისმიერ შემთხვევაში, კონკურენციის სამართლისათვის მიუღებელია ბაზრის მონაწილეების მხრიდან კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების განხორციელება.

გ) რიგი ბაზრების სპეციფიკა

საბოლოოდ, სახელმწიფოსა და ბაზრის მონაწილეთა მხრიდან კონკურენციის შეუზღუდველობის შემთხვევაშიც კი, რიგ ბაზრებზე კონკურენციას მაინც არ მოაქვს მასთან სტანდარტულად ასოცირებული დადებითი შედეგები. ხსენებულ სიტუაციას (ანუ მდგომარეობას, როდესაც ბაზრის მექანიზმი ვერ ახერხებს რესურსების ეფექტიანად განაწილებას) ეკონომიკაში ბაზრის ჩავარდნას უწოდებენ.[77]

ბაზრის ჩავარდნის სახეებიდან [78] ამ ეტაპზე მხოლოდ ბუნებრივ მონოპოლიას შევეხებით, რათა განვასხვაოთ ეს უკანასკნელი წინა ქვეთავებში განმარტებული მონოპოლიის ცნებისგან. ბუნებრივი მონოპოლია ბაზრის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ბაზარზე ოპერირებისათვის საჭირო მასშტაბისა და მოცულობის ეკონომიის დონე არ იძლევა ერთზე მეტი მიმწოდებლის არსებობის შესაძლებლობას. შედეგად, მონოპოლია აღიქმება არა როგორც ბაზრის მექანიზმის შეფერხების შედეგად მიღწეული, არამედ როგორც ხსენებული ბაზრის ბუნებრივი მდგომარეობა. [79] შესაბამისად, რიგი ბაზრების სპეციფიკიდან გამომდინარე, მასზე კონკურენტების რაოდენობის გაზრდა მიზანშეწონილი არ არის.

ბუნებრივი მონოპოლიები არსებობენ მთელ რიგ ისეთ ინდუსტრიებში, სადაც ბაზარზე შესვლის ფიქსირებული დანახარჯები ძალიან მაღალია. ასეთებია, მაგალითად,

---

[77] მენქიუ, გრეგორი, *ეკონომიკის პრინციპები*, გამომცემლობა „დიოგენე", 2000, გვ. 196-197.

[78] **ავტორის შენიშვნა:** ეკონომიკაში განასხვავებენ ბაზრის ჩავარდნის სულ ოთხ სახეს: ინფორმაციულ ასიმეტრიას, საჯარო საქონელს (public goods), გარეგან ეფექტებსა და მონოპოლიას.

[79] ბუნებრივი მონოპოლიის სპეციფიკასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ.: Sharkey, William, *The Theory of Natural Monopoly*, Cambridge University Press, 1982.

კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, სარკინიგზო და მსგავსი ბაზრები.

ბუნებრივი მონოპოლიების პრობლემის გადასაჭრელად (ანუ, იმის გარანტირებისთვის, რომ მათ არსებობას არ მოჰყვება მონოპოლიასთან საზოგადოდ ასოცირებული უარყოფითი შედეგები), სახელმწიფოს აქვს რამდენიმე საშუალება: (1) მსგავსი მონოპოლიის სახელმწიფო მფლობელობაში მოქცევა; (2) მათი რეგულირება განცალკევებული მარეგულირებელი ორგანოების მეშვეობით და კონკრეტული ბუნებრივი მონოპოლიის სპეციფიკის მიხედვით შემუშავებული კანონმდებლობით (მაგალითად, კომუნიკაციების ან ენერგეტიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა); (3) გარკვეული პერიოდულობით კონკურსების გამოცხადება, რომელში გამარჯვებულ პირსაც დაევალება ბუნებრივი მონოპოლიის დროებითი მართვა.[80] ამავდროულად, მათი სპეციფიკურად რეგულირების საჭიროების გამო, როგორც წესი, კონკურენციის სამართალი ბუნებრივ მონოპოლიებთან მიმართებით არა წამყვან, არამედ დამხმარე როლს ასრულებს.

2.4. კონკურენციის სამართლის/პოლიტიკის რეგულირების საგანი[81]

როგორც ზემოთ ვნახეთ, ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა შესაძლოა გამოიწვიოს როგორც სახელმწიფო ჩარევამ, ისე ბაზარზე არსებული სუბიექტის/სუბიექტების ქცევამ და ბაზრის სპეციფიკამ. სახელმწიფო ჩარევებისა და კონკურენციის შემზღუდველი ქცევების გამოვლენა-აღკვეთის მიზნით, იურისდიქციათა უმრავლესობაში, კონკურენციის სამართლით რეგულირდება:

- კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები - მსგავს შეთანხმებებს შესაძლოა ჰქონდეს კონკურენციის შეზღუდვის მიზანი ან შედეგი. ისინი აკრძალულია კონკურენციის კანონმდებლობით (იხ. თავი III), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი არსებობა გამართლებულია გარკვეული ობიექტური გარემოებებით (იხ. თავი IV).

---

[80] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 9th ed., Oxford University Press, 2018, p. 11.
[81] იგივე, გვ. 3-4.

- **დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება** - კანონმდებლობით ასევე იკრძალება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე (ე.ი. დომინანტი) ბაზრის მოთამაშის მიერ ხსენებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენება მომხმარებელთა საზიანოდ - როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი, კონკურენტების ბაზრიდან განდევნის, გზით (იხ. თავი V).
- **კონცენტრაციები** - როგორც წესი, კანონმდებლობით წესდება კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც საბაზრო ძალაუფლების აკუმულირება (ანუ, კონცენტრაცია) ექვემდებარება მარეგულირებლისადმი სავალდებულო შეტყობინებას. ეს დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი საგამოძიებო პროცედურების დასრულების შემდგომ, იმის დადგენის შემთხვევაში, რომ კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას (იხ. თავი VI).
- **კონკურენციის შეზღუდვა სახელმწიფოს მხრიდან** - ხსენებულ შეზღუდვას მრავალნაირი სახე შეიძლება ჰქონდეს: მაგალითად, კონკურენციის საზიანო საკანონმდებლო ცვლილებები, სახელმწიფო დახმარების არასწორად გაცემა, ადმინისტრაციული ქმედებებით კონკურენციის შეზღუდვა და ა.შ. (იხ. თავი VII). ასეთ შემთხვევებში, კანონმდებლობის მიზანია მსგავსი შეზღუდვების თავიდან არიდება როგორც წინასწარი კონტროლის, ისე შეზღუდვის დადგომის შემდგომ შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის გზით.

რაც შეეხება ბაზრის სპეციფიკით გამოწვეულ შეზღუდვებს (მაგალითად, ბუნებრივ მონოპოლიებს), როგორც აღინიშნა, მათ ძირითადად არეგულირებს სპეციალური კანონმდებლობა და ნაკლებად - კონკურენციის სამართალი. აქედან გამომდინარე, მსგავსი რეგულირების საკითხი ამ ნაშრომში დაწვრილებით განხილული არ იქნება. თუმცა, ინფორმაცია სპეციფიკური რეგულირების საჭიროების შესახებ მხედველობაშია მისაღები კონკურენციის სამართლის რიგი დარღვევების განხილვისას, რასაც შესაბამის თავებში შევეხებით.

3. ისტორია

კონკურენციის შემზღუდველი ცალკეული ქმედებების რეგულირების მაგალითებს ჯერ კიდევ ანტიკურ რომში ვხვდებით, [82] რომ არაფერი ვთქვათ ამ მიმართულებით შუა საუკუნეების დიდ ბრიტანეთში მიმდინარე საკმაოდ საინტერესო საკანონმდებლო პროცესებსა და სასამართლო პრაქტიკაზე. [83] თუმცა, ამ მიმართულებით სისტემური მიდგომების ჩამოყალიბება მხოლოდ მე-18 საუკუნის ბოლოს დაიწყო, ლიბერალიზმის (როგორც კერძო თავისუფლების დამცავი პოლიტიკური მიმდინარეობის) ჩამოყალიბების პარალელურად [84] და საბაზრო კაპიტალიზმის განვითარების შედეგად წარმოშობილი გამოწვევების საპასუხოდ.[85]

უფრო კონკრეტულად, ამ პერიოდში, ინდუსტრიულმა წარმოებამ და ვაჭრობამ სოფლის მეურნეობას ნელ-ნელა ჩამოართვა ეკონომიკის მამოძრავებელი ძალის სტატუსი, [86] ხოლო ლიბერალიზმის გავრცელებამ დღის წესრიგში დააყენა ეკონომიკური თავისუფლების - ანუ მეწარმეთა/კომერსანტთა სახელმწიფო რეგულირების წნეხისგან დახსნის - საკითხი.[87] ევროპა ხსენებულ ცვლილებებს პროფესიული გილდიებისა და სახელმწიფოს მიერ მინიჭებული ექსკლუზიური სავაჭრო

---

[82] ფეტელავა, სლავა, „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში", გამომცემლობა „ლოი",2007, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6152/1/Fetelava_Slava.pdf, გვ. 14-15.

[83] ავტორის შენიშვნა: საკანონმდებლო კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია 1624 წლის მონოპოლიების სტატუტი (აქტის სრული სახელია - An Act Concerning Monopolies and Dispensations with Penall Lawes and the Forfeyture thereof, 21 Jac 1 c 3, 29 May 1624), რომელმაც მნიშვნელოვნად შეზღუდა მონარქის მიერ გარკვეულ სფეროებში ექსკლუზიური უფლებების (მონოპოლიების) მინიჭების უფლება. სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვისთვის იხ.: Letwin, William L., „The English Common Law Concerning Monopolies", The University of Chicago Law Review, Vol. 21(3), 1954, pp. 355-385, ხელმისაწვდომია ჩიკაგოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ვებგვერდზე https://chicagounbound.uchicago.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.com/&httpsredir=1&article=2832&context=uclrev.

[84] იხ. Gerber, David J., *Law and Competition in Twentieth Century Europe: Protecting Prometheus*, Clarendon Press Oxford, 1998, pp. 17-18.

[85] Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013, p. 5.

[86] ავტორის შენიშვნა: ეს განსაკუთრებით ევროპას ეხება. იხ. იგივე, გვ. 5-6.

[87] იხ. Gerber, David J., *Law and Competition in Twentieth Century Europe: Protecting Prometheus*, Clarendon Press Oxford, 1998, pp. 18-19.

უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის არსებობის პირობებში შეხვდა - ეს უკანასკნელნი ჯერ კიდევ მიიჩნეოდა მეწარმეთა სტაბილურობის გარანტად და ეროვნული დოვლათის ზრდის ყველაზე ოპტიმალურ საშუალებად.[88] თუმცა, სულ მალე აშკარა გახდა მათი უარყოფითი როლი ინდუსტრიისა და ვაჭრობის განვითარებაში.[89]

შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ხსენებული სოციო-ეკონომიკური ცვლილების მხედველობაში მიმღები სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების საჭიროება. სწორედ ამ ახალი რეალობის სამეცნიერო შესწავლითა და მისი ეფექტიანი მართვისთვის საჭირო რეკომენდაციებზე მსჯელობით ჩაეყარა საფუძველი კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის განვითარებას.

თუმცა, ზემოხსენებული განვითარების პროცესი ყველგან ერთგვაროვნად არ წარმართულა. ამის მიზეზი კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის სახელმწიფოთა ეკონომიკურ განვითარებასთან მჭიდრო კავშირია. შედეგად, ეროვნული ეკონომიკური რეალობა და მის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პოლიტიკური ხედვები ყოველთვის დიდ ზეგავლენას ახდენდა კონკრეტულ იურისდიქციაში კონკურენციის პოლიტიკის მიმართ არსებულ დამოკიდებულებებსა და ხსენებული პოლიტიკის მიმართულებებზე. ამავდროულად, ვითარდებოდა ეკონომიკური და სამართლებრივი თეორიაც, რომელსაც არანაკლები წვლილი შეჰქონდა ზემოაღნიშნულ პროცესში. ეს განვითარება მოკლედ მიმოხილულია ქვემოთ.[90]

---

[88] იქვე. ავტორის შენიშვნა: გილდიები ეწოდებოდა შუა საუკუნეებში მცირე მეწარმეთა და ვაჭართა გაერთიანებებს, რომლებიც სხვა საკითხებსთან ერთად ადგენდნენ მასში შემავალი პირების საქმიანობის კონკრეტულ წესებს. ამ მხრივ, ისინი ხშირად შეიცავდნენ (თანამედროვე გაგებით) კარტელის ელემენტებს. დაწვრილებით იხ. Pollard, Sidney, *Peaceful Conqest: The Industrialization of Europe 1760-1970*, Oxford University Press, 1981, pp. 59-62.

[89] ოგივე. გვ. 18-21.

[90] ავტორის შენიშვნა: კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის ხანგრძლივი ისტორიიდან გამომდინარე, ამ თავში მხოლოდ განვითარების ძირითად ეტაპებს შევეხებით. დაწვრილებით იხ.: Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013; Patel, Kiran Klaus and Schweitzer, Heike, *The Historical Foundations of EU Competition Law*, Oxford University Press, 2013; Rompuy, Ben Van, *Economic efficiency: the sole concern of modern antitrust policy? Non-efficiency considerations under Article 101 TFEU*, Kluwer Law International, 2012; Weitbrecht, Andreas, "From Freiburg to Chicago and beyond - the first 50 years of European Competition law", European

3.1. XIX საუკუნის პირველი ნახევარი - საწყისები

ა) დიდი ბრიტანეთი - კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის სკოლა

საბაზრო ეკონომიკის არსთან და მის ეფექტიან რეგულირებასთან დაკავშირებით სისტემური მსჯელობა 1776 წლიდან დაიწყო, ადამ სმიტის[91] ნაშრომით „ერთა სიმდიდრე".[92] ხსენებულ ნაშრომში პირველად მოხდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის იდეის სრულყოფილად ახსნა და ჩამოყალიბდა კონკურენციის პოლიტიკის საწყისი კონცეფციები.[93] ნაშრომში მოცემული მსჯელობა განავრცო და შეავსო XIX საუკუნის არაერთმა ბრიტანელმა მოღვაწემ.[94] აღნიშნულ პროცესში, საფუძველი ჩაეყარა ე.წ. „კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის" სკოლას.[95]

„კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის" სკოლის წარმომადგენლების (ე.წ. „კლასიკოსების") მიზანი იყო არსებული სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შესწავლა და მის ახალ რეალობაზე მოსარგებად შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.[96] მათ ნაშრომებს განსაკუთრებით აერთიანებს უარყოფითი დამოკიდებულება მონოპოლიების მიმართ და რწმენა

Competition Law Review , Vol 29(2), 2008, pp. 81-88; Neumann, Manfred, *Competition Policy: History, Theory and Practice*, Edward Eglar, 2001; Wesseling, Rein, *The Modernisation of EC Antitrust Law*, Hart Publishing, 2000; Gerber, David J., *Law and Competition in Twentieth Century Europe: Protecting Prometheus*, Clarendon Press Oxford, 1998; Amato, Giuliano, *Antitrust and the bounds of power: the dilemma of liberal democracy in the history of the market*, Hart Publishing, 1997; Peritz, Rudolph J., *Competition Policy in America, 1888-1992: History, Rhetoric, Law*, Oxford University Press, 1996.

[91] შოტლანდიელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი (1723-1790), შოტლანდიის საგანმანათლებლო მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ითვლება თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერებების ფუძემდებლად - https://www.investopedia.com/updates/adam-smith-economics/.

[92] ავტორის შენიშვნა: აღნიშნული ნაშრომის სრული დასახელებაა „კვლევა ერთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" (An inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations).

[93] Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013, pp. 5-6.

[94] ავტორის შენიშვნა: ბრიტანეთში, ხსენებული სკოლის მთავარ წარმომადგენლებად ითვლებიან ადამ სმიტი (1723-1790), დევიდ რიკარდო (1772-1823), ტომას რობერტ მალთუსი (1766-1834) და ჯონ სტიუარტ მილი (1806-1873).

[95] Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013, pp. 5-6.

[96] იქვე.

იმისა, რომ ეკონომიკური განვითარება ყველაზე უკეთ შეუზღუდავი კონკურენციის საფუძველზე მიიღწევა. შედეგად, კლასიკოსები ემხრობოდნენ ბაზრის დერეგულირებას და სახელმწიფოს (ფაქტობრივად სრულ) ჩაურევლობას საბაზრო მექანიზმში.

კლასიკოსთა მიერ ჩამოყალიბებული მრავალი კონცეფცია დღემდე გამოიყენება კონკურენციის სამართალსა და პოლიტიკაში. მათ მიერ მოხდა სრულყოფილი კონკურენციის მოდელის შემუშავება და საბაზრო კონკურენციის პროცესთან დაკავშირებული ისეთი საკითხების განმარტება, როგორიცაა:

- ბაზრის მექანიზმის თვითრეგულირებადი ბუნება [97] და ხსენებული ბუნების შეზღუდული ხასიათი;[98]
- თავისუფალი კონკურენციის უპირატესობა მონოპოლიებთან შედარებით;[99]
- მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების პრინციპები;[100]
- საწარმოო დანახარჯების სიდიდე-სიმცირის გავლენა მწარმოებელთა კონკურენტუნარიანობაზე;[101]
- მასშტაბისა და მოცულობის ეკონომიის მნიშვნელობა;[102]
- დამკვიდრებული სავაჭრო ჩვეულებების (უარყოფით) ზეგავლენა კონკურენციაზე - განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც საბაზრო კონკურენცია შედარებით ახალი ფენომენია.[103]

---

[97] დაწვრილებით იხილეთ Smith, Adam, *An inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations*, digital edition, MetaLibri, 2007, Book I, Chapter VII, https://www.ibiblio.org/ml/libri/s/SmithA_WealthNations_p.pdf.

[98] Mill, John Stuart, *The Principles of Political Economy*, (First Edition in 1848), Reprinted by Batoche Books, 2001, pp. 274-281.

[99] Smith, Adam. *An inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations*, digital edition, MetaLibri, 2007, Book I, Chapter VII, https://www.ibiblio.org/ml/libri/s/SmithA_WealthNations_p.pdf.

[100] იქვე.

[101] დაწვრილებით, იხ.: Ricardo, David, *On the Principles of Political Economy and Taxation*, (First Edition in 1817), Reprinted by the Electronic Book Company Ltd, 2001, pp. 55-74.

[102] დაწვრილებით, იხ.: Mill, John Stuart, *The Principles of Political Economy*, (First Edition in 1848), Reprinted by Batoche Books, 2001, pp. 142-171.

[103] იგივე, გვ. 274-281. **ავტორის შენიშვნა:** ხსენებული ანალიზი კვლავაც რელევანტურია კონკურენციის სამართლის „ახალგაზრდა" სისტემების მქონე იურისდიქციებისათვის - მათ შორის, საქართველოსთვის.

აღსანიშნავია, რომ ტერმინი „მონოპოლია“ კლასიკოსებისთვის უმრავლეს შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ მინიჭებული ექსკლუზიური საბაზრო უფლებების მატარებელ სუბიექტს ეწოდება. ეს ლოგიკურიცაა, გამომდინარე იქიდან, რომ დაახლოებით XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე ბრიტანეთის საბაზრო სივრცე ძირითადად მცირე მეწარმეების ხელში იყო. [104] სხვაგვარად რომ ვთქვათ, კლასიკოსების პერიოდის ეკონომიკურ რეალობაში კერძო მონოპოლიები ფაქტობრივად არ არსებობდა. შესაბამისად, ვერც მოხდებოდა მსჯელობა მათ დადებით თუ უარყოფით მხარეებზე.

კლასიკური ეკონომიკური პოლიტიკის სკოლის მნიშვნელოვანი ზეგავლენის შედეგად, XIX საუკუნის 70-იანი წლებისთვის, ბრიტანეთში დიდწილად უკვე მოხსნილი იყო ვაჭრობასთან დაკავშირებული სახელმწიფო გარანტიები და შეზღუდვები. [105] თუმცა, არ მომხდარა ბაზრის რეგულირების მექანიზმის დაცვა კონკურენციის კანონმდებლობით, რადგან ამ პერიოდში სახელმწიფოს მიერ მეწარმეთა ქმედებების ნებისმიერი სახით რეგულირება ლიბერალიზმის საწინააღმდეგო მოქმედებად აღიქმებოდა და შეეწინააღმდეგებოდა კლასიკოსთა ძირითად პოსტულატებს ეკონომიკური თავისუფლების შესახებ. შედეგად, გზა გაეხსნა ინდუსტრიალიზაციის პროცესში წარმოშობილი დიდი ფირმების ხელში საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციას, რომლის შედეგებზე ზრუნვაც XIX საუკუნის მე-2 ნახევრის მოღვაწეთა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იქცა.

ბ) ამერიკის შეერთებული შტატები - სახელმწიფო მონოპოლიები, დერეგულირების პოლიტიკა და ტრასტების წარმოშობა

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, აშშ ჯერ კიდევ სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესში იყო. შედეგად, ქვეყნის მოწყობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების

---

[104] იხ. Gerber, David J., *Law and Competition in Twentieth Century Europe: Protecting Prometheus*, Clarendon Press Oxford, 1998, p. 22.

[105] იგივე, გვ. 21.

თეორიზაციის შესაძლებლობა ნაკლებად არსებობდა და ეს უკანასკნელნი პოლიტიკური დებატების საფუძველზე წყდებოდა.[106] სხვა საკითხებთან ერთად, სადავო იყო დიდ ბრიტანეთში ბაზრის მოქმედებასთან დაკავშირებით შემუშავებული ეკონომიკური თეორიების აშშ-ის რეალობისთვის გამოსადეგობასაც. [107] შესაბამისად, როდესაც ბრიტანეთში ეკონომიკის სახელმწიფო მონოპოლიებისგან გაწმენდა მიმდინარეობდა, აშშ-ში მსგავსი მონოპოლიების შემოღების ავკარგიანობა მწვავე დაპირისპირების საგანი იყო.

ხსენებულ დაპირისპირებას ჰქონდა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური საფუძველი: (1) პოლიტიკური კუთხით, დაპირისპირებას იწვევდა მონოპოლიების ფედერალურ დონეზე ჩამოყალიბების (ანუ, მეწარმეებთან მიმართებით სახელმწიფო ძალაუფლების გაძლიერების) იდეა. ამ საკითხზე განსხვავებული პოზიციები გააჩნდა იმდროინდელ ორ წამყვან პოლიტიკურ ძალას: ფედერალისტებსა [108] (ძლიერი ფედერაციის მომხრეებს) და ანტიფედერალისტებს [109] (სუსტი ფედერაციისა და ძლიერი შტატების მომხრეებს) - პირველთ სურდათ სახელმწიფო მონოპოლიების შექმნა, მეორენი კი ეწინააღმდეგებოდნენ ამას; (2) ეკონომიკური კუთხით, ახალშექმნილი აშშ-ისთვის შიდა დონეზე მთავარ პრობლემას წარმოადგენდა უზარმაზარი საწარმოო

---

[106] Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013, p. 41.

[107] იგივე, გვ. 8.

[108] ავტორის შენიშვნა: ფედერალისტების მიდგომები თავისუფალ ვაჭრობასა და კონკურენციასთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცლად აქვს აღწერილი, მაგალითად, ალექსანდრ ჰამილტონს. იხ. Hamilton Alexander, The Continentalist No. 5, 1872, http://press-pubs.uchicago.edu/founders/documents/a1_8_3_commerces1.html.

[109] ავტორის შენიშვნა: ანტიფედერალისტების (დღესდღეობით, რესპუბლიკელების) კონკურენციის სამართლისადმი დამოკიდებულება აშშ-ის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში და ხსენებული დამოკიდებულების გავლენა ანტიტრასტული სამართლის განვითარებაზე გაანალიზებულია ნაშრომში Crane, Daniel A., „Antitrust Antifederalism", California Law Review, Vol 91(1), 2008, pp. 1-62. ნაშრომის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია კალიფორნია-ბერკლის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ვებგვერდზე https://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=&httpsredir=1&article=1185&context=californialawreview.

რესურსების ეფექტიანად ათვისება,[110] ხოლო საერთაშორისო დონეზე - ვაჭრობაში უპირატესობის მიღწევა.[111] შესაბამისად, მასშტაბისა და მოცულობის ეკონომია მნიშვნელოვანი იყო მთელ რიგ სფეროებში. ამიტომ, მონოპოლიების უარყოფითი მხარეების აღიარების მიუხედავად, მსხვილი კორპორაციების (მონოპოლიების) არსებობა აშშ-ის ეკონომიკური განვითარებისთვის მაინც ხელშემწყობ ფაქტორად ითვლებოდა.[112] სწორედ ხსენებულმა ეკონომიკურმა რეალობამ განაპირობა რიგი სახელმწიფო მონოპოლიების ჩამოყალიბება XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

აშშ-ში ხსენებული მონოპოლიების ჩამოყალიბება სპეციფიკურად ხდებოდა - იქმნებოდა სახელმწიფო კორპორაციები მონოპოლიური უფლებებით, ხოლო მათი წესდება მტკიცდებოდა გარკვეული ვადით, პარლამენტის (კონგრესის) აქტით.[113] მსგავსი კორპორაციის ყველაზე ცნობილი მაგალითია აშშ-ის პირველი სახელმწიფო ბანკი - ფედერალური მთავრობის მიერ კონტროლირებადი ფინანსური მონოპოლია, რომლის კონსტიტუციურობაც დაადასტურა უზენაესმა სასამართლომ,

---

[110] ავტორის შენიშვნა: ეს განსაკუთრებით რთული პროცესი იყო მუშახელის სიმცირის პირობებში. შედარებისთვის, ევროპაში, რომელიც გაცილებით მჭიდროდ იყო დასახლებული, ხსენებული საკითხი პრობლემას არ წარმოადგენდა.

[111] იხ. Hamilton Alexander, The Continentalist No. 5, 1872, http://press-pubs.uchicago.edu/founders/documents/a1_8_3_commerces1.html, სადაც ავტორი საუბრობს კონგრესისთვის ვაჭრობის რეგულირების უფლების მინიჭების საჭიროებაზე, ხსენებული მიმართულებით წარმატების მიღწევის მიზნით.

[112] ავტორის შენიშვნა: მაგალითად, გამოჩენილი ამერიკელი იურისტი, მიჩიგანის შტატის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მიჩიგანის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი თომას ქული (1824-1898) გამოყოფდა მონოპოლიების რამდენიმე კატეგორიას და მიიჩნევდა, რომ ჯანსაღი კონკურენციის პირობებში პატიოსანი შრომით მოპოვებულ უპირატესობას მონოპოლია არ უნდა დარქმეოდა და არც კანონით უნდა დასჯილიყო („Of monopolies not created by the legislature, the following may possibly exist: ... 4. The case of virtual monopolies effected by superior industry, enterprise, skill, and thrift, it would seem, might be passed over in silence. When the person who by such means has secured special advantages has done so without the aid of any peculiar privileges, and with every other person at liberty under the law to compete with him, it is a misuse of terms to call his advantages a monopoly. Moreover, such a person is under the condemnation neither of the law nor of public sentiment."); იხ. Cooley, Thomas M., "Limits to State Control of Private Business", 1878; სტატიის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია მიჩიგანის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ვებგვერდზე https://repository.law.umich.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=&httpsredir=1&article=1621&context=articles.

[113] Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013, pp. 41-42.

მსგავსი კორპორაციის შექმნის სახელმწიფო ინტერესის არსებობის საფუძველზე.[114]

თუმცა, კლასიკური ეკონომიკური პოლიტიკის სკოლის გავლენით, მონოპოლიებთან დაკავშირებული მიდგომა მალევე შეიცვალა. გარდამტეხი აღმოჩნდა პრეზიდენტ ენდრიუ ჯექსონისა[115] და მისი მიმდევრების მოსაზრება, რომ სახელმწიფოს მიერ კორპორაციების სამართლებრივი აქტით შექმნა კორუფციისა და მავნე მონოპოლიების არსებობის საფუძველი იყო. [116] იმავე მოტივით, მიზანშეწონილად არ მიიჩნეოდა კორპორაციების შექმნის უფლების შტატების მთავრობებისთვის დათმობაც. [117] ამავდროულად, ითვლებოდა, რომ სახელმწიფო კორპორაციების შექმნის უფლება მეწარმეებთან მიმართებით არაპროპორციულად დიდ ძალაუფლებას ანიჭებდა ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებას. სწორედ ამიტომ, 1830-იან წლებში განხორციელდა სამართლებრივი ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც უშუალოდ მეწარმეებს მიენიჭათ კერძო კორპორაციების ჩამოყალიბების უფლება.[118]

ხსენებულ მიდგომას ჰქონდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარები. (1) დადებითი მხარე იყო მცირე მეწარმეებისთვის კორპორაციების მეშვეობით გამსხვილების საშუალების მიცემა, რაც ბევრ შემთხვევაში საჭირო იყო ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად; (2) უარყოფითი მხარე იყო მსგავსი გამსხვილებების დაშვება რეგულირების სრული არარსებობის პირობებში (ბრიტანეთის მსგავსად).

სწორედ რეგულირების არარსებობის შედეგად, XIX საუკუნის მეორე ნახევრის აშშ-შიც განხორციელდა წარმოების მასობრივი კონცენტრაცია, რაც დაგვირგვინდა კორპორაციული გიგანტების - ტრასტების - შექმნითა და გაძლიერებით. ხსენებული ტრასტების არსებობის შედეგად წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტა

---

[114] იხ. *McCulloch v. Maryland*. 17 U.S. (4 Wheat.) 316 (1819).

[115] ამერიკის შეერთებული შტატების მეშვიდე პრეზიდენტი (1829-1837).

[116] Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert. *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*. Oxford University Press, 2013. p. 43.

[117] იქვე.

[118] იქვე.

გახდა XIX საუკუნის მე-2 ნახევრის აშშ-ს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა.

3.2. XIX საუკუნის მეორე ნახევარი - საწყისი თეორიების დაზუსტება და პირველი სამართლებრივი ჩარჩო

ა) ევროპა - ინდუსტრიალიზაციის გამოწვევები [119] და ნეოკლასიკური მიდგომა

XIX საუკუნის მე-2 ნახევრის ევროპა თითქმის სრულად მოიცვა ე.წ. „ინდუსტრიულმა რევოლუციამ", რომელიც სახელმწიფო დემონოპოლიზაციისა და წარმოებაში ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის საფუძველზე ეკონომიკური წინსვლის უზრუნველყოფას გულისხმობდა. ინდუსტრიალიზაციამ, რომელიც უმეტესწილად მასიური ქარხნების სისტემის ჩამოყალიბებაში გამოიხატა, ხელი მართლაც შეუწყო კერძო კაპიტალის ზრდას. ამავდროულად, ხსენებულმა პროცესმა არნახულად მნიშვნელოვანი გახადა მასშტაბისა და მოცულობის ეკონომია.

სახელმწიფოსგან დაურეგულირებელი კონკურენციის პირობებში, ამან მეწარმეებს მასობრივი საბაზრო გამსხვილებებისკენ (ბაზრის კონცენტრაციისკენ) უბიძგა. თავის მხრივ, მსგავსმა კონცენტრაციამ არაერთი უარყოფითი შედეგი გამოიწვია როგორც ეკონომიკაში, ისე მასთან მჭიდროდ გადაჯაჭვულ სოციალურ სფეროებში.[120]

---

[119] ავტორის შენიშვნა: ინდუსტრიალიზაციის გამოწვევების კონკურენციის პოლიტიკასთან კავშირის შესახებ დაწვრილებით იხ. Gerber, David J., *Law and Competition in Twentieth Century Europe: Protecting Prometheus*, Clarendon Press Oxford, 1998, pp. 21-25.

[120] ავტორის შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ ევროპაში ინდუსტრიალიზაცია სოციალური სფეროს მარეგულირებელი (დასაქმების, ჯანდაცვის, საპენსიო სისტემების) პოლიტიკის შედარებითი განუვითარებლობის პირობებში მოხდა. შედეგად, საზოგადოების ეკონომიკური ზრდის სიკეთეებით სარგებლობდნენ მხოლოდ ერთეულები - ძირითადად, მსხვილი საწარმოების მფლობელები. ამის პარალელურად, საზოგადოების უდიდესი ნაწილი - მუშახელი - კატასტროფულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ეს იმან განაპირობა, რომ საწარმოო დანახარჯების მაქსიმალური შემცირების ერთ-ერთი გზა მუშახელის (როგორც წარმოებაში საჭირო ადამიანური რესურსის) სიიაფე იყო. შესაბამისი დაცვის არარსებობის პირობებში კი ხსენებულს თან სდევდა არა მარტო მუშახელისთვის მიზერული ანაზღაურების გადახდა,

ბაზრებთან მიმართებით, უარყოფითი შედეგი იყო ინდუსტრიალიზაციის შედეგად მოპოვებული ეკონომიკური კეთილდღეობის პირთა მცირე წრის ხელში თავმოყრა. ხსენებულ სიტუაციას ვერ ხსნიდა კლასიკური ეკონომიკური სკოლის თეორიები, რომლებიც ბაზრის მექანიზმის თვითრეგულირებადი ბუნების სრულყოფილებას გულისხმობდა. თუმცა, რეალობამ აჩვენა, რომ ხსენებული მექანიზმი ყოველთვის ვერ ახერხებდა საზოგადოებრივი რესურსის ოპტიმალურად გადანაწილებას. სწორედ ამიტომ, დღის წესრიგში დადგა ახალი ეკონომიკური რეალობის შედეგად შექმნილი გამოწვევების საპასუხოდ შესაბამისი მიდგომების შემუშავება. ხსენებულით, ეკონომიკის ე.წ. ნეოკლასიკური სკოლა დაკავდა.[121]

ნეოკლასიკური სკოლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ალფრედ მარშალი. [122] მისმა „ეკონომიკის პრინციპებმა“ [123] საბაზრო კონკურენციის ანალიზი ახალ დონეზე აიყვანა სულ მცირე ორი მიმართულებით: (1) კლასიკოსების მიერ ჩამოყალიბებული კონკურენციის ფუნდამენტური პრინციპები (მაგალითად, მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედება) გამოიხატა შესაბამის ფორმულებში და შედეგად, მათემატიკურად

არამედ მათი არაერთი სანარმოო საფრთხის წინაშე მოწყვლადობა. შედეგად, XIX საუკუნის ბოლოს კაპიტალიზმი და თავისუფალი ბაზარი საზოგადოების ფართო ფენებში უკვე უარყოფითი დამოკიდებულებით სარგებლობდა. სწორედ მსგავსმა დამოკიდებულებამ განაპირობა სოციალისტური იდეების აღზევება. ინდუსტრიალიზაციის ხსენებულ პროცესთან და შედეგებთან დაკავშირებით, იხ. Pollard, Sidney, *Peaceful Conqest: The Industrialization of Europe 1760-1970*, Oxford University Press, 1981, pp. 142-190; ასევე იხ.: Landes, Davis S., *The Unbound Prometheus: Technological Change and Industrial Development in Western Europe from 1790 to the Present*, Cambridge University Press, 1969, pp. 41-123. ინდუსტრიალიზაციის შედეგებთან დაკავშირებით იხ. Gerber, David J., *Law and Competition in Twentieth Century Europe: Protecting Prometheus*, Clarendon Press Oxford, 1998, pp. 21-25.

[121] **ავტორის შენიშვნა:** XIX საუკუნეში მოღვაწე მეცნიერთა შორის, ნეოკლასიკური სკოლის რამდენიმე ყველაზე გავლენიან წარმომადგენლად მიიჩნევა: ავსტრიაში - კარლ მენგერი (1840-1921), ბრიტანეთში - უილიამ სტენლი ჯევონსი (1835) და ალფრედ მარშალი (1842-1924), საფრანგეთში - ლეონ ვარლასი (1834-1910), აშშ-ში - ჯონ ბეითს კლარკი (1847-1938) და არტურ ტვინინგ ჰადლი (1856-1930).

[122] **ავტორის შენიშვნა:** ბრიტანელი ეკონომისტი, ნეოკლასიკური მიმდინარეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მის სახელს უკავშირდება ეკონომიკის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის, საბოლოო ჩამოყალიბება.

[123] Marshall, Alfred. *Principles of Economics*, (1st ed. In 1890, 8th ed. In 1920), Reprinted by Palgrave Macmillan, 2013.

გამოთვლადი გახდა; [124] (2) ყურადღება გამახვილდა საბაზრო კონკურენციის პრობლემატიკაზე ფიქსირებული ხარჯების სიდიდის გამო მასშტაბისა და მოცულობის ეკონომიის აუცილებლობისას (მაგალითად, სარკინიგზო და მძიმე მრეწველობის ინდუსტრიებში). [125] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მარშალი სამეცნიერო დონეზე შეეხო საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციის პრობლემატიკას კერძო მეწარმეთა ხელში და აჩვენა, რომ გარკვეული დონის კონცენტრაცია საჭიროც კი იყო საბაზრო მექანიზმის ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის.

ალფრედ მარშალისა და მისი მიმდევრების მთავარი მონაპოვარია როგორც ბაზართან დაკავშირებული მთელი რიგი პარამეტრების გამოთვლისათვის საჭირო ეკონომიკური/მათემატიკური ფორმულების შემუშავება, ისე მონოპოლიებთან დაკავშირებული პრობლემატიკის კლასიკოსებთან შედარებით უფრო სრულყოფილად ჩვენება. ამ მხრივ, ჯერ ერთი, საფუძველი ჩაეყარა ტერმინ „მონოპოლიის" ფართო განმარტებას - როგორც კერძო, ისე საჯარო მონოპოლიების მომცავს. [126] მეორეც, ნეოკლასიკოსებმა აჩვენეს ბაზრის მექანიზმის თვითრეგულირებადი ბუნების შეზღუდული ხასიათი და შედეგად, საბაზრო ურთიერთობების გარკვეული რეგულირების გარეშე დატოვების საფრთხეები. [127] ისიც აშკარა გახდა, რომ გარკვეულ ინდუსტრიებში

---

[124] Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013, p. 71; დაწვრილებით იხ. Marshall, Alfred, *Principles of Economics*. (1st ed. In 1890, 8th ed. In 1920), Reprinted by Palgrave Macmillan, 2013, pp. 269-417.

[125] Marshall, Alfred, *Principles of Economics*, (1st ed. In 1890, 8th ed. In 1920), Reprinted by Palgrave Macmillan, 2013, pp. 200-269.

[126] მაგალითისთვის, იხ. Marshall, Alfred, *Principles of Economics*, (1st ed. In 1890, 8th ed. In 1920), Reprinted by Palgrave Macmillan, 2013, pp. 200-269. 395-410, სადაც ავტორი ტერმინ „მონოპოლიას" ძირითადად კერძო პირთა ხელში აკუმულირებული საბაზრო ძალაუფლების გამოსახატავად ხმარობს.

[127] ავტორის შენიშვნა: ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი ანალიზი მიმდინარეობდა აშშ-შიც. განსაკუთრებით საინტერესოა იელის უნივერსიტეტის პროფესორისა და ნეოკლასიკოსთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, არტურ ტვინინგ ჰადლის დაკვირვება მონოპოლიებთან დაკავშირებით, სადაც განხილულია მონოპოლიის დადებითი და უარყოფითი მხარეები, გამოკვეთილია უარყოფითი მხარეების მიერ დადებითი მხარეების გადაწონის მაღალი რისკი და ახსნილია ხსენებული მიმართულებით შესაბამისი სახელმწიფო რეგულირების საჭიროება. იხ. Hadley, Arthur Twinning, *Economics: An Account of the Relations Between Private Property and Public Welfare*, Putnam's Sons, 1906, Chapter VI – Combination of Capital, pp. 151-179.

საჭირო იყო მასშტაბისა და მოცულობის ეკონომია - შედეგად, საბაზრო ძალაუფლების ყოველი კონცენტრაცია არ უნდა მიჩნეულიყო უარყოფით ფაქტად.[128]

მიუხედავად ნეოკლასიკოსთა მიერ კონკურენციის თეორიის განვითარებაში შეტანილი წვლილისა, მათი იდეები XIX საუკუნის ევროპულ საბაზრო პოლიტიკაზე სრულყოფილად ვერ აისახა. ეს ნაწილობრივ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ევროპაში არსებულ ეკონომიკურად რთულ პერიოდს (ე.წ. „დიდ დეპრესიას") უკავშირდება.[129] მოჰყვა რა კლასიკური თეორიების საფუძველზე გახსნილი ეკონომიკების შემოღებას, ხსენებულ დეპრესიას ხშირად სწორედ ზედმეტ საბაზრო თავისუფლებას აბრალებდნენ.[130]

შედეგად, აღნიშნულ პერიოდში, ევროპაში კვლავ წამოიწია სტაბილურობის მიზნით ბაზარზე ინტენსიური სახელმწიფო ჩარევის იდეამ.[131] ეს კი შორს იყო ნეოკლასიკური მიდგომისგან, რომელიც მართალია ბაზრის გარკვეულწილ რეგულირებას ემხრობოდა, მაგრამ ძველი (მონოპოლისტური) შეზღუდვების დაბრუნებას ნამდვილად არ ამართლებდა. შედეგად, ნეოკლასიკურ თეორიებს XIX საუკუნის ევროპაში შესაბამისი კონკურენციის კანონმდებლობის შემოღება არ მოჰყოლია.

გ) ამერიკის შეერთებული შტატები - ინდუსტრიალიზაცია და კონკურენციის კანონმდებლობა

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, აშშ-ში ტრასტების კულტურა უკვე საკმაოდ იყო ფეხმოკიდებული. ამავდროულად, ბრიტანეთისგან განსხვავებით, საბაზრო ძალაუფლების ტრასტების ხელში კონცენტრაცია ეკონომიკურზე უფრო მეტად პოლიტიკურ პრობლემებთან ასოცირდებოდა. კონკრეტულად, არსებობდა

---

[128] Marshall, Alfred, *Principles of Economics*, (1st ed. In 1890, 8th ed. In 1920), Reprinted by Palgrave Macmillan, 2013, pp. 395-410.

[129] Pollard, Sidney, *Peaceful Conqest: The Industrialization of Europe 1760-1970*, Oxford University Press, 1981, p. 254.

[130] Gerber, David J., *Law and Competition in Twentieth Century Europe: Protecting Prometheus*, Clarendon Press Oxford, 1998, p. 33.

[131] Pollard, Sidney, *Peaceful Conqest: The Industrialization of Europe 1760-1970*, Oxford University Press, 1981, p. 253.

საშიშროება, რომ ხსენებული კონცენტრაცია კერძო სექტორის ერთეულ წარმომადგენლებს პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის საშუალებას მისცემდა - შედეგად კი რისკის ქვეშ დადგებოდა სულ რაღაც ერთი საუკუნის წინ შექმნილი ახალგაზრდა დემოკრატია. ასევე, აშშ-ში ბიზნესის მონოპოლიზება ბრიტანული კოლონიალიზმის დანატოვარ პროცესად მიიჩნეოდა, რომელიც თავისუფალი საბაზრო პოლიტიკით გადაილახა.[132]

შესაბამისად, საბაზრო მექანიზმის თვითრეგულირებადი ბუნების შეზღუდული ხასიათის აღმოჩენას ამ მექანიზმის გამართულად ფუნქციონირებისთვის ხელშემწყობი და ტრასტების ძალაუფლების გამანეიტრალებელი - ანუ ანტიტრასტული - კანონმდებლობის შემოღებით უპასუხეს. სწორედ ასე „დაიბადა" 1890 წლის შერმანის აქტი.

შერმანის აქტის მიღებას აშშ-ში მომხრეების გარდა საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავდა. კერძოდ, კლასიკური სკოლის ამერიკელ მიმდევრებს არ მოსწონდათ აქტის მიერ საბაზრო მექანიზმში ჩარევის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა. ამავდროულად, აქტი კრძალავდა არა მარტო საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, არამედ ხსენებული ძალაუფლების მოპოვებასაც ბაზრის მონოპოლიზების გზით.[133] ამ დებულებას განსაკუთრებით ნეოკლასიკოსები აკრიტიკებდნენ, რადგან, მიუხედავად კერძო მონოპოლიების უარყოფით მხარეების აღიარებისა, მათთვის ჯანსაღი კონკურენციის საფუძველზე მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვება ბუნებრივ საბაზრო მოვლენად მიიჩნეოდა. შედეგად, ნეოკლასიკოსები სკეპტიკურად უყურებდნენ მონოპოლიების საწინააღმდეგო საკანონმდებლო ნორმებს.

ზემოთქმულის მიუხედავად, შერმანის აქტი კონკურენციის სამართლის განვითარებისთვის უდავოდ მნიშვნელოვანი მონაპოვარია. მისი საშუალებით აშკარა გახდა, რომ აუცილებელი

---

[132] ავტორის შენიშვნა: შედარებისთვის, ბრიტანეთში (და საერთოდ, ევროპაში) მსგავს პროცესს ბევრ, ნაკლებ გზად მიიჩნევდნენ და ამიტომაც, ინდუსტრიალიზაციის შედეგად წარმოშობილი პრობლემების გამკლავების პროცესში, მას გაცილებით მეტი მომხრე ჰყავდა, ვიდრე აშშ-ში.

[133] Sherman Act of July 2, 1890, Ch. 647, 26 Stat. 209, Art. 2.

არ არის ორი უკიდურესობიდან - სრულად დაურეგულირებელი ან სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზებული ეკონომიკიდან - ერთ-ერთის არჩევა. არსებობს მესამე (და ყველაზე ოპტიმალური) გზა - ბაზრის მექანიზმის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა კონკურენციის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტით. ამ მხრივ, შერმანის აქტმა წარმოაჩინა კონკურენციის კანონმდებლობის არსებობის მნიშვნელობა და საფუძველი ჩაუყარა სამართლის ხსენებული დარგის განვითარებას.

XIX საუკუნის „გაკვეთილები“:

- *ეკონომიკა გაცილებით უკეთესად ვითარდება თავისუფალი ბაზრის არსებობის პირობებში, ვიდრე სახელმწიფო თუ კერძო მონოპოლიების არსებობისას;*
- *ბაზარი ყოველთვის ვერ ახერხებს თვითრეგულირებას, თუმცა აღნიშნულის უარყოფითი შედეგების განეიტრალება შესაძლებელია სახელმწიფო ჩარევით;*
- *მსგავსი ჩარევის ყველაზე ოპტიმალური სახეა საბაზრო მექანიზმის რეგულირება კონკურენციის კანონმდებლობით.*

3.3. XX საუკუნის პირველი ნახევარი - სამართლებრივი და ეკონომიკური ჩარჩოს განვითარება

თუ XIX საუკუნემ საფუძველი ჩაუყარა კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებას, XX საუკუნის პირველმა ნახევარმა ეს უკანასკნელი პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური დებატების ეპიცენტრად აქცია. ამან, ერთი მხრივ, განაპირობა კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის მნიშვნელობის ზრდა, ხოლო მეორე მხრივ, გამოიწვია სამართლებრივი ჩარჩოს ოპტიმალურ მოდელებთან დაკავშირებით კვლევებისა და ანალიზის პროცესის გაძლიერება.

განხილვას იმსახურებს ამ პერიოდში განხორციელებული სულ მცირე ოთხი პროცესი: (1) კონკურენციის სამართლის აღსრულებისთვის ადმინისტრაციული მექანიზმის შექმნა; (2) არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში საბაზრო მექანიზმის მოქმედების ანალიზი და აღნიშნულთან დაკავშირებით ახალი ეკონომიკური თეორიების განვითარება; (3) ბაზრის მექანიზმის მოქმედების უკეთ აღქმასთან დაკავშირებული ემპირიული კვლევები და მათი ზეგავლენა კონკურენციის სამართლის განვითარებაზე; (4) თავისუფალი ბაზრის კონსტიტუციით დასაცავ სიკეთედ აღიარება და კონკურენციის სამართლის/პოლიტიკის ანალიზი კონსტიტუციურ ჭრილში. სამივე პროცესი მოკლედ მიმოხილულია ქვემოთ:

ა) ადმინისტრაციული ჩარჩო

ხსენებული ჩარჩოს ჩამოყალიბება XIX საუკუნის 20-იანი წლების აშშ-ს უკავშირდება. [134] ამ დროისათვის, მართალია, შერმანის აქტის საფუძველზე სასამართლოს გამოვლენილი და აღკვეთილი ჰქონდა ანტიტრასტული კანონმდებლობის დარღვევის რამდენიმე მნიშვნელოვანი შემთხვევა, [135] მაგრამ უკვე არსებობდა ზოგადი კონსენსუსი აქტის ეფექტიანი აღსრულების ზრდისა და შესაბამისი ცვლილების საჭიროების შესახებ. [136] თუმცა, დავის

[134] დეტალური მიმოხილვისთვის იხ.: Crane, Daniel A., „All I Really Need to Know About Antitrust I Learned in 1912", Iowa Law Review, Vol. 100(5), 2015, pp. 2025-38. სტატიის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია მიჩიგანის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ვებგვერდზე https://repository.law.umich.edu/articles/1674/.

[135] ავტორის შენიშვნა: ხსენებული საქმეებიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სარკინიგზო (*United States v Trans Missouri Freight Ass'n*, 166 U.S. 290, 1897), მბრძიმე მრეწველობის (*United States v. Addyston Pipe & Steel Co.*, 175 U.S. 2011, 1809) და ნავთობმოპოვების (*Standard Oil v. United States*, 221 U.S. 1, 1911) სფეროებში განხორციელებული საქმეები, რომლებმაც დაადგინა აშშ-ში ანტიტრასტული სამართალწარმოების მნიშვნელოვანი სტანდარტები. საქმეთა სრული სიისა და დაწვრილებითი განხილვისათვის იხ. Winerman, Mark, "The Origins of the FTC: Concentration, Cooperation, Control and Competition", Antitrust Law Journal, Vol. 71(2), 2003, pp. 1-97, https://www.ftc.gov/sites/default/files/attachments/federal-trade-commission-history/origins.pdf.

[136] Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013, pp. 104-106; ასევე იხ.: Amato, Giuliano, *Antitrust and the bounds of power: the dilemma of liberal democracy in the history of the market*, Hart Publishing, 1997, pp. 11-14.

საგანი იყო ცვლილებების განხორციელების მიმართულება. კონკრეტულად:

- სასამართლო კორპუსის წარმომადგენელთა აზრით, შერმანის აქტის დებულებები სავსებით საკმარისი იყო კონკურენციის ეფექტიანი რეგულირებისთვის. ეს უკანასკნელნი უბრალოდ საჭიროებდა გაცილებით მკაცრ აღსრულებას სასამართლო წესით. [137]
- მეორე მოსაზრებით, შერმანის აქტის აღსრულება ტრასტების არსებობის შედეგად წარმოშობილ უარყოფით შედეგებს ვერ ანეიტრალებდა. უფრო კონკრეტულად, ტრასტების დაყოფა ცალკეულ წვრილ კორპორაციებად შედეგს არ იძლეოდა, რადგან ეს უკანასკნელნი (თუნდაც არაფორმალურად) კვლავ ექვემდებარებოდნენ საერთო კერძო მესაკუთრეს. შედეგად, საჭირო იყო ტრასტების არა დაყოფა, არამედ მათზე სახელმწიფო ზედამხედველობის დაწესება (ანუ სახელმწიფო მართვა);[138]
- საბოლოოდ, არსებობდა მესამე (შუალედური) მოსაზრება - სახელმწიფოს მიერ კონკურენციის პროცესის რეგულირება ადმინისტრაციული წესით. ხსენებული მოსაზრების მიმდევრები სასამართლო წესით შერმანის აქტის აღსრულებას არასაკმარისად თვლიდნენ, თუმცა ტრასტების სახელმწიფო მართვას ასევე არ ეთანხმებოდნენ. ამის ნაცვლად, მათი აზრით, უნდა შექმნილიყო სპეციალური ადმინისტრაციული ორგანო, აღჭურვილი ძლიერი საგამოძიებო და აღმასრულებელი უფლებამოსილებებით. მსგავსი მიდგომა გამორიცხავდა წარსულში დაბრუნებას სახელმწიფო რეგულირების შემოღების სახით და ამავდროულად

[137] მაგალითად, იხ. Taft, William Howard, „We Must Get Back to Competition", Address to the Pocatello, Idaho, Chamber of Commerce, New York Evening Post, 1911 (Reprinted in Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013, pp. 118-120).

[138] Crane, Daniel A., „All I Really Need to Know About Antitrust I Learned in 1912", Iowa Law Review, Vol. 100(5), 2015, pp. 2025-2038, 2028-2030.

უზრუნველყოფდა კონკურენციის არსებული კანონმდებლობის სრულყოფილად აღსრულებას.[139]

ჩამოთვლილ ალტერნატივებს შორის არჩევანი 1912 წლის არჩევნებმა გადაწყვიტა: პრეზიდენტი გახდა ვუდროუ უილსონი, რომელიც მესამე ალტერნატივას - კონკურენციის მარეგულირებელი ადმინისტრაციული ორგანოს შექმნას - ემხრობოდა. [140] მისი მხარდაჭერით, მალევე (1914 წელს) იქნა მიღებული კონკურენციის მარეგულირებელი ორი ახალი სამართლებრივი ინსტრუმენტი: (1) კლეიტონის აქტი,[141] რომელმაც გააფართოვა კონკურენციის სამართლით რეგულირებადი ქმედებების წრე და (2) ვაჭრობის ფედერალური კომისიის აქტი,[142] რომლითაც შეიქმნა კონკურენციის მარეგულირებელი პირველი ადმინისტრაციული ორგანო.[143]

ხსენებული აქტები კონკურენციის სამართლის განვითარებაში მნიშვნელოვანი ეტაპებია სულ მცირე ორი მიზეზის გამო: (1) ტრასტების ეფექტის განეიტრალებისა და საბაზრო მექანიზმის რეგულირების ხელშეწყობისთვის, შემოღებულ იქნა კონცენტრაციების კონტროლი; (2) პრაქტიკაში დაინერგა კონკურენციის სამართლის ადმინისტრაციული წესით რეგულირების მოდელი. მომდევნო წლებში, მსოფლიოში ხსენებული მოდელის ბევრი სახესხვაობა შემუშავდა, თუმცა ძირითადი უცვლელი დარჩა პრინციპი - მიზანშეწონილია ამა თუ იმ სახის ადმინისტრაციული ორგანოს არსებობა, რომელსაც კანონმდებლობით მიენიჭება კონკურენციის სამართლის დარღვევების გამოძიებისა და აღკვეთის სპეციფიკური უფლებამოსილებები.

---

[139] იგივე, გვ. 2031-2032.

[140] Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013, p. 106.

[141] Clayton Antitrust Act of 1914, codified at 15 U.S.C. para. 12-27.

[142] Federal Trade Commission Act of 1914, codified at 15 U.S.C. 2 para. 41-77.

[143] ავტორის შენიშვნა: ხსენებული პროცესის დეტალური განხილვისათვის იხ. Winerman, Mark, "The Origins of the FTC: Concentration, Cooperation, Control and Competition", Antitrust Law Journal, Vol. 71(2), 2003, pp. 1-97, https://www.ftc.gov/sites/default/files/attachments/federal-trade-commission-history/origins.pdf.

ბ) არასრულყოფილ კონკურენციასთან დაკავშირებული ეკონომიკური მოდელები

სრულყოფილი კონკურენციისა და მონოპოლიის თეორიული მოდელების შემუშავება ჯერ კიდევ კლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლების მიერ განხორციელდა. [144] თუმცა, ბაზრების ისტორიულმა განვითარებამ აჩვენა ხსენებული მოდელები წმინდა თეორიული ხასიათი და პრაქტიკაში მათი პირდაპირი სახით გამოყენების შეუძლებლობა.[145]

ამავდროულად, ნეოკლასიკოსების მიერ განისაზღვრა ბაზრებთან დაკავშირებული რიგი საკითხები (მაგალითად, მასშტაბისა და მოცულობის ეკონომიის მნიშვნელობა), რაც ზოგ შემთხვევებში საბაზრო ძალაუფლების უკიდურეს კონცენტრაციასაც კი ამართლებდა. [146] ხსენებულს მიემატა XX საუკუნის დასაწყისში ინდუსტრიული ეკონომიკის კიდევ უფრო განვითარება, ბაზრების მრავალი განსხვავებული სახის წარმოშობა და მათზე კონკურენციის სხვადასხვა ფორმით არსებობა.[147]

აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, XX საუკუნის ეკონომისტებმა დაიწყეს კლასიკური და ნეოკლასიკური სკოლების მიერ შემოთავაზებული თეორიების გადახედვა და მათი შევსება-დაკონკრეტება ეკონომიკური განვითარების შედეგად შექმნილი ახალი რეალობის შესაბამისად.

ხსენებული გადახედვის პროცესში, გამოიკვეთა რიგი მნიშვნელოვანი ფაქტორები. კერძოდ:

- ბაზარზე რეალურად არსებობს ე.წ. „არასრულყოფილი კონკურენცია“, სადაც (1) ყველა მიმწოდებელს აქვს ფასებსა და მიწოდების რაოდენობაზე ზემოქმედების გარკვეული შესაძლებლობა (ანუ გარკვეული საბაზრო ძალაუფლება). ეს აძლევს მათ მოგების გაზრდის მიზნით რიგი ქმედებების -

[144] იხ. ქვეთავი 3.1.
[145] იხ. ქვეთავი 3.2.
[146] იქვე.
[147] Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013, p. 125.

მაგალითად, მომხმარებელთა ფასისმიერი დისკრიმინაციის[148] - განხორციელების საშუალებას; (2) იწარმოება მრავალი განსხვავებული სახის საქონელი. ეს ქმნის საბაზრო სიტუაციას, სადაც თითოეული მწარმოებელი იმდენ საბაზრო ძალაუფლებას ფლობს, რამდენადაც მისი საქონელი განსხვავდება სხვებისგან; (3) საბაზრო კონკურენცია შესაძლოა შეიზღუდოს არა მარტო მიმწოდებელთა, არამედ მომხმარებელთა მხრიდანაც. ამის ცხადი მაგალითია მონოფსონია - სიტუაცია, როდესაც ბაზარზე მხოლოდ ერთი მყიდველია, რაც ამ უკანასკნელს საბაზრო ძალაუფლებას ანიჭებს.[149]

- ბაზარზე, სადაც არსებობს პატენტებითა და სავაჭრო ნიშნებით უამრავი დაცული საქონელი, ადგილი აქვს ე.წ. „მონოპოლისტურ კონკურენციას" - სიტუაციას, რომლის დროსაც მრავალი განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთის გარკვეულწილად შემცვლელი საქონლის მწარმოებლები იბრძვიან ერთი და იმავე მომხმარებლების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამ უკანასკნელს კი უწევს არჩევანის გაკეთება არა მარტო ფასის, არამედ შემოთავაზებული საქონლის სხვა პარამეტრების (მაგალითად, ხარისხის) მიხედვითაც. ამავდროულად, სახეზეა პოტენციური კონკურენციაც. შედეგად, მართალია მიმწოდებლებს გააჩნიათ საბაზრო ძალაუფლება, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, ისინი მაინც ვერ ახერხებენ „წმინდა" მონოპოლიის მსგავსი მოგების მიღებას.[150]
- რეალურ ცხოვრებაში, ბაზრები ხასიათდებიან არასრულყოფილი და მონოპოლისტური კონკურენციის

[148] ავტორის შენიშვნა: ფასისმიერი დისკრიმინაცია ეწოდება მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიებისათვის განსხვავებული ფასების დაწესებას. დაწვრილებით იხ. თავი 2 („დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება"), ქვეთავი 4.2.ე.

[149] დაწვრილებით იხ.: Robninson, Joan, *The Economics of Imperfect Competition*, Macmillan and Co. Limited, 1933 (reprinted in 1946).

[150] დაწვრილებით იხ.: Chamberlin, Edward, *The Theory of Monopolistic Competition*, Harvard University Press, 1933.

სხვადასხვა დონეებით.[151] თითოეულ ბაზარზე, კონკურენციის დონე დამოკიდებულია უამრავ (მათ შორის, მხოლოდ ხსენებული ბაზრისთვის დამახასიათებელ) ფაქტორზე. ამასთან, უმრავლეს შემთხვევაში, უნაყოფოა და საზიანოც კია ხსენებული მოდელების სრულყოფილი კონკურენციის მოდელთან დაახლოების მცდელობა. შედეგად, სასურველია ბაზარზე არსებობდეს „განხორციელებადი კონკურენცია" (workable competition) - ანუ მოხდეს ბაზრის კონკრეტული, არაიდეალური სტრუქტურის პირობებში არსებული კონკურენციის მაქსიმალური დაცვა.[152]

არასრულყოფილი, მონოპოლისტური და განხორციელებადი კონკურენციის კონცეფციები კონკურენციის სამართლისათვის წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, რადგან ამ უკანასკნელებმა გზა გაუხსნეს კონკრეტული ბაზრების დეტალურ ემპირიულ ანალიზს. შედეგად, შესაძლებელი გახდა ბაზართა თავისებურებების გაცილებით სრულყოფილი შესწავლა და როგორც რეგულირების საერთო წესების დახვეწა, ისე ინდივიდუალური მიდგომების შემუშავება კონკრეტულ ბაზრებთან მიმართებით. აღნიშნული ცვლილება მოგვიანებით ასევე მნიშვნელოვანი გახდა კონკურენციის სამართლის აღსრულების პროცესში, სადაც ბაზრის მონაწილეთა მთელი რიგი ქმედების დარღვევებად მიჩნევისათვის სასურველი (ხოლო შემდგომში, აუცილებელიც) გახდა არსებული საბაზრო რეალობის გათვალისწინება.

გ) ბაზრის მექანიზმი და ემპირიული კვლევები - ჰარვარდის სკოლა

კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის გამკაცრების, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ჩამოყალიბებისა და ახალი ეკონომიკური რეალობის შესაბამისი

---

[151] Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013, p. 126.

[152] დაწვრილებით იხ.: Clark, John Maurice, „Toward a Concept of Workable Competition", American Economic Review, Vol. XXX(2), 1940, pp. 241-256.

ეკონომიკური თეორიების შემუშავების მიუხედავად, კლეიტონისა და ფედერალური ვაჭრობის კომისიის აქტების გამოცემიდან XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლომდე აშშ-ში ანტიტრასტული კანონმდებლობის აღსრულების მხრივ არასახარბიელო მდგომარეობა იყო. [153] ამას გარკვეულწილად განაპირობებდა როგორც აშშ-ის დიდი დეპრესიის პერიოდში კონკურენციის პოლიტიკის კონკრეტულ, ქვეყნის კრიზისიდან გამომყვან, მიმართულებაზე სახელმწიფო მესვეურთა ბოლომდე ჩამოუყალიბებლობა,[154] ისე ხსენებულ პერიოდში კონკურენციასთან დაკავშირებულ სასამართლო საქმეთა მნიშვნელოვნად შემცირებული რაოდენობა და საზოგადოდ, აღსრულებისადმი განელებული როგორც საჯარო, ისე საზოგადოებრივი ინტერესი.[155] კონკურენციის სამართლისადმი ამ პერიოდში არსებულ დამოკიდებულებას კონკურენციის "უგულებელყოფის ხანასაც" კი უწოდებენ.[156]

ამ ფონზე და კონკურენციის ახალი თეორიების შემუშავების საპასუხოდ, XIX საუკუნის 30-იან წლებში, ჰარვარდის უნივერსიტეტში დაიწყო აშშ-ში არსებული ინდუსტრიების მასობრივი ემპირიული კვლევა, რომლის მიზანი იყო ბაზრის მექანიზმის რეალურ ცხოვრებაში მუშაობის პროცესში უკეთ გარკვევა და აღსრულების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. [157] სწორედ ხსენებული კვლევის შედეგები დაედო საფუძვლად კონკურენციის სამართლისა და

---

[153] იხ. Hofstadter, Richard, „What Happened to the Antitrust Movement?", The Business Establishment, 1964 (Reprinted at Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013, pp. 221-251).

[154] იხ. Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013, pp. 168-170.

[155] იხ. Hofstadter, Richard, „What Happened to the Antitrust Movement?", The Business Establishment, 1964 (Reprinted at Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013, pp. 221-251).

[156] იქვე.

[157] ავტორის შენიშვნა: ხსენებული რეკომენდაციების ერთ-ერთი მაგალითი იხ.: Kaysen, Carl and Turner, Donald T., *Antitrust Policy: An Economic and Legal Analysis*, Harvard University Press, 1959; ასევე იხ.: Bain, Joe S., *Barriers to New Competition*, Harvard University Press, 1962, 205-222.

პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მიმდინარეობას, რომელიც ჰარვარდის სკოლის სახელითაა ცნობილი.[158]

ჰარვარდის სკოლის იდეები ძირითადად ოთხ ზოგად ემპირიულ დასკვნას ეფუძნებოდა,[159] რომელთა მიხედვითაც:

- ბაზარზე ფირმების რაოდენობასა და საბაზრო ფასის ზრდის ტენდენციას შორის მჭიდრო კავშირია;
- მასშტაბის ეკონომიის მისაღწევად საჭირო არ არის მასიური კონცენტრაცია;
- ბაზარზე შესვლის ბარიერები ბევრ ინდუსტრიაში ძალიან მაღალია;[160]
- მაღალკონცენტრირებული ბაზრების დაბალეფექტიანობა გარანტირებულია.

ხსენებული დასკვნების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდა ე.წ. „სტრუქტურა-ქცევა-ეფექტიანობის მოდელი" (Structure-Conduct-Performance/SPC Paradigm), რომლის მიხედვითაც ბაზრის სტრუქტურა განსაზღვრავს ბაზარზე მოქმედი კონკურენტების ქცევას, ხოლო ეს ქცევა თავის მხრივ განსაზღვრავს ბაზარზე არსებული თითოეული კონკურენტის ეფექტიანობის დონეს.[161] ამ მოდელის საფუძველზე, ჰარვარდის სკოლის წარმომადგენლებს ამტკიცებდნენ, რომ ბაზრის კონცენტრაციის დაბალი მაჩვენებელი საბოლოო ჯამში ბაზრის ეფექტიანობის მაღალი დონის საწინდარია.[162]

---

[158] Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases and Materials*, 6th ed., Oxford University Press, 2016, pp. 13-14; ავტორის შენიშვნა: ხსენებული სკოლის დამფუძნებლებად და ყველაზე გავლენიან წევრებად ითვლებიან ედვარდ მეისონი (1899-1992), კარლ კეიზენი (1920-2010), დონალდ ტერნერი (1921-1994), ფილიპ არიდა (1930-1995) და ჯო ბაინი (1912-1991).

[159] Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013, pp. 318-319.

[160] ავტორის შენიშვნა: ბაზარზე შესვლის ბარიერებთან დაკავშირებით იხ.: Bain, Joe S., *Barriers to New Competition*, Harvard University Press, 1962, სადაც ავტორი დაწვრილებით განიხილავს მასშტაბის ეკონომიას, ბაზარზე არსებული ფირმების მიერ წარმოებული საქონლის დიფერენციაციასა და ამ უკანასკნელთა დანახარჯების სტრუქტურას, როგორც ბაზარზე შესვლის ბარიერებს და წარმოადგენს ხსენებული ბარიერების საბაზრო გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის დამამტკიცებელ ემპირიულ მაგალითებს.

[161] მაგალითად, იხ.: Bain, Joe S., *Industrial Organization*, John Wiley & Sons, Inc., 1959, pp. 406-427;

[162] მაგალითად, იხ.: Kaysen, Carl and Turner, Donald T., *Antitrust Policy: An Economic and Legal Analysis*, Harvard University Press, 1959, pp. 82-89.

ჰარვარდის სკოლის წარმომადგენლების მოსაზრებით, ბაზარზე მექანიზმის მუშაობაში ხელშეწყობა ბაზრის სტრუქტურაზე ზრუნვით უნდა დაწყებულიყო. შედეგად, ისინი მხარს უჭერდნენ ნაკლებკონკურენტულ ბაზრებზე სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი სტრუქტურული ღონისძიებების გატარებას.[163] ხსენებული მიდგომა, თავის მხრივ, აღსაქმელად და პრაქტიკაში დასანერგად ძალიან ადვილი იყო. კერძოდ, კონკურენციის მარეგულირებელ ორგანოს აღსრულების პროცესში არ სჭირდებოდა ეკონომიკური ანალიზი - საჭირო იყო მხოლოდ იმის გარკვევა, არსებობდა თუ არა კონკრეტულ ბაზარზე კონცენტრაციის მაღალი დონე. ამავდროულად, ჰარვარდის სკოლა აღმასრულებლებს სთავაზობდა ბაზრის გაუმჯობესების პირდაპირ გზას - დეკონცენტრაციას.[164] შედეგად, ხსენებული სკოლის იდეებმა დიდი ზეგავლენა იქონია აშშ-ის ანტიტრასტულ პოლიტიკაზე - მისი პრინციპების გამოყენების საფუძველზე, 1960-იან წლებში ხსენებული პოლიტიკა ქვეყნის ისტორიაში სიმკაცრის ყველაზე მაღალი დონით გამოირჩეოდა.[165]

მიუხედავად ამისა, ხსენებული სკოლის მიდგომებს მრავალი ხარვეზიც გააჩნდა. კერძოდ, დღესდღეობით უკვე აღიარებულია, რომ ბაზრის სტრუქტურა მართალია მნიშვნელოვანია, მაგრამ ის აუცილებლად არ განსაზღვრავს ბაზრის მონაწილეთა ქცევასა და შედეგად, ბაზრის ეფექტიანობის დონეს - ხშირად პირიქითაც ხდება. პრაქტიკამ ასევე დაადასტურა ბაზარზე დეკონცენტრაციის მეშვეობით ჩარევისას სიფრთხილის გამოჩენის და მეტი ეკონომიკური ანალიზის აუცილებლობაც. შედეგად, ჰარვარდის სკოლის იდეებმა 1970-იანი წლებისთვის დაკარგა ზეგავლენა აშშ-ის კონკურენციის პოლიტიკაზე.

ამავდროულად, ამ სკოლის დანატოვარია თანამედროვე კონკურენციის სამართალში ბაზრის შეფასებასთან დაკავშირებით

---

[163] Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases and Materials*, 6th ed., Oxford University Press, 2016, pp. 13-14.

[164] Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013, p. 318.

[165] Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases and Materials*, 6th ed., Oxford University Press, 2016, pp. 13-14.

არსებული თითქმის ყველა ინსტრუმენტი: შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გასვლის ბარიერებზე მსჯელობა, საბაზრო წილის მიმართება ბაზარზე არსებულ ძალაუფლებასთან, საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციის გამოთვლის ხერხები, და ა.შ. შედეგად, ჰარვარდის სკოლა არაპირდაპირ მაინც ახდენს გავლენას თანამედროვე კონკურენციის სამართლის აღსრულებაზე - თან არა მარტო აშშ-ში, არამედ მსოფლიოს გარშემო.

დ) კონკურენციის სამართლის კონსტიტუციონალიზაცია - ფრაიბურგის სკოლა

სანამ აშშ-ში კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის თეორიული და პრაქტიკული გაძლიერებისათვის ინტენსიური შრომა მიმდინარეობდა, [166] ევროპაში ეს სფერო დიდწილად მივიწყებული იყო. ამას ხელს სულ მცირე ორი რამ უწყობდა: (1) სახელმწიფო რეგულირების პრაქტიკაში დაბრუნების შედეგად, ევროპული ბაზრები ინტენსიური კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული. [167] ეს მსხვილ საწარმოთა პირდაპირი წესით ზედამხედველობას გულისხმობდა და კონკურენციის სამართლის არსებობას ფაქტიურად გამორიცხავდა; (2) ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაცია უარყოფითად სულაც არ აღიქმებოდა. მაგალითად, ამ პერიოდის გერმანიაში კარტელებს საერთაშორისო ვაჭრობაში წარმატებისა და შესაბამისად, ეროვნული სიძლიერის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. [168] შედეგად, გერმანელი მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიერ შემოთავაზებულ კონკურენციის მარეგულირებელ (და კარტელების არსებობის ამკრძალავ) კანონპროექტებს საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. [169]

---

[166] იხ. ზემოთ, ქვეთავები 3.3.ა-გ.

[167] Gerber, David J., *Law and Competition in Twentieth Century Europe: Protecting Prometheus*, Clarendon Press Oxford, 1998, pp. 43-68.

[168] იგივე, გვ. 88.

[169] იგივე, გვ. 107-108.

ზემოხსენებულს უმძიმესი შედეგი მოჰყვა: 1914-1945 წლებში, გერმანიის მთავრობას გაცილებით გაუადვილდა კარტელებით შეკავშირებული მეწარმეთა ჯგუფების გაკონტროლება და მათი რესურსის საომარი მიზნებისთვის გამოყენება. [170] ეს მწარე გაკვეთილი აღმოჩნდა გერმანელთათვის, რომლებიც პირადად შეესწრნენ საკუთარ ქვეყანაში როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და პირადი თავისუფლების უკიდურეს შეზღუდვას და გამოსცადეს მისი დამანგრეველი შედეგები. ფართო გაგებით, სწორედ მსგავსი გამოცდილების თავიდან აცილების მიზანს ემსახურებოდა ე.წ. ფრაიბურგის სკოლა, [171] რომელმაც კონკურენციის სამართლის სტატუსი თვისობრივად ახალ დონეზე აიყვანა.[172]

ხსენებული სკოლა 1930-იან წლებში ჩამოყალიბდა თანამოაზრე იურისტთა და ეკონომისტთა მცირე ჯგუფის მიერ. მისი წევრები მიზნად ისახავდნენ ნაციზმის დამარცხების შემთხვევაში გერმანიის ეკონომიკის ფეხზე დაყენებისთვის საჭირო ეფექტიანი სამართლებრივი და ეკონომიკური მექანიზმების შემუშავებას, რომლებიც ამავდროულად უზრუნველყოფდა გერმანელების პირად და ეკონომიკურ თავისუფლებას. [173] მათი იდეოლოგია ორდოლიბერალიზმის[174] სახელითაა ცნობილი.

---

[170] იგივე, გვ. 116; ომებს შორისი პერიოდის კარტელებისა და მათთან დაკავშირებული საკანონმდებლო პროცესების შესახებ დაწვრილებით იხ. გვ. 115-153.

[171] ავტორის შენიშვნა: ხსენებული სკოლის სახელი უკავშირდება მისი სამი დამაარსებლის, უოლტერ ეუკენის (1891-1950), ფრანც ბიომისა (1895-1977) და ჰანს გროსმან დოერტის (1894-1944) შეხვედრისა და ერთობლივი მოღვაწეობის ადგილს - ფრაიბურგის უნივერსიტეტს. სწორედ ხსენებულ უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ორდოლიბერალური (ანუ რეგულირებული ლიბერალიზმის) იდეა და ხსენებული მიმდინარეობის მთავარი პოსტულატები.

[172] ავტორის შენიშვნა: ხსენებული სკოლის განვითარების დაწვრილებითი ისტორიისთვის იხ. Gerber, David J., *Law and Competition in Twentieth Century Europe: Protecting Prometheus*, Clarendon Press Oxford, 1998, pp. 232-265.

[173] იგივე, გვ. 250-255.

[174] ავტორის შენიშვნა: მოცემულ თავში განხილულია ორდოლიბერალიზმის, როგორც მიმდინარეობის, საფუძვლად მიჩნეული იდეები. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ხსენებული მიმდინარეობა საკმაოდ ფართომასშტაბიანია. ისტორიულად, ის გრძელდება სპეციალისტთა უკვე მეოთხე თაობის მიერ. მიკუთვნების თვალსაზრისით, მის მიმდევრებად თვლიან ფრიად განსხვავებული იდეოლოგიის მქონე პირებს, რომელთა იდეები ხშირ შემთხვევაში სრულად არ ემთხვევა ერთმანეთს. დაწვრილებით იხ.: Behrens, Peter, "The Ordoliberal Concept of 'Abuse' of a Dominant Position and its Impact on Article 102 TFEU", published in Di Porto,

ორდოლიბერალებს გერმანიაში ჰუმანიზმსა და მორალზე დაფუძნებული საზოგადოების შენება სურდათ, სადაც სამართალი და ეკონომიკა პიროვნული თავისუფლების გარანტი გახდებოდა.[175] მათთვის ეკონომიკური თავისუფლება ერთ-ერთ უზენაეს ღირებულებას წარმოადგენდა, ხოლო თავისუფალი საბაზრო კონკურენციის პროცესი ითვლებოდა კაპიტალისტური ეკონომიკის პირობებში ინდივიდუალური ეკონომიკური თავისუფლების დაცვის საუკეთესო საშუალებად.[176]

ამავდროულად, გერმანიის ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, ორდოლიბერალები აღიარებდნენ კონკურენციის პროცესის მოწყვლადობას როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის/სახელმწიფოს მიერ და აუცილებლად მიიჩნევდნენ მის ეფექტიან დაცვას საკანონმდებლო წესით.[177] ხსენებულმა ფაქტმა ხელი შეუწყო ე.წ. „ეკონომიკური კონსტიტუციის" - ქვეყნის ეკონომიკური მოწყობის საკონსტიტუციო წესით დაცვის - იდეის განვითარებას,[178] რაც მოიცავდა კონკურენციის კონსტიტუციით დაცვასაც.[179]

ზემოაღნიშნული დაცვის პარალელურად, ორდოლიბერალები მხარს უჭერდნენ კონკურენციის პროცესის მარეგულირებელი ეფექტიანი კანონმდებლობის შემოღებას.[180] ამ მხრივ, კონკურენციის სამართალი აღიქმებოდა თავისუფალ ბაზარზე „თამაშის წესების" დამდგენ სამართლის დარგად. ბაზრის ყველა მონაწილის მხრიდან ხსენებული წესების დაცვა კი მაქსიმალური ეკონომიკური თავისუფლების საწინდრად მიიჩნეოდა.

Fabiani and Podszun, Rupprecht (eds.), Abusive Practices in Competition Law, ASCOLA Competition Law Series, 2018, pp. 5-25.

[175] David J., *Law and Competition in Twentieth Century Europe: Protecting Prometheus*, Clarendon Press Oxford, 1998, გვ. 239-240.

[176] Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases and Materials*, 6th ed., Oxford University Press, 2016, pp. 25-26.

[177] Siems, Mathias and Schnyder, Gerhad, "Ordoliberal Lessons for Economic Stability: Different Kinds of Regulation, Not More Regulation", Governanse, Vol. 27, 2014, pp. 379-381.

[178] Gerber, David J., *Law and Competition in Twentieth Century Europe: Protecting Prometheus*, Clarendon Press Oxford, 1998, pp. 245-246.

[179] Rompuy, Ben Van, *Economic efficiency: the sole concern of modern antitrust policy? Non-efficiency considerations under Article 101 TFEU*, Kluwer Law International, 2012, pp. 129-131.

[180] Siems, Mathias and Schnyder, Gerhad, "Ordoliberal Lessons for Economic Stability: Different Kinds of Regulation, Not More Regulation", Governanse, Vol. 27, 2014.

ფრაიბურგის სკოლამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გერმანიაზე. ტოტალიტარულ რეჟიმგამოვლილი ხალხისთვის ადვილად გასაგები და მისაღები აღმოჩნდა როგორც პიროვნულ და ეკონომიკურ თავისუფლებაზე „მზრუნველი" კონკურენციის კანონმდებლობის შემოღების, ისე კონკურენციის პროცესის (როგორც ამ თავისუფლების გარანტის) ქვეყნის უმაღლესი კანონით დაცვის იდეა. შედეგად, ორდოლიბერალიზმი გერმანიის აღმშენებლობის პროცესის განუყრელ ნაწილად იქცა და დღესდღეობით, მისი სოციალური საბაზრო ეკონომიკის საფუძვლადაც კი ითვლება.[181]

თუმცა, ორდოლიბერალიზმის ზეგავლენა ამით არ ამოწურულა. მისმა მთავარმა პოსტულატმა - კონკურენციის, როგორც დინამიკური პროცესის, საჯარო და კერძო ძალაუფლებისგან საკონსტიტუციო წესით დაცვამ - გამოხმაურება ჰპოვა ევროპის არაერთ ქვეყანაში, მათ შორის - საქართველოშიც.[182]

ამავდროულად, ორდოლიბერალიზმის მუდმივი ფოკუსი პიროვნულ/ეკონომიკურ თავისუფლებაზე და ამით განპირობებული უარყოფითი დამოკიდებულება საბაზრო კონცენტრაციისადმი არაერთხელ გახდა კრიტიკის საგანი. კონკრეტულად, მიიჩნევა რომ კონცენტრაციებისადმი მსგავსი დამოკიდებულებით, ფრაიბურგის სკოლა ზედმეტად იცავს მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესებს (ანუ იცავს სუსტ კონკურენტებს და არა კონკურენციის პროცესს). მსგავსი კრიტიკის ძირითადი სამიზნე, როგორც წესი, ევროკავშირია, რადგან ამ უკანასკნელის სამართალი ორდოლიბერალურ იდეებზე დაფუძნებულად ითვლება.[183] თუმცა, ამ უკანასკნელს არა ერთხელ აქვს განმარტებული სასამართლო წესით, რომ მისი ერთ-ერთი მიზანია კონკურენციის პროცესის და არა კონკურენტების დაცვა.[184]

---

[181] Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases and Materials*, 6th ed., Oxford University Press, 2016, pp. 25-26.

[182] იხ. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, კონსოლიდირებული პუბლიკაცია 23.03.2018 მდგომარეობით, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35, მუხლი 6.2,

[183] იხ. ქვეთავი 3.4.ა. – „ევროპა - კონკურენცია და ერთიანი ბაზარი".

[184] ავტორის შენიშვნა: სასამართლო გადაწყვეტილებები ამ მიმართულებით უამრავია. მაგალითად, იხ.: Case 6/72 *Europemballage Corporation and Continental Can Company Inc. v*

XX საუკუნის I ნახევრის „გაკვეთილები“:

- *გაზარზე კონკურენციის დაცვისათვის მხოლოდ კონკურენციის სამართლის შემოღება არ კმარა - საჭიროა მისი ეფექტური აღსრულებაც. ეს კი, სხვა საკითხებთან ერთად, დღის წესრიგში აყენებს შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ადმინისტრაციული ორგანოს ჩამოყალიბების საკითხს.*
- *„სრულყოფილი კონკურენცია“ არ არსებობს. სამაგიეროდ, არსებობს გაზრები კონკურენციის მრავალი განსხვავებული ფორმით. „არასრულყოფილი“ კონკურენციის პირობებში, მნიშვნელოვანია გაზრის კონკურენტული გარემოს დაცვა-გაუმჯობესება, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით.*
- *გაზარზე კონკურენციის დონის ანალიზისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაზრის სტრუქტურას (საბაზრო წილებს, კონცენტრაციის დონეს, ა.შ.). თუმცა, კონკურენციის სიჯანსაღე მხოლოდ გაზრის სტრუქტურის საფუძველზე ვერ განისაზღვრება - საჭიროა დამატებითი (ეკონომიკური) ანალიზიც.*
- *კონკურენცია მნიშვნელოვანი, მაგრამ ადვილად მოწყვლადი პროცესია. შესაბამისად, სასურველია მისი დაცვა საკონსტიტუციო დონეზე, როგორც კერძო, ისე საჯარო ძალაუფლების მხრიდან მოსალოდნელი შეზღუდვებისგან. ამავდროულად, კონკურენციის (როგორც პროცესის) დაცვა არ გულისხმობს სუსტი კონკურენტების მხარდაჭერას.*

Commission of the European Communities [1973] ECR 215, ECLI:EU:C:1973:22, para. 26; Case 85/76 *Hoffmann-La Roche & Co. AG v Commission of the European Communities* [1979] ECR 461, ECLI:EU:C:1979:36, para. 91; Case 322/81 *NV Nederlandsche Banden Industrie Michelin v Commission of the European Communities* [1983] ECR 3461, ECLI:EU:C:1983:313, para. 57; Case C-209/10 *Post Danmark A/S v Konkurrencerådet (Post Danmark I)* [2012] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2012:172, paras. 21-22; Case C-413/14 P *Intel Corp. v European Commission* [2017], Not yet published, ECLI:EU:C:2017:63, paras. 133-134.

3.4. XIX საუკუნის II ნახევარი - კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის გლობალიზაცია

XX საუკუნის მეორე ნახევარი არაერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენით ხასიათდება. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია ევროპაში დაწყებული საბაზრო ინტეგრაციის პროცესი, რომელმაც 1952 წლიდან დღემდე 28 სახელმწიფო მოიცვა [185] და გამოიწვია ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბება. [186] არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენაა საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი წესების განვითარება, რაც საუკუნის მიწურულს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შექმნით დაგვირგვინდა. [187] საბოლოოდ, ხსენებულ პერიოდში მიმდინარე მთელმა რიგმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პროცესებმა - საბჭოთა კავშირის დაშლამ, აზიის ქვეყნების მიერ საბაზრო კაპიტალიზმის პრინციპების გაზიარებამ, ლათინური ამერიკისა და აფრიკის რიგი განვითარებადი სახელმწიფოების სწრაფმა ეკონომიკურმა აღმავლობამ - განაპირობა საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელობის აღიარება და მის დაცვაზე ზრუნვის დაწყება თუ გაძლიერება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.[188]

ამ პროცესების პარალელურად, არ წყდებოდა კვლევითი საქმიანობაც. მუდმივად ცვალებადი ეკონომიკური სიტუაციის პირობებში, მეცნიერები კვლავ ცდილობდნენ ბაზრის მექანიზმის შეძლებისდაგვარად უკეთ აღქმასა და მისი გაუმჯობესებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. ამ მიმართულებით, XIX

---

[185] Schütze, Robert, *European Union Law: with Brexit Coverage*, Cambridge University Press, 1918, pp. 1-42.

[186] ავტორის შენიშვნა: სიმარტივისათვის ამ თავში ტერმინი „ერთიანი ბაზარი" გამოიყენება ინგლისურ ენაში დამკვიდრებული სამი ტერმინის - „Common Market", „Single Market" და „Internal Market" - სინონიმად. ხსენებული ტერმინები ევროპის ინტეგრაციის სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენებოდა (და ახლაც გამოიყენება) რიგი საბაზრო თავისუფლებით (საქონლის, მომსახურების, მუშახელისა და კაპიტალის თავისუფლად მიმოქცევის თავისუფლებები) გამორჩეული, შიდა/ეროვნული საზღვრებისგან თავისუფალი ერთიანი სავაჭრო სივრცის აღსანიშნავად. მისი დეტალური განმარტებისა და მისი სამართლებრივი მახასიათებლების შესახებ იხ.: Weatherill, Stephen, *The internal market as a legal concept*, Oxford University Press, 2017.

187 დაწვრილებით იხ.: Van Grasstek, Craig, *The history and future of the World Trade Organization*, WTO, 2013, https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/historywto_e.pdf, pp. 39-82.

[188] იხ. ქვემოთ, ქვეთავი 4.3.გ. „კონკურენცია და დანარჩენი მსოფლიო"

საუკუნის მე-2 ნახევარს უკავშირდება ე.წ. ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის (ან უბრალოდ, ჩიკაგოს სკოლის) აღმავლობა და მისი ზეგავლენით - საფუძვლიანი ცვლილებები აშშ-ის კონკურენციის სამართლის აღსრულებაში.

ევროპაში ერთიანი ბაზრის შექმნამ, აშშ-ში ჩიკაგოს სკოლის აღზევებამ და დანარჩენ მსოფლიოში საბაზრო კაპიტალიზმის გაძლიერებამ ხელი შეუწყო როგორც კონკურენციის სამართლის თეორიისა და პრაქტიკის კიდევ უფრო განვითარებას, ისე მის გავრცელებას ევროპისა და აშშ-ის ფარგლებს გარეთ, თითქმის მთელს მსოფლიოში. ეს პროცესები მოკლედ მიმოხილულია ქვემოთ.

ა) ევროპა - კონკურენცია და ერთიანი ბაზარი

ქართველი მკითხველისათვის უკვე კარგადაა ცნობილი ევროპული ინტეგრაციის საწყისები: (1) მეორე მსოფლიო ომის დამანგრეველი შედეგი; (2) მსგავსი კატასტროფის გამეორების თავიდან აცილების მიზნით ევროპის ქვეყნებს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებაზე ზრუნვა, განსაკუთრებით ვაჭრობის სფეროში; (3) ხსენებული მიმართულებით პირველი ხელშეკრულებების გაფორმება, რომლებმაც მოხსნა მთელ რიგ ბაზრებზე შესვლის ეროვნული ბარიერები და საფუძველი ჩაუყარა სავაჭრო სივრცეს, რომელიც დღეს ევროკავშირის ერთიანი ბაზრის სახელითაა ცნობილი.[189] კონკურენციის სამართალს თავიდანვე მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა აღნიშნული სივრცის განვითარებასა და შენარჩუნებაში.[190] ამავდროულად, ერთიანი ბაზრის განვითარების თავისებურებებმა მისი მარეგულირებელი კონკურენციის ნორმების სპეციფიკური ხასიათიც განსაზღვრა. შედეგად, დღევანდელი ევროკავშირის კონკურენციის სამართალი თავიდანვე განსხვადებოდა მანამდე არსებული კონკურენციის სამართლის ეროვნული ჩარჩოებისგან.

---

[189] იხ. გაბრიჩიძე, გაგა, ევროპული კავშირის სამართალი, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012, https://www.slideshare.net/nvuadmin/gagagabrichidzeeurope, გვ. 1-4.

[190] Sauter, Wolf. *Coherence in EU Competition Law*, Oxford University Press, 2016, pp. 36-37.

ინტეგრაციის პროცესში კონკურენციის სამართლის მნიშვნელობის აღსაქმელად, პირველ რიგში, საჭიროა თავად ერთიანი ბაზრის მნიშვნელობა გავიაზროთ. 1950-იანი წლებიდან დაწყებული, მუდმივი გაფართოების შედეგად,[191] ეს უკანასკნელი დღესდღეობით მოიცავს ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობას და ფუნქციონირებს, ფაქტობრივად, *როგორც ერთი დიდი ეროვნული ბაზარი* - შიდა/სახელმწიფოთაშორისი საზღვრების გარეშე. ეს კი გულისხმობს, რომ ყველა ევროკავშირელს, მისი წარმოშობის ქვეყნის მიუხედავად, შეუძლია ჩაერთოს ამ მასიურ საბაზრო მექანიზმში და ისარგებლოს მისი სიკეთეებით. ხსენებული განაპირობებს ერთიანი ბაზრის მონაწილეთა კეთილდღეობის იმაზე გაცილებით მაღალ დონეს, ვიდრე ეს ნებისმიერი ეროვნული ბაზრის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ერთიანი ბაზრის შენარჩუნება დღემდე წარმოადგენს ევროკავშირის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას.[192]

აქვე ისიც უნდა განვმარტოთ, რომ სხვა ბაზრების მსგავსად, ერთიანი ბაზარიც მოწყვლადია კონკურენციის შემზღუდველ როგორც საჯარო, ისე კერძო ქმედებებთან მიმართებით. სწორედ აქ იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ევროკავშირის კონკურენციის სამართალი, რომლის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა მსგავსი ქმედების დაუშვებლობით საბაზრო ინტეგრაციის პროცესის დაცვა და ხელშეწყობა.[193]

ინტეგრაციის საკითხში კონკურენციის მარეგულირებელი ნორმების მნიშვნელობა თავიდანვე იმდენად დიდი იყო, რომ მისმა

---

[191] ავტორის შენიშვნა: ევროკავშირის სამართლის კონტექსტში, ტერმინი „გაფართოება" აღნიშნავს კავშირში ახალი წევრი სახელმწიფო(ები)ს მიღებას. დაწვრილებით იხ.: https://europa.eu/european-union/topics/enlargement_en.

[192] იხ. Consolidated Version of the Treaty on the Functioning of the European Union (TFEU), OJ C 326/47, 2012, article 26(2).

[193] ავტორის შენიშვნა: ხსენებულ ფუნქციას კონკურენციის სამართალი ახორციელებს ევროკავშირის ოთხი ძირითადი საბაზრო თავისუფლების დამცავ დებულებებთან ერთად. ერთობლივად კონკურენციისა და საბაზრო თავისუფლებების დამცავი დებულებები ქმნიან ე.წ. „უარყოფით სამართალს" (Negative Law) - ნორმების კატეგორიას, რომლებიც ერთიანი ბაზრის შენარჩუნებასა და ხელშეწყობას ცდილობენ კონკრეტული აკრძალვების დაწესების მეშვეობით. იხ. Weatherill, Stephen, *The internal market as a legal concept*, Oxford University Press, 2017, pp. 6-8; Sauter, Wolf, *Coherence in EU Competition Law*, Oxford University Press, 2016, p. 36.

მესვეურებმა ისინი პირდაპირ დამფუძნებელ ხელშეკრულებებში გაითვალისწინეს.[194] დიდი ალბათობით, ეს ფრაიბურგის სკოლის ზეგავლენით მოხდა - ამ სკოლის წარმომადგენლები მრავლად იყვნენ როგორც ხელშეკრულებების შემდგენთა, ისე მათ აღმასრულებელთა რიგებში.[195] შედეგად, გერმანიის მსგავსად, კონკურენციის დაცვას "კონსტიტუციური" სტატუსი მიენიჭა ევროკავშირშიც.

კონკურენციის სამართლის ხსენებულმა სტატუსმა და ბაზრის ინტეგრაციის პროცესისთვის მისმა მნიშვნელობამ ევროკავშირში სამართლის ხსენებული დარგის არნახული განვითარება გამოიწვია. ამას დამატებით ხელი შეუწყო როგორც ევროკავშირის ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოს, ევროკომისიის ფარგლებში საგამოძიებო და სანქციების დაწესების უფლებებით აღჭურვილი ერთეულის - კონკურენციის გენერალური დირექტორატის[196] შექმნამ, ისე (კვაზი)პრეცედენტული ძალის მქონე სასამართლო პრაქტიკის განვითარებამ. ამ უკანასკნელის საფუძველზე განიმარტა და დაკონკრეტდა დამფუძნებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონკურენციის მარეგულირებელი დებულებები.[197] მსგავსი განმარტებისა და დაკონკრეტების უფლებამ საშუალება მისცა ევროკავშირს,

---

[194] იხ. Treaty Establishing the European Coal and Steel Community (adopted 18 April 1951, entered into force Jaunary 1958). 261 UNTS 140, arts. 65-67; Treaty Establishing the European Economic Community (adopted 25 March 1957, entered into force 1 January 1958), arts. 85-94. ავტორის შენიშვნა: დღესდღეობით, ხსენებული დებულებები გათვალისწინებულია TFEU 101-109 მუხლებით.

[195] დეტალურად იხ. Gerber, David J., *Law and Competition in Twentieth Century Europe: Protecting Prometheus*, Clarendon Press Oxford, 1998, Chapter IX. საპირისპირო მოსაზრებისთვის იხილეთ Wigger, Angela, "Debunking the Myth of the Ordoliberal Influence on Post-War European Integration", in Hein, Joseph and Joerges, Christian (eds.), *Ordoliberalism, Law and the Rule of Economics*, Hart Publishing, 2017.

[196] იხ. http://ec.europa.eu/competition/.

[197] ავტორის შენიშვნა: დღესდღეობით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ხსენებული მიმართულებით მიღებული აქვს რამდენიმე ათასი გადაწყვეტილება. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ამონარიდების გაცნობისა და თანმდევი ანალიზისთვის იხ: Ezrachi, Ariel, *EU Competition Law: an Analytical Guide to Leading Cases*, 6th ed., Hart Publishing, 2018. გადაწყვეტილებათა სრული ტექსტების მოძება შესაძლებელია შემდეგ ვებ-გვერდებზე: https://curia.europa.eu/jcms/jcms/j_6/en/ და https://eur-lex.europa.eu/homepage.html.

ინტენსიურად გამოეყენებინა კონკურენციის სამართალი ერთიანი ბაზრის შენარჩუნების პროცესში.[198]

ამავდროულად, კონკურენციის სამართლის ერთიანი ბაზრის შენარჩუნების სამსახურში ჩაყენებამ, დარგის სპეციფიკური მიმართულებით განვითარებაც გამოიწვია. კერძოდ, წარმოადგენს რა ზეეროვნული კონკურენციის სამართლის ერთ-ერთ იშვიათ სისტემას,[199] ევროკავშირის კონკურენციის სამართალს დღემდე აქვს ეროვნული სამართლისათვის არადამახასიათებელი რიგი თვისებები. მაგალითად:

- ერთიანი ბაზრის შენარჩუნების ინტერესიდან გამომდინარე, კონკურენციის სამართალმა შესაძლოა კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნიოს ეროვნული სამართლის კუთხით უპრობლემო ქმედებები, რომლებიც აზიანებს ზემოხსენებული ბაზრის მთლიანობას.[200]
- ამავე ლოგიკით, შესაძლოა დაშვებულ იქნას კონკურენციის შემზღუდველი გარკვეული ქმედებების განხორციელება. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი ევროკავშირში კონცენტრაციების კონტროლის შედარებით გვიანი შემოღებაა. კონკრეტულად, ინტეგრაციის საწყის ეტაპზე, კონცენტრაციების კონტროლი სასურველად არ

---

[198] ავტორის შენიშვნა: ერთიანი ბაზრის დაცვის მიზანი კონკურენციის სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს დანიშნულებად აღიარებულია ევროკავშირის მართლმსაჯულების არაერთ გადაწყვეტილებაში. მაგალითად, იხ.: Case C-551/03 P *General Motors BV v Commission of the European Communities* [2006] ECR I-3173, ECLI:EU:C:2006:229, para. 67; Joined cases C-468/06 to C-478/06 *Sot. Lélos kai Sia EE and Others v GlaxoSmithKline AEVE Farmakeftikon Proïonton, formerly Glaxowellcome AEVE* [2008] ECR I-7139, ECLI:EU:C:2008:504, para. 65; Joined Cases C-501/06 P, C-513/06 P, C-515/06 P and C-519/06 P *GlaxoSmithKline Services Unlimited v Commission of the European Communities* [2009] ECR I-09291, ECLI:EU:C:2009:610, paras. 59, 61; Joined Cases C-403 and 429/08 *Football Association Premier League Ltd and Others v QC Leisure and Others and Karen Murphy v Media Protection Services Ltd* [2011] ECR I-9083, ECLI:EU:C:2011:631, para. 139.

[199] Sauter, Wolf, *Coherence in EU Competition Law*, Oxford University Press, 2016, p. 1.

[200] ავტორის შენიშვნა: მაგალითად, ფარმაცევტულ ინდუსტრიაში ბუნებრივად მიიჩნევა ვაჭრობაზე რიგი შეზღუდვების დაწესება, რაც განპირობებულია სხვადასხვა (მათ შორის, ინოვაციის დონის შენარჩუნებისა და პაციენტთა უსაფრთხოების) ფაქტორებით. თუმცა, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო მსგავს შეზღუდვებს კონკურენციის დარღვევად მიიჩნევს, თუ მათი მეშვეობით ხდება ერთიან ბაზარზე სახელმწიფოთაშორისი ვაჭრობის შეზღუდვა. იხ. Joined Cases C-501/06 P, C-513/06 P, C-515/06 P and C-519/06 P, *GlaxoSmithKline Services Unlimited v Commission of the European Communities* [2009] ECR I-09291, ECLI:EU:C:2009:610.

მიიჩნეოდა, რადგან ამ უკანასკნელს ხელი შეეძლო შეეშალა სხვადასხვა სახელმწიფოებში არსებული კომპანიების გაერთიანებისთვის.[201] თავის მხრივ, მსგავსი სახის გაერთიანებები/კონცენტრაციები ერთიანი ბაზრის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად ითვლებოდა.[202] კონცენტრაციების კონტროლი მხოლოდ 1989 წელს იქნა შემოღებული,[203] რადგან ამ დროისათვის უკვე აშკარა გახდა კონცენტრაციების მზარდი უარყოფითი გავლენა ერთიანი ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებაზე.[204]

ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ეს და რიგი სხვა თავისებურებები არაერთხელ გახდა მეცნიერთა კრიტიკის საგანი, განსაკუთრებით აშშ-ში, რომელსაც მთელ რიგ საკითხებზე განსხვავებული მიდგომა გააჩნია.[205] მიუხედავად ამისა, უდავოა, რომ დღესდღეობით, კონკურენციის სამართლის აღნიშნული მოდელი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია მსოფლიოში.

ევროკავშირის კონკურენციის სამართალზე დაკვირვება მრავალი კუთხითაა მნიშვნელოვანი. პირველ რიგში, ის გვიჩვენებს, რომ საბაზრო კონკურენციის რეგულირებით შესაძლებელია

---

[201] **ავტორის შენიშვნა:** ევროკავშირში კონცენტრაციების კონტროლის შემოღებასთან დაკავშირებულ პოლიტიკასთან და ზოგად სირთულეებთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ.: Schwartz, Ethan, "Politics as Usual: the History of European Community Merger Control", Yale Journal of International Law, Vol. 18(2), 1993, pp. 608-662; სტატიის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია იელის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ვებგვერდზე https://digitalcommons.law.yale.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=&httpsredir=1&article=1628&context=yjil.

[202] იხ. Council Regulation (EEC) No 4064/89 of 21 December 1989 on the Control of Concentrations Between Undertakings, OJ L 395/1, 1989; ხსენებული რეგულაცია 2004 წელს ჩაანაცვლა ახალმა აქტმა. იხ. Council Regulation (EC) No 139/2004 of 20 January 2004 on the Contron of Concentration Between Undertakings (EC Merger Regulation), OJ L 24/1, 2004.

[203] **ავტორის შენიშვნა:** ხსენებულთან დაკავშირებით, ევროკომისია ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული აფრთხილებდა დანარჩენ მმართველ ორგანოებს. მაგალითად, იხ.: European Commission, *Second Report on Competition Policy*, Office for Official Publications of the European Communities (OOPEC), 1972, pp. 10-11; European Commission, *Seventh Report on Competition Policy*, OOPEC, 1978, p. 10.

[204] **ავტორის შენიშვნა:** აღსანიშნავია, რომ ხსენებული რეგულირების შემოღებამდე, ევროკავშირში კონცენტრაციების პრობლემის დარეგულირება TFEU 102-ე მუხლის მეშვეობით სცადეს. კონკრეტულად, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ კონცენტრაციის შედეგად ბაზარზე ფაქტობრივად უკონკურენტოდ დარჩენის შემთხვევა შესაძლოა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად მიჩნეულიყო, რადგან ხსენებულ შემთხვევაში ბაზარს აშკარად ადგებოდა/ან მოკლე ხანში მიადგებოდა ზიანი. იხ. Case 6/72 *Continental Can v Commission* [1973] ECR 215, ECLI:EU:C:1973:22.

[205] დაწვრილებით, იხ. ქვეთავი 3.5.ა.

საერთო კეთილდღეობის ზრდა როგორც სახელმწიფო, ისე ზესახელმწიფო დონეზე. ასევე, ის ადასტურებს ბაზრის განვითარებისთვის კონკურენციის სამართლის ძლიერი მარეგულირებლისა და ანალოგიურად ძლიერი სასამართლოს არსებობის მნიშვნელობას. საბოლოოდ, ცხადი ხდება, რომ არ არსებობს კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის ერთი, ყველასთვის გამოსადეგი მოდელი. [206] ამ მხრივ, თითოეულ იურისდიქციას სჭირდება საკუთარ ეკონომიკურ ინტერესზე მორგებული კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა - მხოლოდ ასე ხდება შესაძლებელი ბაზრის მექანიზმის ეფექტიანობის გარანტირება.

ბ) აშშ - კონკურენცია და ჩიკაგოს სკოლა

ევროპაში კონკურენციის სამართლის აღმავლობის ზემოთ აღწერილი პროცესის დასაწყისში, აშშ-ის ანტიტრასტული სამართალი უკვე არსებობის 60 წელს ითვლიდა. ხსენებული პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად (რომელთა შორის ერთ-ერთი უკანასკნელი ჰარვარდის სკოლის იდეების გაზიარება იყო [207]), ქვეყანა 1960-იან წლებს კონკურენციის სამართლის აღსრულების საკმაოდ მკაცრი პოლიტიკით შეხვდა. ამავდროულად, ჰარვარდის სკოლის მიდგომა ბაზრის სტრუქტურასთან დაკავშირებით უკვე მწვავე კრიტიკას იწვევდა სამეცნიერო წრეებში, მასში არსებული უზუსტობების გამო. ამ მხრივ, ყველაზე აქტიური კრიტიკოსები ე.წ. ჩიკაგოს სკოლას[208] მიეკუთვნებოდნენ.

---

[206] ავტორის შენიშვნა: კონკურენციის სამართლის ეროვნულ თავისებურებებზე მორგების აუცილებლობა დღეს უკვე არაერთი სპეციალისტის მიერაა აღიარებული. კონკურენციის სამართლის ხსენებული სპეციფიკური ბუნების განხილვისთვის იხ.: Ezrachi, Ariel, "Sponge", Journal of Antitrust Enforcement, Vol. 5(1), 2017, pp. 49-75.

[207] იხ. ზემოთ.

[208] ავტორის შენიშვნა: ხსენებული სკოლა სახელწოდებას მისი დამაარსებლებიდან იღებს, რომლებიც ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორებს წარმოადგენდნენ. სკოლას არაერთი გამოჩენილი ინტელექტუალი წარმომადგენელი და მიმდევარი ჰყავს, მათ შორის: ჰარი ბეკერი (1930-2014), რონალდ კოასი (1910-2013), იუჯინ ფამა (1939--), რობერტ ფოგელი (1926-2013), მილტონ ფრიდმენი (1912-2006), ლარს პიტერ ჰანსენი (1952--), ფრიდრიკ ჰაიეკი (1899-1992), ფრენკ ნაითი (1885-1972), რობერტ ლუკასი (1937--), რიჩარდ პოსნერი (1939--) და რობერტ ბორკი (1927-2012).

ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლები, როგორც ლიბერტარიანული ეკონომიკის მიმდევრები, კლასიკოსების მსგავსად სრულად ენდობოდნენ საბაზრო მექანიზმის თვითკორექტირებად ბუნებას.[209] ამავდროულად, მათ სჯეროდა, რომ ბაზრის მონაწილეები ყოველთვის რაციონალურად მოქმედებენ გადაწყვეტილებების მიღებისას.[210] აქედან გამომდინარე, მათი კრიტიკის საგანი იყო ჰარვარდის სკოლის არაერთი იდეა. მაგალითად:

- ბაზრის დეკონცენტრაციის მომხრე (და შედეგად მცირე ბიზნესის ინტერესების დამცველი) ჰარვარდის სკოლისგან განსხვავებით, ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლებისათვის კონკურენციის ერთადერთ მიზანს ეფექტიანობის ზრდა წარმოადგენდა.[211] ისინი თვლიდნენ, რომ ბაზრის მონაწილეების რაციონალური ხასიათიდან გამომდინარე, თითოეული მათგანი იბრძოდა საკუთარი მოგების გაუმჯობესებისთვის. ამ ბრძოლაში გამარჯვებული (ანუ ყველაზე ეფექტიანი კონკურენტი) არ უნდა დასჯილიყო მხოლოდ მისი დიდი ზომის გამო.
- მიუღებელი იყო ჰარვარდის სკოლის მოსაზრება მაღალკონცენტრირებულ ბაზრებზე შესვლის მაღალი ბარიერების შესახებაც.[212] ჩიკაგოს სკოლა მიიჩნევდა, რომ მონოპოლიზების ნებისმიერი შემთხვევისას, საქონლის გაზრდილი ფასი ბაზრის გარეთ მყოფი კომპანიებისთვის ამ ბაზრის მაღალშემოსავლიანობის მანიშნებელი ხდებოდა. შედეგად, ეს უკანასკნელნი (საკუთარი რაციონალურობიდან გამომდინარე) ყოველთვის მოახერხებდნენ ბაზარზე შესვლას და დაბალი ფასის შეთავაზების საფუძველზე წაართმევდნენ კონკურენტს მონოპოლიურ ძალაუფლებას -

---

[209] Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases and Materials*, 6th ed., Oxford University Press, 2016, p. 15.

[210] იქვე.

[211] იხ. Bork, Robert, *The Antitust Paradox: A Policy at War with Itself*, Basic Books, 1978 (reprinted in 1993), pp. 90-91.

[212] Monti, Giorgio, *EC Competition Law*, Cambridge University Press, 2007, p. 64. ასევე იხ.: Hovenkamp, Herbert, "Antitrust Policy After Chicago", University of Michigan Law Review, Vol. 84, 1985, p. 227.

ანუ ბაზარი თვითკორექტირდებოდა მონოპოლიის არსებობის პირობებშიც კი.[213]

- რაციონალურობის არგუმენტიდან გამომდინარევე, ჩიკაგოს სკოლის წარმომადენლები უპრობლემოდ მიიჩნევდნენ მთელ რიგ საბაზრო ქცევებს, თუ ისინი კონკურენტების ეფექტიანობის გაზრდას ემსახურებოდა (მაგალითად, მიბმას, გადაყიდვის ფასის ფიქსირებას, მტაცებლური ფასის დაწესებას და ა.შ.).[214]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლები ბაზარზე მინიმალურ ჩარევას უჭერდნენ მხარს და ამითაც რადიკალურად განსხვავდებოდნენ ჰარვარდის სკოლისგან.[215] ანალოგიური დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ ჩიკაგოსა და ფრაიბურგის სკოლებთან მიმართებით. კონკრეტულად, ამ უკანასკნელის მიმდევართა მიერ საბაზრო კონკურენციის მეშვეობით ეკონომიკური თავისუფლების დაცვის იდეა (ჩიკაგოს სკოლის აზრით) იწვევდა ბაზარზე არსებული მცირე/სუსტი კონკურენტების გადაჭარბებულ დაცვას.[216] ეს კი წინააღმდეგობაში მოდიოდა ჩიკაგოელთა ცენტრალურ თეზისთან, რომლის მიხედვითაც კონკურენციის სამართლის ერთადერთი ფუნქციაა ეკონომიკური ეფექტიანობის გაუმჯობესება.[217]

---

[213] იქვე.

[214] იხ. Posner, Richard A., „The Chicago School of Antitrust", University of Pensilvania Law Review, Vol. 127, 1979, pp. 926-929.

[215] Pera, Alberto, "Changing Views of Competition, Economic Analysis and EC Antitrust Law", European Competition Journal, Vol. 4(1), 2008, pp. 137-140; ასევე იხ.: Posner, Richard A., „The Chicago School of Antitrust", University of Pensilvania Law Review, Vol. 127, 1979, p. 933.

[216] ავტორის შენიშვნა: კონკურენციის სამართლის მიერ მცირე ბიზნესის დაცვის კრიტიკისათვის იხ. Bork, Robert, *The Antitust Paradox: A Policy at War with Itself*, Basic Books, 1978 (reprinted in 1993), p. 426; Posner, Richard, *Antitrust Law*, 2nd ed., University of Chicago Press, 2001, p. 25.

[217] ავტორის შენიშვნა: ჩიკაგოს სკოლის მიერ ტერმინი „ეფექტიანობის" განსაზღვრება განსაკუთრებულ კრიტიკას იწვევდა რიგ ოპონენტებში. კონკრეტულად, ხსენებული სკოლის წარმომადგენლები ეფექტიანობას განმარტავდნენ, როგორც არაეფექტიანობის არარსებობას, ამ უკანასკნელს - როგორც წარმოების ხელოვნურად შეზღუდვას და შედეგად ამტკიცებდნენ, რომ წარმოების ხელოვნურად არ შემზღუდველი ნებისმიერი ქმედება კონკურენციის წამახალისებელია. კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ მსგავსი მიდგომით შეიძლებოდა თითქმის ნებისმიერი საბაზრო ქმედების გამართლება. იხ.: Fox, Eleanor and Sulivan, Lawrence, "Antitrust – Retrospective and Prospective: Where are We Coming From? Where are We going?", New York University Law Review, Vol. 62, 1987, p. 959.

ხსენებული თეზისის ჩამოყალიბებას რიგი წინაპირობები და ლოგიკური ახსნა გააჩნდა. კერძოდ: (1) ტრადიციულად, კონკურენციის სამართლის სკოლების „დამფუძნებლები" ეკონომისტებთან ერთად იურისტები, ფილოსოფოსები, პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ; შედეგად, ხსენებული სკოლების ძირითადი პოსტულატების ჩამოყალიბებისას, მხედველობაში მიიღებოდა როგორც ეკონომიკური თეორია, ისე ემპირიული დაკვირვებები და არსებული სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური რეალობა; (2) შედარებისთვის, ჩიკაგოს სკოლის „ბირთვი" მხოლოდ ეკონომისტებისგან შედგებოდა. [218] შესაბამისად, საბაზრო კონკურენციასთან დაკავშირებული დასკვნების გაკეთებისას ხსენებული სკოლა ხელმძღვანელობდა მხოლოდ ეკონომიკური თეორიით და გამიზნულად არ ეხებოდა სხვა ზემოხსენებულ სფეროებს. (3) არაეკონომიკურ სფეროთა გამიზნულ უგულვებელყოფას ჩიკაგოს სკოლა სამეცნიერო ობიექტურობის შენარჩუნების არგუმენტით ამართლებდა. მათი მოსაზრებით, კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის სასურველი მიმართულების მხოლოდ ეკონომიკური გათვლების საფუძველზე განსაზღვრა განაპირობებდა სკოლის მიმდევართა იდეების ობიექტურობას, მიუკერძოებლობასა და სხვადასხვა იდეოლოგიური ზეგავლენებისგან დაცვას; [219] (4) სწორედ ამიტომ, ჩიკაგოს სკოლა მიიჩნევდა, რომ კონკურენციის სამართლის მიზნები მხოლოდ ბაზრის ეფექტიანობის ზრდასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ეს, ერთი მხრივ, გულისხმობდა კონკურენციის სამართლებრივი ანალიზის ეკონომიკურ

---

[218] **ავტორის შენიშვნა:** თუმცა, მოგვიანებით ამ სკოლას არაერთი მიმდევარი იურისტი გამოუჩნდა, რომელთა შორის ყველაზე გავლენიანებად ითვლებიან ჩიკაგოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე/ჩიკაგოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ლექტორი რიჩარდ პოსნერი და აშშ-ს უზენაეს სასამართლოში ფედერალური მთავრობის ინტერესების ოფიციალური დამცველი (Solicitor General of the United States)/იელის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი რობერტ ბორკი. ორივე მათგანმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აშშ-ს კონკურენციის სამართლის აღმასრულებელთა მიერ ჩიკაგოს სკოლის იდეების გაზიარებას.

[219] Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases and Materials*, 6th ed., Oxford University Press, 2016, p. 19.

გათვლებზე დამოკიდებულებას, ხოლო მეორე მხრივ - მიუკერძოებლობასა და ობიექტურობას აღსრულების პროცესში.

ზემოხსენებულმა ანალიზმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა როგორც ზოგადად კონკურენციის ეკონომიკის, ისე აშშ-ის კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის განვითარებაზე.[220] პირველ რიგში, ჩიკაგოს სკოლამ აჩვენა ჰარვარდის სკოლის მიერ ჩამოყალიბებული რიგი პოსტულატების (განსაკუთრებით კი ბაზარზე კონკურენციის დონის გაუმჯობესები საკითხში მისი სტრუქტურისთვის ზედმეტი მნიშვნელობის მინიჭების) პრობლემატურობა და საშუალება მისცა ამერიკელ აღმასრულებლებს, შემოეღოთ არსებულზე მოქნილი სისტემა. გარდა ამისა, ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ხაზგასმამ წარმოშვა კონკურენციის სამართლის საქმეებში ეკონომიკური ანალიზის ინტენსიური გამოყენების საჭიროება. შედეგად, საქმეთა განხილვისას კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცა კონკრეტული ბაზრის სხვადასხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებს (და არა მარტო სტრუქტურას).

ჩიკაგოს სკოლის ბევრი აშკარა დადებითი მხარის მიუხედავად, სუსტი წერტილები მასაც გააჩნდა. მაგალითად: (1) წმინდა თეორიულ ანალიზზე დაფუძნებულობის გამო, ხსენებული სკოლის თვალთახედვის მიღმა რჩებოდა რეალურ ცხოვრებაში არსებული საბაზრო სიტუაციის მახასიათებლები. მაგალითად, ბაზრის მონაწილეთა რაციონალური ქცევის გარანტირებულობა ჩიკაგოს სკოლის იდეების ერთ-ერთი ქვაკუთხედია, თუმცა ეს მოცემულობა არ დასტურდება პრაქტიკაში.[221] (2) პრობლემატური

---

[220] Amato, Giuliano, *Antitrust and the bounds of power: the dilemma of liberal democracy in the history of the market*, Hart Publishing, 1997, pp. 20-27.

[221] Fox, Eleanor and Sulivan, Lawrence, "Antitrust – Retrospective and Prospective: Where are We Coming From? Where are We going?", New York University Law Review, Vol. 62, 1987, pp. 958-959; ავტორის შენიშვნა: მოგვიანებით, ბაზარზე მომხმარებლების ქცევის და ხსენებული ქცევის განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლით ეკონომიკის ცალკე მიმართულება (ე.წ. ქცევითი ეკონომიკა - behavioral economics) დაკავდა. ეკონომიკის ხსენებული მიმართულებისა და კონკურენციის ურთიერთკავშირის შესახებ იხ.: Garcés, Eliana, „The Impact of Behavioral Economics on Consumer and Competition Policies", Competition policy international, Vol 6(1), 2010, pp. 145-152, https://www.competitionpolicyinternational.com/assets/0d358061e11f2708ad9d62634c6c40ad/GarceswCover2.pdf.

იყოს უშუალოდ ეფექტიანობის მთავარ მიზნად ქცევის არგუმენტიც. მაგალითად, კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ ჩიკაგოს სკოლა ეფექტიანობაში მხოლოდ მასშტაბისა და მოცულობის ეფექტიანობას მოიაზრებდა, დინამიკური ეფექტიანობა (და შესაბამისად, კონკურენციის პროცესის სიჯანსაღე გრძელვადიან პერსპექტივაში) კი მათ მოდელში გათვალისწინებული არ იყო. ეს განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა იურისტებისათვის, რომლებიც კონკურენციის სამართალს ზემოხსენებული პროცესის მარეგულირებელ კანონმდებლობად მოიაზრებდნენ.[222] ეს და სხვა სუსტი წერტილები არაერთხელ გახდა როგორც ეკონომისტების,[223] ისე თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იურისტების მწვავე კრიტიკის საგანი.[224]

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჩიკაგოს სკოლის წვლილი კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის განვითარებაში მაინც უაღრესად მნიშვნელოვანია. ხსენებული სკოლის ხელშეწყობით მოხდა თანამედროვე მსოფლიოში ოპტიმალურად მიჩნეული კონკურენციის პოლიტიკის ზოგადი მოდელის განვითარება, რომელიც გულისხმობს ძლიერი აღმასრულებლისა და სასამართლო ორგანოების მიერ სათანადოდ ჩამოყალიბებული სამართლებრივი ჩარჩოს საფუძველზე განხორციელებულ აღსრულებას, რომელიც კონკრეტულ საქმეებთან მიმართებით ეფუძნება მრავალმხრივ ეკონომიკურ ანალიზს. შესაბამისად, მაქსიმალურად ხდება სამართლისა და ეკონომიკის „თანამშრომლობა" ბაზრის მექანიზმის გამართული ფუნქციონირებისთვის ხელშეწყობის მიზნით.

---

[222] Fox, Eleanor and Sulivan, Lawrence, "Antitrust – Retrospective and Prospective: Where are We Coming From? Where are We going?", New York University Law Review, Vol. 62, 1987, p. 959.

[223] ავტორის შენიშვნა: ამ მიმართულებით ეკონომიკაში განცალკევებული მიმდინარეობა, პოსტ-ჩიკაგოს სკოლაც კი ჩამოყალიბდა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. Hovenkamp, Herbert, 'Post-Chicago Antitrust: A Review and Critique", Columbia Bussiness Law Review, 2001, pp. 257-338.

[224] ავტორის შენიშვნა: ამ მიმართულებით, ერთ-ერთი უახლესი (ამავდროულად, მრავალმხრივი და სრული) ნაშრომია Pitofsky, Robert (ed.), *How the Chicago School Overshot the Mark: the Effect of Conservative Economic Analysis on U.S. Antitrust*, Oxford University Press, 2008.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ში კონკურენციის ეკონომიკის თეორიების განვითარება ჩიკაგოს სკოლით არ ამოწურულა.[225] თუმცა, ხსენებული სკოლის მსგავსი ზეგავლენა აშშ-ის ანტიტრასტულ სამართალსა და პოლიტიკაზე აღარავის მოუხდენია. შედეგად, თანამედროვე რეგულირებაში კვლავ საკმაო დოზითაა გათვალისწინებული ამ სკოლის ელემენტები.

გ) კონკურენცია და დანარჩენი მსოფლიო[226]

XX საუკუნის მე-2 ნახევრამდე კონკურენციის სამართლის თეორიისა და პრაქტიკის განვითარება ძირითადად ევროპასა და აშშ-ში ხდებოდა.[227] ხსენებულის ლოგიკური საფუძველი იყო დემოკრატიული რეჟიმით განმტკიცებული კაპიტალიზმის სწორედ ამ ტერიტორიებზე გავრცელებულობა. თუმცა, მსოფლიოში განვითარებული სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მეშვეობით, საუკუნის მიწურულს აღნიშნული მდგომარეობა შეიცვალა - კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებული ფენომენი გახდა.

ცვლილებებიდან, პირველ რიგში, ალბათ მსოფლიო ვაჭრობის გაინტენსიურებას უნდა შევეხოთ. ამ მიმართულებით, ევროპაში ჩამოყალიბებულ ერთიან ბაზარზე უკვე ვისაუბრეთ.[228] თუმცა, ეს სახელმწიფოთაშორისი ვაჭრობის გაძლიერების მხოლოდ ერთი ასპექტია - ვაჭრობასთან დაკავშირებული ეკონომიკური

---

[225] იხ. Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases and Materials*, 6th ed., Oxford University Press, 2016, pp. 20-23.

[226] ავტორის შენიშვნა: მსოფლიოს რიგ ქვეყნებში კონკურენციის სამართლის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ დაწვრილებით იხ.: Fox, Eleanor M. and Trebilcock, Michael J. (eds.), *The Design of Competition Law institutions: Global Norms, Local Choices*, Oxford University Press, 2012; Fox, Eleanor M. and Sokol, Daniel D., *Competiton Law and Policy in Latin America*, Hart Publishing, 2009; Fox, Eleanor M. and Bakhoum, Mor, *Making markets work for Africa: Markets, Development and Competition Law in Sub-Saharan Africa, Oxford University Press*, 2019; Williams, Mark, *The Political Economy of Competition Law in Asia*, Edward Eglar, 2013.

[227] ავტორის შენიშვნა: ხსენებული არ გულისხმობს ამ ორი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ კონკურენციის სამართლის სრულ არარსებობას. მაგალითად, ბრაზილიაში კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა 1930 წლიდან არსებობს, თუმცა ეფექტიანი პოლიტიკა და აღსრულება მხოლოდ 90-იანი წლებიდან დაიწყო. იხ. Todorov, Francisco Ribeiro and Filho, Marcelo Maciel Torres, „History of Competition Policy in Brazil: 1930-2010", The Antitrust Bulettin, Vol57(2), 2012, pp. 208-209.

[228] იხ. ქვეთავი 3.4.ა.

პოლიტიკის ლიბერალიზაცია ხდებოდა თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით.[229] ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი მოლაპარაკებებმა ვაჭრობის მარეგულირებელი საერთაშორისო წესების სისტემის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც ტარიფებსა და ვაჭრობაზე ზოგადი შეთანხმების (შემდგომში - „GATT 1994“) მიღებითა[230] და 1995 წლის 1-ლი იანვრიდან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (შემდგომში - „ვმო“) ამოქმედებით[231] დაგვირგვინდა.

ვაჭრობის გაინტენსიურებამ საშუალება მისცა კონკურენციის სხვადასხვა დონეზე მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის პირობებში მოქმედ მიმწოდებლებს, შეეღწიათ ერთმანეთის ეროვნულ ბაზრებზე. ხსენებულმა აშკარა გახადა სულ მცირე ორი ფაქტი: (1) ჯანსაღი კონკურენციის პოლიტიკის მქონე ქვეყნებში „გამოზრდილი“ მიმწოდებლებისთვის, კონკურენციის კანონმდებლობის არმქონე ქვეყნების ბაზრების ათვისება გაცილებით უფრო დანახარჯიანი იყო, ვიდრე კონკურენციის მეტ-ნაკლებად მსგავსი რეგულირების მქონე სახელმწიფოებში ვაჭრობის წარმოება; (2) ამავდროულად, გრძელვადიან პერსპექტივაში, კონკურენციის კანონმდებლობის არმქონე ქვეყნებში დაარსებული მიმწოდებლები ძლიერ კონკურენციას ვერ უწევდნენ ისეთ საერთაშორისო კონკურენტებს, რომლებსაც კონკურენციის სამართლის პირობებში ფუნქციონირების გამოცდილება დაგროვილი ჰქონდათ საკუთარ ეროვნულ ბაზარზე.

შედეგად, კონკურენციის კანონმდებლობის შემოღება სასურველი ჩანდა ორივე ზემოხსენებული ტიპის კომპანიისთვის: პირველთათვის ის კონკურენციის გაწევის დანახარჯებს ამცირებდა, ხოლო მეორეებს საკუთარ ქვეყანაში უქმნიდა საბაზრო კონკურენციის პირობებში ოპერირების შესწავლის საშუალებას.

---

[229] დაწვრილებით იხ.: WTO, World Trade Report 2008, II-B/"Globalisation and Trade", pp. 15-21, https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/anrep_e/world_trade_report08_e.pdf.

[230] GATT 1994: General Agreement on Tariffs and Trade 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1A, 1867 U.N.T.S. 187, 15.04.1994.

[231] იხ. WTO Agreement: Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, 1867 U.N.T.S. 154, 15.04.1994, Final Act Embodying the Results of the Uruguay Round of Multilateral Trade Negotiations, para. 3, https://treaties.un.org/doc/publication/unts/volume%201867/volume-1867-i-31874-english.pdf.

ამავდროულად, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შედეგად, XIX საუკუნის ბოლოს კაპიტალისტური ქვეყნების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. კერძოდ, 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, სოციალისტურიდან საბაზრო ეკონომიკაზე ევროპისა და აზიის კონტინენტზე მდებარე 15 სახელმწიფო გადავიდა. თითოეული მათგანისათვის, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვა ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებასთან ასოცირდებოდა. ამავდროულად, ევროპაში არსებული პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის, მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირთან შეძლებისდაგვარი ინტეგრაცია. კონკურენციის პოლიტიკის შემოღება კი ორივე ზემოხსენებული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებად მიიჩნეოდა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა აფრიკისა და ლათინური ამერიკის კონტინენტებზე, სადაც ერთი მხრივ ხდებოდა კოლონიალიზმისგან გათავისუფლება და ახალი სახელმწიფოების წარმოშობა, ხოლო მეორე მხრივ - არსებულ სახელმწიფოებში დიქტატორული რეჟიმების დემოკრატიული მმართველობით შეცვლა. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო იწყებდა ან აძლიერებდა საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულობას. შედეგად, დღის წესრიგში დგებოდა ეროვნული ბაზრის გაძლიერება - კონკურენციის სამართლის შემოღება კი ხსენებული პროცესის ერთ-ერთი თანმდევი კომპონენტი იყო.

ზემოთ ჩამოთვლილი პროცესების შედეგად, XX საუკუნის ბოლოს კონკურენციის სამართალი უკვე ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიოში. ხსენებული ძირითადად ორი - ევროკავშირისა და აშშ-ის - კონკურენციის სამართლის მოდელიდან ერთ-ერთის ზოგადი ჩარჩოს გათვალისწინებით ხდებოდა. ამან გამოიწვია ფრიად საინტერესო მდგომარეობა - კერძოდ, ევროპულ და ჩრდილოამერიკულ ეკონომიკურ რეალობას მორგებული სამართლებრივი ნორმები დაინერგა განსხვავებული სიდიდის, განვითარების დონისა და ბაზრის ამა თუ იმ გზით რეგულირების საჭიროებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრების მქონე ქვეყნებში.

ზემოხსენებულ მდგომარეობას ჰქონდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. დადებითი მხრივ, სახელმწიფოებს არ სჭირდებოდათ დამატებითი რესურსის ხარჯვა ჩარჩოს ახლიდან გამოგონებაზე. უარყოფით მხარეს კი ხსენებული ჩარჩოს ეროვნულ რეალობაზე მორგების სირთულე წარმოადგენდა. კერძოდ, ჩარჩოთა გადაღების პროცესმა კარგად წარმოაჩინა, რომ კონკურენციის სამართალი ერთნაირი ვერ იქნება ყველა ქვეყანაში. ხსენებულს განაპირობებს სამართლის აღნიშნული დარგზე მთელი რიგი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა ფაქტორების ზეგავლენა - რაც განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.[232]

ეს კონკრეტული მიგნება საკმაოდ მნიშვნელოვანია კონკურენციის სამართლის განვითარების კუთხით. კერძოდ, მის საფუძველზე აშკარაა, რომ საბაზრო ეკონომიკის განვითარება-შენარჩუნებისთვის, თითოეულ სახელმწიფოს სჭირდება საკუთარ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ რეალობაზე მორგებული კონკურენციის სამართალი. ხსენებული მიგნება დღესდღეობით მეცნიერთა და პრაქტიკოსთა გახშირებული დებატის საგანია, რომლის მიზანია ქვეყანათა საერთო მახასიათებლების საფუძველზე მათში კონკურენციის სამართლის ამოქმედების პრობლემატიკის გამოკვეთა და მათ გადასაჭრელად შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.[233]

---

[232] **ავტორის შენიშვნა:** კონკურენციის სამართლის ხსენებული სპეციფიკური ხასიათის დაწვრილებითი ახსნისთვის იხ.: Ezrachi, Ariel, "Sponge", Journal of Antitrust Enforcement, Vol. 5(1), 2017, https://academic.oup.com/antitrust/article/5/1/49/2525569.

[233] იხ.: Fox, Eleanor M. and Trebilcock, Michael J. (eds.), *The Design of Competition Law institutions: Global Norms, Local Choices*, Oxford University Press, 2012; ასევე იხ.: Fox, Eleanor M. and Sokol, Daniel D., *Competiton Law and Policy in Latin America*, Hart Publishing, 2009; Fox, Eleanor M. and Bakhoum, Mor, *Making markets work for Africa: Markets, Development and Competition Law in Sub-Saharan Africa, Oxford University Press*, 2019; Williams, Mark, *The Political Economy of Competition Law in Asia*, Edward Eglar, 2013; Drexl, Josef, Mor Bakhoum, Eleanor M. Fox, Michal S. Gal and Gerber, David J. (eds.), *Competition Policy and Regional Integration in Developing Countries*, Edward Eglar, 2012; Dowdle, Michael W., John Gillespie and Maher, Imelda, *Asian Capitalism and the Regulation of Competition: Towards a Regulatory Geography of Global Competition Law*, Cambridge University Press, 2013.

XX საუკუნის II ნახევრის „გაკვეთილები“:

- *კონკურენციის სამართალი შესაძლოა ეფექტიანად ფუნქციონირებდეს როგორც სახელმწიფო, ისე ზესახელმწიფო დონეზე. ამ უკანასკნელ დონეზე მისი გამოყენება ხელს უწყობს სახელმწიფოთა ეკონომიკურ ინტეგრაციას. თუმცა, ხსენებულ დონეებზე რეგულირების მიზნები შესაძლოა განსხვავებული იყოს.*
- *საბაზრო კონკურენციის სრულყოფილი რეგულირების მიზნით, აღსრულების პროცესში საჭიროა ინდივიდუალურ საქმეთა გარემოებების ეკონომიკური ანალიზი. ამავდროულად, ხსენებული ანალიზი არ უნდა იყოს სრულად თეორიული და უნდა გამომდინარეობდეს ბაზრის სპეციფიკიდან. საჭიროა სამართლებრივი და ეკონომიკური ანალიზის ოპტიმალური ბალანსის დაცვა.*
- *გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოში არსებობს მრავალი განსხვავებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რეალობის მქონე სახელმწიფო, კონკურენციის სამართალი ერთნაირი ვერ იქნება ყველგან. მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭიროა სამართლის ამ დარგის კონკრეტული ქვეყნების სპეციფიკაზე მორგება.*

3.5. XXI საუკუნე - კონკურენციის სამართლის ჩარჩოთა დაახლოვება

XX საუკუნის დასასრულს, კონკურენციის სამართლის მიერ საერთაშორისო აღიარების მოპოვებამ და მისმა მსოფლიოში არსებული ქვეყნების უმრავლესობაში გავრცელებამ დღის წესრიგში ახალი გამოწვევები დააყენა. ეს გამოწვევები სამ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: (1) უკვე საკმაოდ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობის მქონე ორი გიგანტის - აშშ-ისა და ევროკავშირის -

კონკურენციის სამართლებრივ დებულებათა შორის სხვაობამ სპეციფიკური ასახვა ჰპოვა ტრანსნაციონალური სავაჭრო ტრანზაქციების კონკურენციული ეფექტის შეფასებაზე. ამის შედეგად მიღებული განსხვავებული გადაწყვეტილებები კიდევ ერთხელ გახდა ხსენებული ორი სამართლებრივი ჩარჩოს შეძლებისდაგვარი დაახლოვების შესახებ დებატების გაძლიერების საფუძველი; (2) კიდევ უფრო გამოიკვეთა ე.წ. „სამართლებრივი ტრანსპლანტების" პრობლემა - ანუ სიტუაცია, როდესაც „ახალგაზრდა" კონკურენციის რეჟიმებში ეფექტურად ვერ მოქმედებდა მათი კონკურენციის კანონმდებლობის საფუძვლად აღებული ევროპული თუ ამერიკული მოდელი; (3) ზემოხსენებული და რიგი სხვა ფაქტორებიდან (მაგალითად, მსხვილი საერთაშორისო კორპორაციების ქმედებების რეგულირების პრობლემატიკიდან) გამომდინარე, ჩამოყალიბდა და გაძლიერდა საერთაშორისო თანამშრომლობა კონკურენციის სამართლებრივ საკითხებზე. ჩამოთვლილი საკითხები მოკლედაა განხილული ქვემოთ.

ა) ევროკავშირი და აშშ

XX საუკუნის მე-2 ნახევარში აშშ-ის მიერ ჩიკაგოს სკოლის იდეების გაზიარებამ, მაშინ როდესაც ევროპა „ტრადიციული" კონკურენციის სამართლის მომხრე რჩებოდა, გარკვეულწილად დაძაბა ურთიერთობა ორ იურისდიქციას შორის. კერძოდ, კონკურენციის ჩარჩოებს შორის განსხვავებულობის გამო, ევროკომისიამ არ დაუშვა ტრანსატლანტიკური კონცენტრაციის რამდენიმე ისეთი შემთხვევა, რომელიც აშშ-ის კონკურენციის მარეგულირებელს პრობლემატურად არ მიაჩნდა. ხსენებულს შედეგად მოჰყვა ევროკავშირის კრიტიკა და მოწოდება კონკურენციის პოლიტიკაში შესაბამისი ცვილებებისკენ.[234]

[234] მაგალითად იხ.: Kolasky, William J, "What is Competition? A Comparison of U.S. and European Perspectives", The Antitrust Bulettin, Vol. 49, 2014; Fox, Eleanor, "We Protect Competition, You Protect Competitors", World Competition, Vol. 23, 2003.

ხსენებული სიტუაცია ერთ-ერთი ბოლო ფაქტორი აღმოჩნდა იმ ჯაჭვში, რამაც ევროკომისიას საკუთარი მიდგომების რადიკალური გადახალისებისკენ უბიძგა. პროცესი ჯერ კიდევ 1990-იანი წლების შუა ხანებიდან დაიწყო, როდესაც ჩიკაგოს სკოლის იდეებმა (გვიან, მაგრამ მაინც) ევროპაშიც შეაღწია და აღმასრულებლები საკუთარ საქმიანობაში ეკონომიკური ანალიზის მეტი დოზით გამოყენებაზე დააფიქრა.[235]

ჩიკაგოს სკოლის იდეოლოგიას ევროკავშირში ნოყიერი ნიადაგი დახვდა: (1) დაგროვილი აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკა მიანიშნებდა კონკურენციის სამართლის საქმეებში ეკონომიკური ანალიზის დოზის გაზრდის საჭიროებას; (2) ხსენებული ანალიზი განსაკუთრებით საჭირო გახდა 1989 წელს კონცენტრაციების კონტროლის შემოღებით, რადგან ამ უკანასკნელთა დაშვება-არდაშვების საკითხი მნიშვნელოვნად ეფუძნებოდა ეკონომიკურ მტკიცებულებებს. [236] ამ ყველაფერმა საფუძველი დაუდო 1990-იანი წლების მიწურულსა და 2000-იანი წლების დასაწყისში ევროკავშირში განხორციელებულ კონკურენციის სამართლის ე.წ. "მატერიალურ მოდერნიზაციას".[237]

ზემოხსენებული მოდერნიზაციის შედეგად, ევროკავშირში დამკვიდრდა ე.წ. „უფრო მეტად ეკონომიკური მიდგომის" (more economic approach) მოდელი, რომლის თანახმადაც საჭირო გახდა საქმეთა შედარებით უფრო დეტალური, ეკონომიკური ანალიზი.[238] ამით ევროკავშირმა ნაწილობრივ გაიზიარა ამერიკული გამოცდილება. ამავდროულად, კვლავ ძალაში რჩება დამფუძნებელი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული კონკურენციის სამართლის მარეგულირებელი დებულებები და მათი განმმარტებელი საკმაოდ მდიდარი სამოსამართლო

---

[235] იხ. Gerber, David J., „Two Forms of Modernization in European Competition Law", Fordham International Law Journal, Vol. 31, 2008, p. 1248.

[236] Pera, Alberto, "Changing Views of Competition, Economic Analysis and EC Antitrust Law", European Competition Journal, Vol. 4(1), 2008, pp. 150-151.

[237] დაწვრილებით იხ.: Gerber, David J., „Two Forms of Modernization in European Competition Law", Fordham International Law Journal, Vol. 31, 2008.

[238] იხ.: Witt, Anne C, „The Enforcement of Article 101 TFEU: What has Happened to the Effects Analysis?", Common Market Law Review, Vol. 55, 2018, pp. 421-423. აღსანიშნავია, რომ ამავე სტატიაში ავტორი აჩვენებს 101-ე მუხლთან მიმართებით ეკონომიკური ანალიზის მოსალოდნელზე შედარებით სიმწირეს.

სამართალი - ეს უკანასკნელნი კი (აშშ-ის სამართლისგან განსხვავებით) უთითებენ, რომ ევროკავშირის ვერ მოახდენს კონცენტრირებას მხოლოდ ეკონომიკურ მიდგომებსა და ეფექტიანობის გაზრდაზე. აქ კვლავ ძალაში რჩება ბაზრის ინტეგრაციისა და კონკურენციის, როგორც დინამიკური პროცესის, დაცვის ინტერესები.

ზემოხსენებული ისტორია კარგად აჩვენებს, რომ კონკურენციის სამართალი მუდმივად ვითარდება და იცვლება, მისი „ასაკის" მიუხედავად. ხსენებული ზრდის პროცესში, ის ითვალისწინებს როგორც კონკრეტული იურისდიქციის შიგნით, ისე მის გარეთ/საერთაშორისო სივრცეში არსებულ ეკონომიკურ და სამართლებრივ რეალობას. თუმცა, არსებობს კანონმდებლობით დადგენლი (ან ნაგულისხმევი) არსებითი პრინციპები, რომლებიც დაცული უნდა იქნას ნებისმიერი ცვლილების პროცესში. ხსენებული პრინციპების დაცვა ნებისმიერი ცვლილების საკუთარ საბაზრო რეალობაზე მორგებისა და საბოლოო ჯამში, მისი ეფექტიანობის გარანტირების ერთ-ერთი უტყუარი საშუალებაა.

ბ) სამართლებრივი ტრანსპლანტები

სწორედ ცვლილებების საკუთარ საბაზრო რეალობაზე მორგების სირთულეს უკავშირდება ე.წ. „სამართლებრივი ტრანსპლანტების" პრობლემა. ხსენებულმა პრობლემამ კონკურენციის სამართალში განსაკუთრებით XXI საუკუნის დასაწყისიდან იჩინა თავი, როდესაც აღმოჩნდა, რომ „ახალგაზრდა" კონკურენციის სამართლის მქონე სახელმწიფოებში ხსენებული სამართლის დარგი ყოველთვის ერთნაირი ეფექტიანობით ვერ მოქმედებდა. ამან კი დღის წესრიგში დააყენა იმისი განხილვის საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ამა თუ იმ იურისდიქციაში (მაგალითად, აშშ-ში ან ევროკავშირში) არსებული სამართლის ნორმების მსგავსი სახელმწიფოს მიერ გადაღება.

მეცნიერულ კვლევას ხსენებულზე ნაწილობრივ პასუხი უკვე გაცემული ჰქონდა [239] - სამართლის ნორმების ბრმა გადაღება

[239] იხ. ზემოთ.

არაფრის მომტანი იყო ამ ნორმების ეროვნულ რეალობაზე მორგების გარეშე. ეს დებულება XXI საუკუნეში კიდევ უფრო დაკონკრეტდა. კერძოდ განიმარტა, რომ საჭირო იყო არა მარტო კონკურენციის მარეგულირებელი მატერიალური კანონმდებლობის ამოქმედება, არამედ მისი უზრუნველყოფა მძლავრი და ეფექტური აღმასრულებელი მექანიზმით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტრანსპლანტს შესაძლოა ზიანი არ მოეტანა, მაგრამ ის ვერც სარგებელს წარმოშობდა.[240]

ხსენებულმა მიგნებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა კონკურენციის სამართლის ეფექტიანობისთვის შესაბამისად ძლიერი აღმასრულებლის არსებობის აუცილებლობა. ამავდროულად, მან კიდევ უფრო ფართოდ გაუხსნა გზა XX საუკუნის დასასრულს გაინტენსიურებულ გამოცდილების გაცვლის პროცესს, რაც საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის არაერთ ფორმატში გამოიხატა.

გ) საერთაშორისო თანამშრომლობა

წინა ქვეთავში ხსენებული თანამშრომლობა წლების განმავლობაში მტკიცდებოდა კონკურენციის მარეგულირებლებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებებით.[241] თუმცა, XXI საუკუნის მიღწევას ე.წ. კონკურენციის ქსელების ჩამოყალიბება წარმოადგენდა. კერძოდ, 2001 წელს შეიქმნა კონკურენციის საერთაშორისო ქსელი (International Competition Network),[242] ხოლო 2004 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო კონკურენციის ევროპულმა ქსელმა (European Competition Network).[243]

---

[240] იხ.: Ma, Tay-Cheng, "Legal Transplant, Legal Origin and Antitrust Effectiveness", Journal of Antitrust Law and Economics, Vol. 9(1), 2013, pp. 65-88.

[241] ავტორის შენიშვნა: მსგავსი სახის თანამშრომლობის დეტალური განხილვისთვის იხ.: Zanettin, Bruno, *Cooperation Between Antitrust Agencies at the International Level*, Hart Publishing, 2002.

[242] ავტორის შენიშვნა: აღნიშნული ქსელის შექმნის ისტორიის დეტალურად გაცნობისთვის იხ.: Janow, Merit E. And Lewis, Cynthia R., "International Antitrust and Global Economy: Perspectives on The Final Report and Recommendations of the International Competition Policy Advisory Committee to the Attorney General and the Assistant Attorney General of Antitrust", World Competition, Vol. 24(1), 2001.

[243] იხ.: http://ec.europa.eu/competition/ecn/faq.html.

კონკურენციის საერთაშორისო ქსელი [244] წარმოადგენს მსოფლიოში არსებული კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოებისგან შემდგარ ვირტუალურ ქსელს, რომელიც ხელს უწყობს ამ უკანასკნელებს შორის თანამშრომლობას. [245] წევრობა შეუძლია ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელსაც დაფუძნებული აქვს კონკურენციის მარეგულირებელი ორგანო რაიმე სახით. დღესდღეობით, ხსენებული ქსელი ფუნქციონირებს ხუთი ძირითადი სამუშაო ჯგუფის - კონცენტრაციების/შერწყმების, კარტელების, ერთპიროვნული ქმედებების, ადვოკატირებისა და სააგენტოს ეფექტურობის ჯგუფების მეშვეობით. მათში მუშაობის შედეგად შექმნილი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა მარეგულირებლისთვის და მიზნად ისახავს მათ მიერ კონკურენციის ეფექტიანი აღსრულების ხელშეწყობას. ქსელის მიერ გამოცემული დოკუმენტები მართალია სარეკომენდაციო ხასიათისაა, მაგრამ ღირებულ ინფორმაციას შეიცავს კონკურენციის მარეგულირებელთათვის თვითგაუმჯობესების პროცესში.

ხსენებულისგან განსხვავებით, ევროპის კონკურენციის ქსელი [246] ევროკავშირსა და მისი წევრი სახელმწიფოებს შორის აღსრულების პროცესში საჭირო ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით შექმნილი ინსტიტუტია. მას კონკურენციის საერთაშორისო ქსელზე გაცილებით უფრო ფორმალური ხასიათი აქვს, რადგან წარმოადგენს კონკურენციის სამართლის დარღვევების გამოძიებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ევროკავშირის ქვეყნებს შორის ცირკულაციის არხს. ამავდროულად, მის ფარგლებში ასევე მზადდება რიგი რეკომენდაციები და ასევე ქვეყნდება ე.წ. ECN Brief - ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში კონკურენციის სამართალთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შემაჯამებელი დოკუმენტი. ევროკავშირის კონკურენციის სამართლის სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, მიმდინარეობს მუდმივი

---

[244] იხ.: https://www.internationalcompetitionnetwork.org/.

[245] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 9th ed., Oxford University Press, 2018, p. 514.

[246] იხ.: http://ec.europa.eu/competition/ecn/index_en.html.

მუშაობა ქსელის მეშვეობით ინფორმაციისა და გამოცდილების გადაცემის პროცესისა და ფორმების გაუმჯობესებაზე. ხსენებული მუშაობის უახლესი შედეგია ECN+ დირექტივა, [247] რომლის იმპლემენტირების შემდგომაც წევრ სახელმწიფოებს შეეძლებათ გაცილებით მარტივად და ეფექტურად მოქმედება საგამოძიებო ინფორმაციის გაცვლის საკითხებში.

გარდა ხსენებული ქსელებისა, კონკურენციის ხელშეწყობისათვის საერთაშორისო დონეზე მუშაობს კიდევ რამდენიმე ორგანიზაცია: (1) OECD [248] - ამ დროისათვის, ეკონომიკური თანამშომლობისა და განვითარების ორგანიზაციას გამოქვეყნებული აქვს არა ერთი გზამკვლევი და რეკომენდაცია კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების შეფასებისა და აღსრულების ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით. (2) UNCTAD[249] - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია დღემდე მნიშვნელოვან ტექნიკურ დახმარებას უწევს განვითარებად ქვეყნებს საკუთარი კონკურენციის სამართლის ფორმირებაში. [250] საბოლოოდ, კონკურენციის სამართლის განვითარებასთან დაკავშირებული დებულებები შეტანილია არაერთ რეგიონალური ინტეგრაციის ხელშეკრულებაში.

XXI საუკუნის დასაწყისის „გაკვეთილები“:

- *კონკურენციის სამართალი მუდმივად იცვლება და ადაპტირდება ცვალებად ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ რეალობასთან. თუმცა, ამავდროულად, აუცილებელია მისი ეროვნულ ბაზართან დაკავშირებული სპეციფიკის მუდმივად შენარჩუნება.*

---

[247] Directive (EU) 2019/1 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 to empower the competition authorities of the Member States to be more effective enforcers and to ensure the proper functioning of the internal market, OJ L 11/3, 14.01.2019.

[248] იხ.: https://www.oecd.org/.

[249] იხ.: https://unctad.org/en/Pages/Home.aspx.

[250] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 9th ed., Oxford University Press, 2018, p. 516.

- *კონკურენციის სამართლებრივი ტრანსპლანტები ეფექტიანად იფუნქციონირებენ ორ შემთხვევაში: (1) თუ ხდება მატერიალურ-სამართლებრივი ჩარჩოს იმ ბაზრის რეალობაზე მორგება, რომელიც ამ ჩარჩომ უნდა დაარეგულიროს; (2) თუ მოხდება ამ ჩარჩოს აღსრულება ძლიერი, ეფექტიანი აღმასრულებლის მიერ.*
- *კონკურენციის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რადგან ამ გზით ხდება არა მარტო გამოცდილების გაზიარება, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკური დახმარების მიღებაც.*

3.6. კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის განვითარება საქართველოში[251]

საქართველოს კონკურენციის სამართალსა და პოლიტიკას ორი „სიცოცხლე" აქვს. პირველი 1992 წელს დაიწყო, როდესაც ახლად შექმნილმა რესპუბლიკამ სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებად მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვა და თავისუფალი საბაზრო კონკურენციის ხელშეწყობა აირჩია.[252] ეს პერიოდი საქართველოში ორი პარალელური პროცესით გამოირჩეოდა: (1) ხდებოდა გეგმირებულიდან საბაზრო ეკონომიკაზე ეტაპობრივი გადასვლა; (2) მიმდინარეობდა ხსენებული ეკონომიკის (და ზოგადად დამოუკიდებელი

[251] **ავტორის შენიშვნა:** ხსენებული საკითხი სრულყოფილად აქვს გამოკვლეული რამდენიმე ავტორს. მაგალითად, იხ.: ფეტელავა, სლავა „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში", გამომცემლობა „ლოი", 2007, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6152/1/Fetelava_Slava.pdf; Lapachi, Ketevan, "A critical analysis of competition law reforms in Georgia for the past 20 years", in *Dimensions of Competition Law and Policy* Office of Competition and Consumer Protection, Warsaw, 2014. პროცესის უკეთ გააზრებისთვის, ასევე რეკომენდირებულია Papava, Vladimer, *Economic Reforms in Post-Comunist Georgia (Twenty Years After)* Caucasus Region Political, Economic and Security Issues, Nova Science Publishers Inc., 2013, სადაც დაწვრილებითაა განხილული საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი 20 წლის განმავლობაში განხორციელებული ძირეული რიგი მნიშვნელოვანი რეფორმები.

[252] ფეტელავა, სლავა „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში", გამომცემლობა „ლოი", 2007, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6152/1/Fetelava_Slava.pdf, გვ. 99-100.

სახელმწიფოს) გამართულად ფუნქციონირებისათვის საჭირო ინსტიტუტების ფორმირება.[253]

კონკურენციის სამართალს, რომელსაც 90-იანი წლების საქართველო ანტიმონოპოლიური სამართლის სახელით იცნობდა, ხსენებულ პროცესებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. კერძოდ: (1) საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, სამართლის ამ დარგის ხელშეწყობით იგეგმებოდა ბაზრის გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მთელი რიგი რესურსების (საწარმოების, მიწის, ა.შ.) სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში გადასვლა; (2) ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტებს მორგებული კონკურენციის სამართლებრივი ნორმების დამკვიდრებით, ხელი ეშლებოდა საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციას კერძო სექტორის რიგი წარმომადგენლების ხელში და ამავდროულად, ხელი ეწყობოდა ეროვნულ ბაზარზე კონკურენციის ჯანსაღი წესების დამკვიდრებას. ზემოხსენებულის უზრუნველსაყოფად, საქართველოში 1996 წელს შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო [254] და ჩამოყალიბდა აღმასრულებელი ორგანო - ანტიმონოპოლიური სამსახური.

განვითარების საწყის ეტაპზე, საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა აშშ-ის ანტიტრასტული კანონმდებლობის მოდელის მიხედვით იყო აგებული. ხსენებული გარკვეულწილად განაპირობა როგორც შესაბამისი ჩარჩოს შემუშავების პროცესში ამერიკელი ექსპერტების აქტიურმა ჩართულობამ, ისე ჩარჩოს განვითარებისა და აღსრულების

---

[253] იხ. Papava, Vladimer, *Economic Reforms in Post-Comunist Georgia (Twenty Years After)*, Caucasus Region Political, Economic and Security Issues, Nova Science Publishers Inc., 2013, p. 2. ავტორის შენიშვნა: ამავე წიგნის 3-7 გვერდებზე აღწერილია ხსენებული პროცესის სიძნელეები, საქართველოში არსებული მთელი რიგი გარემოებებიდან გამომდინარე. ზოგადად, ხსენებული ორი პროცესი ერთი ხელის მოსმით არ დასრულებულა - ის თითქმის მთელი 90-იანი წლების განმავლობაში გრძელდებოდა, მუდმივი ექსპერიმენტირების პირობებში. ხსენებული ეხებოდა ანტიმონოპოლიური ჩარჩოს განვითარებასაც.

[254] იხ. საქართველოს კანონი "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ", პარლამენტის უწყებანი, 22-23, 30.07.1996 (ძალადაკარგულია 11.07.2005-დან), https://matsne.gov.ge/ka/document/view/31462?publication=3.

გაუმჯობესების პროცესში ინტენსიურმა დახმარებამ.[255] ამავდროულად, ხსენებულმა მოდელმა საქართველოში თავისი სპეციფიკაც შეიძინა, რასაც თავისი დადებითი და უარყოფითი მხრეების ჰქონდა. კერძოდ, ერთი მხრივ, ამ მოდელში ცვლილებების შეტანა დაეხმარა საქართველოს მის წინაშე მდგარი პრობლემების შედარებით მოკლე ვადაში გადაწყვეტის პროცესში. მეორე მხრივ, ხსენებულს რიგი უარყოფითი შედეგებიც მოჰყვა გრძელვადიან პერსპექტივაში კონკურენციის სამართლის განვითარების კუთხით.

მაგალითისთვის, ქართული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და აღსრულების სამი თავისებურება შეგვიძლია გამოვყოთ: (1) გეგმირებულიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, საქართველოს მთელ რიგ ბაზრებზე საჭირო გახდა ფასების გარკვეულწილი კონტროლი,[256] რაც მცირე ხნით ანტიმონოპოლიურ სამსახურს დაევალა.[257] მიუხედავად ამისა, საზოგადოებაში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ხსენებული კონტროლი (და ზოგადად, რიგი საბაზრო ქმედებების პირდაპირი კონტროლი) კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს მთავარი დანიშნულებაა. ხსენებულ მცდარ მოსაზრებასთან ბრძოლა კონკურენციის აღმასრულებელ ორგანოს დღემდე სჭირდება. (3) დემონოპოლიზებაზე და საჯარო სექტორის მიერ ბაზარზე ძალაუფლების არქონაზე ფოკუსის პარალელურად, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა კონცენტრაციების მინიმალური კონტროლით გამოირჩეოდა. კერძოდ, იკრძალებოდა სახელმწიფო ორგანოების მიერ რიგი საწარმოების შერწყმა,[258] ხოლო მონოპოლიური მდგომარეობის მქონე პირს ევალებოდა შესაბამისი

---

[255] ფეტელავა, სლავა „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში", გამომცემლობა „ლოი", 2007, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6152/1/Fetelava_Slava.pdf, გვ. 111 და შემდგომნი.

[256] Papava, Vladimer, *Economic Reforms in Post-Comunist Georgia (Twenty Years After)*, Caucasus Region Political, Economic and Security Issues, Nova Science Publishers Inc., 2013, p. 45.

[257] ფეტელავა, სლავა „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში", გამომცემლობა „ლოი", 2007, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6152/1/Fetelava_Slava.pdf გვ. 36-37.

[258] საქართველოს კანონი "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ", პარლამენტის უწყებანი, 22-23, 30.07.1996 (ძალადაკარგულია 11.07.2005-დან), https://matsne.gov.ge/ka/document/view/31462?publication=3, მუხლი 10, ქვეპუნქტი ა.

ექსპერტიზის გავლა ხსენებული ქმედების განხორციელებისას.[259] შედეგად, აღმასრულებლის კონტროლს გარეთ რჩებოდა ბაზრის კონცენტრაციის ისეთი სახეები, რომლებიც მართალია არ შეიცავდა მონოპოლიზების ელემენტებს, მაგრამ მაინც უარყოფით გავლენას ახდენდა საბაზრო კონკურენციაზე. (3) ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას არ გააჩნდა მხოლოდ მასზე ორიენტირებული აღმასრულებელი - ანტიმონოპოლიური სამსახურის ფუნქციებში შედიოდა როგორც კონკურენციის, ისე მომხმარებელითა უფლებების დაცვისა და რეკლამის შესახებ კანონმდებლობის აღსრულება. ეს საკმაოდ ართულებდა ახლადშექმნილი აღმასრულებლის ფუნქციონირებას.[260]

ზემოხსენებულმა სპეციფიკამ, ავტორის აზრით, გამოიწვია სულ მცირე ორი უარყოფითი შედეგი: (1) როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში შეიქმნა გარკვეულწილად არასწორი წარმოდგენა კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის „კლასიკურ" ფუნქციებთან დაკავშირებით. კერძოდ, ეს უკანასკნელი იმდენად მჭიდროდ დაუკავშირდა დემონოპოლიზაციის პროცესს,[261] რომ მისი დასრულების შემდგომ გართულდა კონკურენციის სამართლის ტრადიციული გაგებით გამოყენება საქართველოს პრაქტიკაში; (2) აღმასრულებლის გადატვირთვამ სამი სხვადასხვა სფეროს (კონკურენცია, მომხმარებელთა უფლებები, რეკლამა) რეგულირებით ხელი შეუშალა ამ უკანასკნელს, სრული კონცენტრაცია მოეხდინა „წმინდა" კონკურენციის სამართლებრივ საკითხებზე. შედეგად, დემონოპოლიზაციის პროცესის დასრულების შემდგომ (განსაკუთრებით, XXI საუკუნის პირველ წლებში), საქართველოს კონკურენციის სამართალსა და პოლიტიკას გარკვეული იდენტობის კრიზისი დაუდგა - საკითხავი გახდა, სახელმწიფო მონოპოლიებისგან მეტ-ნაკლებად გათავისუფლებულ

---

[259] იგივე. მუხლი 14, ქვეპუნქტი 1.

[260] ფეტელავა, სლავა „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში", გამომცემლობა „ლოი", 2007, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6152/1/Fetelava_Slava.pdf გვ. 59-67.

[261] იხ. Lapachi, Ketevan, "A critical analysis of competition law reforms in Georgia for the past 20 years", in *Dimensions of Competition Law and Policy* (Office of Competition and Consumer Protection, Warsaw, 2014), სადაც ავტორი საუბრობს ხსენებული მჭიდრო ურთიერთკავშირის შესახებ.

ბაზარზე საერთოდ საჭირო იყო თუ არა კონკურენციის სამართლის არსებობა.

აღნიშნულ სიტუაციას დაემატა გაძლიერებული ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურების გამარტივებასა და მათი ეფექტიანობის გაზრდაზე იყო ორიენტირებული. ამ პოლიტიკის მესვეურთათვის (რომელთა გარკვეულ ნაწილს განათლება აშშ-ში ჰქონდა მიღებული და შედეგად, დიდი ალბათობით, ჩიკაგოს სკოლის მოსაზრებებს იყო ნაზიარები ანტიტრასტთან დაკავშირებით), მიუღებელი აღმოჩნდა იდენტობის კრიზისდამდგარი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის არსებული წესით გაგრძელება.

ზემოაღნიშნული აშკარად გამოიკვეთა 2005 წლის საკანონმდებლო ცვლილებებში, რომლებსაც ალბათ მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. კონკრეტულად, ამ წელს, კანონით „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ [262] დადგინდა, რომ საქართველოში კონკურენციის შეზღუდვად მხოლოდ ბაზარზე სახელმწიფოს მიერ კონკრეტული სახის ჩარევები მიიჩნეოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველომ მიიღო კონკურენციის კანონმდებლობა, რომელიც არ არეგულირებდა ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვას თავად კონკურენტების მხრიდან.

განსახილველი მიდგომის უარყოფითი შედეგები სულ მალე გამოიკვეთა საბაზრო კონცენტრაციის გაზრდილი დონის და შესაბამისი საბაზრო პრობლემების სახით. [263] თუმცა, არსებითი საკანონმდებლო ცვლილებები 2014 წლამდე არ განხორციელებულა.[264]

---

[262] საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 27.06.2005 (ძალადაკარგულია 23.07.2012-დან), ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29644?publication=6.

[263] იხ. მაგალითად, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში, 2012, ხელმისაწვრომია: https://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Competition%20Policy%20in%20Georgia%20%28GEO%29.pdf.

[264] ავტორის შენიშვნა: უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენციის სამართლის „კლასიკური“ ინსტრუმენტები (კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების რეგულირების, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და კონცენტრაციების კონტროლის) გათვალისწინებული იყო 2012 წლის კანონში „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“. თუმცა, ამ კანონის რეალური გამოყენება 2014 წლის ცვლილებების შედეგად იწყება,

2014 წლის ცვლილებების შედეგად კი, საბოლოოდ მოხდა საქართველოში კონკურენციის სამართლის „ტრადიციულ" რელსებზე დაბრუნება. კერძოდ, აიკრძალა კონკურენციის შემზღუდველი ქმედებები როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის მხრიდან და შეიქმნა შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო - საქართველოს კონკურენციის სააგენტო. [265] ქართული კონკურენციის სამართლის მეორე „სიცოცხლე" სწორედ ამ მომენტიდან იწყება.

ახალი რეგულირების პირობებში, კონკურენციის სამართალი და აღსრულება ევროკავშირში არსებულ მოდელს ეფუძნება. ეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების[266] გაფორმებამ განაპირობა, რომლის მიხედვით დაპირებული სარგებლის - ევროკავშირის ბაზრის ქართული საქონლისათვის თითქმის სრულად გახსნის - რეალიზების ერთ-ერთი წინაპირობაა ქვეყანაში კონკურენციის მარეგულირებელი ეფექტიანი ჩარჩოს არსებობა. [267] შესაბამისად, საქართველოში კონკურენციის სამართლის განვითარება მჭიდროდაა გადაჯაჭვული არა მარტო ეროვნული ბაზრის სიჯანსაღის გარანტირების, არამედ ევროპული ბაზრის ათვისების მიზანთანაც. სწორედ ამიტომ, ქართული კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის განვითარების პროცესში, ევროკავშირის გამოცდილება ინტენსიურად გამოიყენება.[268]

როდესაც გათვალისწინებულ იქნა შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს - კონკურენციის სააგენტოს - ჩამოყალიბება. იხ. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებ-გვერდი), 25.05.2012 (2014 წლის 21 მარტის ცვლილებების გათვალისწინებით), https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4.

[265] იხ. http://competition.ge/ge/page2.php?p=1&m=7.

[266] იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებ-გვერდი), 11.09.2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0.

[267] იგივე, კარი IV, თავი X.

[268] ავტორის შენიშვნა: აღნიშნული დასტურდება საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული არაერთი ინფორმაციით, მათ შორის - კონკურენციის კანონმდებლობის განმარტების მიზნით შემუშავებული რიგი გზამკვლევებით, რომლებიც ინტენსიურად ეყრდნობიან ევროკავშირის ადმინისტრაციულ და სასამართლო პრაქტიკას. იხ. http://competition.ge/ge/page2.php?p=6&m=35.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ახალი და 1990-იან წლებში მოქმედი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად განსხვავდება შინაარსობრივი კუთხითაც. გამოსაყოფია სულ მცირე სამი დეტალი: (1) რეგულირების გაცილებით ფართო დიაპაზონი კონკურენციის სამართლებრივ საკითხებში, აწ უკვე კონცენტრაციების კონტროლის მარეგულირებელი ნორმების ჩათვლით; (2) აღმასრულებლის ფოკუსირება მხოლოდ კონკურენციის სამართლის აღსრულებაზე; (3) აღმასრულებლის გაზრდილი უფლებამოსილებები, მათ შორის - კონკურენციის დარღვევის საქმეებზე გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლებამოსილება.

საქართველოს კონკურენციის სამართლის ისტორია კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმისა, თუ რა დიდი ზეგავლენა შეუძლია მოახდინოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა სამართლის ამ დარგის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ამავდროულად, ხსენებული ზეგავლენა ორმხრივიც შეიძლება იყოს - კერძოდ, საქართველოს შემთხვევაში, სამართლის ხსენებული დარგისა და მისი აღსრულების სრულყოფილმა განვითარებამ შესაძლოა მოიტანოს როგორც ეროვნული ბაზრის გაძლიერება, ისე ევროპასთან საბაზრო ინტეგრაცია.

4. მიზნები[269]

როგორც ისტორიულმა მიმოხილვამ აჩვენა, კონკურენციის სამართლის ჩარჩო კონკრეტულ იურისდიქციაში (სახელმწიფოში, საერთაშორისო თუ სუპრანაციონალურ ორგანიზაციაში) სასურველია სრულად შეესაბამებოდეს ამ უკანასკნელის სამართლებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეალობას. ამავდროულად, ისიც აშკარაა, რომ ხსენებულ რეალობა შესაძლოა დიამეტრალურად განსხვავდებოდეს დიდი და მცირე ეკონომიკის,

[269] **ავტორის შენიშვნა:** კონკურენციის სამართლის მიზნებთან დაკავშირებით მსოფლიოში არსებობს საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა. ამ მხრივ, საკმაოდ საინტერესო მიმოხილვისთვის იხ.: Lianos, Ioannis, „Some Reflections of the Question of Goals of the EU Competition Law", CLES Working Paper Series 3/2013, 2013, https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2235875, p. 1 და ამავე ნაშრომის N3-4 სქოლიოში მითითებული ლიტერატურა.

განვითარებად და განვითარებულ, „წმინდა“ კაპიტალისტურ და სოციალური საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სხვადასხვა რეალობაში დამკვიდრებულ კონკურენციის სამართალს გააჩნდეს განსხვავებული მიზნები.

ეს დასტურდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული კონკურენციის რეჟიმების გადახედვით. მაგალითად, აშშ-ში ძლიერია მოძრაობა, რომელიც ანტიტრასტული სამართლის მთავარ მიზნად ბაზრის ეფექტიანობის მიღწევას მიიჩნევს. [270] ევროკავშირში, მისი დაარსებიდან მოყოლებული, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საბაზრო ინტეგრაციის მიზანი. [271] სამხრეთ აფრიკის კონკურენციის კანონმდებლობა აპართეიდის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ხელში არსებული ქონების ზრდასაც ითვალისწინებს[272] და ა.შ.

გარდა ამისა, მიზნები მრავალფეროვანია არ მარტო იურისდიქციების მიხედვით, არამედ მათ შიგნითაც. ამის ნათელი მაგალითია ევროკავშირი, სადაც დღესდღეობით სახეზეა, სულ მცირე, შემდეგი მიზნები - მომხმარებელთა კეთილდღეობა (consumer welfare/well-being), ბაზარზე კონკურენციის ეფექტიანი სტრუქტურის/პროცესის დაცვა, ბაზრის ინტეგრაცია, ეკონომიკური თავისუფლება და პლურალიზმი, ინოვაციის ხელშეწყობა და სამართლიანობის დაცვა.[273]

საბოლოოდ, მიზნები ცვალებადია დროშიც. იგივე ევროკავშირის მაგალითზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ზემოთჩამოთვლილი მიზნების კატალოგი ერთი გამოკვეთილი

---

[270] იხ. Gifford, Daniel J. and Kudrle, Robert T., "Antitrust Goals, Procedures, and Policies in the U.S. and the EU", The Antitrust Bulletin, Vol. 62(2), 2017, p. 242.

[271] იგივე, გვ. 245.

[272] https://www.brandsouthafrica.com/investments-immigration/business/investing/regulations/competition-policy.

[273] იხ. Ezrachi, Ariel, „EU Competition Law Goals and the Digital Economy", Oxford Legal Studies Research Paper No. 17/2018, 2018, https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3191766, p. 4.

მიზნით - ბაზრის ინტეგრაციით - დაიწყო [274] და ნელ-ნელა გაფართოვდა ამ ორგანიზაციის განვითარებასთან ერთად.[275]

იმის გასაგებად, თუ როგორ ხერხდება ერთი და იგივე იურისდიქციის ფარგლებში არსებული კონკურენციის სამართლის რამდენიმე, ერთმანეთისგან განსხვავებული მიზნის თანაარსებობა, პირველ რიგში საჭიროა ვიცოდეთ ხსენებული მიზნების კატეგორიები (ქვეთავი „ა"). ამავდროულად, სასურველია იმის გააზრებაც, რომ თითოეული კატეგორიის მიზნებს პრაქტიკაში დანერგვის საკუთარი პრობლემატიკა გააჩნია (ქვეთავი „ბ"). საბოლოოდ, სასურველია საქართველოს კონკურენციის სამართლის მიზნებზე ზოგადი მსჯელობაც (ქვეთავი „გ"), რადგან ხსენებული მიზნების განსაზღვრა და მათ შესაბამისად მოქმედება ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის განვითარების საწინდარია.

4.1. კატეგორიები და იერარქია

სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა კონკურენციის სამართლის მიზნების ზუსტ კატეგორიზაციასთან დაკავშირებით. [276] თუმცა, შეგვიძლია მაინც გამოვყოთ სამი ზოგადი კატეგორია: ეფექტიანობასთან დაკავშირებული, (დანარჩენი) ეკონომიკური[277] და არაეკონომიკური მიზნები.[278]

---

[274] Rompuy, Ben Van, *Economic efficiency: the sole concern of modern antitrust policy? Non-efficiency considerations under Article 101 TFEU*, Kluwer Law International, 2012, p. 141.

[275] იგივე, გვ. 142 და შემდგომნი.

[276] ავტორის შენიშვნა: ხსენებულს განაპირობებს ერთი მხრივ, კონკურენციის სამართლის მიზნების ისტორიული ცვალებადობა, ხოლო მეორე მხრივ, რიგი კატეგორიის მიზნების (მაგალითად, მომხმარებლებთან დაკავშირებული მიზნების) კონკრეტულ კატეგორიებში მოქცევის პრობლემატურობა. მაგალითად, მომხმარებელთან დაკავშირებული მიზნები შესაძლოა ჩაიშალოს მომხმარებელთა კეთილდღეობის (consumer welfare) დამომხმარებელთა ინტერესების დაცვის (protection of consumer interests) მიზნებად, რომელთაგან პირველი აშკარად საბაზრო ეფექტიანობის ზრდას უკავშირდება, ხოლო მეორე უფრო ზოგადი ცნებაა.

[277] ავტორის შენიშვნა: ლიტერატურაში ხდება ხოლმე ეფექტიანობასთან დაკავშირებული და ეკონომიკური მიზნების გაიგივება. ეს სასურველი არაა, რადგან ეფექტიანობასთან დაკავშირებული მიზნები ეკონომიკური მიზნების მხოლოდ ერთ-ერთი კონკურეტული კატეგორიაა.

[278] ავტორის შენიშვნა: მიზნების ქვემოთმოცემული კატეგორისაციისას ძირითადად გამოყენებულია ორი წყარო: Rompuy, Ben Van, *Economic efficiency: the sole concern of modern*

კატეგორია	მაგალითები
ეფექტიანობასთან დაკავშირებული მიზნები	➢ საერთო კეთილდღეობა ➢ მომხმარებელთა კეთილდღეობა
ეკონომიკური მიზნები	➢ კონკურენციის პროცესის დაცვა ➢ ინოვაციის ხელშეწყობა ➢ ბაზრის ინტეგრაცია
არაეკონომიკური მიზნები	➢ ბაზარზე სამართლიანობის დაცვა ➢ კონკურენტთა თანასწორობის გარანტირება

ამავდროულად, უმრავლეს შემთხვევაში, ხსენებული *მიზნები* იმიჯნება კონკურენციის სამართლის აღსრულების პროცესში მხედველობაში მისაღები გარემოებებისგან[279] (მაგალითად, გარემოს დაცვის საკითხები, ინდუსტრიული მოწყობა, ბაზრის ფინანსური სტაბილურობა და ა.შ.). გამიჯვნის ლოგიკა შემდეგია: (1) კონკურენციის სამართლის მიზნები განსაზღვრავენ, თუ რისი მიღწევა სურს ამა თუ იმ კონკურენციის ჩარჩოს; (2) მხედველობაში მისაღები გარემოებები ძირითადად სახელმწიფო პოლიტიკის სხვა სფეროს მიზნებია, რომელთა გათვალისწინებაც შეიძლება კონკურენციის სამართლის აღსრულების პროცესში. [280] ამავდროულად, ხსენებული გათვალისწინება ხდება იმ დონეზე, რომ არ მოხდეს საკუთრივ კონკურენციის სამართლის მიზნებიდან გადახვევა.[281]

---

antitrust policy? Non-efficiency considerations under Article 101 TFEU, Kluwer Law International, 2012 და Sauter, Wolf, *Coherence in EU Competition Law*, Oxford University Press, 2016.

[279] Rompuy, Ben Van, *Economic efficiency: the sole concern of modern antitrust policy? Non-efficiency considerations under Article 101 TFEU*, Kluwer Law International, 2012, p. 8.

[280] იქვე.

[281] ავტორის შენიშვნა: მაგალითად, ევროკომისია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების განხილვისას მზადაა, გაითვალისწინოს ხსენებული შეთანხმების მიერ გარემოს დაცვის კუთხით წარმოშობილი სარგებელი. ოღონდ, ეს ხდება მხოლოდ იმ

კონკურენციის მიზნების იერარქია შესაძლოა განისაზღვროს შესაბამისი კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობით. ამავდროულად, თუ მიზნები უშუალოდ კანონმდებლობაში გაწერილი არ არის, შესაძლოა მსგავსი იერარქია არც ჩამოყალიბდეს. მაგალითად, ევროკავშირში, სადაც დამფუძნებელი ხელშეკრულებები საერთოდ არ ადგენს მიზნების იერარქიას, ეს უკანასკნელნი თანასწორ მდგომარეობაში იმყოფებიან. უფრო კონკრეტულად, ამა თუ იმ მიზნისთვის სხვებთან შედარებით უპირატესობის მინიჭება ხდება განსახილველი საქმის სპეციფიკისა და პრობლემატიკის გათვალისწინებით.[282] შესაბამისად, ამა თუ იმ ეტაპზე ერთი მიზანი სხვაზე უპირატესი შეიძლება აღმოჩნდეს.[283] ანალოგიურად, ევროკომისიამ შესაძლოა დროის კონკრეტულ მონაკვეთში პრიორიტეტად გაიხადოს კონკრეტული მიზნის მიღწევა (დღესდღეობით, ასეთია მომხმარებელთა კეთილდღეობის დაცვა). თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელს აბსოლუტური უპირატესობა გააჩნია სხვა მიზნების წინაშე.

4.2. პრობლემატიკა

კონკურეტული იურისდიქცია შესაძლოა ითვალისწინებდეს წინა ქვეთავში ჩამოთვლილი მიზნების სამი კატეგორიიდან (ეფექტიანობასთან დაკავშირებული, ეკონომიკური,

---

შემთხვევაში, თუ შეთანხმება აკმაყოფილებს TFEU 101(3) მუხლით დადგენილ ყველა საგამონაკლისო კრიტერიუმს. იხ.: Commission Guidelines on the Applicability of Article 101 of the Treaty on the Functioning of the European Union to Horizontal Co-operation Agreements, OJ C11/1. 2011, paras. 149, 329.

[282] Andriychuk, Oles, "Rediscovering the Spirit of Competition: On the Normative Values of the Competitive Proces", European Competition Journal, Vol. 6, 2010, p. 587.

[283] ავტორის შენიშვნა: მაგალითად, დღესდღეობით ევროკავშირში კონკურენციის წამყვანი მიზანია მომხმარებლის კეთილდღეობა. ამავდროულად, საქმეზე C-8/08, *T-Mobile Netherlands BV and Others v Raad van bestuur van der Nederlands Mededingingsautoriteit*, [2009] ECR 4529, ECLI:EU:C:2009:343, paras. 38-39, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ მომხმარებელთათვის ზიანის მიყენების ფაქტის არსებობა ევროკავშირის სამართლის დარღვევის დადგენის წინაპირობა ყოველთვის არაა. დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს უშუალოდ კონკურენციის პროცესის ხელყოფაც. ეს მიანიშნებს, რომ კონკრეტულ შემთხვევებში, საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, უპირატესობა მიენიჭება კონკურენციის (როგორც პროცესის) დაცვის მიზანს, ხოლო მომხმარებელთა კეთილდღეობის (არაპირდაპირ) შემცირებად ჩაითვლება სწორედ ხსენებული პროცესისთვის მიყენებული ზიანი.

არაეკონომიკური მიზნები) ერთს, ორს ან ყველასაც კი. ყველაზე ხშირი სწორედ სამივე კატეგორიაში არსებული მიზნების კომბინაციაა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც შეიძლება იყოს, რომ ყველა კატეგორიის მიზნისთვის არსებობს პრაქტიკაში მხოლოდ მისი განხორციელების პრობლემატურობა - შესაბამისად, მიზნები გარკვეულწილად აბალანსებენ ერთმანეთს. სიტუაციის უკეთ გასაგებად, განვიხილოთ მიზანთა თითოეული კატეგორიის პრაქტიკაში აღსრულების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ეფექტიანობასთან დაკავშირებული მიზნების (საერთო კეთილდღეობა, მომხმარებელთა კეთილდღეობა) დადებითი მხარეა მათი ეკონომიკური ხასიათი. კერძოდ, კეთილდღეობა იზომება საერთო და მომხმარებლის ნამეტის მიხედვით - შესაბამისად, ის დათვლადია. გამოდის, რომ როგორც კონკრეტული საქმის წარმოებისას, ისე ზოგადი (მაგალითად, ყოველწლიური) შეჯამებისას, აღმასრულებელს შეუძლია რიცხვობრივად გამოსახოს მიზნის მიღწევის დონე. თუმცა, აქ იგულისხმება, რომ აღმასრულებლის ხელში უნდა იყოს გამოთვლების სრულყოფილად წარმოებისთვის საჭირო ყველა რესურსი. ეს კი ყოველთვის ასე არ არის [284] - განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, რომლებსაც არ გააჩნიათ კომპლექსური ეკონომიკური გამოთვლების განხორციელებისთვის საჭირო მონაცემთა ბაზები, ტექნოლოგია და ადამიანური რესურსი.[285]

ამავდროულად, ეფექტიანობასთან დაკავშირებული მიზნის დასახვასთან ერთად, საჭიროა ეფექტიანობის იმ სტანდარტის არჩევა, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს აღმასრულებელმა. კერძოდ, არჩევანია გასაკეთებელი განაწილებით, წარმოებისა და დინამიკურ ეფექტიანობას შორის - მსგავსი არჩევანი კი ადვილი არ არის, რადგან უნდა მოხდეს მსგავსი გადაწყვეტილების შესაბამისი

---

[284] იხ.: Haucap, Justus, "Bounded Rationality and Competition Policy", in Drexl, Joseph, Wolfgang Kerber and Podszun, Rupprecht (eds.), *Competition Policy and the Economic Approach: Foundations and Limitations*, Edward Eglar, 2011, pp. 219-227.

[285] ავტორის შენიშვნა: განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ანალიზის წარმოების სირთულეებთან დაკავშირებით, დაწვრილებით იხ.: Gerber, David, "Adapting the Role of Economics in Competition Law: A Developing Country Dilemma", Chicago-Kent College of Law, 2014, https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2426359.

მოკლე და გრძელვადიანი შედეგების სრულყოფილი შეწონასწორება.[286]

ეკონომიკური მიზნებიდან ყველაზე გავრცელებულია საბაზრო კონკურენციის დაცვის მიზანი. ხსენებული მიზნის დადებითი მხარე ისაა, რომ მისი პრაქტიკაში დანერგვისას კონცენტრირება ხდება კონკურენციაზე (პროცესზე) და არა ეფექტიანობაზე (შედეგზე). ითვლება, რომ თუ პროცესი გამართულად იფუნქციონერებს, ის თავისთავად მოიტანს სასურველ შედეგს. ამასთანავე, ყოველთვის არსებობს რისკი, რომ კონკურენციის პროცესის დაცვა არ იქცეს სუსტი კონკურენტების დაცვის პროცესად. ეს რისკი გაცილებით რეალურია, თუ ხსენებული ეკონომიკური მიზანი გამოიყენება არაეკონომიკურ მიზნებთან (მაგალითად, თანასწორობის უზრუნველყოფასთან) ერთად. შესაბამისად, მიზნების მსგავსი კატეგორიის პრაქტიკაში დანერგვისას სასურველია მათთვის სწორი მიმართულების მიცემა ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე.

არაეკონომიკური მიზნების დადებითი მხარე მათი სამართალმცოდნეთათვის გასაგებობაა. მაგალითად, თანასწორობის სტანდარტი მთელ რიგ სახელმწიფოებში კონსტიტუციურადაც კია გარანტირებული და არსებობს მისი შეფასების კანონმდებლობით გაწერილი კრიტერიუმები. ეს ფაქტი უზრუნველყოფს კონკურენციის სამართლის ხსენებული მიზნის ადვილად აღსრულებადობას ადმინისტრაციული და სასამართლო წესით. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ კონკურენციის სამართალი ბაზრის მარეგულირებელი სამართალია, რაც ეკონომიკურ პროცესებთან მის მჭიდრო კავშირს გულისხმობს. შესაბამისად, არაა მიზანშეწონილი ამ უკანასკნელს მხოლოდ არაეკონომიკური მიზნები ჰქონდეს.

როგორც ზემოთ განხილული სიტუაციებიდან ირკვევა, კონკურენციის სამართლის მიზნების თითოეულ კატეგორიას გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. სწორედ დადებითი მხარეების გასაძლიერებლად და უარყოფითი მხარეების

---

[286] Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases and Materials*, 6th ed., Oxford University Press, 2016, p. 47.

დასაბალანსებლად ხდება იურისდიქციებში ერთდროულად რამდენიმე მიზნის დასახვა.

4.3. კონკურენციის სამართლის მიზნები საქართველოში

საქართველოს კონკურენციის სამართლის მიზნების ძიება პირველ რიგში კანონმდებლობის ანალიზით უნდა დავიწყოთ. ამ მხრივ, საინტერესოა სამი სამართლებრივი აქტის: საქართველოს კონსტიტუციის, ასოცირების შეთანხმებისა და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებების შედარება. სამივე ზემოხსენებული აქტი შეიცავს გარკვეულ, პირდაპირ თუ ირიბ, დათქმებს შესაბამისი მიზნების შესახებ. ეს დათქმები ნაწილობრივ განსხვავდება ერთმანეთისგან.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, *„სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“.* [287] ხსენებული დებულება [288] რამდენჯერმეა განმარტებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. ეს უკანასკნელი კი განმარტებისას ხაზს უსვამს სახელმწიფოს მიერ კონკურენციის, როგორც პროცესის, დაცვის ვალდებულებას[289] და ამავდროულად აღნიშნავს მის მიერ ეკონომიკური აგენტების სახელმწიფოს შერჩევითი ქმედებებისგან დამცველ (ანუ თანასწორობისა და სამართლიანობის უზრუნველმყოფ) ბუნებას. [290] შედეგად, საქართველოს უზენაესი კანონის საკონსტიტუციო სასამართლოსეული განმარტებიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს კონკურენციის სამართალს შეიძლება ჰქონდეს რიგი ეკონომიკური (კონკურენციის

---

[287] იხ. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, კონსოლიდირებული პუბლიკაცია 23.03.2018 მდგომარეობით, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35, მუხლი 6.2.

[288] ავტორის შენიშვნა: უახლეს საკანონმდებლო ცვლილებებამდე. ეს დებულება კონსტიტუციის 30-ე მუხლით იყო გათვალისწინებული.

[289] მაგალითად, იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე N1/2/411, 19.12.2018, პარ. 3, 5, სადაც სასამართლო მიანიშნებს კონკურენციის დაცვისა და გაზარზე სიცოცხლისუნარიანი სუბიექტების საქმიანობის პროცესს შორის მჭიდრო კავშირზე.

[290] მაგალითად, იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე, N2/11/747, 14.12.2018, პარ. 3 და 7.

პროცესის დაცვა) და არაეკონომიკური (სამართლიანობის, თანასწორობის დაცვა) მიზნები.

რაც შეეხება ასოცირების შეთანხმებას, ის პირდაპირ არ საუბრობს საქართველოს კონკურენციის სამართლის მიზნებზე. თუმცა, ამავდროულად, ხსენებული შეთანხმებით დადგენილი საქართველო-ევროკავშირს შორისი ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესით გათვალისწინებული სარგებლის მიღება მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს ბაზარზე თავისუფალი და შეუზღუდავი კონკურენციის არსებობასთან. [291] შედეგად, სავარაუდოა, რომ საქართველოს კონკურენციის სამართალს შესაძლოა გააჩნდეს მისთვის სპეციფიკური მიზანი - საქართველოს ევროკავშირის ბაზარზე ინტეგრაციაში ხელშეწყობა.

საბოლოოდ, „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი ნაწილობრივ იმეორებს კონსტიტუციისა და ასოცირების შეთანხმების დანაწესებს. [292] ამავდროულად, ხსენებულ მუხლში დაკონკრეტებულია რიგი არაეკონომიკური მიზნები (მაგალითად, ქვეპუნქტი „დ" - ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა).

როგორც ამ ანალიზიდან იკვეთება, საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არსად მოიხსენიებს ეფექტიანობასთან დაკავშირებულ მიზნებს (მაგალითად, მომხმარებელთა კეთილდღეობას). თუმცა, ამავდროულად, „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მთელი რიგი დებულებები პირდაპირ აკეთებენ აქცენტს მომხარებელზე და კონკრეტული დარღვევის დადგომის ფაქტს ამ უკანასკნელთათვის ზიანის მიყენებას უკავშირებენ.[293]

---

[291] იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებ-გვერდი), 11.09.2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0, კარი IV, თავი X.

[292] იხ. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებ-გვერდი), 25.05.2012 (2014 წლის 21 მარტის ცვლილებების გათვალისწინებით), https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4, მუხლი 2 – „ამ კანონის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა".

[293] მაგალითად, იხ.: იგივე, მუხლი 6.2."ბ", მუხლი 9.1. და ა.შ.

შედეგად, სავარაუდოა, რომ საქართველოს კანონმდებლობა მოიცავს სამივე კატეგორიის - ეფექტიანობასთან დაკავშირებულ, ეკონომიკურ და არაეკონომიკურ მიზნებს. როგორ მოხდება ხსენებული ურთიერთდაბალანსება, ჯერ კიდევ გასარკვევია. ამ მხრივ, კონკურენციის აღმასრულებელსა და სასამართლოს ჯერ კიდევ განსავითარებელი აქვთ შესაბამისი პრაქტიკა.

5. გამოწვევები

XXI საუკუნემ, რომელსაც კონკურენციის სამართალი განვითარებული თეორიული საფუძვლებით, მდიდარი პრაქტიკითა და საერთაშორისო აღიარებით შეხვდა, ამ უკანასკნელისათვის არაერთი გამოწვევა მოიტანა. ხსენებული გამოწვევებისგან ზოგი ლოკალურია და ამა თუ იმ ეროვნული ბაზრის წინაშე მდგარი ამოცანებს ეხება, ზოგი კი - გლობალური. ლოკალურ გამოწვევათა სახეები განსხვავდება სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების დონეების მიხედვით. შესაბამისად, განსხვავებული ზომების მიღებაა საჭირო მათ დასაძლევად. რაც შეეხება გლობალურ დონეზე არსებულ გამოწვევებს, ხშირ შემთხვევაში ეს უკანასკნელნი სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესის პირდაპირი შედეგია. აქედან გამომდინარე, დიდი სიფრთხილეა საჭირო მათზე საპასუხო რეაქციის განხორციელებისას, აღნიშნული პროგრესის შენარჩუნების მიზნით.

ზემოხსენებულ გამოწვევებთან მიმართებით, სასურველია სულ მცირე ორი საკითხის განხილვა: (1) გამოწვევათა სახეების გამოკვეთა სახელმწიფოთა სამი ფართო ჯგუფის - განვითარებადი, სწრაფგანვითარებადი და განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის; (2) საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების განსაზღვრა. ხსენებული დაგვეხმარება ერთი მხრივ, კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის წინაშე მდგარი ზოგადი გამოწვევების გააზრებაში, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს მიერ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებული გამოწვევების

საპასუხოდ კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის გამოყენების ეფექტიანი ხერხების ძიებაში.

5.1. გამოწვევების სახეები სახელმწიფოთა ჯგუფების მიხედვით

კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის განვითარების მიმართულებები მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების დონესთან. ამ მხრივ, შეგვიძლია სამი ფართო ჯგუფის - განვითარებადი, სწრაფგანვითარებადი და განვითარებული ეკონომიკების - გამოყოფა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, [294] თითოეული ხსენებული ჯგუფის ეროვნულ ბაზართან მიმართებით, კონკურენციის სამართალის ამოქმედებას განსხვავებული მიზნები აქვს. შესაბამისად, განსხვავებულია ხსენებული მიზნების განხორციელების პროცესში წამოჭრილი გამოწვევებიც.

განვითარებადი ქვეყნებისათვის, მთავარი გამოწვევა კონკურენციის სამართლის გლობალიზაციისა და მის შედეგად გამოწვეული ეროვნული კონკურენციის ჩარჩოების დაახლოვების პროცესში საკუთარი კონკურენციის ჩარჩოს იდენტობის შენარჩუნება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მათ უმრავლესობას ხსენებული ჩარჩოს საფუძვლად განვითარებული ეკონომიკების - აშშ-ის ან ევროკავშირის - კანონმდებლობა აქვს აღებული. ეს თავის მხრივ განაპირობებს ეროვნული ჩარჩოს „ჩარჩო-საფუძვლის“ მსგავსად გამოყენებისკენ მისწრაფებას. ხშირ შემთხვევაში (მაგალითად, თუნდაც საქართველო ავიღოთ), ხსენებული წახალისებულია საერთაშორისო სავაჭრო სივრცეში მეტი ინტეგრაციის მოტივით. ამ დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ განვითარებული იურისდიქციების კონკურენციის ჩარჩოები მრავალი წლის განმავლობაში ვითარდებოდა და იხვეწებოდა ამ უკანასკნელთა საბაზრო რეალობაზე მორგების მიზნით. შესაბამისად, ჩარჩოთა დაახლოვების პარალელურად, სასურველია მათსა და კონკრეტული განვითარებადი სახელმწიფოს საბაზრო რეალობებს შორის განსხვავებების სრულყოფილი ანალიზი,

[294] იხ. ქვეთავი 4.

გადმოსატანი ჩარჩოს ოპტიმიზაციისა და ეროვნულ რეალობაზე უკეთ მორგების მიზნით. თუმცა, ეს საკმაოდ რთული პროცესია და ხშირად ფერხდება შესაბამისი გამოცდილებისა თუ რესურსების სიმწირის პირობებში.[295]

სწრაფგანვითარებადი ქვეყნებისთვის, სურათი ოდნავ განსხვავებულია. როგორც წესი, მათი უმრავლესობისთვის პრიორიტეტი ეკონომიკური ზრდაა და შესაბამისად, ბაზრის მაქსიმალური ეფექტიანობის უზრუნველყოფა კონკურენციის სამართლის მთავარ მიზნად მიიჩნევა. ამავდროულად, რთულია ხსენებული მიზნის მიღწევის სტრატეგიებზე შეთანხმება. მაგალითად, ლათინური ამერიკის რიგი ქვეყნები უპირატესობას ანიჭებენ მასშტაბისა და მოცულობის მაქსიმალურ ეკონომიას და უარყოფითად არ უყურებენ ე.წ. „ეროვნული ჩემპიონების" შექმნას. რაც შეეხება აზიას, აქ კონკურენიის სამართალი ეკონომიკური ზრდის მიზანს ევროპისა და აშშ-ისგან განსხვავებული, გაცილებით მკაცრად რეგლამენტირებული ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებს.[296] ხსენებული ფაქტორები გარკვეულწილად ხელს მართლაც უწყობს განსახილველი ქვეყნების ეკონომიკების გაძლიერებას, თუმცა აყენებს ეკონომიკური ზრდის საპირისპიროდ ეკონომიკური განვითარების (ანუ მომხმარებელთა კეთილდღეობის) შესაძლო უგულვებელყოფის საკითხს.

განვითარებული ქვეყნებისთვის, მთავარ გამოწვევას მონაცემთა დიდი ბაზების (big data) არსებობის შედეგად კონკურენციის სამართლისთვის წარმოშობილი პრობლემები წარმოადგენს.[297] ხსენებულ გამოწვევას სულ მცირე სამი ფართო მიმართულება გააჩნია. კერძოდ: (1) აშკარაა მსგავსი ბაზების მფლობელთა მიერ არაერთ ბაზარზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის

---

[295] ავტორის შენიშვნა: განვითარებად ქვეყნებში კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის პრობლემატიკასთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ. Drexl, Josef, Mor Bakhoum, Eleanor M. Fox, Michal S. Gal and Gerber, David J. (eds.), *Competition Policy and Regional Integration in Developing Countries*, Edward Eglar, 2012.

[296] ავტორის შენიშვნა: აზიაში კონკურენციის სამართლის განვითარების თავისებურებებთან დაკავშირებით დაწრილებით იხ.: Dowdle, Michael W., John Gillespie and Maher, Imelda, *Asian Capitalism and the Regulation of Competition: Towards a Regulatory Geography of Global Competition Law*, Cambridge University Press, 2013.

[297] იხ. ასევე თავი 6 „დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

მოხდენის შესაძლებლობა. შედეგად, სასურველია მათი გარკვეულწილი რეგულირება - თუმცა რეგულირების ფორმებისა და ოდენობის განსაზღვრა რთულია; (2) მონაცემთა დიდი ბაზების სამართლის მრავალ დარგთან შემხებლობის გამო, ასევე რთულია იმის დადგენა, თუ სად გადის ზღვარი მათი კონკურენციის სამართლითა და სამართლის სხვა სახეებით (მაგალითად, ინტელექტუალური საკუთრების, მომხმარებელთა დაცვის, მონაცემთა დაცვის და ა.შ.) რეგულირებას შორის; (3) სადავოა, თუ რა სახის და დონის რეგულირებაა საჭირო ჯანსაღი კონკურენციის დაცვისა და ბაზების მეშვეობით ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესის შემდგომი ხელშეწყობის მიზნების ერთდროულად მიღწევისათვის. დებატები აღნიშნულ საკითხებზე ჯერ კიდევ საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობს.[298]

საბოლოოდ, კონკურენციის სამართლის გამოწვევათა ნაწილს გლობალური ხასიათი აქვს. მათგან უპირველესი ვირტუალურ სივრცეში ვაჭრობის განვითარებას და შედეგად, ტრადიციული საბაზრო სტრუქტურებისგან სრულიად განსხვავებული ონლაინ-ბაზრების ჩამოყალიბებას უკავშირდება. ხსენებული ბაზრების რეგულირება პრობლემატურია რამდენიმე კუთხით. კერძოდ: (1) აქვთ რა „ჩვეულებრივი" ბაზრებისგან განსხვავებული სტრუქტურა (მაგალითად, ბაზრის მონაწილეთა გარკვეული კატეგორიისთვის მომსახურების მიღება არ უკავშირდება დანახარჯს გადასახდელი საბაზრო ფასის სახით), [299] ვერ ხერხდება ბაზრის ანალიზის ტრადიციული საშუალებებით მათი შეფასება; (2) ხსენებულ ბაზრებზე კონკურენცია მიმდინარეობს ვირტუალურ სივრცეში -

---

[298] **ავტორის შენიშვნა:** მონაცემთა დიდი ბაზებისა და კონკურენციის პოლიტიკის ურთიერთმიმართების შესახებ იხ.: Stucke, Maurice E. and Grunes, Allen P., *Big Data and Competition Policy*, Oxford Unviersity Press, 2016. აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციასთან ერთად, მონაცემთა დიდი ბაზების პრობლემა თანდათან ჩნდება სწრაფვანვითარებად და რიგ განვითარებად ქვეყნებშიც.

[299] **ავტორის შენიშვნა:** აქ მაგალითისთვის თუნდაც მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებული სოციალური მედიების, საძიებო სისტემებისა და სავაჭრო პლატფორმების მოყვანა შეიძლება - Facebook, Youtube, Google, Amazon. ხსენებული ვებგვერდები, როგორც წესი, მოხმარებლისთვის უფასოა. თუმცა, ამავდროულად, ხსენებული მომხმარებლის მოზიდვის შედეგად, ეს ვებგვერდები საკმაოდ ძვირად ფასობს მეწარმეებისთვისა და რეკლამის განმთავსებლებისათვის, რომლებსაც ჩამოთვლილი ვებგვერდების მეშვეობით შეუძლიათ მომხმარებელთა დიდ ოდენობამდე მიღწევა.

შესაბამისად, მას გლობალური ხასიათი აქვს და რთული დასარეგულირებელია ეროვნული, რეგიონალური თუ სუპრანაციონალური კონკურენციის სამართლის დებულებებით; (3) ფუნქციონირებენ რა რთული ალგორითმების საშუალებით, ხსენებულ ბაზრებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესი დიდწილად ავტომატიზებულია. შედეგად, კონკრეტული დარღვევის შემთხვევაში რთულდება დარღვევის სუბიექტის გამოვლენა. ამავდროულად, სადავოა, თუ რამდენად შეიძლება ბაზრის კონკრეტული მონაწილის კონკურენციის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, თუ გადაწყვეტილება ავტომატურადაა მიღებული მის მფლობელობაში მყოფი „ჭკვიანი" ალგორითმის მიერ. ვირტუალური სავაჭრო სივრცის დარეგულირებას ართულებს მისი სწრაფად ცვალებადი ბუნებაც.[300]

გამოწვევები არსებობს „რეალურ" სივრცეშიც. აქ, ისინი უკავშირდება ტექნიკური პროგრესის შედეგად წარმოშობილ ისეთ საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც გამოყენების შემთხვევაში ცვლიან ბაზრის დამკვიდრებულ სტრუქტურებს. ხსენებულის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მაგალითია ე.წ. სამგანზომილებიანი ბეჭდვა (3D Printing). ხსენებული ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს „დაბეჭდოს" საქონელი მისთვის სასურველი კონკრეტული სპეციფიკაციებით, უფრო და უფრო იხვეწება და პოპულარული ხდება. სამგანზომილებიანი ბეჭდვის სპეციფიკა ისაა, რომ კონკრეტული საქონლის მომხარებელი თავად ხდება მწარმოებელი. შედეგად, ხსენებული ტექნოლოგიის განვითარებას ბაზრებზე კონკურენციის ფორმატის მნიშვნელოვან ცვლილებასთან აიგივებენ. [301] სამგანზომილებიანი ბეჭდვის შედარებითი სიახლიდან გამომდინარე, კონკურენციის სამართლით მის დარეგულირებას ყველა სიფრთხილით ეკიდება - დებატი ძირითადად ეხება იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს მისი

[300] ავტორის შენიშვნა: ვირტუალური ბაზრების სპეციფიკასთან და მათი რეგულირების პრობლემატიკასთან დაკავშირებით, იხ.: Ezrachi, Ariel and Stucke, Maurice, *Virtual Competition*, Harvard University Press, 2016.

[301] იხ.: Petrick, Irene J. and Simpson, Timothy W., „3D Printing Disrupts Manufacturing: How Economies of One Create New Rules of Competition", Research Technology Management, Vol. 56(6), 2013, pp. 13-16.

მეშვეობით ფორმაშეცვლილ ბაზრებზე კონკურენციის პროცესის ხელშეწყობა.

5.2. გამოწვევები საქართველოში

საქართველოს, როგორც განვითარებად ქვეყანას და ამავდროულად გლობალური ეკონომიკური სივრცის განუყოფელ ნაწილს, სხვათა მსგავსად უდგას ზემოთ აღწერილი პრობლემები. ამავდროულად, ხსენებულ გამოწვევებს ჩვენს ქვეყანაში საკუთარი სპეციფიკა აქვს, რაც დაკონკრეტებას იმსახურებს.

ავტორის აზრით, ამ მხრივ უმთავრესი გამოწვევა ქართული კონკურენციის სამართლის იდენტობის პოვნაა. კონკრეტულად, ისტორიული მიმოხილვის შედეგად ჩანს, რომ საქართველოში კონკურენციის ახალი ჩარჩოს ჩამოყალიბება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების დადებას მჭიდროდ უკავშირდება. გარდა მთელი რიგი დადებითი მომენტებისა, ხსენებული კავშირი ქმნის საქართველოს კონკურენციის სამართლის ექსკლუზიურად ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული სარგებლის რეალიზაციის პერსპექტივიდან დანახვის რეალურ საშიშროებასაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს სამართლის ხსენებული დარგის მხოლოდ ევროკავშირთან დაახლოვების მიზნით გამოყენების საფრთხე. ამავდროულად, ისტორიისა და მიზნების მიმოხილვა აშკარად აჩვენებს კონკურენციის სამართლის ეროვნული ბაზრის სპეფიციკასთან მორგებისა და ეროვნულ ეკონომიკურ რეალობასთან მჭიდროდ დაკავშირების აუცილებლობას.

ზემოხსენებული საფრთხის ასარიდებლად საჭიროა სულ მცირე შემდეგი:

(1) ქართული კონკურენციის სამართლის მიზნების მკაფიოდ განსაზღვრა - როგორც უკვე ვნახეთ, ხსენებული მიზნები მრავალგვარია და მათი გამოყენება დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის ბაზრის განვითარების ინტერესებზე. ამავდროულად, განსხვავდება მიზნების კატეგორიები და მათი მიღწევის გზები, რის შედეგადაც რიგი მიზნები შესაძლოა წინააღმდეგობაშიც კი

მოდიოდეს ერთმანეთთან. ამ მხრივ, განსასაზღვრია, თუ რა კატეგორიის და რამდენი მიზნის ერთდროულად მიყოლა შეუძლია საქართველოს კონკურენციის სამართალს. თავის მხრივ, ეს ქართული ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა მოხდეს და არა მარტო ევროკავშირის დღესდღეობით არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

(2) აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული მიზნების შესაბამისი აღსრულების განსორციელება. ამ მხრივ, ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს საქართველოს კონკურენციის სააგენტოს აღჭურვა ძლიერი საგამოძიებო, აღმასრულებელი და საკონსულტაციო უფლებამოსილებებით. ეს საშუალებას მისცემს ამ უკანასკნელს, უზრუნველყოს დასახული მიზნების მიღწევა. ახალგაზრდა სააგენტოსთვის ამ მიმართულებით მიზნების სიცხადე და აღსრულების მხოლოდ საბაზრო კონკურენციაზე ფოკუსირება უაღრესად მნიშვნელოვანია. ამ კუთხით, სასურველია წარსული უარყოფითი გამოცდილების გათვალისწინება და აღმასრულებელი ორგანოს დამატებითი ვალდებულებებით (მაგალითად, ისევ მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის აღსრულებით) გადატვირთვის თავიდან აცილება. ხსენებული ერთობლივი რეგულირების რიგი დადებითი თვისებების (მაგალითად, ნაკლები ადმინისტრაციული ხარჯი) მიუხედავად, განვითარების ახლანდელ, საწყის ეტაპზე მისი არსებობა მიზანშეწონილი არაა. საქართველოს კონკურენციის სამართალს სჭირდება მასზე სრულად ფოკუსირებული აღმასრულებელი - მხოლოდ ასეა შესაძლებელი კონკურენციის სამართლის ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა სამართლის სხვა სფეროთა ფუნქციებისგან და შესაბამისად, ეფექტიანი აღსრულება.

(3) აღსრულების პროცესში სასურველია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გადახედვა და გათვალისწინება, ქართული რეალობის სპეციფიკის მხედველობაში მიღებით. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლებრივი და ეკონომიკური ანალიზის სწორი ბალანსის პოვნა. საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნებისთვის, აღნიშნული განსაკუთრებით რთულია. ეს თუნდაც

იმითაა განპირობებული, რომ განვითარების საწყის ეტაპზე საქართველოს კონკურენციის სამართალშიც არსებობს მარეგულირებელი ნორმების შეძლებისდაგვარად დეტალურად გაწერის აუცილებლობა, აღსრულების გამჭვირვალობისა და სამართლებრივი სიცხადის გარანტირების მიზნით. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ეკონომიკური ანალიზის შეძლებისდაგვარად გამოყენება. ეს აღმასრულებელს ხელს შეუწყობს საბაზრო მექანიზმის მოქმედების უკეთ აღქმასა და შედეგად, მასში ოპტიმალური დონით ჩარევაში. გასათვალისწინებელია ანალიზის ხსენებულ სახეზე ზედმეტად დანდობის უარყოფითი შედეგებიც. როგორც ევროკავშირისა და აშშ-ის ზემოთმოცემული გამოცდილება აჩვენებს, კონკურენციის სამართლებრივი ანალიზი კონკურენციის *სამართლებრივი* ანალიზი უნდა იყოს - ეკონომიკური ანალიზი სწორედ არსებულ სამართლებრივ ჩარჩოში უნდა ექცეოდეს.

კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლები - მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამება

<u>თეორია</u>

- კონკურენცია მეტოქეობაა მიმწოდებლებს შორის, რომლებიც მომხმარებლებისთვის უკეთესი საბაზრო პირობების შეთავაზების გზით იბრძვიან ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად; კონკურენციის პოლიტიკა ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებაა, რომლის ამოცანაც ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობაა, კონკურენციის სამართალი კი - კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკაში განმახორციელებელი ნორმათა ერთობლიობა.
- სრულყოფილი კონკურენციისა და მონოპლიის ურთიერთსაპირისპირო თეორიული მოდელების შედარებით დგინდება კონკურენტული ბაზრების უპირატესობა მონოპოლიურ ბაზრებთან შედარებით. თუმცა, პრაქტიკაში ბაზრების უმრავლესობა კონკურენციის დონის მიხედვით ამ ორს შორის იმყოფება.
- ბაზრის მექანიზმი, რომლის სიჯანსაღესაც კონკურენცია უნდა უზრუნველყოფდეს, ყოველთვის ვერ თვითკორექტირდება. ხსენებულს ხელი შეიძლება შეუშალოს სახელმწიფო ჩარევის, კერძო პირთა ჩარევის ან ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე. სწორედ ხსენებულის თავიდან ასაცილებლადაა საჭირო კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა.
- ხსენებულის შესაბამისად, კონკურენციის სამართალი არეგულირებს ბაზარზე კერძო ჩარევებს (კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებს, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, კანონსაწინააღმდეგო კონცენტრაციებს) და სახელმწიფოს მიერ ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის ფაქტებს.

<u>ისტორია</u>

- XIX საუკუნე კონკურენციის სამართლის წარმოშობის

პერიოდად ითვლება. ამ პერიოდში, ერთი მხრივ, კლასიკოსებისა და ნეოკლასიკოსების თეორიების საფუძველზე მოხდა ბაზრების დერეგულირება, მონოპოლიების პრობლემის გააზრება და აშშ-ში მათი მარეგულირებელი შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა.

- XX საუკუნის პირველი ნახევრის მონაპოვარი იყო კონკურენციის ადმინისტრაციული/აღმასრულებელი ჩარჩოს ჩამოყალიბება, არასრულყოფილ კონკურენციასთან დაკავშირებული თეორიების განვითარება, ბაზრების ემპირიული კვლევის საფუძველზე SPC Paradigm-ის შემუშავება (ჰარვარდის სკოლა) და კონკურენციის სამართლისთვის კონსტიტუციური სტატუტის მინიჭება (ფრაიბურგის სკოლა - ორდოლიბერალიზმი).
- XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა და განვითარდა სუპრანაციონალური - ევროკავშირის სამართალი. ამავდროულად, აშშ-ში ჩიკაგოს სკოლის გავლენით მოხდა აღსრულების ლიბერალიზაცია, ხოლო მსოფლიო ვაჭრობის შედეგად კონკურენციის სამართალი მიიღეს არა ერთ ქვეყანაში.
- XXI საუკუნის დასაწყისში, განხორციელდა კონკურენციის სამართლის გლობალიზაცია. მოხდა ევროკავშირისა და აშშ-ის ჩარჩოების დაახლოვება, სამართლებრივი ტრანსპლანტების პრობლემატიკის ანალიზი, ჩამოყალიბდა საერთაშორისო და ევროპული კონკურენციის ქსელები. დიდმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ასევე დაიწყეს კონკურენციის სამართლის განვითარების საკითხთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემა და ტექნიკური დახმარება.

<u>მიზნები</u>

- კატეგორიების მიხედვით განასხვავებენ ეფექტიანობასთან დაკავშირებულ, ეკონომიკურ და არაეკონომიკურ მიზნებს. მათგან უნდა განვასხვავოთ კონკურენციის აღსრულების პროცესში მხედველობაში მისაღები გარემოებები.
- თითოეული კატეგორიის მიზნებს გააჩნია საკუთარი პრობლემატიკა. პრაქტიკაში, ხსენებული პრობლემატიკის

დაბალანსება ხდება მიზნების კომბინაციის გამოყენებით.

- საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა პირდაპირ ან არაპირდაპირ მოიცავს როგორც ეფექტიანობასთან დაკავშირებულ, ისე ეკონომიკურ და არაეკონომიკურ მიზნებს. მათ შორის ოპტიმალური ბალანსის პოვნა სამომავლო აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საქმეა.

<u>გამოწვევები</u>

- გამოწვევები განსხვავდება განვითარებადი, სწრაფგანვითარებადი და განვითარებული ქვეყნებისთვის; ამავდროულად არსებობს გლობალური გამოწვევებიც (ვირტუალური კონკურენცია, სამგანზომილებიანი ბეჭდვა)
- საქართველოს კონკურენციის სამართლის მთავარი გამოწვევა საკუთარი იდენტობის პოვნა - მიზნების მკაფიოდ განსაზღვრა, განსაზღვრული მიზნების განუხრელი განხორციელება და ამ პროცესში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გონივრული გამოყენება.

ბიბლიოგრაფია

კანონმდებლობა

1. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, კონსოლიდირებული პუბლიკაცია 23.03.2018 მდგომარეობით, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35
2. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებ-გვერდი), 11.09.2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0
3. საქართველოს კანონი "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ", პარლამენტის უწყებანი, 22-23, 30.07.1996 (ძალადაკარგულია 11.07.2005-დან), https://matsne.gov.ge/ka/document/view/31462?publication=3
4. საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 27.06.2005 (ძალადაკარგულია 23.07.2012-დან), ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29644?publication=6
5. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებ-გვერდი), 25.05.2012 (2014 წლის 21 მარტის ცვლილებების გათვალისწინებით), https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4
6. GATT 1994: General Agreement on Tariffs and Trade 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1A, 1867 U.N.T.S. 187, 15.04.1994
7. WTO Agreement: Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, 1867 U.N.T.S. 154, 15.04.1994, Final Act Embodying the Results of the Uruguay Round of Multilateral Trade Negotiations

8. Consolidated Version of the Treaty on the Functioning of the European Union (TFEU), OJ C 326/47, 2012
9. Treaty Establishing the European Coal and Steel Community (adopted 18 April 1951, entered into force Jaunary 1958), 261 UNTS 140
10. Treaty Establishing the European Economic Community (adopted 25 March 1957, entered into force 1 January 1958)
11. Council Regulation (EEC) No 4064/89 of 21 December 1989 on the Control of Concentrations Between Undertakings, OJ L 395/1, 1989
12. Council Regulation (EC) No 139/2004 of 20 January 2004 on the Contron of Concentration Between Undertakings (EC Merger Regulation), OJ L 24/1, 2004
13. Directive (EU) 2019/1 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 to empower the competition authorities of the Member States to be more effective enforcers and to ensure the proper functioning of the internal market, OJ L 11/3, 14.01.2019
14. An Act Concerning Monopolies and Dispensations with Penall Lawes and the Forfeyture thereof, 21 Jac 1 c 3, 29 May 1624
15. Sherman Act of July 2, 1890, Ch. 647, 26 Stat. 209
16. Clayton Antitrust Act of 1914, codified at 15 U.S.C.
17. Federal Trade Commission Act of 1914, codified at 15 U.S.C. 2

სასამართლო გადაწყვეტილებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე N1/2/411, 19.12.2018
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე, N2/11/747, 14.12.2018
3. Case 6/72 *Europemballage Corporation and Continental Can Company Inc. v Commission of the European Communities* [1973] ECR 215, ECLI:EU:C:1973:22
4. Case 85/76 *Hoffmann-La Roche & Co. AG v Commission of the European Communities* [1979] ECR 461, ECLI:EU:C:1979:36

5. Case 322/81 *NV Nederlandsche Banden Industrie Michelin v Commission of the European Communities* [1983] ECR 3461, ECLI:EU:C:1983:313
6. Case C-551/03 P *General Motors BV v Commission of the European Communities* [2006] ECR I-3173, ECLI:EU:C:2006:229
7. Joined cases C-468/06 to C-478/06 *Sot. Lélos kai Sia EE and Others v GlaxoSmithKline AEVE Farmakeftikon Proïonton, formerly Glaxowellcome AEVE* [2008] ECR I-7139, ECLI:EU:C:2008:504
8. Joined Cases C-501/06 P, C-513/06 P, C-515/06 P and C-519/06 P *GlaxoSmithKline Services Unlimited v Commission of the European Communities* [2009] ECR I-09291, ECLI:EU:C:2009:610
9. Joined Cases C-403 and 429/08 *Football Association Premier League Ltd and Others v QC Leisure and Others and Karen Murphy v Media Protection Services Ltd* [2011] ECR I-9083, ECLI:EU:C:2011:631
10. C-8/08, *T-Mobile Netherlands BV and Others v Raad van bestuur van der Nederlands Mededingingsautoriteit*, [2009] ECR 4529, ECLI:EU:C:2009:343
11. Case C-209/10 *Post Danmark A/S v Konkurrencerâdet (Post Danmark I)* [2012] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2012:172
12. Case C-413/14 P *Intel Corp. v European Commission* [2017], Not yet published, ECLI:EU:C:2017:63
13. *United States v. Addyston Pipe & Steel Co.*, 175 U.S. 2011, 1809
14. *McCulloch v. Maryland*, 17 U.S. (4 Wheat.) 316 (1819)
15. *Standard Oil v. United States*, 221 U.S. 1, 1911
16. *United States v Trans Missouri Freight Ass'n*, 166 U.S. 290, 1897
17. *US v Aluminum Co of America, 148* F 2d 416 (2nd Cir 1945)

წიგნები და სტატიები

1. გაბრიჩიძე, გაგა, ევროპული კავშირის სამართალი, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012
2. მენქიუ, გრეგორი, *ეკონომიკის პრინციპები*, გამომცემლობა „დიოგენე", 2000

3. ფეტელავა, სლავა, „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში", გამომცემლობა „ლოი", 2007
4. Amato, Giuliano, *Antitrust and the bounds of power: the dilemma of liberal democracy in the history of the market*, Hart Publishing, 1997
5. Andriychuk, Oles, "Rediscovering the Spirit of Competition: On the Normative Values of the Competitive Proces", European Competition Journal, Vol 6, 2010
6. Bain, Joe S., *Barriers to New Competition,* Harvard University Press, 1962
7. Behrens, Peter, "The Ordoliberal Concept of 'Abuse' of a Dominant Position and its Impact on Article 102 TFEU", published in Di Porto, Fabiani and Podszun, Rupprecht (eds.), Abusive Practices in Competition Law, ASCOLA Competition Law Series, 2018
8. Bork, Robert, *The Antitust Paradox: A Policy at War with Itself*, Basic Books, 1978 (reprinted in 1993)
9. Chamberlin, Edward, *The Theory of Monopolistic Competition,* Harvard University Press, 1933
10. Clark, John Maurice, „Toward a Concept of Workable Competition", American Economic Review, Vol. XXX(2), 1940
11. Crane, Daniel A., „Antitrust Antifederalism", California Law Review, Vol 91(1), 2008
12. Crane, Daniel A., „All I Really Need to Know About Antitrust I Learned in 1912", Iowa Law Review, Vol. 100(5), 2015
13. Crane, Daniel A. And Hovenkamp, Herbert, *The Making of Competition Policy: Legal and Economic Sources*, Oxford University Press, 2013
14. Dowdle, Michael W., John Gillespie and Maher, Imelda, *Asian Capitalism and the Regulation of Competition: Towards a Regulatory Geography of Global Competition Law,* Cambridge University Press, 2013
15. Drexl, Josef, Mor Bakhoum, Eleanor M. Fox, Michal S. Gal and Gerber, David J. (eds.), *Competition Policy and Regional Integration in Developing Countries*, Edward Eglar, 2012

16. European Commission, *Second Report on Competition Policy,* Office for Official Publications of the European Communities (OOPEC), 1972
17. European Commission, *Seventh Report on Competition Policy,* OOPEC, 1978
18. Ezrachi, Ariel and Stucke, Maurice, *Virtual Competition*, Harvard University Press, 2016
19. Ezrachi, Ariel, "Sponge", Journal of Antitrust Enforcement, Vol. 5(1), 2017
20. Ezrachi, Ariel, *EU Competition Law: an Analytical Guide to Leading Cases*, 6th ed., Hart Publishing, 2018
21. Ezrachi, Ariel, „EU Competition Law Goals and the Digital Economy", Oxford Legal Studies Research Paper No. 17/2018, 2018
22. Fox, Eleanor and Sulivan, Lawrence, "Antitrust – Retrospective and Prospective: Where are We Coming From? Where are We going?", New York University Law Review, Vol. 62, 1987
23. Fox, Eleanor, "We Protect Competition, You Protect Competitors", World Competition, Vol. 23, 2003
24. Fox, Eleanor M. and Sokol, Daniel D., *Competiton Law and Policy in Latin America*, Hart Publishing, 2009
25. Fox, Eleanor M. and Trebilcock, Michael J. (eds.), *The Design of Competition Law institutions: Global Norms, Local Choices*, Oxford University Press, 2012
26. Fox, Eleanor M. and Bakhoum, Mor, *Making markets work for Africa: Markets, Development and Competition Law in Sub-Saharan Africa, Oxford University Press,* 2019
27. Gerber, David J., „Two Forms of Modernization in European Competition Law", Fordham International Law Journal, Vol. 31, 2008
28. Gerber, David J., *Law and Competition in Twentieth Century Europe: Protecting Prometheus*, Clarendon Press Oxford, 1998
29. Gerber, David, "Adapting the Role of Economics in Competition Law: A Developing Country Dilemma", Chicago-Kent College of Law, 2014

30. Garcés, Eliana, „The Impact of Behavioral Economics on Consumer and Competition Policies", Competition policy international, Vol 6(1), 2010
31. Gifford, Daniel J. and Kudrle, Robert T., "Antitrust Goals, Procedures, and Policies in the U.S. and the EU", The Antitrust Bulletin, Vol. 62(2), 2017
32. Greenhalgh, Christine, and Rogers, Mark, "The Value of Innovation: The Interaction of Competition, RD and IP", Research Policy, Vol. 35(4), 2006
33. Hadley, Arthur Twinning, *Economics: An Account of the Relations Between Private Property and Public Welfare*, Putnam's Sons, 1906
34. Haucap, Justus, "Bounded Rationality and Competition Policy", in Drexl, Joseph, Wolfgang Kerber and Podszun, Rupprecht (eds.), *Competition Policy and the Economic Approach: Foundations and Limitations*, Edward Eglar, 2011
35. Hovenkamp, Herbert, "Antitrust Policy After Chicago", University of Michigan Law Review, Vol. 84, 1985
36. Hovenkamp, Herbert, 'Post-Chicago Antitrust: A Review and Critique", Columbia Bussiness Law Review, 2001
37. Janow, Merit E. And Lewis, Cynthia R., "International Antitrust and Global Economy: Perspectives on The Final Report and Recommendations of the International Competition Policy Advisory Committee to the Attorney General and the Assistant Attorney General of Antitrust", World Competition, Vol. 24(1), 2001
38. Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases and Materials*, 6th ed., Oxford University Press, 2016
39. Kaysen, Carl and Turner, Donald T., *Antitrust Policy: An Economic and Legal Analysis*, Harvard University Press, 1959
40. Kolasky, William J, "What is Competition? A Comparison of U.S. and European Perspectives", The Antitrust Bulettin, Vol. 49, 2014
41. Landes, Davis S., *The Unbound Prometheus: Technological Change and Industrial Development in Western Europe from 1790 to the Present*, Cambridge University Press, 1969

42. Lapachi, Ketevan, "A critical analysis of competition law reforms in Georgia for the past 20 years", in *Dimensions of Competition Law and Policy* Office of Competition and Consumer Protection, Warsaw, 2014
43. Letwin, William L., „The English Common Law Concerning Monopolies", The University of Chicago Law Review, Vol. 21(3), 1954
44. Lianos, Ioannis, „Some Reflections of the Question of Goals of the EU Competition Law", CLES Working Paper Series 3/2013, 2013
45. Ma, Tay-Cheng, "Legal Transplant, Legal Origin and Antitrust Effectiveness", Journal of Antitrust Law and Economics, Vol. 9(1), 2013
46. Marshall, Alfred, *Principles of Economics,* (1st ed. In 1890, 8th ed. In 1920), Reprinted by Palgrave Macmillan, 2013
47. Mill, John Stuart, *The Principles of Political Economy,* (First Edition in 1848), Reprinted by Batoche Books, 2001
48. Monti, Giorgio, *EC Competition Law,* Cambridge University Press, 2007
49. Motta, Massimo, *Competition Policy: Theory and Practice,* Cambridge University Press, 2004
50. Neumann, Manfred, *Competition Policy: History, Theory and Practice,* Edward Eglar, 2001
51. Papava, Vladimer, *Economic Reforms in Post-Comunist Georgia (Twenty Years After)* Caucasus Region Political, Economic and Security Issues, Nova Science Publishers Inc., 2013
52. Patel, Kiran Klaus and Schweitzer, Heike, *The Historical Foundations of EU Competition Law,* Oxford University Press, 2013
53. Pera, Alberto, "Changing Views of Competition, Economic Analysis and EC Antitrust Law", European Competition Journal, Vol. 4(1), 2008
54. Peritz, Rudolph J., *Competition Policy in America, 1888-1992: History, Rhetoric, Law,* Oxford University Press, 1996

55. Petrick, Irene J. and Simpson, Timothy W., „3D Printing Disrupts Manufacturing: How Economies of One Create New Rules of Competition", Research Technology Management, Vol. 56(6), 2013
56. Pindyck, Robert S. and Rubinfeld, Daniel L., *Microeconomics*, 6th ed., Pearson Education International, 2005
57. Pitofsky, Robert (ed.), *How the Chicago School Overshot the Mark: the Effect of Conservative Economic Analysis on U.S. Antitrust*, Oxford University Press, 2008
58. Pollard, Sidney, *Peaceful Conqest: The Industrialization of Europe 1760-1970*, Oxford University Press, 1981
59. Posner, Richard A., „The Chicago School of Antitrust", University of Pensilvania Law Review, Vol. 127, 1979
60. Posner, Richard, *Antitrust Law*, 2nd ed., University of Chicago Press, 2001
61. Ricardo, David, *On the Principles of Political Economy and Taxation*, (First Edition in 1817), Reprinted by the Electronic Book Company Ltd, 2001
62. Robninson, Joan, *The Economics of Imperfect Competition*, Macmillan and Co. Limited, 1933 (reprinted in 1946).
63. Rompuy, Ben Van, *Economic efficiency: the sole concern of modern antitrust policy? Non-efficiency considerations under Article 101 TFEU*, Kluwer Law International, 2012
64. Sauter, Wolf, *Coherence in EU Competition Law*, Oxford University Press, 2016
65. Scherer, F.M., *Industrial Market Structure and Economic Performance*, 2nd ed. Houghton Mifflin Company, 1980
66. Schumpeter, Joseph, *Capitalism, Socialism and Democracy*, Taylor & Francis, 1976
67. Schütze, Robert, *European Union Law: with Brexit Coverage*, Cambridge University Press, 1918
68. Schwartz, Ethan, "Politics as Usual: the History of European Community Merger Control", Yale Journal of International Law, Vol. 18(2), 1993

69. Sharkey, William, *The Theory of Natural Monopoly,* Cambridge University Press, 1982
70. Siems, Mathias and Schnyder, Gerhad, "Ordoliberal Lessons for Economic Stability: Different Kinds of Regulation, Not More Regulation", Governanse, Vol. 27, 2014
71. Smith, Adam, *An inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations*, digital edition, MetaLibri, 2007
72. Stucke, Maurice E. and Grunes, Allen P., *Big Data and Competition Policy*, Oxford Unviersity Press, 2016
73. Tirole, Jean, The Theory of Industrial Organization, The MIT Press, 2013
74. Todorov, Francisco Ribeiro and Filho, Marcelo Maciel Torres, „History of Competition Policy in Brazil: 1930-2010", The Antitrust Bulettin, Vol57(2), 2012
75. Van Grasstek, Craig, *The history and future of the World Trade Organization,* WTO, 2013
76. Weatherill, Stephen, *The internal market as a legal concept*, Oxford University Press, 2017
77. Weitbrecht, Andreas, "From Freiburg to Chicago and beyond - the first 50 years of European Competition law", European Competition Law Review , Vol 29(2), 2008
78. Wesseling, Rein, *The Modernisation of EC Antitrust Law*, Hart Publishing, 2000
79. Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law,* 9th ed., Oxford University Press, 2018
80. Wigger, Angela, "Debunking the Myth of the Ordoliberal Influence on Post-War European Integration", in Hein, Joseph and Joerges, Christian (eds.), *Ordoliberalism, Law and the Rule of Economics*, Hart Publishing, 2017
81. Williams, Mark, *The Political Economy of Competition Law in Asia,* Edward Eglar, 2013
82. Winerman, Mark, "The Origins of the FTC: Concentration, Cooperation, Control and Competition", Antitrust Law Journal, Vol. 71(2), 2003

83. Witt, Anne C, „The Enforcement of Article 101 TFEU: What has Happened to the Effects Analysis?", Common Market Law Review, Vol. 55, 2018
84. Zanettin, Bruno, *Cooperation Between Antitrust Agencies at the International Level*, Hart Publishing, 2002

დამატებითი მასალები

1. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში, 2012, https://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Competition%20Policy%20in%20Georgia%20%28GEO%29.pdf
2. Cooley, Thomas M., "Limits to State Control of Private Business", 1878, https://repository.law.umich.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=&httpsredir=1&article=1621&context=articles
3. Commission Guidelines on the Applicability of Article 101 of the Treaty on the Functioning of the European Union to Horizontal Co-operation Agreements, OJ C11/1, 2011
4. European Commission, DG COMP, *Glossary of terms used in EU competition policy, Antitrust and control of concentrations*, 2002, https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/100e1bc8-cee3-4f65-9b30-e232ec3064d6
5. Hamilton Alexander, The Continentalist No. 5, 1872, http://press-pubs.uchicago.edu/founders/documents/a1_8_3_commerces1.html
6. OECD, Khemani, R. S. and Shapiro, D. M., *Glossary of Industrial Organisation Economics and Competition Law*, 1993, http://www.oecd.org/regreform/sectors/2376087.pdf
7. WTO, World Trade Report 2008, II-B/"Globalisation and Trade", pp. 15-21, https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/anrep_e/world_trade_report08_e.pdf
8. http://ec.europa.eu/competition/consumers/what_en.html
9. http://ec.europa.eu/competition/
10. https://europa.eu/european-union/topics/enlargement_en

11. https://www.internationalcompetitionnetwork.org/members/
12. https://www.investopedia.com/updates/adam-smith-economics/
13. https://www.investopedia.com/terms/d/demand.asp
14. https://www.investopedia.com/terms/s/supply.asp
15. https://www.msci.com/documents/1296102/1330218/MSCI_Market_Classification_Framework.pdf/d93e536f-cee1-4e12-9b69-ec3886ab8cc8
16. https://curia.europa.eu/jcms/jcms/j_6/en/
17. https://eur-lex.europa.eu/homepage.html
18. http://ec.europa.eu/competition/ecn/faq.html
19. https://www.internationalcompetitionnetwork.org/
20. http://ec.europa.eu/competition/ecn/index_en.html
21. https://www.oecd.org/
22. https://unctad.org/en/Pages/Home.aspx
23. http://competition.ge/ge/page2.php?p=1&m=7
24. http://competition.ge/ge/page2.php?p=6&m=35
25. https://www.brandsouthafrica.com/investments-immigration/business/investing/regulations/competition-policy

II. შესაბამისი ბაზარი

*ნინო კობაძე**

1. შესაბამისი ბაზრის რაობა და მისი მნიშვნელობა კონკურენციის სამართალში

შესაბამისი ბაზრის განსაზღვრას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს კონკურენციის სამართალში. თვით ცნება კონკურენცია და მისი არსებობის დადგენა დაკავშირებულია შესაბამისი ბაზრის განსაზღვრებასთან. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ სწორედ ამგვარ განმარტებას გვთავაზობს: „კონკურენცია – შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად".[302]

შესაბამისი ბაზარი წარმოადგენს *„საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფეროს გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად."*[303]

სხვაგვარად რომ ითქვას, შესაბამისი ბაზარი არის *„საქონლის რეალიზაციის საერთო პირობების მქონე არეალი,* სადაც

---

* სამართლის დოქტორი, ადვოკატი, Freshfields Bruckhaus Deringer LLP. ამ თავში გადმოცემული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს იურიდიული კომპანიის მოსაზრებებს.

[302] საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 2, ქვეპუნქტი „ბ".

[303] იქვე, მუხლი 2, ქვეპუნქტი „ზ".

მწარმოებლებს (მიმწოდებლებს) და მომხმარებლებს შორის ადგილი აქვს საქონლის რეალიზაციას".[304]

კონკურენციის სამართლის მიზანი სწორედ კონკურენციის დაცვა და ხელშეწყობაა, შესაბამისი ბაზრის ცნება კი კონკურენციის ცნებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ამდენად, შესაბამისი ბაზრის დადგენას სამართლის ამ დარგის ყველა მიმართულებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, იქნება ეს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები, კონცენტრაციების კონტროლი, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება თუ სახელმწიფო დახმარება.

- კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა *შესაბამის ბაზარზე* კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა,[305] რაც იმას ნიშნავს, რომ კანონდარღვევის დადგენამდე აუცილებელია განისაზღვროს შესაბამისი ბაზარი. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრებაზეა ასევე დამოკიდებული საბაზრო წილების გამოთვლაც, რაც გარკვეულ შემთხვევებში ხსენებული შეთანხმებების გამონაკლისებად დაკვალიფიცირების საფუძველი შეიძლება გახდეს.[306]
- შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა მნიშვნელოვანია ასევე კონკურენციის შეზღუდვისა და **არაკეთილსინდისიერი კონკურენციის** ფაქტების გამოსავლენად ჩატარებული ბაზრის მონიტორინგისა და ანალიზის პროცესში.[307] ბაზრის მონიტორინგის ფარგლებში შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა და შედეგად ამ ბაზრის მახასიათებლების სწორად შეფასება კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს იმაზე, არსებობს თუ არა ამ კონკრეტულ ბაზარზე სავარაუდო დარღვევებთან მიმართებაში მოკვლევის დაწყების საფუძველი.

---

[304] შეს.ბამისი ბაზრის განმარტება *ალტა/მეტრომარტის* გადაწყვეტილებაში: *საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს)*, ბრძანება N04/325, 04.12.2017, გვ. 21 (ავტორის ხაზგასმა).

[305] იხ. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, მე-7 მუხლი, 1-ლი პუნქტი.

[306] იხ. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის დადგენილება №526 კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ. მაგალითად, მე-4 მუხლი „გ", მე-8, მე-15, მე-19 და 22-ე მუხლები.

[307] იხ. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ. მე-17[2] მუხლი, „ბ".

- ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა განისაზღვრება *შესაბამის ბაზარზე* მისი საბაზრო წილის, ბაზარზე შესვლის ან წარმოებისა და გაფართოების ბარიერებისა და სააბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. [308] ამრიგად, დომინანტური მდგომარეობის დადგენამდე, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს შესაბამისი ბაზარი და ამის შემდეგ დადგინდეს ეკონომიკური აგენტის ძალაუფლების მასშტაბები ამ ბაზართან მიმართებაში.
- დაუშვებელია კონცენტრაცია, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის *სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე* და რომლის შედეგია დომინანტური მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება. [309] კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების შესაფასებლად საჭიროა, ჯერ განისაზღვროს შესაბამისი ბაზარი, შემდეგ კი შესწავლილ იქნას კონკურენტული სიტუაცია, კონცენტრაციის დონე და ამ კონკრეტული ბაზრის სხვა მახასიათებლები. სწორედ შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის და ანალიზის შედეგად წყდება, დასაშვებია თუ არა კონცენტრაცია.
- კანონი კრძალავს გარკვეული სახის სახელმწიფო დახმარების გაცემას, რომელიც *აფერხებს კონკურენციას შესაბამის ბაზარზე* ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას.[310]ამ შემთხვევაში შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გადამწყვეტია, შეფერხდება თუ არა სახელმწიფო დახმარების გაცემის შედეგად კონკურენცია ამ ბაზარზე ან გაჩნდება თუ არა ამგვარი შეფერხების საშიშროება.
- აკრძალულია სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების

---

[308] იხ. იქვე, მე-5 მუხლი, 1-ლი პუნქტი.

[309] იხ. იქვე, მე-11 მუხლი, მე-5 პუნქტი.

[310]იხ. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, მე-12 მუხლი, 1-ლი პუნქტი. იხ. ასევე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის დადგენილება №529 ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 4, მე-2 პუნქტი, „ბ" და „კ".

შერწყმის და სხვაგვარი კონცენტრაციის, ამა თუ იმ ეკონომიკური აგენტისთვის კონკურენტული უპირატესობის მინიჭების, მონოპოლიური მდგომარეობის შექმნისა და სხვა გზებით. [311] შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა ამ შემთხვევებშიც აუცილებელია, რადგან *კონკურენციის შეზღუდვის ფაქტი მხოლოდ კონკრეტულ გაზართან მიმართებაში* შეიძლება დადგინდეს.

ამგვარად, შესაბამისი ბაზარი წარმოადგენს კონკურენციის სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ ცნებას, რომლის განსაზღვრაც კონკურენციის სამართლის მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

2. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის ეკონომიკური საფუძვლები

შესაბამისი ბაზარი და მისი განსაზღვრა არ წარმოადგენს ეკონომიკურ ცნებას, როგორც ასეთს, თუმცა მის უკან დგას რიგი ეკონომიკური პრინციპებისა, რომლებსაც იგი ეყრდნობა. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისათვის კონკურენციის სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ცნებებს, როგორებიცაა მოთხოვნისა და მიწოდების ჩანაცვლებადობა (სხვაგვარად, ჩანაცვლებადობა მომხმარებლისა და მიმწოდებლის თვალსაზრისით), ასევე მოთხოვნისა და მიწოდების ელასტიკურობა ფასის მიხედვით. ეს ცნებები კი, თავის მხრივ, სათავეს იღებენ მიკროეკონომიკიდან. ამიტომ მიზანშეწონილია მათი განმარტება ეკონომიკური თვალსაზრისით, სანამ თითოეული მათგანის დეტალურ დახასიათებაზე გადავიდოდეთ შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის კუთხით.

[311] იხ. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, მე-10 მუხლი.

2.1 მოთხოვნის კანონი და მოთხოვნის ელასტიკურობა ფასის მიხედვით


მომხმარებლებს განსხვავებული ინდივიდუალური გემოვნება და შემოსავალი აქვთ, შესაბამისად, მზად არიან ერთსა და იმავე პროდუქტში სხვადასხვა ფასი გადაიხადონ იმის მიხედვით, თუ რა სურთ და რამდენის გადახდა შეუძლიათ. უმეტეს შემთხვევებში, მიმწოდებლისა თუ მწარმოებლისთვის შეუძლებელია თითოეულ შემძენს იმ მაქსიმალურ ფასად შესთავაზოს პროდუქტი, რისი გადახდისთვისაც შემძენი მზადაა. ამიტომ მწარმოებელმა ის ურთიერთდამოკიდებულება, რაც არსებობს მომხმარებელთა მზაობასა და პროდუქტის ბაზარზე შეთავაზებულ რაოდენობას შორის, ერთ მთლიანობაში უნდა განიხილოს. ამ ურთიერთდამოკიდებულებას ეკონომიკაში მოთხოვნის კანონს უწოდებენ, რომლის მიხედვითაც შეძენილი პროდუქტის რაოდენობა მისი ფასის უკუპროპორციულია (როცა ყველა სხვა პირობა უცვლელია); სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც უფრო მაღალია პროდუქტის ფასი, მით ნაკლები მოთხოვნა ექნებათ მასზე მომხმარებლებს.[312]

მოთხოვნის კანონის გამოსახვა ვიზუალური თვალსაჩინოებისთვის მოთხოვნის მრუდის საშუალებით ხდება. იგი წარმოადგენს *მოთხოვნის რაოდენობასა და პროდუქტის ფასს შორის დამოკიდებულების* გრაფიკს. მაგალითად, წინამდებარე გრაფიკული გამოსახულების მიხედვით, მომხმარებელი შოკოლადის 30 ფილას, თუ იგი 5 ლარი ეღირება; 20-ს – თუ იგი 15 ლარი ეღირება და ა.შ. თუკი ფილა შოკოლადის ფასი 35 ლარს მიაღწევს, მომხმარებელი მას საერთოდ აღარ შეიძენს.

---

[312] იხ., მაგალითად, Geradin/Layne-Farrar/Petit, *EU Competition Law and Economics*, 1-ლი გამოცემა, აბზაცი 2.12, გვ. 63.

სქემა №1. მოთხოვნის მრუდი



იმის მიხედვით, თუ რამდენად ცვლიან მომხმარებლები თავიანთ გადაწყვეტილებებს პროდუქტის ფასის ცვლილებასთან ერთად, მოთხოვნის მრუდი შეიძლება იყოს მეტად დაქანებული ან მეტად ჰორიზონტალური. მოთხოვნის მრუდის დახრილობა დაკავშირებულია მოთხოვნის ელასტიკურობასთან ფასის მიხედვით. ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიკურობა აჩვენებს, თუ რამდენად მგრძნობიარენი არიან მომხმარებლები ფასის ცვლილებების მიმართ. მოთხოვნა არაელასტიკურად ითვლება, თუ ფასის მომატება არ იწვევს მოთხოვნის მნიშვნელოვან შემცირებას. ამ შემთხვევაში მოთხოვნის მრუდი მეტად დაქანებულია, ანუ მიახლოებული ვერტიკალურთან. პირიქით, თუ ფასის გაზრდისას მოთხოვნა მნიშვნელოვნად მცირდება, ასეთი მოთხოვნა ფასის ცვლილების მიმართ ელასტიკურია, ხოლო მოთხოვნის მრუდი ჰორიზონტალურთან მიახლოებული.

ელასტიკური მოთხოვნის მარტივი მაგალითია მოთხოვნა ფუფუნების საგნებზე, რადგან ისინი არ წარმოადგენენ აუცილებლობას ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუ, მაგალითად, ძვირიან ბრენდის საათებზე ფასი გაიზრდება, მომხმარებლები ნაკლებფასიან საათებს შეიძენენ და პირიქით, თუ ძვირიანი ბრენდის საათების ფასი დაიკლებს, მათზე მოთხოვნა გაიზრდება.

პირველადი აუცილებლობის კვების პროდუქტები კი არაელასტიკური მოთხოვნის მაგალითად გამოდგება, რადგან

ისინი აუცილებელია სიცოცხლისთვის და მათზე მოთხოვნა ფასის მომატების შემთხვევაშიც არ შემცირდება. პურის ფასი რომც გაიზარდოს, მომხმარებლები ნაკლებ პურს მაინც არ შეიძენენ.[313]

თუკი მოთხოვნის ელასტიურობა ერთი პროდუქტის ფასისა და ამავე პროდუქტზე მოთხოვნის ურთიერთდამოკიდებულებას გამოხატავს, მოთხოვნის ჯვარედინი ელასტიურობა აჩვენებს, *თუ რამდენად იცვლება მოთხოვნა ერთ პროდუქტზე, როცა მეორე პროდუქტზე ფასი იზრდება ან მცირდება.*[314] სწორედ ჯვარედინი ელასტიურობაა გადამწყვეტი შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას, რამეთუ იგი აჩვენებს, რამდენად ჩანაცვლებადია ერთი პროდუქტი მეორეთი მომხმარებლის თვალსაზრისით. თუ ერთ პროდუქტზე ფასის მომატება იწვევს მეორე პროდუქტზე მოთხოვნის გაზრდას, ასეთი პროდუქტები ჩანაცვლებადია. მაგალითად, თუ ვაშლის გაძვირების შემთხვევაში მომხმარებელი მეტ მსხალს შეიძენს, ვაშლი და მსხალი ურთიერთჩანაცვლებადი პროდუქტებია. პირიქით, თუ ყავის მომხმარებლები მასზე ფასის ზრდის მიუხედავად არ გადავლენ ჩაის შეძენაზე, ყავა და ჩაი არ წარმოადგენს ჩანაცვლებად პროდუქტებს.[315]

2.2 მიწოდების კანონი და მიწოდების ელასტიკურობა

შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისთვის ასევე მნიშვნელოვანია ბაზრის მეორე მხარე, – მიწოდება. მიწოდების განმარტებისთვის ეკონომიკაში დაშვებულია პრეზუმფცია, რომ კომპანიები მოგების მაქსიმიზაციას ელტვიან, რაც ლიმიტირებულია მომხმარებელთა მოთხოვნით, ანუ მზაობით, გადაიხადონ კონკრეტული ფასი ამ პროდუქტში (ასევე სხვა ფაქტორებით).[316]

---

[313] დეტალებისთვის მოთხოვნის ელასტიკურობასა და მის გამოთვლასთან დაკავშირებით იხ.: მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, 1-ლი გამოცემა, გვ.: 116-121.

[314] შეად. Bishop/Walker, *The Economics of EC Competition Law – Concepts, Application and Measurement*. მე-3 გამოცემა, § 3.007.


[315] ჯვარედინი ელასტიკურობა შესაძლოა განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ რომელი მიმართულებით ხდება დაკვირვება. მაგალითად, შესაძლოა ყავის მომხმარებლებისთვის ჩაი არ წარმოადგენდეს ჩამნაცვლებელს, ჩაის მომხმარებლები კი ჩაიზე ფასის მატების შემთხვევაში გადავიდნენ ყავის მოხმარებაზე. შეად. Jones/Sufrin, EU Competition Law, მე-6 გამოცემა, p. 5.

[316] შეად. Cooter/Ulen, *Law and Economics*, მე-6 გამოცემა, p. 26.

მწარმოებელთა ამ მიზნიდან გამომდინარე, ფასის ცვლილებები მწარმოებელთა ქცევის ცვლილებას იწვევს. სწორედ *ურთიერთდამოკიდებულებას პროდუქტის ფასსა და მწარმოებლების მზაობას შორის, შესთავაზოს ბაზარს ეს პროდუქტი,* ეკონომიკაში მიწოდების კანონი ეწოდება. ამ კანონის თანახმად, თუ სხვა ყველა პირობა უცვლელია, ფასის ზრდასთან ერთად მიწოდების რაოდენობა იზრდება და პირიქით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც უფრო მაღალია პროდუქტის ფასი, მით უფრო მეტია ამ პროდუქტის რაოდენობა ბაზარზე.[317]

მოთხოვნის მრუდის მსგავსად, მიწოდების მრუდი წარმოადგენს მიწოდების რაოდენობასა და პროდუქტის ფასს შორის დამოკიდებულების გრაფიკს. მაგალითად, წინამდებარე გრაფიკული გამოსახულების თანახმად, მწარმოებელი აწარმოებს შოკოლადის 30 ფილას, თუ იგი 24 ლარი ეღირება; 20-ს, თუ იგი 16 ლარი ეღირება და ა.შ. თუკი ფილა შოკოლადის ფასი 0-ს გაუტოლდება, ანუ მომხმარებელი მასში მეტი თანხის გადამხდელი არ იქნება, მიწოდებაც 0-ს გაუთანაბრდება.

სქემა №2. მიწოდების მრუდი



[317] იხ., მაგალითად, Geradin/Layne-Farrar/Petit, *EU Competition Law and Economics,* 1-ლი გამოცემა, აბზაცი 2.12, გვ. 63.

იმის მიხედვით, თუ რამდენად ცვლიან მწარმოებლები თავიანთ გადაწყვეტილებებს პროდუქტის ფასის ცვლილებასთან ერთად, მიწოდების მრუდი შეიძლება იყოს მეტად დახრილი ან მეტად ჰორიზონტალური. მიწოდების მრუდის დახრილობა დაკავშირებულია მიწოდების ელასტიკურობასთან ფასის მიხედვით. ფასის მიხედვით მიწოდების ელასტიკურობა აჩვენებს, როგორ იცვლება მიწოდებული საქონლის რაოდენობა ფასის ცვლილების დროს. მიწოდება არაელასტიკურად ითვლება, თუ ფასის მომატება არ იწვევს მიწოდების მნიშვნელოვან მატებას. პირიქით, თუ ფასის გაზრდას თან ახლავს ბაზარზე შეთავაზებული საქონლის რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, მიწოდება ელასტიკურია. მიწოდების ელასტიკურობა აჩვენებს, თუ რამდენად სწრაფად რეაგირებენ მიმწოდებლები ფასის ცვლილებაზე.[318]

მოთხოვნის მხარის მსგავსად, მიწოდების მხარესაც არის შესაძლებელი მიწოდების ჯვარედინი ელასტიურობის შეფასება. მიწოდების ჯვარედინი ელასტიკურობა აჩვენებს, თუ *რამდენად იცვლება ერთი პროდუქტის მიწოდება, როცა მეორე პროდუქტზე ფასი იზრდება ან მცირდება.* თუ ერთ პროდუქტზე ფასის მომატება იწვევს მეორე პროდუქტის მიწოდების შემცირებას, ასეთი პროდუქტები მიწოდების თვალსაზრისით ჩანაცვლებადია. მაგალითად, თუ სპორტული მანქანები გაძვირდება, მანქანის მწარმოებლები შეეცდებიან, რესურსები სპორტული მანქანის წარმოებაზე მიმართონ და შედეგად სედანების მიწოდება შემცირდება. სედანები და სპორტული მანქანები კი მწარმოებლების თვალსაზრისით ურთიერთჩანაცვლებად პროდუქტებად ჩაითვლება.[319]

---

[318] დეტალებისთვის მოთხოვნის ელასტიკურობასა და მის გამოთვლასთან დაკავშირებით იხ.: მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, 1-ლი გამოცემა, გვ. 116-121.

[319] იხ. Greco, Cross Elasticity of Supply: Seldom Heard of and Seldom Taught, Journal for Economic Educators, Volume 5(1), Winter 2005, გვ. 1.

3. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის კრიტერიუმები

როცა საუბარია შესაბამისი ბაზრის განსაზღვრაზე, დადგენასა თუ იდენტიფიცირებაზე, იგულისხმება საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ ბაზრის ჩარჩოების დადგენა, მისი ფარგლების განსაზღვრა იმისათვის, რათა გაიზომოს კონკურენციის ესა თუ ის პარამეტრი მოცემულ ბაზარზე (მაგალითად, საქონლის/მომსახურების ფასი, ბაზარზე მიმწოდებელთა/კონკურენტთა რაოდენობა და კონცენტრაციის დონე, ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილები და სხვა).

შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა ბაზრის ანალიზის შემადგენელი ნაწილია[320] და მოიცავს პროდუქციული საზღვრების, გეოგრაფიული საზღვრებისა და დროითი ჩარჩოს დადგენას.[321] შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა მხოლოდ ყველა ჩამოთვლილი პარამეტრის შესწავლის შედეგად არის შესაძლებელი, რამეთუ შესაბამისი ბაზარი მოიცავს კონკრეტულ პროდუქტებსა თუ მომსახურებას (პროდუქციული საზღვრები) გარკვეულ სივრცეში (გეოგრაფიული საზღვრები) და დროის მონაკვეთში (დროითი ჩარჩო). შესაბამისი ბაზარი იდენტიფიცირებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრულია მისი პროდუქციული საზღვრები, გეოგრაფიული გავრცელების არეალი და დრო, რომლის განმავლობაშიც ბაზარი ფუნქციონირებს და დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს.[322] სააგენტო კონკურენტულ გარემოს სწორედ ამ პარამეტრებზე დაყრდნობით განსაზღვრულ შესაბამის ბაზარზე აფასებს, რაც შემდგომში საფუძვლად ედება განსახილველი წარსული თუ მომავალი ქმედების ანალიზს ამ ბაზართან მიმართებაში.[323]

თუმცა, კონკურენციის სააგენტო ასევე სარგებლობს გარკვეული დისკრეციით. კერძოდ, „კონცენტრაციის შესახებ

---

[320] შეად. ბაზრის ანალიზის მითითებები, მე-2 მუხლი, 1-ლი პუნქტი, „ი".

[321] იხ. ბაზრის ანალიზის მითითებები, მე-5 მუხლი, 1-ლი პუნქტი.

[322] იქვე. მე-12 მუხლი, მე-3 პუნქტი.

[323] იქვე. მე-5 მუხლი, მე-2 და მე-3 პუნქტები.

შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის“ [324] თანახმად, შესაბამისი ბაზრისა და მისი განსაზღვრის მეთოდის მითითება სავალდებულოა კონცენტრაციის შეტყობინების წარდგენისას. [325] ამასთანავე, სააგენტო უფლებამოსილია განსაზღვროს ბაზარი არა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე და იმის მიხედვით, თუ რამდენად აუცილებელია მოცემული შემთხვევის გადასაწყვეტად ბაზრის ამომწურავი შესწავლა-იდენტიფიცირება.[326]

3.1 ბაზრის ანალიზის ძირითადი პრინციპები და ინფორმაციის წყარო

სააგენტო ბაზრის განსაზღვრისა და ანალიზის დროს ხელმძღვანელობს რიგი ძირითადი პრინციპებით. „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ [327] მე-3 და მე-6 მუხლების თანახმად, სააგენტოს სახელმძღვანელო პრინციპებია:

- ობიექტურობის პრინციპი: სააგენტო ეყრდნობა მხოლოდ ობიექტურ გარემოებებს, რომლებიც გამოვლინდებიან კონკრეტულ ბაზარზე. სუბიექტური შეფასებები, რომლებიც არ დადასტურდება, ვერ გახდება სააგენტოს მიერ ამა თუ იმ მიმართულებით დასკვნის გამოტანის საფუძველი.

---

[324] იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-4 ბრძანება კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ (შემდგომში: „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი“); დანართი №1.

[325] მეტ-ნაკლებად მსგავსი პრინციპი მოქმედებს ევროკომისიაში კონცენტრაციის შეტყობინების წარდგენისასაც. ევროკომისია გარკვეულ შემთხვევებში განასხვავებს შესაბამის ბაზარს და ბაზარს, რომელზეც კონცენტრაცია ზეგავლენას ახდენს (affected market). შეად. Whish/Baley, Competition Law, მე-9 გამოცემა, გვ. 887 et seq.

[326] მაგალითად, ცემენტინვესტი/კავკასუსცემენტის გადაწყვეტილებაში სააგენტომ მიუთითა, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია არ იწვევდა სასაქონლო ბაზრებზე არსებული მდგომარეობის შეცვლას და შესაბამისად, ბაზრის სრულყოფილი მოკვლევისა და შეფასების, მათ შორის, პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრებისა და დროითი ჩარჩოს დადგენის აუცილებლობა არ არსებობდა. იხ. *საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს)*, ბრძანება №04/274, 06.10.2017 ცემენტინვესტი/კავკასუსცემენტი, გვ. 14.

[327] სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-3 ბრძანება ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე (შემდგომში – „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“).

- **ინკვიზიციურობის პრინციპი:** ამ პრინციპზე დაყრდნობით, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სააგენტო იკვლევს ბაზრის იმ სეგმენტებს და ისეთ დეტალებსაც, რომლებიც შესაძლოა არ იყოს მოთხოვნილი დაინტერესებული პირის შესაბამისი განაცხადით, ან პირდაპირ და უშუალო კავშირში არ იყოს უკვე არსებულ მოცემულობებთან.
- **მრავალმხრივი გამოკვლევის პრინციპი:** ამ პრინციპით მოქმედება გულისხმობს ბაზრის კვლევის ერთზე მეტი მეთოდის გამოყენებას, რათა თავიდან იქნას აცილებული არაამომწურავი ან/და ცალმხრივი შეფასება.
- **ფუნქციონალური ანალოგიის პრინციპი:** ეს პრინციპი გულისხმობს ფუნქციურად ანალოგიური კრიტერიუმებისა და ანალიზური ფაქტორების მსგავს შემთხვევებში ერთგვაროვან გამოყენებას ბაზრის კონკურენტულობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას.
- **აუცილებლობის, ეფექტიანობისა და თანაზომიერების პრინციპი:** კვლევისას შესრულდება მხოლოდ ის სამუშაო, რომელიც მიმართულია და აუცილებელია კვლევის მიზნის მისაღწევად და რომლის მასშტაბები და ხასიათი ამ მიზანს შეესაბამება.
- **კანონიერების პრინციპი:** სააგენტოს ბაზრის ანალიზისთვის საჭირო ინფორმაციას მოიძიებს ინფორმაციის მოპოვების კანონიერების პრინციპის გათვალისწინებით.

ბაზრის ანალიზისა და შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისთვის სააგენტო აკვირდება ბაზარს და იყენებს მასზე დაფიქსირებულ ოფიციალურ, მოძიებულ ან წარმოდგენილ მასალას. ამასთან, იგი ეყრდნობა არა მხოლოდ განსახილველი პროდუქტების მომხმარებელთა, მიმწოდებელთა/მწარმოებელთა და ბაზრის სხვა მონაწილეთა მოსაზრებებს, არამედ საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სხვა პირებსა და დაწესებულებებს და ითვალისწინებს მათ შეხედულებებსაც. მაგალითად, *საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისის* საქმეში, სააგენტო შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას დაეყრდნო არა მხოლოდ სამედიცინო მომსახურებების მიმწოდებელთა მიერ წარდგენილ ინფორმაციას,

არამედ კონსულტაციები მიიღო სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსგან, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისგან.[328]

გარდა მიღებული ინფორმაციის დამოუკიდებელი ანალიზისა, სააგენტო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს შესაბამისი დარგის ექსპერტებსაც ინფორმაციის დამუშავებისა და ამა თუ იმ საკითხზე მოსაზრების დაფიქსირების თხოვნით.

მაგალითად, *ჰაიდელბერგცემენტი/თბილცემენტის* საქმეზე,[329] სააგენტომ დამატებით საექსპერტო დასკვნის მომზადების თხოვნით მიმართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს და მისი დასკვნა გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრისას გაითვალისწინა.

3.2 შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები

როგორც აღინიშნა, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირების პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენა. ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა პროდუქტი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ პროდუქტის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.[330]

ამასთან, მხოლოდ მომხმარებლის თვალსაზრისის გათვალისწინება არასწორ სურათს შექმნიდა ბაზრის პროდუქციული საზღვრების დასადგენად, რამეთუ მწარმოებელიც/მიმწოდებელიც ამ ბაზრის მონაწილეა. შესაბამისად,

---

[328] *საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს),* ბრძანება №57, 28.04.2016 საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი / სს ჯიპისი (100% წილის შეძენით) – საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისი, გვ. 49.

[329] *საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს),* ბრძანება №67, 09.06.2015 ჰაიდელბერგცემენტი/თბილცემენტი, გვ.: 23-24.

[330] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მე-7 მუხლი, 1-ლი პუნქტი.

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი განმარტავს, რომ შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმები განხილულ უნდა იქნას როგორც მომხმარებლის, ასევე მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით.

აღნიშნული მიდგომა გამოიყენება შესაბამისი ბაზრის შეფასებისას, როგორც ბაზრის სტრუქტურის, საბაზრო ძალაუფლების, ისე ანტიკონკურენციული ქმედების დადგენის შემთხვევაში.

ა) ურთიერთჩანაცვლებადობა მომხმარებლის თვალსაზრისით

მომხმარებლის თვალსაზრისით ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა *ყველა ის პროდუქტი თუ მომსახურება, რომელიც მომხმარებლისთვის ურთიერთჩანაცვლებადია.*

მაგალითად, შოკოლადის ბაზრის ანალიზისას ბაზრის პროდუქციული საზღვრების დასადგენად სააგენტო შეისწავლის და ბაზრის ფარგლებში მოაქცევს ყველა იმ პროდუქტს, რომელმაც მისი მახასიათებლებიდან, ფასებიდან და გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაანაცვლოს შოკოლადი. შესაბამისად, თუ მომხმარებლისთვის შოკოლადი და სხვა ტკბილეული, მაგალითად, კრემიანი ნამცხვარი, ურთიერთჩანაცვლებადია და ორივე პროდუქტი ერთსა და იმავე ფასის კატეგორიას მიეკუთვნება, ბაზრის პროდუქციული ფარგლები ფართოვდება და მასში შედის როგორც შოკოლადის ნაწარმი, ასევე სხვა ტკბილეული, რომელიც მომხმარებლისთვის შოკოლადის ალტერნატივას წარმოადგენს. შედეგად, პროდუქციული ბაზარი განისაზღვრება როგორც ტკბილეულის ბაზარი. პირიქით, თუკი მომხმარებლისთვის სხვა ტკბილეული შოკოლადს, როგორც წესი, ვერ ჩაანაცვლებს, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბაზრის პროდუქციული საზღვრები მინიმუმ შოკოლადის ნაწარმით შემოიფარგლება.

ამასთანავე, შესაძლოა ბაზრის პროდუქციული საზღვრები კიდევ უფრო ვიწრო იყოს იმ შემთხვევაში, თუ შოკოლადის სხვადასხვა ნაწარმს შორის ურთიერთჩანაცვლებადობა სახეზე არ არის. ასეთ შემთხვევას ექნება ადგილი, თუ, მაგალითად, დადგინდება, რომ შოკოლადის კანფეტი არ წარმოადგენს ალტერნატივას შოკოლადის ფილის მომხმარებლისთვის. შოკოლადის ფილის მოყვარული მომხმარებელი არ ჩაანაცვლებს მას შოკოლადის კანფეტით და პირიქით.

ამ მაგალითის მსგავსად, სააგენტომ *ევექსი/გნ.კო-ს* კონცენტრაციის შემთხვევაში [331] პროდუქციული ბაზრის დასადგენად განიხილა საკითხი, ჩაითვლება თუ არა კონკურენტებად მონოპროფილური სამედიცინო დაწესებულებები (რომლებიც მომსახურებას მხოლოდ ერთი მიმართულებით სთავაზობენ პაციენტებს) და მულტიპროფილური სამედიცინო დაწესებულებები (მომსახურების უფრო ფართო სპექტრით). ამ შემთხვევაში დასადგენი იყო, არის თუ არა მომხმარებლის, ანუ პაციენტისთვის, მონოპროფილური სამედიცინო დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურება ჩანაცვლებადი მულტიპროფილური დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურებით და პირიქით.

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-8 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, *მომხმარებლის თვალსაზრისით პროდუქციული საზღვრების განსაზღვრისას ურთიერთჩანაცვლების კრიტერიუმს წარმოადგენს მომხმარებლის არჩევანის განმსაზღვრელი პროდუქციული მახასიათებლები.* ასეთი მახასიათებლებია სამომხმარებლო თვისებები, სიახლის დონე, მომხმარებლის მიერ პროდუქტის მოხმარების (ექსპლუატაციის) პირობები, რეალიზაციის პირობები, შედარებითი ფასების დონე, [332] ასევე, სხვა ნებისმიერი ისეთი მახასიათებელი,

---

[331] იხ. *საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს).* ბრძანება №95, 28.07.2015. ევექსი/გნ.კო, გვ.: 11, 22-24.

[332] ევროკომისიის პრაქტიკაში არის ასევე შემთხვევები, როცა ის რაოდენობრივ კრიტერიუმს ეყრდნობა შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას, როგორიცაა ფასების კორელაცია. თუმცა ევროკომისია, როგორც წესი, ამგვარ კრიტერიუმს მხოლოდ სხვა დამხმარე კრიტერიუმებთან ერთობლიობაში ეყრდნობა. იხ. Varona/Galarza/Crespo/Alonso, *Merger Control in the European Union,* მე-2 გამოცემა, აბზაცები: 5.68-5.75.

რომელიც მომხმარებლის არჩევანის განსაზღვრის პროცესში გარკვეულ როლს ასრულებს.

განხილულ ტკბილეულის მაგალითზე, მომხმარებლისთვის არჩევანის გაკეთების დროს ცალსახად მნიშვნელოვანია, რომ პროდუქტი იყოს ტკბილი და შესაძლებელი იყოს მისი დესერტად გამოყენება. ნაკლებად წარმოსადგენია, რომ ის, ვისაც სურს შოკოლადის შეძენა, ალტერნატივად ხაჭაპურის შეძენას განიხილავდეს. ასევე, შესაძლოა სხვადასხვა პროდუქციულ ბაზრებთან გვქონდეს საქმე, თუ ამა თუ იმ ტკბილეულს განსხვავებულ პირობებში მოიხმარენ. მაგალითად, ნამცხვარი, რომლის მირთმევაც მხოლოდ კაფეშია შესაძლებელი და შოკოლადი, რომლითაც ქუჩაში და გზაშიც შეგვიძლია დავტკბეთ, შესაძლოა სხვადასხვა პროდუქციულ ბაზრებს მიეკუთვნებოდნენ. ამ განმასხვავებელი ნიშნის გამო. ასევე, სხვადასხვა ბაზარს მიეკუთვნება ყველგან ხელმისაწვდომი საშუალოფასიანი ტკბილეული და განსაკუთრებული, ძვირადღირებული შოკოლადი, რომელიც მხოლოდ გარკვეულ მაღაზიებში იყიდება.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ ბაზრის, როგორც პროდუქციული, ასევე ტერიტორიული საზღვრები დადგინდება *ურთიერთჩანაცვლებადობის ხარისხის გათვალისწინებით,* რადგანაც სხვაგვარად ჩანაცვლება გარკვეულ პირობებში უფრო მეტად ან ნაკლებად მოსალოდნელია.

მაგალითად, მეტ-ნაკლებად თანაბარი ფასების პირობებში შესაძლოა კოკა-კოლა და ფანტა ჩანაცვლებადი იყოს, კოკა-კოლაზე ფასის მნიშნელოვნად მატების შემთხვევაში კი მომხმარებლებმა იგი ფანტათი ჩაანაცვლონ. ბაზრის ანალიზის მითითებები ამ მიზნისთვის ასევე ითვალისწინებს ფასების ჯვარედინი ელასტიკურობის მაჩვენებლის შესწავლის შესაძლებლობას, რომელიც გულისხმობს პროდუქტთა ფასების ცვლილებებით გამოწვეულ მოთხოვნის ცვლილებას და განისაზღვრება შედარებითი შეფასების საშუალებით.

მსგავსი ანალიზისთვის ევროკომისია ხშირად იყენებს დამხმარე ტესტს, *ჰიპოთეტური მონოპოლისტის* ანუ ე.წ. ***SSNIP*** ტესტს, რაც ნიშნავს *ფასის მცირე, მაგრამ არსებით და მუდმივ*

(არაგარდამავალ) მატებას.[333] ტესტის მთავარი იდეა შემდეგია: *თუ მომხმარებელთა საკმარისი რაოდენობის რეაქცია ფასის მცირე, მაგრამ არსებით და არაგარდამავალ (ანუ არადროებით) მატებაზე იქნება ის, რომ ისინი გადავლენ სხვა პროდუქტის მოხმარებაზე და შედეგად ფასის ამგვარი მომატება არ იქნება მომგებიანი ჰიპოთეტური მონოპოლისტისთვის, ეს ალტერნატიული პროდუქტი უნდა ჩაითვალოს ბაზრის ნაწილად, ანუ მოექცეს მის პროდუქციულ საზღვრებში.*

განხილულ მაგალითში, იმის დასადგენად, წარმოადგენს თუ არა კრემიანი ნამცხვარი იმავე ბაზრის ნაწილს, რომელსაც შოკოლადი მიეკუთვნება, ტარდება კვლევა და დგინდება, თუ მოსახლეობის რა რაოდენობა გადავიდოდა კრემიანი ნამცხვრის მოხმარებაზე იმ შემთხვევაში, თუ შოკოლადის ფასი გაიზრდებოდა, მაგალითად, 5%-ით, და ეს ფასის მატება არ იქნებოდა დროებითი ხასიათის. თუ აღმოჩნდება, რომ მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მართლაც ჩაანაცვლებდა შოკოლადს კრემიანი ნამცხვრით, ეს ორი პროდუქტი ჩაითვლება ერთი პროდუქციული ბაზრის ნაწილად, შესაბამისად, ერთმანეთის კონკურენტებად. შედეგად, ბაზრის კონცენტრაციის, დომინანტური მდგომარეობისა და სხვა კრიტერიუმების ანალიზისას გათვალისწინებული იქნება ამ მასშტაბების ბაზარი. ასეთ შემთხვევაში ივარაუდება, რომ შოკოლადის მწარმოებელი ჰიპოთეტური მონოპოლისტისთვის ამ ვითარებაში ფასის მომატება, სულ მცირე, გრძელვადიან ჭრილში, არამომგებიანია. პირიქით, თუკი აღმოჩნდება, რომ მომხმარებელი ფასის მომატების მიუხედავად, შოკოლადის ერთგული დარჩებოდა, კრემიანი ნამცხვარი შოკოლადის ბაზრის ნაწილად არ განიხილება.[334]

---

[333] შემოკლება SSNIP მომდინარეობს ტესტის ინგლისური სახელწოდებიდან: Small but Significant and Nontransitory Increase in Price.

[334] ამ შეცდომას, რომელიც თავდაპირველად აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაუშვა, ცელოფნის ცდომილებას („Cellophane Fallacy") უწოდებენ. თუ ბაზარზე არსებული ფასი იმ ფასზე მაღალია, რომელიც ჯანსაღი კონკურენციის პირობებში იარსებებდა (მაგალითად, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევებში), ამ ფაქტის გაუთვალისწინებლობა SSNIP-ტესტის გამოყენებისას გამოიწვევს ბაზრის საზღვრების ხელოვნურ გაფართოებას და მასში ისეთი პროდუქტების ჩათვლას, რომლებიც არ

პრაქტიკაში SSNIP-ტესტის ჩატარებას გარკვეული სიძნელეები ახლავს თან, რომლებიც დაკავშირებულია მტკიცებულებების შეგროვებასა და მათ ინტერპრეტაციასთან. მთავარ სირთულეს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რა რაოდენობის მომხმარებლის მიერ უნდა მოხდეს საქონლის ან მომსახურების ჩანაცვლება იმისთვის, რომ ფასის მომატება არამომგებიანი გახდეს. გარდა ამისა, SSNIP-ტესტი მხოლოდ კონკურენტულ ბაზრებთან მიმართებაში მუშაობს. იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე არსებული ფასები არაჯანსაღი კონკურენციის შედეგად ისედაც უკვე მომატებულია, ტესტმა შესაძლოა შეცდომაში შემყვანი შედეგები აჩვენოს.[335]

კონკურენციის სააგენტომ *საავტომობილო საწვავის* საქმეში [336] ნავთობპროდუქტების სამომხმარებლო თვისებებზე დაყრდნობით, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კონკრეტული სატრანსპორტო საშუალებისთვის კონკრეტული ნავთობპროდუქტია გამოსადეგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია დიზელის ძრავიანი ავტომობილისთვის ბენზინის გამოყენება, ან პირიქით. მეტიც, თვით ბენზინის შემთხვევაშიც სხვადასხვა ხარისხის ბენზინიც კი შესაძლოა მომხმარებლისთვის არ იყოს ჩანაცვლებადი იმის მიხედვით, თუ რომელი ავტომობილისთვის გამოიყენონ იგი.[337]

ფოთის პორტის საქმეში [338] სააგენტომ დაადგინა, რომ სახმელეთო ტერმინალების მიერ გაწეული ყველა მომსახურება (კონტეინერების ჩამოცლა სახმელეთო სატრანსპორტო

წარმოადგენენ რეალურ ჩამნაცვლებლებს მოცემული პროდუქტისა. მეტი ინფორმაციისთვის იხ. Whish/Baley, Competition Law, მე-9 გამოცემა, გვ. 31 et seq.

[335] დეტალებისთვის იხ. Whish/Baley, Competition Law, მე-9 გამოცემა, გვ. 33 et seqq.

[336] *საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს)*, ბრძანება №04/117, 10.05.2018 საავტომობილო საწვავის ბაზარზე კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების შესახებ – საავტომობილო საწვავი, გვ. 9.

[337] აქვე გასათვალისწინებელია, რომ სააგენტომ ეს ბაზრები საბოლოოდ ერთიან ბაზრად განიხილა ბენზინისა და დიზელის მიმწოდებლის თვალსაზრისით ჩანაცვლებადობაზე დაყრდნობით. დაწვრილებით იხ. ქვეთავებში: „ურთიერთჩანაცვლებადობის დადგენა მწარმოებლის/მიმწოდებლის თვალსაზრისით" და „მომხმარებლისა და მიმწოდებლის თვალსაზრისის გამოყენების პრაქტიკული დატვირთვა".

[338] *საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს)*, ბრძანება №04/91, 21.04.2017 სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" მიერ კონკურენციის შესახებ კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) – ფოთის პორტი, გვ.: 95-96.

საშუალებიდან, მიღება საწყობში და შენახვა, ტვირთის გახსნა, საბაჟო დოკუმენტაციის მოწესრიგება, კონტეინერის დენის წყაროსთან მიერთება სამაცივრე ტვირთის შემთხვევაში და დატვირთვა სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებაზე), მიუხედავად იმისა, რომ ისინი შინაარსით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ერთ პროდუქციულ ბაზარს მიეკუთვნება. სააგენტომ ეს იმით დაასაბუთა, რომ ამ მომსახურებების გაწევა სხვადასხვა სატერმინალო კომპანიების მიერ ტექნიკურად რთულად განსახორციელებელი იქნებოდა (მაგალითად, მომხმარებლისთვის, ანუ სატერმინალო კომპანიის კლიენტისთვის ფიზიკური დაშორების გამო მოუხერხებელი და მიზანშეუწონელია კონტეინერი ერთ ტერმინალში გახსნას, შესანახად კი მეორე ტერმინალში განათავსოს).[339]

მომხმარებლის არჩევანის განმსაზღვრელ პროდუქციულ მახასიათებლებს სააგენტო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადგენს *სოციოლოგიური გამოკითხვების, ექსპერტთა დასკვნის, მომხმარებელთა ქცევაზე სოციოლოგიური დაკვირვების, ცდების ან სხვა ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც იძლევა ამ მახასიათებლების განსაზღვრის საშუალებას* და ამავდროულად არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობასა და ბაზრის ანალიზის პრინციპებს.[340]

მაგალითად, *ევექსი/გნ.კო-ს* კონცენტრაციისას სააგენტომ სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის სფეროში ურთიერთჩანაცვლებადი საქონლისა და მომსახურებების დადგენის მიზნით განმარტებისთვის მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს.[341] *ფოთის პორტის* საქმეში [342] სააგენტოს მიერ სამი სხვადასხვა პროდუქციული ბაზრის განსაზღვრის ერთ-ერთ საფუძვლად იქცა

---

[339] იხ. ასევე კობაძე, *„Black Sea Port in Georgia Scrutinised by the Georgian Competition Authority Relying upon EU Case Law as Plans for Expansion Rejected"*, in: Journal of European Competition Law & Practice, Volume 9, Issue 3, 01.03.2018, გვ. 178.

[340] იხ. ბაზრის ანალიზის მითითებების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი.

[341] იხ. *სკს*, ბრძანება №95, 28.07.2015 – ევექსი/გნ.კო, გვ. 3.

[342] იხ. *სკს*, ბრძანება №04/91, 21.04.2017 – ფოთის პორტი, გვ. 98-99.

ის ფაქტიც, რომ სატერმინალო კომპანიების მომხმარებლები (საზღვაო ხაზები), როგორც წესი, სამ სხვადასხვა კონტრაქტს აფორმებდნენ საპორტო (სტივიდორული) და სატერმინალო მომსახურებების მისაღებად.[343]

პროდუქციული მახასიათებლებისა და პროდუქტის დანიშნულების დადგენის შედეგად გამოიკვეთება ამ პროდუქტის სავარაუდო ჩამნაცვლებლები. თუმცა, ორი პროდუქტის მხოლოდ ფუნქციური ჩანაცვლებადობა ან მათ სამომხმარებლო თვისებებს შორის მსგავსება ყოველთვის არ არის საკმარისი პროდუქტების ჩანაცვლებადობის დასადასტურებლად, რადგან მომხმარებლები ამ მაჩვენებლების გარდა შესაძლოა სხვა ფაქტორებსაც ითვალისწინებდნენ ფასების ცვლილებების შედეგად გადაწყვეტილებების მიღებისას. მაგალითად, ავტომობილების ორიგინალი ნაწილების ბაზარი შეიძლება სხვა სახის კონკურენტულ წნეხს განიცდიდეს, ვიდრე სათადარიგო ნაწილების ბაზარი და ეს ამ ბაზრების განცალკევებულ ბაზრებად განსაზღვრის აუცილებლობას იწვევდეს, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ორივე პროდუქტი მსგავსი სამომხმარებლო თვისებების მატარებელია. [344] პირიქით, ორი პროდუქტის განსხვავებული პროდუქციული მახასიათებლები შეიძლება ცალსახად არ გამორიცხავდეს მომხმარებლის თვალსაზრისით მათ ჩანაცვლებადობას, რადგან ეს უკანასკნელი დიდწილად მომხმარებელთა მიერ ამ მახასიათებლების შეფასებაზეა დამოკიდებული და არა მხოლოდ ამ მახასიათებლებს შორის ობიექტურად არსებულ განსხვავებაზე.

მაგალითად, მიეკუთვნება თუ არა ერთიან შესაბამის ბაზარს ერთი მხრივ, პრესტიჟული მაჯის საათების ბაზარი (ე.წ.

---

[343] იხ. ასევე კობაძე, *„Black Sea Port in Georgia Scrutinised by the Georgian Competition Authority"*, 01.03.2018, გვ. 178.

[344] მაგალითად, ევროკომისიამ დაადგინა VW მარკის ავტომობილების ნაწილების წარმოების 4 სხვადასხვა ბაზრის არსებობა მათზე განსხვავებული კონკურენტული პირობების არსებობის გამო: 1. თვით VW-ს მიერ წარმოებული ნაწილები; 2. ნაწილები, რომლებსაც VW-ს დაკვეთით მესამე პირები აწარმოებენ (პირველი ორი ტიპის პროდუქტი ერთად ორიგინალ ნაწილებად მოიხსენიება); 3. სათადარიგო ნაწილები, რომლებიც მესამე პირების მიერ იწარმოება, მაგრამ ორიგინალ ნაწილებთან გათანაბრებული ხარისხი გააჩნიათ; 4. სხვა სათადარიგო ნაწილები. იხ. ევროკომისიის 16.02.2004 გადაწყვეტილება M.3352 VW/Hahn Lang, აბზაცი 12.

პირველადი ბაზარი) და მეორე მხრივ, მათი სათადარიგო ნაწილებისა და შეკეთების მომსახურების ბაზრები (ე.წ. მეორადი ბაზრები) დამოკიდებულია, სხვა ფაქტორებთან ერთად, იმაზე, გამოიწვევს თუ არა მაჯის საათების სათადარიგო ნაწილებზე ფასის მატება პირველად, ძირითად პროდუქტზე, ანუ თვით მაჯის საათზე მოთხოვნის გაზრდას. იმ შემთხვევაში, თუ ამ კითხვაზე პასუხი დადებითია, სხვა ფაქტორების გათვალისწინების შემდეგ შესაძლებელია შესაბამისი ბაზრის ერთიან, ე.წ. სისტემურ ბაზრად განხილვა.[345]

ბ) ურთიერთჩანაცვლებადობა მწარმოებლის/მიმწოდებლის თვალსაზრისით

მწარმოებლის/მიმწოდებლის თვალსაზრისით ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა *ყველა ის პროდუქტი თუ მომსახურება, რომლის წარმოებაზე ან მიწოდებაზე გადასვლა მწარმოებელს თუ მიმწოდებელს მარტივად შეუძლია.*

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მწარმოებლის/მიმწოდებლის თვალსაზრისით პროდუქციული საზღვრების დადგენისას ურთიერთჩანაცვლების კრიტერიუმს წარმოადგენს ერთი განსახილველი პროდუქტის წარმოებიდან მეორის წარმოებაზე გადასვლის სიმარტივის ხარისხი, რომლის შემოწმების დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც მოქმედი, ასევე თავისუფალი საწარმოო სიმძლავრეები. პროდუქტთა ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმს სააგენტო ადგენს დაკვირვებით, ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, ექსპერიმენტით ან ადგილზე შემოწმებით, ან სხვა ისეთი წყაროების გამოყენებით,

---

[345] იხ. ევროკავშირის საერთო სასამართლოს 15.12.2010 გადაწყვეტილება T-427/08 CEAHR v Commission, პუნქტი 105. შეად. ასევე ევროკომისია, Commission Notice on the definition of relevant market for the purposes of Community competition law (97/C 372/03), 09.12.1997, პუნქტები 36 და 56.

რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და ბაზრის ანალიზის პრინციპებს.[346]

განხილულ ტკბილეულის მაგალითზე, მწარმოებლის თვალსაზრისით შოკოლადისა და კრემიანი ნამცხვრის ურთიერთჩანაცვლებადობის დასადგენად გამოკვლეულ უნდა იქნას, თუ რამდენად მარტივად და სწრაფად შეძლებენ კრემიანი ნამცხვრის მწარმოებლები შოკოლადის წარმოებაზე გადასვლას სერიოზული ხარჯებისა თუ რისკების გაწევის გარეშე.

ევროკომისია მიწოდების თვალსაზრისით ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისასაც იყენებს ზემოთ აღწერილ SSNIP ტესტს. ამ შემთხვევაში ტესტის კითხვა მდგომარეობს იმაში, მოახდენენ თუ არა ეკონომიკური აგენტები მცირე, მაგრამ არსებით და არაგარდამავალ ფასის მატებაზე რეაგირებას იმით, რომ გადავლენ მოცემული პროდუქტის წარმოებაზე და ბაზარზე მის მიწოდებას მოკლე დროში დაიწყებენ. თუ ეკონომიკური აგენტები დაადასტურებენ, რომ ამას სერიოზული ხარჯებისა თუ რისკების გაწევის გარეშე მოახერხებენ, პროდუქტები საერთო ბაზრის საზღვრებში ჩაითვლება. თუ კრემიანი ნამცხვრის მწარმოებლები შოკოლადზე სამომხმარებლო ფასის მცირე, მაგრამ არსებითი და არაგარდამავალი მატების საპასუხოდ, შეძლებდნენ შოკოლადის წარმოებაზე გადასვლას და მის მიწოდებას მოკლე დროში დიდი ხარჯებისა და რისკების გაწევის გარეშე, კრემიანი ნამცხვარი და შოკოლადი ჩაითვლება მწარმოებლის თვალსაზრისით ერთიან პროდუქციულ ბაზარში.[347]

პროდუქტი ან მომსახურება მწარმოებლის (მიმწოდებლის) თვალსაზრისით ჩანაცვლებადად მხოლოდ მაშინ განიხილება, თუ ამ პროდუქტის წარმოებაზე გადასვლა *საკმარისად სწრაფად და დაბალი ხარჯებით* არის შესაძლებელი. სხვაგვარად მიწოდების ჩანაცვლებადობა ვერ ჩაითვლება სათანადო კონკურენტული წნეხის განხორციელების საშუალებად, ანუ მწარმოებლები,

---

[346] იხ. ბაზრის ანალიზის მითითებების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

[347] ტესტის გამოყენებისა და მიწოდების მოქნილობის შესახებ დაწვრილებით იხ. Mestmäcker/Schweitzer, Europäisches Wettbewerbsrecht, მე-3 გამოცემა, § 26, § 44 et seqq. და Rosenthal/Thomas, European Merger Control, 1-ლი გამოცემა, C., § 64 et seqq..

რომლებიც სწრაფად და ეფექტიანად ვერ შეძლებენ შოკოლადის წარმოებაზე გადასვლას, არ წარმოადგენენ საშიშროებას შოკოლადის მწარმოებლებისთვის.

შოკოლადის წარმოებაზე სწრაფი, დაბალდანახარჯიანი გადასვლა თავის მხრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ კრემიანი ნამცხვრის მწარმოებელ ეკონომიკურ აგენტებს გააჩნიათ ამისათვის საჭირო ძირითადი საშუალებები და შესაძლებლობა მათი ეფექტიანი მყისიერი გამოყენებისა. მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება კრემიანი ნამცხვარი და შოკოლადი მწარმოებლის თვალსაზრისით ურთიერთჩანაცვლებადად, თუ კრემიანი ნამცხვრის მწარმოებელი ეკონომიკური აგენტი ბაზრის განსაზღვრის მომენტში უკვე ფლობს იმ ძირითად საშუალებებს, რომლებიც საჭიროა შოკოლადის საწარმოებლად, თუმცა მას ჯერ არ აწარმოებს, ან შეუძლია ამ ძირითადი საშუალებების შეძენა/მოპოვება დაყოვნების გარეშე.

თუკი ეკონომიკური აგენტის, ანუ კრემიანი ნამცხვრის მწარმოებლის მიერ შოკოლადის წარმოებაზე გადასვლა მოითხოვს არსებული მატერიალური და არამატერიალური აქტივების კორექტირებას, დამატებით ინვესტიციებს, სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს და დაკავშირებულია დროით შეფერხებასთან,[348] ორი პროდუქტი არ ჩაითვლება ერთი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში მწარმოებლის/მიმწოდებლის თვალსაზრისით.[349]

ამგვარად, იმისათვის, რომ შეფასდეს შეუძლია თუ არა ამ კრიტერიუმს მწარმოებლებზე სათანადო კონკურენტული წნეხის განხორციელება, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ შეკითხვებს: *(1) რა აქტივებია საჭირო მოცემული პროდუქტის წარმოებისთვის (მაგალითად, ქარხნები, დანადგარები, სატრანსპორტო*

---

[348] ევროკომისია, როგორც წესი, ერთი პროდუქტის წარმოებიდან მეორეზე გადასვლას სწრაფად, ანუ მოკლე დროში განხორციელებადად თვლის იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ცვლილების გატარება ეკონომიკური აგენტების მიერ ერთი წლის ვადაშია შესაძლებელი. იხ. მაგალითად, ევროკომისიის 09.12.1991 გადაწყვეტილება M.149 Lucas/Eaton, აბზაცი 21. მსგავსი მიდგომაა გავრცელებული დიდ ბრიტანეთშიც. იხ. Office of Fair Trading, Competition law Guidelines, Market definition, 12.2004, აბზაცი. 3.15.

[349] იხ. ევროკომისია, Notice on the definition of relevant market, აბზაცი 23.

ინფრასტრუქტურა დისტრიბუციისთვის, მარკეტინგული აქტივები)? (2) აქვთ თუ არა სხვა მწარმოებლებს ეს აქტივები? (3) შესაძლებელია თუ არა ამ აქტივების შეძენა არსებითი, შეუქცევადი ახალი ინვესტიციების განხორციელების აუცილებლობის გარეშე, ანუ ეკონომიკურად მომგებიანია თუ არა მათი შეძენა ან ლიზინგი, აუნაზღაურებელი ხარჯების გაღების გარეშე?

სააგენტომ სწორედ ამ მაჩვენებლებზე დაეყრდნობით განსაზღვრა შესაბამისი ბაზარი მწარმოებლის/მიმწოდებლის თვალსაზრისით *საავტომობილო საწვავის* საქმეში. [350] კერძოდ, სააგენტომ დაადგინა, რომ ბენზინი და დიზელი ურთიერთჩანაცვლებადი პროდუქტებია მიმწოდებლის თვალსაზრისით, [351] რადგან მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში, ბენზინის მიწოდებიდან დიზელის მიწოდებაზე გადართვა და პირიქით, არ იქნებოდა დაკავშირებული ფინანსურ, ლოგისტიკურ, ტექნიკურ თუ სხვა სახის ბარიერთან. ამ დასკვნას საფუძვლად დაედო ის გარემოებაც, რომ ბენზინი და დიზელი ერთ სივრცეში, ერთ ბენზინგასამართ სადგურზე მიეწოდება მომხმარებელს და მათ მოსათავსებლად შესაძლებელია ერთი და იმავე ავზის გამოყენება სხვადასხვა დროს. ამას გარდა, ერთი და იმავე ცისტერნით სხვადასხვა დროს შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის საწვავის გადაზიდვა (მაგალითად, არ არსებობს ცალკე რეგულარის ტიპის საწვავისთვის გამოყოფილი ავტოცისტერნა). სააგენტომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ სხვადასხვა სახეობის საწვავისთვის ფასწარმოქმნის ფაქტორები იდენტურია და ყველა მათგანი ერთსა და იმავე საფასო კატეგორიაშია წარმოდგენილი.

შედარებისთვის სააგენტომ საავტომობილო გაზის მაგალითი განიხილა და დაასკვნა, რომ ეს უკანასკნელი ვერ იქნებოდა

---

[350] იხ. *სკს*, ბრძანება №04/117, 10.05.2018 – საავტომობილო საწვავი, გვ.: 9-10.

[351] სააგენტომ ამ საქმის განხილვისას იმსჯელა იმაზეც, რომ მომხმარებლის თვალსაზრისით ბენზინი და დიზელი არ წარმოადგენს ჩანაცვლებად პროდუქტებს. მიმწოდებლის თვალსაზრისით ბენზინისა და დიზელის ერთ ბაზრად განხილვა სპეციფიკური სიტუაციაა და არ გულისხმობს, რომ სხვა ყველა შემთხვევაშიც ორი განსხვავებული პროდუქტი ავტომატურად ერთ ბაზრად განიხილება თუ სახეზეა მიწოდების (მაგრამ არა მოთხოვნის) კუთხით ჩანაცვლებადობა. მიმწოდებლისა და მომხმარებლის თვალსაზრისის პრაქტიკულ გამოყენებაზე შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას დაწვრილებით იხ. ქვეთავში „მომხმარებლისა და მიმწოდებლის თვალსაზრისის გამოყენების პრაქტიკული დატვირთვა".

მიკუთვნებული საავტომობილო საწვავის ბაზარს, მიუხედავად იმისა, რომ საავტომობილო გაზიც ნავთობპროდუქტს წარმოადგენს. ამის მიზეზად სააგენტომ დაასახელა ის გარემოება, რომ შეუძლებელია ამ პროდუქტის მიწოდება მომხმარებლისთვის დამატებითი დანახარჯებისა და სპეციალური აღჭურვილობის გარეშე. შესაბამისად, მოთხოვნის გაზრდის შემთხვევაში, ბენზინისა და დიზელის მიმწოდებლები მოკლე დროში ვერ შეძლებენ ბუნებრივი აირის მიწოდებაზე გადასვლას. ფასწარმოქმნის მექანიზმიც საავტომობილო გაზის შემთხვევაში განსხვავებულია. ამას გარდა, ბუნებრივი აირი მილებით ტრანსპორტირდება, ბენზინი და დიზელი კი სპეციალური ცისტერნებით გადაიზიდება, რაც ასევე ართულებს საავტომობილო საწვავის მიწოდებიდან გაზის მიწოდებაზე გადართვას.

სააგენტომ *ფოთის პორტის* [352] საქმეში პროდუქციული ბაზრების გამიჯვნის საფუძვლად ასევე მიიჩნია განსახილველი ფოთის პორტის მოცემულობა, რომელიც განსხვავდებოდა როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების პორტების უმრავლესობისგან. კერძოდ, პორტებში სატერმინალო მომსახურება (ტვირთის გადატვირთვა, დამუშავება, შენახვა, საბაჟო დოკუმენტაციის მოწესრიგება და სხვა) და საპორტო მომსახურება (იგივე სტივიდორული მომსახურება, კონტეინერის ჩატვირთვა-გადმოტვირთვა გემში და გემიდან), როგორც წესი, ერთიან ბაზრად ითვლება. ფოთის პორტის შემთხვევაში კი სააგენტომ ეს ბაზრები ერთმანეთისგან განაცალკევა, რადგან შესაბამისი გეოგრაფიული ბაზრის სპეციფიკამ მიმწოდებელთათვის შესაძლებელი გახადა ხსენებული მომსახურებების ბაზრების ერთმანეთისგან გამიჯვნა. კონკრეტულად, ფოთის ნავსადგურის ტერიტორიაზე არ არსებობს ტერმინალი კონტეინერების პირველადი დამუშავებისთვის, რის გამოც ე.წ. off-dock-ები, ანუ განცალკევებულად მდებარე სახმელეთო ტერმინალები ჩამოყალიბდა. შესაბამისად, სატერმინალო და საპორტო მომსახურებები ერთ სივრცეში არ

[352] იხ. *სკს*, ბრძანება №04/91, 21.04.2017 – ფოთის პორტი, გვ.: 97-98.

ხორციელდება და ამის ლოგისტიკური აუცილებლობაც არ არსებობს, რაც ფოთის პორტს განასხვავებს ყველა სხვა პორტისაგან.

პროდუქციული ბაზრების გამიჯვნა საპორტო და სატერმინალო მომსახურებებს შორის სააგენტომ იმითაც დაასაბუთა, რომ თექვსმეტი სატერმინალო კომპანია ფოთის პორტში მხოლოდ სატერმინალო მომსახურებას სთავაზობდა მომხმარებელს, საპორტო მომსახურებისგან დამოუკიდებლად.[353] სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფოთის პორტის სპეციფიკიდან გამომდინარე, საპორტო და სატერმინალო მომსახურებები ურთიერთდაკავშირებულ და ერთმანეთის შემავსებელ, თუმცა არაჩანაცვლებად მომსახურებებად ჩამოყალიბდა.

უფრო მარტივ მაგალითზე, თუ ბაზარზე შოკოლადის ყველა მწარმოებელი ნამცხვარსაც აწარმოებს, ეს ფაქტი შეიძლება იყოს იმის ერთ-ერთი მტკიცებულება, რომ ეს ორი პროდუქტი ერთიანი ბაზრის ნაწილია. თუკი არსებობს მნიშვნელოვანი რაოდენობა შოკოლადის მწარმოებლებისა, რომლებიც მხოლოდ შოკოლადს აწარმოებენ, შესაძლებელია შოკოლადის დამოუკიდებელ პროდუქციულ ბაზრად განხილვა.

კონცენტრაციების კონტროლის დღემდე არსებულ პრაქტიკაში, როდესაც სააგენტო მიმწოდებლის თვალსაზრისით ურთიერთჩანაცვლებადობის დასადგენად ხშირად მიმართავს კონკურენტ მიმწოდებლებსა და მწარმოებლებს და სთხოვს მათ შეხედულების დაფიქსირებას პროდუქციული ბაზრის დაყოფასთან დაკავშირებით. მაგალითად, სააგენტომ *ალტა/ევროტექნიკის*[354] საქმეში, კონცენტრაციაში მონაწილე პირთა პროდუქციის პირველადი დაჯგუფებისთვის საწყის წერტილად აიღო სასაქონლო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული ნომენკლატურა,

---

[353] იხ. ასევე კობაძე, *„Black Sea Port in Georgia Scrutinised by the Georgian Competition Authority"*, 01.03.2018, გვ. 178. ამ დებულების გასამყარებლად სააგენტო ასევე დაეყრდნო ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს 17.09.2007 გადაწყვეტილებას T-201/04 Microsoft v Commission, ა.შ.აცები 925-927. ამ მეტად გახმაურებულ საქმეზე ის ფაქტი, რომ არსებობდნენ მედიაფლეიერის მიმწოდებლები და მწარმოებლები, რომლებიც კომპიუტერული საოპერაციო სისტემებისგან დამოუკიდებლად სთავაზობდნენ მომხმარებელს მედიაფლეიერს, გახდა ერთ-ერთი საფუძველი ამ ორი ბაზრის განცალკევებულად განხილვისა.

[354] *საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს)*, ბრძანება №32, 07.03.2016, ალტა/ევროტექნიკი, გვ. 16.

რის მიხედვითაც განსაზღვრა, რომ მხარეები კომპიუტერული/მობილური ტექნიკის, ე.წ. „შავი ტექნიკის“ და საოჯახო/საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ე.წ. „თეთრი ტექნიკის“ მიმწოდებლებს წარმოადგენდნენ. ამის საფუძველზე სააგენტომ მოახდინა საქართველოში მოქმედი ყველა იმ კომპანიის იდენტიფიცირება, რომლებიც თეთრი და შავი ტექნიკის იმპორტს, წარმოებას, რეალიზაციას ან მონტაჟს ეწევიან. ამ ეკონომიკურ აგენტებს ეთხოვათ შეეფასებინათ, თუ რამდენად გამართლებულია მათ მიერ მიწოდებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების შავი და თეთრი ტექნიკის ბაზრებად დაყოფა.[355]

კონკურენციის სააგენტომ *ალტა/მეტრომარტისა* [356] და *ცემენტინვესტი/კავკასუსცემენტის* [357] შემთხვევებშიც საწყის წერტილად ეკონომიკური აგენტების საქმიანობის საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორით დადგენილი კლასიფიკაცია აიღო, სასაქონლო ჯგუფების შესაბამისად. *ჯიპისი/ეი-ბი-სი ფარმაციას*[358] შემთხვევაში კი სააგენტომ აფთიაქებსა და ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტიორებს სთხოვა შესაბამისი ბაზრის შესახებ ინფორმაციის წარდგენა და მათ მიერ განხორციელებული დაყოფა პროდუქტების სახეობების მიხედვით განიხილა შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას.

გ) მომხმარებლისა და მიმწოდებლის თვალსაზრისის გამოყენების პრაქტიკული დატვირთვა

პროდუქტის ან მომსახურების ჩანაცვლებადობის დადგენას მომხმარებლის თვალსაზრისით მთავარი როლი ეკისრება შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას. იგი მწარმოებლებსა და მიმწოდებლებზე მოქმედი ყველაზე პირდაპირი და ეფექტიანი

---

[355] *იქვე*, გვ.: 2-5.

[356] იხ. *სკს*, ბრძანება №04/325, 04.12.2017 – ალტა/მეტრომარტი, გვ. 23.

[357] იხ. *სკს*, ბრძანება №04/274, 06.10.2017 – ცემენტინვესტი/კავკასუსცემენტი, გვ. 12.

[358] იხ. *საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს)*, ბრძანება №247, 28.12.2016, ჯიპისი/ეი-ბი-სი ფარმაცია, გვ.: 13 და 22-23.

ძალაა, განსაკუთრებით ფასწარმოქმნის თვალსაზრისით. [359] შესაბამისი ბაზრის იდენიფიცირებისას მასში შეყვანილი იქნება სწორედ ის პროდუქტები თუ მომსახურება, რომლებიც მომხმარებელთათვის ურთიერთშემცვლელია. ამ ნიშნით ხდება იმ საბაზრო სტრუქტურების იდენტიფიცირება, რომლებშიც მწარმოებლებს შესაძლებლობა აქვთ იმოქმედონ დამოუკიდებლად კონკურენტული წნეხის გარეშე და, რაც მთავარია, მომხმარებლების გადაწყვეტილებებზე დამოკიდებულების გარეშე. ამგვარად, შესაძლებელი ხდება იმის განსაზღვრაც, შეეძლებათ თუ არა მაღალი საბაზრო წილის მქონე ბაზრის მონაწილეებს თავიანთი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

რაც შეეხება პროდუქტის ან მომსახურების ჩანაცვლებადობის დადგენას მწარმოებლის/მიმწოდებლის თვალსაზრისით, მისი გათვალისწინება ბაზრის საზღვრების დადგენისას შესაძლოა იმ შემთხვევებში, როცა ამ ჩანაცვლებადობის ზეგავლენა ბაზარზე, სისწრაფისა და ეფექტიანობის მხრივ, უტოლდება მომხმარებლის თვალსაზრისით ჩანაცვლებადობის ეფექტებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მწარმოებლებს/მიმწოდებლებს უნარი შესწევთ, მოკლე დროში მნიშვნელოვანი დამატებითი დანახარჯებისა და რისკების გაწევის გარეშე გადაერთონ განსახილველი პროდუქტის წარმოებაზე და დაიწყონ მისი გაყიდვა, მეორე პროდუქტზე ფასის მცირე და არაგარდამავალ ცვლილებაზე პასუხად. [360] ამგვარი სიტუაცია შეიძლება დადგეს ისეთ ბაზრებზე, რომელთათვისაც დამახასიათებელია კომპანიების არსებობა, რომლებიც აწარმოებენ ან მომხმარებელს სთავაზობენ ერთი და იმავე პროდუქტის ფართო სპექტრს განსხვავებული ხარისხის ან თვისებების მიხედვით. მაშინაც კი, თუ მომხმარებლისთვის ერთი და იმავე პროდუქტის სხვადასხვა ხარისხობრივი თუ თვისობრივი ვარიანტები არაა ურთიერთჩანაცვლებადი, ისინი მაინც ერთი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში განიხილება, თუკი მწარმოებლების ან მიმწოდებლების უმეტესობას შესწევს უნარი, აწარმოოს ან მომხმარებელს შესთავაზოს სხვადასხვა ხარისხის პროდუქტი

[359] შეად. ასევე ევროკომისია, Notice on the definition of relevant market, აბზაცი 13.
[360] იხ. ევროკომისია, Notice on the definition of relevant market, აბზაცი 20.

დაყოვნებისა და ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდის გარეშე. ასეთ შემთხვევებში ხდება იმ პროდუქტების აგრეგირება და ერთ ბაზრად დაჯგუფება, რომლებიც მოთხოვნისა და მიწოდების კუთხითაა ჩანაცვლებადი.[361]

ევროკომისია ამგვარი სიტუაციის პრაქტიკულ მაგალითად ქაღალდის წარმოებას განიხილავს. როგორც წესი, ბაზარზე მრავალნაირი განსხვავებული ხარისხის ქაღალდის შეთავაზება არსებობს. თითოეული მათგანი სპეციფიკური დანიშნულებისთვის იწარმოება. მაგალითად, მაღალი დონის გამომცემლობისთვის, როგორც მომხმარებლისთვის, დაბალი ხარისხის ქაღალდი არაა მიმზიდველი, ანუ მისთვის განსხვავებული ხარისხის ერთი და იგივე პროდუქცია არ წარმოადგენს ურთიერთჩამნაცვლებელს. თუმცა, ქაღალდის მწარმოებლების უმეტესობას შესწევს უნარი, აწარმოოს განსხვავებული ხარისხის ქაღალდი, ვინაიდან ერთი ხარისხის ქაღალდის წარმოებიდან მეორეზე გადასვლა მარტივად და სწრაფად, დაბალი დანახარჯებითაა შესაძლებელი. ასეთ შემთხვევებში, ფასის მატება მაღალი ხარისხის ქაღალდზე ბუნებრივად გამოიწვევს დაბალი ხარისხის ქაღალდის მწარმოებლების მიერ მაღალი ხარისხის ქაღალდის წარმოებაზე გადასვლას.[362]

მსგავსი შემთხვევის მაგალითს სააგენტოს პრაქტიკიდან წარმოადგენს *საავტომობილო საწვავის* საქმე.[363] მომხმარებლის თვალსაზრისით, ბენზინი და დიზელი არ წარმოადგენს ჩანაცვლებად პროდუქტებს. ისევე, როგორც სხვადასხვა ხარისხის ქაღალდის შემთხვევაში, მომხმარებლისთვის შეუძლებელია დიზელისძრავიანი ავტომობილისთვის გამოიყენოს ბენზინი, ან პირიქით. უფრო მეტიც, სხვადასხვა ხარისხის ბენზინიც კი შესაძლოა მომხმარებლისთვის არ იყოს ჩანაცვლებადი იმის მიხედვით, თუ რომელი ავტომობილისა და ძრავისათვის უნდა

---

[361] იხ. ევროკომისია, Notice on the definition of relevant market, აბზაცი 21.

[362] იქვე.

[363] *იხ.* გრძანება №04/117, 10.05.2018 - საავტომობილო საწვავი, გვ. 9-10. საავტომობილო საწვავის საქმის დეტალური ანალიზისთვის იხ. მენაბდიშვილი, საავტომობილო საწვავის ბაზარზე კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის გადაწყვეტილების ანალიზი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", №3(51) 2016.

იქნას იგი გამოყენებული. მიუხედავად ამისა, სააგენტომ ბენზინი და დიზელი მიმწოდებლის თვალსაზრისით ურთიერთჩანაცვლებად პროდუქტებად მიიჩნია და ისინი ერთიან პროდუქციულ ბაზარს მიაკუთვნა. ამ დასკვნის გამოტანისას სააგენტო დაეყრდნო სხვადასხვა გარემოებებსა და მათ საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს, უპირველეს ყოვლისა კი იმ ფაქტს, რომ მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში, ბენზინის მიწოდებიდან დიზელის მიწოდებაზე გადართვა და პირიქით, არ იქნებოდა დაკავშირებული ფინანსურ, ლოგისტიკურ, ტექნიკურ თუ სხვა სახის ბარიერთან.

თუმცა ბენზინისა და დიზელის ბაზრების ერთიან ბაზრად განხილვა მეტად სპეციფიკური სიტუაციაა და მის სისწორეზე განსხვავებული შეხედულებები არსებობს. [364] მხოლოდ მწარმოებლის/მიმწოდებლის უნარი, ერთ პროდუქტზე ფასების ზრდის შემთხვევაში გაზარდოს მეორე პროდუქტის წარმოება/მიწოდება, ავტომატურად ვერ განსაზღვრავს ორი პროდუქტის ურთიერთჩანაცვლებადობას. მსგავსი სიტუაციის მაგალითად ევროკომისია ასახელებს ბოთლებში ბრენდირებული სასმელების ჩამომსხმელ და გამსაღებელ კომპანიებს.

ერთი შეხედვით, ამ კომპანიებს შეუძლიათ მარტივად გადაერთონ ერთი სასმელის ჩამოსხმიდან მეორე სასმელის ჩამოსხმაზე, რაც ორი განსხვავებული სასმელის მიმწოდებლის თვალსაზრისით ჩანაცვლებადობას გამოიწვევდა. თუმცა, სხვადასხვა სასმელის ურთიერთჩანაცვლებადობის დასადგენად ასევე აუცილებელია იმ დროისა და დანახარჯის გათვალისწინება,

---

[364] ბენზინი და დიზელი მიწოდების თვალსაზრისით ჩანაცვლებადად მიიჩნია ევროკომისიამაც და ისინი ერთიან ბაზარს მიაკუთვნა რიგ გადაწყვეტილებებში. იხ., მაგალითად, ევროკომისიის 29.09.1999 გადაწყვეტილება M.1383 Exxon/Mobil, აბზაცი 436; ევროკომისიის 13.09.2004 გადაწყვეტილება M.3516 Repsol YPF/Shell Portugal, აბზაცი 8; ევროკომისიის 13.10.2008 გადაწყვეტილება M.5005 Galp Energia/ExxonMobil Iberia, აბზაცი 12. ბენზინი და დიზელი განსხვავებულ ბაზრებად მიიჩნია გერმანიის ფედერალურმა კარტელური ზედამხედველობის ორგანომ. იგი ამ გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო იმ ფაქტს, რომ მომხმარებლის თვალსაზრისით ეს პროდუქტები ჩანაცვლებადი არაა და ასევე, ბენზინსა და დიზელს ფასების განვითარების სხვადასხვა დინამიკა ახასიათებს. იხ. ფედერალური კარტელური ზედამხედველობის ორგანოს გადაწყვეტილება Total/OMV, B8-175/08, 29.04.2009, აბზ.: 23-25; https://www.bundeskartellamt.de/SharedDocs/Entscheidung/DE/Entscheidungen/Fusionskontrolle/2009/B8-175-08.pdf?__blob=publicationFile&v=3 (გერმანულ ენაზე).

რომელიც ამ ტექნიკურად მარტივ წარმოების ცვლილებას ახლავს თან, სანამ ამ პროდუქტის გაყიდვა პრაქტიკულად შესაძლებელი გახდება (ახალი სასმელის რეკლამირება, პროდუქტის დატესტვა და დისტრიბუცია). ამიტომ, მიწოდების თვალსაზრისით ჩანაცვლებადობა ხშირად არა ბაზრის საზღვრების დადგენისას, არამედ ბაზრის ანალიზის უფრო გვიან ეტაპზე პოტენციური კონკურენციის სახით განიხილება.[365]

3.3 შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის შემდეგი პარამეტრია ბაზრის გეოგრაფიული, იგივე სივრცითი საზღვრები. ბაზრის ანალიზის მითითებების მე-10 მუხლის მიხედვით, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობა, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.

სხვაგვარად რომ ითქვას, გეოგრაფიული ბაზარი წარმოადგენს იმ არეალს, სადაც მომხმარებელი არსებითად იძენს საქონელს და არა სხვაგან. [366] იმისათვის, რომ ტერიტორია ერთიან გეოგრაფიულ ბაზრად ჩაითვალოს, მასზე კონკურენციის მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი პირობები უნდა არსებობდეს და ისინი საკმარისად უნდა განსხვავდებოდნენ სხვა მომიჯნავე ტერიტორიებზე არსებული კონკურენციის პირობებისგან.[367]

ბაზრის ანალიზის მითითებების მე-11 მუხლი ჩამოთვლის *გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას განსახილველ ფაქტორებს.* კერძოდ, სააგენტო ითვალისწინებს:

ა) განსაზღვრულ/განსასაზღვრ ტერიტორიებზე საქონლის მიწოდებისა და მოთხოვნის, თავისუფალი გადაადგილების (გადატანის) შესაძლებლობას; თუ, მაგალითად, ამა თუ იმ

---

[365] იხ. ევროკომისია, Notice on the definition of relevant market, აბზაცი 23.

[366] იხ. ასევე *სკს*, ბრძანება №04/325, 04.12.2017 – ალტა/მეტრომარტი, გვ. 21.

[367] იხ. ევროკომისია, Notice on the definition of relevant market, აბზაცი 8.

ტერიტორიაზე საქონლის შეტანა გარკვეული რეგულაციებით გართულებული ან შეუძლებელია, ეს ტერიტორია ვერ ჩაითვლება ბაზრის ნაწილად.

კონცენტრაციების კონტროლის პრაქტიკაში სააგენტო ხშირად მიმართავს განსახილველი პროდუქტის თუ მომსახურების მიმწოდებლებსა და მწარმოებლებს, ე.ი. კონცენტრაციაში მონაწილე აგენტების კონკურენტებს, მიუთითონ მათი სამოქმედო ტერიტორია, როგორც ეს მაგალითად, *საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისის* [368] და *ალტა/ევროტექნიკსის* [369] შემთხვევებში მოხდა. ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებაში, სააგენტომ იმაზე დაყრდნობით, რომ როგორც კონცენტრაციაში მონაწილე, ასევე კონკურენტ მიმწოდებელთა რეალიზაციის არეალი საქართველოს მთელ ტერიტორიას წარმოადგენდა, გეოგრაფიულ ბაზრადაც საქართველოს მთელი ტერიტორია დაადგინა.

ჰაიდელბერგბეტონი/თბილცემენტის საქმეში, განსახილველი პროდუქტის, სამშენებლო ბეტონის ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენა დამოკიდებული იყო ამ პროდუქტის ტრანსპორტირების თავისებურებებზე და განისაზღვრა ბეტონის ქარხნიდან 25 კმ-ის რადიუსით.[370]

ბ) განსაზღვრული/განსასაზღვრი ტერიტორიის განსაკუთრებულობებსა და თავისებურებებს (მათ შორის, ბუნებრივ-კლიმატური, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების სპეციფიკურობა, მოთხოვნისა და მომხმარებელთა ქცევის თავისებურებები, საქმიანი ურთიერთობების წესებისა და ჩვევების განსაკუთრებულობა);

მაგალითად, *ფოთის პორტის*[371] საქმეზე სააგენტომ განიხილა, მიეკუთვნებიან თუ არა ფოთისა და ბათუმის პორტები, რომლებიც ერთმანეთისგან დაახლოებით 70 კმ-ით არიან დაშორებულნი, ერთიან გეოგრაფიულ ბაზარს. სააგენტომ დაასკვნა, რომ ვინაიდან ტვირთის ერთ ან მეორე პორტში მიღება ტვირთის მფლობელების

[368] იხ. *სკს*, ბრძანება №57. 28.04.2016 – საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისი, გვ.: 4-5.

[369] *სკს*, ბრძანება №32. 07.03.2016 – ალტა/ევროტექნიკსი, გვ. 27.

[370] *სკს*, ბრძანება №67, 09.06.2015 – ჰაიდელბერგბეტონი/თბილცემენტი, გვ.: 23-24.

[371] იხ. *სკს*, ბრძანება №04/91, 21.04.2017 – ფოთის პორტი, გვ.: 99-100.

არჩევანს წარმოადგენდა, ბათუმისა და ფოთის პორტები სხვადასხვა გეოგრაფიულ ბაზრებს უნდა მიკუთვნებოდა. ამას დაერთო ის ფაქტიც, რომ განსხვავებული ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ბათუმისა და ფოთის საზღვაო პორტები სხვადასხვა ტიპის ტვირთის მიღებაზე იყვნენ სპეციალიზებულნი (სტატისტიკურად ფოთი უფრო მეტ ე.წ. მშრალ ტვირთს იღებდა, ბათუმის პორტი კი უმეტესად ე.წ. სველ ტვირთზე მუშაობდა და მშრალ ტვირთს მხოლოდ მცირე ოდენობით იღებდა).[372]

სააგენტომ *ევექსი/გნ.კო-ს* კონცენტრაციის შემთხვევაში [373] გეოგრაფიული ბაზრის დასადგენად განიხილა საკითხი, ჩაითვლებიან თუ არა დედაქალაქში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებები საქართველოს რეგიონებში მოქმედი იმავე პროფილის სამედიცინო დაწესებულებების კონკურენტებად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განიხილავენ თუ არა მომხმარებლები, ანუ პაციენტები თბილისსა და რეგიონებში არსებული ერთი და იმავე პროფილის სამედიცინო მომსახურებებს ურთიერთჩანაცვლებადად.

გ) შესაბამის გეოგრაფიულ ბაზარში შემავალ ტერიტორიებზე პროდუქტის ფასების ერთგვაროვნებას. ამასთან, თუ ფასების ერთგვაროვნების დადგენისას გამოვლინდა, რომ გეოგრაფიულ სივრცეში საქონლის/მომსახურების ფასი 10%-ზე მეტად აღემატება კვლევის მიზნის ფარგლებში განსაზღვრული სასაქონლო ბაზრის საშუალო შეწონილ ფასს, მაშინ ასეთი გეოგრაფიული სივრცის ბაზრები არ შეიძლება ჩაითვალოს ერთგვაროვნად.

ბაზრის ანალიზის მითითებების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი დამატებით განმარტავს, რომ ჩამოთვლილ გარემოებათა მიუხედავად, თუ კვლევებით დადგინდა, რომ მომხმარებლები ერთ რეგიონში რეალიზებად პროდუქტს თვლიან იმ საქონლის/მომსახურების ჩანაცვლებადად, რომელიც იყიდება

---

[372] იხ. ასევე კობაძე, *„Black Sea Port in Georgia Scrutinised by the Georgian Competition Authority"*, 01.03.2018, გვ. 179.

[373] იხ. *სკს*, ბრძანება №95, 28.07.2015 - ევექსი/გნ.კო, გვ.: 22-23, 40.

მეორე რეგიონში, მაშინ ეს რეგიონები გახილულ უნდა იქნას, როგორც მოცემული პროდუქტის ერთიანი გეოგრაფიული ბაზარი.

ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში ბუნებრივი მონოპოლიების საბაზრო პირობებში სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები დგინდება ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის (ქსელების) განლაგებისა და მყიდველების ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის/ქსელებზე მიერთების შესაძლებლობების გათვალისწინებით.[374]

3.4 შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო

კონკურენცია ბაზარზე დინამიკური პროცესია და მუდმივ ცვლილებებს განიცდის. ამიტომ პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების გარდა შესაბამისი ბაზრის განსასაზღვრად აუცილებელია იმ დროითი ჩარჩოს გათვალისწინებაც, რომლის ფარგლებშიც მიწოდება-მოთხოვნის სიტუაცია განიხილება, ანუ დროის რა პერიოდშია მოცემული პროდუქტი თუ მომსახურება ხელმისაწვდომი ბაზარზე. ბაზრის ანალიზის მითითებების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში. ამგვარად, დროითი ჩარჩოს დადგენა შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის ბოლო პარამეტრია და დიფერენცირების კრიტერიუმს წარმოადგენს პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების თანხვედრის შემთხვევაში.[375]

შესაბამისი ბაზარი იდენტიფიცირებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროდუქციულ საზღვრებთან ერთად განსაზღვრულია მისი გეოგრაფიული გავრცელების არეალი და დრო, რომლის განმავლობაშიც ბაზარი ფუნქციონირებს და დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს. ამგვარად, დროითი ჩარჩოს

[374] ბაზრის ანალიზის მითითებები, მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი.

[375] იხ. ბაზრის ანალიზის მითითებების მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი.

დადგენის გარეშე შესაბამისი ბაზარი განსაზღვრულად ვერ ჩაითვლება და სააგენტო ვერ გადავა ბაზრის ანალიზისა და ბაზარზე კონკურენციის შეფასების შემდეგ ეტაპებზე.

ბაზრის ანალიზის მითითებების მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები აკონკრეტებენ დროითი ჩარჩოს განსაზღვრის მნიშვნელობას და ადგენენ, რომ სხვადასხვა სეზონზე მოქმედი ერთნაირი პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების მქონე ბაზრები წარმოადგენენ სხვადასხვა ბაზრებს. სეზონს კი წარმოადგენს დროის ნებისმიერი ურთიერთმონაცვლე პერიოდი, რომელთა მონაცვლეობის სრული ციკლი არ აღემატება ორ წელიწადს და მეორდება მინიმუმ ორჯერ.

სააგენტო შესაბამისი ბაზრის დროით ჩარჩოებს ადგენს ბაზარზე დაკვირვების ან მასზე დაფიქსირებული ოფიციალური, მოძიებული ან წარმოდგენილი მასალის საფუძველზე, მონიტორინგის ან მოკვლევის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. დროითი ჩარჩოების დადგენა, ასევე, შესაძლებელია განხორციელდეს ექსპერტთა დასკვნის, ბაზრის სუბიექტთა ინტერვიუირების ან სხვა შესაბამისი მეთოდის გამოყენებით.[376] პრაქტიკაში სეზონური ბაზრები იშვიათია და დროითი ჩარჩოს დადგენისას სააგენტო ხშირად უბრალო დაკვირვების შედეგად აკეთებს დასკვნას. მაგალითად, ალტა/ევროტექნიკსის შემთხვევაში სააგენტომ დაადგინა, რომ ვინაიდან ელექტროტექნიკის რეალიზაციისა და მონტაჟის ბაზრებზე არ შეინიშნება რაიმე სახის წყვეტა წელიწადის დროების მიხედვით, მათ არ გააჩნიათ რაიმე დროითი ჩარჩო.[377]

ევროკომისიის პრაქტიკაში ბაზრის დროითი ჩარჩო უმეტეს შემთხვევებში განიხილება არა როგორც შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის დამოუკიდებელი პარამეტრი, არამედ ერთ-ერთი ფაქტორი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას. იგი შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას მხოლოდ იშვიათად იძენს მნიშვნელობას, კერძოდ მაშინ, როცა დროითი ასპექტის გათვალისწინება ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე ხდება

[376] იხ. იქვე, მე-13 მუხლი.
[377] *სკს*, ბრძანება N32, 07.03.2016 - ალტა/ევროტექნიკსი, გვ. 27.

აუცილებელი. მაგალითად, გართობის ინდუსტრიაში არსებული გარკვეული დროით შემოფარგლული, ხშირად ცვალებადი შეთავაზებები; [378] ისეთი ბაზრების შესწავლისას, რომლებზეც ეკონომიკური აგენტები მხოლოდ დროებით არიან წარმოდგენილნი; ან თუ საქმე ეხება პროდუქტებს ან მომსახურებას, რომლებიც პერიოდულად ან მხოლოდ დროის გარკვეულ პერიოდშია ხელმისაწვდომი (ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც კვირაში ან თვეში ერთხელ გამოდის, ბაზრობები, რომლებიც წელიწადში ერთხელ ან სხვა პერიოდულობით ეწყობა და ა.შ.).[379] გარდა ამისა, ბაზრის დროითი ჩარჩოს განსაზღვრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, მიუხედავად ბაზრის სპეციფიკისა, დომინანტური მდგომარეობის გამოკვლევისას, როცა გადამწყვეტი ხდება დროის პერიოდის დადგენა, რომლის განმავლობაშიც პროდუქტისა თუ მომსახურების მიწოდება ხდებოდა ბაზარზე.[380]

ბაზრის დროითი ჩარჩოს დადგენისას გასათვალისწინებელია, ჩაანაცვლებს თუ არა მომხმარებელი მოცემულ პროდუქტს ერთ დროის მონაკვეთში იმავე პროდუქტით განსხვავებულ დროს (მაგალითად, არის თუ არა სამსახურში მიმავალი მგზავრისთვის პიკის საათში გამავალი მატარებელი ჩანაცვლებადი სხვა დროს არა პიკის საათში გამავალი მატარებლით).[381]

4. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის არაპრეცედენტული ხასიათი; სასამართლო კონტროლი

პროდუქტები, მომხმარებელთა არჩევანი და შესაბამისი ბაზარი გამუდმებით განიცდიან ცვლილებებს. ამ მიზეზის გამო გადაწყვეტილებები, რომლებშიც სააგენტო შესაბამისი ბაზრის

---

[378] იხ. Bechtold/Bosch/Brinker, EU-Kartellrecht, მე-3 გამოცემა, Art. 102 AEUV, § 17.

[379] იხ., მაგალითად, კონკურენციის შესახებ გერმანიის კანონის კომენტარი: Bechtold/Bosch, GWB (Kartellgesetz), მე-8 გამოცემა, GWB, § 18, § 28.

[380] იხ. Immenga/Mestmäcker, EU-Wettbewerbsrecht, მე-5 გამოცემა, Art. 102 AEUV, § 69.

[381] იხ. Bellamy & Child, European Union Law of Competition, მე-7 გამოცემა, § 4.087 და 4.088, გვ.: 279-280.

საზღვრებს ადგენს, არ ატარებს პრეცედენტულ ხასიათს და სააგენტო უფლებამოსილია, საქმის განხილვის მომენტისთვის არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად განსაზღვროს ერთი და იგივე ან მსგავსი ბაზარი.[382]

ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა *ამერიტექი/სმაილის* გადაწყვეტილებაში, როდესაც სააგენტომ არ გაიმეორა საკუთარ პრაქტიკაში არსებული შესაბამისი ბაზრის განსაზღვრება და მსგავსი ბაზრისთვის განსხვავებული საზღვრები დაადგინა. [383] მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს გადაწყვეტილებებს არა აქვს მბოჭავი ხასიათი, ისინი სახელმძღვანელო ხასიათს ატარებენ ბაზრის მონაწილეებისა და სხვა პირებისთვის შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის კუთხით.

შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის შემდეგ სააგენტო აფასებს ამ ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოს, რასაც შემდგომში საფუძვლად უდებს განსახილველი წარსული თუ მომავალი ქმედების ანალიზს და საქმის სხვა გარემოებების შესწავლის შემდეგ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.[384]

ამრიგად, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა ერთგვარ მასშტაბს წარმოადგენს იმისათვის, რათა გაიზომოს ბაზრის გასააანალიზებლად აუცილებელი მაჩვენებლები და გადაწყდეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა, მაგალითად, უკავია თუ არა ამა თუ იმ ეკონომიკურ აგენტს დომინანტური მდგომარეობა, როგორი იქნება კონცენტრაციის შედეგად წარმოშობილი ეკონომიკური აგენტის მდგომარეობა ბაზარზე და ა.შ. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის ამ მნიშვნელობის გამო იგი ხშირად ხდება დავის

---

[382] ევროკომისია, მსგავსად სააგენტოსი, შესაბამისი ბაზრის საზღვრებს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ხელახლა ადგენს. ამასთან, იგი შებოჭილი არაა მის მიერვე წარსულში მიღებული გადაწყვეტილებებით (იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს 22.03.2000 გადაწყვეტილება T-125/97 და T-127/97 Coca-Cola, აბზაცი 82), თუმცა ხშირად ეყრდნობა საკუთარ პრაქტიკაში არსებულ შესაბამისი ბაზრის განსაზღვრებებს (იხ. მაგალითად, ევროკომისიის 25.06.2008 გადაწყვეტილება M.5121 News Corp/Premiere, აბზ. 21).

[383] *საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს),* ბრძანება №04/167, 06.07.2018, ამერიტექი/სმაილი, გვ. 17.

[384] იხ. ბაზრის ანალიზის მითითებები, მე-5 მუხლი, მე-2 და მე-3 პუნქტები.

საგანი ევროკავშირის სასამართლოებში.[385] ზოგჯერ კი ევროკომისიის გადაწყვეტილებები შესაბამისი ბაზრის არასწორი განსაზღვრის და ამაზე დაყრდნობით არასწორი დასკვნების გამოტანის გამო უქმდება კიდეც.[386] სააგენტოს პრაქტიკაში ამგვარ სასამართლო დავას ამ დრომდე ადგილი არ ჰქონია.

5. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის ახალი გამოწვევები

ეკონომიკურ წინსვლასთან ერთად, მსოფლიოში უამრავი ახალი პროდუქტი, მომსახურება და ბაზარი ჩნდება, ძველი, არსებული საბაზრო სტრუქტურები კი ქრება. შედეგად, კონკურენციის ორგანოები მუდმივად დგანან გამოწვევების წინაშე, ფეხი აუწყონ ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებს და ბაზრის ანალიზის არსებული პრაქტიკა რეალობასთან შესაბამისობაში მოიყვანონ.

ბოლო ათწლეულების ეკონომიკური განვითარების შედეგად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კონკურენციის ორგანოებს განსაკუთრებული თავსატეხი ეკონომიკის გაციფრულების შედეგად წარმოშობილმა ახალმა ბაზრებმა, ე.წ. პლატფორმებმა და ორ- და მრავალმხრივმა ბაზრებმა გაუჩინა. ამგვარი ბაზრების ერთ-ერთი მაგალითია ფეისბუქის სოციალური ქსელი, რომელში გაწევრიანებაც მომხმარებელს უფასოდ შეუძლია. თუმცა, ეს ბაზრის მხოლოდ ერთი მხარეა.

---

[385] იხ., მაგალითად, ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს 07.05.2009 გადაწყვეტილება T-151/05, NVV and Others v Commission, პბზაცები 69-70; ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს 17.09.2007 გადაწყვეტილება T-201/04 Microsoft v Commission, პბზაცები 480-532; ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს 30.01.2007 გადაწყვეტილება T-340/03 France Télécom v Commission, პბზაცები 73 et seqq.

[386] იხ., მაგალითად, ევროკავშირის საერთო სასამართლოს 15.12.2010 გადაწყვეტილება T-427/08 CEAHR v Commission, პბზაცები 65-121. ევროკავშირის საერთო სასამართლომ 12.12.2018 გადაწყვეტილებაში T-691/14, Servier SAS and Others v Commission გააუქმა ევროკომისიის გადაწყვეტილება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ნაწილში ევროკომისიის მიერ შესაბამისი ბაზრის არასწორად განსაზღვრის გამო. სასამართლომ დაადგინა, რომ სწორად განსაზღვრულ შესაბამისი ბაზარზე განსახილველ ეკონომიკურ აგენტს არ ეკავა დომინანტური მდგომარეობა და, შესაბამისად, მასზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვაც არ ვრცელდებოდა.

ბაზრის მეორე მხარეს ფეისბუქი კომპანიებს ადგილს სთავაზობს რეკლამის განსათავსებლად. ეს ორი ბაზარი ერთი შეხედვით დამოუკიდებელია ერთმანეთისგან, თუმცა მათ შორის კავშირიც უდავოა: რაც მეტი მომხმარებელი ეყოლება ფეისბუქს, მით მეტი მეწარმე მოინდომებს ამ ქსელში რეკლამის განთავსებას, რადგან რეკლამას მეტი ადამიანი ნახავს და რეკლამირებული პროდუქტის გაყიდვებიც გაიზრდება. ამგვარი ბაზრების მიმართ ბაზრის ანალიზის დამკვიდრებული წესების გამოყენება ხშირად არ იძლევა რეალურ სურათს ან სულაც შეუძლებელია (მაგალითად, როგორ უნდა გამოვიყენოთ SSNIP-ტესტი, როცა საქონლის, ამ შემთხვევაში ფეისბუქზე წევრობის ფასი ფულადი ერთეულით არაა შეფასებული).[387] ამ და სხვა სირთულეების გამო, რაც თან ახლავს ეკონომიკის გაციფრულებას, ბაზრების ანალიზი კონკურენციის სამართლის მიზნებისთვის, და მათ შორის შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, თანამედროვე კონკურენციის სამართლის ერთ-ერთ აქტუალური ამოცანაა.

ამგვარად, შესაბამისი ბაზარი და მისი განსაზღვრის წესი არ წარმოადგენს დოგმატური სახით არსებულ თეორიას, არამედ მუდმივად განიცდის ცვლილებებს და საჭიროებს მისადაგებას ეკონომიკურ რეალობასთან.

[387] მეტი ინფორმაციისთვის იხ., მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კვლევა თემაზე *"შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა მრავალმხრივი ბაზრების პირობებში"* (OECD: https://one.oecd.org/document/DAF/COMP/WD(2017)27/FINAL/en/pdf).

შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა - მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამება

- შესაბამისი ბაზარი კონკურენციის სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური ცნებაა. მისი განსაზღვრა კონკურენციის სამართლის ყველა მიმართულებისთვისაა მნიშვნელოვანი და წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც იზომება კონკურენციის ესა თუ ის პარამეტრი.
- შესაბამის ბაზარს განსაზღვრავს, ანუ მის ჩარჩოებს, საზღვრებს ადგენს საქართველოს კონკურენციის სააგენტო. მის გადაწყვეტილებებს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრასთან მიმართებაში პრეცედენტული ხასიათი არ გააჩნია.
- შესაბამისი ბაზრის ცნებას საფუძვლად უდევს ისეთი ეკონომიკური ცნებები, როგორებიცაა მოთხოვნისა და მიწოდების კანონები და მოთხოვნისა და მიწოდების ელასტიკურობა ფასის მიხედვით. მოთხოვნის ჯვარედინი ელასტიკურობა აჩვენებს, თუ რამდენად იცვლება მოთხოვნა ერთ პროდუქტზე, როცა მეორე პროდუქტზე ფასი იზრდება ან მცირდება. თუ ერთ პროდუქტზე ფასის მომატება იწვევს მეორე პროდუქტზე მოთხოვნის გაზრდას, პროდუქტები მოთხოვნის თვალსაზრისით ჩანაცვლებადია. მიწოდების ჯვარედინი ელასტიკურობა აჩვენებს, თუ რამდენად იცვლება ერთი პროდუქტის მიწოდება, როცა მეორე პროდუქტზე ფასი იზრდება ან მცირდება. თუ ერთ პროდუქტზე ფასის მომატება იწვევს მეორე პროდუქტის მიწოდების შემცირებას, ასეთი პროდუქტები მიწოდების თვალსაზრისით ჩანაცვლებადია.
- შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა მოიცავს ბაზრის პროდუქციული, გეოგრაფიული და დროითი საზღვრების დადგენას. შესაბამისი ბაზარი განსაზღვრულად მხოლოდ ყველა კრიტერიუმის დადგენის შემდეგ ითვლება.
- შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა პროდუქტი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს

ურთიერთჩანაცვლებადად ამ პროდუქტის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. პროდუქტები/მომსახურება შეიძლება იყოს ჩანაცვლებადი როგორც მომხმარებლის, ისე მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით.

- ბაზრის გეოგრაფიული, სივრცითი საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობა, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.

- შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.

- შესაბამისი ბაზარი და მისი განსაზღვრის წესი არ წარმოადგენს დოგმატური სახით არსებულ თეორიას, არამედ მუდმივად საჭიროებს მისადაგებას ეკონომიკურ რეალობასთან. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა ეკონომიკის გაციფრულების შედეგად წარმოშობილ ახალ ბაზრებზე თანამედროვე კონკურენციის სამართლის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

ბიბლიოგრაფია

I. კანონმდებლობა

საქართველო

1) საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", საკანონმდებლო მაცნე, 08.05.2012; კონსოლიდირებული ვერსია (2014 წლის 21 მარტის ცვლილებებით) https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4.

2) კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის №30/09-3 ბრძანება „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე", 30/09/2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2523226?publication=0.

3) საქართველოს მთავრობის №529 დადგენილება „ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ", 30/09/2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2488751?publication=0.

4) კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის №30/09-4 ბრძანება „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ", 30/09/2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2523208?publication=0.

ევროკავშირი

1) ევროკომისიის გზამკვლევი შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის თაობაზე, Commission Notice on the definition of relevant market for the purposes of Community competition law (97/C 372/03), 09.12.1997.

II. მარეგულირებლების გადაწყვეტილებები

1) *ამერიტექი/სმაილი*, საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №04/167, 06.07.2018.

2) *საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს),* საავტომობილო საწვავის ბაზარზე კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების შესახებ – ბრძანება №04/117, 10.05.2018

3) *ალტა/მეტრომარტი,* საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №04.325, 4.12.2017.

4) *ცემენტინვესტი/კავკასუსცემენტი,* საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს) ბრძანება №04/274, 6.10.2017.

5) საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" მიერ კონკურენციის შესახებ კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე, ბრძანება №04/91, 21.04.2017.

6) *ჯიპისი/ეი-ბი-სი ფარმაცია,* საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №247, 28.12.2016.

7) *საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისი,* საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №57, 28.04.2016.

8) *ალტა/ევროტექნიკსი,* საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №32, 07.03.2016.

9) *ევექსი/გნ. კო,* საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №97, 28.07.2015.

10) *ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია/თბილცემენტ გრუპი* – საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №67, 9.06.2015.

III. წიგნები

1) Bechtold/Bosch/Brinker, EU-Kartellrecht, მე-3 გამოცემა, C.H.BECK, 2014.

2) Bechtold/Bosch, GWB (Kartellgesetz), მე-8 გამოცემა, C.H.BECK, 2018.

3) Bellamy & Child, European Union Law of Competition, (Bailey, Rose, eds.), მე-7 გამოცემა, Oxford University Press, 2013.

4) Bishop/Walker, The Economics of EC Competition Law – Concepts, Application and Measurement, მე-3 გამოცემა, Sweet and Maxwell, 2009.

5) Cooter/Ulen, Law and Economics, მე-6 გამოცემა, Berkeley Law, 2016.

6) Geradin/Layne-Farrar/Petit, EU Competition Law and Economics, 1-ლი გამოცემა, Oxford University Press, 2012.
7) Immenga/Mestmäcker, EU-Wettbewerbsrecht, მე-5 გამოცემა, C.H.BECK, 2012.
8) Jones/Sufrin, EU Competition Law, მე-6 გამოცემა, Oxford University Press, 2016.
9) მენჭიუ, ეკონომიკის პრინციპები, 1-ლი გამოცემა, საავტორო უფლება ქართულ თარგმანზე – გამომცემლობა „დიოგენე" (2000).
10) Mestmäcker/Schweitzer, Europäisches Wettbewerbsrecht, მე-3 გამოცემა, C.H.BECK, 2014.
11) Rosenthal/Thomas, European Merger Control, 1-ლი გამოცემა, C.H.BECK, 2010.
12) Varona/Galarza/Crespo/Alonso, Merger Control in the European Union, მე-2 გამოცემა, Oxford University Press, 2005.
13) Whish/Baley, Competition Law, მე-9 გამოცემა, Oxford University Press, 2018.

IV. სტატიები

1) Greco, Cross Elasticity of Supply: Seldom Heard of and Seldom Taught, Journal for Economic Educators, Volume 5(1), Winter 2005.
2) კობაძე, *"Black Sea Port in Georgia Scrutinised by the Georgian Competition Authority Relying upon EU Case Law as Plans for Expansion Rejected"*, in: Journal of European Competition Law & Practice, Volume 9, Issue 3, 01.03.2018, გვ.: 176-182.
3) მენაბდიშვილი, *საავტომობილო საწვავის ბაზარზე კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის გადაწყვეტილების ანალიზი*, ჟურნალი "მართლმსაჯულება და კანონი", №3(51) 2016.

*III. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები**

*ნინა ჟვანია***

1. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის მიზანი და ეკონომიკური საფუძვლები

კონკურენციის სამართალი კრძალავს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებს დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომლებიც საქმიანობენ ბაზრის როგორც ერთ დონეზე (ე.წ. „ჰორიზონტალური შეთანხმება"), ისე სხვადასხვა დონეზე (ე.წ. „ვერტიკალური შეთანხმება").

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვა, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვასა და კონცენტრაციის კონტროლთან ერთად, კონკურენციის რეგულირების სამ მნიშვნელოვან სვეტთაგან ერთ-ერთია. ხსენებული წესები ქმნიან ბაზარზე თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის დაცვის ეფექტიან საფუძველს.

საქართველოში კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებები ჯერ კიდევ მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ 1996 წლის კანონით[388] რეგულირდებოდა. კერძოდ, ეკონომიკურ აგენტებს ეკრძალებოდათ ისეთი ხელშეკრულების დადება ან ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ იწვევდა კონკურენციის შეზღუდვას.[389] 1996 წლის კანონი, განსაკუთრებით კი მისი

---

* წინამდებარე თავი არ მოიცავს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აღსრულების პროცედურულ ნაწილს, რამდენადაც იგეგმება უახლოეს მომავალში პროცედურული ნორმების არსებითი ცვლილება.

** ასისტენტ-პროფესორი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა; ვიცე-პრეზინდეტი იურიდიული მიმართულებით, პეტროკას ენერჯი გრუპი.

388 საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ", პარლამენტის უწყებანი, 22-23, 30.07.1996 (ძალადაკარგულია 11.07.2005-დან); ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31462?publication=3 (1.02.2019 – ქვემოთ მოყვანილ ყველა ინტერნეტრესურსზე უკანასკნელად წვდომის თარიღი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული).

389 იქვე, მუხლი 8.

აღსრულება, ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ, არ იყო ეფექტიანი.[390] მოგვიანებით, ქვეყანაში კორუფციის აღმოფხვრისკენ მიმართული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების შედეგად, გაუქმდა არაერთი რეგულაცია. მათ შორის აღმოჩნდა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი წესებიც, რომლებსაც საერთოდ აღარ ითვალისწინებდა 2005 წლის კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ".[391]

მდგომარეობა კვლავ შეიცვალა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების წარმოების პროცესში. როგორც წესი, ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებს უწევთ აიღონ საკუთარი კანონმდებლობის ევროპულ წესებთან დაახლოების ვალდებულება.[392] ასე მოხდა საქართველოს შემთხვევაშიც. კერძოდ, ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში დადგა კონკურენციის ეფექტიანი ჩარჩოს შემოღების აუცილებლობაც.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის №1551 კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის [393] თანახმად, საქართველოს კონკურენციის სფეროს განვითარება ორიენტირებულია ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტებზე. ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით [394] ნაკისრი ვალდებულების [395] კვალდაკვალ,

---

[390] Emerson, Kovziridze (eds), *Deepening EU–Georgian Relations: What, why and how?* CEPS, 2016, გვ. 96.

[391] საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 27.06.2005 (ძალადაკარგულია 23.07.2012-დან), ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29644?publication=6.

[392] იხ. მაგალითად, Guy Harpaz, "Approximation of Laws under the European Neighbourhood Policy: The Challenges that Lie Ahead" (2014) 19 European Foreign Affairs Review, Issue 3, გვ.: 429-452.

[393] საქართველოს მთავრობის განკარგულება N1551, 2010 წლის 3 დეკემბერი, *„კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ"*.

[394] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, (შემდგომში - „ასოცირების შეთანხმება").

[395] ასოცირების შეთანხმების 204-ე მუხლის თანახმად: „მხარეებს მათ შესაბამის ტერიტორიაზე უნდა გააჩნდეთ *ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები, რომლებიც ეფექტიანად იქნება მიმართული ანტიკონკურენციულ შეთანხმებებზე, შეთანხმებულ ქმედებებსა* და დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ანტიკონკურენციულ ქმედებაზე [...]." (ავტორის ხაზგასმა).

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის [396] (შემდგომში „კანონი“ ან „კონკურენციის შესახებ კანონი“) 2014 წლის რედაქცია დაუახლოვდა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების[397] (შემდგომში - TFEU) 101-ე მუხლს და აიკრძალა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები, შეთანხმებული ქმედებები და გადაწყვეტილებები.[398]

შედეგად, საქართველოს კონკურენციის სააგენტო (შემდგომში, „სააგენტო“ ან „კონკურენციის სააგენტო“) არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ საქართველოს კონკურენციის სამართლის განვითარებისა და აღსრულების პროცესში ეყრდნობა ევროკავშირის და მისი წევრი სახელმწიფოების გამოცდილებას.[399] ამასთან, ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, რომლებზეც ჩვენს კანონმდებლობაში არ მოიპოვება პირდაპირი პასუხი, სააგენტო მიმართავს ევროკავშირის კონკურენციის სამართალში დამკვიდრებულ ინსტიტუტებსა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკას.[400]

ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია ბაზარზე კონკურენციის ანუ მეტოქეობის პროცესის, როგორც მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდის და რესურსების ეფექტიანი გადანაწილების საშუალების, დაცვა. [401] ხსენებულ მიდგომას იზიარებს საქართველოს კონკურენციის სააგენტოც.[402] მიუხედავად

---

[396] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, საკანონმდებლო მაცნე, 08.05.2012; კონსოლიდირებული ვერსია (2014 წლის 21 მარტის ცვლილებებით) ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4.

[397] Consolidated Version of the Treaty on the Functioning of the European Union, OJ C 326/47, 26.10.2012.

[398] კონკურენციის შესახებ კანონი, მუხლი 7.

[399] იხ. მაგალითად, *Booking.com-ის* საქმე, საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება N05, 09.01.2017, გვ. 7 და მომდევნო; ასევე სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018, გვ. 12 და მომდევნო.

[400] საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე“ ივნისი 2018, (შემდგომში - „მე-7 მუხლის გზამკვლევი“).

[401] ევროკავშირის გზამკვლევი ხელშეკრულების 83(3) მუხლის [ახალი რედაქციით მუხლი 101(3)] გამოყენების თაობაზე, ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი [2004] C 101/97, აბზ. 13, (შემდგომში - „101(3) მუხლის გზამკვლევი“).

[402] სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018; დანართი: *„გადაწყვეტილება საქართველოს კონკურენციის სააგენტოს*

იმისა, რომ მომხმარებელთა კეთილდღეობა არის ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ფუნდამენტური ღირებულება, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ TFEU 101-ე მუხლის რეგულირების მიზანი, მომხმარებელთა და კონკურენტთა ინტერესებთან ერთად, არის თავად ბაზრის სტრუქტურა, ბაზარზე არსებული კონკურენცია. შესაბამისად, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების შესაფასებლად აუცილებელი არ არის, რომ საბოლოო მომხმარებელს მიადგეს კონკრეტული ზიანი.[403]

ცალკეული შეთანხმებების კონკურენციის საწინააღმდეგო ხასიათის შესაფასებლად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ეკონომიკურ თეორიებს. ისინი არსებითია კონკურენციისთვის სასარგებლო ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებებსა და კონკურენციის მძიმე ფორმის დარღვევებს (კარტელებს) შორის ზღვრის დასადგენად. ეკონომიკური თეორიების როლი ასევე მნიშვნელოვანია მოკვლევისა და კანონდარღვევის მტკიცების სხვადასხვა ეტაპზე.

წინამდებარე თავში განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის კარტელურ შეთანხმებებს, რომელიც წარმოების შეზღუდვითა და ფასების გაზრდით გამოწვეული ნეგატიური ეფექტით მონოპოლიას უტოლდება. [404] კარტელები იწვევს მისი მონაწილეების მიერ საბაზრო ძალაუფლების მოპოვებას, მაღალი ფასის დაწესებას, ზემოგების მიღებას და მომხმარებელთა დოვლათის ეკონომიკურ აგენტთა „ჯიბეში“ გადინებას, აგრეთვე ამცირებს განაწილებით, წარმოების და დინამიკურ ეფექტიანობას. [405] კარტელების გარდა, კონკურენციის შეზღუდვა შეიძლება გამოიწვიოს შეთანხმებებმა ბაზრის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორისაც

თავმჯდომარის 2018 წლის 23 იანვრის N04/11 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე“, გვ. 9.

[403] Joined Cases C-501/06 P, C-513/06 P, C-515/06 P and C-519/06 P, *GlaxoSmithKline Services Unlimited v Commission*, [2009] ECLI:EU:C:2009:610, აბზ. 63.

[404] Niels, Gunnar, Jenkins, Helen and Kavanagh, James, *Economics for Competition Lawyers*, Oxford University Press, 2011, გვ. 285.

[405] იქვე, თავი I და II.

ვერტიკალურ ურთიერთობაში. მაგალითად, ამ გზით შეიძლება შეიზღუდოს მომხმარებლის არჩევანი ან ბაზარზე წვდომა სხვა ეკონომიკური აგენტებისთვის.

კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლი კრძალავს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებს. უფრო ზოგადად, მოქმედი კანონმდებლობა შეიცავს ეკონომიკური აგენტების უკანონო შეთანხმებების უარყოფითი შედეგებისგან მომხმარებელთა დაცვის ბერკეტებს. თუმცა, ეს ბერკეტები არ არის სრულყოფილი. ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის გამოცდილებასთან კიდევ უფრო დაახლოების მიზნით, კონკურენციის სააგენტომ ექსპერტების ჩართულობით შეიმუშავა კანონმდებლობის ცვლილებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, [406] რომლებიც ჯერ კიდევ პარლამენტის მსჯელობის საგანია. მკითხველის ინფორმირების მიზნით, ამ თავისთვის რელევანტური რეკომენდაციები მიმოხილული იქნება ჩარჩოებში, შესაბამისი მითითებით.

2. მე-7 მუხლის სტრუქტურა და რეგულირების სფერო

2.1. მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვა და მისი შედეგები

კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლი კრძალავს ეკონომიკურ აგენტებს შორის ისეთ შეთანხმებას, ისეთი გადაწყვეტილების მიღებას და შეთანხმებული ქმედების განხორციელებას (შემდგომში - ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „შეთანხმება“), რომლის მიზანია ან რომლის შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა.

[406] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრეზენტაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, მეორე საერთაშორისო კონფერენცია - კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები. თბილისი, 28-29 სექტემბერი, 2018.

სუბიექტები	➡	➢ ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტი ➢ ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებები (ასოციაციები)
ქმედება	➡	➢ შეთანხმება ➢ შეთანხმებული ქმედება ➢ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილება
კონკურენციის შემზღუდველი მიზანი ან შედეგი	➡	ქმედება მიზნად ისახავს ან იწვევს კონკურენციის: ➢ შეზღუდვას ➢ აკრძალვას ➢ დაუშვებლობას

როგორც ზემოთ მოცემული სქემიდან ჩანს, კანონის მე-7 მუხლის შეიცავს სამ წინაპირობას, რომელთა კუმულატიურად დაკმაყოფილების შემთხვევაში დგინდება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობა. აღნიშნულის მტკიცების ტვირთი კი ეკისრება კონკურენციის სააგენტოს. ხსენებული წინაპირობები დეტალურად იქნება განხილული მომდევნო ქვეთავებში.

მე-7 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს აკრძალული შეთანხმების ზოგად შემადგენლობას და ასევე გამოყოფს ექვს სპეციალურ კატეგორიას:[407]

ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა;

გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება;

დ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორების მიმართ იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული/დისკრიმინაციული პირობების გამოყენება, რითაც ხდება მათი კონკურენციულად წამგებიან მდგომარეობაში ჩაყენება;

---

[407] თავის მხრივ, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, მოცემული კატეგორიები მოიცავს დარღვევათა მრავალ სახეს.

ე) გარიგების პირობად გარიგების მხარისთვის ისეთი დამატებითი ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან;

ვ) მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური აგენტებისთვის ან სხვისთვის სატენდერო წინადადების შეთანხმებული პირობების დაწესება, რაც არსებითად ლახავს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებს.

აღსანიშნავია, რომ ეს ჩამონათვალი წარმოადგენს TFEU 101-ე მუხლის ფაქტობრივ ანალოგს, ორი მნიშვნელოვანი განსხვავებით. პირველ რიგში, TFEU 101-ე მუხლი არ შეიცავს „ვ" ქვეპუნქტს ანუ სპეციალურ დანაწესს სახელმწიფო შესყიდვების დროს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების შესახებ. ეს არ ნიშნავს, რომ TFEU 101-ე მუხლი არ კრძალავს ასეთ შეთანხმებებს. პირიქით, მე-7 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი აკრძალვები ვრცელდება ყველა ტიპის შეთანხმებაზე, სახელმწიფო შესყიდვების დროს თუ სხვა ნებისმიერ კონტექსტში. ამასთან, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვასიტყვითი განმარტებით, *დარღვევათა სახეების ჩამონათვალი ამომწურავია,* რაც ასევე ეწინააღმდეგება TFEU 101-ე მუხლს, რომელიც არ ეფუძნება *numerus clausus* პრინციპს.

> კონკურენციის სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებებით ცალსახად იქნება მითითებული, რომ მე-7 მუხლით მოცემული ქმედებების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი ხასიათის. ამასთან, მე-7 მუხლის პირველი პუნქტიდან იგეგმება „ვ" ქვეპუნქტის ამოღება, რადგან იმავე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი აკრძალვა ზოგადი ხასიათისაა და ეხება კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებს ნებისმიერ კონტექსტში, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების დროს.

მე-7 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრულია აკრძალული შეთანხმების კერძოსამართლებრივი შედეგი - ბათილობა, თუ შეთანხმება არ ექცევა კანონით დადენილ გამონაკლისებში. ეს ნიშნავს, რომ ბათილია კონკრეტულად კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება. ამასთან, წერილობითი ხელშეკრულების შემთხვევაში, თუ კონკურენციის შემზღუდველი ნაწილის გამოცალკევება შეუძლებელია, ბათილი იქნება მთელი ხელშეკრულება.

ხშირ შემთხვევაში, მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვის ამოქმედებისთვის აუცილებელია, რომ კონკურენციის შეზღუდვა შეთანხმების შედეგად არ იყოს უმნიშვნელო.[408] ეს დანაწესი ემყარება ევროკავშირის სამართალში განვითარებულ დოქტრინას *უმნიშვნელოდ შემზღუდველ* შეთანხმებებთან დაკავშირებით.[409] გარდა ამისა, შეთანხმება არ ჩაითვლება კანონდარღვევად, თუ დააკმაყოფილებს კანონის მე-9 მუხლით დადგენილი ჯგუფური გამონაკლისების წინაპირობებს.[410] აღნიშნულის მტკიცების ტვირთი აკისრია ეკონომიკურ აგენტს.

2.2. აკრძალვის მოქმედების სფერო

ა) ტერიტორიული მოქმედების სფერო, ექსტრატერიტორიულობა

კონკურენციის შესახებ კანონი, აკრძალული შეთანხმებების ნაწილში, ვრცელდება ეკონომიკური აგენტების ისეთ შეთანხმებებზე, რომელთა მიზანი ან შედეგია *„შესაბამის ბაზარზე* კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა".[411] მე-7 მუხლი არ შეიცავს ზუსტ მითითებას მისი ტერიტორიული მოქმედების სფეროზე. ამავდროულად, „შესაბამისი ბაზარი" შეიძლება მოიცავდეს: (i) *საქართველოს* მთელ ტერიტორიას, (ii)

---

[408] კონკურენციის შესახებ კანონი, მუხლი 8.

[409] იხ. EU. Commission Notice on agreements of minor importance which do no appreciably restrict competitions under Article 101(1) of the Treaty on the Functioning of the European Union (De Minimis Notice). OJ C 291/1. 2014.

[410] ამ საკითხის დეტალური განხილვისთვის იხილეთ თავი IV - „კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებიდან გამონაკლისები".

[411] კონკურენციის შესახებ კანონი, მუხლი 7, პუნქტი 1. (ავტორის ხაზგასმა).

საქართველოს ტერიტორიის ნაწილს, ან (iii) *საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად.*[412]

ხსენებული განმარტებიდან ჩნდება კითხვა, აქვს თუ არა საქართველოს კონკურენციის სააგენტოს უფლება, დაარეგულიროს ქვეყნის გარეთ ჩადენილი ქმედებები?

საგულისხმოა, რომ ევროკავშირის პრაქტიკაში იურისდიქციას განსაზღვრავს ე.წ. *კვალიფიცირებული ეფექტის დოქტრინა.* კერძოდ, ევროკავშირის კონკურენციის სამართალი ვრცელდება უცხო ქვეყნის ეკონომიკური აგენტების მიერ ევროკავშირის ტერიტორიის გარეთ ჩადენილ ქმედებებზე, თუ მათ აქვთ *განჭვრეტადი, დაუყოვნებლივი და არსებითი ეფექტი* ვაჭრობაზე ევროკავშირში.[413] ამ განმარტებიდან ნათელია, რომ ევროკომისიის იურისდიქცია არ იარსებებს ქმედების ევროკავშირთან შემხებლობის გარეშე.

რაც შეეხება კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროსთან დაკავშირებულ ზოგად ნორმებს, 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კონკურენციის შესახებ კანონი ვრცელდება ეკონომიკური აგენტის ქმედებასა და გადაწყვეტილებაზე, რომელიც *„იწვევს* ან/და *შეუძლია გამოიწვიოს* ქვეყნის სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა.“ [414] ამ შემთხვევაში „ქვეყნის“ გაგებული უნდა იქნას, როგორც „საქართველოს“. რაც შეეხება საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის ექსტრატერიტორიულ მოქმედებას, კანონი ვრცელდება ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩადენილ ქმედებაზე, თუ ის *„გავლენას ახდენს ქვეყნის შიდა ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე*

---

[412] იქვე, მუხლი 3, პუნქტი „ზ“. (ავტორის ხაზგასმა).

[413] Case C-413/14 P, *Intel Corporation Inc., v. European Commission*, Judgment of the Court (Grand Chamber), 6 September 2017, ECLI:EU:C:2017:632, აბზ. 40-65.

[414] კონკურენციის შესახებ კანონი, პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. (ავტორის ხაზგასმა).

და ზღუდავს მას ან/და არსებითად აუარესებს კონკურენტულ გარემოს.[415]

შედეგად, ნებისმიერ შემთხვევაში, სუბიექტების წამომავლობისა და ქმედების ჩადენის ადგილმდებარეობის მიუხედავად, საქართველოს კონკურენციის სამართლის (მათ შორის, მე-7 მუხლის) მოქმედებისთვის აუცილებელია, რომ შეთანხმება (პოტენციურად) ზღუდავდეს კონკურენციას საქართველოს შიდა ბაზარზე.[416]

ბ) შემთხვევები, რომლებზეც არ ვრცელდება მე-7 მუხლი

კონკურენციის შესახებ კანონი და შესაბამისად, მე-7 მუხლი არ ვრცელდება შეთანხმებებზე შრომითი ურთიერთობების ფარგლებში. [417] ასეთი საგამონაკლისო შემთხვევა იქნება, მაგალითად, კოლექტიური შეთანხმებები: თუნდაც ისინი არეგულირებდნენ მინიმალურ ანაზღაურებას, ეს არ ჩაითვლება კონკურენციის სამართლით აკრძალულ ფასების ფიქსაციად. კანონმდებლის ასეთი არჩევანი ლოგიკურია, რამდენადაც, შრომის სამართლის მიზნების მისაღწევად, აუცილებელია მსგავსი შეთანხმებების კანონიერება.

კონკურენციის კანონმდებლობა არ ვრცელდება ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს უფლებები კონკურენციის შეზღუდვისა და აღკვეთისათვის გამოიყენება.[418] ეს ნიშნავს, რომ კონკურენციის შესახებ კანონი არ არეგულირებს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს, თუმცა თუკი ეკონომიკური აგენტების შეთანხმებით

---

[415] კონკურენციის შესახებ კანონი, მუხლი 1, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ბ"; იხ. *Booking.com-ის* საქმე, სადაც ბუკინგ.კომ იყო არარეზინდენტი ეკონომიკური აგენტი, ხოლო შეთანხმებები განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე, სკს, გრძანება N05, 09.01.2017.

[416] კონკურენციის შესახებ კანონით მსგავსი მიდგომაა დადგენილი კონცენტრაციების კონტროლის სფეროშიც. კერძოდ, მე-11 მუხლის თანახმად, აკრძალულია მხოლოდ ის კონცენტრაციები, რომლებიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე.

[417] კონკურენციის შესახებ კანონი, მუხლი 1, პუნქტი 4, ქვეპუნქტი „ა".

[418] იქვე, ქვეპუნქტი „ბ".

სახეზეა კონკურენციის შეზღუდვა, ამოქმედდება კონკურენციის კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა შეთანხმების საგანი ინტელექტუალური საკუთრების უფლება. საქართველოსგან განსხვავებით, ევროკავშირის პრაქტიკა მდიდარია შესაბამისი პრაქტიკით.[419]

კანონი ასევე არ ვრცელდება **„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ურთიერთობებზე,** *გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ურთიერთობები გავლენას ახდენს ქვეყნის სასაქონლო ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე და ზღუდავს მას, ან შეუძლია გამოიწვიოს მისი არსებითი შეზღუდვა.* ამ შემთხვევაშიც, კონკურენციის კანონმდებლობა არ ერევა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით მოწესრიგებულ ზოგად საკითხებში, თუმცა თუკი ამ სპეციალური კანონით რეგულირებულ სუბიექტებს შორის ადგილი ექნება კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას, მათზე გავრცელდება კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლი.

გ) თანაკვეთა მე-6 მუხლთან

მიჩნეულია, რომ თავისუფალ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები, ეფექტიანი კონტროლის არარსებობის პირობებში, მიდრეკილები არიან, რაიმე ფორმით შეამცირონ ის კონკურენტული წნეხი, რაც მათ ხელს უშლის მოგების მაქსიმიზაციაში და შექმნან მონოპოლიასთან მიახლოებული მდგომარეობა ბაზარზე.[420] შედეგად, რიგ შემთხვევაში, აკრძალული შეთანხმება სწორედ საბაზრო ძალაუფლების ჯგუფურად მოპოვებასა და მისი კონკურენტული გარემოსა და მომხმარებლების საზიანოდ გამოყენებას უკავშირდება. მე-7 მუხლი

---

[419] იხ. მაგალითად, ევროკომისიის პოზიცია ფარმაცევტულ სექტორში, პატენტებთან დაკავშირებული დავებიდან გამომდინარე რიგი შეთანხმებების კონკურენციის შემზღუდველი ხასიათის შესახებ (http://ec.europa.eu/competition/sectors/pharmaceuticals/antitrust_en.html).

[420] იხ. Niels, Gunnar, Jenkins, Helen and Kavanagh, James, *Economics for Competition Lawyers*, Oxford University Press, 2011, თავი V. ასევე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" 2012 წლის კვლევა „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში" (https://www.transparency.ge/ge/content/stub-650).

ქმედების შემდგომ ანუ *ex post* ახდენს მსგავსი შეთანხმებების აღკვეთას.

ცალკეულ შემთხვევებში, ერთი და იგივე ქმედება შეიძლება წარმოადგენდეს როგორც კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას, ასევე აკმაყოფილებდეს კანონის მე-6 მუხლის დისპოზიციას, რადგან აღნიშნული მუხლი მოიცავს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას ერთი ან *რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ* (ჯგუფური დომინანტობის შემთხვევები).[421]

ევროკავშირის სამართალი *a priori* არ გამორიცხავს ერთ ფაქტობრივ მოცემულობაზე TFEU 101-ე და 102-ე მუხლების ერთობლივ მოქმედებას. [422] თუმცა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო მიუთითებს, რომ ხსენებული ორი მუხლის მოქმედების სფერო განსხვავებულია. ამდენად, დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმება ან შეთანხმებული ქმედება ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის დასადასტურებლად არც თავისთავად საკმარისი და არც აუცილებელი წინაპირობა არ არის.[423] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ან ქართულ სასამართლოებს ამ საკითხზე განმარტება არ გაუკეთებიათ.

3. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვის ელემენტები

3.1. ეკონომიკური აგენტი, ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებები

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების სუბიექტები არიან ეკონომიკური აგენტები ან მათი გაერთიანებები. კონკურენციის კანონმდებლობაში გამოიყენება ეკონომიკური

---

[421] ამ საკითხზე დეტალური დისკუსიისთვის იხილეთ თავი V – „დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება".

[422] Joined Cases C-395/96 P and C-396/96 P, *Compagnie Maritime Belge Transports SA and others v Commission*, ECLI:EU:C:2000:132, აბზ. 33.

[423] იქვე, აბზ. 43-45.

აგენტის სპეციალური ცნება, რომელსაც ანალოგი სამართლის სხვა დარგებში არ აქვს.

ევროკავშირის სამართალში ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა „ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა და დაფინანსების გზისა".[424] ეკონომიკური საქმიანობა კი განმარტებულია, როგორც „ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბაზარზე საქონლის და მომსახურების შეთავაზებას."[425] ამასთან, გენერალური ადვოკატი[426] ჯეიკობსი ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით დამატებით განმარტავს - „როდესაც მსგავსი საქმიანობა კერძო პირის მიერ, სულ მცირე, თეორიულად, მოგების მიღების მიზნით შეიძლება გახორციელდეს".[427]

კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, **ეკონომიკური აგენტი არის „პირი, რომელიც, განურჩევლად რეზიდენტობისა, საწარმოს სამართლებრივი ფორმისა, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და სხვა გაერთიანება, რომლებიც არიან ბაზრის მონაწილეები ან/და ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას."**

მე-7 მუხლის გზამკვლევით სააგენტო მოცემული ცნების ქვეშ გამოყოფს სამი კატეგორიის ეკონომიკურ აგენტს:

ეკონომიკური აგენტი

(i) ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას	*(ii) ა(ა)იპ, რომელიც არის ბაზრის მონაწილე ან ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას*	*(iii) სხვა გაერთიანება, რომელიც არის ბაზრის მონაწილე ან ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას*

[424] Case C-41/90, *Höfner and Elser*, [1991] ECR I-1979, ECLI:EU:C:1991:161, პბზ. 21.

[425] Case 118/85 *Commission v Italy* [1987] ECR 2599, ECLI:EU:C:1987:283, პბზ. 7.

[426] გენერალური ადვოკატები ("Advocate General") არიან ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს წევრები, რომელთაც საქმის სირთულიდან გამომდინარე შეიძლება ეთხოვოთ წარმოადგინონ თავიანთი მიუკერძოებელი მოსაზრება კონკრეტული სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. პრაქტიკაში მათი მოსაზრებები, როგორც წესი, გაზიარებულია სასამართლოს მიერ, თუმცა არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი.

[427] Case C-67/96, *Albany International BV v Stichting Bedrijfpensioenfonds textielindustrie* [1999] ECR I-5751, Jacobs AG, ECLI:EU:C:1999:28, პბზ. 311.

ეკონომიკური აგენტი, საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირთან ერთად, შეიძლება იყოს ასევე უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ნებისმიერი პირი, თუ ის აკმაყოფილებს ეკონომიკური აგენტის განმარტებას. მაგალითად, კონკურენციის სააგენტოს მიერ ეკონომიკურ აგენტად მიჩნეულ იქნა Booking.com B.V, ნიდერლანდებში რეგისტრირებული კომპანია.[428]

ამასთან, ქართული კანონმდებლობით, ეკონომიკური აგენტის ცნების ქვაკუთხედია მის მიერ სამეწარმეო საქმიანობის წარმოება, რაც, თავის მხრივ, არ არის განმარტებული კონკურენციის შესახებ კანონში. შესაბამისად, უნდა ვიხელმძღვანელოთ „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში [429] მოცემული განმარტებით, რომლის მიხედვითაც „სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად."[430]

ეკონომიკური აგენტის ცნების *დაკავშირება სამეწარმეო საქმიანობასთან პრობლემურია* იმ კუთხით, რომ შედეგად შეიძლება მან არ მოიცვას თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები: ადვოკატები, ბუღალტრები, არქიტექტორები და სხვა. ასევე გაუგებარია, თუ რა იგულისხმება ბაზრის მონაწილეში, რატომ არის აღნიშნული წინაპირობა დაკავშირებული მხოლოდ არაკომერციულ (არასამეწარმეო) იურიდიულ პირებსა და სხვა გაერთიანებებთან. დამატებით ჩნდება ლოგიკური კითხვა, თუ რამდენად წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტს სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, როდესაც ის მოქმედებს, როგორც ბაზრის მონაწილე.[431]

---

[428] იხ. „Booking.com"-ის საქმე, სკს. ბრანება N05, 07.01.2017.

[429] „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი (მიღების თარიღი: 28/10/1994; კონსოლიდირებული ვერსია: 06/06/2018), https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=62.

[430] იქვე, მუხლი 1, პუნქტი 2.

[431] ამ საკითხზე დისკუსიისთვის იხილეთ Sanchez-Graells, Albert, "Competition Law and Public Procurement", (August 13, 2015). Forthcoming in J Galloway (ed), *Intersections of Antitrust: Policy and Regulations* (Oxford, OUP, 2019). ხელმისაწვდომია: https://ssrn.com/abstract=2643763.

კონკურენციის სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილების თანახმად, ეკონომიკური აგენტის ცნება სამეწარმეო საქმიანობის ნაცვლად უკავშირდება ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას, რომელიც შემდეგნაირად არის განმარტებული:

„ნებისმიერი არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების/შემოსავლის მიღების მიზნით და გულისხმობს შესაბამის ბაზარზე საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებას.“

აღნიშნული განმარტებით აღმოიფხვრება ზემოთ მითითებული ბუნდოვანებები და ეკონომიკური აგენტის განმარტება დაუახლოვდება ევროკავშირის პრაქტიკას.

ა) ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტი

კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მოქმედების წინაპირობაა შეთანხმება ერთზე მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის. დამატებით, სააგენტო განმარტავს, რომ მე-7 მუხლის ჰორიზონტალური დარღვევის დასადგენად, აუცილებელია, რომ აკრძალულ ქმედებას ადგილი ჰქონდეს რეალურ კონკურენტებს შორის, რაშიც ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედი ეკონომიკური აგენტები მოიაზრება.[432]

მნიშვნელოვანია, თუ როგორ განიმარტება *დამოუკიდებლად მოქმედების* კრიტერიუმი. როგორც უკვე აღინიშნა, სამართლებრივი სტატუსი არ არის გადამწყვეტი. მაგალითად, თუ ფორმალურად განცალკევებულ იურიდიულ პირებს შორის ისეთი სტრუქტურული (საკუთრების უფლების/წილობრივი), [433]

[432] იხ. *სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018, გვ.13, 43 და 45.

[433] იხ. http://www.aztn.hr/en/does-it-constitute-a-violation-of-competition-rules-where-in-the-public-procurement-procedure-two-tenderers-bid-where-one-is-actually-the-founder-of-the-other/ მითითებულია საქმეში - სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018, გვ. 21.

ფინანსური ან მმართველობითი კავშირია,[434] რაც მათ ართმევს შესაძლებლობას რეალური კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს, შესაძლებელი ხდება „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის" თეორიის განვითარება[435] და მასში შემავალ ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებაზე კანონის მე-7 მუხლის გამოყენების გამორიცხვა.

ბ) „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის" დოქტრინა

ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინა ევროკავშირის სამართლიდან მომდინარეობს და გულისხმობს, რომ თუკი ეკონომიკური აგენტები ფორმალური დამოუკიდებლობის მიუხედავად, რეალურად ერთი და იმავე სუბიექტის ნაწილები არიან (მაგალითად, მშობელი და დაქვემდებარებული კომპანია), მათზე არ გავრცელდება TFEU 101-ე მუხლის მოქმედება, რადგან ხსენებული მუხლი მოითხოვს, რომ შეთანხმება არსებობდეს *ორ ან მეტ* ეკონომიკურ აგენტს შორის.[436] ამ კუთხით, ეკონომიკურმა აგენტებმა შეიძლება ერთიანი ეკონომიკური აგენტის ცნება აქტიურად გამოიყენონ *კანონდარღვევის დადგენისგან თავის დასაცავად.*

მეორე მხრივ, იმავე დოქტრინის გამოყენება შესაძლებელია პირიქით, ერთიან ეკონომიკურ სუბიექტში შემავალი ერთი (კონტროლირებადი) ეკონომიკური აგენტის მიერ ჩადენილი კანონდარღვევის მეორე (მაკონტროლებელი) კომპანიისთვის შესარაცხად.[437] იმ ფონზე, რომ კანონდარღვევის გამო დაკისრებული ჯარიმის ოდენობა დამოკიდებულია ეკონომიკური აგენტის წლიურ ბრუნვაზე, პრაქტიკაში შესაძლებელია არსებითი

---

[434] ავტორის მოსაზრებით, ასეთი კავშირების შეფასებისას ასევე უნდა იქნას მხედველობაში მიღებული ქართულ კორპორატიულ კულტურაში კომპანიების ნომინალურ მფლობელებზე/მმართველებზე გაფორმების დამკვიდრებული პრაქტიკა და საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით გადაწყდეს.

[435] სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018, გვ. 15-16.

[436] იხ. Whish, Richard and Bailey, David, *"Competition Law"*, 7th ed, Oxford University Press, 2012; გვ. 92-96. იხ. ასევე: Case C-73/95P *Viho Europe BV v Commission* [1996] ECR I-5457, ECLI:EU:C:1996:405; Case 15/74, *Centrafarm BV and Adriaan De Peijper v Sterling Drug Inc* [1974] ECR 1147, ECLI:EU:C:1974:114.

[437] იხ. Cases C-97/08P *Akzo Nobel v Commission* [2009] ECR I-8237, ECLI:EU:C:2009:536, აბზაცები 58-59.

მნიშვნელობა ჰქონდეს, თუ რომელი კომპანიის (მშობელი თუ დაქვემდებარებული) ან რამდენი კომპანიის ჯამური ბრუნვის გათვალისწინებით გამოითვლება ჯარიმა. ამ შემთხვევაში, *ეკონომიკური აგენტის ინტერესებში შეიძლება იყოს ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის ცნების არგამოყენება.*

„ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ ცნება დაინერგა საქართველოს კონკურენციის სამართალშიც. როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკურენციის შესახებ კანონში „ეკონომიკური აგენტი“ ფართოდ არის განმარტებული და მათ შორის, მოიცავს ბაზრის მონაწილე „სხვა გაერთიანებებს“. სწორედ ამ დანაწესის ქვეშ მიიჩნია სააგენტომ დასაშვებად „ერთიან ეკონომიკურ სუბიექტზე“ აპელირება.[438]

სააგენტომ განმარტა, რომ *„განცალკევებული სამართლებრივი სტატუსის მქონე ეკონომიკური აგენტები შესაძლოა მოვიაზროთ ერთ სუბიექტად, თუკი მათ შორის არსებობს ისეთი მჭიდრო ეკონომიკური კავშირი და ურთიერთზემოქმედების ის ხარისხი, რაც მათი დამოუკიდებლად განხილვის შესაძლებლობას არ იძლევა.“*[439] აღნიშნული კი სახეზეა, როდესაც კომპანიას არ გააჩნია **რეალური ავტონომია და საკუთარი მოქმედებათა კურსის/მიმართულების დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობა.**[440]

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიერ ასევე გაზიარებულია ევროკავშირის პრაქტიკაში[441] დამკვიდრებული პოზიცია, რომ ერთი ფიზიკური პირის მიერ დაფუძნებული და სრულად კონტროლირებული სუბიექტები განიხილება ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად.[442]

---

[438] *სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018, გვ. 13.

[439] *სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018, გვ. 17.

[440] *აიტუნიკის* საქმე, სკს, ბრძანება N04/186, 19.07.2017, გვ. 22.

[441] Case 170/83, Hydrotherm Gerätebau GmbH v. Compact del Dott. Ing. Mario Adreoli & C. Sas [1984] ECR 2999, აბზ. 10-12.

[442] *სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018, გვ.18 და მომდევნო.

ამასთან, მნიშვნელოვანია „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ ცნების განსხვავება კანონით განსაზღვრული ურთიერთდამოკიდებული პირების [443] განმარტებისგან. ეს უკანასკნელი მეტად ფართოა და შესაბამისად, მისი ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დადგენის მიზნებისთვის გამოყენება არათანაზომიერად შეზღუდავდა მე-7 მუხლის მოქმედების სფეროს. სააგენტოს განმარტებით, რიგ შემთხვევებში, ეკონომიკური აგენტები შეიძლება მიჩნეულ იქნან ურთიერთდამოკიდებულ პირებად, თუმცა მათ შეიძლება გააჩნდეთ დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი, რაც გამორიცხავს ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის თეორიის გამოყენების შესაძლებლობას.[444]

საგულისხმოა სააგენტოს მიერ ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის თეორიის პრაქტიკული გამოყენება *„სიტროენის“* საქმეში:

მოპასუხე ეკონომიკური აგენტებიდან სამი კომპანია (შპს „იბერია ავტო“, შპს „კია მოტორს ჯორჯია“ და სს „ფრანს ავტო“), რომლებიც შესასწავლ პერიოდში სხვადასხვა დროს ერთი კომპანიის (შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“) გარკვეული წილობრივი მონაწილეობით დაკავშირებულები იყვნენ ერთმანეთთან ჩაითვალნენ ურთიერთდამოკიდებულ პირებად კონკურენციის შესახებ კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის და საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მიზნებისთვის. აღნიშნული მუხლის თანახმად, აუცილებელი პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლის წინაპირობა დაკმაყოფილებულია მინიმუმ 20%-იანი წილის ფლობის შემთხვევაში. თუმცა ეს ყოველივე არ არის საკმარისი „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ თეორიის განსავითარებლად. ორი ეკონომიკური აგენტი, სადაც 90% და

---

[443] კონკურენციის კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი: ურთიერთდამოკიდებული პირები – პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან/და მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. [...] ამ მუხლის განხილვისთვის იხ. ასევე თავი VI – „კონცენტრაციების კონტროლი“.

[444] *სიტროენ ჯორჯიასტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018, გვ. 17-18.

100%-იანი წილობრივი მონაწილეობა ჰქონდა საერთო პარტნიორ კომპანიას, რაც მას რეალურ შესაძლებლობას აძლევდა ამ კომპანიების მართვაში მიეღო მონაწილეობა, ჩაითვალნენ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტებად, ხოლო ისეთ კომპანიასთან მიმართებით, სადაც „მაკონტროლებელი კომპანიის" (შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი") წილობრივი მონაწილეობა მინორიტარული ხასიათის იყო, რაც მას ართმევდა შესაძლებლობას მხოლოდ საკუთარი მოსაზრების მიხედვით მიეღო გადაწყვეტილება, ან გავლენა მოეხდინა მათ მიღებაზე, სააგენტომ არ გამოიყენა აღნიშნული თეორია.[445]

კომპანიების ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად მიჩნევის საკითხი კონკურენციის სააგენტომ ასევე შეაფასა *„აიტექნიკის"* გადაწყვეტილებაში. [446] კერძოდ, სამი კომპანიის ერთიანობის ფაქტის შესაფასებლად, სააგენტომ მხედველობაში მიიღო როგორც სადამფუძნებლო და კორპორატიული დოკუმენტაცია, ისე ფაქტობრივი კონტროლის არსებობა და დაადგინა, რომ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზე არ იყო ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი. სააგენტომ *სამართლებრივი და ფაქტობრივი კონტროლის* შესაფასებლად გამოყო შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები: *ნომინალური დირექტორის არსებობა; კონკრეტული საერთო მმართველი პირის წესდებით განსაზღვრული დამოუკიდებელი გადაწყვეტილებაუნარიანობა; სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს არსებობა; საერთო მმართველ პირს და კომპანიას შორის კონკურენციის აკრძალვაზე შეთანხმების არსებობა.*

სააგენტომ ასევე მიიჩნია, რომ თუ სახეზე არ არის ერთპიროვნული კონტროლი მესამე კომპანიის მხრიდან („მხოლოდ საკუთარი მოსაზრებით" გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა), ვერ იქნება გამოყენებული ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის თეორია. [447] აღნიშნული განაცხადის საფუძველზე

---

[445] *სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018, გვ. 13 და მომდევნო.

[446] სკს, ბრძანება N04/186, 19.07.2017.

[447] *სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018, გვ. 15.

შეიძლება დავასკვნათ, რომ რამდენიმე კომპანიის მიერ სხვა კომპანიის ერთობლივი კონტროლის შემთხვევაში, ისინი არ ჩაითვლებიან ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად.

გ) სავაჭრო წარმომადგენლობა

მარწმუნებელს (პრინციპალს) და სავაჭრო წარმომადგენელს (აგენტს) შორის ურთიერთობა შეიძლება ასევე გამოირიცხოს კანონის მე-7 მუხლის მოქმედებიდან. როგორც წესი, სავაჭრო წარმომადგენელი განსხვავდება დისტრიბუტორისგან, რამდენადაც პირველი საქონლის ან მომსახურების გაყიდვისთვის იღებს წინასწარ დადგენილ ანაზღაურებას, ხოლო მეორე ჯერ ყიდულობს, შემდეგ კი საკუთარი რისკითა და მოგების მიღების მიზნით, ყიდის ხსენებულ პროდუქციას. ასეთ შემთხვევაში სავაჭრო წარმომადგენელს გააჩნია მინიმალური დამოუკიდებლობის ხარისხი, რამდენადაც იგი არ ატარებს საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად *კომერციულ და ფინანსურ რისკებს და შესაგამისად,* ითვლება მარწმუნებლის ორგანიზაციული სტრუქტურის ნაწილად.[448]

დ) ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებები/ასოციაციები

ევროკავშირის კანონმდებლობით, კონკურენციის შემზღუდველი ქმედების აკრძალვა ვრცელდება არამარტო ეკონომიკურ აგენტებზე, არამედ მათ გაერთიანებებზეც. ასეთად მიიჩნევა სხვადასხვა ბიზნეს გაერთიანებები და პროფესიული ასოციაციები. მაგალითად, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ *Wouters*-ის[449] საქმეში, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, კონკურენციის კანონდარღვევის სუბიექტად მიიჩნია ნიდერლანდების სამეფოს ადვოკატთა ასოციაცია.

---

[448] ამ საკითხზე უფრო დეტალურად იხილეთ ქვეთავი 5.2.

[449] Case C-309/99, *Wouters v Algemene Raad van de Nederlandsche Orde van Advocaten* [2002] ECR I- 1577, ECLI:EU:C:2002:98.

ევროკავშირის პრაქტიკაში, კონკურენციის კანონმდებლობის მოქმედება არ გამოირიცხება ეკონომიკური აგენტების გაერთიანებებზე, თუნდაც მის წევრებს ირჩევდეს ან ნიშნავდეს სახელმწიფო ან თუნდაც მას ჰქონდეს საჯაროსამართლებრივი მოწყობა. ამასთან, ერთი და იგივე ორგანიზაცია გარკვეული ფუნქციების (მაგ. წევრებისთვის გარკვეული სავაჭრო პირობების დადგენა) შესრულებისას შესაძლოა მიჩნეულ იქნას ეკონომიკური აგენტების გაერთიანებად, ხოლო სხვა უფლებამოსილებების (მაგ. სახელმწიფოს მარეგულირებელი ძალაუფლების შეთავსება) განხორციელებისას - არა.[450]

საგულისხმოა, რომ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი ასევე მოიცავს *ეკონომიკურ აგენტთა გადაწყვეტილებებს,* რაშიც სწორედ ასოციაციის [451] გადაწყვეტილებები უნდა მოვიაზროთ. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გაერთიანებების გადაწყვეტილებებს ექნებათ კონკურენციის შემზღუდველი მიზანი ან შედეგი, ისინი დაექვემდებარებიან მე-7 მუხლით დადგენილ აკრძალვას.

3.2. შეთანხმება, შეთანხმებული ქმედება და გადაწყვეტილება

კონკურენციის სამართალი კრძალავს ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებასა და შეთანხმებულ ქმედებებს, ასევე, ეკონომიკური აგენტების გაერთიანებების გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანი ან შედეგი კონკურენციის შეზღუდვა ან აღკვეთაა. ხსენებული ტერმინები ევროკავშირის პრაქტიკაში ათწლეულების, საქართველოში კი - ხუთი წლის განმავლობაში, კონკურენციის ორგანოებისა და სასამართლოს განმარტების საგანია. მე-7 მუხლით აკრძალული ზოგიერთი ქმედება (მაგ. კარტელი) კონკურენციის განსაკუთრებით მძიმე ფორმის შეზღუდვაა, თუმცა ხსენებული მუხლი მოიცავს ისეთ ქმედებებსაც, რომელთა ნაწილს შეიძლება

---

[450] იხ. Whish, Richard and Bailey, David, "*Competition Law*", 7th ed, Oxford University Press, 2012, გვ. 92.

[451] მაგ. ა(ა)იპ-ის ფორმით დაფუძნებული ბიზნეს ასოციაციები.

შედეგად მოსდევდეს კონკურენციის შედარებით მსუბუქი ხასიათის შეზღუდვა (მაგ. ვერტიკალური შეთანხმებები). ამასთან, რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებულად რთულია ეკონომიკური აგენტების პარალელური ქმედებების სამართლებრივი კვალიფიკაცია, რასაც ქართული გამოცდილებაც ადასტურებს.

ა) შეთანხმება

კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი არ იძლევა შეთანხმების განმარტებას. ევროკავშირის პრაქტიკაში შეთანხმება განმარტებულია, როგორც *„ეკონომიკურ ოპერატორთა ნების თანხვედრა გარკვეული პოლიტიკის განხორციელების, გარკვეული მიზნისაკენ სწრაფვის ან ბაზარზე ქცევის მოცემული კურსის არჩევის შესახებ."*[452] ასეთ შემთხვევაში უპირატესობა *ენიჭება არა ნების გამოხატვის ფორმას ან მის ობიექტურ ელემენტებს*, არამედ ნების სუბიექტურ მხარეს. [453] გადამწყვეტია, რაიმე ფორმით, პირდაპირი ან არაპირდაპირი მტკიცებულებით, დგინდებოდეს ეკონომიკური აგენტების ნებათა თანხვედრა, [454] რაც შეიძლება დოკუმენტალურად იყოს დაფიქსირებული, ან გამომდინარეობდეს მხარეთა შემდგომი ქცევიდან.

არაფორმალური (ჯენტლმენური) შეთანხმება. შეთანხმების ცნება ევროკავშირის სამართალში ფართოდ განიმარტება და მოიცავს ისეთ შეთანხმებებსაც, რომლებიც წევრი სახელმწიფოების კერძო სამართლით განსაზღვრულ ხელშეკრულების ცნებას სცდება. მაგალითად, არ არის მნიშვნელოვანი მხარეებს ჰქონდეთ ბოჭვის ნება - კონკურენციის კანონმდებლობა ფარავს ასევე ჯენტლმენურ, არაფორმალური შეთანხმებებსაც.[455]

კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლი „შეთანხმების" ნაცვლად ტერმინ „ხელშეკრულებას" იყენებს, თუმცა მართებული

---

[452] Case T-41/96 *Bayer AG v Commission*, [2000] ECR II-3383, აბზ. 173.

[453] შეადარე კერძოსამართლებრივ ნების გამოვლენის ინსტიტუტს, კერესელიძე, დავით, *„კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები"*, თბილისი, 2009 წელი, გვ.232 და მომდევნო.

[454] Case T-41/96 *Bayer AG v Commission*, Case T-41/96, [2000] ECR II-3383, აბზ. 173.

[455] Case 42/69 *ACF Chemiefarma NV v Commission*, [1970] ECR 661, აბზ. 112.

იქნება მოცემული ტერმინის ფართოდ განმარტება, რათა მოიცვას ყველა ტიპის შეთანხმება, სადაც სახეზეა ორი ან მეტი პირის ნების თანხვედრა. ხელშეკრულების განმარტება უნდა მოხდეს კონკურენციის სამართლის მიზნებისთვის მისი კერძოსამართლებრივი ანალოგისგან დამოუკიდებლად. მოცემული ტერმინის ფართოდ განმარტების მიდგომა გაზიარებულია ასევე სააგენტოს მიერ.[456]

დამოუკიდებელი ქმედებისგან გამიჯვნა. მე-7 მუხლი ვრცელდება მხოლოდ შეთანხმებებზე. შესაბამისად, ეკონომიკური აგენტის ცალმხრივი ქმედება არ მოექცევა ხსენებული ნორმის მოქმედების ქვეშ. [457] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა ცდილობს ზღვარი გაავლოს, თუ როდის არის სახეზე შეთანხმება და როდის - ეკონომიკური აგენტის მიერ საკუთარი პოლიტიკის სხვა ეკონომიკურ აგენტზე ცალმხრივად თავსმოხვევა. მაგალითად, ხელშეკრულების ერთი მხარის (მიმწოდებლის) მოთხოვნა მეორის (დისტრიბუტორის) მიმართ, კონკურენციის კანონდარღვევით შეეწყვიტა გარკვეულ ტერიტორიაზე პროდუქციის პარალელური იმპორტი, არ ჩაითვლა TFEU 101-ე მუხლის დარღვევად, რადგან დისტრიბუტორი ეკონომიკური აგენტი აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ხსენებულ მოთხოვნას და, შედეგად, სახეზე არ იყო ნებათა თანხვედრა.[458]

ვერტიკალური და ჰორიზონტალური შეთანხმებების გამიჯვნა

კონკურენციის შესახებ კანონის თანახმად, ჰორიზონტალურია შეთანხმება ფაქტობრივ/მოქმედ ან პოტენციურ კონკურენტებს შორის.[459] ჰოროზინტალური შეთანხმების დროს ხდება ბაზრის ერთ დონეზე მდგომი კომპანიების ძალების გაერთიანება, რაც ზრდის

---

[456] „მე-7 მუხლის გზამკვლევი", გვ. 14-18.

[457] შესაძლოა, ასეთი ქმედება კონკურენციის შესახებ კანონის მე-6 მუხლით დადგენილ აკრძალვას დაექვემდებაროს.

[458] *Bayer – Adalat*, OJ [1996] L 201/1, on appeal Case T-41/96 [2000] ECR II-3383, ECLI:EU:T:2000:242, and Joined Cases C-2/01P and 3/01P *Bayer AG v Commission* [2004] ECR I-23, ECLI:EU:C:2004:2.

[459] კონკურენციის შესახებ კანონის მე-3 მუხლის „ა" და „გ" ქვეპუნქტები.

მათ საბაზრო ძალაუფლებას[460] და აძლევს კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს ერთობლივად მოქმედების შესაძლებლობას. ფაქტობრივ/მოქმედ კონკურენტებს უწოდებენ ერთსა და იმავე შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს.[461] პოტენციური კონკურენტი კი განმარტებულია, როგორ დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა ხსენებულ ბაზარზე შესასვლელად.[462]

საპირისპიროდ, ვერტიკალურია „წარმოებისა და დისტრიბუციის სხვადასხვა საფეხურზე მოქმედ ორ ან მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის შეთანხმება, რომელიც ეხება იმ პირობებს, რომელთა მიხედვითაც, მხარეებს შეუძლიათ იყიდონ, გაყიდონ ან გადაყიდონ გარკვეული საქონელი ან მომსახურება.“[463]

ვერტიკალური შეთანხმების კონკურენციის შესახებ კანონით განსაზღვრული განმარტება ემთხვევა ევროკავშირის ჯგუფური გამონაკლისების რეგულაციით დადგენილ დეფინიციას, [464] რომელიც საქონლის ან მომსახურების ყიდვა-გაყიდვას ეხება და არ მოიცავს ისეთ ხელშეკრულებებს, რომელთა მთავარი მიზანია ინტელექტუალური სამართლის ობიექტების ლიცენზირება ან გადაცემა. [465] ხსენებული განმარტება მხოლოდ ევროკავშირის ჯგუფური გამონაკლისის რეგულაციის მიზნებისთვის არსებობს და არ გამოირიცხება, ცალკეულ შემთხვევებში, ლიცენზირებისა და ინტელექტუალური საკუთრების გადაცემის გარიგებათა ვერტიკალური ხელშეკრულებებისადმი მიკუთვნება.

კონკურენციის სამართალი კრძალავს როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ შეთანხმებებს, თუ მათი მიზანი ან შედეგია კონკურენციის შეზღუდვა. თუმცა მიიჩნევა, რომ ეკონომიკური ზიანი ვერტიკალური შეთანხმების შემთხვევაში

---

[460] *საკონსტიტუციო სარჩელი* (II) საქმე, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 14.

[461] შეად. კონკურენციის შესახებ კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

[462] იხ. იქვე, მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

[463] იხ. იქვე, მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

[464] ევროკომისიის რეგულაცია N330/2010 ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101(3)-ე მუხლის გამოყენების თაობაზე ვერტიკალური შეთანხმებების და შეთანხმებული ქმედებების კატეგორიზაციისათვის. ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი: *OJ L 102, 23.4.2010, მუხლი 1 (a)* (შემდგომში: „ევროკავშირის ჯგუფური გამონაკლისების რეგულაცია“).

[465] იქვე, მუხლი 2.3.

უფრო ნაკლებია, ვიდრე ჰორიზონტალურის დროს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ადგილი არ აქვს კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ძალაუფლების გაერთიანებას.[466]

აღნიშნული დასკვნის შესაძლებლობას კონკურენციის კანონის მე-8 მუხლიც იძლევა, რომელიც კონკურენციის *უმნიშვნელოდ შემზღუდველად* მისაჩნევად, ჰორიზონტალური შეთანხმებების შემთხვევაში ადგენს მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილის უფრო დაბალ ნიშნულს, ვიდრე ვერტიკალური შეთანხმებების შემთხვევაში.[467]

კონკურენციის სამართლის ლიტერატურაში მიიჩნევა, რომ ვერტიკალური შეთანხმება კონკურენციის საგულისხმო რისკებს წარმოშობს, როდესაც ბაზრის რომელიმე დონეზე მონაწილე ეკონომიკურ აგენტს აქვს საბაზრო ძალაუფლება. ასეთ შემთხვევაში ადგილი შეიძლება ჰქონდეს სხვა ფირმების პროდუქტებთან „ბრენდთაშორისი კონკურენციის" შეზღუდვას. შესაბამისად, ასეთ დროს სასურველი ხდება რეალიზაციის ქვედა დონეზე წახალისდეს საბაზრო ძალაუფლების მქონე ფირმის პროდუქციის „შიდაბრენდული კონკურენცია."[468]

ბ) შეთანხმებული ქმედება

კონკურენციის შესახებ კანონი ასევე არ შეიცავს შეთანხმებული ქმედების განმარტებას. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში[469] შეთანხმებულ ქმედებას განმარტავს, როგორც **„კოორდინირებულ ქცევას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მას არ მიუღწევია ფორმალურ შეთანხმებამდე, გაცნობიერებულად ახდენს კონკურენტული რისკების პრაქტიკული თანამშრომლობით**

---

[466] ევროკავშირის გზამკვლევი ვერტიკალურ შეზღუდვებზე, ოფიციალური ჟურნალი C130/1, 2010 (შემდგომში „ვერტიკალური გზამკვლევი"), https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52010XC0519%2804%29, აბზ. 98; ასევე იხ.Whish, Richard and Bailey, David, *"Competition Law"*, 8th ed., Oxford University Press, 2015, გვ. 624.

[467] ამ საკითხზე უფრო დეტალურად იხილეთ, ქვეთავი 5.

[468] *ვერტიკალური გზამკვლევი*, აბზ. 102; ასევე მითითებულია .Whish, Richard and Bailey, David, "*Competition Law"*, 8th ed., Oxford University Press, 2015, გვ. 624; ასევე იხილეთ ქვეთავი 5 - „კონკურენციის შეზღუდვის შემთხვევები ვერტიკალურ შეთანხმებებში".

[469] Joined Cases 48, 49, 51-7/69, *ICI v Commission (Dyestuffs)* [1972] ECR 619, ECLI:EU:C:1972:70.

ჩანაცვლებას.“ [470] თუ პრაქტიკაში სადავო ხდება ქმედება შეთანხმებას წარმოადგენს თუ შეთანხმებულ ქმედებას, მისი ზუსტი კვალიფიკაცია არ არის მნიშვნელოვანი, თუ აღნიშნული ქმედება ხვდება, სულ ცოტა, შეთანხმებული ქმედების კატეგორიაში.

ამასთან, აუცილებელია, გაიმიჯნოს გარკვეული ქმედება პრაქტიკული თანამშრომლობის გამოხატულებაა, თუ დამოუკიდებელ ქმედებას წარმოადგენს.[471]

სააგენტო *„საავტომობილო საჩვავის“* (II) საქმეში უთითებს, რომ შეთანხმებული ქმედების დასადგენად უნდა დასტურდებოდეს, რომ „მოქმედებები ნამდვილად იყო კოორდინირებული და ადგილი არ ჰქონდა სრულიად შეუთანხმებელ, ერთმანეთისთვის შეუტყობინებელ და ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთათვის უცნობ მოქმედებათა გეგმას, რომელსაც თითოეული ეკონომიკური აგენტი ახორციელებდა დამოუკიდებლად.“[472]

პარალელური ქმედებები - შეთანხმებული ქმედების ნაწილი თუ დამოუკიდებელი სტრატეგია?

ბაზრის ცალკეული მაჩვენებლებლები შეიძლება მიუთითებდნენ ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან ფასის თანადროულ მატებაზე, ერთნაირი ფასდაკლებების, აქციების, ფასდათმობების და პირობების შეთავაზებაზე ან სხვა მსგავს „პარალელურ ქმედებებზე“. ხსენებული შეიძლება იყოს როგორც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების, ისე ბაზრის გამჭვირვალობიდან გამომდინარე, რაციონალური ეკონომიკური აგენტების ქცევის ბუნებრივი ადაპტაციის შედეგი. ჩნდება კითხვა: შეიძლება თუ არა დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტების

---

[470] იქვე, აბზაცები 64-65; მითითებულია: საქმეში *სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018, გვ. 12.

[471] ჯონსი, სუფრინი, ევროკავშირის კონკურენციის სამართალი: ტექსტი, გადაწყვეტილებები და მასალები, 710 et al. მითითებულია: *საქმეში სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018, გვ. 9.

[472] *საავტომობილო საჩვავის* (II) საქმე, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 51.

პარალელური ქმედება თავისთავად ჩაითვალოს კონკურენციის კანომდებლობის დარღვევად?

ევროკავშირის პრაქტიკაში, „პარალელური ქმედება შეთანხმების ან კოორდინაციის ელემენტების გარეშე"[473] არ მიიჩნევა TFEU 101-ე მუხლის დარღვევად. გამჭვირვალე ბაზარზე, სადაც კონკურენტის ფასებზე მონიტორინგი მარტივად არის შესაძლებელი, ფასთა პარალელიზმი თავისთავად არ წარმოადგენს კონკურენციის სამართლის დარღვევას და ვერც შეთანხმებული ქმედების მტკიცებულებად გამოდგება.[474] ეკონომიკური თეორიების თანახმად, კომპანიის დამოუკიდებელი სტრატეგიის დაგეგმვისას კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ქმედებების გათვალისწინება ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს (ე.წ. ოლიგოპოლიური ურთიერთდამოკიდებულება).[475]

შესაბამისად, დარღვევის შეფასებისთვის გადამწყვეტი ხდება იმის დადგენა, პარალელური ქმედება წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას - შეუსაბამოს თავისი ქცევა კონკურენტების სტრატეგიას (ე.წ. ნაგულისხმევი ფარული გარიგება - tacit collusion), თუ ეს შეთანხმებული ქმედების (მიზანმიმართული კოორდინაციის/აკრძალული კომუნიკაციის) შედეგია.

თუ პარალელული ქმედება მიიღწევა ეკონომიკურ აგენტთა მიერ მათი სამომავლო სამეწარმეო სვლების კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისთვის გაზიარების პრაქტიკით, იქნება ეს პირდაპირი, თუ არაპირდაპირი კონტაქტების მეშვეობით, სახეზეა კონკურენციის სამართლით დასჯადი პარალელიზმი. [476] ინფორმაციის გაცვლა, თავისთავად, წარმოადგენს შეთანხმებულ ქმედებას, მიუხედავად იმისა, მოჰყვება თუ არა ამგვარ გაცვლას

---

[473] *Polypropylene* OJ [1986] L230/1, პბზ. 87.

[474] Joined Cases C-89, 104, 114, 116-117, 125-129/85, *Re Woodpulp Cartel: A Åhlström Osakeyhtiö and others Commission* [1993] ECR I-307.

[475] Turner, Donald E., "The Definition of Agreement under the Sherman Act: Concious Parallelism and Refusal to Deal," 75 Harvard Law Review 655 (1962); მითითებულია Posner, Richard A., *Antitrust Law*, 2nd ed., The University of Chicago Press, 2001; გვ. 55. განსხვავებული მოსაზრებისთვის იხ. Kaplow, Luis, "*Competition Policy and Price Fixing*", Princeton, 2013.

[476] Joined Cases 40-48, 50, 54-56, 111, 113-4/73, *Re the European Sugar Cartel: Coöperative Vereniging "Suiker Unie" UA v Commission* [1975] ECR 1663, ECLI:EU:C:1975:174, პბზ. 174.

პარალელური ქმედებები. ხსენებული ქმედება დასჯადია ავტომატურად, რამდენადაც ეკონომიკური აგენტები ცდილობენ აღმოფხვრან მათი კონკურენტი ეკონომიკური აგენტის სამომავლო ქმედებებთან დაკავშირებული კონკურენტული რისკები და ამ გზით მიაღწიონ მიზანმიმართულ კოორდინაციას.[477]

საქართველოს პრაქტიკაში აღნიშნულ საკითხს პასუხი გაეცა კონკურენციის სააგენტოს ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული გადაწყვეტილებისა და მისი შემდგომი სასამართლო დავების ფარგლებში. *საავტომობილო საწვავის* (I) [478] საქმეში, ბაზარზე მოქმედ ხუთ ეკონომიკურ აგენტს შეერაცხათ, მათ შორის, მე-7 მუხლის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ქმედება - ფასების ფიქსირება, რისი დამადასტურებელი, სხვა გარემოებებთან ერთად, იყო ბაზარზე ფასების ცვლილების პარალელიზმის მაღალი მაჩვენებელი. სააგენტო იმის გათვალისწინებით, რომ ვერ ახერხებდა ეკონომიკურ აგენტთა კონტაქტის/კომუნიკაციის დამადასტურებელი მტკიცებულების მოპოვებას, [479] შეეცადა მოკვლევა ეწარმოებინა ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, ე.წ პლუს ფაქტორების[480] გამოყენების გზით. სააგენტო მითითებულ გადაწყვეტილებაში მიიჩნევდა, რომ სწორედ აღნიშნული მაჩვენებლების ანალიზის შედეგად უნდა გამოკვეთილიყო ქმედების ან ურთიერთობის ისეთი დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც იქნება მოპასუხე მხარეთა კომუნიკაციის არსებობის საპირწონე. [481] ასეთად სააგენტომ, პარალელიზმთან ერთად, მიიჩნია ბაზარზე არსებული იმპორტის

---

[477] ამ საკითხზე დეტალური განხილვისთვის იხილეთ ქვემოთ, ქვეთავი 4.4.ა.

[478] სკს, ბრძანება N81, 14.07.2015, კარი V.

[479] სააგენტო აღნიშნულის საფუძვლად უთითებს ეფექტიანი მოკვლევისთვის საჭირო საგამომძიებო უფლებამოსილების არარსებობას, იხილეთ სკს, ბრძანება N81, 14.07.2015, გვ. 71-75; განსხვავებული მოსაზრებისთვის იხ. მენაბდიშვილი, სოლომონ, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე „კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები", თბილისი, 2016, გვ. 158 და მომდევნო, ხელმისაწვდომია: http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/solomon_menabdishvili.pdf.

[480] იხ. Posner, Richard A., "*Antitrust Law*", 2nd edition, The University of Chicago Press, 2001; გვ.69 და მომდევნო.

[481] სკს, ბრძანება N81, 14.07.2015, გვ.157.

ბარიერები[482] ისე, რომ მხარეთა მიერ ფასთა პარალელიზმის ახსნის ალტერნატიული საფუძვლები მხედველობაში არ მიუღია.

მითითებული გადაწყვეტილება გასაჩივრდა საერთო სასამართლოებში, რასაც მოჰყვა გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის სააგენტოში დაბრუნება ხელახალი მოკვლევისთვის, მტკიცების ტვირთის დაუკმაყოფილებლობის საფუძვლით. პარალელიზმთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ „ლუკ-ოილის" საქმეში შემდეგი განმარტება გააკეთა: „პარალელური ქმედების არსებობა იმთავითვე არ ადასტურებს ეკონომიკურ აგენტებს შორის მართლსაწინააღმდეგო შეთანხმებას. კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების დადასტურებისათვის მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ აგენტებს შორის კომუნიკაციის ფაქტის დადგენას [483] . [...] პირდაპირი მტკიცებულებების მოუძიებლობის შემთხვევაში, აუცილებელია სახეზე იყოს არაპირდაპირ მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც სარწმუნოდ [484] დაადასტურებს შეთანხმებული ქმედების არსებობას [...]. სანამ არსებობს ეკონომიკური აგენტების ქმედებების დამაჯერებელი ალტერნატიული ახსნა-განმარტებები, ანტიკონკურენტული შეთანხმებები დადგენილად ვერ იქნება მიჩნეული (A.Ahlström Osakeyhtiö and others v ..... 27.09.1988), რადგან ბაზარზე, სადაც კონკურენტების ფასების მონიტორინგი მარტივად არის შესაძლებელი, ეკონომიკურ აგენტს ვერ აეკრძალება თავისი

---

[482] სკს, ბრძანება N81, 14.07.2015, გვ.158.

[483] შეად. *საავტომობილო საწვავის* (I) თავდაპირველ გადაწყვეტილებაში განვითარებული პოზიცია: ოლიგოპოლიურ ბაზარზე ფასწარმოქმნის პარალელიზმის შემთხვევაში მტკიცების ამერიკული და ევროპული სტანდარტების მიმოხილვა. ევროპული მიდგომა აღწერილია, რომ პარალელიზმის ფაქტთან ერთად საჭიროებს კომუნიკაციის ფაქტის დადასტურებას, ხოლო ამერიკულ მიდგომაში საქმის შესწავლა წარმოებს ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, რომელიც კომუნიკაციის ფაქტის საპირწონე მტკიცებულებას წარმოადგენს. სააგენტო ირჩევს ამერიკულ მიდგომას იმაზე დაყრდნობით, რომ სააგენტოს შეზღუდული აქვს სრულყოფილი მოკვლევისთვის საჭირო აუცილებელი ეფექტური მექანიზმები. სკს, ბრძანება N81, 14.07.2015, გვ.157 და მომდევნო. იხ. აგრეთვე ქვეთავი 6.

[484] საკასაციო პალატა სოკარ ჯორჯიას ანალოგიურ საქმეზე მიღებული უფრო ადრინდელი განჩინებით „სარწმუნოსთან" ერთად და „ეჭვგარეშე" დადასტურების აუცილებლობაზე უთითებს, „სოკარის" საქმე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-500-497(კ-17), 14.07. 2017, გვ.6.

განვითარების სტრატეგია კონკურენტი აგენტების ქცევას შეუსაბამოს."[485]

საავტომობილო საწვავის (II) ახალი გადაწყვეტილებით სააგენტომ განმარტა, რომ პარალელიზმი თავისთავად არ წარმოადგენს აკრძალულ ქმედებას და თუ ბაზარზე წარმართულ გარკვეულ პროცესებს აქვთ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებისგან განსხვავებული სხვა ალტერნატიული გონივრული ახსნა (მოცემულ საქმეში, ეს იყოს ბაზრის სტრუქტურა, საწვავის ფასის ერთგვაროვნება და ა.შ), ე.წ პლუს ფაქტორის[486] მეთოდი აღარ გამოიყენება და შეთანხმებების დამამტკიცებელ აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს კომპანიებს შორის კომუნიკაციის არსებობის მტკიცებულება.[487]

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ პარალელური ქმედება თავისთავად არ წარმოადგენს შეთანხმებულ ქმედებას. ის მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება იყო ეკონომიკურ აგენტთა შორის აკრძალული კომუნიკაციის დამადასტურებელი გარემოებითი მტკიცებულება, თუ მოცემულ ქმედებას არ ექნება სხვა ალტერნატიული გონივრული ახსნა, გარდა მხარეთა მიერ პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტაქტების მეშვეობით მიღწეული კოორდინირებული ქმედებისა.

შესაბამისად, სააგენტომ უნდა შეძლოს და დადგენილი სამართლებრივი სტანდარტის შესაბამისად, დაამტკიცოს შეთანხმებული ქმედების არსებობა. ამისთვის აუცილებელია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ეკონომიკური აგენტის დამოუკიდებელი რაციონალური მოქმედება და შეთანხმებული ქმედება, თუნდაც პირველი ქმნიდეს ფარული გარიგების ილუზიას.

---

[485] „ლუკოილის" საქმე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-595-592(კ-17), 28.09.2017, გვ 6.

[486] „პლუს ფაქტორების" გამოყენებით მტკიცების სტანდარტთან დაკავშირებით იხ. ქვეთავი 6.

[487] სხვნებული მიდგომა თეორიასა და პრაქტიკაში დღემდე სადავოა. განსაკუთრებით განსხვავდება ამ საკითხთან მიმართებით აშშ-სა და ევროკავშირის პოზიციები. პლუს ფაქტორებთან დაკავშირებით, დაწვრილებით იხილეთ ქვეთავები 4.4.ბ და 6.3.

გ) ეკონომიკურ აგენტთა (ასოციაციების) გადაწყვეტილება

მე-7 მუხლით განსაზღვრულ გადაწყვეტილებებში უნდა მოვიაზროთ ნებისმიერი სავაჭრო ტიპის ასოციაციების, კოოპერატივების და კანონის თუ ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი პროფესიული კავშირების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა წევრების პასუხისმგებლობა სრულად არ არის გამიჯნული თავად ამ საზოგადოების საქმიანობისგან. მსგავსი ტიპის გაერთიანებები, როგორც წესი, მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ კონკრეტული ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის გაჯანსაღებაში. თუმცა მათ ასევე შეიძლება უბიძგონ წევრებს ფარული გარიგებისაკენ ასოციაციის ეგიდით მოწყობილ შეხვედრებზე ან სხვაგვარად შეუწყონ ხელი კოორდინირებულ ქმედებას.

ასოციაციის გადაწყვეტილების კონცეფცია საკმაოდ ფართოდ განიმარტება[488] და შეიძლება გამოიხატოს როგორც ფორმალურ (მაგ. ბრძანების სახით გამოცემულ, წესდებაში დაფიქსირებულ [489], რეგულაციის სახით მიღებულ), ისე არაფორმალური ან სარეკომენდაციო ხასიათის მითითებებში. რეკომენდაცია ჩაითვლება გადაწყვეტილებად, თუ ის მიზნად ისახავს ან სავარაუდოა, რომ გავლენას მოახდენს ეკონომიკურ აგენტთა ქმედებებზე.[490]

მნიშვნელოვანია დადგინდეს, შეიძლება, თუ არა ასოციაციის გადაწყვეტილება ავტომატურად ჩაითვალოს მის წევრთა მიერ მიღწეულ შეთანხმებად, რისთვისაც პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს როგორც მის წევრებს, ასევე თვით ასოციაციას, როგორც დამოუკიდებელ სუბიექტს. თუ აღნიშნული რეალურად შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ასოციაციის წევრები

---

[488] მაგალითისთვის იხ. Case C-309/99, *Wouters v Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten* [2002] ECR I-1577, ECLI:EU:C:2002:98.

[489] „ბუნებრივი აირით მოსარგებლეთა გაერთიანება" და მათ წესდებაში დაფიქსირებული ერთიანი ფასწარმოქმნის პრინციპების დანერგვა, *საავტომობილო გაზის* საქმე, სკს, ბრძანება N162, 30.10.2015.

[490] Case C-136/12, *Consiglio nazionale dei geologi v Autorità garante della concorrenza e del mercato*, [2013] Digital Reports of the Court, ECLI:EU:C:2013:489.

გაიზიარებენ და დაიწყებენ მიღებული გადაწყვეტილების რაიმე ფორმით აღსრულებას?

საქართველოსა და ევროკავშირის პრაქტიკა ხსენებულს ოდნავ განსხვავებულად უდგება. მაგალითად, სააგენტოს პრაქტიკის მიხედვით, ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის „გლობალაგროს" გადაწყვეტილება წევრებისთვის პროდუქციის ფასის გაზრდის მოთხოვნის (ფასის ფიქსირება) თაობაზე არ ჩაითვალა საკმარისად მე-7 მუხლის დარღვევის დასადგენად. სააგენტოს დასაბუთებით, საჭირო იყო დამატებითი მტკიცებულება მითითებული კომპანი(ებ)ის, კარტელურ შეთანხმებაში ჩართვის მცდელობის დასადგენად.[491]

ასევე არ ჩაითვალა დარღვევად საავტომობილო გაზის საქმეში გაზის გაერთიანების წესდების თანახმად ასოციაციის შექმნის გამოხატული მიზანი წევრი კომპანიებისთვის ფასწარმოქმნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებისა და ფასწარმოქმნის საქვეყნოდ აღიარებული სტრუქტურების დამკვიდრების თაობაზე, იმ საფუძვლით, რომ ეკონომიკურ აგენტებს ფაქტობრივად არ აღუსრულებიათ წესდებით განსაზღვრული დანაწესი.[492]

შედარებისთვის, ევროკავშირში შესაძლოა მსგავსი გადაწყვეტილება დარღვევად ჩაეთვალოს როგორც ეკონომიკურ აგენტებს, ისე თავად ასოციაციასაც.[493] ამავდროულად, დარღვევა შესაძლოა დადგინდეს არამბოჭავი გადაწყვეტილების/ რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაშიც.[494] ამ დროს, ყურადღება ექცევა, თუ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ხსენებულმა რეკომენდაციამ ბაზარზე არსებულ კონკურენციასთან მიმართებით.[495] ამავდროულად, როდესაც მსგავსი რეკომენდაცია კავშირშია კონკურენციის მნიშვნელოვან შეზღუდვასთან (მაგალითად, ფასების ფიქსირებასთან ნებისმიერი გზით),

---

[491] *გლობალაგროს* საქმე, სკს, ბრძანება N8, 25.01.2016, გვ. 95 და მომდევნო.

[492] *საავტომობილო გაზის* საქმე, სკს, ბრძანება N162, 30.10.2015.

[493] Whish, Richard and Bailey, David, "*Competition Law*", 9th ed., Oxford University Press, 2018, გვ. 115.

[494] იქვე: ასევე იხ. Case 8/72, *Cementhandelaren v Commission* [1972] ECR 977, ECLI:EU:C:1972:84.

[495] იხ. Case 96/82 *IAZ International Belgium NV v Commission* [1983] ECR 3369, ECLI:EU:C:1983:310, აბზ. 21.

დარღვევა დადგინდება იმისდა მიუხედავად, მოხდა თუ არა ასოციაციის წევრების მიერ ამ უკანასკნელის გათვალისწინება და პრაქტიკაში გატარება.[496]

ევროკავშირის ხსენებული მიდგომა ლოგიკურია, რადგან ასოციაციის გადაწყვეტილებას, შეთანხმების მსგავსად, შესაძლოა გააჩნდეს კონკურენციის შეზღუდვის როგორც მიზანი, ისე შედეგი. როგორც ქვემოთ ვნახავთ (იხ. ქვეთავი 3.3), კონკურენციის შეზღუდვის მიზნის არსებობის შემთხვევაში, საჭირო აღარ არის შედეგებზე დამატებითი მსჯელობა. სწორედ ამიტომ, როდესაც აშკარაა ასოციაციის გადაწყვეტილების/რეკომენდაციის მიზანი, შეზღუდოს კონკურენცია, ევროკომისია დარღვევის დადგენისთვის აღარ მსჯელობს ამ უკანასკნელის შედეგებზე. გამომდინარე იქიდან, რომ TFEU 101-ე მუხლი და კანონის მე-7 მუხლი ამ მხრივ იდენტურ ჩანაწერს იცნობენ, მიზანშეწონილია, ამ აბზაცში აღწერილი მიდგომა გაიზიაროს საქართველოს კონკურენციის სააგენტომაც.

დ) ერთიანი, განგრძობადი ხასიათის ქმედება

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება შეიძლება შედგებოდეს კომპლექსური ხასიათის მთელი რიგი შემადგენელი ელემენტებისგან და პრაქტიკული თანამშრომლობის სხვადასხვა შემთხვევებისგან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებს მოიცავს და ხანგრძლივი პერიოდით არსებობს. ამგვარი კომპლექსური კარტელი განიხილება ერთიან განგრძობად ქმედებად და პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის არ საჭიროებს ყველა ელემენტის (შეთანხმების ან/და პრაქტიკული თანამშრომლობის შემთხვევის) გამოკვლევას და დადასტურებას.

სააგენტოს მიერ ერთიანი განგრძობადი ხასიათის კარტელური შეთანხმების ცნება პირველად *საავტომობილო საწვავის* გადაწყვეტილებაში [497] იქნა გამოყენებული, რომელიც შემდგომ ბათილად იქნა ცნობილი. ასეთად ჩაითვალა

---

[496] იხ. Case 8/72, *Cementhandelaren v Commission* [1972] ECR 977, ECLI:EU:C:1972:84, აბზ. 25.

[497] *საავტომობილო საწვავის (I)* საქმე, სკს, ბრძანება N81, 14.07.2015.

ნავთობკომპანიების მიერ მე-7 მუხლით გათვალისწინებული რამდენიმე დარღვევა, რომელიც დაიწყო 2009 წლიდან და გრძელდებოდა 2012-2015 წლებამდე (ცალკეული დარღვევების მიხედვით). *საავტომობილო საწვავის* ახალ გადწყვეტილებაში სააგენტო დასაბუთებისას აღარ იყენებს ამ ცნებას.

ევროკავშირის სამართალში მსგავსი კონცეფცია [498] სამართლებრივი მნიშვნელობის არის იმდენად, რამდენადაც მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ხუთწლიანი ვადა.[499] ამასთან, არ არის საჭირო დამტკიცდეს თითოეული მოთამაშის უწყვეტი მონაწილეობა კანონსაწინააღმდეგო შეთანხმებაში ან შეთანხმების/შეთანხმებული ქმედების შემადგენელ ყველა ეპიზოდში. [500] საკმარისია, დადგინდეს, რომ მონაწილეები მისდევდნენ კონკურენციის საწინააღმდეგო საერთო მიზანს[501] და თითოეული აცნობიერებდა სხვა პირთა ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს ან გონივრულობის ფარგლებში შეეძლო განეჭვრიტა კონკურენციის დარღვევის რისკის არსებობა.[502]

მიუხედავად იმისა, რომ კარტელებთან დაკავშირებულ დავებში თითოეული სავარაუდო მონაწილის ქმედება მჭიდროდ არის გადაჯაჭვული სხვა მონაწილეთა ქმედებებთან, პასუხისმგებლობის სამართლიანად დაკისრების აუცილებელ შემადგენელ კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს თითოეული მონაწილისთვის ინდივიდუალური მონაწილეობის დადგენა იმ კონკრეტულ ქმედებებში, რამაც განაპირობა კარტელის შექმნა თუ შენარჩუნება.[503] ბუნებრივია, ეს არ უნდა გულისხმობდეს კარტელის

---

[498] კრიტიკისთვის იხ. J Joshua, "Single Continuous Infringement of Article 81 EC: Has the Commission Stretched the Concept Beyond the Limit of its Logic?" (2009) 5 European Competition Journal 451, 459.

[499] კონკურენციის შესახებ კანონით მოქმედებს 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომლის დენა არ ჩერდება სააგენტოს მიერ მოკვლევის დაწყებით (კონკურენციის შესახებ კანონი, მუხლი 27).

[500] Case C-286/13 P, *Dole Food and Dole Fresh Fruit Europe v Commission, Judgment of the Court* [2015] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2015:184.

[501] Case T-1/89, *Rhône-Poulenc v Commission* [1991] ECR II-867, ECLI:EU:T:1991:56, აბზ. 120.

[502] COMP/39579 *Consumer Detergents*, 13 April 2011, C (2011) 2528 final, აბზ. 36-37.

[503] მაგ. იხ. „ლუკოილის" საქმეში საკასაციო პალატის მითითება, იმ გარემოების დადგენის მნიშვნელობაზე, თუ როგორ მოახდენდა უშუალოდ ეკონომიკური აგენტი ბაზრის შეზღუდვას, მითითებული საბაჟო, სარკინიგზო და სხვა არსებული ბარიერების

ფუნქციონირების ყველა შესაძლო ეპიზოდთან ეკონომიკური აგენტის კავშირის დადასტურებას, იმ დროს, როდესაც კარტელი ერთიან განგრძობად შემთხვევას წარმოადგენს და მრავალი წელი გრძელდება.

3.3. კონკურენციის შეზღუდვის, აკრძალვის ან/და დაუშვებლობის მიზანი/შედეგი

კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლის შემადგენლობის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რამდენად არის *შეთანხმების* მიზანი ან შედეგი კონკურენციის შეზღუდვა, აკრძალვა ან/და დაუშვებლობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ შეთანხმების მიზანი ან შედეგი არ არის კონკურენციის შეზღუდვა, აკრძალვა ან/და დაუშვებლობა, სახეზე არ არის კონკურენციის მე-7 მუხლის დარღვევა. ხსენებული დანაწესი მოცემულია TFEU 101(1) მუხლშიც - შეთანხმებები მხოლოდ მაშინ ხვდება ამ მუხლის მოქმედების სფეროში, თუ მათ აქვთ კონკურენციის შეზღუდვის მიზანი ან შედეგი.[504]

სააგენტოს მიერ შემუშავებული მე-7 მუხლის გზამკვლევის თანახმად, აღნიშნულ წინაპირობა ეკონომიკური აგენტის მიერ ჩადენილ ქმედებასა და კონკურენციის შეზღუდვას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად გამოიყენება.[505]

გათვალისწინებით, „ლუკოილის" საქმე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-595-592(კ-17), 28.09.2017, გვ. 6-7.

[504] იხ. Ezrachi, Ariel, EU Competition Law: An Analytical Guide to Leading Cases, 6th ed., Hart Publishing, 2018, p. 60; ასევე იხ. Case 56/65, *Société Technique Minière (L.T.M.) v Maschinenbau Ulm GmbH (M.B.U.)* [1966] ECR 337, ECLI:EU:C:1966:38, აბზ. 249-259, სადაც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ საფრანგეთის სააპელაციო სასამართლოს მიმართვის საფუძველზე განმარტა, რომ კონკურენციის შეზღუდვის მიზანი/შედეგი უნდა დადგენილიყო ყოველ კონკრეტულ საქმეზე დამოუკიდებლად, საქმის შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით. ხსენებული განმარტების საფუძველზე, საფრანგეთის სასამართლომ TFEU 101 მუხლის დარღვევად არ მიიჩნია მის მიერ განხილული შეთანხმება, რადგან სახეზე არ იყო კონკურენციის შეზღუდვის არც მიზანი და არც შედეგი (Ezrachi, გვ. 95).

[505] საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები", 2017, http://competition.ge/images/upload/გზამკვლევი%20დოკუმენტი.pdf (შემდგომში - „ზოგადი გზამკვლევი"), გვ. 7-8.

ამასთან, სააგენტო არაერთ გადაწყვეტილებაში[506] ციტირებს და იზიარებს ევროკავშირის სამართლის მიდგომას, რომლის თანახმადაც გამიჯნულია კონკურენციის შეზღუდვის მიზნისა და ანალოგიური შედეგის მქონე დარღვევები, რაც მტკიცების ტვირთის განსხვავებულ ხარისხს და განაწილებას მოითხოვს.

საბოლოოდ, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის სამართლის მიხედვით, კონკურენციის შეზღუდვის დასადგენად აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს ქმედება ჩადენილი იყოს კონკურენციის შეზღუდვის განზრახვით თუ ცოდნით.[507] გადამწყვეტია ბრალის გაუფრთხილებლობითი - *„არ შეეძლოთ, რომ არ სცოდნოდათ“* - სტანდარტის დაკმაყოფილება.[508] მაგალითად, *„საავტომობილო საწვავის“* (II) საქმეში, სააგენტო მე-7 მუხლით გათვალისწინებული მიზნის და შედეგის მქონე დარღვევის კატეგორიების დიფერენციაციას ბრალეულობასთან კავშირში განიხილავს და დარღვევის შედეგის „გაუფრთხილებლობით" დადგომის შესაძლებლობაზე უთითებს.[509] ამავდროულად, ბრალის სახე შესაძლებელია მნიშვნელოვანი იყოს აღსრულების სხვა ეტაპებზე (ძირითადად, ჯარიმის გამოთვლის დროს).

კონკურენციის შეზღუდვის მიზანი. კონკურენციის სააგენტოს განმარტებით იმისათვის, რომ დადგინდეს, რა ტიპის შეზღუდვები ექცევა კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე კატეგორიაში, რომელიც თავისი ბუნებით უფრო მაღალი ალბათობით მიაყენებს ზიანს კონკურენტულ გარემოს, აუცილებელია განხორციელდეს მხარეთა ნების/მიზნის განსაზღვრა. ხსენებული მიზანი დგინდება იმ ეკონომიკური და სამართლებრივი კონტექსტის

---

[506] *საავტომობილო საწვავის* (II) საქმე, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018; *სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018; „გლობალსაგრარის" საქმე, სკს, ბრძანება N8, 25.01.2016.

[507] Case 19/77, *Miller International Schallplatten GmbH v Commission* [1978] ECR 131, ECLI:EU:C:1978:19.

[508] Case 246/86, *BELASCO v Commission* [1989] ECR 2117, ECLI:EU:C:1989:301.

[509] *საავტომობილო საწვავის* (II) საქმე, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 51.

გათვალისწინებით, სადაც შეთანხმება უნდა იყოს გამოყენებული.[510] ასეთ დროს აღარ არის საჭირო კონკურენციის შემზღუდველი შედეგის შეფასება და მტკიცება[511] (რაც საკმაოდ დიდ დროსა და ადამიანურ რესურსს მოითხოვს), ვინაიდან ეს უკანასკნელი თავისთავად ნაგულისხმევია/პრეზუმირებულია. ამასთან, საგულისხმოა, რომ კონკურენციის სააგენტო აიგივებს კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმებას „კარტელური" შეთანხმების ცნებასთან.[512]

სააგენტო კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმებების კატეგორიაში აქცევს ყველა ისეთ შეთანხებას (იქნება ეს ჰორიზონტალური, თუ ვერტიკალური), რომელიც შეიცავს კანონის მე-7 მუხლის „ა", „გ" და „ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სპეციალურ შეზღუდვებს/დარღვევებს. ეს იმითაა განპირობებული, რომ აღნიშნული სახის დარღვევები არ ექცევა კონკურენციის კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-9 მუხლის საფუძველზე შემუშავებული მთავრობის დადგენილებით[513] განსაზღვრულ გამონაკლისებში და მიეკუთვნება მძიმე ფორმის კარტელებს. [514] შესაბამისად, კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონედ ყველა შემთხვევაში ჩაითვლება ფასების ფიქსირება, ბაზრების განაწილება და სახელმწიფო შესყიდვებში შეთანხმებული პირობებით მონაწილეობის მიღება.[515] თუმცა, მსგავსი მიზანი რიგ შემთხვევებში შეიძლება გააჩნდეს მუხლის „ბ", „დ" და „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შეთანხმებებსაც. ამასთან, სასურველია გაკეთდეს უკუდასკვნაც: არ არის აუცილებელი, რომ ხსენებულ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი

---

[510] *საავტომობილო საწვავის* (II) საქმე, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 15; Case C-501/06 P *GlaxoSmithKline Unlimited v Commission* [2009] ECR I-9291, ECLI:EU:C:2009:610, აბზ. 58; იხ. ასევე ხელშეკრულების მუხლი 101(3)-ის გზამკვლევი, აბაზაცი 22.

[511] *საავტომობილო საწვავის* (II) საქმე, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 15.

[512] *გლიობალაგროს* საქმე, სკს, ბრძანება N8, 25.01.2016.

[513] საქართველოს მთავრობის დადგენილება N526, *„კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისის შესახებ"*, 01.09.2014, მუხლი 3.

[514] *„საავტომობილო საწვავის"* (II) საქმე, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 15.

[515] ევროკავშირის სამართლით მიზნობრივი დარღვევის კატეგორიაში ექცევა ასევე წარმოების შეზღუდვა (Cases T-374 ,375, 384 and 388/94, *European Night Services v Commission* [1998] ECR II-3141, ECLI:EU:T:1998:198, აბზ. 136), ხოლო კონკურენციის კანონის მუხლი 8 (2) თანახმად, აღნიშნული არ ექცევა გამონაკლისებში.

ყველა შეზღუდვა ჩაითვალოს მიზნობრივი კატეგორიის დარღვევად. ასეთებია, მაგალითად, ერთობლივი წარმოების ან სპეციალიზაციის ხელშეკრულებებისთვის დამახასიათებელი წარმოების შეზღუდვის შემთხვევები.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმების მონაწილეებისთვის არ წარმოადგენს გამამართლებელ გარემოებას ის ფაქტი, რომ მათ გადაუხვიეს საერთო სტრატეგიას[516] ან არც გეგმავდნენ შეთანხმების პირობების აღსრულებას. [517] საქართველოში ამ მიმართულებით პრაქტიკა ჯერ კიდევ განსავითარებელია. თუმცა, სავარაუდოა, რომ მოხდება ევროპული გამოცდილების გაზიარება.

კონკურენციის სააგენტოს არსებული პრაქტიკის მიხედვით, თუ შეთანხმება შეიცავს დათქმას იმის თაობაზე, რომ მასში გაწერილი ზოგადი მიზნები თუ კონკრეტული ქმედებები განხორციელდება კანონმდებლობის დაცვით, ის შესაძლოა არ ჩაითვალოს კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონედ. მაგალითისთვის, *„გლობალაგროს“* საქმეში ხსენებული საფუძვლით კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონედ არ ჩაითვალა ფქვილით მომარაგების კოორდინაციის და ეროვნული ბაზრის უცხოური პროდუქციის ინტერვენციისგან დაცვის ასოციაციის წესდებით გაცხადებული მიზანი, რაც შეიძლება აღქმული ყოფილიყო, როგორც წევრთა შორის სიმძლავრეების და რესურსების/პროდუქციის გადანაწილება და იმპორტის ბაზრის შეზღუდვის მცდელობა.[518] მსგავს შემთხვევაში, სააგენტო აფასებს შეთანხმების კონკურენციის შემზღუდველ შედეგს, შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში განხორციელებული კონკრეტული ქმედებების მიხედვით. [519] თუმცა, სასურველია აღნიშნულის იმგვარად განმარტება, რომ ხსენებული წესი შეეხებოდეს მხოლოდ ორაზროვან და ბუნდოვან წერილობით გაცხადებულ პირობებს.

---

[516] Case 246/86. *BELASCO v Commission* [1989] ECR 2117, ECLI:EU:C:1989:301, ამზ. 15; Case T-3/89. *Atochem v Commission* [1991] ECR II-867, ECLI:EU:T:1991:58, ამზ. 100.

[517] *Industrial and Medical Gases* OJ [2003] L 84/1, ამზ. 351.

[518] *გლობალაგროს* საქმე. სკს, ბრძანება N8, 25.01.2016.

[519] იქვე. გვ. 89.

შედარებისთვის, არაორაზროვანი პირობების არსებობისას, თუ მათ გააჩნიათ კონკურენციის შემზღუდველი მიზანი (მიუხედავად მათი კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელებასთან დაკავშირებით არსებული დათქმისა), საჭირო აღარ უნდა იყოს შედეგებზე მსჯელობა.

ამავე გადაწყვეტილებაში სააგენტო აყალიბებს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმების შეფასების შემდეგი სახის ტესტს - აუცილებელია დადგინდეს:

ა) სუბიექტური ელემენტი - კონკურენციის შეზღუდვის „კოგნიტური და ვოლუნტატური (ცოდნა და ნებელობა) ელემენტების სინთეზი.“ [520] ამის საპირისპიროდ, როგორც უკვე აღინიშნა, ევროკავშირის სამართალში არ წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას ქმედება ჩადენილი იყოს კონკურენციის შეზღუდვის განზრახვით თუ ცოდნით.[521] რაც შეეხება ტესტის პირველ ნაწილს, გადამწყვეტი უნდა იყოს ობიექტურად დადგენადი, რაიმე ფორმით გამოხატული შეზღუდვის სუბიექტური ნება, თუნდაც ეს იყოს უბრალოდ ჩანაწერი და არ უნდა იყოს გადამწყვეტი მხარეთა რეალური სურვილი, მომხდარიყო ამ შეზღუდვის იმპლემენტაცია.

ბ) ობიექტური ელემენტი - კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მიღწევისკენ მიმართული კონკრეტული ქმედება. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ბუნდოვანი/ორაზროვანი პირობების განმარტებისას. [522] ამავდროულად, სასურველია, ტესტის მეორე ნაწილის გამოყენება მხოლოდ ისეთი შემთხვევებით შემოიფარგლოს, როდესაც ვერ დგინდება შეთანხმების პირობის ცალსახა მართლსაწინააღმდეგო/კონკურენციის შემზღუდველი მიზანი.

კონკურენციის შეზღუდვა, როგორც შედეგი. მე-7 მუხლის გზამკვლევის მიხედვით, „კონკურენციის შემზღუდველი შედეგი სახეზეა, როდესაც კონკურენტები შეთანხმების შედეგად მოიპოვებენ იმგვარ ერთობლივ საბაზრო ძალაუფლებას, რომელიც

---

[520] „გლობალაგროს“ საქმე, სკს, ბრძანება N8, 25.01.2016, გვ. 90.

[521] Case 19/77, *Miller International Schallplatten GmbH v Commission* [1978] ECR 131, ECLI:EU:C:1978:19.

[522] *გლობალაგროს* საქმე, სკს, ბრძანება N8, 25.01.2016, გვ. 90.

მათ საშუალებას აძლევს, ბაზარზე თვითონ დაადგინონ თამაშის წესები - მაგ. აკონტროლონ ფასები, მიაღწიონ ბაზრის სეგმენტაციას, შეზღუდონ ინოვაცია ბაზარზე ან/და სხვა მხრივ შეუშალონ ხელი ჯანსაღ კონკურენციას."[523] მოცემული განმარტება აქცენტს აკეთებს კონკურენტებს შორის არსებულ (ანუ ჰორიზონტალურ) შეთანხმებაზე. თუმცა, კონკურენციის შემზღუდველი შედეგის მქონე შეთანხმებები შეიძლება დაიდოს ასევე ბაზრის ვერტიკალურ დონეზე (იხ. ქვეთავი 5).

სააგენტო კონკურენციის შეზღუდვას აფასებს კონტექსტუალურად, კონკრეტული ბაზრისთვის დამახასიათებელი გარემოებების გათვალისწინებით. სააგენტო ასევე იზიარებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიდგომას, რომ შეთანხმების კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგის შესაფასებლად აუცილებელია, მხედველობაში იქნას მიღებული ხელშეკრულების მოქმედების ეკონომიკური და სამართლებრივი კონტექსტი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის და მომსახურების სახე და ბაზრის რეალური სტრუქტურა. [524] შესაბამისად, შეთანხმების კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგის დასადგენად საჭიროა გარკვეული დონის ეკონომიკური ანალიზის განხორციელება. თუმცა აღნიშნული არ მოიცავს კონკურენციის ხელშემწყობი და საზიანო ეფექტების დეტალურ ანალიზსა და შეპირისპირებას, როგორც ეს მე-9 მუხლის გამოყენების შემთხვევაში არის საჭირო.[525]

---

[523] "ზოგადი გზამკვლევი", გვ. 7-8.

[524] Cases T-374, 375, 384 and 388/94, *European Night Services v Commission* [1998] ECR II-3141, para 136; ასევე იხ. იხ. Case 56/65, *Société Technique Minière (L.T.M.) v Maschinenbau Ulm GmbH (M.B.U.)* [1966] ECR 337, ECLI:EU:C:1966:38, რომლის შინაარსიც მოკლედ მოცემულია მე-7 მუხლის გზამკვლევის 41-ე გვერდზე. იხ. აგრეთვე *„კრედიტინფო საქართველოს"* საქმე, სკს, ბრძანება N246, 28.12.2016. გვ.7

[525] სხენებული მიდგომა გაზიარებულია ევროკავშირშიც. კონკრეტულად, მართლმსაჯულების სასამართლო აღნიშნავს, რომ კონკურენციის შემზღუდველი შედეგის დროს გამოიყენება ეკონომიკური ანალიზი, რათა არ მოხდეს ქმედების აბსტრაქტული შეფასება. თუმცა, კონკურენციის წამახალისებელი და შემზღუდველი ფაქტორების ანალიზი გამოიყენება TFEU 101(3) და არა 101(1) მუხლის ფარგლებში (კანონის მე-9 და მე-7 მუხლის ანალოგები); იხ. Case 112/99, *Métropole télévision (M6), Suez-Lyonnaise des eaux, France Télécom and Télévision française 1 SA (TF1) v Commission of the European Communities* [2001] ECR II-2495, ECLI:EU:T:2001:215, აბზ. 68 და მომდევნო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშნული მიდგომის შესაბამისად არ მოქმედებს აშშ-ში გავრცელებული ე.წ. „rule of reason" პრინციპი. ხსენებული მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთის გადანაწილების თვალსაზრისით:

კონკურენციის სააგენტო ასევე იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ბაზრის ეკონომიკური ეფექტიანობა შეიძლება შეიზღუდოს სხვა უპირატესად დასაცავ მიზნებთან შედარებით. ასეთებია, მაგალითად, პირთა უფლებების დაცვა და მომეტებული საფრთხის შედეგად წარმოშობილი რისკების შემცირება.[526] თუმცა ასეთ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანაზომიერების და გონივრულობის პრინციპებზე დაყრდნობით ბაზრის ეფექტიანობის და ზემოაღნიშნული მიზნების ურთიერთშეპირისპირება - შეფასება ხდება აუცილებლობისა და მიზნობრიობის გათვალისწინებით.[527]

საავიაციო საწვავის გადაწყვეტილებაში[528] სააგენტომ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება შეთანხმების კონკურენციის შემზღუდველ ბუნებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ხელშეკრულების პირობები, რომლებიც ჩვეულებრივ შემთხვევაში შეიძლება არ იყოს თავსებადი თავისუფალი კონკურენციის პრინციპებთან, რიგ შემთხვევებში არ ჩაითვლება კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევად. ეს მაშინ ხდება, თუ აღნიშნული პირობების შინაარსი გამომდინარეობს საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების მოთხოვნებიდან და მათი შესრულების მიზანს ემსახურება.[529] ლოგიკურია, რომ იგივე მიდგომა გავრცელდეს იერარქიულად უფრო დაბლა მდგომი კანონებიდან გამომდინარე მოთხოვნების შესრულების შემთხვევებზეც. ხსენებული მიდგომა იმითაა გამართლებული, რომ შეთანხმებაში კონკურენციის შემზღუდველი

კონკურენციის სააგენტოს ევალება კონკურენციის შემზღუდველი (შედეგის მქონე) შეთანხმების არსებობის მტკიცება, ხოლო ხსენებული შეთანხმების დადებითი ეფექტების ჩვენების მტკიცება ევალება შეთანხმების მონაწილე მხარე(ებ)ს.

[526] *საავიაციო საწვავის* საქმე, სკს, ბრძანება N131, 11.09.2015, გვ. 43.

[527] შეად. Case C-309/99, *Wouters v Algemene Raad van de Nederlandsche Orde van Advocaten* [2002] ECR I- 1577, ECLI:EU:C:2002:98.

[528] *საავიაციო საწვავის* საქმე, სკს, ბრძანება N131, 11.09.2015.

[529] „ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის განვითარების საერთაშორისო ტრანსპორტის შესახებ" 1998 წლის ძირითადი მრავალმხრივი შეთანხმების („ტრასეკას" ხელშეკრულება) თანახმად საქართველოს (შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი) ვალდებულება აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან იმპორტირებული ან ტრასეკას დერეფანში გამოტარებული საქონელი არ მოექცეოდა რექსპორტის რეჟიმში და არ გადამისამართდებოდა, იმ ქვეყანაში სადაც აზერბაიჯანს დაწესებული აქვს სანქციები. მითითებულია „საავიაციო საწვავის" საქმეში, სკს, ბრძანება N131, 11.09.2015, გვ. 44-45; იხ. ასევე *საავტომობილო საწვავის* (II) საქმე, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 35.

დებულებების გათვალისწინება განპირობებულია საკანონმდებლო ვალდებულებით.[530]

ამავდროულად, ეს შემთხვევა უნდა გავმიჯნოთ ისეთი სიტუაციებისგან, როდესაც სახელმწიფო მხარს უჭერს ბაზარზე არსებულ გარკვეულ შეზღუდვებს, თუმცა ხსენებულს არ ასახავს კანონმდებლობაში. მსგავს შემთხვევაში, შეთანხმებით კონკურენციის შეზღუდვა მოხვდება მე-7 მუხლის რეგულირების სფეროში.

ხსენებული მიდგომა დადასტურებულია ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკითაც. კონკრეტულად, საქმეზე *Competition Authority v BIDS*,[531] სასამართლომ TFEU 101(1) მუხლის (კანონის მე-7 მუხლის ანალოგი) დარღვევად მიიჩნია ირლანდიის მთავრობის აქტიური მხარდაჭერით მოსარგებლე კარტელი საქონლის ხორცის მწარმოებლებს შორის.[532] საკანონმდებლო ჩანაწერის არარსებობის პირობებში, ხსენებული მხარდაჭერა საკმარისი არ აღმოჩნდა მწარმოებელთა გასამართლებლად.[533]

3.4. კონკურენციის შეზღუდვა და მე-8 მუხლით დადგენილი გამონაკლისები

მე-7 მუხლის საფუძველზე დარღვევის დადგენას აქვს კიდევ ერთი, დამატებითი წინაპირობა, რომელიც უშუალოდ მისი ტექსტიდან არ გამომდინარეობს. ამის მტკიცების საფუძველს იძლევა მე-7 მუხლის მე-8 მუხლთან ერთობლიობაში ანალიზი. ეს უკანასკნელი მე-7 მუხლის მოქმედებას გამორიცხავს, თუ ეკონომიკურ აგენტთა მინიმალური საბაზრო წილის

---

[530] ხსენებულ სიტუაციას ევროკავშირში „რეგულირებით გამოწვეულ აუცილებლობას" (regulatory ancilliarity) უწოდებენ. დაწვრილებით იხ. Whish, Richard and Bailey, David, "*Competition Law*", 9th ed., Oxford University Press, 2018, გვ. 138-141.

[531] Case C-209/07, *Competition Authority v Beef Industry Development Society Ltd and Barry Brothers (Carrigmore) Meats Ltd.*, [2008] ECR I-8637, ECLI:EU:C:2008:643.

[532] https://www.acm.nl/sites/default/files/old_publication/publicaties/11513_irish-beef-case-vijver.pdf

[533] აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ხელშეწყობის შემთხვევაში, ევროკავშირში შესაძლოა დადგეს თავად სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი. Whish, Richard and Bailey, David, "*Competition Law*", 9th ed., Oxford University Press, 2018, თავი 6; ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მიდგომისთვის იხ. ამ ნაშრომის VII თავი.

მოცულობები[534] არ იქნა დაკმაყოფილებული. აღნიშნული მიდგომა ევროკავშირის სამართალში ცნობილია კონკურენციის უმნიშვნელო შეზღუდვის (De Minimis) სახელწოდებით. [535] კერძოდ, ითვლება, რომ თუ შეთანხმებაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილი გარკვეულ ნიშნულს არ აღემატება, მათი თანაქმედების ეფექტი ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის ზემოხსენებულ წინაპირობას ვერ დააკმაყოფილებს.

მტკიცების ტვირთი. კონკურენციის სააგენტო მე-8 მუხლის საგამონაკლისო ნორმის გამოყენების წინაპირობებს აფასებს იმისგან დამოუკიდებლად, წამოჭრის თუ არა შეთანხმების მხარე უმნიშვნელო შეზღუდვის არგუმენტს. [536] სააგენტოსვე ეკისრება აღნიშნული პროცესისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვების ვალდებულება. ეს ნიშნავს, რომ უმნიშვნელო შეზღუდვის მტკიცების ტვირთი მხარეს არ აწევს, განსხვავებით **კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებების აკრძალვიდან** მე-9 მუხლით გათვალისწინებული **გამონაკლისებისა**, როდესაც ამ უკანასკნელს ეკისრება განსაზღვრული წინაპირობების მტკიცება.

4. კონკურენციის შეზღუდვის შემთხვევები ჰორიზონტალურ შეთანხმებებში

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰორიზონტალურ შეთანხმებებში საბაზრო კონკურენციის შეზღუდვა ხდება კონკურენტი ან პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტების მიერ. თუმცა, მსგავს ეკონომიკურ აგენტებს შორის ნებისმიერი სახის შეთანხმებას ავტომატურად არ მიეწერება კანონსაწინააღმდეგო ხასიათი. კონკრეტულად, რიგ შემთხვევებში, (პოტენციურ) კონკურენტთა შორის თანამშრომლობა შესაძლოა საჭირო იყოს ტექნოლოგიური

---

[534] კონკრეტულად, ვერტიკალური შეთანხმების შემთხვევაში, შეთანხმების თითოეული მხარის საბაზრო წილი არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს, ჰორიზონტალური შეთანხმებისას კი, მხარეებს ერთობლივად არ უნდა ეკავოთ ბაზრის 10%-ზე მეტი.

[535] იხ. EU, Commission Notice on agreements of minor importance which do no appreciably restrict competitions under Article 101(1) of the Treaty on the Functioning of the European Union (De Minimis Notice). OJ C 291/1, 2014.

[536] იხ. *სააპელაციო სასჯავის* (II) საქმე. სკს. ბრძანება N04/117. 10.05.2018. გვ. 30 და 110.

განვითარების ხელშეწყობის მიზნით საჭირო რესურსების უკეთ მობილიზების ან გადანაწილების საკითხში. მსგავსი ტექნოლოგიური განვითარებით კი, როგორც წესი, მოგებული რჩება როგორც მომხმარებელი, ისე მთლიანად ეკონომიკა. სწორედ ამიტომ, ამა თუ იმ შეთანხმების კონკურენციის კანონმდებლობასთან შეუსაბამობა დგინდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალ-ცალკე, შესაბამისი საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პრაქტიკაში განასხვავებენ კონკურენციის აშკარად შემზღუდველ ჰორიზონტალურ შეთანხმებებს (ე.წ. „კარტელებს") და ჰორიზონტალურ თანამშრომლობას, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს როგორც კონკურენციის წამახალისებელი, ისე შემზღუდველი მახასიათებლები. მაშინ, როდესაც პირველი კატეგორიის შეთანხმებები მკაცრად ისჯება კონკურენციის კანონმდებლობით, მეორე კატეგორიის შეთანხმებებთან დაკავშირებით მიდგომა შედარებით ფრთხილია. ხსენებულ შეთანხმებათა სპეციფიკა, მათთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა განხილულია ქვემოთ.

4.1. კონკურენციის აშკარა დარღვევები/კარტელური შეთანხმებები

ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის მიწურულს, ადამ სმიტი წერდა: „...ერთი ინდუსტრიის წარმომადგენლები იშვიათად იკრიბებიან ერთად გართობისა და განტვირთვისთვისაც კი, თუმცა მათი საუბრები სრულდება კონსპირაციით საზოგადოების წინააღმდეგ, ან ფასების გაზრდის გარკვეული მექანიზმის შექმნით". [537] ხსენებული მოსაზრება განსაკუთრებით ეხება კონკურენციის აშკარად შემზღუდველ შეთანხმებებს - კარტელებს. სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში, ეს უკანასკნელნი მოხსენიებულია ისეთი

[537] "...people of the same trade seldom meet together, even for merriment and diversion, but the conversation ends in a conspiracy against the public, or in some contrivance to raise prices", Smith, Adam, *"Wealth of Nations"*, Book I, Chapter X, 1776, W. Stahan and T. Cadell, London.

ეპითეტებით, როგორიცაა თავისუფალი ბაზრის „სიმსივნური მეტასტაზები“ [538] და ანტიტრასტის „უზენაესი ბოროტება.“ [539] შესაბამისად, დღევანდელ მსოფლიოში, კონკურენციის აღმასრულებელი ორგანოები ერთხმად აღიარებენ მძიმე ფორმის/„შიშველი“ კარტელების აღმოჩენის და დასჯის პრიორიტეტულობას.[540]

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია („ეთგო“) 1998 წლის „მძიმე ფორმის კარტელებთან ბრძოლის ეფექტური ზომების თაობაზე“ რეკომენდაციის მიხედვით განმარტავს მძიმე ფორმის კარტელის[541] ცნებას, როგორც „კონკურენტებს შორის კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებას, შეთანხმებულ პრაქტიკას, ან კონკურენციის საწინააღმდეგო ღონისძიებებს ფასების ფიქსირების, სატენდერო წინადადებაში პირობების შეთანხმების (ფარულად გარიგებული ტენდერები), წარმოების შეზღუდვის ან კვოტების დადგენის, ბაზრის მომხმარებელთა/კლიენტთა, მიმწოდებელთა, ტერიტორიების და ბიზნეს მიმართულებების მიხედვით განაწილების ან გაყოფის თაობაზე.“ [542] ზემოხსენებული ჩამონათვალი აშკარას ხდის, რომ კარტელებად მიიჩნევა კონკურენციის განსაკუთრებით მძიმე შეზღუდვის შემთხვევები.

კარტელის შემთხვევაში კონკურენტი ეკონომიკური აგენტები კოორდინაციას უწევენ საკუთარ კონკურენტულ ქმედებებს ან/და გავლენას ახდენენ კონკურენციის შესაბამის პარამეტრებზე

---

[538] Monti, Mario, „Fighting Cartels Why and How? Why should we be concerned with cartels and collusive behaviour?“, 3rd Nordic Competition Policy Conference, Stockholm, 11-12 September 2000, ხელმისაწვდომია http://europa.eu/rapid/press-release_SPEECH-00-295_en.htm.

[539] US Supreme Court, Verizon Communications Inc v Law Offices of Curtis V Trinko. *LLP* 540 US 398, 408 (2004).

[540] Whish, Richard and Bailey, David, *"Competition Law"*, 7th ed., Oxford University Press, 2012, გვ. 514.

[541] ევროკავშირში, უმრავლეს შემთხვევებში ხსენებულს პირდაპირ „კარტელი“ ეწოდება. ეს იმითაა განპირობებული, რომ არ არსებობს ხელშესახები განსხვავება ტერმინებს - „კარტელი“ და „მძიმე ფორმის კარტელი“ - შორის. ტერმინი კარტელი თავის თავში უკვე მოიცავს დარღვევის სიმძიმის აღნიშვნას. იხ. Tuytschaever, Filip and Agerbeek, Felix Ronkes, "Cartels and Proof of Cartels", in Wijckmans, Frank and Tuytschaever, Filip (eds.), *Horizontal Agreements and Cartels in EU "Competition Law"*, Oxford University Press, 2015, გვ. 7. ხსენებულის შესაბამისად, ამ ნაშრომშიც მხოლოდ ტერმინი „კარტელი“ იქნება გამოყენებული.

[542] OECD Publication C (98)35/Final, of May 1998, ხელმისაწვდომია https://one.oecd.org/document/C(98)35/FINAL/en/pdf.

აკრძალული მექანიზმების გამოყენებით. ასეთ დროს, კარტელის წევრების მთავარი მიზანია საერთო მოგების მაქსიმიზაცია, მათი საბაზრო პოზიციების შენარჩუნება ან გამყარება. შედეგად იზრდება ან ნარჩუნდება არსებული ფასები ისე, რომ არ ხდება ამ ყოველივეს საპირწონედ რაიმე სარგებლის შეთავაზება.

მსოფლიოში არსებული კონკურენციის აღმასრულებელი ორგანოები თანხმდებიან რომ კონკურენციის რეგულირების ერთ-ერთი მთავარი მიზანი (თუ არა უმთავრესი) არის კარტელების თავიდან აცილება, აღმოჩენა და აღკვეთა. [543] ამავდროულად, სამართლებრივი და ტექნოლოგიური განვითარებების პარალელურად, იხვეწება კარტელის შექმნისა და მასში მონაწილეობის ფორმებიც. შესაბამისად, მათი არსებობისა და მასშტაბების დადგენა საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია ნებისმიერი აღმასრულებლისთვის.[544]

ხსენებულის მიუხედავად, კარტელის არსებობის დადგენასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცესი სრულად ექვემდებარება საქმის ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოძიების პრინციპს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რისკის ქვეშ შეიძლება დადგეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამის ნათელი მაგალითი საქართველოშიც გვაქვს, სადაც 2014 წელს ახლად შექმნილმა კონკურენციის სააგენტომ მიიღო გამოწვევა [545] და საქართველოს კონკურენციის სამართლის უახლეს ისტორიაში პირველი კარტელური შეთანხმების არსებობა დაადგინა საავტომობილო საწვავის ბაზარზე. [546] სააგენტოს მითითებით, ხსენებული დარღვევა გამოიხატებოდა ბაზარზე მოქმედი ხუთი ეკონომიკური აგენტის (შემდგომში „ხუთეული") და მათი შუამავალი კომპანიების მიერ კონკურენციის შესახებ კანონის

---

[543] ICN Cartels Working Group "Defining Hard Core Cartel Conduct, Effective Institutions, Effective Penalties" (2005).

[544] Whish, Richard and Bailey, David, *"Competition Law"*, 9th ed., Oxford University Press, 2018, გვ. 526.

[545] იმ პერიოდში საავტომობილო ბაზრის კვლევის აუცილებლობაზე საზოგადოებაში მნიშვნელოვანი მოლოდინები არსებობდა, იხ. მაგალითად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" 2012 წლის კვლევა „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში"; https://www.transparency.ge/ge/content/stub-650.

[546] *საავტომობილო საწვავის (I)* საქმე, სკს, ბრძანება N81, 14.07.2015.

მე-7 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების დარღვევაში. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა თითოეული ეკონომიკური აგენტის მხრიდან დამოუკიდებლად. საერთო სასამართლოების მიერ ყველა საქმეზე მიღებული იქნა ანალოგიური გადაწყვეტილება - ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად,[547] საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სააგენტოს გადაწყვეტილება. ამავდროულად, დამატებითი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის მიზნითა და სააგენტოს მიერ მტკიცების სტანდარტის დაუკმაყოფილებლობის საფუძვლით, ამ უკანასკნელს დაეკისრა ხელახალი მოკვლევის ვალდებულება.[548] ეს მაგალითი ერთ-ერთი დასტურია როგორც კარტელების პრობლემის გადაჭრით აღმასრულებელთა (მათ შორის, „ახალგაზრდა“ ორგანოების) დიდი დაინტერესებისა, ისე იმისა, თუ რამდენად რთულია აღნიშნული დარღვევის სრულყოფილი გამოძიება და თუ რამდენად ყურადღებით უნდა იყოს აღმასრულებელი ორგანო შესაბამისი სამართლებრივი და ეკონომიკური ანალიზის განხორციელების პროცესში.

4.2. კარტელის მდგრადობის ელემენტები და შეთანხმებისკენ მიდრეკილი ბაზრის მახასიათებლები

რიგი ბაზრები თავისთავად მიდრეკილები არიან კარტელის შექმნისკენ. ასეთ ტიპის ბაზრებზე არსებობს კარტელის შექმნისა და

---

[547] სასამართლოს განმარტებით, მართალია, ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით სასამართლოს აქვს შესაძლებლობა შეაგროვოს დამატებითი მტკიცებულებები, თუმცა აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრა და არა ადმინისტრაციული წარმოების ჩანაცვლება. 32.4 მუხლის გამოყენების წინაპირობაა, როდესაც სამართალწარმოების ფარგლებში ვერ ხერხდება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება - „ლუკოილის“ საქმე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-595-592(კ-17), 28.09.2017, გვ. 5.

[548] მხოლოდ ორი ეკონომიკური აგენტის საქმე წარედგინა უზენაეს სასამართლოს, სადაც საკასაციო პალატამ გაიზიარა ქვედა ინსტანციის მიერ გაკეთებული სამართლებრივი შეფასებები და მიღებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, არ ცნო საჩივარი დასაშვებად იმ დასაბუთებით, რომ, ვინაიდან დასადგენია საქმისათვის არსებითი ხასიათის ფაქტობრივი გარემოებები, ის არ მოახდენს ნორმათა აბსტრაქტულ განმარტებას, რადგან „სუბსუმციის განხორციელების უპირველესი პირობა სწორედ ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი დადგენაა.“- „სოკარის“ საქმე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-500-497(კ-17), 14.07. 2017; „ლუკოილის“ საქმე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-595-592(კ-17), 28.09.2017.

ფუნქციონირებისთვის ხელსაყრებლი პირობები, რომლებიც წარმოიშობა ქვემოთ ჩამოთვლილი სამი ელემენტის ერთობლივად არსებობისას:[549]

ელემენტი	განმარტება
1) კარტელის ჩამოყალიბება და მისი სტრუქტურა	მონაწილეთა განსხვავებული ინტერესებისა და კარტელის აღმოჩენის/სანქცირების შიშის გათვალისწინებით, კარტელში რთულია საერთო სტრატეგიის შემუშავება და გაზიარება. შესაბამისად, ეფექტური კარტელი მოითხოვს ბაზარზე კონკურენტთა შედარებით ნაკლებ რაოდენობას - ეს ზრდის მათი ინტერესების თანხვედრისა და მოქმედების საერთო გზის დასახვის ალბათობას.
2) კარტელის შიდა მდგრადობა	რამდენადაც მიმზიდველი შეიძლება იყოს დამატებითი მოგების მიღების მიზნით კარტელში მონაწილეობა, იმდენად მიმზიდველია ეკონომიკური აგენტებისთვის შეთანხმებისგან გადახვევა (ე.წ. მოტყუება). შესაბამისად, ბაზარზე უნდა არსებობდეს შეთანხმებისგან გადახვევის მონიტორინგის და დასჯის/სანქცირების ეფექტური მექანიზმები.
3) კარტელის გარე მდგრადობა	კარტელი შესაბამის ბაზარზე ქმნის დროებით მონოპოლიას, სადაც ხელოვნურად ხდება ფასების გაზრდა ან ხარისხის შემცირება. მსგავსი ტიპის

[549] George J. Stigler, *"A Theory of Oligopoly"*, 72 J. Pol. Econ. (1964) გვ. 44-61.

ბაზრები იზიდავს პოტენციურ კონკურენტებს, რომლებიც ხედავენ კონკურენციის პოტენციალს და მარტივად შეუძლიათ შეთანხმებული სტრატეგიის განადგურება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, კონკურენტთა და კლიენტთა რეაქციების - ახალი კონკურენტის გამოჩენის და მყიდველის ძალაუფლების - განჭვრეტა. ამავდროულად, ხსენებული მექანიზმი იმდენად კარგად უნდა მუშაობდეს, რომ ახალ/პოტენციურ კონკურენტებს უჩნდებოდეთ კარტელში მონაწილეობის (და არა მასთან დაპირისპირების) სურვილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათთვის კარტელში მონაწილეობას უფრო მეტი სარგებელი უნდა მოჰქონდეს, ვიდრე კარტელის წევრებთან კონკურენციის გაწევას.

ზემოთ მითითებული ელემენტების გათვალისწინებით, ლიტერატურაში ჩამოთვლილია კარტელის შექმნისთვის შესაფერისი ბაზრის რიგი მახასიათებლები:[550]

- პროდუქტის (მომსახურების) ერთგვაროვნება და სიმარტივე (ხარჯების ერთნაირი სტრუქტურა);
- ბაზრის მაღალი კონცენტრაცია (კონკურენტების მცირე რაოდენობა);
- ბაზარზე შესვლის ბარიერები;
- ბაზარზე არსებული მოთხოვნა;
- კოორდინაციის მექანიზმების არსებობა.

---

[550] მითითებულია, *სავტომობილო საწვავის* საქმე, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 72.; ამასთან, უფრო დეტალური დისკუსიისთვის იხ. Posner, Richard A., *Antitrust Law*, 2nd ed., The University of Chicago Press, 2001; გვ. 69 და მომდევნო. აგრეთვე OECD Competition Committee Roundtable - Prosecuting Cartels without Direct Evidence 2006, ხელმისაწვდომია: https://www.oecd.org/daf/competition/prosecutionandlawenforcement/37391162.pdf

ზემოაღნიშნული არ უნდა იქნას იმგვარად გაგებული, რომ მხოლოდ ასეთი მახასიათებლების მქონე ბაზარზე შეიძლება შეიქმნას და ფუნქციონირებდეს კარტელი. თუმცა, პრაქტიკაში უფრო ხშირია ასეთ ბაზრებზე კარტელების აღმოჩენის შემთხვევები. შესაბამისად, სწორედ ეს უკანასკნელნი ხდებიან კონკურენციის უფლებამოსილი ორგანოს მოკვლევის სამიზნე.[551]

პროდუქტის [552] ერთგვაროვნებასა და სიმარტივეში იგულისხმება, რომ პროდუქტს ან მომსახურებს არ გააჩნია კონკურენტთა მიერ წარმოებული პროდუქტებისგან განსხვავებული თვისობრივი მახასიათებლები და არ ექვემდებარება სწრაფ ტექნოლოგიურ ცვლილება-გაუმჯობესებებს. რაც უფრო ერთგვაროვანი და მარტივია პროდუქტი, მით უფრო მარტივი და ერთგვაროვანია მისი ხარჯების სტრუქტურა. შედეგად, ადვილია ასეთ პროდუქტთან დაკავშირებით როგორც საერთო პოლიტიკის შემუშავება, ისე შეთანხმების დარღვევის აღმოჩენა.

ერთგვაროვნების მანიშნებელია პროდუქტის ჩამნაცვლებლების არარსებობაც. მაგალითად, ფაქტობრივად არ არსებობს ჩანაცვლების რეალური ალტერნატივა ნავთობპროდუქტების, შაქრის, ხორბლის, ფქვილის, ცემენტის, ვიტამინების, მილებისა და მთელი რიგი სხვა პროდუქტებისთვის. ჩანაცვლებადობის შეუძლებლობის გამო, მყიდველი ვერ იყენებს თავის საბაზრო ძალაუფლებას და ვერ გადაერთვება ახალ პროდუქტზე. ეს კი მწარმოებელს/მიმწოდებელს უადვილებს კარტელში მონაწილეობას - ფასის ერთობლივად აწევის შემთხვევაში თითქმის არ არსებობს კლიენტის დაკარგვის შანსი.

ბაზრის მაღალი კონცენტრაცია სახეზეა მაშინ, როდესაც (i) ბაზარზე ეკონომიკური აგენტების მცირე რაოდენობაა ან (ii) ეკონომიკური აგენტების მცირე რაოდენობას ერთობლივად უჭირავს მნიშვნელოვანი საბაზრო წილი. ბაზრის კონცენტრაციის

---

[551] შეადარე ოლიგოპოლიურ ბაზრის მახასიათებლებს, იხ. ქვეთავი 4.3.

[552] სიმარტივისთვის, ტექსტში საუბარი იქნება მხოლოდ პროდუქტებთან მიმართებით. თუმცა, მოცემული მსჯელობა ანალოგიურად გავრცელდება მომსახურებაზეც.

საზომად გამოიყენება ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI).[553] ბაზრის კონცენტრაციის მაღალი დონე კარტელის ჩამოყალიბების ხელშემწყობ ფაქტორად ითვლება, რადგან მცირე რაოდენობის ეკონომიკურ აგენტებს შორის უფრო მარტივია როგორც შეთანხმების მიღწევა, ისე მისი მონიტორინგი.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით,[554] ბაზარზე შესვლის ბარიერები იყოფა ფინანსური, ტექნიკური და ინსტიტუციური ხასიათის ბარიერებად.[555]

- *ფინანსური ბარიერის* მაგალითებია: მაღალი პირველადი საინვესტიციო დანახარჯის საჭიროება;[556] ანალოგიური საჭიროება ალტერნატიული პროდუქტის შექმნის პროცესში; ბაზარზე შესვლის და წარმოების დაწყების დანახარჯის მოკლევადიან პერსპექტივაში ამოგების შეუძლებლობა;[557]

---

[553] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-3 ბრძანება „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე", მუხლი 18, პუნქტი 3 (შემდგომში - „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები").

[554] შედარებისთვის, ევროკავშირსა და რიგ სხვა იურისდიქციებში, ბაზარზე შესვლის ბარიერები იყოფა სტრუქტურულ (ანუ ბაზრის სტრუქტურიდან/სპეციფიკიდან გამომდინარე), სტრატეგიულ/ქცევით (ანუ ბაზრის მონაწილეების ქცევიდან გამომდინარე) და სახელმწიფოს მიერ შექმნილ ბარიერებად. სტრუქტურულ ბარიერებს მიეკუთვნება მასშტაბისა და მოცულობის ეკონომია, ბაზარზე შესვლის მაღალი ფიქსირებული დანახარჯი, ბაზარზე შესასვლელად საჭირო ტექნოლოგია და ბაზრის „აგებულებიდან" გამომდინარე ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელიც კერძო თუ სახელმწიფო ბარიერების არარსებობის შემთხვევაშიც კი ართულებს პირისთვის ხსენებულ ბაზარზე შესვლას. სტრატეგიულ/ქცევით ბარიერებს მიეკუთვნება ბაზრის მოთამაშე(ებ)ის ისეთი ქცევა, რომელიც მიმართულია ბაზარზე შესვლის ახალი ბარიერების შექმნაზე ან არსებული ბარიერების გაძლიერებაზე. სახელმწიფოს მიერ შექმნილ ბარიერებს კი უწოდებენ ნებისმიერ სახელმწიფო რეგულირებას, რომელიც ართულებს ბაზარზე ახალი მოთამაშეების გამოჩენას. ბაზრის კარტელიზაციისკენ მიდრეკილება შესაძლოა გაჩნდეს სამივე სახის ბარიერების არსებობისას. თუმცა, კონკურენციის მარეგულირებლები განსაკუთრებით მკაცრად ეკიდებიან ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბაზარზე შესვლის ბარიერები შექმნა, შენარჩუნება ან გაძლიერება ხდება უშუალოდ ბაზრის მონაწილეთა ქმედების (მაგალითად, კარტელის) შედეგად. იხ. European Commission, Directorate-General for Competition, *Glossary of terms used in EU competition policy. Antitrust and control of concentrations*, 2002, გვ. 17; OECD, R. S. Khemani, D. M. Shapiro, *Glossary of Industrial Organisation Economics and Competition Law*; OECD, 1993, გვ. 13-14; ლექსიკონები ხელმისაწვდომია https://www.concurrences.com/en/glossary-of-competition-terms/entry-barriers.

[555] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 22.

[556] ბაზარზე შესვლის მაღალი ფინანსური ბარიერების არსებობის შესახებ სააგენტო უთითებს საავტომობილო საწვავის (II) საქმეში - ინფრასტრუქტურის შეძენის სახსრების და დიდი საბრუნავი კაპიტალის საჭიროებას უთითებს *საავტომობილო საწვავის* (II) საქმეში, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 87.

[557] ხსენებული განსაკუთრებით ისეთი ბაზრებისთვისაა დამახასიათებელი, რომლებზე ოპერირებასაც სჭირდება მძიმედღირებული ტექნოლოგია, ხოლო წარმოებული პროდუქტის

კონკურენტთა მიერ პრივილეგირებული წვდომა ბუნებრივ რესურსებზე (მაგ. ვერტიკალური ინტეგრაციისას), რის შედეგადაც ამ უკანასკნელებს აქვთ გაცილებით ნაკლები საწარმოო დანახარჯები და ა.შ.

- *ტექნიკური ბარიერის* სახეებია: ინოვაციური მეთოდების არსებობა; ბაზარზე ფუნქციონირებისთვის საჭირო/აუცილებელი ნოუ ჰაუ, პატენტი, ინტელექტუალური საკუთრება; მკაცრად რეგლამენტირებული გრძელვადიანი სავაჭრო ხელშეკრულებები; ბაზარზე ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობა; [558] სპეციალური ინფრასტრუქტურის/ტექნიკის შეძენის აუცილებლობა - მაგალითად, სამოქალაქო საჰაერო ხომალდების საწვავ-გასამართი საწარმოების ტექნიკური ინფრასტრუქტურისადმი წაყენებული მოთხოვნები.[559]
- *ინსტიტუციური ბარიერების* მაგალითს წარმოადგენს ნებართვების და ლიცენზიების მიღების აუცილებლობა.[560] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკაში, მსგავს ბარიერად მიჩნეულ იქნა, მაგალითად, სამოქალაქო საჰაერო ხომალდების საწვავ-გასამართი საწარმოების სერტიფიცირება;[561] ბარიერს ასევე წარმოადგენს ამა თუ იმ ნორმატიული სტანდარტის დაკმაყოფილების ვალდებულება, რომელიც, ბუნებრივია გარკვეულ დანახარჯებთან ასოცირდება. ასეთია, მაგალითად, ხორბლის ფქვილის ტექნიკური რეგლამენტი.[562]

ამასთან, მნიშვნელოვანია სხვა ფაქტობრივი ბარიერები, როგორიცაა, მაგალითად, გეოგრაფიული შეზღუდვები,

---

ერთეულის ფასი ძალზე მცირეა. ხსენებულ შემთხვევაში, დანახარჯების ამოგებას (გადაფარვა) შესაძლოა რამდენიმე წელიც კი დასჭირდეს.

[558] სასკოლო ავტობუსების საქმეში ასეთად დასახელდა შექმნილი მატერიალურ-ტექნიკური და ადმინისტრაციული რესურსების გამართული ბაზა, რომლის ხელახლა შექმნა ბაზრის ახალი მოთამაშისთვის რთული იქნებოდა. „სასკოლო ავტობუსების" საქმე, სკს, ბრძანება N04/167, 23.06.2017.

[559] *საავიაციო საწვავის* საქმე, სკს, ბრძანება N131, 11.09.2015.

[560] სკს, ბრძანება N8, 25.01.2016, გვ. 39.

[561] *საავიაციო საწვავის* საქმე, სკს, ბრძანება N131, 11.09.2015, გვ. 43.

[562] საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ივლისის N376 დადგენილება.

მომხმარებლების მაღალი ლოიალურობა ბაზარზე არსებული პროდუქციის მიმართ,[563] ქსელური ეფექტი (network effects)[564] და ა.შ. ამ და ზემოთ ჩამოთვლილი ბარიერების არსებობის დროს, კარტელის წევრები დაცულები არიან პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტების მხრიდან ბაზარზე შემოსვლის და შეთანხმებული სტრატეგიის განადგურების რისკისგან.

ბაზარზე არსებული მოთხოვნა შეიძლება იყოს სტაბილური ან კლებისკენ მიდრეკილი (კრიზისული ბაზრები). ბაზრები, რომლებიც სტაბილური მოთხოვნით ხასიათდება, მეტად განჭვრეტადია შეთანხმების მონაწილეებისთვის და შესაბამისად, შეთანხმებისკენ/კარტელისკენ არის მიდრეკილი; ხოლო, კრიზისული ბაზრები, როგორც წესი, მიდრეკილნი არიან იმავე მიმართულებით იმისთვის, რომ დასძლიონ ხსენებული კრიზისი ან ბაზრის მონაწილეებმა გამოიყენონ შესაბამის ბაზარზე სარგებლის ნახვის უკანასკნელი შესაძლებლობა.

ბაზარზე კოორდინაციის მექანიზმების არსებობა შეიძლება გამოიხატოს ეკონომიკურ აგენტებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშემწყობი დარგობრივი ასოციაციების არსებობით. ანალოგიური ეფექტი შეიძლება ჰქონდეს, ასევე, ინფორმაციის ზოგად ხელმისაწვდომობასა და ეკონომიკური აგენტების ხშირ შეხვედრებს. ეს ხელს უწყობს როგორც კარტელის ფორმირებას, ისე შეთანხმებიდან გადახვევის კონტროლს.

4.3. სპეციალური შემთხვევები

ა) ფასისა და სხვა სავაჭრო პირობების ფიქსირება

კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული დარღვევა - ფასის ფიქსირება კონკურენციის სააგენტოს მიერ, მსგავსად ევროკავშირის სამართლისა, განიხილება კონკურენციის შემზღუდველი მიზნის

---

[563] მაგ. ბრენდისადმი ლოიალურობა ნავთობპროდუქტების ბაზარზე, *საავტომობილო საწვავის* (II) საქმე, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 87-88.

[564] მაგ. ტელეკომუნიკაციების ქსელები, ავტოგასამართი სადგურების ქსელები და ა.შ.

მქონე შეთანხმებად. [565] როგორც ზემოთ იქნა განხილული, კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებაში სააგენტო მოიაზრებს ისეთი სახის შეთანხმებას, რომელსაც დამატებით არ ესაჭიროება კონკურენციის შემზღუდველი შედეგის შეფასება. ხსენებული ასევე მითითებულია საავტომობილო საწვავის (II) საქმეზე, რომლის მიხედვითაც *„ეკონომიკურ აგენტებს შორის ისეთი შეთანხმების არსებობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აწესებს შესყიდვის ან გაყიდვის ფასს, ავტომატურად წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას, იმგვარად, რომ აღარ ხდება მისი კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის შეფასება.“* [566]

ფასების პირდაპირი და არაპირდაპირი ფიქსირება კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული და მძიმე ფორმის კარტელური შეთანხმების სახეს. ფასისმიერი კონკურენცია თავისუფალი ბაზრის ქვაკუთხედია, რომლის საბოლოო ფუნქციაც მომხმარებლებისთვის საუკეთესო პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზებაა, უმცირეს შესაძლო ფასად. ნებისმიერი სახის კონტაქტი/თანამშრომლობა ფასებთან დაკავშირებით ახდენს კონკურენტული რისკების აღმოფხვრას კონკურენციის ძირითად მამოძრავებელ ისეთ მნიშვნელოვან (თუმცა უცნობ) საფასო მაჩვენებლებთან დაკავშირებით, როგორიც არის ფასის ცვლილების ოდენობა, დრო და ადგილი.[567]

შესაბამისად, მნიშვნელოვანია მითითებული აკრძალვა ფართოდ იქნას განმარტებული და ასევე მოიცვას ფასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის კონტაქტი ან შეთანხმება ფასის განმსაზღვრელ კრიტერიუმებზე, რაც შესაძლებლობას იძლევა გარკვეული სიზუსტით მოხდეს კონკურენტი ეკონომიკური აგენტის საფასო პოლიტიკის განჭვრეტა. [568] ასეთებია, მაგალითად,

---

[565] *საავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 59-60; იხ. ასევე მე-7 მუხლის გზამკვლევი, გვ. 45.

[566] *საავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 60.

[567] *ICI v. Commission (Dyestuffs)*, Cases 48, 49, 51-7/69 [1972] ECR 619, ECLI:EU:C:1972:70, პბზ. 118.

[568] ანალოგიური მიდგომაა ევროკავშირშიც. იხ. Whish, Richard and Bailey, David, *"Competition Law"*, 9th ed., 2018. pp. 532-535.

როგორიცაა, სამიზნე ფასებისა [569] და საფასო კატალოგების [570] განხილვა. ფასისა და სხვა სავაჭრო პირობების არაპირდაპირი დადგენის შემთხვევებს ასევე განეკუთვნება მომხმარებლისთვის ეკონომიკური კუთხით ღირებული ფასდაკლებების ან/და სხვა სახის შეღავათების დადგენა ან აკრძალვა (მაგალითად, სადაზღვევო კომპანიების მიერ ნულოვანი ფრანშიზის გაუქმება, საგარანტიო ვადის გაუქმება და ა.შ.); პროდუქციის რეკლამირების აკრძალვა; შეთანხმება მაღალი/ჭარბი ფასების დაწესების პოლიტიკის გატარებაზე[571] და სხვა.

ბაზრის ქვედა დონეზე, ჰორიზონტალური ფასის ფიქსირების ხელშემწყობი დამატებითი გარემოება შეიძლება იყოს ბაზრის ზედა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების **ჰორიზონტალური შეთანხმება ვერტიკალურ ურთიერთობაში უკუფურად დაადგინონ სარეალიზაციო ფასის შენარჩუნების პირობა**. გარდა ამისა, ცალკე აღებული მსგავსი შეთანხმება რეალიზატორ/დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტსა და მიმწოდებელს შორის წარმოადგენს მე-7 მუხლის პირველი „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დარღვევას ვერტიკალურ ურთიერთობებში.[572]

ციფრული ტექნოლოგიების ერაში ასევე განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს **ალგორითმების გამოყენებით ფასების ფიქსირების შემთხვევები**. აღნიშნული სახეზეა, როდესაც კონკურენტი ეკონომიკური აგენტები თანხმდებიან ერთი ტიპის ფასწარმოქმნის ალგორითმის გამოყენებაზე, რაც უტოლდება შეთანხმებას ფასწარმომქმნის წესზე. შედარებისთვის, პრობლემურია პასუხისმგებლობის შერაცხვის საკითხი, როდესაც სხვადასხვა ეკონომიკური აგენტები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ახდენენ ერთი სახის ალგორითმული ფასწარმომქმნელების გამოყენებას. თავის მხრივ, ეს ფასწარმომქმნელები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ახდენენ ბაზრის მონაცემების დამუშავებას და ამ მიზნით

---

569 Case 8/72, *Cementhandelaren v Commission* [1972] ECR 997, ECLI:EU:C:1972:84.

570 *Re Cast Iron Steel Rolls* OJ [1983] L 317/1.

571 *British Sugar* OJ [1999] L 76/1.

572 *საავტომობილო სარჩევის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, თავი IV.

ერთმანეთთან ინტერაქციას - მონაცემების გაცვლას ერთიანი ოპტიმალური ფასის მისაღებად. შედეგად ვიღებთ ერთიან ფასს, რომელიც წარმოადგენს ხელოვნული ინტელექტის და არა მისი ოპერატორების გაცნობიერებულ თანაქმედების შედეგს.[573]

ამასთან, მიიჩნევა, რომ გაყიდვის ფასების ფიქსირებასთან შედარებით, შესყიდვის ფასების დადგენას განსხვავებული ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ბაზარზე. აღნიშნული ეკონომიკურ აგენტს აძლევს შესაძლებლობას, ყველაზე დაბალ ფასად შეიძინოს ნედლეული მწარმოებლისგან. ეს, როგორც წესი, აისახება საბოლოო პროდუქტის ფასზე და სარგებელი საბოლოო მომხმარებელს გადაეცემა. [574] თუმცა, ასეთ დროს, ნებისმიერი შემდგომი აკრძალვა/შეზღუდვა ფასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი მოლაპარაკების წარმოების თაობაზე უნდა ჩაითვალოს კონკურენციის დარღვევად. [575] ამასთან, საგულისხმოა, რომ მნიშვნელოვანი ნედლეულის შესყიდვის ფასის ფიქსირება შეიძლება იყოს ბაზრის ქვედა დონეზე კარტელის ფუნქციონირების ხელშემწყობი ფაქტორი.[576]

სხვა სავაჭრო პირობების დადგენაში მოიაზრება პროდუქტის არასაფასო პარამეტრებზე შეთანხმება. მსგავსი შეთანხმება წარმოადგენს კონკურენციის მნიშვნელოვან დარღვევას, თუ ის ეხება პროდუქტის ფასის განმსაზღვრელ მთავარ კრიტერიუმებს

---

[573] ალგორითმული ფასწარმომქმნელების კონკურენციის საწინააღმდეგო ბუნების ქართული სამართლით დარეგულირების საკითხზე მოსაზრებისთვის იხ. სერგია, ნიკა. „ალგორითმული ფასწარმომქმნელების გამოყენებით კონკურენციის შეზღუდვის რეგულირების ზოგიერთი ასპექტი". კონკურენციის პოლიტიკის მეორე საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 2018, ხელმისაწვდომია: http://www.library.court.ge/upload/33712018-11-13.pdf. საკითხის გლობალურ ჭრილში განხილვისათვის იხ. Ezrachi, Ariel and Stucke, Maurice. "*Virtual Competition: The Promise and Perils of the Algorithm-Driven Economy*", Harvard University Press, 2016.

[574] იხ. სააგენტოს პოზიცია საავტომობილო გაზის საქმეში მხარეთა მოლაპარაკების შესახებ, რომელიც შეეხებოდა ბუნებრივის აირის საბითუმო შესყიდვის ფასის განსაზღვრას, სკს, ბრძანება N162, 30.10.2015, გვ. 49; აგრეთვე მაგ., წესდებით განსაზღვრული ფქვილით მომარაგების კოორდინაციის მიზანი „გლობალაგროს" საქმეში, შეიძლება განხორციელებულიყო ფქვილის შესყიდვის ფასების ფიქსირების გზით, სკს, ბრძანება N8, 25.01.2016.

[575] Research Paper prepared by RBB for the OFT on co-operation by purchasers. ხელმისაწვდომია: https://www.rbbecon.com/downloads/2012/12/oft863.pdf.

[576] კომპანიების დანახარჯების სტრუქტურის დაახლოება, რაც ხელს უწყობს კარტელის მდგრადობას, იხ. ქვეთავი 4.2.; ასევე Zinc Producer Group OJ [1984] L 220/7.

(მაგალითად, პროდუქტის ხარისხობრივ მაჩვენებლებს). ასეთად, მაგალითად, ჩაითვლება პროდუქციის საერთო მაქსიმალური ან მინიმალური ხარისხის დადგენა,[577] რაც უზღუდავს მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს შეთანხმებისგან განსხვავებული პროდუქციის ბაზარზე განთავსებას. აღნიშნული კი იწვევს პროდუქციის მრავალფეროვნების შეზღუდვას.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს, არსებობის მხოლოდ ხუთი წლის მიუხედავად, უკვე განხილული აქვს ფასების ფიქსირებასთან დაკავშირებული რამდენიმე საქმე. მათგან ორი შეჯამებულია ქვემოთ.

ა.ა) „საავტომობილო გაზის“ საქმე[578]

საავტომობილო მოხმარების ბუნებრივი აირის ბაზრის მოკვლევის ფარგლებში, სააგენტომ იმსჯელა, ხომ არ ჰქონდა ადგილი ბაზრის მონაწილეთა მიერ საცალო სარეალიზაციო ფასებზე შეთანხმებას. ძირითადი კვლევის საგანს წარმოადგენდა 2014 წლის აგვისტოს და დეკემბრის თვეებში ბაზრის ცალკეულ მოთამაშეთა მიერ საცალო სარეალიზაციო ფასების პარალელური გაზრდის შემთხვევები, რასაც (i) წინ უსწრებდა ბუნებრივი აირის ერთადერთი საბითუმო მიმწოდებლის მიერ ყოველგვარი მიზეზის გარეშე საცალო ფასის მომატება და (ii) თან ახლდა ასოციაციის წარმომადგენლის სატელევიზიო განცხადება წევრებს შორის ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული კომუნიკაციის შესახებ. ამასთან, გაერთიანების წესდებით, ასოციაციის შექმნის ერთ-ერთი გაცხადებული მიზანი იყო წევრი კომპანიებისთვის ფასწარმოქმნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება და ფასწარმოქმნის საქვეყნოდ აღიარებული სტრუქტურების დამკვიდრება.

ყოველივე ზემოაღნიშნული ერთობლიობაში არ ჩაითვალა საკმარის მტკიცებულებად შეთანხმებული ქმედების დასადგენად

---

[577] საერთო ხარისხის ნიშნის შემოღება, თავისთავად, არ წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველ ქმედებას, თუ ამას თან არ ახლავს განსხვავებული ან უფრო დაბალი ხარისხის ან სტანდარტის პროდუქციის წარმოების, ბაზარზე მიწოდების შეზღუდვა, იხ. **Belgian Association of Pharmacists OJ [1990] L 160/1.**

[578] სკს, ბრძანება N162, 30.10.2015.

შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე:[579] (i) შეთანხმების შინაარსი მოიცავდა მხოლოდ ბუნებრივი აირის საბითუმო/შესყიდვის ფასის თანაბარ/არადისკრიმინაციულ განსაზღვრას; [580] (ii) ზოგ წევრს გაწევრიანების შემდეგ არ ჰქონია არანაირი კონტაქტი ასოციაციასთან; (iii) ერთ-ერთი კომპანიის აღიარება ფასების ზრდის შეთანხმებასთან დაკავშირებით არ იქნა გაზიარებული, ვინაიდან ფასების გაზრდაზე გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი პირები არ მონაწილეობდნენ კონკურენტ კომპანიებთან შეხვედრაზე; [581] (iv) აღნიშნული ფასების ზრდა შეფასდა ერთადერთი საბითუმოდ მოვაჭრე კომპანიის მენეჯმენტის სტრატეგიულ გათვლად.[582]

შესაბამისად, მითითებულ საქმეში არსებული პირდაპირი მტკიცებულებების მიუხედავად, სააგენტომ არ ჩათვალა მითითებული გარემოებები საკმარის საფუძვლად, რათა დაედგინა მე-7 მუხლის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული დარღვევა. სააგენტოს გადაწყვეტილება ძირითადად დაეყრდნო გაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს მაჩვენებლებს (ზომიერად კონცენტრირებული გაზარი, სხვადასხვა ფასები, ფასების ცვლილების გარკვეული შუალედი) და კონკურენციის შეზღუდვის სხვა ფაქტობრივი ნიშნების არარსებობის პირობებში არ დაადგინა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ბუნდოვანს ტოვებს რამდენიმე საკითხს:

---

[579] სკს, ბრძანება N162, 30.10.2015.გვ. 49 -50.

[580] თუმცა ფაქტობრივად არ მომხდარა საბითუმო ბუნებრივი აირის ფასის ცვლილება და გაიზარდა მხოლოდ საცალო ფასი ერთადერთი საბითუმო მომწოდებელი კომპანიის მიერ.

[581] შესაბამისად, კონკურენციის სააგენტომ მეტად ფორმალური გარემოება დაუკავშირა შეთანხმებაში მონაწილეობას და აუცილებელ წინაპირობად განსაზღვრა შეთანხმებაში მონაწილე პირის/კომპანიის თანამშრომლის გადაწყვეტილებაუნარიანობა/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა, სკს, ბრძანება N162, 30.10.2015.გვ.50.

[582] ერთ-ერთი მხარე ასევე აღიარებდა ერთადერთ მიმწოდებელთან და ამავდროულად კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთან შეხვედრას და შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ მათი დისკრიმინაციული სარეალიზაციო ფასი რეალურ საბაზრო ნიშნულს დაბრუნებოდა, რაც თანხვედრაში იყო ასოციაციის თავმჯდომარის სატელევიზიო განცხადებასთან (რომელიც საფუძვლად დაედო ამ მოკვლევას). მიმწოდებელი ამ ფაქტს ხსნის იმ გარემოებით, რომ მანამდე არსებული დაბალი ფასით და სხვადასხვა ბონუს აქციებით მან უკვე მოიპოვა მომხმარებელთა ნდობა და სტაბილური რაოდენობა, სკს, ბრძანება N162, 30.10.2015, გვ.44

ა) არის თუ არა ფასზე შეთანხმება კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმების სახე, რომელიც დარღვევას წარმოადგენს ბაზარზე კონკურენციის შემზღუდველი შედეგის არსებობის მიუხედავად?

ბ) რამდენად უნდა ჰქონდეს შეხვედრაში/შეთანხმებაში მონაწილეს გადაწყვეტილების მიღების/წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, იმისათვის რომ კომპანიას მიეწეროს კონკურენციის საწინააღმდეგო მართლსაწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილეობა?

მნიშვნელოვანია, რომ პირველ შეკითხვაზე პასუხს მეტნაკლებად სცემს ახალი გადაწყვეტილება *„საავტომობილო საწვავის" (II)* საქმეში, რომელიც ცალსახად უთითებს ფასის ფიქსირებაზე, როგორც კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე დარღვევაზე.[583] რაც შეეხება მეორე საკითხს, მას პასუხი შეგვიძლია გავცეთ ევროკავშირის პრაქტიკის მაგალითზე. კერძოდ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კარტელში მონაწილეობისთვის სავალდებულო არაა შესაბამის შეხვედრებში გადაწყვეტილების მიმღები პირი (მაგალითად, კომპანიაში წილების მფლობელი, მისი ხელმძღვანელი ან მმართველი) მონაწილეობდეს. უფრო მეტიც - ევროკომისიას იმის მტკიცებაც კი არ სჭირდება, რომ ხსენებულმა პირებმა იცოდნენ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობის შესახებ. ამ დროს, სასამართლო ყურადღებას აქცევს, ესწრებოდა თუ არა შეხვედრებს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და მოქმედებდა თუ არა ის საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში.[584] ამავდროულად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლოა არ იყოს ზოგადი და ეხებოდეს კონკრეტულად იმ შეხვედრას, რომელზეც მოხდა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების მიღწევა. ამ დროს, წარმომადგენელი შეიძლება იყოს რიგითი თანამშრომელიც.[585] საბოლოოდ,

---

[583] *საავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს. ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 59–60.

[584] იხ. Joined cases 100 to 103/80, *SA Musique Diffusion française and others v Commission of the European Communities* [1983] ECR 1825, ECLI:EU:C:1983:158, პბზაცები 97-98.

[585] იხ. Case C-68/12, *Protimonopolný úrad Slovenskej republiky v Slovenská sporiteľňa a.s.* [2013] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2013:71, პბზაცები 24-26.

სავალდებულო არაა, ხსენებულ წარმომადგენელს კონკრეტულად ჰქონდეს მინიჭებული კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში მონაწილეობის, ან მსგავსი შეთანხმების მხარდაჭერის უფლებამოსილება. როგორც ევროკომისია და სასამართლო აღნიშნავენ, მსგავსი აშკარად კანონსაწინააღმდეგო უფლებამოსილებით იშვიათად ვინმე თუ აღჭურვავს საკუთარ წარმომადგენელს.[586]

ა.ბ)„საავტომობილო საწვავის" საქმე[587]

როგორც უკვე აღინიშნა, 2014 წელს ახლად შექმნილმა კონკურენციის სააგენტომ კარტელური შეთანხმების არსებობა დაადგინა საავტომობილო საწვავის ბაზარზე, [588] რაც გამოიხატებოდა ე.წ. „ხუთეულისა" და მათი შუამავალი კომპანიების მიერ კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტების დარღვევაში. ხსენებული გადაწყვეტილებით, სხვა დარღვევებთან ერთად, „ხუთეულს" დაუდგინდა საავტომობილო საწვავის საცალო რეალიზაციის დონეზე შეთანხმებული ფასწარმოქმნის პოლიტიკის არსებობა. სააგენტო დაეყრდნო შემდეგ ძირითად გარემოებებს: (i) ხუთეულის მიერ პარალელური ფასების დაწესებასა და 2014-2015 წლებში ფასების ცვლილების დინამიკას. ამ უკანასკნელის მიხედვით, საცალო ფასები ისე სწრაფად არ შემცირებულა, როგორც Platts[589] ინდექსი; (ii) „ხუთეულის" მიერ დანახარჯებთან შეუსაბამოდ მაღალი ფასების დაწესებას; (iii) ეროვნული მასშტაბით ერთიან

---

[586] იქვე, აბზაცები 25-26.

[587] *საავტომობილო საწვავის (I)* საქმე, სკს, გრძანება N81, 14.07.2015; *საავტომობილო საწვავის (II)* საქმე, სკს, გრძანება N04/117, 10.05.2018.

[588] *საავტომობილო საწვავის (I)* საქმე, სკს, გრძანება N81, 14.07.2015.

[589] საუბარია ამერიკული კომპანია S&P Global Platts-ის მიერ ნავთობპროდუქტების ფასებთან დაკავშირებით სისტემატურად გამოქვეყნებად ინფორმაციაზე, რომელიც ეხება მსოფლიო ბაზრებზე ნავთობპროდუქტების ფასების ცვლილებას. ხსენებული კომპანია მიჩნეულია მსოფლიოში არსებულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დაწესებულებად ნავთობპროდუქტების ფასების სისტემატური რეპორტინგის კუთხით. იხ. „Oil Price Reporting Agencies", Report by IEA, IEF, OPEC and IOSCO to G20 Finance Ministers„ 2011, https://www.iosco.org/library/pubdocs/pdf/IOSCOPD364.pdf.

ფასწარმოქმნას. კერძოდ, „ხუთეულის“ შემთხვევაში, მათ ავტოგასამართ სადგურებზე მოქმედებდა იდენტური ფასები.[590]

როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთო სასამართლოების მიერ გაუქმდა მითითებული გადაწყვეტილება და დაუბრუნდა სააგენტოს ხელახალი მოკვლევისათვის. ფასის ფიქსირების ნაწილში, სააგენტოს დაევალა შეეფასებინა, ფასის მკვეთრი მატების მიუხედავად, ხომ არ იყო სახეზე ფასის განვითარების მსოფლიო ბაზრის ტენდენციებისა და თანმდევი გარეშე ეკონომიკური ფაქტორების (მაგ. ეკონომიკური კრიზისი, ლარის კურსის ცვალებადობა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი) გავლენა ფასის ჩამოყალიბებასა და იმპორტის შეფერხებებზე.[591]

სააგენტოს მიერ აღნიშნულ იქნა, რომ ხსენებულ საქმეში სახეზე იყო ისეთი გამჭვირვალე ბაზარი, „სადაც კონკურენტების ფასებზე მონიტორინგი მარტივად არის შესაძლებელი, ხოლო ეკონომიკური აგენტების მხრიდან სრულიად ლეგიტიმურია, საკუთარი ქცევის სტრატეგიის დაგეგმვისას გაითვალისწინონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ქცევები.“ [592] შესაბამისად, მსგავს ოლიგოპოლიურ ბაზარზე მხოლოდ ფასების პარალელიზმი ვერ გამოდგება კარტელური შეთანხმების არსებობის მტკიცებულებად.

აქვე საგულისხმოა, რომ სააგენტოს მიერ გამოიყო ფასის ფიქსირებაზე სავარაუდოდ მიმანიშნებელი რამდენიმე გარემოება. კერძოდ, სააგენტოს მოსაზრებით, ბაზარზე ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებული ქმედების არსებობის შემთხვევაში, სახეზე უნდა ყოფილიყო:

---

[590] *საავტომობილო საწვავის (I)* საქმე, სკს, გრძანება N81, 14.07.2015, კარი V.

[591] „ლუკოილის“ საქმე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-595-592(კ-17), 28.09.2017, გვ. 6; აგრეთვე „სოკარის“ საქმე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-595-592(კ-17), 28.09.2017, გვ.6.

[592] *საავტომობილო საწვავის* საქმე (II), სკს, გრძანება N04/117, 10.05.2018, გვ.69; აგრეთვე „სოკარის“ საქმე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება „ლუკოილის“ საქმე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-595-592(კ-17), 28.09.2017, გვ. 7; აგრეთვე „სოკარის“ საქმე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-500-497(კ-17), 14.07. 2017, გვ. 7.

- ✓ საწვავის ყოველდღიური ფასების ზრდის ტენდენცია, რომელიც არ იქნებოდა ეკონომიკურად და ფინანსურად დასაბუთებული;[593]
- ✓ ჩვეულებრივზე მაღალი მოგების არსებობა;[594]
- ✓ პარალელური ქმედებიდან გადახვევის შემთხვევაში სანქცირების მექანიზმის გამოყენება.[595]

ახალი გადაწყვეტილებით სააგენტომ გაიზიარა, რომ კომპანიათა ქცევა განპირობებული იყო ეკონომიკურად ახსნადი ლოგიკური საფუძვლებით და არ წარმოადგენდა შეთანხმების ნაწილს. ყოველდღიური საცალო ფასის განსაზღვრაში და პარალელიზმის არსებობაში გადამწყვეტ ფაქტორებად სააგენტოს მიერ დასახელდა: (i) Platts-ის ფასი, როგორც თვითღირებულების ძირითადი განმსაზღვრელი; (ii) ლარის გაცვლითი კურსი იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიები პროდუქციას დოლარში შეიძენდნენ; (iii) კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ქცევა და ბაზრის მოცემულობა (პროდუქტის ერთგვაროვნება, ეკონომიკურ აგენტთა მცირე რაოდენობა, გამჭვირვალობა, მსგავსი შიდა დანახარჯების არსებობა, გადასახადების ერთიანი სისტემა).[596] სააგენტოს მიერ ასევე ხელახლა შეფასდა ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან საწვავის Platts ინდექსთან შედარებით ფასების შენელებული კლების ტენდენცია. სააგენტოს მიერ გაზიარებულ იქნა ეკონომიკურ აგენტთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები, [597] რომლის თანახმადაც აღნიშნული განპირობებული იყო გარეშე ფაქტორებით/შოკებით, მათ შორის: (i) ლარის კურსის სტაბილურობის მნიშვნელოვანი რყევით; (ii)

---

[593] *საავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 62.

[594] იქვე. გვ. 71.

[595] იქვე. გვ. 69.

[596] იქვე. გვ. 70.

[597] სააგენტოს მიერ გაზიარებულ იქნა სან პეტროლიუმი არგუმენტი, რომ „საავტომობილო საწვავის ბაზარზე ფასების ღიად და თვალსაჩინოდ არის მითითებული ტაბლოზე. რა შემთხვევაშიც სრულიად ლოგიკურია, ერთი კომპანიის მიერ ფასთა ცვლილებას მოჰყვეს მეორე კომპანიის მიერ საპასუხო ცვლილება, ყოველგვარი შეთანხმების აუცილებლობის გარეშე." ერთი მხრივ, აკლებს ფასს, რათა გაუწიოს კონკურენცია მეორე საწარმოს და მეორე მხრივ ზრდის, რათა დააკომპენსიროს პროდუქტის გაზრდილი თვითღირებულება (განსაკუთრებით როდესაც თვითღირებულებაზე ერთნაირი ფაქტორების ახდენენ ზეგავლენას). *საავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 68.

მარაგების მიღებასა და მარაგებისთვის ანგარიშსწორებას შორის დროის შუალედით; (iii) ზემოხსენებულის შედეგად მოსალოდნელი სავალუტო რისკების გათვალისწინებით. ეს ყველაფერი სრულებით შესაძლებელია ყოფილიყო ეკონომიკურ აგენტთა დამოუკიდებელი სტრატეგიის ნაწილი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, Platts ინდექსთან შედარებით ფასების შენელებული შემცირება სააგენტოს მიერ შეფასდა, როგორც ბუნებრივი ეკონომიკური მოვლენა, იმ პერიოდში ლარის კურსის მკვეთრი ცვალებადობის რისკისა და მარაგების დაგეგმვის გათვალისწინებით.[598]

სააგენტოს მიერ დამატებით შეფასდა შემდეგი გარემოებები:

მარკეტინგული აქტივობები. კომპანიების მიერ დამატებით წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ისინი ხშირად მიმართავდნენ არასაფასო კონკურენციის მეთოდებს (მაგალითად, გარკვეული ტიპის მარკეტინგულ აქტივობებს) და ამ გზით ცდილობდნენ მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი პროდუქტის განსაკუთრებულობის წარმოჩენას.[599] ეს კარტელისთვის ატიპიურ ქმედებას წარმოადგენს.[600]

შეუსაბამოდ მაღალი ფასნამატი. სააგენტო ფასნამატთან დაკავშირებით მნიშვნელოვან განმარტებას აკეთებს. კერძოდ, მითითებულია, რომ თავდაპირველ გადაწყვეტილებაში მაღალი ფასნამატის მითითება არ წარმოადგენდა კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების მტკიცებულებას ან ბაზრის რეგულირების მცდელობას (როგორც ეს მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან იქნა აღქმული). ამის საპირისპიროდ, ეს შემთხვევა განხილულ იქნა, როგორც ბაზრის არაეფექტიანობის მაჩვენებელი და შესაბამისად, ეფექტიანი ბაზრის შემთხვევაში

---

[598] ლიტერატურაში „რაკეტების და ბუმბულების" ('rockets and feathers') ფენომენით ცნობილი. იხ. მაგ. OECD Roundtable on Competition in Road Fuel, 2013, DAF/COMP(2013)18, ხელმისაწვდომია: https://www.oecd.org/competition/CompetitionInRoadFuel.pdf, გვ. 30 და მომდევნო; იხ. *სავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, გრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 68-69.

[599] იქვე, გვ. 75 და მომდევნო.

[600] გადახურვის სამშენებლო მასალების ბელგიელ მწარმოებლებთა ასოციაციის წევრები კარტელის ეფექტიანი მართვისა და შენარჩუნებისთვის, საერთო ბრენდირების და რეკლამირების გზით ცდილობდნენ მომხმარებელთა თვალში შეექმნათ განსხვავებული პროდუქციის ჰომოგენურობის ილუზია, BELASCO, OJ [1986] L 232/15.

მოსალოდნელი ფასწარმოქმნის ერთგვარ სენტენციას/მოდელირებას წარმოადგენდა. სააგენტო მხოლოდ იძიებდა, ხომ არ იდგა ამ არაეფექტიანობის უკან კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება.[601]

ზემოხსენებული სახის ფასნამატი ასევე შეიძლება უთითებდეს ჩვეულებრივზე მაღალი მოგების არსებობაზე, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობის ერთ-ერთ მაჩვენებლად განიხილება სააგენტოს მიერ. იმის გათვალისწინებით, რომ საკმაოდ რთულ ამოცანად იქნა შეფასებული წმინდა კონკურენტულ ბაზარზე ოპტიმალური ფასების დონის განსაზღვრა, სააგენტოს მიერ აღნიშნული გარემოება არ იქნა მტკიცების პროცესში გათვალისიწინებული.[602]

ერთიანი ფასწარმოქმნის პოლიტიკა. ერთიანი ფასწარმოქმნის პოლიტიკა სააგენტოს მიერ შეფასებულ იქნა, როგორც ბაზრის სტრუქტურასა და კომპანიების ლოგიკურ მარკეტინგულ გათვლებზე დაფუძნებული ბაზრის ჩვეულებრივი მოცემულობა. აღნიშნული დასკვნა სააგენტოს მიერ დაეფუძნა შემდეგ გარემოებებს: (i) ადმინისტრაციული უპირატესობა - ბუღალტრული აღრიცხვიანობის და ფასის მართვის სიმარტივე; (ii) მარკეტინგული გათვლა - ბრენდისადმი ლოიალურობა და კლიენტების მოლოდინების გამართლება; (iii) საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირების მინიმალური დანახარჯების არსებობა; (iv) ოლიგოპოლიური ბაზრის სტრუქტურა; [603] (v) დასახელებული პრაქტიკის ჯერ კიდევ შეუზღუდავი ბაზრის პირობებში არსებობა.[604]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სააგენტომ დაასკვნა, რომ როდესაც ბაზარზე წარმართულ გარკვეულ პროცესებს აქვთ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებისგან განსხვავებული სხვა

---

[601] *საავტომობილო სატვირთის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 70 და მომდევნო.

[602] იქვე. გვ. 72.

[603] იქვე; თუმცა ძლიერი ლოკალური კონკურენციის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ეკონომიკური აგენტების მხრიდან განსხვავებული საფასო პოლიტიკის შემუშავებას კონკრეტული აგს-ების შემთხვევაში.

[604] იქვე.

ალტერნატიული გონივრული ახსნა, ე.წ პლუს ფაქტორის[605] მეთოდი აღარ გამოიყენება და შეთანხმებების დამამტკიცებელ აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს კომპანიებს შორის კომუნიკაციის არსებობის პირდაპირი მტკიცებულება. [606] შესაბამისად, საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობით და იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოს არ მოეპოვებოდა პირდაპირი ხასიათის მტკიცებულება მხარეთა შორის რაიმე ფორმის, პირდაპირი ან არაპირდაპირი კომუნიკაციის არსებობის თაობაზე, საკასაციო პალატის მიერ დადგენილი მტკიცების მაღალი ხარისხის [607] გათვალისწინებით, „ხუთეულის" მიერ ფასების ფიქსირება ვერ დადგინდა.[608]

საგულისხმოა, რომ დამატებით განმარტებას საჭიროებს შემდეგი: ამგვარი კომუნიკაციის მხოლოდ ფაქტის დადასტურება არის საკმარისი, თუ აუცილებელია ასევე კონკურენციის შემზღუდველი შინაარსის დადგენა? მაგალითად, ევროკავშირის პრაქტიკაში ასეთ დროს არ მოითხოვება კომუნიკაციის სრული შინაარსის მოძიება და ანალიზი. ეს კარტელებთან დაკავშირებული ინფორმაციის უაღრეს გასაიდუმლოებას უკავშირდება, რის შედეგადაც ყველაზე ეფექტიანი აღმასრულებლებისთვისაც კი ძალიან რთულია პირდაპირი მტკიცებულებების მოძიება. შედეგად, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო უშვებს კომუნიკაციის შინაარსის კანონსაწინააღმდეგოობასთან დაკავშირებით გარკვეული ვარაუდების გაკეთების შესაძლებლობას. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ ევროკომისიის ხელში აღმოჩენილი პირდაპირი მტკიცებულებები კომუნიკაციის არსებობის შესახებ მცირე რაოდენობისაა და ფრაგმენტულია. [609] ასეთ დროს, დარღვევის დასადგენად ყურადღება ექცევა როგორც პირდაპირ მტკიცებულებებს, ისე საქმესთან დაკავშირებულ ყველა სხვა გარემოებას - დარღვევა დგინდება მტკიცებულებათა

---

[605] „პლუს ფაქტორების" გამოყენებით მტკიცების სტანდარტთან დაკავშირებით იხ. ქვეთავი 6.

[606] *საავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, გრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 78.

[607] იხ. ქვემოთ ქვეთავი 6.

[608] *საავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, გრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 78.

[609] Joined cases C-204/00 P, C-205/00 P, C-211/00 P, C-213/00 P, C-217/00 P and C-219/00 P, *Aalborg Portland A/S and others v Commission* [2004] ECR I-123, ECLI:EU:C:2004:6, აბზ. 55.

ერთობლიობაში ანალიზის საფუძველზე. [610] მსგავსი მიდგომის გაზიარება მიზანშეწონილია ქართველი აღმასრულებლების მიერაც. ეს გააადვილებს საქმის ანალიზს ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც კარტელის მონაწილეები მოახერხებენ კომუნიკაციის დამადასტურებელი მასალების ძირითადი ნაწილის განადგურებას.

ბ) წარმოების, მიწოდების წყაროების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარების და ინვესტიციების შეზღუდვა

ეკონომიკურ აგენტთა მიერ ჭარბი მოგების/ზემოგების მიღების კიდევ ერთი საშუალებაა წარმოებაზე და მიწოდების წყაროებზე შეზღუდვების/ლიმიტების დაწესება. აღნიშნული შეთანხმებით, ეკონომიკური აგენტები ხელოვნურად ერევიან ბაზრის მექანიზმში და მიწოდების მიზანმიმართული შემცირებით იწვევენ ფასების ზრდას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ფასების ფიქსირება წარმოების შეზღუდვასთან ერთობლიობაში გამოიყენება კარტელის წევრების მიერ.[611] ასეთი კარტელი შესაძლოა იყოს უფრო მდგრადი. კერძოდ, წარმოების შეზღუდვისა და ლიმიტების ეკონომიკურ აგენტთა მიერ გაკონტროლების პირობებში, არ იარსებებს ფასის დროებითი გადახვევით მიღებული სარგებელი, რადგან სახეზე არ იქნება გაყიდვებისა და წარმოების ზრდის შესაძლებლობა.

წარმოების შეზღუდვა/ბაზრის კვოტირება, [612] როგორც **კონკურენციის აშკარა დარღვევა, უნდა გაიმიჯნოს ჰორიზონტალური თანამშრომლობის შეთანხმებ(ებ)ისგან** (მაგალითად, ერთობლივი წარმოების, კვლევის და განვითარების, სპეციალიზაციის შეთანხმებები). ეს უკანასკნელნი ერთი შეხედვით შეიძლება იწვევდეს წარმოების შეზღუდვას, თუმცა ემსახურებიან

---

[610] იქვე. აბზ. 57.

[611] Whish, Richard and Bailey, David, *"Competition Law"*, 7th ed., Oxford University Press, 2012, გვ. 533 და მომდევნო.

[612] ევროკავშირის სამართალი ეკონომიკური აგენტების მიერ წარმოებასა ან/და წარმადობაზე შეთანხმებული ლიმიტების დაწესების სინონიმად იყენებს ტერმინს „ბაზრის კვოტირება". შედარებისთვის, საგანტო აღნიშნულ ტერმინს ხშირად იყენებს ბაზრის განაწილების კონტექსტში - *საავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018.

სხვა მნიშვნელოვან, კონკურენციისთვის სასარგებლო მიზნებს.[613] რაც შეეხება ბაზრის კვოტირებას, ის უნდა ჩაითვალოს როგორც კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმება, მიუხედავად იმისა, რომ არ არის მითითებული კანონის მე-8 მუხლით დადგენილ გამონაკლისებში.[614] ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ კონკურენციის სააგენტოს მიერ შექმნილ გზამკვლევ დოკუმენტში[615] ბაზრის კვოტირება მოხსენიებულია, როგორც კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმება. ანალოგიური მიდგომაა ევროკავშირის სამართალში:[616] როდესაც წარმოების შეზღუდვის მიზანი მიწოდების შემცირების შედეგად ფასების გაზრდაა, ეს კონკურენციის შეზღუდვის მიზნად ითვლება.

კვოტირება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ეროვნული, ისე რეგიონალური და საერთაშორისო ბაზრების დონეზე. ამ უკანასკნელის მართლზომიერი კვოტირების მაგალითია სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის - ნავთობის ექსპორტიორთა ქვეყნების ორგანიზაციის (OPEC) კარტელი. ხსენებული კარტელი წარმოადგენს ნავთობის მომპოვებელი ქვეყნების შეთანხმებას ამ პროდუქტის წარმოების ოდენობის თვითშეზღუდვის თაობაზე. თუმცა, მის უარყოფით შედეგებზე არაერთი სტატია, თუ ნაშრომია დაწერილი.[617]

კონკურენციის სააგენტო *„საავტომობილო საწვავის“* (II) საქმეში უთითებს, რომ კონკურენციის კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული

---

[613] იხ. ქვეთავი 4.5; ასევე თავი 4 - „კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებიდან გამონაკლისი.“

[614] იხ. ქვეთავი 3.3.

[615] საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები“, მაისი 2017, გვ. 10, ხელმისაწვდომია: http://competition.ge/ge/page4.php?b=569%3E. (შემდგომში „ზოგადი ხასიათის გზამკვლევი დოკუმენტი“).

[616] Commission Staff Working Document, *"Guidance on restrictions of competition "by object" for the purpose of defining which agreements may benefit from the De Minimis Notice"*, Section 2.4. ასევე Case C-209/07 Beef Industry Development Society (BIDS).

[617] იხ. მაგ. Alhajji, Anas & Huettner, David *"OPEC and Other Commodity Cartels: A Comparison"*, 28 Energy Policy 15 (2000), გვ. 1151–1164.

დარღვევის დასადასტურებლად აუცილებელია შემდეგი გარემოებების/წინაპირობების კუმულატიური დაკმაყოფილება:[618]

„ა) შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებულია ხელშეკრულება, მიღებულია ერთობლივი გადაწყვეტილება,[619] ან არსებობს სხვაგვარი შეთანხმება;[620]

ბ) აღნიშნული შეთანხმების მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა;

გ) აღნიშნული შეთანხმება ზღუდავს წარმოებას, ბაზარს, ტექნოლოგიურ განვითარებას ან ინვესტიციებს."

პირველი ორი წინაპირობა ზედა თავებში იქნა განხილული.

აქვე, საგულისხმოა, რომ სააგენტო „ბ" და „გ" ქვეპუნქტებს განიხილავს დამოუკიდებელ წინაპირობებად მაშინ, როდესაც მე-7 მუხლში ჩამოთვლილია მხოლოდ ისეთი სპეციალური შემთხვევები, რომლებსაც თავისთავად მიზნად აქვს ან სულ ცოტა შედეგად შეიძლება მოჰყვეს ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა. ძნელად წარმოსადგენია წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიების და ინვესტიციების შეზღუდვა, რომელსაც მიზნად არ აქვს ან სულ ცოტა შედეგად არ მოჰყვება კონკურენციის შეზღუდვა.

საგულისხმოა, რომ წარმოების ან/და მიწოდების ბაზრის შეზღუდვის ფაქტის არსებობის დადასტურებისთვის ევროკავშირის სამართალში მხარეთა სუბიექტური ნება ანუ წარმოების შეზღუდვის განზრახვა არ არის გადამწყვეტი კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმების დასადგენად. [621] მაგალითად, BIDS-ის საქმეში, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ არ მიიღო კარტელში მონაწილე მხარეთა გასამართლებლად ის არგუმენტი, რომ მათი მხრიდან

---

[618] *საავტომობილო სარჭავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 50.

[619] ნებისმიერი სახის ერთობლივი გადაწყვეტილება ორზე მეტი მხარის შეთანხმებაა. შესაბამისად, აღნიშნული დანაწესი უნდა განიმარტოს, როგორც ასოციაციების/დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანების მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამავდროულად, ხსენებული ასოციაციები/გაერთიანებები უნდა გაიმიჯნოს ერთიანი ეკონომიკური სუბიექტისგან - იხ. ქვეთავი 3.1.ბ; როგორც წესი, საქართველოში ასეთი ასოციაციები რეგისტრირდებიან არაკომერციული/არასამეწარმეო იურიდიული პირების სახით.

[620] ამ კონკრეტულ წინაპირობაში უნდა ვიგულისხმოთ ასევე შეთანხმებული ქმედება.

[621] Case C-209/07, *Competition Authority v Beef Industry Development Society Ltd and Barry Brothers (Carrigmore) Meals Ltd* [2008] ECR I-8637.

წარმოების შემცირების მიზანი, კონკურენციისთვის ზიანის ნაცვლად, რეცესიაში მყოფი საქონლის ხორცის ინდუსტრიის გადარჩენა იყო.[622] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი უნდა გააჩნდეს თავად შეთანხმებაში გამოხატულ შეზღუდვის სახეს. ამავდროულად, დარღვევის დადგენისას მნიშვნელობა არ აქვს იმას, ხსენებულ შეთანხმებას გააჩნია თუ არა დამატებითი (კონკურენციის გარკვეულწილად წამახალისებელი ან სხვა მხრივ სასარგებლო) მიზნები.[623] ეს მიდგომა ვრცელდება ნებისმიერ შეთანხმებაზე, რომელსაც აქვს კონკურენციის შეზღუდვის მიზანი.

ტექნოლოგიური განვითარების შეზღუდვის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, მაგალითად პოტენციურ კონკურენტთან შეთანხმება ახალი პროდუქტის განვითარების /წარმოების აკრძალვის თაობაზე. მსგავსი შეზღუდვის სახეს მიეკუთვნება პოტენციურ კონკურენტთან გაფორმებული ისეთი შეთანხმებაც, რომლის შესაბამისადაც ეს უკანასკნელი (კონკრეტული ანაზღაურების სანაცვლოდ) გარკვეული პერიოდით დააყოვნებს ბაზარზე საკუთარი პროდუქტის შემოტანას (ე.წ. „pay-for-delay" შეთანხმება).[624]

ქართულ პრაქტიკაში ბაზრის/მიწოდების წყაროების შეზღუდვის პირველი შემთხვევა „საავტომობილო საწვავის" (I) საქმეში დადგინდა:

ბაზარზე მოქმედი ე.წ. „ხუთეულის" და მათთან დაკავშირებული კომპანიების მიერ კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის დარღვევა ორი მიმართულებით გამოიკვეთა: (i) 2012 წლამდე იმპორტის ხელოვნური შეზღუდვა, რაც (სააგენტოს მტკიცებით) დგინდებოდა 2008 წლიდან მოყოლებული იმპორტიორთა რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირებით და ხუთეულის იმპორტის წილის გაზრდით; (ii) 2009-2012 წლებში კომპანიების მიერ ე.წ. კარტელისგან დამოუკიდებელი

---

[622] Case C-209/07, *Competition Authority v Beef Industry Development Society Ltd and Barry Brothers (Carrigmore) Meals Ltd* [2008] ECR I-8637.

[623] მე-7 მუხლის გზამკვლევი, გვ. 39.

[624] მაგალითად, იხ. Case T-472/13, *H. Lundbeck A/S and Lundbeck Ltd v European Commi*: [2016] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:T:2016:449.

სუბიექტებისთვის საწვავის მიწოდებაზე უარი ან მხოლოდ არამომგებიანი პირობებით შეთავაზება (კონსტრუქციული უარი, „მარჟის შეზღუდვა“ [625]), რასაც მოჰყვა ასეთი სუბიექტების ბაზრიდან განდევნა მათი აქტივების დაპატრონების მიზნით.

მითითებული გადაწყვეტილების ბაზრის შეზღუდვის ნაწილში გაუქმება სააგენტოს მხრიდან მტკიცების ტვირთის დაუკმაყოფილებლობით იყო განპირობებული. კონკრეტულად, *„ლუკოილის“* საქმეში საკასაციო პალატის განმარტებით, სააგენტო ვერ ამტკიცებდა, თუ რა ფორმით ან/და საშუალებით შეზღუდეს კონკრეტულმა ეკონომიკურმა აგენტებმა იმპორტი. ამასთან, სასამართლომ სააგენტოს დაავალა მითითებული იმპორტის შეზღუდვაზე ან/და ეკონომიკურ აგენტთა ბაზრიდან გასვლაზე დამატებითი გარემოებების გავლენის შეფასება. ხსენებულ გარემოებებს მიეკუთვნებოდა, მაგალითად, საქართველოს და რუსეთს შორის არსებული ომის შედეგად გამოწვეული რთული ეკონომიკური მდგომარეობა და 2008 წლიდან დაწყებულ გლობალური ფინანსური კრიზისი, რასაც შესაძლოა გაერთულებინა ბანკიდან კრედიტების აღება წვრილი იმპორტიორებისათვის და ა.შ. რაც შეეხება საბითუმო მიწოდების შეზღუდვას, სააგენტოს დაევალა შეეფასებინა, ხომ არ იყო მცირე ზომის ეკონომიკური აგენტებისთვის მიწოდებაზე უარი განპირობებული ობიექტური გარემოებებით. ასეთ გარემოებებს შესაძლოა მიკუთვნებოდა გადახდის წესზე, მიწოდების რაოდენობასა და ღირებულებაზე შეუთანხმებლობა, დავალიანების არსებობა და სხვა. ამავდროულად, სააგენტოს უნდა გამოეკვლია, თუ რამდენად იყო შეთანხმების შესაძლო მონაწილე ეკონომიკური აგენტის უარი დისკრიმინაციული - მაგალითად, აწვდიდა თუ არა ეს უკანასკნელი განსახილველ პროდუქტს იმავე პირობებით ე.წ „დაკავშირებულ პირებს“.[626]

---

625 'Margin squeeze', ასევე გავრცელებულია ტერმინი - 'Price Squeeze'.

626 „სოკარის“ საქმე. საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-500-497(კ-17). 14.07.2017. გვ. 7; „ლუკოილის“ საქმე. საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-595-592(კ-17). 28.09. 2019. გვ. 7;

ხელახალი მოკვლევის ფარგლებში, სააგენტომ გადახედა გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებს და მოახდინა ბაზრის იმპორტის, საბითუმო დონისა და ეკონომიკურ აგენტთა ქცევის ხელახალი შეფასება.[627]

ახალი გადაწყვეტილებით სააგენტო შეეცადა შეეფასებინა, (i) წარმოადგენდა თუ არა ბაზარზე საწვავის საბითუმოდ მიწოდების შემცირების ფაქტი მოპასუხე ეკონომიკურ აგენტთა შეთანხმების შედეგს, თუ (ii) განსახილველ ქმედებას სხვა გონივრული ახსნა მოეპოვებოდა. შედეგად, ვერ დადგინდა საბითუმო მიწოდების მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით შეზღუდვა. აღნიშნული დასკვნის გამოტანისას, სააგენტომ გაიზიარა ეკონომიკურ აგენტთა შემდეგი არგუმენტები: (i) ცალკეულ ეკონომიკურ აგენტთა მიერ განხორციელდა საცალო რეალიზაციის სტრატეგიაზე გადასვლა;[628] (ii) კონსიგნაციით მიწოდება იწვევდა ეკონომიკურ აგენტთა მიერ ანგარიშსწორების გართულებას. შესაბამისად, დავალიანებების ფაქტორის გათვალისწინებით, მსხვილი საბითუმო შემსყიდველებისთვის მიწოდების სტრატეგია უფრო მეტ სტაბილურობასა და ფულის ამოღების გარანტიას უზრუნველყოფდა;[629] (iii) საბითუმო მიწოდება სხვა არამოპასუხე ეკონომიკურ აგენტებზე, მართალია შემცირებული რაოდენობით, მაგრამ მაინც ხორციელდებოდა (სააგენტოს მოსაზრებით, აღნიშნული პირები ან შეთანხმების მონაწილეები უნდა ყოფილიყვნენ ან „კარტელს“ უნდა დაეშვა გამონაკლისები სხვა მონაწილეებისთვის. ეს ეწინააღმდეგება შეთანხმების ბუნებას და შესაბამისად, გამორიცხავდა დარღვევის არსებობას).[630]

იმპორტის ნაწილში შეზღუდვის სამართლებრივი შეფასებისას, სააგენტო უთითებს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ მტკიცების მაღალ სტანდარტზე და ადასტურებს, რომ კერძო სამართლის სუბიექტს ვერ ექნებოდა საკმარისი

---

[627] *საავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს. ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 32, ნაწილი I.
[628] იქვე, გვ. 53.
[629] იქვე, გვ. 56.
[630] იქვე.

ადმინისტრაციული და ლოჯისტიკური რესურსი იმპორტის პროცესის გართულების ან სხვაგვარი ხელის შეშლისთვის.[631]

გ) ბაზრის ან მიწოდების წყაროების განაწილება

კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით დადგენილი ბაზრის ან მიწოდების წყაროების განაწილება, პროდუქციის, ტერიტორიის, მომსმარებლის და სხვა ნიშნის მიხედვით, წარმოადგენს კონკურენციის კიდევ ერთი მძიმე ფორმის დარღვევას,[632] რომელიც ქმნის მონოპოლიურ მდგომარეობას კონკრეტულ ტერიტორიაზე, მომხმარებელთა კატეგორიისთვის ან ცალკეულ პროდუქტთან კავშირში. მოცემული დარღვევისას ეკონომიკური ზიანი იგივეა, რაც წინა ორი დარღვევის შემთხვევაში - პოტენციური კონკურენცია აღკვეთილია მომხმარებელთა კეთილდღეობის საზიანოდ: მცირდება წარმოება და იზრდება ფასები.[633] სააგენტოს შეფასებით, ბაზრის განაწილება არის მიზნობრივი დარღვევა. კერძოდ, „დარღვევა მისი ბუნებიდან გამომდინარე, აყენებს ზიანს კონკურენციას და კონკურენციის შემზღუდველი შედეგის შეფასება - რომელიც გამოიხატება მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაში პროდუქციის ფასზე, ხარისხზე, პროდუქციის მრავალფეროვნებაზე, ინოვაციაზე - არ არის აუცილებელი."[634]

ბაზრის განაწილება განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება ევროკავშირის სამართალში, ვინაიდან ის წინააღმდეგობაში მოდის

---

[631] *იმპორტიორთა რაოდენობის შემცირების ყველაზე დიდი მაჩვენებელი თურქმენეთიდან (აზერმაიჯანის გავლით) და აზერმაიჯანიდან საწვავის შემოტანაზე მოდიოდა, რაც განპირობებული იყო აზერმაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის გადაწყვეტილებით. აღნიშნული, რომც იყოს კონკურენციის შემზღუდავი, არ ექცევა მე-7 მუხლის რეგულირების სფეროში, ვინაიდან არ იკვეთება შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის" კოორდინაცია სხვა ეკონომიკურ აგენტებთან და მის და მისი მიზნეს ჯგუფის დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას წარმოადგენს. ხოლო შავი ზღვიდან იმპორტის (რომელიც საჭიროებს შედარებით მაღალ ფინანსურ რესურსებს) მაჩვენებელი მართალია შემცირდა 2011-2012 წლებში, თუმცა საგრძნობლად არ გაზრდილა 2013 წლიდან, როდესაც ბაზარზე სააგენტოს მტკიცებით მოხსნილი იყო ბარიერები. იხ. საავტომობილო საწვავის (II) საქმე.* სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 42-44.

[632] არ ექცევა კონკურენციის კანონის მე-8 და მე-9 მუხლით დადგენილ გამონაკლისებში.

[633] Whish, Richard and Bailey, David, *"Competition Law"*, 7th ed., Oxford University Press, 2012, გვ. 531.

[634] *საავტომობილო საწვავის (II) საქმე.* სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 114.

ევროკავშირის უპირატეს მიზანთან - ერთიანი ბაზრის შექმნასთან/ინტეგრაციასთან.[635]

ევროკავშირის პრაქტიკით, გამონაკლისის სახით, შეიძლება დაშვებული იქნას ბაზრის განაწილება ჰორიზონტალური თანამშრომლობის ფარგლებში იმ მცირე ზომის საცალო მოვაჭრეების/კომპანიების მიერ, რომლებიც გეგმავენ თავიანთი პროდუქციის საერთო ბრენდის ქვეშ განთავსებას/რეკლამირებას, რათა კონკურენცია გაუწიონ შედარებით მსხვილ მოვაჭრეებს.[636] სხვა შემთხვევაში, მათ დამოუკიდებლად არ შეეძლებოდათ ამ მოცულობის ხარჯების გაწევა და შესაბამისად, ეფექტურ კონკურენციას ვერ გაუწევდნენ მსხვილ მოვაჭრეებს.[637]

ბაზრის განაწილების კატეგორიაში ასევე შესაძლოა მოექცეს, მაგალითად, შეთანხმება ქართულ და უცხოურ მწარმოებლებს შორის შიდა წარმოების დასაცავად იაფფასიანი იმპორტის [638] შეზღუდვის თაობაზე.

სხვა ზემოთ მითითებული დარღვევების მსგავსად, ქართულ პრაქტიკაში ბაზრის განაწილების შემთხვევა პირველად *„საავტომობილო საწვავის"* (II) საქმეში[639] დადგინდა, რაც სააგენტოს მოსაზრებით გამოიხატა ზოგიერთი კომპანიის (განსაკუთრებით ლუკოილის) მხრიდან გაფართოებისა და გაყიდვების გაზრდაზე უარის თქმით - საწვავის იმპორტის, ავტოგასამართი სადგურების ოპერირების დაბალი ხარჯებისა და სხვაგვარი ეფექტიანობის (ე.წ ლოიალური კონკურენცია) მიუხედავად.

ახალ გადაწყვეტილებაში სააგენტო ციტირებს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთან მიმართებით თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას (12.04.2017), [640] რომლის თანახმადაც მე-7 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული

---

[635] Whish, Richard and Bailey, David, *"Competition Law"*, 7th ed., Oxford University Press, 2012, გვ. 530 – 531.

[636] იხ. მაგ. Commission's *Guidelines on Horizontal Cooperation Agreements* OJ [2011] C 11/1, აბზ. 252., მითითებულია, Whish, Richard and Bailey, David, *"Competition Law"*, 7th ed., Oxford University Press, 2012, გვ.531.

[637] იქვე, გვ.531.

[638] იაფფასიანია იმპორტი, როდესაც იმპორტირებული პროდუქტის ფასი ქვეყანაში წარმოებულ პროდუქტზე ნაკლებია.

[639] *საავტომობილო საწვავის (I)* საქმე, სკს, ბრძანება N81, 14.07.2015, კარი V.

[640] *საავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018. გვ. 79.

დარღვევის აუცილებელ წინაპირობას კონკრეტული ნიშნით (მომხმარებელთა, ტერიტორიული ან პროდუქციული ნიშნით) ბაზრის განაწილება წარმოადგენს, რაც *„საავტომობილო საწვავის“* (I) საქმეში არ ყოფილა დაკონკრეტებული.

ამასთან, საკასაციო პალატის განმარტებით, **კონკურენციისგან თავშეკავების/ლოიალური კონკურენციის**, როგორც დარღვევის, დადასტურებას მთელი რიგი გარემოებების მხედველობაში მიღება და შეფასება სჭირდება. გათვალისწინებული უნდა იქნას, მაგალითად, მოგების ოდენობა, აქტიურ მომხმარებელთა რაოდენობა და ზრდის ტენდენცია, ბრენდის მიმართ პოტენციურ მომხმარებელთა დამოკიდებულება, ქსელის გაფართოების ეკონომიკური რისკები და სხვა. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით განმტკიცებულ თავისუფალი მეწარმოების პრინციპს. ეს პრინციპი კი მოიცავს მეწარმისათვის თავისუფლების მინიჭებას, კანონით დადგენილ ფარგლებში თავად განსაზღვრონ საქმიანობის შინაარსი და ძირითადი პარამეტრები, გასაწევი ეკონომიკური რისკები და ა.შ.[641]

კონკურენციისგან (ქსელის გაფართოებისგან) თავშეკავება ეკონომიკური შედეგის მიხედვით წარმოების შეზღუდვის კატეგორიას უფრო ემსგავსება, ვიდრე ბაზრის განაწილებას, რაც საბოლოო ჯამში მიწოდების შემცირებას იწვევს და არა ლოკალურ ბაზარზე მონოპოლიას. ტერმინი კვოტირებაც დამკვიდრებულია ისეთი ტიპის დარღვევის აღსანიშნავად, როდესაც წარმოების და მიწოდების ოდენობის განაწილებით, მისაწოდებელი მთლიანი კვოტის შეზღუდვას აქვს ადგილი - ეს გადის წარმოების შეზღუდვის კატეგორიაში. ზოგადად, აღნიშული ქმედების სწორი კვალიფიკაცია მნიშვნელოვანია მე-8 და მე-9 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებისთვის. კერძოდ, თუ კონკურენციისგან თავშეკავება დაკვალიფიცირდება, როგორც წარმოების შეზღუდვის კატეგორია, მასზე თეორიულად

---

[641] „ლუკოილის“ საქმე. საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-595-592(კ-17), 28.09. 2019, გვ. 7-8.

შესაძლებელი იქნება მე-8 და მე-9 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისების გავრცელება.

„საავტომობილო სწავის“ (II) ახალი გადაწყვეტილებით დადგენილი დარღვევის სახე

ხელახალი მოკვლევის შედეგად, სააგენტომ დაადგინა „ხუთეულის“ მიერ „კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევა (2014 წლამდე არსებული რედაქცია)[642] - ბაზრის დაყოფა ბაზრის სხვადასხვა დონეზე (საბითუმო და საცალო) ერთ-ერთის უპირატესი განვითარების გზით, რომელიც ადგილი ჰქონდა 2010 წლიდან 2012 წლის ბოლომდე, თუმცა სანქცირებას დაექვემდებარა მხოლოდ 2012 წლის მარტიდან (ანუ, კონკურენციის კანონის ამოქმედებიდან) რამდენიმეთვიანი პერიოდი.

სააგენტოს განმარტებით, მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის ძველი რედაქცია შეიცავდა სამი შემთხვევის მარეგულირებელ ნორმატიულ შინაარსს:

1. წარმოების შეზღუდვა შეთანხმებაში არამონაწილე პოტენციური და არსებული კონკურენტების საზიანოდ;
2. წარმოების შეზღუდვა ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის მიზნით;
3. შეთანხმებაში მონაწილე პირთა თვითშეზღუდვა ურთიერთსასარგებლოდ.[643]

მაგალითად, A არ აწარმოებს / შეზღუდავს X პროდუქტს, რომელსაც შეისყიდის B-სგან, თუ სანაცვლოდ B არ გაუწევს კონკურენციას Y პროდუქტში, რომელსაც განავითარებს A.

---

[642] „აკრძალულია ეკონომიკურ აგენტებს შორის დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება (შემდგომ – ხელშეკრულება), რომელიც მიზანმიმართულად და არამართლზომიერად ზღუდავს კონკურენციას, კერძოდ: [...] გ) სხვა ეკონომიკური აგენტის კონკურენტუნარიანობის შესაზღუდავად მიზანმიმართულად ზღუდავს წარმოებას, საქონლისა და მომსახურების ბაზრებს ან ტექნოლოგიების განვითარებას;

[643] სააგენტომ განმარტებისას გაითვალისწინა ნორმის ნორმატიული განჭვრეტადობის მნიშვნელობა პასუხისმგებლობის დაკისრებისას და განსაზღვრა, რომ, თუ განმარტების საყოველთაოდ მიღებული მეთოდებით შესაძლებელი ხდება მოცემული ნორმატიული შინაარსის დადგენა, პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი არ წარმოადგენს პრობლემას, *საავტომობილო სწავის (II) საქმე*, სკს. ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 109-110.

პირველი ორი შემთხვევა კანონის ნორმის ცვლილების შემდეგ ჩამოყალიბდა მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტად, მესამე კი ბაზრის განაწილების სპეციალური შემთხვევის სახით ჩამოყალიბდა მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში.[644]

ახალი გადაწყვეტილებით, სააგენტომ ისევ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ბაზრის განაწილებას (სააგენტო კვლავ იყენებს ტერმინს - კვოტირება) სხვადასხვა დონეების (იმპორტის/საბითუმო და საცალო ვაჭრობის დონის) მიხედვით, რაც კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

არსებობდა შეთანხმება, რომ იმპორტის ბაზარზე უპირატესი ძალის მქონე კომპანიებს (ვერტიკალურად ინტეგრირებულ კომპანიებს, რომელთაც საწვავის უპირატესი ხარისხობრივი და საფასო მაჩვენებლები აქვთ) არ უნდა განევითარებინათ საცალო ქსელი და აქედან გამომდინარე, არ უნდა გაეზარდათ საცალო ქსელში რეალიზებული საწვავის მოცულობა. აღნიშნულის სანაცვლოდ, განვითარებული საცალო ქსელის მქონე კომპანიები (ვისოლი, გალფი, სოკარი (ეს უკანასკნელი მხოლოდ ევროპულ საწვავთან მიმართებით)) არ შეისყიდდნენ საწვავს სხვა მომწოდებლებისგან და საწვავს შეიძენდნენ მხოლოდ იმპორტის ბაზარზე ძლიერი საბაზრო ძალის მქონე კომპანიებისგან (ან მათ ჯგუფში შემავალი კომპანიებისგან). შეთანხმების მონაწილე კომპანიების სარგებელი იყო შემდეგი: საცალო ქსელში უპირატესი ძალის მქონე კომპანიებს ჰქონდათ გარანტირებული წვდომა საწვავზე და ასევე გარანტია, რომ იმპორტის ბაზარზე უპირატესი ძალის მქონე კომპანიები არ განავითარებდნენ საცალო ქსელს; ამასთან, იმპორტის ბაზარზე მოქმედ კომპანიებს ჰქონდათ გარანტია, რომ საცალო ბაზარზე მოქმედი კომპანიები არ განახორციელებდნენ საწვავის დამატებით იმპორტს და საწვავს შეისყიდდნენ სწორედ მათგან.[645]

სააგენტო აღნიშნული დასკვნის გაკეთებისას ეყრდნობა შემდეგ ძირითად ფაქტობრივ გარემოებებს:[646]

---

[644] *სააუტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ: 108

[645] *სააუტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ.*94-95.*

[646] იქვე, გვ.94.

- იმპორტის ნაწილში უპირატესი საბაზრო ძალის მქონე კომპანიები (ლუკოილი, რომპეტროლი) არ ახორციელებდნენ საცალო ქსელის განვითარებას;
- სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი ზრდიდა ავტოგასამართი სადგურების რაოდენობასა და საცალო რეალიზაციას იმ პირობებში, როდესაც, მიუხედავად იმპორტის დიდი მოცულობისა, არ გააჩნდა უპირატესი პოზიცია საფასო და განსაკუთრებით ხარისხობრივი მაჩვენებლის გათვალისწინებით;
- სან პეტროლიუმი იმპორტის არარსებობის პირობებში გახდა მსხვილი საცალო რეალიზატორი;
- ვისოლის შემთხვევაში, გაიზარდა ქსელი და საცალო გაყიდვები, როდესაც კომპანია არ გამოირჩეოდა არც იმპორტის ოდენობის და არც საფასო კუთხით უპირატესი შემოტანით.

სააგენტოს მიერ მიჩნეული იქნა, რომ „ერთის მხრივ, სან პეტროლიუმ ჯორჯიას მიერ რისკის აღება - დიდი საცალო სარეალიზაციო ქსელის მომარაგებისთვის, უცხოელი მომწოდებლის გარეშე, დაყრდნობოდა მხოლოდ შიდა საბითუმო მომწოდებლებს, ხოლო მეორეს მხრივ, ბაზრის დანარჩენი მონაწილეების მზაობა, თავიანთი საცალო სარეალიზაციო ქსელის განვითარების ნაცვლად მიეწოდებინათ საქონელი კონკურენტისთვის საბითუმოდ, შეუძლებელი იქნებოდა კონკურენციით განპირობებული ჩვეული რისკების გამორიცხვის გარეშე, რომელიც მხოლოდ წინასწარი შეთანხმებითაა შესაძლებელი."[647]

საგულისხმოა, რომ სააგენტო იმ საკითხის შემოწმებასთან დაკავშირებით, თუ როგორ განვითარდებოდა ბაზარი რომ არა შეთანხმებული ქმედება, განმარტავს, რომ „ბაზრის განაწილება რაიმე ნიშნის მიხედვით ამ ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ბაზრის განაწილების შედეგად მიღებული სურათი უნდა განსხვავდებოდეს იმ

[647] იქვე, გვ. 89.

სურათისგან, რომელიც მიიღებოდა ამ განაწილების არსებობის გარეშე და არ უნდა არსებობდეს ბაზრის ამგვარი განვითარების სხვა ალტერნატიული, სარწმუნო ახსნა, გარდა კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების არსებობისა."[648]

შესაბამისად, კონკურენციის სააგენტომ ეკონომიკური აგენტების მიერ ჩადენილი დარღვევის დადგენა არაპირდაპირი, გარემოებითი მტკიცებულებების საფუძველზე განახორციელა. მან გადაწყვეტილებაში გაკეთებული დასკვნები ძირითადად გაამყარა ბაზრის მონაწილეთა გარკვეული ტიპის ქცევათა შეფასებით, რომელთა დაკავშირებითაც ეკონომიკურმა აგენტებმა სააგენტოს თვალში სხვა ალტერნატიული დამაჯერებელი გონივრული ახსნა (რითაც დადგინდებოდა, რომ აღნიშნული ქცევა თითოეული კომპანიის დამოუკიდებელი სტრატეგიის ნაწილი იყო) ვერ წარმოადგინეს.

დ) სახელმწიფო შესყიდვებში შეთანხმებული პირობებით მონაწილეობა - სატენდერო მანიპულაციები

შეთანხმებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვებში [649] მონაწილეობის მიღება („კონკურენციის შესახებ" კანონის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის, „ვ" ქვეპუნქტი) წარმოადგენს კონკურენციის კანონმდებლობის კიდევ ერთ განსაკუთრებით მძიმე ფორმის დარღვევას. აღნიშნულმა დარღვევამ შეიძლება მოიცვას მე-7 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პრაქტიკულად ყველა სხვა სპეციალური შემთხვევა. თუმცა, მისი კავშირი სახელმწიფო შესყიდვებთან მას აქცევს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებათა კატეგორიაში. მსგავსი ტიპის დარღვევები პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის იმ ძირითად მიზანთან (საბიუჯეტო რესურსის რაციონალური ხარჯვა),

---

[648] იქვე. გვ. 79.

[649] „სახელმწიფო შესყიდვა" არის ელექტრონული ან სხვა საშუალების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, ნებისმიერი საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა კანონში მოცემული სახსრებით. იხ. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 22, 20.04.2005 (კონსოლიდირებული ვერსია 06.12.2018), https://matsne.gov.ge/ka/document/view/31252?publication=69, (შემდგომში -„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონი), მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა".

რისთვისაც არსებობს სახელწიფო შესყიდვების სპეციალური რეჟიმი. როგორც უკვე აღინიშნა, ჯანსაღი კონკურენტული გარემო დაბალი ფასების, მაღალი ხარისხისა და ინოვაციის წინაპირობაა. სწორედ კონკურენტული ბაზრის უპირატესობების სრული უგულებელყოფა ხდება მსგავსი შეთანხმებული ქმედებისას. ასეთ დროს ბიზნესი ფარულად თანხმდება ბაზრის განაწილებაზე, მისაწოდებელი პროდუქტის/მომსახურების ფასის გაზრდაზე ან/და მისი ხარისხის შემცირებაზე.[650]

ამასთან, კარტელური შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვებში განსაკუთრებული ზიანის მომტანია ეკონომიკისთვის, ვინაიდან, როგორც წესი, სახელმწიფო შესყიდვების წილი ძალზე მაღალია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის განსაზღვრისას.[651] დარღვევის სიმძიმეს ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ მსგავსი ტიპის კონსპირაცია ხორციელდება როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის, ისე გადასახადის გადამხდელის ხარჯზე. უფრო მეტიც, შეთანხმებული პირობებით სახელმწიფო ტენდერში მონაწილეობა ცალკეულ შემთხვევებში იწვევს აგრეთვე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც.[652]

სახელმწიფო შესყიდვების გამართული სისტემის არსებობა მნიშვნელოვანია სახელმწიფო რესურსის რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად. [653] აღნიშნულის მიღწევა კი შეუძლებელია ჯანსაღი კონკურენციის დაცვისა და განვითარების გარეშე,[654] რაც

---

[650] OECD, Competition and Procurement, Key Findings, 2011, გვ. 7 და მომდევნო, ხელმისაწვდომია http://www.oecd.org/daf/competition/sectors/48315205.pdf;

[651] კიდევ უფრო მაღალია განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში. ეთგო-ს ქვეყნებში აღნიშნული აღწევს მშპ-ს დაახ. 15%. არა-ეთგო-ს წევრ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია. OECD (2016), *Fighting bid rigging in public procurement: Report on implementing the OECD Recommendation*, სქოლიო 1, გვ. 37; ხელმისაწვდომია http://www.oecd.org/daf/competition/Fighting-bid-rigging-in-public-procurement-2016-implementation-report.pdf.

[652] საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41(48), 13.08.1999 (კონსოლიდირებული ვერსია 22.12.2018), https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=205, 195[1] მუხლი. პრაქტიკაში საჭიროა შეთანხმებული პირობებით ტენდერებში მონაწილეობისას სხვადასხვა აღმასრულებლების (პროკურატურა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო და კონკურენციის სააგენტო) უფლებამოსილებათა გამიჯვნისა და ურთიერთთანამშრომლობის საკითხების დარეგულირება.

[653] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი", მუხლი 2, ქვეპუნქტი „ა".

[654] იქვე, ქვეპუნქტი „ბ".

თავისთავად მიიღწევა როგორც შეთანხმებული ქმედების აკრძალვის, ისე მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომების უზრუნველყოფით. [655] სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომების მოთხოვნა ასევე განმტკიცებულია შესყიდვების შესახებ კანონის მე-13 მუხლით, რომლის თანახმადაც, „საკვალიფიკაციო მონაცემებისთვის წაყენებული მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული და არადისკრიმინაციული და ხელს უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას და პრეტენდენტთა [656] მიმართ თანასწორ მოპყრობას."

შესყიდვების პროცესში კონკურენციის დაცვის ვალდებულება კონკურენციის სააგენტოსთან ერთად დამატებით აკისრია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს [657] . აღსანიშნავია, რომ კონკურენციის დარღვევის ეჭვის არსებობის შემთხვევაში პრეტენდენტს ან შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს შეუძლია გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილება/ქმედება როგორც შემსყიდველ ორგანიზაციაში ან შესყიდვების სააგენტოში, ისე კონკურენციის სააგენტოში.[658]

მე-7 მუხლისგან განსხვავებით, ევროკავშირის სამართლის თანახმად, სატენდერო მანიპულაციები, რომელიც უფრო ფართოდ არის განმარტებული, ვიდრე სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა, წარმოადგენს მიზნობრივ შეზღუდვას და TFEU 101-ე მუხლის ავტომატური დარღვევის კატეგორიაში გადის.[659]

---

[655] იქვე. ქვეპუნქტი „გ"; კონკურენციის შესახებ კანონი, მუხლი 10[1]; კონკურენციის კანონის მე-10[1] მუხლის მოქმედებასთან დაკავშირებით იხ. თავი VII - „კონკურენციის სამართლის მოქმედება სახელმწიფო ორგანოების მიმართ".

[656] აღნიშნული მუხლი უფრო ფართოდ უნდა განიმარტოს და უნდა გავრცელდეს აგრეთვე შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირთა მიმართ. შეადარე განმარტება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონი, მუხლი 3, ქვეპუნქტები მე-3 თ[1] და ი[1].

[657] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონი, მუხლი 22, პუნქტი 8.

[658] იქვე, მუხლი 23, პუნქტი პირველი.

[659] „ტენდერების სისტემაში, კონკურენცია არსებითია. თუ მონაწილეთა მიერ წარდგენილი შეთავაზებები არ წარმოადგენს ინდივიდუალური ეკონომიკურ გათვლების შედეგს, არამედ სხვა მონაწილეების წინადადებების ცოდნას ან მათთან შეთანხმებას, კონკურენცია აღმოფხვრილია, ან სულ ცოტა დამახინჯებული (distorted) და შეზღუდულია, *European Sugar Cartel* (COMP/26.918)" [1973]OJ L140/17, აბზაცი 42; ასევე Commission Staff Working Document, *"Guidance on restrictions of competition "by object" for the purpose of defining which agreements may benefit from the De Minimis Notice"*, Section 2.4.

სატენდერო მანიპულაციებით გამოწვეული კონკრეტული ეკონომიკური ზიანი შეიძლება იყოს:

- ფასების ზრდა;
- პროდუქციისა და სამუშაოების ხარისხის გაუარესება;
- რესურსების არაეფექტიანი გადანაწილება (სხვა პროექტების დაფინანსების შეზღუდვა);
- საბიუჯეტო სახსრების ირაციონალური ხარჯვა;
- მოქმედი/ფაქტობრივი და პოტენციური კონკურენტების ბაზრიდან განდევნა.

მე-7 მუხლით დადგენილ ზოგად წინაპირობებთან ერთად, იმავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სატენდერო მანიპულაციების სპეციალური შემადგენლობის წინაპირობებია:

- სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური აგენტებისთვის ან სხვისთვის მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზანი;
- სახელმწიფო შესყიდვებში სატენდერო წინადადებში შეთანხმებული პირობების დაწესება;
- შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების არსებითი შელახვა.

დარღვევის მოცემული შემადგენლობა რამდენიმე კითხვას წარმოშობს: ვინ უნდა მოვიაზროთ სხვა პირებში? რამდენად არის აუცილებელი მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზანი ამოძრავებდეს კარტელში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს, იქნება ეს სარგებელი შეთანხმებაში მონაწილე ეკონომიკური აგენტებისთვის, თუ სხვისთვის განკუთვნილი? რამდენად აუცილებელია დარღვევის დასადგენად შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესები არსებითად შეილახოს და რა შემთხვევაში ჩაითვლება აღნიშნული წინაპირობა დაკმაყოფილებულად?

საგულისხმოა, რომ მე-7 მუხლის აღნიშნული ფორმულირება ზუსტად იმეორებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1]-ე მუხლის შემადგენლობას, რაც იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ არსებითობა სწორედ სისხლის

სამართლის დანაშაულისთვის მაკვალიფიცირებელი გარემოებაა და იდენტური წინაპირობები კონკურენციის კანონის დარღვევისთვის არ უნდა ყოფილიყო კანონმდებლის მიერ გათვალისწინებული. გაუგებარია, რატომ უნდა იყოს თავისთავად მძიმე კატეგორიის დარღვევისთვის დამატებითი წინაპირობა - შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესის არსებითი შეზღუდვა, კონკურენციის სამართლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძველი. აღსანიშნავია, რომ არც კონკურენციის სააგენტო აქამდე განხილულ საქმეებში ცალკე არ გამოყოფს აღნიშნულ წინაპირობას.

ამასთან, სააგენტოს განმარტებით, კანონის მე-7 მუხლის „ვ" ქვეპუნქტის დარღვევა არ ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე სუბიექტებზე, არამედ ისეთ პირებზეც, რომლებიც საერთოდ არ მონაწილეობენ ასეთ შესყიდვაში, თუმცა შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ მონაწილეობა. ასეთ დროს ადგილი აქვს მონაწილეობისგან თავშეკავებას.[660]

ასეთ დასკვნას განამტკიცებს კონკურენციის კანონის მე-7 მუხლის „ვ" ქვეპუნქტში მოცემული დებულების - „სხვისთვის" სატენდერო პირობების დაწესების ერთადერთი ლოგიკური განმარტება. აღნიშნული მოიცავს ტენდერში მონაწილეობის მსურველი და არა მხოლოდ მონაწილე ეკონომიკური აგენტისთვის გარკვეული პირობების დადგენას, თუნდაც ეს ეხებოდეს ტენდერში მონაწილეობისგან თავშეკავებას.

რაც შეეხება სარგებლის მიღების აუცილებლობას სააგენტო *„სიტროენ ჯორჯიას" (II)* საქმეში შეთანხმების აუცილებელ წინაპირობად განსაზღვრავს შეთანხმების მონაწილეთა მიერ სარგებლის მიღებას.[661]

---

[660] *სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018. გვ. 12.

[661] შესაბამისად, ისეთ ტენდერებთან მიმართებით, სადაც გამარჯვებულად გამოცხადდა არა-მოპასუხე ეკონომიკური აგენტი, სააგენტოს მოსაზრებით კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას ვერ ექნებოდა ადგილი. შესაბამისად, <u>სხვის მიერ</u> სარგებლის მიღებას სააგენტოს ცალსახად არ განისილავს მე-7 მუხლის „ვ" ქვეპუნქტის წინაპირობად. თუმცა სააგენტოს მოცემული მსჯელობა სადავოა რამდენიმე მიმართულებით: რამდენად აუცილებელი წინაპირობაა მონაწილეების მიერ სარგებლის მიღების მიზანი შეთანხმების დასადასტურებლად? იქნებ მონაცვლეობით ტენდერში გამარჯვების ტაქტიკა იყო მოპასუხე და არა-მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის? თუ მიიჩნევა, რომ საჩივრის საფუძველზე დაწყებული მოკვლევის ფარგლებში, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას გასცდეს

კონკურენციის სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებებით იგეგმება მე-7 მუხლის პირველი პუნქტიდან „ვ“ ქვეპუნქტის ამოღება. ეს იმით არის განპირობებული, რომ იმავე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი აკრძალვა ეხება კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებს ნებისმიერ კონტექსტში: მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების დროს. ამრიგად, მითითებული ცვლილების გაზიარების შემთხვევაში, აღარ იარსებებს სატენდერო მანიპულაციების სპეციალური შემადგენლობის ზემოთ განხილული ბუნდოვანი წინაპირობები.

კარტელისთვის ხელსაყრელ ზემოთ განხილულ ზოგად გარემოებებთან ერთად, სახელმწიფო შესყიდვებში შეთანხმების ხელშემწყობი ფაქტორია პერიოდული ტენდერები. ეს იმიტომ ხდება, რომ სრულიად განჭვრეტადი ხდება ტენდერების ღირებულება და მათი ჩატარების პერიოდულობა. აღნიშნული ხელს უწყობს კარტელის შექმნისათვის აუცილებელი საერთო პოლიტიკის შემუშავებას - ტენდერების თანაბარ გადანაწილებას. ამავდროულად, ეს სიტუაცია ქმნის შეთანხმებიდან გადახვევის შემთხვევაში დასჯის ეფექტიან მექანიზმებს. [662] სატენდერო მანიპულაციების ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია:[663]

დასახელება		*განმარტება*
მოჩვენებითი შეთავაზება (cover bidding)	⟶	ეკონომიკური აგენტი ტენდერში აფიქსირებს სრულიად არაკონკურენტულ ფასს ან სხვა პირობებს, რათა შექმნას კონკურენციის არსებობის ილუზია.

საჩივრის ფარგლებს და შეაფასოს ახლად აღმოჩენილი გარემოებები, თუნდაც არამოპასუხე ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით? იხ. *სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, *ბრძანება* N04/166, 06.07.2018, გვ. 27 და 42.

[662] OECD (2016), *Fighting bid rigging in public procurement: Report on implementing the OECD Recommendation*, გვ. 39; ხელმისაწვდომია http://www.oecd.org/daf/competition/Fighting-bid-rigging-in-public-procurement-2016-implementation-report.pdf

[663] იქვე, გვ. 38; ასევე იხილეთ *სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018, გვ. 11.

შეთავაზებისგან თავის შეკავება (bid suppression)		ეკონომიკური აგენტი თავს იკავებს ტენდერში მონაწილეობისაგან, ან ვაჭრობის მსვლელობისას უკან იხმობს წინადადებას.
მონაცვლეობით შეთავაზებები (bid rotation)		ეკონომიკური აგენტები მონაცვლეობით ინაწილებენ ცალკეულ ლოტებს/ტენდერებს. შესაბამისად, ისინი არ შედიან ყველა ტენდერში, სადაც კონკურენციის გაწევა შეუძლიათ.
ბაზრის განაწილება (market sharing)		ეკონომიკური აგენტები მონაწილეობას იღებენ ტენდერებში მხოლოდ კონკრეტულ შემსყიდველებთან მიმართებით ან მხოლოდ კონკრეტულ გეოგრაფიული არეალში.

ტენდერის მიღმა დარჩენილი ეკონომიკური აგენტები ინაწილებენ მოგებას შემდგომი საშუალებებით: (i) ქვეკონტრაქტის ან მომარაგების კონტრაქტის გაფორმება კონკურენტებთან; (ii) ფულადი ანაზღაურება ყალბი ინვოისის საფუძველზე; (iii) შემდგომ ტენდერში გამარჯვების დათმობა და ა.შ.

კონკურენციის სააგენტოს პოზიციით, ტენდერში მონაწილეობისგან თავშეკავებისა და მოჩვენებითი შეთავაზების ეკონომიკური შინაარსი უთანაბრდება „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევას - წარმოების შეზღუდვას, რაც იწვევს მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსსა და შესაბამისად, არასამართლიან ფასწარმოქმნას. [664] ამასთან, სახელმწიფო შესყიდვასთან კავშირი მას აქცევს „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების კატეგორიაში, რაც, თავის მხრივ, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ექცევა

[664] *იხ. სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018, გვ. 26.

მძიმე კატეგორიის, მიზნობრივ დარღვევებში, რაზედაც არ ვრცელდება მე-8 და მე-9 მუხლის საგამონაკლისო ნორმები.[665]

2019 წლის აპრილის მდგომარეობით, კონკურენციის სააგენტოს განხილული აქვს სახელმწიფო ტენდერებთან დაკავშირებული არაერთი საქმე. კანონის მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებული საქმეების ანალიზი მოკლედ გადმოცემულია ქვემოთ.

„*სასკოლო ავტობუსების*“ საქმე[666]

სასკოლო ავტობუსების საქმეში სააგენტოს მიერ განიმარტა, რომ კანონსაწინააღმდეგოა ტენდერის კოლექტიური „ბოიკოტირება“ და მასში მონაწილეობისგან თავშეკავება, თუ აღნიშნული „წარმოადგენდა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების მიზანს ან შედეგს და არა ეკონომიკური აგენტის ბუნებრივ, რაციონალურ ქცევას ბაზარზე.“ [667] ბუნებრივია, ამ ქცევაში უნდა ვიგულისხმოთ ეკონომიკური აგენტის დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, თავი შეიკავოს ტენდერში მონაწილეობისგან, როდესაც არსებობს ამის ობიექტური მიზეზი. ამავდროულად, მსგავსი თავშეკავება არ უნდა იყოს შეთანხმების ან შეთანხმებული ქმედების ნაწილი. განმარტებაში არ იკვეთება სააგენტოს პოზიცია, თუ რამდენად მიაკუთვნებს ეს უკანასკნელი სატენდერო მანიპულაციებს კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმებების კატეგორიას.

სააგენტო მტკიცების პროცესში დეტალურად აფასებს ეკონომიკურ აგენტთა მიერ ტენდერში მონაწილეობის სიხშირეს, ტენდენციებს და მათ შორის კონკურენციას. ფასდება ისიც, თუ რითი იქნა განპირობებული პოტენციური მომსახურების გამწევი ეკონომიკური აგენტების მხრიდან მითითებული ტენდერით დაინტერესების ნაკლებობა.

---

[665] იხ. ქვეთავი 3.3. „კონკურენციის შეზღუდვის, აკრძალვის ან/და დაუშვებლობის მიზანი/შედეგი“.

[666] *სასკოლო ავტობუსების* საქმე, სკს, ბრძანება N04/167, 23.06.2017.

[667] მოცემულ საქმეში სააგენტოს განმარტებით „ბოიკოტირებას“ გააჩნდა ობიექტური მიზეზი, რაც გულისხმობდა მომსახურების ხარჯების მნიშვნელოვან ზრდას სატენდერო ფასის გაზრდის გარეშე, იხ. სკს, ბრძანება N04/167, 23.06.2017, გვ. 37.

განსახილველ საქმეში ტენდერში მონაწილეობისგან თავშეკავების მიზეზად დასახელდა როგორც მსხვილი ლოტების გამოტანა, ისე ტექნიკური ბარიერები - მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების გამართული ბაზის არარსებობა. სააგენტომ ასევე შეამოწმა, ხომ არ ჰქონდა ადგილი სატენდერო დოკუმენტაციის ერთი და იმავე კომპიუტერიდან (IP მისამართები) ატვირთვის ფაქტს. საბოლოო ჯამში, მე-7 მუხლის „ვ" ქვეპუნტის დარღვევა არ დადგინდა.

„სიტროენ ჯორჯიას" (I) საქმე[668]

სააგენტოს განმარტებით, კონკურენციის კანონის მე-7 მუხლის „ვ" ქვეპუნქტი მოიცავს ბაზრების გადანაწილებას რაიმე ნიშნით და გარკვეულ პროდუქციაზე სპეციალიზაციას. ამავდროულად, სახელმწიფო ტენდერებში მსგავსი ქმედების განხორციელებისას, ხსენებული სახის დარღვევა წარმოადგენს სპეციალურ შემთხვევას.[669]

„სიტროენ ჯორჯიას" (I) საქმეში მომჩივანი ამტკიცებდა, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში ჩატარებულ 12 ტენდერში მონაწილე ორ სუბიექტს განაწილებული ჰქონდათ ბაზარი. გადანაწილება იმგვარად ხდებოდა, რომ 6 ტენდერში გამარჯვებული იყო ერთი კომპანია, ხოლო დარჩენილ 6-ში - მეორე. ამავდროულად, არცერთ შემთხვევაში არ დაფიქსირებულა ფასების კლება, რადგან თითოეულ ტენდერში მხოლოდ ერთი სუბიექტი მონაწილეობდა.[670]

სააგენტომ, არასათანადო მომჩივანის საფუძვლით, უარი თქვა მოკვლევის დაწყებაზე. თუმცა, ამავდროულად, გაზიარებული იქნა ეკონომიკური აგენტების ალტერნატიული ახსნა ხსენებულ ტენდერებში მონაწილეობის არმიღების მიზეზების შესახებ, კერძოდ: (i) სათანადო ტექნიკური მახასიათებლების

---

[668] სკს, ბრძანება N241, 23.12.2016.

[669] შეადარე უფრო მოგვიანებით *სასკოლო ავტობუსებზე* მიღებული გადაწყვეტილება, სადაც ბაზრის განაწილების სამართალდარღვევის ეჭვის არსებობა შეფასდა მე-7 მუხლის „გ" ქვეპუნქტის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო ავტობუსების საქმეში რეალურად სადავო იყო სახელმწიფო შესყიდვებში შეთანხმებული პირობებით მონაწილეობის ან მონაწილეობისგან თავშეკავების ფაქტი: სკს, ბრძანება N04/167, 23.06.2017, გვ. 32.

[670] სკს, ბრძანება N241, 23.12.2016, გვ. 6.

დაუკმაყოფილებლობა; (ii) კონკრეტულ შემთხვევაში მიწოდების ვადების დაცვის შეუძლებლობა და (iii) შემსყიდველი ორგანიზაციის საბიუჯეტო ლიმიტებში შესაბამისი პროდუქტის მიწოდების წამგებიანობა. ამავდროულად, გამოიკვეთა დროის განსახილველ მონაკვეთს მიღმა ჩატარებულ ტენდერებში ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის ფაქტი, როგორც დამატებითი გამამართლებელი გარემოება.[671]

„სიტროენ ჯორჯიას“ (II) საქმე:[672]

მოკვლევა ჩატარდა 6 ეკონომიკური აგენტის მიერ ურთიერთშეთანხმებული გზით სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის შედეგად ბაზარზე კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვის - მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის დარღვევის თაობაზე. მომჩივანი უთითებდა: (i) მსუბუქი ავტომობილების 58 საჭვო ტენდერზე, სადაც მხოლოდ ერთი პრეტენდენტი მონაწილეობდა და (ii) 60 ტენდერზე, სადაც ერთზე მეტი მონაწილეობდა.

მოცემულ საქმეში გამოიკვეთა სააგენტოს პოზიცია სახელმწიფო ტენდერში შეთანხმებული პირობებით მონაწილეობის შესახებ შეთანხმების კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის მქონე შეთანხმებად მიჩნევის თაობაზე. თუმცა, ავტომატური შეზღუდვის დასადგენად, შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესების შელახვას ასახელებს.[673]

დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, [674] *სიტროენის* საქმეში სააგენტომ თითოეული ტენდერი მიიჩნია უნიკალურ

---

[671] სკს, ბრძანება N241, 23.12.2016, გვ. 6-7. ავტორის შენიშვნა: თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, ჩვეული კონკურენტების მიერ მომდევნო ტენდერებში მონაწილეობისგან თავშეკავება ეთგო-ს (OECD) რეკომენდაციით სატენდერო მანიპულაციის ერთ-ერთ მიმანიშნებელ გარემოებას წარმოადგენს. (იხ. OECD Council Recommendation on Fighting Bid Rigging in Public Procurement, 2012, გვ. 12; ხელმისაწვდომია http://www.oecd.org/daf/competition/RecommendationOnFightingBidRigging2012.pdf.)

[672] *სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018.

[673] იქვე, გვ. 12

[674] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩატარებული ყოველი ტენდერის შემთხვევაში იქმნება ცალკე შესაბამისი ბაზარი, რომელსაც გააჩნია შესვლის ცალკე ბარიერები, მასზე მოქმედი და პოტენციური სუბიექტები და მოცულობა (რომელიც განისაზღვრება შესასყიდი ობიექტის შესაბამისად). აღნიშნულის გათვალისწინებით სააგენტო განიხილავს განმცხადებლის მხრიდან სადავოდ გამხდარ

ბაზრად და შესაბამისად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეაფასა ორი გავრცელებული დარღვევის კატეგორიაში. კერძოდ, სააგენტომ გამოიკვლია: (i) ერთპრეტენდენტიან ტენდერში, ადგილი ხომ არ ჰქონდა კონკურენციისგან თავშეკავებას; (ii) დარჩენილ ტენდერებში, სახეზე ხომ არ იყო „მოჩვენებითი" კონკურენცია.

ამავდროულად, სააგენტომ მიუთითა ტენდერების კომპლექსურად, ერთობლიობაში შეფასების მნიშვნელობაზეც. ხსენებული საჭირო იყო იმის დასადგენად, ხომ არ ჰქონდა ადგილი მონაცვლეობის პრინციპით ტენდერებში გამარჯვებას ეკონომიკური აგენტების მხრიდან. ამ მხრივ, გარკვეული „კანონზომიერების" აღმოჩენას სააგენტო მიიჩნევდა შეთანხმებული ქმედების დადასტურების ალბათობის ზრდის მაჩვენებლად. [675] მიუხედავად აღნიშნულისა, სააგენტოს დასკვნა არ შეიცავს სადავო ტენდერების კომპლექსურ შეფასებას.

ტენდერში მონაწილეობისგან თავშეკავების დასადგენად, სააგენტომ განსაზღვრა შემდეგი სახის კუმულატიურად დასაკმაყოფილებელი წინაპირობები, რომელიც უნდა შეფასდეს თითოეულ ტენდერთან მიმართებით ცალ-ცალკე:[676] (i) ზოგიერთი მოპასუხ(ებ)ის მიერ ტენდერში მონაწილეობისგან თავის შეკავება; (ii) კონკრეტული მოპასუხ(ებ)ის მიერ ტენდერში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა (საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პროდუქციის ასორტიმენტის, მიწოდების ვადების შესაბამისად); (iii) შესყიდვის სავარაუდო ღირებულების აღმატებულება მოპასუხის საქონლის თვითღირებულებაზე.

აღნიშნული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ეკონომიკურ აგენტებს შეუძლიათ წარმოადგინონ ალტერნატიული გონივრული ახსნა მოცემულ ტენდერში მონაწილეობის არ/ვერ

თითოეულ ტენდერს ცალ-ცალკე." სკს, გრძანება N113, 07.08.2015; მითითებულია *სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, გრძანება N04/166, 06.07.2018, გვ. 22; ბაზრის განსაზღვრის კრიტერიუმებზე და მნიშვნელობაზე იხ. თავი II - „შესაბამისი ბაზარი".

[675] *სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, გრძანება N04/166, 06.07.2018, გვ. 28.

[676] იქვე, გვ. 27-28.

მიღების შესახებ. ეს, ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებით, სხვა ფაქტორიც შეიძლება იყოს (მაგ. შეცდომა, ავადმყოფობა და ა.შ).[677]

სააგენტოს მოსაზრებით, ასევე არასაკმარისი აღმოჩნდა მომჩივანის არგუმენტაცია მოპასუხეთა მიერ კონკრეტულ ტენდერებში მონაწილეობისგან თავშეკავების დასახელებულ შემდეგ მიზეზებზე:

მომჩივანის არგუმენტი	სააგენტოს საპირწონე დასაბუთება
ავტომობილის სიგრძის რამდენიმე მილიმეტრიანი სხვაობა არ არის გადამწყვეტი; მიმწოდებელს მარტივად უნდა შეეძლოს გადაკეთების სამუშაოს დაკვეთა	➢ სააგენტოს არ გააჩნია გადაკეთების მიზანშეწონილობისა და უსაფრთხოების სტანდარტის დაკმაყოფილების შეფასების კომპეტენცია; ➢ მიზანშეწონილი არ არის გადაკეთების რეალური ხარჯებისა და საჭირო დროითი რესურსის კვლევა თითოეულ ტენდერთან მიმართებით; ➢ დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, სააგენტომ იხელმძღვანელა მწარმოებლის მიერ დადგენილი ოფიციალური მონაცემებით.[678]
მოპასუხეებმა არ გამოიყენეს არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები (დავებში გასაჩივრება) გარკვეული სატენდერო პირობების	➢ სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენებისგან თავშეკავება წარმოადგენს მხოლოდ ირიბ მტკიცებულებას დარღვევის დასადგენად; ➢ შესაბამისად, მხოლოდ ეს უკანასკნელი საკმარისი

[677] იქვე, გვ. 41.
[678] იქვე, გვ. 38.

არაგონივრულობისა და არასამართლიანობისას

მტკიცებულება არაა დარღვევის დასადასტურებლად;

- ხსენებულ მოსაზრებას განამტკიცებს მოპასუხე ეკონომიკურ აგენტთა მიერ გასაჩივრების კონკრეტული, განსხვავებული სტრატეგიისა და ტენდენციების არსებობა მოცემულ ბაზარზე. [679]

სააგენტოს კვლევის მეორე ნაწილი აფასებს, ადგილი ხომ არ ჰქონდა მოჩვენებით კონკურენციას ისეთ ტენდერებში, სადაც ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტი იღებდა მონაწილეობას. აღნიშნული მიზნით სააგენტომ გამოიკვლია ავტოსატრანსპორტო საშუალებების იმპორტისა და რეალიზაციის მონაცემები, ასევე ავტომობილების თვითღირებულება და მოცემულ ტენდერებში დაფიქსირებული მინიმალური ფასი. ასეთი მონაცემების შედარებით სააგენტო შეეცადა დაედგინა, რამდენად წამგებიანი იქნებოდა მოპასუხე ეკონომიკური აგენტებისთვის საფასო კონკურენციაში ბოლომდე გაყოლა, იმ გარემოების გათვალისწინებითაც, თუ რამდენად მოახერხა კონკრეტულმა ეკონომიკურმა აგენტმა შემდგომში ავტომობილის უფრო ძვირად რეალიზება. [680]

მიუხედავად სააგენტოს მტკიცე პოზიციისა, რომ შეთანხმებულ ქმედებას ვერ ექნებოდა ადგილი ისეთ ტენდერებთან მიმართებით, სადაც გაიმარჯვა (სარგებელი ნახა) მოსარჩელის მიერ მოპასუხედ არდასახელებულმა კომპანიამ, სააგენტო თავის დასკვნაში მაინც აფასებს აღნიშნულ ტენდერებს. სავარაუდოდ, ეს

---

[679] სააგენტო ასევე მიიჩნევს, რომ იმისათვის, რომ დადგინდეს, ეწინააღმდეგება თუ არა სატენდერო პირობა კონკურენციის შესახებ კანონმდებლობას (მე-10 მუხლი) ან შესყიდვების შესახებ კანონმდებლობას (მე-13 მუხლი), საჭიროა შესწავლილ იქნას: (i) შეეძლო თუ არა ტენდერში მონაწილეობა სხვა ეკონომიკურ აგენტებს და (ii) რამდენად იყო ყველა მოთხოვნილი პირობა აუცილებელი და პროპორციული შემსყიდველის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. *სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, გრძანება №04/166. 06.07.2018. გვ. 39-40.

[680] იქვე. გვ. 42.

ხდება თუნდაც იმის გამოსარიცხად, რომ უშუალოდ მოპასუხე მხარეებთან მიმართებით ადგილი არ ჰქონდა უჩვეულო ვაჭრობის ტენდენციებს (რაც მოპასუხეთა შორის შეთანხმებაზე მიუთითებდა), ხოლო აღნიშნული შეთანხმება ვერ შედგა მესამე მხარის მონაწილეობის გამო.

სააგენტომ მოჩვენებითი კონკურენციის შეფასებისა გააკეთა შემდეგი სახის მნიშვნელოვანი დასკვნები:

ა) SPA ტიპის (ანუ - ორეტაპიან) ტენდერებში მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან დამატებით საფასო კონკურენციაში შესვლისგან თავშეკავება შეიძლება განპირობებული იყოს ასეთი ტენდერის სპეციფიკით (მოპასუხე ეკონომიკური აგენტის წამგებიანი პოზიცია [681] ან პროდუქციის თვითღირებულების გათვალისწინებით მინიმალური ფასის შეთავაზების შეუძლებლობა [682]). შესაბამისად, ეს ბუნებრივ მოვლენად უნდა იქნას შეფასებული.

ბ) NAT ტიპის (ერთეტაპიან) ტენდერებში კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების დასადგენად აუცილებელია პირდაპირი მტკიცებულების არსებობა, ვინაიდან მხოლოდ ფასთა შეთავაზების ანალიზით პრაქტიკულად გამორიცხულია ამგვარი შესაძლებლობა, მტკიცების მაღალი სტანდარტის არსებობის გათვალისწინებით.[683][684]

---

[681] SPA ტიპის ტენდერი ტარდება ორ ეტაპად - პირველი, ანუ ძირითადი ეტაპი და მეორე, ანუ დამატებითი ვაჭრობის ეტაპი, რომელიც თავის მხრივ სამ დამატებით რაუნდად იყოფა. ვაჭრობის საბოლოო ფასი ფიქსირდება მესამე დამატებითი რაუნდის ბოლოს. უპირატესობა ენიჭება ისეთ მონაწილეს, რომელიც პირველ ეტაპზე დაფიქსირებს ყველაზე დაბალ ფასს ან ერთნაირი ფასის შემთხვევაში, დროში ადრე გააკეთებს ასეთ შეთავაზებას.

[682] *სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*. სკს, ბრძანება N04/166. 06.07.2018, გვ. 43-45.

[683] იქვე, გვ. 45.

[684] შეადარე ეთგო-ს (OECD) რეკომენდაციებს. მაგალითად, როდესაც უცნაური დამთხვევაა ან თუნდაც არსებითი განსხვავება სატენდერო წინადადებებს შორის (წინა საწყის ფასებთან შედარება), თუნდაც ერთ-ეტაპიან ტენდერებშიც შესაძლებელია მონაწილეთა შეთავაზებული ფასის ანალიზი იყოს მაჩვენებელი შესაძლო დარღვევის არსებობისა, რაც დამატებით კვლევასა და შეფასებას საჭიროებს. როგორც წესი, შეთანხმება არსებობს ტენდერში მონაწილეობის დაწყებამდე, რაზეც რა თქმა უნდა ტენდერში მონაწილეობის პირველმა ეტაპმა (ე.წ გაუმჭირვალე ეტაპმა) შეიძლება მნიშვნელოვანი მინიშნება მისცეს სააგენტოს: OECD Council Recommendation on Fighting Bid Rigging in Public Procurement, 2012, ხელმისაწვდომია http://www.oecd.org/daf/competition/RecommendationOnFightingBidRigging2012.pdf.

გ) არ არის აუცილებელი, რომ NAT ტიპის (ერთეტაპიან) ტენდერებში და SPA ტიპის ტენდერის პირველ ეტაპზე შეთავაზებული ფასი იყოს ის მინიმუმი, რისი შეთავაზებაც ეკონომიკურ აგენტს მოცემულ შემთხვევაში შეუძლია. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ ეკონომიკური აგენტის მიერ ფასის შედგენა ხდება კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ფასის გამოცნობის და ტენდერში მინიმალური დანაკარგით გამარჯვების რისკების დაბალანსების გზით. მინიმალური ფასის შეთავაზების შესაძლებლობა არ უნდა იყოს შეთანხმების არსებობის განმსაზღვრელი.[685]

დ) ისეთი შემთხვევები, როდესაც გამოცხადებულ ფასსა და გამარჯვებულ ფასს შორის ორნიშნა პროცენტული მაჩვენებლით კლება ფიქსირდება, არც კონკურენციის სამართლის პრაქტიკაში და არც სამეცნიერო დოქტრინაში არ არის მიჩნეული საყურადღებო ტენდენციად.[686]

ე) სამ ტენდერში (SPA170010418, SPA170010032, SPA160025617), სადაც ნაკლები იყო ფასის კლება, სააგენტომ გაიზიარა მოპასუხეთა არგუმენტები, რომ არსებობდა შესყიდვის ზარალით დასრულების რისკი, ან ვაჭრობა მიმდინარეობდა თვითღირებულების ზღვარზე, ან კომპანიის მხრიდან მარცხი თავიდანვე განპირობებული იყო პირველ რაუნდში დაკარგული ბოლო შეთავაზების უპირატესობით.[687]

სააგენტომ ასევე იმსჯელა სახელმწიფო ტენდერებში დაკავშირებული პირების მონაწილეობაზე. განიმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ კრძალავს დაკავშირებული პირების უფლებას, დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო ტენდერებში. თუმცა, ხსენებული კანონმდებლობის მიხედვით, თუ ეს უკანასკნელნი მიეკუთვნებიან ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს, კონკურენციის სამართლის მიზნებისთვის მათ შორის არსებული ნებათა თანხვედრა ვერ ჩაითვლება დამოუკიდებელ პირებს შორის

---

[685] *სიტროენ ჯორჯიასტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018, გვ. 45-46.

[686] იქვე, გვ. 47.

[687] იქვე, გვ. 48-49.

მიღწეულ შეთანხმებად და არ მოექცევა კანონის მე-7 მუხლის რეგულირების სფეროში.[688]

მითითებული მსჯელობისას სააგენტომ გაიზირა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს უახლესი პრაქტიკა,[689] რომლის მიხედვითაც:

- დაკავშირებულ პირებს დამოუკიდებლად შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ტენდერებში. მათ არ ევალებათ ამ ფაქტის გამჟღავნება, შესაბამისი ნორმატიული ვალდებულების არარსებობის ან შესყიდვების მარეგულირებელი ორგანოსგან მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში.[690]
- ამასთან, თუ ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი იმდენად მაღალია, რომ სუბიექტებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები, მათი მხრიდან კონკურენციის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის საკითხი ვერ იდგება დღის წესრიგში. ეს იმიტომ ხდება, რომ მსგავსი მჭიდრო ურთიერთკავშირის მქონე პირები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტებს და მიეკუთვნებიან ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს. შესაბამისად, მათზე ვერ გავრცელდება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების მარეგულირებელი კანონმდებლობა.

ე) გარკვეული სავაჭრო პარტნიორების მიმართ იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული/დისკრიმინაციული პირობების გამოყენება

გარკვეული სავაჭრო პარტნიორების მიმართ იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული/დისკრიმინაციული პირობების გამოყენება კონკურენციის დარღვევის მე-7 მუხლით

---

[688] იქვე, გვ. 19-21; დეტალური განხილვისთვის იხ. ქვეთავი 3.1.ბ.

[689] Case C-531/16, *Šiaulių regiono atliekų tvarkymo centras and „Ecoservice projektai" UAB* [2018] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2018:324.

[690] იქვე; ასევე იხ. სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018, გვ. 19 -20.


განსაზღვრული კიდევ ერთი სპეციალური შემთხვევაა, რომლის დამატებით წინაპირობას სავაჭრო პარტნიორების კონკურენტულად წამგებიან პოზიციაში ჩაყენება წარმოადგენს. ასეთი დარღვევისას ძირითადი ეკონომიკური ზიანი დგება ბაზრის ქვედა დონეზე, რაც ჰორიზონტალური შეთანხმების შედეგია - კონკურენტები თანხმდებიან, ბაზრის ქვედა დონეზე ვერტიკალურ ურთიერთობებში კოლექტიურად გამოიყენონ ექსკლუზიური ან დისკრიმინაციული პირობები (რაშიც ასევე მოიაზრება გარიგების დადებაზე უარის თქმა), რითაც ბაზრის ქვედა დონეზე არსებულ სავაჭრო პარტნიორებს კონკურენტულად წამგებიან პოზიციაში აყენებენ. აღნიშნული, როგორც წესი, ხორციელდება არსებული კარტელური შეთანხმების გასამყარებლად და შეიძლება გამოიხატოს ე.წ. ჯგუფური ექსკლუზიური გარიგების სახით ან ჯგუფური ბოიკოტირების შემთხვევაში.[691] ამ უკანასკნელის შემთხვევაში ქვედა დონის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც არაკარტელი წევრი მომწოდებლებისგან შეიძენენ პროდუქციას, კარტელის წევრები უცხადებენ კოლექტიურ ბოიკოტს და უარს აცხადებენ მათთვის პროდუქციის მიწოდებაზე ან გაუარესებული პირობებით აწვდიან მას. აღსანიშნავია, რომ ამ დროს ზარალდებიან არა მარტო ქვედა ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები, არამედ ზედა ბაზარზე მოქმედი/პოტენციური კონკურენტებიც. ამ უკანასკნელებს ურთულდებათ კლიენტების შოვნა/შენარჩუნება, რადგან მათგან პროდუქტის შეძენა არახელსაყრელი ხდება (კარტელში მონაწილეთა მხრიდან შესაბამისი ზომების მიღების შიშით).[692]

ჯგუფური ექსკლუზიური შეთანხმებების გამარტივებული გრაფიკული გამოსახულება მოცემულია ქვემოთ.

---

[691] საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები", მაისი 2017, გვ. 12, ხელმისაწვდომია: http://competition.ge/ge/page4.php?b=569%3E

[692] ხსენებულ დარღვევასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. Whish, Richard and Bailey, David, *"Competition Law"*, 9th ed., Oxford University Press, 2018, გვ. 561-564.



აღწერილი სახის დარღვევები განსაკუთრებით მკაცრად დასჯადია ევროკავშირში, რადგან (როგორც წესი) ეს უკანასკნელები ემსახურება ეროვნული ბაზრების განცალკევებულ სავაჭრო სივრცეებად შენარჩუნებას და ამით ზიანს აყენებს კავშირის ერთიან ბაზარს. [693] ამ ეტაპზე საქართველოში მოცემულ დარღვევასთან დაკავშირებით პრაქტიკა არ არის განვითარებული.

ვ) გარიგების პირობად მხარისთვის საგნობრივად და კომერციულად დაუკავშირებელი დამატებითი ვალდებულების დაკისრება

არსებობს ისეთი ტიპის დარღვევები, როდესაც გარიგების პირობად მესამე პირისთვის საგნობრივად და კომერციულად დაუკავშირებელი დამატებითი ვალდებულების დაკისრება ხდება. აღნიშნული დარღვევაც, წინა ქვეთავში განხილული დარღვევის მსგავსად, თუ ჰორიზონტალური შეთანხმების შედეგია, [694] წარმოადგენს სხვა უფრო კომპლექსური კარტელური შეთანხმების ნაწილს და მის გასამყარებლად არსებობს. ასეთ დროს, კონკურენტი ეკონომიკური აგენტები, რომელთა შორის კონკურენტული რისკები სრულად ნიველირებულია, თანხმდებიან ერთობლივად დაუწესონ მესამე პირ(ებ)ს დამატებითი ვალდებულებები, მაგალითად

[693] მაგალითად, იხ. Joined cases 96-102, 104, 105, 108 and 110/82, *NV IAZ International Belgium and others v Commission of the European Communities* [1983] ECR 3369, ECLI:EU:C:1983:310.

[694] როგორც წესი, მსგავსი ტიპის პირობა ვერტიკალური შეზღუდვის კატეგორიაში გადის და ჰორიზონტალური შეთანხმების არსებობის გარეშე შეიძლება ჩაითვალოს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად, იხ. ევროკავშირის გზამკვლევი ვერტიკალურ შეზღუდვებზე, ოფიციალური ჟურნალი C130/1, 2010, აბზ. 214-222.

საგნობრივად დაუკავშირებელი პროდუქციის ან მომსახურების შესყიდვის თაობაზე და შესაბამისად, მოახდინონ თავიანთი მოგების მაქსიმიზაცია ისე, რომ პროდუქტის ჰომოგენურებაც შენარჩუნებული იყოს. თუ მსგავსი ტიპის ქმედება (ე.წ. „მიბმა“) ხორციელდება დომინანტური მდგომარეობის მქონე პირის მიერ, ეს შეიძლება წარმოადგენდეს კონკურენციის კანონის მე-6 მუხლის დარღვევას.[695]

4.4. გაცნობიერებული პარალელიზმი და „ოლიგოპოლიის პრობლემა“

როგორც ზემოთ აღინიშნა, გარკვეული ტიპის ბაზრებზე (ისეთ ბაზრებზე, რომელიც კარტელის შესაქმნელად არის ხელსაყრელი) ეკონომიკურ აგენტებს სულაც არ სჭირდებათ შეხვედრები ან რაიმე ფორმის კომუნიკაცია. ხსენებულ შემთხვევებში, უშუალოდ ბაზრის სპეციფიკა იძლევა ფასების ფარული შეთანხმების გარეშე შეწონასწორების საშუალებას. ასეთ დროს ეკონომიკურ აგენტებს საშუალება ეძლევათ, გაცნობიერებულად გაატარონ საერთო საბაზრო პოლიტიკა/კურსი ბაზრის პირობებზე დაკვირვების საფუძველზე.

აღნიშნული ფენომენი „ოლიგოპოლიის პრობლემის“ [696] სახელით არის ცნობილი, ვინაიდან მას ძირითადად ადგილი აქვს ოლიგოპოლიურ ან ოლიგოპოლიური ტენდენციების მქონე ბაზრებზე და ეკონომიკური შედეგით უტოლდება კარტელურ შეთანხმებას. შესაბამისად, ჩნდება კითხვა: გაცნობიერებული პარალელიზმი შეთანხმებულ ქმედებას წარმოადგენს (ანუ რეგულირდება მე-7 მუხლით), თუ ეკონომიკურ აგენტთა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ქცევაა და არ არსებობს მისი აკრძალვის ლეგიტიმური საფუძველი? მოცემულ კითხვაზე პასუხი

---

[695] ამ საკითხზე იხილეთ თავი V – „დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება“.

[696] Petit, Nicolas (2012). *The Oligopoly Problem in EU Competition Law*, (Research Handbook in European Competition Law, I. Liannos and D. Geradin eds., Edward Elgar, September 2013. Available at SSRN: http://ssrn.com/abstract=1999829 or http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1999829;

მსოფლიო ლიტერატურასა და პრაქტიკაში მნიშვნელოვანი დისკუსიების საგანს წარმოადგენს.[697]

ზემოხსენებულ კითხვას ქართულ სამართალში ნაწილობრივ პასუხი გაეცა საავტომობილო საწვავის ბაზრის მოკვლევის ფარგლებში, რაც ქვემოთ იქნება განხილული.

ა) ოლიგოპოლიური ბაზრის მახასიათებლები და გაცნობიერებული პარალელიზმი

ოლიგოპოლიურია ბაზარი, სადაც მხოლოდ რამდენიმე მონაწილეა, რომლებიც არ განიცდიან კონკურენტულ წნეხს მესამე პირებისგან (იქნებიან ესენი პოტენციური კონკურენტი აგენტები თუ საბაზრო ძალაუფლების მქონე მყიდველები). შესაბამისად, პარალელური ქცევა შეიძლება უფრო რაციონალური იყოს ოლიგოპოლიურ ბაზრებზე და თავად ასეთი ბაზრის სტრუქტურა იყოს ამგვარი ქცევის ახსნა. [698] ოლიგოპოლიური ბაზრის მახასიათებლებია - ეკონომიკურ აგენტთა მცირე რაოდენობა, პროდუქციის ერთგვაროვნება, ბაზრის გამჭვირვალობა, ბაზარზე შესვლის ბარიერების არარსებობა, ვერტიკალური ინტეგრაციის დონე, ხარჯების სტრუქტურის ერთგვაროვნება და სხვა.[699]

არსებობს ასევე ბაზრები, რომლებიც სტრუქტურულად არ წარმოადგენს წმინდა ოლიგოპოლიურ ბაზარს, თუმცა ახასიათებს

---

[697] აგრეთვე OECD Roundtable on Oligopoly Market DAF/COMP/M(2015)1/ANN4/FINAL, ხელმისაწვდომია: http://www.oecd.org/daf/competition/oligopoly-markets.htm.

[698] „არა-კოოპერაციული თამაშის თეორიის" (Nash equilibrium) მიხედვით „განმეორებითი თამაშის" დროს ფასის შემცირება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ერთი ეკონომიკური აგენტის გაყიდვებს, გამოიწვევს სხვა ეკონომიკური აგენტების რეაქციას. შესაბამისად, გამჭვირვალე ბაზარზე ფასების კლების ინიციატორი სწრაფად დაკარგავს იმ გაყიდვების ზრდით გამოწვეულ სარგებელს და საბოლოოდ ორივე ეკონომიკური აგენტი დასრულებს იმავე გაყიდვების ოდენობით, თუმცა უფრო დაბალ ფასად. ამგვარი მოლოდინების გათვალისწინებით ირაციონალურია ფასების კლება, თუ ეს არ არის ნაკარნახევი სხვა გარე ფაქტორებით. თუ ფასების ცვლილება (ზრდა ან შემცირება) გამოწვეული გარე ეკონომიკური ფაქტორებით, არსებობს მოლოდინი, რომ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებიც, იგივე ცვლილებას განახორციელებენ; ამ საკითხზე დეტალური დისკუსიისთვის იხ. Kaplow, Luis '*Competition Policy and Price Fixing*', Princeton. 2013, გვ. 175 და შემდგომნი.

[699] გერმანიის ფედერალური კარტელების ოფისი B8-200/09, გვ. 50-53; მითითებულია *საავტომობილო საწვავის* (II) გადაწყვეტილებაში, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 69.

ოლიგოპოლიური ბაზრის ტენდენციები და იგივე პრობლემა უკავშირდება.[700]

ასეთია მაგალითად საავტომობილო საწვავის ბაზარი, რომლისთვისაც დამახასიათებელია: ა) ბაზრის გამჭვირვალობა, სადაც კონკურენტის ფასებზე მონიტორინგი მარტივად არის შესაძლებელი; ბ) პროდუქციის მეტ-ნაკლები ჰომოგენურობა; გ) ფასწარმოქმნაზე ერთნაირი ფაქტორების გავლენა და ა.შ.

როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკური აგენტების მხრიდან სრულიად ლეგიტიმურია საკუთარი ქცევის სტრატეგიის დაგეგმვისას გაითვალისწინონ კონკურენტთა ქცევები. სააგენტოს მიერ აღიარებულია, რომ (კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით) კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთა ქცევაზე დაკვირვების საფუძველზე საკუთარი საფასო ქცევის ცვლილება ბაზრის ბუნებრივი მოცემულობაა.[701] შესაბამისად, არ იქნება ლეგიტიმური, გაცნობიერებული პარალელიზმი ვაქციოთ მე-7 მუხლით დასჯად ქმედებად შემდეგი არგუმენტების გათვალისწინებით:

- მე-7 მუხლის საფუძველზე პასუხისმგებლობა ეფუძნება მხარეთა თანაქმედების კონცეფციას, საიდანაც ცალსახად უნდა გაიმიჯნოს პირის დამოუკიდებელი (მათ შორის, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ქცევით განპირობებული) ქმედება;
- გაცნობიერებული პარალელიზმის დასჯის შემთხვევაში, ძალიან გართულდება ბიზნესის წარმომადგენლებისთვის პასუხისმგებლობის წინაპირობების განჭვრეტა. შესაბამისად, ეკონომიკურ აგენტებს შეეზღუდებათ შესაძლებლობა გონივრულად მიუსადაგონ საკუთარი ქმედება კონკურენტთა არსებულ და მოსალოდნელ ქცევას.

---

[700] Joined Cases C-89, 104, 114, 116-117, 125-129/85, *Re Woodpulp Cartel: A Ahlström Osakeyhtiö and others Commission* [1993] ECR I-307, ECLI:EU:C:1993:120.

[701] ფასთა ცვლილება არის მყისიერად ხელმისაწვდომი თითოეული მოთამაშისათვის (საცალო ფასის ამსახველი დაფის საშუალებით), ბუნებრივია, რომ ეკონომიკური აგენტები ცდილობენ „გონივრულად მიუსადაგოს საკუთარი ქცევა ბაზარზე არსებულ ვითარებას", რაც მეწარმე სუბიექტის აბსოლუტურად მართებულ და ბუნებრივ ქმედებად და უფლებად არის მიჩნეული, *საავტომობილო საწვავის* საქმე (II), სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 68.

მართალია, თავად გაცნობიერებული პარალელიზმი არ უნდა ისჯებოდეს მე-7 მუხლით, მაგრამ ყველა ის შეთანხმება, რომელიც ხელს უწყობს ან უფრო შესაძლებელს ხდის ამგვარი პარალელიზმის არსებობას (მაგალითად, კომერციულად სენსიტიური ხასიათის ინფორმაციის გაცვლა), უნდა ექცეოდეს მე-7 მუხლის რეგულირების ქვეშ.

ბ) პირდაპირი ან არაპირდაპირი კომუნიკაციის არსებობა, როგორც დარღვევის აუცილებელი ელემენტი

საკასაციო პალატა ლუკოილის საქმეში მიუთითებს, რომ „კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების დადასტურებისათვის მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ აგენტებს შორის კომუნიკაციის ფაქტის დადგენას.“ [702] ოლიგოპოლიურ ან ოლიგოპოლიური მახასიათებლების მქონე „ბაზარზე, სადაც კონკურენტების ფასების მონიტორინგი მარტივად არის შესაძლებელი, ეკონომიკურ აგენტს ვერ აეკრძალება თავისი განვითარების სტრატეგია კონკურენტი აგენტების ქცევას შეუსაბამოს.“[703]

ამასთან, მოცემულ საკითხთან მიმართებით, საინტერესოა, მოსამართლე რიჩარდ პოსნერის მოსაზრების განვითარება წლების მიხედვით. პოსნერმა პირველად სტატია 1969 წელს გამოაქვეყნა[704] და დააფიქსირა მოსაზრება, რომ კომუნიკაციის არსებობა არ უნდა გამხდარიყო განმსაზღვრელი და შეთანხმებული ქმედება შესაძლოა დადგენილიყო იმ შემთხვევაში, თუ ბაზარი გარკვეული ნიშნებით, ე.წ. „პლუს ფაქტორებით“ ხასიათდებოდა. 2013 წელს ლუის

---

[702] შეად. *საავტომობილო საწვავის* (I) საქმე, სკს, ბრძანება N81, 14.07.2015, გვ. 157 და შემდგომი: ოლიგოპოლიურ ბაზარზე ფასწარმოქმნის პარალელიზმის შემთხვევაში მტკიცების ამერიკული და ევროპული სტანდარტების მიმოხილვა. ევროპული მიდგომის მიხედვით, პარალელიზმის ფაქტთან ერთად საჭიროებს კომუნიკაციის ფაქტის დადასტურების აუცილებლობა, ხოლო ამერიკულ მიდგომაში საწმის შესწავლა წარმოებს ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, რომელიც კომუნიკაციის ფაქტის საპირწონე მტკიცებულებას წარმოადგენს. სააგენტო ირჩევს ამერიკულ მიდგომას იმაზე დაყრდნობით, რომ სააგენტოს შეზღუდული აქვს სრულყოფილი მოკვლევისთვის საჭირო აუცილებელი ეფექტური მექანიზმები. იხ. ქვეთავი 6 (მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით).

[703] *„ლუკოილის“* საქმე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-595-592(კ-17), 28.09.2017, გვ.6.

[704] Posner, Richard A., *"Oligopoly and the Antitrust Laws: A Suggested Approach"*, 21 STAN. L. REV. 1562, 1969.

კაპლოუმ გამოაქვეყნა წიგნი „კონკურენციის პოლიტიკა და ფასების დადგენა“,[705] სადაც იგი ავითარებს პოსნერის 1969 წლის სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებას და მიიჩნევს რომ ოლიგოპოლიის პრობლემის დასაძლევად გამოყენებული უნდა იქნას პირდაპირი ('direct approach') და არა კომუნიკაციის არსებობაზე დამყარებული აკრძალვის მეთოდი, ამ უკანასკნელის არაეფექტიანობის გამო.

მითითებული წიგნის რეცენზიაში[706] მოსამართლე პოსნერმა პრაქტიკულად სრულად უარყო მის მიერ 1969 წელს გამოთქმული მოსაზრებები და კაპლოუს იდეის კრიტიკა განახორციელა რამდენიმე მიმართულებით: (i) რთული იქნება პასუხისმგებლობის ზღვარის დადგენა, ვინაიდან ოლიგოპოლიური ტიპის ბაზრებზე მოთამაშეები ბუნებრივ ურთიერთგავლენას განიცდიან, რაც შესაძლოა დაემსგავსოს ნაგულისხმევ შეთანხმებას; (ii) მსგავსი შემთხვევების სანქცირება ხელს შეუშლის ეკონომიკურ აგენტებს რაციონალური ბიზნესგადაწყვეტილებების მიღებაში; (iii) არ არსებობს სასამართლოების მზაობა კვალიფიციურად შეაფასონ და გამიჯნონ ბიზნეს სუბიექტების რაციონალური ქმედება ირაციონალურისგან (ეს უკანასკნელი კაპლოუს მტკიცებით არის გადამწყვეტი ტესტი პირდაპირი მეთოდის გამოსაყენებლად), რაც გამოიწვევს ეკონომიკურ აგენტთა დაცვის უფლების უგულებელყოფას და ა.შ.

4.5. ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებები - ზღვარი კონკურენციის შემზღუდველ და კონკურენციისთვის სასარგებლო შეთანხმებებს შორის

კონკურენციის მძიმე ფორმის შეზღუდვებისგან უნდა გაიმიჯნოს ჰორიზონტალური თანამშრომლობის ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც მიუხედავად კონკურენციის პოტენციურად შემზღუდველი ხასიათისა, სხვა ლეგიტიმური

[705] Kaplow, Luis, "*Competition Policy and Price Fixing*", Princeton, 2013.
[706] Posner, Richard A., *"Review of Kaplow, Competition Policy and Price Fixing"*, Antitrust Law Journal, 79(2), 2014, გვ. 761-768.

მიზნის მატარებლები არიან და კონკურენტული ბაზრისთვის მნიშვნელოვანი სარგებელი (ტექნოლოგიური პროგრესი, ბაზრის ეფექტიანობა, მომხმარებელთა არჩევანის გაზრდა და ა.შ.) შეიძლება მოიტანონ. ასეთი ხელშეკრულებები, როგორც წესი, არ ითვლება კონკურენციის „თავისთავად" (per se) დარღვევად. შედეგად, მხოლოდ სიღრმისეული ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს მათი კონკურენციის შემზღუდველი ეფექტი. ამასთან, ასეთი ტიპის ხელშეკრულებები, საბაზრო წილის გარკვეული ზღვარის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ექცევიან ჯგუფური გამონაკლისების კატეგორიაში. [707] მათი ყველაზე გავრცელებული კატეგორიებია: სპეციალიზაციის, ტექნოლოგიური ტრანსფერის, [708] საერთო კვლევების წარმოების, ერთობლივი შესყიდვისა და წარმოების, კომერციალიზაციისა და სტანდარტიზაციის შესახებ შეთანხმებები.[709]

რამდენად წარმოადგენს ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულება კონკურენციის შემზღუდველ აკრძალულ შეთანხმებას ან ექცევა კონკურენციის კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისებში, საჭიროებს *„რომ არა"* (counterfactual) პრინციპზე დაყრდნობით ბაზრის ანალიზს. კერძოდ, თუ ბაზარზე კონკურენცია გაუარესდებოდა მოცემული შეთანხმების არარსებობის პირობებში (მაგალითად, არ შეიქმნებოდა ახალი და გაუმჯობესებული პროდუქტი, არ იმუშავებდა ელექტრონული გადახდის სისტემა და ა.შ), შესაძლებელია დადგინდეს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება

---

[707] იხ. დეტალური დისკუსიისთვის, თავი IV.

[708] ქვემოთ განხილული იქნება მხოლოდ პირველი სამი კატეგორია, რომელიც ჯგუფური გამონაკლისების დადგენილებაშია მოცემული, საქართველოს მთავრობის დადგენილება N526, 2014 წლის 1 სექტემბერი, *„კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისის შესახებ"*, მუხლები 12, 16 და 20.

[709] დანარჩენი კატეგორიის ხელშეკრულებები დარეგულირებულია ევროკომისიის გაიდლაინებში ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებების მიმართ ევროკავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულების 101-ე მუხლის გამოყენების შესახებ, 2011/C 11/01, (შემდგომში *„ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებების გზამკვლევი"*).
ხელმისაწვდომია:<https://eurlex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011XC0114(04)&from=EN>

საერთოდ არ ზღუდავს კონკურენციას.[710] შედეგად, ეს უკანასკნელი არ მოექცევა მე-7 მუხლით განსაზღვრულ აკრძალვებში.

კონკურენტებს შორის ჰორიზონტალური თანამშრომლობა სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოიხატოს. ერთ-ერთ ასეთი ფორმაა ერთობლივი საწარმოს შექმნაც. თუ ერთობლივი საწარმო აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ წინაპირობებს - ხანგრძლივად ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას,[711] ასეთ შემთხვევაში მსგავსი შეთანხმება აღარ მოექცევა მე-7 მუხლის რეგულირების სფეროში და მისი კანონიერება შეფასდება კონცენტრაციების მარეგულირებელი ნორმებით. ამასთან, კონცენტრაციას დაქვემდებარებული ერთობლივი საწარმოების დამფუძნებელ დამოუკიდებელ საწარმოებს შორის შემდგომი ურთიერთობა და კოორდინაციის შემთხვევები, რომელიც სცდება ერთობლივი საწარმოს მიზნებს, კვლავ მოექცევა მე-7 მუხლის რეგულირების სფეროში.[712]

მოცემული ქვეთავის განხილვა იწყება **კონკურენტებს შორის ინფორმაციის გაცვლის** რეგულირების მნიშვნელობით, რომელიც, კარტელისა და გაცნობიერებული პარალელიზმის შემთხვევებში შეიძლება წარმოშობდეს ან ზრდიდეს მხარეთა კოორდინირებული თანაქმედების ეფექტს. ამასთანავე, მსგავსი ინფორმაციის გაცვლა შესაძლოა განსაკუთრებული მნიშვნელობის იყოს კონკურენციის სასარგებლო ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებების იმპლემენტაციის პროცესში.

ა) ინფორმაციის გაცვლა

არსებობს ეკონომიკური თეორია, რომ იდეალური კონკურენციის პირობებში ინფორმაციაზე წვდომა შეუზღუდავია,[713]

---

[710] Niels. Gunnar, Jenkins, Helen and Kavanagh, James, *"Economics for Competition Lawyers"*, Oxford University Press, 2011, გვ. 286 და შემდგომი.

[711] კონკურენციის შესახებ კანონი, მუხლი 11, პუნქტი 2.

[712] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი VI.

[713] Møllgaard, H. Peter & Overgaard, Per Baltzer, *"Transparency and Competition Policy"*, გვ. 104, ხელმისაწვდომია: http://www.konkurrensverket.se/globalassets/english/research/the-pros-and-cons-of-information-sharing.pdf; იხ. აგრეთვე Bennett, M and Collins, P *"The Law and Economics of Information Sharing: the Good, the Bad and the Ugly"* [2010] European Competition Law Journal, გვ. 325.

რაც იწვევს მთელ რიგ დადებით შედეგებს კონკურენციაზე.[714] ინფორმაციაზე შეუზღუდავი წვდომის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახული დადებითი შედეგები ქვემოთ არის წარმოდგენილი.[715]

ეკონომიკური აგენტების პერსპექტივიდან:	*მომხმარებელთა პერსპექტივიდან:*
➢ რესურსების ეფექტიანი განაწილება - კომერციული სტრატეგიების დაგეგმვა, პროდუქტის ეფექტური განთავსება, მარაგების მართვა; ➢ კონკურენტებთან შესადარისობის სტანდარტის დადგენა (Benchmarking) კომპანიის ეფექტიანობის გასაზრდელად; ➢ სპეციფიკური ინდუსტრიების (საბანკო, სადაზღვევო) ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა - მორალური რისკის (moral harzard) თავიდან აცილება.	➢ ინფორმაციის მოძიების ხარჯების შემცირება; ➢ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

თუმცა, იდეალურ კონკურენციას ინფორმაციაზე შეუზღუდავი წვდომის გარდა სხვა ხელსაყრელი საბაზრო პირობები სჭირდება, რომელთა თანაარსებობას პრაქტიკაში ფაქტიურად ვერ ვხვდებით. შესაბამისად, არაიდეალური კონკურენციის პირობებში კომერციულად სენსიტიურ ინფორმაციაზე წვდომამ ბაზარზე შეიძლება შექმნას ისეთი გარემო, რომელიც (i) კარტელის შექმნის ხელშემწყობი იქნება ან (ii)

---

[714] OECD Roundtable on Information Exchange DAF/ COMP(2010)37. ხელმისაწვდომია http://www.oecd.org/competition/cartels/48379006.pdf; ასევე *ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებების გზამკვლევი*, აბზ. 55-110.

[715] OECD Roundtable on Information Exchange DAF/ COMP(2010)37, გვ. 9-10.

გაცნობიერებული პარალელიზმის შემთხვევაში გახდება ის აუცილებელი კონტაქტი, რაც ასეთ ქმედებას მოაქცევს მე-7 მუხლის რეგულირების სფეროში. საგულისხმოა, რომ ევროკავშირის სამართალში, ბაზარზე კოორდინაციის ეფექტების წარმოშობის ხელშემწყობი ინფორმაციის გაცვლა დამოუკიდებელ, თვითმყოფად დარღვევად მიიჩნევა.[716] ამასთან, კონკურენციის სააგენტო „კრედიტინფოს" გადაწყვეტილებაში აღიარებს, რომ „კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვა, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება მოიცავდეს კონკურენტებს შორის ინფორმაციის გაცვლას."[717]

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო და ჰორიზონტალური თანამშრომლობის გზამკვლევი[718] იძლევა გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოს, **კონკურენციის ხელშემწყობი და კონკურენციის შემზღუდველი მიზნისა და შედეგის მქონე ინფორმაციის გაცვლის შემთხვევების ეფექტური გამიჯვნისთვის.** თუმცა, პრაქტიკაში სწორი ზღვარის გავლება საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს მარეგულირებელი ორგანოებისთვის.

ევროკავშირის სამართლით, კონკურენციის კანონმდებლობის ავტომატურ დარღვევას წარმოადგენს (ე.ი. კონკურენციის შეზღუდვის მიზანი აქვს) ინფორმაციის გაცვლა შემდეგ შემთხვევებში:

- თუ ინფორმაციის გაცვლას შეუძლია აღმოფხვრას ბაზრის მონაწილეებს შორის ის ბუნდოვანება, რაც დაკავშირებულია საწარმოს მიერ მომავალში დაგეგმილი ცვლილებების თარიღთან, ფარგლებთან და სხვა დეტალებთან;[719]
- თუ კონკურენტებს შორის ხდება ინდივიდუალიზებული ინფორმაციის გაცვლა დაგეგმილი სამომავალო ფასების ან მოცულობების თაობაზე.[720]

---

[716] იხ. მაგალითად *UK Agricultural Tractor Exchange*, [1992] OJ L 68/19.

[717] *კრედიტინფო საქართველოს* საქმე, სკს, ბრძანება N246, 28.12.2016, გვ. 20.

[718] *ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებების გ ზამკლევი*, გვ. 16.

[719] Case C-8/08, *T-Mobile Netherlands BV v Raad van bestuur van de Nederlandse Mededingingsautoriteit* [2009] ECR I-4529, ECLI:EU:C:2009:343; Case C-286/13 P, *Dole Food and Dole Fresh Fruit Europe v Commission, Judgment of the Court* [2015] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2015:184, აბზ. 122.

[720] *ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებების გ ზამკლევი*, აბზ. 74.

რაც შეეხება ინფორმაციის გაცვლას, რომლის შედეგია ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა: ის სახეზეა, როდესაც აღნიშნულ ქმედებას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს კონკურენციის რომელიმე მნიშვნელოვან პარამეტრზე (როგორიცაა, ფასი, წარმადობა, ხარისხი, პროდუქტის მრავალფეროვნება ან ინოვაცია). კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი გარემოებები:[721] ბაზარზე არსებული ეკონომიკური პირობები; ინფორმაციის გაცვლის სისტემის მახასიათებლები (ხელმისაწვდომობა და მონაწილეობის პირობები); ინფორმაციის გაცვლის მიზანი; გაცვლილი ინფორმაციის სახე (საჯარო თუ კონფიდენციალური, შეჯამებული თუ დეტალიზებული, ისტორიული და ამჟამინდელი), ინფორმაციის გაცვლის პერიოდულობა.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ისეთ ბაზრებზე, სადაც კონკურენცია თავისთავად შეზღუდულია ბაზრის სტრუქტურიდან გამომდინარე (მაგალითად, ოლიგოპოლიური ბაზარი), ცალკეული კატეგორიის ინფორმაციის გაცვლა უფრო მეტად საფრთხილოა, ვიდრე ჯანსაღ ბაზრებზე.[722]

ინფორმაციის გაცვლა ეკონომიკურ აგენტებს შორის შეიძლება განხორციელდეს როგორც პირდაპირ, ისე ირიბად.

<u>ინფორმაციის პირდაპირი გაცვლის კატეგორიაში ხვდება</u>

„საწარმოს მიერ სტრატეგიული ინფორმაციის გამჟღავნება კონკურენტისათვის (ფოსტით, ელექტრონული ფოსტით, სატელეფონო ზარის მეშვეობით, თუ შეხვედრაზე სიტყვიერად),

---

[721] Case C-238/05, *Asnef-Equifax, Servicios de Información sobre Solvencia y Crédito, SL v Asociación de Usuarios de Servicios Bancarios (Ausbanc)* [2006] ECR I-11125, ECLI:EU:C:2006:734, აბზ. 54; მითითებულია *„კრედიტინფო საქართველოს"* საქმეში, სკს, ბრძანება N246, 28.12.2016.
მნიშვნელოვანია, აგრეთვე, კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის შესაფასებლად, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დადგენილი ტესტი, როდესაც ხდება შეთანხმების/შეთანხმებული ქმედების შემზღუდველი ეფექტის დადგენა, ეს უნდა მოხდეს იმ ეკონომიკური და სამართლებრივი კონტექსტის ფარგლებში/გათვალისწინებით, რომელშიც ეკონომიკური აგენტების და ეს შეთანხმება ოპერირებს (რაც მოიცავს საქონლის და მომსახურების შეფასებას, ბაზრის ფუნქციონირების რეალურ პირობებსა და სტრუქტურას).

[722] იხ. მაგ., *UK Agricultural Tractor Registration Exchange* OJ [1992] L 68/19.

როცა მიმღები ითხოვს ან იღებს ასეთ ინფორმაციას".[723] არსებობს ინფორმაციის მიღებისა და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ქმედების შეცვლის პრეზუმფცია, თუ არ მოხდება მისგან საჯაროდ დისტანცირება.[724]

ინფორმაციის არაპირდაპირი გაცვლის პრობლემურ კატეგორიას განეკუთვნება კონკურენტების მიერ ინფორმაციის ცალმხრივად გამოქვეყნება (მაგალითად, საფასო სიგნალების მიცემა), რა დროსაც რთულია შეფასდეს აღნიშნული წარმოადგენდა ეკონომიკური აგენტის დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას, თუ შეთანხმებული ქმედების ნაწილს. მაგალითად, *Woodpulp* [725] საქმეში, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ შეთანხმებული ქმედების მტკიცებულებად არ მიიჩნია ხის მერქნის მწარმოებელი კომპანიების მიერ დაგეგმილი ფასის ცვლილების თაობაზე ინფორმაციის ყოველკვარტალური გამოქვეყნება, რომელსაც ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი - მყიდველების (ქაღალდის მსხვილი მწარმოებლების) ინფორმირება სამომავლო ფასებზე, რაც განპირობებული იყო მათი წარმოების დაგეგმვის სპეციფიკით.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ინფორმაციის გაცვლის ეფექტიან პლატფორმას ბიზნესასოციაციები ქმნიან. ასეთ შემთხვევაში, დღის წესრიგში დგება თავად ამ ასოციაციების პასუხისმგებლობის საკითხიც.

არაპირდაპირი სახით ინფორმაციის გაცვლის დამატებითი შემთხვევებია მესამე პირის მიერ ბაზრის კვლევების ჩატარება, ჰორიზონტალური ეფექტის მქონე ინფორმაციის ვერტიკალურ დონეზე გაცვლა (ე.წ. Hub and Spoke), ალგორითმული ფასწარმოქმნები და სხვა. ჩამოთვლილი შემთხვევები, მართალია, ინფორმაციის პირდაპირი გაცვლის მსგავს უარყოფით შედეგს შეიძლება იწვევდნენ ბაზარზე, თუმცა ყოველთვის არ არსებობს

---

[723] Joined cases 40 to 48, 50, 54 to 56, 111, 113 and 114/73, *European Sugar Cartel: Coöperatieve Vereniging "Suiker Unie" UA v Commission* [1975] ECR 1663, ECLI:EU:C:1975:174.

[724] იხ. მაგ., Case T-83/08, *Denki Kagaku v Commission* [2015] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:T:2012:48, პბზ. 53.

[725] Joined Cases C-89, 104, 114, 116-117, 125-129/85, *Re Woodpulp Cartel: A Åhlström Osakeyhtiö and others Commission* [1993] ECR I-307, ECLI:EU:C:1993:120.

ამგვარი ქმედებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების ლეგიტიმური საფუძველი. უფრო კონკრეტულად, პრაქტიკაში პრობლემურია [726] იმის განსაზღვრა, თუ რა გარემოებების არსებობისას ჩაითვლება არაპირდაპირი გზით, მესამე პირის მონაწილეობით, ინფორმაციის გაცვლის შემთხვევები (ე.წ. Hub and spoke) შეთანხმებულ ქმედებად და შესაბამისად, კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლის დარღვევად. აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაში, ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის ჰორიზონტალური ეფექტი მიიღწევა ინფორმაციის გაცვლის ვერტიკალური შეთანხმებებით.[727]

მოცემული საკითხის გადაწყვეტას ართულებს ის გარემოება, (i) ადგილი აქვს ვერტიკალურ დონეზე ეკონომიკურ აგენტებს შორის ინფორმაციის გაცვლას, რომელიც ორივე მხარეს გონივრულად და სრულიად ლეგიტიმურად ესაჭიროება; (ii) ამავდროულად, ამ გაცვლის შედეგად საცალო რეალიზაციის დონეზე კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის ინფორმაციის გადინება იწვევს მათ შორის კოორდინაციის ხელშეწყობას.

ეკონომიკურ აგენტებს შორის კონტაქტის სიხშირე დამოკიდებულია შეთანხმების საგანზე და ბაზრის მახასიათებლებზე. შესაბამისად, იგი უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე. [728] მაგალითად, სტაბილურობით გამორჩეულ ბაზრებზე, სადაც ფასები მხოლოდ გარკვეული პერიოდულობით იცვლება, ფასებთან დაკავშირებული ინფორმაციის ორმხრივი (თუნდაც ერთჯერადი) გაცვლა საკმარისია დარღვევის დასადგენად.[729]

ამის საპირისპირო მაგალითად შესაძლოა გამოყენებულ იქნას ბანანების საქმე, [730] რომელშიც მწარმოებლებს უწევდათ ყოველკვირეული კონტაქტების დამყარება ბანანების

---

[726] *JB Sports plc v Office of Fair Trading*, Case 1022/1/1/03, [2004] CAT 17 .

[727] სერგია, ნიკა, „ალგორითმული ფასწარმომქმნელების გამოყენებით კონკურენციის შეზღუდვის რეგულირების ზოგიერთი ასპექტი", გვ. 153.

[728] *ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებების გზამკვლევი, ამზ. 87.*

[729] Case C-8/08, *T-Mobile Netherlands BV v Raad van bestuur van de Nederlandse Mededingingsautoriteit* [2009] ECR I-4529, ECLI:EU:C:2009:343.

[730] Case COMP/39188 Bananas, 15 October 2008; Case C-286/13 P, *Dole Food and Dole Germany v Commission* [2015] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2015:184.

ფასწარმომქმნელ ფაქტორებთან/სამიზნე ფასებთან დაკავშირებით ინფორმაციის გასაცვლელად. რაც უფრო ხშირია კონტაქტი ეკონომიკურ აგენტებს შორის, მით უფრო მაღალია კანონსაწინააღმდეგო ქმედების აღმოჩენის რისკი.

ფაქტია, რომ ინფორმაციის გაცვლის შემთხვევები, გარდა აშკარა მიზნობრივი ხასიათის დარღვევებისა, უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და საქმის არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. თუმცა, ლიტერატურასა და რიგ კვლევებში დიფერენცირებულია სარისკო კატეგორიის ინფორმაციაც, რომლის გავრცელებასაც, როგორც წესი, უნდა მოერიდოს ეკონომიკური აგენტი.

ინფორმაციის გაცვლა პრობლემურია, თუ გაცვლილია:	ინფორმაციის გაცვლა ნაკლებად პრობლემურია, თუ გაცვლილია:
➢ ფასები, გაყიდვების მოცულობები, წარმოების ან წარმადობის გაზრდის შესახებ მონაცემები;	➢ ბაზარზე არსებული მოთხოვნის სიდიდე და ეკონომიკურ აგენტთა ხარჯების მოცულობა;
➢ მიმდინარე და სამომავლო ინფორმაცია;	➢ ისტორიული ინფორმაცია;[731]
➢ დეტალიზებული, ჩაშლილი მონაცემები;	➢ შეჯამებული/კრებითი მონაცემები;
➢ საინვესტიციო გეგმები, ახალი ტექნოლოგიური და კვლევითი პროექტები;	
➢ ასოციაციის მიერ კერძო ინფორმაციის (გაყიდვების და წარმოების შესახებ) შეგროვება და გავრცელება წევრებს შორის.	➢ საჯარო ინფორმაცია.[732]

[731] გაზრებზე, სადაც არსებობს სტაბილური მოთხოვნა, ისტორიული ინფორმაციის გაცვლაც კი ხელს უწყობს კონკურენტი ეკონომიკური აგენტების მომავალი ქმედებების პროგნოზირებას. იხ. UK Agricultural Tractor Registration Exchange OJ [1992] L 68/19;

[732] თუმცა, პრობლემურია ისეთი საჯარო ინფორმაციის გაცვლა, რომლის მოსაპოვებლად გარკვეული ძალისხმევის შეთანხმებულად (მაგალითად, ინფორმაციის შესაგროვებლად და დასამუშავებლად ანალიტიკური სამსახურების დაქირავება ან შექმნა) გაწევაა საჭირო.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის გაცვლა ევროკავშირის სამართალში შეიძლება გათავისუფლდეს აკრძალვიდან, თუ დააკმაყოფილებს TFEU-ს 101(3) მუხლის წინაპირობებს. ხსენებული მუხლის ფარგლებში ფასდება, თუ რამდენად გადაწონის მისგან მომდინარე დადებითი ეკონომიკური ეფექტი კონკურენციის შეზღუდვის შესაძლო უარყოფით შედეგებს. [733] ინფორმაციის გაცვლის შემთხვევებთან დაკავშირებით ასეთ შესაძლებლობას არ იძლევა კონკურენციის შესახებ კანონი. კერძოდ, მე-9 მუხლი არ მოქმედებს, როგორც პასუხისმგებლობის ინდივიდუალური გამორიცხვის მექანიზმი. ის მხოლოდ ჯგუფური გამონაკლისების მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ კატეგორიებს მოიცავს, რაშიც ინფორმაციის გაცვლის შეთანხმებები არ არის დარეგულირებული.[734]

შესაბამისად, ავტორის აზრით, ვიდრე მოცემული საკანონმდებლო ხარვეზი იქნება აღმოფხვრილი, სააგენტომ კონკურენციის შემზღუდველი შედეგის მქონე შეთანხმებების შეფასებისას (განსაკუთრებით ისეთი კატეგორიის შეთანხმებების, რომელიც არ თავსდება მე-9 მუხლით განსაზღვრულ ჯგუფურ გამონაკლისებში) უნდა გამოიყენოს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი ერთსაფეხურიანი კვლევის ფარგლებში დამკვიდრებული ე.წ „rule of reason"-ის დოქტრინა და კონკურენციის შემზღუდველი და ხელშემწყობი ეფექტების შეფასება მე-7 მუხლის დარღვევის დადგენის საფეხურზე განახორციელოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სააგენტომ ქმედების შეფასებისას უნდა მოახდინოს კონკურენციის სასარგებლო და საწინააღმდეგო ასპექტების შეფასება უკვე მე-7 მუხლით განსაზღვრული დარღვევის დადგენისას და არა მე-9 მუხლის კონტექსტში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს კონკურენციის სასარგებლო ინფორმაციის გავრცელებისგან დაუსაბუთებელი თავშეკავება ეკონომიკური აგენტების მხრიდან.

---

[733] იხ. მაგალითისთვის Case C-238/05, Asnef-Equifax, Servicios de Información sobre Solvencia y Crédito, SL v Asociación de Usuarios de Servicios Bancarios (Ausbanc) [2006] ECR I-11125, ECLI:EU:C:2006:734.

[734] ამ საკითხზე დეტალური დისკუსიისთვის იხილეთ, თავი IV.

თუმცა, პრობლემატურია იმის დადგენა, თუ რამდენადაა შესაძლებელი ხსენებული დოქტრინის გამოყენება მე-7 მუხლის ფარგლებში მოქცეულ მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის შეთანხმებებზე.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ კონკურენციის სააგენტომ მსგავსი მიდგომა არაფორმალურად უკვე გამოიყენა სულ მცირე ორჯერ. კერძოდ: (i) „გლობალაგროს" წევრების მიერ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ასოციაციების შეკრებებზე სასურსათო მარაგების, წარმოების ფაქტორებზე, ბაზარზე არსებული მდგომარეობის, სამომავლო შესყიდვების მოცულობების შესახებ ინფორმაციის მიღების შეფასება არ ჩათვალა ინფორმაციის გაცვლის კონკურენციის შემზღუდველ კატეგორიად. (ii) საქართველოს კონკურენციის 28 დეკემბრის #246 ბრძანებით სააგენტომ ასევე იმსჯელა საკრედიტო ბიუროებს შორის ინფორმაციის გაცვლის ლეგიტიმურობაზე და უარი განაცხადა განცხადების წარმოებაში მიღებაზე, ვინაიდან ვერ დაინახა სს „კრედიტინფო საქართველოს" საქმიანობის შედეგად საქართველოში კონკურენციის შეზღუდვა. ფაქტიურად, სააგენტომ დამოუკიდებლად არ შეაფასა არსებული ინფორმაციის გაცვლის სისტემის ლეგიტიმურობა და დააკვალიფიცირა, როგორც შედეგობრივი შეზღუდვა. ვინაიდან შეზღუდვის შედეგი ბაზარზე არ იკვეთებოდა წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სააგენტომ უარი განაცხადა საჩივრის განხილვაზე.

შედარებისთვის, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ საკრედიტო ბიუროების მიერ ინფორმაციის გაცვლა თავსებადია ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობასთან, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ სამ პირობას: (i) კრედიტის მიწოდების ბაზარი არ არის მაღალკონცენტრირებული; (ii) თუკი ინფორმაციის გაცვლის სისტემა არ იძლევა კრედიტორების/გამსესხებლების იდენტიფიცირების საშუალებას (iii) თუ აღნიშნულ სისტემაზე წვდომა ფინანსური ინსტიტუტებისთვის არ არის დისკრიმინაციული. ამასთან, კრედიტორების იდენტიფიკაციის დაუშვებლობის მიზანია, არ მოხდეს აქედან გამომდინარე კონკურენტების საბაზრო

სტრატეგიის დადგენა.[735] მსგავსი სახის გაცვლილი ინფორმაციის დადებითი ეკონომიკური ეფექტი გამოიხატება შემდეგში:[736]

- ბანკებს და კლიენტებს შორის ინფორმაციული ასიმეტრიულობის შემცირება, რაც აისახება საკრედიტო ვალდებულების დარღვევის შემცირებაში;
- მსესხებლის დისციპლინირების იარაღი;
- საკრედიტო განაკვეთის ყველასთვის გაძვირება, როდესაც ვერ ხდება კარგი და ცუდი მსესხებლების განსხვავება;
- მობილობის (ერთი ბანკიდან მეორეში გადასვლის) ხელშეწყობა.

ბ) სპეციალიზაციის ხელშეკრულება

ჯგუფური გამონაკლისების დადგენილება იძლევა სპეციალიზაციის შესახებ შეთანხმებების განმარტებას[737] - ესაა მხარეთა შეთანხმება, რომლის ძალითაც ერთი მხარე ცალმხრივად (ცალმხრივი სპეციალიზაცია) ან ორივე მხარე ურთიერთშენაცვლების პრინციპით (თანმხვედრი სპეციალიზაცია) უარს ამბობს გარკვეული პროდუქციის წარმოებაზე ან მესამე პირებისგან შესყიდვაზე, იმ პირობით რომ მას აწარმოებს და მიაწვდის მეორე მხარე.

მითითებული კატეგორიის ხელშეკრულების საფუძველზე შესაძლებელია კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის გაცვლის შედეგად ან/და ხარჯების სტრუქტურის დაახლოების გზით შეიქმნას ხელსაყრელი ნიადაგი ეკონომიკურ აგენტთა ქცევის კოორდინაციისთვის.[738] ამავდროულად, შეიძლება მოხდეს მესამე პირების ბაზრიდან განდევნა, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნას

---

[735] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2006 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Case C-238/05 Asnef-Equifax, Servicios de Información sobre Solvencia y Crédito, SL v Asociación de Usuarios de Servicios Bancarios (Ausbanc) [2006] ECR I-11125, ECLI:EU:C:2006:734, აბზ. 58-59.

[736] დეტალურად იხ. ევროკომისიის კონკურენციის გენერალური დირექტორატის (DG Comp) 2017 წლის საბანკო ბაზრის სექტორული კვლევის შემაჯამებელი ანგარიში.

[737] საქართველოს მთავრობის დადგენილება N526, *„კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისის შესახებ"*, 01.09.2014, მუხლი 16.

[738] *ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებების გზამკვლევი*, აბზ. 158.

ბაზრის ზედა დონეზე ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ძალაუფლების გაძლიერების გზით.[739]

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიერ *საავტომობილო საწვავის* (II) [740] გადაწყვეტილებით დაფიქსირებული დარღვევა - ეკონომიკურ აგენტთა მიერ ბაზრის განაწილება ბაზრის დონეების მიხედვით, ემსგავსება ცალმხრივი სპეციალიზაციის შემთხვევას, რომელიც გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში საერთოდ გათავისუფლებული იქნებოდა კონკურენციის კანონის მე-7 მუხლის მოქმედებისგან. ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიები სპეციალიზდებოდნენ იმპორტის განვითარებაში, ხოლო შედარებით უფრო ეფექტიანი ინფრასტრუქტურის (უკეთესი ლოკაციის, ტექნიკურად გამართული და ძლიერი ქსელური ეფექტის) მქონე კომპანიები ვითარდებოდნენ საცალო რეალიზაციის სასაქონლო ბაზარზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიები უარს ამბობდნენ ქსელის განვითარებაზე, იმის სანაცვლოდ, რომ კონკურენტი ეკონომიკური აგენტები მათგან შეისყიდდნენ პროდუქციას. ამგვარი ტიპის სპეციალიზაციის ხელშეკრულებები გათავისუფლებულია კონკურენციის კანონის მე-7 მუხლის და TFEU-ს 101-ე მუხლის მოქმედების სფეროდან, ვინაიდან არსებობს პრეზუმფცია, მათ საფუძველზე მიღებული დადებითი ეკონომიკური ეფექტი გადაწონის კონკურენციის შეზღუდვით გამოწვეულ შესაძლო უარყოფით შედეგს. მოცემულ საქმეში, ეკონომიკურ აგენტთა ძალზედ მაღალი საერთო საბაზრო წილიდან გამომდინარე, მათზე სპეციალიზაციის ჯგუფური გამონაკლისი მაინც ვერ გავრცელდებოდა. თუმცა, ამ ტიპის დარღვევა მაინც საჭიროებდა კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის კვლევას. ამასთან, ვინაიდან მსგავსი ტიპის ჰორიზონტალური თანამშრომლობა უფრო მსუბუქი კატეგორიის დარღვევად ითვლება, აღნიშნული მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ჯარიმის გამოთვლისას.

---

[739] იქვე, აბზ. 159.

[740] *„საავტომობილო საწვავის"* (II) საქმე, სკს. ბრძანება N04/117, 10.05.2018.

გ) საერთო კვლევების წარმოების შესახებ ხელშეკრულება

საერთო კვლევების წარმოებაზე მხარეთა შეთანხმება შეიძლება მიმართული იყოს კომპანიათა რესურსების გაერთიანების, იდეებისა და გამოცდილების გაზიარებით საერთო კვლევების წარმოებაზე ბაზრის ანალიზის, ახალი გაუმჯობესებული პროდუქციის შექმნის, მომავალი სპეციალიზაციის შეთანხმების მომზადების ან სხვა მიზნისაკენ. ამგვარი შეთანხმება შესაძლებლობას აძლევს ეკონომიკურ აგენტებს, ბაზარზე შეიტანონ ახალი გაუმჯობესებული საქონელი ან/და მომსახურება, რაც მათ დამოუკიდებლად შეიძლება ვერ განეხორციელებინათ. ამავდრდოულად, მსგავსი ტიპის შეთანხმებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ინოვაციის დათრგუნვა, მხარეთა შორის კონკურენციის შეზღუდვა ან კოორდინაციის გამარტივება იმ ბაზრებზე, რომლებიც ამ ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებს სცდება.[741] როგორც წესი, მსგავსი ტიპის ხელშეკრულებების მიერ კონკურენციის შეზღუდვის ეფექტი უნდა შეფასდეს ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, თუ აღნიშნული შეთანხმება არ წარმოადგენს შეფარულ კარტელში ჩაბმის საშუალებას და შესაბამისად მიზნობრივ შეზღუდვას. თუ დადგინდა კონკურენციის შემზღუდველი ეფექტი, კვლევის ხელშეკრულების მხარეებს შეეძლებათ მე-9 მუხლით დადგენილი გამონაკლისი წინაპირობების მტკიცება. ოღონდ, ამ შემთხვევაში, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ ჯგუფური გამონაკლისებით დადგენილ მინიმალურ წილობრივ მაჩვენებლებს.

აღსანიშნავია, რომ თუ მხარეების თანამშრომლობა შემოიფარგლება მხოლოდ კვლევის წარმოებით, მას იშვიათად თუ ექნება ანტიკონკურენციული ეფექტი. ხსენებულისგან განსხვავდება შეთანხმებები, რომლებიც მოიცავს კვლევის შედეგების შემდგომ გამოყენებასთან დაკავშირებით მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს. ასეთ დროს აუცილებელია, უფრო

---

[741] *ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებების გზამკვლევი*, აბზ 127.

დეტალურად იქნას შესწავლილი აღნიშნული თანამშრომლობის გავლენა კონკურენციაზე. [742]

დ) ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულება

ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ შეთანხმებები [743] გულისხმობს ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სალიცენზიო უფლებების - პატენტების, რეგისტრირებული დიზაინის, ტოპოგრაფიების, ნოუ ჰაუს - გადაცემას იმ მიზნით, რომ ამ სალიცენზიო უფლებათა მიმღებმა ეკონომიკურმა აგენტმა მათი გამოყენებით შესძლოს პროდუქციის წარმოება, მაშინ როდესაც ამგვარი გადაცემის გარეშე მას წარმოების უფლება პრაქტიკულად არ ექნებოდა. ტექნოლოგიური ტრანსფერის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ დონეზე. აღნიშნულის მიხედვით, ჯგუფური გამონაკლისებით დადგენილია განსხვავებული წილობრივი ზღვრები. [744] ითვლება, რომ სალიცენზიო უფლებების გადაცემა, რაც უნდა შეზღუდული ბუნების იყოს, კონკურენციის ხელშემწყობია. კერძოდ, ხსენებული ტრანსფერის გარეშე, ლიცენზიის მიმღებს არ ექნებოდა შესაბამის ბაზარზე მოქმედების უფლება, ან ხსენებული უფლება ძალზე შეზღუდული შეიძლება ყოფილიყო.

ევროკავშირის სამართალში, განსაკუთრებული ინტერესი [745] ინტელექტუალური საკუთრების უფლებების/ტექნოლოგიური ტრანსფერის ხელშეკრულებების მიმართ განპირობებულია მათი პოტენციალით, ცალკეულ შემთხვევებში ხელი შეუშალონ ერთიანი ბაზრის ინტეგრაციის პროცესს.[746]

---

[742] *ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებების გზამკვლევი*, აბზ. 137.

[743] საქართველოს მთავრობის დადგენილება N526, *„კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისის შესახებ"*, 01.09.2014. მუხლი 12.

[744] იქვე, მუხლი 15.

[745] კომისიის მიერ მიღებულია ცალკე ჯგუფური გამონაკლისები ტექნოლოგიური ტრანსფერის ხელშეკრულებების მიმართ: ევროკომისიის რეგულაცია N 316/2014 ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101(3)-ე მუხლის გამოყენების თაობაზე ტექნოლოგიური ტრანსფერის თაობაზე დადებული შეთანხმებების კატეგორიზაციისათვის. ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი: OJ L 93, 28.3.2014.

[746] იხ. მაგ., Case 258/78, *Nungesser v Commission* [1982] ECR 2015, ECLI:EU:C:1982:211; Joined Cases 56, 58/64. *Etablissements Consten SARL and Grundig-Verkaufs-GmbH v Commission* [1966] ECR 299, ECLI:EU:C:1966:41.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კონკურენციის სააგენტომ მსგავსი ტიპის ხელშეკრულებების შეფასებისას თავი უნდა შეიკავოს ევროკავშირის პრაქტიკის *a priori* გაზიარებისგან.

5. კონკურენციის შეზღუდვის შემთხვევები ვერტიკალურ შეთანხმებებში

ჰორიზონტალური შეთანხმებისგან განსხვავებით, რომელიც ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედ ან მოქმედების მსურველ (ანუ ფაქტობრივ და პოტენციურ) კონკურენტებს შორის შეიძლება არსებობდეს, ვერტიკალური შეთანხმება მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა საფეხურზე მოქმედ ორ ან მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის შეთანხმებას ეწოდება.[747]


ხსენებული ჯაჭვი იწყება ნედლეულის მოპოვების ეტაპით და მთავრდება პროდუქციის საბოლოო მომხმარებლისთვის მოწოდებით, თუმცა „სიგრძითა" და „ფორმით" განსხვავდება კონკრეტული პროდუქტის წარმოებისა და მიწოდების სპეციფიკის შესაბამისად. მიწოდების ჯაჭვის რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითი მოცემულია ქვემოთ.

მოცემული ილუსტრაციიდან გამომდინარე, ვერტიკალური შეთანხმება იქნება, მაგალითად, (i) შეთანხმება ნედლეულის მომპოვებელსა და მწარმოებელს, ან მომპოვებელს, მწარმოებელსა და დისტრიბუტორს შორის; (ii) შეთანხმება საბითუმო და საცალო რეალიზატორებს შორის; (iii) შეთანხმება მწარმოებელსა და ონლაინ პლატფორმას/სუპერმარკეტს შორის და ა.შ.

ილუსტრაციიდან გამომდინარე ასევე აშკარაა, რომ ვერტიკალური შეთანხმებისას არ ხდება ერთ საფეხურზე მდგომი ეკონომიკურ აგენტების საბაზრო ძალაუფლების კომბინირება.

[747] შეად. „კონკურენციის შესახებ" კანონი, მე-3 მუხლი, „ე" ქვეპუნქტი.

მიწოდების ჯაჭვის მაგალითები



ამავდროულად, ხსენებული სახის შეთანხმებებმა შესაძლოა პროდუქტის მომხმარებლისთვის მიწოდების პროცესი გააუმჯობესოს არაერთი კუთხით - მაგალითად, (i) შეამციროს დისტრიბუციის ხარჯები და შედეგად, პროდუქტის ფასიც; (ii) მწარმოებლის მიერ დისტრიბუტორების კონტროლის შედეგად გაზარდოს მომსახურების ხარისხი; (iii) მისცეს მომხმარებელს პროდუქტის რამდენიმე წყაროსგან (მაგალითად, უშუალოდ მწარმოებლისგან, საცალო/საბითუმო რეალიზატორისგან, ონლაინ-პლატფორმისგან და სხვ.) შეძენის საშუალება - ანუ, გაზარდოს მომხმარებლის არჩევანი აღნიშნული მიმართულებით და ა.შ. ხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციის სააგენტო, ევროკომისიის კონკურენციის გენერალური დირექტორატის მსგავსად, იზიარებს იმ პოზიციას, რომ ვერტიკალური შეთანხმებები ნაკლები ზიანის მომტანია

ჰორიზონტალურ შეთანხმებებთან შედარებით. [748] აქედან გამომდინარეე, ვერტიკალური შეთანხმების კონკურენციის შემზღუდველი ხასიათის დადგენისას, ნებისმიერ აღმასრულებელს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს, რათა არ მოხდეს კონკურენციის მხოლოდ ერთი შეხედვით შემზღუდველი, თუმცა სინამდვილეში სასარგებლო შეთანხმების აკრძალვა.

ევროკავშირის პრაქტიკაში, ვერტიკალური შეთანხმებების რეგულირებას ყველაზე ფართო გამოყენება აქვს დისტრიბუციის ხელშეკრულებების მიმართ. ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი შედეგების დამატებით, ითვლება, რომ მათი საშუალებით შესაძლებელია, მაგალითად, ე.წ. „უბილეთო მგზავრობის“ [749] პრობლემის გადაჭრა, მწარმოებელთა მიერ ახალი ბაზრების ათვისების პროცესის გაიოლება, დისტრიბუციაში მასშტაბის ეკონომიის მიღწევა და ა.შ. [750] უარყოფითი მომენტია ის, რომ ვერტიკალური შეთანხმებით შესაძლოა შეიზღუდოს სხვადასხვა დისტრიბუტორებს შორის შიდაბრენდული კონკურენცია (მაგალითად, ტერიტორიული შეზღუდვების, კონკურენციის აკრძალვის დაწესების გზით). თუმცა, ამის საპირწონედ ხელი ეწყობა ბრენდთაშორის კონკურენციას, რამაც შესაძლოა გაზარდოს პროდუქციის მრავალფეროვნება და მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა.

სადისტრიბუციო სისტემებთან დაკავშირებით, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მწარმოებელი/მიმწოდებელი თავისუფალია ეს უკანასკნელი საკუთარი საჭიროებისამებრ ააწყოს, პროდუქციის ბაზარზე მაქსიმალურად ეფექტიანად განთავსების მიზნით. პროდუქტის სახეობის, რესურსების ხელმისაწვდომობის, ახალი ბაზრების ცნობადობის, სხვადასხვა რეგულაციების არსებობისა და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით, მწარმოებელს/მიმწოდებელს შეუძლია აირჩიოს ქვემოთ

---

[748] *საავტომობილო სარჩევის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, გვ 14.

[749] კონკურენციის სამართალში, „უბილეთო მგზავრობა“ ეწოდება სიტუაციას, როდესაც ერთი ეკონომიკური აგენტი სარგებელს იღებს მეორის ქმედებებისგან შესაბამისი დანახარჯების გაზიარების გარეშე.

[750] ვერტიკალური შეთანხმებების დადებითი მხარეების ანალიზისთვის იხ. Whish, Richard and Bailey, David, *"Competition Law"*, 9th ed., Oxford University Press, 2018, 640-642.

ჩამოთვლილი სხვადასხვა სახის დისტრიბუციის გზებიდან რამდენიმე ან ერთ-ერთი:

- ვერტიკალური ინტეგრაცია
- სავაჭრო წარმომადგენლობა
- დისტრიბუციის ღია სისტემა
- ექსკლუზიური დისტრიბუცია
- შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა
- ფრენშაიზინგი


ჩამოთვლილთაგან ორი - ვერტიკალური ინტეგრაცია და სავაჭრო წარმომადგენლობა - როგორც წესი, არ ექცევა ვერტიკალური შეთანხმებების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოქმედების სფეროში (ახსნა იხილეთ ქვემოთ). თუმცა, სასურველია მათი სპეციფიკის მოკლედ მიმოხილვა დისტრიბუციის სხვა სახეების ანალიზთან ერთად, ვერტიკალური შეთანხმებების რეგულირების პრობლემატიკაში უკეთ გარკვევის მიზნით.

5.1. ვერტიკალური ინტეგრაცია


შესაბამისი ცოდნისა და ფინანსური რესურსების არსებობის პირობებში, დისტრიბუციის ყველაზე მიმზიდველი ფორმა (მწარმოებლისთვის სრული კონტროლის დატოვება) ვერტიკალური ინტეგრაციაა. ეს უკანასკნელი გულისხმობს **მწარმოებლის მიერ ბაზარზე პროდუქტის საკუთარი ძალებით - შვილობილების, ფილიალების ან/და მუდმივი წარმომადგენლობის მეშვეობით - განთავსებას.**

შედარებისთვის, დისტრიბუციის სხვა სახეების არსებობისას, როგორც წესი, პროდუქტის ბაზარზე განთავსება ხდება დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტებთან (მაგალითად, რეალიზატორებთან, ონლაინ-პლატფორმებთან ან სხვა მსგავს პირებთან) შეთანხმების საფუძველზე.

ვერტიკალური ინტეგრაცია



ვერტიკალური შეთანხმება



ვერტიკალური შეთანხმებებისგან განსხვავებით, ვერტიკალური ინტეგრაცია არ წარმოადგენს მე-7 მუხლის ინტერესის სფეროს. როგორც უკვე აღინიშნა,[751] ხსენებული მუხლის მოქმედების სფეროში ექცევა შეთანხმებები ორ ან მეტ დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტს შორის. შესაბამისად, როდესაც სახეზეა ვერტიკალური ინტეგრაციის შედეგად იურიდიულად ან/და ეკონომიკურად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული წარმოება და დისტრიბუცია, იმოქმედებს ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინა და სახეზე არ იქნება მე-7 მუხლის მიზნებისთვის საჭირო სუბიექტები.

5.2. სავაჭრო წარმომადგენლობა

თუ მწარმოებელს დამოუკიდებლად არ შეუძლია დისტრიბუციის ქსელის გამართვა, მაგრამ ამავდროულად სურს გარკვეული ხარისხის კონტროლის შენარჩუნება, მას შეუძლია დისტრიბუცია განახორციელოს სავაჭრო წარმომადგენლის საშუალებით. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, წინასწარ განსაზღვრული ანაზღაურების (საკომისიოს) სანაცვლოდ, მწარმოებლის რისკითა და სახელით შედის სავაჭრო

[751] იხ. ქვეთავი 3.1.ბ, ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინის შესახებ.

ურთიერთობებში მესამე პირებთან. ევროკავშირის კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, თუ აგენტი სახელშეკრულებო საქონელს ან მომსახურებას იძენს *მარწმუნებლის სახელით* და ამ უკანასკნელსვე ეკისრება ძირითადი *კომერციული და ფინანსური რისკები*, მაშინ სახეზეა „ნამდვილი სავაჭრო წარმომადგენლობა" ('genuine agency'). სავაჭრო წარმომადგენლობის მსგავსი შეთანხმება TFEU 101-ე მუხლის მოქმედების სფეროს მიღმაა. შესაბამისად, მარწმუნებლის მიერ როგორც აგენტის მოქმედების არეალის შეზღუდვა, ისე მისთვის სახელშეკრულებო საქონლის ან მომსახურების გაყიდვის ფასისა და პირობების მითითება, ჩაითვლება სავაჭრო წარმომადგენლობის ელემენტებად და არ მიიჩნევა TFEU 101-ე მუხლის დარღვევად.[752]

ევროკავშირის გამოცდილების მსგავსად, საკასაციო პალატამ *ლუკოილის* საქმეზე[753] მიუთითა, რომ ვერტიკალურ შეთანხმებაში (მაგალითად, ერთი ბრენდის ქვეშ მომუშავე ლიცენზიანტსა და ლიცენზიის გამცემ პირს შორის ურთიერთობისას) მნიშვნელოვანია დადგინდეს, ხომ არ ჰქონდა ადგილი მხარეთა ეკონომიკურ ერთიანობას, [754] მიუხედავად მათი ფორმალური დამოუკიდებლობისა. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია დადგინდეს, ეწევა თუ არა დისტრიბუტორი ეკონომიკური აგენტი გარკვეულ კომერციულ, ფინანსურ ან/და ეკონომიკურ რისკ(ებ)ს. კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის საკითხი არ ისმის, თუ ეს უკანასკნელი ძირითადი ეკონომიკური აგენტის დამხმარე/დაქვემდებარებული ორგანოსავით მოქმედებს.[755]

---

[752] ევროკავშირის გზამკვლევი ვერტიკალურ შეზღუდვებზე, ოფიციალური ჟურნალი C130/1, 2010. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52010XC0519%2804%29, აბზაცები 12-21.

[753] საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-595-592(კ-17), 28.09. 2019, გვ. 9.

[754] მიუხედავად ტერმინოლოგიური მსგავსებისა, ეს არ უნდა იქნას გაიგივებული ერთიანი ეკონომიკურ სუბიექტის თეორიასთან, იხ. ზემოთ, ქვეთავი 3.1.ბ.

[755] Case C-217/05, *Confederación Española de Empresarios de Estaciones de Servicio v. Compañia Española de Petróleos SA* [2006] ECR I-11987, ECLI:EU:C:2006:784; ასევე Joined Cases 40-48, 50, 54-56, 111, 113-4/73, *Re the European Sugar Cartel; Coöperative Vereniging "Suiker Unie" UA v Commission* [1975] ECR 1663, ECLI:EU:C:1975:174, აბზ. 480.

5.3. კონკურენციის შემზღუდავი მიზნის და შედეგის მქონე ვერტიკალური შეზღუდვები[756]

როგორც წესი, ვერტიკალური შეთანხმებები ბაზრის გაფართოების საწინდარია. მათი მეშვეობით ბაზარზე იქმნება პროდუქციის ეფექტიანი დისტრიბუციის სისტემა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ემსახურება ხარჯების შემცირებას - მათ შორის, ე.წ. „უბილეთო მგზავრობისა“ (free-rider) [757] და ორმაგი ფასნამატის (double marginalisation) [758] პრობლემის აღმოფხვრის გზით. ამავდროულად შეზღუდვები შეიძლება ემსახურებოდეს პროდუქციაზე მიბმული სპეციალური საჭიროების ინვესტიციების დაცვას (ე.წ. hold-up problem), რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ინვესტიციების გაზრდას, ტექნოლოგიურ განვითარებასა და ინოვაციას.[759] შესაბამისად, ვერტიკალური ხასიათის მთელი რიგი შეზღუდვები შესაძლოა ემსახურებოდეს სწორედ კონკურენციის სასარგებლო მიზნების მიღწევას.

უმრავლეს შემთხვევებში, კონკურენციის შემზღუდველ ვერტიკალურ შეთანხმებებს არ აქვთ კონკურენციის შემზღუდველი მიზანი, თუმცა მოჰყვებათ აღნიშნული შედეგი. ევროკომისიის მიხედვით, მსგავსი შედეგის დადგომის საფრთხე არსებობს მაშინ, როდესაც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება კონცენტრირებულია ვაჭრობის რომელიმე დონეზე - იქნება ეს მიმწოდებელთან, დისტრიბუტორთან თუ ორივესთან ერთად.[760] ამ დროს, შესაძლოა წარმოიშვას რამდენიმე პრობლემატური სიტუაცია, კერძოდ: (i) ვერტიკალური შეთანხმების მეშვეობით

---

[756] ამ ქვეთავში მოკლედ იქნება გადმოცემული ვერტიკალური შეთანხმებების სპეციფიკა და ე.წ. ვერტიკალური შეზღუდვის სპეციალური შემთხვევები. ამასთან, ვინაიდან ამ ეტაპზე საქართველოში ძალზე მწირია პრაქტიკა ამ მიმართულებით, არ მოხდება საკითხის სიღრმისეული დაფარვა.

[757] ევროკავშირის გზამკვლევი ვერტიკალურ შეზღუდვებზე, ოფიციალური ჟურნალი C130/1, 2010, აბზ. 107(a). ასევე, მენაბდიშვილი, სოლომონ, *„ვერტიკალური შეთანხმებებისა და შეზღუდვების კონკურენციულსამართლებრივი შეფასება“*, თსუ, სამართლის ჟურნალი, N1, 2016, გვ. 113.

[758] ევროკავშირის გზამკვლევი ვერტიკალურ შეზღუდვებზე, ოფიციალური ჟურნალი C130/1, 2010, აბზ.107(f).

[759] იქვე, აბზ. 107(b).

[760] ევროკავშირის გზამკვლევი ვერტიკალურ შეზღუდვებზე, ოფიციალური ჟურნალი C130/1, 2010, აბზაცი 6; Whish, Richard and Bailey, David, *"Competition Law"*, 7th ed., 2012, გვ. 624.

მასში არამონაწილე ეკონომიკური აგენტებისათვის ზედა ან ქვედა ბაზარზე წვდომის შეზღუდვა; (ii) ზედა ან ქვედა ბაზარზე ფარული გარიგებების წახალისება (ე.წ. ბრენდთაშორისი კონკურენციის შეზღუდვა); (iii) შიდაბრენდული კონკურენციის შეზღუდვა. ევროკავშირის შემთხვევაში, სახეზეა მეოთხე პრობლემატური სიტუაცია - ბაზრის ინტეგრაციისთვის ხელშეშლაც.[761]

საბოლოოდ, იშვიათ შემთხვევებში, ვერტიკალურ შეთანხმებას შესაძლოა გააჩნდეს კონკურენციის შეზღუდვის მიზანიც. ამ მიმართულებით, ევროკავშირის პრაქტიკაში გამოყოფილია კონკურენციის შეზღუდვის აშკარა მიზნის მქონე ვერტიკალურ შეთანხმებათა ჯგუფი, რომლებიც შეიცავენ პირობებს: (i) სარეალიზაციო ფასის შენარჩუნებაზე,[762] (ii) ექსპორტის აკრძალვასა და (iii) სრული ტერიტორიული დაცვის მინიჭებაზე.[763] ქართულ პრაქტიკაშიც, საავტომობილო საწვავის საქმეში (II) განსაზღვრულია ვერტიკალურ შეთანხმებებში უხეში დარღვევის სახეები: ფასების ფიქსირება, გადაყიდვის აკრძალვა,[764] ექსპორტის აკრძალვა, რაოდენობრივი შეზღუდვები და სხვა. ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა ხელშეკრულების სახეს - გადამწყვეტია მსგავსი შემზღუდველი პირობის არსებობა ხელშეკრულებაში, რათა შეფასდეს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა.[765]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვერტიკალური შეთანხმების კომპლექსური ეკონომიკური და სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს, ადგილი აქვს თუ არა კონკურენციის შემზღუდველ შედეგს. ამის შესაბამისად, ხსენებული შეთანხმება ან განეკუთვნება მე-7 მუხლით განსაზღვრულ აკრძალვებს, ან მოექცევა მე-9 მუხლით

---

[761] ევროკავშირის გზამკვლევი ვერტიკალურ შეზღუდვებზე, ოფიციალური ჟურნალი C130/1, 2010. აბზაცი 100.

[762] Case 161/84 *Pronuptia de Paris GmbH v Pronuptia de Paris Irmgard Schillgallis* [1986] ECR 353, აბზ. 25

[763] Joined Cases 56, 58/64 *Etablissements Consten SARL and Grundig-Verkaufs-GmbH v Commission* [1966] ECR 299.

[764] საბოლოო მომხმარებლისთვის საქონლის გადაყიდვის აკრძალვა საავიაციო ნავთის ბაზრის მოკვლევის ფარგლებში დაფიქსირდა ორ ეკონომიკური აგენტს შორის, თუმცა აღნიშნული არ შეფასებულა მე-7 მუხლის დარღვევის კონტექსტში, იხ. *საავიაციო საწვავის* საქმე. სკს, ბრძანება N131, 11.09.2015, გვ. 46–49.

[765] *საავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 13.

განსაზღვრულ გამონაკლისებში, რადგან მის შესაძლო კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგებს გადაწონის ამ შეთანხმებიდან მომდინარე ეკონომიკური ეფექტიანობა.

ევროკავშირის პრაქტიკის მიხედვით, მსგავსი ანალიზის გაკეთებისას საჭიროა მხედველობაში მიღებულ იქნას რიგი გარემოებები, კერძოდ:[766]

გარემოება	*განმარტება*
გარიგების ბუნება	➢ გასაანალიზებელია გარიგებით დადგენილი შეზღუდვების სახე, ხანგრძლივობა და მის მიერ ბაზრის დაფარვის დონე ➢ ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო გარიგების შინაარსს, არამედ მისი იმპლემენტაციის პროცესსაც
გარიგების მხარეთა საბაზრო პოზიცია	➢ რაც უფრო მაღალია მხარის საბაზრო წილი, მით უფრო მეტია მისი საბაზრო ძალაუფლება ➢ შედეგად, იზრდება ვერტიკალური შეთანხმებით გამოწვეული სავარაუდო ზიანის ალბათობა და ხარისხიც
კონკურენტთა საბაზრო პოზიცია	➢ თუ კონკურენტთა საბაზრო წილები გარიგების მხარეთა საბაზრო წილის მეტ-ნაკლებად თანაბარია, ნაკლებია ამ უკანასკნელთათვის ბაზარზე წვდომის შეზღუდვის რისკი ➢ თუ ბაზარზე კონკურენტთა ნაკლებობაა, ვერტიკალურმა შეთანხმებამ შესაძლოა შეასუსტოს კონკურენცია და ხელი შეუწყოს ფარულ გარიგებებს

[766] ევროკავშირის გზამკვლევი ვერტიკალურ შეზღუდვებზე, ოფიციალური ჟურნალი C130/1, 2010, აბზაცები 111-121.

მყიდველთა საბაზრო პოზიცია	➢ მყიდველთა საბაზრო ძალაუფლებას შეუძლია დააბალანსოს ვერტიკალური შეთანხმებების შედეგად დამდგარი კონკურენციის შეზღუდვის შედეგი ➢ კონკრეტულად, ასეთ მყიდველებს აქვთ ბაზარზე მიწოდების ახალი წყაროების მოზიდვის შესაძლებლობა და ამით ვერტიკალური შეზღუდვების დაბალანსება
ბაზარზე შესვლის ბარიერები	➢ ბარიერების შეფასებისას, აქცენტი უნდა გაკეთდეს აუნაზღაურებელ დანახარჯებზე - დანახარჯებზე, რომელთა გაღებაც სავალდებულოა ბაზარზე შესასვლელად და რომელთა ამოღებაც ვერ მოხდება ბაზრიდან გასვლისას ➢ საჭიროა შეფასდეს, თუ რამდენად ზრდის ვერტიკალური შეზღუდვა ხსენებულ დანახარჯებს/ბარიერებს
ბაზრის განვითარების დონე	➢ ვერტიკალური შეზღუდვების უარყოფითი შედეგი გაცილებით უფრო აშკარაა „ზრდასრულ“ (mature), ვიდრე სწრაფგანვითარებად ბაზრებზე ➢ ზრდასრულად მიიჩნევა გარკვეული პერიოდის განმავლობაში არსებული ბაზარი, რომელზეც სტაბილური ან კლებადი მოთხოვნაა და არ ხდება ინოვაცია
ვაჭრობის საფეხური,	➢ ამ მხრივ, გასამიჯნია შუალედური[767] და საბოლოო პროდუქტი. პირველის

[767] შუალედურია პროდუქტი, რომელიც საბოლოო პროდუქტის წარმოებაში გამოიყენება.

რომელზეც შეთანხმება გავლენას ახდენს	მყიდველს გამოცდილი და კარგად ინფორმირებული კლიენტები წარმოადგენენ. მეორეს კი შედარებით ნაკლებინფორმირებული (და შედეგად ბრენდის იმიჯზე უფრო მეტად დამოკიდებული) საბოლოო მომხმარებელი ყიდულობს ➢ ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვერტიკალური შეზღუდვა განსაკუთრებით საზიანოა, თუ დისტრიბუტორებს ეზღუდებათ წვდომა ბრენდების პროდუქტებზე
პროდუქტის ბუნება	➢ ყურადღებაა მისაქცევი პროდუქტის ერთგვაროვნების, სიძვირისა და შეძენის პერიოდულობისთვის ➢ რაც უფრო ერთგვაროვანი, ნაკლებად ძვირი და ნაკლებად შესაძენია პროდუქტი, მით უფრო დიდი უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ვერტიკალურ შეზღუდვას
სხვა ფაქტორები	➢ შესაძლოა, სახეზე იყოს კუმულატიური/დაგროვების შედეგი - ბაზარზე არსებობდეს ცალკე აღებულად უპრობლემო ვერტიკალური შეზღუდვების ქსელი, რომლებიც ერთიანობაში ქმნიან ბაზარზე წვდომის შეზღუდვის პრობლემას ➢ ასევე, მხედველობაშია მისაღები არსებული საკანონმდებლო რეგულირება, მხარეთა შორის წარსულში არსებული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები და ა.შ.

ხსენებული გარემოებები მნიშვნელოვნად ეხმარება აღმასრულებელს კონკურენციის წამახალისებელი და შემზღუდველი შედეგის მქონე ვერტიკალური შეზღუდვების გამიჯვნაში. *თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ კონკურენციის სააგენტო სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ვერტიკალურ შეზღუდვებთან დაკავშირებით ევროკავშირის პრაქტიკის გაზიარებას. კონკრეტულად, ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა ვერტიკალურ შეთანხმებებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად განპირობებულია ევროკავშირის ერთიანი ბაზრის შექმნის უპირატესი მიზნით.* [768] *შესაბამისად, სიფრთხილის გამოჩენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ შეზღუდვებთან მიმართებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ცალკეული დისტრიბუტორებისთვის ტერიტორიულ დაცვას (ექსკლუზიური დისტრიბუცია, პარალელური იმპორტის აკრძალვა და ა.შ). ხსენებული შეთანხმებები მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელებმა საფრთხე შეიძლება შეუქმნას ბაზრის ინტეგრაციის პროცესს. ამავდროულად, ისინი კონკურენციის სამართლის კუთხით შედარებით ნაკლებად პრობლემურია სხვა იურისდიქციებში - მათ შორის, საქართველოშიც. შედეგად, ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები უნდა გაანალიზდეს ქართული რეალობის გათვალისწინებით.*

ა) სარეალიზაციო ფასის შენარჩუნება/ფიქსირება ვერტიკალურ შეთანხმებებში

ფიქსირებული ან მინიმალური სარეალიზაციო ფასის შენარჩუნების პირობა (ე.წ. Resale Price Maintenance - RPM), ევროკავშირის სამართლის მიხედვით, წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებას - ე.წ. მძიმე ფორმის შეზღუდვას.[769] აღნიშნული იმითაა განპირობებული, რომ მსგავსი

[768] Joined Cases 56, 58/64, *Etablissements Consten SARL and Grundig-Verkaufs-GmbH v Commission* [1966] ECR 299, ECLI:EU:C:1966:41.

[769] ევროკავშირის გზამკვლევი ვერტიკალურ შეზღუდვებზე, ოფიციალური ჟურნალი C130/1, 2010, პუნ. 48.

შეთანხმება ზღუდავს დისტრიბუტორის უფლებას დამოუკიდებლად განსაზღვროს გასაყიდი პროდუქციის ფასი.[770] შედარებისთვის, კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე დარღვევად არ ითვლება სარეკომენდაციო ხასიათის ან მაქსიმალური სარეალიზაციო ფასის ფიქსირება,[771] გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული პირდაპირ/ არაპირდაპირ ან შეფარული გზით ფაქტობრივად მოქმედებს როგორც მინიმალური ან ფიქსირებული სარეალიზაციო ფასის პირობა.[772] შეფასება ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.[773]

ზემოხსენებული წესით ფასების ფიქსირება ექცევა კანონის მე-7 მუხლის მოქმედების სფეროშიც. ამავდროულად, წარმოადგენს რა კონკურენციის შემზღუდავი მიზნის მქონე შეთანხმებას,[774] მასზე არ ვრცელდება კონკურენციის კანონის მე-8 დ მე-9 მუხლებით გათვალისწინებული გამონაკლისები.

საყურადღებოა მოცემულ საკითხზე საკასაციო პალატის განმარტება *ლუკოილის საქმეში*,[775] რომელიც აცხადებს, რომ *„გაყიდვის მინიმალური ფასის პირდაპირი და არაპირდაპირი ფიქსირების შემთხვევაში, ანტიკონკურენტული ქმედების დასადგენად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სახელშეკრულებო ვალდებულებათა ეკონომიკური და სამართლებრივი კონტექსტი, რის საფუძველზეც უნდა დადგინდეს ზღუდავს თუ არა ვალდებულებები გადამყიდველს, რამდენად დგინდება გაზარზე კონკურენციის შეზღუდვის მიზანი და შესწევს თუ არა შეთანხმებას უნარი გავლენა მოახდინოს სავაჭრო ურთიერთობებზე.“* შესაბამისად, პალატა დამატებით განსაზღვრავს, რომ სარეალიზაციო ფასის შენარჩუნების პირობის

---

[770] იქვე.

[771] მაგ. მაქსიმალური ფასის დაწესებით შესაძლებელი ხდება „ორმაგი ფასნამატის“ პრობლემის დაძლევა.

[772] Case C-260/07, *Pedro IV Servicios SL v Total España SA* [2009], ECLI:EU:C:2009:215, აბზ. 84.

[773] იქვე, აბზ. 84.

[774] სარეალიზაციო ფასის შენარჩუნების პირობიდან მომდინარე ეკონომიკური ზიან დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ ევროკავშირის გზამკვლევი ვერტიკალურ შეზღუდ ოფიციალური ჟურნალი C130/1, 2010, აბზაცები 223-229.

[775] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინება შპს „ლ ჯორჯიას“ საქმეზე, გვ. 9-10.

კონკურენციის შემზღუდველი ხასიათის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შეთანხმების სპეციფიკური ბუნება, მხარეთა შორის დამოუკიდებლობის ხარისხი, ბაზრის განვითარებაზე, მომსმარებლებზე ზემოქმედება და რაც მთავარია, კონკურენციის შეზღუდვის მიზნის არსებობა, რაც სარეალიზაციო ფასის ფიქსირების პირობას ცალსახად აღარ აქცევს ავტომატური შეზღუდვის, კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე გარიგებების კატეგორიაში.[776]

მიუხედავად მოცემული განმარტებისა, *საავტომობილო საწვავის* (II) საქმეში სააგენტო ცალსახად მიუთითებს, რომ სარეალიზაციო ფასის ფიქსირება წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებას - მნიშვნელობა არ აქვს, მოხდა თუ არა ხსენებული შეთანხმების აღსრულების მიზნით იძულებითი/სადამსჯელო მექანიზმების გამოყენება ან მისი იმპლემენტაციის მეშვეობით კონკურენციის სხვაგვარი შეზღუდვა. დარღვევა სახეზეა შეთანხმების მიღწევის მომენტიდან და არ საჭიროებს დამატებით ეკონომიკური ანალიზის ჩატარებას. [777] სააგენტო ასევე გამოყოფს ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთი შეხედვით მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მქონე სარეალიზაციო ფასების რეალური ბუნების დასადგენად სწორედ ზემოხსენებული სადამსჯელო ღონისძიებების (მაგალითად, ხელშეკრულების შეწყვეტა, ჯარიმა, საჭიროებაზე ნაკლები პროდუქციის მიწოდება და ა.შ.) არსებობა არის მნიშვნელოვანი. აღსანიშნავია, რომ სადამსჯელო ღონისძიებების გამოუყენებლობა იყო მოპასუხე მხარის არგუმენტი *საავტომობილო საწვავის* (II) საქმეში, რაც სააგენტომ უარყო. კერძოდ, საქმეში არსებული მტკიცებულებებითა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე

---

[776] სადავოა მოცემული პრაქტიკის გაზიარების საკითხი, რამდენადაც იგი ეფუძნება მითითებული გადაწყვეტილების (Case C-260/07, *Pedro IV Servicios SL v Total España SA* [2009], ECLI:EU:C:2009:215) არაზუსტ თარგმანს და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო მითითებული შეფასების ტესტს მხოლოდ ისეთი შემთხვევებისთვის უთითებს, როდესაც ხდება იმის განსაზღვრა, რამდენად აქვს ადგილი ფიქსირებული ან მინიმალური ფასის არაპირდაპირი, შეფარული გზით დადგენას.

[777] *საავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, გვ. 22.

დაადგინა, რომ სარეალიზაციო ფასის შენარჩუნებაზე მითითება რეალურად არ ატარებდა სარეკომენდაციო ხასიათს.[778]

ვერტიკალურ ურთიერთობაში ეკონომიკური აგენტის მიერ სარეალიზაციო ფასის განსაზღვრის თავისუფლებას აგრეთვე ზღუდავს ე.წ. საუკეთესო ფასის გარანტიის (MFN - Most Favoured Nations Clause) თაობაზე პირობა, რაც ავალდებულებს ეკონომიკურ აგენტს ყველაზე ხელსაყრელი ან სხვა კონტრაქტორებთან შედარებით არანაკლებ ხელსაყრელი პირობები შესთავაზოს მეორე მხარეს.

სასტუმროების ონლაინ დაჯავშნის სისტემაში MFN-ის გამოყენების საკითხზე სააგენტომ იმსჯელა Booking.com-ის საქმეში და ერთმანეთისგან განასხვავა „ფართო" MFN და „ვიწრო" MFN.[779]

- „ფართო" MFN - საუკეთესო ფასის შეთავაზების პირობა ვრცელდება ონლაინსივრცეში დაჯავშნის მიღმა და პარტნიორ სასტუმროს ავალდებულებს იგივე (არა მეტად ხელსაყრელი) პირობები შესთავაზოს მასთან მისულ სტუმარს.
- „ვიწრო" MFN - მოიცავს შეთანხმებას, რომ პარტნიორმა სასტუმრომ მომხმარებელს საკუთარი ვებ-გვერდიდან ონლაინპლატფორმასთან შედარებით უკეთესი პირობები არ შესთავაზოს, თუმცა თავისუფალია, სხვა ონლაინპლატფორმებთან და ადგილზე მისულ კლიენტებთან მიმართებით.

ევროკავშირის ფარგლებში არაერთი ბაზრის კვლევა იქნა ჩატარებული აღნიშნულ სფეროში. შედეგად, ონლაინ დაჯავშნის

---

[778] მხარეთა უმრავლესობამ და თავად ლუკოილის წარმომადგენელმა აღიარეს ზეპირი შეთანხმების არსებობა, რომლის თანახმად ზეპირი მითითებების საფუძველზე ლიცენზიანტები ახდენდნენ ფასის ცვლილებას. ამას ასევე მოწმობს სადავო პერიოდში ლუკოილის ქსელში ერთიანი ფასის მოქმედების ფაქტი, *საავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, გვ. 22-23, *„საავტომობილო საწვავის"* (I) საქმეში, სკს, ბრძანება N81, 14.07.2015, გვ. 143-145; განსხვავებული იყო იგივე საქმეში რომპეტროლსა და სხვა სადისტრიბუციო კომპანიებს შორის ხელშეკრულებები. კერძოდ, რომპეტროლის ფასის გამეორების ვალდებულება პირდაპირ ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში იყო მოწესრიგებული და არცერთ შემთხვევაში არ აძლევდა ფრენშაიზის მიმღებს ფასის ცვლილების შესაძლებლობას. იგივე დასტურდება მხარეთა ახსნა-განმარტებიდან და სადავო პერიოდში ფასების შედარების გათვალისწინებით. *„საავტომობილო საწვავის"* (I) საქმეში, სკს, ბრძანება N81, 14.07.2015, გვ. 145-147.

[779] *Booking.com-ის* საქმე, (სკს), ბრძანება N05, 09.01.2017, გვ. 14.

პლატფორმებს დაევალათ ფართო MFN-ის ვიწროთი ჩანაცვლება, რაც ჩაითვალა ე.წ. კომპრომისად, რათა განხორციელებულიყო სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებს შორის კონკურენციის წახალისება (განსაკუთრებით თავიანთი საკომისიოების ხარჯზე) და ამავდროულად თავიდან ყოფილიყო აცილებული სასტუმროების ე.წ. „უბილეთო მგზავრობა“ პლატფორმაში განხორციელებულ ინვესტიციებზე. [780]

საქართველოს კონკურენციის სააგენტომ სასტუმროების ონლაინ დაჯავშნის პლატფორმების ბაზრის მონიტორინგის შედეგად დაადგინა, რომ სასტუმროებსა და სასტუმროების დაჯავშნის ონლაინპლატფორმებს შორის დადებულ ხელშეკრულებებში ფართო MFN პირობების (საუკეთესო ფასის გარანტია) გამოყენება საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის საწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენს, რის საფუძველზეც ეთხოვათ შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს მოცემული პირობების ხელშეკრულებიდან ამოღება.[781]

ბ) ექსკლუზიური შესყიდვები

ექსკლუზიური შესყიდვის/ერთ ბრენდზე შეთანხმების (single branding) კატეგორიაში ექცევა ისეთი შეზღუდვები, რომელთა თანახმად მყიდველი ვალდებულია ან სხვაგვარად იძულებულია[782] შეისყიდოს გარკვეული პროდუქცია მხოლოდ ერთი მიმწოდებლისგან.[783]

ევროკავშირის სამართლით, აღნიშნული ტიპის

---

[780] იქვე. გვ. 14.

[781] იხ. http://competition.ge/ge/page4.php?b=899. წინამდებარე წიგნის მიზნებისთვის ვერ მოესწრო მიღებული გადაწყვეტილების დამუშავება.

[782] მსგავსი იძულება შესაძლოა განხორციელდეს, მაგალითად, მყიდველისათვის გარკვეული რაოდენობის პროდუქციის შეძენის დავალდებულებით, ხოლო ხსენებული მინიმუმის არ შეძენის შემთხვევაში, საერთოდ უარი ეთქვას ხელშეკრულებაზე. ანალოგიური შედეგი შეიძლება მიღწეულ იქნას მყიდველის დავალდებულებით, მიაწოდოს გამყიდველს ინფორმაცია შესასყიდი საქონლის სხვა გამყიდველისაგან უფრო დაბალ ფასად შეძენის შესაძლებლობის შესახებ და მხოლოდ მას მერე მოახდინოს კონკურენტისგან შეძენის განხორციელება, თუ არსებული გამყიდველი ვერ მოახერხებს საქონლის ანალოგიურ დაბალ ფასად შეთავაზებას.

[783] ევროკავშირის გზამკვლევი ვერტიკალურ შეზღუდვებზე, ოფიციალური ჟურნალი C130/1, 2010. აბზ. 129.

ხელშეკრულებებს არ აქვთ კონკურენციის შეზღუდვის მიზანი. ამავდროულად, არსებობს რისკი, რომ ხსენებული ტიპის შეთანხმებამ (i) ბაზარზე წვდომა შეუზღუდოს კონკურენტ და პოტენციურ კონკურენტ მიმწოდებლებს; (ii) ხელი შეუწყოს მიმწოდებელთა შორის ფარულ გარიგებას, რომლის დროსაც ეს უკანასკნელები გადაინაწილებენ დისტრიბუტორებს; (iii) ხელი შეუშალოს ბრენდთაშორის კონკურენციას, რადგან მომხმარებლებს აღარ ექნებათ ერთი და იმავე დისტრიბუტორის მაღაზიაში რამდენიმე კონკურენტი პროდუქტის შედარების საშუალება.[784]

გამომდინარე იქიდან, რომ ექსკლუზიური შესყიდვის შეთანხმება შესაძლოა საჭირო იყოს ბაზარზე ახალი ბრენდის დასამკვიდრებლად, ევროკომისია უშვებს მათი გარკვეული ვადით არსებობის შესაძლებლობას. ამ მხრივ, საგულისხმოა შემდეგი ვადები: (i) არადომინანტი კომპანიის მხრიდან ერთ წელზე ნაკლები ვადით გაფორმებული შეთანხმება, როგორც წესი, უპრობლემოა; (ii) 1-5 წლამდე შეთანხმება საჭიროებს კონკურენციის წამახალისებელი და შემზღუდველი შედეგების სრულყოფილ ანალიზს; (iii) 5 წელზე მეტი ხნის შეთანხმების გამართლება თითქმის შეუძლებელია.[785] 5 წლიან ვადაზე მითითება ხდება საქართველოშიც.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო *Delimitis*[786] საქმეში ორ-საფეხურიან ტესტს ადგენს ამ ტიპის ხელშეკრულებების კონკურენციის საწინააღმდეგო ეფექტის შესაფასებლად.

- **პირველ საფეხურზე** ფასდება, რამდენად შეეძლოთ კონკურენტებს მოცემულ ბაზარზე შესვლა/ბაზრის წილის გაზრდა, შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ბაზარზე არსებული მსგავსი ექსკლუზიური შეთანხმებების კუმულატიური ზეგავლენა, საკანონმდებლო შეზღუდვები, სადისტრიბუციო სისტემის ეკონომიკურად გამართვისთვის საჭირო მაღაზიების აუცილებელი რაოდენობა და ა.შ.
- მეორე საფეხურზე კი დგინდება, თუ რა გავლენა აქვს

---

[784] იქვე, აბზ. 130.

[785] იქვე, აბზ. 133.

[786] Case C-234/89, *Stergios Delimitis v Henninger Bräu AG* [1991] ECR I-977, ECLI:EU:C:1991:91, აბზ. 21.

უშუალოდ მოცემულ ხელშეკრულებას ბაზარზე თავისუფალი წვდომის შეზღუდვაზე. აქ მნიშვნელოვანი ფაქტორებია: მწარმოებლის საბაზრო ძალაუფლება და ერთი ბრენდის შეთანხმებით დაკავშირებული მაღაზიების რაოდენობა, ხელშეკრულების ხანგრძლივობა და სხვა.

განსახილველი შეთანხმების კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგის დადგენის შემთხვევაში, მას აქვს პოტენციალი მოექცეს მე-9 მუხლით დადგენილ ჯგუფური გამონაკლისების კატეგორიაში, თუ დაკმაყოფილებული იქნება შესაბამისი წინაპირობები.[787]

გ) ექსკლუზიური დისტრიბუცია

ექსლუზიური დისტრიბუციის შემთხვევაში მწარმოებელი თანხმდება, კონკრეტულ ტერიტორიაზე პროდუქცია გასაყიდად მიაწოდოს მხოლოდ ერთ დისტრიბუტორს. [788] ამგვარ ხელშეკრულებას ორმხრივი სარგებელი მოაქვს მხარეთათვის: (i) მწარმოებელი ითვისებს მისთვის უცნობ და ახალ ბაზარს; (ii) დისტრიბუტორის მიერ კონკრეტულ ტერიტორიაზე ბრენდის ან პროდუქტის შეტანის და ცნობადობის ამაღლების მიზნით გაწეული ინვესტიციები და ძალისხმევა დაცულია ე.წ. „უბილეთო მგზავრებისგან“ - სხვა დისტრიბუტორებისგან. ამავდროულად, მსგავსი შეთანხმების შედეგად წარმოიშობა შიდაბრენდული კონკურენციის შემცირების, ბაზრების გეოგრაფიული ნიშნით გადაყოფისა და ამ ნიშნით საფასო დისკრიმინაციის შემოღების რისკები.[789] თუმცა, ექსკლუზიური დისტრიბუციის ხელშეკრულება არ წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმებას. შესაბამისად, ის შეიძლება მოექცეს მე-8 ან მე-9 მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისებში, თუ დაკმაყოფილებული იქნება შესაბამისი წინაპირობები.

ერთი შეხედვით, ექსკლუზიური დისტრიბუციის შეთანხმება პრობლემას უნდა ქმნიდეს კონკურენტი დისტრიბუტორებისათვის

---

[787] იხილეთ დეტალური ინფორმაციისთვის, თავი IV.

[788] ევროკავშირის გზამკვლევი ვერტიკალურ შეზღუდვებზე, ოფიციალური ჟურნალი C130/1, 2010, აბზ. 151.

[789] ევროკავშირის გზამკვლევი ვერტიკალურ შეზღუდვებზე, 2010, აბზ. 151.

(რადგან ამ უკანასკნელებს შესაძლოა შეეზღუდოთ ბაზარზე წვდომის საშუალება). ამავდროულად, ითვლება, რომ თუ ექსკლუზიური დისტრიბუციის სისტემაში ჩართულია მრავალი დისტრიბუტორი, მსგავსი პრობლემა სახეზე არ იქნება. ეს განსაკუთრებით მაშინ შეესაბამება სიმართლეს, თუ ავტორიზებულ დისტრიბუტორებს აკრძალული არ აქვთ პროდუქციის სხვა დისტრიბუტორებისთვის მიყიდვა.[790]

იგივე შეიძლება ითქვას ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც მწარმოებელი ექსკლუზიურ საბითუმო დისტრიბუტორს/რეალიზატორს ნიშნავს ფართო გეოგრაფიულ არეალში, თუმცა აძლევს მას პროდუქტის საცალო დისტრიბუტორებზე გაყიდვის შეუზღუდავ უფლებას. [791] ამავდროულად, სარისკოა ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე საბითუმო დისტრიბუტორი ხდება მრავალი მწარმოებლის ექსკლუზიური ხელშემკვრელი მხარე საბითუმო ბაზრის დონეზე. ამან შეიძლება შეამციროს მწარმოებლებს შორის კონკურენცია.[792]

თუ ექსკლუზიურობაზე შეთანხმებასთან ერთად პირს გადაეცემა ამავე ტერიტორიაზე სავაჭრო/სასაქონლო ნიშანზე ექსკლუზიური უფლებები, სახეზეა სრული ტერიტორიული დაცვა. ხსენებული სახის შეთანხმება ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში მიიჩნია კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონედ.[793] სრული ტერიტორიული დაცვა არამარტო იცავს დისტრიბუტორს იმავე ტერიტორიაზე სხვა ახალი დისტრიბუტორების შემოსვლისგან, არამედ ზღუდავს ყველანაირი სახის პარალელურ იმპორტს ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოებიდან. შესაბამისად, ეს უკანასკნელი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ერთიანი ბაზრის პრინციპთან.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ დასახელებული მიზანი ქართული ბაზრისთვის ამ ეტაპზე არ არის რელევანტური, მნიშვნელოვანია სრული ტერიტორიული დაცვა ქართულ

---

[790] იქვე, აბზ. 157.
[791] იქვე, აბზ. 160.
[792] იქვე.
[793] Joined Cases 56, 58/64, *Etablissements Consten SARL and Grundig-Verkaufs-GmbH v Commission* [1966] ECR 299, ECLI:EU:C:1966:41.

პრაქტიკაში ავტომატურად არ ჩაითვალოს დარღვევად და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასდეს ეკონომიკური და სამართლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით.

ექსკლუზიური დისტრიბუციის მსგავსი შეთანხმებაა კლიენტების ექსკლუზიური გადანაწილება. აღნიშნულ შემთხვევაში, მწარმოებელი უთანხმდება დისტრიბუტორს მის მიერ მიწოდებული პროდუქტის მომხმარებელთა კონკრეტული ჯგუფისთვის მიყიდვაზე (ანუ ადგილი აქვს არა გეოგრაფიულ, არამედ მომხმარებლების მიხედვით დაყოფას). [794] აღნიშნული შეთანხმება ბაზრის ეფექტიანობას ზრდის ისეთ შემთხვევებში, როდესაც მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფების მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მწარმოებელს დამატებითი ინვესტიციების გაღება უხდება [795] (მაგალითად, საჭიროა განსხვავებული გამოცდილების პერსონალი და ტექნიკა მძიმეწონიანი მანქანების საბურავებისა და მსუბუქი მანქანების საბურავების შეცვლის პროცესში. შესაბამისად, მომხმარებელთა ჯგუფების მოთხოვნა განსხვავებულია). ამავდროულად, ხსენებულმა შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული უარყოფითი შედეგებიც - მაგალითად, მომხმარებელთა კონკრეტული სეგმენტის მომსახურებაზე არასპეციალიზებული დისტრიბუტორებისათვის ბაზარზე წვდომის შეზღუდვა.[796]

დ) შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა

შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა განმარტებულია ჯგუფური გამონაკლისების მთავრობის დადგენილებით (მუხლი 2.1. „დ"). მისი მახასიათებლებია:

- საქონლის ან მომსახურების მხოლოდ შერჩეული დისტრიბუტორებისთვის მიყიდვის ვალდებულება;
- წინასწარ დადგენილი, გონივრული და ობიექტური კრიტერიუმებით დისტრიბუტორების შერჩევა;

---

[794] ევროკავშირის გზამკვლევი ვერტიკალურ შეზღუდვებზე, ოფიციალური ჟურნალი C130/1, 2010, აბზ. 168.
[795] იქვე. აბზ. 172.
[796] იქვე. აბზ. 170.

- დისტრიბუტორების ვალდებულება, არ გადაყიდონ საქონელი ან მომსახურება იმ პირებზე, რომლებიც არ არიან შერჩევითი დისტრიბუციის სისტემის წევრები.

შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა გამართლებულია ისეთი პროდუქტების დისტრიბუციისთვის, რომელსაც სპეციალური ცოდნა სჭირდება (კომპიუტერული ტექნიკა, კამერები, სახლის კინოთეატრი და ა.შ.) ან წარმოადგენს ბრენდულ პროდუქციას (მაჯის საათები, ჩანთები, პარფიუმერია და ა.შ.). მსგავს სისტემას შეუძლია შეზღუდოს კონკურენცია, ვინაიდან არაუფლებამოსილი პირებისთვის შეზღუდულია მოცემული პროდუქციის გაყიდვა. მას ასევე შეიძლება მოჰყვეს ფასების ზრდა, ვინაიდან სისტემაში შესვლის მსურველ დისტრიბუტორებს მოუწევთ მნიშვნელოვანი ინვესტიციების გაწევა. თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს მნიშვნელოვანი არასაფასო კონკურენცია ერთი სისტემის ქვეშ მყოფ დისტრიბუტორებს შორის, რათა მათ წარმოაჩინონ თავიანთი სერვისის განსაკუთრებულობა - მაღალი ხარისხი. ამასთან, ბრენდთაშორისი კონკურენცია პირიქით იზრდება ახალი და ხარისხიანი პროდუქციის ბაზარზე განთავსებით. შესაბამისად, თუ კონკრეტული წინაპირობები არის დაკმაყოფილებული, [797] შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა, ევროკავშირის სამართლის მიხედვით, თავისთავად არ ექცევა TFEU 101 მუხლით განსაზღვრულ აკრძალულ ხელშეკრულებათა კატეგორიაში.

ქართული სამართლის მიხედვით, თუ შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა მოექცევა მე-7 მუხლით დადგენილ აკრძალვებში, იგი შეიძლება გათავისუფლებულ იქნას მე-9 მუხლის საფუძველზე თუ დააკმაყოფილებს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ჯგუფური გამონაკლისებისადმი მიკუთვნების წინაპირობებს.

[797] Case 26/76 *Metro v Commission*, [1977] ECR 1875, ECLI:EU:C:1977:167.

ე) ფრენშაიზინგი/ლიცენზიის ხელშეკრულებები[798]

სააგენტო საავტომობილო საწვავის (II) გადაწყვეტილებაში ფრენშაიზინგის და ლიცენზიის ხელშეკრულებებს მიაკუთვნებს ვერტიკალური ხელშეკრულებების რიცხვს, ვინაიდან მსგავსი ტიპის ხელშეკრულებებს „კონკურენტი ეკონომიკური აგენტები გადაჰყავს ვერტიკალური ინტეგრაციის ჭრილში.“ [799] ამასთან, სააგენტო მიიჩნევს, რომ ფრენშაიზის/ლიცენზიის მიმცემი, ხელშეკრულების საფუძველზე, ხდება ფრენშაიზის მიმღების კონკურენტი (ალბათ უფრო სწორია, რომ ვთქვათ, რომ ფრენშაიზის მიმღები ხდება კონკურენტი სადისტრიბუციო საფეხურზე) და შესაბამისად, ასეთი ტიპის ხელშეკრულებებს შესაძლოა ჰქონდეთ, ჰორიზონტალური ხელშეკრულების მსგავსი ეფექტი ბაზარზე.[800]

სააგენტოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 613-ე მუხლით [801] განსაზღვრული „ლოიალური კონკურენციის“ პირობები არ გამორიცხავს ფრენშაიზის მიმცემსა და მიმღებს შორის კონკურენციას და არ აძლევთ მათ გასაყიდი პროდუქციის ფასის პირდაპირ და არაპირდაპ დადგენის უფლება. აქედან მომდინარე ეკონომიკური ზიანი კი მომხმარებლის მიერ განსხვავებული ფასის პროდუქციაზე წვდომის შეზღუდვაა. საკუთარი რისკით მოქმედი დამოუკიდებელი სუბიექტი თავად უნდა წყვეტდეს გასაყიდი პროდუქციის ფასს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.[802]

სააგენტო ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, განმარტავს, რომ ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში არსებული ცალკეული პირობების კონკურენციის შემზღუდავი ხასიათის დასადგენად

---

[798] სააგენტოს განმარტებით ფრენშაიზინგის და ლიცენზიის ხელშეკრულებებს განასხვავებს ის კონტროლის ხარისხის რასაც ფრენშაიზინგის მიმცემი იტოვებს ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში. ლიცენზიის ხელშეკრულება კი განუყოფელი ნაწილია ფრენშაიზინგის ხელშეკრულების, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო ფართეა და კომპლექსური ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობა. იხ. *საავტომობილო საწვავის* (I) საქმე. სკს, ბრძანება N81, 14.07.2015. გვ. 140.

[799] *საავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 14.

[800] იქვე, გვ. 14.

[801] საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 31, 24.07.1997, https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=100.

[802] *საავტომობილო საწვავის* (I) საქმე. სკს, ბრძანება N81, 14.07.2015, გვ. 140.

უნდა შეფასდეს, რამდენად არის კონკრეტული შეზღუდვა აუცილებელი/ლეგიტიმური ხელშეკრულების მთავარი არსის, მიზნის განსახორციელებლად - გადაცემული „ნოუ ჰაუს“ დასაცავად.[803] ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა ცალკეული ტიპის შეზღუდვები, რომელიც ჩაითვალა როგორც ფრენშაიზინგის ხელშეკრულების არსის გამომხატველი და შესაბამისად, არ მოექცა TFEU 101 მუხლით განსაზღვრულ აკრძალვებში.

შედეგად, ფრენშაიზინგის ხელშეკრულებებში დასაშვებად ჩაითვალა ფრენშაიზის მიმღებზე შემდეგი სახის შეზღუდვების დაწესება:[804]

- ფრენშაიზის მიმღებისთვის იდენტური ან მსგავსი ტიპის მაღაზიის გახსნის აკრძალვა იქ, სადაც იმავე ქსელის სხვა წევრებს გაუწევს კონკურენციას;
- ფრენშაიზის მიმცემის წინასწარი თანხმობის გარეშე მაღაზიის გაყიდვის აკრძალვა;
- ფრენშაიზის მიმცემი პირის კომერციული მეთოდების გამოყენების ვალდებულება;
- ფრენშაიზის მიმცემის მითითებების მიხედვით მაღაზიის სივრცის მოწყობის ვალდებულება;
- ფრენშაიზის მიმცემის თანხმობის გარეშე მაღაზიის ადგილმდებარეობის ცვლილების და ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების დათმობის დაუშვებლობა;
- მხოლოდ ფრენშაიზის მიმცემისგან ან მის მიერ მითითებული მესამე პირისგან პროდუქციის შესყიდვის ვალდებულება;
- სარეკლამო და მარკეტინგული აქტივობების შინაარსის შეთანხმების ვალდებულება.

ასეთი კატეგორიის შეზღუდვაში ცალსახად არ ექცევა ფრენშაიზის მიმღების მიერ ფასის დამოუკიდებლად განსაზღვრის

---

[803] Case 161/84 *Pronuptia de Paris GmbH v Pronuptia de Paris Irmgard Schillgallis* [1986] ECR 353, მითითებულია *საავტომობილო საწვავის* საქმეში (II), სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018გვ. 18-20.

[804] Case 161/84 *Pronuptia de Paris GmbH v Pronuptia de Paris Irmgard Schillgallis* [1986] ECR 353, გვ. 18-20.

შეზღუდვა - სარეალიზაციო ფასის შენარჩუნების პირობა. ამასთან, სააგენტოს განმარტებით, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა სახეზეა, როდესაც ფრენშაიზის მიმღების ეკონომიკური თავისუფლება ხელოვნურად იქნება შეზღუდული.[805]

6. მტკიცების სტანდარტი და მტკიცების ტვირთი

6.1. მტკიცების სტანდარტი

კონკურენციის კანონის მე-7 მუხლით დადგენილი დარღვევის მტკიცების ტვირთი აწევს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს - კონკურენციის სააგენტოს, რასაც საკუთარი ინიციატივით დაწყებული მოკვლევის ფარგლებში დამოუკიდებლად ახორციელებს, ხოლო საჩივრის არსებობის შემთხვევაში - მომჩივანთან ერთად. ასეთ შემთხვევაში მომჩივანი განიხილება მხარედ და მას კონკურენციის სააგენტოსთან ერთად აკისრია მე-7 მუხლით განსაზღვრული დარღვევის შემადგენლობის მტკიცების ტვირთი.[806]

„ლუკოილის“ საქმეზე საკასაციო პალატა ეყრდნობა რა ევროპის მართლმსაჯულების პრაქტიკას, უთითებს, რომ სააგენტოს მიერ მე-7 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის დადგენა, რომელსაც თან ახლავს სახდელის დაკისრება „უნდა ეფუძნებოდეს არა დაშვებებსა და ვარაუდებს, არამედ წარმოების ფარგლებში მოპოვებულ საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობას, დამაჯერებელ დასკვნებს, რადგან სათანადო მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში ეჭვი კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში უნდა გადაწყდეს სავარაუდო სამართალდამრღვევის სასარგებლოდ.“ [807] ხსენებული არ გამორიცხავს ფრაგმენტული და ცალკეული მტკიცებულებების

---

[805] *საავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, გვ. 27 და მომდევნო.

[806] სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018. გვ. 27.

[807] Case C-774/14, *"Eturas" UAB and Others v Lietevos Respublikos konkurencijos taryba* [2016] მითითებულია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინება შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ საქმეზე, გვ 10.

შევსებას გარკვეული ვარაუდებით, თუმცა დარღვევის დასადგენად არ უნდა არსებობდეს ქმედების ან მოვლენის სხვა ალტერნატიული გონივრული ახსნა.[808] საკასაციო პალატის განმარტებით სააგენტოს ევალება დაადასტუროს, რომ „ბაზარზე განვითარებული მოვლენები მხოლოდ არამართლზომიერ შეთანხმებას, კონკურენციის წესების დარღვევას შეეძლო გამოეწვია."[809]

ხსენებულ მტკიცების სტანდარტს დამატებით ავითარებს კონკურენციის სააგენტო *„საავტომობილო საწვავის"* (II) საქმეში და ციტირებს ევროკავშირის პრაქტიკას, რომლის თანახმადაც კომისიის მიერ მტკიცების ტვირთი დაკმაყოფილებულია, როდესაც წარმოდგენილია „საკმარისად ზუსტი და თანმიმდევრული მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სავარაუდო დარღვევის არსებობის მყარი რწმენის საფუძველს."[810] შესაბამისად, ევროკავშირში მოქმედებს დარღვევის არსებობის ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი ('balance of probabilites'), თუმცა იმ დათქმით, რომ ნებისმიერ ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება უნდა გადაწყდეს სავარაუდო დამრღვევის ეკონომიკური აგენტის სასარგებლოდ (*in dubio pro reo*).[811] ამასთან, „სასამართლო ვერ დაასკვნის, რომ კომისიამ დაადგინა დარღვევა სათანადო იურიდიული სტანდარტის დაცვით თუ კვლავ აქვს ეჭვი აღნიშნულთან დაკავშირებით, კერძოდ, ჯარიმის დაკისრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართალწარმოებაში."[812]

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმედება განსაკუთრებით

---

[808] Case T-348/08, *Aragonesas Industrias y Energía, SAU v. Commission*[2011] ECLI:EU:T:2011:621; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინება №ას -ლუკოილ ჯორჯიას" საქმეზე, გვ 10.

[809] იქვე გვ. 10.

[810] Case T-62/98, *Volkswagen*, [2000] ECR II-2707, აბზ. 43; მითითებულია *საავტომობილო საწვავის* საქმეში (II), სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 60-61; ასევე Cases 29 and 30/83, *Compagnie Royale Asturienne des Mines SA and Rheinzink GmbH v Commission* [1984] ECR 1679.

[811] Case T-442/08, International Confederation of Societies of Authors and Composers (CISAC) v Commission, [2013], აბზ. 91.

[812] *საავტომობილო საწვავის* საქმეში (II), სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 61; ასევე Case T-348/08, Aragonesas Industrias y Energía, SAU v Commission, 25 October 2011, აბზ. 92-93.

მნიშვნელოვანია კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის დადგენის ისეთ პროცედურებთან მიმართებით, რომელთაც თან ახლავს მკაცრი სანქციების დაკისრება.[813] ამასთან, დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის სამართალში მოქმედებს დარღვევის ინდივიდუალური შერაცხვის პრინციპი[814] და სააგენტო ვალდებულია დაამტკიცოს, რომ თითოეულმა აგენტმა იცოდა ან მინიმუმ შეეძლო გონივრულობის ფარგლებში განეჭვრიტა იმ ქმედების თაობაზე, რასაც მას ან კარტელის სხვა მონაწილეებს ბრალად შეურაცხავენ.[815]

6.2. პირდაპირი და არაპირდაპირ მტკიცებულებები

შეთანხმება და შეთანხმებული ქმედების არსებობა შესაძლოა დასტურდებოდეს როგორც **პირდაპირი**, ისე **არაპირდაპირი** მტკიცებულებების ერთობლიობით.

პირდაპირი მტკიცებულება შეიძლება იყოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი: კარტელის მონაწილე აგენტების ზეპირი განცხადებები (მათ შორის საჯარო); კარტელში მონაწილეობის ზეპირი აღიარება; სატელეფონო საუბრების ჩანაწერები; წერილობითი შეთანხმება; მიმოწერა ელექტრონული ფოსტით; საერთო სტრატეგიების აღმწერი დოკუმენტების, შეხვედრის ოქმები და ა.შ. ამასთან, ეკონომიკურ აგენტთა ჩვენებებთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სხვა ეკონომიკურ აგენტთა მიერ სადავოდ გამხდარი ჩვენებები ვერ დაედება საფუძვლად დარღვევის არსებობას, თუ ეს ჩვენებები არ არის გამყარებული სხვა მტკიცებულებებით.[816]

ლიტერატურაში [817] და ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკით [818] აღიარებულია, რომ ვინაიდან საყოველთაოდ

---

[813] Case C-199/92 P, *Hüls AG v Commission* [1999] ECR I-4287, აბზ. 45, 149-150.

[814] Case 48/92 *Commission v Anic* [1999] ECR I-4125, აბზ. 78.

[815] Case C-441/11 P, *Commission v Verhuizingen Coppens*, EU:C:2012:778, აბზ. 86.

[816] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინება შპს „ლუკოილ ჯორჯიას" საქმეზე, გვ 17.

[817] Whish, Richard and Bailey, David, *"Competition Law"*, 7th ed, Oxford University Press, 2012; გვ. 514.

[818] Case T-348/08, Aragonesas Industrias y Energía, SAU v Commission, 25 October 2011.

ცნობილია კონკურენციის შემზღუდავი ხელშეკრულებების კანონსაწინააღმდეგობა, სააგენტოს ყოველთვის არ ექნება კარტელის არსებობის დამადასტურებელი პირდაპირი დოკუმენტური მტკიცებულებები და შესაბამისად, რიგ შემთხვევებში მოუწევს კარტელის მტკიცება არაპირდაპირ მტკიცებულებებით. აღნიშნული განაცხადი განსაკუთრებით ერგება საქართველოს მსგავს ახალბედა იურისდიქციებს, სადაც კარტელის აღმოჩენის და კვლევის ეფექტური მექანიზმები ჯერ არ არის განვითარებული[819] და ამასთან, პრაქტიკაში არ ამოქმედებულა ე.წ. თანამშრომლობის პროგრამა.[820] ხსენებული, რა თქმა უნდა, არ უნდა იქნას გაგებული როგორც სააგენტოს მტკიცების ტვირთის გამარტივების საფუძველი.

პრაქტიკაში გაზიარებულია მიდგომა, რომლის მიხედვითაც თითოეული არაპირდაპირი მტკიცებულების მტკიცებულებითი ძალა არ ფასდება დამოუკიდებლად, არამედ ეფუძნება მტკიცებულებათა ერთობლიობით შექმნილი სურათის თანმიმდევრულობას და დამაჯერებლობას. [821] შესაბამისად, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განმარტა, რომ „კანონსაწინააღმდეგო შეთანხმების ან პრაქტიკის არსებობა შეიძლება გამომდინარეობდეს არაპირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობიდან, რომელიც ისეთ დამთხვევებსა და ნიშნებს შეიცავს, რომელსაც სხვა ალტერნატიული გონივრული ახსნა, გარდა შეთანხმებული ქმედებისა, ვერ ექნება."[822]

არაპირდაპირი მტკიცებულებების ძირითადი კატეგორიებია კომუნიკაციის დამადასტურებელი და ეკონომიკური ხასიათის მტკიცებულებები, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ იყოფა ბაზრის

---

[819] იხ. სააგენტოს მსჯელობა *„სავტომობილო საწვავის"* (I) საქმეში, სკს. ბრძანება N81, 14.07.2015, გვ. 71-75.

[820] კონკურენციის კანონი, მუხლი 33[1].

[821] OECD Roundtable on Prosecuting Cartels without direct evidence, DAF/COMP/GF(2006)7; ხელმისაწვდომია https://www.oecd.org/daf/competition/prosecutionandlawenforcement/37391162.pdf.

[822] Case T-44/02 OP Dresden Bank v Commission [2006] ECR II-3567, აბზ. 65.

სტრუქტურულ მაჩვენებლებად და ეკონომიკურ აგენტთა ქცევებად.[823]

კომუნიკაციის დამადასტურებელი არაპირდაპირი მტკიცებულებებია, რომლებიც ასახავენ მხარეთა კომუნიკაციის, შეხვედრის დამადასტურებელ ფაქტებს, მაგრამ არ ასახავენ შეხვედრის, კომუნიკაციის შინაარსობრივ მხარეს. მაგ. სატელეფონო ზარები, სასტუმროს ჯავშნები, რესტორნის გადახდის ქვითრები, თვითმფრინავის ბილეთები, დღის წესრიგის გარეშე დარგობრივ ასოციაციაში შეხვედრის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ინდუსტრიის მიერ ორგანიზებული კონფერენციები და ა.შ. [824] კომუნიკაციის არსებობის დამადასტურებელია, აგრეთვე ზემოთ განხილული ინფორმაციის გაცვლის შემთხვევები, რაც ცალკე აღებული მე-7 მუხლის დარღვევას წარმოადგენს, თუმცა ამავდროულად შეიძლება იყოს სხვა უფრო სიღრმისეული კარტელური შეთანხმების დამადასტურებელი მტკიცებულება.

რაც შეეხება **ეკონომიკური ხასიათის მტკიცებულებებით** კარტელის მტკიცებას, აღნიშული მიდგომა პრაქტიკაში საკმაოდ რთულ მოვლენას წარმოადგენს, ვინაიდან მსგავსი ტიპის მტკიცებულებები როგორც შეთანხმებული ქმედების, ისე ეკონომიკურ აგენტთა დამოუკიდებელი ქცევის მანიშნებელი შეიძლება იყოს.[825] მტკიცების სირთულეს ასევე მოწმობს ზემოთ განხილული საავტომობილო საწვავის საქმის მაგალითზე განვითარებული ქართული პრაქტიკა. მომდევნო ქვეთავში განხილული იქნება ეკონომიკური ხასიათის მტკიცებულებები და მათი ხვედრითი წილი მტკიცების პროცესში.

6.3. პარალელური ქმედებები და „პლუს ფაქტორები"

როგორც ზემოთ აღინიშნა, ოლიგოპოლიურ ბაზრებზე იქმნება მტკიცების პარადოქსი, ვინაიდან რაც უფრო ხელსაყრელია

---

[823] OECD Roundtable on Prosecuting Cartels without direct evidence, DAF/COMP/GF(2006)7; ხელმისაწვდომია https://www.oecd.org/daf/competition/prosecutionandlawenforcement/37391162.pdf; გვ. 10.

[824] იქვე. გვ 10.

[825] იხ. ზემოთ ქვეთავი 4.3.

ბაზრის მახასიათებლები კარტელის შესაქმნელად, მით უფრო მარტივია კოორდინაციის მიღწევა აკრძალული ხერხების გამოყენების გარეშე. შესაბამისად, ძალზედ რთულია ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა (პარალელურ) ქმედებებზე დაკვირვებით, მივიღოთ კარტელური შეთანხმების გარემოებითი მტკიცებულება, როდესაც თავად ამ პარალელური ქმედების ალტერნატიული ახსნა სწორედ ბაზრის ოლიგოპოლიური სტრუქტურა შეიძლება იყოს.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით „მიუხედავად იმისა, რომ პარალელური ქმედება თავისთავად არ იგივდება შეთანხმებულ ქმედებასთან, ის მაინც შეიძლება წარმოადგენდეს ამგვარი პრაქტიკის არსებობის მყარ მტიცებულებას, თუ ის კონკურენციის ისეთ პირობებს ქმნის ბაზარზე, რომელიც არ შეესაბამება ბაზრის ჩვეულებრივ პირობებს, პროდუქტის ბუნების, ეკონომიკური აგენტების ზომის და რაოდენობის, და შესაბამისი ბაზრის მოცულობის გათვალისწინებით."[826]

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ „ლუკოილის" და „რომპეტროლის" საქმეზე გაიზიარა ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკა[827] და დაადგინა, რომ ეკონომიკური აგენტების ქმედება შესაბამის ბაზარზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებულ ქმედებად, როდესაც მას არ გააჩნია სხვა გონივრული ახსნა. სასამართლოს განმარტებით პარალელური ქმედების არსებობა, თავისთავად არ წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტთა შორის მართლსაწინააღმდეგო შეთანხმების დამადასტურებელ გარემოებას. საკასაციო პალატის მიერ დადგენილ იქნა შეთანხმებული ქმედების მტკიცების შემდეგი სტანდარტი: კომუნიკაციის ფაქტის დადგენის პირდაპირი მტკიცებულებების არ არსებობის პირობებში, „აუცილებელია სახეზე იყოს არაპირდაპირი მტკიცებულებების ისეთი

[826] Case 48/69, *ICI v Commission* [1972] ECR 619, ას. 66.
[827] Joined Cases C-89, 104, 114, 116-117, 125-129/85, *Re Woodpulp Cartel: A Åhlström Osakeyhtiö and others Commission* [1993] ECR I-307.

ერთობლიობა, რომელიც სარწმუნოდ დაადასტურებს შეთანხმებული ქმედების არსებობას."[828]

კონკურენციის სააგენტო მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებებში იზიარებს მითითებულ მტკიცების სტანდარტს და ხაზს უსვამს, რომ „შეთანხმების პირდაპირი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, პარალელური ქცევა, თავშეკავება, ან სხვა მსგავსი მოქმედება შეთანხმებული ქმედების მტკიცებულებად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მისი ალტერნატიული დამაჯერებელი ახსნა და მას ლოგიკურად ვერ ექნებოდა ადგილი მხარეთა შორის შეთანხმების გარეშე."[829] ხსენებულთან ურთიერთკავშირში სააგენტო ავითარებს ნეგატიურ ფორმით მტკიცების სტანდარტს - „მტკიცება „სხვანაირად შეუძლებელია" ფორმულით, რაც გულისხმობს ყველა სხვა შესაძლებლობის გამორიცხვას ფაქტების მეშვეობით და დარჩენილი ერთადერთი შესაძლებლობის დადასტურება დამდგარი შედეგიდან გამომდინარე."[830]

შესაბამისად, სააგენტო ქმედების სამართლებრივი შეფასებისას ვალდებულია განიხილოს შეთანხმებული ქცევის შესაძლო ალტერნატიული საფუძველი და შესაბამისად მოახდინოს ასეთის მისაღებობა/მიუღებლობის სათანადო და დამაჯერებელი არგუმენტაცია. [831] დაუშვებელია ეკონომიკური აგენტის ქცევის შეფასებისას სააგენტომ იხელმძღვანელოს მხოლოდ ვარაუდებით, რადგან გამომდინარე შესაბამისი სანქციების სიმძიმიდან (ჯარიმა,

---

[828] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინება შპს „ლუკოილ ჯორჯიას" საქმეზე, გვ 6.

[829] სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ, სკს, ბრძანება N04/166, 06.07.2018, გვ. 12; აგრეთვე *„აიტექნიკის"* საქმე, სკს, ბრძანება N04/186, 19.07.2017, გვ. 21.გვ.

[830] *საავტომობილო სანვავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 51.

[831] როგორც უკვე აღინიშნა საავტომობილო საწვავის ბაზარზე ფასთა პარალელიზმს მოეძებნა ალტერნატიული ახსნა და ჩაითვალა მსგავსი ტიპის ბაზრისთვის ბუნებრივ მოვლენად, *საავტომობილო სანვავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ.69; იხ. აგრეთვე პარალელიზმის ახსნა *„აიტექნიკის საქმეში"*, რაც შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით განხორციელდა: (i) შეძენილი/იმპორტირებული პროდუქციის ფასი თითქმის იდენტური იყო, არსებობდა მხოლოდ სხვაობის დაბალი პროცენტული მაჩვენებელი; (ii) პროდუქტი იყო ჰომოგენური; წარმოების ქვეყანა ძირითადად იდენტურია, ხარისხი, ბრენდი, იყენებდნენ იდენტური მიმწოდებელს, და სატრანსპორტო საშუალებას; (iii) გამჭვირვალობა: სარალიზაციო პუნქტები განლაგებული იყო გვერდი-გვერდ, *„აიტექნიკის"* საქმე, სკს, ბრძანება N04/186, 19.07.2017.

რეპუტაციული ზიანი, ა.შ.), სააგენტო ვალდებულია წარმოადგინოს ისეთი ხარისხის მტკიცებულებები, რომელიც გაამართლებდა კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მიმართ სანქციათა ლეგიტიმურობას.

უზენაესი სასამართლო აგრეთვე მიუთითებს მტკიცების პროცესში სააგენტოს მიერ *counterfactual-ის* გამოკვლევის მნიშვნელობაზე, რაც მოიცავს შეთანხმების არარსებობის პირობებში ბაზრის განვითარების, მისი სტრუქტურის, კონცენტრაციის დონის ან ეკონომიკურ აგენტთა ქცევის მოდელირებას.[832]

როგორც უკვე აღინიშნა ეკონომიკური მტკიცებულებების პრაქტიკაში გამოყენება საკმაოდ ფრთხილად უნდა განხორციელდეს. ეკონომიკური ხასიათის მტკიცებულებების სისტემატიზაცია პირველად მოსამართლე პოზნერის მიერ 1969 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში განხორციელდა[833] და დღემდე არ წყდება დებატები.[834] ეკონომიკური ხასიათის მტკიცებულებები (ე.წ. „პლუს ფაქტორები"), განვიხილოთ არა როგორც კომუნიკაციის ჩამნაცვლებელი გარემოებები, არამედ ისეთი ფაქტორები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ქცევის პარალელიზმი უფრო მაღალი ალბათობით კარტელურ შეთანხმებას ეფუძნება, ვიდრე დამოუკიდებელ, გაცნობიერებულ (რაციონალურ) ეკონომიკურ ქცევას.

ქვემოთ განხილული იქნება მხოლოდ გარკვეული კატეგორიის ეკონომიკური ხასიათის მტკიცებულებები.

მაგალითად, ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული საეჭვო ტენდენციებია:

---

[832] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინება შპს „ლუკოილ ჯორჯიას" საქმეზე. გვ. 6.

[833] Posner, Richard A. (1969), "*Oligopoly and the Antitrust Laws: A Suggested Approach*", 21 STAN. L. REV. 1562.

[834] იხ. მაგალითად Kaplow, Luis (2013) "*Competition Policy and Price Fixing*" (Princeton); განსხვავებული პოზიციისთვის Posner, Richard A. (2014) "*Review of Kaplow, Competition Policy and Price Fixing*" 79 Antitrust L. J. 761; აგრეთვე Kovacic, William E.et. al. (2011), "*Plus Factors and Agreement in Antitrust Law*", 110 Mich. L. Rev. 393; Werden, Gregory J. (2004), "*Economic Evidence on the Existence of Collusion: Reconciling Antitrust Law with Oligopoly Theory*", 71 Antitrust L.J.719.

- ფასის მოულოდნელი პარალელური გაზრდა, ბაზარზე არსებული გარეშე ეკონომიკური ფაქტორების/შოკების არარსებობის პირობებში, როგორიცაა, ნედლი პროდუქტის ფასების ზრდა, მოთხოვნის გაზრდა, სავალუტო რისკი და ა.შ;
- შესაბამისი მტკიცებულების არარსებობაც კი შეიძლება იყოს თავისთავად მტკიცებულება - მაგ. ფასწარმოქმნის სტრატეგიის არქონა, არასაფასო კონკურენციის შემთხვევებში შესაბამისი სამოქმედო გეგმის არქონა და ა.შ;
- ფასების დისკრიმინაცია კლიენტებს შორის;
- კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის გამჟღავნება, ფასის გაზრდის სხვადასხვა სიგნალების მიწოდება;
- საფასო პოლიტიკა, რომელიც არ ითვალისწინებს ხარჯის ფაქტორს, ფასების ზე-კონკურენტულ დონემდე გაზრდა;
- ფასის ფიქსირება ვერტიკალურ შეთანხმებებში;
- კარტელის წევრების მიერ ურჩი წევრების დასჯის მექანიზმები.

სააგენტო ნავთობის საქმეში უთითებს გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც უნდა დასტურდებოდეს პარალელური ქმედებიდან გადახვევის შემთხვევაში სანქცირების მექანიზმი, რათა სრულფასოვნად დადასტურდეს შეთანხმების არსებობა.[835] *აღნიშნული შეიძლება დადგინდეს ფასების ცვლილების ქრონოლოგიის მიხედვით, როდესაც ადგილი აქვს ფასების მოულოდნელ დაწევას, რაც შეიძლება ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტის საერთო პოლიტიკიდან გადახვევისას სხვა ეკონომიკურ აგენტთა საპასუხო მოქმედების - ერთ-ერთი დასჯის მექანიზმის, ე.წ „საფასო ომების" დამადასტურებელი იყოს.*[836] *ასევე ადგილი ხომ არ აქვს კონკურენტის მიერ ნედლეულის მიწოდებაში დამოკიდებულების შემთხვევაში მიწოდებაზე უარის ან ფასის გაზრდის შემთხვევებს.*

---

[835] *E.ON/Stadtwerke Eschwege*, BGH, Beschl. V. 11.11.2008, WuW/E DE-R 2451, 2457, Rn.39; მითითებულია *სავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 71.

[836] Posner, Richard A., "*Antitrust Law*", 2nd ed., The University of Chicago Press, 2001; გვ. 51-101.

მნიშვნელოვანია ასევე, ფასწარმოქმნაზე შემდგომი დაკვირვება ეკონომიკური აგენტების სავარაუდო დარღვევის წლების განმავლობაში, იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არ ადგილი ფასწარმოქმნის უჩვეულო ტენდენციებს. ასეთი შეიძლება იყოს ფასის პარალელური მოძრაობის ისეთი საეჭვო ტენდენციები, როგორიცაა ფასის მოულოდნელი და მკვეთრი ცვლილება, რომელიც არანაირ გარეშე ფაქტორთან/ეკონომიკურ შოკებთან (საწვავის საბაზისო შესასყიდი ფასის ცვლილება, მოთხოვნის გაზრდა, ლარის კურსის ცვლილება და ა.შ) არ არის დაკავშირებული.[837]

ბაზრის სტრუქტურული მახასიათებლები როგორც მტკიცებულება:

- ეკონომიკურ აგენტთა ზემოგებების მაჩვენებელი (თუმცა ყოველთვის არ არის აუცილებელი);
- ბაზრის წილის პროპორციული ცვლილება - სიმეტრია და სტაბილურობა ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილების თუნდაც პროპორციული სიმეტრია სავარაუდო დარღვევის წლებში, შეთანხმებული ქმედების ერთ-ერთ დამატებით არაპირდაპირი მტკიცებულებას წარმოადგენს.;
- დარგობრივი ასოციაციის არსებობა;
- პარალელიზმის ხარისხის და საფასო პოლიტიკის შედარება შედარებით თავისუფალი ბაზრის დროს იგივე მაჩვენებლებთან;
- ფასების მეზობელ გეოგრაფიულ ბაზრებთან შედარება;
- ზემოთ განხილული სხვა ბაზრის მახასიათებლები.[838]

მაგალითად, სააგენტო არაერთ გადაწყვეტილებაში აქტიურად იყენებს ბაზრის კონცენტრაციის დონის განსაზღვრას, როგორც დამატებით ფაქტორს ბაზარზე შესაძლო კონკურენციის შემზღუდავი ქმედების შეფასებისას. თუმცა იქვე დასძენს, რომ კონცენტრაციის ზრდა, დამოუკიდებლად აღებული გარემოება, არ წარმოადგენს ბაზარზე ნეგატიური ან პოზიტიური პროცესების გამოხატულებას ან რაიმე შეზღუდვის არსებობის

---

[837] Posner, Richard A., "*Antitrust Law*", 2nd ed., The University of Chicago Press, 2001; გვ. 51-101.
[838] იხ. ზემოთ ქვეთავი 4.2.

მტკიცებულებას.[839] ამასთანავე სააგენტო საავტომობილო საწვავის (II) საქმეში უთითებს, რომ მხოლოდ ბაზარზე მიღებული შედეგით/სურათით შეუძლებელია გამოტანილ იქნას დასკვნა მის გამომწვევ გარემოებებთან დაკავშირებით.[840] *„სოკარის“* საქმეში სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ასეთ შემთხვევაში მე-7 მუხლის დარღვევის გამოსავლენად უტყუარი და სარწმუნო მტკიცებულებებით, უნდა დგინდებოდეს კარტელის მონაწილე პირების ურთიერთშეთანხმება, ამ ქმედებასა და ბაზარზე არსებულ შეზღუდულ კონკურენციას შორის ურთიერთკავშირი და ამ შეზღუდვით ეკონომიკური აგენტების მიერ მიღებული სარგებელი.[841] სასურველია, ეს უკანასკნელი არ იქნას გაგებული, როგორც მე-7 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის აუცილებელი წინაპირობა, არამედ განიხილებოდეს, როგორც დამატებითი გარემოებითი მტკიცებულება, რომელიც ახსნიდა და დაადასტურებდა ეკონომიკური აგენტის შეთანხმებაში მონაწილეობის მოტივს/ინტერესს.

„საავტომობილო საწვავის“ საქმეზე დაყრდნობით, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სააგენტო მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენებს ე.წ პლუს ფაქტორის მეთოდს, თუ ბაზარზე წარმართულ გარკვეულ პროცესებს არ მოეძებნება კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებისგან განსხვავებული სხვა ალტერნატიული გონივრული ახსნა.

6.4. მტკიცების ტვირთის გადასვლა

მას შემდეგ, რაც კონკურენციის სააგენტო დააკმაყოფილებს მტკიცების ტვირთს ქმედების კონკურენციის კანონის მე-7 მუხლის რეგულირების სფეროში მოქცევასთან დაკავშირებით, მე-9 მუხლით განსაზღვრული ჯგუფური გამონაკლისების გამოყენებასთან დაკავშირებით ის უკვე აკისრია მოპასუხე ეკონომიკურ აგენტ(ებ)ს.

---

[839] იხ. მაგალითად *საავტომობილო საწვავის (II) საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 44.

[840] *საავტომობილო საწვავის* (II) *საქმე*, სკს, ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 51.

[841] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, გადაწყვეტილება საქმეზე №33031001500106568l, (3ბ/747-16), 27.04.2017, გვ. 98.

სააგენტო *„სიტროენის“* (II) საქმეში განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთი სააგენტოს უბრუნდება, როდესაც მოპასუხეს მოჰყავს არგუმენტები ქმედების ალტერნატიულ ახსნასთან დაკავშირებით - თუ აღნიშნულის გაქარწყლება ვერ ხერხდება, სახეზე ვერ იქნება შეთანხმების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები.[842] მაგალითად, მოცემულ საქმეში შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირის ავადმყოფობა ან უბრალოდ გულმავიწყობა ჩაითვალა დამაჯერებელ არგუმენტად, ვინაიდან ეს მხოლოდ ორ ტენდერში დაფიქსირდა და მსგავსი ტენდენცია სხვა შემთხვევებში არ იკვეთებოდა. ეს კი მთლიანობაში არსებით სურათს არ ქმნიდა კომპანიების შესაბამისი პოლიტიკის შესაფასებლად.[843]

პრაქტიკაში სადავოა პარალელური ქმედების აღმოჩენა, ხომ არ აკისრებს საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთს თავად ეკონომიკურ აგენტს. აღნიშნული მიდგომა უარყოფილია ე.წ. Woodpulp-ის საქმეზე გენერალური ადვოკატის მიერ მომზადებული დასკვნაში.[844] შესაბამისად, სააგენტო პარალელური ქმედების სამართლებრივი შეფასებისას ვალდებულია განიხილოს შეთანხმებული ქცევის შესაძლო ალტერნატიული საფუძველი და შესაბამისად მოახდინოს ასეთის მისაღებობა/მიუღებლობის სათანადო და დამაჯერებელი არგუმენტაცია. თუმცა ეს არ უნდა იქნას იმგვარად გაგებული, რომ სააგენტოს ევალებოდეს ყველა შესაძლო ალტერნატიული ახსნის მოძიება და განხილვა. საკმარისი უნდა იყოს მხოლოდ *prima facie* საფუძვლების შეფასება.

---

[842] *სიტროენ ჯორჯია/სტრადა მოტორსის და სხვათა წინააღმდეგ*, სკს, გადაწყვეტილება N04/166, 06.07.2018, გვ. 41.

[843] იქვე, გვ. 41.

[844] Opinion (C-89/85) of AG Darmon delivered on 7 July 1992, [1993] ECR I-1445, ECLI:EU:C:1992:293, პარ. 195.

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები - მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამება

➢ კონკურენციის კანონის მე-7 მუხლი კრძალავს კონკურენციის შემზღუდველ ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ ოთხ კუმულატიურ წინაპირობას: (i) ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტი ან ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანება (ასოციაციები); (ii) შეთანხმება, შეთანხმებული ქმედება ან ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანების (ასოციაციის) გადაწყვეტილება; (iii) ქმედება, რომლის შედეგია ან რომლის მიზანია კონკურნციის შეზღუდვა, აკრძალვა ან დაუშვებლობა; (iv) მე-8 და მე-9 მუხლით დადგენილ გამონაკლისების არარსებობა;

➢ (i) ეკონომიკური აგენტი განმარტებულია, როგორც „პირი, რომელიც, განურჩევლად რეზიდენტობისა, საწარმოს სამართლებრივი ფორმისა, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და სხვა გაერთიანება, რომლებიც არიან ბაზრის მონაწილეები ან/და ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას.“

- ეკონომიკური აგენტი შეიძლება იყოს ნებისმიერი სუბიექტი, განურჩევლად რეზიდენტობისა და სამართლებრივი ფორმისა;
- არსებული განმარტებით ბუნდოვანია, რამდენად მოიცავს ეკონომიკური აგენტის ცნება ბაზრის მონაწილე თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებს, აგრეთვე სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს, თუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

➢ მე-7 მუხლის მოქმედებისთვის აუცილებელია ერთზე მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის არსებობა. თუ სახეზეა მხოლოდ ერთი ეკონომიკური აგენტის ქმედება, აღნიშნული შეიძლება მოექცეს კანონის მე-6 მუხლის რეგულირების სფეროში.

- ქართული სამართალი იზიარებს ევროკავშირის სამართალში დამკვიდრებული ერთიანი ეკონომიკური

სუბიექტის დოქტრინას - ეკონომიკური აგენტების ფორმალური დამოუკიდებლობის მიუხედავად, ისინი ერთ სუბიექტად განიხილებიან, მათ შორის არსებული მჭიდრო ეკონომიკური კავშირისა და კონტროლის ხარისხიდან გამომდინარე. ასეთ პირებზე არ ვრცელდება მე-7 მუხლის მოქმედება, ვინაიდან სახეზე არ არის ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტი.

- მეორე მხრივ, ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის ცნება შეიძლება სააგენტომ გამოიყენოს ერთიან ეკონომიკურ სუბიექტში შემავალი ერთი (კონტროლირებადი) ეკონომიკური აგენტის მიერ ჩადენილი მე-7 მუხლის დარღვევის მეორე (მაკონტროლებელი) კომპანიისთვის შერაცხვის საფუძვლად.
- მე-7 მუხლის რეგულირების სფეროში, როგორც წესი, არ ექცევა ისეთი ვერტიკალური ურთიერთობა პრინციპალსა და სავაჭრო წარმომადგენელს შორის, რომლის ფარგლებშიც ეს უკანასკნელი საკუთარი სახელით, მაგრამ ეკონომიკური აგენტის რისკით მონაწილეობს ბაზარზე და შედის სავაჭრო ურთიერთობებში (არსებობს გამონკლისები).

➢ მე-7 მუხლის მოქმედება ვრცელდება დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებების (ასოციაციების) ქმედებებზე, რომლებიც იქმნებიან მისი წევრი ეკონომიკური აგენტების ინტერესების დასაცავად (მაგ. დარგობრივი ბიზნეს ასოციაციები, თავისუფალი პროფესიული გაერთიანებები).

➢ (ii) შეთანხმება, შეთანხმებული ქმედება, გადაწყვეტილება უნდა განიმარტოს ფართოდ, რათა მოიცვას როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ ურთიერთობებში ნებისმიერი ფორმის უკანონო/არკმალული თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებს შორის. ქმედების ზუსტი კვალიფიკაცია გადამწყვეტი არ არის. მთავარია, ის არ წარმოადგენდეს პირთა დამოუკიდებელ/ცალმხრივ ქმედებას ბაზარზე.

- მე-7 მუხლში მოცემული ხელშეკრულების ცნება უნდა განიმარტოს მისი კერძოსამართლებრივი ანალოგისგან

დამოუკიდებლად, რათა მოიცვას ორი ან მეტი პირის ნების ურთიერთთანხვედრის ნებისმიერი შემთხვევა, მათ შორის, არაფორმალური ხასიათის ჯენტლმენური შეთანხმებები. გადამწყვეტია მხარეთა სუბიეტური ნების თანხვედრა, რომელიც ობიექტურად დადგენადია. აგრეთვე გასამიჯნია, როდის არის სახეზე შეთანხმება და როდის - ეკონომიკური აგენტის მიერ საკუთარი პოლიტიკის სხვა ეკონომიკურ აგენტზე ცალმხრივად თავსმოხვევა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ უნდა იკვეთებოდეს მეორე პირის მიერ კონკრეტული ქცევის კურსის თუნდაც კონკლუდენტურად გაზიარების ფაქტი.

- შეთანხმებული ქმედება სახეზეა, როდესაც ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი კონტაქტების მეშვეობით კონკურენტული რისკების პრაქტიკული თანამშრომლობით ჩანაცვლება. შეთანხმებული ქმედება უნდა გაიმიჯნოს ეკონომიკურ აგენტთა მიერ ბაზარზე დამოუკიდებლად განხორციელებული ქმედებისგან, თუნდაც ეს უკანასკნელი ეყრდნობოდეს ბაზარზე მოქმედი კონკურენტების შესაბამის ქცევებს. ე.წ. პარალელური ქმედება თავისთავად არ წარმოადგენს შეთანხმებულ ქმედებას. თუმცა, ის შეიძლება გამოდგეს მყარ მტკიცებულებად ამგვარი შეთანხმების დასადასტურებლად, თუ მოცემულ ქმედებას არ ექნება სხვა ალტერნატიული გონივრული ახსნა, გარდა მხარეთა მიერ პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტაქტების მეშვეობით მიღწეული კოორდინირებული ქმედებისა.
- გადაწყვეტილება - ეკონომიკურ აგენტთა გადაწყვეტილებებისთვის ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება დადგეს როგორც თავად ამ გაერთიანების, ისე გაერთიანებაში შემავალი სუბიექტების პასუხისმგებლობა. გადაწყვეტილება ფართოდ უნდა განიმარტოს და რიგ შემთხვევებში შეიძლება მოიცვას არამბოჭავი ხასიათის გადაწყვეტილები/რეკომენდაციები.

➢ (iii) მე-7 მუხლით იმიჯნება კონკურენციის მიზნისა და შედეგის მქონე შეზღუდვები, რომელიც მტკიცების ტვირთის განსხვავებულ ხარისხსა და განაწილებას მოითხოვს.

➢ კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონეა შეთანხმება, რომელიც თავისი ბუნებით უფრო მაღალი ალბათობით მიაყენებს ზიანს კონკურენტულ გარემოს. ასეთ დროს აღარ არის საჭირო კონკურენციის შემზღუდველი შედეგის შეფასება და მტკიცება (რაც საკმაოდ დიდ დროსა და ადამიანურ რესურსს მოითხოვს), ვინაიდან ეს უკანასკნელი თავისთავად არის ნაგულისხმევი.

- განზრახვა - კონკურენციის სააგენტო კონკურენციის შეზღუდვის მიზნის არსებობის დასადგენად უთითებს კოგნიტური და ვოლუნტატური (ცოდნა და ნებელობა) ელემენტების სინთეზის აუცილებლობაზე. ამის საპირისპიროდ, ევროკავშირის სამართალში აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს ქმედება ჩადენილი იყოს კონკურენციის შეზღუდვის განზრახვით თუ ცოდნით.
  - **ობიექტური ელემენტი** - სააგენტოს განმარტებით, აუცილებელია კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მიღწევისაკენ მიმართული კონკრეტული ქმედება მაშინ, როდესაც ბუნდოვანი/ორაზროვანია პირობის შინაარსი და ცალსახად ვერ დგინდება შეთანხმების პირობის კონკურენციის შემზღუდველი მიზანი.
  - **კატეგორიზაცია** - ქართული სამართალი კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე კატეგორიებს ცალსახად მიაკუთვნებს კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ დარღვევათა სახეებს - **ფასის ფიქსირება, ბაზრის განაწილება, სატენდერო მანიპულაციები.** მიზანშეწონილია, რომ კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმებათა კატეგორია მხოლოდ ამ ვიწრო ჩამონათვალით არ შემოიფარგლოს. ასეთ შემთხვევაში ახალი კატეგორიის მიზნობრივი შეზღუდვები შეიძლება დგინდებოდეს იმ ეკონომიკური და სამართლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც შეთანხმება უნდა იყოს გამოყენებული.

➢ **კონკურენციის შემზღუდველი შედეგის** დასადგენად სააგენტო კონკურენციის შეზღუდვას აფასებს კონტექსტუალურად, კონკრეტული ბაზრისთვის დამახასიათებელი გარემოებების

გათვალისწინებით. გაზიარებულია ევროკავშირში მოქმედი მიდგომა, რომ შეთანხმების კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგის შესაფასებლად აუცილებელია, მხედველობაში იქნას მიღებული ხელშეკრულების მოქმედების ეკონომიკური და სამართლებრივი კონტექსტი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტისა და მომსახურების სახე და ბაზრის რეალური სტრუქტურა.

➢ კონკურენციის შემზღუდველი პირობები არ ჩაითვლება კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევად, თუ აღნიშნული პირობების შინაარსი გამომდინარეობს საკანონმდებლო ან/და საერთაშორისო ხელშეკრულების მოთხოვნებიდან და მათი შესრულების მიზანს ემსახურება.

➢ უმნიშვნელო დარღვევები - კონკურენციის რეგულირების ინტერესს არ წარმოადგენს ისეთი შეზღუდვები, რომლებიც უმნიშვნელოდ ზღუდავენ ბაზარზე კონკურენციას. მე-8 მუხლის საგამონაკლისო ნორმა განსაზღვრავს ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილის მინიმალურ ოდენობას (ვერტიკალური, ჰორიზონტალური და შერეული ტიპის შეთანხმებებისთვის), რის ფარგლებში დადებული გარიგებები არ მოექცევა მე-7 მუხლის რეგულირების სფეროში. სააგენტო მოცემული მუხლის წინაპირობებს აფასებს იმისგან დამოუკიდებლად, წამოჭრის თუ არა შეთანხმების მხარე უმნიშვნელო შეზღუდვის არგუმენტს.

➢ თუ დაკმაყოფილებულია მე-7 მუხლის ზემოთ ჩამოთვლილი წინაპირობები, ითვლება, რომ შეთანხმება ექცევა მე-7 მუხლით დადგენილ არკძალვებში. თუმცა ეკონომიკურ აგენტს შეუძლია დაამტკიცოს მოცემული შეთანხმების კონკურენციის სასარგებლო ეფექტები (კანონის მე-9 მუხლითა და ჯგუფური გამონაკლისების დადგენილებით განსაზღვრული წინაპირობების ფარგლებში), რა შემთხვევაშიც შეთანხმება მოექცევა მე-7 მუხლის გამონაკლისებში.

➢ არცერთი საგამონაკლისო ნორმა არ ვრცელდება კანონით განსაზღვრულ მძიმე ფორმის შეზღუდვებზე (მე-7 მუხლის „ა“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტები).

➢ ეკონომიკური ანალიზის ჩატარებას მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის განსაზღვრის,

არაპირდაპირი მტკიცებულებების და საგამონაკლისო ნორმების გამოყენების შეფასებისას. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების ზუსტი განსაზღვრა სწორედ საგამონაკლისო ნორმების გამოყენების მიზნებისთვის შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

➢ მე-7 მუხლში მოცემულია ქმედებათა სპეციალური ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად. ამ ეტაპზე, მოცემული მუხლი შეიცავს დარღვევათა ამომწურავ ნუსხას. კანონით განსაზღვრული დარღვევები შეიძლება დადგეს როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ ურთიერთობებში.

➢ ჰორიზონტალურია შეთანხმება ფაქტობრივ/მოქმედ ან პოტენციურ კონკურენტებს შორის, რის შედეგადაც ხდება ეკონომიკურ აგენტთა ძალაუფლების გაერთიანება. განასხვავებენ კონკურენციის აშკარად შემზღუდველ ჰორიზონტალურ შეთანხმებებს (ე.წ. „კარტელებს“) და ჰორიზონტალურ თანამშრომლობას, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს როგორც კონკურენციის წამახალისებელი, ისე შემზღუდველი მახასიათებლები.

➢ კონკურენციის შემზღუდავი მიზნის მქონე აშკარა მძიმე ფორმის დარღვევებს - *კარტელურ შეთანხმებებს* განეკუთვნება:

- *ფასის ფიქსირება - გაყიდვის ფასების პირდაპირი და არაპირდაპირი დადგენა,* აგრეთვე ნებისმიერი სახის პირდაპირი და არაპირდაპირი კონტაქტი ან შეთანხმება ფასის განმსაზღვრელ კრიტერიუმებზე, რაც შესაძლებლობას იძლევა გარკვეული სიზუსტით მოხდეს კონკურენტი ეკონომიკური აგენტის საფასო პოლიტიკის განჭვრეტა;
- *წარმოების შეზღუდვა* - ეკონომიკური აგენტების მიერ მიწოდების მიზანმიმართული შემცირებით ფასების ზრდის ხელოვნურად გამოწვევა;
- *ბაზრის განაწილება* - ეკონომიკური აგენტების მიერ ბაზრის განაწილებით მონოპოლიურ მდგომარეობის შექმნა კონკრეტულ ტერიტორიაზე, მომხმარებელთა კატეგორიისთვის ან ცალკეულ პროდუქტთან კავშირში;

- *ტენდერებში შეთანხმებული პირობებით მონაწილეობა* - სატენდერო მანიპულაციებმა შეიძლება მოიცვას მე-7 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პრაქტიკულად ყველა სხვა სპეციალური შემთხვევა. თუმცა, კავშირი სახელმწიფო შესყიდვებთან მას აქცევს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებათა კატეგორიაში.
- **ინფორმაციის გაცვლა - კომერციულად სენსიტიური ხასიათის ინფორმაციის გაცვლა,** რომელიც შესაძლებლობას იძლევა გარკვეული სიზუსტით მოხდეს ეკონომიკურ აგენტთა სამომავლო ქმედებების განჭვრეტა და ამგვარად ხელს უწყობს კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციას ბაზარზე წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონდე შეთანხმებას. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემურია ოლიგოპოლიური ტიპის ბაზრებზე, სადაც თავისთავად შეზღუდულია კონკურენცია ბაზრის სტრუქტურიდან გამომდინარე. ამასთანავე, ინფორმაციის გაცვლას შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობის იყოს კონკურენციის სასარგებლო ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებების იმპლემენტაციის პროცესში.

➢ ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებები,

რომლებიც მიუხედავად კონკურენციის პოტენციურად შემზღუდველი ხასიათისა, სხვა ლეგიტიმური მიზნის მატარებლები არიან და კონკურენტული ბაზრისთვის მნიშვნელოვანი სარგებელი შეიძლება მოიტანონ, როგორიცაა ტექნოლოგიური პროგრესი, ინოვაცია, მომხმარებელთა არჩევანის გაზრდა, რესურსების ეფექტური გადანაწილება, მასშტაბის ეკონომია და ა.შ.). ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებებია:

➢ სპეციალიზაციის, ტექნოლოგიური ტრანსფერის, საერთო კვლევების წარმოების, ერთობლივი შესყიდვის და წარმოების, კომერციალიზაციის და სტანდარტიზაციის შესახებ და სხვა.

➢ სპეციალიზაციის, ტექნოლოგიური ტრანსფერის, საერთო კვლევების წარმოების შესახებ ხელშეკრულებები, გარკვეული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ექცევიან მე-9

მუხლით დადგენილ ჯგუფურ გამონაკლისებში.

➢ ვერტიკალური შეთანხმება მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა საფეხურზე მოქმედ ორ ან მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის შეთანხმებას ეწოდება. ჯაჭვი შეიძლება დაიწყოს ნედლეულის მოპოვების ეტაპით და დამთავრდეს პროდუქციის საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდებით. ვერტიკალური შეთანხმებების მარეგულირებელ ნორმებს ყველაზე ხშირი გამოყენება აქვთ დისტრიბუციის ხელშეკრულებების მიმართ.

➢ ვერტიკალური ინტეგრაცია და სავაჭრო წარმომადგენლობა - როგორც წესი, არ ექცევა ვერტიკალური შეთანხმებების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოქმედების სფეროში.

➢ ვერტიკალურ შეთანხმებებში მოცემული ვერტიკალური ხასიათის შეზღუდვები შესაძლოა ემსახურებოდეს მთელი რიგი კონკურენციის სასარგებლო მიზნების მიღწევას. შესაბამისად, ასეთი ტიპის შეზღუდვებს, როგორც წესი, არ აქვთ კონკურენციის შემზღუდველი მიზანი, თუმცა შეიძლება მოჰყვეთ აღნიშნული შედეგი. ევროკომისიის მიხედვით მსგავსი შედეგის დადგომის საფრთხე არსებობს მაშინ, როდესაც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება კონცენტრირებულია ვაჭრობის რომელიმე დონეზე - იქნება ეს მიმწოდებელთან, დისტრიბუტორთან თუ ორივესთან ერთად.

➢ ვერტიკალური შეთანხმების კომპლექსური ეკონომიკური და სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს, ადგილი აქვს თუ არა კონკურენციის შემზღუდველ შედეგს. ამის შესაბამისად, ხსენებული შეთანხმება ან განეკუთვნება მე-7 მუხლით განსაზღვრულ აკრძალვებს, ან მოექცევა მე-9 მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისებში, რადგან მის შესაძლო კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგებს გადაწონის ამ შეთანხმებიდან მომდინარე ეკონომიკური ეფექტიანობა.

➢ *კონკურენციის სააგენტო სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ვერტიკალურ შეზღუდვებთან დაკავშირებით ევროკავშირის პრაქტიკის გაზიარებას, ვინაიდან ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა ვერტიკალურ შეთანხმებებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად განპირობებულია ევროკავშირის ერთიანი ბაზრის*

შექმნის უპირატესი მიზნით. აღნიშნული განსაკუთრებით შეეხება ტერიტორიული დაცვის შეზღუდვებს.

➢ *ქართულ პრაქტიკაში განსაზღვრულია ვერტიკალურ შეთანხმებებში უხეში - კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე დარღვევის სახეები: სარეალიზაციო ფასის ფიქსირება, გადაყიდვის აკრძალვა, ექსპორტის აკრძალვა, რაოდენობრივი შეზღუდვები და სხვა.*

<u>სპეციალური შემთხვევები:</u>

- **ექსკლუზიური შესყიდვის/ერთ ბრენდზე შეთანხმების (single branding) კატეგორიაში** ექცევა ისეთი შეზღუდვები, რომელთა თანახმად მყიდველი ვალდებულია ან სხვაგვარად იძულებულია შეისყიდოს გარკვეული პროდუქცია მხოლოდ ერთი მიმწოდებლისგან. ევროკავშირის სამართლით, აღნიშნული ტიპის ხელშეკრულებებს არ აქვთ კონკურენციის შეზღუდვის მიზანი და უნდა შეფასდეს კონკურენციის შემზღუდველი ეფექტი ეკონომიკური და სამართლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით.
- **სარეალიზაციო ფასის ფიქსირება** - დისტრიბუტორის უფლების შეზღუდვა დამოუკიდებლად განსაზღვროს გასაყიდი პროდუქციის ფასი წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე დარღვევას. ასეთად არ ითვლება სარეკომენდაციო ხასიათის ან მაქსიმალური სარეალიზაციო ფასის ფიქსირება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული პირდაპირ/ არაპირდაპირ ან შეფარული გზით ფაქტობრივად მოქმედებს როგორც მინიმალური ან ფიქსირებული სარეალიზაციო ფასის პირობა.
- **ექსკლუზიური დისტრიბუციის შემთხვევაში მწარმოებელი თანხმდება, კონკრეტულ ტერიტორიაზე პროდუქცია გასაყიდად მიაწოდოს მხოლოდ ერთ დისტრიბუტორს.** თუ ექსკლუზიურობაზე შეთანხმებასთან ერთად პირს გადაეცემა ამავე ტერიტორიაზე სავაჭრო/სასაქონლო ნიშანზე ექსკლუზიური უფლებები, სახეზეა **სრული ტერიტორიული დაცვა.** ეს უკანასკნელი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის ერთიანი ბაზრის პრინციპთან და კონკურენციის

შემზღუდველი მიზნის მქონე კატეგორიას განეკუთვნება. აქედან გამომდინარე, სასურველია სრული ტერიტორიული დაცვა ქართულ პრაქტიკაში ავტომატურად არ ჩაითვალოს დარღვევად და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასდეს ეკონომიკური და სამართლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით.

- შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემისთვის დამახასიათებელია წინასწარ დადგენილი, გონივრული და ობიექტური კრიტერიუმებით დისტრიბუტორების შერჩევა, რაც გამართლებულია კომპლექსური ან ბრენდული პროდუქციის ბაზარზე განთავსებისთვის. ქართული სამართლის მიხედვით, თუ შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა მოექცევა მე-7 მუხლით დადგენილ აკრძალვებში, იგი შეიძლება გათავისუფლებულ იქნას მე-9 მუხლის საფუძველზე, თუ დააკმაყოფილებს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ჯგუფური გამონაკლისებისადმი მიკუთვნების წინაპირობებს.
- ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში არსებული ცალკეული პირობების კონკურენციის შემზღუდავი ხასიათის დასადგენად უნდა შეფასდეს, რამდენად არის კონკრეტული შეზღუდვა აუცილებელი/ლეგიტიმური ხელშეკრულების მთავარი არსის, მიზნის განსახორციელებლად - გადაცემული „ნოუ ჰაუს“ დასაცავად. შესაბამისად, ცალკეული ტიპის შეზღუდვები საერთოდ არ მოექცევა მე-7 მუხლის რეგულირების სფეროში. ასეთს ცალსახად არ წარმოადგენს სარეალიზაციო ფასის შენარჩუნების პირობა.

➢ მტკიცების ტვირთი - მე-7 მუხლით დადგენილი დარღვევის მტკიცების ტვირთი აწევს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს - კონკურენციის სააგენტოს, რასაც საკუთარი ინიციატივით დაწყებული მოკვლევის ფარგლებში დამოუკიდებლად ახორციელებს, ხოლო საჩივრის არსებობის შემთხვევაში - მომჩივანთან ერთად.

➢ მტკიცების სტანდარტი დარღვევის დადგენა *„უნდა ეფუძნებოდეს არა დაშვებებსა და ვარაუდებს, არამედ წარმოების ფარგლებში მოპოვებულ საკმარის მტკიცებულებათა*

ერთობლიობას, დამაჯერებელ დასკვნებს, რადგან სათანადო მტკიცებულებების არ არსებობის შემთხვევაში ეჭვი კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში უნდა გადაწყდეს სავარაუდო სამართალდამრღვევის სასარგებლოდ." არ გამოირიცხება ფრაგმენტული და ცალკეული მტკიცებულებების შევსება გარკვეული ვარაუდებით, თუმცა დარღვევის დასადგენად არ უნდა არსებობდეს ქმედების ან მოვლენის სხვა ალტერნატიული გონივრული ახსნა.

➢ შეთანხმების და შეთანხმებული ქმედების არსებობა შესაძლოა დასტურდებოდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობით.

➢ კომუნიკაციის ფაქტის დადგენის პირდაპირი მტკიცებულებების არ არსებობის პირობებში, *„აუცილებელია, სახეზე იყოს არაპირდაპირი მტკიცებულებების ისეთი ერთობლიობა, რომელიც სარწმუნოდ დაადასტურებს შეთანხმებული ქმედების არსებობას."*

➢ პრაქტიკაში საკმაოდ რთული იქნება იმის დადგენა, რომ ეკონომიკური აგენტები, რომლებიც პარალელურ ქმედებებს ახორციელებენ, არღვევენ კონკურენციის მე-7 მუხლს, თუ არ არსებობს მათ შორის კომუნიკაციის ან ფარული შეთანხმების მტკიცების წერილობითი ან სხვაგვარი მტკიცებულება.

➢ საქართველოში კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში მონაწილეობისთვის დადგენილია ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ეკონომიკური აგენტის წლიური (ჯარიმის დაკისრების წინა წლის) ბრუნვის 5%-ს (განმეორებითობა 10%-ს).

➢ კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას მოჰყვება კერძოსამართლებრივი შედეგი - ბათილობა, თუ შეთანხმება არ ექცევა კანონით დადენილ გამონაკლისებში. ამასთან, წერილობითი ხელშეკრულების შემთხვევაში, თუ კონკურენციის შემზღუდველი ნაწილის გამოცალკევება შეუძლებელია, ბათილი იქნება მთელი ხელშეკრულება.

ბიბლიოგრაფია

კანონმდებლობა

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებ-გვერდი), 11.09.2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0
2. საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ", პარლამენტის უწყებანი, 22-23, 30.07.1996 (ძალადაკარგულია 11.07.2005-დან), https://matsne.gov.ge/ka/document/view/31462?publication=3
3. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი", პარლამენტის უწყებანი, 31, 24.07.1997, https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=100
4. საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 27.06.2005 (ძალადაკარგულია 23.07.2012-დან), ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29644?publication=6
5. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებ-გვერდი), 25.05.2012 (2014 წლის 21 მარტის ცვლილებების გათვალისწინებით), https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4
6. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ", პარლამენტის უწყებანი, 21-22 (მიღების თარიღი: 28/10/1994; კონსოლიდირებული ვერსია: 06/06/2018), https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=62.
7. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 22, 20.04.2005 (კონსოლიდირებული ვერსია 06.12.2018), https://matsne.gov.ge/ka/document/view/31252?publication=69.

8. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41(48), 13.08.1999 (კონსოლიდირებული ვერსია 22.12.2018), https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=205.
9. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის განკარგულება N1551 „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“.
10. საქართველოს მთავრობის 2014 სექტემბრის დადგენილება N526, *„კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისის შესახებ“.*
11. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №30/09-3 „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებ-გვერდი), 30.09.2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2523226?publication=0
12. სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 30 ნოემბრის N190 ბრძანება „ჯარიმის ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცების შესახებ“, http://competition.ge/ge/page3.php?i=190&v=192
13. Consolidated Version of the Treaty on the Functioning of the European Union, OJ C 326/47, 26.10.2012.
14. ევროკომისიის რეგულაცია N330/2010 ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101(3)-ე მუხლის გამოყენების თაობაზე ვერტიკალური შეთანხმებების და შეთანხმებული ქმედებების კატეგორიზაციისათვის. ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი: *OJ L 102, 23.4.2010.*
15. *ევროკომისიის რეგულაცია N316/2014 ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101(3)-ე მუხლის გამოყენების თაობაზე ტექნოლოგიური ტრანსფერის თაობაზე დადებული შეთანხმებების კატეგორიზაციისათვის. ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი: OJ L 93, 28.3.2014.*

სასამართლო გადაწყვეტილებები

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-500-497(კ-17), 14.07. 2017.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-595-592(კ-17), 28.09.2017.
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, გადაწყვეტილება საქმეზე №330310015001065681 (3ბ/747-16), 27.04.2017.
4. Joined Cases 40-48, 50, 54-56, 111, 113-4/73, *Re the European Sugar Cartel; Coöperative Vereniging "Suiker Unie" UA v Commission* [1975] ECR 1663, ECLI:EU:C:1975:174.
5. Joined Cases 56, 58/64 *Etablissements Consten SARL and Grundig-Verkaufs-GmbH v Commission [1966] ECR 299,* ECLI:EU:C:1966:41.
6. Case 56/65, *Société Technique Minière (L.T.M.) v Maschinenbau Ulm GmbH (M.B.U.)* [1966] ECR 337, ECLI:EU:C:1966:38.
7. Case 42/69, *ACF Chemiefarma NV v Commission*, [1970] ECR 661, ECLI:EU:C:1970:71.
8. Joined Cases 48, 49, 51-7/69, *ICI v Commission (Dyestuffs)* [1972] ECR 619, ECLI:EU:C:1972:70.
9. Case 8/72, *Cementhandelaren v Commission* [1972] ECR 977, ECLI:EU:C:1972:84.
10. Case 15/74, *Centrafarm BV and Adriaan De Peijper v Sterling Drug Inc* [1974] ECR 1147, ECLI:EU:C:1974:114.
11. Joined Cases 40-48, 50, 54-56, 111, 113-4/73, *Re the European Sugar Cartel; Coöperative Vereniging "Suiker Unie" UA v Commission* [1975] ECR 1663, ECLI:EU:C:1975:174.
12. Case 26/76 *Metro v Commission*, [1977] ECR 1875, ECLI:EU:C:1977:167.
13. Case 19/77, *Miller International Schallplatten GmbH v Commission* [1978] ECR 131, ECLI:EU:C:1978:19.
14. Case 258/78 *Nungesser v Commission* [1982] ECR 2015.
15. Joined cases 100 to 103/80, *SA Musique Diffusion française and others v Commission of the European Communities* [1983] ECR 1825, ECLI:EU:C:1983:158.

16. Joined cases 96-102, 104, 105, 108 and 110/82, *NV IAZ International Belgium and others v Commission of the European Communities* [1983] ECR 3369, ECLI:EU:C:1983:310.
17. Cases 29 and 30/83, Compagnie Royale Asturienne des Mines SA and Rheinzink GmbH v Commission [1984] ECR 1679, ECLI:EU:C:1984:130.
18. Case 170/83, *Hydrotherm Gerätebau GmbH v. Compact del Dott. Ing. Mario Adreoli & C. Sas* [1984] ECR 2999, ECLI:EU:C:1984:271.
19. Case 161/84 *Pronuptia de Paris GmbH v Pronuptia de Paris Irmgard Schillgallis* [1986] ECR 353, ECLI:EU:C:1986:41.
20. Case 118/85, *Commission v Italy* [1987] ECR 2599, ECLI:EU:C:1987:283.
21. Case 246/86, *BELASCO v Commission* [1989] ECR 2117, ECLI:EU:C:1989:301.
22. Case C-41/90, *Höfner and Elser,* [1991] ECR I-1979, ECLI:EU:C:1991:161.
23. Case T-3/89, *Atochem v Commission* [1991] ECR II-867, ECLI:EU:T:1991:58.
24. Case T-1/89, *Rhône-Poulenc v Commission* [1991] ECR II-867, ECLI:EU:T:1991:56.
25. Case C-234/89, *Stergios Delimitis v Henninger Bräu AG* [1991] ECR I-977, ECLI:EU:C:1991:91.
26. Joined Cases C-89, 104, 114, 116-117, 125-129/85, *Re Woodpulp Cartel: A Åhlström Osakeyhtiö and others Commission* [1993] ECR I-307, ECLI:EU:C:1993:120.
27. Opinion (C-89/85) of AG Darmon delivered on 7 July 1992, [1993] ECR I-1445, ECLI:EU:C:1992:293
28. Case C-73/95P, *Viho Europe BV v Commission* [1996] ECR I-5457, ECLI:EU:C:1996:405.
29. Joined Cases Cases T-374, 375, 384 and 388/94, *European Night Services v Commission* [1998] ECR II-3141, ECLI:EU:T:1998:198.
30. Case C-67/96, *Albany International BV v Stichting Bedrijfpensioenfonds textielindustrie* [1999] ECR I-5751, Jacobs AG, ECLI:EU:C:1999:28.

31. Case C-199/92 P, Hüls AG v Commission [1999] ECR I-4287, ECLI:EU:C:1999:358.
32. Case 48/92 *Commission v Anic* [1999] ECR I-4125, ECLI:EU:C:1999:356.
33. Joined Cases C-395/96 P and C-396/96 P, *Compagnie Maritime Belge Transports SA and others v Commission*, [2000] ECLI:EU:C:2000:132.
34. Case T-62/98, *Volkswagen* [2000] ECR II-270.
35. Case T-41/96, *Bayer AG v Commission*, [2000] ECR II-3383, ECLI:EU:T:2000:242.
36. Case 112/99, *Métropole télévision (M6), Suez-Lyonnaise des eaux, France Télécom and Télévision française 1 SA (TF1) v Commission of the European Communities* [2001] ECR II-2495, ECLI:EU:T:2001:215.
37. Case C-309/99, *Wouters v Algemene Raad van de Nederlandsche Orde van Advocaten* [2002] ECR I- 1577, ECLI:EU:C:2002:98.
38. Joined Cases C-2/01P and 3/01P *Bayer AG v Commission* [2004] ECR I-23, ECLI:EU:C:2004:2.
39. Joined cases C-204/00 P, C-205/00 P, C-211/00 P, C-213/00 P, C-217/00 P and C-219/00 P, *Aalborg Portland A/S and others v Commission* [2004] ECR I-123, ECLI:EU:C:2004:6.
40. Case C-217/05, *Confederación Española de Empresarios de Estaciones de Servicio v. Compañia Española de Petróleos SA* [2006] ECR I-11987, ECLI:EU:C:2006:784.
41. Case T-44/02 OP Dresden Bank v Commission [2006] ECR II-3567.
42. Case C-238/05, Asnef-Equifax, Servicios de Información sobre Solvencia y Crédito, SL v Asociación de Usuarios de Servicios Bancarios (Ausbanc) [2006] ECR I-11125.
43. Case C-209/07, *Competition Authority v Beef Industry Development Society Ltd and Barry Brothers (Carrigmore) Meats Ltd.*, [2008] ECR I-8637, ECLI:EU:C:2008:643.
44. Joined Cases C-501/06 P, C-513/06 P, C-515/06 P and C-519/06 P, *GlaxoSmithKline Services Unlimited v Commission*, [2009] ECLI:EU:C:2009:610.
45. Cases C-97/08P *Akzo Nobel v Commission* [2009] ECR I-8237, ECLI:EU:C:2009:536.

46. Case C-8/08, *T-Mobile Netherlands BV v Raad van bestuur van de Nederlandse Mededingingsautoriteit* [2009], ECLI:EU:C:2009:343.
47. Case C-260/07, *Pedro IV Servicios SL v Total España SA* [2009], ECLI:EU:C:2009:215.
48. Case T-348/08, Aragonesas Industrias y Energia, SAU v. Commission[2011] ECLI:EU:T:2011:621.
49. Case C-441/11 P, *Commission v Verhuizingen Coppens*, [2012], EU:C:2012:778.
50. Case T-83/08 *Denki Kagaku v Commission* [2012] EU:T:2012:48.
51. Case C-136/12, *Consiglio nazionale dei geologi v Autorità garante della concorrenza e del mercato*, [2013] Digital Reports of the Court, ECLI:EU:C:2013:489.
52. Case C-68/12, *Protimonopolný úrad Slovenskej republiky v Slovenská sporiteľňa a.s.* [2013] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2013:71.
53. Case T-442/08, International Confederation of Societies of Authors and Composers (CISAC) v Commission, [2013], ECLI:EU:T:2013:188.
54. Case C-286/13 P, *Dole Food and Dole Fresh Fruit Europe v Commission, Judgment of the Court* [2015] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2015:184.
55. Case T-472/13, *H. Lundbeck A/S and Lundbeck Ltd v European Commission* [2016] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:T:2016:449.
56. Case C-413/14 P, *Intel Corporation Inc. v. European Commission*, [2017] ECLI:EU:C:2017:632.
57. Case C-531/16, *Šiaulių regiono atliekų tvarkymo centras and „Ecoservice projektai" UAB* [2018] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2018:324.
58. Case 1022/1/1/03, JB Sports plc v Office of Fair Trading, [2004] CAT 17.
59. BGH, E.ON/Stadtwerke Eschwege, Beschl. V. 11.11.2008, WuW/E DE-R 2451, 2457.
60. US Supreme Court, *Verizon Communications Inc v Law Offices of Curtis V Trinko, LLP* 540 US 398, 408 (2004).

მარეგულირებლების გადაწყვეტილებები

1. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება N113, 07.08.2015
2. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება N131, 11.09.2015.
3. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება N81, 14.07.2015.
4. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება N162, 30.10.2015.
5. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება N8, 25.01.2016.
6. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება N241, 23.12.2016.
7. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება N05, 09.01.2017.
8. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება N04/167, 23.06.2017.
9. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება N04/186, 19.07.2017.
10. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება N04/117, 10.05.2018.
11. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება N04/166, 06.07.2018.
12. Bundeskartellamt B8-200/09,
13. Case 96/478/EC, Commission decision of 10 January 1996 relating to a proceeding under Article 85 of the EC Treaty (Case IV/34.279/F3 - ADALAT), OJ 1996 L 201/1.
14. 86/398/EEC: Commission Decision of 23 April 1986 relating to a proceeding under Article 85 of the EEC Treaty (IV/31.149 - Polypropylene), OJ [1986] L230/1
15. COMP/39579 Consumer Detergents, 13 April 2011, C (2011) 2528 final.

16. EC/2003/207/: Commission Decision of 24 July 2002 relating to a proceeding pursuant to Article 81 of the EC Treaty (Case COMP/E-3/36.700 — Industrial and medical gases), OJ [2003] L 84/1.
17. EEC/83/546: Commission Decision of 17 October 1983 relating to a proceeding under Article 85 of the EEC Treaty (IV/30.064 - Cast iron and steel rolls), OJ [1983] L 317/1.
18. EC/1999/210: Commission Decision of 14 October 1998 relating to a proceeding pursuant to Article 85 of the EC Treaty (Case IV/F-3/33.708 - British Sugar plc, Case IV/F-3/33.709 - Tate & Lyle plc, Case IV/F-3/33.710 - Napier Brown & Company Ltd, Case IV/F-3/33.711 - James Budgett Sugars Ltd), OJ [1999] L 76/1.
19. EEC/84/405: Commission Decision of 6 August 1984 relating to a proceeding under Article 85 of the EEC Treaty (IV/30.350 - Zinc Producer Group), OJ [1984] L 220/7.
20. Belgian Association of Pharmacists OJ [1990] L 160/1.
21. EEC/86/399: Commission Decision of 10 July 1986 relating to a proceeding under Article 85 of the EEC Treaty (IV/31.371 - Roofing felt, BELASCO), OJ [1986] L 232/15.
22. EEC/73/109: Commission Decision of 2 January 1973 relating to proceedings under Articles 85 and 86 of the EEC Treaty (IV/26 918 - European sugar industry), (COMP/26.918) [1973]OJ L140/17.
23. UK Agricultural Tractor Exchange, in [1992] OJ L 68/19

წიგნები და სტატიები

1. სოლომონ მენაბდიშვილი, „საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან (ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად)", საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი, 2018, http://asocireba.ge/files/Solomon-Menabdishvili-Competition-2018.pdf
2. სოლომონ მენაბდიშვილი, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე *„კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები"*, თბილისი, 2016; ხელმისაწვდომია:

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/solomon_menabdishvili.pdf.

3. ნიკა სერგია, „ალგორითმული ფასწარმომქმნელების გამოყენებით კონკურენციის შეზღუდვის რეგულირების ზოგიერთი ასპექტი", კონკურენციის პოლიტიკის მეორე საერთაშორისო კონფერენცია, შრომების კრებული, თბილისი, 2018.
4. ჯონსი, სუფრინი, ევროკავშირის კონკურენციის სამართალი: ტექსტი, გადაწყვეტილებები და მასალები,
5. Adam Smith, *"Wealth of Nations"*, Book I, Chapter X, 1776, W. Stahan and T. Cadell, London.
6. Filip Tuytschaever and Felix Ronkes Agerbeek, "*Cartels and Proof of Cartels*", in Wijckmans, Frank and Tuytschaever, Filip (eds.), *Horizontal Agreements and Cartels in EU Competition Law*, Oxford University Press, 2015.
7. George J. Stigler, *„A Theory of Oligopoly"*, 72 J. Pol. Econ., 1964.
8. J Joshua, "*Single Continuous Infringement of Article 81 EC: Has the Commission Stretched the Concept Beyond the Limit of its Logic?*" (2009) 5 European Competition Journal 451.
9. Albert Sanchez-Graells, "Competition Law and Public Procurement" (August 13, 2015). Forthcoming in J Galloway (ed), *Intersections of Antitrust: Policy and Regulations* (Oxford, OUP, 2019), ხელმისაწვდომია: https://ssrn.com/abstract=2643763.
10. Donald E. Turner, *"The Definition of Agreement under the Sherman Act: Concious Parallelism and Refusal to Deal"*, 75 Harvard Law Review 655, 1962.
11. Luis Kaplow, "*Competition Policy and Price Fixing*", Princeton, 2013.
12. Ariel Ezrachi, "EU Competition Law: An Analytical Guide to Leading Cases", 6th ed., Hart Publishing, 2018.
13. Peter H. Møllgaard & Baltzer Per Overgaard, "*Transparency and Competition Policy*", http://www.konkurrensverket.se/globalassets/english/research/the-pros-and-cons-of-information-sharing.pdf.

14. M.Bennett and P.Collins, P "*The Law and Economics of Information Sharing: the Good, the Bad and the Ugly*" [2010] European Competition Law Journal.
15. Emerson, Kovziridze (eds), "*Deepening EU–Georgian Relations: What, why and how?*", CEPS, 2016.
16. Ariel Ezrachi and Maurice Stucke, "*Virtual Competition: The Promise and Perils of the Algorithm-Driven Economy*", Harvard University Press, 2016.
17. Guy Harpaz, "*Approximation of Laws under the European Neighbourhood Policy: The Challenges that Lie Ahead*",19 European Foreign Affairs Review, Issue 3, 2014.
18. Gunnar Niels, Helen Jenkins and James Kavanagh, "*Economics for Competition Lawyers*", Oxford University Press, 2011.
19. Richard A. Posner, "*Oligopoly and the Antitrust Laws: A Suggested Approach*", 21 STAN. L. REV. 1562, 1969.
20. Richard A. Posner, "*Antitrust Law*", 2nd ed., The University of Chicago Press, 2001.
21. Richard A. Posner, "*Review of Kaplow, Competition Policy and Price Fixing*", 79 Antitrust L. J. 761, 2014;
22. William E. Kovacic, et. al., "*Plus Factors and Agreement in Antitrust Law*", 110 Mich. L. Rev. 393, 2011;
23. Gregory J. Werden, "*Economic Evidence on the Existence of Collusion: Reconciling Antitrust Law with Oligopoly Theory*", 71 Antitrust L.J.719, 2004.
24. Nicolas Petit (2012), *The Oligopoly Problem in EU Competition Law,* (Research Handbook in European Competition Law, I. Liannos and D. Geradin eds., Edward Elgar, September 2013. Available at SSRN: http://ssrn.com/abstract=1999829 or http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1999829;
25. Anas Alhajji and David Huettner, "*OPEC and Other Commodity Cartels: A Comparison*", 28 Energy Policy 15 (2000), 1151–1164.
26. Richard Whish and David Bailey, "*Competition Law*", 7th ed., Oxford University Press, 2012

27. Richard Whish and David Bailey, "*Competition Law*", 9th ed., Oxford University Press, 2018

სხვა მასალები

1. საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები", 2017, <http://competition.ge/images/upload/გზამკვლევი%20დოკუმენტი.pdf>
2. საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე" ივნისი, 2018.
3. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრეზენტაცია „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, მეორე საერთაშორისო კონფერენცია - კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები, თბილისი, 28-29 სექტემბერი, 2018.
4. ევროკომისიის გაიდლაინი ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებების მიმართ ევროკავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულების 101-ე მუხლის გამოყენების შესახებ, 2011/C 11/01, (შემდგომში„*ჰორიზონტალური თანამშრომლობის ხელშეკრულებების გზამკვლევი*") ხელმისაწვდომია:<https://eurlex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011XC0114(04)&from=EN>
5. European Commission Notice on agreements of minor importance which do no appreciably restrict competitions under Article 101(1) of the Treaty on the Functioning of the European Union (De Minimis Notice), OJ C 291/1, 2014.
6. ევროკავშირის გზამკვლევი ხელშეკრულების 83(3) მუხლის [ახალი რედაქციით მუხლი 101(3)] გამოყენების თაობაზე, ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი [2004] C 101/97.

7. ევროკავშირის გზამკვლევი ვერტიკალურ შეზღუდვებზე, ოფიციალური ჟურნალი C130/1, 2010, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52010XC0519%2804%29,
8. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მოკლე მიმოხილვა (ანოტაცია), 2006,
9. ევროკომისიის პოზიცია ფარმაცევტულ სექტორში, პატენტებთან დაკავშირებული დავებიდან გამომდინარე რიგი შეთანხმებების კონკურენციის შემზღუდველი ხასიათის შესახებ (http://ec.europa.eu/competition/sectors/pharmaceuticals/antitrust_en.html).
10. Mario Monti, "Fighting Cartels Why and How? Why should we be concerned with cartels and collusive behaviour?", 3rd Nordic Competition Policy Conference, Stockholm, 11-12 September 2000, http://europa.eu/rapid/press-release_SPEECH-00-295_en.htm.
11. OECD Publication C (98)35/Final, of May 1998, ხელმისაწვდომია: https://one.oecd.org/document/C(98)35/FINAL/en/pdf.
12. ICN Cartels Working Group, "*Defining Hard Core Cartel Conduct, Effective Institutions, Effective Penalties*", Building blocks for effective anti-cartel regimes: ICN 4th annual conference, Bonn, Germany, 2005.
13. OECD Competition Committee Roundtable - Prosecuting Cartels without Direct Evidence, DAF/COMP/GF(2006)7, 2006, https://www.oecd.org/daf/competition/prosecutionandlawenforcement/37391162.pdf.
14. OECD Competition Committee Roundtable on Oligopoly Market DAF/COMP/M(2015)1/ANN4/FINAL: http://www.oecd.org/daf/competition/oligopoly-markets.htm.
15. OECD Competition Committee Roundtable - Competition in Road Fuel, 2013, DAF/COMP(2013)18, https://www.oecd.org/competition/CompetitionInRoadFuel.pdf.
16. OECD Competition Committee Roundtable - Information Exchange DAF/ COMP(2010)37;

17. OECD, Competition and Procurement, Key Findings, 2011, http://www.oecd.org/daf/competition/sectors/48315205.pdf;
18. OECD Council Recommendation on Fighting Bid Rigging in Public Procurement, 2012, http://www.oecd.org/daf/competition/RecommendationOnFightingBidRigging2012.pdf.
19. OECD (2016), *Fighting bid rigging in public procurement: Report on implementing the OECD Recommendation*, http://www.oecd.org/daf/competition/Fighting-bid-rigging-in-public-procurement-2016-implementation-report.pdf
20. European Commission, Directorate-General for Competition, *Glossary of terms used in EU competition policy, Antitrust and control of concentrations,* 2002, https://www.concurrences.com/en/glossary-of-competition-terms/entry-barriers.
21. OECD, R. S. Khemani, D. M. Shapiro, *Glossary of Industrial Organisation Economics and Competition Law*, OECD, 1993, https://www.concurrences.com/en/glossary-of-competition-terms/entry-barriers.
22. European Commission, *Guidelines on Horizontal Cooperation Agreements* OJ [2011] C 11/1.
23. European Commission, Staff Working Document, *Guidance on restrictions of competition "by object" for the purpose of defining which agreements may benefit from the De Minimis Notice*, SWD(2014) 198 final.
24. Research Paper prepared by RBB for the OFT on co-operation by purchasers. https://www.rbbecon.com/downloads/2012/12/oft863.pdf.

IV. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებიდან გამონაკლისები

*ზურაბ გველესიანი**

1. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებიდან გამონაკლისები – სამართლებრივი ტრანსპლანტის ევოლუცია ქართულ სამართალში

საბაზრო კონკურენცია წარმოების ეფექტიანობის, მაღალპროდუქტიულობისა და ინოვაციის მამოძრავებელი ძალაა, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურების ფართო არჩევანს, მაღალ ხარისხსა და კონკურენტულ ფასებს, მეორე მხრივ კი, აძლიერებს ეროვნულ ეკონომიკას და ხდის მას უფრო კონკურენტუნარიანს გლობალურ არენაზე.[845]

ბაზრის უხილავ ხელზე და *თვითრეგულირებად ბაზარზე* გავრცელებული თეორიების მიუხედავად,[846] პრაქტიკა ცხადყოფს,

---

* ასისტენტ-პროფესორი, ჩინეთი-ევროკავშირის სამართლის სკოლა, ჩინეთის პოლიტიკური მეცნიერებისა და სამართლის უნივერსიტეტი (პეკინი, ჩინეთი).

[845] რევაზ გერაძე, *„კონკურენციის როლი სამაზრო ეკონომიკაში"*, Forbes, 20 ივლისი 2015; ხელმისაწვდომია: http://forbes.ge/blog/110/konkurenciis-roli-sabazro-ekonomikaSi, (16.12.2018 – ტექსტში მითითებულ ინტერნეტ რესურსებზე უკანასკნელად წვდომის თარიღი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული). იხ. ასევე: Kovacic, William, "Antitrust Policy: A Century of Economic and Legal Thinking," 14 (1) Journal of Economic Perspectives, 2000, გვ.: 43–60; C Mueller, Dennis, Alfred Haid, Weigand, Jürgen, *Competition, Efficiency, and Welfare: Essays in Honor of Manfred Neumann*, Springer Science & Business Media, 2012; Rooney, David, Greg Hearn and Kastelle, Tim, *Handbook on the Knowledge Economy*, Edward Elgar Publishing, 2012, გვ. 118; Phil Graham, *Hypercapitalism: New Media, Language, and Social Perceptions of Value*, Peter Lang, 2006, გვ. 109; Godfrey, Nick, *Why Is Competition Policy Important for Growth and Poverty Reduction?*, OECD, 2008; European Commission, "Benefits of Competition Policy"", http://ec.europa.eu/competition/consumers/why_en.html. განსხვავებული მოსაზრებისთვის იხ.: Stucke, Maurice, "Is Competition Always Good?", Journal of Antitrust Enforcement, 2013, გვ.: 162-197; Rodriguez, AE and Menon, Ashok, *The Limits of Competition Policy: The Shortcomings of Antitrust in Developing and Reforming Economies*, Kluwer Law International, 2010.

[846] იხ. Smith, Adam, *Wealth of Nations*, Hayes Barton Press, 2001, Book IV, Chapter II, გვ. 456, [9]; Mandal, UC, *Dictionary Of Public Administration*, Sarup & Sons, 2007, გვ. 25; Faccarello, Gilbert and Kurz, Heinz D, *Handbook on the History of Economic Analysis Volume II: Schools of Thoughr in*

რომ რიგ შემთხვევებში, საბაზრო ჩავარდნები და ეკონომიკური აგენტების ქმედებები შეუძლებელს ხდის რესურსების ეფექტიან გადანაწილებას. კარტელები და კონკურენციის შემზღუდველი სხვა ტიპის შეთანხმებები ამის ნათელი მაგალითია. ამდენად, თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა შეუძლებელია სამართლებრივი რეგულირების გარეშე.[847]

სამართლებრივი რეგულირების ერთ-ერთი ნათელი მაგალითია „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის [848] (შემდგომში – *„კონკურენციის შესახებ" კანონი* ან „კანონი") მე-7 მუხლი, რომელიც კრძალავს კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებებს, გადაწყვეტილებებს და შეთანხმებულ ქმედებებს (შემდგომში ერთიანად მოიხსენიება, როგორც „შეთანხმებები"). მოცემული აკრძალვა კონკურენციის შესახებ კანონით განსაზღვრული ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმია. ამასთან, აღნიშნული აკრძალვა არაა აბსოლუტური და ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვებიდან გამონაკლისების დაწესება.

კანონის მე-9 მუხლის თანახმად, *საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით,* გამონაკლისებად შეიძლება მიჩნეულ იქნას ისეთი შეთანხმებები, რომლებიც აკმაყოფილებენ *ოთხ კუმულატიურ წინაპირობას:*

ეფექტიანობის ზრდა ⟶ ხელს უწყობენ წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს

Economics, Edward Elgar Publishing, 2016, გვ. 89; Williams, David *The Enlightenment*, Cambridge University Press, 1999, გვ. 51.

[847] იხ. Cseres, Katalin Judit,*Competition Law and Consumer Protection*, Kluwer Law International, 2005, გვ. 46, 47; Steiner, Mark, *Economics in Antitrust Policy: Freedom to Compete Vs. Freedom to Contract*, Universal-Publishers, 2007, გვ. 60; Gordon, Richard L, *Antitrust Abuse in the New Economy: The Microsoft Case*, Edward Elgar Publishing, 2002; იხ. ასევე: Bork, Robert H, *The Antitrust Paradox. A Policy at War with Itself*, New York: Free Press, 1978, გვ. 98; საქართველოს კონტექსტში, იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, "კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში," 2012 (შემდგომში: „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში"), https://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Competition%20Policy%20in%20Georgia%20%28GEO%29.pdf, გვ. 4

[848] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი), 25.05.2012 (2014 წლის 21 მარტის ცვლილებების გათვალისწინებით), https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4

სარგებლიანობა მომხმარებლისთვის	→	უზრუნველყოფენ მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდას
შეზღუდვების გარდაუვალობა	→	შეთანმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ უწესებენ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის აღნიშნული მიზნების მიღწევასთან
კონკურენციის აღკვეთის დაუშვებლობა	→	ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას არ აძლევენ, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე

კონკრეტული გამონაკლისები დგინდება მთავრობის ნორმატიული აქტით. [849] მათი მტკიცების ტვირთი ეკისრება შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს.[850]

წინამდებარე თავი გააანალიზებს ზემოთ ჩამოთვლილ წინაპირობებსა და მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ პროცედურებს ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიხედვით. იმის გათვალისწინებით, რომ ეს უკანასკნელი ეფუძნება ევროკავშირის სამართალს,[851] თავდაპირველად განხილული იქნება ის მნიშვნელოვანი ცნებები და ფაქტორები, რომლებიც აუცილებელია გამონაკლისების არსის უკეთ გასაგებად.

1.1. სამართლებრივი ტრანსპლანტი ევროკავშირიდან

2014 წელს, კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საქართველომ არსებითად დაასრულა ევროპული

---

[849] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 9, პუნქტი 3.

[850] იგივე, პუნქტი 2.

[851] იხ. მენაბდიშვილი, სოლომონ, „საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან (ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად)", საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი, 2018, http://asocireba.ge/files/Solomon-Menabdishvili-Competition-2018.pdf, გვ. 10; უდესიანი, ეკატერინე, „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შესაბამისი კონკურენციის პოლიტიკის დამკვიდრება", 2013, http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/22256, გვ.: 12-17; Lapachi, Ketevan ans Kutivadze, Natia „The Institutional Framework for Competition Regulation in Georgia", EUGBC, *2015*, გვ.: 32-36.

კონკურენციის კანონმდებლობის ტრანსპლანტაცია. აღნიშნული პროცესი არის რთული და მრავალგანზომილებიანი, რაც არ გულისხმობს ნორმების უბრალოდ გადმოწერას, არამედ პირველ რიგში მათ ადგილობრივ გარემოზე მორგებას და ეროვნულ სისტემასთან ადაპტირებას.[852] საქართველოს შემთხვევაში, მოხდა ევროპული რეგულირების გარკვეულწილად გამარტივება და შერბილება.[853] მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში საქართველოს კონკურენციის სააგენტო (შემდგომში – „სააგენტო") ხშირად ეყრდნობა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (შემდგომში – „CJEU") გადაწყვეტილებებსა და განმარტებებს.[854]

კონკრეტულად, კანონის მე-9 მუხლი დაფუძნებულია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების[855] (შემდგომში – TFEU) 101-ე მუხლის მე-3 პუნქტზე. მეტიც, მე-9 მუხლის პირველი პუნქტი პრაქტიკულად წარმოდგენს TFEU 101(3) მუხლის პირდაპირ ანალოგს. თუმცა, ორ დებულებას შორის არსებობს *რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება*, რომლებსაც ქვემოთ შევეხებით. პირველ რიგში კი, მიმოვიხილავთ თავად გამონაკლისების არსსა და მისი შესაბამისი ნორმის ევოლუციას ქართულ სამართალში.

---

[852] იხ. Khan-Freund O, "On Uses and Misuses of Comparative Law", Modern law Review 37(1), 1972, გვ.: 1–27; Watson, Alan, *Legal Transplants: An Approach to Comparative Law*, University of Georgia Press, 1974, გვ.: 1, 94.

[853] იხ. Zukakishvili, Ketevan, "Two Years after the Legal Transplantation in Georgia – the Best yet to Come", SCF (Sofia Competition Forum) Newletter 42, 2016, SCF (Sofia Competition Forum) Newletter 42.

[854] იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე", 2018, http://competition.ge/images/upload/გზამკვლევი%20-%20მე-7%20მუხლი.pdf (შემდგომში: „კონკურენციის სააგენტოს გზამკვლევი კანონის მე-7 მუხლის რიგ დებულებებზე"); საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები", 2017, http://competition.ge/images/upload/გზამკვლევი%%20დოკუმენტი.pdf; ავტორის შენიშვნა: ასევე, მითითებები ევროკავშირში მიღებულ გადაწყვეტილებებზე და არსებულ გამოცდილებაზე გვხვდება სააგენტოს თითქმის ყველა გადაწყვეტილებაში.

[855] Consolidated Version of the Treaty on the Functioning of the European Union, OJ C 326/47, 26.10.2012.

1.2. გამონაკლისების არსი ევროკავშირის სამართალში

გამონაკლისების ფენომენი უკავშირდება *შეთანხმების კონკურენციისთვის სასარგებლო და კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგებს შორის სწორი ბალანსის პოვნის აუცილებლობას.* ხსენებული *„ბალანსირების ტესტი"* ამერიკის შეერთებული შტატების (შემდგომში – „აშშ") სამართალში წარმოიშვა და გარკვეული ცვლილებებით[856] დამკვიდრდა ევროკავშირშიც.[857]

ევროკავშირში გამონაკლისების ანალიზი *ორ საფეხურად* ხდება: პირველ რიგში, ევროკომისია აფასებს, ზღუდავს თუ არა კონკურეტული შეთანხმება კონკურენციას *(TFEU-ის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით). Prima facie* შეზღუდვის დადგენის შემთხვევაში, შეთანხმების მხარეების მიერ შესაბამისი არგუმენტაციისა და მტკიცებულებების წარმოდგენის შემდეგ, ევროკომისია გადადის გამონაკლისების ანალიზზე *(TFEU-ის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით).* შეთანხმება კანონდარღვევად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის შედეგად კონკურენციისთვის მიყენებული ან პოტენციური ზიანი აღემატება (შესაძლო) სარგებელს.

> შეთანხმება აკრძალულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მისი სასარგებლო ეფექტი ვერ გადაწონის კონკურენციის შეზღუდვით გამოწვეულ (არსებულ ან სამომავლო) ზიანს.

---

[856] ავტორის შენიშვნა: აშშ-ში დამკვიდრებული ე.წ. „rule of reason" დოქტრინის მიხედვით, შეთანხმებებში კონკურნციის სასარგებლო და საწინააღმდეგო ასპექტების შეფასება ერთ ეტაპად ხდება. ამ ქვეყანაში ასევე არსებობს შეთანხმებათა კატეგორიები, რომლებიც ანტიტრასტული კანონმდებლობის ისეთ მნიშვნელოვან დარღვევად მიიჩნევა, რომ მათი რაიმე ფორმით გამართლება შეუძლებელია (ე.წ. *per se* კანონდარღვევები). ევროკავშირი არ იცნობს მსგავს ცნებას. დისკუსიისთვის იხ.: Nagy, Csongor István, *EU and US Competition Law: Divided in Unity?: The Rule on Restrictive Agreements and Vertical Intra-brand Restraints,* Ashgate Publishing, Ltd., 2013; Jones, Alison and Kovacic, William E., „Identifying Anticompetitive Agreements in the United States and the European Union: Developing a Coherent Antitrust Analytical Framework", GWU Law School Public Law Research Paper №12, 2017, გვ.: 22-26.

[857] იხ. Case 26/76, *Metro v Commission (№1)* [1977] ECR 1875, ECLI:EU:C:1977:167, para. 72; Case T-111/08, *MasterCard, Inc and Others v Commission* [2012] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:T:2012:260, para. 80; Case T-328/03, *O2 (Germany) GmbH & Co OHG v Commission,* [2006] ECR II-01231, ECLI:EU:T:2006:116; Case C519/04P, *Meca-Medina v Commission,* [2006] ECR I-6991, ECLI:EU:C:2006:492; Case C-309/99, *Wouters v Algemene Raad van de Nederlandsche Orde van Advocaten,* [2002] ECR I-1577, ECLI:EU:C:2002:98.

1.3. გამონაკლისების მარეგულირებელი ნორმის ევოლუცია ქართულ სამართალში

საინტერესოა აღნიშნული ნორმის ევოლუცია ქართულ კანონმდებლობაში. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის[858] 2012 წლის რედაქციაში, მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი მოქმედი ვერსიის მსგავსი სულისკვეთების მატარებელი იყო. აღნიშნული ნორმა დღევანდელი რეგულირების ანალოგიურად ადგენდა წესს, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვა არ არის აბსოლუტური და საგამონაკლისო წესით შესაძლებელია ცალკეული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების დაშვება, როდესაც მათგან ზიანზე უფრო მეტი სარგებელია მოსალოდნელი. მიუხედავად ამისა, მე-9 მუხლის პირვანდელი რედაქცია იყო ნაკლებად ეფექტიანი და გააჩნდა მნიშვნელოვანი ხარვეზები.

მე-9 მუხლის პირვანდელ ვერსიაში **არ არსებობდა ჩანაწერი** საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინების თაობაზე, რომელიც ამჟამად სავალდებულო პირობას წარმოადგენს გამონაკლისების დასაშვებად.

ამასთან, მე-9 მუხლის 2012 წლის ვერსია ადგენდა გამონაკლისების მხოლოდ *პოზიტიურ წინაპირობებს* (ეფექტიანობის ზრდა და სარგებლიანობა მომხმარებლისთვის). თუმცა, ამჟამინდელი რეგულირებისაგან განსხვავებით, ის არ შეიცავდა *ნეგატიურ წინაპირობებს.* ხსენებული გულისხმობს, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება დაშვებული იქნებოდა იმ შემთხვევაშიც, თუკი ის დააწესებდა დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროზე მეტ შეზღუდვას ან აღკვეთდა კონკურენციას ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე. ნეგატიური წინაპირობების არარსებობა, რასაკვირველია, ახდენდა გამონაკლისების გავრცელებას კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებათა ბევრად უფრო ფართო ჯგუფზე, რაც კანონმდებლობით დადგენილ

[858] საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 27.06.2005 (ძალადაკარგულია 23.07.2012-დან), https://matsne.gov.ge/ka/document/view/29644?publication=6.

აკრძალვას ნაკლებად ეფექტიანს ხდიდა. საქართველოს მთავრობის განმარტებით, მსგავსი მიდგომა დაკავშირებული იყო ქვეყანაში კონკურენციის რეგულირების ინოვაციურ ხასიათთან.[859]

გარდა ნეგატიური წინაპირობების არარსებობისა, მე-9 მუხლის პირვანდელ ვერსიაში ასევე განსხვავებული იყო პოზიტიური წინაპირობების ფორმულირებაც. კანონის ამჟამინდელი ვერსიის თანახმად, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება ხელს უნდა უწყობდეს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს. რაც შეეხება 2012 წლის რედაქციას, გამონაკლისი დასაშვები იყო, თუკი შეთანხმება უბრალოდ „მიზნად ისახავდა" ხსენებული მიზნების მიღწევას. მსგავსი ფორმულირება იძლეოდა ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. კონკრეტულად, გამონაკლისი შესაძლებელია გავრცელებულიყო ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება ფორმალურად ისახავდა მიზნად ზემოაღნიშნული პირობების დაკმაყოფილებას და განხილვის საგანი არ ხდებოდა მათი რეალური შესრულება.

> კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისების დაშვება გამართლებულია მხოლოდ მათი შეზღუდულად გამოყენების შემთხვევაში. ამავდროულად, ეს არ უნდა იქცეს ზოგად წესად. სწორედ აღნიშნული მიზნის უზრუნველყოფას და დადგენილი გამონაკლისებისათვის ფართო ინტერპრეტაციის მიცემის თავიდან არიდებას ემსახურება პოზიტიური და ნეგატიური წინაპირობების კუმულაციური და ეფექტიანი გამოყენება .

რაც შეეხება მომხმარებლის როლს გამონაკლისების დადგენაში: მე-9 მუხლის 2012 წლის ვერსიით, მომხმარებლის მიერ სარგებლის მიღება წარმოადგენდა მთავარ, საკვანძო პირობას, ხოლო წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესება თუ ტექნიკური

[859] იხ. *კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში*, გვ. 20.

და ეკონომიკური პროგრესი მომხმარებლისათვის სარგებლის ზრდის საშუალებებად მიიჩნეოდა. 2014 წლის ცვლილებებით, მოდიფიცირდა აღნიშნული ფორმულირება და გარკვეულწილად მოხდა მე-9 მუხლით დადგენილ პოზიტიურ წინაპირობებს შორის როლების გაცვლა.[860] კერძოდ, დღეს არსებული რეგულირებით, გამონაკლისი დაშვებულია იმ შეთანხმებების მიმართ, რომლებიც ხელს უწყობენ წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს და ამასთანავე, უზრუნველყოფენ მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდას.

უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტიანობის ზრდაზე ყურადღების გადატანით არ ხდება მომხმარებლის როლის დაქვეითება და მისი უგულებელყოფა. გარდა იმისა, რომ მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდა დღესაც მე-9 მუხლით დადგენილი გამონაკლისების გამოყენების სავალდებულო პირობაა, ნებისმიერი სახის პროგრესი ბაზარზე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ყოველთვის აისახება მომხმარებლის, როგორც *„საბოლოო ბენეფიციარის"* [861] კეთილდღეობაზე. ამასთან, უმნიშვნელოვანესი სიახლეა თავად *მომხმარებელთა კეთილდღეობის* ინსტიტუტის დამკვიდრება, რომლის ტრანსპლანტაცია ასევე მოხდა ევროკავშირის სამართლიდან და რომელსაც ქვემოთ დაწვრილებით შევეხებით.

---

[860] ავტორის შენიშვნა: აღნიშნული ცვლილებების შედეგად მოხდა მე-9 მუხლის დაახლოება TFEU 101 (3) მუხლთან. მე-9 მუხლის და TFEU 101 (3)-ის შედარებითი ანალიზი განხილული იქნება შემდეგ ქვეთავში.

[861] დაწვრილებით ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: Micklitz, Hans-W, Jules Stuyck and Terryn, Evelyn, *Consumer Law: Ius Commune Casebooks for a Common Law of Europe*, Bloomsbury Publishing, 2010, ch 1, Section IB; Ioannidou, Maria, *Consumer Involvement in Private EU Competition Law Enforcement*, Oxford University Press, 2015, გვ. 195; Giersch, Herbert, *Merits and Limits of Markets*, Springer Science & Business Media, 2012, გვ. 232; Shore, David A, *The Trust Prescription for Healthcare: Building Your Reputation with Consumers*, Health Administration Press, 2005, გვ. 36; Lowe, Philip, "The Design of Competition Policy Institutions for the 21st Century – the Experience of the European Commission and DG Competition", Competition Policy Newsletter, N. 3, 2008, გვ. 3.

1.4. განსხვავებები გამონაკლისების მარეგულირებელ ქართულ და ევროკავშირის ნორმებს შორის

როგორც უკვე აღინიშნა, მიუხედავად მნიშვნელოვანი მსგავსებებისა, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებიდან გამონაკლისების შესახებ ქართული წესები გარკვეულწილად განსხვავდება ევროკავშირში მოქმედი ნორმისგან. პრაქტიკაში, ინტერპრეტაციის ან/და კონკურეტული საქმის გადაწყვეტისას, ხსენებულმა ფაქტმა მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეიძინოს.

პირველ რიგში, აუცილებელია განვიხილოთ, თუ *რა ტიპის სარგებელი* მიიღება მხედველობაში შეთანხმების TFEU-ის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით ანალიზისას. ასევე, უნდა დადგინდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული „სახელმწიფო ინტერესების" კრიტერიუმი, როგორც სარგებლის ერთ-ერთი სახე. უნდა განვასხვაოთ *ინდივიდუალური და ჯგუფური გამონაკლისები,* რადგან ეს საკითხი საქართველოში სპეციფიკურად რეგულირდება. ამასთან, ყურადღება უნდა შევაჩეროთ *მომხმარებლისთვის სარგებლიანობის* კრიტერიუმზე, იმიტომ რომ, ეს კრიტერიუმი ქართულ კანონმდებლობაში ევროკავშირის პრაქტიკისგან განსხვავებულადაა ჩამოყალიბებული.

ა) გათვალისწინებული ინტერესები/სარგებელი

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, TFEU-ში არ გვხვდება და ვერც იქნება ჩანაწერი სახელმწიფო ინტერესების თაობაზე, თავად გაერთიანების ზესახელმწიფოებრივი ბუნებიდან გამომდინარე. თუმცა ახალი არაა დებატები იმის შესახებ, უნდა მიიღოს თუ არა მხედველობაში ევროკომისიამ საერთო ევროპული საზოგადოებრივი ინტერესები TFEU 101(3) მუხლის ანალიზისას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულ კონტექსტში, ხსენებული დებატები მიმდინარეობდა TFEU 101(3) მუხლის პირველი კრიტერიუმის (ეფექტიანობის ზრდის) ირგვლივ.

კონკურენციის სამართლის განვითარების საწყის ეტაპზე, ევროკომისია მიიჩნევდა, რომ *გარდა წმინდად ეკონომიკური სარგებლისა, ევროკავშირის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა სიკეთეების* (მაგალითად, დასაქმებისა და გარემოს დაცვის) *შენარჩუნებაც* შესაძლოა მიჩნეულიყო ეფექტიანობის ზრდად, და ამდენად, დაეკმაყოფილებინა TFEU 101(3) მუხლის პირველი მოთხოვნა.

დასაქმებასთან მიმართებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ აღნიშნა, რომ *"დასაქმება ექცევა იმ მიზნებს შორის, რომლებიც შესაძლოა მხედველობაში იქნას მიღებული [TFEU 101(3)] მუხლის შესაბამისად, რამდენადაც ეს ხელს უწყობს წარმოების ზოგადი პირობების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით, როდესაც საბაზრო პირობები არახელსაყრელია".*[862]

გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, TFEU 101(3) მუხლის პირველი ქვეპუნქტის ანალიზისას, ევროკომისიამ მხედველობაში მიიღო, მაგალითად, ჰაერის დაბინძურების, ენერგეტიკული რესურსების მოხმარების, გარემოს დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოყოფის შემცირება, გადამუშავების გაუმჯობესება და სხვა. თუმცა ამასთან, ევროკომისია საკმაოდ მკაცრია გარემოს დაცვას ამოფარებული კარტელების მიმართ. ამას გარდა, ევროკომისიას სხვადასხვა დროს მხედველობაში აქვს მიღებული, მაგალითად, *სპორტის, კულტურის, არაურბანული ტერიტორიების განვითარებასთან* დაკავშირებული გაუმჯობესებები.[863]

დღესდღეობით ევროკომისიის პოზიცია გამოხატულია სახელმძღვანელო დოკუმენტში TFEU 101(3) მუხლის შესახებ. ხსენებული დოკუმენტის თანახმად, ევროკავშირის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა (არა კონკურენციასთან დაკავშირებული) მიზნები კონკურენციის

---

[862] იხ. Case 42/84, *Remia BV and others v Commission of the European Communities*, [1985] ECR 2545, ECLI:EU:C:1985:327, para. 42.

[863] დეტალური დისკუსია იხ. Bailey, David and John, Laura Elizabeth (eds), *Bellamy & Child: European Union Law of Competition*, Oxford, 8th ed., 2018, გვ.: 230-232.

შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისების ანალიზისას მხედველობაში მიიღება მაშინ, როდესაც ისინი თავად შეადგენენ TFEU 101(3) მუხლით დადგენილი პირობების ნაწილს (მაგალითად, დასაქმება, რომელიც კონკრეტულ საქმეში, ხელს უწყობს ეფექტიანობის ზრდას).[864]

ევროკავშირისგან განსხვავებით, ქართველი კანონმდებელი ცალსახად აკონკრეტებს, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისების დაწესება და გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ „საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით",[865] ამ ინტერესების კანონში დაკონკრეტების გარეშე. აღნიშნული დანაწესი განსხვავდება მუხლში მოცემული სხვა წინაპირობებისაგან იმით, რომ იგი *მიმართულია გამონაკლისების დამშვები ორგანოსადმი.* ამასთან, მე-9 მუხლის მიერ განსაზღვრულ პირობებს შორის, განსახილველი ნაწილი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად კონკრეტული და განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე კონცეფციას, რომელიც განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა.

აღნიშნული თვისებები შეიძლება მიჩნეული იქნას პრობლემურად, კანონმდებლობის განსაზღვრულობის და წინასწარგანჭვრეტადობის აუცილებლობის კუთხით.[866] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით

---

[864] იხ. Communication from the Commission — Notice — Guidelines on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101/97, 27.04.2004, (შემდგომში: „ევროკავშირის გზამკვლევი 81(3) მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით"), აბზაცი 42.

[865] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი), 25.05.2012 (2014 წლის 21 მარტის ცვლილებების გათვალისწინებით), https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4, მუხლი 9, პუნქტი 1.

[866] იხ. Bork, Robert H, *The Antitrust Paradox. A Policy at War with Itself*, New York: Free Press, 1978, გვ. 98; Locke, Edwin A and Latham, Gary P, *A Theory of Goal Setting & Task Performance*, Prentice-Hall, Inc, Vol XVIII, 1990, გვ.: 48-52; საქართველოს კონტექსტში, იხ. იზორია, ლევან, „მუხლი 7", *საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი – თავი მეორე საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი*, გამომცემლობა შპს „პეტიტი", 2013, გვ.: 22-24; ასევე იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №1/4/614,616, 30.09.2016, აბზაცი 22; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე, №2/3/406,408, 30.10.2008, აბზაცი 33-39; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №1/4/557,571,576, 13.11.2014, აბზ. 61; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №2/2/516,542, 14.05.2013, აბზ. 29.

„კანონმდებელს მოეთხოვება, რაც შეიძლება კონკრეტულად და ცხადად მოახდინოს" ნორმის რეგლამენტაცია, *„თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ზოგადი ნორმების არსებობის საჭიროებას."*[867]

ამასთან, „საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ინტერესებთან" ყველაზე ახლოს მდგომი ცნება, რომელზეც საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოებს აქვთ განმარტებული, არის „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება". [868] უზენაესი სასამართლოს განმარტებით, *„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების კონკრეტული რეგლამენტაციის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ კანონმდებელს,* [რომელიც წყვეტს] *თუ რა ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე."*[869]

თუკი ამ წესს მოვარგებთ კანონის მე-9 მუხლს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რამდენადაც მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისებს ადგენს საქართველოს მთავრობა, სწორედ ამ უკანასკნელის პრეროგატივაა მიუთითოს, თუ რა საზოგადოებრივ და სახელმწიფო ინტერესებს იცავს დადგენილი გამონაკლისი. თუმცა, გამონაკლისების მარეგულირებელი მოქმედი ნორმატიული აქტი – საქართველოს მთავრობის №526 დადგენილება უბრალოდ იმეორებს კანონის დანაწესს, [870] რაც ნიშნავს, რომ ხსენებული კრიტერიუმის ინდივიდუალური შეფასება მოუწევთ შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს, შემდგომში კი, შესაძლოა, კონკურენციის სააგენტოს.

---

[867] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №1/3/538, 24.07.2014.

[868] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №2/1-370,382,390,402,405, 18.05.2007; საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-658-644(კ-12), 19.03.2013.

[869] საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე #ბს-658-644(კ-12), 19.03.2013.

[870] საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის დადგენილება N526 "კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი), 02.09.2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2484026?publication=0 (შემდგომში: "დადგენილება №526"), მუხლი 4, პუნქტი 1.

ამავდროულად, პრობლემატური შეიძლება იყოს მსგავს შემთხვევებში სააგენტოს მიერ ინტერპრეტაციის უფლებამოსილების გამოყენება, რადგან საქმე ეხება საჯაროსამართლებრივ დებულებებს. ამდენად, განმარტების საბოლოო პრეროგატივა ექნება სასამართლოს ან მთავრობას/კანონმდებელს.

როგორც უკვე აღინიშნა, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს, რომელთა გათვალისწინებითაც ხდება გამონაკლისების დაშვებისას, როგორც წესი, ეკონომიკური ხასიათი აქვთ. დღესდღობით, უკვე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აღიარებულია მოსაზრება, რომ *კონკურენციის კანონმდებლობა არ წარმოადგენს იდეალურ სამართლებრივ მექანიზმს სოციალური, კულტურული, გეო-პოლიტიკური თუ სხვა სახის ინტერესეთა დასაცავად.* [871] ის შეიძლება არაპირდაპირ ხელს უწყობდეს ეკონომიკური ხასიათის არმქონე მიზნის მიღწევას, თუმცა არ უნდა იყოს მხოლოდ მათზე მომართული. ამით თავიდან მოხდება ისეთი შესაძლო სიტუაციების აცილება, როდესაც სოციალური ან ზოგადი ხასიათის საზოგადოებრივი ინტერესები პოლიტიკური მიზნით

---

[871] ავტორის შენიშვნა: ანტიმონოპოლიური სამართლის ჩიკაგოს სკოლის შესაბამისად, კონკურენციის სამართლის ერთადერთ ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური ხასიათის მიზნები (კერძოდ. ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევა). არაეკონომიკური საკითხები და მიზნები ნაკლებ რელევანტურია კონკურენციის სამართლისათვის. მაგალითად, კულტურული, პოლიტიკური, სოციალური და სხვა არაეკონომიკური მიზნების მიღწევა უფრო ეფექტიანადაა შესაძლებელი სამართლის სხვა დარგების გამოყენებით. ჩიკაგოს სკოლის ეს მიდგომა გავლენიანი აღმოჩნდა არა მარტო აშშ-ში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით. ხსენებული სკოლის მოსაზრებებმა გარკვეულწილად განაპირობა ევროკავშირში 2000-იანი წლებიდან მოყოლებული "უფრო მეტად ეკონომიკური მიდგომის მქონე" (*"more economic approach"*) კონკურენციის პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობაც. იხ: Cseres, Katalin Judit.*Competition Law and Consumer Protection*, Kluwer Law International, 2005, გვ. 4; Heyer, Kenneth, „Consumer Welfare and the Legacy of Robert Bork", 57 Journal of Law and Economics, s19-32, 2014; Lianos, Ioannis, "Some Reflections on the Question of the Goals of EU Competition Law", CLES Working Paper Series 3/2013, 2013, გვ 1; Bougette, Patrice, Marc Deschamps and Marty, Frédéric, „When Economics Met Antitrust: The Second Chicago School and the Economization of Antitrust Law", Groupe de Recherche en Droit, Working paper N. 2014-23, 2014; Witt, Anne C, *The More Economic Approach to EU Antitrust Law*, Bloomsbury Publishing, 2016, გვ.: 169-171; Frenz, Walter, *Handbook of EU Competition Law*, Springer, 2015, გვ. 1131; Baarsma, B, „Rewriting European Competition Law from an Economic Perspective"", European Competition Journal, 2011, გვ. 585; Freeman, Peter, „Significance of Economic Evidence in Competition Cases", IEA Beesley Lecture Series, London, the UK, 15 October 2009, http://www.rpieurope.org/Beesley/2009/Peter%20Freeman.pdf,

გამოიყენება ეკონომიკურად გამართლებული, მაგრამ არაპოპულარული ნაბიჯების გასაკრიტიკებლად.[872]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია, კონკურენციის სამართლის საფუძველზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება იყოს გამართლებული, პირველ რიგში, ეკონომიკურად. [873] აღნიშნულს ადასტურებს „კონკურენციის შესახებ" კანონის მიზნებიც, რომლებიც უმეტესად ეკონომიკური ხასიათისაა და დაკავშირებულია ბაზრის განვითარებასთან. [874] მსგავს მიდგომას იზიარებს ევროკომისიაც. იმის გათვალისწინებით, რომ კანონის მე-9 მუხლის სამართლებრივი ტრანსპლანტის წყაროს წარმოადგენს ევროკავშირის კანონმდებლობა, ავტორის მოსაზრებით, *საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ამ სპეციალური პირობის შეფასებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ სწორედ ევროპული გამოცდილებით.*

ბ) ინდივიდუალური და ჯგუფური გამონაკლისები

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რითაც საქართველოს მოქმედი კონკურენციის კანონმდებლობა განსხვავება ევროპულისგან, გამონაკლისების სახეობებია. კერძოდ, ევროკავშირში TFEU 101(3) მუხლი ადგენს გამონაკლისის ზოგად წესს, რომლის ფარგლებშიც ეკონომიკურ აგენტებს შეუძლიათ *ინდივიდუალურად შეაფასონ თავიანთი შეთანხმების კანონიერება.* აღნიშნულს ინდივიდუალურ გამონაკლისებს უწოდებენ.

---

[872] იხ. Jenny, F and Katsoulacos, Y, *Competition Law Enforcement in the BRICS and in Developing Countries: Legal and Economic Aspects*, Springer, 2016; Rodriguez, AE and Menon, Ashok, *The Limits of Competition Policy: The Shortcomings of Antitrust in Developing and Reforming Economies*, Kluwer Law International, 2010, გვ.: 162–166.

873 იხ. Freeman, Peter, „Significance of Economic Evidence in Competition Cases", IEA Beesley Lecture Series, London, the UK, 15 October 2009, http://www.rpieurope.org/Beesley/2009/Peter%20Freeman.pdf; Piraino, T, „Reconciling the Harvard and Chicago Schools: A New Antitrust Approach for the 21st Century", Indiana Law Journal 82, 2007, გვ.: 345, 346; Brunt, Maureen, *Economic Essays on Australian and New Zealand Competition Law*, Kluwer Law International, 2003, გვ. 47.

[874] „კონკურენციის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის ზოგადი დებულების თანახმად: *„კანონის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ეკონომიკისა და კონკურენციის ხელშეწყობა".*

თეორიულად, ინდივიდუალური გამონაკლისის გავრცელება შესაძლებელია კონკურენციის შემზღუდველ ნებისმიერ შეთანხმებაზე, ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში, თუკი ეს შეთანხმება აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ კუმულატიურ პირობას (ეფექტიანობის ზრდა; სარგებელი მომხმარებლისთვის; შეზღუდვების გარდაუვალობა; კონკურენციის აღკვეთის დაუშვებლობა). თუმცა, პრაქტიკაში, ძალიან რთულია (თუმცა, არა – შეუძლებელი) TFEU 101(3) მუხლის მოთხოვნების დაკმაყოფილება ისეთი შეთანხმების პირობებში, რომელიც ხასიათდება *კონკურენციის შეზღუდვის მიზნით.*[875]

ამავდროულად, ევროკავშირში ასევე არსებობს სპეციალური რეგულაციები, რომლებიც ადგენენ ***ჯგუფურ გამონაკლისებს.*** ასეთი რეგულაციები ადგენენ ე.წ. *„უსაფრთხო თავშესაფარს"* შეთანხმებათა გარკვეული კატეგორიებისთვის. კერძოდ, ისინი შეიცავენ დეტალურ პოზიტიურ პირობებს (საბაზრო წილების ოდენობას, შეთანხმების ტიპებსა და, რიგ შემთხვევებში, ხელშეკრულების დეტალურ დებულებებს და ა.შ.), რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში ჩაითვლება, რომ შეთანხმება აკმაყოფილებს საგამონაკლისო პირობებს. როგორც წესი, ასეთი რეგულაციები ასევე შეიცავენ ე.წ. *„მძიმე ფორმის დარღვევათა"* ჩამონათვალს, [876] რომლებზეც არ გავრცელდება რეგულაციით დადგენილი ჯგუფური გამონაკლისი.

მაგალითად, ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილი ერთ-ერთი ჯგუფური გამონაკლისი ვრცელდება ვერტიკალურ შეთანხმებებზე, რომელთა თითოეული მხარის საბაზრო წილი არ აღემატება 30%-ს შესაბამის ზედა დონის და ქვედა დონის ბაზრებზე. ამავდროულად, ევროკავშირის რეგულაცია ვერტიკალურ შეთანხმებებზე ჯგუფური გამონაკლისის გავრცელების შესახებ[877] ასევე შეიცავს „მძიმე ფორმის დარღვევებს".

---

[875] იხ. თავი 3 („კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები").

[876] ე.წ. "შავი სია".

[877] Commission Regulation (EU) No 330/2010 of 20 April 2010 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to categories of vertical agreements and concerted practices, OJ L 102/1, 23.4.2010 (შემდგომში: „ევროკავშირის ჯგუფური შეთანხმებების რეგულაცია").

ერთ-ერთი მათგანია ვერტიკალური ფასის ფიქსირება ანუ გადასაყიდი ფასის დადგენა. ეს ნიშნავს, რომ შეთანხმებები გადასაყიდი ფასის დადგენაზე დაკარგავენ „ჯგუფურ გამონაკლისს", იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი აკმაყოფილებენ რეგულაციის პოზიტიურ პირობებს.[878]

ვერტიკალური შეთანხმების გარდა, ევროკავშირში დღესდღეობით[879] მოქმედი ჯგუფური გამონაკლისები ვრცელდება, მაგალითად, შეთანხმებებზეტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ, [880] კვლევისა და განვითარებების შესახებ, [881] ავტომობილების დისტრიბუციასთან დაკავშირებულ შეთანხმებებზე [882] და სხვა. განსხვავებულია საქართველოს კანონმდებლობის მიდგომა გამონაკლისებთან.

---

[878] **ავტორის შენიშვნა:** მოცემული მე-4 მუხლი ვერტიკალური შეთანხმებებისათვის დაწესებული ჯგუფური გამონაკლისებიდან ტოვებს მთელ რიგ ხელშეკრულებებს, რომლებიც საფასო, ტერიტორიულ თუ სხვა სახის შეზღუდვებს აწესებენ და ზღუდავენ კონკურენციას ბაზარზე. გარდა ფასების ფიქსირებისა, შავ სიაში ასევე შედის: ტერიტორიული შეზღუდვების დაწესება, – სელექციური სადისტრიბუციო სისტემის მონაწილე მხარეებისათვის საბოლოო მომხმარებელზე გაყიდვების განხორციელების აკრძალვა, – სელექციური სადისტრიბუციო სისტემის მონაწილე მხარეებისათვის ერთმანეთს შორის გაყიდვების განხორციელების აკრძალვა, – ნაწილების მიმწოდებელ და მყიდველ მხარეს შორის, რომელიც ამ ნაწილების გამოყენებას ახდენს პროდუქციის საწარმოებლად, აკრძალვის დაწესება რომ მყიდველმა მხარემ საბოლოო მომხმარებლებს არ მიყიდოს მარაგი ნაწილები, ან არ უზრუველყოს ტექნიკური მომსახურება თუ შენარჩუნების სარემონტო სამუშაოები. მოცემული ტიპის შეთანხმებათა მიმართ ევროკავშირს ძალიან მკაცრი მიდგომა გააჩნია. კერძოდ, თუკი ვერტიკალური შეთანხმება, რომელიც ჩამონათვალში მოცემული მძიმე ფორმის დარღვევებიდან ერთ-ერთს მაინც აწესებს, გამონაკლისით სარგებლობის უფლებას კარგავს მთლიანი ხელშეკრულება. იხ. იქვე, მუხლი 4; ასევე იხ. ევროკავშირის გზამკვლევი ვერტიკალურ შეზღუდვებზე, აბზაცი 70.

[879] **რედაქტორების შენიშვნა:** ჯგუფური რეგულაციები კონკრეტული ვადით არის მიღებული. ვადის გასვლის თარიღის მოახლოებასთან ერთად, ევროკომისიის მიერ ხდება კავშირში არსებული სამართლებრივი და ეკონომიკური რეალობის შეფასება – შედეგად, გადაწყდება, რა ვადით და პირობებით გაგრძელდება ჯგუფური გამონაკლისების არსებობა, ან გაგრძელდება თუ არა ის საერთოდ. მსგავს დათქმას ითვალისწინებს მთავრობის №526 დადენილებაც (იხ. მუხლი 23, პუნქტი 1).

[880] Commission Regulation (EU) No 316/2014 of 21 March 2014 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to categories of technology transfer agreements, OJ L 93/17, 28.3.2014.

[881] Commission Regulation (EU) No 1217/2010 of 14 December 2010 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to certain categories of research and development agreements, OJ L 335/36, 18.12.2010.

[882] ევროკომისიის რეგულაცია № 461/2010 ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101(3)-ე მუხლის გამოყენების თაობაზე ძრავიანი ავტომობილების სექტორში დადებული ვერტიკალური შეთანხმებების კატეგორიზაციისთვის, ოფიციალური ჟურნალი: OJ L 129/52, 28.05.2010.

> მოქმედ ქართულ კანონმდებლობაში არსებობს მხოლოდ ჯგუფური გამონაკლისების კატეგორია, რაც ნიშნავს, რომ თუკი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება არ ხვდება წინასწარ დადგენილ ჯგუფურ კატეგორიაში, მასზე არ გავრცელდება აკრძალვიდან

კანონის მე-9 მუხლით დადგენილი გამონაკლისების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ჯგუფური წესით[883] და მათი დადგენის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობას.[884]

ჯგუფურ გამონაკლისებთან დაკავშირებით მთავრობის მიერ მიღებული იქნა მხოლოდ ერთი – №526 დადგენილება. [885] ამ უკანასკნელის მიერ გამონაკლისებს მიკუთვნებულ ჯგუფური შეთანხმებების ანალიზი იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ კანონის მე-9 მუხლით შექმნილი სამართლებრივი მექანიზმი მხოლოდ იშვიათ შემთხვევებშია გამოყენებული პრაქტიკაში.[886]

კერძოდ, ხსენებული დადგენილება მიუთითებს ჯგუფური გამონაკლისის შესაძლებლობაზე მხოლოდ რამდენიმე ჯგუფის შეთანხმებებისთვის. ამასთან, ქართული საკანონმდებლო ჩარჩო ეკონომიკურ აგენტებს არ აძლევს საშუალებას, დაეყრდნონ ინდივიდუალურ გამონაკლისებს, *იმ შემთხვევაში, თუკი მათ შორის არსებული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება აკმაყოფილებს ოთხივე სავალდებულო პირობას, მაგრამ არ ხვდება ჯგუფური გამონაკლისების ჩამონათვალში.* ასეთი რეგულაცია ზედმეტად ზღუდავს ეკონომიკური აგენტების შესაძლებლობას, „გაამართლონ" შეთანხმებები, რომელთა ეკონომიკური სარგებელი

---

[883] კონკურენციის სააგენტოს გზამკვლევი კანონის მე-7 მუხლის რიგ დებულებებზე, გვ. 49

[884] „კონკურენციის შესახებ" კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი; იხ. ასევე: მენაბდიშვილი, სოლომონ, „საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან (ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად)". საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი, 2018, გვ. 17.

[885] ავტორის შენიშვნა: „კონკურენციის შესახებ" კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად კი საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისები დაედგინა 2014 წლის 1 სექტემბრამდე.

[886] იხ. მენაბდიშვილი (სქოლიო №40), გვ. 18.

აღემატება კონკურენციის შეზღუდვით მიყენებულ ზიანს, იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულად ამ შეთანხმების კატეგორია არ არის გათვალისწინებული მთავარობის დადგენილებაში.

შესაბამისად, სასურველია, ქართული საკანონმდებლო ჩარჩო დაუახლოვდეს ევროკავშირის სამართალსა და პრაქტიკას და გათვალისწინებულ იქნას როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური გამონაკლისები. კერძოდ, მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შეიძლება იყოს მხოლოდ ჯგუფურ გამონაკლისთა კონკრეტული მაგალითები, მაგრამ ასევე უნდა იყოს შესაძლებელი მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ინდივიდუალური გამოყენებაც.

გ) მომხმარებლის როლი გამონაკლისების ანალიზისას

კიდევ ერთი განსხვავება ევროკავშირისა და ქართულ სამართალს შორის დაკავშირებულია მომხმარებლების როლთან გამონაკლისების ანალიზის საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობა ერთ-ერთ მიზნად ისახავს *მომხმარებლის კეთილდღეობის* ზრდას,[887] კონკრეტულად TFEU-ს 101 (3) მუხლი არ არის ფორმულირებული ამ ეკონომიკური ცნების ირგვლივ. არამედ, ხსენებული პუნქტი მიუთითებს, რომ *„კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება შეიძლება დაშვებული იქნას, თუკი ის იძლევა ამ ხელშეკრულების შედეგად შექმნილი სარგებლიდან სამართლიანი წილის მომხმარებლებზე გადაცემის შესაძლებლობას".*[888]

ნათელია, რომ ეფექტიანობის ზრდა გარკვეულწილად მაინც უნდა აისახოს მომხმარებელზე და არა მარტო ეკონომიკური აგენტების ზრდა-განვითარებაზე. ამასთან, შექმნილი სარგებელი

---

[887] დაწვრილებით იხ. თავი 1 („კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლები").

[888] *„The provisions of paragraph 1 [Art. 101(1)] may, however, be declared inapplicable ... [if an agreement] ... contributes to improving the production or distribution of goods or to promoting technical or economic progress, while allowing consumers a fair share of the resulting benefit."* იხ. TFEU 101(3).

უნდა ვრცელდებოდეს უფრო ფართო წრეზე და არა ექსკლუზიურად მხოლოდ მომხმარებლებზე.[889]

რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, მე-9 მუხლის პირვანდელი ვერსიის შესაბამისად, პირობას წარმოადგენდა *მომხმარებლის მიერ სარგებლის მიღება*. 2014 წლის ცვლილებებით კი, მოცემული მოთხოვნა მოდიფიცირდა, როგორც *მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდა*.

ნათელია, რომ არცერთი ზემოაღნიშნული ფორმულირება არაა TFEU-ს 101 (3) მუხლის ზუსტი ანალოგი. მე-9 მუხლის პირველი პუნქტის პირვანდელი და მოქმედი ვერსიებიდან, TFEU-ს 101 (3) მუხლის ფორმულირებასთან, ერთი შეხედვით, უფრო ახლოს იყო მომხმარებლის მიერ სარგებლის მიღება (პირვანდელი ვერსია), ვიდრე მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდა (ამჟამინდელი რედაქცია). თუმცა, ორივე ვერსიის ოფიციალური ინგლისურენოვანი თარგმანის [890] შედარებით დგინდება, რომ ამჟამინდელი ვერსიის თარგმანი არ წარმოადგენს მისი ორიგინალი ქართული ვერსიის ზუსტ თარგმანს. იგი უფრო ახლოს დგას TFEU-ს 101 (3) მუხლის ფორმულირებასთან, იმეორებს რა მომხმარებლისათვის სამართლიანი წილის გადაცემის მოთხოვნას.

ამავდროულად, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 2014 წლის 21 მარტს კონკურენციის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები მიზნად ისახავდა ქართული კანონმდებლობის ევროპულ ნორმებთან დაახლოებას. [891] ავტორის მოსაზრებით,

---

[889] როდესაც საუბარია მომხმარებლის მიერ მირებულ სარგებელზე, იგულისხმება მთლიანი დადებითი ეფექტი მოცემულ ბაზარზე არსებულ ყველა მომხმარებელზე და არა რომელიმე კონკრეტული მომხმარებელი და მის მიერ მიღებული სარგებელი. იხ. C-238/05, *Asnef-Equifax, Servicios de Información sobre Solvencia y Crédito, SL v Asociación de Usuarios de Servicios Bancarios (Ausbanc)*. [2006] ECR 11125, ECLI:EU:C:2006:734, para. 70; Bailey, David and John, Laura Elizabeth (eds), *Bellamy & Child: European Union Law of Competition*, Oxford, 8th ed., 2018, გვ.: 216-218.

[890] ავტორის შენიშვნა: იგულისხმება კონკურენციის შესახებ კანონის ინგლისურენოვანი ვერსია, გამოქვეყნებული matsne.gov.ge-ზე, რომელიც იუსტიციის სამინისტროს შემადგენელ ბეჭდვით ორგანოს წარმოდგენს და სადაც გამოქვეყნება სძენს ნორმატიულ აქტს იურიდიულ ძალას. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 33, 09.11.2009, https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=25, მუხლი 26, 29).

[891] იხ. მენაბდიშვილი, სოლომონ, „საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან (ასოცირების შესახებ

მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული მიზანი განხორციელდა მომხმარებელთა კეთილდღეობის ცნების ქართულ სამართალში შემოტანით. აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტი მანამდე უცნობი იყო ქართული კანონმდებლობისთვის და მისი ტრანსპლანტაცია ევროპული სამართლიდან წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს.

ევროკავშირის კონკურენციის სამართალში მომხმარებლის როლის ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 1990-იანი წლებიდან მოყოლებული,[892] 2000-იან წლებში კი კონკურენციის პოლიტიკის ყურადღება მთლიანად იქნა მიპყრობილი მომხმარებლისადმი.[893] ამავე პერიოდიდან მომხმარებლის კეთილდღეობა ყალიბდება ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნად.[894]

მიუხედავად მისი ცენტრალური როლისა, მომხმარებელთა კეთილდღეობა რჩება ბუნდოვან და გარკვეულწილად აბსტრაქტულ ცნებად.[895] მისი განმარტება არ მომხდარა არც თავად CJEU-ს მიერ, რაც იძლევა ამ კონცეფციით სპეკულირების და

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად)", საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი, 2018, გვ. 10.

[892] Cseres, Katalin Judit, *Competition Law and Consumer Protection*, Kluwer Law International, 2005, გვ.: 20, 251.

[893] იხ. Ioannidou, Maria, *Consumer Involvement in Private EU Competition Law Enforcement*, Oxford University Press, 2015, გვ. 3; Adrien Mexis and John Madill, *"Consumers at the Heart of EU Competition Policy"* Competition Policy Newsletter 1, 2009, გვ.: 27, 27, 28; ასევე იხ. ევროკავშირის გზამკვლევი 81(3) მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, აბზაცი 13;

[894] იხ. მაგალითად: Joined Cases 56/64 & 58/64, *Établissements Consten S.à.R.L. and Grundig-Verkaufs-GmbH v Commission of the European Economic Community* [1966].

ავტორის შენიშვნა: ამასთან, T Mobile-ის გადაწყვეტილების შემდგომ CJEU-მ დაადასტურა, რომ კონკურენციის სამართალს არ გააჩნია მხოლოდ ერთი მიზანი და სხვებთან ერთად ის ემსახურება თავად კონკურენციის პროცესის შენარჩუნებას. იხ. Case C-8/08, *T-Mobile Netherlands BV and Others v Raad van bestuur van der Nederlands Mededingingsautoriteit*, [2009] ECR 4529, ECLI:EU:C:2009:343. ასევე იხ. Cseres, KJ and Mendes, J, "Consumers' Access to EU Competition Law Procedures: Outer and Inner Limits", Common Market Law Review, 51(2), 2014, გვ. 489.

[895] იხ. Ioannidou, Maria, *Consumer Involvement in Private EU Competition Law Enforcement*, Oxford University Press, 2015, გვ.: 22, 23. Daskalova, Victoria, "Consumer Welfare in EU Competition Law: What Is It (Not) About?", The Competition Law Review 11, 2015, გვ.: 133, 134. Steffens, Heiko, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის მნიშვნელობა ევროკავშირში ინტეგრაციისა და განვითარებისთვის", მოხსენება ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტში, 25.11.2009, http://www.gdi.economics.tsu.ge/ge/pdf/referati.pdf, გვ. 3; დამატებით, საკითხის დეტალური განხილვისათვის იხ. თავი 1 („კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლები").

მრავალგვარი განმარტების შესაძლებლობას. ევროკომისიის მიერ, რომელიც ევროკავშირის კონკურენციის აღმასრულებელი ორგანოა, [896] მომხმარებელთა კეთილდღეობის განმარტებისას მითითება ხდება შემდეგ ფაქტორებზე: დაბალი ფასები, მაღალი ხარისხი, პროდუქციის და სერვისების ფართო არჩევანი და ინოვაცია. [897] ერთი სიტყვით, მის შემადგენელ ელემენტებად განიხილება ყველა ის სიკეთე, რითაც სარგებლობს მომხმარებელი ეფექტიანი საბაზრო კონკურენციის პირობებში.[898]

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული პრინციპი მოითხოვს მომხმარებლისა და მისი ინტერესების მუდმივ გათვალიწინებას კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების პროცესში. [899] შედეგად, კონკურენციის სამართლის საფუძველზე მიღებული არცერთი გადაწყვეტილება არ უნდა იწვევდეს მომხმარებლის მდგომარეობის გაუარესებას და პირიქით – მიმართული უნდა იყოს მათთვის სარგებლის მოტანაზე.

ევროკავშირისგან განსხვავებით, ქართული კონკურენციის სამართლის მიზნები გაცხადებულია კანონის მეორე მუხლში, თუმცა, არსებული რედაქციით, არცერთი მათგანი პირდაპირ კავშირში არაა მომხმარებლებთან და მათ ინტერესებთან. ამ თვალსაზრისით, მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდა სავალდებულო პირობას წარმოადგენს მხოლოდ მე-9 მუხლის აღსრულებისას და არ ეხება ბაზარზე კონკურენციის რეგულირებას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მომხმარებელთა კეთილდღეობის ხსენებას მე-9 მუხლში აქვს მნიშვნელოვანი დატვირთვა, რადგან ამ მუხლის ჩანაწერი (11^3 მუხლთან ერთად) ხაზს უსვამს, რომ ქართული კონკურენციის სამართალი მხედველობის მიღმა არ ტოვებს მომხმარებლებს და მათ

---

[896] იხ. http://ec.europa.eu/dgs/competition/index_en.htm

[897] European Commission, DG Competition discussion paper on the application of Article 82 of the Treaty to exclusionary abuses, 2005, http://ec.europa.eu/competition/antitrust/art82/discpaper2005.pdf, აბზაცი 4

[898] ავტორის შენიშვნა: ანალოგიური მიდგომა იყო გამოყენებული CJEU-ს მიერ (იხ. Case C-209/10, *Post Danmark A/S v Konkurrencerådet* [2012] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2012:172). აღნიშნულ საქმეში, არ მომხდარა მომხმარებელთა კეთილდღეობის განმარტება, მაგრამ მითითება გაკეთდა ფასზე, არჩევანზე, ხარისხსა და ინოვაციაზე.

[899] საკითხის დეტალური განხილვისათვის იხ. თავი 1 („კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლები").

ინტერესებს. თუმცა, აღნიშნული მნიშვნელობა რომ არ იყოს მხოლოდ სიმბოლური, აუცილებელია მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობის ხელახალი განვითარება, რომელიც პარადოქსულად გაუქმდა სწორედ კონკურენციის სამართლის მიღებისას – 2012 წელს. [900] ბაზრის ეფექტიანი რეგულირება არ ხდება ცალმხრივად მიწოდების თუ მოხმარების მხრიდან,[901] არამედ კონკურენციის და მომხმარებელთა სამართალი წარმოადგენს ერთი მედალის ორ მხარეს და საჭიროებს ერთდროულ განვითარებას. [902] რაც შეეხება მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდას, როგორც მე-9 მუხლის პირველი ნაწილის ერთ-ერთი პოზიტიურ პირობას, მას ქვემოთ დეტალურად მიმოვიხილავთ.

2. გამონაკლისების ოთხი კუმულატიური წინაპირობა


როგორც უკვე აღინიშნა, კონკურენციის შემზღუდველი შეთანმებიდან გამონაკლისები დასაშვებია, თუ დაკმაყოფილებულია *ორი პოზიტიური და ორი ნეგატიური წინაპირობა.*

---

[900] საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ", პარლამენტის უწყებანი, 007, 30.04.1996 (ძალადაკარგულია: 08/05/2012-დან), https://matsne.gov.ge/ka/document/view/32974?publication=12

[901] ავტორის შენიშვნა: კონკურენციის სამართალი ქმნის ეფექტიან სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის ნაყოფიერ მუშაობას და ქმნის სარგებელს მომხმარებლებისათვის. ამავდროულად, როგორც წესი, კონკურენციის სამართალი არ იღებს მხედველობაში საბოლოო მომხმარებლის მოწყვლადობას, რამდენადაც ეყრდნობა ვარაუდს, რომ ეს უკანასკნელი მიიღებს რაციონალურ გადაწყვეტილებებს და შექმნილი პირობების ფარგლებში გაზრდის საკუთარ კეთილდღეობას. აღნიშნული ვარაუდი თავის მხრივ გულისხმობს, რომ მომხმარებელი დაცულია და გაძლიერებული მომხმარებელთა სამართლით. სისტემაში, სადაც მომხმარებელთა სამართალი არ არსებობს, ან არაეფექტიანია, ზემოაღნიშნული ლოგიკური ჯაჭვი ირღვევა. შესაბამისად მხოლოდ კონკურენციის სამართალი ვერ მოახერხებს მომხმარებელთა კეთილდღეობის გაზრდას.

[902] იხ. Cseres, Katalin Judit,*Competition Law and Consumer Protection*, Kluwer Law International, 2005, გვ. 326; Hilty, Reto M and Henning-Bodewig, Frauke, *Law Against Unfair Competition: Towards a New Paradigm in Europe?*, Springer Science & Business Media, 2007, გვ. 94; Wiewiórowska-Domagalska, Aneta, *Consumer Sales Guarantees in the European Union*, Walter de Gruyter, 2012, გვ. 54; De Vrey, Rogier W, *Towards a European Unfair Competition Law: A Clash Between Legal Families: A Comparative Study of English, German and Dutch Law in Light of Existing European and International Legal Instruments*, BRILL, 2006, გვ. 61.



2.1. ეფექტიანობის ზრდა

კონკურენციის შესახებ კანონის მე-9 მუხლი, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობაში მოდის თავად კანონის მიზანთან, რომელიც მე-2 მუხლის შესაბამისად კონკურენციის ხელშეწყობაა. ძნელად წარმოსადგენია, თუ როგორ შეიძლება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები თუ ქმედებები ხელს უწყობდეს კონკურენციას. მიუხედავად ამისა, ცალკეულ შემთხვევებში, კონკურენციის ლიმიტირებული შეზღუდვის პირობებში შესაძლებელია მიღწეული იქნას სასარგებლო შედეგები, რომელიც მსგავსია კონკურენტული საბაზრო გარემოში მიღწეული სიკეთეებისა: დაბალი ფასები, გაუმჯობესებული ხარისხი, საქონლისა და მომსახურების მრავალფეროვნება, გაზრდილი

ინვესტიციები კვლევასა და განვითარებაში.[903] ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეფექტიანობის ზრდით მიღებულ სარგებელს.

ეფექტიანობის ზრდით მიღებული სარგებლის მაგალითი შეიძლება იყოს: წარმოების ღირებულების შემცირება, რომელიც მიიღწევა ხარისხის გაუარესების გარეშე, ან პირიქით ხარისხის გაუმჯობესება წარმოების არსებული ფასის შენარჩუნებით. თუკი მოცემული შედეგების მიღწევა შესაძლებელია კონკურენციის შეზღუდვის პირობებში, აუცილებელია, რომ სარგებელი აჭარბებდეს კონკურენციის შეზღუდვით გამოწვეულ ზიანს.[904]

ევროკავშირის პრაქტიკაში, ეფექტიანობის ზრდად მიიჩნევა გაუმჯობესებები, რომლებიც *ამცირებს დანახარჯებს,*[905] *ზრდის საქონლის ან მომსახურების ხარისხს,*[906] *ხელს უწყობს გაზრის უკეთ ფუნქციონირებას*[907] *ან, რიგ შემთხვევებში, წარმოშობს სხვა ტიპის საზოგადოებრივ სარგებელს*[908] და სხვა.[909]

---

[903] ავტორის შენიშვნა: იმის თაობაზე, კონკურენცია ერთმნიშვნელოვნად უწყობს თუ არა ხელს კვლევასა და განითარებაში გაზრდილ ინვესტიციებს, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. იხ. Tepperman, Andrew and Sanderson, Margaret, "Innovation and Dynamic Efficiencies in Merger Review" CRA International, 2007, https://www.competitionbureau.gc.ca/eic/site/cb-bc.nsf/vwapj/cra-final-report-on-efficiencies-2007-04-09-e.pdf/SFILE/cra-final-report-on-efficiencies-2007-04-09-e.pdf, გვ.: 5, 6.

[904] იხ. Cseres, Katalin Judit, *Competition Law and Consumer Protection*, Kluwer Law International, 2005, გვ. 120

[905] ხარჯების დაზოგვა წარმოადგენს წარმოება-მიწოდების გაუმჯობესების ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებელ ფაქტორს. ე.წ. მასშტაბის ეკონომია (economies of scale) – პროდუქციის თვითღირებულების შემცირება წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდის ხარჯზე და მოცულობის ეკონომია (economies of scope) – რაც გულისხმობს ხარჯების დაზოგვას სხვადასხვა სახეობის პროდუქციის ერთობლივი წარმოებით, როდესაც მათი ცალ-ცალკე წარმოება უფრო ძვირი დაჯდებოდა. იხ. ევროკავშირის გზამკვლევი 81(3) მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, აბზაცი 64-68; დანახარჯებთან, ეფექტიანობასთან და მასშტაბის/მოცულობის ეკონომიასთან დაკავშირებით, ასევე იხ. თავი 1 („კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლები") და თავი 5 („დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება").

[906] ავტორის შენიშვნა: ხარისხის გაუმჯობესება ხშირად პირდაპირ კავშირშია ტექნიკურ პროგრესთან. მაგალითად, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება შესაძლებელია დაშვებული იქნას, თუკი ის იძლევა ახალი თუ გაუმჯობესებული სახის მომსახურების დანერგვის შესაძლებლობას, მაშინ როდესაც ზემოაღნიშნული შეთანხმების გარეშე ეს პროცესი არ დაიწყებოდა ან წარიმართებოდა ბევრად უფრო ნელა. იხ. ევროკავშირის გზამკვლევი 81(3) მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, აბზაცი 69-72.

[907] ავტორის შენიშვნა: მაგალითად, როგორც ევროკომისია მიუთითებს, სტანდარტიზაციის შეთანხმებები მნიშვნელოვნად ზრდის ეფექტიანობას, რამდენადაც ხელს უწყობს ბაზრის ინტეგრაციას, ბიზნესის შეღწევადობას ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის ბაზარზე. ეს კი, თავის მხრივ, ზრდის მომხმარებლის არჩევანს, კონკურენციის ხარისხს და ამცირებს

მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირში კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების დაშვების შედეგად მიღწეული სარგებელი უნდა წარმოადგენდეს ობიექტური ღირებულების მქონე სარგებელს, რომელიც შეეხება შეთანხმების მხარეების გარდა ბაზარზე არსებულ სხვა ეკონომიკურ აგენტებსაც. შესაბამისად, სარგებლად არ ჩაითვლება მხოლოდ შეთანხმების მონაწილე მხარეებისათვის სასურველი სუბიექტური მიზნების მიღწევა.[910]

ევროკომისია მიუთითებს რომ კვლევა სარგებლიანობის შესახებ ტარდება შეთანხმების ბაზრის საზღვრებში. შესაბამისად, როდესაც საუბარია მომხმარებლების მიერ სარგებლის მიღებაზე, აღნიშნული ეხება შეთანხმების ბაზრის მომხმარებლებს. როდესაც სარგებელი ვრცელდება იმ მომხმარებლებზე, რომლებიც არ განიცდიან კონკურენციის შეზღუდვით გამოწვეულ ზიანს, ამ შემთხვევაშიც მხედველობაში უპირველესად ის მომხმარებლები მიიღებიან, ვინც კონკურენციის შეზღუდვის უარყოფითი ეფექტები განიცადა. მიუხედავად ამისა, სასამართლო გადაწყვეტილებები ადასტურებს,[911] რომ შესაძლებელია მომიჯნავე ბაზრებზე მყოფი მომხმარებლებისათვის მიწოდებული სარგებელი ასევე იქნას

დანახარჯებსა და ფასებს, ასევე უადვილებს მომხმარებლებს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას და აქვს პოტენციალი დადებითი გავლენა მოახდინოს პროდუქციის ხარისხზე, ინოვაციურობაზე და ტექნოლოგიურ წინსვლაზე. იხ. Communication from the Commission – Guidelines on the applicability of Article 101 of the Treaty on the Functioning of the European Union to horizontal co-operation agreements, OJ C 11/1, 14.1.2011 (შემდგომში: „ევროკავშირის გზამკვლევი 101 მუხლის ჰორიზონტალური შეთანხმებების მიმართ გამოყენებასთან დაკავშირებით"), აბზაცი 308.

[908] ავტორის შენიშვნა: TFEU-ს 101(3) მუხლი განასხვავებს ეფექტიანობის ზრდის ოთხ სხვადასხვა ფორმას, რომელიც გამეორებულია კონკურენციის შესახებ კანონის მე-9 მუხლშიც: წარმოების გაუმჯობესება, მიწოდების გაუმჯობესება, ტექნიკური პროგრესის და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. იხ. TFEU 101(3).

[909] იხ. Bailey, David and John, Laura Elizabeth (eds), *Bellamy & Child: European Union Law of Competition*, Oxford, 8th ed., 2018, გვ.: 216-234.

[910] იგივე, გვ. 216; იხ. ასევე Commission Decision of 19 December 2007 relating to a proceeding under Article 81 of the EC Treaty and Article 53 of the EEA Agreement (Case COMP/34.579 – MasterCard, Case COMP/36.518 – EuroCommerce, Case COMP/38.580 – Commercial Cards; - შემდგომში „COMP/34.579 –MasterCard"), http://ec.europa.eu/competition/antitrust/cases/dec_docs/34579/34579_1889_2.pdf, აბზაცი 693; ევროკავშირის გზამკვლევი 81(3) მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, აბზაცი 49.

[911] Case T-86/95 *Compagnie générale maritime and Others v Commission of the European Communities*. [2002] ECR II-1011, ECLI:EU:T:2002:50, აბზაცი 343; ასევე იხ.: COMP/34579 – *MasterCard*. აბზაცი 228.

მხედველობაში მიღებული,[912] განსაკუთრებით, როდესაც საუბარია ურთიერთდაკავშირებულ ბაზრებზე, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა ეს სარგებელი რაიმე სახით ვრცელდებოდეს კონკურენციის შეზღუდვით დაზარალებულ ბაზარზეც. [913] ანალოგიურად, მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რამდენად მალე მოხდება დაპირებული სარგებლის რეალიზება. ამ მხრივ, შესაძლებელია, მხედველობაში იქნას მიღებული ისეთი სარგებელი, რომლის დადგომაც მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდგომაა მოსალოდნელი. ამასთან, რაც უფრო ხანგრძლივია ხსენებული პერიოდი, მით უფრო რთულია მსგავსი სარგებლის რეალურობის დამტკიცება.[914]

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკაში არ არის გადაწყვეტილებები, სადაც მე-7 მუხლის დარღვევა ჩაითვალა „გამართლებულად" მე-9 მუხლის პირობების დაკმაყოფილების გამო. თუმცა, სავარაუდოა, რომ სააგენტო გაიზიარებს ევროკავშირის პრაქტიკას ამ სფეროში.

2.2. მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდა

იმისათვის რომ განხილული იქნას მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდა, როგორც მე-9 მუხლის პირველი ნაწილით

---

[912] ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკამ ასევე დაადასტურა, რომ შესაძლებელია მხედველობაში იქნას მიღებული სარგებელი, რომელიც დგება არა ქვეყანაში, სადაც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება დაიდო, არამედ – ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში. იხ. Case C-360/92P *Publishers Association v Commission* [1995], აბზაცი 29.

[913] ევროკავშირის გზამკვლევი 101 მუხლის ჰორიზონტალური შეთანხმებების მიმართ გამოყენებასთან დაკავშირებით, აბზაცი 43; Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases, and Materials*, Oxford University Press, 2016, გვ. 248; Bailey, David and John, Laura Elizabeth (eds), *Bellamy & Child: European Union Law of Competition*. Oxford, 8th ed., 2018, გვ.: 216-234.

[914] ავტორის შენიშვნა: სარგებლიანობაზე საუბრისას გადამწყვეტია მისი დადგომის ალბათობა. ამ უკანასკნელში კი იგულისხმება უშუალოდ სასურველი შედეგი და არა სამუშაოების წარმოება ამ შედეგის მისაღწევად. მაგალითად, ინოვაცია, ტექნოლოგიური პროგრესი არ არსებობს კვლევასა და განვითარების მიმართულებით ინვესტიციების განხორციელების გარეშე, თუმცა თავად კვლევითი სამუშაოების წარმოება არ ქმნის არანაირ სარგებელს უშუალოდ მომხმარებლისათვის, სანამ მოცემული კვლევა დადებით შედეგს არ გამოიღებს. იხ. Tepperman, Andrew and Sanderson, Margaret, "Innovation and Dynamic Efficiencies in Merger Review" CRA International, 2007; გვ.: 5-6; Lianos, Ioannis, "Some Reflections on the Question of the Goals of EU Competition Law", CLES Working Paper Series 3/2013, 2013, გვ. 19.

განსაზღვრული ერთ-ერთ პოზიტიური პირობა, საჭიროა განისაზღვროს *თუ ვინ არის მომხმარებელი, ვის კეთილდღეობაზეც უნდა აისახოს გამონაკლისის დაშვებით გამოწვეული სარგებელი.* ასევე განხილვის საგანია, თუ *რა წარმოადგენს მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდის ფაქტორებს და თუ როგორ შეიძლება მოხდეს კეთილდღეობის ზრდა.*

ა) მომხმარებლის ცნება საქართველოს კონკურენციის სამართალში

საკითხზე, თუ ვინ შეიძლება მივიჩნიოთ მომხმარებლად, არსებობს ძირითადად ორგვარი მიდგომა: ერთი მხრივ, მომხმარებლის ფართო განმარტება, რომელიც მომხმარებლად მიიჩნევს საქონლისა თუ მომსახურების ნებისმიერ შემძენს – მიუხედავად იმისა, წარმოებისა და დისტრიბუციის რომელ საფეხურზე იმყოფება იგი და როგორია მისი ბუნება. მეორე მხრივ, ვიწრო განმარტება, რომელიც ზღუდავს მომხმარებლის ცნებას წარმოებისა და დისტრიბუციის ყველაზე ქვედა საფეხურზე მყოფი პირებით და დამატებით მოითხოვს, რომ მომხმარებელი შესაძლებელია იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

როგორც წესი, მომხმარებლის ფართო ინტერპრეტაცია გამოიყენება კონკურენციის სამართლის მიერ, სადაც მომხმარებელი არის ე.წ. „ქოლგა" ტერმინი და გამოიყენება როგორც კლიენტის სინონიმი.[915] რაც შეეხება მომხმარებლის ვიწრო განმარტებას, ეს უკანასკნელი გამოიყენება მომხმარებელთა სამართალის მიერ და მის მიერ შემოთავაზებული უფლებების დამცავი მექანიზმები ექსკლუზიურად იმ ფიზიკური პირებისთვისაა განკუთვნილი, ვინც საქონელსა და მომსახურებას პირადი მოხმარებისათვის შეიძენს, საკუთარი პროფესიის თუ ბიზნესის ფარგლებს გარეთ.[916]

---

[915] Case C-41/90, *Höfner and Elser* [1991] ECR I-1979, ECLI:EU:C:1991:161, para. 21; Joined Cases 17/61 & 20/61, *Klöckner-Werke AG and Hoesch AG v High Authority of the ECSC* [1962], ECLI:EU:C:1962:30, para. 341; Case 19/61, *Mannesman AG v High Authority of the ECSC* [1962], ECLI:EU:C:1962:31, para. 371; ასევე იხ.: Akman, Pinar, "'Consumer" versus "Customer": The Devil in the Detail", 37 Journal of Law and Society, 2010, გვ. 315; Ioannidou, Maria, *Consumer Involvement in Private EU Competition Law Enforcement*, Oxford University Press, 2015, გვ. 24.

[916] Hondius, Ewoud, "The notion of "consumer": European Union versus Member States", Sydney Law Review 28, 2006, გვ. 90 93; Brulez, Pieter, *A Consumer Law for Professionals: Radical Innovation or*

რაც შეეხება საქართველოს კანონს კონკურენციის შესახებ, თავად მასში არ გვხვდება მომხმარებლის განმარტება რაიმე სახით. მიუხედავად ამისა, მომხმარებლის განმარტება შეგვიძლია ვიპოვოთ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებაში „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე."[917] იგი ადგენს, რომ მომხმარებელი არის პირი, რომელიც პირადი მოხმარების ან სამეწარმეო მიზნებისათვის იძენს საქონელს/მომსახურებას.[918]

ის ფაქტი, რომ „კონკურენციის შესახებ" კანონი მომხმარებლის ფართო განმარტებას იყენებს, [919] დასტურდება იმითაც, რომ კანონი იცნობს ცალკე ტერმინს – საბოლოო მომხმარებელი, რათა მიუთითოს პირებზე, რომლებიც იძენენ საქონელსა და მომსახურებას პირადი მოხმარებისათვის. [920] აღნიშნული არაპირდაპირი მაჩვენებელია იმისა, რომ ტერმინ მომხმარებლის ზოგადი განმარტება უფრო ფართოა და მოიცავს როგორც საბოლოო, ასევე შუალედური რგოლის მომხმარებლებსაც, პირებს, რომლებიც იძენენ საქონელს ან მომსახურებას არაპირადი მოხმარებისათვის, გადაყიდიან მათ ან გამოიყენებენ წარმოების მიზნებისათვის.

Consolidation of Existing Practices?, Intersentia, 2013; ასევე იხ.: Joined cases C-541/99 and C-542/99 - Cape Snc v Idealservice Srl and Idelaservice MN RE Sas v OMAL Srl [2001] ECR I-9049, ECLI:EU:C:2001:625, paras. 16-17; Case C-361/89, *France v Di Pinto* [1991] ECR I-1189, ECLI:EU:C:1991:118; Case C-464/01, *Gruber v Bay wa* [2005] ECR I-439, ECLI:EU:C:2005:32; დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: Cseres, Katalin Judit, *Competition Law and Consumer Protection*, Kluwer Law International, 2005, გვ. 7; Hans-W Micklitz, Jules Stuyck and Evelyn Terryn, გვ. 31; R Manko, *'The Notion of "Consumer" in EU Law'*, http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliotheque/briefing/2013/130477/LDM_BRI(2013)130477_REV1_EN.pdf, გვ.1.

[917] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №30/09-3 "ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი), 30.09.2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2523226?publication=0.

[918] იგივე, მუხლი 2(ზ).

[919] ავტორის შენიშვნა: აღნიშნული ფართო განმარტება არ ეხება კონკურენციის შესახებ კანონის 11^3 მუხლს, რაც დადასტურდა აიტექნიკის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით, თუმცა აღნიშნულის განხილვა ცდება მე-9 მუხლით რეგულირებულ საკითხს და შესაბამისად არ იქნება დამატებით გაანალიზებული ამ თავში. იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №04/186, გვ. 52.

[920] კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 3, ქვეპუნქტი „ი"; ასევე, მუხლი 18, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ნ".

რაც შეეხება საბოლოო მომხმარებელს, ის შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი, რაც დადასტურდა გადაწყვეტილებით საავიაციო ნავთის სასაქონლო ბაზრის მოკვლევის დასრულების შესახებ.[921] ამ უკანასკნელის თანახმად, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, მესტიის აეროპორტებისა და ნატახტარის აეროდრომის ტერიტორიაზე საავიაციო საწვავის მომხმარებელი კომპანიები საბოლოო მომხმარებლებს წარმოადგენენ.[922]

საბოლოოდ, მე-9 მუხლის პირობის შესრულებისას, მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდის თვალსაზრისით, „მომხმარებლად" მიიჩნევა ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც წარმოება-დისტრიბუციის ჯაჭვის ნებისმიერ რგოლში იძენს საქონელს/მომსახურებას პირადი მოხმარებისათვის თუ კომერციული მიზნებით (ანუ, როგორც შუალედური, ისე საბოლოო მომხმარებელი).

ბ) მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდის შეფასება

„კონკურენციის შესახებ" კანონში მოხდა საკანონმდებლო ცვლილებებით მომხმარებელთა კეთილდღეობის ცნების შემოტანა ხსენებული ცნების განმარტების გარეშე. როგორც ზემოთ აღინიშნა, მომხმარებელთა კეთილდღეობა ბუნდოვანი ცნებაა თავად ევროკავშირის სამართალშიც, რომელიც წარმოადგენს ქართულ კონკურენციის სამართალში ხსენებული ცნების შემოტანის წყაროს. რამდენადაც ჯერჯერობით არ მომხდარა მომხმარებელთა კეთილდღეობის რაიმე სახით განმარტება კანონმდებლის, კონკურენციის სააგენტოს თუ სასამართლოთა მიერ, მის შინაარსზე მხოლოდ ვარაუდების გაკეთებაა შესაძლებელი.

როგორც წინა ქვეთავში აღინიშნა, ევროკავშირის სამართალში ევროკომისიის (და ნაწილობრივ CJEU-ს) მიერ დამკვიდრებული

---

[921] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №131, 11.09.2018; **ავტორის შენიშვნა:** ხსენებული ბრძანებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საავიაციო ნავთის სასაქონლო ბაზრის მოკვლევის დასრულების შესახებ.

[922] იხ.: http://competition.ge/ge/page5.php?sb=303.

ინტერპრეტაციით, კეთილდღეობის ძირითად ფაქტორებად განიხილება: დაბალი ფასები, მაღალი ხარისხი, საქონლის/მომსახურების ფართო არჩევანი და ინოვაცია. [923] შედარებისთვის, კანონის მე-9 მუხლში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მოთხოვნამ მომხმარებლების კეთილდღეობის ზრდის თაობაზე ჩაანაცვლა მსგავსი პირობა მომხმარებლის მიერ სარგებლის მიღებაზე. ამავდროულად, ხსენებული მუხლის მოქმედი რედაქციის ოფიციალური ინგლისურენოვანი ვერსია მიუთითებს, რომ საუბარია წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებით და ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესით მიღწეული სარგებლის მომხმარებლებისათვის გაზიარებაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საბოლოოდ მივდივართ იმავე ფაქტორებთან, რასაც უთითებენ ევროკომისია და CJEU. შედეგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ (ქართული კონკურენციის სამართლის განმარტების მიზნებისთვის) მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდა შეიძლება მოხდეს იმ ფაქტორებით, რაც ტრადიციულად ივარაუდება კონკურენციის მიერ მომხმარებელთათვის შექმნილ სიკეთედ.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია მომხმარებლისათვის დაპირებული სარგებლის დადგომისთვის საჭირო პერიოდის ხანგრძლივობის საკითხიც. ეს საკითხი რთულია განვიხილოთ მხოლოდ ქართულ სამართლებრივ წყაროებზე დაყრდნობით, რამდენადაც იგი არაა რეგულირებული რაიმე სახით. თუმცა, თუკი მოვიშველიებთ ევროპული სამართლის გამოცდილებას, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რაც უფრო სწრაფად ხდება მომხმარებლებისათვის დაპირებული სარგებლის რეალიზება, მით უფრო მაღალია შანსი, რომ კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას შეეხოს გამონაკლისი. როგორც TFEU 101(3) მუხლის გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები მიუთითებს, მომხმარებლის სამომავლო სარგებელი არაა ამ სარგებლის ოდენობით აწმყოში მიყენებული ზიანის თანაბარი. სხვაგვარად

[923] იხ. ქვეთავი: 1.4 (გ) *მომხმარებლის როლი გამონაკლისების ანალიზისას.*

რომ ვთქვათ, დღეს დაზოგილი კონკრეტული თანხა უფრო მნიშვნელოვანია და ღირებული, ვიდრე იგივე თანხა ერთი წლის შემდეგ.[924]

2.3. კონკურენციის შეზღუდვის გარდაუვალობა

პირობა, რომ კონკურენციის შეზღუდვა არ უნდა მოხდეს დადგენილი მიზნების მისაღწევად საჭიროზე მეტი დოზით, გულისხმობს, რომ კანონის მე-9 მუხლით დაწესებული სამართლებრივი მექანიზმის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ პროპორციულობის პრინციპის დაცვით. აღნიშნული პრინციპი განსაზღვრავს დამოკიდებულებას მიზანსა და მის მისაღწევად განსაზღვრულ საშუალებას შორის. [925] თუკი მე-9 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისების დაშვების მიზანს წარმოადგენს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პოზიტიური წინაპირობები, ხოლო საშუალებას კი – კონკურენციის შეზღუდვა შეთანხმებით, მაშინ პროპორციულობის პრინციპი უზრუნველყოფს, რომ შეზღუდული სიკეთისა და შეზღუდვის მიზანს შორის იყოს თანაზომიერი დამოკიდებულება. [926] შესაბამისად, *შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს.* [და] *ერთი სიკეთე არ იქნება არაპროპორციულად, ცალმხრივად შეფასებული მეორე სიკეთის ხარჯზე.*[927]

მაგალითისათვის, თუკი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება მიზნად ისახავს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მიზნებიდან რომელიმეს მიღწევას, მაგალითად – ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს, მაშინ მოცემული შემზღუდველი შეთანხმება პროპორციული იქნება, თუკი ის

---

[924] ევროკავშირის გზამკვლევი 81(3) მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, აბზაცი 85, 87, 88.

[925] იხ. იზორია, ლევან, (სქოლიო №22), გვ 25

[926] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384, 2007, პბზაცი 22.

[927] იქვე.

წარმოადგენს შედარებით ნაკლებად შემზღუდველ საშუალებას დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.[928]

პროპორციულობის პრინციპი არაა ლოკალურად გამოყენებული მხოლოდ კანონის მე-9 მუხლთან მიმართებაში – ის წარმოადგენს თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის შემადგენელ ელემენტს [929] და პირდაპირ კავშირშია სამართლიანობის იდეასთან. [930] საქართველოს მთავრობის კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის შესაბამისად, პროპორციულობა კონკურნეციის კანონმდებლობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია, დისკრიმინაციის აკრძალვის, თანასწორობის, საჯაროობისა და ანგარიშვალდებულების პარალელურად. [931] იგი ამასთან წარმოადგენს ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპს.[932]

მიუხედავად პროპორციულობის პრინციპის პატივისცემის ზოგადი მოთხოვნისა, მასზე ხაზგასმა მაინც მნიშვნელოვანია მე-9 მუხლში, რამდენადაც როგორც ზემოთ აღინიშნა, გამონაკლისების დაწესების ეს მექანიზმი წარმოადგენს ერთგვარ ბალანსირების ტესტს, კონკურენციის შეზღუდვით გამოწვეული დადებითი და უარყოფითი შედეგების შესაფასებლად. შესაბამისად, უნიშვნელოვანესია, ამ პროცესში არ მოხდეს დასახული მიზნის მისაღწევად კონკურენციის არაპროპორციულად შემზღუდველი შეთანხმებების დაშვება.

---

[928] ანალოგიისათვის იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/503,513, 2013, აბზაცი 40.

[929] იზორია, ლევან, *ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი [ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში]*, 2002

[930] იქვე.

[931] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის განკარგულება №1551 „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომმველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ". საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი) https://matsne.gov.ge/ka/document/view/2267631?publication=0, თავი 4.2.1.

[932] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №04/216, გვ. 42.

2.4. კონკურენციის აღკვეთის აკრძალვა

კანონის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის მიერ დაწესებული კიდევ ერთი ნეგატიური წინაპირობა კრძალავს გამონაკლისების გამოყენებას, თუკი მისი საშუალებით კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვებისაგან განთავისუფლდება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება, რომელიც ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე აღკვეთს კონკურენციას. აღნიშნული დებულება ხაზს უსვამს თუ რაოდენ მნიშვნელოვანი სიკეთეა თავად კონკურენცია და მისი აღკვეთა ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილიდან ვერ იქნება თანაზომიერი შეზღუდვა და გამართლებული საშუალება თუნდაც ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე კონკურენციის აღკვეთა იწვევს ბაზრის სტრუქტურის შეცვლას, რაც უაღრესად საფრთხილო ნაბიჯია.[933] თუნდაც ამას მოყვებოდეს გარკვეული მოკლევადიანი სარგებელი, გრძელვადიან პერსპექტივაში, ბაზრიდან კონკურენციის აღკვეთა დააზარალებს თავად ბაზარს და მომხმარებლებსაც, რომლებმაც მოკლევადიან პერსპექტივაში შეიძლება ხსენებული სახის შეზღუდვის შედეგად სარგებელიც კი ნახონ.[934]

რაც შეეხება ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს, მისი დადგენისთვის არ არსებობს არც კანონით განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებელი და არც გამოთვლის უნივერსალური სტანდარტი. მხოლოდ ზოგადი განმარტებაა მოცემული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე" კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების[935] მე-2

---

[933] Markovits, Richard S, *Economics and the Interpretation and Application of U.S. and E.U. Antitrust Law: Volume II Basic Concepts and Economics-Based Legal Analyses of Oligopolistic and Predatory Conduct* Springer Science & Business Media, 2014, გვ. 131.

[934] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 7th ed., Oxford University Press, 2015, გვ. 21.

[935] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №30/09-3 "ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი), 30.09.2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2523226?publication=0 (შემდგომში: „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები").

მუხლის „ბ" ქვეპუნქტში, რომლის შესაბამისადაც, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი არის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად განსაზღვრული არანაკლებ ერთი მუნიციპალიტეტით შემოსაზღვრული გეოგრაფიული ბაზარი".

მე-9 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს განსაზღვრავს მთავრობა კონკრეტულ გამონაკლისებთან ერთად. ამ დროისთვის, ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის ზღვარი მერყეობს და განისაზღვრება საშუალოდ ბაზრის 20-30%-ით, შეთანხმების ბუნების გათვალისწინებით. [936]

3. ჯგუფური გამონაკლისები – საქართველოს მთავრობის დადგენილება №526

2014 წლის 1 სექტემბერს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იქნა დადგენილება №526 *„კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ".* ხსენებული დადგენილება კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად აწესებს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან ჯგუფურ გამონაკლისებს. დადგენილება ეყრდნობა მე-9 მუხლის მოთხოვნებს და მიზნად ისახავს, გამორიცხოს ისეთი შეთანხმებების აკრძალვა, რომელიც ხელს უწყობს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს და ამასთანავე, უზრუნველყოფს მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდას.[937]

გარდა მე-9 მუხლით დაწესებული ნეგატიური წინაპირობებისა, დადგენილება აწესებს გამონაკლისებისადმი მიკუთვნების *გამომრიცხველ გარემოებებსაც.* [938] კერძოდ: გამონაკლისები არ ვრცელდება იმ შეთანხმებებზე, რომლებიც

---

[936] დადგენილება №526, მუხლები: 8, 15, 19, 22. იხ. ასევე ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები.

[937] „კონკურენციის შესახებ" კანონი, მე-2 მუხლი.

[938] დადგენილება №526, მუხლი 3.

კონურენციისათვის *მძიმე ფორმის შეზღუდვებს* შეიცავენ.[939] ასეთი შემთხვევებია: ფასების ფიქსირება, ბაზრების ან მიწოდების წყაროების გადანაწილება, ეკონომიკური აგენტების ურთიერთშეთანხმებული მონაწილეობა სახელმწიფო ტენდერებში მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, თუ სხვისთვის სატენდერო წინადადების შეთანხმებული წინაპირობების დასაწესებლად.

დადგენილება ვრცელდება ვერტიკალურ შეთანხმებებზე დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტთა შორის ან ავტოტრანსპორტის სექტორში მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა შორის. დადგენილება ასევე ფარავს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ურთიერთობებს, თუკი საქმე ეხება შეთანხმებებს: (ა) ტექნოლოგიური ტრანსფერის, (ბ) სპეციალიზაციის და (გ) საერთო კვლევების წარმოების შესახებ.

გარდა კანონის მე-9 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წინაპირობებისა, დადგენილება აწესებს დამატებით წინაპირობებს და გარანტიებს, რათა არ იქნას დაშვებული ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე კონკურენციის აღკვეთა. ამავდროულად, ბაზრის მნიშვნელოვანი წილის მოცულობა ინდივიდუალურია დადგენილებით განსაზღვრულ შეთანხმებათა თითოეული ჯგუფისათვის. როგორც წესი, ის მერყეობს შესაბამისი ბაზრის 20%-დან 30%-მდე.

დადგენილების მე-6 მუხლის შესაბამისად, დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებულ შეთანხმებაზე გამონაკლისი შეიძლება გავრცელდეს შემდეგი პირობების დაცვით: თუ გარიგების მხარეების წლიური ბრუნვა ბოლო საფინანსო წლის განმავლობაში არ აღემატება 15.000.000 ლარს; თუ მხარეები არ არიან კონკურენტი ეკონომიკური აგენტები;[940] ასევე დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტთა შორის გაფორმებული ვერტიკალური შეთანხმება უნდა გულისხმობდეს არამატერიალურ სიკეთეთა გადაცემას ან ამ სიკეთეებით საერთო სარგებლობას. შეთანხმების მონაწილე ეკონომიკური აგენტებიდან ერთი მხარე

---

[939] იხ. ქვეთავი 1.4.(ბ) *ინდივიდუალური და ჯგუფური გამონაკლისები.*

[940] კონკურენტი ეკონომიკური აგენტის განმარტებისათვის იხ. კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 3(გ).

უნდა იყოს მწარმოებელი, რომელიც ვაჭრობის უფლების დელეგირებას ახდენს, მეორე მხარე კი ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტი, რომლებიც მოქმედებენ მწარმოებლის ინტერესებისათვის. მოცემული შეთანხმებებისათვის ბაზრის მნიშნელოვან ნაწილად ითვლება შესაბამისი ბაზრის 30%.[941]

დადგენილების მე-10 მუხლი ავრცელებს კანონის მე-9 მუხლით დადგენილ გამონაკლისებს ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალების ყიდვის, გაყიდვის ან შემდგომ რეალიზაციასა და მომსახურებასთან დაკავშირებულ შეთანხმებებზე. მათზე ვრცელდება ზემოხსენებული მოთხოვნები წლიურ ბრუნვასთან მიმართებით და ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილიც ანალოგიურად 30%-ით განისაზღვრება.

კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც შეიძლება გათავისუფლდეს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვებისაგან, არის შეთანხმებები ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ. [942] იგი გულისხმობს ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სალიცენზიო უფლებების (პატენტები; რეგისტრირებული დიზაინი; ტოპოგრაფიები; ნოუ ჰაუ) გადაცემას იმ მიზნით, რომ ამ სალიცენზიო უფლებათა მიმღებმა ეკონომიკურმა აგენტმა აწარმოოს ამ უფლებებთან დაკავშირებული პროდუქცია. ამ ტიპის შეთანხმებებისათვის, ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი განისაზღვრება შემდეგნაირად: (1) თუ შეთანხმების მხარეები კონკურენტი ეკონომიკური აგენტები არიან, აღნიშნულ ზღვარს წარმოადგენს შესაბამისი ბაზრის 20%; (2) არაკონკურენტი ეკონომიკური აგენტებისათვის ხსენებული ზღვარია შესაბამისი ბაზრის 30%.

გამონაკლისებს ასევე მიეკუთვნება სპეციალიზაციის შესახებ შეთანხმებები. [943] ეს უკანასკნელი გულისხმობს მხარეთა შეთანხმებას, რომ ერთი მხარე ცალმხრივად ან ორივე მხარე თანმხვედრად უარს ამბობს გარკვეული საქონლის წარმოებაზე, იმ პირობით, რომ მას აწარმოებს და მიაწვდის მეორე მხარე. ბაზრის

[941] დადგენილება №526. მუხლი 8.
[942] იგივე. მუხლი 12.
[943] იგივე. მუხლი 16.

მნიშვნელოვანი ნაწილი სპეციალიზაციის შეთანხმებებისათვის განისაზღვრება შესაბამისი ბაზრის 20%-ით.

ბოლო ჯგუფი, რომელიც დადგენილების შესაბამისად გამონაკლისებს მიეკუთვნება, არის მხარეთა შეთანხმება საერთო კვლევების წარმოებაზე. მოცემული კვლევები შეიძლება მიმართული იყოს ბაზრის ანალიზის, ახალი საქონლის შექმნის, მომავალი სპეციალიზაციის შეთანხმების მომზადების ან სხვა მიზნისაკენ. ამ ტიპის შეთანხმებებისათვის ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი განისაზღვრება 25%-ით, ცალკეულ შემთხვევებში კი 30%-ით.

კანონის მე-9 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, გამონაკლისები შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ განსაზღვრული ვადით. დადგენილება N526 ვრცელდება მხოლოდ იმ შეთანხმებებზე, რომლებიც დაიდება 2022 წლის 31 დეკემბრამდე.[944]

4. მტკიცების ტვირთი და პროცედურა

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისების დასაშვებად საჭიროა ამავე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წინაპირობების შესრულება. მოცემული გარემოებების დაკმაყოფილების ფაქტი საჭიროებს დასაბუთებას. ამავდროულად, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რომელიმე გარემოების არსებობის პრეზუმფციას. მაგალითად, არასოდეს ივარაუდება შეთანხმების მიერ წარმოების ან/და მიწოდების ავტომატური გაუმჯობესება. რამდენად უწყობს ხელს განსახილველი შეთანხმება ხსენებულ სიტუაციას, შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.

მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ გარემოებათა დასაბუთება ევალებათ იმ ეკონომიკურ აგენტებს, რომელთა მიზანიცაა მუხლით დადგენილი გამონაკლისით სარგებლობა.

---

[944] იგივე. მუხლი 23. პუნქტი 1.

მაგალითად, თუკი ავტოტრანსპორტის სექტორში მოქმედი, ერთმანეთთან ვერტიკალურად დაკავშირებული ორი ეკონომიკური აგენტი ცდილობს კანონის მე-9 მუხლით დადგენილი გამონაკლისი გაავრცელოს მათ შორის დადებულ შეთანხმებაზე, ამ ეკონომიკურ აგენტებს მოუწევთ არა მარტო იმის დასაბუთება, რომ მათი შეთანხმება აკმაყოფილებს მთავრობის №526 დადგენილების მოთხოვნებს, არამედ მათ ასევე აწევთ იმის მტკიცების ტვირთი, რომ შესრულებულია გამონაკლისის დასაშვებად მე-9 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოებებიც.[945]

აღნიშნულის პრაქტიკაში განსახორციელებლად, ეკონომიკურ აგენტებს მოუწევთ თვითშეფასების სისტემების დანერგვა და თვითკონტროლის განხორციელება, რათა უზრუნველყონ, რომ მათ მიერ გაფორმებული შეთანხმებები სრულად აკმაყოფილებს მთავრობის დადგენილებით დაწესებულ მოთხოვნებს, მიეკუთვნებიან გამონაკლისებს და შესაბამისად, თავისუფლდებიან კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული აკრძალვებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ჩატარება ხარჯებთანაა დაკავშირებული, ეკონომიკური აგენტები თავად არიან ჩართული შესაფასებელ შეთანხმებებში. შესაბამისად, ისინი ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას, რაც აადვილებს თვითკონტროლის განხორციელებას.

ამავდროულად, მოცემული სისტემის წარმატებული დანერგვა და გამოყენება შესაძლებელს ხდის კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისა და შესაბამისი ჯარიმების თავიდან არიდებას.[946] ამასთან, აღსანიშნავია, რომ უბრალოდ თვითშეფასების

---

[945] ავტორის შენიშვნა: №526 დადგენილების მე-4 მუხლი იმეორებს „კონკურენციის შესახებ" კანონის მე-9 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ წინაპირობებს; იხ. ასევე: მენაბდიშვილი, სოლომონ, „საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან (ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად)". საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი, 2018. გვ.: 17-18.

[946] ავტორის შენიშვნა: ევროკავშირის მასშტაბით თვითშეფასებისა და თვითკონტროლის პროგრამები, ე.წ. compliance programs აქტიურად არის მხარდაჭერილი კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი ორგანოებისაგან, როგორც ევროკავშირის, ასევე – ეროვნულ დონეებზე. ევროკომისია განსაკუთრებით გააქტიურდა მოცემული პროგრამების წახალისების თვალსაზრისით 2004 წლიდან, მას შემდგ, რაც 1/2003 რეგულაციამ ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობის მოდერნიზაცია მოახდინა და გააუქმა TFEU

პროგრამების გამოყენება კანონთან შესაბამისობაში ყოფნის გარანტიას არ იძლევა და მხოლოდ მსგავსი სისტემების არსებობა კანონის მე-9 მუხლით დადგენილ წესებთან შესაბამისობაში ყოფნის მტკიცებულება არაა.

5. დასკვნა

დასასრულს, კიდევ ერთხელ შეიძლება აღინიშნოს, რომ კანონის მე-9 მუხლი ქმნის მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმს, რაც მოქნილობას ანიჭებს კონკურენციის კანონმდებლობას და წარმოშობს ხსენებული მუხლის უფრო ეფექტიანად აღსრულების შესაძლებლობას. იგი ხაზს უსვამს კონკურენციის მნიშვნელობას, თუმცა გამონაკლისების დაწესებით ადგენს, რომ კონკურენცია არაა აბსოლუტური და ხელშეუხებელი ღირებულება და მისი შეზღუდვა შესაძლებელია მოხდეს სრულიად კანონიერად. ამასთან, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებისათვის დაწესებული აკრძალვიდან გამონაკლისები შესაძლებელია დაშვებული იქნას მხოლოდ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით და მკაცრად განსაზღვრული წინაპირობების დაცვით.

კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის დებულებები შესაძლებელია არ იქნეს გამოყენებული იმ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების მიმართ, რომლებიც ხელს უწყობს წარმოებას ან/და მიწოდებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს და აღნიშნული პროცესის შედეგად შექმნილ სიკეთეს უნაწილებენ მომხმარებლებს და ზრდიან მათ კეთილდღეობას. მომხმარებელთა კეთილდღეობის ცნების შემოტანით, ქართული კონკურენციის

101(3) მუხლთან დაკავშირებული შეტყობინების სისტემა. ეს უკანასკნელი გულისხმობდა 1962 წლიდან არსებულ ცენტრალიზებულ სისტემას, რაც TFEU 101(3) მუხლით დაწესებული გამონაკლისებით სარგებლობისათვის ითხოვდა ეკონომიკური აგენტებისაგან მიემართათ ევროკომისიისათვის ინდივიდუალურად. იხ. http://europa.eu/rapid/press-release_IP-04-411_en.htm?locale=en ასევე იხ. Manacorda, Stefano, Francesco Centonze, Forti, Gabrio, *Preventing Corporate Corruption: The Anti-Bribery Compliance Model*, Springer Science & Business, 2014, გვ. 77.

სამართალი კიდევ უფრო დაუახლოვდა ევროპულ მოდელს, რომლისკენაც ის შექმნის დღიდან მუდმივად მიისწრაფოდა.

კონკურენციის შემზღუდველმა შეთანხმებამ, რომელიც ემსახურება ზემოაღნიშნულ მიზნებს, შეიძლება მაინც ვერ ისარგებლოს გამონაკლისით, თუკი ის არაპროპორციულად ზღუდავს კონკურენციას ან აღკვეთს კონკურენციას ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე. ამ უკანასკნელის ზღვარი დგინდება მთავრობის დადგენილებით თითოეული იმ შეთანხმების ჯგუფებისათვის, რომლებსაც ეხებათ მე-9 მუხლით დადგენილი გამონაკლისები.

მე-9 მუხლის შესაბამისად, ჯგუფური გამონაკლისების დადგენა მთავრობის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა. ამ მხრივ, კონკურენციის სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, ინდივიდუალური წესით გაათავისუფლოს ცალკეული შეთანხმებები კანონის მე-7 მუხლის მიერ დაწესებული აკრძალვებისაგან. როგორც უკვე აღინიშნა, მთავრობის მიერ მიღებულია სულ ერთი დადგენილება, რომელიც მე-9 მუხლით დადგენილ გამონაკლისებს ავრცელებს ხელშეკრულებათა ხუთ სხვადასხვა ჯგუფზე.

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებიდან გამონაკლისები – მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამება

➢ კონკურენციის შესახებ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ამავე კანონის მე-7 მუხლით დადგენილი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან შესაძლებელია გამონაკლისების დაწესება.

➢ გამონაკლისი შესაძლებელია გავრცელდეს იმ შეთანხმებებზე, რომლებიც (1) ხელს უწყობენ წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს და (2) უზრუნველყოფენ მომხმარებელთა კეთილდღეობას. ამასთანავე, გამონაკლისს მიკუთვნებული შეთანხმებები. (3) არ უნდა აწესებდნენ შეზღუდვებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევასთან და (4) არ უნდა აღკვეთდნენ კონკურენციას შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე.

➢ ზემოაღნიშნული გამონაკლისების დადგენის უფლებამოსილება გააჩნია საქართველოს მთავრობას, შესაბამისი ნორმატიული აქტის გამოცემის გზით. მსგავს ნორმატიულ აქტს წარმოადგენს მთავრობის დადგენილება №526 *"კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ".*

➢ დამატებითი პირობების გათვალისწინებით, დადგენილება №526 გამონაკლისებს ავრცელებს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებზე:

- დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტებს შორის;
- ავტოსატრანსპორტო საშუალების ყიდვის, გაყიდვის ან შემდგომ რეალიზაციასა და მომსახურებასთან დაკავშირებით;
- ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ;
- სპეციალიზაციის შესახებ;
- საერთო კვლევების წარმოებაზე.

➢ მოქმედი ქართული სამართალი უშვებს მხოლოდ ჯგუფურ გამონაკლისებს და კონკურენციის სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, ინდივიდუალური წესით გაათავისუფლოს

კონკურენციის შემზღუდველი ცალკეული შეთანხმებები კანონმდებლობის საფუძველზე დარღვევად მიჩნევისგან.

- რამდენადაც კონკურენციის შეზღუდვა ნაკლებად სასურველია თუნდაც კანონიერი მიზნების მისაღწევად, გამონაკლისების დადგენისას აუცილებელია დაცული იქნას პროპორციულობის პრინციპი და გათვალისწინებული იქნას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესები.

ბიბლიოგრაფია:

კანონმდებლობა

1. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", საკანონმდებლო მაცნე, 08.05.2012; კონსოლიდირებული ვერსია (2014 წლის 21 მარტის ცვლილებებით) https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4
2. საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 27.06.2005 (ძალადაკარგულია 23.07.2012-დან), https://matsne.gov.ge/ka/document/view/29644?publication=6
3. საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ", პარლამენტის უწყებანი, 007, 30/04/1996 (ძალადაარგულია: 25.05.2012-დან). ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32974?publication=12
4. საქართველოს მთავრობის განკარგულება N1551, "კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ", 03.12.2010, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2267631?publication=0
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება №526 "კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ" 101/09/2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2484026?publication=0
6. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის №30/09-3 ბრძანება „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე", 30/09/2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2523226?publication=0
7. საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე", 2018, http://competition.ge/images/upload/გზამკვლევი%20-%20მე-7%20მუხლი.pdf

8. საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები", 2017, http://competition.ge/images/upload/გზამკვლევი%%20დოკუმენტი.pdf
9. Consolidated Version of the Treaty on the Functioning of the European Union, OJ C 326/47, 26.10.2012
10. Commission Regulation (EU) No 330/2010 of 20 April 2010 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to categories of vertical agreements and concerted practices, OJ L 102/1, 23.04.2010
11. Commission Regulation (EU) No 1217/2010 of 14 December 2010 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to certain categories of research and development agreements, OJ L 335/36, 18.12.2010
12. Commission Regulation (EU) No 316/2014 of 21 March 2014 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to categories of technology transfer agreements, OJ L 93/17, 28.03.2014

სასამართლო გადაწყვეტილებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384 2007
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №2/1-370,382,390,402,405, 18.05.2007
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/406,408, 30.10.2008
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/503,513, 2013
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №2/2/516,542, 14.05.2013

6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №1/3/538, 24.07.2014
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №1/4/557,571,576, 13.11.2014
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №1/4/614,616, 30.09.2016
9. საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-658-644(კ-12), 19.03.2013
10. Joined Cases 17/61 & 20/61, *Klöckner-Werke AG and Hoesch AG v High Authority of the ECSC* [1962], ECLI:EU:C:1962:30
11. Case 19/61, *Mannesman AG v High Authority of the ECSC* [1962], ECLI:EU:C:1962:31
12. Case 26/76, *Metro v Commission (No1)* [1977] ECR 1875, ECLI:EU:C:1977:167
13. Case 42/84, *Remia BV and others v Commission of the European Communities*, [1985] ECR 2545, ECLI:EU:C:1985:327
14. Case C-361/89, *France v Di Pinto* [1991] ECR I-1189, ECLI:EU:C:1991:118
15. Case C-41/90, *Höfner and Elser* [1991] ECR I-1979, ECLI:EU:C:1991:161
16. Case C-360/92P *Publishers Association v Commission* [1995] ECR I-23, ECLI:EU:C:1995:6
17. Case T-86/95 *Compagnie générale maritime and Others v Commission of the European Communities.* [2002] ECR II-1011, ECLI:EU:T:2002:50
18. Joined cases C-541/99 and C-542/99, *Cape Snc v Idealservice Srl and Idelaservice MN RE Sas v OMAL Srl* [2001] ECR I-9049, ECLI:EU:C:2001:625
19. Case C-309/99, *Wouters v Algemene Raad van de Nederlandsche Orde van Advocaten*, [2002] ECR I-1577, ECLI:EU:C:2002:98
20. Case C-464/01, *Gruber v Bay wa* [2005] ECR I-439, ECLI:EU:C:2005:32
21. Case T-328/03, *O2 (Germany) GmbH & Co OHG v Commission*, [2006] ECR II-01231, ECLI:EU:T:2006:116

22. Case C519/04P, *Meca-Medina v Commission*, [2006] ECR I-6991, ECLI:EU:C:2006:492
23. C-238/05, *Asnef-Equifax, Servicios de Información sobre Solvencia y Crédito, SL v Asociación de Usuarios de Servicios Bancarios (Ausbanc),* [2006] ECR 11125, ECLI:EU:C:2006:734
24. C-8/08, *T-Mobile Netherlands BV and Others v Raad van bestuur van der Nederlands Mededingingsautoriteit*, [2009] ECR 4529, ECLI:EU:C:2009:343
25. Case T-111/08, *MasterCard, Inc and Others v Commission* [2012] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:T:2012:260
26. Case C-209/10, *Post Danmark A/S v Konkurrencerådet* [2012] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2012:172
27. Case C-52/09, *Konkurrensverket v TeliaSonera Sverige* [2011] ECR I-527, ECLI:EU:C:2011:83

მარეგულირებლების გადაწყვეტილებები

1. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №04/186
2. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №131, 11.09.2018
3. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №04/216, 07.08.2018
4. Commission Decision of 19 December 2007 relating to a proceeding under Article 81 of the EC Treaty and Article 53 of the EEA Agreement (Case COMP/34.579 – MasterCard, Case COMP/36.518 – EuroCommerce, Case COMP/38.580 – Commercial Cards)

წიგნები და სტატიები (ქართული)

1. ეკატერინე უდესიანი, *„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შესაბამისი კონკურენციის პოლიტიკის დამკვიდრება"*, 2013. ხელმისაწვდომია: http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/22256

2. ლევან იზორია, *მუხლი 7 [საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი – თავი მეორე საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი]*, გამომცემლობა შპს „პეტიტი", 2013
3. ლევან იზორია, *ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი [ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში]*, 2002, ხელმისაწვდომია: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0direct-10---6-------0-1l--11-ka-50---20-help---10-3-1-00-0-0-11-1-1utfZz-8-00&cl=CL4.5&d=HASH01be2bedca2f017714024820.7&gc=1
4. სოლომონ მენაბდიშვილი, *"საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან (ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად)"* საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2018, გვ. 10;
5. ჰეიკო სტეფენსი, *„მომხმარებელთა უფლებების დაცვის მნიშვნელობა ევროკავშირში ინტეგრაციისა და განვითარებისთვის"*, მოხსენება ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტში. 25 ნოემბერი, 2009 წელი. ხელმისაწვდომია: http://www.gdi.economics.tsu.ge/ge/pdf/referati.pdf

წიგნები და სტატიები (ინგლისური)

1. Adam Smith, *"Wealth of Nations"* Hayes Barton Press, 2001
2. Adrien Mexis and John Madill, *"Consumers at the Heart of EU Competition Policy"* Competition Policy Newsletter 1, 2009
3. Alan Watson, *"Legal Transplants: An Approach to Comparative Law* " University of Georgia Press, 1974
4. Andrej Fatur, *"EU Competition Law and the Information and Communication Technology Network Industries: Economic versus*

Legal Concepts in Pursuit of (Consumer) Welfare" Bloomsbury Publishing, 2012

5. Andrew Tepperman, Margaret Sanderson, *"Innovation and Dynamic Efficiencies in Merger Review"* CRA International, 9 April 2007, ხელმისაწვდომია: https://www.competitionbureau.gc.ca/eic/site/cb-bc.nsf/vwapj/cra-final-report-on-efficiencies-2007-04-09-e.pdf/$FILE/cra-final-report-on-efficiencies-2007-04-09-e.pdf
6. Aneta Wiewiórowska-Domagalska, *"Consumer Sales Guarantees in the European Union"* Walter de Gruyter, 2012
7. Anne C Witt, *„The More Economic Approach to EU Antitrust Law"*, Bloomsbury Publishing, 2016
8. B Baarsma, *„Rewriting European Competition Law from an Economic Perspective"*, European Competition Journal, 2011
9. Cseres KJ and Mendes J, *"Consumers' Access to EU Competition Law Procedures: Outer and Inner Limits"* Common Market Law Review, 51(2), 2014
10. Csongor István Nagy, *„EU and US Competition Law: Divided in Unity?: The Rule on Restrictive Agreements and Vertical Intra-brand Restraints"*, Ashgate Publishing, Ltd., 2013;
11. David A Shore, *"The Trust Prescription for Healthcare: Building Your Reputation with Consumers"* Health Administration Press, 2005
12. David Bailey, Laura Elizabeth John (eds), *"Bellamy & Child: European Union Law of Competition"* Oxford, 8 edition, 2018
13. David Rooney, Greg Hearn and Tim Kastelle, *"Handbook on the Knowledge Economy"* Edward Elgar Publishing, 2012
14. David Williams, *"The Enlightenment"* Cambridge University Press, 1999
15. Dennis C Mueller, Alfred Haid and Jürgen Weigand, *„Competition, Efficiency, and Welfare: Essays in Honor of Manfred Neumann,"* Springer Science & Business Media, 2012

16. Edwin A Locke and Gary P Latham, *„A Theory of Goal Setting & Task Performance"*, Prentice-Hall, Inc, vol xviii, 1990
17. Ewoud Hondius, '*The notion of "consumer": European Union versus Member States*" Sydney Law Review 28, 2006
18. Freeman; Piraino T, „Reconciling the Harvard and Chicago Schools: A New Antitrust Approach for the 21st Century" Indiana Law Journal 82, 2007
19. Gilbert Faccarello and Heinz D Kurz, *"Handbook on the History of Economic Analysis Volume II: Schools of Thought in Economics*" Edward Elgar Publishing, 2016
20. Hans-W Micklitz, Jules Stuyck and Evelyn Terryn, *"Consumer Law: Ius Commune Casebooks for a Common Law of Europe*" Bloomsbury Publishing, 2010
21. Herbert Giersch, *"Merits and Limits of Markets*" Springer Science & Business Media, 2012
22. Ioannis Lianos, *"Some Reflections on the Question of the Goals of EU Competition Law"* CLES Working Paper Series 3/2013, 2013
23. Jenny F, Katsoulacos Y, *„Competition Law Enforcement in the BRICS and in Developing Countries: Legal and Economic Aspects*" Springer, 2016
24. Jones, Alison and Kovacic, William E., *„Identifying Anticompetitive Agreements in the United States and the European Union: Developing a Coherent Antitrust Analytical Framework*" GWU Law School Public Law Research Paper No. 2017-12, 2017
25. Jones A and Sufrin B, *„EU Competition Law: Text, Cases, and Materials"* Oxford University Press, 2016
26. Katalin Judit Cseres, *"Competition Law and Consumer Protection*" Kluwer Law International, 2005
27. Kenneth Heyer, *„Consumer Welfare and the Legacy of Robert Bork*" 57 Journal of Law and Economics s19-32, 2014
28. Ketevan Lapachi, Natia Kutivadze, *„The Institutional Framework for Competition Regulation in Georgia"*, EUGBC, 2015

29. Keti Zukakishvili, *"Two Years after the Legal Transplantation in Georgia – the Best yet to Come"* SCF (Sofia Competition Forum) Newletter 42, 2016
30. Khan-Freund O, *"On Uses and Misuses of Comparative Law"* Modern law Review 37(1), 1972
31. Maria Ioannidou, *"Consumer Involvement in Private Eu Competition Law Enforcement"* Oxford University Press, 2015.
32. Mark Steiner, *"Economics in Antitrust Policy: Freedom to Compete Vs. Freedom to Contract"* Universal-Publishers, 2007
33. Maureen Brunt, „Economic Essays on Australian and New Zealand Competition Law" Kluwer Law International, 2003
34. Maurice Stucke, *"Is Competition Always Good?"* Journal of Antitrust Enforcement, 2013
35. Nick Godfrey, "*Why Is Competition Policy Important for Growth and Poverty Reduction?*", OECD, 2008
36. Patrice Bougette, Marc Deschamps and Frédéric Marty, *„When Economics Met Antitrust: The Second Chicago School and the Economization of Antitrust Law"* Groupe de Recherche en Droit, Working paper N. 2014-23, 2014
37. Peter Freeman *„Significance of Economic Evidence in Competition Cases"*, IEA Beesley Lecture Series, London, the UK, 15 October 2009. ხელმისაწვდომია: http://www.rpieurope.org/Beesley/2009/Peter%20Freeman.pdf
38. Phil Graham, "*Hypercapitalism: New Media, Language, and Social Perceptions of Value*" Peter Lang, 2006
39. Philip Lowe, "*The Design of Competition Policy Institutions for the 21st Century — the Experience of the European Commission and DG Competition*" Competition Policy Newsletter, N. 3, 2008
40. Pieter Brulez, *"A Consumer Law for Professionals: Radical Innovation or Consolidation of Existing Practices?"* Intersentia, 2013
41. Pinar Akman, "'Consumer" versus "Customer": The Devil in the Detail" 37 Journal of Law and Society, 2010.

42. Reto M Hilty and Frauke Henning-Bodewig, *"Law Against Unfair Competition: Towards a New Paradigm in Europe?"* Springer Science & Business Media, 2007
43. Richard L Gordon, *"Antitrust Abuse in the New Economy: The Microsoft Case"* Edward Elgar Publishing, 2002
44. Richard S Markovits, *"Economics and the Interpretation and Application of U.S. and E.U. Antitrust Law: Volume II Basic Concepts and Economics-Based Legal Analyses of Oligopolistic and Predatory Conduct"* Springer Science & Business Media, 2014
45. Richard Whish, David Bailey, "Competition Law" Oxford University Press, 2015
46. R Manko, *'The Notion of "Consumer" in EU Law"*, ხელმისაწვდომია: http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliotheque/briefing/2013/130477/LDM_BRI(2013)130477_REV1_EN.pdf,
47. Robert H Bork, *„The Antitrust Paradox. A Policy at War with Itself"* New York: Free Press, 1978
48. Rodriguez AE, Menon A, *„The Limits of Competition Policy: The Shortcomings of Antitrust in Developing and Reforming Economies"* Kluwer Law International, 2010
49. Rogier W De Vrey, *"Towards a European Unfair Competition Law: A Clash Between Legal Families: A Comparative Study of English, German and Dutch Law in Light of Existing European and International Legal Instruments"* BRILL 2006
50. Stefano Manacorda, Francesco Centonze, Gabrio Forti, *"Preventing Corporate Corruption: The Anti-Bribery Compliance Model"* Springer Science & Business, 2014
51. UC Mandal, *"Dictionary Of Public Administration"* Sarup & Sons, 2007
52. Victoria Daskalova, "*Consumer Welfare in EU Competition Law: What Is It (Not) About?*" The Competition Law Review 11, 2015
53. Walter Frenz, *„Handbook of EU Competition Law"* Springer, 2015

54. William Kovacic, "*Antitrust Policy: A Century of Economic and Legal Thinking*," 14 (1) Journal of Economic Perspectives, 2000

სხვა წყაროები:

1. საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე", 2018, http://competition.ge/images/upload/გზამკვლევი%20-%20მე-7%20მუხლი.pdf
2. საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები", 2017, http://competition.ge/images/upload/გზამკვლევი%%20დოკუმენტი.pdf
3. რევაზ გერაძე, *„კონკურენციის როლი საბაზრო ეკონომიკაში"*, Forbes, 20 ივლისი 2015; ხელმისაწვდომია: http://forbes.ge/blog/110/konkurenciis-roli-sabazro-ekonomikaSi
4. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, *"კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში"*, 2012, ხელმისაწვდომია: https://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Competition%20Policy%20in%20Georgia%20%28GEO%29.pdf
5. European Commission, *"Benefits of Competition Policy"* ხელმისაწვდომია: http://ec.europa.eu/competition/consumers/why_en.html
6. Communication from the Commission – Notice – Guidelines on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101/97, 27.04.2004
7. European Commission, DG Competition discussion paper on the application of Article 82 of the Treaty to exclusionary abuses, 2005
8. Communication from the Commission – Guidelines on the applicability of Article 101 of the Treaty on the Functioning of the European Union to horizontal co-operation agreements, OJ C 11/1, 14.1.2011

V. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება*

*მედეა აკოლაშვილი***
*ნიკა სერგია****

1. ისტორიული კონტექსტი

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთისკენ მიმართულ ღონისძიებებს ქართული კონკურენციის სამართალი ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან იცნობს. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1992 წელს მიღებულ იქნა დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“, [947] რომელიც ითვალისწინებდა სახალხო მეურნეობების ცალკეულ დარგებში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი ერთეულების (კონცერნები, ასოციაციები) დემონოპოლიზაციისაკენ მიმართულ ღონისძიებებს. თავის მხრივ, ამ ამოცანათა შესასრულებლად სახელმწიფო ხელისუფლებისა და

---

* ავტორების შენიშვნა: „კონკურენციის შესახებ“ კანონის არსებული რედაქცია იყენებს ტერმინს „დომინირებული მდგომარეობა“. თუმცა, კონკურენციის სააგენტოს მიერ შემოთავაზებულ საკანონმდებლო ცვლილებებში ხსენებული იცვლება ტერმინით „დომინანტური მდგომარეობა“. ავტორები მიესალმებიან აღნიშნულ ცვლილებას; შესაბამისად, წინამდებარე თავში გამოყენებული იქნება „დომინანტური მდგომარეობა“, გარდა პირდაპირ ციტირებული ტექსტებისა, სადაც შესაძლოა კვლავ გვხვდებოდეს „დომინირებული მდგომარეობა“.

** სამართლის მაგისტრი; სსიპ კონკურენციის სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

*** სამართლის მაგისტრი; ააიპ ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის დოქტორანტი, აკადემიური ასისტენტი კონკურენციის სამართლის მიმართულებით; სსიპ კონკურენციის სააგენტოს ბაზრის მონიტორინგისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

[947] იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ №50 (323), 1992; ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ არქივში: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0preziden--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.11&d=HASHc1a6dcdf3c672c2602da12 (15.12.2018 – ქვემოთ მოყვანილ ყველა ინტერნეტრესურსზე უკანასკნელად წვდომის თარიღი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული).

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს დაევალათ მსგავსი კონცერნებისა და ასოციაციების დაშლა.[948]

ამდენად, პირველი ეტაპზე არსებული სამართლებრივი ბაზა ძირითადად სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ქმედებებისკენ იყო მიმართული. ცოტა მოგვიანებით, უშუალოდ მეწარმე სუბიექტების ქცევის მარეგულირებელი ნორმები გაითვალისწინა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" 1996 წლის კანონმა,[949] რომელიც კრძალავდა სუბიექტის მონოპოლიური მდგომარეობის [950] ბოროტად გამოყენებას. [951] თუმცა, დღეს მოქმედი კანონისგან განსხვავებით, საბაზრო წილი არ იყო საკანონმდებლო აქტით დადგენილი და იმ დროს მოქმედი საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აქვეყნებდა მონოპოლიური მდგომარეობის განმსაზღვრელი წილის ზღვრულ ოდენობებს. ამასთან, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური ახორციელებდა მონოპოლისტი ეკონომიკური აგენტების გამოვლენას და მათ რეგისტრაციას მონოპოლისტ საწარმოთა რეესტრში [952] – რომელიც, თავის მხრივ ქვეყნდებოდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.[953]

2005-2012 წლებში მონოპოლიური მდგომარეობის მარეგულირებელი ნორმები მხოლოდ ტერმინოლოგიურ დონეზე

---

[948] ფეტელავა, სლავა, „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში", გამომცემლობა „ლოი", 2007, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6152/1/Fetelava_Slava.pdf, გვ. 132.

[949] საქართველოს კანონი "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ", პარლამენტის უწყებანი, 22-23, 30.07.1996 (ძალადაკარგულია 11.07.2005-დან), ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31462?publication=3.

[950] ავტორების შენიშვნა: 1996 წლის კანონით, „მონოპოლიური მდგომარეობა" განმარტებული იყო, როგორც „ეკონომიკური აგენტის, სახელმწიფო ორგანოს განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც მას საშუალებას აძლევს არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე და შეზღუდოს კონკურენცია".

[951] საქართველოს კანონი "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ", მუხლი 13.

[952] ავტორების შენიშვნა: რეესტრის წარმოება ხდებოდა „საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 30 სექტემბრის №426 დადგენილებით განსაზღვრული წესით. უკანასკნელი რეესტრი გამოქვეყნდა 2003 წლის 27 ოქტომბერს. იხ.: ფეტელავა, სლავა, „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში", გამომცემლობა „ლოი", 2007, გვ. 138.

[953] იქვე, დანართი 12.4.

იყო განმარტებული „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში[954] და 2012 წლამდე არ არსებობდა მონოპოლიური მდგომარეობის[955] ამკრძალავი ნორმები.

2012 წლიდან „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში ტერმინი „მონოპოლიური მდგომარეობა" შეიცვალა „დომინირებული მდგომარეობით" და განისაზღვრა ქმედებები, რომლებიც ითვლებოდა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად. [956] საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით საქართველომ აიღო ვალდებულება, გააჩნდეს „ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები, რომლებიც ეფექტიანად იქნება მიმართული [...] დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ანტიკონკურენციულ ქმედებაზე".[957]

ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის კვალდაკვალ, 2014 წლის ცვლილებებით, [958] „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის [959] მე-6 მუხლში ინკორპორირებულ იქნა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების [960] 102-ე მუხლის იდენტური შემადგენლობა. ამასთან, დომინანტური მდგომარეობის

---

[954] საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 27.06.2005 (ძალადაკარგულია 23.07.2012-დან), ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29644?publication=6; იხ. მუხლი 2, ქვეპუნქტი „ზ".

[955] ავტორების შენიშვნა: დომინანტური და მონოპოლიური მდგომარეობა სინონიმურად იყო გათვალისწინებული ქართულ საკანონმდებლო სივრცეში 2012 წლამდე.

[956] საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი), 25.05.2012, მუხლი 6, პუნქტი 2.

[957] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 11.09.2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0, (შემდგომში – „ასოცირების შეთანხმება"), მუხლი 204(1).

[958] ავტორების შენიშვნა: 2014 წლის 21 მარტის №2159-IIს საქართველოს კანონით „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" შეიცვალა 2012 წელს მოქმედი რედაქცია და კანონის შესწორებულ ვერსიას ეწოდა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი.

[959] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი), 25.05.2012 (2014 წლის 21 მარტის ცვლილებების გათვალისწინებით), https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4.

[960] Consolidated Version of the Treaty on the Functioning of the European Union, OJ C 326/47, 26.10.2012.

ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა განისაზღვრა კანონის ერთ-ერთ მიზნად.[961]

მოქმედი რედაქციით, აკრძალულია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ. [962] კანონი ადგენს დომინანტური მდგომარეობის განმარტებასა [963] და მისი განსაზღვრის კრიტერიუმებს.[964] ამასთან, მოცემულია იმ ქმედებათა ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად:

- შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა;
- წარმოების, ბაზრების ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;
- გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;
- ხელშეკრულების წინაპირობად გარიგების იმგვარი პირობის დაწესება, რომელიც გარიგების მეორე მხარეს ისეთ დამატებით ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან.

თითოეული მათგანი დეტალურად იქნება განხილული. ამასთან, ქვემოთ ასევე შევეხებით რეკომენდაციებს, რომლებიც კანონმდებლობის დახვეწის[965] მიზნით, კონკურენციის სააგენტომ ევროკავშირის ექსპერტებთან თანამშრომლობით შეიმუშავა. [966]

---

[961] კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 2, პუნქტი „ე".

[962] იქვე, მუხლი 6, პუნქტი 1.

[963] იქვე,მუხლი 3, ქვეპუნქტი „ი".

[964] იქვე, მუხლი 5.

[965] ამ საკითხზე დისკუსიისთვის იხ.: მენაბდიშვილი, სოლომონ, „საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან (ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად)". საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი, 2018, http://asocireba.ge/files/Solomon-Menabdishvili-Competition-2018.pdf, გვ.: 22-31.

[966] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრეზენტაცია „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, მეორე საერთაშორისო

მათი განხილვა პარლამენტში კვლავაც გრძელდება, თუმცა მკითხველის უკეთ ინფორმირების მიზნით ისინი მოცემული იქნება ჩანართებში, შესაბამისი მითითებით.

2. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვის არსი და ეკონომიკური საფუძვლები

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა მიზნად ისახავს *მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების* მქონე ეკონომიკური აგენტების ქცევის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის სურვილს. [967] კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებისგან განსხვავებით, კონკურენციის სამართლის ეს მიმართულება გამიზნულია მსხვილი კომპანიების *ერთპიროვნული* ქმედებებისკენ. ამასთან, საქართველოს კანონის მე-6 მუხლით არ რეგულირდება დომინანტური მდგომარეობის მოპოვება, არამედ აკრძალულია დომინანტი ეკონომიკური აგენტის ისეთი ცალმხრივი/ერთპიროვნული[968] ქმედებები, რომლებიც მის ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება.

საბაზრო ძალაუფლება კონკურენციის სამართლის ცენტრალური ცნებაა[969] და აღნიშნავს *ეკონომიკური აგენტის უნარს, საქონელზე ან მომსახურებაზე დააწესოს და შეინარჩუნოს კონკურენტულზე მაღალი ფასი.* ეკონომისტების განმარტებით, ხსენებული გულისხმობს ფირმის უნარს, მოკლევადიან პერსპექტივაში დააწესოს ზღვრულ დანახარჯზე მაღალი, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში – საშუალო სრულ დანახარჯზე

კონფერენცია – კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები, თბილისი, 28-29 სექტემბერი, 2018.

[967] დაწვრილებითი მსჯელობისთვის იხილეთ თავი I, „კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლები".

[968] ავტორების შენიშვნა: ამ თავის მიზნებისათვის, ცალმხრივი და ერთპიროვნული შეზღუდვები მოიხსენიება სინონიმებად.

[969] ავტორების შენიშვნა: ამ საკითხზე დეტალური დისკუსიისთვის იხილეთ ასევე: თავი I („კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლები") და თავი V („კონცენტრაციების კონტროლი").

მაღალი ფასი.[970] აღნიშნული, თავის მხრივ, განაპირობებს საბაზრო ძალაუფლების მქონე ფირმის მიერ მონოპოლიური მოგების მიღებას. ამასთან, ასეთ ეკონომიკურ აგენტებს შეუძლიათ კონკურენციის სხვადასხვა მაჩვენებლებზე (ფასი, ხარისხი, არჩევანი, ინოვაცია) გავლენის მოხდენა.[971] შედეგად, საჭირო ხდება მათი საბაზრო ქცევის რეგულირება.

საბაზრო ძალაუფლება *არ არის სტატიკური მოცემულობა* და მისი არსებობა და შენარჩუნება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. *ეკონომიკა* იცნობს საბაზრო ძალაუფლების სხვადასხვა ხარისხს (უმნიშვნელო ძალაუფლების მქონე ეკონომიკური აგენტიდან მონოპოლისტამდე) – კონკურენციის სამართლისთვის განსაკუთრებით საინტერესოა „მნიშვნელოვანი" საბაზრო ძალაუფლება.[972] შედარებისთვის, დომინანტური მდგომარეობის *სამართლებრივი კატეგორია* ორმხრივი ცნებაა: ეკონომიკური აგენტი მას ან ფლობს, ან არა. ერთპიროვნული ქმედებები, რომლებიც კანონიერია არადომინანტი ფირმებისთვის, პრობლემატურია დომინანტი ეკონომიკური აგენტებისთვის. ამდენად, დომინანტური მდგომარეობის სწორად განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხსენებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საკითხის კვლევისას.[973]

წლების განმავლობაში მიმდინარეობდა აკადემიური დებატები ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 102-ე მუხლის [974] მიზნების შესახებ. დღესდღეობით, ევროპელ მკვლევარებს შორის არსებობს კონსენსუსი, რომ ეს ნორმა მიზნად არ ისახავს ბაზარზე მოქმედი კონკურენტების დაცვას კონკურენტული წნეხისგან; ამავდროულად,

---

[970] იხ. Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases, and Materials*, 6th ed., Oxford University Press, 2016, გვ. 54. მათ შორის, სქოლიო 294 და მითითებული ლიტერატურა.

[971] Communication from the Commission — Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings, OJ C 45/7, 24.02.2009, para. 11.

[972] Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases, and Materials*, 6th ed., Oxford University Press, 2016, გვ. 54, მათ შორის, სქოლიო 297 და მითითებული ლიტერატურა.

[973] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 7th ed., Oxford University Press, 2012, გვ. 180.

[974] ავტორების შენიშვნა: ამ მუხლის ფაქტობრივ ანალოგს წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.

ევროკომისია და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო დიდწილად თანხმდებიან, რომ ხსენებული ნორმების მიზანია ისეთი ქმედებების აკრძალვა, რომლებიც ან პირდაპირ ახდენენ მომხმარებლის ექსპლუატაციას, ან ბაზრიდან განდევნიან კონკურენტებს, რითაც არაპირდაპირ ახდენენ უარყოფით გავლენას მომხმარებლის კეთილდღეობაზე.[975]

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი შეიცავს დომინანტური მდგომარეობის განმარტებას, მისი დადგენის გზებს და იმ ქმედებების ჩამონათვალს, რომლებიც ჩაითვლება კანონდარღვევად. ამასთან, კანონმდებლობის განმარტებისას ყურადსაღებია კონკურენციის სააგენტოსა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკა და ევროკავშირის გამოცდილება. ამ ყველაფერს ქვემოთ დეტალურად მიმოვიხილავთ.

3. დომინანტური მდგომარეობა და მისი განსაზღვრა

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი დომინანტურად მიიჩნევს შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის ისეთ მდგომარეობას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, იმოქმედოს კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს კონკურენცია.[976] ხსენებული განმარტება მომდინარეობს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკიდან.[977]

ამასთან, ევროკავშირის კანონმდებლობისგან განსხვავებით, ქართული კანონმდებლობა შეიცავს ე.წ. „უსაფრთხო თავშესაფარს" ანუ მითითებას ბაზრის წილზე, რომლის ქვემოთაც ეკონომიკური

---

[975] Faull, Jonathan and Nikpay, Ali, *The EU Law of Competition*, 3rd ed., Oxford University Press, 2014. გვ. 349, მათ შორის, სქოლიო 8 და ციტირებული ლიტერატურა. დაწვრილებით ასევე იხილეთ თავი I („კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლები").

[976] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 3, პუნქტი „ი".

[977] იხ. Case 27/76, *United Brands Company and United Brands Continentaal BV v Commission of the European Communities* [1978] ECR 207, ECLI:EU:C:1978:22.

აგენტი *არ ჩაითვლება* დომინანტად.[978] ამასთან, აღნიშნული დანაწესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, *„თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს".*[979]

დომინანტური მდგომარეობა შეიძლება ეკავოს ერთ ან რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ეკონომიკურ აგენტს. ეს უკანასკნელი შემთხვევა „ჯგუფური დომინანტობის" სახელითაა ცნობილი და მისი დადგენის გზები კანონით დეტალურადაა რეგულირებული.[980]

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სავარაუდო დარღვევის ანალიზისას, აუცილებელია, თავშივე განისაზღვროს ხსენებული კანონდარღვევის სუბიექტი ან სუბიექტები. ამ უკანასკნელის/უკანასკნელთა დომინანტური მდგომარეობის დასადგენად კი საჭიროა ორეტაპიანი ანალიზი:

1) უნდა განისაზღვროს შესაბამისი ბაზარი;

2) უნდა შეფასდეს შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლება.

3.1. კანონდარღვევის სუბიექტი

კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ქმედების სუბიექტი შესაძლოა, იყოს მხოლოდ *დომინანტური მდგომარეობის* მქონე ეკონომიკური აგენტი ან აგენტები. *ინდივიდუალური* დომინანტური მდგომარეობის შემთხვევაში, საქმე გვაქვს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე *ერთ* ეკონომიკურ აგენტთან, ხოლო *ჯგუფური* დომინანტური მდგომარეობა მოიაზრებს ერთმანეთთან გარკვეულწილად დაკავშირებული *რამდენიმე* ეკონომიკური აგენტის *კოლექტიურ* საბაზრო ძალაუფლებას. „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ჯგუფურ დომინანტურ მდგომარეობას ადგილი აქვს, ანუ *„ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული*

---

[978] კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 3, ქვეპუნქტი „ი".
[979] კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 3, ქვეპუნქტი „ი".
[980] იქვე.

ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან მათი ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის, ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.'[981]

ამასთან, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება არის ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ერთპიროვნული ქცევა. სწორედ ქმედების ცალმხრივი ხასიათი განასხვავებს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებისგან, რომელიც წინაპირობად მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტის კოორდინირებულ ქცევას მოიაზრებს.

ლოგიკურად ჩნდება კითხვა, როგორ უნდა გაიმიჯნოს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებისა და ჯგუფური დომინანტობის სამართლებრივი ინსტიტუტები? ეს ზღვარი გარეგნულად საკმაოდ რთული აღსაქმელია იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკაში ორივე სახის დარღვევის გარეგანი ნიშნები და ასახვა ბაზარზე შესაძლოა, მსგავსი იყოს. მაგალითად, ორივე შემთხვევაში შესაძლოა, შეინიშნებოდეს ეკონომიკურ აგენტთა პარალელური ქმედებები. საქმეს ართულებს ისიც, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთზე მეტ ეკონომიკურ აგენტთან. მეტიც, ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმება შესაძლოა თავისთავად იყოს კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის საფუძველი.[982]

როგორც წესი, ერთ კორპორატიულ ჯგუფში შემავალ, დამოუკიდებელი იურიდიული ფორმის მქონე პირებს, ერთობლივად უკავიათ ხოლმე დომინანტური მდგომარეობა ერთსა და იმავე ბაზარზე.[983] თუმცა, ეს აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ სახეზეა ჯგუფური დომინანტობა, არამედ შესაძლოა საქმე

---

[981] კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 6, ქვეპუნქტი „ი".

[982] იხ. მაგალითად, Joined Cases T-68/89, 77/89 and 78/89, *Società Italiana Vetro, Fabbrica* Pisana *and PPG Vernante Pennitalia v Commission* [1992] ECR II-1403 (Italian Flat Glass), ECLI:EU:T:1992:38.

[983] იხ. Case 6/72 *Continental Can v Commission* [1973] ECR 215, ECLI:EU:C:1973:22; Joined Case 6/73 and 7/73 *Commercial Solvents v Commisison* [1974] ECR 223, ECLI:EU:C:1974:18.

გვქონდეს *ერთიან ეკონომიკურ სუბიექტთან.* [984] ჯგუფური დომინანტური მდგომარეობა შესაძლებელია ჰქონდეთ სხვადასხვა კორპორატიულ ჯგუფს მიკუთვნებულ პირებსაც.

კონკურენციის სააგენტოს დღემდე არ განუხილავს ჯგუფური დომინანტობის შემთხვევები, თუმცა მნიშვნელოვანია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა, რომელსაც ეფუძნება ჯგუფური ანუ კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის ცნება.[985]

ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის კონცეფციის განვითარება დაკავშირებულია ევროკავშირის საკანონმდებლო ადრეულ ჩარჩოსთან. 1989 წელს ევროკავშირის შერწყმების რეგულაციის[986] მიღებამდე, დაუშვებლად მიიჩნეოდა ეკონომიკური აგენტების შერწყმა-გაერთიანება, თუკი მის შედეგად მიიღწეოდა ან ძლიერდებოდა დომინანტური მდგომარეობა. პრაქტიკაში, რიგ შემთხვევაში, შერწყმა არ ქმნიდა დომინანტური მდგომარეობის მქონე ერთ აგენტს, თუმცა აადვილებდა ბაზარზე დარჩენილ კომპანიებს შორის კოორდინაციას და ქმნიდა კონკურენტულ პრობლემებს. სწორედ ამ კონტექსტში, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეში *Airtours v. Commission* [987] დაადგინა კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის შესაფასებელი კრიტერიუმები შერწყმების საქმეებში, რომელიც ასევე გამოიყენებოდა TFEU 102-ე მუხლის კონტექსტში.[988]

ამასთან, აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში, ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობის ადრეული ჩარჩო გამორიცხავდა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების წესების მოქმედებას ცალკეულ რეგულირებულ სექტორებში. ასეთ სექტორებში

---

[984] ავტორების შენიშვნა: ამ საკითხზე დეტალური დისკუსიისთვის იხილეთ თავი III („კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები").

[985] დეტალური დისკუსიისთვის ამ საკითხზე იხ. Faull, Jonathan and Nikpay, Ali, *The EU Law of Competition*, 3rd ed., Oxford University Press, 2014, გვ.: 377-381.

[986] Council Regulation (EEC) No 4064/89 of 21 December 1989 on the control of concentrations between undertakings, OJ L 257/90, გვ. 13.

[987] Case T-342/99, *Airtours v Commission* [2002] ECR II-2585, ECLI:EU:T:2004:192, para 62.

[988] ავტორების შენიშვნა: დღესდღეობით, ევროკავშირში შერწყმების შეფასებისას აუცილებელი აღარ არის გაერთიანებული ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის შეფასება, თუმცა ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის შესაფასებლად დადგენილი კრიტერიუმები კვლავაც რელევანტურია.

ევროკომისია ვერ ახერხებდა ეკონომიკურ აგენტთა ჯგუფის მიერ ანტიკონკურენციული შეთანხმებების კონტროლს. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ ადგილი ჰქონდა მსგავსი შეთანხმებების შედეგად კონკურენტების ბაზრიდან განდევნას, ქმედების აღსაკვეთად ევროკომისიას უწევდა, დაყრდნობოდა ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის კონცეფციას და საქმე განეხილა TFEU 102-ე მუხლის კონტექსტში.[989] საქმეში *Italian Flat Glass* დადგინდა, რომ იმისთვის, რომ ორ ან მეტ ეკონომიკურ აგენტს ეკავოს დომინანტური მდგომარეობა, აუცილებელი არ არის მათ შორის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების დამტკიცება. არამედ, ჯგუფური დომინანტობა სახეზეა მაშინაც, თუ ამ კომპანიებს აერთიანებთ *„ეკონომიკური კავშირები,* რომელიც მათ, ერთიანად, ანიჭებს დომინანტურ მდგომარეობას შესაბამის ბაზარზე სხვა ოპერატორებთან მიმართებით".[990]

ეკონომიკური კავშირების ცნება უფრო ფართოა, ვიდრე TFEU 101-ე მუხლით რეგულირებული ქმედება, მაგრამ მისი ზუსტი საზღვრები დისკუსიის საგანია.

რაც შეეხება ჯგუფურ დომინანტურ მდგომარეობას *ოლიგოპოლიურ ბაზრებზე,* ე.ი. ბაზრებზე, სადაც ერთდროულად წარმოდგენილია რამდენიმე ძლიერი ეკონომიკური აგენტი, საქმეში *Piau v Commission* [991] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა სამკომპონენტიანი ზოგადი ფორმულა, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც სახეზეა ჯგუფური დომინანტური მდგომარეობა. *კერძოდ: ა) ბაზარი უნდა იყოს გამჭვირვალე, ე.ი. ეკონომიკური აგენტების ჯგუფის თითოეულ წევრს უნდა შეეძლოს სხვა წევრების ქცევის ზედმიწევნით გაგება და მონიტორინგი იმისა, ატარებს თუ არა ჯგუფის ყველა წევრი ერთიან საბაზრო პოლიტიკას; ბ) მსგავსი სიტუაციის შენარჩუნება*

---

[989] იხ. მაგალითად, Joined Cases C-395/96 P and C-396/96 P *Compagnie Maritime Belge Transports v Commission* [2000] ECR I-1365, ECLI:EU:C:2000:132, რომელიც ეხებოდა საზღვაო გადამზიდავი ხაზების გაერთიანების წევრების მიერ ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას კონკურენტის ბაზრიდან განდევნის მიზნით.

[990] Joined Cases T-68/89, 77/89 and 78/89, *Società Italiana Vetro, Fabbrica* Pisana *and PPG Vernante Pennitalia v Commission* [1992] ECR II-1403 (Italian Flat Glass), ECLI:EU:T:1992:38, para 358.

[991] Case T-193/02, *Laurent Piau v. Commission* [2005] ECR II-209, ECLI:EU:T:2005:22.

შესაძლებელი უნდა იყოს ხანგრძლივად, ე.ი. ჯგუფის წევრებს არ უნდა ჰქონდეთ გაზრის ერთობლივი პოლიტიკიდან გადახვევის ეკონომიკური მოტივაცია; გ) საერთო პოლიტიკის მოსალოდნელ შედეგებზე ზეგავლენას ვერ უნდა ახდენდეს არსებული და პოტენციური კონკურენტების (ისევე როგორც მომხმარებლების) მოსალოდნელი რეაქცია. [992] *ხსენებული პირობები კუმულატიურია.*

როგორც ამ მიმოხილვიდან ჩანს, ევროკავშირში „კოლექტიური დომინანტური მდგომარეობის სამართალი გაურკვევლობითა და სიზუსტის ნაკლებობით ხასიათდება". [993] მნიშვნელოვანია იმის დამახსოვრება, რომ თუ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების შემთხვევაში საქმე გვაქვს კოორდინაციის მაღალ ხარისხთან, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ აგენტებს შორის ბაზარზე არსებული კონკურენტული რისკების გამორიცხვას, ხოლო ჯგუფური დომინანტობის ცნება უფრო ფართოა და შესაძლოა მოიცავდეს ერთმანეთთან შეუთანხმებელ მოქმედებებსაც, რომლებიც ერთობლიობას ქმნიან *ეკონომიკური კავშირების შედეგად ან ოლიგოპოლიური საბაზრო მოცემულობიდან გამომდინარე* და არა შეთანხმების გამო.

აღნიშნული ზღვრის გავლებას აქვს განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა. კერძოდ, რადგან მტკიცების სტანდარტი, საკითხის შესწავლის მეთოდი და კონკურენციის შეზღუდვის მექანიზმები განსხვავდება მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების შეფასებისათვის, ქართულ კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს, თუ *ვინ (ე.ი.* ერთი ეკონომიკური აგენტი თუ ეკონომიკური აგენტების ჯგუფი) *რომელი* სავარაუდო კანონდარღვევის (ე.ი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება თუ (ჯგუფური) დომინანტური მდგომარეობა) სუბიექტია. ამის განსაზღვრა მნიშვნელოვანია მოკვლევის დაწყებამდე (საჩივრის ან

---

[992] საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები", 2017, <http://competition.ge/images/upload/გზამკვლევი%20დოკუმენტი.pdf>, გვ. 14.

[993] Faull, Jonathan and Nikpay, Ali, *The EU Law of Competition*, 3rd ed., Oxford University Press, 2014, გვ. 377.

განცხადების საფუძველზე წარმოების დაწყების შემთხვევაში – დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე),[994] რადგან მოკვლევის დაწყების შესახებ ბრძანება გამოიცემა შესაბამისი საკანონმდებლო ნორმის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე და *მუხლის გადაკვალიფიცირება მოკვლევის პროცესში არ ხდება.* აქვე აღსანიშნავია, რომ კანონი „კონკურენციის შესახებ" არ შეიცავს რაიმე წესს მე-6 და მე-7 მუხლების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. თუმცა, აღნიშნული მუხლები ერთმანეთს არ გამორიცხავენ, რაც ნიშნავს, რომ ერთი და იგივე ქმედება შესაძლოა ექცეოდეს ორივე მათგანის მოქმედების სფეროში. მსგავს მიდგომას იზიარებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო.[995]

3.2. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა

დომინანტური მდგომარეობის ანალიზი იწყება შესაბამისი ბაზრის განსაზღვრით, რადგან აუცილებელია სწორად დადგინდეს თუ რა ფარგლებში, რა საზღვრებში ხდება სუბიექტის საბაზრო პოზიციის შეფასება. „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, შესაბამისი ბაზარი არის *„საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფერო გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას,*

---

[994] ავტორების შენიშვნა: „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო საქმის მოკვლევას იწყებს განცხადების/საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. თუ სააგენტოში წარმოდგენილია განცხადება ან საჩივარი, ამავე კანონის 23-ე მუხლით დადგენილი წესით, 30 დღის ვადაში (შესაძლოა ვადის გაგრძელება 14 დღის ვადით) ხდება განცხადების/საჩივრის დასაშვებობის შემოწმება და გონივრული ეჭვის სტანდარტის (რომელიც შეფასებითი კატეგორიაა) დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას საქმის მოკვლევის დაწყების ან მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ. რაც შეეხება სააგენტოს ინიციატივით მოკვლევის დაწყების შემთხვევას – დასაშვებობის ეტაპის გავლა არ ხორციელდება და სააგენტოს მიერ მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ხდება პირდაპირ მოკვლევის დაწყება კანონის ამა თუ იმ მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

[995] Case 85/76, *Hoffmann-La Roche v Commission* [1979] ECR 461, ECLI:EU:C:1979:36, para. 116.

საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს[996] *სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად".*[997] შესაბამისი პროდუქციული და გეოგრაფიული ბაზრისა და ბაზრის დროითი ჩარჩოს განსაზღვრისას უმთავრესია განსახილველი საქონლის ან მომსახურების ურთიერთჩანაცვლებადობა.[998]

შესაბამისი ბაზარი წარმოადგენს ჩარჩოს, რომელიც შემოსაზღვრავს საქონლის ან მომსახურების მიმოქცევას გარკვეული ტერიტორიით, რომლის მიღმაც უკვე სხვა შესაბამისი ბაზარი იწყება. ეკონომიკური აგენტის საბაზრო პოზიცია ცვალებადია იმის მიხედვით, თუ რა მასშტაბის ბაზარზე მოქმედებს. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის შემდეგ, ხდება მასზე მოქმედი სუბიექტების გამოვლენა და მათ შორის კონკურენციის დეტალური ანალიზი.

3.3. საბაზრო ძალაუფლების შეფასება

საბაზრო ძალაუფლება ეწოდება ეკონომიკური აგენტის შესაძლებლობას, ბაზრის მნიშვნელოვანი წილის დაკარგვის გარეშე გაზარდოს მოგება ფასების გაზრდის ან ხარჯების/ხარისხის შემცირების გზით ხანგრძლივი დროის განმავლობაში.[999] საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკური აგენტი არ განიცდის საკმარის

---

[996] ავტორების შენიშვნა: მაგალითად, წყალტუბოს ბალნეოლოგიური კურორტის საქმეში შესაბამის პროდუქციულ ბაზრად განისაზღვრა წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლები, ხოლო გეოგრაფიულ ბაზრად – ქვეყნის ნაწილი. კერძოდ, მხოლოდ ერთი ქალაქი – წყალტუბო. სააგენტოს განმარტებით, „შეუძლებელია წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლის მოპოვება ბალნეოზონის გარეთ, წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლების მიწოდებისთვის შესაბამის ბაზრად განისაზღვრება წყალტუბოს ბალნეოზონა". იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს). ბრძანება №31, 04.03.2015.

[997] კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 3. ქვეპუნქტი „ზ".

[998] ავტორების შენიშვნა: შესაბამისი ბაზრის განსაზღვრასთან დაკავშირებით დეტალურად იხილეთ თავი II („შესაბამისი ბაზარი").

[999] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №30/09-3 "ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 30.09.2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2523226?publication=0, მუხლი 23, პუნქტი 2.

კონკურენტულ წნეხს. ამდენად, მას შეუძლია მომხმარებლის საზიანოდ მოქმედება.

ევროკავშირის პრაქტიკაში, საბაზრო ძალაუფლების დასადგენად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამ მაჩვენებელს:

1) ეკონომიკური აგენტის (და მისი კონკურენტების) საბაზრო წილი;

2) ბაზარზე შესვლისა და გაფართოების ბარიერები;

3) მყიდველის დამაბალანსებელი ძალაუფლება.[1000]

საქართველოს პრაქტიკა ევროკავშირის მსგავსია. ამასთან, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, საბაზრო ძალაუფლების ანალიზისას გამოიყენება სტრუქტურული, ანალიტიკური და სხვა გავრცელებული მეთოდები. *სტრუქტურული მეთოდი* გულისხმობს შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის მდგომარეობის ანალიზს. *ანალიტიკური მეთოდი* მოიცავს: ეკონომიკური აგენტის საქმიანობის ეფექტიანობის დონის შეფასებას; ეკონომიკური აგენტის რენტაბელობის დონის ანალიზს მოკლე და გრძელვადიან პერიოდში; ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობის შეფასებას საფინანსო ანალიზისა და ანალოგიის მეთოდის გამოყენებით; კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობის ანალოგიური მაჩვენებლების შედარებას. ამასთან, საბაზრო ძალაუფლების შეფასებისას ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პრაქტიკაში აღიარებული ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლები.[1001]

ა) საბაზრო წილი

დომინანტური მდგომარეობის დასადგენად, პირველი ინდიკატორია ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი. ბაზარზე მოქმედი სუბიექტების გამოვლენის შემდეგ, [1002] კონკურენციის სააგენტო განსაზღვრავს ბაზრის მოცულობას [1003] და ადგენს

[1000] Communication from the Commission — Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings, OJ C 45/7, 24.02.2009, para. 12.

[1001] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №30/09-3 "ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე", მუხლი 23, პუნქტი 3.

[1002] იქვე, მუხლი 14.

[1003] იქვე, მუხლი 15.

შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების წილებს.[1004] შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის წილი გაიანგარიშება პროცენტებში, სასაქონლო ბაზრის მოცულობასთან შეფარდებით. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების (ისევე, როგორც, ზოგადად, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებულ) საქმეებში, ეკონომიკური აგენტის ბაზრის წილი გამოითვლება ბაზრის ფაქტობრივად ჩამოყალიბებული სტრუქტურის მიხედვით (ანუ პოტენციური მიმწოდებლების გაუთვალისწინებლად).[1005]

რაც უფრო მაღალია კომპანიის საბაზრო წილი, მით უფრო სავარაუდოა, რომ აღნიშნული ეკონომიკური აგენტი იკავებს ბაზარზე დომინანტურ მდგომარეობას. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განვითარებული *გამათილებადი პრეზუმფციის* თანახმად, 50% ან უფრო მაღალი საბაზრო წილის მქონე ეკონომიკური აგენტი ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ.[1006]

შედარებისთვის, „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს, რომ სხვა მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, ეკონომიკური აგენტი არ ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი წილი 40%-ს არ აღემატება.[1007] მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული „უსაფრთხო თავშესაფარი" გარკვეულ სამართლებრივ უსაფრთხოებასა და განჭვრეტადობას ქმნის, დანაწესი *„თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს"* ცალსახად მიუთითებს, რომ 40%-იანი ქვედა ზღვარი აბსოლუტური არ არის და მხოლოდ მითითებით ხასიათს ატარებს.

აღნიშნული დადასტურდა საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკითაც. მაგალითად, გლობალაგროს საქმეში[1008] კონკურენციის სააგენტოს მიერ დომინანტური მდგომარეობის მქონედ მიჩნეულ იქნა 40%-ზე ნაკლები საბაზრო წილის მქონე

[1004] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №30/09-3 "ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე", მუხლი 16.

[1005] იქვე, მუხლი 16, პუნქტები 1 და 3.

[1006] Case C-62/86, *AKZO Chemie v Commission* [1991] ECR I-3395, EU:C:1991:286, para. 60.

[1007] კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 3, ქვეპუნქტი „ი".

[1008] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №148, 12.10.2015.

ეკონომიკური აგენტი. სააგენტოს მიერ სამი ეკონომიკური აგენტი: შპს "აგროსისტემები", შპს "კარმენი" და შპს "კარმენ K" მიჩნეულ იყვნენ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად, იმის გათვალისწინებით, რომ წარმოადგენდნენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს და მათი წილების დათვლა განხორციელდა ერთობლივად – რამაც შეადგინა 39%.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სააგენტომ განმარტა: *„ვინაიდან ურთიერთდამოკიდებული პირები ბაზარზე მოქმედებენ საერთო ფინანსური (ბიზნეს) ჯგუფის ინტერესების სასარგებლოდ, მიიჩნევა, რომ თითოეული მათგანის საბაზრო ძალის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მასთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების საბაზრო ძალაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო შპს "აგროსისტემები"-ს, შპს "კარმენის"-ს და შპს "კარმენ K"-ს საბაზრო წილებსა და საბაზრო ძალაუფლებას განიხილავს ერთიანად, როგორც ერთი ეკონომიკური აგენტის მაჩვენებლებს [...] 2013-2014 წლებში მოპასუხე ურთერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტების (შპს "აგროსისტემები", შპს "კარმენი" და შპს "კარმენ K") საბაზრო წილი შესაბამის (ფქვილის) ბაზარზე შეადგენს 39%-ზე მეტს და უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ეს გარემოება ვერ იქნებოდა საკმარისი დომინირებული მდგომარეობის დასადასტურებლად. ამასთანავე, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ გაკონტროლებული, ბაზარზე მკვეთრად გამოხატული წილი (თუნდაც 40%-ზე არითმეტიკულად ნაკლები) სხვა მაჩვენებლებთან ერთობლიობაში, კერძოდ, საწარმოო სიმძლავრეებთან და ელევატორების სიმძლავრეებთან ერთად [...] წარმოადგენს საკმარისი საბაზრო ძალის წარმომქმნელ ეკონომიკურ მახასიათებელს იმისათვის, რომ „შესაბამის ეკონომიკურ აგენტს საშუალება მისცეს, იმოქმედოს კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა*

მოახდინოს ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია".[1009]

კანონი ითვალისწინებს სპეციალურ წესებს საბაზრო წილის შესახებ ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის დროს. მატერიალური მოთხოვნების[1010] კვალდაკვალ, ჯგუფური დომინანტური მდგომარეობა შესაძლოა სახეზე იყოს, მხოლოდ მაშინ, როდესაც: 1) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50%-ს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15%-ია; 2) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80%-ს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15%-ია.[1011]

ევროკავშირის პრაქტიკაში ასევე ექცევა ყურადღება *შედარებით* საბაზრო წილს. კერძოდ, ეკონომიკური აგენტის განსაკუთრებულად მაღალი საბაზრო წილი არა თავისთავად, არამედ სხვა კონკურენტებთან შედარებით, შესაძლოა რელევანტური იყოს ხსენებული კომპანიის საბაზრო ძალაუფლების დასადგენად.[1012] ამასთან, საბაზრო წილის *სტაბილურობა* ხანგრძლივი დროის განმავლობაში ასევე შეიძლება მიუთითებდეს ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლებაზე.[1013] საბოლოოდ, *კვაზი-მონოპოლიური საბაზრო წილი* (მაგალითად, 95%) რელევანტურია ეკონომიკური აგენტის ქმედებების *კონკურენტული ეფექტის* შეფასებისას.[1014]

[1009] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №148, 12.10.2015, გვ. 27 და 54.

[1010] ავტორების შენიშვნა: საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მსგავს მატერიალურ მოთხოვნებად ითვლება მნიშვნელოვანი კონკურენციის არსებობა/არარსებობა სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან მათი ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის, ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. იხ. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 6. ქვეპუნქტი „ი".

[1011] იქვე.

[1012] იხ. მაგალითად, Case T-219/99, *British Airways plc v Commission of the European Communities* [2003] ECR II-5917, ECLI:EU:T:2003:343.

[1013] იხ. მაგალითად, Case T-201/04, *Microsoft Corp. v Commission of the European Communities* [2007] ECR II-3601, ECLI:EU:T:2007:289.

[1014] იხ. მაგალითად, Case C-52/09, *Konkurrensverket v TeliaSonera Sverige AB* [2011] ECR I-527, ECLI:EU:C:2011:83.

ბ) ბაზარზე შესვლის ბარიერები

ბაზრის არსებული სტრუქტურის მიუხედავად, თუნდაც მაღალი საბაზრო წილის მქონე ეკონომიკური აგენტი ვერ შეძლებს *დამოუკიდებლად* და *მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ* მოქმედებას, თუკი იგი განიცდის მნიშვნელოვან კონკურენტულ წნეხს არსებული ან პოტენციური კონკურენტებისგან. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კომპანიის საბაზრო წილი მაღალია, იგი ვერ შეძლებს ფასის ზრდას, ხარისხის ან მომხმარებლის არჩევანის შემცირებას ან კონკურენციის სხვა პარამეტრის გაუარესებას, თუ ადვილია ბაზარზე შესვლა, ანუ არ არსებობს ბაზარზე შესვლის ბარიერები. ლოგიკურია, რომ თუკი ნებისმიერ ეკონომიკურ აგენტს თავისუფლად შეუძლია ბაზარზე შესვლა, მსხვილი მოთამაშის მიერ კონკურენტულზე მაღალი ფასის დაწესების შემთხვევაში, ისინი ეცდებიან შედარებით დაბალი ფასით შევიდნენ ბაზარზე და გადმოიბირონ მისი კლიენტები.

სწორედ ამიტომ, სასაქონლო ბაზრის შეფასებისას, როგორც წესი, ითვალისწინებენ პოტენციურ მიმწოდებლებს, რომლებსაც *„უმნიშვნელო ტექნიკური გადაიარაღების ან ფიზიკური კაპიტალის დამატებით შეუძლიათ საქონლის ან მომსახურების მიწოდება“*.[1015] აღნიშნული რომ შესაძლებელი გახდეს, ბაზარზე შესვლა და გაფართოება შესაძლებელი უნდა იყოს დროულად და არ უნდა იყოს შეზღუდული გარკვეული ბარიერებით.

კერძოდ, შესაბამის სასაქონლო ბაზარზე შესვლის ბარიერების ანალიზისას კონკურენციის სააგენტო მხედველობაში იღებს: ბაზარზე შესვლის, გაფართოებისა და ბაზრიდან გამოსვლის ბარიერების არსებობას პოტენციური კონკურენტებისათვის და მათი დაძლევის სირთულეს; ბარიერების გადალახვის შესაძლო დანახარჯებსა და ვადებს; პოტენციური მიმწოდებლის ფაქტობრივ შესაძლებლობას, გახდნენ მოცემული ბაზრის მონაწილეები; შესაბამის ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტების შესაძლებლობას, გააფართოონ ეკონომიკური საქმიანობის

[1015] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №30/09-3 "ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე", მუხლი 16, პუნქტი 2.

მასშტაბები; საერთაშორისო ვაჭრობისათვის ბაზარზე შეღწევადობას.[1016] გამოყოფენ ფინანსურ-ტექნიკურ და ინსტიტუციონალურ ბარიერებს.[1017]

ფინანსურ-ტექნიკურ ბარიერებად ითვლება: თავდაპირველი მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებების განხორციელების აუცილებლობა; პოტენციური მიმწოდებლებისთვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის შეზღუდულობა და დამატებითი ფინანსების მოსაზიდად მაღალი დანახარჯები ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებთან შედარებით; ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ბაზრიდან გასვლის დანაკარგები, მათ შორის აუნაზღაურებელი ინვესტიციები; რესურსებზე წვდომისთვის და ინტელექტუალური საკუთრების უფლების მოსაპოვებლად, რეკლამაზე და საჭირო ინფორმაციის მიღებაზე მაღალი დანახარჯები; სატრანსპორტო შეზღუდვები; მასშტაბის ეკონომიის მისაღწევად ეკონომიკურად გამართლებული მინიმალური წარმოების მოცულობის აუცილებლობა ერთეულ პროდუქტზე მაღალი დანახარჯების შესამცირებლად; ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების უპირატესობა ბაზრის პოტენციურ მონაწილეებთან შედარებით ერთეულ პროდუქციაზე დანახარჯებით, მოთხოვნის დონით და მყიდველებთან გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმებით; ფინანსურ-ტექნიკური ხასიათის სხვა ბარიერები.[1018]

მაგალითად, წყალტუბოს ბალნეოლოგიური კურორტის საქმეში[1019] ფინანსურ ბარიერად მიჩნეულ იქნა ადმინისტრაციული და ტექნიკური ბარიერების დაძლევისთვის საჭირო თანხები, კერძოდ, ლიცენზიის მოსაპოვებლად და ინფრასტრუქტურის აღსადგენად საჭირო თანხა, რომელიც ინდივიდუალურ შემთხვევებში სხვადასხვაა (მითითებულ საქმეში, ეკონომიკურმა აგენტმა აღნიშნული ლიცენზია იყიდა 200.000 (ორასი ათას) ლარად და ლიზენციის შესაბამისად, მასვე დაეკისრა 4.500.000 (ოთხი

[1016] იქვე, მუხლი 22, პუნქტი 1.

[1017] იქვე, მუხლი 22, პუნქტი 3.

[1018] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №30/09-3 "ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე", მუხლი 22, პუნქტი 4.

[1019] სკს, ბრძანება №31. 04.03.2015.

მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელების ვალდებულება). ხოლო, ბათუმის ნავთობტერმინალის საქმეში[1020] - უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისი სპეციალური ინფრასტრუქტურის შექმნის ხარჯები, რომელიც ინდივიდუალურ შემთხვევაში განსხვავებული იყო.

ინსტიტუციონალურ ბარიერებად მიიჩნევა ეკონომიკურ აგენტთა რეგისტრაციის სირთულე; ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილება პროდუქტის ექსპორტ/იმპორტის შეზღუდვასთან დაკავშირებით; შესაბამის სასაქონლო/მომსახურების ბაზარს მიკუთვნებული საქმიანობის სამართლებრივი რეგულაციების ზემოქმედება, საჭიროება და გონივრულობის შეფასება; მიწის ნაკვეთების, ან საწარმოო ნაგებობების გამოყოფასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები; საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხი; ინსტიტუციონალური ხასიათის სხვა ბარიერები.[1021]

მაგალითად, შპს „დიუთი ფრი ჯორჯიას“ საქმეში[1022] ინსტიტუციონალურ ბარიერად მიჩნეულ იქნა თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვა. ნებართვას გასცემდა სსიპ შემოსავლების სამსახური, კანონმდებლობით დადგენილი წესით (ნებართვა გაიცემოდა 5 ან 5 წელზე მეტი ვადით).

გ) მყიდველის დამაბალანსებელი ძალაუფლება

საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრის პროცესში ასევე მნიშვნელოვანია მყიდველის ეკონომიკური სიძლიერის შეფასებაც, რადგან თუ მყიდველს გააჩნია შესაბამისი საბაზრო ძალაუფლება, მას შესწევს უნარი, გავლენა მოახდინოს გამყიდველის საფასო პოლიტიკასა და მის მიერ შემოთავაზებული სავაჭრო პირობების ხასიათზე და შედეგად მიიღწეს „ძალაუფლებათა ბალანსი“. შედეგად, მსხვილი კლიენტების შემთხვევაში, თუნდაც მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მქონე ეკონომიკურმა აგენტმა

[1020] სკს. გრძანება N202. 30.12.2019

[1021] სკს. გრძანება №31. 04.03.2015. პუნქტი 5.

[1022] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს). გრძანება №43, 28.03.2016.

შესაძლოა ვერ შეძლოს *დამოუკიდებლად* მოქმედება და კონკურენციის შეზღუდვა. ევროკავშირის პრაქტიკაში,[1023] ამ საკითხის შეფასებისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება *მყიდველ(ებ)ის ზომასა და კომერციულ მნიშვნელობას დომინანტი კომპანიისთვის; ასევე, მათ უნარს, გადაერთონ კონკურენტ მიმწოდებელზე ან თავად დაიწყონ საჭირო საქონლის ან მომსახურების წარმოება (ან დომინანტ კომპანიას შეუქმნან ამის რეალისტური მოლოდინი/საფრთხე),* რის შედეგადაც, ეს უკანასკნელი ვერ შეძლებს მათთვის არაკონკურენტული ფასის ან/და სავაჭრო პირობების შეთავაზებას.

4. დომინატური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ფლობა შესაბამის ბაზარზე თავისთავად არ წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევას, თუ სახეზე არ არის მისი ბოროტად გამოყენება. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზებია:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა;

ბ) წარმოების, ბაზრების ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) ხელშეკრულების წინაპირობად გარიგების იმგვარი პირობის დაწესება, რომელიც გარიგების მეორე მხარეს ისეთ დამატებით ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.[1024]

[1023] იხ. Communication from the Commission – Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings, OJ C 45/7, 24.02.2009, para. 18.

[1024] ავტორების შენიშვნა: დებატების საგანია, ამომწურავია თუ არა ეს ჩამონათვალი და კონკრეტულად რას მიემართება „და სხვა" – მოიცავს იგი სხვა ტიპის ქმედებებსაც

როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე მუხლში დაფიქსირებული ქმედებები TFEU-ს 102-ე მუხლის შემადგენლობის იდენტურია. ამ უკანასკნელში ჩამოთვლილი ქმედებების არაამომწურავი ხასიათი დადგენილია ევროკომისიისა და ევროსასამართლოს პრაქტიკით.[1025] ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საქმეში *Continental Can v. Commission,*[1026] ევროკომისიამ დაადგინა, რომ Continental Can-ის მიერ მისი შვილობილი კომპანიის მეშვეობით ლითონის მწარმოებელი კომპანიის – TDV შეძენით ბოროტად იქნა გამოყენებული დომინანტური მდგომარეობა და აღნიშნული ტრანზაქციით შეიზღუდა კონკურენცია ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის ქმედება არ ექცეოდა TFEU-ს 102-ე მუხლის შემადგენლობაში, კომისიის მიერ კომპანიის ქცევა მაინც იქნა მიჩნეული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად.[1027]

რაც შეეხება ქართულ პრაქტიკას, არც საქართველოს კონკურენციის სააგენტოს და არც სასამართლოს არ გაუკეთებია განმარტება კანონის მე-6 მუხლის ჩამონათვალის ამომწურაობის შესახებ. ამდენად, ღია რჩება საკითხი – ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტში არსებული ჩანაწერი „და სხვა“ მიემართება მხოლოდ ამ ქვეპუნქტის კონკრეტულ შემადგენლობას, თუ წარმოადგენს ევროკომისიისა და ევროსასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის ქართულ საკანონმდებლო სივრცეში გადმოტანის მცდელობას.

ჩამოთვლილი 4 ტიპის ქმედების გარდა, თუ ის დაკავშირებულია მხოლოდ „დ“ ქვეპუნქტის ინტერპრეტაციასთან.

[1025] Case 6/72 *Continental Can v Commission* [1973] ECR 215, ECLI:EU:C:1973:22; Case C-457/10, *AstraAeneca AB v Commission* [2012] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2012:770; ასევე იხ.Whish, Richard; Bailey, David, *Competition Law,* 8th ed., Oxford University Press, 2015, გვ. 202.

[1026] Case 6/72 *Continental Can v Commission* [1973] ECR 215, ECLI:EU:C:1973:22.

[1027] ტიგრანიანი, ჰასმიკ და ქურთაული, სოფიო, „დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი“, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2018, N5 (2018), http://lawlibrary.info/ge/books/2018GIZ-GE-Alumni-Comparative-Research-Study_CompetitionLaw.pdf?fbclid=IwAR2NMPCxGSeMszdldhoaa9_27_D8ngA8zcgh3CxasE5Tqp7hYuJALkKyixU, გვ. 60-61.

4.1. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტის დადგენასთან დაკავშირებული ზოგადი წესები

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტის დადგენა საკმაოდ კომპლექსური პროცესია, რომელიც (როგორც წესი) მოითხოვს არა მარტო იურიდიულ, არამედ დეტალურ ეკონომიკურ ანალიზსაც. ხსენებული ანალიზის გამარტივებაში მარეგულირებელს ეხმარება რამდენიმე ფაქტორი: (ა) დომინანტური მდგომარეობის ზოგადი კატეგორიების ცოდნა – ეს აიოლებს შესაბამისი ფაქტის დასადგენად საჭირო რელევანტური ეკონომიკური ტესტების არჩევას; (ბ) უშუალოდ ხსენებული ეკონომიკური ტესტების განსაზღვრა, რაც კონკრეტულ ჩარჩოებში აქცევს და აადვილებს ეკონომიკურ ანალიზს; (გ) იმის დადგენა, სახეზეა თუ არა დომინანტი კომპანიის მიერ განხორციელებული კონკურენციის სავარაუდო შემზღუდველი ქმედების ობიექტური გამართლება – ხსენებული გამართლების არსებობა გამორიცხავს დარღვევის დადგენას. ჩამოთვლილი სამი ფაქტორი დაწვრილებით მიმოხილულია ქვემოთ.

ა) დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სხვადასხვა კატეგორიები

დომინანტური მდგომარების ბოროტად გამოყენების შემთხვევები შესაძლოა იყოს ექსპლუატაციისკენ (მომხმარებლის კუთხით) ან ბაზრიდან განდევნისკენ მიმართული (კონკურენტების მიმართ).[1028]

ექსპლუატაციისკენ მიმართული ქცევა მომხმარებლის ხარჯზე მონოპოლიური სარგებლის მიღებას ემსახურება. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს დომინანტ ეკონომიკურ აგენტზე კონკურენტული წნეხი სხვა ეკონომიკური აგენტების მიერ, მას შეუძლია დააწესოს ძალიან მაღალი ფასი ან გააუარესოს საქონლის

[1028] იხ. https://www.lexisnexis.com/uk/lexispsl/competition/document/391329/55KB-7MK1-F187-53G2-00000-00/Abusing_a_dominant_position_overview#.

ან მომსახურების ხარისხი და პირდაპირ დააზიანოს მომხმარებლის ინტერესები.

ბაზრიდან განდევნისკენ მიმართული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისას, მომხმარებელზე უარყოფითი ეფექტი ორსაფეხურიანია. პირველ რიგში, დომინანტი ეკონომიკური აგენტი ცდილობს ბაზრიდან კონკურენტების განდევნას ან მათი ბაზარზე შესვლის ან გაძლიერების გამორიცხვას. ხსენებული მიზნის მიღწევის შემდეგ, დომინანტ ეკონომიკურ აგენტს საშუალება ექნება, ექსპლუატაცია გაუწიოს თავის კლიენტებსაც და საბოლოო მომხმარებელსაც. კონკურენციის სამართლის მიზანია, ჩანასახშივე აღკვეთოს მსგავსი ქმედება და, შესაბამისად, შეამციროს ზიანი. ამიტომაც არის აკრძალული არა მხოლოდ მომხმარებელთა ექპლუატაცია, არამედ კონკურენტების ბაზრიდან განდევნისკენ მიმართული ქმედებებიც (იმის მიუხედავად, განდევნის მიზანი მიღწეულ იქნა თუ კონკურენციის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ინტერვენცია მოხდა ასეთი მიზნის მიღწევამდე).

ბაზრის შეზღუდვა შეიძლება იყოს *ჰორიზონტალური ან ვერტიკალური* ხასიათის. ჰორიზონტალური (ე.ი. მომხმარებელზე წვდომის) შეზღუდვა ერთი დონის ბაზარზე მოქმედ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებზე აისახება. ბაზრის ვერტიკალური ჩაკეტვა (ე.ი. ნედლეულზე წვდომის შეზღუდვა) სახეზეა მაშინ, როდესაც *ვერტიკალურად ინტეგრირებული დომინანტი ეკონომიკური აგენტი*, რომელიც მოქმედებს როგორც ზედა, ასევე ქვედა დონის ბაზარზე (წარმოების და საცალო რეალიზაცია) ბაზრიდან განდევნის ქვედა დონის ბაზარზე (საცალო რეალიზაცია) მოქმედ სუბიექტებს.[1029]

დოქტრინაში, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საქმეებს ასევე ყოფენ *ფასისმიერ* და *არაფასისმიერ* ქმედებებად. *ფასისმიერი ქმედებები* პირდაპირ არის

[1029] იხ. European Commission, DG Competition discussion paper on the application of Article 82 of the Treaty to exclusionary abuses, 2005, http://ec.europa.eu/competition/antitrust/art82/discpaper2005.pdf; შდრ. European Commission, Guidelines on the assessment of non-horizontal mergers under the Council Regulation on the control of concentrations between undertakings, OJ C 265/6, 2008, paras. 30-59.

დაკავშირებული ეკონომიკური აგენტის დანახარჯებთან და ამ უკანასკნელის მიერ ბაზარზე მიწოდებული საქონლის/შეთავაზებული მომსახურების საბოლოო ფასთან. შესაბამისად, ფასისმიერი ქმედების შეფასებისას დარღვევის დადგენა, როგორც წესი, მოითხოვს სხვადასხვა ტიპის დანახარჯების დეტალურ ეკონომიკურ ანალიზს. ფასისმიერი ქმედებების მაგალითებია: მტაცებლური ფასები, ჭარბი ფასის დაწესება, მარჟის შეზღუდვა და სხვა. *არაფასისმიერი ქმედებები* არ არის პირდაპირ დაკავშირებული ეკონომიკური აგენტის დანახარჯებთან. ასეთ შემთხვევებში, სხვა გზით ხდება კონკურენციის შეზღუდვა და კონკურენტების ბაზრიდან განდევნა. ასეთი ქმედების მაგალითებია: მიწოდებაზე უარი, მიბმა და დაჯგუფება, ექსკლუზიური გარიგებები და სხვა.

ბ) რელევანტური ეკონომიკური ტესტები

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა ემსახურება კონკურენციის და არა კონკურენტების დაცვას. [1030] კერძოდ, შესაძლოა, ქცევამ გამოიწვიოს დომინანტი პირის კონკურენტების ბაზრიდან განდევნა, მაგრამ ეს მოხდეს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში, ეფექტიანობის ზრდის შედეგად, რაც ვერ იქნება ჩათვლილი დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად. [1031]

ამასთან, ევროკავშირის პრაქტიკაში, დომინანტ ეკონომიკურ აგენტს აკისრია *სპეციალური პასუხისმგებლობა*, არ შეზღუდოს კონკურენცია ბაზარზე, რომელზეც ასეთი მსხვილი კომპანიის არსებობის გამო, კონკურენცია თავისთავად უკვე შესუსტებულია. [1032] შედეგად, დომინანტი ეკონომიკური აგენტის ზოგიერთი ქმედება მიიჩნევა *თავისთავად კონკურენციის*

[1030] ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მოკლე მიმოხილვა (ანოტაცია), 2006, http://www.oecd.org/competition/mergers/37082099.pdf.

[1031] იხ. მაგ., Case C-413/14 P, *Intel Corp. v European Commission* [2017] Not yet published, ECLI:EU:C:2017:63, paras. 133-135.

[1032] იხ. მაგ., Case 322/81, *Nederlandsche Banden-Industrie-Michelin v Commission* [1983] ECR 3461, ECLI:EU:C:1983:313, para. 57.

საწინააღმდეგოდ და არ ხდება საჭირო ბაზარზე მისი რეალური ან პოტენციური ეფექტის შეფასება.

უფრო კომპლექსურ საქმეებში, სადაც დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტის დასადგენად აუცილებელია დომინანტი ეკონომიკური აგენტის ცალმხრივი ქცევის რეალური ან პოტენციური *ანტიკონკურენტული ეფექტის შეფასება*, ევროკავშირის კონკურენციის დაცვის ორგანოების მიერ გამოიყენება არაერთი ეკონომიკური ტესტი. მათ შორის: „თანაბრად ეფექტიანი კონკურენტის" (As-efficient competitor – AEC), „მოგების შეწირვის" (Profit sacrifice), „ეკონომიკურად ალოგიკური მოქმედების" (No economic sense), „მომხმარებლის კეთილდღეობის ბალანსისა" (The consumer welfare balancing) და „თვითეფექტიანობის" (Own efficiency) ტესტები.[1033]

„თანაბრად ეფექტიანი კონკურენტის ტესტი" – აღნიშნული ტესტის ფარგლებში ფასდება რეალური ან ჰიპოთეტური კონკურენტი, რომელსაც დომინანტი ფირმის მსგავსი დანახარჯები აქვს. კერძოდ, აღნიშნული ტესტის მიზანია, დადგინდეს, იწვევს თუ არა დომინანტი ეკონომიკური აგენტის ქცევა იმავე ეფექტიანობის მქონე კონკურენტის განდევნას ბაზრიდან. აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ იმის გამო, რომ დომინანტური მდგომარეობის მქონე პირის ქცევა არის კონკურენციის საწინააღმდეგო ხასიათის. თუმცა, ეს ტესტი არ არის კავშირში მომხმარებლის სარგებელთან და ყველა ქმედების შეფასების დროს არ გამოიყენება. უმეტესწილად, იგი შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი ფასდათმობებისა და მარჟის შეზღუდვის საქმეებში.

„მოგების შეწირვის ტესტით" (Profit sacrifice) ფასდება, აქვს თუ არა ადგილი დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ მოგების გაუმართლებელ შემცირებას, რასაც არ ექნებოდა ადგილი იმ შემთხვევაში თუ ქმედების მიზანი კონკურენტების განდევნა არ იქნებოდა ბაზრიდან (აღნიშნული ტესტიც გამოიყენება „მტაცებლური ფასების" შეფასების დროს).

[1033] Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases, and Materials*, 5th ed., Oxford University Press, 2013, გვ.: 380-381.

„ეკონომიკურად გაუმართლებელი მოქმედების ტესტი“ (no economic sense) – აღნიშნული ტესტი „მოგების შეწირვის“ ტესტის მსგავსია, რადგან ის გულისხმობს ისეთი ქმედების განხორციელებას დომინანტი სუბიექტის მიერ, რომელიც მოკლებულია რეალურ ეკონომიკურ საფუძველს. თუმცა, „მოგების შეწირვის“ ტესტისგან განსხვავებით, ეს ტესტი მხოლოდ მოგების ერთი (ანუ ფინანსური) ელემენტის შეფასებას არ გულისხმობს და უფრო კომპლექსური ხასიათისაა.

„მომხმარებლის კეთილდღეობის ბალანსის" (The consumer welfare balancing) ტესტის ფარგლებში ფასდება დომინანტი ეკონომიკური აგენტის ქცევის გავლენა მომხმარებელზე. კერძოდ, ხდება ქმედებით გამოწვეული დადებითი და უარყოფითი ეფექტის შეწონვა და განისაზღვრება, იწვევს თუ არა ეს მომხმარებლის სარგებლიანობის გაზრდას ან შემცირებას.

„თვითეფექტიანობის“ (Own efficiency) – ტესტი ძირითადად გამოიყენება მიწოდებაზე უარის თქმის ფაქტის შეფასების პროცესში. კერძოდ, განისაზღვრება, ზრდის თუ არა ქმედება დომინანტი სუბიექტის ეფექტიანობას და ამცირებს თუ არა მისი კონკურენტის ეფექტიანობას.

თითოეული ტესტის სწორად გამოყენება კონკრეტულ საქმეში დამოკიდებულია ეკონომიკური მტკიცებულებების ანალიზზე. ამდენად, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საქმეებში, მათი კომპლექსური ეკონომიკური ხასიათის გამო, მნიშვნელოვანია ეკონომისტებსა და იურისტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა.

გ) ობიექტური გამართლება

"კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ქმედებები, რომლებიც *prima facie* კონკურენციის შემზღუდველია, შესაძლოა, არ იქნან მიჩნეული კანონდარღვევად, თუ დაკმაყოფილებული იქნება ობიექტური გამართლებისთვის საჭირო წინაპირობები. მსგავს წინაპირობებად, სხვათა შორის, შეგვიძლია მივიჩნიოთ კომერციული ინტერესების

დაცვა, [1034] ტექნიკური ან კომერციული შეზღუდვები, [1035] ეფექტიანობის გაუმჯობესება[1036] ან საჯარო ინტერესი.[1037]

უნდა აღინიშნოს, რომ "კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში, ისევე როგორც TFEU 102-ე მუხლში, არაფერია ნახსენები ობიექტური გამართლების შესახებ. ეს მიდგომა განსხვავდება კანონის მე-9 მუხლისა და TFEU 101(3) პუნქტისაგან, სადაც როგორც ქართველი, ასევე ევროპელი კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას, რომ შესაბამის შემთხვევებში დარღვევად არ ჩაითვალოს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებების აკრძალვის ფარგლებში მოქცეული ზოგიერთი ქმედება. [1038] მიუხედავად ამისა, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკამ წლების განმავლობაში დაამკვიდრა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საქმეებზე ობიექტური გამართლების კრიტერიუმების შემოწმების სტანდარტი. ხსენებული სტანდარტი საბოლოოდ აისახა ევროკომისიის შესაბამის სახელმძღვანელო დოკუმენტში, სადაც მითითებულია, რომ დარღვევა შესაძლოა გამართლებულ იქნას

[1034] Case 27/76, *United Brands Company and United Brands Continentaal BV v Commission of the European Communities* [1978] ECR 207, ECLI:EU:C:1978:22.

[1035] ავტორების შენიშვნა: ობიექტური მიზეზების არსებობისას, მსგავსი შეზღუდვები უმეტესწილად შეიძლება გამართლდეს მიწოდებაზე უარის შემთხვევებში.

[1036] Case C-95/04, *British Airways v Commission* [2007] ECR I-02331, ECLI:EU:C:2007:166.

[1037] ავტორების შენიშვნა: ევროკავშირის შემთხვევაში, ამგვარ ინტერესად მოიაზრება ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი მიზნებისა და პრინციპების დაცვა.

[1038] ავტორების შენიშვნა: ამ მხრივ, TFEU 101(1)/101(3) და 102-ე მუხლებს შორის არსებობს არსებითი განსხვავება. კერძოდ, 101(1) მუხლით ჩამოთვლილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ითვლება, რომ სახეზეა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება, იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა 101(3) მუხლით დადგენილი გამამართლებელი გარემოებები. 101(3) მუხლის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეთანხმება არ იკრძალება, თუმცა მისი კონკურენციის შემზღუდველი ბუნება ეჭვქვეშ არ დგას. შედარებისთვის, 102-ე მუხლის ფარგლებში ობიექტური გამართლების კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქმედება საერთოდ არ ითვლება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად – ამის საშუალებას მუხლის აგებულება არ იძლევა. შედეგად, დომინანტი კომპანიის ქმედებების პრო- და ანტიკონკურენტული შედეგები ფასდება ერთიანად, პროპორციულობის საფუძველზე (განსხვავებით 101-ე მუხლში მოცემული ორეტაპიანი ანალიზისა, სადაც კრიტერიუმები გაცილებით უფრო მკაცრია). სავარაუდოდ, ამითაა განპირობებული ის ფაქტიც, რომ ობიექტური გამართლების საფუძველზე ქმედებები შედარებით ხშირად არ მიიჩნევა TFEU 102-ე მუხლის დარღვევად, მაშინ როდესაც 101(3) მუხლის საფუძველზე კომპანიების გამართლების მხოლოდ ერთეული შემთხვევებია პრაქტიკაში.

ობიექტური აუცილებლობით ან ეფექტიანობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით.[1039]

აღსანიშნავია, რომ ობიექტური გამართლების არსებობის თაობაზე თვით დომინანტმა ფირმამ უნდა მიუთითოს. შესაბამისად, სწორედ მასზეა (და არა კომისიაზე) ხსენებული გამართლების არსებობის მტკიცების ტვირთი. აღნიშნული მიდგომა გამყარებულია სასამართლო პრაქტიკაშიც. კერძოდ, საქმეში *Microsoft v Commission* დადგინდა, რომ "სწორედ დომინანტი კომპანია და არა კომისიაა ვალდებული, აღძრას რაიმე სახის დისკუსია ობიექტურ გამართლებასთან დაკავშირებით. კომპანიამ ადმინისტრაციული პროცედურების დასრულებამდე უნდა წარმოადგინოს მისი დამადასტურებელი მტკიცებულებები და შესაბამისი არგუმენტაცია".[1040]

ევროკავშირში არსებული პრეცედენტული პრაქტიკისგან განსხვავებით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად, ქართულ კონკურენციის სამართალში ობიექტური გამართლების ინსტიტუტი გამოყენებულია, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილი სტანდარტი. მაგალითად, ფოთის პორტის საქმეზე [1041] საქართველოს კონკურენციის სააგენტომ იმსჯელა მოპასუხის მიერ (ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში) წამოჭრილ ობიექტური გამართლების ორ სხვადასხვა კრიტერიუმზე – უსაფრთხოებასა და ეფექტიანობის ზრდაზე. თუმცა, საბოლოოდ, სააგენტომ არ გაიზიარა კომპანიის არგუმენტაცია და სქემა კონკურენციის შემზღუდველად მიიჩნია.

დომინანტური მდგომარეობის საქმეების განხილვისას, როგორც წესი, ევროკომისია პირველ რიგში ამოწმებს ობიექტური აუცილებლობის არგუმენტს. ასეთად შეიძლება მიიჩნეს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მიზეზით გამოწვეული აუცილებლობები. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხსენებული

[1039] Communication from the Commission — Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings, OJ C 45/7, 24.02.2009, III. D.

[1040] Case T-201/04, *Microsoft Corp. v Commission of the European Communities* [2007] ECR II-3601, ECLI:EU:T:2007:289, para. 185.

[1041] (სკს), გრძანება №04/91, 21.04.2017.

პირობების დადგენა და აღსრულება საჯარო ორგანოების (და არა კერძო კომპანიების) პირდაპირი მოვალეობაა. შესაბამისად, კომპანიას არა აქვს უფლება შეზღუდოს პროდუქტები და მომსახურებები, რომლებსაც ის (სწორად თუ არასწორად) საშიშად მიიჩნევს, შესაბამისი საჯაროსამართლებრივი საფუძვლის გარეშე.[1042]

ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტური გამართლების საფუძვლებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა ეფექტიანობის ზრდის არგუმენტი. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ერთმანეთს დაუპირისპირდეს კონკურენციის სამართლის ორი (უმეტესწილად თანმხვედრი) მიზანი – კონკურენციის, როგორც პროცესის, დაცვა და მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდა. შესაბამისად, საჭიროა საქმის დეტალებისადმი პროპორციული მიდგომა და შესაბამისი ანალიზი. ევროკომისია მიუთითებს, რომ ეფექტიანობის ზრდის გამო სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამართლება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა სრულდება ყველა შემდეგი პირობა:

- ეფექტიანობა უშუალოდ განსახილველი ქმედების შედეგად იზრდება (მაგალითად, იმიტომ რომ, იგი თავის თავში რაიმე სახის ტექნიკურ ან სხვაგვარ გაუმჯობესებას მოიცავს);
- არ არსებობს ეფექტიანობის იმავე დონის უზრუნველმყოფი უფრო ნაკლებად შემზღუდველი ქმედება;
- ეფექტიანობის ზრდით მიღებული დადებითი შედეგები გადაწონის მის თანმხლებ უარყოფით შედეგებს;
- ქმედება სრულად არ გამორიცხავს კონკურენციას და კონკურენციის წყაროებს (როგორც არსებულს, ასევე პოტენციურს).[1043]

ამავდროულად, ხაზგასასმელია ისიც, რომ ეფექტიანობის ზრდის არგუმენტი საკმაოდ ძნელი სამტკიცებელია. შედეგად, როგორც საქართველოს, ისე ევროკავშირის პრაქტიკაში

[1042] Communication from the Commission — Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings, OJ C 45/7, 24.02.2009, III. D.

[1043] იქვე.

ჯერჯერობით არ არსებობს საქმე, რომლის განხილვის ფარგლებშიც ეს არგუმენტი დომინანტი კომპანიის გამართლების საფუძვლად იქნებოდა მიჩნეული.

4.2. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კონკრეტული სახეები

კონკურენციის სამართლის საერთაშორისო პრაქტიკაში დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მრავალი განსხვავებული სახე არსებობს. თუმცა, რიგი სახეები განსაკუთრებით გავრცელებულია და მათთან დაკავშირებით არსებობს მდიდარი პრაქტიკული (მათ შორის, სასამართლო) გამოცდილება. ხსენებულ სახეებს მიეკუთვნება: (ა) არასამართლიანად მაღალი/დაბალი ფასების დაწესებასთან დაკავშირებული შეზღუდვები; (ბ) არასამართლიანი სავაჭრო პირობები და ექსკლუზიური გარიგებები; (გ) მიწოდებაზე უარი; (დ) მარჟის შეზღუდვა; (ე) ფასისმიერი დისკრიმინაცია; (ვ) მიბმა და დაჯგუფება. დარღვევის თითოეულ ზემოხსენებულ სახეს გააჩნია დადგენის საკუთარი კრიტერიუმები, რომლებიც დაწვრილებით მიმოხილულია ქვემოთ.

ა) არასამართლიანად მაღალი ან დაბალი ფასები

"კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ აკრძალვას, წარმოადგენს ე.წ. ფასისმიერი შემზღუდველი პრაქტიკის მაგალითს. აღნიშნული პუნქტი მოიცავს რამდენიმე ტიპის კანონდარღვევას, მათ შორის: მტაცებლური ფასის დაწესება, ჭარბი ფასის დაწესება და ზოგიერთი ტიპის ფასისმიერი დისკრიმინაცია.

ა.ა) მტაცებლური ფასის დაწესება

შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის დაწესების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა მტაცებლური ფასის დაწესება. კერძოდ, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი ახორციელებს პროდუქციის არასამართლიანად დაბალ ფასად მიწოდებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში იწვევს კონკურენტების ბაზრიდან განდევნას და მისი საბაზრო პოზიციის გამყარებას - აღნიშნული შედეგის მიღწევის შედეგად კი ხდება ფასების გაზრდა.[1044] შესაბამისად, მტაცებლური ფასის დაწესება ბაზრიდან განდევნისკენ მიმართული ქმედებაა.

მტაცებლური ფასების დაწესება ახალი ეკონომიკური აგენტების შესვლის ხელშემშლელი გარემოებაა, რადგან ბაზარი მათთვის ეკონომიკურად არაეფექტიანი ხდება. შესაბამისად, მტაცებლური ფასების სტრატეგია გულისხმობს მოკლევადიან მოგებაზე ან მის ნაწილზე უარის თქმას, რაც მომავალში სარგებელს მოიტანს. [1045] ამასთან, არ არის საჭირო დამტკიცდეს დომინანტი კომპანიის მიერ კონპენსირების შესაძლებლობა ან მომავალში მოგების მიღების ფაქტი.

თავის მხრივ, დომინანტი ეკონომიკური აგენტის საფასო პოლიტიკის შესაფასებლად მნიშვნელოვანია კომპანიის ხარჯების სტრუქტურის ანალიზი, რათა დადგინეს, სახეზეა თუ არა ე.წ. ხარჯების გამამართლებელი ხასიათი. ამდენად, ფასი მაღალი ალბათობით შეიძლება იყოს არასამართლიანი თუ ის არის პროდუქტის თვითღირებულებაზე დაბალი.[1046]

გლობალაგროს [1047] საქმეში, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ შეაფასა მოპასუხის საფასო პოლიტიკა და გააანალიზა მის მიერ მომხმარებლებისთვის შეთავაზებული ფასების

[1044] Ezrachi, Ariel, *EU Competition Law: An Analytical Guide to the Leading Cases*, 3rd ed., Hart Publishing, 2012, გვ. 167.

[1045] ტოკრანიანი, ჰასმიკ და ქურთაული, სოფიო, „დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი", გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2018, N5 (2018), გვ. 66.

[1046] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 8th ed., Oxford University Press, 2015, გვ. 757.

[1047] სკს, გრძანება №148, 12.10.2015.

სავარაუდო არასამართლიანობა. საქმეში, განმცხადებლის ინფორმაციით – 2009 წლიდან აზერბაიჯანულმა კომპანიამ "კარატ ჰოლდინგმა" დაიკავა ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა, კომპანია თავისი მძლავრი რესურსებით წარმოადგენდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ აზერბაიჯანის ბაზარზე ხორბლის იმპორტისა და მარცვალგადამამუშავებელი მრეწველობის ყველაზე მსხვილ მოთამაშეს, ფლობდა საწარმოო სიმძლავრეებს და შემნახველ ელევატორებს, ამდენად, შეეძლო ხორბლის დიდი პარტიის ერთიანად შეძენა, რაც მას საშუალებას აძლევდა, მოეხდინა ფქვილის რეალიზება დაბალ ფასად.

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესაძლო ფაქტის მოკვლევა განხორციელდა ხორბლის ფქვილის შესაბამის ბაზარზე, თუმცა, დომინანტური მდგომარეობის შეფასებისას სააგენტომ გაითვალისწინა ფქვილის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა პოზიციები ხორბლის შესაბამის ბაზარზე, ვინაიდან, სააგენტოს შეფასებით, აღნიშნული ბაზრები წარმოადგენენ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ზედა და ქვედა დონის ბაზარს, სადაც ერთი ბაზარი (ხორბლის ბაზარი) მეორე ბაზრისთვის (ხორბლის ფქვილის ბაზარი) რესურსების მიწოდების არეალს წარმოადგენს და "მიმწოდებელ" ბაზარზე არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა "მიმღებ" ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების პოზიციაზე. თუმცა, არ დადგინდა მოპასუხე კომპანიების მხრიდან კანონის მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი (კერძოდ, მტაცებლური ფასების გამოყენება).

სააგენტოს განმარტებით, *„დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტის მხრიდან საქონლის არასამართლიანი გასაყიდი ფასის დადგენა თეორიულად შესაძლებელია ორი გზით – არასამართლიანად მაღალი, ან არასამართლიანად დაბალი ფასის დაწესების გზით. […] არასამართლიანად დაბალ ფასად მიჩნეულ უნდა იქნას ისეთი ფასი, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვეულებრივ, ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის არსებობის პირობებში ეკონომიკური აგენტის, როგორც მოგებაზე ორიენტირებული*

ბიზნესსუბიექტის მოსალოდნელ ქცევას."[1048] თუმცა, აღნიშნულ საქმეში სააგენტომ მიიჩნია, რომ ეკონომიკური აგენტის ის უპირატესობები (ელევატორების სიმძლავრე, ფინანსური კაპიტალი) რომლებიც ურთიერთდამოკიდებულ პირებს საბაზრო ძალაუფლებას ანიჭებდა, ხდიდა მათთვის შესაძლებელს, რომ ბაზარზე ოპერირება მოეხდინათ კონკურენტებთან შედარებით დაბალი ფასებით, რადგან დანახარჯები (ერთეულზე) მათთან შედარებით ნაკლები ჰქონდათ.[1049]

ასევე, სააგენტომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე კომპანიებს 2012-2014 წლებში არ უფიქსირდებოდათ საბაზრო წილის ზრდა და ცალკეულ შემთხვევაში შეინიშნებოდა წილის ვარდნა. *„კონკურენციის პრინციპების დარღვევის ძირითად მიზანს, როგორც წესი, წარმოადგენს დანარჩენი ეკონომიკური აგენტების გაზრიდან განდევნის გზით საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესება და საბაზრო წილის ზრდა",*[1050]– რასაც, სააგენტოს შეფასებით, არ ჰქონია ადგილი.

მეორე საქმე, რომელშიც შეფასდა მტაცებლური ფასები, იყო *შპს „ტრანსკავკასუს ტერმინალის"*[1051] საქმე. შპს „ტრანსკავკასუს ტერმინალი" წარმოადგენდა ექსპედიტორ კომპანიას და ფლობდა სარკინიგზო ტერმინალს, რომელიც იყო ერთადერთი თბილისსა და მის შემოგარენში. კომპანიას, როგორც სარკინიგზო ექსპედიტორს, გამოცხადებული ჰქონდა კომბინირებული ტარიფი, რომელიც მოიცავდა საქართველოს რკინიგზის მომსახურებისა და სატერმინალო მომსახურებების ღირებულებას და მომჩივანი ეკონომიკური აგენტის განმარტებით, ფაქტობრივად არ მოიცავდა საექსპედიტორო მომსახურების ტარიფს. ამდენად, თუ ეკონომიკურ აგენტს არ სურდა, რომ მიეღო კომბინირებული ტარიფი და კონტეინერების ფოთიდან თბილისში გადაზიდვას შეუკვეთდა საქართველოს რკინიგზას, მას აუცილებლად უნდა მიეღო შპს „ტრანსკავკასუს ტერმინალის" (როგორც თბილისის სარკინიგზო

[1048] სკს, ბრძანება №148, 12.10.2015, გვ. 55.
[1049] სკს, ბრძანება №148, 12.10.2015., გვ. 55-56.
[1050] იქვე. გვ. 56.
[1051] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №155, 21.10.2015.

ტერმინალის ოპერატორის) მომსახურებაც. ამ შემთხვევაში, ჯამური დანახარჯები აღემატებოდა მოპასუხის მიერ შეთავაზებულ კომბინირებული საექსპედიტორო მომსახურების ფასებს. ამდენად, შპს „ტრანსკავკასუს ტერმინალს", კომბინირებული ტარიფის არსებობის პირობებში, საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელების ნაწილში აღარ ეყოლებოდა კონკურენტი.

მოკვლევის ფარგლებში, შესაბამის პროდუქციულ ბაზრად მიჩნეულ იქნა 20', 40' და 45-ფუტიანი კონტეინერების გადაზიდვების ბაზარი. ამასთან, 40 ტონამდე რკინიგზა და ავტომობილით გადაზიდვა მიჩნეულ იქნა ურთიერთჩანაცვლებადად, რადგან ბაზარზე ხელმისაწვდომი იყო 6 და 8-ღერძიანი სატვირთო ავტომობილები, რომლებსაც შეეძლოთ გადაეზიდათ აღნიშნული ტვირთი. გეოგრაფიულ ბაზრად მიჩნეულ იქნა საქართველოს მთელი ტერიტორია, რადგან კონტეინერები შესაძლოა გადაზიდულიყო საქართველოში ნებისმიერი მიმართულებით. სააგენტოს მიერ განხორციელებული ბაზრის ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ 2012, 2014-2015 წლებში სარკინიგზო გადაზიდვების წილი კონტეინერების სასაქონლო ბაზარზე არ იყო დიდი საავტომობილო გადაზიდვასთან შედარებით და შპს „ტრანსკავკასუს ტერმინალს" არ ეკავა დომინანტური მდგომარეობა არც კონტეინერების გადაზიდვის საერთო ბაზარზე და არც სარკინიგზო გადაზიდვის ბაზარზე (როგორც ექსპედიტორს).

სამწუხაროდ, კონკურენციის სააგენტოს მიერ განხილული საქმეებიდან არ დგინდება თუ რა სახის ტესტის გამოყენება ხდება არასამართლიანად დაბალი ფასების დადგენის მიზნით.

შედარებისთვის, ევროკომისიამ საქმეზე *Akzo Chemie BV v Commission,* [1052] განმარტა, რომ *მტაცებლური ფასი პირდაპირკავშირშია წარმოების დანახარჯთან.*[1053] კერძოდ:

[1052] Case C-62/86, *AKZO Chemie v Commission* [1991] ECR I-3395, EU:C:1991:286.

[1053] ავტორის შენიშვნა: კომპანიის მიერ გაწეული დანახარჯები იყოფა მუდმივ დანახარჯებად და ცვლად დანახარჯებად. მუდმივია დანახარჯი (Fixed Cost – FC), რომლის რაოდენობაც არაა დამოკიდებული წარმოების მოცულობაზე და რომლის განევაც მწარმოებელს უწევს ნებისმიერ შემთხვევაში, ნაწარმოები პროდუქციის რაოდენობის, ხარისხის და მსგავსი

1) როდესაც ფასი წარმოების საშუალო მთლიან დანახარჯზე (ATC) მეტია, მტაცებლური ფასი სახეზე არ არის;

2) როდესაც ფასი საშუალო მთლიან დანახარჯზე (ATC) ნაკლებია, მაგრამ საშუალო ცვლად დანახარჯზე (AVC) მეტია, ფასი მტაცებლურია მხოლოდ მაშინ, თუ ფასის დაწესება კონკურენტის გაზრიდან გაძევებას ისახავს მიზნად. შესაბამისად, ამ შემთხვევაში რელევანტური ხდება დომინანტი ეკონომიკური აგენტის განზრახვა.

3) თუ ფასი საშუალო ცვლად დანახარჯზე (AVC) ნაკლებია, მოქმედებს მტაცებლური ფასების დაწესების პრეზუმფცია, რომლის გაბათილება უნდა მოახდინოს დომინანტურმა მდგომარეობის მქონე პირმა.[1054]

გასათვალისწინებელია, რომ ბაზარზე მოქმედი თითოეული ეკონომიკური აგენტის მიზანს წარმოადგენს მისი საბაზრო პოზიციის გამყარება. ამდენად, რთულია შეფასება თუ როდის არის დომინანტი ეკონომიკური აგენტის ქცევა მისი სამართლიანი ბიზნესსტრატეგიის ნაწილი და როდის – კონკურენციის შემზღუდველი ხასიათის. საქმეებზე *Hoffmann-la-Roche* [1055] და *Michelin,* [1056] სასამართლომ განმარტა, რომ თუ დომინანტი ეკონომიკური აგენტი ბაზარზე პროდუქციის შეთავაზებას

კრიტერიუმების მიუხედავად. ცვლადია დანახარჯი (Variable Cost – VC), რომლის რაოდენობაც იცვლება წარმოების მოცულობასთან ერთად. ცვლად დანახარჯს, რომელიც გასაწევია წარმოების მთლიან მოცულობაზე, მთლიანი ცვლადი დანახარჯი (Total Variable Cost – TVC) ეწოდება. მთლიანი ცვლადი დანახარჯის იმ ნაწილს კი, რომელიც ხმარდება პროდუქტის ერთი ერთეულის დამზადებას – საშუალო ცვლადი დანახარჯი (Average Variable Cost – AVC). წარმოებასთან დაკავშირებული მთლიანი ცვლადი დანახარჯისა და ყველა მუდმივი დანახარჯის ჯამს ეწოდება მთლიანი დანახარჯი (Totat Cost – TC). თუ აღნიშნულ დანახარჯს გავყოფთ წარმოებული ერთეულების რაოდენობაზე, მივიღებთ საშუალო მთლიან დანახარჯს (Average Total Cost – ATC). იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები", 2017, გვ. 19 (სქოლიო). დანახარჯების სახეების დეტალური განხილვისთვის ასევე იხილეთ Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law,* 9th ed., Oxford University Press, 2018, გვ. 733-735.

[1054] იხ. Case C-62/86. *AKZO Chemie v Commission* [1991] ECR I-3395, EU:C:1991:286; იხ. ასევე: საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები", 2017, გვ. 19; Whish, Richard, Bailey, David, *Competition Law,* 8th ed., Oxford University Press, 2015, გვ. 784.

[1055] Case 85/76. *Hoffmann-La Roche & Co. AG v Commission* [1979] ECR 461, ECLI:EU:C:1979:36.

[1056] Case 322/81. *Nederlandsche Banden-Industrie-Michelin v Commission* [1983] ECR 3461, ECLI:EU:C:1983:313.

ახორციელებს დაბალ ფასად, მაგრამ ხარჯები პროპორციულია, ეს არ არის ანტიკონკურენტული ქმედება, თუნდაც აღნიშნულმა ქცევამ მისი კონკურენტების განდევნა გამოიწვიოს ბაზრიდან; თუმცა, თუ პროდუქციის შეთავაზება ხდება თვითღირებულებაზე დაბალ ფასად – ქმედება არაკონკურენტულია.[1057]

წარმოების დანახარჯების შეფასება ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტესტია, თუმცა, საშუალო ცვლად დანახარჯზე არანაკლებ მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს *საშუალო თავიდან არიდებადი ხარჯი (Average Avoidable Cost)*.[1058] აღნიშნული ხარჯის მნიშვნელობაზე ევროკომისია მსჯელობს მის სახელმძღვანელო დოკუმენტშიც.[1059] საშუალო თავიდან არიდებად ხარჯზე დაბალ ფასად პროდუქციის რეალიზების ტესტი ე.წ. მოგების გაწირვის ფაქტის მაჩვენებელი შეიძლება იყოს, თუმცა ევროსასამართლო უმეტესწილად მაინც საშუალო ცვლადი დანახარჯების შეფასებით შემოიფარგლება.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის პრაქტიკაში,[1060] მტაცებლური ფასების დაწესების გზით დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დადგენისთვის, არ არის

[1057] Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases, and Materials*, 5th ed., Oxford University Press, 2013, გვ. 378.

[1058] ავტორების შენიშვნა: საშუალო თავიდან არიდებადი ხარჯი (AAC) გამოითვლება კომპანიის წარმოების მთლიანი მოცულობის გაყოფით ყველა იმ ხარჯზე, რომლის თავიდან არიდებაც შეიძლებოდა. საშუალო ცვლადი დანახარჯი და თავიდან არიდებადი ხარჯი ერთი და იგივეა, თუ კომპანიას მხოლოდ ცვლადი დანახარჯების თავიდან არიდება შეეძლო, თუმცა, თუ მასში შედის ფიქსირებული ხარჯებიც, მაშინ თავიდან არიდებადი ხარჯი იქნება საშუალო ცვლად დანახარჯზე მაღალი. იხ. Whish, Richard, Bailey, David, *Competition Law*, 8th ed., Oxford University Press, 2015, გვ. 758.

[1059] ავტორების შენიშვნა: ევროკომისიის განმარტებით, დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ, კომპანიამ შეიძლება განიცადოს არა მხოლოდ ცვლადი, არამედ ფიქსირებული ხარჯებიც. მაგალითად, დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ დღის წესრიგში შეიძლება დადგეს გარკვეული დანადგარის შეცვლის საჭიროება და რაც ფიქსირებული დანახარჯია. ამდენად, თავიდან აცილებადი ხარჯი შეიძლება შედგებოდეს არამხოლოდ ცვლადი დანახარჯებისგან, არამედ, ფიქსირებულისგანაც. საშუალო თავიდან არიდებადი ხარჯი არის სწორედ ის ზედმეტად გახარჯული თანხა, რაც დომინანტმა კომპანიამ გასწია იმისთვის, რომ შეძლებოდა მტაცებლური ფასის დაწესება (შესაბამისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებელი წარმოების უზრუნველყოფა). იხ. Communication from the Commission – Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings, OJ C 45/7, 24.02.2009.

[1060] Case C-62/86, *AKZO Chemie v Commission* [1991] ECR I-3395, EU:C:1991:286; Case C-333/94 P *Tetra Pak International SA v Commission* [1996] ECR I-5951, ECLI:EU:C:1996:436.

არასამართლიანი ხასიათი შესაძლოა გამოხატულ იყოს ასევე ექსკლუზიურ გარიგებებშიც. თუმცა, ექსკლუზიური გარიგება ყველა შემთხვევაში არ იწვევს მხოლოდ „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტის დარღვევას.

ბ.ა) ექსკლუზიური გარიგებები

ექსკლუზიური ხასიათის გარიგებები ძირითადად წარმოადგენს ვერტიკალური ხასიათის შეთანხმებებს, კერძოდ, იდება ორი დონის ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს შორის – მიმწოდებელს (რომელიც წარმოდგენილია ზედა დონის ბაზარზე) და მომხმარებელს (რომელიც წარმოდგენილია ქვედა დონის ბაზარზე) შორის. ექსკლუზიური გარიგება შეიძლება იყოს როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი ფორმის.[1064] გარიგების ექსკლუზიური ხასიათი შესაძლოა გამოხატულ იყოს როგორც პროდუქციის ექსკლუზიურ შეძენაში, ასევე ექსკლუზიურ მიწოდებაში.[1065]

მაგალითად, შესაძლოა, მიმწოდებელმა დაავალდებულოს შემსყიდველი, რომ საქონელს მხოლოდ მისგან შეიძენს (ან მისგან შეიძენს პროდუქციის გარანტირებულ ნაწილს). ასევე, შესაძლოა, მიმწოდებელი იღებდეს ვალდებულებას, საქონელი მიაწოდოს მხოლოდ კონკრეტულ კონტრაჰენტს და არა მის კონკურენტებს.

ექსკლუზიური გარიგებები კომპლექსური ხასიათისაა და შეიძლება ასევე წარმოადგენდეს კანონის მე-7 მუხლის დარღვევას. ამ თავის ინტერესის საგანია მხოლოდ ის ექსკლუზიური გარიგებები, რომლის მხარეა დომინანტი ეკონომიკური აგენტი. ამ შემთხვევაში, ექსკლუზიური გარიგება ფასდება, როგორც დომინანტი ეკონომიკური აგენტის *ცალმხრივი ქმედება* – ანუ, კანონმდებლობის დარღვევის სუბიექტია მხოლოდ დომინანტი ეკონომიკური აგენტი.

[1064] ტიგრანიანი, ჰასმიკ და ქურთაული, სოფიო, „დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი", გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2018. N5 (2018). გვ. 83

[1065] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 8th ed., Oxford University Press, 2015, გვ. 723.

აუცილებელი, რომ სახეზე იყოს მომავალში მის მიერ ფასების ზრდით კომპენსირების მიღების შესაძლებლობა. [1061] ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში მომხმარებელი შეიძლება სარგებელს იღებდეს საქონლის ან მომსახურების დაბალი ფასით, მტაცებლური ფასების საშუალო და გრძელვადიანი უარყოფითი (რეალური ან პოტენციური) ეფექტების – კონკურენტების ბაზრიდან განდევნის პოტენციალის – გამო, ეს ქმედება აკრძალულია. კონკურენციის ორგანოების მხრიდან ჩარევა ხდება დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ საქონლის თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაციის დაწყებისთანავე, რაც გამართლებულია კონკურენციის დაცვის გრძელვადიანი ინტერესებით.

ა.ბ) ჭარბი ფასის დაწესება

არასამართლიანად დაბალი ფასების გარდა, დომინანტი ფირმა შესაძლოა ოპერირებდეს ბაზარზე არასამართლიანად მაღალი ფასითაც. ჭარბი ფასის დაწესება გამოიწვევს „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტის დარღვევას.

ამ დრომდე, კონკურენციის სააგენტოს არცერთ საქმეში არ შეუფასებია არასამართლიანად მაღალი ფასები. ამდენად, ქართული პრაქტიკით არ არის დადგენილი ტესტი თუ რა შემთხვევაში არის დომინანტური მდგომარეობის მქონე სუბიექტის მიერ დაწესებული ფასი არასამართლიანად მაღალი.

რაც შეეხება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკას, საქმეში *United Brands v Commission*[1062] შემოთავაზებულ

[1061] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 8th ed., Oxford University Press, 2015, გვ. 786. ხსენებული განსხვავდება ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკისგან.

[1062] Case 27/76, *United Brands Company and United Brands Continentaal BV v Commission of the European Communities* [1978] ECR 207, ECLI:EU:C:1978:22; იხ. ასევე: ტოგრანიანი, ჰასმიკ და ქურთაული, სოფიო, „დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი", გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2018, №5 (2018), გვ. 87.

იქნა ტესტი, რომელიც გამოიყენება ჭარბი ფასის არსებობის განსაზღვრისათვის. კერძოდ, უნდა დადგინდეს:

- არის თუ არა ფასი ჭარბი ეკონომიკური აგენტის დანახარჯებთან მიმართებით;
- ფასი არასამართლიანია თავისთავად, თუ კონკურენტ(ებ)ის ფასთან შედარებით.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში დავის საგანია, უნდა იყოს თუ არა ჭარბი ფასი კონკურენციის სამართლის რეგულირების ობიექტი, იმის გათვალისწინებით, რომ მაღალი ფასები შეიძლება ქმნიდეს დამატებით ასპარეზს კონკურენციისათვის (კერძოდ, ბაზარზე შესვლისთვის). ჭარბი ფასის დაწესებისას კონკურენციის ორგანოები, როგორც წესი, ერთვებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც დომინანტი ფირმა ოპერირებს შესვლის იმდენად მაღალი ბარიერების მქონე ბაზარზე, სადაც გონივრულ ვადაში შეუძლებელია მისთვის კონკურენციის გაწევა. ჭარბი ფასის საქმეები ხშირია ფარმაცევტულ ინდუსტრიაში.[1063]

ბ) არასამართლიანი სავაჭრო პირობები და ექსკლუზიური გარიგებები

არასამართლიანი სავაჭრო პირობების დაწესება აკრძალულია „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტით. მაგალითად, არასამართლიანი იქნება სავაჭრო პირობა, როდესაც დომინანტი კომპანია ავალდებულებს პროდუქციის შემძენს ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელიც ხელს უშლის ამ უკანასკნელს დომინანტი კომპანიის კონკურენტებთან ურთიერთობაში. მსგავსი დავალდებულების ერთ-ერთი ვარიანტია გაზიანი სასმელების მიმწოდებელის მიერ მაღაზიის დავალდებულება, რომ წინა სტენდზე განთავსებულ მაცივარში მხოლოდ მისი სასმელები შეინახოს – წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება სანქცირებას. სავაჭრო პირობების

[1063] იხ. მაგალითად, ევროკომისიის მიმდინარე საქმე *Aspen* (იხ. ევროკომისიის პრეს-რელიზი: IP/17/1323: Antitrust: Commission opens formal investigation into Aspen Pharma's pricing practices for cancer medicines, Brussels, 15 May 2017).

საქმეში *Hoffmann-La Roche v Commission* [1066] აღნიშნა, რომ *ექსკლუზიური გაყიდვები* შეიძლება მოექცეს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) როგორც 101-ე, ასევე 102-ე მუხლების რეგულირების ქვეშ. ამ შემთხვევაში, ევროკომისია შეაფასებს საქმის გარემოებებს (მათ შორის, შეთანხმების პირობებს, მხარეთა ურთიერთვალდებულებების ბუნებას, მათ კონკურენტულ პოზიციას ბაზარზე და სხვა) და გადაწყვეტს, თუ რომელი მუხლით გააგრძელოს მოკვლევა. [1067] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ან ქართულ სასამართლოებს ამ საკითხზე განმარტება ჯერჯერობით არ გაუკეთებიათ.

ექსკლუზიურ გარიგებებს შეეხებოდა საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ განხილული შპს „დუთი ფრი ჯორჯიას" საქმე [1068]. აღნიშნულ მოკვლევაში, შპს „დუთი ფრი ჯორჯიას" და სს „თბილისის თამბაქოს" შორის 2014 წლის პირველ იანვარს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა სს „თბილისის თამბაქოს" წარმოებული სიგარეტ „პირველის" შპს „დუთი ფრი ჯორჯიასთვის" მიწოდება შესაბამისი ღირებულების სანაცვლოდ. ცალმხრივი შეტყობინების საფუძველზე, დამატებითი გარემოებების მითითების გარეშე, აღნიშნული ხელშეკრულება შეწყვეტილ იქნა სს „თბილისის თამბაქოს" მიერ. ამასთან, სს „თბილისის თამბაქომ" მალევე გააფორმა ექსკლუზიური ხელშეკრულება შპს „დუთი ფრი ჯორჯიას" ერთადერთ კონკურენტ კომპანიასთან – შპს „დუთი ფრი ალიანსთან".

მომჩივნის აზრით, სს „თბილისის თამბაქოსა" და შპს „დუთი ფრი ალიანსს" შორის გაფორმებული ხელშეკრულება პირდაპირ ადგენდა სავაჭრო პირობებს თავისუფალი ვაჭრობის პუნქტების მიმართ, ვინაიდან განსაზღვრავდა საქონლის კატეგორიას, რომელიც უნდა განთავსებულიყო შესაბამის თავისუფალი

[1066] Case 85/76, *Hoffmann-La Roche v Commission* [1979] ECR 461, ECLI:EU:C:1979:36, para. 116.

[1067] ამ საკითხზე დეტალური დისკუსიისთვის იხ. Faull, Jonathan and Nikpay, Ali, *The EU Law of Competition*, 3rd ed., Oxford University Press, 2014, გვ. 331-332.

[1068] სკს, გრძანება №43, 28.03.2016.

ვაჭრობის პუნქტებში. კერძოდ, ხელშეკრულების შესაბამისად, მიმწოდებელს საქონელი ექსკლუზიურად უნდა მიეწოდებინა მხოლოდ მიმღებისთვის, ხოლო, სხვა თავისუფალ სავაჭრო პუნქტში საქონლის მიწოდების შემთხვევაში, ის დაჯარიმდებოდა. ანალოგიურად ჯარიმდებოდა საქონლის მიმღებიც.

სააგენტოს მიერ შესაბამის პროდუქციულ ბაზრად მიჩნეულ იქნა ფილტრიანი სიგარეტების ბაზარი, ხოლო, გეოგრაფიულ ბაზრად ცალკეული თავისუფალი სავაჭრო პუნქტი (Duty Free).

სააგენტომ აღნიშნულ საქმეში განსაზღვრა ბაზრის სამდონიანი სტრუქტურა, სადაც წარმოდგენილნი იყვნენ სიგარეტის საბითუმო მიმწოდებლები, სიგარეტით საცალოდ მოვაჭრე სუბიექტები და მომხმარებლები, რომელთაგანაც მოკვლევის ჯგუფმა კონცენტრირება მოახდინა პირველ და მეორე დონეს შორის არსებულ ბიზნესურთიერთობებზე, ანუ სიგარეტის საბითუმო მიმწოდებლებსა და საცალო მოვაჭრეებზე. ხსენებულის გათვალისწინებით დადგინდა, რომ განსახილველი ქმედების დროს (და არც მის შემდგომ) სს "თბილისის თამბაქოს" არ გააჩნდა დომინანტური მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე – თუმცა, საკითხი მაინც შეფასდა ჰიპოთეტურად, იმ კუთხით, რა შედეგი დადგებოდა, სს „თბილისის თამბაქოს" რომ ჰქონოდა დომინანტური მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე. ამდენად, შეფასდა ექსკლუზიური ხელშეკრულების პირობები და სააგენტომ განმარტა, რომ სს „თბილისი თამბაქოს" მიერ დომინანტური მდგომარეობის ფლობის შემთხვევაში, ადგილი ექნებოდა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების დარღვევას.

ევროსასამართლოს პრაქტიკაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმეა *Hoffman la Roche v Commission,*[1069] რომელშიც სასამართლომ განმარტა, რომ ექსკლუზიური გარიგებები წარმოადგენდა კონკურენციის თავისთავად (per se) დარღვევას და მათი კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის

[1069] Case C-85/76, *Hoffmann-La Roche & Co. AG v Commission* [1979] ECR 461, ECLI:EU:C:1979:36,

შეფასება აღარ იყო საჭირო[1070], თუმცა, აღნიშნული მიდგომა არ არის ცალსახა. მაგალითად, საქმეში *Intel v Commission*, [1071] რომელიც შეეხებოდა ფასდათმობებს ექსკლუზიურობის პირობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ გარიგება არ გამოიწვევდა TFEU-ს 102-ე მუხლის დარღვევას, თუ დომინანტ ეკონომიკურ აგენტს ექნებოდა ობიექტური გამართლება ან ეს ქმედება იწვევდა ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდას.[1072]

სასამართლომ ასევე გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ქმედების მე-6 მუხლის ქვეშ კვალიფიკაციისთვის, არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იყო ექსკლუზიურობის შესახებ შეთანხმების ინიციატორი. თუნდაც შემბოჭავი პირობა შემსყიდველის მოთხოვნით ჩადებულიყო, ეს მაინც დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება იქნებოდა, რადგან არსებითი ფაქტორი იყო ამ გარიგებით ბაზრის ჰორიზონტალური შეზღუდვის ფაქტი.[1073]

ბ.ბ) კონკურენციის შემზღუდველი ფასდათმობები

კონკურენციის სამართლებრივად რელევანტურ მოქმედებას წარმოადგენს ასევე ფასდათმობა (Rebates) დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების მხრიდან [1074]. კონკრეტულ შემთხვევებში ისინი შესაძლოა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევად ჩაითვალოს. ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც უნდა შემოწმდეს ის, ზღუდავს თუ არა კომპანიის

[1070] იქვე, para 89

[1071] Case C-413/14 P, *Intel Corp. v European Commission* [2017] Not yet published, ECLI:EU:C:2017:63.

[1072] იქვე, პარ. 140; ავტორების შენიშვნა: წინამდებარე გადაწყვეტილებით, საქმე ხელახლა განსახილველად არის დაბრუნებული საერთო სასამართლოში, ამდენად, ცალკეული საკითხები ჯერ კიდევ სადავოა.

[1073] Case 85/76, Hoffmann-La Roche & Co. AG v Commission, [1979] ECR 461, ECLI:EU:C:1979:36, para 89.

[1074] ავტორების შენიშვნა: ფასდათმობის სისტემების კონკურენციის სამართლებრივ ანალიზთან დაკავშირებით საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკა არ არსებობს. თუმცა, ევროპული კავშირის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს მიმოვიხილოთ ეს საკითხი იმგვარად, რომ იგი შესაბამისობაში იყო სკს-ის დეკლარირებულ ხედვებთან, ქართული და ევროპული კონკურენციის კანონმდებლობის დაახლოების მიმდინარე პროცესის გათვალისწინებით.

მიერ განხორციელებული ფასდათმობის სისტემა კონკურენციას შესაბამის ბაზარზე.

საინტერესოა, რომ კონკურენტულ ბაზარზე მოქმედი თითქმის ყველა ფირმა იყენებს ფასდაკლებისა და ფასდათმობის რაიმე სისტემას რაიმე ფორმით. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან კონკურენტულ ბაზარზე საქონლის/მომსახურების ფასი თეორიულად ზღვრული დანახარჯების ტოლია, ხოლო პრაქტიკაში ამ მაჩვენებლისკენ მიისწრაფვის. თუმცა კონკურენციის დაცვის ოფისების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამგვარი სისტემების ამოქმედება სწორედ დომინანტური მდგომარეობის მქონე კომპანიების მხრიდან.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ ფასდათმობის ცნება განსხვავდება ყოველდღიურობაში დამკვიდრებული ფასდაკლების ცნებისაგან. კერძოდ, თუ ფასდაკლება გულისხმობს წინასწარ დადგენილი ფასის ex post შემცირებას, ფასდათმობის შემთხვევაში საქმე გვაქვს ეკონომიკური აგენტის მხრიდან მისი კონტრაჰენტისთვის ხარჯების, ან მათი ნაწილის უკუქცევით ანაზღაურებასთან.[1075]

შესაბამისად, ფასდათმობა გულისხმობს თანხის დაბრუნებას საქონლის ან მომსახურების შეძენის შემდეგ, მაშინ, როცა ფასდაკლება წინასწარ დადგენილი ფასისგან განსხვავებული (უფრო ნაკლები) ფასით ხელშეკრულების დადებას ნიშნავს. ერთი შეხედვით, ამ ორ მოქმედებას შორის არ არსებობს განსხვავება, თუმცა როგორც წესი, მათი ეკონომიკური შინაარსი განსხვავებულია და შესაბამისად, შედეგიც განსხვავებული მოჰყვება, როგორც კონკრეტული კონტრაჰენტისათვის, ასევე მთლიანად ბაზარზე ზეგავლენის ასპექტშიც.

ძირითადი ფორმისმიერი განსხვავება ფასდაკლებასა და ფასდათმობას შორის, რომელიც თანხის დაბრუნების დროში გამოიხატება, შინაარსობრივად კიდევ უფრო ფართოა. კერძოდ, თუ პირველი მათგანი დაკავშირებულია შეძენილი პროდუქტისა და მომსახურების რაოდენობასთან, მეორე შემთხვევაში ფასდათმობის

[1075] Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases, and Materials*, 5th ed., Oxford University Press, 2013, გვ. 455.

მიღება დაკავშირებულია კონტრაჰენტის ერთგვარ ლოიალურობასთან, ან სხვა დამატებით პირობებთან. შესაბამისად, განსხვავებულია გამყიდველის ამგვარი მოქმედების მიზეზები და მიზნებიც. ფასდაკლების შემთხვევაში, საქმე გვაქვს მასშტაბის ეკონომიით გამოწვეულ შესაძლებლობაზე (შემცირებული დანახარჯების პირობებში), მყიდველისთვის შეთავაზებული იქნას კონკურენტუნარიანი ფასი. ფასდათმობისას კი შესაძლოა საქმე გვქონდეს კონკურენტების ბაზრიდან გაძევების გზით უფრო მეტი წილის მოპოვების მიზანთან.

ეს მიზანი შესაძლოა გამოიხატებოდეს, მაგალითად, წინასწარ შეთანხმებულ გაყიდვების რაოდენობაში, რის შესრულებასთანაც იქნება დაკავშირებული შემდგომ ეტაპზე თანხის დაბრუნება.[1076]

რაც შეეხება ფასდათმობების მეშვეობით კონკურენციის შეზღუდვის ფაქტების კონკურენციის სამართლებრივ ბუნებას, ევროპული მიდგომა ამ მხრივ ერთგვაროვანი არ ყოფილა წლების განმავლობაში. კერძოდ, 2009-2010 წლებამდე ევროპის კონკურენციის დაცვის ოფისები მიიჩნევდნენ, რომ დროში უკუქცევითი ხასიათის, მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები და ექსკლუზიურ კონტრაჰენტობაზე მიბმული ფასდათმობები *per se* დარღვევას წარმოადგენდნენ, ისახავდნენ რა მიზნად, ან შესწევდათ რა უნარი, შეეზღუდათ კონკურენცია შესაბამის ბაზარზე.[1077]

თუმცა, 2009 წლის *Intel*-ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში გამოჩნდა, რომ მიდგომა აღნიშნულ საკითხზე დიდწილად შეიცვალა. ამ პროცესს წინ უძღოდა 2005 და 2009

[1076] Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases, and Materials*, 5th ed., Oxford University Press, 2013.

[1077] იხ. მაგალითად, Case T-155/06, *Tomra Systems ASA and Others v European Commission* [2010] ECR II-4361, ECLI:EU:T:2010:370, para. 16 *[...as was held in Case T-203/01 Michelin v Commission [2003] ECR II-4071 ('Michelin II'), paragraph 239, and Case T-219/99 British Airways v Commission [2003] ECR II-5917, paragraph 293 – for the purpose of establishing an infringement of Article 82 EC, it is sufficient to show that the abusive conduct of the undertaking in a dominant position tends to restrict competition or, in other words, that the conduct is capable of having that effect, the Commission completed its analysis by considering the likely effects of the applicants' practices on the RVM market. ...].*

წლების კომისიის *"სადისკუსიო დოკუმენტები"*,[1078] რომლებშიც განხილული იყო ფასდათმობები, როგორც დარღვევა, რომელიც ეკონომიკური ეფექტიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს. სწორედ *Intel*-ის საქმეზე ევროკომისიამ დაადგინა დარღვევა ექსკლუზიურობის პირობის გამო, თუმცა ამავდროულად შეაფასა ფასდათმობების ანტიკონკურენციული ეფექტიც, რაც მიუთითებდა იმაზე, რომ ამგვარი შეზღუდვები by effect შეზღუდვას წარმოადგენს. მიუხედავად აღნიშნულისა, 2014 წელს ევროკავშირის საერთო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ კომისიას საერთოდ არ უნდა ემსჯელა გადაწყვეტილებაში ეკონომიკურ ეფექტზე, ვინაიდან განსახილველი ქმედება თავისთავად წარმოადგენდა დარღვევას.[1079] საბოლოოდ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2017 წლის გადაწვეტილებით, რომლითაც საქმე თავიდან განსახილველად დაუბრუნდა ქვემო ინსტანციის სასამართლოს,[1080] უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარი ფასდათმობები per se კონკურენციის შემზღუდველად არ უნდა იქნას მიჩნეული. ყოველ შემთხვევაში, ამ დრომდე არსებული პრაქტიკა ამის თქმის საფუძველს არ იძლევა.

როგორც წესი, ეკონომიკური აგენტები ბაზარზე სხვადასხვა ტიპის ფასდათმობის სისტემებს სთავაზობენ კონტრაჰენტებს. ეს შეთავაზებები ერთმანეთისგან შინაარსითა და სირთულით განსხვავდებიან. ფასდათმობის (ფართო გაგებით) ყველაზე მარტივი მაგალითია "მეორე ნივთი ნახევარ ფასად". თუმცა, რა თქმა უნდა, პრაქტიკაში ბევრად რთული სქემებიც გვხვდება, რომლებიც ხშირ შემთხვევაში უკუქცევით ანაზღაურებასაც გულისხმობენ.

[1078] იხ. European Commission, DG Competition discussion paper on the application of Article 82 of the Treaty to exclusionary abuses, 2005, http://ec.europa.eu/competition/antitrust/art82/discpaper2005.pdf და Communication from the Commission — Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings, OJ C 45/7, 24.02.2009.

[1079] Case T-286/09, *Intel v Commission* [2014], ECLI:EU:T:2014:547.

[1080] Case C-413/14 P, *Intel Corp. v European Commission* [2017], ECLI:EU:C:2017:632.

უკუქცევით ანაზღაურებასთან, ანუ თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებული სქემები, როგორც წესი, გულისხმობს კონტრაჰენტის მხრიდან გარკვეული პირობის (უმეტესწილად რაოდენობრივი) დაკმაყოფილებას. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ კონტრაჰენტი წინასწარ დათქმული პერიოდის შემთხვევაში შეისყიდის ეკონომიკური აგენტისგან დათქმულზე მეტი ოდენობის საქონელს/მომსახურებას, იგი მიიღებს შეთანხმებულ ფასდაკლებას (თანხას დაიბრუნებს).

უკუქცევით (რეტროაქტიულ) ფასდათმობებზე მსჯელობისას, არ უნდა გამოგვრჩეს ის მნიშნელოვანი ფაქტი, რომ მყიდველი ფასდაკლებას იღებს არა მხოლოდ გარკვეული რაოდენობრივი ზღვრის დაკმაყოფილების შემდეგ ამ ზღვრის მიღმა ნაყიდი ერთეულებისათვის, არამედ რეტროაქტიულად, ყველა იმ ერთეულზე, რომელიც მან ჯამში შეიძინა. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც ფასდათმობას განასხვავებს მარტივი ტიპის ფასდაკლებისაგან, რომელიც მიუხედავად იმისა, მიბმულია თუ არა მყიდველის მიერ შეძენილი საქონლის/მომსახურების რაოდენობასთან, მიემართება მხოლოდ ზღვრულ შენაძენს, ანუ ყოველ შემდეგ შენაძენს. მაგალითისთვის, უპირობო ფასდაკლება მიემართება პირველივე შენაძენს, ხოლო ფასდაკლება "ყოველ შემდეგ პროდუქტზე" არ ვრცელდება პირველ შენაძენზე და მოქმედებს მხოლოდ მეორე (შეთანხმების შესაბამისად, მესამე, მე-100 თუ სხვა) შენაძენზე.

ფასდათმობები (ფართო გაგებით), შეგვიძლია დავყოთ ორ ძირითად სახედ – უპირობო და პირობითი ფასდათმობა. უპირობო ფასდათმობა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მარტივი, წინასწარ გამოცხადებული ფასდაკლება, რომელიც შეიძლება მიიღოს ნებისმიერმა კონტრაჰენტმა და იგი პირთა განუსაზღვრელი წრისკენაა მიმართული. რაც შეეხება პირობით ფასდათმობას, იგი მხოლოდ იმ პირებისთვისაა განკუთვნილი, რომელიც გარკვეულ პირობებს დააკმაყოფილებენ. უპირობო ფასდათმობები (ანუ ფასდაკლებები), ზოგიერთ შემთხვევაში განხილულ უნდა იქნას „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის იმ ნორმატიული შინაარსით, რომელიც ე.წ.

"მტაცებლურ ფასწარმოქმნას" [1081] გულისხმობს, ხოლო კონკურენციის შემზღუდველი ფასდათმობების ჭრილში პირველ რიგში მოვიაზრებთ პირობადადებულ ფასდათმობებს.

ევროკომისიის 2009 წლის სადისკუსიო (სარეკომენდაციო) დოკუმენტში განხილულია როგორც უპირობო, ასევე პირობადადებული ფასდათმობების ძირითადი სახეები. [1082] მათ შორის:

1. ექსკლუზიურობის პირობა – შემთხვევა, როდესაც მიმწოდებელი მხარე მოითხოვს მყიდველისგან, მხოლოდ მისგან შეიძინოს შესაბამისი პროდუქცია, ან ამ პროდუქციის მოხმარების გარკვეული წილი (ხშირ შემთხვევაში ეს წილი აღემატება 80%-ს) დაიკმაყოფილოს სწორედ ამ მიმწოდებლისგან.

2. რაოდენობრივი პირობა – შემთხვევა, როდესაც მიმწოდებელი მყიდველს მხოლოდ იმ შემთხვევაში სთავაზობს ფასდათმობას, თუ ის მისგან შეიძენს გარკვეულ რაოდენობაზე მეტ პროდუქციას.

3. გადაბმის პირობა – ფასდათმობის წინაპირობად მიმწოდებელი განიხილავს მყიდველის ვალდებულებას, შეიძინოს დამატებით სხვა პროდუქტიც (გარდა იმისა, რომელსაც ეხება ფასდათმობა).

პირობადადებული ფასდათმობის ეკონომიკური შინაარსი ჩვეულებრივი ფასდაკლებისაგან უმთავრესად იმით განსხვავდება, რომ პირობადადებული ფასდათმობა მყიდველის მიმწოდებელზე ერთგვარ "დამოკიდებულებას" იწვევს. ის მოტივირებულია, რომ უფრო მეტი შეიძინოს კონკრეტული მიმწოდებლისგან, შეიძინოს პროდუქცია მხოლოდ ამ უკანასკნელისგან ან შეიძინოს მისგან სხვა პროდუქტიც, რადგან სწორედ ამ მოქმედებების შესრულება წარმოადგენს ფასდაკლების მიღების წინაპირობას. ის ფაქტი, რომ

[1081] ავტორის შენიშვნა: მტაცებლურ ფასებთან დაკავშირებით საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიდგომის განმარტებებისთვის, იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის ზოგი დებულებების განმარტება", 2018. http://competition.ge/images/upload/gzamkvlevi.pdf.

[1082] Communication from the Commission — Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings, OJ C 45/7, 24.02.2009.

თანხის დაბრუნება (ფასდაკლების მიღება) დროში მხოლოდ ამ მოქმედებების განხორციელების შემდეგ ხდება, მყიდველისთვის ზემოაღნიშნული მოქმედებების შესრულების აუცილებლობას კიდევ უფრო ამძაფრებს.[1083]

ფასდათმობის სისტემის კონკურენციის პრინციპებთან არათავსებადობის ერთ-ერთი ყველაზე ძველი მაგალითია საქმე *Michelin v Commission*, [1084] რომელშიც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაადასტურა სატვირთო მანქანებისთვის ახალი სათადარიგო საბურავების მიმწოდებელი კომპანია Michelin-ის მიერ. Michelin-ი საკუთარ დილერებს (რომლებიც ამავდროულად ყიდდნენ მისი კონკურენტების პროდუქციასაც) სთავაზობდა რაოდენობრივ პირობაზე დამოკიდებულ ფასდათმობის სისტემას, წლიური გაყიდვების რაოდენობის ჭრილში. აღსანიშნავია, რომ ფასდათმობის ოდენობა, ისევე როგორც წლიური სარეალიზაციო მოცულობები, ინდივიდუალურად დგინდებოდა და მთელი ეს სისტემა ძალზე გაუმჭვირვალე იყო. როგორც სასამართლომ დაადგინა, ფასდათმობის სისტემით განსაზღვრული ლიმიტები, ასევე მათი დათვლის ერთწლიანი მასშტაბი წარმოადგენდა ობიექტურად გაუმართლებელ ზეწოლას კონტრაჰენტებზე, რომლებიც, კონცეტრირდებოდნენ მხოლოდ Michelin-ის პროდუქციის რეალიზაციაზე, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა მთელი ფასდაკლება დაეკარგათ. აღნიშნული მოტივაცია თითქმის გამორიცხავდა კონკურენტებისგან პროდუქციის შეძენის ალბათობას (თუნდაც უკეთესი მყისი (მოკლევადიანი) პირობებით).

მეორე მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც ლოიალურ ფასდათმობას ეხება, არის *Intel v Commission*,[1085] რომელიც ზემოთ

[1083] ეკონომიკური შინაარსისა და მომხმარებელთა ზიანის თეორიის შესახებ იხ. Sam`a, Danilo. „The Antitrust Treatment of Loyalty Discounts and Rebatesinthe EU Competiuon Law: in Search of an Economic Approach and a Theory of Consumer Harm", LUISS "GuidoCarli" University of Rome, 2012.

[1084] Case 322/81, *Nederlandsche Banden-Industrie-Michelin v Commission* [1983] ECR 3461, ECLI:EU:C:1983:313.

[1085] Summary of Commission Decision of 13 May 2009 relating to a proceeding under Article 82 of the EC Treaty and Article 54 of the EEA Agreement (Case COMP/C-3/37.990 — Intel), OJ C 227/13,

არაერთხელაა ხსენებული. ამ საქმეში კომისიამ დაადგინა, რომ Intel-მა ბოროტად გამოიყენა დომინანტური მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე, რაც გამოიხატებოდა კომპიუტერის მწარმოებელი კომპანიებისთვის კონკურენციის შემზღუდველი ფასდათმობების შეთავაზებაში. კერძოდ, კომპანიამ მის ვერტიკალურ კონტრაჰენტებს (Dell, HP) შესთავაზა ფასდათმობები ექსკლუზიურობის პირობით (საქმე ეხებოდა მიკროჩიპის შესაბამის ბაზარს). კერძოდ, Intel-მა კონტრაჰენტები დაავალდებულა, შეესყიდათ მათთვის აუცილებელი მიკროჩიპების 80-100% სწორედ Intel-ისგან. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კომისიამ აღნიშნული სქემა კანონდარღვევად მიიჩნია, თუმცა კვლევის პროცესში შეაფასა ასევე ქმედების ანტიკონკურენციული ეფექტი, კერძოდ, შეფასებულ იქნა როგორც კომპანიის კონკურენტების მიმართ, ასევე მასთან ვერტიკალურ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი კომპანიებისა და მომხმარებლებისადმი მიყენებული ზიანი და შესაბამისი გავლენა ბაზარზე.

გ) მიწოდებაზე უარი

მარჟის შეზღუდვის მსგავსად, მიწოდებაზე უარის (refusal to supply) დროსაც საჭიროა ორი დონის – ზედა და ქვედა დონის ბაზრების არსებობა.[1086] მიწოდებაზე უარი საკმაოდ საკამათოა იმ კუთხით, რომ ერთი მხრივ, კომპანიას უნდა შეეძლოს თვითონ შეარჩიოს კონტრაჰენტები, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული სახელშეკრულებო თავისუფლება ბოროტად არ უნდა იქნეს გამოყენებული დომინანტური მდგომარეობის სუბიექტის მიერ იმგვარად, რომ მისმა ცალმხრივმა ქცევამ შეზღუდოს კონკურენცია ბაზარზე.

იმისთვის, რომ დადგინდეს, არის თუ არა სახეზე მიწოდებაზე ან დაშვებაზე უარი, საჭიროა შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმები:

2009; იხ. ასევე Case T-286/09, *Intel v Commission*; Case C-413/14 P, *Intel Corp. v European Commission*.

[1086] Ezrachi, Ariel, *EU Competition Law: An Analytical Guide to the Leading Cases*, 3rd ed., Hart Publishing, 2012, გვ. 170.

ა) არსებობს თუ არა ფაქტობრივი მოცემულობა – მიწოდებაზე უარი, რაც ასევე შეიძლება გამოიხატოს დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ ისეთი პირობების შეთავაზებაში, რომლის მიღებაც მომხმარებელს ვერ შეეძლება.[1087]

ბ) აქვს თუ არა ეკონომიკურ აგენტს დომინანტური მდგომარეობა ზედა დონის ბაზარზე.

გ) პროდუქცია, რომლის მიწოდებაზეც დომინანტი ეკონომიკური აგენტი უარს აცხადებს, არის თუ არა აუცილებელი ქვედა დონის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტისათვის ბაზარზე ოპერირებისათვის.

პროდუქტის აუცილებელი ხასიათი შესაძლოა გამოხატული იყოს სხვადასხვა ფორმით:

ფიზიკური აუცილებლობა – მაგალითად, შესაძლოა არსებობდეს მხოლოდ ერთი, სახმელეთო საზღვარი, სადაც შესაძლებელია პორტის აშენება და სხვა გზით ტვირთი ვერ მოხვდება ქვეყნის ტერიტორიაზე.

სამართლებლივი შეუძლებლობა – პირს გააჩნია ინტელექტუალური საკუთრების უფლება გარკვეულ აუცილებელ ობიექტზე.

ეკონომიკური შეუძლებლობა – თუმცა, ეს არ გულისხმობს იმას, რომ დონინანტი ეკონომიკური აგენტი ქველმოქმედებას უნდა ეწეოდეს პატარა კომპანიების მიმართ, რომლებსაც არა აქვთ მისთვის კონკურენციის გაწევის ეკონომიკური შესაძლებლობა. ეკონომიკური შეუძლებლობა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს და ყველაზე ეფექტური ტესტი, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღნიშნულ შემთხვევაში, არის „თანაბრად ეფექტიანი კონკურენტის" (AEC) შეფასების ტესტი.

დ) ზღუდავს თუ არა მიწოდებაზე ან დაშვებაზე უარი კონკურენციას ქვედა დონის ბაზარზე.

[1087] Communication from the Commission — Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings, OJ C 45/7, 24.02.2009, para. 79.

ე) არის თუ არა მიწოდებაზე ან დაშვებაზე უარის ობიექტური გამამართლებელი გარემოებები.[1088]

ამდენად, ცალსახაა, რომ მიწოდებაზე უარი არ არის თავისთავად კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე ქმედება და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს მისი კონკურენციის შემზღუდველი ეფექტიც.

ფოთის პორტის საქმეზე [1089] საქართველოს კონკურენციის სააგენტომ ფოთის პორტის ქმედება ასევე შეაფასა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტთან მიმართებითაც, რადგან მიბმა და მიწოდებაზე უარი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან დაკავშირებული ქმედებებია. სააგენტომ გამოყო ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ქმედება განსახილველ ნორმის საფუძველზე დარღვევად მიჩნევისათვის. კერძოდ, სახეზე უნდა იყოს:

1. ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე;

2. დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მხრიდან ისეთი არსებითი სიმძლავრის ფლობა, რომელიც წარმოადგენს აუცილებელ საშუალებას/ ინფრასტრუქტურას დაკავშირებულ ქვედა ბაზარზე ოპერირებისათვის;

3. ქვედა ბაზარზე ოპერირების ხელშეშლა რაიმე ფორმით;

4. მომხმარებელთა ინტერესების შეზღუდვა.

სააგენტომ განმარტა, რომ ე.წ. ახალი სქემის ფარგლებში, ფოთის პორტის მიერ საპორტო (სტივიდორული) მომსახურების მიღების გარეშე, სატერმინალო კომპანიები ვერ მოახერხებდნენ ტვირთის გატანას პორტის ტერიტორიიდან და მასზე სატერმინალო მომსახურების გაწევას. ამდენად, საპორტო (სტივიდორული) მომსახურება მიჩნეულ იქნა იმ აუცილებელ პროდუქტად, რომლის მიღების გარეშეც ქვედა დონის ბაზარზე მოქმედი კომპანიები ვერ განახორციელებდნენ სატერმინალო მომსახურებას ტვირთზე.

[1088] Communication from the Commission — Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings, OJ C 45/7, 24.02.2009, para. 83.

[1089] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №04/91, 21.04.2017.

პორტის მომსახურება შეფასდა როგორც არსებითი საშუალება (essential facilities). [1090]

სააგენტომ დაადგინა, რომ სს "კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" მფლობელობაში არსებული ტერიტორია, საიდანაც უნდა მომხდარიყო კონტეინერის ტრანსპორტირება ტერმინალში, იქნება ეს ახლანდელი ნავსადგურის ეზო, თუ დაგეგმილი ICT ტერმინალის ტერიტორია, წარმოადგენდა აუცილებელ საწყის პუნქტს სახმელეთო ტერმინალებამდე კონტეინერის სატრანსპორტო გადაზიდვისთვის, რაც განხილულ უნდა იქნას, როგორც არსებითი საშუალება შესაბამის ბაზარზე ფუნქციონირებისათვის.

სააგენტომ ასევე იმსჯელა ობიექტურ გამამართლებელ გარემოებაზე და მიიჩნია, რომ გამამართლებელი გარემოება არ იყო ფოთის პორტის მიერ ახალი სქემის ამოქმედების მიზეზად უსაფრთხოების წესების გაუმჯობესება.

ანალოგიური პრინციპებია დაცული ევროკომისიის მიერ განხილულ საქმეებშიც. კერძოდ, საფრანგეთის მცირე პორტის – Roscoff-ის [1091] ოპერატორმა ბოროტად გამოიყენა დომინანტური მდგომარეობა ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთს შორის არსებულ მომსახურების ბაზარზე, როდესაც ხელმისაწვდომობაზე უარი უთხრა Roscoff-სა და ირლანდიას შორის მომსახურების გაწევის მოსურნე ირლანდიურ საბორნე კომპანიას. გამოიკვეთა, რომ პორტის ოპერატორს გააჩნდა მცირე წილი საბორნე კომპანია Brittany Ferries-ში, რომელიც საქმიანობდა Roscoff-სა და ირლანდიას შორის არსებულ მარშრუტზე. შესაბამისად, ახალი ირლანდიული კომპანია წარმოადგენდა მის კონკურენტს.

[1090] ავტორების შენიშვნა: არსებითი საშუალებების (Essential facilities) დოქტრინა არის სამართლებრივი დოქტრინა კონკურენციის სამართალში, რომელიც აღწერს მონოპოლიზაციის კერძო სახესხვაობას. იგი მიემართება კონკურენციის შემზღუდველ ისეთ ქმედებებს, სადაც განსაკუთრებული საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკურ აგენტს ხელთ აქვს „ბაზრის კარიბჭე" და კონკურენტებს ხელს უშლის ბაზარზე შესვლაში. სწორედ „ბაზრის კარიბჭე" წარმოადგენს ამ ბაზარზე ფუნქციონირებისათვის საჭირო არსებით საშუალებას და როგორც წესი, ის არის დამაკავშირებელი ხიდი ორ ურთიერთდაკავშირებულ ბაზარს შორის (upstream and downstream markets). ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება ზედა ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტს გააჩნია.

[1091] N35388 Irish Continental Group v./ CCI Morlaix (Roscoff), 16.05.1995.

ევროკომისიამ დაადგინა, რომ პორტის ოპერატორს ეკავა დომინანტური მდგომარეობა ბაზარზე ფუნქციონირებისათვის საჭირო არსებითი საშუალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით. ევროკომისიამ გადაწყვეტილებაში მიუთითა: „დღესდღეობით, პორტი Roscoff-ი ფლობს არსებით საშუალებებს ბაზარზე, ხოლო სხვა პორტები არ არიან მისი პირდაპირი ჩანაცვლებადი". შესაბამისად, ევროკომისიამ მიიჩნია, რომ ობიექტური დასაბუთების არარსებობის პირობებში, ოპერატორის უარი არსებით ინფრასტრუქტურაზე დაშვების თაობაზე არის დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. შედეგად, ოპერატორს (CCI de Morlaix-ს) დაევალა, მიეღო ირლანდიური ოპერატორის მიერ არსებით ინფრასტრუქტურაზე წვდომის უზრუნველყოფისთვის საჭირო ქმედითი ზომები.

მიწოდებაზე უარის თქმის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური შემთხვევაა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული საქმეები. „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი არ ვრცელდება ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს უფლებები კონკურენციის შეზღუდვისა და აღკვეთისათვის გამოიყენება.[1092] კონკურენციის შეზღუდვის ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა შეიძლება იყოს სწორედ მიწოდებაზე უარი. თუმცა, ინტელექტუალური საკუთრების ფლობით მინიჭებული უფლებები და კონკურენციის სამართლით კონკურენტის არსებით სიმძლავრეზე დაშვების უფლებები ერთდროულადაა დაცული სამართლით. შესაბამისად, ლიცენზიაზე უარი ვერ იქნება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, თუ ეს უარი ინტელექტუალური სამართლით პირისათვის მინიჭებული უფლებების გონივრულ ფარგლებში ჯდება. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეში IMS Health[1093] განმარტა, რომ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის მიწოდებაზე უარი,

[1092] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 1, პუნქტი 4, ქვეპუნქტი „ბ".
[1093] Case C-418/01, *IMS Health* [2004] ECR I-5039, ECLI:EU:C:2004:257, para 52.

როგორც კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა, სახეზე იქნება იმ შემთხვევაში თუ ა) კომპანიას ლიცენზირებული პროდუქტი ესაჭიროება სხვა ისეთი ახალი პროდუქტის საწარმოებლად, რომელიც მოთხოვნადი იქნება პოტენციური მომხმარებლისთვის; ბ) მიწოდებაზე უარის თქმის ობიექტური გამამართლებელი გარემოება არ არსებობს; გ) მიწოდებაზე უარი ზღუდავს კონკურენციას.

მაგალითად, პირს შესაძლოა ჰქონდეს პატენტი რაიმე მედიკამენტზე, რომელიც (1) აუცილებელი ინგრედიენტია სხვა, უკურნებელი დაავადების სამკურნალო მედიკამენტის საწარმოებლად, ან (2) ბევრად ეფექტიანია ბაზარზე მოქმედ სხვა მედიკამენტებთან შედარებით. თუ ასეთი პირი უარს აცხადებს კონკურენტის დაშვებაზე პატენტის გამოყენების უფლების არ მიცემის მეშვეობით, სახეზეა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

ქართულ პრაქტიკაში, ლიცენზიანტი კომპანიის მიერ მიწოდებაზე უარის თქმის ფაქტთან დაკავშირებით განხილულ იქნა წყალტუბოს ბალნეოლოგიური კურორტის საქმე.[1094] კერძოდ, სს „ჯანმრთელობა“ მიუთითებდა სს „ბალნეოსერვისის“ მიერ წყალტუბოს თერმული წყლების მონოპოლიზაციის ფაქტზე, რაც გამოიხატებოდა კონკურენტი კომპანიისათვის წყლის გადაცემაზე უარის თქმაში. ამავდროულად, თავად სს „ბალნეოსერვისი“ სრულად ვერ ითვისებდა წყალს და იგი იღვრებოდა. სს „ბალნეოსერვისი“ იყო ერთადერთი ეკონომიკური აგენტი, რომელსაც გააჩნდა 25 წლის ვადით გაცემული ლიცენზია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, წყალტუბოს მინერალურ-თერმული წყლების საბადოზე ტურისტული და რეკრეაციული მიზნებისთვის სასარგებლო წიაღისეულის გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვებაზე. 2012 წელს, სს “ბალნეოსერვისს“ განესაზღვრა ვალდებულება, ლიცენზიის მიღებიდან 1 თვის ვადაში, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების

[1094] სკს, ბრძანება №31, 04.03.2015.

სამინისტროს სსიპ – ბუნებრივი რესურსების სააგენტოში დასამტკიცებლად წარედგინა სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). გეგმა წარმოდგენილ იყო სააგენტოში, თუმცა არ იყო დამტკიცებული.

ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ლიცენზიით განსაზღვრული რესურსის ნაწილს სს "ბალნეოსერვისი" მოიპოვებდა თვითონ, ხოლო ნაწილს იჯარით გადასცემდა შპს "ბალნეოსარეაბილიტაციო ცენტრს".

სააგენტოს მიერ ქმედება შეფასდა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებთან მიმართებით. კერძოდ, ქმედება გამოიხატებოდა სს "ბალნეოსერვისის" მიერ განმცხადებელი ეკონომიკური აგენტის შვილობილი კომპანიისთვის, შპს "სანატორიუმი საქართველოსთვის" წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლის მიწოდებაზე უარში, იმ არგუმენტით, რომ აღდგენითი სამუშაოების სრულად ჩატარების შემდგომ, წყლის დებეტი საკმარისი არ იქნება რომელიმე ახლად აშენებული სააბაზანოსთვის.

აღნიშნულ საქმეში სააგენტომ განმარტა, რომ ლიცენზიანტი კომპანია წარმოადგენდა იმ ეკონომიკურ აგენტს, რომლის ხელში მოქცეული რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე იყო დამოკიდებული შესაბამისი ბაზრის განვითარება. შესაბამისად, ამ უკანასკნელს შეეძლო გავლენა მოეხდინა ამ რესურსების ათვისების ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოზე. სააგენტომ მიიჩნია, რომ სამედიცინო-სარეაბილიტაციო მომსახურება, რომელიც უნდა განხორციელებულიყო თერმული აბაზანების შეთავაზების გზით, წარმოადგენდა წარმოებას, რომელიც შეიზღუდა წყლის მიწოდების შეფერხებით. თავის მხრივ, ახალი სააბაზანოების გახსნის ხელშეშლა მომხმარებელთა ინტერესებსაც აზიანებდა, რადგან ბაზრის განვითარების შემთხვევაში მათ ექნებოდათ უფრო მეტი არჩევანის საშუალება.[1095]

[1095] სკს, ბრძანება №31, 04.03.2015, გვ.: 32-33.

თუმცა, მოცემულ შემთხვევაში არ დადასტურდა სს „ბალნეოსერვისის“ მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რადგან არც შპს "სანატორიუმი საქართველოს“ და არც სს "ჯანმრთელობას“ არ ჰქონდა საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მიწის ნაკვეთი ბალნეოზონის ტერიტორიაზე/მის მიმდებარედ და არ წარმოადგენდნენ დომინანტი კომპანიის არც კონკურენტ და არც პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს. სააგენტოს განმარტებით კი, წარმოების შეზღუდვა შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის, ან პოტენციური ეკონომიკური აგენტის მიმართ.[1096]

დ) მარჟის შეზღუდვა

მარჟის[1097] შეზღუდვა (Margin Squeeze) შესაძლოა სახეზე იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ორი დონის ბაზარი – ზედა დონის (upstream) და ქვედა დონის (downstream). ამავდროულად, აღნიშნული ბაზრები ერთმანეთთან დაკავშირებული უნდა იყოს იმგვარად, რომ ზედა დონის ბაზრის პროდუქცია აუცილებელი გახდეს ქვედა დონის ბაზარზე არსებული პროდუქტის საწარმოებლად.[1098] მარჟის შეზღუდვის შემთხვევაში, ზედა დონის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი აწესებს ისეთ ფასს საკუთარ პროდუქციაზე, რომ ქვედა დონის ბაზარზე მოქმედი მისი კონკურეტი კომპანიების მარჟა კრიტიკულად მცირდება – ანუ, ამ უკანასკნელებისთვის შეუძლებელი ხდება ბაზარზე ოპერირება.[1099]

მაგალითად, კომპანია A ფლობს დომინანტურ მდგომარეობას ზედა დონის ბაზარზე და აწარმოებს პროდუქციას, რომელიც

[1096] იქვე.

[1097] ავტორების შენიშვნა: მარჟა არის სხვაობა ქვედა დონის ბაზარზე არსებული პროდუქციის ფასსა და ზედა დონის ბაზარზე არსებული პროდუქტის შეძენის ხარჯს შორის.

[1098] საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები", 2017, გვ. 22.

[1099] Ezrachi, Ariel, *EU Competition Law: An Analytical Guide to the Leading Cases*, 3rd ed., Hart Publishing, 2012, გვ. 169.

აუცილებელია ქვედა დონის ბაზრისთვის. პროდუქციის ფასი არის პირობითად x ლარი და მისგან იწარმოება პროდუქტი ქვედა დონის ბაზარზე, რომლის სარეალიზაციო ფასიც არის x+k ლარი. კომპანია A ქვედა დონის ბაზარზე წარმოდგენილია კომპანია B-ს მეშვეობით, ხოლო, C არის მისი კონკურენტი. პროდუქციის ხარჯების გათვალისწინებით, მარჟა არის ქვედა დონის ბაზარზე პროდუქციის სარეალიზაციო ფასის სხვაობა ზედა დონის ბაზარზე მის ფასთან, რაც განსახილველ შემთხვევაში იქნება k ლარი. ამდენად, კომპანიას, რომელიც მოქმედებს ქვედა დონის ბაზარზე, შესაძლებლობა აქვს, რომ სხვა კომპანიებს კონკურენცია გაუწიოს სწორედ k სიდიდის ფარგლებში. თუ A გაზრდის x ფასს იმდენად, რომ იგი ძალიან მიუახლოვდება x+k სიდიდეს, კომპანია C ვეღარ შევა კონკურენციაში B-სთან, რადგან ის დადგება ორი ალტერნატივის წინაშე: (1) გაზარდოს სარეალიზაციო ფასი და, შედეგად, დაკარგოს კლიენტები ან (2) კლიენტების შენარჩუნების მიზნით, იმუშაოს წაგებაზე – რაც, საბოლოო ჯამში, მის დასუსტებასა და ბაზრიდან გასვლას გამოიწვევს.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ განხილული საქმეებიდან არცერთში არ ყოფილა შეფასებული მარჟის შეზღუდვა. ევროკავშირში, დარღვევის ამ სახესთან დაკავშირებული ერთ-ერთ პირველი საქმე იყო *Napier Brown-British Sugar.*[1100] Napier Brown იყო დიდ ბრიტანეთში მოქმედი შაქრის საბითუმო მოვაჭრე, ხოლო, British Sugar – შაქრის მწარმოებელი/საბითუმო მოვაჭრეებისთვის მიმწოდებელი და, ამავდროულად, საცალო რეალიზატორი. შედეგად, ხსენებული ორი კომპანია კონკურეტებს წარმოადგენდნენ დაფასოებული შაქრის საბოლოო მომხმარებელზე რეალიზაციის კუთხით. British Sugar-ი საცალო ბაზარზე იმდენად დაბალ ფასს სთავაზობდა კლიენტებს დაფასოებულ შაქარზე, რომ Napier Brown-ი, რომელიც დამოკიდებული იყო British Sugar-ზე, ვერ უწევდა მას კონკურენციას საბითუმო ბაზრის დონეზე. ევროკომისიის

[1100] 88/518/EEC: Commission Decision of 18 July 1988 relating to a proceeding under Article 86 of the EEC Treaty (Case No IV/30.178 Napier Brown - British Sugar), OJ L 284/41,1988.

გადაწყვეტილებით, British Sugar-ს დაუდგინდა TFEU-ს 102-ე მუხლის დარღვევა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმეა ასევე *Deutsche Telekom AG v Commission*. [1101] აღნიშნულ საქმეში დადგინდა, რომ Deutsche Telekom-ი ფლობდა დომინანტურ მდგომარეობას გერმანიის ტელეკომუნიკაციის ბაზარზე. კონკრეტულად, მას ჰქონდა ფიქსირებულ ქსელებზე წვდომა და საბითუმო დონეზე არსებულ კონკურენტებს ქსელზე დაშვების მომსახურებას სთავაზობდა გაცილებით უფრო ძვირად, ვიდრე თავად აწვდიდა იმავე მომსახურებას უშუალო მომხმარებლებს (ეს უკანასკნელნი წარმოადგენდნენ გამომწერებს ფიქსირებული ხაზის მეშვეობით).

ხსენებულ საქმეზე, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ მარჟის შეზღუდვა არის დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დამოუკიდებელი სახე და არ არის საჭირო საცალო სარეალიზაციო ფასების შემზღუდველი ხასიათის დამატებითი შეფასება. ამადროულად, სასამართლომ განმარტა, რომ ევროკომისია ვალდებულია შეაფასოს ქმედების ანტიკონკურენტული ეფექტი „თანაბრად ეფექტიანი კონკურენტის“ (AEC) ტესტის გამოყენებით. კერძოდ, კომისიამ უნდა დაადგინოს, აღნიშნული ქმედება დომინანტი კომპანიის მსგავსი ეფექტიანობის მქონე ეკონომიკური აგენტისათვის ქმნის თუ არა ბარიერს ბაზარზე და ახდენს თუ არა მის ბაზრიდან განდევნას.

საქმეში *Konkurrensverket v TeliaSonera Sverige*, [1102] ევროსასამართლომ განმარტა, რომ მარჟის შეზღუდვა დომინანტი კომპანიის თანაბრად ეფექტიანი კონკურენტის მიმართ მისი განდევნითი ეფექტის გათვალისწინებით, ობიექტური გამამართლებელი გარემოებების არარსებობის შემთხვევაში, თავისთავად წარმოადგენს TFEU-ს 102-ე მუხლის დარღვევას. [1103]

[1101] Case C-280/08 P, *Deutsche Telekom AG v Commission* [2010] ECR I-9555, ECLI:EU:C:2010:603.
[1102] Case C-52/09, *Konkurrensverket v TeliaSonera Sverige AB* [2011] ECR I-527, ECLI:EU:C:2011:83.
[1103] იქვე, პარა. 31.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულია მარჟის შეზღუდვის ფაქტის დადგენისთვის აუცილებელი კრიტერიუმები. კერძოდ:

ა) დომინანტური მდგომარეობის მქონე კომპანია უნდა მოქმედებდეს როგორც ზედა, ასევე ქვედა დონის ბაზარზე;

ბ) ეკონომიკურ აგენტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დომინანტური მდგომარეობა ზედა დონის ბაზარზე (ქვედა დონის ბაზარზე მსგავსი მდგომარეობის ქონა სავალდებულო არაა);

გ) უნდა დადგინდეს, აძლევს თუ არა დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ორივე დონის ბაზარზე შემოთავაზებული ფასები ქვედა დონის ბაზარზე კონკურენციის გაწევის საშუალებას მისი თანაბარი ეფექტიანობის მქონე ეკონომიკურ აგენტს;

დ) უნდა გაირკვეს, აქვს თუ არა მარჟის შეზღუდვას კონკურენციის შემზღუდველი ეფექტი;

ე) საბოლოოდ, უნდა გაირკვეს, არის თუ არა სახეზე ობიექტური გამამართლებელი გარემოება, რისი მტკიცების ტვირთიც აკისრია დომინანტური მდგომარეობის მქონე სუბიექტს.[1104]

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, ისევე როგორც TFEU-ს 102-ე მუხლი, არ ითვალისწინებს მარჟის შეზღუდვას როგორც დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ცალკე სახეს. თუმცა, აღნიშნულმა ქმედებამ, ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება გამოიწვიოს კანონის მე-6 მუხლის „ა", „ბ" ან „გ" ქვეპუნქტების დარღვევა.

ე) ფასისმიერი დისკრიმინაცია

ფასისმიერი დისკრიმინაცია (Price Discrimination) წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ისეთ შემთხვევას, როდესაც დომინანტური მდგომარეობის მქონე

[1104] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 8th ed., Oxford University Press, 2015, გვ.: 798-800.

სუბიექტი სხვადასხვა ფასს აწესებს კლიენტების სხვადასხვა კატეგორიისთვის. მსგავსი დისკრიმინაცია შეიძლება გამოხატული იყოს ფასების გეოგრაფიულ ჭრილშიც, როდესაც სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა ფასია დაწესებული. თუმცა, ფასისმიერი დისკრიმინაცია ყველა შემთხვევაში არ მიიჩნევა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად.

გასათვალისწინებელია, რომ პროდუქტის საწარმოებლად სხვადასხვა პირობებში, კომპანიას შესაძლოა სხვადასხვა სახის დანახარჯები ჰქონდეს. ასევე შესაძლოა, ბაზარზე ხდებოდეს ერთი და იმავე პროდუქტის შეთავაზება, მაგრამ კლიენტების კატეგორიიდან გამომდინარე, ან პროდუქციის მოთხოვნილი რაოდენობის გათვალისწინებით, ხარჯი სხვადასხვა იყოს. მაგალითად: როდესაც მომხმარებლის მიერ საქონლის დიდ პარტიაზეა მოთხოვნა, მისი მიწოდების მიზნით მწარმოებელი დროის გარკვეულ პერიოდში აღწევს მასშტაბის ეკონომიას. თავისთავად, ეს ამცირებს მის ხარჯებს და შედეგად, მას აქვს მოთხოვნილი პროდუქციის შედარებით იაფად მიწოდების შესაძლებლობა. თუმცა, თუ იგივე პროდუქტი ერთჯერადად იწარმოება ერთი შეკვეთის ფარგლებში, დანახარჯი შეიძლება გაიზარდოს – ეს კი გამოიწვევს ფასის მატებასაც.

დამატებით, მწარმოებლისთვის ფასისმიერი დისკრიმინაცია შესაძლოა მომგებიანი იყოს რესურსის გადანაწილების ეფექტიანობის კუთხით, რადგან მსგავსმა დისკრიმინაციამ შესაძლოა გამოიწვიოს წარმოების მოცულობის გაზრდა. [1105] დავუშვათ, რომ არსებობს მომხმარებლის რამდენიმე კატეგორია, რომელთაგან ერთი არის სენსიტიური ფასის ცვლილების მიმართ, ხოლო, მეორე – არა. თუ ამ მომხმარებლებისთვის სხვადასხვა ფასად მოხდება პროდუქტის შეთავაზება, ეს გაზრდის გაყიდვების საერთო რაოდენობას. მაგალითად, ოპერაში სხვადასხვა კატეგორიის ბილეთები იყიდება და ამავდროულად მოქმედებს ფასდაკლებები სტუდენტების მიმართ (რომლებსაც, დიდი ალბათობით, მცირი ბილეთების ყიდვის ნაკლები

[1105] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 8th ed., Oxford University Press, 2015, გვ. 802.

შესაძლებლობა/სურვილი აქვთ) – მსგავსი დისკრიმინაციული მიდგომით უფრო მეტი ბილეთი გაიყიდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ერთ ფასად მოხდება ყველა ბილეთის მომხმარებლისთვის შეთავაზება. [1106]

ფასისმიერი დისკრიმინაციის შემთხვევას აწესრიგებს „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქი – გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება.

აღნიშნული დარღვევის დადგენისთვის, საჭიროა გაირკვეს:

ა) არის თუ არა ტრანზაქცია იდენტური – რაც უნდა დადგინდეს პროდუქტის/მომსახურების მახასიათებლებისა და დანახარჯების გათვალისწინებით;[1107]

ბ) იწვევს თუ არა განსახილველი ქმედება ეკონომიკური აგენტების არათანაბარ და კონკურენტულად წამგებიან მდგომარეობაში ჩაყენებას;

გ) არის თუ არა სახეზე ობიექტური გამამართლებელი გარემოება.

ამდენად, ცალსახაა, რომ ფასისმიერი დისკრიმინაცია ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. საქმეზე *MEO*, [1108] სასამართლომ განმარტა, რომ თითოეულ საქმეზე ინდივიდუალურად უნდა დადგინდეს, შეიზღუდა თუ არა კონკურენცია ბაზარზე დისკრიმინაციული ფასების დაწესებით. მსგავსი ფასების დაწესება არ წარმოადგენს TFEU 102-ე მუხლის *per se* დარღვევას. ის მხოლოდ მაშინ ითვლება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად, თუ იწვევს კონკურენტებს შორის კონკურენტუნარიანობის შემცირებას.

[1106] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 8th ed., Oxford University Press, 2015, გვ. 802, გვ. 802.

[1107] იქვე, გვ. 804.

[1108] Case C-525/16, *MEO – Serviços de Comunicações e Multimédia SA v Autoridade da Concorrência* [2018], ECLI:EU:C:2018:270.

Post Danmark-ის საქმეზე,[1109] სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ერთსა და იმავე მომსახურების გაწევაზე მსგავსი ხარჯების არსებობის პირობებში მომხმარებლებისათვის სხვადასხვა ტარიფების დაწესება, ან ხარჯების განსხვავების პირობებში ერთი და იმავე ტარიფის დადგენა ცალსახად არ უთითებს TFEU 102-ე მუხლის დარღვევაზე. ფასისმიერი დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელია, რომ განსხვავებული ფასის დაწესება უშუალოდ ზღუდავდეს ბაზარზე კონკურენციას.

ფასისმიერმა დისკრიმინაციამ შესაძლოა გამოიწვიოს კონკურენცია ბაზრის ორ დონეზე.[1110] ზედა დონეზე შეზღუდვა სახეზე იქნება, თუ დომინანტი მიმწოდებელი, ფასისმიერი დისკრიმინაციის ან ფასის შერჩევითი შემცირების გზით, ზიანს აყენებს იმავე ბაზარზე მოქმედ კონკურენტებს. შედარებისთვის, ქვედა დონეზე შეზღუდვა სახეზე იქნება ვერტიკალური/დაღმავალი ინტეგრაციის შემთხვევაში. მაგალითად, მიმწოდებელსა და კონტრაჰენტს შორის ურთიერთობის დროს.[1111] ფასისმიერი დისკრიმინაცია შეიძლება ასევე გამოიხატოს ფასის შერჩევით შემცირებაშიც.

ვ) მიბმა და დაჯგუფება

მიბმა არის არასაფასო დისკრიმინაციის სახე და წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის მქონე სუბიექტის იმგვარ ქმედებას, როდესაც იგი პროდუქტის მყიდველისათვის შეთავაზების დროს, ავალდებულებს მას, რომ შეიძინოს პირველ პროდუქტთან

[1109] Case C-209/10, *Post Danmark A/S v Konkurrenceråder* [2012] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2012:172.

[1110] ტიგრანიანი, ჰასმიკ და ქურთაული, სოფიო, „დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი", გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2018, №5 (2018). გვ. 64.

[1111] ავტორების შენიშვნა: ვერტიკალურ შეთანხმებებთან და ვერტიკალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით, დაწვრილებით იხილეთ თავი II („კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები") და თავი VI („კონცენტრაციების კონტროლი").

დაკავშირებული სხვა პროდუქტიც.[1112] მიბმა შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა ფორმით.

სახელშეკრულებო მიბმას ადგილი აქვს, როდესაც სახელშეკრულებო პირობას წარმოადგენს მთავარ პროდუქტთან დაკავშირებული პროდუქციის შესყიდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დომინანტი სუბიექტი უარს აცხადებს ძირითადი პროდუქტის მიწოდებაზე. [1113] მაგალითად, როდესაც კომპანია A ყიდის პნევმატურ იარაღს და შემსყიდველს ავალდებულებს, რომ იარაღის ტყვიებიც შეიძინოს მხოლოდ მისგან, – სხვა შემთხვევაში უარს ეუბნება ხელშეკრულების ძირითადი საგნის მიწოდებაზე.

ტექნიკური მიბმა სახეზეა, როდესაც ძირითადი პროდუქტი ტექნიკურად ისეა ინტეგრირებული მეორე პროდუქტთან, რომ მათი ცალ-ცალკე შეძენა შეუძლებელია. მაგალითად, ტექნიკური მიბმის მაგალითია Microsoft-ის საქმე. [1114] კერძოდ, დომინანტი კომპანია კომპიუტერული პროგრამა ვინდოუსის საოპერაციო სისტემაში წინასწარ აინსტალირებდა "Windows Media Player"-ს და ისე ახდენდა ვინდოუსის ჩატვირთვას კომპიუტერში. შედეგად, ვინდოუსის შეძენა Windows Media Player"-ის გარეშე ტექნიკურად შეუძლებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ "Windows Media Player"-ი მიეკუთვნებოდა განცალკევებულ პროდუქციულ ბაზარს.

გარანტიის შეჩერება ან გამოხმობა – დომინანტი კომპანია უარს აცხადებს საგარანტიო მომსახურების გაწევაზე, თუ მისგანვე არ მოხდება პროდუქტის ცალკეული კომპონენტების შეძენა. გარანტიის შეჩერების მაგალითია Novo Nordisk-ის საქმე. Novo Nordisk-ი იყო ევროპაში ინსულინის წამყვანი მწარმოებელი, რომელმაც გამოიგონა ე.წ. „ინსულინის კალამი". კალამს ჰქონდა რამდენიმე ცვლადი ნაწილი (მაგ., ერთჯერადი შპრიცები, ინსულინის დოზირებული კაფსულები და ა.შ.), რომელთა შეძენა კალმისგან დამოუკიდებლად შეიძლებოდა სხვადასხვა

[1112] Ezrachi, Ariel, *EU Competition Law: An Analytical Guide to the Leading Cases*, 3rd ed., Hart Publishing, 2012, გვ. 171.

[1113] იხ. Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 9th ed., Oxford University Press, 2018, გვ. 705.

[1114] Case T-201/04, *Microsoft Corp. v Commission of the European Communities* [2007] ECR II-3601, ECLI:EU:T:2007:289.

მწარმოებლებთან. Novo Nordisk-ი უარს ამბობდა საგარანტიო მომსახურების გაწევაზე, თუ „ინსულინის კალმის“ ცვლადი ნაწილები მის კონკურენტებთან იქნებოდა შეძენილი.[1115]

დაჯგუფება წარმოადგენს მიბმის მსგავს ქმედებას, რომელიც ფასისმიერ ელემენტსაც შეიცავს. ამ დროს ორი სხვადასხვა შესაბამის ბაზარს მიკუთვნებული პროდუქტი იყიდება ერთობლივად, ერთ ფასად. დაჯგუფება შეიძლება იყოს:

ა) აუცილებელი – როდესაც ვერ მოხდება პროდუქტების დამოუკიდებლად შეძენა. მაგალითად, ყავა იყიდება ჭიქასთან ერთად და მათი დამოუკიდებლად შეძენა შეუძლებელია.

ბ) შერეული – ორი პროდუქტი მართალია იყიდება განცალკევებულად, მაგრამ მათი ერთად შეძენის შემთხვევაში მოქმედებს ფასდაკლება.[1116]

მიბმა და დაჯგუფება წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევას, რომელიც დომინანტ ეკონომიკურ აგენტებს უკრძალავს ხელშეკრულების წინაპირობად გარიგების იმგვარი პირობის დაწესებას, რომელიც გარიგების მეორე მხარეს ისეთ დამატებით ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან.

ევროკავშირის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მიბმა და დაჯგუფება მიიჩნევა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად, თუ სახეზეა შემდეგი ელემენტები: ა) დაჯგუფებული და მიბმული პროდუქცია მიეკუთვნება სხვადასხვა პროდუქციულ ბაზარს; ბ) ეკონომიკურ აგენტს დომინანტური მდგომარეობა უკავია მიბმულ პროდუქციულ ბაზარზე; გ) მომხმარებლები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, შეიძინონ მიბმული

[1115] საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები“, 2017, გვ. 24.

[1116] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 8th ed., Oxford University Press, 2015, გვ.: 729-730.

პროდუქტი დამოუკიდებლად; დ) დომინანტი კომპანიის ქმედებით იზღუდება კონკურენცია.[1117]

რაც შეეხება უშუალოდ ქართულ პრაქტიკას, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ შესწავლილი საქმეებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია *ფოთის პორტის საქმე,* [1118] სადაც შეფასდა კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „დ" ქვეპუნქტი და სააგენტოს მიერ გაკეთდა განმარტებები ნორმის შემადგენლობისა და ქმედების შეფასების დროს გამოსაყენებელი კრიტერიუმების თაობაზე.

აღნიშნულ საქმეში, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად იქნა მიჩნეული სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" მიერ ინტეგრირებული ტარიფის სავალდებულო წესით ამოქმედება, რაც გამოიხატებოდა საკონტეინერო გემებიდან გადმოტვირთული და გემზე დასატვირთად განკუთვნილი ყველა კონტეინერის მიღება-გაცემაში მხოლოდ ფოთის პორტის კუთვნილი სახმელეთო საკონტეინერო ტერმინალის (ICT ტერმინალი) გავლით. უფრო კონკრეტულად, ფოთის პორტში შემოსული ყველა კონტეინერის გადამისამართება უნდა მომხდარიყო სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" ავტოკონტეინერმზიდებით, მხოლოდ მის სახმელეთო საკონტეინერო ტერმინალში. ამის შემდეგღა გაიცემოდა ის სხვა ტერმინალების მიმართულებით, მოთხოვნის არსებობის პირობებში (პორტის განმარტებით, ICT გამოიყენებოდა მხოლოდ საკონტეინერო ეზოდ). ასევე, გემზე ჩასატვირთი ყველა კონტეინერი (ცარიელი თუ სავსე) უნდა შეტანილიყო პორტის სახმელეთო ტერმინალში, რომელიც თავად უზრუნველყოფდა ამ კონტეინერების პორტამდე ტრანსპორტირებას და გემზე ჩატვირთვას. ამის შესატყვისად, იმოქმედებდა კომბინირებული

[1117] ტიგრანიანი, ჰასმიკ და ქურთაული, სოფიო, „დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი", გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2018, №5 (2018), გვ. 73-74.

[1118] სკს, ბრძანება N04/91, 21.04.2017; ავტორების შენიშვნა: სააგენტოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოში და არ არის შესული კანონიერ ძალაში (27.03.2019 წლის მდგომარეობით).

ტარიფები, რომლებიც სპეციალურად მოიცავდა რამდენიმე – საპორტო, სატერმინალო, გადაზიდვის – მომსახურების ღირებულების ჯამს.

ზემოთ აღწერილი სქემის ამოქმედებამდე, ჩამოთვლილი სამი მომსახურება ხორციელდებოდა სხვადასხვა ტარიფით, სხვადასხვა სუბიექტის მიერ. კერძოდ, გემიდან ჩამოტვირთული კონტეინერები იდებოდა ავტომობილებზე და შემდომ მიდიოდა ფოთში მდებარე ტერმინალებში, სადაც ხდებოდა ტვირთზე სატერმინალო მომსახურების გაწევა.

სააგენტომ აღნიშნული სქემა მიბმად მიიჩნია. მისი განმარტებით, ნორმის შემადგენლობის დაკმაყოფილებისათვის, აუცილებელი იყო შემდეგი წინაპირობების არსებობა:

ა) დომინანტური მდგომარეობის მქონე სუბიექტი;

ბ) ორმხრივი (ან მრავალმხრივი) გარიგება და გარიგების საგანი;

გ) დამატებითი ვალდებულება გარიგების პირობაში;

დ) დამატებით ვალდებულებასა და გარიგების საგანს შორის კავშირის არარსებობა.

დომინანტური მდგომარეობის მქონე სუბიექტი – მომსახურებათა ვერტიკალური ჯაჭვის არსებობიდან გამომდინარე, განისაზღვრა სამი შესაბამისი პროდუქციული ბაზარი: (1) სტივიდორული საპორტო მომსახურების, (2) ნავსადგურიდან ტერმინალებში ტვირთის სატრანსპორტო გადაზიდვისა და (3) სატერმინალო მომსახურების. ფოთის პორტი მიჩნეულ იქნა დომინანტური მდგომარეობის მქონე სუბიექტად სტივიდორული მომსახურების ბაზარზე.

ორმხრივი (ან მრავალმხრივი) გარიგება და გარიგების საგანი – სააგენტომ მიიჩნია, რომ სს "კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური" სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედიოდა საზღვაო ხაზებთან სტივიდორული მომსახურების გაწევის შესახებ. კერძოდ, იგი იღებდა ვალდებულებას, მიეღო გემი ნავსადგურში, გადმოეტვირთა საზღვაო ხაზის მფლობელობაში არსებული კონტეინერი, ან პირიქით, დაეტვირთა გემზე. თავის მხრივ,

საზღვაო ხაზი ვალდებული იყო, გადაეხადა მომსახურების საფასური.

სააგენტომ იმსჯელა იმაზე, თუ რა წარმოადგენდა სს "კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურსა" და ტიპურ საზღვაო ხაზს შორის დადებული ხელშეკრულების საგანს. მიჩნეულ იქნა, რომ (1) მოქმედი სქემის ფარგლებში, პორტის მიერ დადებული ხელშეკრულების საგანი არ სცდებოდა ამწით განსახორციელებელ ოპერაციასა და ამ ოპერაციის შესასრულებლად აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას; (2) ხელშეკრულების შესრულების ადგილი იყო უშუალოდ ნავსადგურის ტერიტორია, სადაც განთავსებული იყო ამწეები და ხდებოდა კონტეინერების ჩატვირთვა/გადმოტვირთვა გემზე/გემიდან. ამდენად, სააგენტოს განმარტებით, სტივიდორული მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულების საგანი მთავრდებოდა იქ, სადაც იწყებოდა სხვა პროდუქციულ (სატრანსპორტო და სატერმინალო) ბაზრებს მიკუთვნებული მომსახურებები.

დამატებითი ვალდებულება გარიგების პირობაში და დამატებით ვალდებულებასა და გარიგების საგანს შორის კავშირის არარსებობა – სააგენტოს განმარტებით, გაერთიანებული ტარიფის შემოღებით იცვლებოდა ხელშეკრულების ძირითადი პირობა, ხელშეკრულების შესრულების ადგილი. ამით ხდებოდა დამატებითი ვალდებულების დაწესება კონტრაჰენტისთვის (საზღვაო ხაზისთვის), რადგან ამ უკანასკნელის მიერ გადასახდელი (დაგეგმილი) ტარიფი საკუთარ თავში მოიცავდა საპორტო სტივიდორული მომსახურების, ტვირთის პორტიდან ICT-ში გადაზიდვისა და ICT-ის მიერ გასაწევი მომსახურების ხარჯებს, რაც იყო სამი სხვადასხვა მომსახურება. ამდენად, ახალი ტარიფის ამოქმედების შემდეგ, მომხმარებელი იძულებული ხდებოდა, ერთობლივად შეეძინა სამი სხვადასხვა პროდუქტი ერთი ტარიფის ფარგლებში. რადგან კომბინირებული ტარიფის ამოქმედებას ჰქონდა სავალდებულო ხასიათი, სააგენტოს შეფასებით, ეს წარმოადგენდა დომინანტური მდგომარეობის მქონე სუბიექტის ცალმხრივ ქცევას:

1. პორტი მოქმედებდა ერთპიროვნულად. მის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი ასეთი წინადადების შემუშავება ხდებოდა სხვა მხარის მონაწილეობის, ან მინიმუმ, მონაწილეობის ვალდებულების გარეშე.

2. პორტის მიერ შემუშავებული პირობები იყო სტანდარტული და მათი შეცვლის საშუალება კონტრაჰენტს არ გააჩნდა.

3. კონტრაჰენტისთვის დატოვებული ერთადერთი არჩევანი – შესულიყო, ან არ შესულიყო სახელშეკრულებო ურთიერთობაში – შეზღუდული იყო პორტის დომინანტური მდგომარეობით საპორტო (სტივიდორული) მომსახურების ბაზარზე, რომელიც წარმოადგენდა თანხმობის განმაპირობებელ ფაქტორს.

4. საპორტო მომსახურება და პორტის ინფრასტრუქტურა მიჩნეულ იქნა "არსებით საშუალებად" (Essential facility), რაც წარმოადგენდა თანხმობის განმაპირობებელ კიდევ ერთ ფაქტორს – სატერმინალო მომსახურების მიღება ვერ მოხერხდებოდა, თუ პორტი თავდაპირველად არ გაწევდა ტვირთზე სტივიდორულ მომსახურებას.

5. ინტეგრირებული ტარიფით ხდებოდა საავტომობილო და სატერმინალო ბაზრებზე მოქმედი კომპანიების განდევნა – მომხმარებელს აღარ უღირდა ეკონომიკურად, რომ ICT ტერმინალიდან ტვირთი გადაეტანა სხვა საკონტეინერო ტერმინალში, რადგან ეს იწვევდა დამატებით ხარჯებს.

ამდენად, სააგენტომ ე.წ. ახალი სქემა მიიჩნია „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „დ" ქვეპუნქტის დარღვევად. თუმცა, აღნიშნულ საქმეში ფოთის პორტი არ დაჯარიმებულა, რადგან, ე.წ. ახალი სქემის ამოქმედება შეჩერდა სასამართლოს მიერ საქმის მოკვლევის დაწყებასთან ერთად და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი არ იყო რეალურად დამდგარი – სქემა არ იყო ამოქმედებული.

მსგავსი მიდგომაა განვითარებული ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკაშიც. აკრძალვის მოქმედება დროში არ წარმოადგენს მხოლოდ ex post მექანიზმს. შედეგად, იგი შეიძლება ამოქმედდეს კონკურენციის შემზღუდველი შედეგის რისკის

არსებობის პირობებშიც, ხსენებული შედეგის (ამ შემთხვევაში, კონკურენტების ბაზრიდან გაძევების) დადგომამდეც.

საქმეზე *Microsoft v Commission,* ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ მიუთითა, რომ "...82-ე მუხლის (ახლანდელი 102-ე მუხლი) მიზნებისათვის ცნებები "კონკურენციის გამორიცხვის რისკი" და "სავარაუდოა, რომ შეიზღუდება კონკურენცია" ევროკავშირის სამართლის სისტემაში გამიჯვნის გარეშე გამოიყენება და ირეკლავს ერთსა და იმავე იდეას. კერძოდ, 82-ე მუხლი გამოიყენება არა მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ბაზარზე უკვე არ არსებობს, ან თითქმის არ არსებობს კონკურენცია, არამედ მანამდეც. თუ კომისია ვალდებული იქნებოდა, დალოდებოდა მომენტს, როდესაც კონკურენტები გაძევებული ან თითქმის გაძევებული იქნებიან ბაზრიდან, ეს ვალდებულება იმოქმედებდა ამ ნორმის მიზნების წინააღმდეგ; კერძოდ კი იმ მიზნებისა, რომლის თანახმადაც შენარჩუნებულ უნდა იქნას ჯანსაღი კონკურენცია შიდა ბაზარზე – დაცულ იქნას კონკურენცია, რომელიც უკვე არსებობს შესაბამის ბაზარზე".[1119]

ზემოთქმული ნათლად მიანიშნებს, რომ შეზღუდვის მოქმედება დროში აუცილებლად წინ უსწრებს ქმედების ანტიკონკურენციული შედეგების დადგომის მომენტს. ეს კი საკმარის წინაპირობას ქმნის მარეგულირებლის ჩარევისათვის ისეთი ქმედებების არსებობის შემთხვევაში, რომლებსაც გააჩნიათ კონკურენციის სამომავლოდ შეზღუდვის პოტენციალი. მსგავსი რეგულირება შეგვიძლია კონკურენციის სამართლის დაცვით ფუნქციის გამოხატულებად მივიჩნიოთ. ამავე ფუნქციის განხორციელებას ემსახურება დროებითი ღონისძიებების (interim measures) გამოყენების შესაძლებლობა, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

[1119] Case T-201/04. *Microsoft Corp. v Commission of the European Communities* [2007] ECR II-3601, ECLI:EU:T:2007:28, para 10.

5. პასუხისმგებლობა და სასამართლო კონტროლი

5.1. ჯარიმები და დროებითი ღონისძიებები

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის ითვალისწინებს ფინანსურ სანქციას. კერძოდ, ეკონომიკურ აგენტს შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მისი წლიური ბრუნვის 5%-ს. დარღვევის განმეორების ან მისი საფუძვლის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა იზრდება და ეკონომიკური აგენტის მიერ ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 10%-ს შეიძლება მიაღწიოს. [1120] თავის მხრივ, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება როგორც დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი, ისე მისი ხანგრძლივობა და სიმძიმე. პროცედურულად, ჯარიმის კონკრეტული ოდენობის გამოთვლა ხორციელდება საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ჯარიმის ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით.[1121]

ჯარიმის გამოთვლა ხორციელდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება ჯარიმის ზოგადი ოდენობის განსაზღვრა. ამ მიზნით, ხორციელდება გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის ბრუნვის 5%-ის დადგენა (თუ ადგილი აქვს განმეორებითობას, 10%-ის).[1122] ამ ეტაპზე, სანქციის კანონით განსაზღვრული მაქსიმალური ზღვარი საორიენტაციოდაა აღებული. ამის შემდგომ, ხდება ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლა – კერძოდ, დგინდება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, ფასდება კანონდარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი, განისაზღვრება

[1120] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, მუხლი 33.

[1121] სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 30 ნოემბრის №190 ბრძანება „ჯარიმის ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცების შესახებ“, http://competition.ge/ge/page3.php?i=190&v=192.

[1122] იქვე, თავი II.

შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის ხარისხი (მაგალითად, სამართალდარღვევაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების რაოდენობა, შემზღუდველი ქმედებების შინაარსობრივი და გეოგრაფიული მასშტაბები და სხვ.) და ა.შ. ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური აგენტის ფინანსურ მდგომარეობას. [1123]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს ჯარიმის ოდენობის გამოთვლის პროცესში ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებისათვის პროცენტული მაჩვენებლების მინიჭებას. შედეგად, ჯარიმის საბოლოო თანხის გამოანგარიშება ხორციელდება ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორის შეჯერების შედეგად.

2019 წლის 24 მარტის მდგომარეობით, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ განხილული საქმეებიდან მხოლოდ ერთ საქმეზე [1124] დადგინდა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, თუმცა, ვინაიდან ქმედება არ იყო დასრულებული, ეკონომიკურ აგენტს არ შეეფარდა ჯარიმა. [1125] კერძოდ, ამ საქმეზე დადგინდა, რომ ეკონომიკური აგენტის კონკრეტული ერთპიროვნული გადაწყვეტილება იქნებოდა კონკურენციის შემზღუდველი, თუ ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა. თუმცა, ვინაიდან იგი არ ამოქმედებულა, მიჩნეულ იქნა, რომ კონკურენცია ფაქტობრივად არ შეზღუდულა. შესაბამისად, არ არსებობდა სანქციის დაწესების საფუძველი.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საკითხი ეხებოდა სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ დაწესებულ ახალ კომბინირებულ ტარიფს, რომელიც უნდა ამოქმედებულიყო 2016 წლის პირველი ივლისიდან. სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევა დაიწყო 2016 წლის 21 ივნისს. მოკვლევის დაწყებასთან ერთად, განხორციელდა სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვა,

---

[1123] იქვე, თავი III.

[1124] სკს. ბრძანება №04/91, 21.04.2017.

[1125] **ავტორების შენიშვნა:** სააგენტოს გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში, რადგან სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ სააგენტოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოში და დავა არის მიმდინარე (24.03.2019 წლის მდგომარეობით).

ფოთის პორტის მიერ ასამოქმედებელი ტარიფის დროებით შეჩერების მოთხოვნით. ამისთვის სააგენტომ გამოიყენა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დროებითი ღონისძიება – სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე, თუ არსებობს აშკარა მტკიცებულება, რომ ეს ქმედება მნიშვნელოვნად ზღუდავს ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებულ კონკურენციას.[1126] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 ივნისის დროებითი განჩინებით, რომელიც ძალაში დატოვა სააპელაციო ინსტანციის სასამართლომაც, ახალი ტარიფის ამოქმედება შეჩერდა ამ უკანასკნელის ძალაში შესვლამდე. ამდენად, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი ჯერ არ იყო დამდგარი და ადგილი ჰქონდა მხოლოდ მის მცდელობას. სააგენტომ განმარტა, რომ კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული ქმედების განხორციელებისთვის საჭიროა არა მხოლოდ სამართლებრივად მბოჭავი ნების გამოვლენა, არამედ ამ ნების ფაქტობრივი განხორციელებაც.

ფოთის პორტის საქმეში გამოყენებული დროებითი ღონისძიება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების სავარაუდო დარღვევის ფაქტის შესწავლის პროცესში. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად, მოკვლევის დასრულებამდე, წინასწარ (prima facie) ხდება დარღვევის ფაქტის დადგენის მაღალი ალბათობის დაშვება, რასაც მოჰყვება ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების შეჩერება, როგორც პრევენციული ღონისძიება. ამავდროულად, მსგავსი ზომების გამოსაყენებლად სააგენტოს უნდა გააჩნდეს შესაბამისი მტკიცებულებები და სასამართლოსათვის წარდგენილი შუამდგომლობა იყოს სათანადოდ დასაბუთებული, რათა ეკონომიკური აგენტის საქმიანობა გაუმართლებლად არ იქნეს შეფერხებული.

[1126] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, მუხლი 18, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ნ“.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოსგან განსხვავებით, ევროკომისიას დროებითი ზომების (Interim Measures) გამოყენება შეუძლია სასამართლოს გარეშე, დამოუკიდებლად. [1127] ევროკავშირში მსგავსი ღონისძიებების გამოყენება ხდება ჯერ კიდევ 1962 წლიდან. მართალია, იმ დროს მოქმედი საბჭოს N17/62 რეგულაცია [1128] პირდაპირ არ ითვალისწინებდა მათ, მაგრამ ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგინდა და არაერთხელ განიმარტა, რომ ამ რეგულაციით კომისიისთვის დაკისრებული უფლებამოსილება – მოეთხოვა ეკონომიკური აგენტისათვის კანონდარღვევის აღმოფხვრა [1129] – ასევე გულისხმობდა კომისიის მიერ დროებითი ღონისძიების გამოყენების უფლებასაც. [1130] სასამართლომ ასევე განმარტა, რომ აღნიშნული ღონისძიების გამოყენების დროს, ევროკომისიას უნდა შეეწონა ეკონომიკური აგენტის ინტერესი ღონისძიების გამოყენებით მისაღწევ შედეგთან – უნდა გარკვეულიყო, რამდენად მოხდებოდა ზიანის თავიდან აცილება და იყო თუ არა ეს პროპორციული და გამართლებული.

წლების განმავლობაში, ევროსასამართლოს პრეცედენტების ინკორპორირება მოხდა საბჭოს რეგულაციაში და სპეციალური ნორმის სახით იქნა ასახული დროებითი ღონისძიების გამოყენების პირობები. [1131] ასევე, ევროპული კონკურენციის ქსელის (ECN) [1132] მიერ შემუშავდა რეკომენდაციები დროებითი ღონისძიების მნიშვნელობაზე და მათ ასახვის აუცილებლობაზე ევროკავშირის

[1127] Council Regulation No. 1/2003 of 16 December 2002 on the implementation of the rules on competition laid down in Articles 81 and 82 of the Treaty, OJ L1/1, 2003, article 8.

[1128] EEC Council: Regulation No 17: First Regulation implementing Articles 85 and 86 of the Treaty, OJ 13/204, 1962.

[1129] იქვე. მუხლი 3(1).

[1130] Order of the Court of 17 January 1980, *Camera Care Ltd v Commission of the European Communities*, Competition – Interim measures, Case 792/79 R.

[1131] Council Regulation No. 1/2003 of 16 December 2002 on the implementation of the rules on competition laid down in Articles 81 and 82 of the Treaty, OJ L1/1, 2003, article 8.

[1132] **ავტორების შენიშვნა:** ევროპის კონკურენციის ქსელი (European Competition Network – ECN) ვირტუალური ქსელია, სადაც შედის ევროკომისია და ევროკავშირის წევრი ქვეყნების კონკურენციის დაცვის უწყებები. იხ. http://ec.europa.eu/competition/ecn/index_en.html.

წევრი ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაში.[1133] თუმცა, ევროკომისიის მიერ ხშირად არ ხდება აღნიშნული ღონისძიების გამოყენება, რაც განპირობებულია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დადგენილი მაღალი სტანდარტით.[1134]

მაგალითად, საქმეში *IMS Health-ი*,[1135] IMS წარმოადგენდა დომინანტური მდგომარეობის მქონე სუბიექტს, რომელსაც გააჩნდა ფარმაცევტული პროდუქტების გაყიდვებისა და გამოწერების შესახებ ყველაზე დიდი ინფორმაციული ბაზა გერმანიის მასშტაბით (ე.წ. „1860 ზონის სტრუქტურა") და უარს ეუბნებოდა კომპანიებს აღნიშნული სტრუქტურის ლიცენზირებაზე. ევროკომისიის მიერ აღნიშნული უარი წინასწარ (prima facie) იქნა მიჩნეული დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად. შესაბამისად, დროებითი ღონისძიების სახით, დომინანტ კომპანიას დაევალა კონკურენტების ბაზარზე დაშვება, რადგან, კომისიის განმარტებით, სახეზე იყო „სერიოზული და აუნაზღაურებელი ზიანის მიყენების რისკი მის კონკურენტებზე".[1136] თუმცა, ეს ღონისძიება შეჩერდა საერთო სასამართლოს პრეზიდენტის ბრძანებით,[1137] რადგან სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია კომისიის შეფასება აუნაზღაურებელ და სერიოზულ ზიანზე და არ გაიზიარა მოსაზრება, რომ განსახილველი ღონისძიება პროპორციული საშუალება იყო აღნიშნული ზიანის თავიდან ასარიდებლად.

[1133] ECN Recommendation on the Power to Adopt Interim Measures, December 2013, ხელმისაწვდომია: http://ec.europa.eu/competition/ecn/recommendation_interim_measures_09122013_en.pdf.

[1134] Art, Jean-Yves, "Interim Reilef in EU Competition Law: a Matter of Relevance", Italian Antitrust Review, Volume 2(1), 2015, გვ. 60.

[1135] 2002/165/EC: Commission Decision of 3 July 2001 relating to a proceeding pursuant to Article 82 of the EC Treaty (Case COMP D3/38.044 — NDC Health/IMS Health: Interim measures), OJ L 59/18, 2002.

[1136] Press release, Commission imposes interim measures on IMS HEALTH in Germany, IP/01/941 Brussels, 03 July 2001, http://europa.eu/rapid/press-release_IP-01-941_en.htm?locale=en.

[1137] Order of the President of the Court of First Instance, 26 October 2001, Case T-184/01 R, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:62001TO0184(01)&from=SV.

5.2. ზომები

ჯარიმის დაკისრების გარდა, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღმოფხვრის ან პრევენციისთვის შესაძლოა სხვაგვარი მექანიზმებიც იქნას გამოყენებული.

კონკრეტულად, „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია სააგენტოს ანიჭებს უფლებას, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის არაერთგზის დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას მისი იძულებითი დაყოფის საკითხი, თუ არსებობს საწარმოს ორგანიზაციული და ტერიტორიული განცალკევების შესაძლებლობა. [1138] თუმცა, კანონის ამ დებულების პრაქტიკაში გამოყენება სათუო და პრობლემატურია, კერძოდ, არ იკვეთება თუ რა ფორმით უნდა გამოიყენოს სააგენტომ ეს ბერკეტი და რომელმა ორგანომ უნდა მოახდინოს ეკონომიკური აგენტის დაყოფა.

ზემოაღნიშნული ღონისძიების გარდა, ქართული კონკურენციის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სხვა სახის ზომების გამოყენებას.

საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით, ევროკავშირის კონკურენციის სამართალი იცნობს ზომების (Remedies) ინსტიტუტს. ზომები შეიძლება ორ ძირითად კატეგორიად – სტრუქტურულ და ქცევით ზომებად –დავყოთ[1139]. მთავარი, რაც ამ სახის ღონისძიებებს სანქციებისაგან განასხვავებს, არის მათი ფუნქციები. კერძოდ, გარდა სადამსჯელო და პრევენციული ფუნქციისა, ზომები ემსახურება გამოსწორების, აღდგენისა და რესტიტუციის ფუნქციებს.

სტრუქტურული ზომები გულისხმობს დომინანტი ეკონომიკური აგენტისაგან ისეთი ნაბიჯების გადადგმის მოთხოვნას, რომელიც შეამცირებს მის საბაზრო ძალაუფლებას. ეს შეიძლება იყოს წილის გაყიდვა, აქტივების გასხვისება ან სხვა.

[1138] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 18, პუნქტი 1, ქვეპუნქტი"მ".

[1139] OECD, Policy Roundtable - Remedies and Sanctions in Abuse of Dominance Cases, DAF/COMP(2006)19, 2006. https://www.oecd.org/competition/abuse/38623413.pdf, p. 8.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი აღსაქმელად მარტივია, ამგვარი ღონისძიებები პრაქტიკაში გატარების მხრივ პრობლემატურია. ეს ეხება როგორც საქართველოს, ასევე ევროკავშირს. მიუხედავად ამისა, კონკურენციის სამართლის საუკეთესო პრაქტიკაში მოიპოვება არაერთი მაგალითი, როდესაც სახელმწიფომ გამოიყენა სტრუქტურული ღონისძიება, კერძოდ, კომპანიის დაყოფა. ასეთ შემთხვევებს განეკუთვნება აშშ-ში Standard Oil-ის დაყოფა XX საუკუნის დასაწყისში[1140] და AT&T-ის საქმე 1980-იან წლებში.[1141]

რაც შეეხება ქცევით ზომებს, მათი მეშვეობით ხდება დომინანტი კომპანიისთვის გარკვეული მოქმედების განხორციელების ან მისგან თავის შეკავების დავალდებულება. მსგავს ზომებს მიეკუთვნება, მაგალითად, სავალდებულო ლიცენზირება – ზომა, რომლითაც კონკურენციის მარეგულირებელი ორგანო ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელს ავალდებულებს, მისცეს კონტრაჰენტებს ლიცენზია ამ უფლების გამოყენებაზე შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. პრაქტიკაში ამგვარ ღონისძიებას მრავალი გვერდითი გრძელვადიანი ეფექტი შეიძლება გააჩნდეს, რის გამოც იგი სამართლებრივ დოქტრინაში ხშირად კრიტიკის ობიექტი ხდება. ამის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლება თავისი არსით გულისხმობს გარკვეული ცოდნისა და მისი პროდუქტის მონოპოლიზებას – ეს, თავის მხრივ, ამგვარი გამოგონების შექმნის მოტივაციაა. შესაბამისად, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სავალდებულო ლიცენზირების გამოყენება ხშირ შემთხვევაში შესაძლოა არაეფექტიანი იყოს.[1142] ქცევითი ზომები პრაქტიკულად თან ახლავს ევროკომისიის ნებისმიერ გადაწყვეტილებას 102-ე მუხლის დარღვევის შესახებ. კერძოდ, კომისია დომინანტ კომპანიას ავალდებულებს, შეწყვიტოს ესა თუ ის ქმედება და განახორციელოს საპირისპირო მოქმედებები.

[1140] იხ. *United States v. Standard Oil Co.*, 173 Fed. 177 (E.D. Mo. 1909).

[1141] იხ. *United States v. AT&T Co.*, 552 F. Supp. 131 (D.D.C 1982).

[1142] მაგ. იხ. Kovacic, William, "Failed Expectations: The Troubled Past and Uncertain Future of the Sherman Act as a Tool for Deconcentration", 74 Iowa Law Review 1105, 1989, pp. 1106-07, 1109.

მსგავსი ზომები გათვალისწინებულია არა მარტო ევროკავშირის, არამედ მისი წევრი სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობითაც. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის კონკურენციის ორგანომ 2000 წელს Birds-Eye Wall-ის (BEW) წინააღმდეგ სწორედ მსგავსი ზომები გამოიყენა. BEW ნაყინისა და ნაყინის კაბინების მწარმოებელი კომპანია იყო, ბაზრის 65%-იანი წილით. იგი ნაყინის მცირე დისტრიბუტორებზე უფასოდ აქირავებდა ნაყინის კაბინებს და ამავდროულად, ავალდებულებდა მათ, მხოლოდ BEW-ის პროდუქცია განეთავსებინათ მათში. დარღვევის დადგენასთან ერთად, BEW-ს აეკრძალა კაბინების უფასოდ გადაცემა და დაევალა საკუთარი დისტრიბუციის სისტემის განცალკევება. ასევე კომპანიას აეკრძალა კაბინებში პროდუქციის 100%-ის განთავსების მოთხოვნა საკუთარი კონტრაჰენტებისთვის, თუმცა მას ნება დართეს, მოეთხოვა პროდუქციის 50%-ისთვის ადგილის "დაბევება". [1143] ეს საქმე ქცევითი ზომების გამოყენების კარგი მაგალითია.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზომები (remedies) კონკურენციის დაცვის ორგანოებისათვის მნიშვნელოვანი მექანიზმია, კონკურენციის სამართლის იმ ძირითადი ფუნქციების შესასრულებლად, რომელსაც ვერ ასრულებს დარღვევისთვის ფინანსური სანქციის დაწესების სამართლებრივი ინსტიტუტი.

5.3. პირობითი გადაწყვეტილება

ქართული კონკურენციის კანონმდებლობის მიხედვით, საქმის მოკვლევის შედეგად კონკურენციის სააგენტო (1) ადგენს დარღვევის ფაქტს და აკისრებს შესაბამის სანქციას ეკონომიკური აგენტს ან (2) ასრულებს მოკვლევას დარღვევის დადასტურების გარეშე. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობა სააგენტოს არ აძლევს სხვა სახის გადაწყვეტილებების მიღების უფლებას.

[1143] Competition Commission, „The Supply of Impulse Ice Cream: A Report on the Supply in the UK of Ice Cream Purchased for Immediate Consumption" (January 2000), ციტირებულია: OECD, Policy Roundtable - Remedies and Sanctions in Abuse of Dominance Cases, DAF/COMP(2006)19, 2006, https://www.oecd.org/competition/abuse/38623413.pdf, p. 47.

შედარებისთვის, ევროკავშირში არსებობს ე.წ. პირობითი გადაწყვეტილების (commitment decision) ინსტიტუტი, როდესაც ევროკომისია საქმეს ასრულებს დარღვევის დადასტურების გარეშე. კერძოდ, თუ ევროკომისია საკითხის წინასწარი შეფასების პროცესში დაადგენს, რომ ეკონომიკური აგენტის მიერ გარკვეული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში აღარ იარსებებს კონკურენციის შეზღუდვის რისკი და ეკონომიკური აგენტი აიღებს კომისიის მიერ დადგენილი შესაბამისი პირობების შესრულების ვალდებულებას, საქმის შესწავლა სრულდება პირობითი გადაწყვეტილებით, დარღვევის დადგენის გარეშე. [1144]

დროებითი ღონისძიებების მსგავსად, პირობით გადაწყვეტილებებსაც ხანგრძლივი ისტორიული წარსული გააჩნია ევროკავშირში. ჯერ კიდე 1962 წელს, საბჭოს №17/62 რეგულაციის მოქმედების პირობებში, ხდებოდა არაფორმალური პირობითი გადაწყვეტილებების მიღება. ამ მიმართულებით, პირველი იყო IBM-ის საქმე. [1145] IBM წარმოადგენდა პერსონალური კომპიუტერების ერთ-ერთ უმსხვილეს მიმწოდებელს, რომელსაც ასევე გააჩნდა ძალიან დიდი პროგრამული ბაზა და გაყიდვებს აწარმოებდა შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის მეშვეობით. საქმის განხილვის პროცესში, კომპანიამ თავის თავზე აიღო შეთავაზებული შერჩევითი სადისტრიბუციო ქსელით დადგენილი პირობების შეცვლა და არადისკრიმინაციული პირობებით ოპერირება. კერძოდ, განისაზღვრა, რომ კომპანია დეტალურ ინფორმაციას მიაწვდიდა კონკურენტებს, თუ როგორ უნდა მომხდარიყო IBM-ის სისტემა 370-ზე მათი პროდუქტის დაკავშირება; ასევე, მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწვდიდა კომპიუტერებს თავისუფალი მახსოვრობით, რათა შესაძლებელი ყოფილიყო სხვა კომპანიების პროგრამების ჩატვირთვა და სხვ.

[1144] Council Regulation No. 1/2003 of 16 December 2002 on the implementation of the rules on competition laid down in Articles 81 and 82 of the Treaty, OJ L1/1, 2003, Article 9.

[1145] 84/233/EEC: Commission Decision of 18 April 1984 relating to a proceeding under Article 85 of the EEC Treaty (IV/30.849 IBM personal computer), OJ L 118/24, 1984; საქმის შესწავლა დაიწყო 1980 წლის 6 დეკემბერს და დასრულდა 1984 წლის პირველ აგვისტოს. იხ. ასევე, EU Commission, *Sixteenth Report on Competition Policy*, Office for Official Publications of European Communities, 1987, pp. 85-87.

კომპანიის მიერ შეთავაზებული პირობების გათვალისწინებით, კომისიამ მიიჩნია, რომ აღარ არსებობდა სამართლებრივი დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების გაგრძელების საფუძველი და საქმე პირობითი გადაწყვეტილებით დაასრულა.

ფორმალურად, პირობითი გადაწყვეტილების განმსაზღვრელი სპეციალური ნორმა გათვალისწინებულ იქნა საბჭოს 1/2003 რეგულაციაში. აღნიშნული რეგულაციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროკომისიას ძალიან ბევრ საქმეზე აქვს მიღებული პირობითი გადაწყვეტილებები. აღნიშნული მექანიზმის გამოყენება ხდება წარმატებულად – ეკონომიკური აგენტები თითქმის ყოველთვის ასრულებენ აღებულ ვალდებულებებს. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ევროკომისიას ეფექტიანი აღსრულების მექანიზმები გააჩნია. კერძოდ, ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს ეკონომიკური აგენტის დაჯარიმებას და მისთვის პერიოდულ სანქციების დაკისრებას. [1146] ამასთან, ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქმე შეიძლება ხელახლა გაიხსნას. [1147] კომპანიებისთვის პირობითი გადაწყვეტილებები მიმზიდველია იმ კუთხით, რომ არ დგინდება დარღვევა და მათთვის სანქციის დაკისრება არ ხდება.[1148]

აღსანიშნავია, რომ პირობითი გადაწყვეტილებები არ გამოიყენება კომისიის მიერ, თუ სახეზეა კანონის აშკარა დარღვევა და ჯარიმის დაკისრება წარმოადგენს პროპორციულ, აუცილებელ და პრევენციულ მეთოდს დარღვევის აღმოსაფხვრელად.

[1146] Council Regulation No. 1/2003 of 16 December 2002 on the implementation of the rules on competition laid down in Articles 81 and 82 of the Treaty. OJ L1/1, 2003, Article 23.2.

[1147] იქვე, მუხლი 9.2. ავტორების შენიშვნა: საქმის ხელახლა გახნა ასევე ხდება იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლა ფაქტობრივი მდგომარეობა ან გადაწყვეტილება დაეფუძნა მხარეთა მიერ მოწოდებულ არასწორ ინფორმაციას.

[1148] OECD. EU Commitment Decisions: What Makes Them So Attractive?, DAF/COMP/WD(2016)53, 2016, https://one.oecd.org/document/DAF/COMP/WD(2016)53/en/pdf.

კონკურენციის სააგენტოს მიერ შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს პირობით გადაწყვეტილებას. კერძოდ, საქმის მოკვლევა დასრულდება დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე, თუ სააგენტო მიიღებს მხარის მიერ შემოთავაზებულ პირობებს. ეკონომიკური აგენტების მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომპანიას დაეკისრება საურავი და საქმის მოკვლევის ხელახლა დაიწყება. თუმცა, ჯერჯერობით, ხსენებული კანონმდებლის მსჯელობის საგანია.

5.4. კერძო აღსრულება – ზიანის ანაზღაურება

"კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე[2] მუხლის შესაბამისად, "ეკონომიკურ აგენტს, სხვა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისა და დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, აგრეთვე სასამართლოში გაასაჩივროს სააგენტოს გადაწყვეტილება". აღნიშნულიდან გამომდინარე, "კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი იძლევა პირდაპირ სამართლებრივ საფუძველს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის.

ზიანის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც შეიძლება მიადგეს ეკონომიკურ აგენტს სხვა ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად, არის მიუღებელი შემოსავალი. მიუღებელი შემოსავალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.[1149] სასამართლო ზიანის ამ სახეს განმარტავს, როგორც შემოსავალს, რომელიც პირს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად

[1149] საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი", პარლამენტის უწყებანი, 31, 24.07.1997. https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=100. მუხლი 411.

რომ შესრულებულიყო. [1150] მიუღებელი შემოსავლის ამგვარი განმარტების ერთმნიშვნელოვნად განვრცობა კონკურენციის სამართლებრივ დავებზე, შედარებით ფრთხილ მიდგომას საჭიროებს, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს ვალდებულებითსამართლებრივ გარიგებასთან, სასამართლო კი მიუთითებს: "...ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო". თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლო უშვებს მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის დადგომის ალბათობას დელიქტური ვალდებულების შემთხვევაში. თუმცა, ამ დროსაც აუცილებელია იკვეთებოდეს მიუღებელი შემოსავლის მიღების რეალურობა,[1151] ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხსენებული ინსტიტუტი შესაძლებელია განივრცოს „კონკურენციის შესახებ" კანონის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევებზეც. მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანი შესაძლებელია დადგეს იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს, მაგალითად, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მხრიდან სხვა ეკონომიკური აგენტის დისკრიმინაციას, ან საზოგადოდ, წარმოებისა და ბაზრების შეზღუდვას, რითაც დაზარალებულ ეკონომიკურ აგენტს არ ეძლევა ჩვეული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების საშუალება.

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლით დაწყებული დავებიდან ყველაზე გახმაურებული სასამართლო დავა წარმოებდა სს "თბილისის თამბაქოსა" და შპს "ფილიპ მორის საქართველოს" შორის. ხსენებული დავის ფარგლებში, პირველი ინსტანციის სასამართლომ შპს „ფილიპ მორის საქართველოს" 93 მილიონი ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დააკისრა, თუმცა ზედა ინსტანციის სასამართლომ საბოლოოდ გააუქმა აღნიშნული გადაწყვეტილება.[1152] დავის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ სს „თბილისის თამბაქოს" განცხადებით, 2013 წლის 1 სექტემბრიდან, შპს „ფილიპ მორის საქართველომ" დაიწყო

[1150] თბილისის სააპელაციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/62-14, 21.10. 2014.

[1151] საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე ას-307-291-2011, 24.10.2011. საქართველოს უზენაესი სასამართლოს!გადაწყვეტილებანი სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე. გვ. 32 და შემდგომნი.

[1152] http://www.tbappeal.court.ge/?news=674

სიგარეტი BOND STREET-ის თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაცია, რის შედეგადაც სს „თბილისის თამბაქოს" გაყიდვები განსაკუთრებულად შემცირდა და ამით კომპანიას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. აღსანიშნავია, რომ მომჩივანმა ამ შემთხვევაში პირდაპირ მიმართა სასამართლოს და კონკურენციის სააგენტოს აღნიშნული საქმე არ განუხილავს. ასეთ შემთხვევაში სააგენტო განიხილავდა დარღვევის არსებობა-არარსებობის საქმეს, ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მხარეს სამოქალაქო წესით მაინც სასამართლოსთვის უნდა მიემართა.

ზიანის ანაზღაურების საკითხი შეიძლება დადგეს როგორც ეკონომიკური აგენტების, ასევე მომხმარებლების მხრიდანაც, ვინაიდან კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების შედეგად ზიანი მათაც შეიძლება მიადგეთ.

სწორედ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა და შესაბამისი რესტიტუციის მიღების გამარტივებას ემსახურება ევროკავშირის დირექტივა 2014/104/EU.[1153] ნაციონალურ კანონმდებლობებში მისი ტრანსპოზიციისა და იპლემენტაციის ვადა 2016 წლის ბოლოს ამოიწურა. ევროსასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, რასაც ასევე ეხმაურება აღნიშნული დირექტივა, ნებისმიერ კომპანიასა და მოქალაქეს უნდა შეეძლოს, მიიღოს კომპენსაცია კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანისთვის. [1154] დირექტივის შესაბამისად, ზიანის სრული კომპენსაცია ნიშნავს ისეთ კომპენსაციას, რომელიც შეავსებს სხვაობას არსებულ მდგომარეობასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც დადგებოდა, რომ არა კონკურენციის შეზღუდვა. [1155]

[1153] Directive 2014/104/EU of the European Parliament and of the Council of 26 November 2014 on certain rules governing actions for damages under national law for infringements of the competition law provisions of the Member States and of the European Union, OJ L 349/1, 05.12.2014.

1154 იხ. Case C-453/99, *Courage Ltd v Bernard Crehan and Bernard Crehan v Courage Ltd and Others* [2001] ECR I-6297, ECLI:EU:C:2001:465; ასევე Joined Cases C-295/04 და C-298/04, *Manfredi and others* [2006] ECR I-6619, ECLI:EU:C:2006:461.

[1155] Directive 2014/104/EU of the European Parliament and of the Council of 26 November 2014 on certain rules governing actions for damages under national law for infringements of the competition law provisions of the Member States and of the European Union, OJ L 349/1, 05.12.2014, Art 3(2).

შესაბამისად, ზიანი მოიცავს როგორც რეალურ დანაკარგებს, ასევე მიუღებელ შემოსავალსა და დარიცხულ პროცენტს.[1156]

მიუხედავად ზიანის ანაზღაურების სისტემის მნიშვნელოვანი გამარტივებისა, ხსენებული დირექტივა კონკურენციის სამართლის სპეციალისტებს შორის მაინც ცხარე დისკუსიის საგანია. ეს დირექტივის თანმდევი გვერდითი ეფექტების არსებობითაა გამოწვეული. საქმე ისაა, რომ ზიანის ანაზღაურების გამარტივებამ შესაძლოა შეაფერხოს თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებსა და კონკურენციის დაცვის ორგანოებს შორის, რადგან ზიანის ანაზღაურების სიმარტივის გამო, კომპანიებს ეკარგებათ ინტერესი (ფულადი სანქციების შემცირების მიზნით) აქტიურად ითანამშრომლონ კომისიასთან.[1157]

6. სამომავლო გამოწვევები

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ეკონომიკური პროცესების მასობრივმა გაციფრულებამ განაპირობა ხსენებული პროცესების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველმყოფი სამართლებრივი ინსტიტუტების მნიშვნელოვანი განვითარება და ახალ რეალობასთან ადაპტირება. ხსენებული ცვლილებები შეეხო როგორც ეკონომიკურ სუბიექტთა ურთიერთობების (სახელშეკრულებო-სამართლებრივ), ასევე ეკონომიკური ობიექტების (სანივთო-სამართლებრივ) რეგულირებას.

სამართლის სუბიექტებთან მიმართებით, ამ პროცესმა განსაკუთრებული გავლენა იქონია ნების გამოვლენასა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივ ასპექტებზე. სამართლის ობიექტებთან მიმართებით, ამ უკანასკნელმა განაპირობა ახალი ტიპის ქონებრივ სიკეთეთა შექმნა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში დგანან არამატერიალურ და მატერიალურ ქონებრივ სიკეთეთა ზღვარზე. ერთი მხრივ, ისინი წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ

[1156] Directive 2014/104/EU.

[1157] იხ. Buiten, Miriam C, Van Wijck, Peter and Winters, Kan Kees, „Does The European Damages Directive Make Consumers Better Off?", Journal of Competition Law & Economics, Volume 14, Issue 1, 2018, pp. 91-114.

ელექტრონულ იმპულსებს, ხოლო მეორე მხრივ, ხელშესახებნი და აღქმადნი არიან რაციონალურად (განსხვავებით ტრადიციული, კლასიკური არამატერიალური ქონებრივი სიკეთისაგან, როგორიცაა მაგალითად, საავტორო უფლება, ან პატენტი).

ეკონომიკის გაციფრულება განსაკუთრებულ გავლენას ახდენს თანამედროვე კონკურენციის სამართალზეც. ეს უკანასკნელი, განიხილავს რა სახელშეკრულებო/კვაზისახელშეკრულებო ურთიერთობებისა და საბაზრო ძალაუფლების ზემოქმედებას ეკონომიკაზე, დგას განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე – ერთი მხრივ, მან რეგულირების მიღმა არ უნდა დატოვოს ბაზრის ეფექტიანობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ქმედებები, განურჩევლად მათი ფორმისა; მეორე მხრივ, მისი რეგულირების შემზღუდველი ბუნების ქვეშ არც ისეთი ქმედებები, რომლებსაც ერთი შეხედვით გააჩნიათ უარყოფითი ეფექტი, თუმცა მათი განხორციელების ფორმა არსებით ცვლილებებს იწვევს შინაარსში.

ცალმხრივი ქმედებების მოწესრიგების თვალსაზრისით, ზემოხსენებული გამოწვევის ყველაზე აქტუალური მაგალითებს ამ ეტაპზე მონაცემთა დიდი ბაზები (big data) წარმოადგენს. ეს ბაზები კონკურენციის სამართლისთვის პრობლემურია იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს რთულად გაზომვად ციფრულ სიკეთეს. უფრო კონკრეტულად, ხსენებული სიკეთე ხშირ შემთხვევაში არ აისახება ეკონომიკური სუბიექტის საბაზრო ძალაუფლების შეფასების ტრადიციულ კრიტერიუმებზე (მაგალითად, რთულია იმის დადგენა, კონკრეტულად რა შედეგი მოჰყვება ამ სიკეთის ფლობას პროდუქტის ფასებზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით). თუმცა, დღეს უკვე სადავო აღარაა, რომ მონაცემთა დიდი ბაზების ფლობა წარმოადგენს მსგავსი ძალაუფლების წარმოქმნის ან გაძლიერების არსებით "ხელსაწყოს". შესაბამისად, დიდია რისკი იმისა, რომ იგი, როგორც ტრადიციული მეთოდებით გაუზომადი ფაქტორი, ისევე როგორც ამ ფაქტორის სამართლებრივი და ეკონომიკური შედეგი, დარჩეს რეგულირების მიღმა.[1158]

[1158] სერგია, ნიკა, „ალგორითმული ფასწარმომქმნელების გამოყენებით კონკურენციის შეზღუდვის რეგულირების ზოგიერთი ასპექტი", კონკურენციის პოლიტიკის მეორე საერთაშორისო კონფერენცია, შრომების კრებული, თბილისი, 2018, გვ. 148.

თანამედროვეობაში, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების რეგულირება მჭიდროდ გადაეჯაჭვა პირადი მონაცემების დაცვის საკითხებსაც. თავის მხრივ, ეს მიუთითებს კონკურენციის სამართლის ეკონომიკური ეფექტების ფართო დიაპაზონზე, რომელსაც მნიშვნელოვანი სოციალური შედეგები გააჩნია.

მიუხედავად ევროკავშირის მასშტაბით მეტ-ნაკლებად განვითარებული სამართლებრივი პრაქტიკისა, კონკურენციის სამართლისთვის ჯერ მაინც გამოწვევად რჩება ორმხრივი და მრავალმხრივი ციფრული ბაზრების (ე.წ. ონლაინპლატფორმების) საკითხები. [1159] თანამედროვე გიგანტური კორპორაციები, რომლებიც მომხმარებელთა ფართო მასებისათვის თავიანთი პლატფორმების ერთ ნაწილს უფასოდ ხდიან ხელმისაწვდომს, ახერხებენ პლატფორმის მეორე ნაწილის მძლავრი კაპიტალის დასაგროვებლად გამოყენებას. ამაში, რა თქმა უნდა, არაფერია არაბუნებრივი ან კანონსაწინააღმდეგო. თუმცა, ამ გზით მოპოვებული საბაზრო ძალაუფლება, რომელსაც ზურგს უმაგრებს ზემოხსენებული ბაზები, ქმნის როგორც მონოპოლისტური დისკრიმინაციის, ისე პროდუქტებისა და მომსახურებების მიბმის უსაზღვრო შესაძლებლობას. ეს კი აღნიშნული დომინანტი ფირმებისათვის სხვა, არაძირითადი ბაზრების მონოპოლიზაციის საშუალება შეიძლება გახდეს.[1160]

[1159] ავტორების შენიშვნა: ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით მსოფლიოს მასშტაბით არაერთი კვლევაა ჩატარებული. საჯაროდ ხელმისაწვდომი კვლევებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები. მაგალითისთვის იხილეთ: OECD, Rethinking the use of traditional antitrust enforcement tools in multi-sided markets, 2018, http://www.oecd.org/competition/rethinking-antitrust-enforcement-tools-in-multi-sided-markets.htm; OECD, Hearing on Re-thinking the use of traditional antitrust enforcement tools in multi-sided markets, Market definition in multi-sided markets, DAF/COMP/WD(2017)33, 2017, https://www.bundeskartellamt.de/SharedDocs/Publikation/EN/Diskussions_Hintergrundpapiere/OECD_2017_Competition_Committee_multi-sided%20markets.pdf?__blob=publicationFile&v=3; OECD, Competition Committee, Roundtable on Two-Sided Markets, DAF/COMP(2009)20, 2009, https://www.oecd.org/daf/competition/44445730.pdf.

[1160] მაგალითისთვის, იხილეთ ევროკომისიის საქმეები: CASE AT.39740 Google Search (Shopping) C(2017) 4444, http://ec.europa.eu/competition/antitrust/cases/dec_docs/39740/39740_14996_3.pdf; ასევე, Case AT.40099 – Google Android, Decision of 18 July 2018 (no public version available), press release at http://europa.eu/rapid/press-release_IP-18-4581_en.htm.

თუ ზემოხსენებული შემთხვევებისთვის უკვე არსებობს გარკვეული სამართლებრივი პრაქტიკა და კონკურენციის სამართალი მათ ფეხდაფეხ მისდევს, ტექნოლოგიური პროგრესი მაინც ახერხებს შემოგვთავაზოს ახალი სფეროები, რომელთაც ჯერ არ შეხებია კანონმდებლისა და მოსამართლის ჩაქუჩი. ასეთად შეგვიძლია მოვიაზროთ ბლოკჩეინი და მისი გამოყენების ისეთი მეთოდები, რომლებიც ერთი მხრივ სრულიად კანონიერია, მაგრამ მეორე მხრივ, იმთავითვე კონკურენციის შემზღუდველი ხასიათი შეიძლება გააჩნდეს.[1161]

ხსენებული საკითხები უფრო დიდი გამოწვევაა ისეთი მცირე ეკონომიკის კონკურენციის დაცვის ოფისებისათვის, როგორიც საქართველოა. შესაბამისად, ამგვარი პრობლემების გადაწყვეტის მექანიზმი, ალბათ, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებასა და კონკურენციის კანონმდებლობის უნიფიცირებაში უნდა ვეძიოთ.

[1161] ავტორების შენიშვნა: ამ თემაზე დისკუსიის საწყისები იხ. Schrepel, Thibault, „Is Blockchain the Death of Antitrust Law? The Blockchain Antitrust Paradox", Geo. L. Tech. Rev. (Forthcoming), 2018, https://ssrn.com/abstract=3193576; Schrepel, Thibault, „Collusion by Blockchain and Smart Contracts", Harvard Journal of Law and Technology, 2019, https://ssrn.com/abstract=3315182.

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება – მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამება

➢ „დომინანტური“ ეწოდება შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის ისეთ მდგომარეობას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, იმოქმედოს კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს კონკურენცია.

➢ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებისაგან განსხვავებით, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისაკენ მიმართული ქმედებები წარმოადგენს დომინანტი ეკონომიკური აგენტის ცალმხრივ/ერთპიროვნულ ქცევას. თუ სახეზეა ქცევის ცალმხრივი ხასიათი და სუბიექტი წარმოადგენს ერთზე მეტ ეკონომიკურ აგენტს (კანონმდებლობით დადგენილი საბაზრო წილის ფარგლებში) – სახეზეა ჯგუფური დომინანტობა.

➢ დომინანტური მდგომარეობის დასადგენად საჭიროა ორეტაპიანი ანალიზი:

- პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს შესაბამისი ბაზარი;
- შემდეგ კი უნდა შეფასდეს შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლება.

➢ საბაზრო ძალაუფლება ეწოდება ეკონომიკური აგენტის შესაძლებლობას, ბაზრის მნიშვნელოვანი წილის დაკარგვის გარეშე გაზარდოს მოგება ფასების გაზრდის ან ხარჯების/ხარისხის შემცირების გზით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში. საბაზრო ძალაუფლების დასადგენად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამ მაჩვენებელს:

- ეკონომიკური აგენტის (და მისი კონკურენტების) საბაზრო წილი – საქართველოში, სხვა მტკიცებულებების არარსებობისას, 40%-ზე ნაკლები საბაზრო წილის მქონე ეკონომიკური აგენტი არ მიიჩნევა დომინირებული მდგომარეობის მქონედ.

- ბაზარზე შესვლისა და გაფართოების ბარიერები – იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კომპანიის საბაზრო წილი მაღალია, იგი ვერ შეძლებს ფასის ზრდას, ხარისხის ან მომხმარებლის არჩევანის შემცირებას, ან კონკურენციის სხვა პარამეტრის გაუარესებას, თუ ადვილია ბაზარზე შესვლა, ანუ არ არსებობს ბაზარზე შესვლის ბარიერები.
- მყიდველის დამაბალანსებელი ძალაუფლება – თუ მყიდველს გააჩნია შესაბამისი საბაზრო ძალაუფლება, მას შესწევს უნარი, გავლენა მოახდინოს გამყიდველის საფასო პოლიტიკასა და მის მიერ შემოთავაზებული სავაჭრო პირობების ხასიათზე.

➢ ეკონომიკური აგენტი, რომელსაც გააჩნია 40%-ზე ნაკლები საბაზრო წილი და აქვს საბაზრო ძალაუფლება, მაინც იქნება მიჩნეული დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტად.

➢ დომინანტური მდგომარეობის ფლობა არ წარმოადგენს კანონდარღვევას. „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, აკრძალულია მხოლოდ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

➢ კანონი ადგენს დომინანტური მდგომარეობის განმარტებასა და მისი განსაზღვრის კრიტერიუმებს. ამასთან, მოცემულია იმ ქმედებათა ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად:

- შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა;
- წარმოების, ბაზრების ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;
- გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;
- ხელშეკრულების წინაპირობად გარიგების იმგვარი პირობის დაწესება, რომელიც გარიგების მეორე მხარეს ისეთ დამატებით ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან.

➢ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევები შესაძლოა იყოს ექსპლუატაციისკენ (მომხმარებლის კუთხით) ან ბაზრიდან განდევნისკენ (კონკურენტების მიმართ) მიმართული.

➢ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევებს ასევე ყოფენ *ფასისმიერ* და *არაფასისმიერ* ქმედებებად:

• *ფასისმიერი ქმედებები* პირდაპირ არის დაკავშირებული ეკონომიკური აგენტის დანახარჯებთან და საბოლოო ფასთან და, როგორც წესი, მოითხოვს სხვადასხვა ტიპის დანახარჯების დეტალურ ეკონომიკურ ანალიზს. ფასისმიერი ქმედებების მაგალითებია, მათ შორის, მტაცებლური ფასები, ჭარბი ფასის დაწესება, მარჟის შეზღუდვა და სხვა.

• არაფასისმიერი ქმედებები არ არის პირდაპირ დაკავშირებული ეკონომიკური აგენტის დანახარჯებთან, არამედ, მათ სხვა გზით შეუძლიათ კონკურენციის შეზღუდვა და კონკურენტების ბაზრიდან განდევნა. ასეთი ქმედების მაგალითებია: მიწოდებაზე უარი, მიბმა და დაჯგუფება, ექსკლუზიური გარიგებები და სხვა.

➢ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება სახეზე არ იქნება, თუ დადგინდა, რომ ადგილი აქვს დომინანტი კომპანიის ქმედების ობიექტურ გამართლებას. მსგავსი გამართლება შესაძლოა მოხდეს კომერციული ინტერესის დაცვის, ეფექტიანობის გაუმჯობესების, საჯარო ინტერესების დაცვისა და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე. ობიექტური გამართლების არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება დომინანტ ეკონომიკურ აგენტს.

➢ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მრავალი სახე არსებობს, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია: (ა) არასამართლიანად მაღალი/დაბალი ფასების დაწესებასთან დაკავშირებული შეზღუდვები; (ბ) არასამართლიანი სავაჭრო პირობები და ექსკლუზიური გარიგებები; (გ) მიწოდებაზე უარი; (დ) მარჟის შეზღუდვა; (ე) ფასისმიერი დისკრიმინაცია; (ვ) მიბმა და დაჯგუფება.

➢ არასამართლიანად მაღალი/დაბალი ფასების დაწესებასთან

დაკავშირებული შეზღუდვებიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მტაცებლური ფასის დაწესება, ჭარბი ფასის დაწესება და ფასისმიერი დისკრიმინაცია.

➢ მტაცებლური ფასის დაწესება ბაზრიდან განდევნისკენ მიმართული ქმედებაა, რომლის დროსაც დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი ახორციელებს პროდუქციის არასამართლიანად დაბალ ფასად მიწოდებას. ეს გრძელვადიან პერსპექტივაში იწვევს კონკურენტების ბაზრიდან განდევნას და მისი საბაზრო პოზიციის გამყარებას – აღნიშნული შედეგის მიღწევის შედეგად კი ხდება ფასების გაზრდა.

➢ საქართველოს პრაქტიკაში ჯერ დადგენილი არაა, თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე დგინდება ფასის მტაცებლური ხასიათი. შედარებისთვის, ევროკავშირში, ფასის მტაცებლურობის ანალიზი მიბმულია წარმოების დანახარჯებთან:

- როდესაც ფასი წარმოების საშუალო მთლიან დანახარჯზე (ATC) მეტია, მტაცებლური ფასი სახეზე არ არის;
- როდესაც ფასი საშუალო მთლიან დანახარჯზე (ATC) ნაკლებია, მაგრამ საშუალო ცვლად დანახარჯზე (AVC) მეტია, ფასი მტაცებლურია მხოლოდ მაშინ, თუ ფასის დაწესება კონკურენტის ბაზრიდან გაძევებას ისახავს მიზნად. შესაბამისად, ამ შემთხვევაში რელევანტური ხდება დომინანტი ეკონომიკური აგენტის განზრახვა.
- თუ ფასი საშუალო ცვლად დანახარჯზე (AVC) ნაკლებია, მოქმედებს მტაცებლური ფასების დაწესების პრეზუმფცია, რომლის გაბათილება უნდა მოახდინოს დომინანტური მდგომარეობის მქონე პირმა.

➢ საქართველოს პრაქტიკაში, ასევე დადგენილი არაა ჭარბი ფასის განსაზღვრის კრიტერიუმები. ევროკავშირში, მსგავსი ფასის არსებობა დგინდება ორი კუმულატიური პირობით: (ა) ფასი ჭარბი უნდა იყოს ეკონომიკური აგენტის დანახარჯებთან მიმართებით და (ბ) ფასი არასამართლიანი უნდა იყოს თავისთავად ან კონკურენტ(ებ)ის ფასთან შედარებით.

➢ არასამართლიანი სავაჭრო პირობებია ისეთი პირობები, რომელთა დაწესებითაც (მაგალითად) დომინანტი კომპანია ხელს

უშლის კონკურენტს სხვა კონკურენტებთან ურთიერთობაში – ეს შეიძლება გამოიხატოს როგორც ექსკლუზიურ გარიგებებში, ისე გარკვეული სახის ფასდათმობებში:

- *ექსკლუზიური ხასიათის გარიგებები* ძირითადად წარმოადგენს ვერტიკალური ხასიათის შეთანხმებებს – იდება ორი დონის ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს შორის – მიმწოდებელსა (რომელიც წარმოდგენილია ზედა დონის ბაზარზე) და მომხმარებელს (რომელიც წარმოდგენილია ქვედა დონის ბაზარზე) შორის. გარიგების ექსკლუზიური ხასიათი შესაძლოა გამოხატულ იყოს როგორც პროდუქციის ექსკლუზიურ შეძენაში, ასევე - ექსკლუზიურ მიწოდებაში. მაგ.: ექსკლუზიური გარიგება სახეზეა, როდესაც, მიმწოდებელი ავალდებულებს შემსყიდველს, რომ საქონელს მხოლოდ მისგან შეიძენს; ან მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მხოლოდ კონკრეტულ კომპანიას მიაწვდის საქონელს და არა მის კონკურენტებს.

- *ფასდათმობები* (ფართო გაგებით), შეგვიძლია დავყოთ ორ ძირითად სახედ – *უპირობო და პირობითი ფასდათმობა.* უპირობო ფასდათმობა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მარტივი, წინასწარ გამოცხადებული ფასდაკლება, რომელიც შეიძლება მიიღოს ნებისმიერმა კონტრაჰენტმა და იგი პირთა განუსაზღვრელი წრისკენაა მიმართული. რაც შეეხება პირობით ფასდათმობას, იგი მხოლოდ იმ პირებისთვისაა განკუთვნილი, რომელიც გარკვეულ პირობებს დააკმაყოფილებენ. უპირობო და პირობადადებული ფასდათმობების ძირითადი სახეებია:

ექსკლუზიურობის პირობა – შემთხვევა, როდესაც მიმწოდებელი მხარე მოითხოვს მყიდველისგან, მხოლოდ მისგან შეიძინოს შესაბამისი პროდუქცია, ან ამ პროდუქციის მოხმარების გარკვეული წილი (ხშირ შემთხვევაში ეს წილი აღემატება 80%-ს) დაიკმაყოფილოს სწორედ ამ მიმწოდებლისგან.

რაოდენობრივი პირობა – შემთხვევა, როდესაც მიმწოდებელი მყიდველს მხოლოდ იმ შემთხვევაში სთავაზობს ფასდათმობას, თუ ის მისგან შეიძენს გარკვეულ რაოდენობაზე მეტ პროდუქციას.

გადაბმის პირობა – ფასდათმობის წინაპირობად მიმწოდებელი განიხილავს მყიდველის ვალდებულებას, შეიძინოს დამატებით

სხვა პროდუქტიც (გარდა იმისა, რომელსაც ეხება ფასდათმობა).

➢ მიწოდებაზე უარის არსებობისთვის საჭიროა ორი – ზედა და ქვედა დონის – ბაზარი. მსგავსი უარი სახეზეა, თუ: (ა) ხდება მიწოდებაზე უარი ან ისეთი პირობების შეთავაზებაში, რომლის მიღებაც მომხმარებელს ვერ შეეძლება; (ბ) ეკონომიკურ აგენტს დომინანტური მდგომარეობა უკავია ზედა დონის ბაზარზე; (გ) მიწოდებაზე უარის საგანი (პროდუქცია) აუცილებელია ქვედა დონის ბაზარზე ოპერირებისათვის; (დ) უარით იზღუდება კონკურენცია ქვედა დონის ბაზარზე; (ე) არ არსებობს უარის გამამართლებელი გარემოებები.

➢ მარჟის შეზღუდვისას, ზედა და ქვედა დონის ბაზრები ერთმანეთთან იმგვარადაა დაკავშირებული, რომ ზედა დონის ბაზრის პროდუქცია აუცილებელია ქვედა დონის ბაზარზე არსებული პროდუქტის საწარმოებლად. შეზღუდვის შემთხვევაში, ზედა დონის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი აწესებს ისეთ ფასს საკუთარ პროდუქციაზე, რომ ქვედა დონის ბაზარზე მოქმედი მისი კონკურენტი კომპანიების მარჟა კრიტიკულად მცირდება – ანუ, ამ უკანასკნელებისთვის შეუძლებელი ხდება ბაზარზე ოპერირება.

➢ ფასისმიერი დისკრიმინაცია წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ისეთ შემთხვევას, როდესაც დომინანტური მდგომარეობის მქონე სუბიექტი სხვადასხვა ფასს აწესებს კლიენტების სხვადასხვა კატეგორიისთვის. ფასისმიერი დისკრიმინაციის ყველა შემთხვევა დარღვევას არ წარმოადგენს – ამ დროს, მთავარია, დისკრიმინაცია კონკურენტებს არათანაბარ და წამგებიან მდგომარეობაში აყენებდეს.

➢ მიბმა არის არასაფასო დისკრიმინაციის სახე და წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის მქონე სუბიექტის იმგვარ ქმედებას, როდესაც იგი პროდუქტის მყიდველისათვის შეთავაზების დროს, ავალდებულებს მას, რომ შეიძინოს პირველ პროდუქტთან დაკავშირებული სხვა პროდუქტიც. მიბმა შესაძლოა იყოს სახელშეკრულებო, ტექნიკური ან გარანტიის შეჩერება/გამოხმობის გზით განხორციელებული.

➢ დაჯგუფება წარმოადგენს მიბმის მსგავს ქმედებას, რომელიც

ფასისმიერ ელემენტსაც შეიცავს. ამ დროს ორ სხვადასხვა შესაბამის ბაზარს მიკუთვნებული პროდუქტი იყიდება ერთობლივად, ერთ ფასად. დაჯგუფება შეიძლება იყოს: (ა) აუცილებელი – როდესაც ვერ მოხდება პროდუქტების დამოუკიდებლად შეძენა. მაგალითად, ყავა იყიდება ფინჯანთან ერთად და მათი დამოუკიდებლად შეძენა შეუძლებელია; (ბ) შერეული – ორი პროდუქტი მართალია იყიდება განცალკევებულად, მაგრამ მათი ერთად შეძენის შემთხვევაში მოქმედებს ფასდაკლება.

➢ საქართველოში დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის განსაზღვრულია ფულადი ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვის 5%-ს (განმეორებითობა 10%-ს). კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს დროებითი ღონისძიების ზომას – სასამართლოსთვის მიმართვის გზით სავარაუდო დამრღვევი ქმედების შეჩერებას. ქართული კონკურენციის სამართალი არ ითვალისწინებს ზომებს და პირობით გადაწყვეტილებას – ანუ გადაწყვეტილებას, როდესაც საქმე სრულდება დარღვევის დადგენის გარეშე. თუმცა, გათვალისწინებულია კერძო აღსრულების მექანიზმი – სასამართლოსთვის მიმართვა კონკურენციის სააგენტოსთვის მიმართვის გარეშე.

კანონმდებლობა

16. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი), 11.09.2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0
17. საქართველოს კანონი "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ", პარლამენტის უწყებანი, 22-23, 30.07.1996 (ძალადაკარგულია 11.07.2005-დან), https://matsne.gov.ge/ka/document/view/31462?publication=3
18. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი", პარლამენტის უწყებანი, 31, 24.07.1997, https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=100
19. საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 27.06.2005 (ძალადაკარგულია 23.07.2012-დან), ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29644?publication=6
20. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი), 25.05.2012 (2014 წლის 21 მარტის ცვლილებების გათვალისწინებით), https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4
21. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №30/09-3 "ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი), 30.09.2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2523226?publication=0
22. სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 30 ნოემბრის №190 ბრძანება „ჯარიმის ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცების შესახებ", http://competition.ge/ge/page3.php?i=190&v=192

23. Consolidated Version of the Treaty on the Functioning of the European Union, OJ C 326/47, 26.10.2012
24. EEC Council: Regulation No 17: First Regulation implementing Articles 85 and 86 of the Treaty, OJ 13/204, 1962
25. Council Regulation (EEC) No 4064/89 of 21 December 1989 on the control of concentrations between undertakings, OJ L 257/90
26. Council Regulation No. 1/2003 of 16 December 2002 on the implementation of the rules on competition laid down in Articles 81 and 82 of the Treaty, OJ L1/1, 2003
27. Directive 2014/104/EU of the European Parliament and of the Council of 26 November 2014 on certain rules governing actions for damages under national law for infringements of the competition law provisions of the Member States and of the European Union, OJ L 349/1, 05.12.2014

სასამართლო გადაწყვეტილებები

61. თბილისის საქალაქო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №2-3417-13, 21.05.2013.
62. თბილისის სააპელაციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/62-14, 21.10. 2014.
63. Case 6/72 *Continental Can v Commission* [1973] ECR 215, ECLI:EU:C:1973:22.
64. Joined Case 6/73 and 7/73 *Commercial Solvents v Commisison* [1974] ECR 223, ECLI:EU:C:1974:18.
65. Case 27/76, *United Brands Company and United Brands Continentaal BV v Commission of the European Communities* [1978] ECR 207, ECLI:EU:C:1978:22.
66. Case 85/76, *Hoffmann-La Roche v Commission* [1979] ECR 461, ECLI:EU:C:1979:36.
67. Case 322/81, *Nederlandsche Banden-Industrie-Michelin v Commission* [1983] ECR 3461, ECLI:EU:C:1983:313.
68. Case C-62/86, *AKZO Chemie v Commission* [1991] ECR I-3395, EU:C:1991:286.

69. Joined Cases T-68/89, 77/89 and 78/89, *Società Italiana Vetro, Fabbrica* Pisana *and PPG Vernante Pennitalia v Commission* [1992] ECR II-1403 (Italian Flat Glass), ECLI:EU:T:1992:38.
70. Case C-333/94 P *Tetra Pak International SA v Commission* [1996] ECR I-5951, ECLI:EU:C:1996:436.
71. Joined Cases C-395/96 P and C-396/96 P *Compagnie Maritime Belge Transports v Commission* [2000] ECR I-1365, ECLI:EU:C:2000:132.
72. Case C-453/99, *Courage Ltd v Bernard Crehan and Bernard Crehan v Courage Ltd and Others* [2001] ECR I-6297, ECLI:EU:C:2001:465.
73. Case T-342/99, *Airtours v Commission* [2002] ECR II-2585, ECLI:EU:T:2004:192.
74. Case T-219/99, *British Airways plc v Commission of the European Communities* [2003] ECR II-5917, ECLI:EU:T:2003:343.
75. Case C-418/01, *IMS Health* [2004] ECR I-5039, ECLI:EU:C:2004:257.
76. Case T-193/02, *Laurent Piau v. Commission* [2005] ECR II-209, ECLI:EU:T:2005:22.
77. Joined Cases C-295/04 ως C-298/04, *Manfredi and others* [2006] ECR I-6619, ECLI:EU:C:2006:461.
78. Case C-95/04, *British Airways v Commission* [2007] ECR I-02331, ECLI:EU:C:2007:166.
79. Case T-201/04, *Microsoft Corp. v Commission of the European Communities* [2007] ECR II-3601, ECLI:EU:T:2007:289.
80. Case T-155/06, *Tomra Systems ASA and Others v European Commission* [2010] ECR II-4361, ECLI:EU:T:2010:370.
81. Case C-441/07, *Commission v Alrosa* [2010] ECR I-5949, EU:C:2010:377.
82. Case C-280/08 P, *Deutsche Telekom AG v Commission* [2010] ECR I-9555, ECLI:EU:C:2010:603.
83. Case C-52/09, *Konkurrensverket v TeliaSonera Sverige AB* [2011] ECR I-527, ECLI:EU:C:2011:83.
84. Case C-209/10, *Post Danmark A/S v Konkurrencerådet* [2012] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2012:172.
85. Case C-457/10, *AstraZeneca AB v Commission* [2012] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2012:770

86. Case T-286/09, *Intel v Commission* [2017] ECLI:EU:T:2014:547.
87. Case C-413/14 P, *Intel Corp. v European Commission* [2017], ECLI:EU:C:2017:63.
88. Case C-525/16, *MEO – Serviços de Comunicações e Multimédia SA v Autoridade da Concorrência* [2018] Not yet reported, ECLI:EU:C:2018:270.
89. United States v. Standard Oil Co., 173 Fed. 177 (E.D. Mo. 1909).
90. United States v. AT&T Co., 552 F. Supp. 131 (D.D.C 1982).

მარეგულირებლების გადაწყვეტილებები

24. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №31, 04.03.2015
25. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №148, 12.10.2015
26. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №155, 21.10.2015
27. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №202, 30.12.2015
28. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №43, 28.03.2016
29. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №04/91, 21.04.2017
30. 84/233/EEC: Commission Decision of 18 April 1984 relating to a proceeding under Article 85 of the EEC Treaty (IV/30.849 IBM personal computer), OJ L 118/24, 1984
31. 88/518/EEC: Commission Decision of 18 July 1988 relating to a proceeding under Article 86 of the EEC Treaty (Case No IV/30.178 Napier Brown - British Sugar), OJ L 284/41,1988
32. N35388 Irish Continental Group v./ CCI Morlaix (Roscoff), 16.05.1995
33. 2002/165/EC: Commission Decision of 3 July 2001 relating to a proceeding pursuant to Article 82 of the EC Treaty (Case COMP D3/38.044 — NDC Health/IMS Health: Interim measures), OJ L 59/18, 2002

34. Summary of Commission Decision of 13 May 2009 relating to a proceeding under Article 82 of the EC Treaty and Article 54 of the EEA Agreement (Case COMP/C-3/37.990 — Intel), OJ C 227/13, 2009
35. Case AT.39740 Google Search (Shopping) C(2017) 4444, http://ec.europa.eu/competition/antitrust/cases/dec_docs/39740/39740_14996_3.pdf
36. Case AT.40099 – Google Android, Decision of 18 July 2018 (no public version available), press release at http://europa.eu/rapid/press-release_IP-18-4581_en.htm

წიგნები და სტატიები

28. სოლომონ მენაბდიშვილი, „საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან (ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად)", საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი, 2018, http://asocireba.ge/files/Solomon-Menabdishvili-Competition-2018.pdf
29. სლავა ფეტელავა, „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში", გამომცემლობა „ლოი", 2007, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6152/1/Fetelava_Slava.pdf
30. ნიკა სერგია, „ალგორითმული ფასწარმომქმნელების გამოყენებით კონკურენციის შეზღუდვის რეგულირების ზოგიერთი ასპექტი", კონკურენციის პოლიტიკის მეორე საერთაშორისო კონფერენცია, შრომების კრებული, თბილისი, 2018
31. ჰასმიკ ტიგრანიანი და სოფიო ქურთაული, „დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი", გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2018, №5 (2018), http://lawlibrary.info/ge/books/2018GIZ-GE-Alumni-

Comparative-Research-Study_CompetitionLaw.pdf?fbclid=IwAR2NMPCxGSeMszdldhoaa9_27_D8ngA8zcgh3CxasE5Tqp7hYuIALkKyjxU

32. Jean-Yves Art, "Interim Reilef in EU Competition Law: a Matter of Relevance", Italian Antitrust Review, Volume 2(1), 2015
33. Miriam C Buiten, Peter Van Wijck and Kan Kees Winters, „Does The European Damages Directive Make Consumers Better Off?", Journal of Competition Law & Economics, Volume 14, Issue 1, 2018
34. Ariel Ezrachi, *EU Competition Law: An Analytical Guide to the Leading Cases*, 3rd ed., Hart Publishing, 2012
35. EU Commission, *Sixteenth Report on Competition Policy*, Office for Official Publications of European Communities, 1987
36. Jonathan Faull and Ali Nikpay, *The EU Law of Competition*, 3rd ed., Oxford University Press, 2014
37. Alison Jones and Brenda Sufrin, *EU Competition Law: Text, Cases, and Materials*, 5th ed., Oxford University Press, 2013
38. Alison Jones and Brenda Sufrin, *EU Competition Law: Text, Cases, and Materials*, 6th ed., Oxford University Press, 2016
39. William Kovacic, "Failed Expectations: The Troubled Past and Uncertain Future of the Sherman Act as a Tool for Deconcentration", 74 Iowa Law Review 1105, 1989
40. Danilo Sam`a, „The Antitrust Treatment of Loyalty Discounts and Rebatesinthe EU Competition Law: in Search of an Economic Approach and a Theory of Consumer Harm", LUISS "GuidoCarli" University of Rome, 2012
41. Thibault Schrepel, „Is Blockchain the Death of Antitrust Law? The Blockchain Antitrust Paradox", Geo. L. Tech. Rev. (Forthcoming), 2018, https://ssrn.com/abstract=3193576
42. Thibault Schrepel, „Collusion by Blockchain and Smart Contracts", Harvard Journal of Law and Technology, 2019, https://ssrn.com/abstract=3315182
43. Richard Whish and David Bailey, *Competition Law*, 7th ed., Oxford University Press, 2012

44. Richard Whish and David Bailey, *Competition Law*, 8th ed., Oxford University Press, 2015
45. Richard Whish and David Bailey, *Competition Law*, 9th ed., Oxford University Press, 2018

სხვა მასალები

25. საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები", 2017, <http://competition.ge/images/upload/გზამკვლევი, 20 დოკუმენტი.pdf>
26. საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის რიგი დებულებების განმარტება", 2018, http://competition.ge/images/upload/gzamkvlevi.pdf
27. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №50 (323), 1992; ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ არქივში: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0preziden--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.11&d=HASHc1a6dcdf3c672c2602da12
28. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრეზენტაცია „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, მეორე საერთაშორისო კონფერენცია – კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები, თბილისი, 28-29 სექტემბერი, 2018
29. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მოკლე მიმოხილვა (ანოტაცია), 2006, http://www.oecd.org/competition/mergers/37082099.pdf
30. Communication from the Commission — Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC

Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings, OJ C 45/7, 24.02.2009

31. European Commission, DG Competition discussion paper on the application of Article 82 of the Treaty to exclusionary abuses, 2005, http://ec.europa.eu/competition/antitrust/art82/discpaper2005.pdf
32. European Commission, Guidelines on the assessment of non-horizontal mergers under the Council Regulation on the control of concentrations between undertakings, OJ C 265/6, 2008
33. OECD, Policy Roundtable - Remedies and Sanctions in Abuse of Dominance Cases, DAF/COMP(2006)19, 2006, https://www.oecd.org/competition/abuse/38623413.pdf
34. OECD, Competition Committee, Roundtable on Two-Sided Markets, DAF/COMP(2009)20, 2009, https://www.oecd.org/daf/competition/44445730.pdf
35. OECD, EU Commitment Decisions: What Makes Them So Attractive?, DAF/COMP/WD(2016)53, 2016, https://one.oecd.org/document/DAF/COMP/WD(2016)53/en/pdf
36. OECD, Hearing on Re-thinking the use of traditional antitrust enforcement tools in multi-sided markets, Market definition in multi-sided markets, DAF/COMP/WD(2017)33, 2017, https://www.bundeskartellamt.de/SharedDocs/Publikation/EN/Diskussions_Hintergrundpapiere/OECD_2017_Competition_Committee_multi-sided%20markets.pdf?__blob=publicationFile&v=3
37. OECD, Rethinking the use of traditional antitrust enforcement tools in multi-sided markets, 2018, http://www.oecd.org/competition/rethinking-antitrust-enforcement-tools-in-multi-sided-markets.htm
38. Order of the Court of 17 January 1980, *Camera Care Ltd v Commission of the European Communities*, Competition - Interim measures, Case 792/79 R
39. Order of the President of the Court of First Instance, 26 October 2001, Case T-184/01 R, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:62001TO0184(01)&from=SV

40. Press release, Commission imposes interim measures on IMS HEALTH in Germany, IP/01/941Brussels, 03 July 2001, http://europa.eu/rapid/press-release_IP-01-941_en.htm?locale=en
41. IP/17/1323: Antitrust: Commission opens formal investigation into Aspen Pharma's pricing practices for cancer medicines, Brussels, 15 May 2017
42. General Court of the European Union, Press Release No 82/14, 12.06.2014, https://curia.europa.eu/jcms/upload/docs/application/pdf/2014-06/cp140082en.pdf
43. Court of Justice of the European Union, Press Release No 90/17, 06.09.2017, https://curia.europa.eu/jcms/upload/docs/application/pdf/2017-09/cp170090en.pdf
44. ECN Recommendation on the Power to Adopt Interim Measures, December 2013, http://ec.europa.eu/competition/ecn/recommendation_interim_measures_09122013_en.pdf
45. http://ec.europa.eu/competition/ecn/index_en.html
46. https://www.lexisnexis.com/uk/lexispsl/competition/document/391329/55KB-7MK1-F187-53G2-00000-00/Abusing_a_dominant_position_overview#

*VI. კონცენტრაციების კონტროლი**

*ქეთი ზუკაკიშვილი***

1. კონცენტრაციების კონტროლის საფუძვლები და ისტორიული მიმოხილვა

კონცენტრაცია წარმოადგენს ეკონომიკური აგენტების ურთიერთდაკავშირებას კანონით განსაზღვრული სხვადასხვა გზით. საწარმოების შერწყმის ან სხვაგვარად გაერთიანების შედეგად, როგორც წესი, იცვლება ბაზრის სტრუქტურა, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს როგორც ბაზრის ეფექტიანობაზე, ისე ბაზრის მოთამაშეთა ლეგიტიმურ ინტერესებზე. ამ ოპერაციების კონკურენციულ ეფექტებს სამართლებრივი მექანიზმებით აკონტროლებენ. [1162] დღესდღეობით კონცენტრაციების კონტროლის რეჟიმი 140-ზე მეტ იურისდიქციაში მოქმედებს.[1163] მათ შორისაა საქართველოც.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური აგენტების მიერ ძალების გაერთიანება, უმეტეს შემთხვევაში, ბაზრისთვის საზიანო არ არის. აღნიშნულ გადაწყვეტილებას ხშირად ხარჯების შემცირების, ახალ ბაზარზე შესვლის, კვლევისა და განვითარების თუ მარკეტინგის შესაძლებლობების გაუმჯობესების ან სხვა

---

* ეს თავი მოიცავს კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონით მოწესრიგებულ საკითხებს და არ აანალიზებს ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების სპეციალურ კანონმდებლობას.

** აკადემიური ასისტენტი ევროკავშირის კონკურენციის სამართლის მიმართულებით, ევროპის კოლეჯი (ბრიუგე, ბელგია).

[1162] მაგალითად, ევროკავშირში მოქმედებს სპეციალური კანონმდებლობა კონცენტრაციების კონტროლის შესახებ (რეგულაცია 139/2004, ე.წ. „ევროკავშირის შერწყმების რეგულაცია"); ამერიკის შეერთებულ შტატებში შერწყმებსა და შესყიდვებს ძირითადად განაგებს 1914 წლის კლეიტონის აქტი, თუმცა ასევე შესაძლოა გავრცელდეს როგორც 1890 წლის შერმანის აქტი, ასევე ფედერალური ვაჭრობის კომისიის აქტი და სხვა სექტორული რეგულაციები; ისრაელში შერწყმების კონტროლი ექვემდებარება ისრაელის ანტიტრასტულ უწყებას, რომელიც აღასრულებს კანონს ვაჭრობის შემზღუდველი ქმედებების შესახებ.

[1163] Jérémie Jourdan, Sophie Sahlin, *The globe-trotter's guide to merger control: How to avoid falling into traps*, 11 November 2015, https://www.whitecase.com/publications/insight/globe-trotters-guide-merger-control-how-avoid-falling-traps (15.11.2018 - ქვემოთ მოცემულ ყველა ინტერნეტრესურსზე წვდომის თარიღი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული).

ლეგიტიმური მიზეზების გამო იღებენ.[1164] თუმცა, მეორე მხრივ, კონცენტრაციამ შესაძლოა ბაზარზე კონკურენცია შეამციროს და, საბოლოო ჯამში, მომხმარებელთა ინტერესები დააზარალოს.

კონკურენტი საწარმოების შერწყმით მათ შორის კონკურენცია გამოირიცხება. ამასთან, მათი გამსხვილების შედეგად, შესაძლოა მივიღოთ საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკური აგენტი, რომელსაც შეეძლება გაზარდოს საქონლის ფასი ან/და შეამციროს ხარისხი.[1165] მსგავსი კონკურენციული რისკები შეიძლება ახლდეს სხვადასხვა დონის ბაზარზე მოქმედი საწარმოების გაერთიანებასაც. კონცენტრაციების წინასწარი კონტროლი კონკურენციის ორგანოს საშუალებას აძლევს, ხსენებული ფაქტორები შეისწავლოს და დაბალანსებული და ობიექტური გადაწყვეტილება მიიღოს.

კონცენტრაციის ლეგიტიმური საფუძვლები	კონცენტრაციის ანტიკონკურენციული მიზნები / შედეგები
ხარჯების შემცირება	საბაზრო ძალაუფლების მოპოვება ან/და კონკურენციის შეზღუდვა სხვადასხვა ფორმით
ახალ ბაზარზე შესვლა	
კვლევა და განვითარება	
მარკეტინგის გაუმჯობესება	
სხვა ლეგიტიმური მიზნები	

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა კონცენტრაციების კონტროლის სფეროში დიდწილად ეყრდნობა ევროკავშირის წესებს,[1166] თუმცა არსებობს განსხვავებებიც. ევროკავშირში ეს სფერო ბევრად უფრო განვითარებულია და სათავეს ჯერ კიდევ

[1164] იხ. Alison Jones, Brenda Sufrin, *"EU Competition Law: Text, Cases, and Materials"*, 6th edition, Oxford University Press, 2016; გვ. 1086.

[1165] იხ. Richard Whish, David Bailey, *"Competition Law"*, 7th edition, Oxford University Press, 2012; გვ. 816.

[1166] აკადემიურ წრეებში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, თუ რამდენად მიზანშეწონილია მსხვილი და განვითარებული ეკონომიკის მქონე იურისდიქციებიდან კონკურენციის სამართლის, მათ შორის, კონცენტრაციების კონტროლის შესახებ რეგულაციის „ექსპორტი" შედარებით მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. თუმცა, ეს საკითხი სცდება წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებს. დეტალური დისკუსიისთვის იხ. Jurgita Malinauskaite, *"Merger Control in Post-Communist Countries – EC merger regulation in small market economies"*, 1 edition, Routledge, 2010 და ციტირებული ლიტერატურა.

1951 წლის პარიზის ხელშეკრულებიდან იღებს. ეს უკანასკნელი შერწყმების კონტროლს მხოლოდ ქვანახშირისა და ფოლადის სექტორებში ითვალისწინებდა. 1957 წლის რომის ხელშეკრულება შეიცავდა წესებს კონკურენციის შესახებ, თუმცა არ ეხებოდა კონკრეტულად კონცენტრაციებთან დაკავშირებულ საკითხებს. შედეგად, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაიწყო დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების შესახებ დებულებების გამოყენება ეკონომიკური აგენტების გაერთიანებებთან მიმართებით.[1167]

1989 წელს ევროკავშირში მიიღეს სპეციალური კანონმდებლობა კონცენტრაციების კონტროლის შესახებ, [1168] რომელიც კრძალავდა კონცენტრაციებს, თუკი მათ შედეგად საწარმო დომინანტურ მდგომარეობას მოიპოვებდა.[1169] 2004 წელს ხსენებული კანონმდებლობა ამჟამად მოქმედმა რეგულაციამ ჩაანაცვლა. [1170] მთავარი ცვლილება ეხებოდა კონცენტრაციების შეფასების სტანდარტს: ახალი რეგულაციის მიხედვით, აკრძალულია კონცენტრაცია, რომელიც *მნიშვნელოვნად ზღუდავს ეფექტურ კონკურენციას.* კონცენტრაციის შემდეგ დომინანტური მდგომარეობის მოპოვება კი ეფექტური კონკურენციის შეზღუდვის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) ფორმაა.[1171]

კონცენტრაციების რეგულაცია საქართველოშიც თანდათანობით დამკვიდრდა. 1996 წლის კანონი *მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ*[1172] ითვალისწინებდა ორი

[1167] იხ. François Souty, *„Le droit et la politique de la concurrence de l'Union européenne"*, 4e édition, Editeur : L.G.D.J, Montchrestein 2013; გვ.: 109-110.

[1168] ევროკავშირის საბჭოს 1989 წლის 21 დეკემბრის რეგულაცია 4064/89 ეკონომიკურ აგენტებს შორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ, ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი: L 257/90, გვ. 13.

[1169] იხ. მაგ., Case No. IV/M053 - *Aerospatiale-Alenia/de Havilland* (1991).

[1170] ევროკავშირის საბჭოს 2004 წლის 20 იანვრის №139/2004 რეგულაცია ეკონომიკურ აგენტებს შორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ, ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი: L 24, 29.01.2004, გვ.: 1-22 (შემდგომში: „რეგულაცია 139/2004" ან „ევროკავშირის შერწყმების რეგულაცია").

[1171] იხ. ევროკავშირის შერწყმების რეგულაცია, მუხლი 2, პუნქტი 3.

[1172] საქართველოს კანონი "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ", პარლამენტის უწყებანი, 22-23, 30.07.1996 (ძალადაკარგულია 11.07.2005-დან); ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31462?publication=3.

სახის შერწყმის კონტროლს. გაერთიანება, რომლის მონაწილე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი იყო, ექვემდებარებოდა ანტიმონოპოლიურ ექსპერტიზას. ასევე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ეკრძალებოდათ სახაზინო საწარმოების შერწყმა ან სხვა სახის გაერთიანებების შექმნა, თუ აღნიშნული შეზღუდავდა კონკურენციას.[1173]

„ვარდების რევოლუციის" შემდგომ პერიოდში, კორუფციის აღმოფხვრისა და კანონმდებლობის გამარტივებისკენ მიმართული რეფორმები კონკურენციის პოლიტიკასაც შეეხო და კონკრეტულად კონცენტრაციების კონტროლზეც აისახა: *თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ* [1174] 2005 წლის კანონმა გააუქმა შერწყმების კონტროლი ეკონომიკის არარეგულირებული სფეროებისთვის.

ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი დაახლოების პარალელურად, თანდათან კვლავ შეიცვალა მიდგომა კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის,[1175] მათ შორის, კონცენტრაციების კონტროლის მიმართ, რაც 2010 წელს მიღებულ კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველ სტრატეგიაშიც აისახა. კერძოდ, დადასტურდა კონცენტრაციების შესახებ კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების პოლიტიკური ნება. [1176] ამავე დროს, აქტიურად დაიწყო საუბარი მნიშვნელოვან ბაზრებზე სტრუქტურული პრობლემების შესახებ[1177] და ქვეყნის შიგნითაც გაიზარდა ინტერესი კონკურენციის პოლიტიკის მიმართ.

[1173] კანონი "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ", მუხლი 14 და მუხლი 10.

[1174] საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 27.06.2005 (ძალადაკარგულია 23.07.2012-დან). ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29644?publication=6.

[1175] ამ საკითხზე დეტალური დისკუსიისთვის იხ. თავი I – "კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლები".

[1176] საქართველოს მთავრობის განკარგულება N1551, 2010 წლის 3 დეკემბერი, "*კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ*", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი) https://matsne.gov.ge/ka/document/view/2267631?publication=0.

[1177] იხ. მაგალითად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" 2012 წლის კვლევა „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში"; https://www.transparency.ge/ge/content/stub-650.

კონცენტრაციების კონტროლის საკანონმდებლო ჩარჩოზე გარდამტეხი გავლენა იქონია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების [1178] გაფორმებამ. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის რეალიზების მიზნით, საქართველომ აიღო საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება, იქონიოს *„ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები, რომლებიც [...] ითვალისწინებს შერწყმების ეფექტიან კონტროლს".*[1179] შედეგად, *კონკურენციის შესახებ*[1180] კანონის ახალი რედაქციით დაწესდა კონცენტრაციების წინასწარი კონტროლი ეკონომიკის არარეგულირებადი სექტორებისთვის.

ამ თავის ინტერესის საგანია სწორედ ეს ნორმები და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებული პრაქტიკა. სპეციალურ წესებს ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (საბანკო-საფინანსო, ტელეკომუნიკაცია, ენერგეტიკა და სხვა)[1181] აქ არ შევეხებით.

მიუხედავად მნიშვნელოვანი რეფორმებისა, მოქმედი კანონმდებლობა რიგ საკითხებში გამართული არ არის და საჭიროებს დახვეწას. [1182] ამას ადასტურებს თავად სააგენტოს გადაწყვეტილებებში განვითარებული კრიტიკული მსჯელობაც.[1183]

[1178] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, (შემდგომში - „ასოცირების შეთანხმება").

[1179] ასოცირების შეთანხმება, მუხლი 204.

[1180] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", საკანონმდებლო მაცნე, 08.05.2012; კონსოლიდირებული ვერსია (2014 წლის 21 მარტის ცვლილებებით) ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4.

[1181] კონკურენციის შესახებ კანონის მე-3 (რ) მუხლის თანახმად, ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ მიიჩნევა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ", „საინვესტიციო ფონდების შესახებ", „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ", „მაუწყებლობის შესახებ" და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონებით დადგენილი სფეროები, აგრეთვე მუნიციპალური მომსახურების სფეროები, რომლებშიც თავისუფალი ფასწარმოქმნა და კონკურენცია შეზღუდულია და რომლებიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებად და ექვემდებარება სატარიფო რეგულირებას.

[1182] ამ საკითხზე დისკუსია იხ. Ketevan Zukakishvili, *"Implementation of the Competition Chapter of the EU-Georgia Association Agreement – the Continued Progress"*, OECD-GVH Newsletter, Issue No 11, July 2018, p. 40; ხელმისაწვდომია: http://www.gvh.hu/data/cms1038987/Newsletter_11_ENG.pdf.

[1183] მაგალითად, *ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია/თბილცემენტ გრუპი-ს* საქმეზე (საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №67, 9.06.2015) სააგენტოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ *„კონკურენციის სააგენტო, შესაბამისი პროცედურით დადგენილი შემჭიდროებული ვადებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარვეზების გამო,*

კონკურენციის სააგენტომ საკუთარ პრაქტიკაზე დაკვირვებით და ევროკავშირის სამართლის ექსპერტებთან თანამშრომლობით შეიმუშავა რეკომენდაციები კონკურენციის კანონმდებლობის ცვლილებებთან დაკავშირებით, [1184] რაც ახლა კანონმდებლის მსჯელობის საგანია. კონცენტრაციების სფეროში, სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებები ეხება როგორც მატერიალურ, ისე პროცედურულ ნაწილს და ასახულია შესაბამის ქვეთავებში, ჩანართებში შესაბამისი მითითებით.

2. კონცენტრაცია და მისი განხორციელების გზები

2.1. კონცენტრაცია

კონკურენციის შესახებ კანონი არ განმარტავს კონცენტრაციის ცნებას [1185] და პირდაპირ მიუთითებს მისი განხორციელების გზებზე. თუმცა, სანამ მათ მიმოხილვაზე გადავალთ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტერმინი „კონცენტრაცია" კონკურენციის სფეროში ორი მნიშვნელობით გამოიყენება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში, (ბაზრის) კონცენტრაცია ეწოდება მოვლენას, როდესაც მცირე რაოდენობის საწარმოებზე მოდის ეკონომიკური აქტივობის (მაგალითად, გაყიდვების, აქტივების ან დასაქმების) დიდი ნაწილი.[1186] ბაზრის კონცენტრაცია, ე.ი. *„კონკრეტულ ბაზარზე უმსხვილესი ფირმების მიერ კოლექტიურად კონტროლირებული წილი"* [1187] ასახავს ბაზარზე კონკურენციულ დინამიკას და მნიშვნელოვანია კონკურენციის

მოკლებული იყო შესაძლებლობას, ჩატარებინა სასარგებლო ბეტონის ფასწარმოქმნის დეტალური ანალიზი" (გვ. 27). მსგავსი მსჯელობა გვხვდება სხვა გადაწყვეტილებებშიც (იხ. მაგალითად, *ევექსი/გნკო*, (სკს, ბრძანება №97, 28.07.2015), გვ. 53; *ნიკორა ტრეიდი/წუგეში* (სკს, ბრძანება №27, 26.02.2016), გვ. 10).

[1184] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრეზენტაცია „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, მეორე საერთაშორისო კონფერენცია – კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები, თბილისი, 28-29 სექტემბერი, 2018.

[1185] შედარებისთვის, ევროკავშირის საბჭოს 139/2004 რეგულაციის მე-3 მუხლი კონცენტრაციას განმარტავს, როგორც "კონტროლის გრძელვადიან ცვლილებას".

[1186] *Glossary of Industrial Organisation Economics and Competition Law*, compiled by R. S. Khemani and D. M. Shapiro, commissioned by the Directorate for Financial, Fiscal and Enterprise Affairs, OECD, 1993; განმარტება ხელმისაწვდომია: https://stats.oecd.org/glossary/detail.asp?ID=3165.

[1187] James W. Brock & Norman P. Obst, *„Market Concentration, Economic Welfare, and Antitrust Policy"*, J Ind Compet Trade (2009) 9:65–75, DOI 10.1007/s10842-007-0026-6.

პოლიტიკის შემუშავების და აღსრულების პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში. [1188] საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, *„სასაქონლო ბაზრის კონცენტრაციის დონე წარმოადგენს ბაზრის ბარისხობრივ მახასიათებელს და აფასებს ეკონომიკური აგენტების წილების ურთიერთთანაფარდობასა და მათი განაწილების სიმჭიდროვეს ბაზარზე.“* [1189] მის გამოსათვლელად მოქმედებს სპეციალური წესები.[1190]

ამადროულად, „კონცენტრაცია“ ეწოდება გარიგებას, რომელიც იწვევს ეკონომიკურ აგენტზე ან მის ნაწილზე კონტროლის გრძელვადიან ცვლილებას. [1191] კონცენტრაციის სწორედ ეს მნიშვნელობაა ამ თავის შესწავლის საგანი. ამასთან, კანონი ასევე მოიცავს გამონაკლისებს ანუ ჩამონათვალს ოპერაციებისა, რომლებიც არ ჩაითვლება კონცენტრაციად[1192] და, შესაბამისად, არ დაექვემდებარება სააგენტოსთვის წინასწარი შეტყობინების ვალდებულებას. კონცენტრაციის სახეებსა და გამონაკლისებს ქვემოთ მიმოვიხილავთ.

2.2. კონცენტრაციის განხორციელების გზები

ეკონომიკური აგენტების კონცენტრაცია შეიძლება განხორციელდეს ოთხი გზით: შერწყმა, კონტროლის მოპოვება, მმართველ ორგანოებში მონაწილეობა და ერთობლივი საწარმოს შექმნა. ტერმინი „ეკონომიკური აგენტი“ [1193] კონცენტრაციების კონტროლის სფეროშიც გამოიყენება იმავე მნიშვნელობით, როგორც კანონის მე-6 და მე-7 მუხლების აღსრულების პროცესში.

[1188] ამ საკითხზე დისკუსია იხ. OECD, Directorate for Financial and Enterprise Affairs, Competition Committee, *„Market Concentration“* - Issues paper by the Secretariat, 20 April 2018, ხელმისაწვდომია: https://one.oecd.org/document/DAF/COMP/WD(2018)46/en/pdf.

[1189] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-3 ბრძანება „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 18, პუნქტი 1 (შემდგომში - „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“).


[1190] ევროკავშირის პრაქტიკაში, კონცენტრაციის შეფასებისას ბაზრის კონცენრაცია გამოითვლება ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მიხედვით. ხსენებული ინდექსი ასევე გამოიყენება საქართველოშიც.

[1191] ევროკავშირის საბჭოს 139/2004 რეგულაციის მე-3 მუხლი კონცენტრაციას განმარტავს, როგორც “კონტროლის გრძელვადიან ცვლილებას“.

[1192] კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 11^2.

[1193] იხ. თავი III – “კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები“.

სქემა №1. ქმედებები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მიჩნეულია კონცენტრაციად



ა) შერწყმა

კონკურენციის შესახებ კანონის მიხედვით, კონცენტრაციის განხორციელების ერთ-ერთი გზაა *„ორი ან მეტი დამოუკიდებელი აგენტის შერწყმა, რის შედეგადაც ერთი ეკონომიკური აგენტი წარმოიქმნება“.*[1194]

კანონი არ იძლევა „შერწყმის“ განმარტებას.[1195] კონკურენციის სააგენტომ 2016 წელს განიხილა და შერწყმად დააკვალიფიცირა სს „ჯიპისისა“ და სს „ეი-ბი-სი ფარმაციას“ კონცენტრაცია. [1196] *ჯიპისი/ეი-ბი-სი ფარმაციას* საქმეში მოხდა კონცენტრაციის მხარეების – დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტების – გაერთიანებულ კომპანიად (სს „გეფა“) რეორგანიზაცია.[1197]


[1194] კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 11, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა“.

[1195] „შერწყმა (გაერთიანება, მიერთება)“ ფიგურირებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონშიც (მუხლი 14[4] . საწარმოს რეორგანიზაცია), თუმცა ხსენებული ცნება არც აქ არის განმარტებული.

[1196] *ჯიპისი/ეი-ბი-სი ფარმაცია*, სკს, ბრძანება №247, 28.12.2016.

[1197] ჯიპისი/ეი-ბი-სი ფარმაცია, სკს, ბრძანება №247, 28.12.2016; დანართი: „გადაწყვეტილება *„სს „ჯიპისისა“ და სს „ეი-ბი-სი ფარმაციას“ შორის განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ*“, გვ. 5.

სქემა №2. შერწყმა (ერთ-ერთი მაგალითი)



ევროკავშირის პრაქტიკაში შერწყმად მიიჩნევა ორი ან მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ერთ დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტად გარდაქმნა, რაც ნიშნავს მათი განცალკევებული სამართლებრივი ფორმით არსებობის დასრულებას. იმავე ჭრილში განიხილება ოპერაცია, როდესაც ერთი ეკონომიკური აგენტი ახდენს მეორის „შთანთქმას" ისე, რომ თავად ინარჩუნებს სამართლებრივ ფორმას, ხოლო მეორე ეკონომიკური აგენტი წყვეტს არსებობას.[1198] შერწყმა შესაძლოა განხორციელდეს *დე ფაქტო* გზითაც, სამართლებრივი ფორმის შეუცვლელად – *ერთიანი ეკონომიკური ერთეულის* [1199] ჩამოყალიბებით. ეს გულისხმობს, რომ ეკონომიკური აგენტები *დე იურე* განცალკევებულნი რჩებიან, თუმცა სახელშეკრულებო გზით ხდება მათი ეკონომიკური მართვის გაერთიანება.[1200]

ბ) კონტროლის მოპოვება

კონცენტრაციად მიიჩნევა ასევე *„ფასიანი ქალალდების ან აქტივების წილის შეძენით, ხელშეკრულებით ან სხვა საშუალებით ეკონომიკურ აგენტზე ან მისი ბიზნესის ნაწილზე პირდაპირი ან ირიბი კონტროლის მოპოვება იმ პირის მიერ, რომელიც უკვე აკონტროლებს სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს."*[1201]

კონცენტრაციის ეს სახე ეფუძნება იდეას, რომ ბაზრის სტრუქტურა შესაძლებელია შეიცვალოს ეკონომიკური აგენტების

[1198] ევროკომისიის კონსოლიდირებული გზამკვლევი იურისდიქციის შესახებ საწარმოებს შორის კონცენტრაციის კონტროლის შესახებ საბჭოს რეგულაცია №139/2004-ის შესაბამისად (2008/C 95/01), გვ. 5, აბზაცი 9 (შემდგომში – „ევროკომისიის კონსოლიდირებული გზამკვლევი იურისდიქციის შესახებ").

[1199] მაგ. საქმეში COMP/M.3071 – *Carnival Corporation/P&O Princess* (II) (2003), არ მომხდარა კომპანიების ორგანიზაციულ-სამართლებრივი გაერთიანება, მაგრამ სახელშეკრულებო გზით გადაწყდა მათი ერთიანი, იდენტური, მართვა, ერთი და იმავე ხელმძღვანელი ორგანოს მიერ. იხ. ასევე, Case IV/M.660 – RTZ/CRA (1995).

[1200] ევროკომისიის კონსოლიდირებული გზამკვლევი იურისდიქციის შესახებ, აბზაცი 10.

[1201] კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 11, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ".

შერწყმის გარეშეც, ერთი საწარმოს მიერ მეორის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე *არსებითი გავლენის* [1202] შესაძლებლობის მოპოვებით. კონცენტრაციის შეფასების მიზნებისთვის:[1203]

[...] კონტროლი გამოიხატება უფლებებით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით, რომლებიც ცალ-ცალკე ან ერთად ქმნის საწარმოზე ან მის ნაწილზე არსებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობას, კერძოდ:

ა) საწარმოს ფლობა ან/და მისი აქტივების სრულად ან ნაწილობრივ გამოყენების უფლება;

ბ) უფლება (მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული), რომელიც იძლევა ეკონომიკური აგენტის მმართველი ორგანოების შემადგენლობაზე, ხმის უფლებაზე, გადაწყვეტილებაზე არსებითი ზემოქმედების შესაძლებლობას.

კანონმდებელი არ აკონკრეტებს, თუ რა იგულისხმება *„პირდაპირ“* [1204] *ან „ირიბ“* კონტროლში. თუმცა, ასეთი ყოვლისმომცველი ფორმულირება მიუთითებს კანონმდებლის სურვილზე, მოიცვას ბაზარზე ისეთი ოპერაციების ფართო სპექტრი, რომლებმაც შესაძლოა ბაზრის სტრუქტურა შეცვალონ. აღსანიშნავია, რომ კანონი არ მოითხოვს კონტროლის რეალურად განხორციელებას - არსებითი გავლენის *შესაძლებლობის* მოპოვება საკმარისია, რომ ოპერაცია ჩაითვალოს კონცენტრაციად.

კონტროლის ცნება ცენტრალურია ევროკავშირის პრაქტიკაშიც, სადაც *პირდაპირი კონტროლის* ნათელი მაგალითია ხმის უფლების მქონე წილების ან აქციების უმრავლესობის მოპოვება. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკურ აგენტზე პირდაპირ

[1202] კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 11, პუნქტი 3. როგორც ჩანს, ეს განმარტება ეფუძნება ევროკავშირის №139/2004 რეგულაციის 3(2) მუხლს, რომელიც კონტროლს განმარტავს, როგორც სხვადასხვა სახით არსებითი გავლენის ("decisive influence") მოხდენის შესაძლებლობას. პრაქტიკაში ეს გულისხმობს ეკონომიკური აგენტის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე (მაგ. დირექტორების დანიშვნა, ცენტრალური საბიუჯეტო საკითხები, ა.შ.) არსებითი გავლენის მოხდენის *რეალურ შესაძლებლობას.*

[1203] კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 11, პუნქტი 3; „კონტროლის“ განმარტებისთვის კანონის სხვა მიზნებისთვის იხ. მუხლი 3, პუნქტი „ზ“.

[1204] *ნიკოლა ტრიდიჩუგების* საქმეში (სკს, ბრძანება №27) კონკურენციის სააგენტომ პირდაპირი კონტროლის მოპოვებად დააკვალიფიცირა ეკონომიკური აგენტის 100%-იანი წილის შეძენა; სააგენტომ ასევე მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ეკონომიკური აგენტის 67%-იანი წილის მესაკუთრეს მასზე პირდაპირი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა ჰქონდა.

კონტროლს ახორციელებენ ერთი მშობელი კომპანიის სხვადასხვა დაქვემდებარებული კომპანიები, *არაპირდაპირი კონტროლი* იქნება მშობელი კომპანიის ხელში. არაპირდაპირი კონტროლის განსაზღვრისას ხდება სხვა ფაქტორების (მაგ., დაფინანსების გზების ან ოჯახური კავშირების) გათვალისწინებაც.[1205]

ამასთან, კონტროლი შეიძლება მოპოვებულ იქნას ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ (ე.წ. ინდივიდუალური ან ერთობლივი კონტროლი)[1206], *დე იურე* ან *დე ფაქტო* გზით. *დე იურე* კონტროლის მოპოვების ნათელი მაგალითია წილის [1207] ან აქტივების (მათ შორის, მათი ნაწილის[1208]) შეძენა. *დე ფაქტო* გზით კონტროლის მოპოვება შესაძლოა განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც მიმწოდებელსა და კლიენტს შორის გრძელვადიანი კონტრაქტებისა და სტრუქტურული კავშირების ერთობლობა ერთ მხარეს რეალურად ანიჭებს მეორის გადაწყვეტილებებზე არსებითი გავლენის მოხდენის საშუალებას.[1209]

ევროკავშირის პრაქტიკაში გამოყოფენ *ერთპიროვნული* და *ერთობლივი* კონტროლის ცნებებსაც. *ერთპიროვნული კონტროლი* გულისხმობს სტატეგიული გადაწყვეტილებების ცალმხრივად და დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას. ერთპიროვნული კონტროლი, როგორც წესი, გააჩნია ხმის უფლების მქონე წილთა უმრავლესობის მესაკუთრე ეკონომიკურ აგენტს, თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში [1210] ის შეიძლება აღმოჩნდეს მინორიტარი აქციონერის ხელშიც. ხსენებულის საპირისპიროდ, *ერთობლივი კონტროლი* სახეზეა, მაგალითად, როდესაც ორი

[1205] Bellamy & Child: *European Union Law of Competition*, (7th Edition), Oxford University Press, 2013, p. 535.

[1206] იხ. ევროკომისიის კონსოლიდირებული გზამკვლევი იურისდიქციის შესახებ, აბზაცი 83 და შემდ.

[1207] იხ. მაგ., Case COMP/M.4854 - Tom Tom/Tele Atlas (2008).

[1208] იხ. მაგ., Case COMP/M.5727 - *Microsoft/ Yahoo!* (2010).

[1209] იხ. Jonathan Faull, Ali Nikpay, *„The EU Law of Competition"*, 3rd Edition, Oxford University Press, 2014, გვ. 554; იხ. ასევე, ევროკომისიის გადაწყვეტილება: COMP/M.4368 *Edison/Eneco Energia* (2006), აბზაცი 7.

[1210] მაგალითად, როდესაც ეკონომიკური აგენტის აქციონერთა ოდენობა იმდენად დიდია, რომ მსხვილ მინორიტარ აქციონერს გააჩნია ხმათა დე ფაქტო უმრავლესობა.

ეკონომიკური აგენტი თანაბარ აქციებს ფლობს ან ორივე მათგანს შეუძლია სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება/დაბლოკვა.[1211]

კონტროლის *მოპოვების* გარდა, კონცენტრაცია შეიძლება გამოიწვიოს *ცვლილებამ კონტროლის ხარისხში.*[1212] მაგალითად, კონცენტრაციად მიიჩნევა ორი აქციონერის მიერ ერთობლივად კონტროლირებადი ეკონომიკური აგენტიდან ერთ-ერთის გასვლა და, შედეგად, ერთობლივი კონტროლიდან ერთპიროვნულ კონტროლზე გადასვლა ან პირიქით, კონტროლის ხარისხში ცვლილება ახალი მეწილეების დამატებით.[1213]

ხსენებულის გათვალისწინებით, კონცენტრაციად *არ ჩაითვლება* შიდა-ორგანიზაციული გადაჯგუფებები ერთი და იმავე ეკონომიკური სუბიექტის შიგნით, რადგან ამ შემთხვევაში არ ხდება კონტროლის რეალური ცვლილება.[1214] კონცენტრაციად ასევე არ ჩაითვლება *მინორიტარული ინვესტიცია* (წილების ან აქციების შესყიდვა) ან სხვა ტიპის *სტრუქტურული კავშირები* ეკონომიკურ აგენტებს შორის, იმ შემთხვევაში, თუ ეს არ იწვევს კონტროლის მოპოვებას ან ცვლილებას კონტროლის ხარისხში. ამავდროულად, ამ შემთხვევებზე შეიძლება გავრცელდეს TFEU 101 ან/და 102 მუხლების მოქმედება.[1215] საპირისპიროდ, ერთ ან რამდენიმე კონცენტრაციას შეიძლება სათავე დაუდოს *ეკონომიკური აგენტის დაშლამაც,* თუკი მის ნაწილ(ებ)ზე კონტროლს მოიპოვებენ სხვადასხვა ეკონომიკური აგენტები.[1216]

[1211] ამ საკითხზე დეტალური დისკუსიისთვის იხ. Bellamy & Child: *European Union Law of Competition*, (7th Edition), Oxford University Press, 2013, p. 529.

[1212] დეტალური დისკუსიისთვის იხ. Faull, Nikpay, გვ. 563.

[1213] იხ. ევროკომისიის კონსოლიდირებული გზამკვლევი იურისდიქციის შესახებ, აბზ. 83-90.

[1214] იქვე, აბზ. 51.

[1215] საგულისხმოა, რომ მინორიტარულ ინვესტიციებზე კონცენტრაციის კონტროლის გავრცელება ხანგრძლივი დისკუსიის საგანია. ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში (მაგ. გერმანია, ავსტრია, გაერთიანებული სამეფო) მათზე ვრცელდება კონცენტრაციის კონტროლის წესები. 2014 წელს ევროკომისიამ გამოაქვეყნა სადისკუსიო დოკუმენტი, რომელშიც ასაბუთებდა კომისიისთვის ასეთი კომპეტენციის მინიჭების აუცილებლობას. პირველ რიგში, ევროკომისია მიიჩნევდა, რომ მინორიტარულმა ინვესტიციამ შესაძლოა წარმოშვას როგორც ცალმხრივი, ისე კოორდინაციის ანტი-კონკურენციული ეფექტი, რომელთა სრული ნეიტრალიზებისთვის არ არის საკმარისი TFEU 101 და 102 მუხლების მოქმედება. ამდენად, ევროკომისიის აზრით, საჭირო იყო მისი კომპეტენციის გაფართოება. (იხ. White Paper Towards more effective EU merger control, COM/2014/0449 final (July 2014). თუმცა, ამ კუთხით, ევროკავშირის რეგულაციაში ცვლილებები ამ დრომდე არ შესულა.

[1216] ევროკომისიის კონსოლიდირებული გზამკვლევი იურისდიქციის შესახებ, აბზ. 41.

მნიშვნელოვანია, რომ კონტროლის შესაძლებლობა იყოს *გრძელვადიანი*, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს ცვლილებას ბაზრის სტრუქტურაში. [1217] ამით აიხსნება, რომ ევროკავშირშიც და საქართველოშიც ფინანსური ინსტიტუტების მიერ ფასიანი ქაღალდების ან აქციების დროებით, შემდგომი გადაყიდვის მიზნით შეძენა, არ მიიჩნევა კონცენტრაციად.

იმ შემთხვევაში, თუკი კონტროლის მოპოვება ხდება *ურთიერთდაკავშირებული ტრანზაქციების* შედეგად, ისინი შესაძლოა ერთ კონცენტრაციად ჩაითვალოს. [1218] ევროკავშირის პრაქტიკაში, თუკი ერთსა და იმავე მხარეებს შორის ფორმალურად განცალკევებული გარიგებები *ეკონომიკურ ერთიანობას* ქმნიან, ჩაითვლება, რომ სახეზეა ერთი კონცენტრაცია. მნიშვნელოვანია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაგინდეს, რომ „ერთი ტრანზაქცია არ განხორციელდებოდა მეორეს გარეშე“. [1219]

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკაში ყველაზე ხშირია *კონტროლის მოპოვება ეკონომიკური აგენტის წილის ან აქტივების[1220] შეძენის* გზით. *აქტივების შეძენასთან* დაკავშირებით კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკა მოიცავს, მაგალითად, *ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია/თბილცემენტ გრუპის*[1221] საქმეს, სადაც სააგენტომ კონცენტრაციად მიიჩნია სასაქონლო ბეტონის

[1217] Whish, Bailey, გვ.: 834-838.

[1218] კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი, მუხლი 6, პუნქტი 3 მითითებას აკეთებს კონცენტრაციებზე, სადაც „კონტროლის მოპოვება ხდება ერთზე მეტი ტრანზაქციის საშუალებით, უწყვეტი სამი კალენდარული წლის განმავლობაში“, თუმცა არ შეიცავს დეტალებს, თუ როდის ჩაითვლება ერთზე მეტი ტრანზაქცია ურთიერთდაკავშირებულად. ევროკავშირში ეს პერიოდი უტოლდება 2 წელს (იხ. ევროკავშირის შერწყმების რეგულაცია, მუხლი 5, პუნქტი 2).

[1219] T-282/02 - *Cementbouw Handel & Industrie v Commission*, ECLI:EU:T:2006:64.

[1220] ევროკავშირის პრაქტიკაში, აქტივებზე კონტროლის მოპოვება კონცენტრაციად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივები წარმოადგენს „ბიზნესს, რომელიც მოქმედებს ბაზარზე და რომელსაც შესაძლოა მიეწეროს კონკრეტული ბრუნვა“. იხ. ევროკომისიის კონსოლიდირებული გზამკვლევი იურისდიქციის შესახებ, გვ. 9, აბზაცი 24. ასევე. ევროკომისიამ 1997 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებაში *M890 Blokker/Toys R Us* აქტივების, კერძოდ, ცნობილი ბრენდის, შეძენა მიიჩნია კონცენტრაციად (იხ. Whish, Bailey, გვ. 810). გარდა ამისა, შემდეგი აქტივების შეძენა შესაძლებელია მიჩნეულ იქნას კონცენტრაციად: საწარმოო დანადგარები, მათ შორის, ტექნიკური დანადგარები, ავტომანქანები, სხვა საწარმოო აღჭურვილობა, უძრავი ქონება, ელექტროსადგური, გაზის გამანაწილებელი ქსელი და სხვა; იხ. Faull, Nikpay, გვ. 555.

[1221] *ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია/თბილცემენტ გრუპი*, სკს, ბრძანება №67.

წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების (საოპერაციო აქტივების) შეძენა.

რაც შეეხება კონტროლის მოპოვებას *წილის შეძენით,* ეს შეიძლება უკავშირდებოდეს წილთა სხვადასხვა ოდენობას; საკითხი წყდება ყველა კონკრეტულ საქმეზე, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე. უდავოა, რომ კონტროლის მოპოვებად მიიჩნევა 100%-იანი წილის შესყიდვა. მაგალითად, 2016 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებაში [1222] სააგენტომ კონცენტრაციად მიიჩნია ოპერაცია, რომელიც გულისხმობდა სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის" მიერ სს „ჯიპისის" აქციათა 100%-ის შეძენას მესაკუთრე ფიზიკური პირებისგან. [1223] კონკრეტული ფაქტობრივი მოცემულობის გათვალისწინებით, კონცენტრაციად იქნა მიჩნეული სამიზნე ეკონომიკური აგენტის 50%-იანი წილის შეძენაც.[1224]

კავკასუსცემენტ ჰოლდინგ ბი ვი-ს 45%-იანი წილის შეძენის საქმე [1225] საინტერესოა რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, კონცენტრაცია შეიცავდა უცხოურ ელემენტს: კონცენტრაციის გარიგების საგანს წარმოადგენდა ნიდერლანდების სამეფოში რეგისტრირებული კომპანიის („კავკასუსცემენტ ჰოლდინგ ბი. ვი") წილი, რომლის მფლობელები იყვნენ ასევე ნიდერლანდებში რეგისტრირებული საწარმო („ჰაიდელბერგ ცემენტ სენტრალ იუროფ ისთ ჰოლდინგ ბი.ვი", წილის 75%) და საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი (წილის 25%). გარდა ამისა, აღნიშნული კონცენტრაციის შედეგი იყო *ცვლილება* სამიზნე ეკონომიკური აგენტის კონტროლში. კერძოდ, 25%-იანი წილის მეპატრონე ფიზიკური პირი სრულად, ხოლო 75%-იან წილის მეპატრონე

[1222] *საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისი*, სკს, გრძანება №57, 28.04.2016.

[1223] აღნიშნული გადაწყვეტილებიდან 8 თვის თავზე, სააგენტომ ასევე თანხმობა გასცა სს „ჯი-პი-სისა" და სს „ეი-ბი-სი ფარმაციას" შერწყმაზე, სადაც კონცენტრაციის მხარედ განხილულ იქნა სს „ჯი-პი-სი", ისე რომ, სააგენტოს არ უმსჯელია სს „ჯი-პი-სის" 100%-იანი წილის მესაკუთრის, სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის" მიერ სს „ეი-ბი-სი ფარმაციაზე" პირდაპირი ან ირიბი კონტროლის მოპოვების, და, შესაბამისად, კონცენტრაციის მხარედ ამ უკანასკნელის მიჩნევის შესახებ. თუმცა, კონკურენციული ეფექტის ანალიზისას, სააგენტომ მიუთითა სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის" ფაქტორზე (იხ. *ჯიპისი/ეი-ბი-სი ფარმაცია*, სკს, გრძანება №247).

[1224] იხ. *ალტა/მეტრომარტი*, სკს, გრძანება №04.325, 4.12.2017; *ჯეკსი/გნ.კო*, სკს, გრძანება №95.

[1225] *ცემენტინვესტი/კავკასუსცემენტი*, სკს, გრძანება №04/274, 6.10.2017.

„ჰაიდელბერგ ცემენტ სენტრალ იუროფ ისთ ჰოლდინგ ბი. ვი", ნაწილობრივ ჩაანაცვლა ორმა ახალმა პირმა, რამაც, როგორც ჩანს, გამოიწვია სამიზნე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი კონტროლი ახალი მესაკუთრეების მიერ. კონკურენციის სააგენტოს, ამ შემთხვევაში, კონცენტრაციის კვალიფიკაციისას, არ უმსჯელია *ერთობლივი კონტროლის* საკითხზე. თუმცა, როგორც ჩანს, სააგენტომ მხედველობაში მიიღო ევროკავშირის პრაქტიკა.

საბოლოოდ, საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ ასევე აკონკრეტებს, რომ კონცენტრაციის სუბიექტი შესაძლოა იყოს მხოლოდ ისეთი პირი, რომელიც *უკვე აკონტროლებს სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს.*[1226]

კონკურენციის სააგენტომ *ნიკორა/ნუგეშის* საქმეში დაადგინა, რომ ეს პირობა დაკმაყოფილებულია მაშინაც კი, როდესაც კონცენტრაციის მხარის კონტროლის ქვეშ მყოფი ეკონომიკური აგენტი არ არის მომგებიანი ან/და ბაზარზე „აქტიური" მოცემულ მომენტში, იმ შემთხვევაში, თუ არ მომხდარა ამ უკანასკნელის კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიკვიდაცია.[1227]

> მოქმედი კანონმდებლობა არ აკონკრეტებს, თუ ვისზე ვრცელდება სულ მცირე ერთი ეკონომიკური აგენტის კონტროლის მოთხოვნა. სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, კანონში დაკონკრეტდება, რომ ის ეხება მხოლოდ ფიზიკურ პირებს. შედეგად, კონცენტრაციად ჩაითვლება ოპერაცია, რომლის შედეგად ფიზიკური პირი, რომელიც უკვე აკონტროლებს ერთ საწარმოს, მოიპოვებს კონტროლს მეორე ეკონომიკურ აგენტზეც.

გ) ერთობლივი საწარმო


ერთობლივი საწარმოს შექმნა კონცენტრაციად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი *ხანგრძლივად* ასრულებს

[1226] ევროკავშირის სამართალში მსგავსი შეზღუდვა მოქმედებს მხოლოდ ფიზიკურ პირებზე ან ისეთ ორგანიზაციებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ ეკონომიკურ აგენტებს. იხ. Michael Rosenthal, Stefan Thomas, *„European Merger Control"*, Verlag C.H. Beck Munchen 2010, გვ. 25.

[1227] *ნიკორა ტრეიდი/ნუგეში*, სკს, ბრძანება №27, გვ.: 8-9.

დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას. ევროკავშირის კონკურენციის სამართალში მას „სრულფუნქციურ" ერთობლივ საწარმოდ მოიხსენიებენ. [1228] იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივი საწარმო არ არის სრულფუნქციური, ევროკავშირის პრაქტიკის გათვალისწინებით, მასზე მაინც გავრცელდება კონკურენციის კანონმდებლობის მოქმედება. თუმცა ამ შემთხვევაში კონკურენციული რისკები შეფასებული იქნება კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლის[1229] შესაბამისად.

სქემა №3. ერთობლივი საწარმო (ერთ-ერთი მაგალითი)



პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენციის კანონმდებლობის მიზნებისთვის, „ერთობლივი" მოიაზრებს ორი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ ერთობლივ კონტროლს.[1230] ტერმინი „საწარმო" ევროკავშირის პრაქტიკაში ფართო ცნებაა არ არის შეზღუდული სხვა რომელიმე სფეროს (მაგ., საკორპორაციო ან საგადასახადო კანონმდებლობით). რაც შეეხება ქართულ გამოცდილებას, კონკურენციის სააგენტოს არ გაუკეთებია განმარტება ამ ცნების მიმართებაზე, მაგალითად, „მეწარმეთა შესახებ" კანონთან.[1231]

[1228] ეს დანაწესი, როგორც ჩანს, ეფუძნება 139/2004 რეგულაციის 3(4) მუხლს. სრულფუნქციურ ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებით იხ. ასევე: ევროკომისიის კონსოლიდირებული გზამკვლევი იურისდიქციის შესახებ, აბზ. 91-109.

[1229] ამ საკითხზე დეტალური დისკუსიისთვის იხ. თავი III – "კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები". იხ. ასევე, ევროკომისიის გზამკვლევი ჰორიზონტალური თანამშრომლობის შეთანხმებებზე TFEU 101-ე მუხლის მოქმედების შესახებ, OJ C 11, 14.1.2011, p. 1–72; აბზ. 21.

[1230] იხ. Faull, Nikpay, გვ. 567.

[1231] თუმცა, *ალტა/ევროტელეკომის ჯორჯიას* საქმეში (სკს, ბრძანება №32, 07.03.2016), მხარეების მიერ წარდგენილ შეტყობინებაში ერთობლივი საწარმოს ფორმად განიხილებოდა სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული ამხანაგობა, სააგენტოსთვის შეტყობინების შემდეგ კი - ის შეიცვალა და „მეწარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად ჩამოყალიბდა. იხ. ასევე, დისკუსია „ეკონომიკური აგენტის" ცნების შესახებ - თავი III - „კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები".

რაც შეეხება ერთობლივი საწარმოს სრულფუნქციურობას, ბაზარზე *დამოუკიდებლად* მონაწილეობის კრიტერიუმი გულისხმობს, რომ მას უნდა ჰქონდეს *რეალური ოპერაციული ავტონომია* შესაბამისი ფინანსური, ადამიანური და სხვა სახის რესურსებით. ასევე, ერთობლივმა საწარმომ არ უნდა გადაიბაროს მშობელი კომპანიების მხოლოდ ცალკეული აქტივობა (მაგ., მხოლოდ კვლევა და განვითარება). ევროკავშირის პრაქტიკაში, ოპერაციული ავტონომია გაგებულია, როგორც დამოუკიდებლობა მიმდინარე ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებაში. ერთობლივ საწარმოში სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე კონტროლს ინარჩუნებენ მშობელი კომპანიები.[1232]

ბაზარზე *ხანგრძლივად* მონაწილეობის კრიტერიუმი გულისხმობს, რომ სპეციფიკური, მოკლევადიანი პროექტის განხორციელებით შექმნილი ერთობლივი საწარმო არ ჩაითვლება კონცენტრაციად. საპირისპირო შედეგი დადგება კონკრეტული, მაგრამ გრძელვადიანი პროექტის შემთხვევაში. ამასთან, თუ ერთობლივი საწარმოს საქმიანობის დაწყება დამოკიდებულია მესამე მხარის მატერიალურ გადაწყვეტილებაზე (მაგ., ლიცენზიის ან სახელმწიფო ტენდერის მიღებაზე), ის არ ჩაითვლება სრულფუნქციურად. [1233] თუმცა, ასეთი ტიპის თანამშრომლობა, განსაკუთრებით კი კონკურენტებს შორის, შესაძლოა კონკურენციის სააგენტოს ინტერესის საგანი გახდეს *კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების* ნაწილში.[1234]

კონკურენციის სააგენტომ 2016 წელს პირველად განიხილა კონცენტრაცია ერთობლივი საწარმოს დაფუძნების გზით. *ალტა/ევროტექნიკს ჯორჯიას* [1235] საქმეში, თავდაპირველ შეტყობინებაში, ერთობლივი საწარმოს ფორმად დასახელებული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული

[1232] იხ. Faull, Nikpay, გვ. 570. სრულფუნქციურობის შესახებ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს უკანასკნელი განმარტებისთვის იხ. Case C-248/16. *Austria Asphalt*, ECLI:EU:C:2017:643.

[1233] Bellamy & Child: *European Union Law of Competition*, (7th Edition), Oxford University Press, 2013, p. 545.

[1234] ამ საკითხზე დეტალური დისკუსიისთვის, იხ. თავი III, „კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები".

[1235] *ალტა/ევროტექნიკსი*, სკს, ბრძანება №32, 07.03.2016.

ერთობლივი საქმიანობა – ამხანაგობა. კონცენტრაციის განხილვის პროცესში, მხარეებმა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შეცვალეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად (60%-40% მონაწილეობით) [1236] და დააკონკრეტეს, რომ ერთობლივი საწარმოს მეშვეობით გახსნიდნენ ელექტროტექნიკის მაღაზიათა ქსელს ერთიანი სასაქონლო ნიშნის ქვეშ.

ამერიტექსი/სმაილის [1237] საქმეში, რომელიც ასევე ელექტროტექნიკის ბაზარზე საცალო გაყიდვების ნაწილში ძალების გაერთიანებას ეხებოდა, კონკურენციის სააგენტომ თანხმობა გასცა, მხარეების მიერ მომხდარიყო *„ერთობლივი შვილობილი საწარმოს დაფუძნება, რომელიც ხანგრძლივად განახორციელებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას“,* [1238] გადაწვეტილებაში ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითების გარეშე.

დ) სხვადასხვა მმართველ ორგანოებში მონაწილეობა

კონკურენციის სააგენტოს ამ დროისთვის არ განუხილავს კონცენტრაციის მეოთხე ფორმა: ***ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის მმართველ ორგანოებში*** [1239] ***მონაწილეობა.*** სარეკომენდაციო გზამკვლევში სააგენტომ აღნიშნა, რომ *„პრაქტიკაში ეს შეიძლება გამოიხატოს ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტის კონტროლის შესაძლებლობაში“.*[1240]

ევროკავშირის პრაქტიკაში ჯვარედინი თანამონაწილეობა კონცენტრაციის ცალკე სახედ არ მიიჩნევა. თუმცა, თუ ერთი და იგივე პირი ან პირები მიიღებენ მონაწილეობას რამდენიმე

1236 როგორც აღინიშნა, გადაწყვეტილებაში არ არის დაკონკრეტებული, თუ რამ გამოიწვია ხსენებული ცვლილება: მხარეთა ბიზნეს გეგმების შეცვლამ თუ, მაგალითად, კონკურენციის სააგენტოს მიერ „საწარმოს“ კრიტერიუმის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად განმარტებამ.

1237 *ამერიტექსი/სმაილი*, სკს, ბრძანება №04/167, 06.07.2018.


1238 *ამერიტექსი/სმაილი*, სკს, ბრძანება №04/167, გვ. 3.

1239 კონკურენციის შესახებ კანონი არ განმარტავს „მმართველი ორგანოს“ ცნებას. შესაბამისად, ამ ტერმინის განმარტებისას, არ არის ნათელი, უნდა ვიხელმძღვანელოთ საკორპორაციო კანონმდებლობით, თუ მას პრაქტიკაში მიენიჭება უფრო ფართო მნიშვნელობა.

1240 საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები“, მაისი, 2017; http://competition.ge/ge/page4.php?b=569%23E.

ეკონომიკური აგენტის მმართველ ორგანოებში, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კონცენტრაციას *კონტროლის მოპოვებით.*[1241]

სქემა №4. სხვადასხვა საწარმოს მმართველობით ორგანოებში მონაწილეობა (ერთ-ერთი მაგალითი)



ე) გამონაკლისები

კონცენტრაციად არ მიიჩნევა და, შესაბამისად, სააგენტოსთვის შეტყობინების ვალდებულება არ ვრცელდება გარიგებებზე, [1242] *რომლებიც მცირე მნიშვნელობისაა, ხორციელდება საწარმოს ლიკვიდაციის პროცესში, ეხება საწარმოს დროებით კონტროლს ან ხორციელდება ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის.* უფრო დეტალურად, გამონაკლისებია:

(i) შერწყმა/გაერთიანება, რომლის მონაწილე ეკონომიკური აგენტების აქტივების ან წლიური ბრუნვის ოდენობა კანონმდებლობით დადგენილზე ნაკლებია.[1243] ეს დანაწესი აიხსნება იმით, რომ კანონმდებელი საჭიროდ არ მიიჩნევს ყველა წვრილი გარიგების რეგულირებას და ყურადღებას ამახვილებს ბაზრის სტრუქტურის უფრო მნიშვნელოვან ცვლილებებზე.[1244]

(ii) კონცენტრაცია, რომელიც ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, ეკონომიკური აგენტის

[1241] იხ. COMP/M.3071 – *Carnival Corporation/P&O Princess* (II) (2003).

[1242] კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 11[2].

[1243] საქართველოს კონკურენციის სააგენტო, 2015 წლის 10 ივნისის წერილი №02/1202.

[1244] ავტორის მოსაზრებით, ამ ფორმით არ იყო აუცილებელი *კონცენტრაციის საბეებიდან* მცირე მნიშვნელობის ტრანზაქციების გამორიცხვა - კანონის არსებული რედაქციით, მათზე ისედაც არ გავრცელდებოდა კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილება, რადგან ისინი ვერ დააკმაყოფილებდნენ კანონით დადგენილ ბრუნვის/აქტივების ზღვრებს.

გადახდისუუნარობის შედეგად ან ლიკვიდაციის პროცესში, *გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკურ აგენტზე კონტროლს კონკურენტი საწარმო (ან მისი მფლობელი ჯგუფი) მოიპოვებს.* კანონის თანახმად, კონკურენტად მიიჩნევა „შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი“.[1245] მის მფლობელ ჯგუფად, სავარაუდოდ, უნდა მოვიაზროთ პირი ან პირები, რომლებსაც ეკუთვნით ხსენებულ საწარმოზე *კონტროლი.*[1246] ეს კრიტერიუმი ინდივიდუალური შეფასების საგანია და თავად მყიდველმა უნდა გააანალიზოს, მიიჩნევა თუ არა შესასყიდი საწარმოს კონკურენტად. დადებითი პასუხისა და კანონით გათვალისწინებული ზღვრების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საჭირო იქნება სააგენტოსთვის შეტყობინების წარდგენა.

(iii) კონტროლი მოიპოვება დროებით, სესხის უზრუნველსაყოფად, *იმ პირობით, რომ არ გამოიყენება აქტივების ფლობით მინიჭებული უფლებები, გარდა გაყიდვის უფლებისა.* როგორც უკვე აღინიშნა, კონცენტრაციების კონტროლის მთავარი დანიშნულებაა ბაზარზე გრძელვადიანი ეფექტების შეფასება და კონკურენციული ზიანის თავიდან აცილება. საწარმოს დროებითი კონტროლი მხოლოდ სესხის უზრუნველყოფის მიზნით ვერ ჩაითვლება კონცენტრაციად. ამავდროულად, თუკი ასეთ დროს განგრძობითად და რეალურად ხდება ეკონომიკური აგენტის მართვაში აქტიური ჩარევა (განსაკუთრებით, სტრატეგიული და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება), რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ბაზარზე კონკურენციაზე, საჭირო იქნება გარიგების კონკურენციის სააგენტოსთვის შეტყობინება.

(iv) ფინანსური ინსტიტუტი (ა) მოიპოვებს ეკონომიკურ აგენტზე კონტროლს ჩვეულებრივი საწესდებო საქმიანობის ფარგლებში, საკუთარი ან კლიენტის სახსრებით, წილებს ან აქციების შეძენის შედეგად; ან (ბ) იძენს აქტივებს მათი შემდგომი გაყიდვისათვის. კანონმდებლობა დამატებით აწესებს შემდეგ შეზღუდვებს: ფინანსურ ინსტიტუტს *არ უნდა ჰქონდეს აქციების ან წილების ფლობასთან დაკავშირებული უფლებები, გარდა*

[1245] კონკურენციის შესახებ კანონი, მუხლი 3, პუნქტი „გ“.
[1246] ამ ტერმინის კონკურენციის სამართლებრივი გაგებით.

დივიდენდის მიღების უფლებისა, ან უფლებებს უნდა იყენებდეს *მხოლოდ საწარმოს, მისი აქტივების ან აქციებისა და წილების სრულად ან ნაწილობრივ გასაყიდად მომზადებისათვის.* დაბოლოს, ფინანსურმა ინსტიტუტმა შემდგომი ტრანზაქცია (წილების, აქციების თუ აქტივების გადაყიდვა) უნდა განახორციელოს კონტროლის მოპოვებიდან ან აქტივების შეძენიდან *არაუგვიანეს ერთი კალენდარული წლისა.*

აღნიშნული გამონაკლისი აიხსნება ფინანსური ინსტიტუტების განსაკუთრებული ფუნქციით. ეს უკანასკნელნი აქტიურად მონაწილეობენ საბაზრო ოპერაციებში, რომელთა მიზანი ხშირად არა სამიზნე ეკონომიკურ აგენტებზე კონტროლის მოპოვება (და ამ გზით, ბაზრის სტრუქტურის შეცვლა), არამედ შუამავლის როლის შესრულებაა. ასეთ შემთხვევებში, სამიზნე ეკონომიკურ აგენტზე კონტროლს რეალურად მოიპოვებს არა ფინანსური ინსტიტუტი, არამედ საბოლოო მყიდველი. შესაბამისად, ფინანსური ინსტიტუტის მიერ წილების, აქციებისა თუ აქტივების დროებითი შეძენა და მათი გადასაყიდად მომზადება არ ცვლის ბაზრის სტრუქტურას და არ მიიჩნევა კონცენტრაციად.[1247]

(v) კონცენტრაცია ურთიერთდამოკიდებული პირების მონაწილეებს ეხება.

ურთიერთდამოკიდებულ პირებს კანონი განმარტავს საკმაოდ ფართოდ, როგორც პირებს, *„რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან/და მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე".*[1248] ამასთან, კანონის მე-3 მუხლის „ლ" პუნქტი შეიცავს ურთიერთდამოკიდებული პირების ჩამონათვალს:

- პირი, რომელიც არის ერთი ეკონომიკური აგენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და იმავდროულად სხვა ეკონომიკური აგენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან

[1247] შდრ. ევროკავშირის საბჭოს 139/2004 რეგულაციის მუხლი 3, პუნქტი 5; იხ. ასევე, ევროკომისიის კონსოლიდირებული გზამკვლევი იურისდიქციის შესახებ, გვ.: 27-29.

[1248] კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 3, პუნქტი „ლ".

ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია, რაც მას საშუალებას აძლევს, განახორციელოს ამ ეკონომიკური აგენტის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლი;

- პირი, რომელიც არის ერთი ეკონომიკური აგენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და იმავდროულად ფლობს სხვა ეკონომიკური აგენტის ხმის უფლების მქონე აქციების/წილის ისეთ ოდენობას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, განახორციელოს ამ ეკონომიკური აგენტის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლი;
- პირი, რომელიც ფლობს ერთი ეკონომიკური აგენტის მნიშვნელოვან ხმის უფლებას და იმავდროულად – სხვა ეკონომიკური აგენტის მნიშვნელოვან ხმის უფლებას, რაც მას საშუალებას აძლევს, განახორციელოს ამ ეკონომიკური აგენტის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ურთიერთდამოკიდებული პირები.[1249]

კანონის ხსენებული დანაწესი გარკვეულწილად გაუმართავია რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, ჩამონათვალში პირველი სამი პუნქტი საუბრობს მხოლოდ *ერთ პირზე,* ამდენად, ბუნდოვანია, თუ ვისთან ქმნის იგი ურთიერთდამოკიდებულებას. თუკი აქ მოიაზრება ამ პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებული ეკონომიკური აგენტები, გაურკვეველია, თუ რატომ დადგა კანონში ამ განმარტების შემოტანის საჭიროება, რამდენადაც, მის გარეშეც, კონცენტრაციად ჩაითვლება მხოლოდ ის გარიგებები, რომლებიც იწვევენ ცვლილებას ეკონომიკური აგენტის

[1249] კანონი მითითებას აკეთებს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლზე, რომელიც კიდევ უფრო აფართოებს ურთიერთდამოკიდებულ პირთა ცნებას. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის *განსაკუთრებულ ურთიერთობათა* არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე". (ავტორის ხაზგასმა). განსაკუთრებულ ურთიერთობებად კი მიიჩნევა ფართო ჩამონათვალი: „ა) პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია; ბ) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია; გ) პირი აბორციელებს საწარმოს კონტროლს; დ) ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს; ე) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს; ვ) პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი; ზ) პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს; თ) პირები ნათესავები არიან; ი) პირები ამხანაგობის წევრები არიან."

კონტროლში. ბუნდოვანია „ურთიერთდამოკიდებული პირების *მონაწილეების*“ ვინაობაც.

განსაკუთრებით პრობლემატურია *საგადასახადო კოდექსით* გათვალისწინებული რეგულაციის გადმოტანა კონკურენციის სამართლის კონტექსტში, [1250] რადგან ხსენებული კოდექსის მიხედვით, ურთიერთდამოკიდებული პირების ცნება განსაკუთრებით ფართოა, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კონცენტრაციების კონტროლის ეფექტიანობას. შედეგად, რეკომენდებულია კანონმდებლობის დახვეწა ამ კუთხით.

3. პროცედურა

პროცედურის საწყისი წერტილია კონცენტრაციის შესახებ წინასწარი წერილობითი შეტყობინების წარდგენა კონკურენციის სააგენტოსთვის.[1251] იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული შეტყობინება არ განეკუთვნება მისი კონტროლის სფეროს (მაგალითად, თუკი შეტყობინება წარმოდგენილია ისეთი გარიგების შესახებ, რომელიც კანონმდებლობით არ მიიჩნევა კონცენტრაციად), სააგენტო წერილით აცნობებს მხარეს ამის შესახებ.[1252] ხოლო თუ შეტყობინება ფორმალურად დასაშვებია, სააგენტო მას შინაარსობრივად შეაფასებს დადგენილ ვადაში.

ადმინისტრაციული წარმოება სრულდება სააგენტოს დადებითი ან უარყოფითი დასკვნით კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

ევროკავშირის პრაქტიკაში, ასევე მოქმედებს ე.წ. *„თანმდევი შეზღუდვების“* დოქტრინა. [1253] ხსენებული გულისხმობს, რომ

[1250] მსგავს დანაწესს არ ითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობა, რადგან ის ზედმეტად შეზღუდავდა კონცენტრაციის კონტროლის შესახებ წესების მოქმედებას.

[1251] ევროკავშირის პრაქტიკაში. შეტყობინების მხარეებს შეუძლიათ ევროკომისიასთან გარკვეული საკითხები განიხილონ ფორმალურად მიმართვამდე, რაც „შეტყობინებამდელი ფაზის“ სახელითაა ცნობილი. ამ დროს სრულად დაცულია კონფიდენციალობა. იხ. Faull, Nikpay, p. 627.

[1252] იხ. მაგალითად, კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის 10 ივნისის წერილი №02/1202.

[1253] იხ. ევროკავშირის შერწყმების რეგულაცია, მუხლი 6, პუნქტი 1, ქვეპუნქტი ბ; მუხლი 8, ქვეპუნქტი 1 და 2. იხ. ასევე, ევროკომისიის გზამკვლევი კონცენტრაციებთან პირდაპირ დაკავშირებული და საჭირო შეზღუდვების შესახაებ, OJ C 56, 5.3.2005, p. 24–31.

ევროკომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, კონკურენციის კანონმდებლობასთან თავსებადად ჩაითვლება კონცენტრაციასთან პირდაპირ დაკავშირებული ისეთი გარიგებებიც, რომლებიც შეტყობინებული კონცენტრაციით პირდაპირ არ იყო დაფარული.

3.1. შეტყობინების ვალდებულება

კონცენტრაცია, რომლის მასშტაბი *კანონმდებლობით*[1254] *დადგენილ ზღვრებს* აღწევს, ექვემდებარება კონკურენციის სააგენტოსთვის სავალდებულო წინასწარ წერილობით შეტყობინებას.[1255] ზღვრები კონკურენციის ორგანოებს საშუალებას აძლევს, ივარაუდონ, თუ რა მოცულობის ეკონომიკური რესურსების გაერთიანება ხდება კონცენტრაციის გზით კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში.[1256] შეტყობინების ვალდებულება ვრცელდება *კონცენტრაციის სუბიექტებზე*, გარდა რეგულირებადი სფეროს ეკონომიკური აგენტებისა.[1257]

„კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესით" დადგენილია ორი ტიპის ზღვარი: წლიური ბრუნვა და აქტივების ჯამური ღირებულება. მათგან ერთ-ერთის დაკმაყოფილება საკმარისია შეტყობინების ვალდებულების წარმოშობისთვის.

[1254] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-4 ბრძანება „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" (შემდგომში – „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი").

[1255] აღსანიშნავია, რომ 2010 წელს მიღებულ კონკურენციის სტრატეგიაში საუკეთესო მოდელად მიჩნეული იყო კონცენტრაციების არა წინასწარი, არამედ შემდგომი კონტროლი („ლიბერალურ სექტორებში მიზანშეწონილია კონცენტრაციების ex-post რეგულირების შემოღება საქართველოს ეკონომიკის მცირე მასშტაბებიდან და, ფრაგმენტულობიდან გამომდინარე, სადაც საწარმოთა უმრავლესობა მცირე და საშუალო ზომისაა. შესაბამისად, დომინანტური მდგომარეობის მოპოვებისა და ბოროტად გამოყენების რისკები კონცენტრაციის შემთხვევაში უმნიშვნელოა და არ საჭიროებს აკრძალვებს". კონკურენციის სტრატეგია, *supra* note 8, გვ. 15.), თუმცა 2014 წლის კანონში ეს მიდგომა გაზიარებული არ არის. კონცენტრაციების ex ante და ex post კონტროლის შესახებ დისკუსია იხ. Catalin Stefan Rusu, *„European Merger Control – The Challenges Raised by Twenty Years of Enforcement Experience"*, Walters Kluwer International, 2010, გვ.: 111-135.

[1256] ევროკომისიის კონსოლიდირებული გზამკვლევი იურისდიქციის შესახებ, გვ. 124.

[1257] კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 11, პუნქტი 1.

ა) პირველი ტიპის ზღვარი – წლიური ბრუნვა

კონცენტრაცია შესატყობინებლად სავალდებულოა, თუ მისი მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა *საქართველოს ტერიტორიაზე* აღემატება 20 მილიონ ლარს და, ამასთანავე, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს.[1258]

ერთობლივი წლიური ბრუნვა მოიცავს კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკური აგენტების პროდუქციის, საქონლის ან მომსახურების გაყიდვებიდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალს გადასახადების (მათ შორის, დღგ-ს და შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული სხვა გადასახადებისა და ფასდათმობების) გამოკლებით, *შეტყობინების წინა საფინანსო წლის მონაცემებით.*[1259]

კონცენტრაციის მონაწილე საწარმოს [1260] ბრუნვის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება *კონცენტრაციის მონაწილე პირი და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული საწარმოები,* კერძოდ: კონცენტრაციაში მონაწილე საწარმოთა მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან მაკონტროლებელი საწარმოები; სხვა საწარმოები, რომელთაც აკონტროლებს საწარმო, რომელიც ახორციელებს კონტროლს შერწყმის მონაწილე საწარმოზე; საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე საწარმოთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ. უცხოური კომპანიის მონაწილეობით განხორციელებული კონცენტრაციისას, ამ ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვის გამოთვლისას, მხედველობაში მიიღება მის მიერ *მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ოპერაციები.*

[1258] კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი, მუხლი 3.

[1259] იქვე, მუხლი 4.

იმ შემთხვევაში, თუ პირის სამეწარმეო საქმიანობა წინა სამეურნეო წლისათვის არასრულია ან ახალი დაწყებულია (12 თვეზე ნაკლებია), მაშინ სააგენტოს წარედგინება ინფორმაცია სამენარმეო საქმიანობის დაწყებიდან შეტყობინების შევსებამდე არსებული ფინანსური ანგარიშის შესახებ. კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი, დანართი №1. ნაწილი 3.

[1260] ევროკავშირის პრაქტიკისთვის ამ კუთხით იხ. ევროკომისიის კონსოლიდირებული გზამკვლევი იურისდიქციის შესახებ, გვ.: 31-35.

კონცენტრაციის მხარეებს შეტყობინებაში თავად ევალებათ წლიური ბრუნვის უტყუარი მაჩვენებლის მითითება. მტკიცებულებად შესაძლოა წარმოდგენილ იქნას, მაგალითად, კორპორატიული ანგარიშები აუდიტის შემდეგ. პრაქტიკაში, კონკურენციის სააგენტო ინფორმაციის გადასამოწმებლად აქტიურად იყენებს სსიპ შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ მონაცემთა ბაზებსაც.

ბ) მეორე ტიპის ზღვარი – აქტივების ჯამური ღირებულება

კონცენტრაცია შესატყობინებლად სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც, თუ მონაწილე ეკონომიკური აგენტების *აქტივების ჯამური ღირებულება* აღემატება 10 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან *თითოეულის* აქტივების ღირებულება აღემატება 4 მილიონ ლარს. მხედველობაში მიიღება მხოლოდ *საქართველოს ტერიტორიაზე* არსებული აქტივები.

კონკურენციის შესახებ კანონი არ განმარტავს „აქტივების“ ცნებას. პრაქტიკაში, აღნიშნული ტერმინი შეიძლება მოიცავდეს ეკონომიკური აგენტის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერი სახის ქონებას. კონკურენციის სააგენტო აქტივების ღირებულების დასადგენად შეტყობინების მხარეების გარდა ეყრდნობა სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.[1261]

რაც შეეხება ევროკავშირის კანომდებლობას, „შერწყმების რეგულაცია“ არ ითვალისწინებს აქტივების ღირებულებასთან დაკავშირებულ ზღვრებს. ევროკავშირში ამ ეტაპზე[1262] მოქმედებს მხოლოდ წლიური ბრუნვის ზღვრები.

სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში, გაუქმდება აქტივების ზღვარი და შეტყობინების ვალდებულება მხოლოდ ეკონომიკური აგენტის წლიურ ბრუნვაზე იქნება დამოკიდებული.

[1261] სკს, 2015 წლის 10 ივნისის წერილი №02/1202.
[1262] იხ. ასევე ქვეთავი 5.6.

გ) შეტყობინების პრაქტიკული მნიშვნელობა, მხარეები და ვადა

კონცენტრაციის წინასწარ შეტყობინებას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაცია დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო სააგენტოს უარყოფითი გადაწყვეტილება ეკონომიკური აგენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.[1263] შესაბამისად, სააგენტოს დასკვნის მიღებამდე კონცენტრაციის მხარეებს აქვთ *შეყოვნების ვალდებულება* და ეკრძალებათ კონცენტრაციის სრულად ან ნაწილობრივ სისრულეში მოყვანა.[1264]

საქართველოს კონკურენციის სააგენტოში კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის ვალდებულების მქონე პირი განისაზღვრება შესატყობინებელი კონცენტრაციის სახის მიხედვით. კერძოდ:

1. შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ მეორის შეძენის ან მასზე სხვაგვარად კონტროლის მოპოვების შემთხვევაში, ეკისრება შემძენს/კონტროლის მომპოვებელ პირს. სამიზნე ეკონომიკური აგენტი ამ შემთხვევაში პასიურ როლშია.
2. შერწყმის/გაერთიანების შემთხვევაში, შეტყობინების ვალდებულება ეკისრება კონცენტრაციის ყველა მონაწილეს ცალ-ცალკე, ან ერთობლივად, შესაბამისი უფლებამოსილი პირის მეშვეობით.[1265]
3. „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი“ არ აკონკრეტებს, თუ ვინაა შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრაცია ხდება ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის

[1263] კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი, მუხლი 2(1).

[1264] იქვე. მუხლი 6(1); ასევე, მუხლი 9: ეკონომიკურ აგენტებს ეკრძალებათ განახორციელონ კონცენტრაცია ან მიიღონ ისეთ კონცენტრაციაში მონაწილეობა, რომელიც ექცევა კანონის რეგულირების ქვეშ და რომლის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება არ მიუღია, კანონის 11^1 მუხლის მე-3 პუნქტითა და ამ წესის მე-8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე.

[1265] კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი, მუხლი 5.

მმართველ ორგანოებში მონაწილეობით ან ერთობლივი საწარმოს შექმნით. თუმცა, მაგალითად, *ალტა/ევროტექნიკსის* [1266] საქმეში, ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ შეტყობინება წარდგენილ იყო მხარეთა მიერ ერთობლივად.[1267]

კონცენტრაციის შესახებ სააგენტოსთვის შეტყობინება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მოხდეს კონცენტრაციის განხორციელებამდე. სახელშეკრულებო ურთიერთობების შემთხვევაში, შეტყობინება სავალდებულოა *შესაბამისი შეთანხმების გაფორმებამდე; კონკურსის ან აუქციონის შემთხვევაში,* შეტყობინება დასაშვებია *მათი შედეგების გამოცხადების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს კონცენტრაციის ფაქტობრივ განხორციელებამდე* (მარეგისტრირებელ ორგანოში მის რეგისტრაციამდე).[1268]

სპეციალური წესი მოქმედებს ერთმანეთის მიყოლებით განხორციელებული გარიგებების შემთხვევაში, რომელთა საბოლოო შედეგი ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ მეორეზე კონტროლის მოპოვების გზით კონცენტრაციაა. კერძოდ, *„თუ კონტროლის მოპოვება ხდება ერთზე მეტი ტრანზაქციის საშუალებით, უწყვეტი სამი კალენდარული წლის განმავლობაში, კონტროლის მომპოვებელ ეკონომიკურ აგენტს შეტყობინების ვალდებულება წარმოეშობა იმ ტრანზაქციის უშუალო განხორციელებამდე, რომლითაც ხდება კონტროლის მოპოვება".*[1269]

მაგალითად: სამიზნე ეკონომიკურ აგენტ B-ზე კონტროლის მოსაპოვებლად საჭიროა აქციათა 51%-ის ფლობა. თუკი სამი წლის განმავლობაში A თანდათანობით შეისყიდის აქციებს, კონცენტრაციის კონტროლის მიზნებისთვის საინტერესო იქნება

[1266] *ალტა/ევროტექნიკსი*, სკს, ბრძანება №32.

[1267] კონკურენციის სამართალი კრძალავს ეკონომიკურ აგენტებს (განსაკუთრებით კი – კონკურენტებს) შორის სენსიტიური ინფორმაციის გაცვლას, ხოლო კონცენტრაციაზე სააგენტოს დადებითი დასკვნის მიღებამდე, მხარეები ითვლებიან დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტებად. შესაბამისად, პრაქტიკაში, ერთობლივი შეტყობინების მოსამზადებლად ისინი ირჩევენ წარმომადგენლებს (მაგალითად, იურიდიულ კომპანიებს), რომლებიც უზრუნველყოფენ შეტყობინებას ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვით.

[1268] კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი, მუხლი 6.

[1269] იქვე, მუხლი 6, პუნქტი 3.

უშუალოდ ის ტრანზაქცია, რომლითაც A ხდება B-ის აქციათა 51%-ის მესაკუთრე. სწორედ ამ ტრანზაქციის წინ არის სავალდებულო კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენა კონკურენციის სააგენტოში.

მიუხედავად იმისა, რომ კონცენტრაციის შეტყობინება სავალდებულოა, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის არსებული რედაქცია არ ითვალისწინებს სანქციას აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად, კანონის დარღვევით განხორციელებული კონცენტრაცია შესაძლოა გახდეს დაინტერესებული პირების (მაგალითად, კონცენტრაციის მხარეების კონკურენტების) მხრიდან სასამართლოში გასაჩივრებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი, კონკრეტული სანქციის არარსებობა ასუსტებს სააგენტოს კონტროლს ბაზრის სტრუქტურაზე და კონკურენტულ გარემოზე. *ნიკორა ტრეიდი/ნუგეშის*[1270] საქმეში, რომელიც სწორედ სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას ეხებოდა, კონკურენციის სააგენტომ საჭიროდ მიიჩნია მსგავს შემთხვევებზე სანქციის ან რეაგირების სხვა „კონკრეტული მექანიზმის“[1271] დაწესება. კონკურენციის სააგენტო ამ შემთხვევაში ითვალისწინებდა საერთაშორისო გამოცდილებას.

ევროკავშირში ევროკომისიის გვერდის ავლით კონცენტრაციის განხორციელება (ე.წ. „gun-jumping“) დასჯადი ქმედებაა და კანონდამრღვევს შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა წლიური ბრუნვის 10%-მდე.[1272] გარდა ამისა, ევროკომისია უფლებამოსილია გამოიყენოს დროებითი ზომები (მაგალითად, კონკრეტული ტრანზაქციის განხორციელების დროებითი აკრძალვა) საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. მეტიც, გარკვეულ შემთხვევებში, ევროკომისიას შეუძლია საწარმოებს მოსთხოვოს უკვე განხორციელებული კონცენტრაციის მოშლა და

[1270] *ნიკორა ტრეიდი/ნუგეში*, სკს, გრძანება №27.

[1271] იქვე, სარეზოლუციო ნაწილი.

[1272] იხ. ევროკავშირის შერწყმების რეგულაცია, მუხლი 7, პუნქტი 1 და მუხლი 14. იხ. ასევე: CASE M.7993 - Altice/Pt Portugal (2018); Case C-633/16, *Ernst & Young P/S v. Konkurrencerådet*, ECLI:EU:C:2018:371 (31.05.2018).

საწყისი მდგომარეობის აღდგენა.[1273] ქართული კანონმდებლობის ცვლილება ამ ნაწილში მოსალოდნელია, თუმცა ჯერ არ მომხდარა.

> სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში, თუ კონცენტრაცია განხორციელდა სააგენტოსთვის მიმართვის გარეშე/დასკვნის გაცემამდე, სააგენტო უფლებამოსილი იქნება, კანონდამრღვევს დააკისროს ჯარიმა – წლიური ბრუნვის 5%-მდე (ფიზიკური პირის შემთხვევაში არაუმეტეს ერთი მილიონი ლარისა). ჯარიმის დაკისრება არ ათავისუფლებს პირს შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულებისგან.

კონცენტრაციის შეტყობინება უნდა მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი *ფორმის დაცვით,* რაც გულისხმობს „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის" დანართი №1-ის სრულყოფილად შევსებას და სააგენტოში წარდგენას წერილობით ან ელექტრონული გზით.[1274] დანართი №1-ში მიეთითება დეტალური ინფორმაცია კონცენტრაციის სუბიექტებისა და მათთან დაკავშირებული პირების შესახებ.[1275]

გარდა ამისა, სავალდებულოა კონცენტრაციის დეტალური აღწერა მისი ფორმის, მიზნის, ბაზრის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების, კონცენტრაციის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური აგენტის უახლოესი 24 თვის ბიზნესგეგმის, კონცენტრაციის სავარაუდო შედეგებისა და სხვა მახასიათებლების მითითებით. შეტყობინების ავტორ(ებ)ს უფლება აქვს, სააგენტოს დანართის სახით წარუდგინოს საკუთარი

[1273] იხ. რეგულაცია 139/2004, მუხლი 8, პუნქტები 4 და 5; მუხლი 14, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა".

[1274] კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი, მუხლი 7.

[1275] იქვე, მუხლი 7, პუნქტი 2: 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დანართ №1-ს თან ერთვის შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) კონცენტრაციის ყველა მონაწილე ეკონომიკური აგენტის ან/და მაკონტროლებელი პირის მფლობელობაში არსებული საწარმოების, აგრეთვე იმ საწარმოების ჩამონათვალის შესახებ, რომელშიც მათ რაიმე ფინანსური ინტერესი გააჩნიათ;

ბ) კონცენტრაციის თითოეული მონაწილე საწარმოს მიერ უკანასკნელი საფინანსო წლის განმავლობაში წარმოებული, შეძენილი და რეალიზებული საქონლის/მომსახურების მოცულობა ასორტიმენტის მიხედვით;

გ) უკანასკნელი საფინანსო წლის მონაცემები კონცენტრაციის თითოეული მონაწილე საწარმოს ძირითადი მომწოდებლებისა და შემსყიდველების/მომხმარებლების შესახებ.

პოზიციის გამამყარებელი იურიდიული ან/და ეკონომიკური კვლევა. მათ ასევე უნდა მიუთითონ, თუ წარდგენილი ინფორმაციის რომელი ნაწილ(ებ)ი წარმოადგენს კომერციულ ან სხვა სახის საიდუმლოებას და მოითხოვონ მათი კონფიდენციალობის დაცვა. საქართველოში, რიგი იურისდიქციებისგან განსხვავებით, [1276] კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენა უფასოა.

სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილება ეხებოდა შეტყობინების საფასურის შემოღებას 5.000 ლარის ოდენობით, თუმცა ამ საკითხზე არ არსებობს კონსენსუსი.

3.2. კონცენტრაციის განხილვის ვადა

სააგენტოსთვის შეტყობინების წარდგენის მომენტიდან იწყება კონცენტრაციის შეფასებისთვის დადგენილი ერთთვიანი ვადის ათვლა. დადგენილ ვადაში პასუხის გაუცემლობა კონცენტრაციაზე დადებით პასუხად ჩაითვლება. [1277] საქმის სირთულიდან გამომდინარე, სააგენტო უფლებამოსილია განხილვის ვადა გააგრძელოს არაუმეტეს 2 კვირით. აღნიშნულის შესახებ, შეტყობინების წარმდგენ პირ(ებ)ს წერილობით უნდა ეცნობოს ერთთვიანი ვადის ამოწურვამდე 5 დღით ადრე. [1278] „საქმის სირთულე", რომელსაც სააგენტო ვადის გასაგრძელებლად ეყრდნობა, სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოვლინდეს. მაგალითად, *ალტა/ევროტექნიკს ჯორჯიას* საქმეში სააგენტომ კონცენტრაციის ვადა გააგრძელა „შესაბამისი ბაზრის სუბიექტებისგან გამოთხოვილი ინფორმაციის მიღების იმედით". [1279]

[1276] მაგ. დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. ამ საკითხზე, იხ. Peter Verloop, Valerie Landes (eds), *„Merger Control in Europe – EU, Member States and Accession States"*, 4th edition, Kluwer Law International, 2003, გვ.: 27-30.

[1277] კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 11[1], პუნქტი 3.

[1278] კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი, მუხლი 8, პუნქტი 1.

[1279] *ალტა/ევროტექნიკსი*, სკს, ბრძანება №32, აბზაცი 9, გვ. 6.

შეტყობინების მიღებიდან 3 დღის ვადაში კონკურენციის სააგენტო ამოწმებს მის შესაბამისობას კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის მე-7 მუხლის ფორმალურ მოთხოვნებთან.[1280] კერძოდ, მოწმდება, წარმოდგენილია თუ არა სრულყოფილად შევსებული დანართი №1 (წერილობითი ან ელექტრონული ფორმით) და კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი ინფორმაცია. დადებითი პასუხის შემთხვევაში, სააგენტო იწყებს კონცენტრაციის შინაარსობრივ შეფასებას.

ევროკავშირის კანონმდებლობით, ევროკომისია ვალდებულია გაასაჯაროოს კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების მიღების ფაქტი და მოკლედ მიუთითოს მხარეების, მათი წარმომავლობის (ქვეყნების), კონცენტრაციით მოცული ეკონომიკური სფეროებისა და ტრანზაქციის ბუნების შესახებ, კონფიდენციალობის დაცვით.[1281] საქართველოს კონკურენციის სააგენტოც ნერგავს მსგავს პრაქტიკას.[1282]

თუ შეტყობინება ექვემდებარება სააგენტოს უფლებამოსილებას, მაგრამ არასრულია, სააგენტო შეტყობინების წარმდგენ პირს განუსაზღვრავს დამატებით ვადას (არანაკლებ 5 დღისა) ხარვეზის გამოსასწორებლად, რის შემდეგაც გრძელდება დაზუსტებული შეტყობინების განხილვა.[1283] სააგენტოს განმარტებით, არასრული ან ხარვეზიანი შეტყობინება არ აჩერებს კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დინებას.[1284] შედეგად, კონცენტრაციების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება ხდება მეტად შემჭიდროებულ ვადებში.[1285] კონკურენციის სააგენტოს რეკომენდაციით, ხსენებული პრობლემის გადასაჭრელად, სასურველია ევროკავშირის მსგავსი სისტემის დანერგვა.

[1280] კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი, მუხლი 8.

[1281] რეგულაცია 139/2004, მუხლი 4.

[1282] იხ. მაგალითად, *ჯიპისი/ეი-ბი-სი ფარმაცია*, სკს, ბრძანება №247, გვ. 20.

[1283] იხ. მაგალითად, *საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისი*, სკს, ბრძანება №57.

[1284] *ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია/თბილცემენტ გრუპი*, სკს, ბრძანება №67.

[1285] შედარებისთვის, მაგალითად, ევროკავშირში კონცენტრაციის განხილვის მაქსიმალურმა ვადამ შეიძლება 160 დღეს მიაღწიოს (იხ. http://ec.europa.eu/competition/mergers/procedures_en.html); ხოლო უკრაინის კანონმდებლობით დადგენილი მაქსიმალური ვადა – 165 დღეს აღწევს. (იხhttps://www.asterslaw.com/press_center/publications/merger_control_2017_ukraine/).

ევროკავშირში, კონცენტრაციათა უმრავლესობაზე გადაწყვეტილება მიიღება გამარტივებული პროცედურის [1286] შესაბამისად ან განხილვის პირველი ფაზის დროს. თუმცა, რთულ შემთხვევებში კომპანიებს ეგზავნებათ დეტალური ინფორმაცია კონცენტრაციის კონკურენციული რისკების შესახებ და ეძლევათ შესაძლებლობა, აღმოფხვრან ისინი. ამასთან, ამ ეტაპზე იზრდება მათი პროცედურული უფლებებიც. [1287]

კონკურენციის სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, შეიცვლება პროცედურა და შემოღებულ იქნება ორფაზიანი სისტემა:

- ✓ პირველი ფაზა – 25 სამუშაო დღე; დასკვნა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ საქმე მარტივია და არ არის დამატებითი შესწავლის საჭიროება;
- ✓ მეორე ფაზა – 90 დღე; გამოიყენება, თუ კონცენტრაცია საჭიროებს დამატებით შესწავლას ან არსებობს გონივრული ეჭვი, რომ კონცენტრაცია შესაძლოა არ იყოს თავსებადი კონკურენტულ გარემოსთან.

მეორე ფაზის დაწყებისთანავე ინფორმაცია (მხარეთა ვინაობა, კონცენტრაციის საგანი, ბაზრები და ა.შ.) გამოქვეყნდება სააგენტოს საიტზე. ინფორმაციის გამოთხოვნიდან მიღებამდე შეჩერდება განხილვის ვადა.

იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინებაში მოცემული საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას (მაგალითად, შეტყობინება ეხება კონცენტრაციას ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში), სააგენტო არაუგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნის განცხადებასა და მასზე დართულ საბუთებს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.[1288]

[1286] იხ. ევროკომისიის გზამკვლევი საბჭოს რეგულაცია No 139/2004-ის შესაბამისად კონცენტრაციების გამარტივებული განხილვის შესახებ, ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი C 366, 14.12.2013, p. 5–9.

[1287] ევროკავშირის შერწყმების რეგულაცია, მუხლები 6, 9, 18.

[1288] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 80.

სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, კონკურენციის სააგენტო განიხილავს ყველა კონცენტრაციას (მათ შორის, რეგულირებად სფეროებში), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ორივე მხარე არის ეკონომიკის ერთი და იმავე რეგულირებადი სფეროს აგენტი. ასეთი ცვლილების შემთხვევაში, სარძნობლად გაიზრდება კონკურენციის სააგენტოს როლი.

3.3. კონცენტრაციის განხილვის ეტაპი

კონცენტრაციების განხილვისას, კონკურენციის სააგენტო ინფორმაციას გამოითხოვს სახელმწიფო ორგანოებისგან (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, შემოსავლების სამსახური და ა.შ.) და ეკონომიკური აგენტებისგან. ინფორმაციის გამოთხოვა, როგორც წესი, ხდება წერილობით, მაგრამ სააგენტოსთან კომუნიკაცია შესაძლებელია ელექტრონული ფორმითაც. გარკვეული დეტალების დასაზუსტებლად სააგენტო ზოგჯერ მიმართავს სატელეფონო კომუნიკაციასაც.[1289]

სააგენტოსთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმ შესაბამის ბაზართან/ბაზრებთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების აზრი, რომელსაც ეხება კონცენტრაცია. გამოთხოვილი ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს კონკურენციული ეფექტის შესაფასებლად მნიშვნელოვან ნებისმიერ ფაქტობრივ თუ შეფასებით საკითხს: ბაზარზე მოქმედების არეალს, გაყიდვების მაჩვენებლებს, მოსაზრებას შესაბამისი ბაზრის განსაზღვრასთან ან/და დაგეგმილ კონცენტრაციასთან დაკავშირებით და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს განმარტებით, [1290] მას არ გააჩნია იმ ეკონომიკური აგენტების სანქცირების მექანიზმი, რომლებიც რეაგირების გარეშე

[1289] იხ. მაგალითად, *ალტა/ევროტელეკომი*, სკს, ბრძანება №32.

[1290] *ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია/თბილცემენტ გრუპი*, სკს, ბრძანება №67, გვ.: 16-17. მიუხედავად იმისა, რომ კანონის 32-ე მუხლი ითვალისწინებს ათასიდან სამი ათას ლარამდე სანქციას ინფორმაციის მიუწოდებობის შემთხვევაში, სააგენტო ვიწროდ განმარტავს კანონის მე-18 მუხლის (სააგენტოს უფლებამოსილებები) პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტს, როგორც მოქმედს მხოლოდ მოკვლევის (და არა კონცენტრაციების) შემთხვევაში, რაც საკამათოა.

დატოვებენ სააგენტოს მიმართვას ან უარს განაცხადებენ ინფორმაციის წარდგენაზე.

კონკურენციის სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, სავალდებულო გახდება კონცენტრაციის შეფასების პროცესში სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდება.

სააგენტო კონცენტრაციების განხილვისას აქტიურად თანამშრომლობს სხვა კომპეტენტურ სახელმწიფო დაწესებულებებთან (მათ შორის, ცალკეული დარგის მარეგულირებლებთან), [1291] ისევე, როგორც ევროკავშირის, მისი წევრი სახელმწიფოებისა და ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე პარტნიორად მიჩნეულ კონკურენციის ორგანოებთან. [1292] გარდა ამისა, კონცენტრაციის ანალიზისას სააგენტო ითვალისწინებს კონკრეტული სექტორის მარეგულირებელ კანონმდებლობას [1293] და ხშირად მიუთითებს ევროკავშირის პრაქტიკაზეც. [1294] ადმინისტრაციული წარმოება მთავრდება სააგენტოს მიერ კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობასთან დაკავშირებით დასკვნის გაცემით, [1295] რომელიც მტკიცდება თავმჯდომარის ბრძანების სახით.

ქართული კანონმდებლობა, ევროკავშირისგან განსხვავებით, [1296] არ ითვალისწინებს დეტალურ წესებს იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები შეტყობინების შემდეგ გადაიფიქრებენ კონცენტრაციის განხორციელებას და „გაიხმობენ“

[1291] იხ. მაგალითად, *საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისი*, სკს, ბრძანება №57.

[1292] მაგალითად, *ევექსი/გნკო*-ს საქმეში (სკს, ბრძანება №97), კონკურენციის სააგენტომ მსგავს საქმეებზე გამოცდილების გაზიარება სთხოვა და პასუხი მიიღო პოლონეთისა და ესპანეთის კონკურენციის ორგანოებისგან.

[1293] იხ. მაგალითად, *ჯიპისი/ეი-ბი-სი ფარმაცია*, სკს, ბრძანება №247; *საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისი*, სკს, ბრძანება №57 და სხვა.

[1294] იხ. მაგალითად, *ალტა/ევროტექნიკსი*, სკს, ბრძანება №32, *ამერიტექი/სმაილი*, სკს, ბრძანება №04/167, *ალტა/მეტრომარტი*, სკს, ბრძანება №04.325და სხვა.

[1295] კონცენტრაციის შეფასება უშუალოდ ევალება სააგენტოს ბაზრის მონიტორინგისა და ანალიზის დეპარტამენტის შესაბამის (კონცენტრაციისა და სახელმწიფო დახმარებების) სამმართველოს, თუმცა პრაქტიკაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობენ სააგენტოს (მაგ. იურიდიული დეპარტამენტის) სხვა თანამშრომლებიც.

[1296] ევროკომისიის კონსოლიდირებული გზამკვლევი იურისდიქციის შესახებ, გვ. 29.

შეტყობინებას. თუმცა, ნათელია, რომ ასეთ შემთხვევაში აღარ იარსებებს კონცენტრაციის ფაქტი, რომელიც, კანონის შესაბამისად, შინაარსობრივი შეფასების წინაპირობაა. ამდენად, სააგენტო შეწყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას.

4. კონცენტრაციის შინაარსობრივი შეფასება

კონცენტრაციის შედეგად ბაზარზე კონკურენციული სიტუაცია შეიძლება მრავალმხრივ შეიცვალოს, თუმცა, როგორც წესი, განსახორციელებელი ოპერაციების დიდი ნაწილი თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.[1297]

კონცენტრაცია აკრძალულია, თუკი ის *არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თუ მისი შედეგია დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება.* [1298] ამასთან, კონცენტრაცია დასაშვებია იმ შემთხვევაში, *თუ მის შედეგად წარმოიქმნება დომინანტური მდგომარეობა, მაგრამ არსებითად არ იზღუდება ეფექტიანი კონკურენცია* საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე.[1299]

გარკვეულწილად ბუნდოვანია, თუ რას გულისხმობს კანონმდებელი ბოლო დანაწესში. ევროკავშირის პრაქტიკაში, შერწყმების რეგულაციის ამოქმედებამდე, მოქმედებდა დომინანტურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ტესტი და აკრძალული იყო მხოლოდ ის კონცენტრაციები, რომლებიც იწვევდნენ დომინანტური მდგომარეობის მოპოვებას ან გაძლიერებას (საქართველოში მოქმედი ტესტი). ამ კონტექსტში, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ დომინანტი კომპანიის მიერ კონკურენტი ეკონომიკური აგენტის

[1297] 01.12.2018-ის მდგომარეობით არ ყოფილა შემთხვევა, რომ კონკურენციის სააგენტოს ჩაეტარებინოს კონცენტრაციის სრული კონკურენციული ანალიზი და კონცენტრაცია დაებლოკოს.

[1298] კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 11, პუნქტი 5.

[1299] იქვე, პუნქტი 4.

შესყიდვა რიგ შემთხვევებში ჩაითვლებოდა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად.[1300] მიდგომა არსებითად არ შეცვლილა „შერწყმების რეგულაციის“ ამოქმედების შემდეგ: კონკრეტულ შემთხვევებში, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება დღესაც იქნეს მიჩნეული დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ არა მარტო კონკურენტზე კონტროლის მოპოვება, არამედ მინორიტარული ინვესტიციაც.[1301]

ამდენად, პრაქტიკაში საკმაოდ რთული წარმოსადგენია, რომ კონცენტრაცია, რომელიც იწვევს დომინანტური მდგომარეობის მოპოვებას, არ ზღუდავდეს კონკურენციას ბაზარზე. კონკურენციის სააგენტოს განმარტებით, ხსენებული ნორმა გულისხმობს, რომ *„კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად მიჩნეულია კონცენტრაცია, რომელიც მართალია იწვევს ეკონომიკური აგენტის დომინირებულ მდგომარეობას, თუმცა არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას“.*[1302] ეს განმარტება ებმის კანონის დანაწესს, რომლის თანახმადაც, „სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს, რომელიც კონცენტრაციის შედეგად დომინირებულ მდგომარეობას მოიპოვებს, მოსთხოვოს გარკვეული პერიოდულობით იმ გარიგების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეზღუდოს კონკურენცია შესაბამის ბაზარზე“.[1303]

კონკურენციის სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, იგეგმება ახალი ტესტის შემოღება: კონცენტრაცია დასაშვებია - თუ არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას; კონცენტრაცია დაუშვებელია - თუ არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას.

1300 იხ. Case 6/72, *Europemballage and Continental Can v Commission* [1973], ECLI:EU:C:1973:22.

1301 იხ. Bellamy & Child: *European Union Law of Competition*, (7th Edition), Oxford University Press, 2013, p. 752 და ციტირებული საქმეები.

1302 სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №02/2264 წერილი, ციტირებულია: სოლომონ მენაბდიშვილი, *„საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან (ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად)“*, 2018, გვ. 38, http://asocireba.ge/files/Solomon-Menabdishvili-Competition-2018.pdf.

1303 კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 11, პუნქტი 7; იხ. ასევე, ქვეთავი *5.5. კონცენტრაციის შემდგომი კონტროლი.*

ამასთან, სააგენტოს განმარტებით, იმოქმედებს შემდეგი პრეზუმფცია: თუ კონცენტრაცია იწვევს დომინინტური მდგომარეობის წარმოქმნას ან გაძლიერებას, ივარაუდება, რომ ასეთი კონცენტრაცია არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, თუ მხარე არ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს.

4.1. აკრძალული კონცენტრაციები

მოქმედი კანონდებლობით იკრძალება მხოლოდ ის კონცენტრაციები, რომლებიც *არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და რომლის შედეგია დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება.*[1304]

ტესტი შედგება ორი ნაწილისგან:

- *პირველ რიგში,* ტრანზაქცია არსებითად უნდა ზღუდავდეს ეფექტიან[1305] კონკურენციას და იწვევდეს დომინანტური მდგომარეობის მოპოვებას ან გაძლიერებას[1306].

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები" ეფექტიან კონკურენციას განმარტავს, როგორც *„საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ქცევის ისეთ ოპტიმალურ კომბინაციას, როდესაც ბაზრის შედეგიანობა შესაძლებლად მაღალ მაჩვენებლს უტოლდება".* [1307] ხოლო *არსებითი შეზღუდვის* დასადგენად გამოიყენება მეთოდები, რომლებსაც ქვემოთ დეტალურად მიმოვიხილავთ.

[1304] კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 11, პუნქტი 5.

[1305] ევროკავშირში გამოიყენება ტერმინი „effective competition" – „ეფექტიანი კონკურენცია".

[1306] ევროკავშირის კონკურენციის სამართალში აკრძალვისთვის არ არის აუცილებელი, კონცენტრაცია იწვევდეს დომინანტურ მდგომარეობას, თუკი იგი არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას.

[1307] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა".

დომინანტური მდგომარეობა,[1308] თავის მხრივ, წარმოადგენს *„შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის ან აგენტების ისეთ მდგომარეობას, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია".*[1309] დომინანტური მდგომარეობის დასადგენად კანონი განსაზღვრავს დეტალურ კრიტერიუმებს.[1310]

დომინანტური მდგომარეობის დადგენის წინაპირობები ანალოგიურია ასეთი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა (კანონის მე-6 მუხლი) და კონცენტრაციების კონტროლის დროს. თუმცა, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საქმეებში, კონკურენციის სააგენტო ქმედებას აფასებს ***ex post*** , ანუ განხორციელების შემდგომ. შესაბამისად, კონკრეტული საწარმოს ბაზარზე დომინანტობის საკითხიც წყდება უკვე არსებული ფაქტორების ანალიზით. *კონცენტრაციის შემთხვევაში, სააგენტოს უწევს ტრანზაქციის შემდგომი კონკურენციული პირობების ex ante, ანუ წინასწარი შეფასება.* მათ შორისაა დომინანტობის ფაქტიც. შესაბამისად, კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შეფასებისას, სააგენტომ წინასწარ უნდა განსაზღვროს, მოიპოვებს თუ არა ეკონომიკური აგენტი ბაზარზე დომინანტურ მდგომარეობას კონცენტრაციის შედეგად, რაც განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს.

ამასთან, კონცენტრაციების კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის ცნება.

[1308] კონკურენციის სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, ტერმინი „დომინირებული მდგომარეობა" ჩანაცვლდება „დომინანტური მდგომარეობით". ამ თავში ეს ორი ტერმინი გამოიყენება ურთიერთშენაცვლებით.

[1309] კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 3, პუნქტი „ი".

[1310] კონკურენციის შესახებ კანონის მე-3 მუხლის „ი" პუნქტის თანახმად, *„საწინააღმდეგო მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, დომინირებული მდგომარეობის დადგენა გამორიცხება, თუ შესაბამისი ეკონომიკური აგენტ(ებ)ის საბაზრო წილი არ აღემატება 40%-ს.[...]".* ამ საკითხზე დეტალური დისკუსიისთვის იხ. თავი V – "დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება".

როგორც უკვე აღინიშნა, ევროკავშირში „შერწყმების რეგულაციის“ ამოქმედებამდე, იკრძალებოდა მხოლოდ ის კონცენტრაციები, რომელთა შედეგი იქნებოდა ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა. ევროკომისია მიიჩნევდა, რომ ბაზარზე ეფექტური კონკურენცია შეიძლება შეზღუდულიყო, თუ კონცენტრაციის შედეგად მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებას მოიპოვებდა არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე ეკონომიკური აგენტიც. სწორედ ამ კონტექსტში განვითარდა ევროკავშირის სამართალში ჯგუფური დომინანტობის დოქტრინა.[1311]

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დომინანტური მდგომარეობის სხვა ელემენტების არსებობისას, ჯგუფურ დომინანტურ მდგომარეობას ადგილი აქვს, როდესაც: ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50%-ს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15%-ია; ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80%-ს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15%-ია. [1312] კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკაში ჯერჯერობით არ ყოფილა კონცენტრაცია, რომლის შესაძლო შედეგი ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის მოპოვება იქნებოდა, თუმცა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, შესაძლებელია, სააგენტოს მოუწიოს მსგავსი შემთხვევების განხილვა. ამ შემთხვევაში, რელევანტური იქნება ევროკავშირის პრაქტიკა „შერწყმების რეგულაციის“ შემოღებამდე, ისევე როგორც ევროკომისიის გამოცდილება კოორდინაციის ეფექტის ანალიზისას.

- ტექსტის მეორე კომპონენტია ტერიტორიული ელემენტი. კონკურენციის შეზღუდვა უნდა ხდებოდეს *საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის* სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე.

[1311] იხ. Case T-342/99, *Airtours v Commission*, [2002] ECR II-2585, ECLI:EU:T:2004:192. დეტალური დისკუსიისთვის იხ. ასევე: თავი V - „დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება“.

[1312] კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 3, პუნქტი „ი“.

შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის კრიტერიუმები [1313] რელევანტურია კონცენტრაციების კონტროლის სფეროშიც. კონკურენციის სააგენტოს მიერ კონცენტრაციის კონკურენციული ეფექტის შეფასება ხდება *საქართველოს ტერიტორიაზე* კონკრეტულ პროდუქციულ და გეოგრაფიულ ბაზრებთან მიმართებით; ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად განსაზღვრული არანაკლებ ერთი მუნიციპალიტეტით შემოსაზღვრული გეოგრაფიული ბაზარი.[1314]

<u>კონცენტრაციების კონტროლი:</u>

(1) კონცენტრაციის ფაქტი (გარიგების ფორმისა და ბრუნვის/აქტივების ზღვრების გათვალისწინებით)
(2) შეტყობინება და დასკვნის მოლოდინი
(3) (სააგენტოს მიერ) შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა
(4) კონკურენციული ეფექტის შეფასება კონცენტრაციის კონკრეტული სახის მიხედვით
(5) [შესაძლო] კონცენტრაციის შემდგომი კონტროლი.

4.2. კონცენტრაციის სახეები და მათი კონკურენციული ეფექტი

კონკურენციული ეფექტის ანალიზისას, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის შემდეგ, მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რა სახის კონცენტრაციასთან გვაქვს საქმე. „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების" მიხედვით, კონცენტრაცია შეიძლება იყოს ჰორიზონტალური ან არაჰორიზონტალური. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფა ვერტიკალურ და კონგლომერატულ კონცენტრაციებად.

ჰორიზონტალურია კონცენტრაცია, რომელიც ხდება *ერთსა და იმავე შესაბამის ბაზარზე მოქმედ ანუ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთა შორის.*[1315] მაგალითად, ორი ლუდის საწარმოს შერწყმა

[1313] ამ საკითხზე დეტალური დისკუსიისთვის იხ. თავი II, „შესაბამისი ბაზარი".
[1314] იხ. ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ".
[1315] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 2, პუნქტი 1.

ჩაითვლება ჰორიზონტალურ კონცენტრაციად. ჰორიზონტალური კონცენტრაცია იქნება ასევე კონკურენტებს შორის ისეთი ერთობლივი საწარმოს შექმნა, რომელიც ხანგრძლივად ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას.

არაჰორიზონტალურად მიიჩნევა *სხვადასხვა დონის შესაბამის ბაზრებზე მოქმედ* ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაცია, განხორციელებული ნებისმიერი გზით (შერწყმა, კონტროლის მოპოვება, ჯვარედინი თანამონაწილეობა, სრულფუნქციური ერთობლივი საწარმო). არსებობს არაჰორიზონტალური კონცენტრაციის ორი სახე: *ვერტიკალური* და *კონგლომერატული.*

ვერტიკალურ კონცენტრაციად მიიჩნევა ისეთი ეკონომიკური აგენტების გაერთიანება, რომლებიც მოქმედებენ *მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე.*[1316] მაგალითად, ბეტონის მომწოდებლისა და სამშენებლო კომპანიის შერწყმა ჩაითვლება ვერტიკალურ კონცენტრაციად. აღნიშნულს განაპირობებს ის ფაქტი, რომ სამშენებლო კომპანია საკუთარი საქმიანობისთვის საჭიროებს ბეტონის მოხმარებას. შესაბამისად, ბეტონის მომწოდებელი კომპანია საქმიანობს ე.წ. ზედა დონის ბაზარზე, სამშენებლო კომპანია კი – თვისობრივად მიწოდების ჯაჭვის სხვა დონეზე (ე.წ. ქვედა დონის ბაზარზე) იმყოფება.

კონგლომერატული კონცენტრაციისას ხდება ისეთი ეკონომიკური აგენტების შერწყმა, რომლებიც არც ვერტიკალურ და არც ჰორიზონტალურ დამოკიდებულებაში არ არიან ერთმანეთთან. [1317] მაგალითად, კონგლომერატული იქნება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი და გამაგრილებელი სასმელების მწარმოებელი კომპანიების კონცენტრაცია.

ეს განსხვავება მნიშვნელოვანია, რამდენადაც, სხვადასხვა ტიპის კონცენტრაცია სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს ეკონომიკური აგენტ(ებ)ის საბაზრო ძალაუფლებაზე, ბაზრის სტრუქტურაზე და, საბოლოოდ, მომხმარებლისთვის შეთავაზებულ ფასზე ან სავაჭრო პირობებზე. შესაბამისად, არაერთგვაროვანია მათი ანალიზიც.

[1316] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 2, პუნქტი 1.

[1317] იქვე.

საბაზრო ძალაუფლება ეწოდება *ეკონომიკური აგენტის შესაძლებლობას, ბაზრის მნიშვნელოვანი წილის დაკარგვის გარეშე გაზარდოს მოგება ფასების გაზრდის ან ხარჯების/ხარისხის შემცირების გზით ხანგრძლივი დროის განმავლობაში.*[1318] საბაზრო ძალაუფლება კონკურენციის სამართლის ცენტრალური ცნებაა, რომელიც რელევანტურია სხვადასხვა ქმედებების ანალიზისას.[1319]

იმისთვის, რომ ეკონომიკური აგენტი ჩაითვალოს საბაზრო ძალაუფლების მქონედ, არ არის საკმარისი მხოლოდ მოცემულ მომენტში მისი საბაზრო წილის ანალიზი. იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე კონკურენტების შესვლა ადვილია, ე.ი. თუ არ არსებობს ან უმნიშვნელოა ბაზარზე შესვლის *ბარიერები,* მაშინ პოტენციურმა კონკურენტებმა შესაძლოა ადვილად შეძლონ ბაზარზე შესვლა და მაღალი საბაზრო წილის მქონე ეკონომიკური აგენტის დისციპლინირება მომხმარებლისთვის უფრო დაბალი ფასის ან/და უკეთესი ხარისხის პროდუქციის შეთავაზებით. საბაზრო ძალაუფლების მოპოვების ერთ-ერთი გზაა კონცენტრაცია. ამდენად, *კონცენტრაციების წინასწარი კონტროლის* მეშვეობით შესაძლებელია თავიდან იქნას აცილებული *გაზრდილი საბაზრო ძალაუფლების შედეგად* ეკონომიკური აგენტების მიერ მომხმარებლის საფასო ექსპლუატაცია, არჩევანის ან/და ინოვაციის შემცირება ან კონკურენციის სხვა რომელიმე პარამეტრზე სხვაგვარად ნეგატიური გავლენის მოხდენა.[1320]

ევროკავშირის პრაქტიკაში, ჰორიზონტალური კონცენტრაციის დროს განიხილება ორი სახის კონკურენციული ზიანის თეორია: *(1) ცალმხრივი ეფექტი; (2) კოორდინაციის ეფექტი.*

[1318] გაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 23, პუნქტი 2.

[1319] იხ. ასევე - თავი I - "კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლები".

[1320] იხ. ევროკავშირის გზამკვლევი ეკონომიკურ აგენტებს შორის კონცენტრაციების შესახებ საბჭოს რეგულაციის თანახმად ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების შესახებ, ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი C 31, 5.2.2004, გვ.: 5-18, (შემდგომში – „ევროკავშირის ჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევი"), აბზაცი 8; ევროკავშირის გზამკვლევი ეკონომიკურ აგენტებს შორის კონცენტრაციების შესახებ საბჭოს რეგულაციის თანახმად, არაჰორიზონტალური შერწყმების შეფასების შესახებ, 2008/C 265/07 (შემდგომში – „ევროკავშირის არაჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევი"), აბზაცი 10.

ცალმხრივი ეფექტი ნიშნავს, რომ კონცენტრაციის შედეგად შეიძლება გაიზარდოს კონკრეტული ეკონომიკური აგენტის *საბაზრო ძალაუფლება.* ამ დროს ასევე მცირდება *კონცენტრაციის მონაწილე მხარეებს შორის პირდაპირი კონკურენცია. კონკურენციული წნეხი შეიძლება შემცირდეს ბაზრის მონაწილე სხვა ეკონომიკურ აგენტებზეც.* საბოლოოდ, ამ პროცესებმა შესაძლოა განაპირობონ შესაბამის ბაზარზე *ფასის ზრდა, მომხმარებლის არჩევანის შემცირება ან/და ინოვაციის კლება.*[1321] ცალმხრივი ეფექტი განსაკუთრებით მოსალოდნელია, როდესაც კონცენტრაციის შემდეგ ეკონომიკური აგენტი მოიპოვებს განსაკუთრებით მაღალ საბაზრო წილს კონკურენტებთან შედარებით ან როდესაც თავად კონცენტრაციის ერთ-ერთი მხარე წარმოადგენდა მნიშვნელოვან კონკურენციულ წნეხს ბაზარზე (განსაკუთრებით - ოლიგოპოლიური ბაზრების შემთხვევაში).[1322]

კოორდინაციის ეფექტი გულისხმობს, რომ ჰორიზონტალური კონცენტრაციის შედეგად, შესაძლოა შეიცვალოს ბაზრის სტრუქტურა, ამან კი შესაძლოა გაზარდოს *„ბაზარზე დარჩენილ ეკონომიკურ აგენტებს შორის კოორდინირებული ქმედების რისკები".* [1323] კერძოდ, კონცენტრაციის შემდეგ ბაზარზე დარჩენილმა ეკონომიკურმა აგენტებმა შესაძლოა რაციონალურად ჩათვალონ არა ერთმანეთთან კონკურენცია, არამედ ბაზარზე მსგავსი, კოორდინირებული სტრატეგიით [1324] მოქმედება და, მაგალითად, განგრძობითად მაღალი ფასების შენარჩუნება.

ხსენებული მოსალოდნელია ოლიგოპოლიურ ბაზრებზე, სადაც ისედაც მაღალია ნაგულისხმევი ფარული გარიგებების რისკი, რადგან ასეთ ბაზრებზე ეკონომიკურ აგენტებს აშკარა შეთანხმების გარეშე შეუძლიათ ერთმანეთის ქცევების

[1321] ევროკავშირის ჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევი, აბზაცი 24. იხ. ასევე, Case COMP M.8677, *Siemens/Alstom* (2019).

[1322] Bellamy & Child: *European Union Law of Competition*, (7th Edition), Oxford University Press, 2013, p. 715.

[1323] იხ. ევროკავშირის ჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევი, აბზ. 39.

[1324] კონცენტრაციის კოორდინაციის ეფექტის შეფასების მნიშვნელობასა და გამოწვევებზე ახალი ტექნოლოგიების კვალდაკვალ, იხ. Ezrachi, Ariel and Stucke, Maurice E., *„Sustainable and Unchallenged Algorithmic Tacit Collusion"* (10 ნოემბერი, 2018); ხელმისაწვდომია: https://ssrn.com/abstract=.

მონიტორინგი და შესაბამისად ადაპტაცია, კონკურენტულზე მაღალი მოგების მიღების მიზნით.[1325]

კოორდინირებული ქმედება უმეტესწილად მოსალოდნელია: (i) მაღალკონცეტრირებულ და ე.წ. „გამჭვირვალე" ბაზრებზე, სადაც შედარებით ადვილადაა შესაძლებელი კონკურენტების საქმიანობაზე დაკვირვება; (ii) არსებობს იმ ეკონომიკური აგენტების „დასჯის" („დისციპლინირების") მექანიზმი, რომლებიც გადაუხვევენ კოორდინირებულ ქმედებას; (iii) (მომავალ) კონკურენტებს ან მომხმარებლებს არა აქვთ უნარი, წინააღმდეგობა გაუწიონ კოორდინირებულ ქმედებას.[1326]

იმის დასადგენად, ექნება თუ არა კონკრეტულ კონცენტრაციას კოორდინაციის ეფექტი, ევროკომისია მხედველობაში იღებს ყველა რელევანტურ ინფორმაციას ბაზრის მახასიათებლების შესახებ, მათ შორის იმავე ფირმების წარსულ ქმედებას (მაგ. კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას) ან კოორდინაციის შემთხვევებს იმავე ან მსგავს ბაზრებზე.[1327]

აღნიშნული ორი კატეგორიის ანტიკონკურენციული შედეგები ურთიერთგამომრიცხავი არ არის: შესაძლებელია, ერთსა და იმავე კონცენტრაციას ახლდეს როგორც ცალმხრივი, ისე კოორდინაციის ეფექტის რისკები.[1328]

არაჰორიზონტალური კონცენტრაციის დროს
ევროკავშირში აფასებენ ორი ტიპის შესაძლო
ანტიკონკურენციულ ეფექტს:
(1) (ბაზრებზე ან ნედლეულზე) წვდომის შეზღუდვა;
(2) კოორდინაციის ეფექტი.

[1325] Bellamy & Child: *European Union Law of Competition*, (7th Edition), Oxford University Press, 2013, p. 723. ავტორის შენიშვნა: კონცენტრაცია, რომელის კოორდინირებული ეფექტის გამო მნიშვნელოვნად ზღუდავს ეფექტურ კონკურენციას, აკრძალულია, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ პარალელური ქმედება არ ჩაითვლება კანონის მე-7 მუხლის დარღვევად.

[1326] ევროკავშირის ჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევი, აბზაცი 41. იხ. ასევე, Case T-342/99 - *Airtours v Commission*, ECLI:EU:T:2002:146.

[1327] ევროკავშირის ჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევი, აბზაცი 43.

[1328] Bellamy & Child: *European Union Law of Competition*, (7th Edition), Oxford University Press, 2013, p. 715.

არაჰორიზონტალური (ანუ ვერტიკალური ან კონგლომერატული) კონცენტრაციები, როგორც წესი, ნაკლებად პრობლემურია, რადგან ვერტიკალური ინტეგრაცია შესაძლოა ხარჯების შემცირების და ეფექტიანობის ზრდის საშუალება იყოს.[1329] ამ დროს, მთავარ კონკურენციულ საფრთხეს წარმოადგენს მიწოდების ჯაჭვის რომელიმე დონეზე (პოტენციური) *კონკურენტებისთვის წვდომის შეზღუდვა*. ევროკავშირის პრაქტიკაში, ეს ნიშნავს *„კონცენტრაციის შედეგად ფაქტობრივი ან პოტენციური კონკურენტებისთვის ნედლეულზე ან გაზრებზე წვდომის შეფერხებას ან დაუშვებლობას, რაც შეამცირებს მათ უნარს ან ინტერესს, კონკურენცია გაუწიონ კონცენტრაციის შედეგად წარმოშობილ საწარმოს. შედეგად, კონცენტრაციის მხარეებისთვის – და რიგ შემთხვევებში, მათი ზოგიერთი კონკურენტისთვისაც – შესაძლებელი გახდება ფასის გაზრდა მომხმარებლისთვის, რაც, თავის მხრივ, კონკურენციის არსებით შეზღუდვად მოიაზრება“.*[1330]

არაჰორიზონტალური კონცენტრაციისას მხედველობაში ასევე მიიღება კოორდიინაციის ეფექტი. აღნიშნულს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც კონცენტრაცია ისე ცვლის ზედა ან ქვედა დონის ბაზარზე კონკურენციის ბუნებას, რომ ახლა ქმედებების კოორდინაცია (მაგალითად, ფასის გაზრდა) მეტად მოსალოდნელია ისეთი ეკონომიკური აგენტებისგან, რომლებიც აქამდე ამას ან საერთო ვერ, ან მხოლოდ ნაწილობრივ ახერხებდნენ.[1331]

ქართული კანონმდებლობა არ იცნობს კონკურენციული ეფექტის ასეთ პირდაპირ დაყოფას, თუმცა შეიცავს განსხვავებულ კრიტერიუმებს ჰორიზონტალური და არაჰორიზონტალური კონცენტრაციების შესაფასებლად. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ კონკურენციის სააგენტო შეძლებისდაგვარად გაიზიარებს ევროკავშირის გამოცდილებას ამ კუთხით. დღეისათვის არსებული ქართული პრაქტიკა ქვემოთ იქნება მიმოხილული.

რაც შეეხება ევროკავშირის პრაქტიკას, ანტიკონკურენციული რისკების გამოკვეთის შემდეგ, მხედველობაში ასევე მიიღება მათი

[1329] იხ. ასევე, თავი III - "კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები".

[1330] იხ. ევროკავშირის არაჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევი, აბზაცი 18.

[1331] ევროკავშირის არაჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევი, აბზაცი 19.

შესაძლო დამაბალანსებელი ფაქტორები, რათა დასკვნა იყოს სრული და ობიექტური. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრაცია ერთი შეხედვით იწვევს საბაზრო ძალაუფლების ზრდას, აუცილებელია ბაზრის სრულყოფილი ანალიზი, რათა დადგინდეს, მართლაც მოჰყვება თუ არა კონცენტრაციის შედეგად კონკურენციის შეზღუდვა. მხედველობაში მიიღება შემდეგი დამატებითი ფაქტორები: ბაზარზე შესვლის ბარიერები, მყიდველის დამაბალანსებელი ძალაუფლება, კონცენტრაციის შედეგად შექმნილი ტექნიკურ-ეკონომიკური გაუმჯობესებები, კონცენტრაციასა და კონკურენციის მოსალოდნელ შეზღუდვას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი („წარუმატებელი ფირმის" შემთხვევა). [1332] შედეგად, ევროკავშირში კონცენტრაციების შეფასების საფეხურები ასე გამოიყურება:

- კონცენტრაციის სახის განსაზღვრა;
- ბაზრის სტრუქტურა, პოტენციური კონკურენცია;
- ზიანის თეორია - შესაძლო ეფექტი კონკურენციაზე;
- დამატებითი ფაქტორების ანალიზი.

4.3. კონცენტრაციის კონკურენციული ეფექტის შეფასება

შესაბამისი ბაზრის ანალიზი გულისხმობს კონკურენციის სააგენტოს მიერ შესაბამისი სასაქონლო ბაზრის შეფასებას, ბაზრის სტრუქტურის, საბაზრო კონცენტრაციის, საბაზრო ძალაუფლების, ბაზრის ბარიერების დადგენას ან/და კანონით გათვალისწინებული სხვა მდგომარეობის განსაზღვრას, შეფასების ცალკეული ნიშნის/ნიშნების მიხედვით.[1333]

ბაზრის ანალიზი იყოფა: *(I) შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირებისა* [1334] და *(II) ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების* ეტაპებად.[1335]

1332 იხ. ევროკავშირის ჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევი, აბზ. 89-91.

1333 გაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „კ".

1334 იხ. თავი II, „შესაბამისი ბაზარი".

1335 გაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 4, პუნქტი 1. ავტორის შენიშვნა: ევროკავშირის პრაქტიკიდან ასევე მნიშვნელოვანია ე.წ. *„რომ არა"* (counterfactual) მიდგომა,

ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასება მოიცავს შემდეგი მაჩვენებლების ანალიზს: (i) შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები; (ii) შესაბამისი ბაზრის მოცულობა და ეკონომიკურ აგენტებზე წილობრივი გადანაწილება; (iii) შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის დონე; (iv) შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერები; (v) ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ძალა; (vi) დამატებითი პარამეტრები, რომელთა გათვალისწინებას აუცილებლად ჩათვლის სააგენტო.[1336] ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასება ფართო ცნებაა და შესაძლოა კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა მიზნით განხორციელდეს, თუმცა ეს თავი მოიცავს მხოლოდ *კონცენტრაციების კონკურენტული ეფექტის შეფასების შესახებ წესებისა და პრაქტიკის ანალიზს.*

პრაქტიკაში, სააგენტოს დასკვნები კონცენტრაციების კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სტრუქტურირებულია სხვადასხვაგვარად. სააგენტო ნებისმიერ შემთხვევაში *განსაზღვრავს შესაბამის ბაზარს* და *აფასებს დაგეგმილი კონცენტრაციის ეფექტს,* თუმცა ყოველთვის არ იძლევა ზემოთ მოყვანილი ყველა მაჩვენებლის ანალიზს. სისრულისთვის ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ თითოეულ მათგანს.

კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ, სააგენტო ბაზრის ანალიზს იწყებს *ნეიტრალური პოზიციიდან* და ხელმძღვანელობს *ობიექტურობის პრინციპით,* რაც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას *მხოლოდ ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, რომლებიც გამოვლინდებიან კონკრეტულ ბაზარზე.*[1337] მუშაობის პროცესში, სააგენტო ეყრდნობა *კანონიერების, ინკვიზიციურობის, მრავალმხრივი გამოკვლევის, ფუნქციონალური ანალოგიის, აუცილებლობის, ეფექტურობისა და თანაზომიერების პრინციპებს.*[1338]

რაც ნიშნავს, რომ კონცენტრაციის ეფექტი დგინდება კონცენტრაციით და კონცენტრაციის გარეშე მოსალოდნელი რეალობის შედარებით.

[1336] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 5.

[1337] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 3, პუნქტი 1.

[1338] იქვე, მუხლი 3 და მუხლი 6.

ა) შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები და მათი გამოვლენა

სააგენტო კონკურენციის მდგომარეობის ანალიზს იწყებს *ბაზარზე მოქმედი სუბიექტების გამოვლენით.*[1339] ასეთ სუბიექტებად მიიჩნევიან როგორც საქონლის ან მომსახურების *მიმწოდებელი*, ასევე *მომხმარებელი* პირები. სააგენტო თავდაპირველად ახდენს მათი ჯგუფების იდენტიფიკაციას.

მომხმარებელთა ჯგუფის იდენტიფიკაცია გულისხმობს შესაბამის ბაზარზე მოქმედი ყველა ისეთი მომხმარებლის გამოვლენას, რომელთაგან თითოეულს შეუძლია მიიღოს საკვლევი პროდუქტი ან მომსახურება შესაბამის ბაზარზე მოქმედი ნებისმიერი მიმწოდებლისგან. *მიმწოდებელთა ჯგუფის იდენტიფიკაციისას* გამოვლინდება ყველა ისეთი მიმწოდებელი, რომელიც მოქმედებს შესაბამის ბაზარზე და შეუძლია მომხმარებელს მიაწოდოს საქონელი ურთიერთჩანაცვლებადობის საფუძველზე.[1340]

სააგენტო მომხმარებელთა და მიმწოდებელთა ჯგუფების იდენტიფიკაციის პროცესში ეყრდნობა სტატისტიკურ მონაცემებს, გამოკითხვებს, ბაზარზე ჩატარებულ დაკვირვებებს და სხვა საშუალებებს. [1341] კონცენტრაციის შემთხვევაში, თავად მხარეებს ევალება შეტყობინებაში მსგავსი ინფორმაციის წარდგენა.

ბ) შესაბამისი ბაზრის მოცულობის განსაზღვრა და ეკონომიკურ აგენტებზე წილობრივი გადანაწილება

ბაზრის ანალიზის შემდეგი ეტაპია შესაბამისი *ბაზრის მოცულობის განსაზღვრა.* ბაზრის მოცულობა წარმოადგენს *დროის განსაზღვრულ პერიოდში ბაზარზე მიწოდებული საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაციის მოცულობას, რაც განისაზღვრება ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ რეალიზებული საქონლის ან/და მომსახურების მოცულობათა ჯამით.*[1342]

[1339] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 14, პუნქტი 2.
[1340] იქვე, მუხლი 14, პუნქტი 2 და პუნქტი 3.
[1341] იქვე, მუხლი 14, პუნქტი 5.
[1342] იქვე, მუხლი 15, პუნქტი 1 და პუნქტი 2.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია სიზუსტე და დაუშვებელია ერთი და იმავე საქონლის ან/და მომსახურების განმეორებითი აღრიცხვა. ქვეყნის შესაბამისი სასაქონლო ბაზრის მოცულობა განისაზღვრება ქვეყანაში წარმოებული, ქვეყნიდან ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის მოცულობების გათვალისწინებით, რაც გამოითვლება შემდეგი ფორმულის საფუძველზე:[1343]

$$Vm = Vp + Vim - Vex$$

Vm – ბაზრის მოცულობა;

Vp – შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებში წარმოებული საქონლის/მომსახურების მოცულობაა, რომელიც არ მოიცავს ეკონომიკური აგენტის მარაგებს და მის მიერ წარმოებული საქონლის/მომსახურების იმ მოცულობას, რომელიც გამოყენებულია საკუთარი წარმოებისათვის;

Vim – საქონლის იმპორტის/შეზიდვების მოცულობა შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებში;

Vex – განსაზღვრული საქონლის ექსპორტის/გაზიდვების მოცულობა შესაბამისი სასაქონლო ბაზრიდან.

როგორც აღნიშნული ფორმულიდან ჩანს, ბაზრის მოცულობა დგინდება *შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებში წარმოებული საქონლის/მომსახურების მოცულობისთვის*[1344] იმავე საზღვრებში *იმპორტირებული საქონლის/მომსახურების მოცულობის დამატებით* და *ექსპორტირებული საქონლის/მომსახურების მოცულობის გამოკლებით.* ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს ეკონომიკური აგენტების ამონაგების, შეტანილი და გამოტანილი საქონლის, ადგილზე წარმოების მოცულობა, საწარმოო სიმძლავრეები, რესურსების მარაგები, საქონელბრუნვის მოცულობა, ფინანსური და არაფინანსური აქტივები და სხვა სპეციფიკური მაჩვენებლები.[1345]

[1343] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 15, პუნქტი 2 და პუნქტი 3.

[1344] „გარდა ეკონომიკური აგენტის მარაგებისა და მის მიერ საკუთარი წარმოებისათვის გამოსაყენებლად წარმოებული საქონლის/მომსახურების მოცულობისა", – იხ. იქვე.

[1345] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 15, პუნქტი 4.

ბაზრის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ ხდება *შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების წილების განსაზღვრა.* შესაბამის ბაზარზე მიმწოდებელი ეკონომიკური აგენტის წილი გაიანგარიშება პროცენტებში, სასაქონლო ბაზრის მოცულობასთან შეფარდებით. ფინანსურ (მათ შორის, სადაზღვევო) ბაზრებზე ეკონომიკური აგენტების წილის განსაზღვრისას გამოიყენება სპეციალური წესები.[1346]

სააგენტო წილების განსაზღვრის დროს კონკრეტული მეთოდის შერჩევისას მხედველობაში იღებს ბაზრის თავისებურებებს და კონსულტაციებს გადის როგორც ეკონომიკურ აგენტებთან, ასევე, რიგ შემთხვევაში, დარგის მარეგულირებელ ორგანოებთანაც. მაგალითად, *საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისის* საქმეში, სააგენტომ, მარეგულირებელთან კონსულტაციის შემდეგ, სამედიცინო სადაზღვევო მომსახურების ბაზარზე წილები გამოთვალა ეკონომიკური აგენტების მიერ მოზიდული პრემიის ოდენობის მიხედვით.[1347]

სასაქონლო ბაზრის შეფასების პროცესში, შესაძლოა მხედველობაში იქნას მიღებული არა მარტო ფაქტობრივი, არამედ *პოტენციური კონკურენტებიც.* [1348] პოტენციურ მიმწოდებლებად მიიჩნევიან ეკონომიკური აგენტები, რომლებსაც უმნიშვნელო ტექნიკური გადაიარაღების ან ფიზიკური კაპიტალის დამატებით შეუძლიათ კონკრეტული საქონლის ან მომსახურების მიწოდება.[1349]

რიგ შემთხვევებში [1350] ბაზრის შეფასება განხორციელდება პოტენციური ეკონომიკური აგენტის დაშვების, საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის მისაღები ან გონივრული დანახარჯების შეფასებისა და ექსპერტიზის საფუძველზე. სააგენტო

[1346] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 17.

[1347] *საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისი,* სკს, ბრძანება №57, გვ. 64.

[1348] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 16, პუნქტი 1 და პუნქტი 2.

[1349] „თუმცა, თუ ბაზრის ანალიზი ტარდება კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის გამო, მაშინ წილი გამოითვლება ბაზრის ფაქტობრივად ჩამოყალიბებული სტრუქტურის მიხედვით (პოტენციური მიმწოდებლის გაუთვალისწინებლად)", – იხ. იქვე, მუხლი 16, პუნქტი 3.

[1350] „სასაქონლო ბაზარზე საბაზრო ძალაუფლების შეფასების, გრძელვადიან პერიოდში გონივრულ ფარგლებზე მეტად მაღალი რენტაბელობის ან საეჭვო ფასწარმოქმნის არსებობის, სასაქონლო ბაზარზე ბარიერების შეფასების აუცილებლობის შემთხვევაში", – იხ. იქვე, მუხლი 16, პუნქტი 4.

უფლებამოსილია წარმოებისა და რეალიზაციის ფასწარმოქმნის ანალიზი განახორციელოს დამატებით ექსპერტების ჩართვის, ფართო განხილვის, ეკონომიკის აკადემიური ლიტერატურისა და პრაქტიკაში გამოყენებული შეფასების საუკეთესო გამოცდილებიდან გამომდინარე.[1351]

გ) შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის დონე

კონცენტრაციის დონე ბაზრის ხარისხობრივი მახასიათებელია, რომელიც აფასებს ეკონომიკური აგენტების წილების ურთიერთთანაფარდობასა და მათი განაწილების სიმჭიდროვეს ბაზარზე.[1352] ევროკავშირის სამართალში მიიჩნევა, რომ *საბაზრო წილი* და *კონცენტრაციის დონე* წარმოადგენს პირველად სასარგებლო ინფორმაციას ბაზრის სტრუქტურის, კონცენტრაციის მონაწილე მხარეების და მათი კონკურენტების შესახებ.[1353]

ბაზრის კონცენტრაციის დონე იზომება ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსით (HHI), თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია გამოიყენოს პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული სხვა მეთოდებიც. [1354] ჰერფინდალ-ჰირშმანის ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი წარმოადგენს ბაზარზე ყველა მოქმედი მიმწოდებლების წილთა კვადრატების ჯამს. [1355] ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის საფუძველზე სასაქონლო ბაზრები კონცენტრაციის დონეების მიხედვით ფასდება შემდეგი ტიპის[1356] სასაქონლო ბაზრებად:

დაბალკონცენტრირებული (HHI<1250),
ზომიერად კონცენტრირებული (1250<HHI<2250) ან
მაღალკონცენტრირებული (HHI>2250).

[1351] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 16, პუნქტი 5.

[1352] იქვე, მუხლი 18.

[1353] ევროკავშირის ჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევი, აბზაცი 14.

[1354] ბაზარზე ჯგუფური დომინირების განსაზღვრისას ასევე გამოიყენება ლინდის ინდექსი, – იხ. ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 18, პუნქტი 3.

[1355] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, დანართი 1.

[1356] აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის პრაქტიკაში ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი გამოიყენება ნაწილობრივ განსხვავებული რიცხობრივი მაჩვენებლებით. შედარებისთვის, იხ. ევროკავშირის ჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევი, აბზაცი 16 და 19-21.

ხსენებული დაყოფა მნიშვნელოვანია, რადგან, დაბალკონცენტრირებულ ბაზარზე ეკონომიკური აგენტების გაერთიანებამ, როგორც წესი, ნაკლებსავარაუდოა, არსებითად შეზღუდოს ეფექტიანი კონკურენცია ან/და გამოიწვიოს დომინანტური მდგომარეობის შექმნა.

პრაქტიკაში ფაქტობრივად ყველა კონცენტრაციის შეფასება იწყება ბაზრის კონცენტრაციის ანალიზით, რისთვისაც კონკურენციის სააგენტო იყენებს სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას. მაგალითად, *საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისის* საქმეში სააგენტომ გამოყო 4 შესაბამისი ბაზარი და თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე შეაფასა კონცენტრაციის დონე.[1357] ამ პროცესში *„სააგენტო დაეყრდნო სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის და ასევე, კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. გარდა ამისა, ინფორმაციის დამუშავების პროცესში, გამოყენებულ იქნა სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული და მათ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია“.*[1358]

ეკონომიკური აგენტებისგან კონკრეტულ ბაზართან დაკავშირებით ინფორმაციის მოსაპოვებლად სააგენტო იყენებს სპეციალურ კითხვარებს. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ეკონომიკური აგენტების შესახებ შეტყობინების წინა ფინანსური წლის მდგომარეობით არასრულია, სააგენტომ შეიძლება მხედველობაში მიიღოს უფრო ძველი პერიოდიც.[1359]

[1357] კერძოდ, *საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისის* საქმეში (სკს, ბრძანება №57) სააგენტომ შეაფასა ამბულატორიული მომსახურების, სტაციონარული მომსახურების, ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციის და სამედიცინო სადაზღვევო მომსახურების ბაზრები. პირველი სამი ბაზარი ჩაითვალა დაბალკონცენტრირებულად, ხოლო მეოთხე – ზომიერად კონცენტრირებულად.

[1358] *საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისი*, სკს, ბრძანება №57, გვ. 51.

[1359] იქვე, გვ. 54.

სააგენტო ახდენს მიღებული ინფორმაციის დეტალურ ანალიზს და, რიგ შემთხვევაში, მის ჯვარედინ გადამოწმებას ან/და ადაპტაციას რეალურ კონკურენტულ პირობებთან. მაგალითად, *საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისის* საქმეში ბაზრის კონცენტრაციის დასადგენად ნუსხიდან ამოღებული იქნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ეკონომიკური აგენტები[1360]. აღნიშნულის მოტივაციას, სავარაუდოდ, წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ამ საწარმოებს კონცენტრაციის განხორციელების მომენტისათვის არ ჰქონდათ ბაზრის კონკურენტულ ვითარებაზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება.

აღსანიშნავია ისიც, რომ შესაბამის ბაზარზე კონცენტრაციის მაღალი დონე თავისთავად არ წარმოადგენს კონკურენციული ეფექტის შესახებ საბოლოო დასკვნის გამოტანის საფუძველს: *„წილობრივი და ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლების გარდა, იმის დასადგენად, კონცენტრაცია ზღუდავს თუ არა ეფექტიან კონკურენციას, სააგენტო ახდენს ბაზრის შედეგიანობის შეფასებას“*[1361] ქვემოთ მიმოხილული კრიტერიუმების საფუძველზე.

დ) კონცენტრაციის კონკურენციული ეფექტი

კონცენტრაციის ტიპის, შესაბამისი ბაზრისა და მისი კონცენტრაციის დონის განსაზღვრის შემდეგ, სააგენტო გადადის უშუალოდ *კონკურენციული ეფექტის შეფასებაზე*. როგორც უკვე აღინიშნა, *აკრძალულია მხოლოდ ისეთი კონცენტრაცია, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და რომლის შედეგია დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება.*[1362]

ევროკავშირში კონცენტრაციის შეფასებისას, ბაზრის სტრუქტურასთან ერთად, მხედველობაში მიიღება: *“არსებული და პოტენციური კონკურენცია, კონცენტრაციის მონაწილეთა საბაზრო*

[1360] *საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისი*, სკს, ბრძანება №57, გვ. 58.

[1361] *ევექსი/გნ.კო*, სკს, ბრძანება №97, გვ. 53; იხ. ასევე. *ალტა/ევროტექნიკსი*, სკს, ბრძანება №32, გვ. 38.

[1362] კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 11, პუნქტი 5.

პოზიცია, მათი ეკონომიკური და ფინანსური ძალაუფლება, მომწოდებლებისთვის და მომხმარებლებისთვის არსებული ალტერნატივები, მათ შორის, პროდუქციაზე ან გაზრებზე წვდომის ნაწილში, გაზარზე შესვლის (სამართლებრივი ან სხვა სახის) ბარიერები, მიწოდებისა და მოთხოვნის ტენდენციები შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებაზე, შუალედური და საბოლოო მომხმარებლების ინტერესები და ისეთი ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესი, რომელიც მომხმარებლების სასარგებლოდ გამოიყენება და კონკურენციას არ ზღუდავს".[1363]

საქართველოს კონკურენციის სააგენტო კონცენტრაციის კონკურენციული ეფექტის დასადგენად აფასებს *გაზრის შედეგიანობას,* როგორც *საგაზრო სტრუქტურისა* და *ეკონომიკურ აგენტთა საგაზრო ქცევის* შედეგს[1364]. ევროკავშირის მსგავსად, ქართული კანონმდებლობა კონცენტრაციის კონკურენციული ეფექტის შეფასებისას მხედველობაში იღებს სხვადასხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებს: ა) ფასი; ბ) მოგების სიდიდე; გ) მიღებული პროდუქციის ხარისხი; დ) წარმოებისა და გაყიდვის ხარჯების შემცირება; ე) ტექნიკური პროგრესი.[1365]

კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკა საკმაოდ მდიდარია ხსენებული ელემენტების ანალიზით. მაგალითად, *ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია/თბილცემენტ გრუპის* [1366] საქმეში, სააგენტომ მხედველობაში მიიღო: ბეტონის არსებული და კონცენტრაციის შემდგომი (მოსალოდნელი) ფასი; კონცენტრაციის შედეგად ეკონომიკური აგენტის ხარჯებისა (ფიქსირებული, ტრანსპორტირების, შეკეთების, ადამიანური რესურსისა და ზედნადები ხარჯები) და მოგების (აბსოლუტური მოგება და მოგება ერთეულზე) მაჩვენებლები; კონცენტრაციის გავლენა საქონლისა და მასთან დაკავშირებული (სატრანსპორტო) მომსახურების ხარისხზე; კონცენტრაციის შედეგად მიღწეული ტექნიკური პროგრესი (ამ შემთხვევაში, ბეტონის წარმოების

[1363] რეგულაცია 139/2004, მუხლი 2, პუნქტი 1.

[1364] გაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 19, პუნქტი 3.

[1365] იქვე, მუხლი 19.

[1366] ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია/თბილცემენტ გრუპი, სკს, ბრძანება №67, 9 ივნისი 2015, გვ.: 27-29.

პროცესის ევროსტანდარტებთან დაახლოება და ეკოლოგიური და გარემოს დაცვის პირობების გაუმჯობესება).[1367]

როგორც უკვე აღინიშნა, გარდა უშუალოდ კონცენტრაციის მონაწილე მხარეებისა, სააგენტო ბაზრის შედეგიანობის ანალიზისთვის საჭირო ინფორმაციას მოიპოვებს ყველა შესაძლო და რელევანტური წყაროდან, მათ შორის, კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკური აგენტების კონკურენტებისგან. კითხვარები შეიცავს კონკრეტული კონცენტრაციის შეფასებისთვის მნიშვნელოვან კითხვებს, მაგალითად: ბაზრის მონაწილეების, მათი ბიზნესმოდელისა და საქმიანობის დეტალების, ბაზარზე იმპორტისა და ექსპორტის, შესაბამის საქონელზე ან მომსახურებაზე ფასწარმოქმნის და სხვა მაჩვენებლების შესახებ.

ბაზრის მონაწილეებს ასევე ეძლევათ საშუალება, დააფიქსირონ საკუთარი აზრი მოსალოდნელ კონცენტრაციასთან დაკავშირებით, თუმცა კანონი მათ არ ავალდებულებს სააგენტოსთან თანამშრომლობას. შედეგად, ეკონომიკური აგენტები, რიგ შემთხვევებში, არ პასუხობენ სააგენტოს კითხვარებს, რაც ართულებს კონცენტრაციის კონკურენციული ეფექტის ანალიზის. [1368] ლოგიკურად, ბაზრის მონაწილეები, და განსაკუთრებით კონცენტრაციის მონაწილე საწარმოთა კონკურენტები, დაინტერესებულნი უნდა იყვნენ სააგენტოსთვის იმ ინფორმაციის მიწოდებით, რომელიც მას გაუადვილებს კონკურენციისთვის საზიანო კონცენტრაციის აკრძალვას. ცხადია, კონკურენტების მოსაზრება ვერ იქნება კონკურენციის სააგენტოს ანალიზში ერთადერთი ან/და გადამწყვეტი ფაქტორი.[1369]

სააგენტო მხედველობაში იღებს მის ხელთ არსებულ *ყველა მტკიცებულებას* და გადაწყვეტილებას იღებს მათი *ერთობლივი შეფასების* შედეგად. ამასთან, სააგენტო მაქსიმალურად

[1367] ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია/თბილცემენტ გრუპი, სკს. ბრძანება №67, 9 ივნისი 2015, გვ.: 27-29; იხ. ასევე, *ევექსი/გნკო*, სკს, ბრძანება №97, გვ.: 53-54.

[1368] იხ. მაგალითად, *ალტა/ეკოტექნიკი*, სკს, ბრძანება №32, გვ. 32; *ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია/თბილცემენტ გრუპი*, სკს, ბრძანება №67, გვ. 27; *ევექსი/გნკო*, სკს, ბრძანება №97, გვ. 53.

[1369] იხ. მაგალითად, *ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია/თბილცემენტ გრუპი*, სკს, ბრძანება №67, გვ. 21; *ჯიპისი/ჯი-ბი-სი ფარმაცია*, სკს, ბრძანება №247, გვ. 21.

წაახალისებს თანამშრომლობას და ეკონომიკური აგენტებისთვის ინდივიდუალური წერილობითი მიმართვის გარდა, როგორც წესი, საჯაროდაც განათავსებს ინფორმაციას მიღებული შეტყობინების შესახებ, რათა ყველა დაინტერესებულ მხარეს შეეძლოს მასზე რეაგირება.

ე) ჰორიზონტალური კონცენტრაციის შეფასების სპეციალური კრიტერიუმები

როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო პრაქტიკაში, ჰორიზონტალური კონცენტრაციების ანალიზისას გამოყოფენ *„ცალმხრივი ეფექტს“*, რაც გულისხმობს, რომ ტრანზაქციის შემდეგ საწარმო მოიპოვებს საბაზრო ძალაუფლებას და შედეგად, ცალმხრივად შეძლებს ფასის გაზრდას ან ხარისხის შემცირებას პროდუქციაზე. თავის მხრივ, *„კოორდინაციის ეფექტი“*, მოიაზრებს არა საბაზრო ძალის თავმოყრას ერთი საწარმოს ხელში, არამედ კონკურენციული სტრუქტურის ისეთ ცვლილებას, რომელიც გაამარტივებს ბაზარზე ფარულ გარიგებას.[1370]

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში პირდაპირ ვერ ვხვდებით მსგავს დაყოფას. კონცენტრაციის კონკურენციული ეფექტის შეფასება ტრიალებს დომინანტური მდგომარეობის ცნების გარშემო. თუმცა, სავარაუდოა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, კონკურენციის სააგენტო გაიზიარებს საერთაშორისო პრაქტიკას.

ჰორიზონტალური კონცენტრაციის შემთხვევაში, ქართული კანონმდებლობით დადგენილია ე.წ. *„უსაფრთხო თავშესაფარი“*.[1371] კერძოდ, *თუ კონცენტრაციის შედეგად საქართველოს ან მის მნიშვნელოვან ნაწილში ეკონომიკური აგენტის ერთობლივი საბაზრო წილი არ აღემატება 25%-ს, ასეთი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას.*[1372]

[1370] იხ. International Competition Network - *„ICN Recommended Practices For Merger Analysis“*, 2002-2018, https://www.internationalcompetitionnetwork.org/portfolio/recommended-practices-for-merger-analysis/.

[1371] ავტორის თარგმანი ინგლისური ტერმინიდან: "negative safe harbor".

[1372] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 20, პუნქტი 1.

ამასთანავე, *თუ ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციის შედეგად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი არ აღემატება 1250-ს, კონცენტრაცია არ იწვევს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას.*[1373] ეს დანაწესი წარმოადგენს ზოგადი მიდგომის დაკონკრეტებას, რომლის მიხედვითაც, დაბალკონცენტრირებულ ბაზარზე ნაკლებად მოსალოდნელია, კონცენტრაციას მოჰყვეს უარყოფითი კონკურენციული ეფექტი.

რაც შეეხება ზომიერად ან მაღალკონცენტრირებულ ბაზრებს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, თუ რამდენად იცვლება ბაზრის სტრუქტურა კონკრეტული განსახილველი კონცენტრაციის შედეგად. ზოგადი მიდგომის თანახმად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზარი ზომიერად ან მაღალკონცენტრირებულია, თუკი კონკრეტული კონცენტრაციის გავლენა ბაზრის სტრუქტურაზე უმნიშვნელოა, ნაკლებად სავარაუდოა, აღნიშნული კონცენტრაცია ჩაითვალოს პრობლემურად. ამავე დროს, ასეთ შემთხვევებში საჭიროა ბაზრის საფუძვლიანი ანალიზი. კანონმდებლობა დეტალურად არეგულირებს ამ საკითხს ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტში.

კერძოდ, *თუ ჰორიზონტალური კონცენტრაციის შედეგად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი 1250-დან 2250-მდეა (ე.წ. ზომიერად კონცენტრირებული ბაზარი) და მისი ცვლილება არ აღემატება 250-ს ან ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი მეტია 2250-ზე (ე.წ. მაღალკონცენტრირებული ბაზარი) და მისი ცვლილება ნაკლებია 150-ზე, მაშინ ასეთი კონცენტრაცია არ იწვევს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევებისა თუ:*

*ა) კონცენტრაციაში მონაწილეობს **პოტენციური კონკურენტი ან ბაზრის მცირე წილის მქონე ეკონომიკური აგენტი**, რომელიც შერწყმამდე ცოტა ხნით ადრე შემოვიდა ბაზარზე;*

*ბ) კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა **ინოვაციური პოტენციალი** შერწყმის მომენტისათვის მოცემული ბაზარის სტრუქტურაში ასახული არ არის;*

[1373] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 20, პუნქტი 2.

*გ) სახეზეა ბაზრის მონაწილე სუბიექტებს შორის **ჯვარედინი თანამონაწილეობა**, რაც გულისხმობს ერთმანეთის წილების ფლობას და ხელმძღვანელი პირების მიმოცვლას;*

*დ) კონცენტრაციაში მონაწილე **ერთ-ერთი** ეკონომიკური აგენტის **საბაზრო წილი მინიმუმ 50%-ია;***

*ე) სახეზეა ბაზრის მონაწილეთა შორის **წარსულში არსებული არაერთჯერადი ხასიათის შეთანხმებული მოქმედებების ან სხვა ურთიერთბელშეწყობის ნიშნები;***

*ვ) კონცენტრაციაში მონაწილეობს ეკონომიკური აგენტი, რომელიც საბაზრო სტრუქტურაში მისი პოზიციის გათვალისწინებით, **ხელს უშლიდა ან უშლის ბაზრის დანარჩენ სუბიექტებს შორის კოორდინირებული მოქმედებების განხორციელებას** ან ასეთი მოქმედებების ხარისხის გაზრდას.*

*ზ) **სხვა ისეთი მოცემულობა ბაზარზე**, რომლის არსებობა, მიუხედავად საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა წილების მაჩენებლებისა, მიუთითებს იმაზე, რომ კონცენტრაცია შეიძლება იწვევდეს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას.*[1374]

უკანასკნელი დანაწესი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის წარმმართველ ორგანოს, უნდა ჰქონდეს დისკრეცია, მხედველობაში მიიღოს ბაზარზე განვითარებული მოვლენები და კონცენტრაცია შეაფასოს ყველა სახის კონკურენციული რისკისა და სავარაუდო ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესის აწონ-დაწონის საფუძველზე.

აღნიშნული დისკრეციის კარგი მაგალითია *ჯიპისი/ეი-ბი-სი ფარმაციის* [1375] საქმე, რომლის ფარგლებშიც კონკურენციის სააგენტომ განიხილა ჰორიზონტალური კონცენტრაცია საქართველოს ტერიტორიაზე ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციის ბაზარზე. სააგენტომ მხედველობაში მიიღო სამკურნალო, პარასამკურნალო და სხვა სამედიცინო საშუალებების რეალიზაციის ბაზარზე დაბალი კონცენტრაცია, შერწყმის

[1374] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 20, პუნქტი 3.
[1375] *ჯიპისი/ეი-ბი-სი ფარმაცია*, სკს, გრძანება №247.

მონაწილეებს შორის ჯვარედინი თანამონაწილეობის, ხელმძღვანელი პირების მიმოცვლისა და კონკურენტებისთვის ხელის შეშლის შესაძლებლობის ნიშნების, ასევე კონცენტრაციამდე მათი წილების მნიშვნელოვანი ზრდის არარსებობა.

სააგენტომ ასევე გაითვალისწინა „სხვა ისეთი მოცემულობა ბაზარზე“, [1376] რომლის არსებობას შესაძლოა შეეზღუდა კონკურენცია: კერძოდ, გარკვეული ეკონომიკური აგენტების მოსაზრებები იმის შესახებ, რომ სს „ჯიპისის“ 100%-ანი წილის მფლობელი სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ (რომელსაც, თავის მხრივ, აკონტროლებს სს „საქართველოს ბანკი“) განსახილველი კონცენტრაციის შემდეგ შეძლებდა კონკურენციის შეზღუდვას ბაზარზე. სააგენტომ აღნიშნული რისკფაქტორი დააბალანსა კონცენტრაციის პროკონკურენციული ეფექტის ანალიზით: კერძოდ, მხედველობაში იქნა მიღებული შერწყმის გავლენა სამომავლო ფასის შემცირებაზე და სხვა სახის ტექნიკურ და ეკონომიკურ პროგრესზე [1377] . ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, სააგენტომ კონცენტრაცია ბაზარზე დასაშვებად მიიჩნია.

ვ) არაჰორიზონტალური კონცენტრაციის შეფასების სპეციალური კრიტერიუმები

როგორც აღინიშნა, ევროკავშირში არაჰორიზონტალური კონცენტრაციების შემთხვევაშიც ხდება *ცალმხრივი და კოორდინაციის ეფექტების ანალიზი.* ეს უკანასკნელი ფასდება ისევე, როგორც ჰორიზონტალური კონცენტრაციის შემთხვევაში. რაც შეეხება ცალმხრივ ეფექტს, არაჰორიზონტალური კონცენტრაციის შემთხვევაში ევროკომისია აფასებს, კონცენტრაციის შემდეგ ხომ არ მოხდება ვერტიკალურად ინტეგრირებული ან ფართო პორტფელის მფლობელი საწარმოების მიერ კონკურენტებისთვის *ბაზრებზე წვდომის შეზღუდვა.*


[1376] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 20, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ზ“.

[1377] *ჯიპისი/ჯი-ბი-სი ფარმაცია*, სკს, ბრძანება №247, გვ. 28-29.

ვერტიკალური კონცენტრაციის შემთხვევაში (მაგ., თუკი საოჯახო ტექნიკის მწარმოებელი საწარმო ერწყმის იმავე ტექნიკის დისტრიბუტორ კომპანიას), შერწყმას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს:

(ა) საქონელზე (ნედლეულზე) წვდომის შეზღუდვა.[1378] ე.ი. ქვედა დონის ანუ დისტრიბუციის ბაზარზე კონკურენტებისთვის გასაყიდ საქონელზე (ამ შემთხვევაში – ტექნიკაზე) წვდომის შეზღუდვა. ეს შესაძლებელია, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ვერტიკალური ინტეგრაციის შემდეგ კომპანია გადაწყვეტს, გაყიდვები განახორციელოს მხოლოდ ახალშეძენილი დისტრიბუტორის მიერ, რაც სხვა დისტრიბუტორებისთვის შეუძლებელს გახდის ან ზედმეტად გაუძვირებს იმავე ტექნიკის დისტრიბუციას. საკითხის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ვერტიკალურად ინტეგრირებული ეკონომიკური აგენტის მიერ წვდომის შეზღუდვის *უნარი* და *(ეკონომიკური) დაინტერესება.*[1379] ამასთან, მნიშვნელოვანია ხსენებული ქმედების საერთო ეფექტი მომხმარებელზე.

სქემა №6. საქონელზე (ნედლეულზე) წვდომის შეზღუდვა[1380]



➔ საერთო ეფექტი მომხმარებელზე


[1378] იხ. ევროკავშირის არაჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევი, აბზაცები 31-57.

[1379] ეკონომიკურ აგენტს კონკურენტებისთვის წვდომის შეზრუდვის *უნარი* ექნება მაშინ, როდესაც ის ფლობს საკმაო საბაზრო ძალაუფლებას და, ამასთან, ბაზარზე ნაკლებად მოიპოვება მსგავსი საქონელი ან მომსახურება. *ეკონომიკური დაინტერესება* სახეზეა მაშინ, როდესაც კონკურენტებისთვის წვდომის შეზღუდვა ეკონომიკური აგენტისთვის მომგებიანია. იხ. ევროკავშირის არაჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევი, აბზ. 31-57.

[1380] იქვე. აბზაცი 31, სქემა 1.

(ბ) მომხმარებელზე წვდომის შეზღუდვა.[1381] ე.ი. ზედა დონის, ანუ ტექნიკის წარმოების ბაზარზე კონკურენტებისთვის დისტრიბუციის ხარჯის მნიშვნელოვანი ზრდა და მომხმარებლებზე წვდომის შეზღუდვა; ეს შესაძლებელია, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ვერტიკალური ინტეგრაციის შემდეგ კომპანია უარს აცხადებს ტექნიკის სხვა მწარმოებლების პროდუქციის რეალიზაციაზე და ამით ზედა დონის ბაზარზე კონკურენტებს (ტექნიკის სხვა მწარმოებლებს) ძალიან ურთულებს ან/და უძვირებს მომხმარებლებზე წვდომას. ამ შემთხვევაშიც, ეკონომიკური აგენტის უნარსა და ეკონომიკურ დაინტერესებასთან ერთად, შეფასებისას ცენტრალური საკითხია გააძვირებს თუ არა ეს ქმედება ტექნიკის ფასს მომხმარებლისთვის (ან სხვაგვარად გააუარესებს მომხმარებლის პირობებს).

სქემა №7. მომხმარებელზე წვდომის შეზღუდვა[1382]



კონგოლომერატული კონცენტრაციისას, ბაზრის შეზღუდვამ შესაძლოა შემდეგი ფორმა მიიღოს: თუკი საბაზრო ძალაუფლების მქონე საწარმო A პროდუქტის ბაზარზე შეერწყმება B პროდუქტის მწარმოებელს, შესაძლოა მან დაიწყოს A და B პროდუქტების მიბმა

[1381] იხ. იქვე, აბზაცები 58-77.

[1382] იხ. ევროკავშირის არაჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევი, აბზაცი 58, სქემა 2.

ან დაჯგუფება და ამით აიძულოს მომხმარებელი, შეიძინოს მხოლოდ მისი პროდუქცია; შედეგად, შესაძლოა მოხდეს ბაზრიდან კონკურენტი კომპანიების განდევნა. ასეთი ეფექტი შესაძლოა მეტად თვალსაჩინო იყოს, როდესაც შერწყმის შემდეგ ეკონომიკური აგენტი მოიპოვებს ურთიერთდაკავშირებული პროდუქტების მნიშვნელოვან პორტფოლიოს.[1383]

ევროკომისიის პრაქტიკაში, სამომხმარებლო პროდუქციის მწარმოებელი ფირმა Procter & Gamble-ის მიერ კომპანია Gillete-ის შეძენის საქმის განხილვისას გამოითქვა ეჭვი, რომ კონცენტრაციის შემდეგ საწარმოს ექნებოდა სათანადო საბაზრო ძალაუფლება, რომ მყიდველი საცალო მოვაჭრეები ეიძულებინა, შეეძინა მხოლოდ მისი პროდუქცია კონკურენტების საზიანოდ (ე.ი. ბაზრიდან განედევნა კონკურენტები), თუმცა გამოძიებამ დაადასტურა, რომ ძლიერი კონკურენციისა და საცალო მოვაჭრეების საბაზრო ძალაუფლების გამო ეს შეუძლებელი იქნებოდა.[1384]

ცხადია, აღნიშნული ანალიზი კომპლექსურია. თუმცა, საზოგადოდ, მიიჩნევა, რომ ვერტიკალური და კონგლომერატული კონცენტრაციები ნაკლებ კონკურენციულ საფრთხეს შეიცავს, ვიდრე ჰორიზონტალური კონცენტრაციები. პირველ რიგში, ამ დროს არ ხდება უშუალო კონკურენტების ძალების გაერთიანება ანუ პირდაპირი კონკურენციის დაკარგვა და ერთი საწარმოს საბაზრო წილის ზრდა ერთსა და იმავე ბაზარზე. გარდა ამისა, ხშირად ასეთი კონცენტრაციები მნიშვნელოვნად ზრდის ეფექტიანობას და დადებითი ეკონომიკური ეფექტი აქვს [1385]. ამდენად, ყველა ეს ელემენტი მიიღება მხედველობაში კონცენტრაციის კონკურენციული ეფექტის დასადგენად.

არაჰორიზონტალური კონცენტრაციების შემთხვევაში, ქართული კანონმდებელიც აწესებს *უსაფრთხო თავშესაფარს* ჰორიზონტალურ კონცენტრაციასთან შედარებით უფრო მაღალი

[1383] Bellamy & Child: *European Union Law of Competition*, (7th Edition), Oxford University Press, 2013, p. 732.

[1384] Case COMP/M.3732 – Procter&Gamble/Gillette (2005); კონგლომერატული ეფექტების შესახებ იხ. ასევე Case COMP M. 8124 Microsoft/LinkedIn (2016).

[1385] იხ. მაგალითად, ევროკავშირის არაჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევი, აბზაცები 12-13; იხ. ასევე, Faull, Nikpay, გვ. 721; Rosenthal, Thomas, გვ.: 151-170.

საბაზრო წილებით. კერძოდ, *თუ არაჰორიზონტალური კონცენტრაციის შედეგად წარმოშობილი ეკონომიკური აგენტი თითოეულ შესაბამის ბაზარზე, რომელზეც ის მოქმედებს, არ მიიღებს 30%-ზე მეტ საბაზრო წილს და თითოეულ ასეთ ბაზარზე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი ნაკლებია 2250-ზე* (ე.ი. კონცენტრაციით მოცული ყველა ბაზარი დაბალ ან ზომიერად კონცენტრირებულია), მიიჩნევა, რომ კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას. თუმცა კანონი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, რომლებიც ინდივიდუალურ ანალიზს საჭიროებს. კონკურენციის შეუზღუდაობის პრეზუმფცია არ ვრცელდება საბაზრო წილებისა და ბაზრის კონცენტრაციის დონის მიუხედავად, იმ შემთხვევაში, თუ ტრანზაქციის შემდეგ:

ა) საბაზრო ძალის ან ინოვაციური პოტენციალის გამო მოსალოდნელია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა წილის მნიშვნელოვანი ზრდა.

ბ) ბაზრის მონაწილეთა შორის არსებობს მნიშვნელოვანი ჯვარედინი თანამონაწილეობა, რაც გულისხმობს ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ ერთმანეთის წილების ფლობას, ასევე, ხელმძღვანელი პირების მიმოცვლას;

გ) სახეზეა ბაზრის მონაწილეთა შორის წარსულში არსებული არაერთჯერადი ხასიათის შეთანხმებული მოქმედებების ან სხვა ურთიერთხელშეწყობის ნიშნები;

ვ) კონცენტრაციაში მონაწილეობს ეკონომიკური აგენტი, რომელიც საბაზრო სტრუქტურაში მისი პოზიციის გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით ხელს უშლიდა ან მომავლში შეუშლის ხელს ბაზრის დანარჩენ სუბიექტებს შორის კოორდინირებული მოქმედებების განხორციელებას ან ასეთი მოქმედებების ხარისხის გაზრდას.[1386]

კანონმდებლობა არ შეიცავს დეტალურ წესებს იმ შემთხვევისთვის, როდესაც კონცენტრაციის მოცული ერთი ან რამდენიმე ბაზარი მაღალკონცენტრირებულია. სააგენტო ასეთ შემთხვევებში იხელმძღვანელებს კანონმდებლობით, მათ შორის,

[1386] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 21.

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებებით, დადგენილი ზოგადი ჩარჩოთი. როგორც უკვე აღინიშნა, შესაძლებელია ვერტიკალურმა ინტეგრაციამ ან ერთი და იმავე კონგლომერატის ხელში რამდენიმე ეკონომიკური აქტივობის თავმოყრამ გამოიწვიოს რომელიმე შესაბამის ბაზარზე კონკურენციული პრობლემები. ეს ძირითადად შეიძლება მოხდეს ან კონკურენტებისთვის წვდომის შეზღუდვის, ან ბაზარზე დარჩენილ მოთამაშეებთან კოორდინაციის გზით, რასაც კონკურენციის სააგენტო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასებს.

აღსანიშნავია, რომ ერთსა და იმავე კონცენტრაციას შესაძლოა ჰქონდეს როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური განზომილება. მაგალითად, კონკურენციის სააგენტომ *ალტა/მეტრომარტის* [1387] შერწყმის საქმეში დაადგინა, რომ შპს „მეტრომარტი" შპს „ალტასგან" იძენდა სარეალიზაციო საქონლის ნაწილს, ამდენად, მხარეებს შორის არსებობდა ვერტიკალური მიმართება. თუმცა, კონკურენციული ეფექტის ანალიზისას, სააგენტომ შეაფასა მოსალოდნელი კონცენტრაციის გავლენა *„ყველა იმ სასაქონლო პოზიციაზე, სადაც კონცენტრაციის მხარეებს გააჩნიათ სასაქონლო პოზიციაში თანაკვეთა ან შესაძლებელია კონცენტრაციის შემთხვევაში მოხდეს თანაკვეთა".* [1388] რიგ შემთხვევაში, კონცენტრაციის მხარეებს არ გააჩნდათ არავითარი თანაკვეთა, სხვა შემთხვევებში კი ეკონომიკური აგენტების წილი ან/და კონცენტრაციის დონე არ იწვევდა კონკურენციის არსებითი შეზღუდვის საშიშროებას. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში სააგენტომ რეალურად გააანალიზა არა *ვერტიკალური* კონცენტრაციის ეფექტი, არამედ შერწყმის შედეგები იმ ბაზრებზე, სადაც მხარეებს აქვთ *ჰორიზონტალური გადაკვეთა,* რაც წინააღმდეგობრივია.

კონკურენციის სააგენტოს პერპერობით არ განუხილავს კონგლომერატული კონცენტრაცია, თუმცა კონგლომერატული ზიანის თეორია გარკვეულწილად გათვალისწინებულ იქნა

[1387] *ალტა/მეტრომარტი,* სკს, გრძანება №04.325.
[1388] იქვე, გვ. 24.

ჯიპისი/ეი-ბი-სი ფარმაციის[1389] საქმეში. კერძოდ, გამოითქვა ეჭვი კონცენტრაციის შემდეგ სს ჯიპისის საბოლოო მესაკუთრის – სს „საქართველოს ბანკის“ მიერ მსხვილი ფინანსური რესურსების ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენციის შესაზღუდად შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც ამ კონკრეტულ საქმეში არ დადასტურდა.

ზ) ერთობლივი საწარმოს შეფასების სპეციალური კრიტერიუმები

კანონში პირდაპირ ჩამოთვლილი ფაქტორების გარდა, სააგენტო უფლებამოსილია გაითვალისწინოს დამატებითი პარამეტრებიც. ქართული კანონმდებლობა არ შეიცავს დეტალურ წესებს იმ შემთხვევაში, როდესაც კონცენტრაცია ხორციელდება ერთობლივი საწარმოს შექმნის გზით და გარდა ზემოთ მიმოხილული ზიანის თეორიებისა, დგება დამფუძნებელ (მშობელ) კომპანიებს შორის კოორდინაციის რისკიც.

ევროკავშირის კანონმდებლობა ადგენს, რომ თუკი დამოუკიდებელი კომპანიების მიერ სრულფუნქციური ერთობლივი საწარმოს დაფუძნება ზრდის ზედა ან ქვედა დონის ბაზარზე მოქმედ დამფუძნებლებს შორის კონკურენციის შესუსტებისა და ფარული გარიგებების რისკს (ე.წ. „გადადინების ეფექტი“), კონცენტრაციის თავსებადობა კონკურენტულ გარემოსთან ასევე უნდა შეფასდეს TFEU 101-ე მუხლის პრინციპებზე დაყრდნობით.[1390] კერძოდ, უნდა დადგინდეს, ერთობლივი საწარმოს შუამავლობით ხომ არ შეძლებენ დამფუძნებელი კომპანიები შეთანხმებულ ქმედებას, თავიანთი ერთობლივი პოზიციების გაძლიერებას და კონკურენციის აღკვეთას შესაბამისი საქონლის ან მომსახურების ბაზარზე.[1391]

[1389] *ჯიპისი/ეი-ბი-სი ფარმაცია*, სკს, გრძანება №247.

[1390] ევროკავშირის შერწყმების რეგულაცია, მუხლი 2, პუნქტები 4 და 5. იხ. ასევე, Case COMP/M.3099 – *Areva/Urenco/ETC JV* (2004).

[1391] რეგულაცია 139/2004, მუხლი 2, პუნქტები 4-5. დისკუსია ამ საკითხზე იხ. Kadir Bas, *"The Substantive Appraisal of Joint Ventures Under the EU Merger Control Regime"*, Kluwer Law International, 2014.

4.4. სააგენტოს მიერ გათვალისწინებული დამატებითი პარამეტრები

როგორც უკვე აღინიშნა, კონკურენციული ეფექტის ანალიზი იწყება ბაზრის სტრუქტურის შესწავლით. კონცენტრაციის შეფასებისას შესაძლოა გამოიკვეთოს სამომავლოდ ბაზრის სტრუქტურის ცვლილების რისკები (მაგალითად, ზომიერად კონცენტრაციული ბაზრის მაღალკონცენტრირებულად გარდაქმნა), თუმცა თავისთავად ეს ფაქტი ვერ გახდება ნეგატიური დასკვნის გაკეთების საფუძველი რამდენიმე მიზეზის გამო, რადგან კონცენტრაციის უარყოფითი მხარეები შესაძლოა გადაწონოს გარკვეულმა *„დამბალანსებელმა ფაქტორებმა“.*

პირველ რიგში, კონცენტრაციას შედეგად შეიძლება მოჰყვეს მნიშვნელოვანი *ტექნიკურ-ეკონომიკური გაუმჯობესებები.* ამავე დროს, თუ *ბაზარზე შესვლის ბარიერები* დაბალია ან შერწყმის მხარეთა კლიენტები თავად არიან გარკვეული საბაზრო ძალაუფლების მქონე საწარმოები, კონცენტრაციის შედეგად, ერთი შეხედვით, გაზრდილი საბაზრო ძალაუფლება შესაძლოა ვერ იქნას გამოყენებული კონკურენციის შესაზღუდად. ამასთან, კონკურენციული რისკები პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული კონცენტრაციასთან *(მიზეზ-შედეგობრივი კავშირი)* და არ უნდა იყოს გამოწვეული ბაზარზე მიმდინარე სხვა პროცესებით. სააგენტო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ამ და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების ერთობლივი ანალიზის შედეგად.

ა) გაუმჯობესებები (ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესი)

კონკურენციული რისკების პირველადი ანალიზის შემდეგ, სააგენტო ასევე იღებს მხედველობაში ტრანზაქციის თანმდევ გაუმჯობესებებს (ტექნიკურ და ეკონომიკურ პროგრესს). ევროკავშირის პრაქტიკაში, გაუმჯობესებად ჩაითვლება კონცენტრაციის შემდგომი ფასის შემცირება მომხმარებლისთვის ან სხვა ზომები, რომლებიც ასეთი შედეგის წინაპირობაა (მაგალითად, წარმოებისა და დისტრიბუციის ხარჯების შემცირება); გარდა ამისა, მხედველობაში მიიღება ახალი ან გაუმჯობესებული საქონლის ან მომსახურების შეთავაზება მომხმარებლისთვის, მათ შორის,

კვლევასა და განვითარებაში ინვესტიციის წყალობით.[1392] იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი გადაწონის კონკურენციის შეზღუდვის სავარაუდო საზიანო შედეგებს, სააგენტო კონცენტრაციაზე თანხმობას გასცემს.

ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში დადგენილია კონცენტრაციით გამოწვეული ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესის შეფასების კრიტერიუმები. კერძოდ, ევროკომისია მხედველობაში მიიღებს გაუმჯობესებებს, რომლებიც *კონცენტრაციის პირდაპირი შედეგია, სარგებელს მოუტანს მომხმარებელს და რეალისტურია (შეტყობინების ეტაპზე შესაძლებელი იქნება მათი გადამოწმება).* ეს პირობები კუმულატიურია.[1393] ევროკომისიისთვის მნიშვნელოვანია, რომ გარიგების შედეგად სარგებელი მიიღოს *მომხმარებელმა* და არა მხოლოდ მონაწილე საწარმოებმა. ამასთან, ევროკომისია საკმაოდ დეტალურ მტკიცებულებებს მოითხოვს იმის დასადგენად, თუ კონკრეტულად როგორ განხორციელდება ის ტექნიკური და ეკონომიკური გაუმჯობესებები, რაზეც კონცენტრაციის მხარეები მიუთითებენ.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკიდან იკვეთება ევროკავშირის გავლენა. კერძოდ, შპს „ალტასა" და შპს „ევროტექნიკს ჯორჯიას" კონცენტრაციაზე დადებითი დასკვნის გაცემა მოხდა, მათ შორის *„იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი კონცენტრაცია ნეგატიურად არ აისახებოდა მომსახურების ფასზე, ხელს შეუწყობდა ქვეყნის მასშტაბით ელექტროტექნიკის სარეალიზაციო ქსელებისა და სარეალიზაციო ასორტიმენტის გაფართოებას".*[1394] მსგავსად, *ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია/თბილცემენტ გრუპის* საქმეში სააგენტომ მხედველობაში მიიღო *„კონცენტრაციის შედეგად სასაქონლო ბეტონის ბიზნესის განვითარების, წარმოების ეფექტიანობის ზრდის, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვისა და პროდუქციის ხარისხის*

[1392] ევროკავშირის ჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევი, აბზაცები 80-81.

[1393] ევროკავშირის ჰორიზონტალური შერწყმების გზამკვლევი, აბზაცები 76-88; იხ. ასევე, Rosenthal, Thomas, გვ. 214.

[1394] *ალტა/ევროტექნიკსი*, სკს, ბრძანება №32.

გაუმჯობესების“ გეგმები.[1395] სააგენტო ასევე დაეყრდნო მხარეთა ინფორმაციას დაგეგმილი გაუმჯობესებების შესახებ *ჯიპისი/ეი-ბი-სი ფარმაციისა*[1396] და *სამედიცინო კორპორაცია ევექსი/გნ.კო-ს*[1397] საქმეებში.

ბ) პოტენციური კონკურენტების შემოსვლა ბაზარზე

პირველ რიგში, ზოგიერთ ბაზარზე იმდენად ადვილია ახალი ეკონომიკური აგენტების შესვლა, რომ კონკურენციული წნეხის შემცირება დროის რომელიმე მონაკვეთში გრძელვადიანად ვერ დააზარალებს მომხმარებლების ინტერესებს. იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრაციის შედეგად წარმოშობილი ეკონომიკური აგენტი დააპირებს ოპტიმალურზე გაცილებით მაღალი ფასის დაწესებას საქონელზე და ამ გზით მომხმარებლის ექსპლუატაციას, მას შეაკავებს ბაზარზე ახალი შემოსული კონკურენტი, რომელიც აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტზე დაბალ ფასად შეეცდება ბაზარზე პოზიციის გაძლიერებას. შესაბამისად, კონკურენციული ანალიზისას, ბაზრის არსებული სტრუქტურის ანალიზის გარდა, *აუცილებელია პოტენციური კონკურენციისა და ბაზარზე შესვლის ბარიერების შესწავლა,* რისთვისაც ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები ადგენს დეტალურ წესებს.

ბაზარზე შესვლის ბარიერების ანალიზისას სააგენტო პირველ რიგში იკვლევს პოტენციური კონკურენტებისათვის ბაზარზე შესვლის, გაფართოებისა და ბაზრიდან გამოსვლის ბარიერების არსებობის (ასევე, ამ ბარიერების დაძლევის სირთულის) საკითხს, მათ შორის, ბარიერების გადალახვის შესაძლო დანახარჯებსა და ვადებს და პოტენციური კონკურენტების (მიმწოდებლების) ფაქტობრივ შესაძლებლობას, შევიდნენ შესაბამის ბაზარზე.[1398]

[1395] *ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია/თბილცემენტ გრუპი*, სკს, ბრძანება №67.

[1396] *ჯიპისი/ეი-ბი-სი ფარმაცია*, სკს, ბრძანება №247 (ამ საქმეში სააგენტომ მხედველობაში მიიღო: დანახარჯების ოპტიმიზაცია, ქვეყნის მასშტაბით სარეალიზაციო ქსელებისა და პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება, მეტი ეფექტიანობა და სხვა).

[1397] *ევექსი/გნ.კო*, სკს, ბრძანება №97 (სააგენტომ მხედველობაში მიიღო: კლინიკის საქმიანობისა და ბიზნესპროცესების სინერგია და ხარჯების შემცირება; ახალი სერვისების ამოქმედება, რვა მილიონ ლარამდე ინვესტიციის გეგმა და სხვა).

[1398] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 22.

პოტენციურ კონკურენტებად მიიჩნევიან: *„ეკონომიკური აგენტები, რომლებიც უკვე აწარმოებენ შესაბამის საქონელს, მაგრამ არ ახდენენ მის რეალიზაციას/მიწოდებას გამოსაკვლევი ბაზრის ტერიტორიაზე; ეკონომიკური აგენტები, რომლებსაც გააჩნიათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კადრები და ტექნოლოგიები აღნიშნული პროდუქტის დასამზადებლად, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ (არ) იყენებენ ამ შესაძლებლობებს; ახალი ეკონომიკური აგენტები".*[1399] სააგენტო ასევე იღებს მხედველობაში შესაბამის ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტების შესაძლებლობას, გააფართოონ ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბები და შესაბამისი ბაზრის არსებული ან პოტენციური მონაწილეებისთვის საერთაშორისო ვაჭრობისათვის ბაზარზე შეღწევადობას.

ბაზარზე შეღწევის ბარიერები პირობითად იყოფა ტექნიკურ, ფინანსურ და ინსტიტუციონალურ ბარიერებად.

ფინანსურ-ტექნიკურ ბარიერებად მოიაზრება: თავდაპირველი მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებების განხორციელების აუცილებლობა; პოტენციური მიმწოდებლებისთვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის შეზღუდულობა და დამატებითი ფინანსების მოსაზიდად მაღალი დანახარჯები ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებთან შედარებით; ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ბაზრიდან გასვლის დანაკარგები, მათ შორის აუნაზღაურებელი ინვესტიციები; რესურსებზე წვდომისთვის და ინტელექტუალური საკუთრების უფლების მოსაპოვებლად, რეკლამაზე და საჭირო ინფორმაციის მიღებაზე მაღალი დანახარჯები; სატრანსპორტო შეზღუდვები; მასშტაბის ეკონომიის მისაღწევად ეკონომიკურად გამართლებული მინიმალური წარმოების მოცულობის აუცილებლობა ერთეულ პროდუქტზე მაღალი დანახარჯების შესამცირებლად; ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების უპირატესობა ბაზრის პოტენციურ მონაწილეებთან შედარებით ერთეულ პროდუქციაზე დანახარჯებით, მოთხოვნის დონით და მყიდველებთან

[1399] იქვე, მუხლი 22, პუნქტი 2.

გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმებით; ფინანსურ-ტექნიკური ხასიათის სხვა ბარიერები.[1400]

ინსტიტუციონალურ ბარიერებად მიიჩნევა: ეკონომიკურ აგენტთა რეგისტრაციის სირთულე; ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილება პროდუქტის ექსპორტ/იმპორტის შეზღუდვასთან დაკავშირებით; შესაბამის სასაქონლო/მომსახურების ბაზარს მიკუთვნებული საქმიანობის სამართლებრივი რეგულაციების ზემოქმედება, საჭიროება და გონივრულობის შეფასება; მიწის ნაკვეთების, ან საწარმოო ნაგებობების გამოყოფასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები; საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხი; ინსტიტუციონალური ხასიათის სხვა ბარიერები.[1401]

მაგალითად, *ალტა/მეტრომარტის* საქმეში კონკურენციის სააგენტომ მიიჩნია, რომ ელექტროტექნიკის იმპორტისა და ექსპორტისთვის ლიცენზიის აღების ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჩაითვლებოდა *ინსტიტუციურ ბარიერად,* ხოლო სათანადო სტანდარტებით აღჭურილი ელექტროტექნიკის სარეალიზაციო და საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნის აუცილებლობა მიიჩნეოდა ბაზარზე შესვლის *ტექნიკურ ბარიერად.*[1402]

იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ან მინიმალურია ბაზარზე შესვლის ბარიერები, კონცენტრაციის კონკურენციული ეფექტის შეფასებისას სააგენტომ შესაძლოა მხედველობაში მიიღოს არა მარტო კონცენტრაციის მხარეების ქცევა კონცენტრაციის შემდეგ, არამედ პოტენციური კონკურენტების ქცევაც. ახალი კონკურენტების შესვლამ ბაზარზე შესაძლოა გაანეიტრალოს კონცენტრაციის ერთი შეხედვით ნეგატიური კონკურენციული ეფექტი.

[1400] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 22, პუნქტი 4.

[1401] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, პუნქტი 5.

[1402] *ალტა/მეტრომარტი,* სკს, გრძანება №04.325, გვ.: 27-28.

გ) მყიდველის დამაბალანსებელი ძალაუფლება

ევროკავშირის პრაქტიკაში კონცენტრაციის შეფასებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ***მყიდველის დამაბალანსებელი ძალაუფლება,*** რაც გულისხმობს, რომ თუ კონცენტრაციის შემდეგ მიმწოდებლის საბაზრო ძალაუფლება შეიზღუდება ძლიერი მყიდველების მიერ, საბოლოოდ, ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა ნაკლებად მოსალოდნელია.[1403]

მაგალითად, თუკი შუშის ბოთლების ორი მსხვილი მწარმოებელი ერთიანდება, შესაძლო კონკურენციული რისკია მათ მიერ კონცენტრაციის შემდეგ პროდუქციის გაძვირება და ამით კლიენტების, საბოლოოდ კი, მომხმარებლის დაზიანება. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებული საწარმოს კლიენტები არიან გამაგრილებელი სასმელების მწარმოებელი ასევე მსხვილი კომპანიები, რომელთაც მოლაპარაკებაში ძლიერი პოზიციის წყალობით შეეძლებათ, შეაკავონ ბოთლის ფასი კონკურენტულ ნიშნულზე, პრობლემა გამოირიცხება. შესაბამისად, თუკი ანალიზის შედეგად დადგინდება, რომ მყიდველის დამაბალანსებელი ძალაუფლება გამორიცხავს კონცენტრაციის ნეგატიურ ცალმხრივ ეფექტს (ფასის ზრდის ან სხვა სახით), ევროკომისია თანხმობას გასცემს კონცენტრაციაზე.

დ) მიზეზ-შედეგობრივი კავშირი

კონცენტრაციის შეფასების პროცესში ნეგატიური კონკურენციული ეფექტის აღმოჩენისას, სააგენტო ვალდებულია დაასაბუთოს, რომ კონკურენციის შეზღუდვა სწორედ კონცენტრაციის, და არა ბაზარზე მიმდინარე სხვა რაიმე პროცესის, შედეგია. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კონცენტრაციების კონტროლში ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხია, რადგან სააგენტო უფლებამოსილია აკრძალოს კონცენტრაცია, თუ *ის იწვევს* კონკურენციის შეზღუდვას. დაუშვებელია, კონცენტრაციის

[1403] ამ საკითხზე დისკუსია იხ. Whish, Bailey, გვ. 874.

მხარეებს მიეწეროს ბაზარზე ანტიკონკურენციული მდგომარეობა, რომელიც მათი ქმედებით არაა გამოწვეული.

ამ საკითხზე ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ევროკავშირის პრაქტიკაში გავრცელებული ე.წ. *წარუმატებელი ფირმის* არგუმენტი. იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე რამდენიმე მოთამაშეა, მსხვილი საწარმოს მიერ კონკურენტის შეძენამ შეიძლება კონკურენციული რისკები წარმოქმნას. მეორე მხრივ, თუკი მხარე დაადასტურებს, რომ სამიზნე საწარმო „წარუმატებელი ეკონომიკური აგენტია", რომელიც უახლოეს მომავალში აუცილებლად დატოვებდა ბაზარს (მაგალითად, გაკოტრების გამო), შეუძლებელია ბაზრის მოთამაშეთა შემცირებული რიცხვი მიეწეროს კონკრეტულად ამ კონცენტრაციას; პირიქით, ბაზრიდან გამსვლელ საწარმოზე კონტროლის მოპოვებით, შესაძლოა თავიდან იქნას არიდებული ბიზნესაქტივების დაკარგვა და გაიზარდოს ეფექტიანობა. ასეთი შემთხვევები ევროკავშირის პრაქტიკაში ფრთხილი ანალიზის საგანია.[1404]

ე) კონკურენციის მიღმა - სოციალურ-ეკონომიკური მიზნები

რიგ შემთხვევაში, კონკურენციის ორგანოები კონცენტრაციის ანალიზისას, კონკრეტულ ბაზარზე კონკურენციული ეფექტის გარდა, ითვალისწინებენ უფრო ზოგად ეკონომიკურ ან სოციალურ საკითხებს, მაგალითად, კონკრეტული ტრანზაქციის გავლენას სამუშაო ადგილებზე ან ეკოლოგიაზე, რაც საკმაოდ წინააღმდეგობრივი საკითხია.

კერძოდ, ფართო დისკუსიის საგანია, უნდა იყოს თუ არა ხსენებული საკითხები კონკურენციის ორგანოს განხილვის საგანი ან ქმედებების განმაპირობებელი, როდესაც არსებობს სპეციალიზებული საჯარო ორგანოები, რომლებსაც კანონით სწორედ ამ პრობლემატიკაზე მუშაობა ევალებათ და უფრო კონკრეტული ინსტრუმენტები აქვთ ბაზრის ჩავარდნების აღმოსაფხვრელად.

[1404] ამ საკითხზე ("Failing Firm Defence") დისკუსია იხ. Rosenthal, Thomas, *გვ.:* 195-198. იხ. ასევე. Case COMP/M.6796 – *Aegean/Olympic II* (2013).

ასევე წინააღმდეგობრივია, თუ რამდენად მიზანშეწონილია, კონკურენციის ორგანომ მხედველობაში მიიღოს ინდუსტრიული პოლიტიკის საკითხები (მაგალითად, იმპორტის შემცირება ან კონკრეტული ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა) კონკურენციული ანალიზისას.[1405]

ევროკავშირში კონცენტრაციის ანალიზისას კონკურენციის მიღმა ელემენტების გათვალისწინება ხდება ლისაბონის ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე. კონკურენციის პოლიტიკა ერთ-ერთია ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ რამდენიმე წამყვან ჰორიზონტალურ პოლიტიკას შორის (მაგ., სოფლის მეურნეობის პოლიტიკა, ვაჭრობის პოლიტიკა, გარემოს დაცვის პოლიტიკა). კონცენტრაციის ანალიზისას ამ უკანასკნელთა გათვალისწინება ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია კონკურენციის პოლიტიკის ძირითადი მიზნებისთვის ზიანის მიუყენებლად. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში, ევროკავშირის შიდა ბაზრისთვის მკაცრი კონკურენციის წესებისა და მსხვილი ევროპული კომპანიების (ე.წ. „ევროპული ჩემპიონების") მეშვეობით საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მიღწევის დაბალანსების საჭიროება არაერთი დისკუსიის საგანია.[1406]

სხვა ქვეყნებში, კონცენტრაციების საქმეებში კონკურენციის მიღმა საკითხების გათვალისწინება ხდება იმდენად, რამდენადაც ამ ქვეყნებს კონკრეტული მიმართულებები კონკურენციის სამართლის მიზნებად აქვს გაწერილი.[1407]

საქართველოს პრაქტიკაში, კონკურენციული ეფექტის ანალიზისას, სააგენტომ გაითვალისწინა გარიგების შედეგად იმპორტის მოსალოდნელი შემცირება და კონცენტრაციის გავლენა სამუშაო ადგილებზე.[1408]

[1405] იხ. Jacques Zachmann, *„Le contrôle communautaire des concentrations"*, L.G.D.J, 1994, გვ. 372.

[1406] იხ. Case COMP M.8677 - *Siemens/Alstom*. იხ. ასევე: European Political Strategy Center, *EU Industrial Policy After Siemens-Alstom - Finding a New Balance Between Openness and Protection*, 18.03.2019, https://ec.europa.eu/epsc/sites/epsc/files/epsc_industrial-policy.pdf

[1407] მაგალითად, სამხრეთ აფრიკას სამუშაო ადგილების შენარჩუნება უმუალოდ კონკურენციის კანონმდებლობის მიზნად აქვს ქცეული. ამ საკითხზე დისკუსიისთვის იხ. ასევე: თავი I - "კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლები".

[1408] *ჯიპსი/ეი-ბი-სი ფარმაცია*, სკს, ბრძანება №247, გვ.29.

5. სააგენტოს გადაწყვეტილება და მისი შემდგომი ეტაპები

ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორის გათვალისწინების შედეგად, სააგენტო შეიმუშავებს დასკვნას მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენციული ეფექტის თაობაზე. კონკურენციის სააგენტოს აქვს მხოლოდ ორი შესაძლებლობა: კონცენტრაცია მიიჩნიოს კონკურენტულ გარემოსთან *თავსებადად* (გასცეს დადებითი დასკვნა) ან *შეუთავსებლად* (გასცეს უარყოფითი დასკვნა). სააგენტო არ არის უფლებამოსილი, მხარეებს მოსთხოვოს კონცენტრაციის პროექტის ცვლილება, დააკისროს ან მათგან მიიღოს კონკრეტული პირობები, რომლებიც აღმოფხვრიან გარიგების ანტიკონკურენციულ ეფექტებს.

ასევე მნიშვნელოვანია, კონცენტრაციის კონტროლის პარალელურად, კონკურენციის სამართლის სხვა ნორმების (განსაკუთრებით კი, კანონის მე-7 მუხლის) მოქმდების საკითხი. კომპლექსური კონცენტრაციები, როგორც წესი, წარმოადგენს არაერთ მნიშვნელოვან პირობაზე შეთანხმებების ერთობლიობას. კონცენტრაციის კვალდაკვალ, მხარეები ხშირად თანხმდებიან სამომავლოდ კონკურენციის გაუწევლობაზე, ინტელექტუალური საკუთრების ლიცენზირების პირობებზე, საქონლის/მომსახურების უწყვეტად მიწოდების გაგრძელების შესახებ და სხვა.

ევროკავშირის პრაქტიკაში, რიგი ასეთი შეთანხმებებისა ჩაითვლება კონცენტრაციის *თანმდევ შეზღუდვად* და, შესაბამისად, ევროკომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, ეს დებულებებიც მიიჩნევა კანონიერად. [1409] მდგომარეობა განსხვავებულია, თუკი სახეზეა კონკურენციის შეზღუდვები, რომლებიც არ მიიჩნევა საჭიროდ და აუცილებლად კონცენტრაციის განხორციელებისთვის. ასეთი შეთანხმებების შესაფასებლად იმოქმედებს TFEU 101 მუხლი. საქართველოს პრაქტიკაში ჯერჯერობით არ არსებობს განმარტება ამ საკითხზე, თუმცა, სავარაუდოა, რომ სააგენტო გაიზიარებს ევროკავშირის გამოცდილებას.

[1409] იხ. ევროკომისიის გზამკვლევი კონცენტრაციებთან პირდაპირ დაკავშირებული და საჭირო შეზღუდვების შესახებ, OJ C 56, 5.3.2005, p. 24–31.

5.1. პირობითი ვალდებულებები/ზომები[1410]

ევროკავშირის კანონმდებლობით, მას შემდეგ, რაც ევროკომისია მხარეებს გააცნობს კონკურენციულ პრობლემებს და აცნობებს, რომ აპირებს უარყოფითი დასკვნის გაცემას, მხარეებს უფლება აქვთ, აიღონ კონკრეტული ვალდებულებები, რაც აღმოფხვრის კონკურენციის არსებითად შეზღუდვის რისკებს და მწვანე შუქს აუნთებს კონცენტრაციას. ასეთი პირობითი ვალდებულებები შეიძლება იყოს სტრუქტურული (მაგალითად, გარკვეული აქტივების გაყიდვა) ან ქმედებაში გამოხატული (მაგალითად, კონკურენტებისთვის ნედლეულის მიწოდების გარანტია).[1411] ასეთი ზომების შედეგად, ნარჩუნდება კონკურენციის მისაღები დონე და ამავე დროს, უფრო ეფექტიანია კონცენტრაციის განხილვის პროცესი. ამ მხრივ, ქართული სისტემა ევროპულთან შედარებით მოუქნელია, თუმცა სავარაუდოა მისი ცვლილება.

> შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრაციის ანალიზისას სააგენტო მიიჩნევს, რომ თუ მოსალოდნელია ეფექტიანი კონკურენციის შეზღუდვა, მხარეებს შეეძლებათ სააგენტოს შესთავაზონ სტრუქტურული ან ქცევითი ხასიათის ზომები, რომლებიც მოსალოდნელ კონკურენციულ ზიანს აღმოფხვრის.

5.2. კონცენტრაციის ცვლილება სააგენტოს დასკვნის შემდეგ

სააგენტოს გადაწყვეტილები მტკიცდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების სახით. მოქმედი ქართული კანონმდებლობა არ არეგულირებს, თუ რა

[1410] ავტორისეული თარგმანი ინგლისური ტერმინებისა „commitments" და "remedies", რომლებიც კონცენტრაციების კონტროლის სფეროში სინონიმურად გამოიყენება.

[1411] რეგულაცია 139/2004, მუხლი 6; იხ. ასევე: ევროკომისიის საინფორმაციო დოკუმენტი საბჭოს რეგულაცია №139/2004 და კომისიის რეგულაცია N802/2004 შესაბამისად მისაღები პირობითი ვალდებულებების შესახებ (2008/C 267/01); იხ. ასევე, Louis Vogel *„European Merger Control"*, LawLex / Bruylant, 2017, გვ.: 117-125.

ხდება იმ შემთხვევაში, *როდესაც ფაქტობრივად განხორციელებული კონცენტრაცია განსხვავდება იმისგან, რაზეც თანხმობა განაცხადა კონკურენციის სააგენტომ.*

ევროკავშირის კანონმდებლობით, თუკი მხარეებმა შეცვალეს პროექტი ევროკომისიისგან თანხმობის მიღების შემდეგ, *მნიშვნელოვანია ცვლილების ხარისხი.* თუკი რეალურად განსახორციელებელი კონცენტრაცია მხოლოდ მცირედ განსხვავდება ავტორიზებული გარიგებებისგან (მაგალითად, არაარსებითი ცვლილება კორპორატიულ სტრუქტურაში), ის დასაშვები იქნება. უფრო მნიშვნელოვანი განსხვავების დროს (განსაკუთრებით, თუკი ეს ეხება საწარმოს კონტროლში ცვლილებას), საჭიროა ხელახალი შეტყობინება.[1412] სავარაუდოა, რომ საქართველოს კონკურენციის სააგენტო ამ საკითხშიც იხელმძღვანელებს ევროკავშირის გამოცდილებით.

5.3. კანონდარღვევით განხორციელებული კონცენტრაციის შედეგები

ევროკავშირის პრაქტიკიდან ასევე აღსანიშნავია ევროკომისიის უფლებამოსილება კანონდარღვევით განხორციელებული კონცენტრაციის დროს. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ფულადი სანქციის გარდა, ევროკომისია უფლებამოსილია გამოიყენოს დროებითი ზომები (მაგალითად, კომპანიების საქმიანობის დროებით შეჩერება) კონკურენციული ზიანის თავიდან ასაცილებლად.

გარდა ამისა, თუკი ევროკომისია დაადგენს, რომ კონცენტრაცია არ არის თავსებადი კონკურენტულ გარემოსთან, მაგრამ მხარეები მაინც განახორციელებენ მას, ევროკომისია უფლებამოსილია საწარმოებს მოსთხოვოს უკვე განხორციელებული კონცენტრაციის მოშლა და თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა.[1413]

[1412] ევროკომისიის კონსოლიდირებული გზამკვლევი იურისდიქციის შესახებ, აბზაცი 123.
[1413] რეგულაცია 139/2004, მუხლი 8.

კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს სანქციებს კანონდარღვევით განხორციელებული კონცენტრაციის შემთხვევაში.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებებით, იგეგმება ამ ხარვეზის შევსება.

კერძოდ: (1) თუ კონცენტრაცია განხორციელდა სააგენტოსთვის მიმართვის გარეშე/დასკვნის გაცემამდე, სააგენტო უფლებამოსილი იქნება, მხარეებს დააკისროს ჯარიმა – ბრუნვის 5%-მდე (ფიზიკური პირის შემთხვევაში ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს ერთ მილიონ ლარს). ამასთან, ჯარიმა არ გაათავისუფლებს პირს შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულებისგან.

(2) თუ კონცენტრაცია განხორციელდა სააგენტოს უარყოფითი დასკვნის მიუხედავად ან/და სააგენტომ შეიმუშავა უარყოფითი დასკვნა უკვე განხორციელებულ კონცენტრაციის თაობაზე, ჯარიმის პარალელურად, სააგენტო მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვს კონცენტრაციის გაუქმებას, თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით.

5.4. გადაწყვეტილების გამოქვეყნება და სასამართლო კონტროლი

კონკურენციის შესსახებ კანონი ადგენს, რომ კონკურენციის სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მისი გადაწყვეტილება საჯარო უნდა იყოს. [1414] კონცენტრაციების კონტექსტში ეს ნიშნავს, რომ გარდა შეტყობინების წარმომდგენი პირისთვის გაგზავნისა, სააგენტო ასევე ასაჯაროებს გადაწყვეტილებას. ეს, როგორც წესი, ხდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ანოტაციის გამოქვეყნებით ბრძანების მიღებიდან 7 დღის ვადაში. ანოტაცია ქვეყნდება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით და შეიცავს მოკლე

[1414] კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 17, პუნქტი 2.

ინფორმაციას კონცენტრაციის მხარეების, ფორმისა და კონკურენციული ეფექტის შესახებ.

პარალელურად, მხარეთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით ან/და მათთან შეთანხმებით, მუშავდება კონცენტრაციის შესახებ გადაწყვეტილების არაკონფიდენციალური ვერსია. ის როგორც წესი, ასევე გადაეგზავნება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს[1415], რათა ხელი არ შეეშალოს მხარეთა მიერ რეგისტრაციის პროცედურების განხორციელებას, ასეთი საჭიროების შემთხვევაში. კონკურენციის სააგენტოსგან გადაწყვეტილების სრული ტექსტის არაკონფიდენციალური ვერსიის გამოთხოვა ასევე შესაძლებელია საჯარო ინფორმაციის სახით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის შესაბამისად.

კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკურ აგენტს ან სხვა დაინტერესებულ პირს შეუძლია სააგენტოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.[1416] ასეთი სარჩელის მიზნებისთვის, სასარჩელო უფლების მქონე „სხვა დაინტერესებულ პირად" ჩაითვლება პირი, რომლის კანონიერ უფლებას ან ინტერესს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს ან უკანონოდ უზღუდავს უფლებას სააგენტოს გადაწყვეტილება ან მისი ნაწილი.[1417] ასეთად შეიძლება მიჩნეულ იქნას, მაგალითად, კონცენტრაციის მონაწილეთა კონკურენტები ან კლიენტები.

იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრაცია განხორციელდა სააგენტოსთვის სავალდებულო შეტყობინების წესის დაუცველად ან დაინტერესებულ მხარეს აქვს ამის გონივრული ვარაუდი, მას შეუძლია მიმართოს სააგენტოს ან პირდაპირ თბილისის საქალაქო სასამართლოს, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისა და დარღვევის შედეგად

[1415] იხ. *ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია/თბილცემენტ გრუპი*, სკს, ბრძანება N67.

[1416] იხ. კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 28 და მუხლი 33[2]; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 22, ნაწილი 3. შედარებისთვის, ევროკავშირში ეს ვადა არის ორი თვე. იხ. http://ec.europa.eu/competition/mergers/procedures_en.html.

[1417] იხ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 22, ნაწილი 2.

მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ხანდაზმულობის ვადაა კანონდარღვევის ჩადენიდან 3 წელი.[1418]

> კონკურენციის სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, ხანდაზმულობის ვადად განისაზღვრება ქმედების დასრულებიდან 3 წელი, თუმცა, დღევანდელი რედაქციისგან განსხვავებით, სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული პროცედურის დაწყება შეაჩერებს აღნიშნული ვადის დინებას.

5.5. კონცენტრაციის შემდგომი კონტროლი

კანონის 17[2] მუხლის თანახმად, მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგი წარმოადგენს სააგენტოს ერთ-ერთ ზოგად უფლებამოსილებას. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუკი სააგენტო თანხმობას გასცემს კონცენტრაციაზე, რომლის შედეგადაც ეკონომიკური აგენტი დომინანტურ მდგომარეობას მოიპოვებს, სააგენტო უფლებამოსილია ამ უკანასკნელს გარკვეული პერიოდულობით მოსთხოვოს იმ გარიგების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეზღუდოს კონკურენცია შესაბამის ბაზარზე. ხსენებული მექანიზმი პრაქტიკაში რამდენჯერმე იყო გამოყენებული.

მაგალითად, ინფორმაციის ყოველწლიურად წარმოდგენა დაევალა სს „სამედიცინო კომპანია ევექსს", რომელიც ნეიროქირურგიული მომსახურების ბაზარზე მოიპოვებდა დომინანტურ მდგომარეობას შპს „გნ.კო"-ს 50%-იანი წილის შეძენის შემდეგ. [1419] ასეთივე ვალდებულება დაუწესდა სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L"-ს. [1420] სააგენტომ ეს მუხლი გამოიყენა დომინანტურ მდგომარეობაზე მითითების გარეშეც, იმ შემთხვევაში, როდესაც ერთობლივი საწარმოს შექმნით გზით

[1418] იხ. კანონი, მუხლი 33[2], პუნქტი 2 და მუხლი 27.

[1419] *ევექსი/გნ კო*, სკს, ბრძანება №97.

[1420] *საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისი*, სკს, ბრძანება №57.

კონცენტრაციისას ორი დედაკომპანია გამოირჩეოდა „მაღალი ერთობლივი ხვედრითი წილებით“.[1421]

ამ მუხლის ეფექტიანობა საკამათოა, რამდენადაც დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ ბაზარზე კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვა თავისთავად უკანონო ქმედებაა, რომლის კონტროლი სააგენტოს კანონმდებლობით ისედაც ევალება. ამასთან, ცხადია, ეკონომიკური აგენტის ინტერესი, სააგენტოს შეატყობინოს კანონსაწინააღმდეგო გარიგებების შესახებ, არის მინიმალური. გარდა ამისა, ამ მუხლის დარღვევისთვის არ არის გათვალისწინებული სანქცია.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ნაკლებად დამაჯერებელია კონცენტრაციის შემდგომი კონტროლის ასეთი შეზღუდული ფორმის სარგებლიანობა და სასურველია აღნიშნული რეგულაცია ან საერთოდ გაუქმდეს (რადგან სააგენტოს უკვე გააჩნია ზოგადი საგამოძიებო უფლებამოსილებები) ან სხვა ფორმით ჩამოყალიბდეს. კერძოდ, ხსენებული მექანიზმი შესაძლოა უფრო ეფექტიანი გახდეს, თუ კანონში გაკეთდება ნეიტრალური ჩანაწერი, რომელიც (შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში და მხოლოდ ცალკეული, მაღალი რისკის მქონე კონცენტრაციების შემდეგ) სააგენტოს უფლებას მისცემს, განხორციელოს ეკონომიკური აგენტების გარიგებების ან/და ქმედებების პერიოდული კონტროლი განსაზღვრული ვადის განმავლობაში, რის შედეგადაც სააგენტო თავად შეაფასებს, ჰქონდა თუ არა ადგილი ბაზარზე კონკურენციის მნიშვნელოვნად შეზღუდვას.

6. სამომავლო გამოწვევები და საერთაშორისო თანამშრომლობა

გლობალური შერწყმები და შესყიდვები მუდმივად განვითარებადი სფეროა, რის გამოც კონკურენციის ორგანოები აქტიურად ეძებენ ინოვაციურ მეთოდებს ახალ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

[1421] *ალტა/ვეროტექნიკსი*, სკს, გრძანება №32.

ბოლო პერიოდში ევროპაში მიმდინარეობს ხანგრძლივი აკადემიური და პრაქტიკული დებატები გარკვეული ტიპის კონცენტრაციებზე სააგენტოების იურისდიქციასთან დაკავშირებით. საუბარია ისეთ ტრანზაქციებზე, სადაც ერთ-ერთი მხარე არ აკმაყოფილებს სავალდებულო შეტყობინებასთან დაკავშირებული ფინანსური ბრუნვის ზღვრებს, თუმცა კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი საბაზრო ღირებულება და შესაძლებელია ხსენებული გარიგების შედეგად კონკურენციას მიადგეს ზიანი.[1422]

აღნიშნული პრობლების თავიდან ასაცილებლად და კონკურენციული ზედამხედველობის გასაძლიერებლად გერმანიასა და ავსტრიაში შემოიღეს კონცენტრაციებზე იურისდიქციის გავრცელების დამატებითი ელემენტი, რომელიც ტრანზაქციის ღირებულებაზეა მიბმული და სააგენტოებს საშუალებას აძლევს, შეაფასონ კონცენტრაციები, რომლებიც ეხება დაბალი ბრუნვის მქონე, მაგრამ დიდი საბაზრო ღირებულების ეკონომიკური აგენტების გაერთიანებას.[1423]

კონკურენციის ორგანოები მუდმივად ეძებენ უფრო ეფექტურ გზებს ინოვაციურ ბაზრებთან დაკავშირებული კონცენტრაციების შინაარსობრივი შეფასების კუთხითაც.[1424] ევროკომისია ინოვაციის დაცვას ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან იღებდა მხედველობაში.[1425] მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში დიდი ხანია არსებობს დამკვიდრებული სამართლებრივი ჩარჩო [1426] და პრაქტიკა [1427] ინოვაციაზე (მათ შორის, კვლევასა და განვითარებაზე)

[1422] მაგალითად, Facebook-ის მიერ WhatsApp-ის შესყიდვა (იხ. CASE M.8228 – FACEBOOK/WHATSAPP). იხ. ასევე: CASE M.8788 – APPLE/SHAZAM (2018). ამავე საკითხზე, იხ. *„ევროკავშირის შერწყმების კონტროლის პროცედურული და იურისდიქციული ასპექტების შესახებ საჯარო კონსულტაციაზე პასუხების შეჯამება"*; http://ec.europa.eu/competition/consultations/2016_merger_control/summary_of_replies_en.pdf.

[1423] იხ. Osborne Clarke, *„New merger control thresholds in Germany and Austria based on transaction value"*; http://www.osborneclarke.com/insights/new-merger-control-thresholds-in-germany-and-austria-based-on-transaction-value/.

[1424] იხ. მაგალითად, Freshfields Bruckhaus Deringer, *"Innovative theories in merger control"*, http://antitrust.freshfields.com/innovative-theories-in-merger-control; იხ. ასევე: Maria Wasastjerna, *"The role of big data and digital privacy in merger review"*, European Competition Journal, Vol. 14 (2-3), 2018, pp. 417-444.

[1425] იხ. მაგალითად, Case COMP M.214, *Du Pont/ICI* (1992), para. 47.

[1426] ევროკავშირის გზამკვლევი ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების შესახებ, აბზაცი 38.

[1427] იხ. მაგალითად, Case T-175/12, *Deutsche Börse v Commission*, ECLI:EU:T:2015:148, Case COMP/M.7326 - Medtronic/Covidien (2014), Case COMP/M.7932 - Dow/ DuPont (2017).

კონცენტრაციების გავლენის შესაფასებლად, ეკონომიკის ფაქტობრივად ყველა დარგში ახალი ტექნოლოგიების მზარდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, აუცილებელი ხდება ხსენებული ჩარჩოს დახვეწა და თანამედროვე გამოწვევებზე მორგება.

ჯერ კიდევ სწრაფი ცვლილებებისა და განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება ევროკავშირის, მისი წევრი სახელმწიფოებისა და სხვა წამყვანი იურისდიქციების კონკურენციიის ორგანოებთან, როგორც ორმხრივად, ასევე მრავალმხრივი პლაფორმების - საერთაშორისო კონკურენციის ქსელის (ICN) შერწყმების ჯგუფი,[1428] ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონკურენციის კომიტეტი, [1429] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNCTAD)[1430] და სხვა - გამოყენებით.

[1428] იხ. https://www.internationalcompetitionnetwork.org/working-groups/merger/

[1429] იხ. https://www.oecd.org/daf/competition/mergers/

[1430] იხ. მაგ., Note by the UNCTAD secretariat: *International cooperation in merger cases as a tool for effective enforcement of competition law*, 27 April 2015, available at: https://unctad.org/meetings/en/SessionalDocuments/tdrbpconf8d4_en.pdf.

კონცენტრაციების კონტროლი – მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამება

- კონცენტრაცია წარმოადგენს ეკონომიკური აგენტების ურთიერთდაკავშირებას კანონით განსაზღვრული სხვადასხვა გზით, რომელსაც, როგორც წესი, ლეგიტიმური მიზნები აქვს, თუმცა, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა შეზღუდოს კონკურენცია.
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია კონცენტრაციის განხორციელების ოთხი გზა: შერწყმა (ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტის გაერთიანება, რომლის შედეგად წარმოიშობა ერთი ეკონომიკური აგენტი); პირდაპირი ან ირიბი კონტროლის მოპოვება (ფასიანი ქაღალდების ან აქტივების წილის შეძენით, ხელშეკრულებით ან სხვა საშუალებით ეკონომიკურ აგენტზე ან მისი ბიზნესის ნაწილზე, იმ პირის მიერ, რომელიც უკვე აკონტროლებს სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს); ჯვარედინი თანამონაწილეობა (ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის მმართველ ორგანოებში მონაწილეობა); ერთობლივი საწარმოს შექმნა (თუ იგი ხანგრძლივად ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას).
- კონცენტრაციების გარკვეული კატეგორია ექვემდებარება კონკურენციის სააგენტოსთვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების ვალდებულებას. კერძოდ, შეტყობინება სავალდებულოა, თუ კონცენტრაცია აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ წლიური ბრუნვის ან აქტივების ღირებულების სავალდებულო ზღვრებს საქართველოს ტერიტორიაზე. წინასწარი შეტყობინება სააგენტოს უნდა წარედგინოს წერილობითი (მათ შორის, ელექტრონული) ფორმით და უნდა აკმაყოფილებდეს ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებს.
- კონცენტრაციად არ ჩაითვლება და, შესაბამისად, კონკურენციის სააგენტოსთვის შეტყობინებას არ საჭიროებს, კანონით დადგენილი გარკვეული გამონაკლისები.
- შეტყობინების მიღების შემდეგ, სააგენტო ერთთვიან ვადაში შეაფასებს დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენციულ ეფექტს.

ვადის გაგრძელება შესაძლებელია არაუმეტეს ორი კვირით, ხოლო დადგენილ ვადაში პასუხის გაუცემლობა კონცენტრაციაზე თანხმობად ჩაითვლება.

- კონცენტრაციების განხილვისას, კონკურენციის სააგენტო ინფორმაციას გამოითხოვს ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტებისგან და მესამე პირებისგან. სააგენტო ასევე თანამშრომლობს სხვა საჯარო უწყებებთან და სხვა ქვეყნების კონკურენციის ორგანოებთან.
- კანონდებლობით იკრძალება მხოლოდ ის კონცენტრაცია, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და რომლის შედეგია დომინანტური მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება.
- კონკურენციული ეფექტის შეფასებას სააგენტო იწყებს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრით. შინაარსობრივი ანალიზი დამოკიდებულია კონცენტრაციის სახეზე: სხვადასხვაგვარად ფასდება ჰორიზონტალური ან არაჰორიზონტალური (ვერტიკალური ან კონგლომერატული) კონცენტრაციები. სააგენტოს ანალიზი სამომავლო და ყოვლისმომცველია: მხედველობაში მიიღება როგორც კონკურენციის მოსალოდნელი შეზღუდვა, ასევე ტრანზაქციის თანმხლები გაუმჯობესებები და სხვა ეკონომიკური ფაქტორები.
- შეფასების ბოლოს სააგენტო შეიმუშავებს დასკვნას მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენციული ეფექტის თაობაზე. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დაუშვებელია კონცენტრაციის რეგისტრაცია. რიგ შემთხვევებში, სააგენტო უფლებამოსილია, განახორციელოს კონცენტრაციის შემდგომი კონტროლი. სააგენტოს გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში.
- კონცენტრაციების კონტროლი მუდმივად განვითარებადი სფეროა, ამდენად, მოსალოდნელია როგორც კანონმდებლობის, ისე პრაქტიკის განვითარება ახალი გამოწვევების კვალდაკვალ.

ბიბლიოგრაფია

I. კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობა

1) საქართველოს კანონი "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ", პარლამენტის უწყებანი, 22-23, 30.07.1996 (ძალადაკარგულია 11.07.2005-დან); https://matsne.gov.ge/ka/document/view/31462?publication=3.

2) საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 27.06.2005 (ძალადაკარგულია 23.07.2012-დან), https://matsne.gov.ge/ka/document/view/29644?publication=6.

3) საქართველოს მთავრობის განკარგულება №1551, "კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ", 03.12.2010, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2267631?publication=0.

4) ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა მეორე მხრივ, საქართველოს შორის, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0.

5) საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", საკანონმდებლო მაცნე, 08.05.2012; კონსოლიდირებული ვერსია (2014 წლის 21 მარტის ცვლილებებით) https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4.

6) კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის №30/09-3 ბრძანება „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე", 30/09/2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2523226?publication=0.

7) საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი", 17/09/2010, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=143.

8) კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის №30/09-4 ბრძანება „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის

წესის დამტკიცების შესახებ“, 30/09/2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2523208?publication=0.

9) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, 25/06/1999, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=27.

10) საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“, 25/06/1999, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=27.

ევროკავშირის კანონმდებლობა და გზამკვლევები

1) ევროკავშირის საბჭოს 2004 წლის 20 იანვრის №139/2004 რეგულაცია ეკონომიკურ აგენტებს შორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ (ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი: L 24, 29.01.2004, გვ.: 1-22).

2) ევროკავშირის საბჭოს 1989 წლის 21 დეკემბრის რეგულაცია 4064/89 ეკონომიკურ აგენტებს შორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ (ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი: L 257/90, გვ.: 13).

3) ევროკომისიის კონსოლიდირებული გზამკვლევი იურისდიქციის შესახებ საწარმოებს შორის კონცენტრაციის კონტროლის შესახებ საბჭოს რეგულაცია №139/2004-ის შესაბამისად (2008/C 95/01).

4) ევროკავშირის გზამკვლევი ეკონომიკურ აგენტებს შორის კონცენტრაციების შესახებ საბჭოს რეგულაციის თანახმად არაჰორიზონტალური შერწყმების შეფასების შესახებ (2008/C 265/07).

5) ევროკავშირის გზამკვლევი ეკონომიკურ აგენტებს შორის კონცენტრაციების შესახებ საბჭოს რეგულაციის თანახმად ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების შესახებ (ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი C 31, 5.2.2004, გვ.: 5-18).

6) ევროკომისიის საინფორმაციო დოკუმენტი, საბჭოს რეგულაცია №139/2004 და კომისიის რეგულაცია №802/2004 შესაბამისად მისაღები პირობითი ვალდებულებების შესახებ (2008/C 267/01).

7) ევროკომისიის გზამკვლევი ჰორიზონტალური თანამშრომლობის შეთანხმებებზე ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ე მუხლის მოქმედების შესახებ (ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი: C 11, 14.1.2011, p. 1–72).

8) ევროკომისიის გზამკვლევი საბჭოს რეგულაცია No 139/2004-ის შესაბამისად კონცენტრაციების გამარტივებული განხილვის შესახებ, ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი C 366, 14.12.2013, p. 5–9.

9) ევროკომისიის გზამკვლევი კონცენტრაციებთან პირდაპირ დაკავშირებული და საჭირო შეზღუდვების შესახებ, OJ C 56, 5.3.2005, p. 24–31.

II. სასამართლო/მარეგულირებლების გადაწყვეტილებები

საქართველო

1) *ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია/თბილცემენტ გრუპი* – საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №67, 9.06.2015.

2) *ევექსი/გნ.კო,* საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №97, 28.07.2015.

3) *ნიკორა ტრეიდი/ნუგეში,* საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №27, 26.02.2016.

4) *ჯიპისი/ეი-ბი-სი ფარმაცია,* საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №247, 28.12.2016.

5) *საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი/ჯიპისი,* საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №57, 28.04.2016.

6) *ალტა/მეტრომარტი,* საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №04.325, 4.12.2017.

7) *ცემენტინვესტი/კავკასუსცემენტი,* საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს) ბრძანება №04/274, 6.10.2017.

8) *ალტა/ევროტექნიკსი,* საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №32, 07.03.2016.

9) *ამერიტექი/სმაილი,* საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №04/167, 06.07.2018.

ევროკავშირი

1) Case C-248/16, *Austria Asphalt,* ECLI:EU:C:2017:643.

2) Case C-633/16, *Ernst & Young P/S,* ECLI:EU:C:2018:371.

3) Case 6/72, *Europemballage and Continental Can v Commission,* ECLI:EU:C:1973:22.

4) Case T-342/99 - *Airtours v Commission,* ECLI:EU:T:2002:146.

5) T-282/02 - *Cementbouw Handel & Industrie v Commission,* ECLI:EU:T:2006:64.

6) Case T-175/12, *Deutsche Börse v Commission,* ECLI:EU:T:2015:148.

7) Case No. IV/M053 - Aerospatiale-Alenia/de Havilland (1991).

8) Case COMP M.214 Du Pont/ICI (1992).

9) Case M890 - Blokker/Toys R Us (1997).

10) Case COMP/M.3071 – Carnival Corporation/P&O Princess (II) (2003).

11) Case No COMP/M.3099 – Areva/Urenco/ETC JV (2004).

12) Case COMP/M.3732 – Procter&Gamble/Gillette (2005).

13) Case COMP/M.4368 - Edison/Eneco Energia (2006).

14) Case COMP/M.4854 - Tom Tom/Tele Atlas (2008).

15) Case COMP/M.5727 - Microsoft/Yahoo! (2010).

16) Case COMP/M.6796 – Aegean/Olympic II (2013).

17) Case COMP/M.7326 - Medtronic/Covidien (2014),

18) Case M.8124 – Microsoft/LinkedIn (2016).

19) Case M.8228 – Facebook/Whatsapp (2017).

20) Case COMP/M.7932 - Dow/ DuPont (2017).

21) Case M.8788 – Apple/Shazam (2018).

22) Case M.7993 - Altice/Pt Portugal (2018).

23) Case COMP M.8677, Siemens/Alstom (2019).

III. წიგნები

1) Alison Jones, Brenda Sufrin, "EU Competition Law: Text, Cases, and Materials", 6th edition, Oxford University Press, 2016.

2) Richard Whish, David Bailey, "Competition Law", 7th edition, Oxford University Press, 2012.

3) Jurgita Malinauskaite, "Merger Control in Post-Communist Countries – EC merger regulation in small market economies", 1st ed, Routledge, 2010.

4) François Souty, „Le droit et la politique de la concurrence de l'Union européenne", 4e édition, Editeur : L.G.D.J, Montchrestein 2013.
5) Jonathan Faull, Ali Nikpay, „The EU Law of Competition", 3rd Edition, Oxford University Press, 2014.
6) Michael Rosenthal, Stefan Thomas, „European Merger Control", Verlag C.H. Beck Munchen 2010.
7) Catalin Stefan Rusu, „European Merger Control – The Challenges Raised by Twenty Years of Enforcement Experience", Walters Kluwer International, 2010.
8) Jacques Zachmann, „Le contrôle communautaire des concentrations", L.G.D.J, 1994.
9) Louis Vogel „European Merger Control", LawLex / Bruylant, 2017.
10) Peter Verloop, Valerie Landes (eds), „Merger Control in Europe – EU, Member States and Accession States", 4th edition, Kluwer Law International, 2003.
11) Valentine Korah, "An Introductory Guide to EC Competition Law and Practice", 9th edition, Hart Publishing, 2007.
12) Bellamy & Child –Vivien Rose, David Bailey (Eds), "European Union Law of Competition", 7th Edition, Oxford University Press, 2013.
13) Einer Elhauge, Demien Geradin, "Global Competition Law and Economics", 2nd edition, Hart Publishing, 2011.

IV. სტატიები

1) Ketevan Zukakishvili, "Implementation of the Competition Chapter of the EU-Georgia Association Agreement – the Continued Progress", OECD-GVH Newsletter, Issue No 11, July 2018, p. 40; http://www.gvh.hu/data/cms1038987/Newsletter_11_ENG.pdf.
2) James W. Brock & Norman P. Obst, „Market Concentration, Economic Welfare, and Antitrust Policy", J Ind Compet Trade (2009) 9:65-75, DOI 10.1007/s10842-007-0026-6.
3) სოლომონ მენაბდიშვილი, „საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან (ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით

ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად)", http://asocireba.ge/files/Solomon-Menabdishvili-Competition-2018.pdf.
4) Ezrachi, Ariel and Stucke, Maurice E., „Sustainable and Unchallenged Algorithmic Tacit Collusion" (10.11.2018); https://ssrn.com/abstract=.
5) Kadir Bas,"The Substantive Appraisal of Joint Ventures Under the EU Merger Control Regime", Kluwer Law International, 2014.
6) Maria Wasastjerna, "The role of big data and digital privacy in merger review", European Competition Journal, Vol. 14 (2-3), 2018, pp. 417-444.

V. სხვა წყაროები

1) საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრეზენტაცია „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, მეორე საერთაშორისო კონფერენცია – კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები, თბილისი, 28-29 სექტემბერი, 2018.
2) Glossary of Industrial Organisation Economics and Competition Law, compiled by R. S. Khemani and D. M. Shapiro, commissioned by the Directorate for Financial, Fiscal and Enterprise Affairs, OECD, 1993, http://www.oecd.org/regreform/sectors/2376087.pdf.
3) OECD, Directorate for Financial and Enterprise Affairs, Competition Committee, „Market Concentration" – Issues paper by the Secretariat, 2018, https://one.oecd.org/document/DAF/COMP/WD(2018)46/en/pdf.
4) საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები", მაისი, 2017; http://competition.ge/ge/page4.php?b=569%3E.
5) საქართველოს კონკურენციის სააგენტო, 2015 წლის 10 ივნისის წერილი №02/1202.
6) Igor Svechkar, Alexey Pustovit, Oleksandr Voznyuk, Getting the Deal Through – Merger Control 2017 – Ukraine – p. 409-414 https://www.asterslaw.com/press_center/publications/merger_control_2017_ukraine/

8) International Competition Network – „ICN Recommended Practices For Merger Analysis", 2002-2018, https://www.internationalcompetitionnetwork.org/portfolio/recommended-practices-for-merger-analysis/.
9) European Commission, Competition: Merger control procedures; http://ec.europa.eu/competition/mergers/procedures_en.html.
10) „ევროკავშირის შერწყმების კონტროლის პროცედურული და იურისდიქციული ასპექტების შესახებ საჯარო კონსულტაციაზე პასუხების შეჯამება"; http://ec.europa.eu/competition/consultations/2016_merger_control/summary_of_replies_en.pdf.
11) White Paper Towards more effective EU merger control, COM/2014/0449 final (July 2014).
12) European Political Strategy Center, *EU Industrial Policy After Siemens-Alstom,* https://ec.europa.eu/epsc/sites/epsc/files/epsc_industrial-policy.pdf, (March 2019).
13) Osborne Clarke, „New merger control thresholds in Germany and Austria based on transaction value"; http://www.osborneclarke.com/insights/new-merger-control-thresholds-in-germany-and-austria-based-on-transaction-value/
14) Freshfields, "Innovative theories in merger control", http://antitrust.freshfields.com/innovative-theories-in-merger-control.
15) Jérémie Jourdan, Sophie Sahlin, "The globe-trotter's guide to merger control: How to avoid falling into traps", 11 November 2015, https://www.whitecase.com/publications/insight/globe-trotters-guide-merger-control-how-avoid-falling-traps
16) Note by the UNCTAD secretariat: "International cooperation in merger cases as a tool for effective enforcement of competition law", https://unctad.org/meetings/en/SessionalDocuments/tdrbpconf8d4_en.pdf
17) https://www.internationalcompetitionnetwork.org/working-groups/merger/
18) https://www.oecd.org/daf/competition/mergers/

VII. კონკურენციის სამართლის მოქმედება სახელმწიფო ორგანოების მიმართ

*სოფიო მომცელიძე**

1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის[1431] მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე."[1432] ეს ნორმა სახელმწიფოს ავალდებულებს, „შექმნას ისეთი ნორმატიული გარემო, რომელიც წაახალისებს და ბაზრიდან არ განდევნის სიცოცხლისუნარიან სუბიექტებს, იზრუნებს მათი გაჯანსაღებისათვის. [...] მხოლოდ კონკურენციის პირობებშია შესაძლებელი სუბიექტის თავისუფალი წარმოშობა, საქმიანობა და არსებობის შეწყვეტა. კონკურენციისადმი ხელის შეწყობით სახელმწიფო ახალისებს ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი სუბიექტების საქმიანობას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ჯანსაღი სამოქალაქო ბრუნვის ჩამოყალიბებას".[1433]

თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის უფლება იცავს ეკონომიკურ აგენტებს სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელი ბარიერების დაწესებისგან. ეს უკანასკნელი ვალდებულია, თავი შეიკავოს ეკონომიკური აგენტებისათვის არათანაბარი პირობების შექმნისაგან და მიიღოს ზომები კონკურენტული ეკონომიკური

---

*საქართველოს კონკურენციის სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი. ამ თავში გადმოცემული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს სააგენტოს პოზიციას.

[1431] საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი – საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, კონსოლიდირებული პუბლიკაცია 23.03.2018 მდგომარეობით, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35, ნახვის თარიღი 12.01.2019 (ასევე ქვემოთ მოყვანილ ყველა ინტერნეტრესურსზე უკანასკნელად წვდომის თარიღი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული).

[1432] მსგავს ნორმას შეიცავდა 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი კონსტიტუციის 30-ე მუხლი.

[1433] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/411, 19.12.2008, პარ. 3; 5.

გარემოს, თავისუფალი ბაზრის სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებისთვის. ხსენებული უფლება ასევე იცავს ეკონომიკურ აგენტებს მათ საქმიანობაში სახელმწიფოს დაუსაბუთებელი ჩარევისაგან, მათ შორის, შერჩევითი საფუძვლით რომელიმე ეკონომიკური აგენტისათვის სარგებლის მინიჭებისაგან.[1434]

სწორედ ზემოთ მოცემული კონსტიტუციური პრინციპის რეალიზების მცდელობას წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) მე-2 მუხლი, რომელიც კანონის მიზნებად ითვალისწინებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტის ბაზარზე თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფას (მათ შორის, ბაზარზე შესვლის ბარიერების დაუწესებლობითა და უკვე დაწესებული ბარიერების მოშლით), ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობასა და ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას. ამავე მუხლში დეკლარირებულია კანონის კიდევ ერთი მიზანი – სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობა, რომელიც იწვევს კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვას.[1435]

ხსენებული მიზნები განმტკიცებულია კანონის მთელი რიგი დებულებებით. კონკრეტულად: 1) კანონის მე-10 მუხლი კრძალავს სახელმწიფო უწყებების მხრიდან საბაზრო კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების განხორციელებას; 2) კანონის მე-12-15 მუხლები აკეთებს სახელმწიფო დახმარების სახეების ჩამონათვალს და არეგულირებს ამ უკანასკნელის გაცემის მიზანშეწონილობის შეფასების პროცედურას; 3) კანონის მე-10[1] მუხლისა და მე-18

[1434] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №2/11/747, 14.12.2018, პარ. 3 და 7.

[1435] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი), 25.05.2012, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4, მუხლი 2, პუნქტი „ვ".

მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გამოყენებით შესაძლებელი ხდება საქართველოს კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის კონტროლი და ამ მიმართულებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. ჩამოთვლილი დებულებების შინაარსი, მათი პრაქტიკული მნიშვნელობა და აღსრულების სპეციფიკა, ისევე როგორც მათი მსგავსი თუ ანალოგიური დებულებების მოქმედება ევროკავშირსა და მის რიგ წევრ სახელმწიფოებში, განხილულია ქვემოთ.

2. სახელმწიფო ორგანოების კონკურენციის შემზღუდველი ქმედებები

სახელმწიფო უწყებების ქმედებების შედეგად კონკურენციის დარღვევის აკრძალვა ქართული კონკურენციის სამართლის საწყისებიდანვე იღებს სათავეს. მსგავსი შინაარსის ნორმას ითვალისწინებდა ჯერ კიდევ 1996 წლიდან მოქმედი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, [1436] ხოლო შემდგომ, 2005 წელს ამოქმედებული „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი.[1437]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თავისუფალ კონკურენციასა და ბაზრის სტრუქტურას საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც უპირატეს მდგომარეობაში აყენებს რომელიმე ეკონომიკურ აგენტს და ბაზრის მონაწილეებისთვის ქმნის არათანაბარ პირობებს. [1438] კერძოდ, შერჩევითი საფუძვლით ეკონომიკური აგენტისთვის/აგენტებისთვის სარგებლის მინიჭება ცვლის როგორც სარგებლის მიმღები, ასევე ბაზარზე საქმიანობის

[1436] საქართველოს კანონი "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ", პარლამენტის უწყებანი, 22-23, 30.07.1996 (ძალადაკარგულია 11.07.2005-დან), https://matsne.gov.ge/ka/document/view/31462?publication=3, მუხლი 10.

[1437] საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 27.06.2005 (ძალადაკარგულია 23.07.2012-დან), https://matsne.gov.ge/ka/document/view/29644?publication=6, მუხლი 7.

[1438] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება №2/11/747, 14.12.2018, პარ. 4.

განმახორციელებელი სხვა ეკონომიკური აგენტების მდგომარეობას. ასეთი პირობების შექმნა აუმჯობესებს კონკრეტული ეკონომიკური აგენტის (ეკონომიკური აგენტების ჯგუფის) საბაზრო მდგომარეობას და მას ამავე ბაზარზე საქმიანობის განმახორციელებელ სხვა ეკონომიკურ აგენტებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. სახელმწიფოს ჩარევის შედეგად იცვლება ბაზრის სტრუქტურა და უარესდება იმ ეკონომიკური აგენტების საბაზრო მდგომარეობა, რომლებიც სახელმწიფოსგან სარგებელს არ იღებენ. შედეგად, სახელმწიფოს მიერ რომელიმე ეკონომიკური აგენტის შერჩევითად მხარდაჭერა საფრთხეს უქმნის თავისუფალ კონკურენციას, ბაზრის სტრუქტურას და ზოგადად, ეკონომიკურ თავისუფლებას.[1439]

სწორედ ამიტომ, კანონით აკრძალულია სახელმწიფოს მხრიდან ყველა სახის სუბიექტური, შერჩევითი და არათანაბარი მიდგომა, რომელიც კონკურენციის შეზღუდვას იწვევს, იქნება ეს კონკრეტული კონკურენტისთვის/კონკურენტთა ჯგუფისათვის უპირატესობის მინიჭება თუ პირიქით – საქმიანობაში ხელის შეშლა. მსგავსი მიდგომა გამოწვეულია იმით, რომ შესაბამისი ბაზრის ორგანული და ბუნებრივი განვითარების პროცესში არათანაზომიერი, ხელოვნური ჩარევა ნებისმიერ შემთხვევაში ეწინააღმდეგება თავისუფალი ბაზრისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს მიმართ არსებულ საჯარო ინტერესებს.

ამავდროულად, სახელმწიფოს მიერ ბაზართან მიმართებით განხორციელებული ყველა ქმედება კონკურენციის კანონმდებლობის საწინააღმდეგო არ არის. პირიქით, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო რეგულირება მიზნად ისახავს ბაზრის ჩავარდნის ამა თუ იმ სახით გამოსწორებას და ამ გზით ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის აღდგენას.[1440]

შესაბამისად, იმის სრულყოფილად გაანალიზებისთვის, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული კონკრეტული ქმედება

[1439] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება №2/11/747, 14.12.2018, პარ. 6.

[1440] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ "Market Failure and the Role of the Government", https://www.educba.com/market-failure-and-the-role-of-government/ ნახვის თარიღი, 01.02.2019.

წარმოადგენს თუ არა საბაზრო კონკურენციის შეზღუდვას, პირველ რიგში, საჭიროა კონკურენციის შემზღუდველი (საჯარო სამართლებრივი) ქმედებების სახეებისა და მათგან არსებული გამონაკლისების ცოდნა (ქვეთავი 2.1.). ამასთანავე, სასურველია ხსენებული ქმედებების კონტროლის მექანიზმების მიმოხილვაც (ქვეთავი 2.2.). საბოლოოდ, ამა თუ იმ ქმედების კონკურენციის შემზღუდველად მიჩნევის საკითხში გარკვევისას დახმარების გაწევა შეუძლია საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკის ანალიზსაც (ქვეთავი 3.3.).

2.1. სახელმწიფო ორგანოების კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების სახეები და მათგან არსებული გამონაკლისები

ა) საქართველო

სახელმწიფო ორგანოების კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების სახეები მოცემულია კანონის მე-10 მუხლში, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს საბაზრო კონკურენციის შესუსტება/შეზღუდვა. ხსენებული ქმედებები შესაძლოა გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით.

კანონის მე-10 მუხლით აკრძალულ ქმედებებს მიეკუთვნება:

- სახელმწიფო საწარმოების შერწყმა ან ნებისმიერი სახის სამეწარმეო სტრუქტურის შექმნა, თუ შედეგად იზღუდება კონკურენცია
- ეკონომიკური აგენტებისთვის (პოტენციურ) კონკურენტებთან მიმართებით უპირატესობის მიმნიჭებელი შეღავათების დაწესება



საქართველოში, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კონკურენციის დარღვევის ფაქტები საკმაოდ მკაცრად ფასდება. კონკრეტულად, სააგენტოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის[1441] შესაბამისად, კანონის მე-10 მუხლის დარღვევის დადასტურებისათვის, აუცილებელი არ არის განზრახვის არსებობა. შესაბამისად, სახელმწიფო უწყების გაუფრთხილებელი ქმედება, რომელსაც შედეგად მოჰყვა კონკურენციის შეზღუდვა (მათ შორის, ეკონომიკური აგენტის საქმიანობის არაკანონიერი შეფერხების გზით[1442]) ასევე შეიძლება ჩაითვალოს დარღვევად.

აღსანიშნავია, რომ მე-10 მუხლის შესაბამისად აკრძალული ქმედებების ყველა შემადგენლობა შეიცავს დათქმას – „გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა". ეს გულისხმობს, რომ ამ მუხლის სუბიექტს

[1441] იხ. მაგალითად, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს (სკს) ბრძანება №168, 30.09.2016, გვ. 90.

[1442] როგორც სააგენტოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაშია მითითებული, *„ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობის შეფერხებად უნდა დაკვალიფიცირდეს საბელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნებისმიერი სახის ისეთი ქმედება, რომელიც ამ ეკონომიკურ აგენტს უქმნის კონკრეტულ შესაბამის ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციულ, სამართლებრივ ან/და დისკრიმინაციულ ბარიერს/ბარიერებს, არამართლზომიერად ზღუდავს ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციას ან ეწინააღმდეგება ეკონომიკურ აგენტებს შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპს* და ა.შ.". იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №04/216, 07.08.2018, გვ. 28.

დარღვევად არ შეერაცხება ამავე მუხლით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომლის განხორციელებასაც საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს. აღნიშნული დათქმის შინაარსის სიცხადისთვის, აუცილებელია განიმარტოს, თუ რომელი სამართლებრივი აქტები განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობას და ამდენად, რომელი აქტის შესაბამისად მოქმედება გამორიცხავს სახელმწიფო უწყების პასუხისმგებლობას კონკურენციის დარღვევისათვის.

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად, რომლებიც ქმნის საქართველოს კანონმდებლობას. [1443] საქართველოს საკანონმდებლო აქტების სახეებია: საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, საქართველოს კანონი, პრეზიდენტის დეკრეტი, პარლამენტის რეგლამენტი [1444] . რაც შეეხება კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, ის შეიცავს მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს, მისი მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში მითითებული უნდა იყოს, რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული (გამოცემული) იგი. [1445] მსგავსი აქტი შეიძლება იყოს, მაგალითად, მთავრობის დადგენილება ან მინისტრის ბრძანება. თუ ეს უკანასკნელნი აკმაყოფილებენ ზემოხსენებულ კრიტერიუმებს, ისინი მიეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობას.

[1443] საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 33, 09.11.2009, https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=25, ნახვის თარიღი 02.02.2019. მუხლი 7, პუნქტი 1.

[1444] საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ", მუხლი 7, პუნქტი 2.

[1445] იქვე, პუნქტი 9; იხ. ასევე: მუხლი 2, პუნქტი 2.

ზემოთ განხილული დათქმების გათვალისწინებით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე განხორციელებული ყველა ქმედება მიჩნეულ უნდა იქნეს გამონაკლისად „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მიზნებისათვის. ეს გულისხმობს, რომ სახელმწიფო უწყებები არ არიან პასუხისმგებელნი ამგვარი ტიპის ქმედებებზე, საბაზრო კონკურენციაზე ამ უკანასკნელთა შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის მიუხედავად.

ზემოაღნიშნული ვითარების საპირისპირო შემთხვევებთან მიმართებაში კი, კონკურენციის სააგენტო მიუთითებს, რომ *„ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კონკურენციის კანონთან და უშუალოდ არ გამომდინარეობს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობიდან, სცილდება ამ ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს".* [1446] სწორედ ეს უკანასკნელი შემთხვევა წარმოადგენს კანონის მე-10 მუხლის მოქმედების სფეროს და სააგენტოს შეფასების საგანს.

ბ) ევროკავშირი

სახელმწიფო უწყებების ქმედებების, მათ შორის, გამოცემული სამართლებრივი აქტების შედეგად კონკურენციის შეზღუდვა საკმაოდ მკაცრი რეგულირების ქვეშაა მოქცეული ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებისა (Treaty on the European Union; შემდგომში – „TEU") და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (Treaty on the Functioning of the European Union; შემდგომში – „TFEU") მიხედვით.

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება [1447] წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ მიღებულ იქნეს ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების

[1446] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს). ბრძანება №04/216, 07.08.2018, გვ. 44.

[1447] Consolidated version of the Treaty on European Union (შემდგომში – „TEU"). *OJ C 326/13, 26.10.2012.*

ELI: http://data.europa.eu/eli/treaty/teu_2012/oj, ნახვის თარიღი 06.03.2019, Art. 4(3).

შესრულების უზრუნველმყოფი შესაბამისი ზომები. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე ხელი უნდა შეუწყონ კავშირის ამოცანების განხორციელებას და თავი შეიკავონ ნებისმიერი ღონისძიებისგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კავშირის მიზნების მიღწევას. ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ზედმეტმა ჩარევამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ღია საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი კონკურენციის განვითარებაზე.[1448] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ 1977 წელს მიღებული გადაწყვეტილების[1449] შესაბამისად დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, არ მიიღონ ისეთი აქტები და არ გაატარონ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც კონკურენციის ეფექტიანობის შემცირებას გამოიწვევს.[1450]

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების[1451] შესაბამისად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ასევე ეკრძალებათ საჯარო ან სპეციალური/ექსკლუზიური უფლებამოსილებით აღჭურვილი ეკონომიკური აგენტებისათვის ისეთი პირობების დაწესება, რომელიც ეწინააღმდეგება ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებების მოთხოვნებს. ევროკავშირის კანონმდებლობა სპეციალურ უფლებამოსილებად მოიაზრებს სახელმწიფოს მხრიდან (საკანონმდებლო, მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული მექანიზმების გამოყენებით), შეზღუდული რაოდენობის ეკონომიკური აგენტებისათვის, განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში კონკრეტული საქმიანობის განხორციელების უფლების ან/და რაიმე სახის უპირატესობის მინიჭებას, როდესაც ეს პროცესი არ ეფუძნება ობიექტურ, პროპორციულ და არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებს.[1452]

[1448] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 7th ed, Oxford University Press, 2012, pp. 215-216.

[1449] Case 13/77, *NV GB-Inno-BM SA v. ATAB* [1977] ECR 2115, ECLI:EU:C:1977:185.

[1450] Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases and Materials*, 5th ed, Oxford University Press, 2014, p. 601.

[1451] TFEU, Art. 106.

[1452] Commission Direcive 2006/111/EC on the Transparency of Financial Relations Between Member States and Public Undertakings as well as on Financial Transparency within Certain Undertakings, OJ

რაც შეეხება იმ მექანიზმებს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სახელმწიფომ კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტს მიანიჭოს სპეციალური/ექსკლუზიური უფლებამოსილება ან/და უპირატესობა, მათში მოიაზრება ყველა სახის კანონი, რეგულაცია, დებულება, ადმინისტრაციული პრაქტიკა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული რეკომენდაციაც კი. [1453] ერთ-ერთ საქმეში [1454] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ აუცილებელი არაა, სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ღონისძიება სავალდებულო ხასიათის მატარებელი იყოს, ვინაიდან მას მაინც შეუძლია უარყოფითი გავლენის მოხდენა ევროკავშირის სამართლის მიზნებზე.

ამავდროულად, სასამართლომ ასევე არაერთხელ განმარტა, [1455] რომ სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური აგენტ(ებ)ისათვის ექსკლუზიური ან სპეციალური უფლებამოსილების გადაცემა, თავისთავად არ წარმოადგენს ევროკავშირის კანონმდებლობის დარღვევას. თუმცა, არსებობს გარკვეული წინააღმდეგობა TFEU 345-ე (საკუთრებასთან დაკავშირებული წესები) და 106-ე მუხლის მიზნებს შორის, ვინაიდან ეს უკანასკნელი სახელმწიფოს უკრძალავს კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებას და ასეთ შემთხვევებში საკუთრების უფლება შესაძლოა არ იყოს ისეთივე ხელშეუხებელი, როგორც ეს 345-ე მუხლთან მიმართებაშია.[1456]

უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ საკითხთან მიმართებაში სასამართლო პრაქტიკა ერთგვაროვანი არაა და არსებობს მოსაზრებაც, რომ კონკრეტული ეკონომიკური აგენტისათვის

L 318/17, 17.11.2006, ELI: http://data.europa.eu/eli/dir/2006/111/oj, ნახვის თარიღი 06.03.2019, art. 2(g).

[1453] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 7th ed, Oxford University Press, 2012, p. 226.

[1454] Case 249/81, *Commission of the European Communities v Ireland* [1982] ECR 4005, ECLI:EU:C:1982:402.

[1455] Case 155/73, *Giuseppe Sacchi* [1974] ECR 409, ECLI:EU:C:1974:40, para 14; Case C- 260/89, *Elliniki Radiophonia Tiléorassi AE and Panellinia Omospondia Syllogon Prossopikou v Dimotiki Etairia Pliroforissis and Sotirios Kouvelas and Nicolaos Avdellas and others* [1991] ECR I- 2925, ECLI:EU:C:1991:254, para 16; Case C- 41/90, *Klaus Höfner and Fritz Elser v Macrotron GmbH* [1991] ECR I- 1979, ECLI:EU:C:1991:161, para 29.

[1456] Whish, Richard and Bailey, David, *Competition Law*, 7th ed, Oxford University Press, 2012, p. 216.

მონოპოლიური ძალაუფლების მინიჭება თავისთავად წარმოადგენს კონკურენციის დარღვევას, თუმცა, თავის მხრივ, ეს მოსაზრება ზღუდავს წევრი ქვეყნების უფლებას, გააკეთონ გარკვეული ეკონომიკური არჩევანი. [1457] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ 1991 წელს მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში [1458] აღნიშნულია, რომ TFEU-ს შესაბამისად განსაზღვრული შეუზღუდავი კონკურენცია მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილი იქნება თანაბარი შესაძლებლობები ეკონომიკურ აგენტებს შორის და ერთ-ერთს არ მიენიჭება უპირატესობა კონკურენტებთან შედარებით.

2.2. სახელმწიფო ორგანოების კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების კონტროლის მექანიზმები და პროცედურა ევროკავშირის რიგ ქვეყნებსა და საქართველოში

სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან კონკურენციის დარღვევის ფაქტებზე ზედამხედველობა ევროპის ბევრ ქვეყანაში არ წარმოადგენს კონკურენციის ორგანოების საქმიანობის ცალკე მიმართულებას და ამდენად, არც ამ ქვეყნების კონკურენციის კანონმდებლობა შეიცავს მე-10 მუხლის მსგავს რეგულირებას. თუმცა გამონაკლისია რამდენიმე ქვეყანა, მათ შორის, ლიეტუვა, ჩეხეთი, სლოვაკეთი და შვედეთი, სადაც, კონკურენციის ორგანოები ფლობენ საკმაოდ ეფექტიან მექანიზმებს სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან კონკურენციის დარღვევის შემთხვევებზე რეაგირებისათვის.

მაგალითად, ლიეტუვას რესპუბლიკის კონკურენციის კანონი [1459] ეხება საჯარო ადმინისტრირების ორგანოების

[1457] Jones, Alison and Sufrin, Brenda, *EU Competition Law: Text, Cases and Materials*, 5th ed, Oxford University Press, 2014, p. 607.

[1458] Case C-202/88, *French Republic v Commission of the European Communities* [1991] ECR I-1223, ECLI:EU:C:1991:120.

[1459] Republic of Lithuania Law on Competition, 23.03.1999 No. VIII-1099, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/49e68d00103711e5b0d3e1beb7dd5516?jfwid=q8i88mf0v, ნახვის თარიღი 17.01.2019, Art. 4.

ვალდებულებას, უზრუნველყონ სამართლიანი კონკურენცია. მათ ეკრძალებათ ისეთი სამართლებრივი აქტების გამოცემა ან სხვა გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ან დისკრიმინაციას უწევენ ინდივიდუალურ ეკონომიკურ აგენტებს (ან მათ ჯგუფებს) და რომლებიც წარმოშობენ (ან შესაძლოა წარმოშვან) კონკურენციის განსხვავებულ პირობებს იმ ინდივიდებს შორის, რომლებიც საქმიანობენ შესაბამის ბაზარზე. ამ ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ორგანოს დაჯარიმება არაუმეტეს 60 ათასი ევროს ოდენობით.

ჩეხეთის კონკურენციის კანონი [1460] ასევე ითვალისწინებს საჯარო დაწესებულებებზე ზედამხედველობას და ადგენს, რომ საჯარო დაწესებულებამ, მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების დროს არ უნდა დაარღვიოს კონკურენცია – რომელიმე ეკონომიკური აგენტის ან აგენტების ჯგუფის მფარველობით, ეკონომიკური აგენტის ან აგენტების ჯგუფის ბაზრიდან გამორიცხვით ან შესაბამის ბაზარზე კონკურენციის მოსპობით. აღნიშნული მუხლის დარღვევისათვის, სახელმწიფო უწყებები შესაძლოა დაჯარიმდნენ 10 მილიონ ჩეხურ კრონამდე ოდენობის ჯარიმით. ჩეხეთის კონკურენციის ორგანოს პრაქტიკაში გვხვდება კონკრეტული საქმე, როდესაც უწყებამ სანქცია დაუწესა ქალაქ ბილინას, სათამაშო ბიზნესის (ლატარიის) სფეროში 2013 წელს გამოცემული დისკრიმინაციული ხასიათის მატარებელი დეკრეტის გამო, რამაც, ეკონომიკური აგენტების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება გამოიწვია.[1461]

სლოვაკეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის კანონი[1462] სახელმწიფო უწყებებს, მუნიციპალიტეტებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და პროფესიული

[1460] Act on the Protection of Competition of Czech Republic, 04.04.2001, No 143/2001, http://www.uohs.cz/en/legislation.html, ნახვის თარიღი 17.01.2019, Art. 19(a).

[1461] Annual Report on Competition Policy Developments in Czech Republic 2016, https://one.oecd.org/document/DAF/COMP/AR(2017)3/en/pdf, ნახვის თარიღი 17.01.2019, pp. 13-14.

[1462] Act on Protection of Competition of the Slovak Republic, 27.02.2001, No 136/2001, https://www.antimon.gov.sk/data/files/403_act-no-136_2001-valid-from-172014.pdf, ნახვის თარიღი 17.01.2019, Art. 39.

თვითმმართველობის ორგანოებს უკრძალავს რომელიმე ეკონომიკური აგენტისათვის უპირატესი მდგომარეობის შექმნას ან კონკურენციის სხვაგვარად შეზღუდვას. აღნიშნული ვალდებულების დარღვევისათვის, ამ უწყებებს 66 ათას ევრომდე მოცულობის ჯარიმა დაეკისრებათ. მსგავს სამართალდარღვევასთან მიმართებით ჯარიმის დაკისრებას ითვალისწინებს ასევე შვედეთის კონკურენციის კანონმდებლობაც, [1463] თუმცა სანქციის დაწესებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას, კონკურენციის ორგანოს მიმართვის საფუძველზე, სასამართლო იღებს.

რაც შეეხება საქართველოში მოქმედ კონკურენციის კანონმდებლობით მოცემულ სამართლებრივ ბერკეტებს, ეს პირველ რიგში მოიცავს სააგენტოს აქტების შესრულების სავალდებულოობას სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის. [1464] დამატებით, სააგენტოს მინიჭებული აქვს კონკრეტული უფლებამოსილებები და ბერკეტები სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მიმართებით.

კერძოდ, სააგენტო უფლებამოსილია, კანონის დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ სახელმწიფო ორგანოს წარუდგინოს დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში – აღნიშნული საკითხი დასვას შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე. [1465] ამავდროულად, კანონის მიხედვით, გათვალისწინებული არ არის დარღვევის დადგენის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ფულადი ჯარიმის ან სხვა სახის სანქციის გამოყენების შესაძლებლობა.

[1463] http://www.konkurrensverket.se/globalassets/english/competition/the-swedish-competition-act.pdf, ნახვის თარიღი 21.01.2019.

[1464] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 16, პუნქტი 5.

[1465] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 18, პუნქტი 2.

სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, კანონის მე-10 მუხლის მოქმედება გავრცელდება როგორც სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებულ ქმედებებზე.

როგორც უკვე აღინიშნა, კანონის მე-10 მუხლი ვრცელდება სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე. თუმცა, როგორც სააგენტოს პრაქტიკამ[1466] აჩვენა, ეს ჩამონათვალი სრულად არ ფარავს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ ყველა უწყებას და ხსენებული მუხლის რეგულირების მიღმა რჩება ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები. სააგენტოს პოზიციით, მარეგულირებელი ორგანოების ამ მუხლის სუბიექტებს შორის მოუქცევლობა წინააღმდეგობაში მოდის თავად აღნიშნული მუხლის პრინციპებთან და წარმოადგენს კანონის ხარვეზს.რაც შეეხება პროცედურას, რომლის ფარგლებშიც სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო უწყებების ქმედებების შესწავლას, იგი შემდეგი სახისაა: განცხადების, საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით დაწყებული მოკვლევის მიმდინარეობისას, სააგენტო ადგენს, ჰქონდა თუ არა ადგილი სახელმწიფო უწყების მხრიდან კანონის მე-10 მუხლის დარღვევას. სააგენტოს შეუძლია, უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, საჭიროების შემთხვევაში, ამ ორგანოსაგან გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში დასვას მისი თანამდებობის პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.[1467]

[1466] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №245, 28.12.2016. გვ.: 75-76.

[1467] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 18. პუნქტი 2. ქვეპუნქტი „ე".

სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების
თანახმად, სახელმწიფო უწყებებთან მიმართებაში
სააგენტოს უფლებამოსილებებს დაემატება:
- ✓ ახსნა-განმარტებაზე დაბარება
- ✓ კონსულტაციის გაწევის მოთხოვნა

2.3. სააგენტოს პრაქტიკა სახელმწიფო ორგანოების კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების შესწავლის მიმართულებით

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად გვხვდება კანონის მე-10 მუხლთან დაკავშირებით წარმოებული მოკვლევები და ყველა მათგანში დადასტურებულია დარღვევის არსებობა. კერძოდ, 2015-2018 წლებში, სააგენტომ განახორციელა 9 მოკვლევა სახელმწიფო უწყებების/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან კონკურენციის დარღვევის ფაქტებზე და ცხრავე შემთხვევაში დაადგინა კანონის მე-10 მუხლის დარღვევა. ქვემოთ მოცემულია აღნიშნული საქმეების მოკლე მიმოხილვა, მათში მე-10 მუხლის შინაარსთან დაკავშირებით გაკეთებული შესაბამისი განმარტებებითურთ.

ა) შემოსავლების სამსახურის საქმე[1468]

პირველი გადაწყვეტილება, რომელიც სააგენტომ მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტზე მიიღო, ეხებოდა სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ კონკურენციის შეზღუდვას. სააგენტომ მოკვლევა დაიწყო შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია-ფოთის“ განცხადების საფუძველზე, რომელიც აპელირებდა შემოსავლების სამსახურის მხრიდან მისი ერთ-ერთი კონკურენტი კომპანიის მიერ ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის დაკავებისთვის ხელშეწყობის ფაქტზე. განმცხადებლის მითითებით, 2011 წლიდან მოყოლებული, საბაჟო ორგანოები უარს აცხადებდნენ მათ ტერიტორიაზე მყოფი იმ

[1468] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №40, 30.03.2015.

კონტეინერების მიმართ საბაჟო პროცედურების განხორციელებაზე, რომლებშიც განთავსებული იყო ავტომანქანები, თუ ეს კონტეინერები, საბაჟო პროცედურების განსახორციელებლად, არ იქნებოდა შეყვანილი მისი კონკურენტის საწყობში.

სააგენტომ დაადგინა, რომ განმცხადებელს ჰქონდა შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული საბაჟო საწყობის საქმიანობის სანებართვო მოწმობა და ახორციელებდა ტვირთების სატერმინალო მომსახურებას. ანალოგიურ მოწმობას ფლობდა მისი კონკურენტი – შპს „ინლენდ კონტეინერ ტერმინალი“ და ფოთის ტერიტორიაზე ამაზე საქმიანობის განმახორციელებელი 20-მდე სხვა პირიც.

მიუხედავად აღნიშნულისა, შემოსავლების სამსახური მოითხოვდა ავტომობილებით დატვირთული კონტეინერების წარდგენას გაფორმების ეკონომიკურ ზონაში (შემდგომში – „გეზი“). აღნიშნულის შემდგომ, „გეზში“ წარდგენილი ტვირთის შეტანა ხდებოდა შპს „ინლენდ კონტეინერ ტერმინალის“ ტერიტორიაზე, სადაც ზოგად დეკლარირებასთან ერთად, საქონელზე ხორციელდებოდა იმავე სახის სატერმინალო მომსახურება, რასაც ეწეოდა განმცხადებელი.

მოკვლევის პროცესში, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელთა მხრიდან, სადავოდ არ გამხდარა საავტომობილო-საკონტეინერო ტვირთებთან მიმართებაში მხოლოდ შპს „ინლენდ კონტეინერ ტერმინალის“ ტერიტორიით სარგებლობის ფაქტი. უწყება განმარტავდა, რომ „გეზი“ მდებარეობს ფოთის ნავსადგურის მახლობლად და ვინაიდან საბაჟო პროცედურების განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ნაწილობრივ გამოიყენება ხსენებული კომპანიის ტერიტორია. აღნიშნულის შედეგად, ყველა საჭირო პროცედურა ერთ სივრცეში ხორციელდება, რაც იწვევს მომხმარებელთათვის მაქსიმალური კომფორტის შექმნასა და ადმინისტრაციული რესურსების დაზოგვას. შემოსავლების სამსახური ასევე მიუთითებდა, რომ 2011 წლამდე, გეზის გახსნამდე, საბაჟო პროცედურები ტარდებოდა სხვადასხვა საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე, რაც გართულებებს იწვევდა და რიგ

შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა ტერმინალების მხრიდან კანონით განსაზღვრული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ფაქტებსაც.

კონკურენციის სააგენტომ მიიჩნია, რომ *„შემოსავლების სამსახურმა შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია – ფოთისთვის" საბაჟო საწყობის სანებართვო მოწმობის გაცემით, ამ უკანასკნელს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მისცა სასაწყობო საქმიანობის განხორციელების უფლება და დაადასტურა მისი შესაბამისობა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან {...} შესაბამისად, თუ რომელიმე ნებართვის მფლობელი არ ასრულებს კანონმდებლობით მასზე დაკისრებულ მოვალეობას, შემოსავლების სამსახურის, როგორც ნებართვის გამცემი ორგანოს სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს პირის დაჯარიმება ან მისთვის ნებართვის გაუქმება".*[1469]

სააგენტოს პოზიციით, შემოსავლების სამსახურის მხრიდან, ზოგადი განმარტების გაკეთება განმცხადებლის ტერმინალში სათანადო პირობების არარსებობის შესახებ, არ ამართლებდა საავტომობილო-საკონტეინერო ტვირთებთან მიმართებაში მხოლოდ ერთი საწარმოს ტერმინალით სარგებლობის ფაქტს, იმ პირობებში, როდესაც მას, როგორც შესაბამისი ლიცენზიის გამცემ ორგანოს, შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია – ფოთისათვის" არ წაუყენებია კონტროლის პროცედურებისათვის აუცილებელი რაიმე სახის დამატებითი მოთხოვნები.

როგორც სააგენტოს გადაწყვეტილებშია მითითებული, *„სააგენტოს თვითმიზანს არ წარმოადგენს, რომ შეფერხდეს ან გაუარესდეს საბაჟო პროცედურების განხორციელება და მომსახურების ხარისხი, თუმცა, კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის, ბაზარზე მოქმედი სუბიექტებისათვის თანაბარი პირობების შექმნის უზრუნველსაყოფად, შემოსავლების სამსახურმა უნდა დაადგინოს ერთიანი პირობები ყველა ეკონომიკური აგენტისათვის".*[1470]

[1469] სკს. გრძანება №40. გვ.: 21-22.

[1470] სკს. გრძანება №40. გვ. 22.

ხსენებული გადაწყვეტილება იყო პირველი, რომელშიც ასევე პრაქტიკულად იქნა განმარტებული კანონის მე-10 მუხლის თითოეულ ქვეპუნქტში მითითებული ჩანაწერი *„გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“*. მოკვლევის ფარგლებში, სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზზე დაყრდნობით, სააგენტომ იმსჯელა, ხომ არ იყო შემოსავლების სამსახურის ქმედება – მის მიერ ერთი კონკრეტული კომპანიისათვის უპირატესობის მინიჭების ფაქტი – გამოწვეული კანონმდებლობაში არსებული რაიმე სახის ჩანაწერით, თუმცა მიიჩნია, რომ მსგავს ნორმას კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა და ხსენებული მიდგომა მხოლოდ უწყების მხრიდან დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენდა. ამდენად, შემოსავლების სამსახურის ქმედება სააგენტომ შეაფასა, როგორც ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობის შეფერხება და ასევე, სხვა ეკონომიკური აგენტის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნა, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნასა და კონკურენციას.[1471]

სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნულია, რომ შემოსავლების სამსახურმა, საავტომობილო-საკონტეინერო ტვირთების სატერმინალო მომსახურების ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისათვის თანაბარი კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით, უნდა უზრუნველყოს დარღვევის ფაქტების აღმოფხვრა და მისი ქმედების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შემოსავლების სამსახურის მხრიდან გასაჩივრდა სასამართლოში, თუმცა სააგენტოს არგუმენტაცია ყველა ინსტანციის სასამართლომ გაიზიარა და საბოლოოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, [1472] სააგენტოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა. სასამართლო სრულად დაეთანხმა სააგენტოს შეფასებას,

---

[1471] ავტორის შენიშვნა: აღნიშნული წარმოადგენს კანონის მე-10 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დარღვევებს.

[1472] საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება საქმეზე №ბს-1145-1139(კ-17), 22.02.2018.

რომ შემოსავლების სამსახური არ არის უფლებამოსილი, უპირატესობა მიანიჭოს რომელიმე ტერმინალს. *„სსიპ შემოსავლების სამსახურის პოზიცია, რომლის თანახმადაც, საავტომობილო ტვირთების განბაჟება უფრო მოსახერხებელია შპს „ინლენდ კონტეინერ ტერმინალის“ ტერიტორიაზე, ტერმინალის განლაგების ან უფრო სწრაფი მომსახურების მიღების შესაძლებლობის გამო, ნიშნავს შემოსავლების სამსახურის მხრიდან ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სახელმწიფო ნებართვის მქონე, სამართლებრივად და ეკონომიკურად თანაბარ პირობებში მყოფ კომპანიებს შორის ერთ-ერთისთვის უპირატესობის მინიჭებას. {...} არსებული ტერმინალებიდან ერთ-ერთზე მითითება და მისთვის უპირატესობის მინიჭება არღვევს ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპს და წარმოადგენს სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვას. მოცემულ შემთხვევაში, კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარებისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ არსებული რამდენიმე შესაძლებლობიდან ერთ-ერთი ტერმინალის არჩევა დამოკიდებული იყოს მხოლოდ მომსახურების მიმღების ნებაზე“*;[1473] - მითითებულია უზენაესი სასამართლოს განჩინებაში.

ბ) „ოპტიმალ გრუპ +“-ის საქმე[1474]

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან კონკურენციის მასობრივად დარღვევის ფაქტი დადასტურდა სააგენტოს მიერ წარმოებული მოკვლევის შედეგად, რომელიც შპს „ოპტიმალგრუპ+“-ის განცხადების საფუძველზე წარიმართა.

საკითხი შეეხებოდა საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში დაწესებულ მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებდა მხოლოდ სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის

[1473] იქვე, სამოტივაციო ნაწილი.

[1474] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №45, 22.04.2015.

ეროვნული ბიუროს (შემდგომში – ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) მიერ გაცემული დასკვნის წარდგენის შესაძლებლობას.

როგორც საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის განკარგულების საფუძველზე, განმცხადებელს მინიჭებული ჰქონდა აკრედიტაცია ნებაყოფლობით სფეროში, როგორც ინსპექტირების ორგანოს. აკრედიტაციის მოწმობის შესაბამისად, განმცხადებელს ეძლეოდა საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების სფეროში სხვადასხვა სახის ინსპექტირების განხორციელების უფლება. იმ პერიოდისათვის, შპს „ოპტიმალ გრუპ+“ წარმოადგენდა აღნიშნულ სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ აკრედიტებულ ერთადერთ სუბიექტს.

საქმის მოკვლევის პროცესში სსიპ – შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ აკრედიტაციის მოწმობის მიღებიდან, კერძოდ 2014 წლის 17 დეკემბრიდან 2015 წლის 20 აპრილამდე გამოცხადებული 169 ტენდერიდან 47 შემთხვევაში შემსყიდველის მიერ იმპერატიულად იყო მოთხოვნილი მხოლოდ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რაც კომპანიას ართმევდა შესაძლებლობას, მსგავსი შესყიდვების შემთხვევაში, განეხორციელებინა საკუთარი მომსახურების მიწოდება.

სააგენტოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში განვითარებულია მსჯელობა ექსპერტიზისა და ინსპექტირების ცნებების შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით, ვინაიდან ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ სადავო გახადა განმცხადებლისა და მათი სამოქმედო სფეროს იდენტურობის საკითხი. სახელდობრ, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლები აპელირებდნენ იმ გარემოებაზე, რომ ექსპერტიზა და ინსპექტირება სამართლებრივად და შინაარსობრივად წარმოადგენს სხვადასხვა პროცესს, ბიუროს კანონმდებლობის შესაბამისად აქვს მინიჭებული საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სფეროში საექსპერტო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება და

განმცხადებლისგან განსხვავებით, იგი ამ ნაწილში აკრედიტაციას არ საჭიროებს.

შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის მიზნებისათვის, სააგენტო დაეყრდნო შიდა კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზს, ასევე აკრედიტაციის ცენტრის განმარტებას და მიუხედავად ექსპერტიზისა და ინსპექტირების ცნებებს შორის არსებული ტერმინოლოგიური განსხვავებისა, მიიჩნია, რომ შინაარსობრივად და სამართლებრივად ისინი წარმოადგენენ თანაბარი ძალის მქონე დოკუმენტებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, განმცხადებელი და ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, მოკვლევის მიზნებისათვის, მიჩნეულ იქნენ ერთი ბაზრის მონაწილე სუბიექტებად (კონკურენტებად).

მიღებულ გადაწყვეტილებაში, სააგენტო უთითებს, რომ თითოეული პირს შეუძლია ნების თავისუფალი გამოხატვის ფარგლებში, სახელშეკრულებო ურთიერთობა დაამყაროს მისთვის მისაღებ სუბიექტთან. თუმცა, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა აღნიშნულ უფლებას გარკვეულ ჩარჩოში აქცევს და ავალდებულებს შემსყიდველ ორგანიზაციებს, რომ მათ მიერ ამა თუ იმ კონტრაჰენტის არჩევა მოხდეს თანაბარ კონკურენტულ გარემოში. განხილული საქმის გარემოებებთან მიმართებაში კი სააგენტო განმარტავს, რომ *„თითოეულ იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია მიუთითებს, რომ სჭირდება ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა, ადგილი აქვს მონოპოლიზაციის ფაქტს, რასაც შემდგომ, ამ მომსახურების გაწევის ბაზარზე აქვს კონკურენციის არსებითი შეზღუდვის ეფექტი.“*[1475]

ამდენად, ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სააგენტომ დაადგინა, რომ საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის მიერ შედგენილი შესაბამისობის დოკუმენტის წარმოდგენის მოთხოვნით, შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონის

[1475] სკს, გრძანება №45, გვ. 30.

მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტს. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სააგენტო *„ვერ დაავალდებულებს შემსყიდველ ორგანიზაციებს, სამშენებლო სამუშაოების შესაფასებლად მიიღონ გაზარზე მოქმედი ყველა სუბიექტის დასკვნა, რადგან ეკონომიკური აგენტებისათვის კონკურენტული გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად სააგენტოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ არ უნდა დააყენოს საფრთხის ქვეშ შემსყიდველი ორგანიზაციების კანონიერი ინტერესები და არ უნდა შეაფერხოს მათი საქმიანობა. შესაბამისად, ორივე მხარის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესაძლებელია მოითხოვონ პრეტენდენტებისაგან ისეთი სუბიექტების მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა, რომელთა კომპეტენტუროზა დადასტურებული და აღიარებულია – ერთი მხრივ, აკრედიტაციით, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით“*[1476].

საბოლოოდ, სააგენტომ მიუთითა, რომ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე შემსყიდველმა ორგანიზაციებმა სატენდერო დოკუმენტაციაში მოთხოვნა შესაძლოა ჩამოაყალიბონ შემდეგი ფორმულირებით: *„სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ან სხვა აკრედიტებული პირი“ ან სხვა იმგვარი ფორმით, რომელიც გამორიცხავს პრეტენდენტთა მიერ მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის მიერ გაცემული დასკვნის შეთავაზების პირობას“.*[1477]

გ) „ინტერტექნიკსის“ საქმე[1478]

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას კონკურენციის დარღვევის ფაქტს ეხებოდა სააგენტოს მიერ ჩატარებული მოკვლევა, რომელიც შპს „ინტერტექნიკსის“ განცხადების საფუძველზე წარიმართა.

[1476] სკს, გრძანება №45, გვ. 31.

[1477] იქვე, გვ. 32.

[1478] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), გრძანება №113, 07.08.2015.

საკითხი შეეხებოდა ხაშურის, აბაშისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების გამგეობების მიერ გამოცხადებულ ტენდერებს, რომლებიც ითვალისწინებდა მიწის სათხრელი და სახაპავი მანქანების შეძენას. აღნიშნული ტენდერების პირობების თანახმად, ტექნიკის მწარმოებელი ასევე უნდა ყოფილიყო ტექნიკის ძრავისა და გადაცემათა კოლოფის მწარმოებელიც. განმცხადებლის პოზიციით, აღნიშნული პირობა არაკონკურენტულ გარემოს ქმნიდა ტენდერში მონაწილე სხვა ეკონომიკური აგენტებისათვის და წარმოადგენდა ბაზარზე შესვლის გაუმართლებელ ბარიერს. გარდა აღნიშნულისა, სააგენტომ დამატებით შეისწავლა სატენდერო მოთხოვნები, რომელიც უკავშირდებოდა პრეტენდენტთა გამოცდილებას აღნიშნულ სფეროში (10-დან 20 ერთეულამდე ტექნიკის მიწოდების გამოცდილება), სერვისცენტრების რაოდენობასთან დაკავშირებულ პირობებს და კვალიფიკაციის დასადასტურებლად მოთხოვნილ ბრუნვის მოცულობას (3 მლნ ლარი).

მოკვლევის პროცესში, შესაბამის ბაზარზე არსებული ვითარების შესწავლისა და პოტენციურ მიმწოდებელთა გამოვლენის მიზნით, სააგენტომ დაამუშავა სსიპ – შემოსავლების სამსახურიდან მიღებული მონაცემები სპეცტექნიკის იმპორტიორი კომპანიების, მათ მიერ იმპორტირებული ტექნიკის ოდენობისა და ფასების შესახებ. როგორც აღმოჩნდა, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ დაწესებული სატენდერო მოთხოვნები, მინიმუმ 5-ჯერ ამცირებდა პოტენციურ მიმწოდებელთა წრეს და ხშირად ამ სავარაუდო მიმწოდებელთა რიცხვი 1 ან 2 ეკონომიკურ აგენტს არ აღემატებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი დარღვევის დასადასტურებლად სააგენტო მხოლოდ პოტენციურ მიმწოდებელთა რიცხვის მინიმუმამდე შემცირების ფაქტს არ დაყრდნობია. როგორც სააგენტოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: *„კონკურენციის კანონმდებლობის შეზღუდვა არ შეიძლება გამოხატული იყოს მხოლოდ იმაში, რომ სატენდერო მოთხოვნებს მხოლოდ მცირე რაოდენობის (ერთეული) კომპანია აკმაყოფილებს, თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ*

სატენდერო მოთხოვნები წარმოადგენს ბაზარზე შესვლის ბარიერს, რომელიც კონკურენციის პრინციპების დაცვით უნდა იქნას დაწესებული. სააგენტოს პოზიციით, ბარიერების შესაბამისობა კონკურენციის პრინციპებთან გამოიხატება მათ მიზანშეწონილობაში და ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის გამოსადეგობაში".[1479]

ამდენად, შესაბამისი დარგის ექსპერტების მონაწილეობით, სააგენტომ შეისწავლა: 1) იყო თუ არა შესასყიდი პროდუქციის სათანადო ხარისხთან მიმართებით რელევანტური და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის პრინციპების დაცვით განხორციელებული ყველა ის მოთხოვნა, რომელიც შეიმუშავა შემსყიდველმა ორგანიზაციამ; 2) თუ გარკვეული მოთხოვნები არ იყო რელევანტური ზემოაღნიშნულ ჭრილში, გამოიწვია თუ არა ამან ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომელიც მას საშუალებას აძლევდა არსებითი გავლენა მოეხდინა ბაზარზე, რითაც შეიზღუდა კონკურენცია და თავისუფალი ფასწარმოქმნა.

ხსენებული ანალიზის შედეგად, სააგენტომ დაადგინა, რომ *„შემსყიდველი ორგანიზაციების წინაშე მდგარი საჭიროებებისა და მიზნების მისაღწევად (ხარისხიანი და გამძლე პროდუქციის შესყიდვა) არარელევანტურია ძრავისა ან/და გადაცემათა კოლოფის მწარმოებელთან დაკავშირებული მოთხოვნა. ასევე, გონივრულობის ფარგლებში და კონკურენციის დაცვის პრინციპებთან თანხვედრაში არ არის გამოცდილებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ბარიერი 20 ერთეული ტექნიკის მიწოდების გამოცდილებისა და 3.000.000 (სამი მილიონი) ლარის ოდენობის ბრუნვის მოთხოვნის შესახებ".*[1480]

სააგენტომ ასევე მიიჩნია, რომ აშკარა იყო თავისუფალი ფასწარმოქმნის შეზღუდვა, რაზეც მეტყველებდა ის გარემოება, რომ როგორც აბაშის, ასევე ხაშურისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში გაიმარჯვა ერთმა და იმავე კომპანიამ, გამოცხადებული სავარაუდო შესყიდვის ფასით.

[1479] სკს, ბრძანება №113, გვ. 31.
[1480] იქვე, გვ.: 37-38.

როგორც გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, ვაჭრობის სამივე რაუნდის განმავლობაში გამარჯვებულ კომპანიაზე ნაკლები შეთავაზებები ჰქონდა გაკეთებული სხვა პრეტენდენტებს, თუმცა გამარჯვებულ კომპანიას არ დაუფიქსირებია არც ერთი ბიჯით ნაკლები შეთავაზება, რაც მიუთითებდა იმაზე, რომ აღნიშნული კომპანიისთვის პრაქტიკულად არ არსებობდა კონკურენციული წნეხი, ვინაიდან იგი წარმოადგენდა პრეტენდენტთა იმ უმცირეს ნაწილს, რომელიც სრულად აკმაყოფილებდა სატენდერო მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ მიიჩნია, რომ აბაშის, ასპინძის და ხაშურის მუნიციპალიტეტების გამგეობების მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონის მე-10 მუხლის "ე" ქვეპუნქტის დარღვევას.

აღნიშნული გადაწყვეტილება იყო პირველი, რომელმაც კანონის მე-10 მუხლის დარღვევის ჭრილში განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ გამოცხადებული ტენდერის პირობები და ამ შემთხვევაშიც მიიჩნია, რომ არ იყო დაცული კონკურენციის კანონმდებლობის პრინციპები. თუმცა, სააგენტომ განმარტა, რომ აღნიშნული უწყება არ წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და მის მიმართ ვერ იქნებოდა გამოყენებული „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლი.

დ) ფარმაცევტული პროდუქციის რეგისტრაციის საქმე[1481]

ა(ა)იპ „ალიანსი პროგრესული ჯანდაცვისათვის" მიერ წარდგენილი განცხადების საფუძველზე, სააგენტომ განიხილა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს (შემდგომში – რეგულირების სააგენტო) მხრიდან კანონის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი. განმცხადებლის პოზიციით, უწყების მხრიდან ადგილი ჰქონდა განვითარებულ ქვეყნებში რეგისტრირებული ფარმაცევტული პროდუქტის განსხვავებული

[1481] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №168, 30.09.2016.

შეფუთვა-მარკირებით შემოტანის (ე.წ. პარალელური იმპორტი) მარეგულირებელი დებულებების კონკურენციის კანონმდებლობის საწინააღმდეგო ინტერპრეტაციას, რეგისტრაციის პროცესში ბიზნესისადმი შერჩევით დამოკიდებულებასა და რიგი კომპანიების ლობირებას.

როგორც სააგენტოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რეგულირების სააგენტო *„ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს ფარმაცევტული პროდუქტის ქართულ ბაზარზე დაშვებასთან მიმართებით. ამ კონტროლის განხორციელებისას მიღებული გადაწყვეტილებები – თანხმობები და უარები – კი გავლენას ახდენენ კონკრეტული ეკონომიკური აგენტების საბაზრო მდგომარეობაზე, რადგან მათ სწორედ რეგულირების სააგენტოს გადაწყვეტილებებების საფუძველზე ეძლევათ (ან პირიქით, ეკრძალებათ) საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე შესვლისა და სხვათათვის კონკურენციის გაწევის უფლება".*[1482]

კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის შესაფასებლად, სააგენტომ შეისწავლა ფარმაცევტული პროდუქტების რეგისტრაციის საკითხები, შესაბამისი სამართლებრივი რეგულირება და პროცედურები, რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები, სტატისტიკური მაჩვენებლები და დაადგინა, რომ მოკვლევის პროცესში არ გამოიკვეთა რაიმე ცალსახა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა რეგულირების სააგენტოს მხრიდან პარალელური იმპორტის მიზანმიმართულად შეზღუდვის ფაქტს. სააგენტო მიუთითებს, რომ *„საქმე გვაქვს პროდუქტის სპეციფიკურ სახეობასთან (ფარმაცევტულ პროდუქტთან), რომლის ეფექტიანობა, ხარისხი და უსაფრთხოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს ამ უკანასკნელის მომხმარებლისათვის. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში, რეგულირების სააგენტოს მხრიდან კონკურენციის შეზღუდვა ხსენებული ფაქტორების უზრუნველყოფის ხარჯზე შესაძლოა გამართლებულიც კი იყოს".*[1483]

[1482] სკს, ბრძანება №168, 30.09.2016, გვ. 73.

[1483] იქვე, გვ. 84.

ზემოაღნიშნული შეფასების პარალელურად, სააგენტოს გადაწყვეტილებაში განხილულია რეგულირების სააგენტოს მხრიდან ერთი კონკრეტული ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციის საკითხისადმი არათანასწორი მიდგომა, როდესაც, ერთსა და იმავე პირობებში მყოფი 2 კომპანიიდან ერთს თანხმობა ეთქვა პროდუქტის რეგისტრაციასა და უწყებრივ რეესტრში დამატებაზე, ხოლო მეორეს – უარი. ამასთან, ხსენებული 2 გადაწყვეტილება მიღებული იქნა 3-კვირიან შუალედში, იდენტური კანონმდებლობის მოქმედების პირობებში.

რეგულირების სააგენტომ ხსენებული ფაქტის მიზეზად შეცდომა დაასახელა, განმეორებით გადაამოწმა დოკუმენტაცია და შემსრულებლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების გადაწყვეტილება მიიღო.

აღწერილი შემთხვევა სააგენტომ განიხილა, როგორც კანონის მე-10 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული "სხვა შეღავათის" დაწესება, რამაც თანასწორ პირობებში მყოფი კომპანიებიდან ერთ-ერთი კონკურენტთან მიმართებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენა. სააგენტომ ჩათვალა, რომ სახეზე იყო არსებითად თანასწორი შემთხვევებისადმი არათანასწორი მიდგომა და ასევე განავითარა მსჯელობა დარღვევის გაუფრთხილებელი ხასიათის შესახებ, რომლის მიხედვითაც *„მე-10 მუხლის დარღვევის დადასტურებისათვის, აუცილებელი არ არის განზრახვის არსებობა. შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანოს გაუფრთხილებელი ქმედება, რომელსაც შედეგად მოჰყვა კონკურენციის შეზღუდვა, ასევე შეიძლება ჩაითვალოს მითითებული მუხლის დარღვევად".*[1484]

უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს მიერ დარღვევის დადასტურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე დღეში, მისი შესრულების უზრუნველსაყოფად, რეგულირების სააგენტომ ძალადაკარგულად გამოაცხადა მის მიერ კონკურენციის დარღვევით გამოცემული ბრძანება.[1485]

[1484] სკს. ბრძანება №168, 30.09.2016, გვ. 90.

[1485] იხ. http://competition.ge/ge/page5.php?sb=446, ნახვის თარიღი 03.02.2019.

ე) სასკოლო ავტობუსების საქმე[1486]

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე, კერძოდ „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის პროგრამის“ შესაბამისობის აუდიტის ანგარიშზე დაყრდნობით, სააგენტომ შეისწავლა მოცემული პროგრამის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული ქმედებების კანონის მე-7 და მე-10 მუხლის მოთხოვნებთან თავსებადობის საკითხი.

გადაწყვეტილებაში გვხვდება კანონის მე-10 მუხლის შინაარსსა და სუბიექტებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი განმარტება, რომლის მიხედვითაც, იგი *„ვრცელდება სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე, რადგან ამ უკანასკნელებს საკუთარი ქმედებებით ხელეწიფებათ გაზარზე კონკურენციის შეფერხება, შეზღუდვა და აკრძალვა. აღნიშნული მუხლის მიზანია, უზრუნველყოს სახელმწიფოს მაქსიმალური ჩაურევლობა კონკურენტი და პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში (გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა), რათა ამ უკანასკნელებმა თავისუფლად და თანაბარ პირობებში შეძლონ შესაბამის გაზარზე საქმიანობა“.*[1487]

აუდიტის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქმედებების კონკურენციის კანონის მე-10 მუხლთან შეუსაბამობის რისკები მდგომარეობდა იმაში, რომ სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნა – სატრანსპორტო საშუალების საკუთრების ან იჯარის შესახებ ინფორმაციის წარდგენა – ფორმალურ ხასიათს ატარებდა და წარმოადგენდა დამაბრკოლებელ ფაქტორს ტენდერში მონაწილეობის მსურველი კომპანიებისთვის. ამ ფაქტის გადასამოწმებლად, სააგენტოს მიერ მოძიებულ იქნა სატრანსპორტო მომსახურების პოტენციურად მომწოდებელი 57

[1486] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №04/167, 23.06.2017.
[1487] იქვე, გვ. 32-33.

კომპანია, რომელთაც ეთხოვათ ინფორმაციის წარმოდგენა: გააჩნდათ თუ არა ინფორმაცია განსახილველი შესყიდვების შესახებ და რა იყო კონკრეტული მიზეზები, რის გამოც ისინი მონაწილეობას არ იღებდნენ შესყიდვებში.

ეკონომიკური აგენტებისგან მიღებული საპასუხო წერილების ანალიზის შედეგად, სააგენტომ დაადგინა, რომ კომპანიათა ნაწილი აღნიშნულის მიზეზად გამოცხადებული შესყიდვების მოცულობასა და გეოგრაფიულ მასშტაბს ასახელებდა. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული პირობა არცერთ კომპანიას არ დაუსახელებია შესყიდვებში მონაწილეობის მიღების დამაბრკოლებელ ფაქტორად. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხსენებული მოთხოვნის სატენდერო დოკუმენტაციდან ამოღებამ, რეალურად ვერ იქონია გავლენა შესყიდვებში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა რაოდენობაზე.

ამდენად, სააგენტომ მიიჩნია, რომ სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნა არ წარმოადგენდა დამაბრკოლებელ ფაქტორს, შესაბამის შესყიდვებში მონაწილეობის სურვილის მქონე ეკონომიკური აგენტებისთვის და შესაბამისად, არ იწვევდა სამინისტროს მხრიდან კანონის მე-10 მუხლის დარღვევას.

ამავე გადაწყვეტილებაში გვხვდება მეორე ეპიზოდი, რომლის ფარგლებშიც სააგენტომ განიხილა სამინისტროს მხრიდან კონკრეტული ეკონომიკური აგენტის საქმიანობის შეფერხების ფაქტი. საქმე შეეხებოდა ერთ-ერთი ტენდერის პირობებთან დაკავშირებით, ტენდერში მონაწილე კომპანიის მხრიდან, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული „კითხვა-პასუხის“ მოდულის მეშვეობით დასმულ შეკითხვებს, რომელსაც სამინისტროს მხრიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია და არც სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზები გასწორებულა. ეკონომიკური აგენტის წარმომადგენლების განმარტებით, კომპანია ვერ აიღებდა ხარვეზიანი მომსახურების შესრულების ვალდებულებას, რაც ტენდერში მონაწილეობის მიღებისაგან თავის შეკავების მიზეზი გახდა.

შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზის შედეგად, სააგენტომ მიიჩნია, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას ჰქონდა ვალდებულება, განსაზღვრულ მცირე ვადაში პასუხი გაეცა დასმულ შეკითხვებზე, რაც მას არ გაუკეთებია. სააგენტოს მსჯელობის თანახმად, კომპანიამ ტენდერში მონაწილეობა სწორედ იმ ფაქტორის გათვალისწინებით ვერ მიიღო, რომ მათი მხრიდან ხარვეზიანი და განუმარტებელი ვალდებულებების აღება რისკთან იქნებოდა დაკავშირებული. ამდენად, სააგენტომ მიიჩნია, რომ სამინისტროს ხსენებული ქმედებით ეკონომიკურ აგენტს შეეზღუდა ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა, რაც წარმოადგენს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

სააგენტოს გადაწყვეტილებაში მოცემულია ხსენებული ქვეპუნქტის ფორმულირების შესახებ მნიშვნელოვანი განმარტება, რომლის თანახმადაც, *„კანონის ტექსტში მოცემული ფრაზა „სამეწარმეო საქმიანობა და დამოუკიდებლობა“ ხარვეზიანია. სააგენტო უთითებს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ტერმინი „სამეწარმეო საქმიანობა“ თავის თავში მეწარმის ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობას უკვე მოიცავს. შესაბამისად, მიუხედავად კანონის ტექსტში ტერმინების „სამეწარმეო საქმიანობა“ და „დამოუკიდებლობა“ კუმულატიურად აღნიშვნისა, სააგენტო უმთავრესად სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვის ფაქტს უყურებს და მისი არსებობისას, მოიაზრებს მეწარმე სუბიექტის ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედების შეზღუდვის ფაქტსაც. აქ იგულისხმება, რომ ბაზრის მონაწილეს შეეზღუდა უფლება, დამოუკიდებლად და საკუთარი სურვილისამებრ განეხორციელებინა გარკვეული საბაზრო მოქმედება (მაგ. მიეღო მონაწილეობა ტენდერში). სააგენტო არ აანალიზებს იმ ფაქტს, თუ რამდენად წარმატებული იქნებოდა აღნიშნული მოქმედება ეკონომიკური კუთხით (მაგ. მოხდებოდა თუ არა ტენდერში გამარჯვება). მას აინტერესებს მხოლოდ მოქმედების შეზღუდვის ფაქტი – სწორედ აღნიშნული შეზღუდვა*

ხდება კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის გამოყენების საფუძველი".[1488]

სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, „სამეწარმეო საქმიანობა და დამოუკიდებლობა" აღარ იქნება კუმულატიური პირობები და ფრაზა ჩამოყალიბდება, როგორც „ეკონომიკური საქმიანობის ან/და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება"

მოკვლევის შედეგად შემუშავებულ რეკომენდაციაში, შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების აუცილებლობის პარალელურად, მნიშვნელოვანი აქცენტია გაკეთებული უსაფრთხოების ფაქტორზე. სააგენტო მიუთითებს, რომ *„ამ ბაზარზე დაუშვებელია კონკურენციული ასპექტების შეფასება მომსახურების სპეციფიკური ხასიათის გათვალისწინების გარეშე. ქართული და ევროპული კანონმდებლობისა და მოწინავე ქვეყნების პრაქტიკის მიხედვით, მოსწავლეთა ავტოტრანსპორტით გადაყვანისას, უმთავრესი ფაქტორია უსაფრთხოება. [...] სასურველია, სამინისტროს მიერ ბაზრის კვლევის პროცესში, მომსახურების ფასის, ვადისა (არანაკლებ 1 წელი) და სხვა პირობების განსაზღვრა მოხდეს პროექტის ფარგლებში დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობითა და დაინტერესებული პირების ჩართულობით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასხვა მიზნებს (ჯანსაღი კონკურენცია, საგზაო უსაფრთხოება, განათლების ხელმისაწვდომობა) შორის გონივრული ბალანსის საფუძველზე".*[1489]

[1488] სკს, ბრძანება №04/167, გვ.: 33-34.
[1489] სკს, ბრძანება №04/167, გვ. 53.

ვ) ბათუმის მერიის საქმე[1490]

სააგენტომ ასევე შეისწავლა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან გარე რეკლამის განთავსების ნებართვის, აუქციონის ჩატარების გარეშე ვადის გაგრძელების ფაქტის შესაბამისობა კონკურენციის კანონმდებლობასთან. შპს „ლიბოს" საჩივრის მიხედვით, მისი კონკურენტი კომპანია ფლობდა ბათუმში გარე რეკლამის განთავსების ექსკლუზიურ ნებართვას, რომელსაც 2016 წელს გასდიოდა ვადა და ბათუმის მერიამ იგი აუქციონის ჩატარების გარეშე, დამატებითი 5 წლით გაახანგრძლივა. მომჩივანის პოზიციით, უწყების მიერ გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მსგავსი წესით გახანგრძლივება ეწინააღმდეგება კანონის მე-10 მუხლის „ე" ქვეპუნქტს, რადგან ხდება გარე რეკლამის განთავსების ბაზარზე მოქმედი კონკრეტული კომპანიისთვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნა.

მოკვლევის ფარგლებში, სააგენტომ გააანალიზა სამი საკითხი: 1) მოპასუხის ქმედებით შესაბამის ბაზარზე კონკრეტული კომპანიისათვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნის ფაქტის სავარაუდო არსებობა; 2) შესაბამის ბაზარზე ფასწარმოქმნისა და კონკურენციის არსებითი შეზღუდვის არსებობა; 3) ბათუმის მერიის ქმედების კანონის მე-10 მუხლის „ე" ქვეპუნქტით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში მოქცევის შესაძლებლობა.

შესაბამისი ხელშეკრულების ანალიზის შედეგად სააგენტომ დაადგინა, რომ გაცემული ნებართვის საფუძველზე, შპს „აჯადიმ" მოიპოვა ფაქტობრივად უკონკურენტო ძალაუფლება შესაბამის ბაზარზე, მაშინ, როდესაც ბაზარზე შესვლის ყველა სხვა მსურველს ესაჭიროებოდა წინასწარი თანხმობა ან თავად ამ კომპანიისგან და ან ბათუმის მერიისგან. აღნიშნული ძალაუფლება უნდა დასრულებულიყო 2016 წლის შემოდგომაზე, ნებართვის ვადის გასვლასთან ერთად. სააგენტოს პოზიციით, კანონმდებლობიდან გამომდინარე, არსებობდა ახალი აუქციონის მოლოდინი,

[1490] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №04/273, 06.10.2017.

რომელშიც მონაწილეობის მიღება უნდა შესძლებოდა ნებისმიერ კომპანიას. შესაბამისად, სახეზე უნდა ყოფილიყო ე.წ. „ბაზრისთვის კონკურენცია“ – სიტუაცია, როდესაც კონკურენტები ერთმანეთს ეჯიბრებიან (შეზღუდული დროის განმავლობაში) კონკრეტულ ბაზარზე დამკვიდრების ექსკლუზიური უფლებამოსილების მოსაპოვებლად.

სააგენტოს შეფასებით, *„მოპასუხის მოქმედებებმა გამოიწვია შპს „აჯადისთვის“ ექსკლუზიური და ფაქტიურად უკონკურენტო უფლების გაგრძელება იმ პირობებში, როდესაც აუქციონის სახით შესაძლოა კონკურენტებს შორის გამართულიყო საკმაოდ დაძაბული პაექრობა ქალაქ ბათუმში გარე რეკლამის განთავსების ბაზრისთვის. შესაბამისად, სამართლებრივი კუთხით, სახეზეა მოპასუხის გადაწყვეტილებით ეკონომიკური აგენტისთვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნის ფაქტი. {...} აუქციონის ჩატარების შემთხვევაში, შეიქმნებოდა შედარებით კონკურენტული გარემო და შესაბამისად, მასში მონაწილე ბაზრის სხვადასხვა სუბიექტების მხრიდან მომსახურების სხვადასხვა ფასების შეთავაზების პირობებში, ფასწარმოქმნის სისტემაც გაცილებით უფრო სამართლიანი იქნებოდა“.*[1491]

ბათუმის მერიის განმარტებით, მისი ქმედება ექცეოდა კანონის მე-10 მუხლის გამონაკლისში, ვინაიდან მას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა აძლევდა ნებართვის გაგრძელების შესაძლებლობას. სააგენტოს გადაწყვეტილებაში ამ მიმართულებით განვითარებულია მსჯელობა და აღნიშნულია, რომ შესაბამისი დადგენილების მოქმედი რედაქცია მართლაც ითვალისწინებს გაცემული ნებართვის ვადის გაგრძელების შესაძლებლობას. თუმცა, იგი მიემართება ამ დადგენილებაში შეტანილი ცვლილების ამოქმედების შემდგომ გაცემულ ნებართვებს და არ გულისხმობს ამ პერიოდამდე გაცემული ნებართვების გაგრძელების შესაძლებლობას.

როგორც სააგენტოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, *„სახეცვლილი ნორმის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მისი*

[1491] სკს. ბრძანება №04/273, გვ.19-20.

ძალაში შესვლის შემდგომ ჩატარებულ აუქციონებთან მიმართებით, რომლებშიც, ლოგიკურად, კანონმდებლობის გათვალისწინებით, იქნება მოაზრებული ნებართვის გაგრძელების შესაძლებლობაც და პირობები დადგენილი იქნება ამ შესაძლებლობის გათვალისწინებით. ძველი ნორმის მოქმედების პერიოდში ჩატარებულ აუქციონებში კი, რა თქმა უნდა, ვერ იქნებოდა მოაზრებული ნებართვის გაგრძელების შესაძლებლობა (არც ნებართვის გამცემი და არც მისი პოტენციური მფლობელის მიერ) და აუქციონში ჩადებული ყველანაირი პირობა (მათ შორის, ფასიც), გამიზნული იქნებოდა კონკრეტული უფლების მაქსიმუმ 5 წლის ვადით გადაცემისათვის".[1492]

ამდენად, სააგენტოს შეფასებით, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქმედება არ იყო მოქცეული კანონის მე-10 მუხლით დადგენილ გამონაკლისებში და დაკვალიფიცირდა, როგორც ხსენებული მუხლის "ე" ქვეპუნქტის დარღვევა. ხსენებული მიდგომა გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლომაც, სააგენტოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების გზით.[1493]

როგორც სასამართლომ განმარტა, ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2016 წლის 8 სექტემბრის N15 დადგენილებას უკუძალა არ მინიჭებია. ამდენად, მითითებული ნორმატიული აქტით განხორციელებული ცვლილება, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს მიენიჭა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების უფლებამოსილება (ნებართვაში ცვლილების შეტანის ფორმით) ვერ გავრცელდება აღნიშნული აქტის ძალაში შესვლამდე გაცემულ ნებართვაზე. სასამართლოს მითითებით, *„...იმ პირობებში, როდესაც, გარე რეკლამის განთავსების ნებართვა გაიცემა აუქციონის ფორმით, ხოლო შპს „აჯადიზე" გაცემული ნებართვის მოქმედების ვადა იწურებოდა 2016 წლის 21 ნოემბერს და სანებართვო პირობები ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების შესაძლებლობას არ ითვალისწინებდა, ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს გააჩნდათ ახალი აუქციონის ჩატარების ლეგიტიმური მოლოდინი, ქ. ბათუმის*

[1492] სკს, გრძანება №04/273, გვ. 25.

[1493] თბილისის საქალაქო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №3/7786-17, 29.11.2018.

მუნიციპალიტეტის მერიამ ნორმის არასწორი განმარტების შედეგად, 2016 წლის 31 ოქტომბრის შეთანხმებით შპს „აჯადს“ შეუქმნა მონოპოლიური მდგომარეობა, რაც წარმოადგენს “კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის “ე“ ქვეპუნქტის დარღვევას“.[1494]

ზ) დაზღვევის საქმეები

დაზღვევის სფეროში კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით სააგენტოს მიღებული აქვს 3 გადაწყვეტილება.

უნისონის საქმე №1.[1495] მოკვლევა წარიმართა სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ განცხადების საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა შპს „საქართველოს ფოსტის“, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მიერ გამოცხადებულ ტენდერებში სადაზღვევო კომპანიების გამოცდილებასა და მოზიდული/გამომუშავებული პრემიის მოცულობასთან დაკავშირებით წაყენებული მოთხოვნების შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. სატენდერო პირობების მიხედვით, რიგ შემთხვევებში, მოთხოვნილი იყო შესაბამის სფეროში მუშაობის 5-წლიანი გამოცდილება და ყოველწლიურად მოზიდული პრემიის ოდენობა არანაკლებ 5 მილიონი ლარის ოდენობით. მეტიც, ზოგ ტენდერში მოთხოვნა ფორმულირებული იყო, როგორც ორი წლის განმავლობაში ჯამურად არანაკლებ 20 მილიონი ლარის მოზიდული პრემიის სავალდებულო არსებობა.

როგორც სააგენტოს მიერ განხორციელებული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, მოზიდული/გამომუშავებული პრემიის მოთხოვნის დაწესებამ/გამკაცრებამ ბაზარზე შემზღუდველი ეფექტი მოახდინა. აღნიშნული პირობის ტენდერებში არსებობის შედეგად, სადავო ტენდერებიდან ორში პოტენციურ კონკურენტთა

[1494] იქვე, გვ. 16.

[1495] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №245, 28.12.2016.

რიცხვი 50%-ით შემცირდა (ბაზრის 10 მოთამაშიდან მხოლოდ 5-ს ჰქონდა ტენდერში მონაწილეობის მიღების თეორიული შესაძლებლობა), ხოლო მესამეში – კომისიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში – ბაზრის მოთამაშეთა მხოლოდ 20%-ს (10 სადაზღვევო კომპანიიდან 2-ს) გაუთანაბრდა.

გადაწყვეტილებაში საინტერესო მსჯელობაა განვითარებული კანონის მე-10 მუხლის მოპასუხე სუბიექტებთან დაკავშირებით. აღნიშნულია, რომ როგორც შპს „საქართველოს ფოსტა“, ისე შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ ოპერირებენ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ. მიუხედავად ამისა, სააგენტოს პოზიციით, *„ფუნქციური თვალსაზრისით, უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, აღნიშნულ კომპანიების, როგორც მოგებაზე ორიენტირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირების, ხოლო მეორე მხრივ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და ეკონომიკის სამინისტროს საქმიანობა. აღნიშნული სამინისტრო და სააგენტო, თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. რაც შეეხება მათი ზედამხედველობის ქვეშ არსებულ კომპანიებს: მიუხედავად სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან კონტროლის გარკვეული ელემენტებისა (100%-იანი წილი, დირექტორის დანიშვნის უფლებამოსილება, მნიშვნელოვანი საკითხების შეთანხმება), ეს კომპანიები მაინც წარმოადგენენ კერძო სამართლის სუბიექტებს. {...} მათი საქმიანობა განსხვავდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის სპეციფიკისგან, რომლებსაც საქმიანობის უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ კანონით, ფინანსდებიან კანონით დადგენილი წესით და არ წარმოადგენენ მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს“.*[1496]

რაც შეეხება სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, იგი ასევე არ იქნა მიჩნეული კანონის მე-10 მუხლის სუბიექტად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ „ეროვნული

[1496] სკს, ბრძანება №245, გვ.75.

მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონი, ერთი მხრივ, ცალსახად მიჯნავს ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებსა და სახელმწიფო ორგანოებს და მეორე მხრივ, ადგენს პირველის დამოუკიდებლობას მეორისაგან. კანონმდებლობა უთითებს კომისიის დამოუკიდებლობაზე – სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან არასათანადო ზემოქმედებისა და არასამართლებრივი ჩარევისაგან.

მიუხედავად აღნიშნული შეფასებისა, სააგენტომ მიიჩნია, რომ *„კომისიის ამ მუხლის სუბიექტებს შორის მოუქცევლობა წინააღმდეგობაში მოდის თავად აღნიშნული მუხლის პრინციპებთან. კონკრეტულად, კონკურენციის კანონის მე-10 მუხლი მიზნად ისახავს ყველა ისეთი ორგანოს გაზარზე ჩარევის დაუშვებლობას, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ფუნქციებს, როგორც სახელმწიფო, ისე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე. როგორც ანალიზმა აჩვენა, კომისია სწორედ მსგავს ორგანოებს მიეკუთვნება. შესაბამისად, სააგენტო თვლის, რომ ამ ორგანიზაციის კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის სუბიექტებს შორის არყოფნა კანონის ხარვეზია“.*[1497]

მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხედ დასახელებული სამი სუბიექტიდან სააგენტომ არცერთი არ მიიჩნია კანონის მე-10 მუხლის სუბიექტად, უწყებამ მაინც შეაფასა სადავოდ გამხდარი ქმედება და იგი კონკურენციის დარღვევად დააკვალიფიცირა. სააგენტომ ქმედება შეაფასა, როგორც ბაზრის დანარჩენი მონაწილე ეკონომიკური აგენტებისათვის სამეწარმეო საქმიანობის შეფერხება. კერძოდ, უწყების პოზიციით, რიგი სატენდერო პირობების (მოზიდული/გამომუშავებული პრემიის მაღალი ზღვრისა და დიდი გამოცდილების ნაწილში) დაწესების შედეგად, ტენდერებს გარეთ დარჩენილმა ეკონომიკურმა აგენტებმა სრულად ვეღარ შეძლეს იმ ბაზრის გარკვეული სეგმენტისთვის ბრძოლა, რომელზეც ისინი ოპერირებდნენ. *„სააგენტო განმარტავს, რომ ის პატივს სცემს შესყიდვების კანონის მიერ შემსყიდველი*

[1497] სკს, ბრძანება №245, გვ. 76.

ორგანიზაციებისთვის მინიჭებულ ფართო დისკრეციას, განსაზღვრონ სატენდერო პირობები მათი საჭიროებების/მოთხოვნილებების შესაბამისად. {...} აღნიშნული დისკრეცია შეუზღუდავი არაა. კერძოდ, დისკრეციის გამოყენებისას, შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან დაიცვან კონკურენციის პრინციპები და არ ჩადონ ტენდერში ისეთი პირობები, რომლებიც წინასწარგანზრახულად ემსახურება გაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შეფერხებას, შეზღუდვას ან აკრძალვას“, [1498] – მითითებულია სააგენტოს გადაწყვეტილებაში.

<u>უნისონის საქმე №2</u>. [1499] დაზღვევის სექტორში განხორციელებული მეორე მოკვლევის საფუძველს წარმოადგენდა სს „სადაზღვევო კომპანია უნისონისა“ და სს „არდი დაზღვევის“ საჩივრები. საქმე შეეხებოდა შემსყიდველი სახელმწიფო უწყებების მიერ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის პირობად საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული საბანკო გარანტიების წარდგენის მოთხოვნას. მომჩივანთა პოზიციით, სახელმწიფო შესყიდვებში საბანკო გარანტიის მოთხოვნისას, შემსყიდველებს (სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ხაშურის მუნიციპალიტეტი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია) ბანკები სადაზღვევო კომპანიებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში ჰყავდათ ჩაყენებული, მაშინ როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის მიხედვით, საბანკო გარანტიის გამცემები შეიძლება იყოს როგორც საბანკო დაწესებულება, ასევე სადაზღვევო კომპანია. ამდენად, აღნიშნული სუბიექტების მიერ გაცემული საბანკო გარანტია კანონით გათანაბრებულია, ხოლო ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას იდენტური შედეგი დგება.

მოპასუხეთა ნაწილი შეზღუდვის დაწესებას ამართლებდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7

[1498] სკს, ბრძანება №245, გვ. 83.

[1499] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №04/248, 05.09.2017.

მუხლით, რომლითაც იმპერატიულადაა განსაზღვრული შემსყიდველის მიერ საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით ხარჯვის ვალდებულება. აღნიშნულთან მიმართებაში სააგენტოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ შესყიდვების კანონმდებლობა *„მართლაც ადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის ვალდებულებას, რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში. ამავდროულად, კანონმდებლობიდან არ გამომდინარეობს, რომ საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვა გამორიცხავს კონკურენციის დაცვას. უფრო მეტიც, ჯანსაღი კონკურენცია, როგორც წესი, გულისხმობს ხარისხის ზრდასა და ფასების შემცირებას, რაც თავის მხრივ, სახელმწიფო შესყიდვებში საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის ერთ-ერთი წინაპირობაა“.*[1500]

მოცემულ მსჯელობაზე დაყრდნობით, სააგენტომ მიიჩნია, რომ სადაზღვევო სექტორისათვის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების ბაზარზე შესვლის აკრძალვა სახელმწიფო შესყიდვებში ვერ იქნებოდა გამართლებული საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ვალდებულებით. სააგენტოს პოზიციით, მხოლოდ ბანკისგან გაცემული გარანტიის წარდგენის მოთხოვნით, შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების ჯგუფს – სადაზღვევო კომპანიებს – წაერთვათ შესაძლებლობა, გაეგრძელებინათ შესაბამის ბაზარზე საქმიანობა, ხოლო იმ სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც წარმოადგენდნენ პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს, წაერთვათ შესაბამის ბაზარზე შესვლის უფლება.

საბოლოოდ, სააგენტომ დაადგინა, რომ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიების გაცემის უფლება აქვთ როგორც ბანკებს, ისე სადაზღვევო კომპანიებს. ამ პირობებში, მოპასუხე სუბიექტების მიერ გამოცხადებულ კონკრეტულ ტენდერებში მხოლოდ ბანკების

[1500] სკს, ბრძანება №04/248, გვ.: 17-18.

მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების მოთხოვნა უწყებამ კონკურენციის შეზღუდვად დააკვალიფიცირა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილებაში განვითარებულია მსჯელობა გამონაკლის შემთხვევასთან დაკავშირებითაც, როდესაც ტენდერი ხორციელდება დონორის დაფინანსებითა და მის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად. როგორც სააგენტოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, *„სუბიექტს კონკრეტული ქმედება კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის დარღვევად რომ შეერაცხოს, მას უნდა გააჩნდეს აღნიშნული ქმედების დამოუკიდებლად განხორციელების საშუალება. აქედან გამომდინარე, მიზანშეუწონელია მე-10 მუხლის დარღვევაზე საუბარი იქ, სადაც შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლებისა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო დამოუკიდებლად ვერ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და აღნიშნული გადაწყვეტილება (ამ შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციის შინაარსის განსაზღვრა) მთლიანად დამოკიდებულია გარეშე პირზე – დონორზე“.*[1501]

<u>უნისონის საქმე №3</u>.[1502] აღნიშნული მოკვლევაც საბანკო გარანტიებს უკავშირდებოდა, თუმცა, წინა მოკვლევისგან განსხვავებით, საკითხი შეეხებოდა წინასწარი ანგარიშსწორების (ე.წ. საავანსო) გარანტიებს, რომელთან მიმართებაშიც, საავტომობილო გზების დეპარტამენტი იმპერატიულად მოითხოვდა მხოლოდ საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული გარანტიების წარდგენას. დეპარტამენტის პოზიციით, უწყება სერიოზულ პრაქტიკულ პრობლემებს აწყდებოდა სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტიების ანაზღაურების პროცესში (გადაუხდელობის ან გადახდის გაჭიანურების სახით), თუმცა სააგენტოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საქმის მასალებით არ იქნა დადასტურებული სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ წინასწარი ანგარიშსწორებისას

[1501] სკს, ბრძანება №04/248, გვ. 35.

[1502] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №04/216, 07.08.2018.

გამოსაყენებელი საბანკო გარანტიებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტები.

როგორც გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული მონეტარული და საბანკო სტატისტიკის 2017 წლის ბიულეტენის მიხედვით, საქართველოში მოქმედებს 16 კომერციული ბანკი, 16 სადაზღვევო და 75 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. აქედან გამომდინარე, სადავო სატენდერო პირობა დასახელებულ შესაბამის ბაზარზე ოპერირებადი ეკონომიკური აგენტების რაოდენობის ფაქტობრივად შვიდჯერ შემცირების რისკს შეიცავს.

დასაბუთების ნაწილში, სააგენტოს მოხმობილი აქვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება [1503] და აღნიშნავს, რომ სასამართლო, სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს თავად სამეწარმეო სუბიექტებისათვის ჯანსაღი კონკურენტული პირობების შექმნას, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებასა და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველყოფას.

როგორც სააგენტო მიუთითებს, *„საქართველოს ეკონომიკის მასშტაბების გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საჯარო სექტორს, სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით, აშკარად შესწევს იმის რეალური უნარი, რომ არსებითი გავლენა მოახდინოს ქართული ეკონომიკის სტრუქტურასა და გაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოზე. ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვებიდან მომდინარე მატერიალური სიკეთის ეკონომიკურ აგენტებს შორის იმგვარი გადანაწილება, რომ ამით არ მოხდეს კონკურენციის შეზღუდვა და ეკონომიკური აგენტების არათანაბარ პირობებში ჩაყენება“.*[1504]

გადაწყვეტილებაში ასევე მოცემულია მსჯელობა სახელმწიფო უწყების დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებთან დაკავშირებით და მითითებულია, რომ *„კანონის მე-10 მუხლით*

[1503] საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-667-642(კ-13), 21.07.2014.

[1504] სკს, გრძანება №04/216, გვ. 39.

დადგენილი აკრძალვის უგულებელყოფა არ შეიძლება გამართლდეს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილებით, ვინაიდან კანონმდებლობით დადგენილი კონკურენციის დაცვის პრინციპი შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ზღვარია".[1505]

საბოლოოდ, წინა მოკვლევის ანალოგიურად, სააგენტომ დაადგინა, რომ დაუშვებელია განსახილველი სატენდერო პირობის არსებული შინაარსით გათვალისწინება და ამ გზით კონკურენციის არსებითი შეზღუდვა, იმ პირობებში, როდესაც კონკრეტული ფაქტებით არ დასტურდება ვალდებულების დარღვევის შემთხვევები (წინასწარი ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საბანკო გარანტიების ნაწილში) და ამასთან, დაზღვევის კანონმდებლობა შეიცავს შესაბამის მექანიზმებს, როგორც თანაზომიერ და რაციონალურ ალტერნატივას, საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულებების შესაძლო დარღვევის რისკების შესამცირებლად. ამდენად, გზების დეპარტამენტის განხილული ქმედება კანონის მე-10 მუხლის „გ" ქვეპუნქტის დარღვევად იქნა მიჩნეული.

2.4. შუალედური შეჯამება

სახელმწიფოს მიერ საბაზრო კონკურენციის შეზღუდვა მრავალი სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკურენციის შეზღუდვის არსებობა-არარსებობის ფაქტის დადგენა მრავალმხრივ ანალიზს საჭიროებს, რაც მოიცავს როგორც შესაბამისი სამართლებრივი ბაზის (კანონები, კანონქვემდებარე აქტები, ხელშეკრულებები და სხვ.) სრულყოფილ გამოკვლევას, ისე ბაზარზე არსებული სიტუაციის შეფასებასა და შესაბამისი ეკონომიკური დასკვნების გამოტანას.

მსგავსი მიდგომა საჭიროა სწორი ბალანსის დაცვისთვის: ერთი მხრივ, აუცილებელია კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების სწორად გამოვლენა და აღკვეთა, ხოლო მეორე მხრივ,

[1505] იქვე, გვ. 44.

თავიდანაა ასაცილებელი სახელმწიფო ორგანოების დისკრეციაში გაუმართლებელი ჩარევა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კანონის მე-10 მუხლის დათქმა, რომლის მიხედვითაც კონკურენციის შემზღუდველად არ ჩაითვლება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში განხორციელებული ქმედებები. ამავდროულად, თავად მე-10 მუხლის არსებობა საშუალებას იძლევა, გაკონტროლდეს ბაზარზე კონკურენციის საწინააღმდეგო ჩარევები არა მარტო ბიზნესის, არამედ სახელმწიფოს მხრიდანაც. ეს კი საბაზრო კონკურენციის ეფექტიანი ფუნქციონირების კიდევ ერთი გარანტიაა.

3. სახელმწიფო დახმარება[1506]

საქართველოს კანონმდებლობაში, სახელმწიფო დახმარების რეგულირება სახელმწიფოს მიერ განხორციელებული კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების რეგულირებაზე შედარებით ახალი მოვლენაა. პირველი რეგულირება ამ მიმართულებით 2005 წელს დაინერგა, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" კანონის[1507] მე-8 - მე-10 მუხლების სახით. ამ მუხლების დებულებები კრძალავდა კონკურენციის შემაფერხებელი სახელმწიფო დახმარების გაცემას და ადგენდა მარეგულირებლის მხრიდან სახელმწიფო დახმარების შემოწმება-

[1506] ავტორის შენიშვნა: ერთი მხრივ, კონკურენციის სამართლის სფეროში სახელმწიფო დახმარების ინსტიტუტის განსაკუთრებული მნიშვნელობის, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოში აღნიშნული მიმართულებით რიგი ბუნდოვანი საკანონმდებლო ჩანაწერების არსებობისა და აღმასრულებელი პრაქტიკის სიმწირის გამო, გამონაკლისის სახით, ეს ქვეთავი სახელმძღვანელოს დანარჩენ ნაწილებზე გაცილებით უფრო მეტად ეყრდნობა ევროკავშირის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს. აღნიშნული კეთდება მკითხველის სახელმწიფო დახმარების ინსტიტუტთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებში უკეთ გათვიცნობიერების მიზნით და იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიძლება განიმარტოს საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფო დახმარებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული რიგი დებულებები, თუ შესაბამისი აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოები მიზანშეწონილად მიიჩნევენ ევროკავშირის გამოცდილების გაზიარებას. ამავდროულად, მკითხველს ვთხოვთ, გაითვალისწინოს, რომ სახელმწიფო დახმარების რეგულირებას ნებისმიერ იურისდიქციაში სპეციფიკური ხასიათი აქვს. შესაბამისად, არასწორი იქნება იმის ვარაუდი, რომ ეროკავშირში არსებული განმარტებების იდენტური სახით გამოყენება მოხდება საქართველოშიც.

[1507] საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ".

შეთანხმების წესს. თუმცა აღნიშნული დებულებების აღსრულებას ადგილი თითქმის არ ჰქონია, 2005-2014 წლებში კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისადმი ზოგადად არსებული ლიბერალური დამოკიდებულებისა და შესაბამისი მარეგულირებელი უწყების განცალკევებული ორგანოს სახით არარსებობის გამო.[1508] მდგომარეობა გაუმჯობესდა 2014 წლის 14 აპრილიდან, როდესაც შეიქმნა სსიპ „კონკურენციის სააგენტო".[1509] ხსენებული სააგენტოს ერთ-ერთ ფუნქციად გათვალისწინებული იქნა სახელმწიფო დახმარების კონტროლიც, რომლის ზოგადი დებულებებიც განისაზღვრა „კონკურენციის შესახებ" კანონის მე-12-15 მუხლებით.

ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფო დახმარების გაცემის კონტროლი (უმრავლეს შემთხვევაში) წარმოადგენს ე.წ. *ex-ante* რეგულირებას. ეს ნიშნავს, რომ შეფასება ხორციელდება სახელმწიფო დახმარების გაცემამდე და ანალიზი ეფუძნება იმის მოდელირებას, თუ რა უარყოფითი შედეგების გამოწვევა შეუძლია კონკრეტულ სახელმწიფო დახმარებას ამა თუ იმ შესაბამის ბაზარზე. ამდენად, კონცენტრაციების კონტროლის მსგავსად, სახელმწიფო დახმარების ჯანსაღ კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის დადგენის დროსაც განსაკუთრებული სიფრთხილე და დეტალური ანალიზია საჭირო იმის შესაფასებლად, ზღუდავს თუ არა ის კონკურენციას.

სახელმწიფო დახმარების რეგულირებაში უკეთ გარკვევის მიზნით, პირველ რიგში, საჭიროა ხსენებული რეგულირების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი მიზეზების ცოდნა (ქვეთავი 3.1). შემდგომ, აუცილებელია სახელმწიფო დახმარების ცნების განსაზღვრა და მის სახეებში გარკვევა (ქვეთავი 3.2), ისევე როგორც იმის დაკონკრეტება, თუ რა კატეგორიის

[1508] **ავტორის შენიშვნა:** აღნიშნულ პერიოდში კონკურენციის სააგენტო, როგორც ცალკე მარეგულირებელი, არ არსებობდა. მის ნაცვლად ფუნქციონირებდა ჯერ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო (ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება 2005-2010 წლებში, სსიპ-ი – 2010-2012 წლებში), ხოლო შემდგომ სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო" (2012-2014 წლებში).

[1509] საქართველოს მთავრობა, დადგენილება №288, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 14.04.2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2320439?publication=0, ნახვის თარიღი, 16.01.2019, მუხლი 1, პუნქტი 1.

სახელმწიფო დახმარება მიეკუთვნება საგამონაკლისო შემთხვევებს, რომლებიც არ საჭიროებს მარეგულირებელთან შეთანხმებას (ქვეთავი 3.3). ანალიზის სისრულისათვის, ასევე სასურველია როგორც საქართველოში, ისე ევროკავშირში არსებული აღსრულების შესაბამისი მექანიზმების განხილვა, რადგან სახელმწიფო დახმარების თანამედროვე სახით რეგულირება სწორედ ამ უკანასკნელის კანონმდებლობიდან იღებს სათავეს (ქვეთავი 3.4). საბოლოდ, სასურველია საქართველოში არსებული პრაქტიკის მიმოხილვაც (ქვეთავი 3.5), იმაში უკეთ გარკვევის მიზნით, თუ რა გარემოებებს აანალიზებს კონკურენციის სააგენტო სახელმწიფო დახმარების გაცემის გზით კონკურენციის სავარაუდო შეზღუდვის ანალიზისას.

3.1. სახელმწიფო დახმარების გაცემისა და რეგულირების მიზეზები

სახელმწიფო დახმარება პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რადგანაც მისი მეშვეობით შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფოსათვის სასურველი მიმართულებით განვითარება. [1510] სწორედ ამიტომ, ხსენებული სახის დახმარება ყველაზე ხშირად კონკრეტული სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად გამოიყენება – ეს შეიძლება იყოს გარემოს დაცვა, ქვეყნის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური საკითხები და ა.შ. [1511] სახელმწიფო დახმარებას ასევე ხშირად იყენებენ ბაზრის ჩავარდნის გამოსასწორებლად და მისი ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად.[1512]

მაგალითად, ევროკავშირში თვლიან, რომ სახელმწიფო დახმარება ყველაზე კარგად მაშინ უზრუნველყოფს განვითარებას,

---

[1510] Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, p. 8.

[1511] იქვე, გვ. 7-8; იხილეთ ასევე Säcker, Franz Jürgen, and Montag, Frank, *European State Aid Law: Commentary*, C.H.Beck/Hart/Nomos, 2016, pp. 14-18.

[1512] Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, pp. 8-9; Säcker, Franz Jürgen, and Montag, Frank, *European State Aid Law: Commentary*, C.H.Beck/Hart/Nomos, 2016, pp. 9-14.

როდესაც ის ითვალისწინებს საბაზრო ჩავარდნის აღმოფხვრას და, შესაბამისად, ავსებს და არ ცვლის პირების მიერ გაწეულ ხარჯებს. სახელმწიფო დახმარება მხოლოდ მაშინაა ეფექტიანი სასურველი საჯარო პოლიტიკის მიზნის მისაღწევად, როდესაც მას აქვს მასტიმულირებელი ეფექტი, ე.ი. ხელს უწყობს სახელმწიფო დახმარების მიმღებს – განახორციელოს ის ქმედება, რომელსაც არ განახორციელებდა დახმარების გარეშე.[1513]

აღნიშნულის პარალელურად, თუ საბაზრო ეკონომიკის განვითარებას თან სდევს მზარდი სოციალ-ეკონომიკური უთანასწოროება, სახელმწიფო დახმარების მეშვეობით შესაძლებელია ქვეყანაში არსებული რესურსების გადანაწილება და აღნიშნული უთანასწორობის აღმოფხვრა[1514] (მაგ. რეგიონალური დახმარების გაცემა ცენტრსა და პერიფერიებს შორის სოციალურ-ეკონომიკური ბალანსის აღსადგენად). შესაბამისად, მთელ რიგ შემთხვევებში, სახელმწიფო დახმარების გაცემა არა მარტო მიზანშეწონილი, არამედ აუცილებელიცაა ქვეყნის სასურველი მიმართულებით განვითარებისათვის.

ამავდროულად, როგორც სახელმწიფო რესურსების ნებისმიერი სხვა სახით განკარგვისას, სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცესშიც არსებობს რისკები, რომ შესაძლოა ხსენებული დახმარება არა ეკონომიკის სასიკეთოდ, არამედ საზიანოდ იქნეს გამოყენებული. კერძოდ, საჭიროა იმის გაკონტროლება, რომ სახელმწიფო დახმარებამ არ გამოიწვიოს ბაზარზე არსებული ჯანსაღი კონკურენტული პროცესის დარღვევა. პრაქტიკაში ეს ყველაზე ხშირად შეიძლება გამოიხატოს ე.წ. დინამიკური ეფექტიანობისთვის ზიანის მიყენებით, თუკი სახელმწიფო დახმარების მეშვეობით ბაზარზე ნარჩუნდება წარუმატებელი და ინოვაციის უნარს მოკლებული ეკონომიკური აგენტები.[1515]

[1513] მენაბდიშვილი, სოლომონ, „სახელმწიფო დახმარების რეგულირების თავისებურებანი საქართველოში", დაბეჭდილია კონფერენციის შრომათა კრებულში *„კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები"*; გვ.: 218-229, თბილისი, 2018, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/282822, ნახვის თარიღი 16.01.2019, გვ. 220.

[1514] Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, p. 9.

[1515] Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, გვ. 11.

ამავდროულად, შესაბამისი მაკონტროლებელი მექანიზმის გარეშე, სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცესი შესაძლოა მოექცეს გარკვეული სოციალური თუ ეკონომიკური ჯგუფების/ლობისტების ზეგავლენის ქვეშ.[1516] საბოლოოდ, მსგავსი ზეგავლენის არარსებობის შემთხვევაშიც კი, სახელმწიფომ შესაძლოა სწორად ვერ განსაზღვროს ის სექტორები, რომლებში ჩარევაც საჭიროა სახელმწიფო დახმარების სახით ან გასცეს საჭიროზე მეტი სახელმწიფო დახმარება. სწორედ ამიტომ, აუცილებელია დახმარების გაცემის პროცესის კონტროლის მექანიზმის არსებობა, რომელსაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, ექნება ე.წ. „ბიუჯეტის დისციპლინირების" ეფექტი.[1517] სწორედ ასეთი მექანიზმის ფუნქციას ასრულებს კონკურენციის სააგენტოსთვის მინიჭებული სახელმწიფო დახმარების შეფასების უფლებამოსილება.

3.2. სახელმწიფო დახმარების ცნება და სახეები

ტერმინ „სახელმწიფო დახმარების" განმარტებისას, „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი ზოგადი ცნების ჩამოყალიბების ნაცვლად, პირდაპირ სახელმწიფო დახმარების კონკრეტული მაგალითების არასრულ ჩამონათვალს გვთავაზობს.[1518] ეს მიუთითებს, რომ სახელმწიფო დახმარებად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედებების საკმაოდ ფართო წრე. ამავდროულად, კანონი სინონიმებად მიიჩნევს ტერმინებს „სახელმწიფო დახმარება" და „სუბსიდია",[1519] მაშინ, როდესაც პირველი მათგანის რეგულირება ევროკავშირიდან იღებს სათავეს, ხოლო მეორე ტერმინი ძირითადად საერთაშორისო ვაჭრობის კონტექსტში გამოიყენება. ხსენებულ საკითხებში უკეთ გარკვევის მიზნით, მიზანშეწონილია, საქართველოში არსებული რეგულირების ანალიზამდე,

[1516] იქვე, გვ. 10.
[1517] იქვე, გვ. 11.
[1518] კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 3, ქვეპუნქტი „ს".
[1519] იქვე.

სახელმწიფო დახმარებასთან/სუბსიდიებთან დაკავშირებული საერთაშორისო კანონმდებლობისა და პრაქტიკის მოკლედ მიმოხილვა.

ა) ევროკავშირი – „სახელმწიფო დახმარება"

ევროკავშირში, სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელი ნორმების მთავარ დანიშნულებად ერთიანი შიდა ბაზრის შენარჩუნებასა და კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის გარანტირებას მიიჩნევენ. [1520] სწორედ ამიტომ, ევროკავშირის კანონმდებლობაში მოცემული არაა სახელმწიფო დახმარების სახეების ჩამონათვალი. ამის საპირისპიროდ, ქმედებები, რომლებიც მოიაზრება სახელმწიფო დახმარებად, დგინდება ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, [1521] რომელთა ცვლილებაც არ ექვემდებარება აღმასრულებლის დისკრეციას.[1522]

ხსენებული კუმულატიური კრიტერიუმები მოცემულია TFEU-ს 107(1)-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც: (1) სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფო რესურსებიდან გაცემული, (2) ნებისმიერი სახის დახმარება, (3) რომელიც ზღუდავს კონკურენციას ან ქმნის მსგავსი შეზღუდვის საფრთხეს, (4) გარკვეული ეკონომიკური აგენტებისთვის ან გარკვეული საქონლის წარმოებისთვის უპირატესობის მინიჭების გზით, დაუშვებელია იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი (5) გავლენას ახდენს ეროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე.[1523]

ჩამოთვლილი კრიტერიუმები დაკონკრეტებულია სასამართლო პრაქტიკით (იხ. ქვემოთ, შესაბამისი კრიტერიუმების განხილვისას) და შეჯერებულია ევროკომისიის გზამკვლევში *TFEU 107(1) მუხლით განსაზღვრული სახელმწიფო დახმარების ცნების*

[1520] Case C-369/07, *Commission v Greece* [2009] ECR I-5703, ECLI:EU:C:2009:428, paras 118-9.

[1521] Quigley QC, Connor, *European State Aid Law and Policy*, 3rd ed, Hart Publishing, 2015, p. 3.

[1522] Case T-67/94, *Ladbroke Racing Ltd v Commission* [1998] ECR II-0001, ECLI:EU:T:1998:7, para. 52.

[1523] „…., any aid granted by a Member State or through Stare resources in any form whatsoever which distorts or threatens to distort competition by favouring certain undertakings or the production of certain goods shall, in so far as it affects trade between Member States, be incompatible with the internal market." (თარგმანი ავტორისეულია). იხ. ასევე Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, p. 12.

შესახებ (შემდგომში – „სახელმწიფო დახმარების გზამკლევი").[1524] კრიტერიუმების მოკლე განმარტებები მოცემულია ქვემოთ.

I და II კრიტერიუმები – *„სახელმწიფოს მიერ/სახელმწიფო რესურსების მეშვეობით გაცემული ნებისმიერი სახის დახმარება"*[1525]

სასამართლო პრაქტიკის თანახმად, დახმარების სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფო რესურსებიდან გაცემა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ სამართლებრივად მბოჭავი დოკუმენტის საფუძველზე [1526] გარკვეული ფინანსური ტვირთის აღებას, რის შედეგადაც ხდება ბაზრის კონკრეტული მონაწილის ან მონაწილეთა ჯგუფისთვის ეკონომიკური უპირატესობის მინიჭება, ამ უკანასკნელთა მიერ ბიუჯეტში შესატანი თანხების დაზოგვის გზით.[1527]

ხსენებული ზოგადი განმარტების უკეთ გასაგებად, დასაკონკრეტებელია სამი საკითხი:

1) რას ნიშნავს ტერმინი „დახმარება"?

2) რას ნიშნავს ტერმინი „სახელმწიფო"?

3) როდის ითვლება დახმარება „სახელმწიფოს მიერ"/"სახელმწიფო რესურსებიდან" გაცემულად?

ევროკავშირის მიზნებისათვის, ტერმინი „დახმარება" ფართოდ განიმარტება. დასაწყისისთვის, თავად TFEU-ს 107(1) მუხლი აკონკრეტებს, რომ კონტროლდება ნებისმიერი ფორმით გაცემული დახმარება. ამავდროულად, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედების „დახმარებად" მიჩნევისთვის უნდა კმაყოფილდებოდეს სამი კრიტერიუმი. კერძოდ, სახეზე უნდა იყოს:

[1524] Commission Notice on the notion of State aid as referred to in Article 107(1) of the Treaty on the Functioning of the European Union C/2016/2946, OJ C 262/1, 19.7.2016.

[1525] ავტორის შენიშვნა: ხსენებული კრიტერიუმები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში ცალ-ცალკე დგინდება. თუმცა, მათი ურთიერთგადაჯაჭვულობიდან გამომდინარე და მოცემული სახელმძღვანელოს ტექსტის სიმარტივისათვის (რადგან ნაშრომი არ იძლევა თითოეულ კრიტერიუმთან დაკავშირებით ფართოდ მსჯელობის საშუალებას), მიზანშეწონილია მათი ერთობლივად და ერთმანეთთან ურთიერთკავშირში განხილვა.

[1526] Case T-109/01, *Fleuren Compost BV v Commission* [2004] ECR II-127, ECLI:EU:T:2004:4, para 74.

[1527] Quigley QC, Connor, *European State Aid Law and Policy*, 3rd ed, Hart Publishing, 2015, p. 12; Case C-241/94, *France v Commission* [1996] ECR I-4551, ECLI:EU:C:1996:353, para. 34.

ა) სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედება – ბიუჯეტის განკარგვა;

ბ) შედეგი – ბაზრის მონაწილეთათვის მინიჭებული ეკონომიკური უპირატესობა;[1528]

გ) მიზეზშედეგობრივი კავშირი ზემოხსენებულ ქმედებასა და შედეგს შორის.

კრიტერიუმი	განმარტება
ქმედება: სახელმწიფო ბიუჯეტის განკარგვა	სახეზე უნდა იყოს საბიუჯეტო სახსრების პირდაპირი ან არაპირდაპირი [1529] განკარგვა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს: • საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაში (მაგალითად, გრანტის გაცემა),[1530] • ბიუჯეტის მიერ მიუღებელ შემოსავალში, თუ დახმარების გაცემა გულისხმობს იმ ვალდებულებებისგან გათავისუფლებას, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც მოხდებოდა ბიუჯეტის შევსება (მაგალითად, საგადასახადო ან სხვა მსგავსი შეღავათის დაწესება).[1531]
	დახმარების შედეგად ეკონომიკური აგენტი უნდა იღებდეს პირდაპირ ან არაპირდაპირ, [1533] დაუყოვნებლივ ან სამომავლო

[1528] ავტორის შენიშვნა: ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ეკონომიკური სარგებელი შეიძლება იყოს როგორც მატერიალური (მაგ. ფულად ერთეულში გამოხატული), ისე არამატერიალური (მაგ. გარკვეული უფლებების მინიჭება). დაწვრილებით აღნიშნულის შესახებ იხ. Säcker, Franz Jürgen, and Montag, Frank, European State Aid Law: Commentary, C.H.Beck/Hart/Nomos, 2016, pp. 110-262. იხ. ასევე Case C-39/94, *Syndicat français de l'Express international (SFEI) and others v La Poste and others* [1996] ECR I-3547, ECLI:EU:C:1996:285, para. 60; Case C-124/10 P, *European Commission v Électricité de France* (EDF) [2012] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2012:318, para. 78; დაწვრილებითი ანალიზისთვის ასევე იხილეთ ე.წ. „Market Economy Operator (MEO) Test", რომელიც მოცემულია დოკუმენტში Commission Notice on the notion of State aid as referred to in Article 107(1) of the Treaty on the Functioning of the European Union C/2016/2946, OJ C 262/1, 19.7.2016, paras 73-114.

[1529] Quigley QC, Connor, *European State Aid Law and Policy*, 3rd ed. Hart Publishing, 2015, pp. 18-20.

[1530] იქვე, გვ. 12.

[1531] იქვე, გვ. 13; იხილეთ ასევე Craig, Paul and De Burca, Grainne, *EU Law: Text, Cases and Materials*, 6th ed., Oxford Univesity Press, 2015, p. 1133.

შედეგი: ეკონომიკური უპირატესობა /სარგებელი[1532]	პირობადადებულ [1534] (ე.ი. მომავალში გარკვეული პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მისაღებ) ეკონომიკურ სარგებელს, რაც გამოიხატება: → ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური ან/და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, → თუ გაუმჯობესება ვერ მოხდებოდა ჩვეულებრივ საბაზრო პირობებში ეკონომიკური აგენტის ფუნქციონირების შედეგად.[1535] დახმარების გაცემის ფაქტის დადგენისთვის მნიშვნელოვანია სწორედ აღნიშნული შედეგის – ეკონომიკური სარგებლის/უპირატესობის არსებობა. თუ ეს შედეგი სახეზეა, მნიშვნელობა არ ენიჭება სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ზომის მიზანსა თუ ბუნებას.[1536]
მიზეზ-შედეგობრივი კავშირი	ბიუჯეტის სახსრების განკარგვა საკმარისად მკაფიოდ გამოხატულ კავშირში უნდა იყოს კონკრეტული ეკონომიკური აგენტის (ან აგენტების ჯგუფის) მიერ მიღებულ ეკონომიკურ ან/და ფინანსურ სარგებელთან.[1537]

„დახმარების" ცნების ფართო განმარტებიდან გამომდინარე, პრაქტიკაში გვხვდება მისი მრავალი ფორმა. მათგან ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმები მითითებულია ევროკავშირის

[1533] Craig, Paul and De Burca, Grainne, *EU Law: Text, Cases and Materials*, 6th ed., Oxford Univesity Press, 2015, p. 1135.

[1532] Case C-280/00, *Altmark Trans GmbH and Regierungspräsidium Magdeburg v Nahverkehrsgesellschaft Altmark GmbH, and Oberbundesanwalt beim Bundesverwaltungsgericht* [2003] ECR I-7747, ECLI:EU:C:2003:415, paras 75, 83-84.

[1534] Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, pp. 33-34; იხ. ასევე Case T-154/10, *France v Commission*, [2011], ECLI:EU:C:2011:533, para 124.

[1535] Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, pp. 33-34;

[1536] Säcker, Franz Jürgen, and Montag, Frank, *European State Aid Law: Commentary*, C.H.Beck/Hart/Nomos, 2016, p. 87; Quigley QC, Connor, *European State Aid Law and Policy*, 3rd ed, Hart Publishing, 2015, pp.: 24-27.

[1537] იქვე, pp.: 20-22.

სახელმწიფო დახმარების ანგარიშში (State Aid Scoreboard).[1538] მაგალითად, 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, ეს ფორმებია სახელმწიფო გრანტები, საგადასახადო შეღავათები (გადასახადისგან გათავისუფლება ან მისი გადავადება), საგარანტიო დოკუმენტების გაცემა, სესხების გაცემა შეღავათიანი პირობებით და სახელმწიფოს მიერ კერძო საწარმოებში კაპიტალის დაბანდება აქციების/წილების შეძენის გზით.[1539] ამავდროულად, სასამართლო პრაქტიკაში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო დახმარებად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური აგენტის მიერ ბაზარზე შეთავაზებული საქონლის/მომსახურების საფასურის ნაწილის ანაზღაურება, ბაზრის კვლევასა და საქონლის რეკლამირებაში სახელმწიფო რესურსების შეღავათიანი ფასებით სარგებლობაზე თანხმობის გაცემა, კონკრეტული ინდუსტრიებისთვის ვალუტის კურსის მერყეობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, გარემოს დაცვის საკითხებში რიგი ეკონომიკური აგენტებისადმი ლიბერალური დამოკიდებულება და სხვ.[1540]

ტერმინ „დახმარების" ანალოგიურად, ფართოდ განიმარტება ტერმინი „სახელმწიფოც".[1541] კერძოდ, განმარტება მოიცავს როგორც ცენტრალური ხელისუფლების აპარატს, ისე რეგიონალური თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს,[1542] საჯარო სამართლის იურიდიული პირებსა[1543] და სახელმწიფო საწარმოებსაც კი,[1544] თუ ამ უკანასკნელთა მიერ დახმარების გაცემა ხდება სახელმწიფო ზეგავლენის საფუძველზე.[1545] ხსენებული

[1538] იხ. http://ec.europa.eu/competition/state_aid/scoreboard/index_en.html#what, ნახვის თარიღი 03.03.2019.

[1539] EU Commission, State Aid Scoreboard 2018, http://ec.europa.eu/competition/state_aid/scoreboard/state_aid_scoreboard_2018.pdf, გვ. 21.

[1540] Quigley QC, Connor, *European State Aid Law and Policy*, 3rd ed, Hart Publishing, 2016, pp.: 15-16; იხილეთ ასევე Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, pp.: 20-22.

[1541] Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, p. 62.

[1542] Case 248/84, *Germany v Commission* [1987] ECR 4013, ECLI:EU:C:1987:437, para. 17.

[1543] Quigley QC, Connor, *European State Aid Law and Policy*, 3rd ed, Hart Publishing, 2015, p. 16.

[1544] Case C-482/99, *France v Commission* [2002] ECR I-4397, ECLI:EU:C:2002:294, para 38.

[1545] Quigley QC, Connor, *European State Aid Law and Policy*, 3rd ed, Hart Publishing, 2015, p. 29.

ზეგავლენის არსებობა დგინდება ყოველ საქმეზე ცალ-ცალკე, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.[1546]

საბოლოოდ, დახმარება სახელმწიფოს მიერ/სახელმწიფო რესურსებიდან გაცემულად ითვლება, თუ დახმარების გაცემა (პირდაპირ ან ირიბად) მიეწერება სახელმწიფოს – მაგალითად, თუ სახელმწიფო დახმარების გაცემის მიზნით გამოსცემს სამართლებრივ აქტს, აარსებს მსგავსი დახმარების გაცემის ფუნქციებით აღჭურვილ დამოუკიდებელ ორგანოს, ზემოქმედებს მის მფლობელობაში არსებულ კერძო კომპანიებზე, რათა ამ უკანასკნელებმა გასცენ დახმარება და ა.შ.[1547] აქვე ხაზგასასმელია, რომ თუ სახელმწიფო დახმარებას გასცემს ევროკავშირის მიერ დაკისრებული ვალდებულების შესრულების მიზნით, მსგავსი ქმედება არ ჩაითვლება სახელმწიფო დახმარებად TFEU 107(1) მუხლის მიზნებისათვის.[1548]

III და V კრიტერიუმები – *კონკურენციის შეზღუდვა/მსგავსი შეზღუდვის საფრთხის შექმნა და გავლენა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე*

როგორც TFEU 107(1) მუხლის შინაარსიდან იკვეთება, ევროკავშირში სახელმწიფო დახმარება კანონსაწინააღმდეგოა, თუ მას შედეგად მოჰყვება კავშირის შიდა ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა ან მსგავსი შეზღუდვის საფრთხის შექმნა. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო დახმარების სამართლებრივი შეფასებისას ყურადღება ყოველთვის ექცევა მის (პოტენციურ) შედეგს – განსხვავებით კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების მარეგულირებელი დებულებებისაგან, რომელთა მიხედვითაც კონკურენციის შეზღუდვის მიზანი საკმარისია დარღვევის დასადგენად.

[1546] Case C-482/99, *France v Commission* [2002], ECR I-4397, ECLI:EU:C:2002:294, para 55; Case C-242/13, *Commerz Nederland NV v Havendbedrijf Rotterdam NV* [2014] Digital Reports of the Court, ECLI:EU:2014:2224, para 32.

[1547] Quigley QC, Connor, *European State Aid Law and Policy*, 3rd ed, Hart Publishing, 2016, pp.: 27-32; იხილეთ ასევე Säcker, Franz Jürgen, and Montag, Frank, *European State Aid Law: Commentary*, C.H.Beck/Hart/Nomos, 2016, pp.: 154-162.

[1548] Quigley QC, Connor, *European State Aid Law and Policy*, 3rd ed, Hart Publishing, 2016, pp.: 32-33.

ზემოხსენებული შედეგის დადგომა დგინდება (ან მისი დადგომის ალბათობა იზომება) იმის მიხედვით, სახელმწიფო დახმარების მეშვეობით ხდება თუ არა კონკრეტული ეკონომიკური აგენტის ან ეკონომიკურ აგენტთა ჯგუფის მიერ საბაზრო პოზიციების გამყარება, ან იქმნება თუ არა აღნიშნულის შესაძლებლობა,[1549] რაც ფასდება თითოეულ საქმესთან მიმართებით ცალ-ცალკე, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

აღსანიშნავია, რომ კონკურენციის შეზღუდვის კრიტერიუმის დაკმაყოფილება საკმაოდ ადვილია. კონკრეტულად, კონკურენციაზე პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის ჩვენებაც კი საკმარისია, რადგან „საფრთხის შექმნა" ექცევა 107(1) მუხლის რეგულირების ფარგლებში.[1550]

ანალოგიურად, ადვილია წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე გავლენის კრიტერიუმის დაკმაყოფილებაც. კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად ითვლება არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო დახმარების მიმღები ეკონომიკური აგენტი დაკავებულია ევროკავშირის მინიმუმ ორ წევრ სახელმწიფოში ვაჭრობით, არამედ მაშინაც, თუ შესაბამისი ბაზარი, რომლის მონაწილის (ან მონაწილეთა ჯგუფის) მიმართ მოხდა სახელმწიფო დახმარების გაცემა, არა ადგილობრივი, არამედ ევროკავშირის/საერთაშორისო დონის ბაზარზე. წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე გავლენის კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც დახმარების გაცემის მომენტში მსგავსი სახის ვაჭრობა ჯერ არ ხორციელდება, თუმცა არსებობს სახელმწიფოთაშორისი ვაჭრობის დაწყების/გაინტენსიურების დასაბუთებული ვარაუდი. ამავდროულად, ხსენებული კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, თუ

[1549] Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, pp.: 84-85; იხილეთ ასევე Case 730/79, *Phillip Morris v Commission* [1980] ECR 2671, ECLI:EU:C:1980:209, para. 11.

[1550] Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, pp.: 82-83.

სახელმწიფო დახმარება მიემართება აშკარად ადგილობრივ (ლოკალურ) შესაბამის ბაზრებსა და მასზე მოქმედ სუბიექტებს.[1551]

განსახილველ ორ კრიტერიუმთან მიმართებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ სახელმწიფო დახმარების შედარებით მცირე ოდენობა ან/და მისი მიმღები ეკონომიკური აგენტის შედარებით მცირე ზომა ავტომატურად არ გამორიცხავს TFEU 107(1) მუხლში მოცემული ვალდებულებისგან გათავისუფლებას. [1552] ამავდროულად, პრაქტიკამ აჩვენა, რომ რიგი სახელმწიფო დახმარებები, მათი მცირე ოდენობიდან გამომდინარე, როგორც წესი, გავლენას ვერ ახდენენ კონკურენციაზე და წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე.

შედეგად, ევროკომისიამ 2001 წლიდან დაარეგულირა[1553] ე.წ. უმნიშვნელო ოდენობის (*de minimis*) სახელმწიფო დახმარება.[1554] ხსენებული რეგულაციის თანახმად, ტერმინი „უმნიშვნელო ოდენობა" მიემართება როგორც ევროკავშირის შიდა ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის, ისე წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე ზეგავლენის მოხდენის კრიტერიუმებს. [1555] მსგავსი წესით იყენებს ხსენებულ რეგულაციას ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოც.[1556]

[1551] Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, გვ.: 86-88.

[1552] Säcker, Franz Jürgen, and Montag, Frank, *European State Aid Law: Commentary*, C.H.Beck/Hart/Nomos, 2016, p. 230; მაგალითისთვის, იხილეთ, Case C-156/98, *Germany v Commission* [2000] ECR I-6857, ECLI:EU:C:2000:467, para 39.

[1553] COMMISSION REGULATION (EC) NO 69/2001 OF 12 JANUARY 2001 ON THE APPLICATION OF ARTICLES 87 AND 88 OF THE EC TREATY TO DE MINIMIS AID, OJ L 10/30, 13.01.2001.

[1554] ავტორის შენიშვნა: თავდაპირველი რეგულაცია განახლდა ორჯერ – პირველად, 2006 წელს (იხილეთ Commission Regulation (EC) No 1998/2006 of 15 December 2006 on the application of Articles 87 and 88 of the Treaty to de minimis aid, OJ L379/5, 28.12.2006), ხოლო შემდგომში – 2013 წელს (იხილეთ Commission Regulation (EU) No 1407/2013 of 18 December 2013 on the application of Articles 107 and 108 of the Treaty on the Functioning of the European Union to de minimis aid, OJ L 352/1, 24.12.2013). ამჟამად მოქმედებს 2013 წლის რეგულაცია, რომელიც ძალაშია 2020 წლის ჩათვლით.

[1555] Commission Regulation (EU) No 1407/2013 of 18 December 2013 on the application of Articles 107 and 108 of the Treaty on the Functioning of the European Union to de minimis aid, OJ L 352/1, 24.12.2013, recital 3.

[1556] Quigley QC, Connor, *European State Aid Law and Policy*, 3rd ed, Hart Publishing, 2016, p. 92.

განსახილველი რეგულაციის თანახმად, გარდა რიგი სექტორებისა (მაგალითად, თევზჭერა და სოფლის მეურნეობა),[1557] ერთი ეკონომიკური აგენტის მიმართ გაცემული სახელმწიფო დახმარება უმნიშვნელოდ ითვლება, თუ დახმარების ოდენობა არ აღემატება 200.000 ევროს ნებისმიერი 3 ფისკალური წლის განმავლობაში. [1558] ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ზომები არ აკმაყოფილებს TFEU 107(1) მუხლის კრიტერიუმებს და შესაბამისად, არ ექვემდებარება TFEU 108(3) მუხლით გათვალისწინებული წინასწარი შეტყობინების პროცედურას.[1559]

<u>IV კრიტერიუმი</u> – გარკვეული ეკონომიკური აგენტებისთვის ან გარკვეული საქონლის წარმოებისთვის უპირატესობის მინიჭება

ევროკავშირის მართლმსაჯულების განმარტებით, განსახილველი კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად სახეზე უნდა იყოს შერჩევითი უპირატესობა [1560] – ე.ი. ეკონომიკურ აგენტს უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს მის შესადარ/მსგავს სამართლებრივ და ეკონომიკურ სიტუაციაში მყოფ პირებთან მიმართებით.[1561]

დასაწყისისთვის უნდა აღინიშნოს, რომ შერჩევითი უპირატესობის მიმნიჭებლად ვერ ჩაითვლება სახელმწიფო ზომები, რომლებიც სახელმწიფოს შიგნით მოქმედ ყველა სუბიექტს ანიჭებს ერთსა და იმავე სახის ეკონომიკურ უპირატესობას (ანუ, ე.წ. "ზოგადი სახის ზომები"), [1562] მიუხედავად იმისა, ხსენებული უპირატესობით ისარგებლებს ყველა, თუ მხოლოდ

[1557] Commission Regulation (EU) No 1407/2013 of 18 December 2013 on the application of Articles 107 and 108 of the Treaty on the Functioning of the European Union to de minimis aid, OJ L 352/1, 24.12.2013, article 1 and article 3(2), para 2.

[1558] იქვე, მუხლი 3(2), პარაგრაფი 1.

[1559] იქვე, მუხლი 3(1).

[1560] Commission Notice on the notion of State aid as referred to in Article 107(1) of the Treaty on the Functioning of the European Union C/2016/2946, OJ C 262/1, 19.7.2016, para. 117.

[1561] Quigley QC, Connor, *European State Aid Law and Policy*, 3rd ed, Hart Publishing, 2016, p. 64; იხილეთ ასევე Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, p. 71.

[1562] იხილეთ, მაგალითად Case C-66/02, Italy v Commission [2005] ECR I-10901, ECLI:EU:C:2005:768, para. 99.

უპირატესობამინიჭებულთა ნაწილი.[1563] ამავდროულად, ერთი შეხედვით ზოგადი ზომები, რომლებიც იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ ერგება მხოლოდ ერთ ეკონომიკურ აგენტს ან აგენტების მცირე ჯგუფს (ე.წ. *de facto* შერჩევითი ზომები[1564]), მაინც ექცევა TFEU 107(1) მუხლის რეგულირების ფარგლებში.[1565] ხსენებული მუხლის რეგულირებას, თავისთავად ცხადია, ექვემდებარება კონკრეტული ეკონომიკური აგენტისათვის ad hoc გადაწყვეტილებით დახმარების გაწევა – ამ დროს შერჩევითობა შედარებით აშკარაა.[1566]

ევროკომისიის სახელმწიფო დახმარების გზამკვლევის თანახმად, შერჩევითობის დგინდება შემდეგი სამსაფეხურიანი ანალიზით:[1567]

ანალიზის კონკრეტული საფეხური	განმარტება
I საფეხური *ზოგადი წესების სისტემის განსაზღვრა (ე.წ. „System of reference")*	➢ უნდა განისაზღვროს იმ ზოგადი წესების ერთობლიობა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა დახმარება მაგ., სახელმწიფო დახმარება შეიძლება გამოიხატოს კონკრეტული ეკონომიკური აგენტის ე.წ. „გარემოს დაბინძურების გადასახადისგან" გათავისუფლებაში. მსგავსი დახმარების კანონიერების ანალიზისას, რელევანტური ზოგადი წესების სისტემა იქნება გადასახადის ამ კონკრეტული სახის მარეგულირებელი სისტემა - შერჩევითობა უნდა დადგინდეს ამ სისტემასთან მიმართებით.

[1563] Quigley QC, Connor, *European State Aid Law and Policy*, 3rd ed, Hart Publishing, 2016, p. 67.
[1564] Commission Notice on the notion of State aid as referred to in Article 107(1) of the Treaty on the Functioning of the European Union C/2016/2946, OJ C 262/1, 19.7.2016, para. 121-122.
[1565] იქვე, გვ. 68.
[1566] იქვე. გვ. 64. იხილეთ ასევე Case C-15/14P, Commission v MOL Magyar [2015] , para 60.
[1567] Commission Notice on the notion of State aid as referred to in Article 107(1) of the Treaty on the Functioning of the European Union C/2016/2946, OJ C 262/1, 19.7.2016, para. 128 and paras 132-141.

II საფეხური *სისტემიდან გადახვევის დადგენა* *(ე.წ. „Prima facie“ – შერჩევითობის დადგენა)*	➢ გადახვევა სახეზეა, თუ ზემოთ აღწერილი სისტემის მიზნებისათვის სამართლებრივად და ფაქტობრივად შესადარ/მსგავს სიტუაციაში მყოფი პირებიდან ერთ-ერთის ან რამდენიმესთვის ხდება უპირატესობის მინიჭება. მაგ., თუ გადასახადი უნდა გადაიხადოს ყველა ეკონომიკურმა აგენტმა, რომელიც პროდუქციის წარმოებისას ნებისმიერი სახის ქიმიკატით აბინძურებს გარემოს, ითვლება, რომ ეს უკანასკნელნი სამართლებრივად და ფაქტობრივად შესადარ/მსგავს სიტუაციაში იმყოფებიან ამ კონკრეტული გადასახადის გადახდის საკითხში. შესაბამისად, მათი ნაწილის გადასახადისგან გათავისუფლება ჩაითვლება *Prima facie* შერჩევით დამოკიდებულებად.
III საფეხური *გადახვევის გაუმართლებლობის დადასტურება*	➢ ზოგადი წესების სისტემიდან გადახვევა გამართლებულია, თუ ეს გადახვევა განსახილველი წესების ზოგადი სისტემის ბუნებითაა განპირობებული მაგ., ზემოხსენებული „დაბინძურების გადასახადის“ მარეგულირებელი ზოგადი წესების სისტემა შესაძლოა უშვებდეს შეღავათებს მცირე საწარმოებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ დაბინძურების კანონით განსაზღვრულ კოეფიციენტზე დაბალი მაჩვენებელი. ასეთ დროს, შეღავათი არ ჩაითვლება ზოგადი წესიდან გაუმართლებელ გადახვევად. წინააღმდეგ შემთხვევაში, უპირატესობა შერჩევითია.

საბოლოოდ, ხაზგასასმელია, რომ შერჩევითი უპირატესობის კრიტერიუმი მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ეკონომიკური უპირატესობის კრიტერიუმისგან.[1568] ეს უკანასკნელი გამოიყენება იმის დასადგენად, სახეზეა თუ არა TFEU 107(1) მუხლით განსაზღვრული „ნებისმიერი სახის დახმარება" (II კრიტერიუმი), მაშინ, როდესაც პირველი მათგანი გვიჩვენებს, გაიცემა თუ არა ეს დახმარება მხოლოდ ერთ ეკონომიკურ აგენტზე (ან მათ მცირე ჯგუფზე), როცა მის მსგავს მდგომარეობაში მყოფი სხვა ეკონომიკური აგენტები აღნიშნული დახმარების მიმღებებს არ წარმოადგენენ (IV კრიტერიუმი). სასამართლო ხსენებულ ორ კრიტერიუმთან დაკავშირებით ყოველთვის ცალ-ცალკე მსჯელობს. შესაბამისად, სახელმწიფო დახმარების კანონსაწინააღმდეგოობის დასადგენად, აუცილებელია სახეზე იყოს როგორც ეკონომიკური, ისე შერჩევითი უპირატესობა.

შეჯამების სახით, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში სახელმწიფო დახმარების განმსაზღვრელ ოთხ კრიტერიუმთან დაკავშირებული აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკა მუდმივად ვითარდება და კონკრეტდება. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ევროკავშირის კონკურენციის პრაქტიკაში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში წინ წამოწეული ე.წ. *"more economic approach"* მიდგომასთან მიმართებით.[1569] კერძოდ, იკვეთება, რომ ეკონომიკური მონაცემების ანალიზის უფრო ინტენსიურად გამოყენება შესაძლებელია სახელმწიფო დახმარების განმსაზღვრელი რიგი კრიტერიუმების – მაგალითად, დახმარების გაცემის შედეგად კონკურენციის შეზღუდვის - დასადგენად.[1570] ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული კონკრეტული ქმედების სახელმწიფო

[1568] Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, p. 69; იხ. ასევე Case C-15/14P, *Commission v MOL Magyar* [2015], ECLI:EU:C:2015:362, para 59.

[1569] აღნიშნულ საკითხზე ჯერ კიდევ 2008 წელს საინტერესო ანგარიში აქვს შემუშავებული გერმანიის კონკურენციის ერთ-ერთ მარეგულირებელ ორგანოს, მონოპოლიების კომისიას (Monopolkommission). იხ. Monopolkommission, The "More Economic Approach" in European State Aid Control, Translated Version of Chapter VI of the Biennial Report 2006/2007, Bonn, Germany, 2008, http://ec.europa.eu/competition/state_aid/reform/monopolkommission_en.pdf, ნახვის თარიღი 16.02.2019.

[1570] Säcker, Franz Jürgen, Montag, *European State Aid Law: Commentary*, C.H.Beck/Hart/Nomos, 2016, p. 33.

დახმარებად მიჩნევის პროცესში, ევროკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აღნიშნული ქმედებების საბაზრო შედეგებს – როგორც ეს მითითებულია TFEU 107(1) მუხლში.

ბ) ევროკავშირისეული „სახელმწიფო დახმარება" და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისეული „სუბსიდია" – მსგავსებები და განსხვავებები

როგორც ევროკავშირის კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზიდან ჩანს, ტერმინი „სახელმწიფო დახმარება" აღნიშნულ იურისდიქციაში საკმაოდ სპეციფიკურადაა განმარტებული. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორისათვის სახელმწიფოს მიერ გაწეულ შეღავათებს მხოლოდ ევროკავშირი არ არეგულირებს. მსგავსი ქმედებები პრობლემატურად ითვლება საერთაშორისო ვაჭრობის დროსაც,[1571] რადგან ისინი ქმნიან არახელსაყრელ საბაზრო/სავაჭრო პირობებს ეროვნული საქონლის/ადგილობრივი მწარმოებლების უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენების გზით. შესაბამისად, ხსენებული შეღავათების რეგულირებას უკვე დიდი ხანია აწარმოებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (შემდგომში – „ვმო").[1572] ამ მიმართულებით, დღეს მოქმედ მთავარ საერთაშორისო აქტს წარმოადგენს ტარიფებსა და ვაჭრობაზე ზოგადი შეთანხმების (General Agreement on Tariffs and Trade; შემდგომში – „GATT") ფარგლებში შემუშავებული სუბსიდიებისა და საპირწონე ზომების შესახებ შეთანხმება (შემდგომში – „სუბსიდიების შეთანხმება").[1573]

ევროკავშირის სამართლით რეგულირებულ სახელმწიფო დახმარებას და ვმო-ს საერთაშორისო შეთანხმებებით რეგულირებულ სუბსიდიებს ბევრი საერთო ნიშანი აქვს. კერძოდ, როგორც სახელმწიფო დახმარების, ისე სუბსიდიების გაცემა მიეწერება სახელმწიფოს (ფართო გაგებით), ორივე მათგანი

[1571] Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, p. 133.
[1572] Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, გვ.: 133-135.
[1573] Uruguay Round of Multilateral Trade Negotiations (1986-1994), Annex 1, Annex 1A – Agreement on Subsidies and Countervailing Measures [1994] OJ L 336/156.

წარმოადგენს გარკვეულ შეღავათს ბაზრის კონკრეტული მონაწილის/მონაწილეთა კონკრეტული ჯგუფისათვის, ორივე მათგანი გავლენას ახდენს ვაჭრობის/კონკურენციის ბუნებრივ პროცესზე და ა.შ.[1574] ტერმინთა შინაარსის მსგავსებას ხელს უწყობს ისიც, რომ ევროკავშირი, როგორც ორგანიზაცია, ვმო-ს წევრი და სუბსიდიების შეთანხმების ხელმომწერი მხარეა.[1575]

თუმცა, ტერმინებს შორის არსებობს მრავალი განსხვავებაც. პირველ რიგში, ხაზგასასმელია რეგულირების მიზნები: ევროკავშირი, როგორც სუპრანაციონალური ორგანიზაცია, არეგულირებს სახელმწიფო დახმარებას საკუთარი ერთიანი ბაზრის დაცვის მიზნით, ხოლო ვმო, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, არეგულირებს სუბსიდიებს იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელნი ხელს უშლიან მის ორ წევრ ქვეყანას შორის ვაჭრობას.[1576]

ხსენებული იწვევს მრავალ კონკრეტულ განსხვავებას როგორც მატერიალური, ისე პროცედურული კუთხით. განსხვავებათა ნაწილი მოცემულია ქვემოთ:

სახელმწიფო დახმარება		სუბსიდია
გაიცემა სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფო რესურსებიდან		ვმო „სახელმწიფო რესურსებიდან გაცემული“ სუბსიდიის ცნებას არ იცნობს
ზღუდავს კონკურენციას ან ქმნის მსგავსი ზიანის საფრთხეს		სახეზეა (საერთაშორისო ვაჭრობისთვის)

[1574] Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, p. 146.

[1575] ავტორის შენიშვნა: სუბსიდიების შეთანხმება ევროკავშირში მოწესრიგებულია რეგულაციით: Regulation (EU) 2016/1037 of the European Parliament and of the Council of 8 June 2016 on protection against subsidised imports from countries not members of the European Union, OJ L 176/55, 30.06.2016.

[1576] ევროკავშირისა და ვმო-ს შემადგენლობას, მიზნებსა და ფუნქციებს შორის განსხვავებებთან დაკავშირებით იხილეთ: Rubini, Luca, *The Definition of Subsidy and State Aid: WTO and EC Law in Comparative Perspective*, Oxford University Press, 2009, pp.: 27-33. კონკრეტულად სახელმწიფო დახმარებისა და სუბსიდიების კონტროლს შორის სხვაობისთვის იხილეთ იგივე დოკუმენტი, გვ.: 37-67.

მიყენებული ზიანი ეხება მხოლოდ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულ კონკრეტულ საქონელს (და არა მომსახურებას ან კაპიტალს)	შესაძლოა ეხებოდეს მთლიან სექტორს ან კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტს, რომელიც ფუნქციონირებს არაერთ შესაბამის ბაზარზე
რეგულირდება განცალკევებული შემთხვევები, ex post – სუბსიდიების შეთანხმების დარღვევის შესახებ ვმო-ს წევრი ქვეყნის მიერ საჩივრის წარდგენის შემთხვევაში	რეგულირდება სისტემატურად და ex-ante – ანუ ექვემდებარება კომისიასთან წინასწარ შეტყობინებას/შეთანხმებას, გარდა ნორმატიულად გაწერილი გამონაკლისებისა
გამონაკლისები არ არსებობს	დასაშვებია გამონაკლისები (მაგალითად, უმნიშვნელო ოდენობა; ჯგუფური გამონაკლისები; გამართლებული დახმარება)
შესაძლებელია სუბსიდიის გამცემისთვის საპირწონე ზომების დაკისრება	ექვემდებარება ამოღებას, თუ გაცემულია ევროკავშირის შესაბამისი ნორმების დარღვევით
მსგავსი კონტროლი არ არსებობს	კონტროლდება ცენტრალიზებულად, ადმინისტრაციული წესით, სუპრანაციონალური ორგანოს მიერ
კონტროლდება დავების გადაწყვეტის ორგანოს მიერ, სადაც დაზიანებული	სასამართლო კონტროლი გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს

(კომისიის) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადახედვას	ქვეყანა პირდაპირ ედავება სუბსიდიის გამცემ ქვეყანას

როგორც ზემოთ მოცემული არასრული ჩამონათვალიდან[1577] ჩანს, განსხვავება ამ ორ ინსტიტუტს შორის საკმაოა. უფრო მეტიც, კომენტატორთა აზრით, ხსენებულმა განსხვავებამ შეიძლება გამოიწვიოს შემთხვევები, როდესაც ევროკავშირისთვის მისაღები სახელმწიფო დახმარება წარმოადგენს ვმო-სთვის მიუღებელ სუბსიდიას ან პირიქით. შედეგად, სიფრთხილეა საჭირო ხსენებული ტერმინების ალტერნატივებად გამოყენების კუთხით.

გ) საქართველო – სახელმწიფო დახმარება/სუბსიდია

ტერმინები „სახელმწიფო დახმარებისა“ და „სუბსიდიის“ საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებული განმარტებების ანალიზის შემდგომ, სასურველია გამოიკვეთოს საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში არსებულ განმარტებასთან დაკავშირებული პრობლემებიც.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, *„აკრძალულია ეკონომიკური აგენტისათვის ან კონკრეტული სახის საქმიანობისათვის სახელმწიფო დახმარება ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას“*. ეს ფორმულირება წარმოადგენს TFEU 107(1) მუხლის ანალოგს. თუმცა, ევროკავშირსა და საქართველოში გამოყენებულ ფორმულირებებს შორის შეიმჩნევა რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავებაც.

პირველ რიგში, კანონის მე-12 მუხლი არ შეიცავს ჩანაწერს „სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფო რესურსებიდან გაცემული“ დახმარების შესახებ. აღნიშნული ნაწილობრივ გამოსწორებულია

[1577] წყარო: Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, p. 146-147; Säcker, Franz Jürgen, and Montag, Frank, *European State Aid Law: Commentary*, C.H.Beck/Hart/Nomos, 2016, p. 71-82. დაწვრილებითი ანალიზისთვის იხილეთ: Rubini, Luca, *The Definition of Subsidy and State Aid: WTO and EC Law in Comparative Perspective*, Oxford University Press, 2009, pp.: 200-418.

კანონის მე-3 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტში მოცემული ტერმინით „სახელმწიფო დახმარების გამცემი“, რომელიც ევროკავშირის მსგავსად ფართოდ განმარტავს დახმარების გამცემი ორგანოს ცნებას. [1578] შესაბამისად, აშკარაა, რომ საქართველოს კანონმდებლობა იცნობს „სახელმწიფოს მიერ“ გაცემული დახმარების კრიტერიუმს, ევროკავშირის კანონმდებლობის მსგავსად. ამავდროულად, ინტერპრეტაციის საკითხად რჩება, სურს თუ არა ქართველ კანონმდებელს „სახელმწიფო რესურსებიდან გაცემული“ დახმარების კანონის მე-12 მუხლის რეგულირების სფეროში მოქცევა.[1579]

უშუალოდ ტერმინ „დახმარების“ განმარტებისას, ბუნდოვანია ორი საკითხი:

(1) განსხვავებით ევროკავშირის კანონმდებლობისგან, სადაც დახმარებად შესაძლოა ჩაითვალოს სახელმწიფოს მიერ

[1578] “სახელმწიფო დახმარების გამცემი – სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სახელმწიფოს 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო ან სახელმწიფოს სახელით მოქმედი შუამავალი ეკონომიკური აგენტი, რომელიც სახელმწიფო დახმარების გაცემის მიზნით პირდაპირ ან არაპირდაპირ იყენებს უფლებამოსილებას.“

[1579] ავტორის შენიშვნა: ევროკავშირში, კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ძირითადად ხორციელდება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ, რომლის განმარტებებსაც მბოჭავი ძალა გააჩნია და შესაბამისად, სავალდებულოა შესასრულებლად. ამავდროულად, სასამართლო ინტერპრეტაციასაც გააჩნია საკუთარი საზღვრები. მაგალითად, მართლმსაჯულების სასამართლოს შეუძლია განმარტოს, თუ რას ნიშნავს „სახელმწიფო რესურსებიდან გაცემული“ დახმარება, რადგან ხსენებული ფრაზა ჩაწერილია შესაბამის კანონმდებლობაში (ამ შემთხვევაში, TFEU 107(1) მუხლში). ამავდროულად, სასამართლოს უფლება არა აქვს, ინტერპრეტაციის მეშვეობით სახელმწიფო დახმარების ცნების განმარტების პროცესში შემოიღოს განმარტების დამატებითი (არსებულთაგან განსხვავებული) კრიტერიუმები. ხსენებული მნიშვნელოვანია საქართველოს კონტექსტშიც – განხილვის საგანია, თუ რამდენად იცნობს ეროვნული კანონმდებლობა აღმასრულებელი/სასამართლო ორგანოებისთვის მინიჭებული ისეთი ფართო ინტერპრეტაციის უფლებას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება, კანონში პირდაპირი ჩანაწერის არარსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო დახმარების განსაზღვრისათვის საჭირო კონკრეტული კრიტერიუმების შემოღება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის განმარტების კუთხით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს კომპეტენციები საქართველოს სასამართლოებთან შედარებით გაცილებით ფართოა. საბოლოოდ, განსახილველია ისიც, თუ რამდენადაა მიზანშეწონილი ზემოთ აღწერილი ფართო ინტერპრეტაციის უფლებამოსილების აღმასრულებელი უწყების ან/და სასამართლოს ხელში დატოვება. ამ მხრივ, სავარაუდოდ, ყველაზე სწორი გზა საკანონმდებლო ცვლილებებია, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს კონკრეტული ქმედების სახელმწიფო დახმარებად მიჩნევის კრიტერიუმების განსაზღვრა (ისე, როგორც ეს გაკეთებულია TFEU 107(1) მუხლში).

განხორციელებული ნებისმიერი ზომა, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტი სახელმწიფო დახმარებად/სუბსიდიად მიიჩნევს „ეკონომიკური აგენტის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას“. ინტერპრეტაციის საკითხია, თუ რამდენად ფართოდ შეიძლება განიმარტოს ტერმინი „გადაწყვეტილება“. ამავდროულად, აშკარაა, რომ განმარტება ვერ მოიცავს სახელმწიფოს მიერ გატარებულ ნებისმიერ ზომას.

(2) TFEU 107(1) მუხლისგან განსხვავებით, მე-3 მუხლის "ს“ ქვეპუნქტიდან აშკარად არ ჩანს, რომ დახმარება ეკონომიკურ სარგებელს გულისხმობს. შესაძლოა ვეცადოთ მსგავსი ინტერპრეტაციის გაკეთებას იმის საფუძველზე, რომ ხსენებულ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ქმედებებიდან ყველა წარმოადგენს ეკონომიკური აგენტისთვის გარკვეული ეკონომიკური სარგებლის მინიჭებას და ლოგიკურად, ჩამონათვალში არარსებული სხვა ქმედებებიც მსგავსი სარგებლით უნდა ხასიათდებოდნენ. თუმცა პირდაპირი საკანონმდებლო ჩანაწერის არარსებობის პირობებში მსგავსი ინტერპრეტაცია რთულია.

ასევე, აღსანიშნავია, რომ არც მე-12 მუხლი და არც მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტი არ მოიცავს ევროკავშირის კანონმდებლობით (და, გარკვეულწილად, ვმო-ს სუბსიდიების შეთანხმებით) გათვალისწინებული შერჩევითი უპირატესობის კრიტერიუმს. აღნიშნული ფაქტი პრობლემატურია, რადგან დახმარების გაცემის შერჩევითი ხასიათი ევროკავშირსა და ვმო-ში ხსენებული დახმარების კანონსაწინააღმდეგოობის დადგენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამავდროულად, მართალია, კანონმდებლობით დადგენილია სახელმწიფო დახმარების გაცემისას არადისკრიმინაციულობის პრინციპის დაცვის ვალდებულება (რაც დისკრიმინაციული შერჩევითობის გამორიცხვას გულისხმობს), თუმცა ხსენებული ვრცელდება მხოლოდ მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული

სახელმწიფო დახმარების კონკრეტულ სახეებზე და არა ყველა სახის სახელმწიფო დახმარებაზე.[1580]

პრობლემატურია აგრეთვე კანონის ჩანაწერი სახელმწიფო დახმარებისა და სუბსიდიის გაიგივებაზე. როგორც ხსენებული ტერმინების საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებული განმარტებების შედარებითი ანალიზიდან გამოჩნდა, მსგავსებების გარდა, მათ შორის არსებობს საკმაოდ ბევრი განსხვავებაც, რაც ხსენებული ტერმინების იდენტურობას გამორიცხავს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასოცირების შეთანხმების[1581] თანახმად, საქართველოს ევროკავშირის წინაშე აღებული აქვს ვმოს „სუბსიდიების შეთანხმებით" განსაზღვრული სუბსიდიების[1582] გაცემის პროცესში გამჭვირვალობის დაცვისა და გაცემული სუბსიდიების შესახებ ინფორმაციის 2 წელიწადში ერთხელ ევროკავშირისათვის მიწოდების ვალდებულება.[1583] სახელმწიფო დახმარების ნაწილში შესაბამისი კანონმდებლობის ამოქმედება-აღსრულების ვალდებულებას ასოცირების შეთანხმება არ ითვალისწინებს, განსხვავებით სახელმწიფოს მიერ კონკურენციის დაცვასთან დაკავშირებული სხვა ზომებისა.[1584] ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ სახელმწიფო დახმარება ევროკავშირისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ინსტიტუტია, რომლის ანალოგის ეროვნულ კანონმდებლობაში შექმნაც რთულია. ამავდროულად, ასოცირების შეთანხმებაში სუბსიდიების მოხსენიება და სახელმწიფო დახმარების მოუხსენებლობა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ხსენებული ორი ტერმინის განსხვავებასა და მათი ცალ-ცალკე დარეგულირების აუცილებლობას.

[1580] საქართველოს მთავრობის №529 დადგენილება „ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ", მუხლი 2 და მუხლი 3, პუნქტი 3.

[1581] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი), 11.09.2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0, ნახვის თარიღი 02.02.2019.

[1582] ავტორის შენიშვნა: ასოცირების შეთანხმების 206(1) მუხლის თანახმად, ამ შეთანხმების მიზნებისათვის, „სუბსიდია" ეწოდება როგორც კონკრეტული საქონლის, ისე კონკრეტული მომსახურების მიმართ გატარებულ ზომას.

[1583] ასოცირების შეთანხმება, მუხლი 206(2).

[1584] იქვე, მუხლი 205.

3.3. გამონაკლისები სახელმწიფო დახმარების შეთანხმების ვალდებულებისგან

როგორც სახელმწიფო დახმარებისა და სუბსიდიების ტერმინების ევროკავშირის/საერთაშორისო დონეზე მიღებული განმარტებების შედარებისას აღინიშნა, სახელმწიფო დახმარების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია შესაბამისი გამონაკლისების არსებობა. ხსენებული გამონაკლისები ევროკავშირში რეგულირდება TFEU 107(2) და 107(3) მუხლებით, ხოლო საქართველოში – „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით. ორივე იურისდიქციაში, ხსენებული დებულებები დაკონკრეტებულია დამატებითი აქტებით. გამონაკლისებთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები მიმოხილულია ქვემოთ.

ა) ევროკავშირი

ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, თუ კონკრეტული ზომა სახელმწიფო დახმარებად იქნა მიჩნეული TFEU 107(1) მუხლის შესაბამისად, ის მაინც შეიძლება ჩაითვალოს შიდა ბაზართან თავსებადად (ე.ი. დაშვებულ იქნას) გარკვეულ შემთხვევებში. ეს შემთხვევები იყოფა ორ კატეგორიად. პირველს მიეკუთვნება ე.წ. სავალდებულო გამონაკლისები – ანუ შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო დახმარების გაცემა გამართლებულია. ხსენებული სახის გამონაკლისები რეგულირდება TFEU 107(2) მუხლით.

TFEU 107(2) მუხლით რეგულირებულ სახელმწიფო დახმარებას განეკუთვნება დახმარება, რომელიც გაცემულია:

- კონკრეტული მომხმარებლისათვის სოციალური დახმარების სახით, იმ პირობით, რომ დახმარება არ გამოიწვევს შესაბამისი საქონლის/მომსახურების მწარმოებლის დისკრიმინაციას;
- სტიქიური უბედურებების ან ფორსმაჟორული გარემოების შედეგების აღმოფხვრის მიზნით.

უმნიშვნელო ოდენობის სახელმწიფო დახმარებისგან განსხვავებით, სავალდებულო გამონაკლისებს მიკუთვნებული სახელმწიფო დახმარება ექვემდებარება შეტყობინებას. თუმცა, ეს მხოლოდ იმ მიზნით ხდება, რომ კომისიამ კონკრეტული დახმარების TFEU 107(2) მუხლში ჩამოთვლილი სახეებიდან ერთ-ერთთან მიკუთვნებადობა დაადასტუროს. [1585] თუ აღნიშნული დადასტურდა, კომისია ვალდებულია, სახელმწიფო დახმარება დასაშვებად ცნოს.[1586]

მეორე საგამონაკლისო კატეგორიას განეკუთვნება ისეთი გამონაკლისები, რომელთა დაშვებაც დამოკიდებულია ევროკომისიის შეფასებაზე. ხსენებული გამონაკლისები რეგულირებულია TFEU 107(3) მუხლით.[1587]

TFEU 107(3) მუხლით რეგულირებულ სახელმწიფო დახმარებას განეკუთვნება დახმარება, რომელიც გაცემულია:

- ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონების განვითარების ხელშეწყობის მიზნით;
- ისეთი პროექტების დაფინანსებისთვის, რომელთა განხორციელებაც წარმოადგენს საერთო ევროპულ ინტერესს;
- კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობის განვითარების წახალისების მიზნით;
- კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მიზნით;
- კომისიის წარდგინებითა და საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

სახელმწიფო დახმარების გამონაკლისად მიჩნევისათვის, TFEU 108(3) მუხლით დაწესებულია სახელმწიფო დახმარების

[1585] Quigley QC, Connor, *European State Aid Law and Policy*, 3rd ed, Hart Publishing, 2016, p. 197.

[1586] იქვე.

[1587] ავტორის შენიშვნა: ამ დებულების გამოყენებისას, იცვლება მტკიცების ტვირთი: თუ სახელმწიფოს ქმედების TFEU 107(1) მუხლის საფუძველზე ანალიზის დროს, კომისიას ევალება ამტკიცოს, რომ ხსენებული ქმედება სახელმწიფო დახმარებაა, TFEU 107(3) მუხლის საფუძველზე სახელმწიფო დახმარების გამონაკლისად მიჩნევის საკითხში მტკიცების ტვირთი გადადის იმ სახელმწიფოზე, რომლის მიერაც გაიცა დახმარება. ამ უკანასკნელს ევალება დაამტკიცოს, რომ მის მიერ გაცემული დახმარება აკმაყოფილებს TFEU 107(3) მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს. იხილეთ Quigley QC, Connor, *European State Aid Law and Policy*, 3rd ed, Hart Publishing, 2016, p. 194.

ევროკომისიასთან წინასწარი შეთანხმების პროცედურა. ამავდროულად, კომისიისა და წევრი სახელმწიფოების ადამიანური და დროის რესურსის დაზოგვის მიზნით, შემოღებულია რიგი დოკუმენტები, რომლებიც აიოლებს გარკვეული კატეგორიის სახელმწიფო დახმარების დასაშვებად ცნობას. ხსენებულ დოკუმენტებს მიეკუთვნება, მაგალითად, ევროკომისიის რეგულაციები უმნიშვნელო ოდენობის (*de minimis*) სახელმწიფო დახმარების შესახებ [1588] და სახელმწიფო დახმარების ზოგადი ჯგუფური გამონაკლისების შესახებ. [1589] ხსენებული დოკუმენტები დეტალურად აღწერს კრიტერიუმებს, რომლის არსებობის დროსაც სახელმწიფო დახმარება არ ექვემდებარება ევროკავშირისათვის შეტყობინებას.

საბოლოოდ, აღსანიშნავია, რომ კავშირის მასშტაბით, 2012 წლიდან ხორციელდება სახელმწიფო დახმარების მოდერნიზაციის ფართომასშტაბიანი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხდება ეკონომიკის მთელ რიგ სექტორებთან მიმართებით სახელმწიფო დახმარების გაცემის გზამკვლევების შემუშავება-განახლება. [1590] მოდერნიზაციის ერთ-ერთი მიზანია აღსრულების შედარებით სწრაფი და მოქნილი პროცედურის შემუშავება, მათ შორის სახელმწიფო დახმარების შიდა ბაზართან თავსებადობის (ე.ი. სახელმწიფო დახმარების დასაშვებობის) საკითხის გადაწყვეტასთან მიმართებით. [1591] ხსენებული მოიცავს გზამკვლევების დახვეწას გამონაკლისებისა და უმნიშვნელო ოდენობის დახმარების საკითხებზეც.

[1588] Commission Regulation (EU) No 1407/2013 of 18 December 2013 on the application of Articles 107 and 108 of the Treaty on the Functioning of the European Union to de minimis aid, OJ L 352/1, 24.12.2013.

[1589] Commission Regulation (EU) No 651/2014 of 17 June 2014 declaring certain categories of aid compatible with the internal market in application of Articles 107 and 108 of the Treaty, OJ L187/1, 26.06.2014, შესაბამისი ცვლილებებითა და დამატებებით.

[1590] მოდერნიზაციასთან დაკავშირებით, დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ http://ec.europa.eu/competition/state_aid/modernisation/index_en.html, ნახვის თარიღი 09.03.2019.

[1591] იქვე.

ბ) საქართველო

ევროკავშირის მსგავსად, „კონკურენციის შესახებ“ კანონიც ითვალისწინებს კანონისმიერ/იმპერატიულ გამონაკლისებს სავალდებულო წესით დაშვებულ სახელმწიფო დახმარებებთან მიმართებაში. ეს გამონაკლისები რეგულირდება კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით და ევროკავშირის კანონმდებლობისგან განსხვავებით, არ საჭიროებს მარეგულირებლისთვის წინასწარ შეთანხმებას.

ხსენებული პუნქტის დასაწყისი ოდნავ ბუნდოვანია. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი ადგენს ამ პუნქტით გათვალისწინებული დახმარების კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმების არასავალდებულოობას, ის მაინც აღნიშნავს, რომ „შესაძლებელია დაშვებულ იქნეს სახელმწიფო დახმარება“ თუ ის მიეკუთვნება ხსენებულ პუნქტში ჩამოთვლილ გამონაკლისებს. თუმცა, კანონში კონკურენციის სააგენტოს გარდა, მითითებული არაა სხვა ორგანო, რომელთანაც საჭიროა შესაბამისი დახმარების შეთანხმება. შედეგად, სავარაუდოა, რომ ადგილი აქვს კანონმდებლობის ჩანაწერის ხარვეზს – მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული სახის დახმარებები დაშვებულია (და არა „შესაძლებელია დაშვებულ იქნეს“), რადგან ისინი არ საჭიროებს შეთანხმებას.

ხსენებული პუნქტის ჩანაწერი იმეორებს TFEU 107(2) მუხლის გამონაკლისებს („ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები). გარდა ამისა, შეთანხმებას ასევე არ საჭიროებს: (1) გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით; (2) საქართველოს საკანონმდებლო აქტით/საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული უფლების განხორციელების ან მოვალეობის შესრულების მიზნით და (3) მთავრობის გადაწყვეტილებით დაწყებული მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროექტის განხორციელების მიზნით გაცემული სახელმწიფო დახმარება.

ამავე პუნქტის მიხედვით, სააგენტოსთან შეთანხმებას აგრეთვე არ საჭიროებს უმნიშვნელო ოდენობის დახმარება („ე" ქვეპუნქტი).[1592]

საქართველოს კანონმდებლობით, უმნიშვნელო ოდენობის დახმარებად ითვლება ერთ ეკონომიკურ აგენტზე გაცემული დახმარება, რომელიც:

- სახმელეთო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში, ჯამურად, ზედიზედ 3 ფისკალური წლის განმავლობაში არ აღემატება 200.000 ლარს;
- ყველა სხვა სფეროსთან მიმართებით არ აღემატება 400.000 ლარს.

გარდა იმპერატიული გამონაკლისებისა, კანონი ასევე იცნობს სახელმწიფო დახმარების სახეებს, რომლებიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმებით, თუ ისინი *„მნიშვნელოვნად არ ზღუდავს კონკურენციას ან არ ქმნის მისი მნიშვნელოვნად შეზღუდვის საშიშროებას".*[1593] ასეთი სახელმწიფო დახმარებების ჩამონათვალი მოცემულია კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტში.

კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმებით, შეიძლება დაშვებულ იქნეს დახმარება, რომელიც გაიცემა:

- გარკვეული რეგიონების ეკონომიკური განვითარებისათვის;
- კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობისათვის.

[1592] **ავტორის შენიშვნა:** აღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობები, სფეროების მიხედვით, განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით. იხილეთ საქართველოს მთავრობის №529 დადგენილება „ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ", მუხლი 7, პუნქტები 1, 2, 4.

[1593] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 12, პუნქტი 3.

კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი წარმოადგენს TFEU 107(3) მუხლის ანალოგს. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირისგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობაში გაცილებით ფართოა იმპერატიული გამონაკლისების ჩამონათვალი და შედარებით მცირეა შეთანხმების შემთხვევაში დასაშვები გამონაკლისების სახეები. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს განპირობებულია იმით, რომ ევროკავშირში მეორე კატეგორიას მიკუთვნებული სახელმწიფო დახმარების ანალოგები (მაგალითად, მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების მიზნით გაცემული დახმარება) იმპერატიულ გამონაკლისებში ხვდება. ეს ცხადად აჩენს სახელმწიფო დახმარების რეგულირების სპეციფიკურ ხასიათს – ნებისმიერ იურისდიქციაში, ხსენებული ინსტიტუტი მოქმედებს აღნიშნული იურისდიქციის ინტერესებიდან და მის ფარგლებში გატარებული პოლიტიკიდან გამომდინარე.

3.4. სახელმწიფო დახმარების შეთანხმების პროცედურა

სახელმწიფო დახმარების შეთანხმების პროცედურის სპეციფიკას განსაზღვრავს როგორც ხსენებული დახმარების რეგულირების დონე, ისე მარეგულირებელი ორგანოს შემადგენლობა და ადგილი რეგულირების ერთიან სისტემაში. ევროკავშირსა და საქართველოში ეს ორი ფაქტორი მკაფიოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

პირველ შემთხვევაში, რეგულირება ხდება არა ეროვნულ, არამედ „ზედა“/ევროკავშირის დონეზე, მის ფარგლებში შექმნილი საერთო ადმინისტრაციული ორგანოს – ევროკომისიის – მიერ, რომელიც თავის თავში აერთიანებს როგორც სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელ, ისე სხვა მრავალ ადმინისტრაციულ ერთეულს (დირექტორატს). [1594] თავის მხრივ, ეს ერთეულები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან საქმის განხილვის

[1594] ავტორის შენიშვნა: ევროკომისიაში, სახელმწიფო დახმარების შესაბამის კანონმდებლობასთან შესაბამისობას ამოწმებს სამი დირექტორატი (სექტორული უფლებამოსილების შესაბამისად): თევზჭერის, სოფლის მეურნეობისა და კონკურენციის. იხილეთ http://ec.europa.eu/competition/state_aid/overview/index_en.html, ნახვის თარიღი 16.02.2019.

ეტაპზე და ერთობლივად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მეორე შემთხვევაში, რეგულირება ხდება ეროვნულ დონეზე, დამოუკიდებელი ორგანოს – კონკურენციის სააგენტოს – მიერ, რომელიც, მართალია, აქტიურად თანამშრომლობს ხელისუფლების სხვადასხვა შტოებთან, მაგრამ საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას ერთპიროვნულად ახორციელებს. ჩამოთვლილი განსხვავებები, თავის მხრივ, გავლენას ახდენს როგორც დახმარების შეტყობინების, ისე მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებზე. ხსენებული განსხვავებები მოკლედ მიმოხილულია ქვემოთ.

ა) ევროკავშირი

ევროკავშირში, სახელმწიფო დახმარების შეთანხმების პროცედურას არეგულირებს TFEU 108-ე მუხლი, მასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და გზამკვლევი დოკუმენტები. [1595] უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს ევროკომისია, რომლის გადაწყვეტილებებიც ექვემდებარება სასამართლო კონტროლს.[1596] შედარებისთვის, ეროვნულ დონეზე, კონკურენციის მარეგულირებლებს გააჩნიათ საკონსულტაციო ხასიათის უფლებამოსილებები, რომლის საფუძველზეც ხდება

[1595] ავტორის შენიშვნა: მოცემული ქვეთავის მიზნებისათვის, აქცენტი გაკეთდება ძირითადად შემდეგ ორ დოკუმენტზე: (1) Council Regulation (EU) 2015/1589 of 13 July 2015 laying down detailed rules for the application of Article 108 of the Treaty on the Functioning of the European Union, OJ L 248/9, 24.09.2015 (შემდგომში – „პროცედურული რეგულაცია") და (2) Code of Best Practices for the conduct of State aid control procedures, C/2018/4412, OJ C 253/14, 19.07.2018 (შემდგომში— „საუკეთესო პრაქტიკის კოდექსი"). ამავდროულად, მკითხველს ვთხოვთ, გაითვალისწინოს, რომ სახელმწიფო დახმარების გაცემასთან დაკავშირებული პროცედურული აქტები და გზამკვლევები გაცილებით უფრო მრავალფეროვანია. შესაბამის აქტებთან დაკავშირებული დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ http://ec.europa.eu/competition/state_aid/legislation/legislation.html, ნახვის თარიღი 16.02.2019.

[1596] ავტორის შენიშვნა: საქართველოში ხსენებული მიმართულებით სასამართლო კონტროლის პრაქტიკის ამ ეტაპზე არარსებობის გამო, ცალკე არ გამოვყოფთ ამ სახის კონტროლის დეტალურ განხილვას. ევროკავშირის დონეზე სახელმწიფო დახმარებებთან დაკავშირებული სასამართლო კონტროლის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: Quigley QC, Connor, *European State Aid Law and Policy*, 3rd ed, Hart Publishing, 2016, pp. 661-784; Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, pp.: 499-550.

სახელმწიფოსთვის იმის მითითება, მიიჩნევა თუ არა ესა თუ ის ქმედება TFEU 107(1) მუხლით აკრძალულ სახელმწიფო დახმარებად.

პირველ რიგში, როგორც სახელმწიფო დახმარების ცნების განმარტებისას აღინიშნა, ევროკავშირის კანონმდებლობა იცნობს უმნიშვნელო ოდენობის სახელმწიფო დახმარების ცნებას და ასევე შემოღებული აქვს ჯგუფური გამონაკლისები როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ სექტორებთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარებებისადმი. როგორც უმნიშვნელო ოდენობის, ისე ხსენებულ გამონაკლისებში მოხვედრილი დახმარება გათავისუფლებულია ევროკომისიასთან შეთანხმების ვალდებულებისგან.[1597]

შემდგომ, ევროკავშირში განასხვავებენ უკვე არსებულ, ახალ და უკანონო/არადანიშნულებისამებრ გამოყენებულ სახელმწიფო დახმარებას. [1598] შესაბამისი პროცედურებიც მეტ-ნაკლებად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელი სახის დახმარებასთან გვაქვს საქმე.

ყველაზე მარტივი პროცედურა უკვე არსებული სახელმწიფო დახმარების გაცემის გაგრძელებას უკავშირდება. ევროკომისიის პროცედურული რეგულაციის მიხედვით, მსგავსი სახის დახმარებას მიეკუთვნება როგორც კომისიის (ან ევროკავშირის საბჭოს) მიერ უკვე ავტორიზებული დახმარება, ისე დახმარებების სხვა რამდენიმე სახე – მაგალითად, დახმარებები, რომლებიც არსებობდა TFEU-ს ძალაში შესვლამდე; უკანონო დახმარებები, რომლებთან მიმართებაშიც ევროკომისიას გაშვებული აქვს მათი ამოღების ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა და სხვ.[1599] ხსენებული არ საჭიროებს ევროკომისიასთან შეთანხმებას, თუმცა ეს

[1597] Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, pp. 443-444.

[1598] Quigley QC, Connor, *European State Aid Law and Policy*, 3rd ed, Hart Publishing, 2016, p. 495.

[1599] Council Regulation (EU) 2015/1589 of 13 July 2015 laying down detailed rules for the application of Article 108 of the Treaty on the Functioning of the European Union, OJ L 248/9, 24.09.2015, article 1(b).

უკანასკნელი მუდმივად უწევს მონიტორინგს არსებული დახმარების გაცემას.[1600]

აღნიშნულისგან განსხვავებით, ახალი დახმარება – ანუ ყველა ის დახმარება, რომელიც არ ჯდება არსებული დახმარების განსაზღვრებაში და ასევე, არსებული დახმარების სქემის ცვლილების შედეგად გაცემული დახმარება[1601] – ექვემდებარება სავალდებულო შეტყობინებას მის გაცემამდე, რასაც თან უნდა ახლდეს მისი შეფასებისთვის საჭირო ნებისმიერი სახის ინფორმაცია.[1602] ევროკავშირი ასევე რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს, განახორციელონ ე.წ. „შეტყობინებისწინა პროცედურა“ (ანუ არაფორმალური კომუნიკაცია კომისიასთან შესატყობინებელი სახელმწიფო დახმარების თაობაზე), რათა მოხდეს შეტყობინების დეტალების (მაგალითად, წარსადგენი ინფორმაციის) დაზუსტება და ასევე განხორციელდეს შესატყობინებელი სახელმწიფო ზომის პირველადი შეფასება.[1603]

შეტყობინებას მოსდევს წინასწარი განხილვის ორთვიანი პროცედურა,[1604] რომლის ფარგლებშიც ევროკომისიას გადაწყვეტილებით შეუძლია დაადგინოს, რომ (1) შეტყობინებული ქმედება არ წარმოადგენს სახელმწიფო დახმარებას;[1605] (2) შეტყობინებული სახელმწიფო დახმარება უპრობლემოა (მაგალითად, მიეკუთვნება ე.წ. სავალდებულო გამონაკლისს);[1606] (3) შეტყობინებული სახელმწიფო დახმარება აღძრავს სერიოზულ ეჭვს შიდა ბაზართან შესაბამისობის კუთხით და დაიწყოს ოფიციალური გამოძიება.[1607] ჩამოთვლილთაგან პირველი ორი სახის

[1600] იქვე. იხილეთ აგრეთვე Bacon QC, Kelyn, *European Union Law of State Aid*, 3rd ed, Oxford University Press, 2017, p. 442.

[1601] Council Regulation (EU) 2015/1589 of 13 July 2015 laying down detailed rules for the application of Article 108 of the Treaty on the Functioning of the European Union, OJ L 248/9, 24.09.2015, article 1(c).

[1602] იქვე, მუხლი 2.

[1603] Code of Best Practices for the conduct of State aid control procedures, C/2018/4412, OJ C 253/14, 19.07.2018, paras 9-12.

[1604] Council Regulation (EU) 2015/1589 of 13 July 2015 laying down detailed rules for the application of Article 108 of the Treaty on the Functioning of the European Union, OJ L 248/9, 24.09.2015, article 4(5).

[1605] იქვე, მუხლი 4(2).

[1606] იქვე, მუხლი 4(3).

[1607] იქვე, მუხლი 4(4).

გადაწყვეტილება შესაძლოა განხორციელდეს გამარტივებული პროცედურითაც. ეს გულისხმობს, რომ კომისიამ შესაძლოა შედარებით მცირე მოცულობის გადაწყვეტილება მიიღოს შეტყობინებიდან 25 დღეში, მათ შორის წევრი სახელმწიფოს თხოვნის საფუძველზეც.[1608]

სახელმწიფოს ეკრძალება შეტყობინებული დახმარების გაცემა ევროკომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღებამდე. [1609] ამავდროულად, თუ წინასწარი განხილვის პროცედურის (ე.ი. ორი თვის) განმავლობაში კომისიამ არ მიიღო ერთ-ერთი ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, სახელმწიფო დახმარება ავტომატურად ნებადართულად ითვლება.[1610]

თუ ევროკომისიამ ოფიციალური გამოძიების დაწყება საჭიროდ მიიჩნია, სახელმწიფო დახმარების ანალიზი გადადის მეორე, სიღრმისეულ ფაზაში, რომელიც სასურველია დასრულდეს მაქსიმუმ 18 თვეში, თუმცა ვადა შესაძლოა გაგრძელდეს კომისიასა და დახმარების გამცემ სახელმწიფოს შორის შეთანხმებით.[1611] ვადის გაგრძელება, როგორც წესი, გამართლებულია, თუ გამოძიება ეხება სახელმწიფო დახმარების ახალ სახეს ან წამოჭრის ახალ სამართლებრივ პრობლემას.[1612]

გამოძიების განმავლობაში ხდება საქმის გარემოებების დეტალური შესწავლა: გამოითხოვება ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან,[1613] წევრ სახელმწიფოებს ეთხოვებათ მოსაზრებების წარმოდგენა, [1614] დახმარების გამცემ სახელმწიფოს ჩამოერთმევა

[1608] Code of Best Practices for the conduct of State aid control procedures, C/2018/4412, OJ C 253/14, 19.07.2018, paras 37-40.

[1609] TFEU, art. 108(3); Council Regulation (EU) 2015/1589 of 13 July 2015 laying down detailed rules for the application of Article 108 of the Treaty on the Functioning of the European Union, OJL 248/9, 24.09.2015, art. 3.

[1610] Council Regulation (EU) 2015/1589 of 13 July 2015 laying down detailed rules for the application of Article 108 of the Treaty on the Functioning of the European Union, OJ L 248/9, 24.09.2015, article 4(6).

[1611] იქვე, მუხლი 9(6).

[1612] Code of Best Practices for the conduct of State aid control procedures, C/2018/4412, OJ C 253/14, 19.07.2018, para 64.

[1613] Council Regulation (EU) 2015/1589 of 13 July 2015 laying down detailed rules for the application of Article 108 of the Treaty on the Functioning of the European Union, OJ L 248/9, 24.09.2015, 7.

[1614] იქვე, მუხლი 6.

ახსნა-განმარტება[1615] და სხვ. აღნიშნული გამოძიების პროცესში, კომისია სარგებლობს ფართო უფლებამოსილებებით, მათ შორის, ინფორმაციის მიუწოდებლობის ან არასწორი/არასრული ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში პირთა/ორგანიზაციათა დაჯარიმებისა და მათთვის პერიოდული სახდელების დაკისრების უფლებით.[1616] საბოლოოდ, კომისიას გააჩნია არასწორი ინფორმაციის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების უფლებამოსილება.[1617]

ოფიციალური გამოძიების მიმდინარეობისას, სახელმწიფომ შესაძლოა ევროკომისიას წარუდგინოს შეტყობინებულ ქმედებაში შესატანი ისეთი ცვლილებები, რომელთა შედეგადაც ქმედება აღარ დაკვალიფიცირდება სახელმწიფო დახმარებად. კომისიამ აღნიშნული უნდა დაადასტუროს საკუთარი გადაწყვეტილებით.[1618] გარდა ამისა, გამოძიება შესაძლოა დასრულდეს: (1) ე.წ. „პოზიტიური გადაწყვეტილებით" – თუ სახეზეა დასაშვები დახმარება;[1619] (2) ე.წ. „პირობითი გადაწყვეტილებით" – თუ დახმარება დასაშვებია, მაგრამ ამისთვის წევრ სახელმწიფოს მოუწევს გარკვეული პირობების შესრულება კომისიის ზედამხედველობის ქვეშ;[1620] (3) ე.წ. „უარყოფითი გადაწყვეტილებით" – თუ სახეზეა ევროკავშირის შიდა ბაზართან შეუთავსებელი სახელმწიფო დახმარება.[1621]

ევროკომისია ასევე არეგულირებს უკანონო და არადანიშნულებისამებრ გამოყენებულ სახელმწიფო დახმარებასაც. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება დახმარება, რომელიც ექვემდებარებოდა სავალდებულო შეტყობინებას, მაგრამ მისი შეტყობინება არ მომხდარა.[1622] მეორე კატეგორიაში შედის სწორად შეტყობინებული, მაგრამ არასწორად იმპლემენტირებული

[1615] Council Regulation (EU) 2015/1589 of 13 July 2015 laying down detailed rules for the application of Article 108 of the Treaty on the Functioning of the European Union, OJ L 248/9, 24.09.2015, მუხლი 9(8).
[1616] იქვე, მუხლი 8.
[1617] იქვე, მუხლი 11.
[1618] იქვე, მუხლი 9(2).
[1619] იქვე, მუხლი 9(3).
[1620] იქვე, მუხლი 9(4).
[1621] იქვე, მუხლი 9(5).
[1622] იქვე, მუხლი 1(f).

დახმარება (ე.ი. დახმარება, რომლის გაცემაც არ მოხდა კომისიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შესაბამისად).[1623]

უკანონო სახელმწიფო დახმარების შემთხვევაში, კომისიას ეძლევა *ex post* კონტროლის განხორციელების უფლება. ამ დროს ჩასატარებელი პროცედურა დიდწილად ჰგავს ახალი სახელმწიფო დახმარების შეფასების პროცედურას, თუმცა კომისიას ენიჭება დამატებითი საგამოძიებო უფლებამოსილებები. ხსენებულ უფლებებს მიეკუთვნება, მაგალითად, სახელმწიფო დახმარების გაცემის შეჩერება.[1624] კომისიას ასევე გააჩნია გაცემული დახმარების წინასწარი (ანუ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე) ამოღების უფლებამოსილება, თუ კმაყოფილდება შემდეგი სამი პირობა: (1) დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე ცალსახაა, რომ სახეზეა სახელმწიფო დახმარება; (2) სახეზეა დახმარების ამოღების გადაუდებელი საჭიროება; (3) სახეზეა კონკურენტისთვის არსებითი და გამოუსწორებელი ზიანის მიყენების სერიოზული საფრთხე.[1625] საბოლოოდ, კომისიას გააჩნია უკანონო სახელმწიფო დახმარების ამოღების უფლება, მის მიერ ოფიციალური გამოძიების შედეგად გამოტანილი უარყოფითი გადაწყვეტილების საფუძველზე.[1626] ჩამოთვლილი უფლებები კომისიას უნარჩუნდება არადანიშნულებისამებრ გამოყენებული სახელმწიფო დახმარების შემთხვევაშიც.[1627]

ბ) საქართველო

არსებული კანონმდებლობით, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს არ გააჩნია ევროკომისიის მსგავსი ფართო უფლებამოსილებები სახელმწიფო დახმარების კონტროლის საკითხში. ეს განპირობებულია როგორც ხსენებული ორი უწყების

[1623] Council Regulation (EU) 2015/1589 of 13 July 2015 laying down detailed rules for the application of Article 108 of the Treaty on the Functioning of the European Union, OJ L 248/9, 24.09.2015, მუხლი 1(g).
[1624] იქვე, მუხლი 13(1).
[1625] იქვე, მუხლი 13(2).
[1626] იქვე, მუხლი 16(1).
[1627] იქვე, მუხლი 20.

განსხვავებული ბუნებით, ისე საქართველოს კანონმდებლობაში არსებული რიგი თავისებურებებით.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ შესაბამისი პროცედურის ამოქმედება ხდება მხოლოდ შეზღუდულ შემთხვევებში. კერძოდ, კანონმდებლობა ადგენს, რომ სააგენტოსთან შეთანხმებას ექვემდებარება მხოლოდ ორი სახის – რეგიონალურ განვითარებასთან და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული – სახელმწიფო დახმარება და სწორედ მათთან დაკავშირებითაა შემუშავებული დახმარების შეთანხმების ზოგადი პროცედურა.[1628]

შემდგომ, საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურის შემუშავებას გარკვეულწილად ხსენებული დახმარების გამცემთა ხელში ათავსებს. კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ევალებათ, კონკურენციის კანონმდებლობის საფუძველზე შეიმუშაონ და კონკურენციის სააგენტოსთან შეათანხმონ სახელმწიფო დახმარების გაცემის (შიდა) პროცედურა.[1629] ამავდროულად, კანონი არ ადგენს ბერკეტებს, რომელთა მეშვეობითაც კონკურენციის სააგენტო შეძლებდა შესაბამისი ორგანოების მიერ ხსენებული ვალდებულების შესრულების ეფექტიან კონტროლს. შესაბამისად, პრაქტიკაში მსგავსი პროცედურის შეთანხმება ჯერჯერობით არ განხორციელებულა.

შესათანხმებელ დახმარებებთან მიმართებით, ევროკავშირისგან განსხვავებით, საქართველოში არ მოქმედებს ჯგუფური გამონაკლისები. ეს შესაძლოა იმით აიხსნას, რომ შესატყობინებელი დახმარებების სახეები საქართველოს კანონმდებლობით ისედაც შეზღუდულია. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ჯგუფური გამონაკლისების დაწესების ზოგადი მიზანი ისეთი დახმარებების შეტყობინების ვალდებულებისგან

[1628] იხ. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 13, პუნქტი 1, და „საქართველოს მთავრობის №529 დადგენილება „ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ", მუხლი 2.

[1629] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 13, პუნქტი 2.

გათავისუფლებაა, რომლებიც გარკვეული გარემოებების (მაგალითად, დახმარების მიმღებთა მცირე საბაზრო წილი) გამო ზეგავლენას ვერ მოახდენს საბაზრო კონკურენციაზე. მსგავსი გამონაკლისები კი, როგორც წესი, წესდება ზოგადად – დახმარების ყველა სახისათვის. შესაბამისად, ჯერ კიდევ სამსჯელოა საქართველოში სახელმწიფო დახმარებებისთვის ჯგუფური გამონაკლისების შემოღების მიზანშეწონილობაზე.

საქართველოს კანონმდებლობა, ევროკავშირის მსგავსად, იცნობს „გაცემული სახელმწიფო დახმარების" ცნებას,[1630] თუმცა ხსენებული ცნება განმარტებული არაა. უფრო კონკრეტულად, გაურკვეველია, აღნიშნული ცნება წარმოადგენს ევროკავშირში არსებული „უკვე არსებული სახელმწიფო დახმარების" ანალოგს, თუ მოიცავს უკანონო/არადანიშნულებისამებრ გამოყენებული დახმარების ცნებებსაც. მსგავსი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ კანონმდებლობა უკანონო/არადანიშნულებისამებრ გამოყენებული დახმარების ცნებებს არ იცნობს. ამ მხრივ, ბუნდოვანია კანონის მე-15 მუხლი, რომელიც გაცემულ სახელმწიფო დახმარებასთან დაკავშირებით აწესებს სასამართლო კონტროლს. ინტერპრეტაციის საკითხია, ხსენებული მუხლის ჩანაწერი „გაცემული დახმარება" ეხება სააგენტოსთან შეთანხმებულ დახმარებას, სააგენტოსთვის გვერდის ავლით გაცემულ დახმარებას, თუ საგამონაკლისო დახმარებებსაც კი.

რაც შეეხება შესათანხმებლად წარდგენილ სახელმწიფო დახმარებას, მისი შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების კუთხით საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა სრულყოფილ მექანიზმებს არ ითვალისწინებს. სააგენტო უფლებამოსილია სახელმწიფო დახმარების გამცემს მოსთხოვოს დამატებითი დასაბუთება,[1631] თუმცა კანონი არ ადგენს ბაზრის შესწავლის მიზნით, მესამე პირებისგან ინფორმაციის გამოთხოვის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც ართულებს სააგენტოს

[1630] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 13, პუნქტი 5 – „სახელმწიფო დახმარების გამცემი სააგენტოს აცნობებს სახელმწიფო დახმარების გაცემის პირობების, მათი არსებითი ცვლილებებისა და *გაცემული სახელმწიფო დახმარების შესახებ*".

[1631] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 14, პუნქტი 2.

მხრიდან შესაბამისი ბაზრის სრულყოფილად შესწავლის პროცესს. [1632] აღნიშნულს ემატება ანალიზის პროცესისათვის დაწესებული შემჭიდროებული ვადები. სააგენტოში შესული ინფორმაციის მოცულობაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუნდაც მხოლოდ სახელმწიფო დახმარების შეთანხმების შესახებ განცხადების ელემენტების საფუძველზე, [1633] მაშინ როდესაც შესაბამისი ანალიზისთვის მოცემულია მხოლოდ 14 სამუშაო დღე, 2 თვემდე გაგრძელების პერსპექტივით და აღნიშნულ ვადაში შესაბამისი დასკვნის გაუცემლობა სახელმწიფო დახმარებაზე თანხმობად ითვლება. [1634] ეს სიტუაცია საკმაოდ მძიმე ტვირთს აკისრებს კონკურენციის სააგენტოს და ქმნის განსახილველი დახმარების ზედაპირულად განხილვის საფრთხეს.

სახელმწიფო დახმარების გაცემამდე კონკურენციის სააგენტოში წარსადგენია შემდეგი სახის ინფორმაცია:

- დახმარების გამცემის დასახელება;
- დახმარების გაცემის მიზანი, აუცილებლობა და შესაძლო შედეგები ბაზრისთვის;
- სახელმწიფო დახმარების ფორმა;
- დახმარების მიმღები სუბიექტ(ებ)ი; დახმარების მათ შორის გადანაწილების მექანიზმი;
- დახმარების მოცულობა;
- დახმარების გაცემის პირობები/პროცედურები;
- დახმარების გაცემის პერიოდულობა;
- ფულადი დახმარების შემთხვევაში, თითოეული გადარიცხვის მოცულობა და გაცემის პერიოდულობა;
- გასაცემი სახელმწიფო დახმარების საბაზრო კონკურენციის არშემზღუდველი ხასიათის დასაბუთება.

უნდა აღინიშნოს სახელმწიფო დახმარების რეგულირების ნაწილში კანონმდებლობით სააგენტოსთვის მინიჭებული საკმაოდ

[1632] იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №37, 22.03.2016, გვ. 26.

[1633] „საქართველოს მთავრობის №529 დადგენილება „ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ", მუხლი 4, პუნქტი 2.

[1634] იქვე, მუხლი 5, პუნქტი 1; ასევე საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 14, პუნქტი 1.

შეზღუდული უფლებამოსილებები, რომელთა არასრული ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

- სახელმწიფო დახმარების კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხში, სააგენტოს შეუძლია მხოლოდ რეკომენდაციების გაცემა.[1635] მართალია კანონი განსაზღვრავს, რომ სააგენტო მისთვის წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ადგენს გასაცემი სახელმწიფო დახმარების კანონის დებულებებთან შესაბამისობას და გასცემს სამართლებრივ დასკვნას, თუ სახელმწიფო დახმარება არ შეესაბამება ამ კანონის დებულებებს[1636], თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას დახმარების გაცემაზე თანხმობის შესახებ იღებს საქართველოს მთავრობა. [1637] ამავდროულად, კანონმდებლობით არაა განსაზღვრული, შეუძლია თუ არა ამ უკანასკნელს (მაგალითად, განსაკუთრებული სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე) სააგენტოს დასკვნისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.
- კანონმდებლობა არ ითვალისწინებს განხილვის პროცესში გაცემული დახმარების, შეუტყობინებლად გაცემული დახმარების და თანხმობაგაცემული დახმარების განსხვავებული პირობებით გაცემის შემთხვევაში სანქცირებას ან აღსრულების სხვა ქმედითი ზომების გატარებას.
- ანალოგიურად, კანონმდებლობა კონკურენციის სააგენტოს არ ანიჭებს კანონდარღვევით გაცემული დახმარების შეჩერების ან/და ამოღების უფლებამოსილებებს.
- მართალია, კანონმდებლობა ითვალისწინებს დახმარებასთან დაკავშირებული უარყოფითი დასკვნის გაცემის უფლებამოსილებას, მაგრამ არ იცნობს პირობადადებული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. შედეგად, სააგენტოს შეუძლია მთლიანად მისაღებად ან მთლიანად მიუღებლად ცნოს კონკრეტული სახელმწიფო დახმარება – ნაწილობრივ მისაღები დახმარების შემთხვევაში მისი გარკვეული პირობებით დაშვების უფლებამოსილება სააგენტოს არ აქვს.

[1635] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 14, პუნქტი 2.
[1636] იქვე, მუხლი 14, პუნქტი 1
[1637] იქვე, მუხლი 14, პუნქტი 4.

3.5. კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკა სახელმწიფო დახმარების შეთანხმების მიმართულებით

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკა სახელმწიფო დახმარებების შესწავლის მიმართულებით არცთუ ისე მდიდარია. საქმიანობის 4-წლიანი პერიოდის მანძილზე, სააგენტოს განხილული აქვს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2 განცხადება – გასაცემი სახელმწიფო დახმარების კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე და 1 განცხადება – გაცემული სახელმწიფო დახმარების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმების თაობაზე.

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საქმეები

საქმე №1. სააგენტომ განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წლის დეკემბერში წარმოდგენილი განცხადება, 2016 წლის ბიუჯეტიდან ა(ა)იპ „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრის“ მიმართ 170.000 ლარის ოდენობის სახელმწიფო დახმარების გაცემის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ წინა წელს მუნიციპალიტეტს ამავე ა(ა)იპ-ზე უკვე ჰქონდა გაცემული გარკვეული ოდენობის დახმარება და ვინაიდან ორი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის მიმართულებით გაცემული სახელმწიფო დახმარება ჯამურად აჭარბებდა 200.000 ლარს, იგი სცდებოდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობას და მუნიციპალიტეტს წარმოეშვებოდა სააგენტოში განცხადების წარმოდგენის ვალდებულება.

როგორც სააგენტოს დასკვნაში[1638] ვკითხულობთ, სახელმწიფო დახმარების დახარჯვა იგეგმებოდა სოფლის მეურნეობის 4 სხვადასხვა მიმართულებით – მევენახეობა, მეღორეობა, მემცენარეობა და სასათბურე მეურნეობა. დახმარების მიმღების საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა: მევენახეობის, ხეხილის ნერგების საკოლექციო ნაკვეთების

[1638] საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №37, 22.03.2016.

შემდგომი განვითარება, გურული აბორიგენული ვაზის ჯიშების მოძიება და პოპულარიზაცია. იგეგმებოდა სხვადასხვა კულტურის მცენარეების მიკრო, საცდელი ნაკვეთების მოწყობა და სასათბურე მეურნეობის მოწყობა, ასევე მეცხოველეობაში – ღორის გაუმჯობესებული ჯიშების ხელოვნური დანერგვა მუნიციპალიტეტის საზღვრებში.

შესაბამის ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს შეფასებისა და გასაცემი სახელმწიფო დახმარების კონკურენციის პრინციპებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სააგენტომ დაამუშავა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან, ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოდან“ და გურიის გუბერნატორისაგან მიღებული მონაცემები – გურიის რეგიონში, სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედი სუბიექტების შესახებ, ასევე, განხორციელდა ამ სუბიექტების სატელეფონო გამოკითხვა.

როგორც აღმოჩნდა, გურიის რეგიონში მოღვაწე კერძო ფერმერები და იმ საწარმოების ხელმძღვანელები, რომელთა ძირითად საქმიანობის სფეროს წამოადგენდა მეღორეობა, მევენახეობა, მემცენარეობა და სასათბურე მეურნეობა, დადებითად აფასებდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გასაცემ სახელმწიფო დახმარებას და თვლიდნენ, რომ გაცემული სახელმწიფო დახმარება უარყოფითად არ აისახებოდა კონკურენტულ გარემოზე და ხელს შეუწყობდა აღნიშნული დარგების განვითარებას რეგიონში.

ამასთან, სააგენტომ დაადგინა, რომ სახელმწიფო დახმარების სახით გასაცემი თანხის საკმაოდ დიდი ნაწილი განკუთვნილი იყო სახელფასო ანაზღაურებისათვის და დაახლოებით 30% მოხმარდებოდა ჯამურად, ოთხივე მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებს, რაც არსებით გავლენას ვერ იქონიებდა კონკურენტულ გარემოზე. მეტიც, ზოგიერთი მიმართულებით (კერძოდ, გენეტიკურად გაუმჯობესებული ღორების გამოყვანა) სახელმწიფო დახმარების მიმღებს კონკურენტიც არ გააჩნდა, ვინაიდან ამ ტიპის საქმიანობას რეგიონში არავინ ეწეოდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო დახმარება სააგენტომ კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისად მიიჩნია და მის გაცემაზე თანხმობა განაცხადა. მიუხედავად ამისა, სააგენტოს დასკვნას ახლავს რეკომენდაციები, რომელშიც ვკითხულობთ: *„სახელმწიფო დახმარებას არ უნდა ჰქონდეს მუდმივი ხასიათი და გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც დროებითი მოვლენა შესაბამისი დარგის ან რეგიონის განვითარებისათვის. {...} მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხსენებული უწყების უფლებამოსილმა სამსახურებმა საფუძვლიანად მოახდინონ რეგიონის შესაბამისი დარგების განვითარების კონცეფციის შემუშავება. კერძოდ, სასურველია შემუშავდეს განვითარების გეგმა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა შედეგებამდე მიიყვანს გაცემული სახელმწიფო დახმარება კონკრეტულ დარგებს და როდიდან შეძლებენ ისინი განვითარებას სახელმწიფო დახმარების გარეშე“.*[1639]

<u>საქმე №2</u>. წინა საქმის ანალოგიურად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2017 წლის ბიუჯეტიდან ა(ა)იპ “ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრისათვის“ 90.000 ლარის ოდენობის სახელმწიფო დახმარების გაცემა სააგენტომ კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისად მიიჩნია.

როგორც სააგენტოს დასკვნაშია[1640] აღნიშნული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გასაცემი სახელმწიფო დახმარება უნდა მოხმარებოდა რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებას: 1) მევენახეობაში – გურული ვაზის ენდემური ჯიშების მოძიებას და პოპულარიზაციას; 2) ხეხილის სადემონსტრაციო ნაკვეთის გაფართოება-განვითარებას; 3) სასათბურე მეურნეობის მოწყობას; 4) მარადმწვანე ხე-მცენარეების ნერგების გამოყვანას; 5) ჩაის კულტურის აღორძინება/პოპულარიზაციას. ასევე, დაინტერესებული სუბიექტებისათვის, საკონსულტაციო და სემინარული ხასიათის შეხვედრების ორგანიზებას. ამასთან,

[1639] სკს, ბრძანება №37, გვ. 35.
[1640] სკს, ბრძანება №04/108, 03.05.2017.

ვინაიდან ადგილი ჰქონდა მცირემიწიანი ნაკვეთის დივერსიფიცირებას სხვადასხვა პროგრამების მიმართულებით, სააგენტოს პოზიციით, *„ცენტრის საქმიანობით, თითოეულ დარგში მიღებული შედეგებით ვერ მოხდება კონკურენციის შეზღუდვა. ცენტრის საქმიანობას არ ექნება ისეთი დიდი მასშტაბი, რომ კონკურენცია გაუწიოს სხვა საწარმოებს/ფერმერებს".*[1641]

მიუხედავად გასაცემი სახელმწიფო დახმარების კონკურენციის კანონმდებლობასთან თავსებადად მიჩნევისა, სააგენტოს დასკვნაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო დახმარების მიმღების მხრიდან ადგილი აქვს საქმიანობის არასწორ დაგეგმარებასა და წარმართვას. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს დაგეგმილი ღონისძიებების დროულად განხორციელების აუცილებლობაზე და სახელმწიფო დახმარების თანხების აუთვისებლობაზე. დასკვნა შეიცავს შესაბამის რეკომენდაციებს, როგორც დახმარების მიმღების მიერ ფინანსური გეგმის გონივრულად შედგენის, ასევე დახმარების გამცემის მხრიდან კონკრეტული სასაქონლო ბაზრების კვლევაზე/ანალიზზე დაფუძნებული სახელმწიფო დახმარებების სისტემის შემუშავების მიმართულებით.

ბ) „ჰუმანითი ჯორჯიას" საქმე

ა(ა)იპ "კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის" განცხადების საფუძველზე, სააგენტომ შეისწავლა სს „საპარტნიორო ფონდის" მიერ სს „ჰუმანითი ჯორჯიასათვის" ერთი მილიონი ლარის გაცემის შესაბამისობა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 და მე-13 მუხლებთან.

როგორც მოძიებული ინფორმაციების განხილვისა და მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე სააგენტომ დაადგინა, [1642] სს „საპარტნიორო ფონდის" მიერ სს „ჰუმანითი ჯორჯიასთვის" ერთი მილიონი ლარის გაცემა წარმოადგენდა მნიშვნელოვან სახელმწიფო პროექტს, რომელიც მოწონებული იყო საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებით. ამდენად,

[1641] იქვე, გვ. 40.
[1642] სკს. წერილი №02/1313, 21.06.2016.

განხილული შემთხვევა განეკუთვნებოდა კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით დაშვებულ იმ სახის სახელმწიფო დახმარებას, რომელიც არ საჭიროებდა სააგენტოსთან შეთანხმებას.

3.6. შუალედური შეჯამება

სახელმწიფო დახმარების რეგულირება საქართველოში საკმაო ხარვეზებით ხასიათდება. აღნიშნულს განაპირობებს როგორც თავად განსახილველი ინსტიტუტის სპეციფიკურობა, ისე საკანონმდებლო დებულებების გაუმართაობა. სპეციფიკურობის კუთხით, სახელმწიფო დახმარება წარმოადგენს ევროკავშირის, როგორც სუპრანაციონალური ორგანიზაციის ფარგლებში და ხსენებული ორგანიზაციის მიზნებზე მორგებით შემუშავებულ ინსტიტუტს, რომლის დებულებების გადმოტანა ეროვნულ კანონმდებლობაში საკმაოდ რთულია. ამავდროულად, ეს ინსტიტუტი გარკვეულწილად განსხვავდება ვმო-ს მიერ რეგულირებული სუბსიდიებისგან, თუმცა საქართველოს კანონმდებლობა ხსენებულ ორ ინსტიტუტს აიგივებს. გარდა აღნიშნული ხარვეზისა, კანონმდებლობაში არსებობს ბევრი ღიად დატოვებული საკითხი, რაც თავის მხრივ ართულებს განსახილველი ინსტიტუტის პრაქტიკაში სრულყოფილად გამოყენებას. ასეთ საკითხებს მიეკუთვნება თავად ტერმინ „სახელმწიფო დახმარების“ განმსაზღვრელი კრიტერიუმების ბუნდოვანება, საკმაოდ შეზღუდული აღმასრულებელი უფლებამოსილებები სახელმწიფო დახმარების შეთანხმების პროცესში და ა.შ. შედეგად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ხსენებული მიმართულებით კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკა ჯერჯერობით საკმაოდ მწირია.

4. კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის კონტროლი

კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის კონტროლის მიზანია, ეკონომიკის სფეროში შემუშავებული მთელი რიგი აქტების ან მათი პროექტების ანალიზის საფუძველზე, მოხდეს კონკურენციის შემზღუდველი დებულებების გამოვლენა და გასწორება: ა) იქამდე, სანამ ეს უკანასკნელნი შეიძენენ სამართლებრივად სავალდებულო ხასიათს; ბ) თუნდაც მათი ამოქმედების შემდეგ.

ასეთი კონტროლი კონკურენციის ადვოკატირების ერთ-ერთ სახედაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან მისი მეშვეობით შესაძლებელი ხდება კონკურენციის ორგანოსა და ხელისუფლების სხვადასხვა შტოების თანამშრომლობა ნორმაშემოქმედებით ეტაპზე, რომლის დროსაც პირველ მათგანს ეძლევა საშუალება, უკეთ გაათვიცნობიეროს მეორე მხარე კონკურენციის სამართლის სპეციფიკაში.

კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის კონტროლის მექანიზმებში უკეთ გარკვევის მიზნით, პირველ რიგში, აუცილებელია განვიხილოთ ხსენებული კონტროლის კონსტიტუციური საფუძვლები. შემდგომ, მიზანშეწონილია ამ მიმართულებით კონკურენციის სააგენტოს ხელთ არსებული კონკრეტული მექანიზმების ანალიზი და არსებული პრაქტიკის მიმოხილვა.

4.1. კონკურენციული ეფექტის კონტროლის კონსტიტუციური საფუძვლები

საქართველოს კონსტიტუციის [მე-6] [1643] მუხლთან მიმართებაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2008 წელს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, *„კონკურენციის არსებობისა და განვითარების სამართლებრივი*

[1643] ავტორის შენიშვნა: აქ და შემდგომ, კონსტიტუციის მუხლების ანალიზისას, მოცემულია დღეის მდგომარეობით არსებული ნუმერაცია. კვადრატული ფრჩხილი მიანიშნებს, რომ განსახილველ მუხლთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა შესაბამისი მუხლის ძველი ნუმერაციით (მუხლი 30) არსებობის პირობებში.

გარანტიები გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ისეთი სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობენ მეწარმეობის თავისუფლების განვითარებას, ქონებრივი ურთიერთობების მონაწილეთა ფორმალურ თანასწორობას, კერძო საკუთრების დაცვას, შეთანხმების თავისუფლებას, დარღვეული უფლებების დაცვის უზრუნველყოფას, მეწარმე სუბიექტების მიერ კონკურენციული ქმედებების განხორციელების შესაძლებლობის აღიარებას და, სახელმწიფოს მხრიდან, კონკურენციისადმი სხვა დახმარებებს. [...]. ვინაიდან, რეგულირების გზით, იზღუდება მეწარმის ნების თავისუფლება, სახელმწიფო ვალდებულია, ისე განსაზღვროს რეგულირების ფარგლები, როგორც ამას გააკეთებდა ყველაზე კეთილსინდისიერი მეწარმე შესაბამისი მექანიზმის არარსებობის შემთხვევაში. [...] ყველა შემთხვევაში, რეგულირებამ არ უნდა გამოიწვიოს ბრუნვის მონაწილეთა გაუცხოება ამ ბრუნვისაგან".[1644]

კონკურენციასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული ერთ-ერთი უახლესი გადაწყვეტილების მიხედვით კი, *„სახელმწიფომ უნდა შექმნას თანასწორი, სამართლიანი საბაზრო პირობები ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტებისთვის. სახელმწიფოს მიერ ბაზრის რომელიმე სეგმენტზე განხორციელებულმა ჩარევამ არ უნდა გამოიწვიოს ცალკეული ეკონომიკური აგენტის (ან აგენტთა ჯგუფის) პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება და საფრთხე არ უნდა შეუქმნას ბაზრის ამავე სეგმენტის მონაწილე სხვა ეკონომიკური აგენტების მიერ საქმიანობის კონკურენტულ გარემოში განხორციელების უფლებას".*[1645]

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის [მე-6] მუხლით რეგლამენტირებული უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტური ხასიათის უფლებას და შესაძლებელია, ლეგიტიმური საჯარო მიზნის მისაღწევად დაექვემდებაროს თანაზომიერ შეზღუდვას. *„სახელმწიფო დაუსაბუთებლად არ*

[1644] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, №1/2/411, 19.12.2008, პარ. 5 და 7.
[1645] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, №2/11/747, პარ. 5.

ჩაერიოს თავისუფალი ბაზრის მონაწილეების საქმიანობაში. ნებისმიერი ასეთი ჩარევა გამართლებული უნდა იყოს ღირებული ლეგიტიმური საჯარო ინტერესით".[1646] სასამართლო განმარტავს, რომ *„მზღუდავი რეგულაცია უნდა წარმოადგენდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას. კერძოდ, არ უნდა არსებობდეს ამავე ლეგიტიმური მიზნის ნაკლებად მზღუდველი საშუალებით მიღწევის გონივრული შესაძლებლობა".*[1647]

იმგვარ კონკურენციულ სამართლებრივ დავებზე, სადაც სადავო ნორმა წარმოადგენს თავისუფალი მეწარმეობის მზღუდავ რეგულაციას, შეზღუდვის შეფასების საზომი თანაზომიერების პრინციპია. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლებების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს.[1648]

თანაბარზომიერების პრინციპი მოიცავს სამ კომპონენტს:

- მზღუდავი სამართლებრივი ნორმა უნდა ემსახურებოდეს ღირებულ, ლეგიტიმურ საჯარო მიზანს;
- სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს შესაბამისი მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას;
- უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი საშუალება უნდა იყოს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან ფასდება თანაზომიერების პრინციპის სამივე კომპონენტი და ყველა მათგანის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მზღუდავი ნორმა რჩება ძალაში, ვინაიდან არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციით განმტკიცებული თავისუფალი მეწარმეობის უფლებას. სასამართლოს მითითებით, *„თანაზომიერების პრინციპის*

[1646] იქვე, პარ. 4.

[1647] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, №1/5/826, 21.04.2017, პარ. 23.

[1648] კიკოლაშვილი, თამთა, *„ობიექტური გამართლების კრიტერიუმები კონკურენციულ სამართლებრივ დავებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგიერთი გადაწყვეტილების საფუძველზე"* დაბეჭდილია კონფერენციის შრომათა კრებულში „კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები", თბილისი, 2018, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/282822, ნახვის თარიღი 07.02.2019, გვ.: 80-81.

საწინააღმდეგოა ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც იმაზე მეტად ზღუდავს უფლებას, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის აუცილებელი".[649]

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ მოცემული განმარტებებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონსტიტუციის [მე-6] მუხლით დაცული თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის უფლება თავის თავში მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი სამართლებრივი გარემოს შექმნის ვალდებულებასაც, რომელიც ერთი მხრივ წაახალისებს საბაზრო კონკურენციას, ხოლო მეორე მხრივ, არ დაუშვებს კონკურენციის შემაფერხებელი სამართლებრივი დებულებების არსებობას. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობაში შექმნილია კონკრეტული მექანიზმი – კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის კონტროლის უფლება – რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ზემოხსენებული ვალდებულების შესრულების მონიტორინგი საწყის, ნორმაშემოქმედებით ეტაპზე.

ხსენებული მექანიზმი მოცემულია „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში და წარმოადგენს საჯარო სექტორის საბაზრო კონკურენციაში ჩაურევლობის უზრუნველყოფის მცდელობას, სახელმწიფო ორგანოთა კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებების ამკრძალავ და სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელ დებულებებთან ერთად.

4.2. კონკურენციის სააგენტოს მიერ კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის წინასწარი კონტროლის მექანიზმი

ა) „ფორმალური" წინასწარი კონტროლი

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლი შეეხება მარეგულირებელი ქმედების კონკურენციული ეფექტის შეფასებას და ადგენს, რომ კონკურენციის პროცესის

[649] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, №2/11/747, პარ. 55.

ადვოკატირების უზრუნველსაყოფად, სააგენტო, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, აფასებს ეკონომიკის სფეროსთან დაკავშირებულ მისაღებ გადაწყვეტილებებსა და სამართლებრივ აქტებს, განსახორციელებელ საპრივატიზებო და საინვესტიციო პროექტებს მათი ამ კანონთან შესაბამისობის დადგენისათვის.

ხსენებული ნორმის განმარტების მიზნით, თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ეკონომიკის სფეროსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი აქტების სავალდებულო შეფასებას სააგენტოს მიერ. შესაბამისი ნორმა მიუთითებს, რომ ამ უფლებამოსილებას სააგენტო ახორციელებს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე. ბუნდოვანია ისიც, შეუძლია თუ არა სააგენტოს, თავისი ინიციატივით შეისწავლოს ეკონომიკის სფეროსთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილება თუ სამართლებრივი აქტები და დაადგინოს მისი შესაბამისობა კონკურენციის კანონმდებლობასთან. კანონი ასევე არ განმარტავს – მთავრობის რა სახის გადაწყვეტილება იგულისხმება ხსენებულ მუხლში და რა ფორმით მიიღება იგი, სავალდებულოა თუ არა სააგენტოს მოსაზრების გაზიარება, ან რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ სამართლებრივ აქტს სააგენტო კონკურენციის კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ მიიჩნევს.

ამ დროისთვის არ არსებობს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკა ამ მიმართულებით. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ სააგენტოში არ შესულა მთავრობის ფორმალური გადაწყვეტილება, ეკონომიკის სფეროსთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილების ან სამართლებრივი აქტის კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მოთხოვნით. როგორც უკვე აღინიშნა, ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, წევრ სახელმწიფოებს ეკრძალებათ დამფუძნებელი ხელშეკრულების საწინააღმდეგო კანონების მიღება ან ქმედებების განხორციელება (აღნიშნულს „უზენაესობის პრინციპის“

სახელითაც მოიხსენიებენ).[1650] ამდენად, წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილნი არ არიან, თავიანთი კანონმდებლობით ან ქმედებებით გადაუხვიონ ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობას.

ბ) „არაფორმალური" წინასწარი კონტროლი

როგორც აღინიშნა, სახელმწიფო უწყებებს არა აქვთ ვალდებულება, სააგენტოს შეუთანხმონ ამა თუ იმ სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებები და უწყებას სთხოვონ პოზიციის წარმოდგენა ამ ცვლილებათა შედეგად მოსალოდნელი კონკურენციული ეფექტის თაობაზე. თუმცა, პრაქტიკაში ადგილი აქვს შემთხვევებს, რომ სამინისტროები თუ სხვა ადმინისტრაციული ორგანოები სააგენტოს მაინც მიმართავენ და შესაფასებლად უგზავნიან მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტებს.

მაგალითად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სააგენტოს სთხოვა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის კონკურენციული ეფექტის შეფასება, რომელიც ითვალისწინებდა საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლები) შეშით ექსკლუზიურად მომარაგებას მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ.

სააგენტომ არ გაიზიარა სამინისტროს არგუმენტაცია, რომ რეგულაციის შემოღების აუცილებლობას წარმოშობდა ტყის ფონდით უკანონოდ სარგებლობის ფაქტების აღკვეთა და მიიჩნია, რომ ხსენებული რეგულაცია ხეტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მქონე ეკონომიკური აგენტებისათვის შესაბამის ბაზარზე საქმიანობის შეზღუდვას იწვევდა. როგორც სააგენტოს წერილში ვკითხულობთ, *„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის საშეშე მერქნული რესურსის სააგენტოსგან შესყიდვის დავალდებულება, წარმოადგენს კონკურენციის*

[1650] იხ. მაგალითად, Monica Claes, *The Primacy of EU Law in European and National Law*, in Damian Chalmers and Anthony Arnull, *The Oxford Handbook of European Union Law*, 2015.

შემზღუდველ ჩანაწერს. საქართველოს ტყის ფონდით უკანონოდ სარგებლობის ფაქტებისა და ხის უნებართვო ჭრის აღმოფხვრის მიზნით, შესაბამის ბაზარზე ლიცენზიანტი ეკონომიკური აგენტების უფლების ფაქტობრივად ჩამორთმევა, ვერ იქნება გამართლებული იმდენად, რამდენადაც ხსენებული მიზნის მიღწევა შესაძლებელია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შემზღუდველი განკარგულების მიღების გარეშე".[1651]

სააგენტომ ასევე განიხილა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პროექტი "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე", რომელიც ითვალისწინებდა პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ბრუნვის უფლების მქონე ავტორიზებული აფთიაქის ნებართვის გაცემისას ახალი გეოგრაფიული ან/და დემოგრაფიული პრინციპის შემოღებას. სააგენტომ მიიჩნია, რომ ტერიტორიული ერთეულების მიხედვით კვოტირების მექანიზმის შემოღება წარმოადგენდა განსაკუთრებული სირთულის ადმინისტრაციულ ბარიერს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად გულისხმობდა კონკურენციის შეზღუდვას და ხელს უწყობდა შესაბამის გეოგრაფიულ ბაზრებზე მონოპოლიის ან დუპოლიის დაკანონებას.

მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი არ ითვალისწინებდა ბაზარზე უკვე არსებული ეკონომიკური აგენტებისთვის ნებართვის ჩამორთმევას, სააგენტომ ყურადღება გაამახვილა შესაბამის ბაზარზე საქმიანობის დაწყების მსურველ მეწარმეთა ინტერესებზე და საკუთარ პოზიციაში მიუთითა, რომ *„კონკურენციის კანონმდებლობა იცავს არა მხოლოდ ბაზარზე არსებულ ეკონომიკურ აგენტთა უფლებას – იმოქმედონ კონკურენტული ბაზრის პირობებში, არამედ სააგენტო ვალდებულია უზრუნველყოს კონკურენტული გარემო პირობები, ასევე პოტენციური ეკონომიკური აგენტებისთვის. [...] კანონპროექტის ამ ფორმით მიღება მიმართული აღმოჩნდება მხოლოდ პოტენციური*

[1651] სკს, წერილი №02/1479, 20.10.2017, გვ. 2.

ეკონომიკური აგენტების წინააღმდეგ და ისინი არათანასწორ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან იმ სუბიექტებთან მიმართებით, რომლებიც დაშვებულნი იქნენ ბაზარზე დაწესებული კვოტის გადაჭარბებით კანონპროექტით განსაზღვრული წესის ძალაში შესვლამდე". [1652]

4.3. კონკურენციის სააგენტოს მიერ კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის შემდგომი კონტროლის მექანიზმი

კანონის მე-18 მუხლი კონკურენციის სააგენტოს ანიჭებს კომპეტენციას, რომლის ფარგლებშიც, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მიმართებით, სააგენტოს აქვს განსახილველად სავალდებულო წინადადებების ან/და რეკომენდაციების წარდგენის უფლებამოსილება – საქართველოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენციული გარემოს გაჯანსაღებისათვის, მათ შორის:

- შესაბამის ბაზარზე შესვლის საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ბარიერების არსებობისა და მათი აღმოფხვრის საჭიროების თაობაზე;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების გაუქმების თაობაზე, თუ ისინი ზღუდავენ კონკურენციას.[1653]

სააგენტოს რეკომენდაციების სავალდებულობისა და მისი გათვალისწინების აუცილებლობის საკითხი, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში სხვადასხვაგვარადაა დარეგულირებული. მაგალითად, ლიეტუვას რესპუბლიკის კონკურენციის კანონის[1654] თანახმად, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ეკრძალებათ ისეთი გადაწყვეტილებებისა თუ სამართლებრივი აქტების მიღება, რომელიც აწესებს პრივილეგიებს და განსხვავებულ პირობებში აყენებს კონკურენტებს, გარდა იმ

[1652] სკს. წერილი №02/1014, 06.05.2015, გვ. 2.

[1653] საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", მუხლი 18, პუნქტი 2, „გ" ქვეპუნქტი.

[1654] Republic of Liethuania Law on Competition, 23.03.1999, № VIII-1099.

შემთხვევისა, თუ ეს განსხვავებული პირობები დადგენილია ლიეტუვას რესპუბლიკის კანონებით. კონკურენციის საბჭო უფლებამოსილია, შეამოწმოს საკანონმდებლო აქტის შესაბამისობა კონკურენციის კანონმდებლობასთან და წინააღმდეგობის გამოვლენის შემთხვევაში, უფლებამოსილ ორგანოს მოსთხოვოს მასში ცვლილების შეტანა ან გაუქმება. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კონკურენციის ორგანო სასამართლოში ასაჩივრებს შესაბამისი სახელმწიფო/ადგილობრივი უწყების ქმედებას.[1655]

კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკაში, არსებობს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც, კანონის მე-18 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სააგენტომ შეაფასა მარეგულირებელი კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტი და შემუშავებული წინადადებები წარუდგინა შესაბამის სახელმწიფო უწყებებს.

ა) კერძო დაცვითი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შეფასება

შპს „გიგანტი სექიურითის“ წერილის საფუძველზე, სააგენტომ შეისწავლა „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის გარკვეული ნორმების შესაბამისობა საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობასთან და განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციებით მიმართა [1656] საქართველოს მთავრობასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

სააგენტოში წარმოდგენილ კორესპონდენციაში, განმცხადებელი მიუთითებდა, ერთი მხრივ, „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, დაცვით საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი – სსიპ დაცვის პოლიციის

[1655] იქვე, მუხლი 19.1(4).
[1656] სკს, წერილი №02/438. 09.03.2016.

დეპარტამენტი; ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრძანებაზე, რომელიც სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ანიჭებს უფლებამოსილებას, დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, დაიცვას მესაკუთრის ქონება და კანონიერი ინტერესები მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

შპს „გიგანტი სექიურითი“ ხაზს უსვამდა, რომ აღნიშნული რეგულაციების შედეგად, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს „ჩვეულებრივი“ კერძო დაცვის სამსახურის იდენტური ფუნქცია ეკისრება, თუმცა ასევე გააჩნია თავისივე კონკურენტების გაკონტროლებისა და მათ სენსიტიურ ინფორმაციაზე დაშვების უფლება. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო რეგულირება იწვევს მეწარმე სუბიექტების არათანაბარ პირობებში ჩაყენებას, წარმოადგენს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარების კონსტიტუციური პრინციპის საწინააღმდეგო მოდელს და არღვევს საქართველოს კონსტიტუციის [მე-6] მუხლს.

კონკურენციის სააგენტოს მიერ გამოცემულ დოკუმენტში მოყვანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი სამსახურის მიერ 2014 წელს გამოცემული კვლევა „კერძო დაცვის სერვისების რეგულაცია გაეროს წევრ სახელმწიფოებში“. [1657] სააგენტო მიუთითებს, რომ კვლევის მიხედვით, ფუნდამენტურ პრინციპად მიიჩნევა მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია კორუფციის წინაღმდეგ, ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ყველა ზომის მიღების ვალდებულებას, რომ კერძო სექტორის რეგულირება იყოს გამჭვირვალე და საჯარო პირებს არ გააჩნდეთ ინტერესთა კონფლიქტი ბიზნესის სხვადასხვა სფეროში.

[1657] United Nations Office on Drugs and Crime (Vienna), *State Regulation concerning Civilian Private Security Services and their Contribution to Crime Prevention and Community Safety*, New York, 2014, https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/Ebook0.pdf, ნახვის თარიღი 04.02.2019.

შემუშავებულ რეკომენდაციაში სააგენტო მიუთითებს, რომ საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ყველაზე პრობლემატურად მიიჩნევა ისეთი საკანონმდებლო ჩარჩო, *„სადაც პოლიცია გვევლინება კერძო დაცვის სამსახურის კონკურენტად, თუნდაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. საქართველოს შემთხვევაში კი, კონკურენცია პოლიციასა და კერძო დაცვის კომპანიებს შორის არსებობს საქმიანობის სრულ სპექტრზე, რაც ქმნის პირდაპირ ინტერესთა კონფლიქტს და წინააღმდეგობაში მოდის გაეროს კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებთან და ზემოთ აღწერილ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან“.*[1658]

საქართველოს კონსტიტუციისა და საკანონმდებლო აქტების, ასევე საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის შედეგად, სააგენტომ მიიჩნია, რომ *„შესაძლებელია საქართველოს კერძო დაცვის კანონმდებლობის დახვეწა კერძო დაცვის მომსახურების ბაზარზე კონკურენციული გარემოს გაუმჯობესების მიზნით. დღეს არსებული მოდელი, რომელიც ითვალისწინებს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისთვის ორმაგი ფუნქციების მინიჭებას, წარმოადგენს გადახვევას კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში პირთა თანასწორობის პრინციპიდან და ბაზრის მონაწილეებს უქმნის განცდას, რომ აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირი მარეგულირებელ ფუნქციებს შეიძლება იყენებდეს კონკურენტების საზიანოდ, რაც უარყოფითად აისახება კერძო დაცვის მომსახურების ბაზრის ფუნქციონირებაზე. გარდა ამისა, აღნიშნული მოდელი წინააღმდეგობაში მოდის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან და გაკრიტიკებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ“.*[1659]

ამდენად, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შესაბამის მომსახურების ბაზარზე კონკურენციული გარემოს გაჯანსაღებისა და თანაბარი კონკურენციის პრინციპების დამკვიდრების მიზნით, ამასთანავე, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში პირთა თანასწორობის

[1658] სკს, წერილი №02/438, გვ. 7.
[1659] სკს, წერილი №02/438, გვ. 9.

პრინციპის, სახელმწიფო სტრუქტურებში ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობისა და თავისუფალი კონკურენციის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სააგენტომ მიიჩნია, რომ *„სასურველია გადაიხედოს არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, რის შედეგადაც გაიმიჯნება ერთი და იგივე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო დაცვის მომსახურების კონტროლისა და პარალელურად, სახელმწიფო საფუძველზე ანალოგიური სერვისის განხორციელების უფლებამოსილებები“.*[1660]

მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს ანტიკონსტიტუციურად მიჩნევის მოთხოვნით კერძო დაცვის კომპანიებმა ასევე მიმართეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელთა სარჩელიც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, *„დაცვის პოლიციის დეპარტამენტისთვის, ერთი მხრივ, კონტროლის ფუნქციის და მეორე მხრივ, იმავე სფეროში ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება ზღუდავს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარების უფლებას, ვინაიდან: დაცვის პოლიციის დეპარტამენტს აქვს კერძო დაცვითი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, რაც მას მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებას აძლევს. ამდენად, სადავო ნორმებიდან გამომდინარე, კერძო დაცვითი საქმიანობის ბაზარზე არსებობს არათანაბარი, არაკონკურენტუნარიანი პირობების ჩამოყალიბების თავისთავადი საფრთხე“.*[1661]

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქმის განხილვის მიმდინარეობისას არ გამოვლენილა რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც სასამართლოს დაანახვებდა, რომ დაცვითი საქმიანობის განხორციელებაზე ეფექტიანი კონტროლი შეუძლებელია კონკურენციისა და მეწარმეობის თავისუფლების ამგვარი ფორმით შეზღუდვის გარეშე. საბოლოოდ, ერთი უწყების მიერ ერთდროულად ორი ფუნქციის განხორციელება სასამართლომ

[1660] იქვე.

[1661] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, №2/11/747, პარ. 46.

მიიჩნია არათანაბარზომიერ შეზღუდვად და არა კერძო დაცვითი საქმიანობის ეფექტიანი კონტროლის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებად.

ბ) სხვადასხვა სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის შეფასება

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილების კონკურენციული ეფექტის შეფასება

შპს "მათემოტორსისა" და შპს „სტრადა მოტორსის" განცხადებების საფუძველზე, სააგენტომ შეისწავლა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით დამტკიცებული "სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის" ზოგიერთი დებულების შესაბამისობა კონკურენციის კანონმდებლობასთან და რეკომენდაციებით მიმართა საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს[1662].

განსახილველ საკითხს წარმოადგენდა დადგენილების ჩანაწერი, რომელიც ავტომანქანის მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნად ითვალისწინებს უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტის – ე.წ. „ქრაშ ტესტის" (საავარიო გამოცდის) არსებობას, თუმცა შეზღუდულია ე.წ. „ქრაშ ტესტის" წარმომავლობა: სავალდებულოა NCAP-ის (ევრო ქრაშ ტესტი), IIHS-ის (ამერიკული ქრაშ ტესტი) ან JNCAP-ის (იაპონური ქრაშ ტესტი) წარმოდგენა. კომპანიების მითითებით, ხსენებული ჩანაწერი ზღუდავს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის შესაძლებლობას იმ კომპანიებისათვის, ვისაც არ აქვს ზემოთ ჩამოთვლილი სახის „ქრაშ ტესტი", თუმცა ფლობს სხვა ქვეყანაში (მაგ.: არაბთა გაერთიანებული საემიროები) გაცემულ ანალოგიურ დოკუმენტს.

[1662] სკს, წერილები N02/277, 02.03.2015 და №02/590, 11.03.2015.

საკითხის შესწავლის შედეგად, სააგენტომ დაადგინა, რომ *"ქრაშ ტესტთა" მოთხოვნის არსებული ფორმა (მხოლოდ ევროპული, ამერიკული და იაპონური "ქრაშ ტესტების" დაშვება) არ ესატყვისება კონკურენციის პრინციპებს. {...} დადგენილებით დამტკიცებულ №1-№8 ცხრილებში, უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტებიდან ამოღებულ უნდა იქნეს ყველა სიტყვა გარდა "ქრაშ ტესტისა". ანუ, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტებისაგან უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად „ქრაშ ტესტის" მოთხოვნის აუცილებლობას დაასაბუთებს, ის სამართლიანი კონკურენციის პირობებში უნდა იყოს ზოგადი და ყველა „ქრაშ ტესტის" მქონე კომპანიას უნდა ჰქონდეს შესაბამის შესყიდვებში მონაწილეობის უფლება".*[1663]

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილების კონკურენციული ეფექტის შეფასება

აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის წერილის საფუძველზე, სააგენტომ განიხილა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილების საფუძველზე, კონკრეტული ეკონომიკური აგენტებისათვის სახელმწიფო საწარმოებში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლების მინიჭების საკითხის თავსებადობა კონკურენციის კანონმდებლობასთან.

საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად, სააგენტომ დაადგინა, რომ "საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში" შეყვანილი იყო 14 კომპანია, მაშინ, როდესაც შესაბამის ბაზარზე საქმიანობას ახორციელებდა გაცილებით მეტი ეკონომიკური აგენტი. ამასთანავე, არც საქართველოს საგადასახადო კოდექსით და არც სადავო დადგენილებით არ იყო გათვალისწინებული კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების საფუძველზეც შესაძლებელია პირი მოხვედრილიყო შესაბამის ნუსხაში.

[1663] სკს, წერილი №02/277, გვ. 6-7.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ დაადგინა, რომ *„საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა შერჩევის მოქმედი წესით იზღუდება (შერჩევის კონკრეტული კრიტერიუმების არარსებობის გამო) ამ ბაზრის სხვა სუბიექტთა უფლებები. {...} მთავრობის დადგენილებით უნდა განსაზღვროს არათუ ნუსხაში შესაყვან პირთა წრე, არამედ ის ზოგადი კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებისამებრ ყველას ექნება შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლება".*[1664]

აღსანიშნავია, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის" [1665] შესაბამისად, 2017 წლის 1 იანვრიდან გაუქმებულად გამოცხადდა მთავრობის №360 დადგენილება და სააგენტოს რეკომენდაციის ანალოგიურად, თავად კანონმა განსაზღვრა შესაბამისი კრიტერიუმები ხსენებული საქმიანობის განხორციელების მსურველ პირთათვის.

4.4. შუალედური შეჯამება

კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის ანალიზი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კონკურენციის მარეგულირებელი ნებისმიერი ორგანოს ხელში, რადგან ის წარმოადგენს როგორც ბაზრისთვის პოტენციურად საზიანო კანონმდებლობის მიღებისთვის ხელის შეშლის, ისე კანონშემოქმედებით პროცესში ჩართულ ორგანოებთან მიმართებით კონკურენციის ადვოკატირების ეფექტიან საშუალებას. ამავდროულად, საქართველოს პრაქტიკაში ხსენებული ინსტიტუტის გამოყენების შემთხვევები საკმაოდ შეზღუდულია. ეს გარკვეულწილად

[1664] სკს, წერილიN02/126, 16/10/2014, გვ.: 4-5.

[1665] საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი) 08.06.2016, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=5, ნახვის თარიღი 26.02.2019, მუხლი 28, პუნქტი 10.

განპირობებულია კანონმდებლობის შესაბამისი ჩანაწერებით, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში კონკურენციული ეფექტის წინასწარი ანალიზის პროცედურის გამოყენებას დამოკიდებულს ხდის გარედან არსებულ მომართვაზე. თუმცა, კანონის მე-18 მუხლის ჩანაწერი სააგენტოს სარეკომენდაციო უფლებამოსილებების შესახებ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას აღნიშნული პრობლემისათვის გვერდის ასავლელად. ამ მიმართულებით, ნორმის პოტენციალი ჯერ კიდევ ასათვისებელია.

5. დასკვნითი კომენტარები

სახელმწიფოს მიერ საბაზრო კონკურენციაში ჩარევა კერძო სექტორის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე არანაკლები სიმწვავისაა. ხსენებული საკითხი განსაკუთრებით პრობლემატურია განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთა ბაზრებიც ისედაც ხასიათდებიან მთელი რიგი პრობლემებით.[1666] სწორედ ამიტომ, საქართველოში, სახელმწიფო ორგანოების ქმედებებზე კონკურენციის სამართლის გავრცელებას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ჯანსაღი საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში. ამ მხრივ, კონკურენციის კანონმდებლობა ერთბაშად სამ ინსტრუმენტს ითვალისწინებს – სახელმწიფო ორგანოების კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებების აკრძალვის, სახელმწიფო დახმარების რეგულირებისა და კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის კონტროლის სახით. თუმცა, თითოეული ინსტრუმენტის საკანონმდებლო რეგულირება გარკვეული პრობლემებით ხასიათდება, რაც აბრკოლებს პრაქტიკაში მათ ეფექტიან გამოყენებას.

განხილული პრობლემებიდან ორი განსაკუთრებულ გამოკვეთას იმსახურებს. პირველი ტერმინთა და რიგ საკანონმდებლო ჩანაწერთა ბუნდოვანებაა. როგორც სახელმწიფო დახმარების ცნების ანალიზისას გამოჩნდა, მსგავსი ფართოდ

[1666] Fox, Eleanor M. and Healey, Deborah, "When the state harms competition – the role for competition law", New Your University Law and Economics Working Papers, 4-2013, April 2014, https://lsr.nellco.org/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.com/&httpsredir=1&article=1340&context=nyu_lewp, ნახვის თარიღი 05.03.2019, pp.: 7-8.

განმარტებადი ტერმინების არსებობისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი დამდგენი კრიტერიუმების სწორად განსაზღვრას საკანონმდებლო დონეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების მხრიდან ინტერპრეტაციის შეზღუდული უფლებამოსილების პირობებში, შესაძლოა გართულდეს შესაბამისი ნორმების პრაქტიკაში გამოყენება. ამ მხრივ, საკმაოდ კარგი სამუშაო აქვს შესრულებული საქართველოს კონკურენციის სააგენტოს (განსაკუთრებით კანონის მე-10 მუხლის ბუნდოვანი ჩანაწერების განმარტების საკითხში), თუმცა, სასურველია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება მსგავსი ბუნდოვანი ჩანაწერების გასწორებისთვის.

მეორე პრობლემა სახელმწიფო ორგანოებთან დაკავშირებული უფლებამოსილებების ნაწილში კონკურენციის სააგენტოს აღსრულების მექანიზმების სისუსტეა. ერთი მხრივ, ცხადია, რომ სააგენტო არ წარმოადგენს ევროკომისიის მსგავს ინსტიტუტს და ვერც ექნება შესაბამისი ფართო უფლებამოსილებები. თუმცა დღესდღეობით არსებული სიტუაცია, რომელიც ამ უწყებას მხოლოდ სარეკომენდაციო ორგანოს ფუნქციას ანიჭებს, თუ საქმე კონკურენციის სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვას ეხება, გამოსწორებას საჭიროებს. მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქციების შეთავსება გულისხმობს, რომ სააგენტოს არ აქვს საკუთარი გადაწყვეტილებების აღსრულების ქმედითი მექანიზმი და შედეგად, ვერ ხდება სახელმწიფოს მხრიდან საბაზრო კონკურენციის შეზღუდვის შემთხვევების ეფექტიანი მონიტორინგი. ამ მიმართულებით უფლებამოსილებების გაზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკურენციის სამართლის სისტემის განვითარების პირველ წლებში, კონკურენციის ადვოკატირების უკეთ განსახორციელებლად.

კონკურენციის სამართლის მოქმედება სახელმწიფო ორგანოების მიმართ – მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამება

- საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლით დადგენილია სახელმწიფოს მხრიდან კონკურენციის განვითარებაზე ზრუნვის ვალდებულება. ხსენებული განაპირობებს შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების არსებობას, რომლებიც იცავენ საბაზრო კონკურენციას როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელთა მხრიდან გაუმართლებელი ჩარევებისაგან.
- სახელმწიფო სექტორის მხრიდან ბაზარზე კონკურენციის შემზღუდველი ჩარევის თავიდან აცილების მიზნით, „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილია სამი მექანიზმი: (1) სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების განხორციელების აკრძალვა, (2) სახელმწიფო დახმარების რეგულირება და (3) საქართველოს კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის კონტროლი.

(1) სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების განხორციელების აკრძალვა

- ხსენებული აკრძალვა რეგულირდება კანონის მე-10 მუხლით. კონკურენციის შემზღუდველად ითვლება ყველა ქმედება, რომელიც უპირატეს მდგომარეობაში აყენებს რომელიმე ეკონომიკურ აგენტს და ბაზრის მონაწილეებისთვის ქმნის არათანაბარ კონკურენტულ პირობებს.
- კანონის მე-10 მუხლით რეგულირებულ სუბიექტებს წარმოადგენენ როგორც სახელმწიფო ხელისუფლების, ისე ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად იგეგმება სუბიექტთა წრის გაფართოება და საჯარო უფლებამოსილების

განმახორციელებელი ყველა უწყების მოცვა.

- კანონის მე-10 მუხლით აკრძალულ ქმედებებს განეკუთვნება სახელმწიფო საწარმოების კონკურენციის შემზღუდველი შერწყმა, ეკონომიკური აგენტებისათვის (პოტენციურ) კონკურენტებთან მიმართებით უპირატესობის მიმნიჭებელი შეღავათების დაწესება, წარმოების/რეალიზაციის სახელმწიფო მონოპოლიზება, ეკონომიკური აგენტისთვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნა და ეკონომიკური აგენტის საქმიანობის სხვა ნებისმიერი სახით აკრძალვა, შეჩერება ან/და შეფერხება.
- კანონის მე-10 მუხლი მოქმედებს შესაბამისი ორგანოების ყველა ქმედების მიმართ, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თავის მხრივ, „საქართველოს კანონმდებლობა“ მოიცავს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.
- კანონის მე-10 მუხლის დარღვევის შემთხვევაში, კონკურენციის სააგენტოს გააჩნია სავალდებულოდ შესასრულებელი აქტების გამოცემის უფლება, რომლითაც მოითხოვება მე-10 მუხლის დარღვევის აღმოფხვრა და ასევე შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის უფლება. ამავდროულად, ამ შემთხვევაში არ არსებობს ფულადი ჯარიმის ან სხვა სანქციის გამოყენების შესაძლებლობა.
- კანონის მე-10 მუხლის დარღვევა დგინდება განცხადების/საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით დაწყებული მოკვლევის შედეგად. მოკვლევის ფარგლებში, სააგენტოს ენიჭება გარკვეული საგამოძიებო უფლებამოსილებები, მათ შორის ინფორმაციის გამოთხოვისა და მისი წარუდგენლობის შემთხვევაში, თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის დაყენების უფლება.
- სახელმწიფოს მხრიდან შიდა ბაზარზე კონკურენციის შეუზღუდაობის ვალდებულება მოცემულია ევროკავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებებშიც. მსგავსი სახის საკითხები რეგულირდება ევროკავშირის რიგი წევრი სახელმწიფოების – მაგალითად, ლიეტუვას, ჩეხეთის, სლოვაკეთისა და შვედეთის კანონმდებლობითაც.

- 2015-2018 წლებში სააგენტომ კანონის მე-10 მუხლთან დაკავშირებით განახორციელა 9 მოკვლევა. დარღვევა დადგინდა 9-ვე შემთხვევაში. აღნიშნული მოკვლევების ფარგლებში, სხვა საკითხებთან ერთად, კონკურენციის სააგენტოს მიერ განიმარტა მე-10 მუხლის რიგი ბუნდოვანი ჩანაწერები.

(2) სახელმწიფო დახმარების რეგულირება

- სახელმწიფო დახმარების გაცემა რეგულირდება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12-15 მუხლებით. ტერმინი „სახელმწიფო დახმარების“ განმარტებას კანონი ახდენს დახმარების სახეების არასრული ჩამონათვალის გაკეთების გზით და ათანაბრებს ტერმინებს „სახელმწიფო დახმარება“ და „სუბსიდია“, თუმცა საერთაშორისო კონტექსტში ეს ორი ტერმინი ერთმანეთს არ ემთხვევა.
- სახელმწიფო დახმარების რეგულირება (ძირითადად) *ex-ante* რეგულირების სახეა – ანუ, რეგულირება ხორციელდება სახელმწიფო დახმარების გაცემამდე და ანალიზი ეფუძნება იმის მოდელირებას, თუ რა უარყოფითი შედეგების გამოწვევა შეუძლია სახელმწიფო დახმარებას ამა თუ იმ შესაბამის ბაზარზე.
- სახელმწიფო დახმარების ყველა სახე კანონსაწინააღმდეგო არაა. მსგავსი დახმარება ხშირად გამოიყენება კონკრეტულ სფეროებში – მაგალითად, ჯანდაცვაში, განათლებაში, სოციალურ სფეროში – სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად, ასევე ბაზრის ჩავარდნის გამოსასწორებლად/ბაზრის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად და მზარდი სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის დასაბალანსებლად.
- ამავდროულად, სახელმწიფო დახმარების რეგულირება აუცილებელია, რათა მისი მეშვეობით არ მოხდეს საბაზრო კონკურენციის შეზღუდვა – მაგალითად, ბაზარზე წარუმატებელი ეკონომიკური აგენტების შენარჩუნების,

დახმარების გაცემის პროცესის ლობირების ზეგავლენის ქვეშ მოქცევის ან სახელმწიფოს მხრიდან დახმარების მეშვეობით ბაზარზე სასურველზე მეტად ჩარევის გზით.

- ევროკავშირში, ამა თუ იმ ქმედების სახელმწიფო დახმარებად მიჩნევის კრიტერიუმები მოცემულია TFEU 107(1) მუხლში. ხსენებული კრიტერიუმებია: (ა) ნებისმიერი სახის დახმარების არსებობის ფაქტი; (ბ) დახმარების სახელმწიფოს მიერ/სახელმწიფო სახსრებიდან გაცემა; (გ) დახმარების მეშვეობით ეკონომიკური აგენტ(ებ)ისთვის გარკვეული უპირატესობის მინიჭება; (დ) მსგავსი სახის დახმარების გაცემით კონკურენციის შეზღუდვა (ან ასეთი საფრთხის შექმნა) და წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე ზეგავლენის მოხდენა.
- ევროკავშირში, ტერმინი „დახმარება“ ფართოდ განიმარტება და მოიცავს სამ კომპონენტს: (ა) ქმედებას – ბიუჯეტის განკარგვას, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვით ან ბიუჯეტის მიერ მისაღები შემოსავლის მიუღებლობით; (ბ) შედეგს – ეკონომიკური აგენტების მიერ მიღებულ ეკონომიკურ უპირატესობას/სარგებელს, რომელიც ვერ მიიღწეოდა ჩვეულებრივ საბაზრო პირობებში; (გ) მიზეზშედეგობრივ კავშირს ბიუჯეტის განკარგვასა და ხსენებულ ეკონომიკური უპირატესობის მოპოვებას შორის.
- ევროკავშირში, ტერმინი „სახელმწიფო“ მოიცავს ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი მმართველობის/თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სახელმწიფო ზეგავლენის საფუძველზე მოქმედ სახელმწიფო საწარმოებს. დახმარება სახელმწიფოს მიერ/სახელმწიფო რესურსებიდან გაცემულად ითვლება, თუ მისი გაცემა პირდაპირ ან ირიბად შეიძლება მიეწეროს სახელმწიფოს. ევროკავშირის მიერ დაკისრებული ვალდებულების შესრულება არ ითვლება სახელმწიფო დახმარების გაცემად.
- წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე გავლენის კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია ყველა შემთხვევაში, გარდა

იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფო დახმარებები მიემართება აშკარად ადგილობრივ (ლოკალურ) ბაზრებსა და მასზე მოქმედ სუბიექტებს.

- ევროკავშირში მოქმედებს რეგულაციები უმნიშვნელო ოდენობის სახელმწიფო დახმარების შესახებ, რომლის მიხედვითაც გარკვეულ თანხობრივ ზღვარს ქვემოთ გაცემული დახმარება არ ხვდება TFEU 107(1) მუხლის რეგულირების სფეროში.
- ევროკავშირში, ეკონომიკური აგენტებისათვის შერჩევითი უპირატესობის კრიტერიუმი კმაყოფილდება, თუ დახმარებით უპირატესობა ენიჭება შესადარ სამართლებრივ და ფაქტობრივ სიტუაციაში მყოფი პირებიდან ერთ-ერთს.
- საქართველოში, ტერმინი „სახელმწიფო დახმარების“ ზოგადი განმარტების ნაცვლად, კანონმდებლობაში მოცემულია დახმარების სახეების არასრული ჩამონათვალი. დახმარებად ითვლება „გადაწყვეტილება“ და არა სახელმწიფოს მიერ მიღებული ნებისმიერი ზომა. ინტერპრეტაციის საკითხია, მოიცავს თუ არა კანონმდებლობის ნორმები ევროკავშირის სამართლით გათვალისწინებულ ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა „სახელმწიფო რესურსებიდან“ დახმარების გაცემა, ეკონომიკური უპირატესობის მინიჭება და შერჩევითი უპირატესობის მინიჭება.
- კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკა სახელმწიფო დახმარების შეთანხმების მიმართულებით საკმაოდ მწირია. 2018 წლის დეკემბრის მონაცემებით, სააგენტოს განხილული აქვს მხოლოდ 3 განცხადება. სახელმწიფო დახმარების კანონმდებლობასთან თავსებადობა დადგენილია სამივე შემთხვევაში.

(3) კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის კონტროლი

- კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის წინასწარი კონტროლი წარმოადგენს *ex ante* ზომას. მისი მიზანია ისეთი

კანონმდებლობის/გადაწყვეტილებების მიღების თავიდან აცილება, რომლებსაც შესაძლოა მოჰყვეს საბაზრო კონკურენციის შეზღუდვა.

- კონკურენციული ეფექტის წინასწარი კონტროლი საფუძველს იღებს საქართველოს კონსტიტუციის [მე-6] მუხლიდან. ხსენებულ მუხლში მოცემული კონკურენციის დაცვის ვალდებულება მოიცავს სახელმწიფოს მიერ ისეთი რეგულაციების მიღების კონტროლსაც, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ საბაზრო კონკურენციის შეზღუდვა. ეს მოცემულობა დამატებით განმტკიცებულია თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპითაც.
- წინასწარი კონტროლი ხორციელდება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის თანახმად და გულისხმობს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, კონკურენციის სააგენტოს მიერ ეკონომიკის სფეროსთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილებებისა და კანონპროექტების შეფასებას, მათი კონკურენციის კანონთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
- კანონმდებლობის კონკურენციული კონტროლი ხორციელდება მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზეც. ამ შემთხვევაში, საქართველოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენციული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, სააგენტოს აქვს განსახილველად სავალდებულო წინადადებების ან/და რეკომენდაციების წარდგენის უფლებამოსილება, რაც მოიცავს შესაბამის ბაზრებთან დაკავშირებული კონკურენციული ეფექტის კონტროლსაც.
- პრაქტიკაში, კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის შეფასების კუთხით, კონკურენციის სააგენტოს შემუშავებული აქვს რამდენიმე დასკვნა, შესაბამისი რეკომენდაციებით.

ბიბლიოგრაფია

კანონმდებლობა

1. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი – საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, კონსოლიდირებული პუბლიკაცია 23.03.2018 მდგომარეობით, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35, ნახვის თარიღი 12.01.2019
2. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი), 11.09.2014, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0, ნახვის თარიღი 02.02.2019
3. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ", 08.06.2016, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი) https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=5, ნახვის თარიღი 26.02.2019
4. საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 27.06.2005 (ძალადაკარგულია 23.07.2012-დან), https://matsne.gov.ge/ka/document/view/29644?publication=6, ნახვის თარიღი 03.11.2018
5. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი), 25.05.2012, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4, ნახვის თარიღი 12.01.2019

6. საქართველოს კანონი "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ", პარლამენტის უწყებანი, 22-23, 30.07.1996 (ძალადაკარგულია 11.07.2005-დან), https://matsne.gov.ge/ka/document/view/31462?publication=3, ნახვის თარიღი 03.11.2018
7. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 33, 09.11.2009, https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=25, ნახვის თარიღი 02.02.2019
8. საქართველოს მთავრობის №529 დადგენილება „ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ", 01.09.2014, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (ვებგვერდი), https://matsne.gov.ge/ka/document/view/2488751?publication=0, ნახვის თარიღი 03.03.2019
9. საქართველოს მთავრობის №288დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ", 14.04.2014, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (ვებგვერდი), https://matsne.gov.ge/ka/document/view/2320439?publication=0, ნახვის თარიღი, 16.01.2019
10. Consolidated version of the Treaty on European Union, *OJ C 326/13, 26.10.2012*
11. Consolidated version of the Treaty on the Functioning of the European Union (შემდგომში - „TFEU"), *OJ C 326/47, 26.10.2012*
12. Uruguay Round of Multilateral Trade Negotiations (1986-1994), Annex 1, Annex 1A – Agreement on Subsidies and Countervailing Measures [1994] OJ L 336/156
13. Regulation (EU) 2016/1037 of the European Parliament and of the Council of 8 June 2016 on protection against subsidised imports from countries not members of the European Union, OJ L 176/55, 30.06.2016

14. Commission Regulation (EC) No 69/2001 of 12 January 2001 on the application of Articles 87 and 88 of the EC Treaty to de minimis aid, OJ L 10/30, 13.01.2001
15. Commission Regulation (EC) No 1998/2006 of 15 December 2006 on the application of Articles 87 and 88 of the Treaty to de minimis aid, OJ L379/5, 28.12.2006
16. Commission Direcive 2006/111/EC on the Transparency of Financial Relations Between Member States and Public Undertakings as well as on Financial Transparency within Certain Undertakings, OJ L 318/17, 17.11.2006
17. Commission Regulation (EU) No 1407/2013 of 18 December 2013 on the application of Articles 107 and 108 of the Treaty on the Functioning of the European Union to de minimis aid, OJ L 352/1, 24.12.2013
18. Commission Regulation (EU) No 651/2014 of 17 June 2014 declaring certain categories of aid compatible with the internal market in application of Articles 107 and 108 of the Treaty, OJ L187/1, 26,06.2014, შესაბამისი ცვლილებებითა და დამატებებით
19. Council Regulation (EU) 2015/1589 of 13 July 2015 laying down detailed rules for the application of Article 108 of the Treaty on the Functioning of the European Union, OJ L 248/9, 24.09.2015
20. Republic of Liethuania Law on Competition, 23.03.1999 No. VIII-1099, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/49e68d00103711e5b0d3e1beb7dd5516?jfwid=q8i88mf0v, ნახვის თარიღი 17.01.2019
21. Act on the Protection of Competitionof Czech Republic, 04.04.2001, No 143/2001, http://www.uohs.cz/en/legislation.html, ნახვის თარიღი 17.01.2019
22. Act on Protection of Competition of the Slovak Republic, 27.02.2001, No 136/2001, https://www.antimon.gov.sk/data/files/403_act-no-136_2001-valid-from-172014.pdf, ნახვის თარიღი 17.01.2019

სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, №2/11/747, 14.12.2018
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, №1/5/826, 21.04.2017
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, N1/2/411, 19.12.2008
4. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ბს-1145-1139(კ-17), 22.02.2018
5. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ბს-667-642(კ-13), 21.07.2014
6. თბილისის საქალაქო სასამართლო, №3/7786-17, 29.11.2018
7. CJEU, Case 155/73, *Giuseppe Sacchi* [1974] ECR 409, ECLI:EU:C:1974:40
8. CJEU, Case 13/77, *NV GB-Inno-BM SA v. ATAB* [1977] ECR 2115, ECLI:EU:C:1977:185
9. CJEU, 730/79, *Phillip Morris v Commission* [1980] ECR 2671, ECLI:EU:C:1980:209
10. CJEU, Case 249/81, *Commission of the European Communities v Ireland* [1982] ECR 4005, ECLI:EU:C:1982:402
11. CJEU, Case 248/84, *Germany v Commission* [1987] ECR 4013, ECLI:EU:C:1987:437
12. CJEU, Case C- 260/89, *Elliniki Radiophonia Tiléorassi AE and Panellinia Omospondia Syllogon Prossopikou v Dimotiki Etairia Pliroforissis and Sotirios Kouvelas and Nicolaos Avdellas and others* [1991] ECR I- 2925, ECLI:EU:C:1991:254
13. CJEU, Case C-202/88, *French Republic v Commission of the European Communities* [1991] ECR I-1223, ECLI:EU:C:1991:120
14. CJEU, Case C- 41/90, *Klaus Höfner and Fritz Elser v Macrotron GmbH* [1991] ECR I- 1979, ECLI:EU:C:1991:161
15. CJEU, Case C-39/94, *Syndicat français de l'Express international (SFEI) and others v La Poste and others* [1996] ECR I-3547, ECLI:EU:C:1996:285

16. CJEU, Case T-67/94, *Ladbroke Racing Ltd v Commission of the European Communities* [1998] ECR II-0001, ECLI:EU:T:1998:7
17. CJEU, Case C-241/94, *France v Commission* [1996] ECR I-4551, ECLI:EU:C:1996:353
18. CJEU, Case C-156/98, *Germany v Commission* [2000] ECR I-6857, ECLI:EU:C:2000:467
19. CJEU, Case C-482/99, *France v Commission* [2002] ECR I-4397, ECLI:EU:C:2002:294
20. CJEU, Case C-280/00, *Altmark Trans GmbH and Regierungspräsidium Magdeburg v Nahverkehrsgesellschaft Altmark GmbH, and Oberbundesanwalt beim Bundesverwaltungsgericht* [2003] ECR I-7747, ECLI:EU:C:2003:415
21. CJEU, Case T-109/01, *Fleuren Compost BV v Commission* [2004] ECR II-127, ECLI:EU:T:2004:4
22. CJEU, Case C-66/02, Italy v Commission [2005] ECR I-10901, ECLI:EU:C:2005:768
23. CJEU, Case C-369/07, *Commission v Greece* [2009] ECR I-5703, ECLI:EU:C:2009:428
24. CJEU, Case C-124/10 P, European Commission v Électricité de France (EDF) [2012] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2012:318
25. CJEU, Case T-154/10, *Fracne v Commission,* [2011] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2011:533
26. CJEU, Case C-242/13, *Commerz Nederland NV v Havendbedrijf Rotterdam NV* [2014] Digital Reports of the Court, ECLI:EU:2014:2224
27. CJEU, Case C-15/14P, *Commission v MOL Magyar* [2015] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2015:362

მარეგულირებლების გადაწყვეტილებები

1. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №04/216, 07.08.2018
2. სკს, ბრძანება №04/273, 06.10.2017
3. სკს, ბრძანება №04/248, 05.09.2017
4. სკს, ბრძანება №04/167,23.06.2017

5. სკს, ბრძანება №04/108, 03.05.2017
6. სკს, ბრძანება №245, 28.12.2016
7. სკს, ბრძანება №168, 30.09.2016
8. სკს, ბრძანება №37, 22.03.2016
9. სკს, ბრძანება №113, 07.08.2015
10. სკს, ბრძანება№45, 22.04.2015
11. სკს, ბრძანება №40, 30.03.2015

წიგნები და სტატიები

1. თამთა კიკოლაშვილი, *„ობიექტური გამართლების კრიტერიუმები კონკურენციულ სამართლებრივ დავებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგიერთი გადაწყვეტილების საფუძველზე"* დაბეჭდილია კონფერენციის შრომათა კრებულში „კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები", თბილისი, 2018, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/282822, ნახვის თარიღი 07.02.2019
2. სოლომონ მენაბდიშვილი, *„სახელმწიფო დახმარების რეგულირების თავისებურებანი საქართველოში"*, დაბეჭდილია კონფერენციის შრომათა კრებულში „კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები", თბილისი, 2018, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/282822, ნახვის თარიღი 16.01.2019
3. Kelyn Bacon QC, *European Union Law of State Aid,* 3rd ed, Oxford University Press, 2017
4. Paul Craig and Grainne De Burca, *EU Law: Text, Cases and Materials,* 6th ed., Oxford Univesity Press, 2015
5. Eleanor M. Fox and Deborah Healey, *"When the state harms competition – the role for competition law"*, New Your University Law and Economics Working Papers, 4-2013, April 2014, https://lsr.nellco.org/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.com/&httpsredir=1&article=1340&context=nyu_lewp, ნახვის თარიღი 05.03.2019

6. Alison Jones and Brenda Sufrin, *EU Competition Law: Text, Cases and Materials,* 5th ed, Oxford University Press, 2014
7. Franz Jürgen Säcker and Frank Montag, *European State Aid Law: Commentary,* C.H.Beck/Hart/Nomos, 2016
8. Luca Rubini, *The Definition of Subsidy and State Aid: WTO and EC Law in Comparative Perspective*, Oxford University Press, 2009
9. Connor Quigley QC, *European State Aid Law and Policy,* 3rd ed, Hart Publishing, 2015
10. Richard Whish and David Bailey, *Competition Law,* 7th ed, Oxford University Press, 2012
11. Monica Claes, *The Primacy of EU Law in European and National Law*, in Damian Chalmers and Anthony Arnull, *The Oxford Handbook of European Union Law*, 2015.

სხვა წყაროები

1. სკს, წერილი №02/1479, 20/10/2017
2. სკს, წერილი №02/1313, 21/06/2016
3. სკს, წერილი №02/438, 09/03/2016
4. სკს, წერილი №02/1014, 06/05/2015
5. სკს, წერილი №02/590, 11/03/2015
6. სკს, წერილი №02/277, 02/03/2015
7. სკს, წერილი №02/126, 16/10/2014
8. Code of Best Practices for the conduct of State aid control procedures, C/2018/4412, OJ C 253/14, 19.07.2018
9. Commission Notice on the notion of State aid as referred to in Article 107(1) of the Treaty on the Functioning of the European Union C/2016/2946, OJ C 262/1, 19.7.2016
10. EU Commission, State Aid Scoreboard 2018, http://ec.europa.eu/competition/state_aid/scoreboard/state_aid_scoreboard_2018.pdf, ნახვის თარიღი 03.03.2019
11. Annual Report on Competition Policy Developments in Czech Republic 2016, https://one.oecd.org/document/DAF/COMP/AR(2017)3/en/pdf, ნახვის თარიღი 17.01.2019

12. "Market Failure and the Role of the Government", https://www.educba.com/market-failure-and-the-role-of-government/ ნახვის თარიღი, 01.02.2019
13. Monopolkommission, The "More Economic Approach" in European State Aid Control, Translated Version of Chapter VI of the Biennial Report 2006/2007, Bonn, Germany, 2008, http://ec.europa.eu/competition/state_aid/reform/monopolkommission_en.pdf, ნახვის თარიღი 16.02.2019
14. United Nations Office on Drugs and Crime (Vienna), *State Regulation concerning Civilian Private Security Services and their Contribution to Crime Prevention and Community Safety,* New York, 2014, https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/Ebook0.pdf, ნახვის თარიღი 04.02.2019
15. http://competition.ge/ge/page5.php?sb=446
16. http://ec.europa.eu/competition/state_aid/modernisation/index_en.html
17. http://ec.europa.eu/competition/state_aid/overview/index_en.html
18. http://ec.europa.eu/competition/state_aid/scoreboard/index_en.html#what
19. http://www.konkurrensverket.se/globalassets/english/competition/the-swedish-competition-act.pdf